ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში

1921-1924

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში 1921-1924

ნარკვევი. დოკუმენტები

ნარკვევი
ლევან ჯიქია

გამოსაცემად მოამზადეს
ლევან ჯიქიამ და **დიმიტრი სილაქაძემ**

თბილისი 2024

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ეძღვნება 1921-1924 წლებში ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობასა და აჯანყებებში მონაწილეთა ნათელ ხსოვნას!

ISBN 978-9941-8-7091-0

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპი საქართველოში (1921-1924)

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო. ქართველი პოლიტიკოსების ნაწილმა საქართველო დატოვა და ემიგრაციიდან გააგრძელა ბრძოლა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ფორმალურად საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი" („რევკომი") წარმოადგენდა (აერთიანებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და განმკარგულებელ ფუნქციებს), სინამდვილეში კი ქვეყნის მართვას რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი (მდივანი სერგო ორჯონიკიძე) ახორციელებდა, რომელიც, თავის მხრივ, დირექტივებს კრემლიდან იღებდა. საქართველოში რევკომის ერთადერთ დასაყრდენ ძალას საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმია წარმოადგენდა.

რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის დადგენილებით „საგანგებო-საგამომძიებლო კომისია" შეიქმნა, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები გააჩნდა, ის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებას ახორციელებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის (დამფუძნებელი კრების) წევრები ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდნენ, როდესაც რევკომმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და სახალხო გვარდია დაშლილად გამოაცხადა.[1]

ბოლშევიკები გეგმავდნენ შეეკრიბათ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები, რომლებიც უნდობლობას გამოუცხადებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. როგორც გრიგოლ ვეშაპელი აცხადებდა, დიომიდე თოფურიძემ მიმართა კიდეც სერგო ქავთარაძეს, შეგვკრიბეთ და მთავრობას უნდობლობას გამოვუცხადებთო.[2] როგორც ცნობილია, საქართველოს დამფუძნებელი კრების დელეგატთა სხდომამ, 1921 წლის 15 მარტის სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ნდობას უცხადებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.[3] საოკუპაციო ხელი-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 12.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2122, ანაწერი 2, საქმე 5, ფურცლები 1-2.

3 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომათა დოკუმენტები და დამატებები, VIII, 1921 წლის 1 იანვარი-1921 წლის 17 მარტი, თბილისი, 2020, გვ. 332.

საქართველოს ეროვნული არქივი

სუფლების წარმომადგენლები ამ რეზოლუციის ანულირებას გეგმავდნენ, თუმცა, მათ ეს ვერ შეძლეს. ამიტომაც, რევკომმა 1921 წლის 24 მარტის დეკრეტით საქართველოს დამფუძნებელი კრება დაშლილად გამოაცხადა.[4]

პირველ ეტაპზე გაწყდა ყოველგვარი კავშირი საქართველოდან ემიგრირებულ და ქვეყანაში დარჩენილ პოლიტიკოსებს შორის. საფრანგეთში ემიგრირებულებმა არ იცოდნენ, თუ რა ბედი ეწია საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს. საქართველოს ემიგრანტული მთავრობის გადაწყვეტილებით, ოსმალეთში „პოლიტიკური კომისია" შეიქმნა ნოე ხომერიკის თავმჯდომარეობით, კომისიაში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. პოლიტიკურმა კომისიამ გადაწყვიტა ბიულეტენების ბეჭდვა და საქართველოში გავრცელება დაეწყო.[5]

საქართველოში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს გაზეთის გამოცემის უფლება მიეცა და პარტიული უძრავ-მოძრავი ქონება დაებრუნებინა, თუმცა, უარი მიიღო. რევკომის უარის მიზეზად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიერ 1921 წლის 10 აპრილს მიღებული რეზოლუცია დასახელდა.[6] ამ დღეს თბილისში, სახაზინო თეატრის შენობაში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები შეიკრიბნენ. კრება ისიდორე რამიშვილმა გახსნა. კრების თავმჯდომარედ ვლადიმერ (ლადო) ჯიბლაძე აირჩიეს. სიტყვით გამოვიდნენ: სეით დევდარიანი, პარმენ ხურციძე, ვიქტორ თევზაია, პავლე ბერიშვილი და სხვები. როდესაც ერთ-ერთმა ორატორმა ნოე ჟორდანიას სახელი ახსენა, პატივისცემის ნიშნად, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში, იმედი იყო გამოთქმული, რომ რევკომი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის იზრუნებდა; ქართულ წითელ არმიას შექმნიდა; მშრომელებისათვის თავისუფალ არჩევნებს უზრუნველყოფდა; საქართველოში მოქმედ სოციალისტურ პარტიებს ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობას მისცემდა. რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ ლაიტმოტივად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი რჩებოდა.[7]

რევკომმა გაზეთის გამოცემის ნებართვა მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტ თედო ღლონტის ჯგუფს მისცა, რადგან თედო ღლონტი და შალვა ნუცუბიძე საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ თედო ღლონტი გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის" ფურცლებზე ხელისუფლებას ხოტბა-დიდებას ასხამდა.[8]

---

4 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 18.

5 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2122, ანაწერი 2, საქმე 5, ფურცლები 1-2.

6 საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 19, ანაწერი 1, საქმე 19, ფურცლები 129-130.

7 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

8 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცლები 8-21.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ, ფილიპე მახარაძემ საქართველოს რეგიონებში მოგზაურობა და ხალხთან შეხვედრა გადაწყვიტა, რაც საბჭოთა ხელისუფლების პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად, თუმცა, ვოიაჟი წარუმატებელი აღმოჩნდა (შეხვედრებს თან ახლდა ექსცესები).[9]

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მასიური პოლიტიკური რეპრესიები 1921 წლის 1 მაისის წინა დღეებში დაიწყო. ხელისუფლება საგანგებოდ ემზადებოდა მშრომელთა საერთაშორისო დღის, 1 მაისის აღსანიშნავად. მიუხედავად ამისა, ქართველი მუშები თითქმის არ გამოსულან, პროცესიაში ძირითადად რუსები და სომხები მონაწილეობდნენ.[10]

2 მაისს ერევნის მოედანზე აღლუმი გაიმართა, რომელზეც სერგო ორჯონიკიძემ, საქართველოში წარმატებით განხორციელებული სამხედრო ოპერაციისთვის, „წითელი დროშის" ორდენით XI წითელი არმიის სარდალი ანატოლი გეკერი დააჯილდოვა.[11]

რევკომის მიზანი ქართული პოლიტიკური პარტიების დაშლა-განადგურება იყო. საქართველოს საგანგებო კომისიაში შეიქმნა მესამე და მეოთხე ქვეგანყოფილებები, რომლებიც შესაბამისად, მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ მოქმედებდნენ.[12] ხელისუფლებამ მოახერხა ყველა პოლიტიკურ პარტიაში აგენტების შეგზავნა, რომელთა მეშვეობით ფლობდა უტყუარ ინფორმაციას თითოეულ პარტიაში მიმდინარე პროცესებზე. დაიწყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ე. წ. „თვითლიკვიდაციის" პროცესი.[13] პარტიები იძულებული გახდნენ იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ე.წ. „გამძევებელი" კომისია შექმნა, რომლის მიზანს არასასურველი პირების ქვეყნიდან გაძევება შეადგენდა. იყო შემთხვევები, როდესაც გაძევებამისჯილი პირები საქართველოს რომელიმე საპყრობილეში ჩასმას და ქვეყანაში დატოვებას ითხოვდნენ, თუმცა, უშედეგოდ.[14]

ქვეყნიდან გაძევების გარდა არსებობდა გაძევების უფრო დაბალი საფეხური - გაძევება საცხოვრებელი ადგილიდან ქვეყანაში ცხოვრების უფლებით. ამ შემთხვევაში გაძევების გადაწყვეტილებას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები იღებდნენ, თუმცა, ამ პროცესმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალექსანდრე გეგეჭკორი იძულებული გახდა მიემართა მაზრებისა და ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, რათა მსგავსი თვითნებობა აღკვეთილიყო.[15]

---

9 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

10 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

11 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

12 თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003, გვ. 66.

13 ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 44.

14 ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 45.

15 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 33.

საქართველოს ეროვნული არქივი

ივანე ჯავახიშვილი

რეპრესიების სუსხი შეეხო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც და 4000 სტუდენტიდან 1200 გარიცხეს.[16] დააპატიმრეს პროფესორ-მასწავლებლების ნაწილი, რამაც სასწავლო პროცესი შეაფერხა. ამის გამო, რექტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი იძულებული იყო თხოვნით მიემართა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისთვის, რათა მისი თანამშრომლები თავდებით გაეთავისუფლებინათ.[17]

დაწესდა ცენზურა, მათ შორის თეატრში და ზოგიერთი სპექტაკლი („ღალატი", „სამშობლო" და სხვა) აკრძალეს, ვინაიდან მაყურებელში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას იწვევდა.[18]

ხელისუფლება გარკვეულ ზეწოლას ახდენდა ბავშვებზე, მათ უფასოდ ურიგებდნენ თეატრის ბილეთებსა და საჩუქრებს. საჩუქრების დარიგების დროს ბოლშევიკები ბავშვებს ეუბნებოდნენ ეთხოვათ ღმერთისთვის პური, შაქარი და სხვა რამეები. ბავშვები თხოვნას ასრულებდნენ, მაგრამ, ცხადია, ღმერთი მათ სურვილს არ ისმენდა. შემდეგ, ბოლშევიკების წინადადებით, ბავშვები თხოვნით მიმართავდნენ კომუნისტებს, აქ კი მათი თხოვნა სრულდებოდა. ბავშვებს ამღერებდნენ ინტერნაციონალს და აძახებიებდნენ: გაუმარჯოს ლენინ-ტროცკისო.[19]

სახალხო გვარდიის მიერ დათესილი ყანა ყარაიაზში საქართველოს რევკომმა მეთერთმეტე წითელ არმიას გადასცა. ჯარისკაცებმა ყარაიაზის ტყეში ღორებზე ნადირობა დაიწყეს, რადგან ტყეში ღორები ვერ ნახეს, ტყის ერთ ნაწილს ცეცხლი წაუკიდეს იმ მოსაზრებით, რომ ღორები მინდვრად გამოვიდოდნენ. ცეცხლი მოედო მთელ ტყეს, ათი დღის განმავლობაში ყარაიაზის ტყესთან ერთად დათესილი ყანაც განადგურდა.[20]

საქართველოს ოკუპაციის დროს წითელი არმიის ჯარისკაცების ჯავაში

16 გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, თბილისი, 1956, გვ. 55.

17 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცლები 3-5.

18 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე ხომერიკის პირადი ფონდი 2122, ანაწერი 2, საქმე 5, ფურცლები 11-16.

19 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 14-15.

20 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 31-38.

საქართველოს ეროვნული არქივი

შესვლისას ქართველები, ვინც გაქცევა ვერ მოახერხა, ამოხოცეს. ოსებმა გაიტაცეს დიდძალი ხორბალი და საქონელი, ბევრი ქართველი ცხინვალიდან გაიხიზნა.[21]

ახლოვდებოდა 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. საბჭოთა ხელისუფლება საგონებელში იყო ჩავარდნილი, რადგან 1919-1920 წლებში ქართველმა ერმა 26 მაისი დიდი ზარზეიმით აღნიშნა. 1921 წლის 26 მაისს კი ქვეყანა უკვე ოკუპირებული იყო. 26 მაისის წინა დღეებში ხელისუფლებამ დეკრეტი გამოსცა, რომლითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი და დროშა გაუქმდა. ხელისუფლება აჯანყების მოლოდინში იყო, ამიტომაც გაფაციცებით ემზადებოდა თავდაცვისათვის. 25 მაისის საღამოდან თბილისი გაამაგრეს, სხვადასხვა ადგილას ტყვიამფრქვევები განათავსეს, ქუჩაში ქვეითი და ცხენოსანი პატრულები გამოჩნდნენ.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა თვითონ აღენიშნა 26 მაისი, რათა ინიციატივა ხელიდან არ გაეშვა (ლენინმა დეპეშით მიულოცა თბილისის რევკომს ეს „გონივრული ნაბიჯი"). მათ სურდათ დღესასწაულის მთავარი ტონი და შინაარსი ანტიმენშევიკური ყოფილიყო. თუმცა ამის გაკეთება არც ისე მარტივი აღმოჩნდა. ქართველმა ერმა ბოლშევიკების მიერ დანიშნულ ღონისძიებას ბოიკოტი გამოუცხადა. ანტისაბჭოთა პირებმა ვაკეში ალტერნატიული დემონსტრაციის ჩატარება გადაწყვიტეს, რასაც რეპრესიები მოჰყვა.[22]

1922 წლის 23 მაისს საბჭოთა ხელისუფლებამ 26 მაისის აღნიშვნა აკრძალა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 25 თებერვალი დააწესა.[23] შესაბამისად, 24 მაისიდან მკაცრი ზედამხედველობა დაწესდა, რათა 26 მაისის აღნიშვნა არ მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანება, რომელიც ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთ სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებებს (დუქნები, მაღაზიები, სახელოსნოები, რესტორნები, ღვინის სარდაფები) 24 მაისს ვადაზე ადრე დაკეტავდნენ ან საერთოდ არ გააღებდნენ. აღრიცხვას მილიციელები ახდენდნენ. დაჯარიმებული პირები სამ კატეგორიად იყოფოდნენ. ჯარიმის შვიდი დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში საქონლის კონფისკაცია უნდა მომხდარიყო.[24]

24 მაისს გურიაში, ფიჩხის ჯვარში, ხონქკათში, ლანჩხუთსა და ხაჭალიაში ანტისაბჭოთა მიტინგები გაიმართა. გლეხები უახლოესი სოფლებიდან ეროვნული დროშებით მოვიდნენ. შეიარაღებულმა კომუნისტებმა მომიტინგეებისთვის სამფეროვანი დროშების წართმევა მოინდომეს, რასაც შეხლა-შემოხლა

21 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 31-38.

22 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

23 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 13.

24 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 266.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოყვა,[25] მოკლეს 11 ადამიანი, რომელთა შორის ერთი ქალი და ერთი ბავშვი იყო, მძიმედ დაიჭრა 47 (მათ შორის ბავშვები და ქალები). სამტრედიაში მოკლეს მოხუცი მუშა, დაჭრეს, დაასახიჩრეს და სცემეს 25-მდე მანიფესტანტს. შორაპანში მოკლეს ერთი მუშა და მძიმედ დაჭრეს სამი.[26]

26 მაისს თბილისში საღამოს ხალხი თეატრებში მივიდა და ყველგან (სახაზინო თეატრი, დრამის თეატრი, სახალხო სახლის თეატრი) ინტერნაციონალის დაკვრის შემდეგ ჰიმნ „დიდების" შესრულებას ითხოვდა (სახალხო სახლის თეატრში ჰიმნი ოთხჯერ გაამეორებინეს). 26 მაისი საქართველოს დანარჩენ ქალაქებშიც აღინიშნა.[27]

მანგლისში მცხოვრებ ქართველ გლეხებს თურმე ეგონათ, რომ 26 მაისს მთელ საქართველოში აჯანყება იფეთქებდა, ამიტომ იარაღს მოჰკიდეს ხელი, თუმცა ეს ნაბიჯი მათ ძვირად დაუჯდათ, ისინი დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს.[28]

პატრიოტებმა 26 მაისს ბათუმში პროკლამაცია გაავრცელეს, რომელშიც 26 მაისი გლოვის დღედ იყო გამოცხადებული. პროკლამაცია მთავრდებოდა სიტყვებით: „თქვენ მოჰკალით 26 მაისი, მაგრამ მაინც გაუმარჯოს 26 მაისს".[29]

1921 წლის 5 ივლისს თბილისში, ნაძალადევის თეატრში იოსებ ჯუღაშვილმა (სტალინმა) საჯარო მოხსენება წაიკითხა, რომელსაც 5000 მუშა დაესწრო.[30] იოსებ სტალინის მოხსენების სათაური იყო „საქართველოს სოვეტიზაცია".[31] სტალინმა მუშებს განთავისუფლება მიულოცა, რაზედაც მთელი აუდიტორია ფეხზე წამოდგა და მომხსენებლის მისამართით გაისმა რეპლიკები: „ტყუილია, თქვენ დაგვიპყრეთ, ხიშტებით შემოხვედით, თქვენ გაგვანადგურეთ, ძირს"! სტალინი იძულებული გახდა სიტყვა შეეწყვიტა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან გააგრძელა საუბარი და აღნიშნა: „საქართველოს არ შეუძლიან ცხოვრება, თუ რუსეთმა მას პური არ მისცა, ბაქომ ნავთი". ისევ გაისმა რეპლიკები: „სირცხვილია, ტყუილია, თქვენ გაზიდეთ ყველაფერი ჩვენი ოფლით მონაგარი; ჩვენ დაუმტკიცებთ მთელ ქვეყანას, რომ შეგვიძლია დამოუკიდებლათ ცხოვრება". სტალინი იძულებული გახდა ისევ შეეწყვიტა საუბარი. დარბაზის დაწყნარების შემდეგ მან გააგრძელა საუბარი: „საქართველოში მომხდარი რევოლიუცია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ"... მას ამჯერადაც შეაწყვეტინეს საუბარი და გაისმა რეპლიკები: „სად იყო რევოლიუცია, ეს დაპყრობაა, ქვეყნის განადგურებაა, ჩვენი ორგანიზაციების მოსპობაა". სხდომის თავმჯდომარემ

25 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

26 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 13.

27 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

28 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

29 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცლები 1-2.

30 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 26, ფურცელი 1.

31 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2118, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცელი 25.

საქართველოს ეროვნული არქივი

განაცხადა, რომ ის იძულებული იყო სხდომა დაეხურა, თუმცა სტალინმა ურჩია, ჯობდა სხდომა ჩაემთავრებინათ. ასეთი ობსტრუქციის ფონზე სტალინმა გამოსვლა დაასრულა.

იოსებ სტალინის შემდეგ სხდომაზე სიტყვით სოციალ-დემოკრატები ალექსანდრე დგებუაძე და ისიდორე რამიშვილი გამოვიდნენ. დარბაზი მათ ოვაციებით შეხვდა. ხანდაზმული ისიდორე რამიშვილი ტრიბუნასთან ხელში აყვანილი მიიყვანეს. ორივე მომხსენებელს სიტყვას ტაშით და ოვაციებით ხშირად აწყვეტინებდნენ. ისიდორე რამიშვილი ნახევარი საათის განმავლობაში საუბრობდა, თუმცა ტრიბუნასთან საათნახევარი იდგა.[32]

ეს დემარში საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ერს არ აპატია და მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო, თბილისში 100-მდე სოციალ-დემოკრატი დააპატიმრეს. ამას წინ უძღოდა რევკომის თავმჯდომარეობიდან ფილიპე მახარაძის გადაყენება და მის ნაცვლად ბუდუ მდივანის დანიშვნა.[33] ალექსანდრე დგებუაძე სიტყვით გამოსვლიდან მესამე დღეს დააპატიმრეს, ისიდორე რამიშვილი კი - 14 ივლისს.[34] დემარშის წინა და მომდევნო დღეების განმავლობაში დააპატიმრეს: გრიგოლ (გრიშა) ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, პარმენ ჭიჭინაძე (ყოფილი სამხედრო მინისტრი, 3 ოქტომბერს ის მეტეხის ციხეში გარდაიცვალა), გიორგი (გოგიტა) ფაღავა (მძიმედ დაავადმყოფებული 5 თვის შემდეგ გაათავისუფლეს), შალვა მაღლაკელიძე, ნოე ცინცაძე, გიზო ანჯაფარიძე (ბრალი არ ჰქონდა წაყენებული, მაგრამ მაინც არ ათავისუფლებდნენ), ვლასა მგელაძე, ვასილ (ვასო) ნოდია, იოსებ კვარაცხელია,[35] გენერალი გიორგი მაზნიაშვილი[36] და სხვები.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში არსებულ მძიმე ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1921 წლის ივლისში თბილისელი მუშების მიერ ევროპის მუშებისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია სიტყვისა და შეკრების თავისუფლების შეზღუდვაზე. ქართველი მუშები ევროპელი მუშებისგან ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ითხოვდნენ. წერილს ხელს 3449 მუშა აწერდა.[37]

საპყრობილეებში სრული განუკითხაობა სუფევდა, იყო შემთხვევები, როდესაც მეტეხის ციხის უფროსმა - შულმანმა პატიმრების მისამართით რევოლვერიდან რამდენჯერმე გაისროლა იმიტომ, რომ ისინი „მხოლოდ შენ ერთს“ მღეროდნენ. მეტეხის ციხეში მყოფმა 117-მა პატიმარმა (სპირიდონ კედია, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი და სხვები) საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს, საგანგებო კომისიის თავმჯდომარესა

32 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 26, ფურცელი 1-1ა.

33 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცლები 8-21.

34 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 16-37.

35 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 16-37.

36 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 2.

37 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცლები 12-13.

საქართველოს ეროვნული არქივი

და იუსტიციის სახალხო კომისარს წერილით მიმართეს, რათა მომხდარზე დაუყოვნებლივი გამოძიება დაწყებულიყო და ციხის უფროსი დაესაჯათ.[38]

დაპატიმრებებს, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საგანგებო კომისია ხელმძღვანელობდა, სადაც ძირითადად არაქართველები მუშაობდნენ (სომხები, ებრაელები, რუსები). მათ, რა თქმა უნდა, ქართული არ ესმოდათ, შესაბამისად, დაკითხვა და საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. დაპატიმრებულებს ხშირად არ ესმოდათ რუსული ენა და მხოლოდ შიშის გამო აწერდნენ ხელს მათთვის გაუგებარ დაკითხვის ოქმს. ქართველმა პატიმრებმა დაკითხვის პროცესის ქართულ ენაზე წარმართვა მოითხოვეს, მაგრამ უშედეგოდ.[39]

საგანგებო კომისიის გამომძიებელმა ფედორენკომ გამოძიების დროს ტუსაღები ნიკოლოზ ზურაბიშვილი და ნიკოლოზ ჩაბიშვილი სცემა, რადგან მათ, რუსულის უცოდინრობის გამო, პასუხი ვერ გასცეს რუსულად. ტუსაღები „კარცერში" დაამწყვდიეს. ამ უსამართლობის გამო მეტეხის ტუსაღებმა რევკომისა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარეებს და იუსტიციის სახალხო კომისარს პროტესტი განუცხადეს და დამნაშავის პასუხისმგებლობაში მიცემა მოითხოვეს, თუმცა, უშედეგოდ.[40]

კომენდანტები ხშირად მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და პატიმრებს აგინებდნენ. წინასწარი დაკავების საკნიდან პატიმარს საპირფარეშოში გასვლა მხოლოდ ქრთამის გაღებით შეეძლო. პატიმრებს დასალევ წყალს არ აძლევდნენ, ნიშნის მოგებით კი წყალს ზევიდან ასხამდნენ და ასველებდნენ. ზოგიერთ საკანში მხოლოდ ერთი სკამი იყო და პატიმრები მასზე მორიგეობით სხდებოდნენ. პატიმრების გამოტეხის მიზნით ელექტრომავთულებს იყენებდნენ. დახვრეტილი პატიმრების ტანსაცმელს საგანგებო კომისიის თანამშრომლები თვითონ იყენებდნენ. ამასთან დაკავშირებით ჯალათი პეტინი, რომელიც ლოთობისთვის დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, პატიმრებთან შემდეგ რამეს ყვებოდა:

„საქართველოს ჩეკასთან არსებული რაზმი სულ რუსულია, თუმცა აქაიქ ურევია სხვა ეროვნების ელემენტები, უმთავრესად სომხებიდან და ებრაელებიდან. ჩვენი რაზმი დარაჯობს „ჩეკას" მსხვერპლ ტუსაღებს და მათვე მიყავთ დასახვრეტი პირები. ჩვენ ყველაფერს ჩავდივართ და თქვენ რათ გიკვირთ, თქვენ მიცქერით ბლუზაზე - ეს არაფელია. „ის" დავხვრიტეთ. ბლუზა მე ჩავიცვი, შემდეგ შეიძლება მეც დამხვრიტონ და სხვა ჩაიცვამს, თქვენ გგონიათ ვითომ დახვრეტას ახდენდენ კომენდანტები. ეს მათ მოვალეობას არ შეადგენს, თუ ამას ხანდიხან ჩადიან ისინი, ეს აიხსნება არა მოვალეობით, არამედ ამ ხელოვნების სიყვარულით. დახვრეტა ჩვენი მოვალეობაა, კომენდანტებს გამოყავთ დასახვრეტი ტუსაღები, ხდიან ტანისამოსებს, გარდა საცვლებისა /ხშირათ ამ უკანასკნელსაც/ შეუკრავენ ხელებს თოკით, გადააბამენ ერთიმეორეზე,

38 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 91, ფურცელი 38.

39 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 16-37.

40 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 78-79.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩასვამენ ავტომობილში და ჩაგვაბარებენ. ჩვენ მიგვყავს ისინი სასაფლაოზე. ასეთი სასაფლავო ორი გვაქვს - ორთაჭალის ქვემო მინდორი და საბურთალო, სადაც წინასწარ მზათ დაგვხდება გათხრილი ორმო. ორმოსთან სათითა-ოდ გახდიან ჯარისკაცები საცვლებსაც, დავაყენებთ ორმოსთან, დავახლით უკანიდან თავში რევოლვერის ტყვიას და თითონ ჩავარდება ორმოში. როცა ერთს ვხვრეტთ, მეორე უყურებს და ღრიალებს გაგიჟებული, მაგრამ ყველას ვასალმებთ წუთისოფელს და თავზე მიწას ვაყრით".[41]

მეტეხის ციხე 300 პატიმარზე იყო გათვლილი, თუმცა, იქ 700-800 ზოგჯერ 900 კაციც კი ჰყავდათ გამომწყვდეული. ციხის ეზოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მიწაზე დაყრილი ტიტველი, ჭუჭყიანი პატიმრები. თითო პატიმარზე ½ გირვანქა პური და ერთი კოვზი ლობიოს, ან ტარანის ნახარში იყო განკუთვნილი. შიმშილისგან სულმილეული პატიმრები მიმართავდნენ საკუთარი ტანსაცმლის გაყიდვას, აღებული გროშებით კი იქვე ციხის დუქანში პურს ყიდულობდნენ. ბოლოს პატიმარი საცვლების ამარა რჩებოდა და ასე დაეძებდა პურის ნატეხს სანაგვე ყუთში. შექმნილი იყო საშინელი ანტისანიტარია, მძვინვარებდა ქოლერა და ტიფი. ციხის ადმინისტრაცია როგორც იქნა დაითანხმეს, რომ დროგამოშვებით მაინც პატიმრებს აბანოთი ესარგებლათ, თუმცა, ეს მხოლოდ „მდიდრების" პრივილეგია იყო, ე. ი. იმათი, ვისაც საპონის შეძენა შეეძლოთ.[42]

უარესი ვითარება იყო ორთაჭალის ციხეში. იქიდან ერთი პატიმარი იწე-რებოდა: „ჩვენ აქ ცივი წყალიც სანატრელი გვაქვს. უკვე სიცივეები დაიწყო და ვყრივართ იატაკზე ფანჯრებ ჩამტვრეულ საკნებში, იატაკი კი ცემენტისაა. ავად გახდები და იმედი არ უნდა გქონდეს საავადმყოფოს; წამლობას თავი დაანებე, საჭმელსაც არ გაძლევენ, ჩვეულებრივი „კომუნისტური ულუფა" იქაც და მეტი არაფერი. პირდაპირ ომი გვაქვს სიკვდილთან, ომი უთანასწორო და მსხვერპლიც დღითი დღე მატულობს. ერთი ვირის ტაჩკა აქვთ სპეციალურათ ამ საქმისთვის და ძლივს აუდის. ეჰ, ისევ ჩვენი ვირი. მხოლოდ ამ პირუტყვს აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა: მუდამ მზათაა; გაბმულია; წაიღებს ერთს, დასტოვებს სასაფლაოზე და მოდის დაღონებული, თითქო ტირისო (არავინ იცის მხოლოდ ხალხს სტირის თუ თავის ჯანს); მოვა საავადმყოფოს კარებთან, მოაბრუნებს ტაჩკას და შემოსძახებს თავისებურ მაღალ ხმაზე, ორთაჭალის ჰანგებზე, თითქოს მსახურთ უძახის - გამოიტანეთ ვისიც რიგიაო, ან იქნებ ტუსაღებს ამხნევებს, - ნუ გეშინიათ, არც თქვენ დაგტოვებთო".[43]

როგორც აღვნიშნეთ, მეტეხის ციხეში გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე. ის 1921 წლის 9 ოქტომბერს თბილისში დაკრძალეს. დაკრძალვის პროცესიას ათასობით ადამიანი დაესწრო. ბოლშევიკები შეშინდნენ და ქუჩებში ტყვიამ-ფრქვევები გამოიტანეს. ჭიჭინაძე სობოროს ეზოში უნდა დაეკრძალათ, თუმცა, რევკომმა წინა ღამით გადაწყვეტილება შეცვალა და მესაფლავეები დაა-

41 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 16-37.

42 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 80, ფურცლები 32-35.

43 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 80, ფურცლები 32-35.

საქართველოს ეროვნული არქივი

პატიმრეს. ხალხმა ეს ინფორმაცია არ იცოდა და რუსთაველის პროსპექტზე მოიყარა თავი. ცხედარი მიხეილის საავადმყოფოში ესვენა, ხალხმა საავადმყოფოს მიაშურა, მაგრამ ბოლშევიკებმა მათ გზა გადაუჭრეს, მტკვარზე ხიდები შეკრეს და არავინ გაუშვეს. პროცესიას აუკრძალეს პლეხანოვის პროსპექტზე გავლა და იძულებული გახადეს ჩერქეზიშვილის ქუჩიდან წასულიყვნენ. დიდუბეში სასაფლაოს გალავანთან ჩეკისტებმა ხალხი ეზოში არ შეუშვეს. პროცესია აქ შეჩერდა. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ და სოციალ-დემოკრატმა ვლასა მგელაძემ. ორივე სიტყვა პოლიტიკურ შინაარს შეიცავდა. ხალხმა ჰიმნი „დიდება" შეასრულა და დაიშალა.[44]

1921 წლის 24 ოქტომბერს, დილის 10 საათზე თბილისის მუშათა დელეგაცია საქართველოს რევკომის შენობაში გამოცხადდა, რათა თავმჯდომარისთვის, ბუდუ მდივანისთვის პეტიცია წარედგინა. ბუდუ მდივანმა დელეგაცია ხუთი საათი ალოდინა, შემდეგ კი დელეგაციის წევრებს განუცხადეს, რომ რევკომის თავმჯდომარესთან შეხვედრა მხოლოდ მომდევნო დღის დილის საათებში მოხერხდებოდა, თუმცა დელეგაციის წევრები იქვე დააპატიმრეს,[45] ჩამოართვეს პეტიცია და ორი დღე-ღამე სარდაფში გამოკეტეს, შემდეგ კი მეტეხის ციხეში გადაიყვანეს.[46]

პეტიციაში შემდეგი მოთხოვნები იყო დაყენებული:

„1. დამოუკიდებელ საქართველოს შელახულ უფლების აღდგენა.

2. ქართული ენის დაცვა.

3. რუსის ჯარის გაყვანა.

4. მუშათა ორგანიზაციების, არჩევნების, სიტყვის, კრების, პრესის თავისუფლება, პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობა.

5. რომ შიმშილით არ დაიხოცოს მუშათა ოჯახები, მუშების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება.

6. მუშების დათხოვნა და უცხოეთში გადასახლების შეჩერება. უცხო მოხელეების ეროვნული ძალადობის მოსპობა.

7. სოფლებში დამსჯელი რაზმების მოქმედების შეჩერება და

8. პოლიტიკურ ტუსაღების და დევნილების განთავისუფლება".

განცხადებას ხელს 5132 მუშა აწერდა.[47]

1921 წლის 3 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა კრება ჩაატარეს, რომელსაც 2000 სტუდენტი ესწრებოდა. ისინი მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრებით აღშფოთებულები იყვნენ. კრებაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღეს:

„1/. სავსებით უერთდება თფილისის პროლეტარიატის მოთხოვნილებებს

44 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 21-22.

45 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 8.

46 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 19.

47 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 8.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებისა და მისი ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, კრების, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართველ ლაშქრის უფლებათა აღდგენის და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ იგი მუდამ მზათაა მთელი თავისი ძალ-ღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნილებანი.

2/ სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეშ ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატა რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის თავმჯდომარის ბ. მდივანის 29 ოქტომბრის უტიფარ განცხადების გამო თითქოს დელეგაცია არავის დაეპატიმრებინოს;

3/ კრება ღრმა თანაგრძნობასა და სრულ სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამოწყვდეულ მუშათა დელეგაციას და

4/ მოითხოვს მის დაუყონებლივ განთავისუფლებას".[48]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა სათანადო წერილით მსოფლიოს უნივერსიტეტების სტუდენტებს მიმართეს, რომელშიც საუბარი იყო საქართველოს რევკომის მიერ მუშათა დელეგაციის დაპატიმრებისა და კრებაზე მიღებული დადგენილების შესახებ.[49]

საბჭოთა ხელისუფლებასთან მშვიდობიანი ფორმებით მოლაპარაკების უპერსპექტივობის გამოკვეთის პარალელურად ერთადერთ იმედად მსოფლიო თანამეგობრობისათვის ხმის მიწვდენა რჩებოდა. 1921 წლის 10 დეკემბერს ორ ენაზე (ქართულ და ფრანგულ ენებზე) პეტიცია შეადგინეს, რომლითაც „მთელი ქვეყნის განათლებულ ერებს" მიმართეს. პეტიციაზე ხელმოწერები 1922 წლის აპრილის ჩათვლით გაგრძელდა.

აღნიშნული პეტიცია ყურადღებას რამდენიმე ასპექტის გამო იქცევს, უპირველეს ყოვლისა კი მასზე ხელისმომწერთა დიდი რაოდენობის გამო. როგორც ცნობილია, 1907 წელს ჰააგის კონფერენციაზე ქართველი ერის სახელით გაგზავნილ პეტიციას დაახლოებით 3000-მდე ადამიანი აწერს ხელს, ხოლო 1921 წელს შედგენილ პეტიციას კი ბევრად მეტი - 34 000-მდე ადამიანი. შთამბეჭდავია პეტიციაზე ხელისმომწერთა გეოგრაფია: ქალაქი თბილისი, გურია, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი წინანდალი, სოფელი ხორიხედი, სოფელი ახმეტა, სოფელი მატანი, სოფელი ვაჩნაძიანი, ქალაქი თელავი, სოფელი ქისტაური, სოფელი რუისპირი, სოფელი ურიათუბანი, სოფელი იყალთო, სოფელი შაშიანი, სოფელი ახალი გავაზი, თელავის მაზრის აკურის საზოგადოება და ა. შ.

იმ ადამიანებმა, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ და პეტიციას ხელს ვერ აწერდნენ, ითხოვეს, რომ მათი სახელები და გვარებიც ყოფილიყო პეტიციაზე დაფიქსირებული, მაგალითად, სოფელ კალაურში ასეთი 479 ადამიანი აღმოჩნდა.[50]

48 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 18.

49 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 18.

50 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 504, ფურცლები 299-307.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩვენთვის უცნობია პეტიციის ტექსტის ავტორი. ტექსტს ხელს აწერდნენ განსხვავებული პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ადამიანები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (სომხები და აზერბაიჯანელები).

პეტიციაზე ხელმომწერები მოითხოვდნენ, რომ კულტურულ კაცობრიობას მოეხდინა ზეწოლა საბჭოთა რუსეთზე, რათა ამ უკანასკნელს საოკუპაციო ჯარი საქართველოდან გაეყვანა.[51]

აფხაზეთში ქართველების დევნის პროცესი დაიწყო, ბევრი მათგანი იძულებული გახდა აფხაზეთი დაეტოვებინა. აფხაზეთის გლეხთა ყრილობამ დაადგინა ქართველებისთვის მიწები ჩამოერთვათ და აფხაზებისა და რუსებისათვის გადაეცათ. აფხაზეთში რუსებს, სომხებსა და აფხაზებს შორის კარგი ურთიერთობა არსებობდა, ისინი ქართველებს ერთიანი ძალებით დევნიდნენ.[52]

1921 წლის 12 დეკემბერს, სახალხო გვარდიის დღეს, თბილისის რამდენიმე სასწავლებელში მოსწავლეებმა მოულოდნელად მიატოვეს გაკვეთილები, გამოვიდნენ ქუჩებში ყვავილებით ხელში და ნაძალადევისკენ გაეშურნენ. ერთი საათის შემდეგ ნაძალადევის ძმათა სასაფლაო ახალგაზრდებით გაივსო. მოსწავლეები ყვავილებით რთავდნენ საფლავებს. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა:

„მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიდვეს, ჩვენი ვალია ეს ანდერძი შევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა შვილებს ფიცი მივსცეთ, ფიცი მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოსა და დემოკრატიისათვის ისევე ერთგულად დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულმა მამებმა მოიმოქმედეს. ჩვენი მამები ციხეებში სხედან, ჩვენი მამები ტყეებსა და მთებში გახიზნულან, ჩვენი მამები დახოცილები დარჩნენ ბრძოლის ველებზე და დამპყრობლებმა მათ გვამებზე გადმოაბიჯეს, ხოლო მკვდრები ყვავ-ყორნებს უპატრონოთ დაუტოვეს, მთელი ქართველი ერი ძაძებშია შემოსილი და ყოველ ქოხს გლოვა დაუფლებია, დაპყრობილი ქვეყანა გმინავს მონობის უღელს ქვეშ, ხოლო უცხო ძალები და მოღალატენი დაპატრონებია ჩვენს საუნჯეს და ურცხვად გვძიძგნიან. დღეს, ქართველი ერის გლოვის მეათე თვის თავზე, საქართველოს სახალხო გვარდიის დღეს, მოვედით ჩვენ აქ, რომ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათაგან დადებულ ანდერძს ერთხელ კიდევ შევფიცოთ (ყველანი მუხლს იყრიან და გაისმის: ვფიცავთ, ვფიცავთ.)“.[53]

1922 წლის 11 მარტს სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა ევროპის ერებსა და კულტურის სფეროს მუშაკებს მიმართა. მიმართვაში საუბარია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე, მართალია ფორმალურად საბჭოთა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, თუმცა, სინამდვილეში ის რუსეთის ჩვეულებრივ პროვინციას წარმოადგენდა, საქართველოს არ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული

51 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 504, ფურცლები 299-307.

52 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 37; 49-51.

53 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 80, ფურცლები 28-30.

საქართველოს ეროვნული არქივი

ძალები, ქართული ენა არ გამოიყენებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქვეყანაში არ არსებობდა თავისუფალი სიტყვა.

ქართველი მასწავლებლები ევროპის ერებისა და კულტურის მუშაკების წინაშე აყენებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: „I. აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობისა და მისი დაცვა ადგილობრივ ძალებით; II. დაუყონებლივი გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან უცხო საოკუპაციო რუსეთის ჯარების; III. სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიულ საფუძველზე აღდგენა; IV. საქართველოში ისეთი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, რომელიც შეესაბამება როგორც ადგილობრივ, ისე საერთო ობიექტურ პირობებს და რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ყოველ მხრივ განვითარებას“.

მასწავლებლები იმედოვნებდნენ, რომ ევროპელები მხარს დაუჭერდნენ მათ თხოვნას.[54]

1922 წლის 30 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის საბჭომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტობას მიმართა, სადაც საუბარია ოკუპაციის სავალალო შედეგებზე საქართველოში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ რეპრესიებზე, ეს რეპრესიები შეეხო ქართველ სტუდენტობასაც. მიმართვაში აღნიშნულია: „უნივერსიტეტში შეიჭრა რუსული ჩექმა და ფიზიკურად შეურაცხყო ქართველი სტუდენტი. სროლით ალყაშემორტყმულ უნივერსიტეტის კედლებში თოფის კონდახებითა და ხელით სცემეს სტუდენტ ქალებსა და ვაჟებს. პროტესტისათვის ასობით დაატუსაღეს საუკეთესო სტუდენტები და სამეცნიერო სამუშაოს მოაცილეს უკეთესი მუშაკნი. ციხეების გარეთ დარჩენილი სტუდენტობის დიდი ნაწილი არალეგალურად სცხოვრობს და ისიც მოკლებულია აქტიურ საშვალებას განაგრძოს საყვარელი საქმე: მეცნიერულ-სააკადემიო მუშაობა. თვით უნივერსიტეტი კი გადაქცეულია „ჩეკას“ სათარეშო მოედნათ. ჩახშულია ყოველგვარი თავისუფლება: კრების, სიტყვის, კავშირის“.

სტუდენტები პირობას დებდნენ, რომ იბრძოლებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ქვეყანა რუსეთის მონობას მალე თავს დააღწევდა.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში მთელი თქვენი თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იქნება და ყოველგვარი საშუალებებით ხელს შეუწყობთ ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს, რითაც დაჩქარდება ევროპა-აზიის კულტურული თანამშრომლობა“ - აღნიშნული იყო მიმართვაში.[55]

1923 წლის 5 ივლისს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადებით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს (წერილის ასლი გაეგზავნა სოციალისტური ინტერნაციონალის, ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალისა და კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტებს), რომელშიც დაყენებული იყო საქართველოში რეფენდუმის ჩატარების საკითხი. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ:

54 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 686, ფურცლები 1-2.

55 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 686, ფურცლები 3-4.

საქართველოს ეროვნული არქივი

„1. შესდგეს თანასწორი რაოდენობით კომისია დასავლეთის კომუნისტებისა და სოციალისტებისაგან. ამ კომისიამ გამოარკვიოს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ხალხის ნამდვილი სურვილი.

2. ჩვენ თანახმა ვართ კომისია დაეკითხოს არა მთელ ხალხს, არამედ მუშებსა და გლეხებს, ე. ი. იმათ, ვისაც საბჭოთა კონსტიტუციის ძალით არჩევნების უფლება აქვს და ვინც თქვენის სიტყვით ქვეყნის ბატონ პატრონი უნდა იყოს.

3. ჩვენ წინდაწინვე საქვეყნოთ პირობას ვდებთ, რომ ხელს ავიღებთ თქვენ საწინააღმდეგო ყოველგვარ მოქმედებასა და აგიტაციაზე, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე მის გარეთ, თუ ჩვენი მშრომელი ხალხის ერთი მესამედი მაინც თქვენი მომხრე აღმოჩნდება. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ერთ პირობას: კენჭის ყრა იყოს ფარული.

4. ამ კომისიამ ადგილობრივ გამოარკვიოს თქვენი აგენტებისა და თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი, როგორიცაა უდანაშაულო ხალხის დახვრეტა და ჩუმათ წამება, ძალით ხელის მოწერინება და სხვა.

5. ჩვენ მზათა ვართ ამ ბოროტმოქმედებათა მსჯავრის დადება მივანდოთ მარტო დასავლეთის კომუნისტების წარმომადგენლებს, მხოლოდ ისინი მოისმენენ ჩვენს საბუთებსა და ცოცხალი ადამიანების ჩვენებას.

6. თუ თქვენ საქართველოს მშრომელთა ხმების ერთ მესამედს ვერ მიიღებთ, ხოლო მეორე მხრივ თქვენი ძალადობა დაგმობილ იქნება თქვენ დასავლეთელ ამხანაგების მიერ, მაშინ მოსკოვმა უნდა გაიყვანოს აქედან რუსის ჯარი და მოწვეულ უნდა იქნას ზემოთ დასახელებული კომისიის თვალყურის გდებით თავისუფლათ არჩეული საბჭოების ყრილობა, რომელიც გამოარკვევს მშრომელთა ნამდვილ სურვილებსა და განსაზღვრავს საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთთან“.[56]

ეს შეთავაზება, ცხადია, რეაგირების გარეშე დარჩა.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით ეკლესია სახელმწიფოს, სკოლა კი ეკლესიას გამოეყო. ეკლესიას კერძო საკუთრების ფლობის უფლება წაერთვა და სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება აიკრძალა.[57]

ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ახალგაზრდები ხშირად შეურაცხყოფდნენ მლოცველებს, აშინებდნენ იარაღით, შობის დღესასწაულზე იჭრებოდნენ ეკლესიაში, ეხებოდნენ ხატებს, ეკლესიაში ყრიდნენ ანტირელიგიური შინაარსის პროკლამაციებსა და პლაკატებს.[58]

ადგილობრივი რევკომებისა და მათი წარმომადგენლების მხრიდან სასულიერო პირების შეურაცხყოფამ იმდენად მასიური სახე მიიღო, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იძულებული იყო სპეციალური ცირკულიარით მიემართა ყველა სამაზრო რევკომის ხელმძღვანელისთვის, რომ შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება, რადგან ის ძირს უთხრიდა

56 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 108, ფურცლები 42-44.

57 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 281, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 38.

58 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცელი 513.

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს.[59]

სასულიერო პირების დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ამასთან, ისინი თვეობით ელოდებოდნენ ბრალის წარდგენას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქუთათელი მიტროპოლიტის - ნაზარის (ლეჟავა), თბილისის ყოფილი სამხედრო ტაძრის და ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარის, დეკანოზ ანტონ თოთიბაძის, თბილისის ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძისა და თბილისის დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის მიმართვა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ბრალმდებელს, რომელშიც ისინი ითხოვდნენ ბრალის დროულად წაყენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობის დაწყებით იმუქრებოდნენ.[60]

ბოლშევიკებმა საქართველოში მასობრივი ანტირელიგიური კამპანია 1922 წლის დამლევიდან დაიწყეს. ქრისტიანულ შობას მათ ე. წ. „კომკავშირული შობა“ დაუპირისპირეს. ამ კამპანიის ჩასატარებლად ამიერკავკასიის მასშტაბით სპეციალური სამხარეო კომისია შეიქმნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამხარეო კომიტეტის მდივნის მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით.[61] მთელ ქვეყანაში ეკლესია-მონასტრების დახურვა-გადაკეთების პროცესი დაიწყო, რისთვისაც ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ხუთი მილიარდი მანეთი გამოყო.[62]

აგიტაცია-პროპაგანდის გამგეები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სიხარულით ატყობინებდნენ, რომ ზოგიერთ მაზრაში ყველა ეკლესია-მონასტერი დაიკეტა. როგორც ისინი იუწყებოდნენ, მღვდლებმა ანაფორა გაიხადეს, გაიპარსეს და თვითონ გამოდიოდნენ ეკლესია-მონასტრების დანგრევის აგიტაციით.[63]

დასანგრევი ეკლესია-მონასტრების სიაში შეტანილი იყო მოწამეთას მონასტერი. საბედნიეროდ, ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და სარგის კაკაბაძის ძალისხმევით მონასტერი და მასთან არსებული კოშკები დანგრევას გადაურჩა.[64]

სამწუხაროდ, დანგრევას ვერ გადაურჩა ქუთაისის საკათედრო ტაძარი (სობორო), მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის 22 მაისს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას სათანადო თხოვნით ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარიმ (ლეჟავა) მიმართა.[65]

1923 წლის 20 აპრილს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნაქერალის

59 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 9.

60 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 108-109.

61 გივი როგავა, როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), თბილისი, 1994, გვ. 16.

62 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 2, ფურცელი 373.

63 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 167, ფურცელი 50.

64 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცლები 43-44.

65 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 317, ფურცლები 65-66.

საქართველოს ეროვნული არქივი

მთიდან დაბა ტყიბულში „ცხრა ჯვარი“ ჩამოიტანეს და სპეციალურად შეკრებილ მიტინგზე „გაასამართლეს“.[66]

1923 წლის 23 ნოემბერს გამოიცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე გეგეჭკორის დადგენილება „საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ“, რომლის მიხედვით დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გადაეცა. ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო განძეულობა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის სამუზეუმო დაწესებულებებს უნდა ჩაბარებოდა, დანარჩენი საეკლესიო განძი კი (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები), ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეეძლოთ თავიანთი საჭიროებისათვის გამოეყენებინათ. ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთები ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უნდა შეენახათ, რომელიც მოსახლეობას გადაეცემოდა, თუ ისინი რელიგიურ საზოგადოებას შექმნიდნენ და მოითხოვდნენ მათ გადაცემას.[67]

საქართველოს საგანგებო კომისიაში არსებულ მესამე ქვეგანყოფილებას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე და სასულიერო პირებზე კონტროლის დაწესება ევალებოდა. საქართველოს საგანგებო კომისია სასულიერო პირების დევნა-შევიწროების პარალელურად მათ კომპრომეტირებას ეწეოდა. საგანგებო კომისიის თანამშრომლების მიერ შეთითხნილი პასკვილები პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა.[68] კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სასულიერო პირების მიმართ მიმდინარეობდა აგენტურული ინფორმაციის შეგროვება კოდური სახელით „სვიატოი“. ამ ცნობების მიხედვით ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) კომუნისტებს ანტიქრისტეებს, გამყიდველებსა და იუდებს ეძახდა.[69]

1922 წლის 7 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად მემორანდუმი შეიმუშავა და გენუის საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციას გაუგზავნა.[70] მემორანდუმში დეტალურად იყო აღწერილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიები და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე განხორციელებული ძალადობრივი ფაქტები. პატრიარქი იმედს გამოთქვამდა, რომ: „მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით

66 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 170, ფურცელი 9.

67 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 281, ფურცელი 13.

68 თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003, გვ. 58-66.

69 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 12, ფურცელი 49ა.

70 გენუის საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“.[71]

კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმის ტექსტი წაიკითხეს გენუის კონფერენციის სამომწესრიგებლო სხდომაზე (კონფერენციაზე, ასევე, წაიკითხეს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის დელეგაციის განცხადება და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მემორანდუმი).[72] 1922 წლის 5 მაისს კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმის ტექსტი გენუის გაზეთ „კაფარაში“ დაიბეჭდა.[73]

1922 წლის 2 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი იძულების წესით საპატრიარქო რეზიდენციიდან გამოასახლეს, 23 ივნისს რეზიდენცია და პატრიარქის სამუშაო ოთახები დალუქეს, წაიღეს როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნივთები.[74]

საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა, გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გამო, კათოლიკოს-პატრიარქი დასაკითხად წაიყვანეს. კათოლიკოს-პატრიარქმა 12 ივნისს დაკითხვისას კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა რუსეთს ის ოკუპანტად თვლიდა, შელახული იყო საქართველოს სუვერენიტეტი და განმარტა, თუ რა მიზნით გააგზავნა მემორანდუმი გენუაში: „მივმართე გენუის კონფერენციას იმისთვის, რომ მეგონა დაისმებოდა მცირე ერების საკითხი და რამდენათაც ერი განთავისუფლდებოდა ამით სარწმუნოება აღორძინდებოდა, ვინაიდან ერი მწამს იმდენად, რამდენათაც ხელს უწყობს სარწმუნოების გაძლიერებას და ერის აღორძინებას“.[75]

1922 წლის 22 ივნისს საბჭოთა ხელისუფლებამ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი განიხილა და დაასკვნა, რომ ეს ნაბიჯი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რომლის მიზანი საბჭოთა წყობილების დისკრედიტაცია იყო.[76]

22 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ წერილით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, სადაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა მემორანდუმში გამოთქმული მოსაზრება და აღნიშნა: „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა ღვთისა და მშობელ ერის წინაშე, და თუ ეს ჩამეთვლება დანაშაულად, მზად ვარ საჯაროთ ვაგო პასუხი“.[77]

1923 წლის 29 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქს სახლი ჩამოართვეს.[78]

---

71 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 132-133.

72 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 495, ფურცლები 41-61.

73 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 12, ფურცელი 39.

74 სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, თბილისი, 2000, გვ. 37-44.

75 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 125-128.

76 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 12, ფურცელი 45.

77 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცელი 118.

78 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 2, ფურცელი 269.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის 10 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. სასამართლოს გ. ჩხეიძე თავმჯდომარეობდა, წევრებად იყვნენ: გ. რთველაძე და ვ. წივწივაძე, ბრალმდებლებად - ნ. მაჭავარიანი და ნ. ოკუჯავა, საზოგადო ბრალმდებლად - ალ. ერქომაიშვილი, მდივნობდა აბაკელია. სხდომები საჯარო იყო,[79] ამიტომაც მას უამრავი ხალხი მიაწყდა. პირველ დღეებში სხდომებზე დამსწრეებს წითელი ბილეთებით უშვებდნენ, შემდეგ კი - გვარების ამოკითხვით. ერთ საღამოს საქმე შეტაკებამდეც კი მივიდა - კურსანტებმა რამდენჯერმე თოფები გაისროლეს და აღელვებული ხალხი გაფანტეს და დარბაზში არ შეუშვეს. დარბაზში კი ყოველ დღე ვიღაცას აპატიმრებდნენ (ერთხელ დააპატიმრეს გიმნაზიის მოსწავლე ხაფავა, რადგან ფურცელზე რაღაცას ინიშნავდა). სხდომებზე ძალით მოჰყავდათ მუშები, რომლებიც განსასჯელთა დახვრეტას ითხოვდნენ. დარბაზში მუდმივად იყვნენ კომსომოლები, რომლებიც ქანდარაზე ისხდნენ და ბრალდებულთა თუ დამცველთა გამოსვლას სტვენით, ყიჟინითა და ლანძღვა-გინებით ხვდებოდნენ. მათ თან ჰქონდათ მოტანილი კარიკატურები.[80]

ბრალდებულებს გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გარდა მცხეთისა და სიონის ტაძრების განძეულობის დამალვას ედავებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამბროსიმ თავი დამნაშავედ არ ცნო, თუმცა, სასამართ-ლოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ თითქოს კათოლიკოს-პატრიარქმა და სხვებმა დანაშაული აღიარეს, რაც რეალობას არ შეესაბამება.[81]

თავიდან სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქსა და საკათალიკოსო საბჭოს წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა შეუფარდა, თუმცა მხედველობაში მიიღო განსასჯელთა ასაკი და ის, რომ თითქოს ისინი მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ, მათ ცნეს საბჭოთა ხე-ლისუფლება და ამ უკანასკნელისთვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. ამიტომაც, სასამართლომ მათ შემდეგი განაჩენი გამოუტანა:

ამბროსი ხელაიას - პატიმრობა შვიდი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

იასონ კაპანაძეს - პატიმრობა ცხრა წლით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

კალისტრატე ცინცაძეს - პატიმრობა სამი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

ნიკოლოზ თავდგირიძეს - პატიმრობა სამი წლით, ცხრა თვითა და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

იოსებ მირიანაშვილს - პატიმრობა ცხრა თვითა და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით;

მარკოზ ტყემალაძეს - პატიმრობა ცხრა თვითა და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციითა და ქონების კონფისკაციით.

---

79 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 3, ფურცლები 245-248.

80 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 124, ფურცლები 4-9.

81 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 124, ფურცლები 4-9.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

საქართველოს
ეროვნული
არქივი

განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.[82]

მასიურად მიმდინარეობდა მაზრებში მუნიციპალიზაციის პროცესი, რომლის დროსაც სახლებს ართმევდნენ შეძლებულ პირებს, ყოფილ თავად-აზნაურებს და სხვადასხვა დაწესებულებებს გადასცემდნენ.[83]

სახელმწიფო დაწესებულებები გაივსო არაქართველი, ჩამოსული პირებით, ამიტომაც საქმისწარმოება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.[84]

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნული საბჭოს არჩევნები სრული ფიქცია იყო, მას ბოიკოტი გამოუცხადეს პოლიტიკურმა პარტიებმა. არჩევნებში, გარდა კომუნისტებისა, მხოლოდ თედო ღლონტის ჯგუფი და ე. წ. „დამოუკიდებელი" კანდიდატები მონაწილეობდნენ.[85]

1921 წლის 28 ოქტომბერს სვანეთში ანტისაბჭოთა ეროვნულმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულები მულახში მდებარე სამაზრო რევოლუციურ კომიტეტს თავს დაესხნენ. სვანეთში მყოფი წითელი არმიის ნაწილები ჯვარის მიმართულებით გაიქცნენ, აჯანყებულებმა მათ გზაზე ჩასაფრება მოუწყვეს და 270 წითელარმიელი, 3 ზარბაზანი და სხვადასხვა სამხედრო მასალები ჩაიგდეს ხელში. წითელი არმიის სარდლობამ ქართველი ავიატორი-ოფიცრები დააპატიმრა, რომლებმაც სვანეთის მიმართულებით გაფრენის ბრძანება არ შეასრულეს.[86] აჯანყებულებმა ადგილობრივი მოსახლეობის ხატზე დაფიცება დაიწყეს. აჯანყებულთა რიცხვმა 2000 მიაღწია. მათ მულახს ალყა შემოარტყეს, ალყა ხუთი კვირა გაგრძელდა.

საქართველოში მყოფი წითელი ჯარის სარდლობამ აჯანყებულ სვანებს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: დაუყოვნებლივ შემოგვაგებეთ იარაღი და თქვენი ქალების გახდილი საცვლები. ასეთი შეურაცხმყოფელური წერილის შემდეგ აჯანყებულებს განუცხადებიათ: „გაგვწყვეტენ და თავი მაინც ვისისხლოთო!".[87]

სვანეთის მკვიდრები ბიძინა პირველი და ილია ფალიანი ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლება დაერწმუნებინათ, რომ სვანეთის აჯანყება ანტისაბჭოთა ხასიათს არ ატარებდა და ის მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა თვითნებობას უკავშირდებოდა.[88] ამით ისინი ცდილობდნენ სვანეთისათვის აეცილებინათ ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ სვანეთის აჯანყება სისხლში ჩაახშო.[89]

---

82 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 3, ფურცლები 245-248.

83 საქართველოს ეროვნული არქივი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივი, ფონდი 3, საქმე 19, ფურცლები 1-2.

84 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 177.

85 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცლები 1-14.

86 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 50-51.

87 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 32-35.

88 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 32-35.

89 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 42-44.

საქართველოს ეროვნული არქივი

სვანეთში მიმდინარე მოვლენები ნოე ჟორდანიამ დეპეშით გენუის კონფერენციის მონაწილეებს ამცნო და მოუწოდა მათ მოეთხოვათ რუსეთისათვის სამხედრო მოქმედებების შეჩერება. შვედეთის დელეგატმა ბრონტინგმა მოითხოვა ზომების მიღება სვანეთში სისხლისღვრის შესაჩერებლად, მას მხარი დაუჭირა შვეიცარიის დელეგატმა მაცამ. საფრანგეთის დელეგატმა ბარტუმ წინადადება შეიტანა მინდობოდა თავმჯდომარეს, შანცერს მიემართა საბჭოთა რუსეთის დელეგაციისთვის. ეს წინადადება ყველამ მოიწონა, მათ შორის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა.

შანცერმა წერილით მიმართა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, გიორგი ჩიჩერინს, სადაც მოსთხოვა მას სისხლისღვრისა და რეპრესიების შეჩერება საქართველოში.

ჩიჩერინმა უარყო სვანეთში სისხლისღვრა და აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ „კერძო პირის“ ნოე ჟორდანიას მოგონილიაო, თუ გინდათ სინამდვილის გაგება, აქ იმყოფება საქართველოს წარმომადგენელი ბუდუ მდივანი და მას მოუსმინეთო (საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი არ იყო დაშვებული კონფერენციაზე, ისევე როგორც საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი). ჩიჩერინის წერილს შანცერმა უპასუხა და ის სიცრუეში ამხილა. კონფერენციაზე მოითხოვეს საერთაშორისო ორგანოს შექმნა, რომელსაც უნდა შეესწავლა საქართველოში არსებული ვითარება და ჩაეტარებინა პლებისციტი და გაერკვია, რამდენად სურდა ქართველ ერს რუსეთის ჯარების ქვეყანაში არსებობა.[90]

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და „შეფიცულთა რაზმის“ დისკრედიტაციას. თუ სადმე ყაჩაღობა მოხდებოდა, სპეციალურად ავრცელებდნენ ხმებს, რომ ეს ქაქუცას რაზმელების ჩადენილი იყო. ამიტომ, 1922 წლის აპრილში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ქართველი ერის სახელზე მიმართვა გაავრცელა, სადაც აცხადებდა, რომ ხელისუფლება ეროვნული მოძრაობის წევრების მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ეწეოდა და მათ ბანდიტებს ეძახდა, ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას კი ავანტიურად ნათლავდა. „თქვენ ხართ და დარჩებით პირუთვნელი მოწმე ჩვენი მოღვაწეობისა. თქვენ ხედავთ და მუდამ გეცოდინებათ, თუ რას ემსახურებიან და რისთვის იღწვიან კახეთის რაზმები, რომელთაც მე ვხელმძღვანელობ; არავითარი პირადული, არავითარი ჯგუფური, წოდებრივი, ან პარტიული მიზანი და მისწრაფება“ - აღნიშნული იყო მოწოდებაში.[91]

ქაქუცა ჩოლოყაშვილით შეშინებულმა ხელისუფლებამ 1922 წლის აპრილში კახეთის სრული განიარაღება გადაწყვიტა, რა დროსაც თოფებთან ერთად ვერცხლის ქამარ-ხანჯალს და ჩვეულებრივ ცივ იარაღსაც ჰკრებდნენ. განიარაღებისას წითელარმიელები სოფელში ერთი კვირა რჩებოდნენ, ამ დროის განმავლობაში ისინი ადგილობრივების კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ერთ-ერთ დოკუმენტში ეს პროცესი შემდეგნაირადაა აღწერილი: მიაქვთ „ცხენებისათვის უკანასკნელი დასაფქვავი სიმინდი, ქერი, თივა, შემონახული

90 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 495, ფურცლები 41-61.

91 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 60, ფურცელი 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

ღორი, ინდაური, ბატკნები და სხვა. გამეფებულია სრული უპასუხისმგებლობა: ყოველი წითელ არმიელი იქცევა ისე, როგორც მას პირადათ მოესურვება. შედიან სახლებში და სჩხრეკენ, ვითომდა იარაღის აღმოსაჩენად. ისაკუთრებენ, რაც მოეწონებათ და რასაც დაინახავენ. მთელი დღის განმავლობაში სოფლის ქუჩებში დახეტიალობენ შექეიფიანებული წითლები, რომელთა შეხვედრას ყველა ერიდება - რადგან იგინებიან უწმაწურად და თვით მოპყრობა გლეხებისადმი ყოვლად უდიერი აქვთ, ადგილი აქვს ცემასაც. ყველას ბურჟუაზიასა და მენშევიკს ეძახიან, რომლებსაც ისინი კანონს გარეშე სახვენ. ბევრი ადგილობრივი ხელისუფალნიც სარგებლობენ მათი მისვლით და ახალ წყაროს პოულობენ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად. სოფლიდან მობრუნებისას არმიელები ჯგუფ-ჯგუფად აბნეულები მოდიან; თითქმის ყველა მთვრალებია, ცხენებზე გადაკიდებული აქვთ ზოგს ქათმები, ზოგს ინდაური, ბატკანი, ვიჩინა ან გუდით ღვინო. გზა და გზა ყიდიან სოფლიდან დატაცებულ ნივთებს. თან მიჰყავთ დატუსაღებული ურჩი გლეხები. ამ სახით განაიარაღეს: გავაზი, ყვარელი, შილდა, საბუე, ენისელი, ნაფარეული, ახატელი, იყალთო, ველის ციხე და სხვა თელავის ახლო მდებარე სოფლები. განაიარაღეს დუშეთის სოფლებიც, საიდანაც დიდი ნადავლით დაბრუნდნენ. განიარაღებას განაგრძობენ".[92]

1922 წლის აგვისტოში ანტისაბჭოთა ეროვნულმა აჯანყებამ კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით იფეთქა. აჯანყებულებმა თიანეთის მაზრაში ადგილობრივი რევკომი განდევნეს და დაიწყეს მზადება თელავზე თავდასხმისათვის. აჯანყება დუშეთის მაზრასაც მოედო, სადაც ხელისუფლებამ 30 კაციანი რაზმი გაგზავნა, თუმცა მათ წილკანთან თავს ჩოლოყაშვილის რაზმი (მას 160 ცხენოსანი ჰყავდა) დაესხა, ნაწილი ამოხოცა, დანარჩენები კი ტყვედ წაიყვანა. იმავე დღეს ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა იარაღით ხელში გამოვიდა და ცეცხლი გაუხსნა თბილისიდან გაგზავნილი საგანგებო კომისიის რაზმს. ხელისუფლების ძალებს ზურგიდან გვერდწითელის რაზმი დაესხა (მას 100 მებრძოლი ჰყავდა, მათგან ნახევარი ცხენოსანი იყო), და ისინი ტყვედ აიყვანა.

ქართული მილიციის ცხენოსანი დივიზიონის ნაწილი ჩოლოყაშვილის მხარეზე გადავიდა.

25 აგვისტოს დილით გვერდწითელმა 12 საათით დუშეთი დაიკავა, რევკომის წევრები კი ტყვედ აიყვანა. 29 აგვისტოს დილით ჩოლოყაშვილი დუშეთსა და ანანურს შორის ხიდთან გამაგრდა. იმავე დღეს ჩოლოყაშვილს თიანეთიდან 40 თუში ცხენოსანი მოუვიდა ოფიცერ ლომაურის მეთაურობით (მათ ჰქონდათ ტყვიამფრქვევი). ჩოლოყაშვილს ასევე 28 მებრძოლი ჩეჩენი და ინგუში მოუვიდა, რომლებმაც თან 50 შეკაზმული ცხენი მოიყვანეს.

სამი დღის ბრძოლაში ხელისუფლებამ 43 მებრძოლი დაკარგა.

ჩოლოყაშვილისათვის თიანეთიდან უკან დასახევი გზის მოსაჭრელად ორი ესკადრონი გაიგზავნა. კსანკაში გადმოსხეს ქუთაისიდან მოყვანილი რუსული პოლკის ნაწილები გვერდწითელის რაზმის ზურგში მოსაქცევად, იქვე გადაიყვანეს ჯავშოსანი მატარებელი.

92 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 108, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

გორის მაზრაში ციციშვილის 50 კაციანი რაზმი გამოჩნდა, რომელიც ყოფილი სახალხო გვარდიელებით იყო დაკომპლექტებული.

30 აგვისტოს 30 კაციანი რაზმი თავს დაესხა მცხეთას და ტყვედ აიყვანა ოთხი კომუნისტი. იგივე რაზმი ნატახტართან ახლოს თავს დაესხა საბარგო ავტომობილს, რომლითაც ექიმი და 23 ჯარისკაცი მგზავრობდნენ. თავდამსხმელებმა მასალები და იარაღები წაიღეს და ოთხი ჯარისკაცი გაიტაცეს, დანარჩენები კი გაათავისუფლეს.[93]

მართალია ხელისუფლებამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყების ჩახშობა შეძლო, თუმცა ეს უკანასკნელი ანტისაბჭოთა ქმედებაზე ხელს არ იღებდა. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 1923 წლისთვის საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ანტისაბჭოთა რაზმის ლიკვიდაცია მოახერხა, გარდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმისა, რომელიც თელავის მაზრაში მოქმედებდა.[94] ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მუდმივად ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციას. ამიტომაც, მის წინააღმდეგ საბრძოლველად თელავში მილიციელთა დროებითი განსაკუთრებული რაზმი ჩამოყალიბდა 80 მილიციელის შემადგენლობით (სამი თვით).[95] წარუმატებლობის დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავს ჩრდილოეთ კავკასიას აფარებდა. ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლაში ერთხელ მას ფშავის რაიონული მილიციის ხელმძღვანელი ლევან რაზიკაშვილიც (ვაჟა-ფშაველას შვილი) დაეხმარა, რისთვისაც ეს უკანასკნელი დააპატიმრეს და დახვრიტეს.

1921 წლის მაისის დამლევს, კოორდინაციის მიზნით, ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ: სოციალ-დემოკრატები, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები (სხიველები), სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. მოლაპარაკების მიზანი ინტერპარტიული ორგანოს შექმნა იყო. ინიციატივა სოციალ-დემოკრატებიდან მოდიოდა. ეროვნულ-დემოკრატები კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას მოითხოვდნენ, მის დაკომპლექტებას სოციალის-

93 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 67-75.

94 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 160, ფურცელი 8.

95 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 160, ფურცლები 9-10ა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ტებისა და არასოციალისტებისგან თანაბარი რაოდენობით.[96]

სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ ძველი სამოქალაქო და სამხედრო უწყებების სრულ რესტავრაციას როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში. ისინი ამას შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: 1. ქართველმა ერმა მანდატი სოციალ-დემოკრატებს მისცა, საქართველოში რევოლუცია არ მომხდარა, მოხდა ქვეყნის დაპყრობა გარე ძალის მიერ; 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას მხარს უჭერდნენ ევროპის ქვეყნები. ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემთხვევაში კი ეს მხარდაჭერა დაიკარგებოდა.[97]

სოციალ-დემოკრატების ეს მოთხოვნა სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

1921 წლის 22 ივლისს ნოე ჟორდანიამ წერილი[98] გაუგზავნა საქართველოში დარჩენილ სოციალ-დემოკრატებს, სადაც ის ბოდიშს იხდიდა წერილის დაგვიანებისთვის, თუმცა ამის მიზეზად ავადმყოფობას ასახელებდა. ნ. ჟორდანიას აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობის ან მისი გართულებული მდგომარეობის გამო წითელი არმიის საქართველოდან გაყვანის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ქართველი სოციალ-დემოკრატები ორივე შემთხვევისთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ.[99]

1921 წლის 22 სექტემბერს პარიზში საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, იოსებ ელიგულაშვილი, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ მდივანი და გრიგოლ ვეშაპელი. სხდომაზე წარსდგა სიმონ მდივანი მოხსენებით „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტი საქართველოში პარტიათა შორის შეთანხმების შესახებ“.

განხილვის შემდეგ სხდომაზე პროექტი ნოე ჟორდანიას შესწორებით მიიღეს, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს:

„1. შესდგეს საქართველოში ინტერპარტიული ორგანო, თითო პარტიიდან თითო კაცი. პარტიათა შორის კონტაქტის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის გასამტკიცებლათ. ბოლშევიკების ლიკვიდაციამდე პარტიები ერთი მეორეს წინააღმდეგ საჯარო გამოსვლებს არ აწყობენ.

2. ყოველი პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას და დამპყრობელთა ძალა-უფლებას არ სცნობს, ვალდებულია თავის დამოკიდებულება ამ საგანთან ამა თუ იმ ფორმით გამოამჟღავნოს ისე, რომ ის აშკარა იქნეს როგორც ქართველი ხალხის, ისე ევროპის საზოგადოებისათვის.

3. დამპყრობელთა განდევნის შემდეგ დამფუძნებელი კრება იკრიბება მხოლოდ იმისთვის, რომ დანიშნოს პარლამენტის არჩევნები, მოისმინოს მთავ-

96 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

97 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცლები 8-21.

98 ეს მისი პირველი წერილი იყო ემიგრაციიდან გამოგზავნილი - **გამომცემლები**.

99 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწერი 1, საქმე 31, ფურცლები 39-52.

საქართველოს ეროვნული არქივი

რობის ანგარიში, შექმნას კაბინეტი, და მისცეს მას დროებითი კრედიტები.

4. პარლამენტი მოწვეულ უნდა იქმნას არა უგვიანეს ორი თვისა დამფუძნებელ კრების შეკრებიდან. შენიშვნა - 3-4 მუხ. არჩევნების ვადის გაგრძელება და დამფუძნებელ კრების მიერ სხვა საკითხების განხილვა, გარეშე აღნიშნულისა, შეიძლება მხოლოდ კოალიციაში მყოფ პარტიათა შორის შეთანხმებით.

5. ერთად ერთ კანონიერ მთავრობათ, ახლის შედგენამდე დამფუძნებელი კრების მიერ, ითვლება ახლანდელი მთავრობა, რომელიც საზღვარ გარეთ იმყოფება.

6. დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას.

7. 1 და მე-2 მუხლების აუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს"[100].

1921 წლის 24-26 სექტემბერს ქ. სტამბოლში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თათბირი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: პარიზის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ნოე ხომერიკი, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის წევრები: ვ. წულაძე, მ. არსენიძე, კ. სულაქველიძე. სხდომას ასევე ესწრებოდნენ: კ. გვარჯალაძე, დ. შარაშიძე, კ. ქუმბურიძე და ვ. ჯუღელი.

თათბირზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა: ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას; სამხედრო კავშირის დამყარებას ისეთ ანტიბოლშევიკურ ძალებთან, რომლებიც ცნობდნენ საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობას (ამ ძალებში მოიაზრებოდნენ ყაზახთა რესპუბლიკა, უკრაინა, ბელორუსია და რუსეთში მოქმედი ანტიბოლშევიკური ძალები); დიპლომატიური მუშაობის გაცხოველება, რათა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო კავშირს შემოერთებოდნენ ფინეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი და რუმინეთი.

რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის სამხედრო კავშირი გაწყდებოდა. უნდა დაეწყოთ საქართველოში ყოფილი სახალხო გვარდიელების, ჯარისკაცებისა და მოხალისეების აღრიცხვა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უნდა მოეწვიათ საქართველოს დამფუძნებელი კრება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (ქალაქის, ერობის, თემის) უნდა დაეწყოთ ფუნქციონირება. ქვეყანაში წესრიგის აღდგენა „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს" უნდა დაკისრებოდა, რომელიც თავის უფლებებს საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და უცხოეთიდან დაბრუნებულ საქართველოს მთავრობას გადასცემდა.

თათბირზე მიღებული რეზოლუცია 7 ოქტომბერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ემიგრანტული მთავრობის წევრთა კრებამ განიხილა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი და კონსტანტინე კანდელაკი.

100 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 64, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

კრებამ სტამბოლში მიღებული რეზოლუციის შესწორება ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილს მიანდო, შესწორებული რეზოლუცია კი საბოლოოდ 1921 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე დაამტკიცეს.[101]

უაღრესად საინტერესოა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1922 წლის 15 მარტს პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც საუბარია პარტიის სამოქმედო ტაქტიკაზე. წერილში ხაზგასმულია, რომ მყარი გარანტიების გარეშე საქართველოში შეიარაღებული აჯანყების დაწყება მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგან ეს ხალხის გაჟლეტასა და პარტიის განადგურებას გამოიწვევდა. ამიტომაც იმ ეტაპზე პარტიის საქმიანობა მშვიდობიანი დემონსტრაციებით უნდა შემოფარგლულიყო (მათ შორის გაფიცვები და რკინიგზის გაჩერება).[102]

1922 წლის 20 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პლენუმზე რვაპუნქტიანი დადგენილება მიიღეს, რომლის მიხედვით, პარიტეტულ საწყისებზე ინტერპარტიული ბიურო უნდა დაარსებულიყო, რომელიც პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობას თავის თავზე აიღებდა, იქნებოდა მუდმივ კოორდინაციაში ემიგრანტულ მთავრობასთან და ამ უკანასკნელისგან ფინანსურ დახმარებას მიიღებდა. ამ ორგანოს პრეროგატივა თავდაცვის საბჭოს შექმნა იქნებოდა, რომელშიც უმრავლესობას სოციალისტები დაიკავებდნენ, თავმჯდომარე კი აუცილებლად სოციალ-დემოკრატი უნდა ყოფილიყო; ინტერპარტიული ბიურო აღდგენილად გამოაცხადებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღებულ კანონებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს; ჩამოყალიბდებოდა კოალიციური მთავრობა იმავე პრინციპით, როგორც თავდაცვის საბჭო. დამფუძნებელი კრების დათხოვნიდან არა უგვიანეს ოთხი თვისა უნდა დანიშნულიყო პარლამენტის არჩევნები.

დადგენილების მეექვსე მუხლის მიხედვით საქართველოს დამფუძნებელ კრებას უნდა შეექმნა კომისია, რომელიც საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლიდა. ამ მოთხოვნას ეროვნულ-დემოკრატები აყენებდნენ და სოციალ-დემოკრატიული პარტია იძულებული იყო ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.[103]

ამდენად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პლენუმზე მიღებულ დადგენილებაში დიდწილად აისახა სხვა პარტიების მიერ წამოყენებული მოთხოვნები და, აქედან გამომდინარე, ამ დადგენილებას შეიძლება კომპრომისული ვუწოდოთ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შეთავაზება

101 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე რამიშვილის პირადი ფონდი 2130, ანაწერი 1, საქმე 48, ფურცლები 1-7.

102 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 7-11.

103 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 12-13; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 26-30.

საქართველოს ეროვნული არქივი

მისაღები აღმოჩნდა დანარჩენი პოლიტიკური პარტიებისთვის. შესაბამისად, 1922 წლის აპრილში საერთო მიზნის მისაღწევად, საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერთა პარტია) და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი „სხიველები" (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები). ამ პოლიტიკურმა პარტიებმა ინტერ-პარტიული ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" („დამკომი"), იგივე „პარიტეტული კომიტეტი" შექმნეს.

ამ ხუთ პოლიტიკურ პარტიას შორის დადებული შეთანხმება შემდეგი სახის იყო:

„1. დაარსდეს: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" აღნიშნული პარტიათა თითო წარმომადგენელისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასანთავისუფლებლათ მიმართულ მთელი მუშაობისა.

შენიშვნა: კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალ ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლათ.

4. მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშვალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლათ იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია.

შენიშვნა: მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთი ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი.

5. გარდამავალ ხანაში, მთავრობის ფუნქციების ასრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენელთაგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არც ერთ პარტიას მართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს.

6. დროებითი მართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილათ აცხადებს.

7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებით მართველობის პრინციპით და პროპორციით.

განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმისა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში) ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადასწყდება დროებით მართველობის მიერ.

შენიშვნა: დროებით მართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებუ-

საქართველოს ეროვნული არქივი

ლი დადგენილება საერთოდ ადგილობრივ ხელისუფლების შედგენის შესახებ.

8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მართველობას.

9. მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მართველობა. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას ამავე პრინციპით, როგორც დროებითი მართველობა.

10. დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევათ, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება.

შენიშვნა: დამფუძნებელი კრება გაარჩევს სხვა საკითხებსაც, თუ ამის შესახებ სპეციალური შეთანხმება იქნება პარტიათა შორის.

11. არა უადრეს ორი თვისა დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არაუგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები".[104]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე გიორგი (გოგიტა) ფაღავა გახდა, შემდეგ - ნიკოლოზ ქარცივაძე, ბოლოს კი - კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი.

1922 წლის 5 მაისს გოგიტა ფაღავამ წერილი და პარტიათა შეთანხმების ტექსტი ნოე ჟორდანიას გაუგზავნა.[105]

დამკომს დაექვემდებარა „სამხედრო ცენტრი", რომელიც დამკომის მიერ მიწოდებულ სამხედრო ინფორმაციას ამუშავებდა. სამხედრო ცენტრის ჩავარდნის შემდეგ (მისი თხუთმეტი ოფიცერი დახვრიტეს) მისი ფუნქცია „სამხედრო კომისიამ" იკისრა, რომლის მუშაობას ემიგრაციიდან საქართველოში საგანგებოდ ჩამოსული სოციალ-დემოკრატი ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდა.

სამხედრო ცენტრის თხუთმეტი ოფიცერი 1923 წლის 21 მაისს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს. ოფიცრები დახვრეტის წინ ორ-ორად გაჰყავდათ საკნებიდან და განსაკუთრებულ ოთახში შეჰყავდათ, სადაც პანკრატოვი, პეტროსიანი, აშუკინი, კვანტალიანი და მოგილევსკი იმყოფებოდნენ. აქ მათ სასიკვდილო განაჩენი წაუკითხეს, ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა, რომელიც მალევე დაარღვია პოლკოვნიკმა გიორგი ხიმშიაშვილმა, მან ამაყად წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: ,,ჩვენ ვიცით რისთვისაც გვკლავთ. თქვენ კარგათ იცით, რომ ბანდიტები არა ვართ. მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანეთ მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს."

გიორგი ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს სიტყვით გენერალმა ვარდენ წულუკიძემ მიმართა: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია, იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ!" პანკრატოვმა მიმართა წულუკიძეს: „თქვენ მართლაც გმირულად კვდებით, გინდათ გადავცე რამე თქვენიანებს?"

104 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 139, ფურცლები 5-9.

105 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 139, ფურცლები 5-9.

საქართველოს ეროვნული არქივი

წულუკიძის პასუხი ასეთი იყო: „გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეფერის.“

გენერალმა კონსტანტინე აფხაზმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკათ მიტანისა. ჩვენი სიკვდილი კიდევ ერთ გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.“

პოლკოვნიკ ალექსანდრე მაჭავარიანს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ არ გიპირებდით შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა.“

გენერალმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა სამხედრო ცენტს, წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე. იქნება ქართველები ყველა ამისთანები (მიუთითებს კვანტალიანზე) გეგონათ? ძრწოდეთ, მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიძულვილს.“

პოლკოვნიკმა დიმიტრი ჩრდილელმა ჯალათებს მიუგო: „რუსეთში გადაეჩვივნენ იდეისათვის თავგანწირულათ სიკვდილს. წადით და უამბეთ მათ, თუ როგორ იხოცებიან ქართველები სამშობლოსათვის.“ ...

ჯალათებმა დასახვრეტად გამზადებულებს ხელ-ფეხი შეუკრეს. ვარდენ წულუკიძე მათ გაუძალიანდა: „ქამებო, ნუ გვიკრავთ ხელფეხს. თქვენ ბრჭყალებში ვართ, მარა კარგათ იცით, რომ მონები არ ვართ!“

დასახვრეტად გამზადებულები ორ საბარგო ავტომობილში შეყარეს და სასაკლაოსაკენ გააქანეს. გიორგი ხიმშიაშვილს დახვრეტის წინა დღეს საკანში შემდეგი ლექსი დაუწერია:

„თავის მოსისხლეს თუ მომსპობს მტერი დედამიწაზე,
თუმც ვერ მოივლის ჭირისუფალი ცრემლით საფლავზე
მაინც ვნუგეშობ: ხსოვნა იქნება ერთგულ მხედარზე
და ქუდს მოიხდის მამულიშვილი ჩემ ხსენებაზე“.[106]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა მთელი საქართველო სამოქმედო ზონებად დაყო და რეგიონებში თავისი წარმომადგენლები დანიშნა. საქართველოს რეგიონებში იატაკქვეშეთში მომუშავე პოლიტიკური პარტიები როგორც დამკომთან, ისე ერთმანეთთან კავშირში იმყოფებოდნენ.

1922 წლის 31 ივლისის სხდომაზე საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც მას დამკომისთვის ყოველთვიურად 10 000 ფრანკი უნდა გაეგზავნა.[107] მიუხედავად ამისა, მწირი ფინანსების პირობებში, ეს დადგენილება, ფაქტიურად, არ სრულდებოდა.

იატაკქვეშეთში მომუშავე პირები აქტიურად იყენებდნენ შიფრებს და მის გასაღებს. როგორც წესი, იშიფრებოდა ტექსტის განსაკუთრებით საიდუმლო

106 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 122, ფურცლები 50-52.

107 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცელი 38.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნაწილი, რადგან როგორც დაშიფვრა, ისე გაშიფვრა დიდ დროს მოითხოვდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა კონსპირაციის დაცვას, ამიტომ მიზანშეწონილად ჩაითვალა შემდეგი ზომების მიღება:

1. განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველი საიდუმლოებები უნდა გაენდოთ მხოლოდ ქართველებისთვის;

2. თითოეულ პირს უნდა სცოდნოდა მხოლოდ ის საიდუმლოება, რომლის გამხელაც მისთვის აუცილებელი იყო;

3. უნდა შედგენილიყო დოკუმენტი, რომელშიც ჩაიწერებოდა, თუ ვის რა ტიპის საიდუმლო გაანდეს;

4. თითოეულ პირს უნდა სცოდნოდა მის გარდა კიდევ ვის ჰქონდა განდობილი იგივე საიდუმლო;

5. საიდუმლოს განდობისას პირს უნდა განმარტოდა, თუ ვისთვის რისი თქმის უფლება ჰქონდა;

6. თითოეულ პირს უნდა განმარტვოდა სიმართლის დასაფარად რა ზომებისთვის უნდა მიემართა;

7. თითოეულ პირს უნდა განმარტოდა საიდუმლოს გაცემისთვის დაწესებული სასჯელი, რაც მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლით განისაზღვრებოდა, ამის გასაკონტროლებლად სპეციალური ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო;

8. წერილები გაგზავნისას აუცილებლად უნდა დაშიფრულიყო, წერილის გასაგზავნად შესაფერისი გზები უნდა გამოენახათ და წერილის წამღებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟი უნდა ჩაეტარებინათ;

9. განდობილი პირების თვალ-ყურის სადევნებლად უნდა შექმნილიყო სპეციალური ორგანიზაცია;

10. საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურებზე უნდა ეწარმოებინათ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამუშაოები; უნდა გაერკვიათ, თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები იატაკქვეშეთში მომუშავე პირებზე; გამოეაშკარავებინათ ხელისუფლების აგენტები;

11. საიდუმლოს გამცემი, ასევე, ტყვედ ჩავარდილი, რომელიც ინფორმაციას გასცემდა, სასჯელს ვერ აცდებოდა.[108]

პიროვნების შერჩევისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა მის პატრიოტიზმზე, ვისი დევიზიც იქნებოდა „ან გამარჯვება - ან სიკვდილი“. უნდა მორიდებოდნენ ისეთ პიროვნებას, რომელსაც აინტერესებდა პირადი თავმოყვარეობა, მატერიალური კეთილდღეობა და სხვა.[109]

დამკომის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ჩრდილო კავკასიელებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზება იყო. ამ მიზნით სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ბაქოში ევტიხი სალუქვაძე მიავლინა. სალუქვაძე აღა-ალი იუსუფ-ზადეს შეხვდა. 1923 წლის ნოემბერში ეს უკანასკნელი თბილისში ჩამოვიდა და გოგიტა ფაღავას შეხვდა, რომელმაც

108 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 58, ფურცლები 2-4; 12-32.

109 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 58, ფურცლები 2-4; 12-32.

საქართველოს ეროვნული არქივი



იატაკქვეშეთში მომუშავეთა მიერ აღრიცხული მათი და მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები. 1922 წლის მაისი.

ის ნოე ხომერიკს დააკავშირა. ხომერიკმა იუსუფ-ზადეს აჯანყებაში ჩართვა შესთავაზა, თუმცა ამ უკანასკნელს აჯანყებაში აზერბაიჯანის ჩართვა ექვს თვეზე უფრო ადრე შეუძლებლად მიაჩნდა. იუსუფ-ზადე ქართველებისგან მატერიალურ დახმარებას ითხოვდა. 1923 წლის 9 ნოემბერს საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი დააპატიმრა, 1924 წლის თებერვალში - ევტიხი სალუქვაძე და იუსუფ-ზადე, მოგვიანებით კი - გოგიტა ფაღავა. ამის შემდეგ დამკომის კავშირი აზერბაიჯანთან გაწყდა.[110]

1923 წლის სექტემბერში სამხედრო კომისიის დავალებით გიორგი წინამძღვრიშვილი კონსტანტინე ყარანგოზაშვილთან ერთად ჩეჩნეთში ალი მიტაევთან შესახვედრად გაემგზავრა. ეს უკანასკნელი მზად იყო აჯანყებაში ჩართულიყო და რამდენიმე ათასი მებრძოლის გამოყვანის პირობასაც დებდა, ოღონდ ის საქართველოდან 50 ოფიცრის ინსტრუქტორად გაგზავნას მოითხოვდა. 1924 წლის თებერვალში საგანგებო კომისიამ გიორგი წინამძღვრიშვილი დააპატიმრა, მალევე დააპატიმრეს ალი მიტაევიც. ამის შემდეგ ჩრდილო კავკასიელებთან კავშირი გაწყდა.[111]

ჯერ კიდევ არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიელებთან და აზერბაიჯანელებთან კავშირი, როდესაც 1924 წლის 2 თებერვალს ნოე რამიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს წერილი გამოუგზავნა, რომელშიც კავკასიის მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებაზეა საუბარი. როგორც ნოე რამიშვილი აღნიშნავდა, აჯანყება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ მასში ჩრდილო კავკასიელები და აზერბაიჯანელები ჩაერთვებოდნენ. ასეთ შემთხვევაში სომხები იძულებული გახდებოდნენ თვითონაც

110 ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წიგნი პირველი, თბილისი, 1998, გვ. 322-323.

111 ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წიგნი პირველი, თბილისი, 1998, გვ. 153-327.

საქართველოს ეროვნული არქივი

მიეღოთ აჯანყებაში მონაწილეობა. ნ. რამიშვილის აზრით, თუ აზერბაიჯანელები აჯანყდებოდნენ, მაშინ მათ ოსმალეთი დაიცავდა და ეს უკანასკნელი იძულებული გახდებოდა ემოქმედა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.[112] თუმცა, საგანგებო კომისიის აგენტურული ქსელის წყალობით კავკასიის მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ორგანიზება ვერ მოხერხდა.

უაღრესად საინტერესოა საქართველოს ემიგრანტული მთავრობის 1924 წლის 23 თებერვლის სხდომა, სადაც კავკასიაში შეიარაღებული აჯანყების საკითხი განიხილეს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, აჯანყების საკითხში სომხების დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდათ, აჯანყების მიმართ კი დიდ ინტერესს ჩრდილო კავკასიელები იჩენდნენ, აზერბაიჯანლებს თვითონვე შეეძლოთ აზერბაიჯანის გათავისუფლება, მხოლოდ ბაქოს აღებისას დასჭირდებოდათ დახმარება. შეიარაღებული აჯანყების საკითხის ყველა დეტალის გასათვლელად საქართველოში ნოე რამიშვილი უნდა გამგზავრებულიყო. ევგენი გეგეჭკორი თვლიდა, რომ თუ მასიურ სახეს მიიღებდა შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, ის მეზობლების დახმარების გარეშეც მიაღწევდა წარმატებას. რაც შეეხება ნოე რამიშვილს, მისი აზრით აჯანყება მხოლოდ საქართველოში არ უნდა მომხდარიყო, თუმცა მისი თქმით, აჯანყება აუცილებელი იყო, რადგან დიდი სახელმწიფოებისთვის საქართველოს საკითხი თანდათან კარგავდა აქტუალობას.

სხდომაზე მიიღეს შემდეგი დადგენილება:

„1) თუ მდგომარეობა მართლა საკმარისად მომზადებულია და არა მხოლოდ შეთქმულებისათვის, არამედ ნამდვილ სახალხო გამოსვლისათვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბეიჯანი და მთა), გამოსვლა უნდა მოხდეს (სამი მომხრეა, ერთი ა. ჩხენკელი წინააღმდეგი).

2) ამ ცნობების წინასწარი შეფასება და იმის საფუძვლიანობის გამორკვევა ენდობა იმ კაცს, რომელიც აქედან მიდის და რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებათა საფუძვლიან შეფასების მიხედვით ადგილობრივი ხელმძღვანელებიან შეთანხმებით დგას შესაფერ ნაბიჯებს; (მიღებულია ერთხმად).

3) აქ ახლავე მიღებული უნდა იქმნეს ზომები, თუ რისიმე დახმარების მოწოდება კი შეიძლება აქედან (მიღებულია ერთხმად);

4) საერთაშორისო მდგომარეობა ყოველ შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას, მაგრამ ჩვენში წინასწარ რაიმე გადაწყვეტილებისა, სისწორით უნდა იცოდნენ როგორც არის, რომ ახლა არავითარი დახმარების მოწოდება აქედან არ შეგვიძლია, აგრეთვე საზოგადოთ ჩვენი შესაძლებლობა. (სამი ხმით, ერთის (აკაკი ჩხენკელი) წინააღმდეგ)“.[113]

1924 წლის 2 მაისით თარიღდება დამკომის თავმჯდომარის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას, სადაც მათ წინაშე არსებულ შემდეგ სირთულეებზეა საუბარი:

1. გზაში იკარგებოდა წერილები;

112 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე რამიშვილის პირადი ფონდი 2130, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცლები 28-29.

113 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 152, ფურცლები 15-19.

საქართველოს ეროვნული არქივი

2. მასიური რეპრესიების შედეგად ზოგიერთი პირი დააპატიმრეს და რამდენიმე ორგანიზაცია განადგურდა;

3. გარშემო ბევრი იყო პროვოკატორი, რომლებიც გადაიბირეს ფულით ან წამების მუქარით;

4. არ ჰქონდათ მინიმალური თანხა საქმისთვის.

ამ სირთულეების ფონზე დამკომს ფართომასშტაბიანი მუშაობა, ფაქტიურად, შეჩერებული ჰქონდა.

როგორც აღნიშნული წერილიდან ირკვევა, ემიგრაციაში დღის წესრიგში დამდგარა დამკომის შეთანხმების გადასინჯვის საკითხი, თუმცა, დამკომმა ის არ გაითვალისწინა და ძველი შეთანხმება ძალაში დატოვა.[114]

1924 წლის 8 მაისს საქართველოს ემიგრანტული მთავრობა დამკომს ატყობინებდა, რომ აჯანყებისათვის შესაფერისი მომენტი ერთი წუთითაც არ უნდა გაეშვათ ხელიდან. 2 ივნისს დამკომის მიერ ემიგრანტულ მთავრობასთან გაგზავნილ საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ აჯანყებისთვის მოსამზადებელი ტექნიკური სამუშაო კარგად იყო შესრულებული. დამკომი ემიგრანტულ მთავრობას აჯანყების ორგანიზებისთვის (იგულისხმება კავკასიის მასშტაბით) 25 000 ლირის გამოგზავნას თხოვდა. „დრო კი მიდის და უნდა გითხრათ, რომ თუ ამ გარემოების გამო ჩვენ გავუშვით ხელსაყრელი მომენტი, დაშვებული იქნება უსაშინელესი დანაშაული ერისა და ისტორიის წინაშე“ - აღნიშნული იყო წერილში.[115] ეს იმას ნიშნავს, რომ ემიგრანტული მთავრობა და დამკომი კვლავაც აყენებდნენ დღის წესრიგში აჯანყებაში ჩრდილო კავკასიელებისა და აზერბაიჯანელების ჩართვას, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

დამკომმა აჯანყების თარიღად 1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამის 2 საათი დანიშნა. საქართველოს საგანგებო კომისია ფლობდა ინფორმაციას მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ, ეპიფანე კვანტალიანმა აჭარის საგანგებო კომისიას, აფხაზეთის საგანგებო კომისიას და ყველა პოლიტბიუროს უფროსს გაუგზავნა შეტყობინება, რომ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შესაბამისად, ე. კვანტალიანი ზემოთ ხსენებულ ორგანოებს ნებას რთავდა მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები განეხორციელებინათ, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამაზრო კომიტეტებთან ერთად, ინფორმაციები დაშიფრული ტექსტით საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ეცნობებინათ.

სამწუხაროდ, ჭიათურაში აჯანყება დაგეგმილზე ერთი დღით ადრე დაიწყო,[116] რამაც საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მისცა სასტიკი მეთოდებით ჩაეხშო აჯანყება ჭიათურაში. საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში

114 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 139, ფურცლები 24-25.

115 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე რამიშვილის პირადი ფონდი 2130, ანაწერი 1, საქმე 30, ფურცლები 4-5.

116 ჭიათურაში აჯანყების მეთაურმა გიორგი წერეთელმა სწორად ვერ გაიგო მიღებული დავალება და აჯანყება 24 საათით ადრე დაიწყო - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

მყოფმა აჯანყებულებმა ჭიათურის ნაადრევი გამოსვლის შესახებ არაფერი იცოდნენ, ამიტომ მათ აჯანყება დანიშნულ დროს დაიწყეს. აჯანყებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დაამხეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და ძალაუფლება ხელში აიღეს. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად ბაღდათის რაიონში აჯანყებაში მასიურად ჩაერთვნენ სახელმწიფო მოხელეები, მათგან ზოგიერთი ხელმძღვანელის როლსაც კი ასრულებდა.[117]

აჯანყებულებმა რამდენჯერმე დააზიანეს ბათუმი-თბილისის რკინიგზის ხაზი და ნავთობსადენი.[118]

მიუხედავად ამ წარმატებისა, აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს ჭარბი ძალების შემოტევას და საბოლოოდ დამარცხდნენ...

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება მოხდა საქართველოს შემდეგ ადგილებში: ზუგდიდის მაზრა, სენაკის მაზრა, ქუთაისის მაზრა, შორაპნის მაზრა, ოზურგეთის მაზრა, ლეჩხუმის მაზრა, კოდორის მაზრა, სამურზაყანოს მაზრა, აჭარა (ღორჯომი, ქვაბღა, ზოტი, ჩხაკოურა), გორის მაზრა (კავთისხევი, წინარეხი), თიანეთის მაზრა (თიანეთი), დუშეთის მაზრა (დუშეთი), თბილისის მაზრა (მანგლისი).

აჯანყების დამარცხებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულთა და „ეჭვმიტანილთა" გაუსამართლებლად დახვრეტები დაიწყო. ამან ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ დასავლეთ საქართველოს პროკურორი გ. გაბუნია, საიდუმლო ინსტრუქციაში აღნიშნავდა, რომ დაპატიმრებულ აჯანყებულთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას ხშირი იყო დახვრეტის ფაქტები. ამის მიზეზად თითქოს დაპატიმრებულთა გაქცევის მცდელობა სახელდებოდა, თუმცა გ. გაბუნიას მიაჩნდა, რომ, შესაძლოა, აქ პირად შურისძიებასთან გვქონოდა საქმე.[119]

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ავბედით დღეებში დახვრეტილთა ზუსტი რაოდენობა დღესაც კამათის საგნად რჩება, ჩვენ, საარქივო დოკუმენტების შესწავლის შედეგად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა მინიმუმ 1063 ადამიანი. დახვრეტილთა შორის რამდენიმე ქალიც იყო: აღათი გორდელაძე, ოლღა მერკუროვა, მელანია დავითაშვილი და ბაბუსია ჩიქოვანი. სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აცხადებდა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება".[120]

---

117 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 7, საქმე 4, ფურცლები 1-2.

118 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 805, ფურცლები 9; 30; 32; 34; 36; 38-45; 49.

119 საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცლები 17-18.

120 ზ. გამსახურდია, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი.- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1991, N33, 19 თებერვალი, გვ. 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

ხელისუფლებამ დახვრეტილთა მხოლოდ მცირე რაოდენობა გამოაქვეყნა გაზეთში, გაიცა განკარგულება, დახვრეტილთა ზუსტი რაოდენობა არ გაჟღერებულიყო.[121]

ის პირები, ვინც თავი გამოიჩინეს აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებისას, საბჭოთა ხელისუფლებამ იარაღით, ოქროსა და ვერცხლის საათებით და ორდენებით დააჯილდოვა. საათებს ჰქონდა წარწერა „გულადობისთვის“.[122]

დახვრეტების გარდა საბჭოთა ხელისუფლება აჯანყებულთა და ეჭვმიტანილთა მიმართ რეპრესიის სხვა მეთოდებსაც აქტიურად მიმართავდა, როგორიც იყო: დაპატიმრება, გადასახლება (მათ შორის ქვეყნის ფარგლებიდან), ქონების ჩამორთმევა, სახლ-კარის გადაწვა (რუსის ჯარმა სვანეთში რამდენიმე სახლი ააფეთქა), სამუშაოზე იძულებით გაყვანა და ა. შ. ქვემო სვანეთში რუსის ჯარმა ფარად აჯანყებულთა ოჯახის წევრები და მათი ნათესავები დაიყენა, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები.[123]

კომუნისტები ხალხს ძალით ხელს აწერინებდნენ დოკუმენტზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი კმაყოფილები იყვნენ კომუნისტებით და მათ გარდა სხვა არავინ სურდათ.[124]

1924 წლის 31 ოქტომბერს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ქონება ჩამოართვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების იმ წევრებს, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ და აჯანყებასთან რაიმე სახით დაკავშირებული იყვნენ.[125] ეს დადგენილება შეეხო შემდეგ პირებს: რაჟდენ არსენიძეს, ვლადიმერ ახმეტელაშვილს, სიმონ ახმეტელაშვილს, ალექსანდრე ასათიანს, ევგენი გეგეჭკორს, კონსტანტინე გვარჯალაძეს, იოსებ გობეჩიას, ნიკოლოზ ელიავას, იოსებ ელიგულაშვილს, გრიგოლ ვეშაპელს, ექვთიმე თაყაიშვილს, კონსტანტინე კანდელაკს, სპირიდონ კედიას, ალექსანდრე ლომთათიძეს, ვლასა მგელაძეს, სიმონ მდივანს, კირილე ნინიძეს, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, კონსტანტინე საბახტარაშვილს, გიორგი (გოგიტა) ფაღავას, შალვა ქარუმიძეს, ვარლამ შერვაშიძეს, კადირ შერვაშიძეს, დავით შერვაშიძეს, ნიკოლოზ ჩხეიძეს, აკაკი ჩხენკელს, ბენიამინ ჩხიკვიშვილს, ნოე ცინცაძეს, ირაკლი წერეთელს, ნოე ხომერიკს, ვლადიმერ ჯუღელს, გიორგი მაღნარაძეს, სპირიდონ კედიას, ფაჩულიას, ვლადიმერ სულაქველიძეს, კონსტანტინე სულაქველიძეს, ვლადიმერ გოგუაძეს, გოგუაძეს (ვლადიმერის ძმა), ივანე ჭავჭანიძეს, ნიკოლოზ ქარცივაძეს, ოდიშელიძეს, ვლადიმერ ქუთათელაძეს, ბახტაძეს, იოსებ

121 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 805, ფურცლები 9; 30; 32; 34; 36; 38-45; 49.

122 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 150, ფურცლები 13-14; საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 204, ფურცლები 1-3.

123 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 805, ფურცლები 9; 30; 32; 34; 36; 38-45; 49.

124 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 805, ფურცლები 9; 30; 32; 34; 36; 38-45; 49.

125 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 100.

საქართველოს ეროვნული არქივი

სალაყაიას, ალექსანდრე ჯაფარიძეს, გიორგი წინამძღვრიშვილს, შალვა ამირეჯიბს.[126]

რეპრესიის შიშით ადამიანები ცდილობდნენ აჯანყებას გამიჯვნოდნენ, დაეგმოთ ის და „დამნაშავეების“ დასჯა მოეთხოვათ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1924 წლის 5 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია აჯანყება და ის მიჩნეულია ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად. პროფესორთა საბჭო იმედოვნებდა, რომ „ყოველი პატიოსანი ინტელიგენტი ჯეროვნად დააფასებს შექმნილ მდგომარეობას და მთელს თავის გულისწყრომას მიმართავს მათ წინააღმდეგ, ვინც ასე ხელაღებით ქართველ ხალხს მოულოდნელი უბედურება თავს დაატეხა“.[127]

14 სექტემბერს მასწავლებელთა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია მოუწოდებდა მასწავლებელთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასა და საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს მიეღოთ ყოველგვარი ზომები, რომ მასწავლებელთა რიგები სასწრაფოდ გაეწმინდათ იმ პირებისგან, რომლებსაც იქ თავი ჰქონდათ შეფარებული.[128]

25-26 სექტემბერს თბილისის მაზრის სასულიერო პირთა კრება გაიმართა, რომელზეც მონაწილეებმა ძმათამკვლელი დაპირისპირება დაგმეს. კრება მორწმუნეებს მოუწოდებდა ხელი შეეწყოთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისთვის ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ აღმშენებლობაში. კრების დადგენილება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დროებითმა მოადგილემ, ეპისკოპოსმა ქრისტეფორე ურბნელმაც მოიწონა.[129]

1924 წლის 2 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აჯანყების მიზეზების შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა შემდეგი შემადგენლობით: ვ. მოლოტოვი, დ. მანუილსკი, ს. ორჯონიკიძე, ე. კვირინგი და ი. ზელენსკი.[130]

კომისიის ობიექტურობა იმთავითვე ეჭვს იწვევდა, რადგან კომისიის ერთ-ერთი წევრი სერგო ორჯონიკიძე აჯანყების ჩახშობაში მთავარ როლს ასრულებდა. კომისია ცდილობდა აჯანყების გამომწვევ მიზეზად სოციალური ფაქტორები დაესახელებინა და აჯანყებაში ეროვნული ნაკადის არსებობა მიეჩქმალა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან მოვლენილი კომისიის მუშაობის დროსაც ადგილი ჰქონდა აჯანყებულთა დახვრეტის ფაქტებს, რაც კომისიის ანგარიშში არ ასახულა.

7 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა

126 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 105.

127 სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1984, გვ. 347-348.

128 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 213, ფურცელი 1.

129 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 37ა, ფურცელი 3.

130 ბ. ლომინაძის მოხსენებითი ბარათი.- ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, N3, გვ. 39.

საქართველოს ეროვნული არქივი

კომიტეტმა აჯანყების მიზეზების შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა (ყველა რეგიონში სხვადასხვა კომისია მიავლინეს). კომისია იძულებული გახდა აჯანყებაში გლეხების მონაწილეობა დაედასტურებინა.

1924 წლის 6 სექტემბერს პარიზში საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი და კონსტანტინე კანდელაკი. განსახილველი საკითხი იყო საქართველოში მომხდარი შეიარაღებული აჯანყება. სხდომაზე შემდეგი დადგენილება მიიღეს:

„გაეგზავნოს დეპეშებით მიმართვა მთავრობის თავმჯდომარის მიერ - ინგლისის პრემიერ მინისტრს მაკდონალდს, საფრანგეთისას - ერრიოს, ნაციათა ლიგის სესიის თავმჯდომარეს მოტას, და ზოგიერთ წარმომადგენლებს ლიგაში (პირი) და აგრეთვე მოსკოვში „სოვნარკომის" თავმჯდომარეს, რათა კონფლიქტი გადაწყდეს არბიტრაჟით.

მიენდოს ირ. წერეთელს მიმართოს ამავე მიზნით მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს".[131]

11 სექტემბერს ერთა ლიგამ, საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის პოლ ბონკურის წინადადებით, მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც აჯანყება მიჩნეული იყო როგორც „ომი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის".[132]

ერთა ლიგის რეზოლუციას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი გამოეხმაურა და მას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა უწოდა.[133]

7 სექტემბერს გამართულ საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე ნოე რამიშვილმა აღნიშნა, რომ მართალია ისინი ელოდებოდნენ შეიარაღებულ აჯანყებას საქართველოში, თუმცა განხორციელებული რეპრესიების შემდეგ იმ ხანებში აჯანყების დაწყება მათთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა.[134]

1924 წლის 6 ნოემბერს, „დიდი ოქტომბრის რევოლიუციის" შვიდი წლისთავის აღსანიშნავად, გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამნისტიის შესახებ. ამნისტიის ძალით პასუხისმგებლობისაგან სრულად თავისუფლდებოდნენ ის პირები, რომლებიც აჯანყებაში არ ასრულებდნენ ინიციატორის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლს (ამ კატეგორიის დაპატიმრებულები უნდა გათავისუფლებულიყვნენ, ხოლო მიმალვაში მყოფ პირებს დადგენილების გამოქვეყნებიდან 15 დღე ეძლეოდათ, რათა გამოცხადებულიყვნენ შესაბამის უწყებაში). დახვრეტამისჯილ პირებს სასჯელის ზომა შეეცვლებოდათ თავისუფლების აღკვეთით ათი წლის სასტიკი იზოლაციით. იმ პირებს, რომლებსაც

131 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 153, ფურცელი 21.

132 ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბილისი, 1998, გვ. 419.

133 ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი, თბილისი, 2004, გვ. 553.

134 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 155, ფურცლები 1-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის 7 ნოემბრამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე მეტი ვადით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადა უნახევრდებოდათ.[135]

6 ნოემბრის ამნისტიის ცხოვრებაში გატარების მიზნით 10 ნოემბერს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება გამოიცა, რომლითაც შეიქმნა კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თბილისში: ვ. სტურუა (თავმჯდომარე), ნ. ოკუჯავა, ლ. ბერია, ა. ურუშაძე, ლორთქიფანიძე და მასხულია; ქუთაისში: დ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), კუჭუხიძე, რთველაძე, გაბუნია და თათეიშვილი; მაზრებში: მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარე), პოლიტბიუროს თავმჯდომარე და სახალხო მოსამართლე; ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში: სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს საგანგებო კომისის თავმჯდომარე და იუსტიციის სახალხო კომისარიატის თანამშრომელი.[136]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის 1925 წლის 7 მარტის ამნისტიით უნდა გადასინჯულიყო იმ მოქალაქეების საქმეები, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა კონტრ-რევოლუციური და რელიგიური მოტივებით ჩადენილი დანაშაულისათვის. ამნისტია ასევე შეეხო იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აღნიშნული დანაშაული ჩადენილი ჰქონდათ 1925 წლის 8 მარტამდე და მათი საქმე წინასწარი ძიების სტადიაში იყო.[137]

1924 წლის ნოემბერში ნოე ჟორდანიამ პატარა წერილით „საქართველო აჯანყდა, საქართველო დამარცხდა“, ქართველ ერს მიმართა. ჟორდანიამ 1924 წლის აჯანყებას ეროვნული უწოდა და ხაზი გაუსვა მის მიზანს - აღედგინა დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. როგორც ჟორდანია წერს, აჯანყებამ „შეაშფოთა ბნელის მოციქული მოსკოვი და მისი დაქირავებული კომუნისტები. გაახარა ყველა დანარჩენნი, მთელი კაცობრიობა, სიმართლის და თავისუფლების მოტრფიალენი“.[138]

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ცალკეული პირები ცდილობდნენ გამიჯვნოდნენ შეიარაღებულ აჯანყებას და ხაზი გაესვათ, რომ ისინი ამ ნაბიჯის წინააღმდეგი იყვნენ. ასეთ დროს ნოე ჟორდანიას აღნიშნული წერილი დიდ გამბედაობად უნდა ჩაითვალოს.

1925 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე თბილისში 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. განსასჯელთა სკამზე 47 ადამიანი აღმოჩნდა: კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძე, დავით

135 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 123.

136 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 125.

137 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 20, ფურცლები 10-11.

138 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწერი 1, საქმე 33, ფურცლები 23-26.

საქართველოს ეროვნული არქივი

ონიაშვილი, გიორგი ევგენის ძე ჯინორია, სამსონ პლატონის ძე დადიანი, გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძე, ეგნატე გაბლიანი, ბიძინა პირველი, ლავრენტი ესვანჯია, პართენ ივანეს ძე ხურციძე, აკაკი ფიჩხაია, გიორგი (გიზო) ნესტორის ძე ანჯაფარიძე, ვალერიან მიხეილის ძე ბილანიშვილი, ნაპოლეონ ოტიას ძე კახიანი, გრიგოლ დიმიტრის ძე ცინცაბაძე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძე, ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილი, სიმონ (ხუხუ) გიორგის ძე ხოფერია, მიხეილ ნიკოლოზის ძე იშხნელი, არტემ ფილიპეს ძე ფანცულაია, ხარიტონ პეტრეს ძე ლაშხია, ვლასი ლუკას ძე მამალაძე, გენადი მოსეს ძე ბელთაძე, კონსტანტინე (ციცერონი) დარისპანის ძე ლორთქიფანიძე, კირილე იესეს ძე ნინიძე, ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიშვილი, შალვა ავქსენტის ძე თვალთვაძე, ამბროსი საშას ძე კვირიკაძე, გრიგოლ გიორგაძე, გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლიშვილი, ვლადიმერ კიმოთეს ძე გეგეჭკორი, აპოლონ კიმოთეს ძე ბახტაძე, მიხეილ თომას ძე ჭანიშვილი, ვლადიმერ ალექსის ძე ბერიძე, შალვა მათეს ძე კალანდარიშვილი, ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამია, ესტატე ბესარიონის ძე ლატარია, აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილი, თეოფილე სიმონის ძე შენგელია, იაკობ საშას ძე ფანოზიშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძე, შალვა დიმიტრის ძე იოსელიანი, ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილი, ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერია და ივანე დავითის ძე ავალიშვილი.

უფროსმა გამომძიებელმა ბ. კუპრაშვილმა საქართველოს სსრ პროკურორს წარუდგინა საბრალდებო დასკვნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმეზე. წარდგენილი საქმე მოიცავდა: 1. საბრალდებო დასკვნას; 2. საქმეს 7 ტომად (1944 ფურცელი); 3. დამატებას 5 ტომად; 4. ნივთიერი დამამტკიცებელი მასალის 1 ტომს (347 ფურცელი).[139]

სასამართლომ კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, გრიგოლ ჯინორიას, მიხეილ ბოჭორიშვილსა და მიხეილ იშხნელს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯა, თუმცა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის 1925 წლის 7 მარტის ამნისტია და ეს სასჯელი შეუცვალა მათ ათწლიანი პატიმრობით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.[140] სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯა დანარჩენ განსასჯელებსაც.

1991 წლის 7 სექტემბრიდან, ყოველი წლის პირველ შაბათს, თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის შობის ტაძარში 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი აღესრულება.[141]

1992 წლის 25 მაისს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებულ პირთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ“. დეკრეტში აღნიშნულია: „რეაბილიტი-

139 ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 495-497.

140 ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 503.

141 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცლები 121-124.

საქართველოს ეროვნული არქივი

რებულად ჩაითვალოს 1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული ყველა მოქალაქე".[142]

* * *

ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს ეროვნულ არქივში (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი, კახეთის რეგიონული არქივი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივი, სამეგრელოს რეგიონული არქივი, გორის ადგილობრივი არქივი) დაცულ დოკუმენტებს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან 1921-1924 წლებში საქართველოსა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებზე. დოკუმენტების დიდი ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. დოკუმენტები ქვეყნდება დედნის სტილის შეუცვლელად.

ლევან ჯიქია, ისტორიის დოქტორი

142 საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 767, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცლები 4-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

დოკუმენტები

საქართველოს
ეროვნული
არქივი

1921

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული
არმიისა და სახალხო გვარდიის დაშლის შესახებ
1921 წლის 26 თებერვალი

დეკრეტი N2
საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
რევოლიუციონური კომიტეტისა, არმიისა და სახალხო გვარდიის
საერთო დემობილიზაციისა და დათხოვნის შესახებ

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

ა) მოხდეს საერთო დემობილიზაცია ყოფილ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიისა, და ამ მუხლში აღნიშნული არმია და სახალხო გვარდია დათხოვნილ იქნეს.

ბ) ამ დეკრეტით დათხოვნილ არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებს ევალებათ ყოველი სახელმწიფო ქონება და სამხედრო იარაღი და მასალა ჩააბარონ სახელმწიფო საწყობებში, საგანგებო სალიკვიდაციო კომისიების საშუალებით, რომლებიც დაარსებულ იქნებიან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის ბრძანებით.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი
შ. ელიავა.

1921 წ. თებერვლის 26.
ქ. ტფილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 281, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 12.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ
1921 წლის 24 მარტი

დეკრეტი N7
საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნისა

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის ამა 1921 წლის მარტის 24-ს დადგენილების თანახმად საქართველოს დამფუძნებელი კრება დათხოვნილია.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი
შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. მარტის 24.
ქ. ტფილისი.
სასახლე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 281, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 18.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სოციალ-დემოკრატ ნოე ხომერიკის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საქართველოში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ
1921 წლის 14 აპრილი

წერილი მეორე[143]

საქართველოს მთავრობას

თქვენ მიერ დაარსებულმა პოლიტიკურმა კომისიამ მუშაობა დაიწყო. უკვე გადაიდგა ნაბიჯები საქართველოსთან კავშირის აღსადგენათ და მუდმივი ურთიერთობის დასაჭერათ. ვფიქრობთ ამას მალე შევსძლებთ. გემების მიმოსვლა დაიწყო. ჯერ-ჯერობით იტალიელები დადიან. ნაწილობრივ გამოქცეულებიც აპირებენ უკან დაბრუნებას. ჩვენი მიზანია ამას ფართოდ შეუწყოთ ხელი და ხალხი, რომელსაც აქ უეჭველი შიმშილი მოელის, სამშობლოში დავაბრუნოთ. მხოლოდ ერთი კია, რომ სათანადო ნივთიერ დახმარებას ვერ გაუწევთ და ისინიც ცოტა არ იყოს გაჯავრებული მიდიან აქედან, რაც ბევრს ბოლშევიკებისაკენ გადააგდებს.

აქ ჩამოვიდა ს. მდივანი, რომელიც ამ დღეებზე თქვენკენ მოდის და ყველაფერს გადმოგცემთ. მისი და სხვების აზრითაც ოსმალებთან მოლაპარაკება შეიძლება, რომ საშვალება მოგვცენ საქართველოსთან ახლო ბაზა გავაკეთოთ. საამისო ნაბიჯებს აქ ჩვენ გადავდგამთ. თუ ეს მოხერხდა - მუშაობა ძალიან გაადვილდება.

პოლიტიკურ კომისიაში ჩვენ კოოპტაციით შევიყვანეთ ს. მდივანი და გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც თანახმაა იმუშაოს იმ პირობით, რომ მთავრობა კომისიასთან კონტაკტით იმუშავებს. ჩვენ განვუცხადეთ, რომ სწორეთ ასე გვესმის ჩვენი მუშაობა და ისიც მონაწილეობას მიიღებს. პირველი კრება ამ ახალი ხალხის მონაწილეობით ხვალ ან ზეგ გვექნება. ერთმაც და მეორემაც თავთავის პარტიებს წერილები გაუგზავნეს - თავი დაიჭირონ და არაფერი ნაბიჯი გადადგან დამფუძნებელი კრების დეპუტატთა შესაკრებათ და მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, სანამ მათგან სრულ ინფორმაციას არ მიიღებენ. საერთოდ იქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან ცუდი ატმოსფერა ყოფილა. აპირებდენ შეკრებას და მთავრობის გადაყენებას როგორც ვეშაპელი გადმოგვცემს, დიომიდე თოფურიძეს სერ. ქავთარაძისათვის კიდეც მიუმართავს - შეგვკრიბეთ და მთავრობას უნდობლობას გამოვუცხადებთო. აი, ამის საწინააღმდეგოთ გაგზავნეს მათ ზემო მოხსენებული წერილი.

პოლიტიკურმა კომისიამ გადაწყვიტა დრო-გამოშვებით ბეჭდოს ბიულეტენები საქართველოში გასაგზავნათ უმთავრესათ საინფორმაციო ხასიათისა. პირველ ნომერს ამ ცოტა ხანში გამოვუშვებთ.

მაგრამ, მოგეხსენებათ ამ მუშაობას თანხა უნდა. კავშირის აღდგენა და მუდმივი ურთიერთობის დაჭერა საქართველოსთან, ხალხის გზავნა, ბაზის

143 პირველი წერილი გამოუგზავნე ევ. გეგეჭკორს.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოწყობა ახლო ადგილებში, ბიულეტენების გამოცემა და სხვ. საკმაოთ დიდ თანხას მოითხოვს.

გარდა ამისა ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ აქ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ აგრეთვე კავკასიის ხალხთა ზოგიერთ წარმომადგენლებთან დაახლოვებაზე, გავეცნოთ ოსმალთა მოღვაწეებს და სხვ. რაც უფულოთ, თქვენ იცით, არ იქნება. მთავრობის ეკონომიურ კომისიას კი ამის დაკმაყოფილების საშუალება აქ არ აქვს. ასე გადმოგვცა ჩვენ კ. კანდელაკმა. მას შეუძლია მხოლოდ მოგვცეს მეტის მეტად მცირე თანხა. ამიტომ კომისია ამ საკითხს აყენებს მთავრობის წინაშე და მოითხოვს პასუხს: შეუძლია თუ არა მთავრობას გაიღოს საჭირო თანხა ფართე მუშაობისათვის. პირადათ ჩემი აზრით და ამხანაგების აზრითაც, ეს აუცილებელია, თუ სერიოზულათ შეყურებთ ჩვენს მუშაობას, ამიტომ გთხოვთ, გვაცნობოთ, რის იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ.

ჩვენ რაც გავიგეთ საქართველოს შესახებ, ნაწილობრივ ევგენის სახელზე გამოგზავნილ წერილში ნახავთ, ხოლო დანარჩენს ს. მდივანი გადმოგცემთ. როცა ურთიერთობას აღვადგენთ სისტემატიურათ მოგაწოდებთ ცნობებს. მარა მთავრობამაც უნდა მოგვცეს ჩვენ სრული და სისტემატიური ინფორმაცია როგორც თავისი მუშაობის, ისე საერთო მდგომარეობის შესახებ.

პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ნ. ხომერიკი

14 აპრილი 1921 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2122, ანაწერი 2, საქმე 5, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თხოვნაზე გაზეთის გამოცემაზე და ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით უარის შესახებ
1921 წლის 14 აპრილი

ოქმი N-5

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომისა 1921 წ. აპრილის 14. ტფილისი.

თავმჯდომარე: ორახელაშვილი.

რევოლ. კომიტეტის წევრები: ელიავა, ნაზარეტიანი, კვირკველია, დუმბაძე, თოდრია, ელისაბედაშვილი, გეგეჭკორი

მდივანი: გაბრიჩიძე

განსახილველი საგანი

საკითხი მენშევიკების შესახებ ქონების დაბრუნებისა და გაზეთის გამოცემის ნებართვის.

დადგენილება

რადგანაც მენშევიკების ამა აპრილის 10-ს კრებაზე მიღებული რეზოლიუცია დამყარებულია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულ განწყობილებაზე,- ამის გამო გაზეთის გამოცემა არ იქნეს ნებადართული, აგრეთვე უყურადღებოდ იქნეს დატოვებული განცხადება პარტიულ უძრავ-მოძრავი ქონების დაბრუნების შესახებ.

დედანს ხელს აწერენ:
თავმჯდომარე ორახელაშვილი /ხელრთვა/
მდივანი გაბრიჩიძე /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 19, ანაწერი 1, საქმე 19, ფურცლები 129-130.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი სოციალ-დემოკრატ ნოე ხომერიკის წერილიდან, რომელიც გაეგზავნა პარიზში მყოფ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს საქართველოში არსებული ვითარების შესახებ 1921 წლის 16 მაისი

წერილი მეშვიდე
16/V

პარიზის პოლიტიკურ კომისიას

ჩვენ ამ დღეებში საქართველოდან მივიღეთ საკმაოთ მდიდარი ინფორმაცია და ვიჩქარი ყოველივე გაცნობოთ თქვენ. საჭიროა მხოლოდ თავიდანვე ავღნიშნოთ, რომ ორგანიზაციული კავშირი ჯერ კიდევ ვერ გავაბით, რომ სისტემატიური ცნობები მივიღოთ. ამიტომ აქაურმა კომისიამ გადაწყვიტა რაც უნდა დაგვიჯდეს გავგზავნოთ რიზასა და ტრაპიზონში კაცები. ხვალ ზეგ ისინი გაემგზავრებიან, თან მიყვება ერთი პირი, რომელიც იქაურ თათრებს კარგად იცნობს. მარა მე საჭიროთ მიმაჩნია ერთხელ კიდევ მოგაგონოთ, რომ ქემალისტებთან ამ საგანზე შეთანხმება აუცილებელია. მხოლოდ ხმელეთის გზით გვექნება ჩვენ საშუალება გავაბათ საქართველოსთან ცოცხალი რეგულიარული კავშირი, დრო გამოშვებით ვინახულოთ პოლიტიკური მოღვაწეები, გადავიდ-გადმოვიდეთ საზღვრებზე. ის ცნობები რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს შესახებ ქემალისტების დამოკიდებულებისა ბოლშევიკებისადმი, გვაფიქრებს, რომ ისინი ამაზე დასთანხმდებიან. გადაეცით აკაკი ჩხენკელს ეს, რომ სპეციალურათ ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

ახლა ინფორმაცია. ჩვენ გვაქვს ცნობები რამოდენიმე პირისაგან: ერთი აქედან წავიდა, ორი დღე დაყო ბათომში და უკანვე დაბრუნდა; მეორე დათიკო კახელაძის ცოლია - სონა გოგიაშვილი; მესამე თფილისელი მექარხნე კარლინსკი, რომელიც თფილისიდან 5 მაის გამოვიდა; მეოთხე მერი შარვაშიძე ერისთავის ცოლი, ისიც იმავე რიცხვშია თფილისიდან გამოსული და მეხუთე კიდევ აქედან წასული, რომელმაც მოიარა თფილისი და უკან ჩამოვიდა. მათ საკმაოთ მდიდარი ცნობები მოგვაწოდეს სხვა და სხვა საგნებზე. მხოლოდ ამ პირთა შორის სამწუხაროთ არ ურევია არც ერთი სოც. დემოკ. პარტიული მოღვაწე, რომელსაც შესძლებოდა გადმოეცა შინაგანი მდგომარეობა და სულიერი განწყობილება სოც. დემ. პარტიისა.

სონა გოგიაშვილის და დათიკო ქებაძის გამოკითხვიდან და გაზეთებიდანაც სჩანს, რომ მენშევიკური პარტია მუშაობს, თუმცა ამ მუშაობის პირობები ყოველ მხრივ ცუდია. გარდა რეპრესიებისა, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, აღსანიშნავია ის, რომ **ფოსტა ტელეგრაფი საქართველოში არ არის**, ყოველ შემთხვევაში საჯაროთ გამოსაყენებლათ არ არის. არ შეიძლება წერილების და დეპეშების გზავნა. კავშირის დაჭერა ერთი ადგილიდან მეორესთან შეიძლება მხოლოდ კაცის გაგზავნ გამოგზავნით. გაზეთებიდან (ახლა მხოლოდ კომუნისტური გაზეთები და თედო ღლონტ-შალვა ნუცუბიძის გაზეთი გამოდის) ვერაფერს გაიგებთ. იქ არაფერი არ იწერება, გარდა მენშევიკების გინებისა და

საქართველოს ეროვნული არქივი

ყალბი რეზოლიუციებისა. არის აგრეთვე დიდი ხმაურობა აღმშენობლობითი მუშაობაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე სიყალბეა. ამიტომ შეუძლებელია ბათუმში მყოფმა კაცმა იცოდეს, რა ხდება თფილისში, ან ქუთაისში. ასეთ პირობებშია ხალხი ჩაცვენილი და ადვილი წარმოსადგენია რა ძნელია სისტემატიური მუშაობა და ორგანიზაციული კავშირის გაბმა.

საქართველოდან მოსულნი ერთხმათ აღვიარებენ როგორც ქართველი ისე არა ქართველები, რომ კმაყოფილი არავინაა, ხალხი მოელის ცვლილებას და ამის მიზეზითაა, რომ ჯერ სასოწარკვეთილებას არ მოუცავს. ყველა ფიქრობს თურმე, რომ ეს რეჟიმი ენკენისთვემდის ვერ მიაღწევს.

მეორე ფაკტი, რომელსაც ერთხმათ აღიარებენ ყველა ჩამოსულნი - ეს არის პატრიოტული გრძნობის საშინელი გაღვივება. ხალხი დამშეული, ორგანიზაციულათ დაქსაქსული, მოკლებული ყოველ გვარ საშუალებას რაიმე სისწორით გაიგოს და გაითვალისწინოს - უბრალო შემთხვევა რაა - იმასაც კი არ უშვებს, რომ არ გამოხატოს თავის პატრიოტული გრძნობა აშკარათ - დემონსტრაციით. ყველაფერს შეურიგდებით, გაიგონებთ თურმე გლეხებში და საზოგადოთ ობივატელებში, შეურიგდებით თუ გნებავთ ქართველი ბოლშევიკების ბატონობას, მხოლოდ რუსი ნუ იქნებაო. ამაში თურმე ისეთ ჯიუტობას იჩენს ქართველი ხალხი, რომ ჩვენი კომუნისტებიც კი გაშტერებულნი არიან. არ გეგონოთ ეს ჩემი სიტყვები გადამეტება. ვრცელი გამოკითხვები, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ და ზოგიერთი აშკარა ფაკტები ამას მოწმობენ. სხვათა შორის, უნდა გაცნობოთ, რომ „ღალატისა“ და „სამშობლოს“ დადგმა უკვე აკრძალეს, ვინაიდან დამსწრე საზოგადოება გამუდმებულ პატრიოტულ დემონსტრაციებს ახდენდა...

...ჩემი ტელეგრამიდან თქვენ უკვე იცით, რომ დაიწყო ფართო ჭერა ჩვენი ამხანაგებისა; სხვათა შორის დაჭერილია: ზაქ. გურული, კ. ჭუმბურიძე, გ. ფაღავა, გიზო ანჯაფარიძე, გერასიმე კალაძე, კ. გოგილაძე, კ. ნინიძე, ნ. იმნაიშვილი, ა. წულაძე და სხვა, სულ ათასამდე კაცი. მარტო ქუთაისში 600 კაცი დაუტუსაღებიათ. ზოგიერთები ამბობენ თითქოს სილიბისტრო და ისიდორეც დაჭერილები იყვნენ. საბაბი დაჭერის ს. გეგეჭკორისათვის ყუმბარის სროლაა. ყუმბარა უსვრიათ დღის 12 საათზე, უსვრიათ ქუჩაზე გავლის შემდეგ 3 წამისა, არ გამსკდარა. საყურადღებოა ის, რომ ეს ამბავი ქუთაისში დღის 12 საათზე მოხდა, ხოლო ხონში ხალხი დაუჭერიათ ვითომდა გეგეჭკორზე თავდასხმასთან კავშირისათვის დღის ათ საათზე. დაჭერილები ყველა თფილისში წაუყვანიათ. ამბობენ თითქოს 26 მაისამდე გააჩერებენ და მერე გამოუშვებენო, თუმცა საფიქრალია, პირიქით, არის საშიშროება, რომ თუ ყველას არა, ზოგიერთს მაინც რუსეთისაკენ გადაგზავნიან. 26 მაისის თურმე ძალიან ეშინიათ ბოლშევიკებს. ს. გოგიაშვილის გადმოცემით დევნა დაუწყეს აგრეთვე სოც.-რევოლიუციონერებს. მათთან ერთად ერთი თედო ღლონტი და შალვა ნუცუბიძე მუშაობს. მენშევიკების მოქმედების ხაზი, როგორც სჩანს, ისეთია, როგორც აქ ვლაპარაკობდით: გამოიყენონ ლეგალური შესაძლებლობანი, არ დააჩქარონ გამოსვლები და ერიდონ პროვოკაციას და სააგიტაციოთ წამოაყენონ ლოზუნგი: ხალხის რეფერენდუმი - შეკითხვა არჩევნებითი საშუალებით. ამას თქვენ დაინახავთ აქვე დართულ რეზოლიუციიდან.

საქართველოს ეროვნული არქივი

თუმცა მეორე მხრივ გადმოგვცემენ, რომ ალფესა გოგუაძემ გურიაში შეადგინა რაზმი 200 კაცისაგან, დრო გამოშვებით ესხმის ბოლშევიკების გარნიზონებს და ანიარაღებსო. ასეთი თავდასხმა მოუხდენია მაგ. საჯაოხოს ხიდთან. გურიაში ჯერ ჯარი, გარდა რკ. გზის გასწვრივ მდებარე სოფლებისა, ვერც კი შეუყვანიათ.

ჯარი ეხლა შედარებით ცოტა ყოლიათ საქართველოში. ერთი ნაწილი მიყავთ ხმელეთით - შავი ზღვის პირით. ამბობენ ნაწილს სომხეთში და ოსმალეთის საზღვრებზე უყრიან თავსო. ჩვენ აქ სხვა და სხვა წყაროებიდან ცნობები გვაქვს, თითქოს ბოლშევიკები ემზადებოდენ ოსმალეთის წინააღმდეგ და თითქო ქემალიც ახდენდეს თავის ჯარების გადაჯგუფებას კავკასიის ფრონტის გასაძლიერებლათ. ეს კი ცხადია, რომ ანატოლიაში ბოლშევიკებს არ აჭაჭანებენ.

ფაკტია, რომ შტაბი ბაქოდან თფილისში გადმოიტანეს, იქვე გადმოვიდა „აღმოსავლეთის კომიტეტი". ამას თქვენ მიაქციეთ ყურადღება. გამორკვეულათ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოში პირველათ შემოვიდა არა ნაკლებ 100 000 ჯარის კაცისა. ყველანი ამბობენ, რომ 120-150 ათასი იქნებოდაო. ასე რომ ჩვენი ცნობა, თითქო 25 ათასი კაცი იბრძოდა, მართალი არ არის.

... ტრამვაის ვაგონები მართლა წაუღიათ. გამოუცხადებიათ ნაციონალზიაცია ყველა სამრეწველო დაწესებულებათა, რომელთა ღირებულება 26 თებერვლამ-დი (ბოლშევიკების შემოსვლის დღეა) 5 მილიონს არ აღემატებოდა...

გლეხებს ყანების თესვა ჯერ არც კი დაუწყიათ. ამბობენ ზედ მეტს არ დავთესავთ, სულ ერთია ბოლშევიკები წაიღებენო. ბოლშევიკური გაზეთები ამას მენშევიკების აგიტაციას აწერენ, ნამდვილათ კი მენშევიკებს თურმე სპეციალური აგიტაციის გაწევა უხდებათ, რომ ყანები ბლომათ დათესონ.

საინტერესო წერილებია: სილიბისტროსათვის ორი ოთახი მიუციათ თავის ბინიდან. ნ. ჟორდანიასა და სხვებისათვის მამულები ჩამოურთმევიათ. ლანჩხუთში ნოეს დედას მხოლოდ ორი ოთახი მიაკუთნეს. მუდამ დღე უშვებენ კარიკატურებს.

გიგზავნი გაზეთებს. იქ ბევრი რამ არის საყურადღებო...

პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ხელს აწერს
დედანზე - ნ. ხომერიკი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე ხომერიკის პირადი ფონდი 2122, ანაწერი 2, საქმე 5, ფურცლები 11-16.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი პატრიოტების მიერ ქ. ბათუმში გავრცელებული პროკლამაცია, რომელშიც აღწერილია ოკუპირებულ საქართველოში 26 მაისს არსებული ვითარება 1921 წლის 26 მაისი

26 მაისი

მოქალაქენო, დღევანდელი დღე ამ სამი წლის წინად ისტორიამ საქართველოს განთავისუფლების დღეთ აღიარა. ამ დღეს საქართველო სრულიად განთავისუფლდა სლავთა ძალადობისაგან და აღადგინა ისტორიული გზა ბუნებრივი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარებისა, რომლიდანაც 1801 წ. რუსის ტლანქმა, კუპრიან ჩექმის ქუსლმა გადმოაგდო.

მოქალაქენო ჩვენ წელს მესამეთ გვიხდება ამ დიად დღესთან შეხვედრა, დღესაც გვმართებდა ის დიდებული ზეიმი, რომლითაც საქართველომ ორჯელ თავი აცნობა მთელს ევროპას, როგორც ღირსეულმა სახელმწიფო ერთეულმა. მაგრამ თქვენ იცით, ხომ დღევანდელი დღე უკვე აღარ არის ის, რაც იყო, ან უნდა ყოფილიყო, **26 მაისი 1921 წლისა** ისევ ეროვნულ ვაების ტრაურში ზის, გული არ ჰხარობს, გული დასტირის, ზეიმისთვის აღარ სცალიან. მერე რა მოხდა, რატომ დაგვეუფლა ეს ვაება? მაგრამ რა, მოქალაქენო, განა თქვენ არ იცით რაც მოხდა. მოხდა ის, რომ წლევანდელი 26 მაისი აღარ არის თავისუფლების მახარებელი. ბევრი დამტკიცება არ გჭირიათ: აი, თვალი გადაავლეთ საჯარო მოედნებს, თუნდა დღეს სადაც თავს მოიყრიან. იქ იზეიმებს ყველა, გარდა ქართველი ერისა. იქ თქვენ ნახავთ რუსის წითელს ჯარს და არა ქართველისას, იქ თქვენ მოისმენთ უცხო ჰიმნებს და არა ჰიმნს ეროვნულისას, იქ ორატორები ვერ გაგაგონებენ მშობლიურ ხმას, მეტ წილად ალაპარაკებენ უცხო ელემენტებს, ჩვენს მტრებს კომუნისტების პირბადით რომ მოგვივლინეს, იქ სადღეგრძელოს იტყვიან უწინარეს ყოვლისა წითელ არმიაზე, ლენინსა და ტროცკზე, მთელს ქვეყნის შესახებ, მაგრამ საქართველოს ხსენება არ იქნება და არ იქნება იმიტომ, რომ ყველა ორატორი უცხო იქნება, ცხრა მთას იქითელი, ან და გადანგარებული ჩვენდა სამარცხვენოდ, ქართველი კაცი და არა ერის მიერ რწმუნებული ჩვენი ტრიბუნი, ვისაც რომ ესმის 26 მაისის მნიშვნელობაც და ვინც წინ გამოუძღვებოდა საზეიმოდ გაწყობილს ჩვენს ლაშქარს, ჩვენი დროშებით მოზეიმე ხალხს. აი რა გვაღონებს, აი რატომ ვტირით ამ ზეიმის დღეს.

მოქალაქენო! ჩვენ ვიცით, რომ თქვენც ამასა გრძნობთ, ამასვე გრძნობენ ისინიც, ვინც დამნაშავენი არიან ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მაგრამ ისტორიის წინაშე თავის გასამართლებლად ვერაგულად გაიძახიან, ჩვენ მოვედით „მონობიდან გაგვენთავისუფლებინა“ საქართველო, „ხალხმა თვით მოგვიწვია ამ მონობის უღლიდან გადასაგდებათაო“ და ამიტომ იყო საჭირო მეოცე საუკუნის წითელ ატილას სისხლიან მახვილის აღებაო! ვაი სირცხვილო! ჩვენ თურმე „მონები ვიყავით და ეხლა განვთავისუფლდით“ ჩვენ არ ვიცით, რომელ „თავისუფლებაზე“ ლაპარაკობენ, ნუთუ იმ „თავისუფლებაზე“ რომლის მზგავსი საქართველოს არც ერთს თავის დაკნინების ხანაში არ

საქართველოს ეროვნული არქივი

განუცდია? საქართველომ იცის სტოლიპინის სასტიკი რეჟიმი, პირის პირ ინახულა და გამოსცადა ალიხან ავარსკებისა და ლიახოვების საშინელება, მაგრამ იმ დროს საქართველოსთვის არავის წაურთმევია უფლება პრესაში მაინც დაეჩივლა თავისი უბედურება, დღეს კი... დღეს... ამ „თავისუფლების“ დროს ჩვენ გვიხდება ფარული მუშაობა, აღარაა საშვალება შევეკითხოთ ჩვენს გულის ტკივილებზე, წაიშალა და მოისპო ყოველგვარი ატრიბუტი, ყოველი ნიშანი ჭეშმარიტი თავისუფლებისა, ჩვენ წაგვერთვა ყოველივე ის, რაც ამ თავისუფლებას ადასტურებდა, გვაგრძნობინებდა, განგვაცდევინებდა. თუ ეს ასე არ არის, მოქალაქენო, მაშ გადაბეჭდონ თავიანთ ორგანოებში მაინც ეს ჩვენი წერილი და ყველა კითხვებზე გაგვცენ პასუხი, ეს იმ კითხვებზე, რომლებიც ყოველ **ქართველს** აწუხებს და ვერ უთქვია, რაც ჩვენში მოისპო მოქალაქეობის ყოველგვარი ეთიკა და ბატონ-ყმობის რეჟიმი დადგა. ჩვენ ვეკითხებით ჩვენს „გამანთავისუფლებლებს“ სადაა ჩვენი ეროვნული დროშა, ეს ის დროშაა, რომელსაც საქართველო საუკუნეთა განმავლობაში ამაყად იცავდა, ეს ის დროშაა, რომლითაც საქართველომ თავი გააცნო დიდხალიფებს და იერუსალიმის კედლებში აფრიალებული შეჰქონდათ, მაშინ როდესაც თვით-ევროპის დიდ სახელმწიფოთაც კი აღკრძალული ჰქონდათ ფეხის შედგმა? ან და სადაა ჩვენი ღერბი, ეს ის ღერბი რომელზედაც თეთრი გიორგი იყო გამოხატული? ხომ გახსოვთ, **მოქალაქენო**, ამ ღერბის შემუშავებაში რამდენი სიფრთხილე და დაკვირვება გამოიჩინა ქართველ ერმა, ხომ გახსოვთ, რომ აქ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო დამფუძნებელი კრების წევრნი, არამედ ჩვენი მეცნიერნი, ისტორიკოსნი, მგოსანნი, ლიტერატორები, მხატვრები, ერთი სიტყვით, ჩვენი ეროვნულ სიბრძნისა და მეტყველების დიდი მედროშენი! რატომ არ ვხედავთ თეთრ გიორგის თუნდა აი დღეს, რომელიც სწორედ მისი სააღლუმო დღე იყო? შეხედეთ ახლა ქუჩასა და მოედნებზე გამოსულ ყალბ მო-ზეიმებს, შეხედეთ, როგორ მოაფრიალებენ ყოველ ნაირ დროშას, გარდა ჩვენი ეროვნულისას, შეხედეთ სლავურ წარწერილ სისხლიან დროშებს, რომელთაც დიმიტრი დონელის ჩაფხუტინი წითელი არმიელი მიაფრიალებს და არა ჩვე-ნი თეთრი გიორგი. მაშ ესაა „თავისუფლება“? ამისთვის მოიწვიეს სკვითების ველებიდან სისხლში მოსვრილი ველურები?...

მოქალაქენო! ჩვენ შეველეოდით სიტყვის თავისუფლების დაკარგვასაც, ეროვნულ დროშის დახრას და ღერბის წაშლას, ეროვნულ ჰიმნის სამგლოვია-როდ შეცვლას, რომ ქართველ ერს ჰყავდეს ქართული მართვა გამგეობა მაინც, თქვენ იცით მოქალაქენო, რომ დღიდან სკვითელთა შემოსევისა მათი წინამძღოლი რენეგატი ქართველები ირწმუნებოდნენ, რომ წითელი არმია მორჩება თუ არა საქართველოს „განთავისუფლებას“, შეჰქმნის „წითელ ჯარს“ და ისევ უკან გაბრუნდებაო, მაგრამ ეს აღთქმა აღთქმად დარჩა და ფაქტიურად მართვა-გამგეობაც ისევ ამ წითელ არმიის ხელშია, დიქტატორობს მე-XI არმია და არა ფილიპე მახარაძე, ამიტომაა, რომ დღითი დღე იშლება ყოველგან ქარ-თული სახიერება, სახელმწიფო ენად ქართულს წირვა გამოუყენეს, დაირღვა საზღვრები, გაიზარდა სახელმწიფო ქონებანი, მოგვესპო რკინის გზა, აღარ გვაქვს ჩვენი საუცხოვო მატარებლები მორთული ვაგონებით და უკანასკნელი სისტემის ორთქლმავლები, გათახსირდა ფინანსიური ჩვენი მხარე, რომლის

საქართველოს ეროვნული არქივი

მოგვარებას მთელი ძალღონე შევალიეთ და როგორც იყო ნორმად კალაპოტში იმდენად მტკიცედ ვაყენებდით, რომ ჩვენი ფულის კურსი შვიდჯერ და ათჯერ მეტი იყო არა თუ სომხეთ-აზერბეიჟანისაზე, არამედ რუსეთისაზედაც. ამიტომ-მვეა, რომ ყველა საპასუხისმგებლო პოსტებზე უმაღლესიდან დაწყებული და გათავებული უკანასკნელით ნახავთ ყოვლად საეჭვო წარსულის პიროვნებათ, ან რუსობას, ან ურიებს, ან სომხებს, თათრებს და არა ქართველებს. რა უნდა, მაგალითად, ბათომში პევცოვს, რომლის ზურგს უკან ყოფილ მეფის ჟანდარმები მოქმედებენ, რომ გახრწნან ყოვლისფერი შეჰქმნან ისეთი ატმოსფერა, რომ ძმები ერთმანეთს დაგვაშორონ, დავიტაკოთ და სამოქალაქო ომის ჩასაქრობად ისევ რუსები მოგვაწვევინონ, ან რა უნდა კაფიევს, ეს ხომ ყოფილი ჯიბგირია, შარლატანი და გაიძვერა, რომლის ატესტაციას ჩვენი დაბრმავებული კომუ-ნისტების გარდა ყველა იცნობს, ვისაც თბილისში უცხოვრია და ქალაქის მართვა-გამგეობასთან ჰქონია საქმე? და კაფიევთა სახელი ხომ ლეგიონია! ახლა შეიხედეთ, ეგრეთ წოდებულ „ვნეშტორგებში“. ვინ სხედან იქ, თუ არა ისევ ის უცხო ელემენტები, რომელთათვისაც საქართველოს ინტერესი „ტინ-ტრავა“ არის, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე და რომელნიც მხოლოდ საქართველოს დაავადმყოფება -დაშლაზე იფიქრებენ, რომ უფრო ადვილად გაბატონდნენ და საქართველო რუსეთის უბრალო ოლქათ გადაქმნან. ჩვენში რომ მართლა თავისუფლება იყოს სიტყვისა, მაშინ პრესის საშვუალებით ცისა და ქვეყნის წინაშე დავამტკიცებდით, რომ ყველა აქ გადმოხვეწილი მოხელე, თუნდა წითელ ნიღაბიანი კომუნისტი პირსისხლიანი ჟანდარმია, რომელიც ნიადაგს უმზადებს რუსეთის მანარქიის აღდგენას. უბრალო მაგალითისთვის გაიხსენეთ ის ფაქტი, რომ ბათომის ციხეს კომუნისტების გაბატონების შემდეგ დაერქვა ის სახელი, რომელსაც მეფის დროს ეძახოდნენ: „მიხაილოვსკაია კრეპოსტ“ დიახ, **მოქალაქენო**, კომუნისტებმა ჩვენ მართლა „გაგვანთავისუფლეს“ საკუთარ მართვა-გამგეობიდან და ყმებათ გაგვხადეს სკვითებისა. ეს ასედაც უნდა ყო-ფილიყო, ვინაიდან ჩვენი დღევანდელი რენეგატი მმართველები სრულიად უვიცნი, პოლიტიკური ბალღეჰი არიან და, რა გასაკვირველია, თუ ლლოილ ჯორჯებთან მოკამათე ლენინ-ტროცკები და ჩიჩერინები გააპამპულებდნენ და ორიოდ დღის ბატონობისთვის ჰეროსტრატეს როლს შეასრულებინებდნენ?

მაგრამ **მოქალაქენო**, საქართველოს დიდი წარსული აქვს, მოგეხსენებათ, ათასეულ წელთა ქარიშხალმა ვერ გასტეხა მისი მაგარი ხერხემალი და გვწამს, რომ დღევანდელი ჩვენი ეროვნული გლოვაც დროებითია. მით უმეტეს, რომ ჩვენს უბედურებას სათავეში უდგია ისეთი რენეგატი, როგორიც ფილიპე მახარა-ძეა, რომლის სახელის გაგონებაზე ჩვენი ისტორია 1907 წლიდან სირცხვილით პირზე ხელს იფარებს. ჩვენ ვიცით, რომ მისმა ავაზაკურმა ხელმა მოჰკლა დიდი **ილია**, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მკვლელობის დღიდან შუბლ გაგმირული იგივე ილია როგორ გაიზარდა და ერისთვის თავდადებულთა შორის ბუმბერაზ სახით გამობრწყინდა... იმავე მახარაძემ დღეს მახვილი ჩასცა საქართველოს თავისუფლებას, მაგრამ მოხდა სასწაული და მთელს ერში, ჭეშმარიტად, არა ყოფილა ასეთი დიდი ენტუზიაზმია, ასეთი დიდი სიყვარული თავისუფლებისადმი როგორც დღეს, ეს იმ თავისუფლებისადმი, რომელსაც წარსულ საუკუნოებში მხოლოდ ინსტიქტიური ხასიათი ჰქონდა ბიოლოგიურ კანონითა. დღეს მთელი

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველო საკუთარ გულით ასაზრდოვებს ამ თავისუფლებას, ამიტომაცაა, რომ ამ ტრაურის დღეს როგორც პრესაში შემთხვევით წამოსცდათ ბრიყვ პოლიტიკოსთა ბრიყვ კალმოსნებს, მთელი საქართველო გამოვა და ამხილებს მზაკვარ გამყიდველებს:

თქვენ მოჰკალით 26 მაისი, - მაგრამ მაინც გაუმარჯოს 26 მაისს.

ქ. ბათომი
ტრაურით მოსილი საქართველოს საზეიმო დღე.
საქართველოს ტრაურის პირველი წელიწადი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრის,
სოციალ-დემოკრატ დავით (დათიკო) შარაშიძის
საიდუმლო წერილი ევროპაში მყოფ თანაპარტიელებს,
რომელშიც აღწერილია საქართველოში არსებული
ვითარება 1921 წლის მარტიდან ივლისამდე
1921 წლის ივნისის შემდეგ

საიდუმლო

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტია
1921 წლის მარტიდან ივლისამდე

მდგომარეობა ბათუმში. თქვენ კარგად გემახსოვრებათ თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი პარტია, როდესაც თქვენ ბათომი დასტოვეთ. ადგილობრივი ორგანიზაციები სრულად მოშლილი იყო (გარდა გურიისა, საცა ჯარი არ შესულა), ადგილობრივი ამხანაგები პანიკით შეპყრობილთ, ბათუმში მოეყარათ თავი. ბათუმში მყოფთა შორისაც დიდი არევ-დარევა და დემორალიზაცია სუფევდა. ჩვენს მდგომარეობას ართულებდა ის საერთო ლანძღვა-თრევა, რომელსაც ყოველი მხრიდან შეგვთავაზებდენ: კომუნისტები, ეს-ერები, ნაც-დემ., სხიველები, ფედერალისტები, მთელი არა ს. დ. ინტელიგენცია და, როგორც იცით, ზოგიერთი ჩვენს რიგებში მყოფებიც კი (გომართელი, გ. ხუნდაძე და სხვ.). ჩვენი მტრები დარწმუნებული იყვენ, რომ სამხედრო დამარცხებამ და ამით გამოწვეულმა დემორალიზაციამ ჩვენს პარტიაში, უკანასკნელი სამუდამოთ დამარხა, წელში გატეხა ისე, რომ ვერასოდეს შესძლებს გამოსწორებას. ასეთ პირობებში, ბევრი ჩვენთაგანი სასოწარკვეთილებამ აიტანა, მაგრამ მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა თქვენი წასვლის შემდეგ პირველსავე დღეებში. თქვენმა წასვლამ თუ მტრები კიდევ უფრო გააღიზიანა და საგონებელი მასალა მისცა, მეორე მხრით ჩვენებს შორის ერთნაირი სიმშვიდე შეიტანა. ჩვენ მოვხდით ახალ ურთიერთობის წინაშე და ყველანი გავიმსჭვალეთ შეგნებით, რომ საჭირო იყო დაუყონებლივ გავრკვევოდით ამ ახალ ურთიერთობას. 19 და 20 მოვახდინეთ მოწინავე ამხანაგების ვიწრო ჯგუფის კრება (ც. კ. წევრები და რამოდენიმე ამხანაგები). საერთო აზრი იყო: რაც შეიძლება ჩქარა ხალხისათვის ამა თუ იმ გზით გვემცნო, რომ ჩვენ, პარტია, მასთან, ხალხის შორის ვართ. ბათუმშივე ვცადეთ გაზეთის გამოშვება (ერთი N მაინც), მარა რევკომმა (ს. ქავთარაძემ) გვიპასუხა - გადაჭრილ პასუხს ჯერ ვერ მოგცემთო. ეს, რასაკვირველია, უარს უდრიდა. თან ჟლობის დივიზიის თარეში ბათუმში შეუძლებლად ხდიდა რაიმე მოქმედებას და ჩვენც კარგად გვესმოდა, რომ პარტიის აღორძინება ტფილისიდან უნდა დაწყებულიყო. გადავწყვიტეთ - ყველანი, ვინც ბათუმელები არ ვიყავით, თავთავის ადგილას დავბრუნებულიყავით. ხელს გვიშლიდა მიმოსვლის პირობები - რკონის გზაზე კერძო მგზავრების წასვლა-მოსვლა ძლიერ გაძნელებული იყო, რადგან ხიდეები ჯერ არ შეუკეთებიათ. ამიტომ ორ კვირაზე მეტი დაგვჭირდა თფილისში თავის მოყრისათვის.

პირველი ნაბიჯები ტფილისში. ტფილისში მე 25 თუ 26 მარტს ავედი. ჩემზე

საქართველოს ეროვნული არქივი

წინ ასულიყო მხოლოდ ლეო ნათაძე და ორი-სამი ამხანაგები. აქ სულ სხვა სულისკვეთება სუფევდა. ის ინტრიგანობა, ჩვენი და თქვენი ლანძღვა-გინება, რომელიც ბათუმში აშკარად გაისმოდა ყოველ ქუჩაზე, ტფილისში გასავალს ვერ პოულობდა: რადგანაც მთელი ტფილისი, ქართველობის ყველა წრეები მხოლოდ ბოლშევიზმისადმი ზიზღით და აღშფოთებით იყო შეპყრობილი. ხალხმა - ქართველობამ წამსვე სწორი დიაგნოზი აუღო მდგომარეობას: ჩვენი, ქართული მთავრობა, მომხდურმა ძალამ დასცა და განდევნა და ჩვენც დაგვიმონავა. ჩვენ განთავისუფლებისათვის ბრძოლას მთავრობამ უნდა უხელმძღვანელოს. მოძალადეების უღელქვეშ მყოფ ხალხს ინტრიგანობის თავი არ ჰქონდა და არც უსმენდა ინტრიგანებს და მან კარგად იცოდა თუ ვინ, რომელი პარტია იტვირთებდა მტერთან ბრძოლას და ამ ბრძოლაში ხალხის წინამძღოლობას.

ტფილისში დარჩენილ ჩვენს ამხანაგებს უკვე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა: შეედგინათ დროებითი ცენტრი (კოტე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით), გაებათ კავშირი რაიონებთან და აგრეთვე ქართლ-კახეთის ზოგიერთ კუთხეებთან. აპრილის დამდეგისათვის ტფილისში თავი მოიყარა თითქმის ყველა ამხანაგეებმა (სილიბისტრო, ისიდორე, გრიშა ლ., ალ. დგებუაძე, ვლად. ჯიბლაძე, ნოე ცინცაძე, პავლე ბერიშვილი, ანანია, ზაქარია, ვასო ნოდია და სხვ.). იმართებოდა სისტემატიური კრებები, ყოველდღე, ვიკრიბებოდით არალეგალურად ერთ-ერთ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბინაზე. ჩვენი უპირველესი მიზანი იყო თავის მოყრა, რაიონებთან და მასებთან კავშირის აღდგენა და რაიმე საშუალების გამოძებნა, რომ ხალხისათვის ჩვენი ხმა მიგვეწვდინა, ჩვენი სიტყვა გვეთქვა ახალ მდგომარეობის შესახებ. პროვინციასთან ორგანიზაციული კავშირის დაჭერა პირველ კვირეებში შეუძლებელი იყო, რადგან მიმოსვლა არ იყო აღდგენილი. საჭირო იყო ან გაზეთი, ან ისეთი საჯარო გამოსვლა, რომელიც მთელ საქართველოში გახმაურდებოდა. პირველ საქმეს - რაიონებთან და ტფილისის მასებთან კავშირის აღდგენას - შეუდგენ ჩვენი მოწინავე მუშები, რომლებიც ძველებური სიხალისით და ენერგიით ამუშავდენ. (ჩემს დროს ეს საქმე აწვა უმთავრესად ანანიას, ვასო ნოდიას, პავლე ბერიშვილს და სხვ.). დაბრკოლებები ბევრი იყო და, რა თქმა უნდა, უფრო ძნელი გადასალახავი ვინემ თვითმპყრობელობის დროს. ჩვენებს არ უშვებდენ ქარხანა-სახელოსნოებში, არ აკარებდენ პროფესიულ კავშირებს. კრების გამართვაზე ლაპარაკიც მეტია. ნახალოვკაში გასვლაც კი გაჭირდა: იქ ბეკებმა ჩააჯინეს რამოდენიმე ყარაჩოღელი ბიჭი და ცხენი, მენშევიკებს არ აჭაჭანებდენ ლიანდაგის იქით. ამისდა მიუხედავად კავშირი რაიონებთან - ადგილობრივ სახელოსნო-ქარხნებში და დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგების საშვალებით - ნელნელა იმართებოდა.

ბ-ბთან მოლაპარაკ. გაზეთზე-ქონებაზე. კიდევ უფრო ძნელი იყო მეორე მიზნის მიღწევა, თუმცა ბეკებს და სხვა ჩვენი მტრები ოცნებობდენ ჩვენს საბოლოოდ გაკოტრებაზე, მარა ყოველი მათი სიტყვისა და საქმიდან ჩანდა, რომ ჩვენი პარტიის ძლიერ ეშინოდათ. სანამ რეპრესიებს დაიწყებდენ, გაზეთის ყოველ N-ში ჩვენს გინებაში იყვენ, განსაკუთრებით თქვენსაში; ამტკიცებდენ - წასული მთავრობა იმპერიალისტებთან ერთად „განთავისუფლებულ საქართველოს“ წინააღმდეგ სამხედრო კამპანიას აწყობსო. ამით ამზადებენ ვითომ

საქართველოს ეროვნული არქივი

ნიადაგს მომავალ რეპრესიებისათვის. ჩვენ მაინც იმედი არ გვქონდა სავსებით დაკარგული, რომ შეძლებას მოგვცემდენ ერთი-ორი N-ის გამოცემის და, რამოდენიმე დღით მაინც, ლეგალური მოღვაწეობის. ეს კი ძლიერ ძვირფასად მიგვაჩნდა, რათა შეძლებას მოგცემდა მთელი ხალხისათვის დაგვენახვებია თავი და მიგვეწვდინა ჩვენი ხმა. გადავწყვიტეთ - ჩვენი მთავარი პოზიციიდან რისიმე დაუთმობლად Исчерпать все возможности в этом отношении დავიწყეთ ბეკებთან მოლაპარაკება. ნიადაგის გასასინჯავათ, ამხანაგების დავალებით, ვინახულე მ. ორახელაშვილი (მთავრობის თავმჯდ. მოადგილე იყო). ლაპარაკი მქონდა გაზეთზე და ქონების (სახლის და სტამბის) დაბრუნებაზე. გადაჭრილი პასუხი არ მომცა. საერთოდ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო გაზეთის ნების-დართვის, მარა უნდა ვიცოდეთ თქვენი პოზიცია უფრო გარკვევითო. მითხრა - მიგვემართა ოფიციალურად რევკომისათვის, ე. ი. ფ. მახარაძისათვის. ჩვენც გადავწყვიტეთ ც. კ. და ტფ. ორგ. სახელით გაგვეგზავნა დელეგაცია რევკომთან სალაპარაკოდ. ორჯერ მივიდა 10 აპრილის კრებამდე ჩვენი დელეგაცია (გ. ლორთქიფანიძე, ვ. ჯიბლაძე, ალ. დგებუაძე, მეორეთ - ი. რამიშვილიც) ფილიპესთან. საუბარი იყო ორახელ-ს თანდასწრებით. გაზეთისა და ქონების შესახებ გარკვეული პასუხი ვერ მივიღეთ. ითხოვდენ წინასწარ ჩვენი პოზიციის გარკვევას. ამაზე დელეგაციამ უპასუხა დაახლოვებით ის, რაც ჩვენს რეზოლიუციაშია. ფილიპემ ბრძანა - ეს თქვენი, ზედა ორგანიზაციების აზრია, ჩვენ კი გვინდა ვიცოდეთ თქვენი პარტიული მასის აზრიო. ამით ჩვენებმა სარგებლობა მოინდომეს და პარტიული (მთელი საქართველოს) კონფერენციის მოწვევა მოითხოვეს, მარა არ გასჭრა: თფილისის კონფერენცია იკმარებსო. ჩვენთვის ესეც ძლიერ ხელსაყრელი იყო (ფილიპეც და მამიაც ძლიერ „რბილი“ ტონით ლაპარაკობდენ: ჩვენებმა რომ ქონებაზე წამოაყენეს კითხვა, ორახელ-მა სთქვა: „არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბ-ბს მოწინააღმდეგეთათვის ქონება წაერთვათ და შემდეგ დაებრუნებიოთ, მარა საქართველოში ამ небивание-საც ვიზამთო. ფილიპემ დაუმატა: „ჩვენ გაგვიჭირდება სტამბაზე ხელის აღება, მარა თუ გაზეთის ნება მოგეცით, რა თქმა უნდა სტამბასაც დაგიბრუნებთო. პირველ ხანებში ერთად მოთავსდებით თქვენი და ჩვენი რედაქციებიო (!)“. მოლაპარაკების ბოლოს ვერ მოითმინა და თავისებური წამოკრა: ალექსანდრეს მიმართა - „რა იყო, მუშათა საბჭოდან რომ გამომაგდეთო“. ალ. უპასუხა - მე ასეთი რამ არ მახსოვსო. „რომ გამაშავეთო?“).

რეზოლიუცია. კრების დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის რა თქმა უნდა წინასწარ აშკარა იყო. ფილიპემ იმდენი ლიბერალობა გამოიჩინა, რომ ნება მოგვცა ოთახი აგვეღო და ც. კ. და ტფ. ორგ. კრებები აშკარად გაგვემართა. ვიშოვნეთ ერთი დიდი დარბაზი (ტფ. ერობის შენობაში, რომელიც შემდეგ დაიწვა), გამოვაკარით ხელნაწერი განცხადება, რაიცა წვრილფეხა ბ-ბს ოდიოზურათ მოეჩვენათ, ხალხი კი სასიხარულო განცვიფრებაში მოდიოდა (აქედან ერთი კვირის შემდეგ გამოგვყარა ვიღაც ილიკო მგელაძემ). შეუდექით რეზოლიუციის შემუშავებას. გადაჭრამდი - შვიდჯერ გავზომეთ. გამოირკვა, რომ ჩვენში **აზრთა სრული** თანხმობა სუფევდა. თავში იყო სუსტი მიდრეკილება გვარდიელებსა და ზოგიერთ მუშებში - გადაჭრით გვეთქვა რომ წინააღმდეგი ვიქნებით **საგარეო** ინტერვენციის. ეს იყო გამოწვეული იმ „ტრავლით“, რომელსაც კომუნისტების

საქართველოს ეროვნული არქივი

პრესა აწარმოებდა - მთავრობა ინტერვენციას ამზადებს ევროპაში, თქვენ კი მის მიერ დატოვებული აგენტები ხართო. ამის გამოძახილია ის პუნქტი რეზოლიუციაში, რომელიც ამბობს: უარვყოფთ იმპერიალისტურ ძალებთან კავშირსო. (სილიბისტრო და გრიშა ამის წინააღმდეგი იყვენ). ეს იყო ერთნაირი, შეიძლება შემცდარი, დათმობა ზოგიერთი ამხანაგების სულისკვეთებისათვის. სიტყვა ინტერვენცია არ ვიხმარეთ, რომ ხალხს ეს ადგილი თქვენი მოქმედების „დეზავუაციათ" არ მიეღო. საერთოდ კი დიდი ერთსულოვნობა იყო ჩვენს შორის. განსაკუთრებულს ყურადღებას ვაქცევდით უკანასკნელ მუხლს, რომელიც სწორედ ევროპის საყურადღებოთ შევიტანეთ და ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენი იმედი გამართლდა: ეს ადგილი, როგორც აქ დავრწმუნდი, ძლიერ გამოგადგათ თქვენს კამპანიაში სხვა და სხვა ქვეყნებში.

10 აპრილის კრება. ჩვენ ვიცოდით, რომ რევკომმა განზრახ დაგვრთო ნება ფართე კრების მოსაწვევად: უნდოდათ ენახათ ჩვენი ძალები და გავლენა, შეეტყოთ თუ რამდენათ დაგვასუსტა დამარცხებამ. არა მარტო რევკომისათვის, არამედ მთელი ხალხის თვალში, შიგნით და გარეთ, ეს ერთნაირი ეგზამენი იყო. და ჩვენც ერთნაირის მღელვარებით ვემზადებოდით. დავა გამოიწვია ბინის საკითხმა: ბევრს ჩვენგანს ეშინოდა დიდი ბინის აღება (თეატრის), ვაი თუ ხალხი არ მოვიდეს საკმაოთ და შევრცხვეთო. ნაძალადევში, იქ გამეფებულ ტერორის გამო, კრების გამართვა არ შეიძლებოდა. დარჩა სამი ბინა: სახელმწ. თეატრი, სახალხო სახლი და ქალაქის საბჭოს დარბაზი. ზოგი ამხანაგები იმდენათ არ იყვენ დარწმუნებული ჩვენი გავლენის შენარჩუნებაში, რომ იძახდენ საბჭოს დარბაზი ვიკმაროთ, თორემ შევრცხვებითო. მაგრამ აქ მოხდა ერთი გარემოება, რომელმაც ყველანი დაარწმუნა, რომ ჩვენი საქმე არც ისე ცუდათ იყო.

სხიველების კრებაზე. 10 აპრილის წინა დღეებში ბ-მა ნება დართეს სხიველებს კრება გაემართათ ამათაც. მოიწვიეს თავისი პარტიის წევრების და თანამგრძნობების კრება ქალაქის საბჭოს დარბაზში. მოვიდა 200 კაცზე მეტი. კრებაზე, ცნობისმოყვარეობისათვის, მივიდა რამოდენიმე ჩვენი მოწინავე ამხანაგი, სხვათა შორის ვლ. ჯიბლაძეც. თქვენ იცით „სხივიდან" თუ რა ილაპარაკეს კირილემ და მუხრანმა ამ კრებაზე. მათი მოხსენების მთავარი ტონი და შინაარსი იყო ჩვენი მთავრობის და პარტიის ლანძღვა. სიტყვა აიღო ლადომ და შესაფერი პასუხიც გასცა სხიველებს. კირილემ უპასუხა. ლადომ ხელახლა ითხოვა სიტყვა, მარა არ მისცეს. მაშინ მან „დემონსტრატიულად" დასტოვა კრება. სხიველების საკონფუზოდ და ჩვენდა სასიხარულოდ მთელი ხალხი, გარდა 25-30 კაცისა, ლადოს გამოჰყვა. ამ გარემოებამ გაამხნევა სკეპტიკოსები ჩვენს შორის: გადავწყვიტეთ სახაზინო თეატრის აღება. ნებართვის მიღება გაგვიჭიანურეს და კრების დროს გამოცხადება მხოლოდ ერთი დღის წინ მოვახერხეთ. ანშლაგების გაკვრის ნება არ გვქონდა. მივმართეთ „კომუნისტს", რომელმაც რევკომის დასტურის შემდეგ, მოათავსა განცხადება, მარა განცხადებიანი ნომერი 10 აპრილს დილის 8 საათზე გააკრეს ქუჩაში, კრება კი 10 საათისთვის იყო დანიშნული. ეს ძალიან გვაშინებდა, თუმცა რაიონების წარმომადგენლების საშვალებით შევეცადეთ პარტიული ამხანაგებისათვის წინდღით გვეცნობებია. ამისდა მიუხედავათ დანიშნულ დროს თეატრს აუარება ხალხი მოაწყდა. მალე თეატრი გაივსო, თითო სავარძელზე 2-2 კაცი ისხდა, ბევრი

საქართველოს ეროვნული არქივი

უადგილობის გამო გარედ დარჩა (ნუ დავიწყებთ, რომ განცხადებაში ნათქვამი გვქონდა **პარტიის წევრების კრება,** კარებთან კონტროლს ვაწარმოებდით). ეჭვია არ იყო, განცხადების საქმე რომ კარგად ყოფილიყო მოწყობილი - 5000 კაცზე მეტი გამოცხადდებოდა. დამსწრეთ თავიდანვე ეტყობოდათ, რომ დიდი ინტერესით იყვენ შეპყრობილი და თან შეგნებული ჰქონდათ მომენტის სერიოზული და ჩვენი პარტიისათვის მნიშვნელოვანი ხასიათი. ყოველ წუთში გრძნობდი, რომ მსმენელთ გულში სიძულვილი და ბოღმა უდუღდათ, მარა თავს იკავებდენ და გრძნობას თავდაჭერილ გამოხატულებას აძლევდენ. ასეთივე იყო წარმოთქმულ სიტყვების ხასიათი. კრება გახსნა ისიდორემ **მოკლე** და მშვენიერი სიტყვით. თავმჯდომარეთ, როგორც წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ლადო ჯიბლაძე აირჩიეს. მოხსენება წაიკითხა სეითმა. ილაპარაკეს პ. ხურციძემ, ვ. თევზაიამ, პავლე ბერიშვილმა, გლეხმა - ლეჩხუმელმა ამხანაგმა, ფარნიევმა და ერთმა სტუდენტმა - ახალგაზრდა მარქსისტმა. როცა არჩილ რუხაძემ (თავისი ინიციატივით გამოვიდა) დაიწყო შეცდომებზე ლაპარაკი და მოინდომა ჩვენი მთავრობის და პარტიის მოღვაწეობის კრიტიკა. მთელმა კრებამ ერთხმად შეჰყვირა: „ამისი დრო არ არის, შეცდომებზე მერე ვილაპარაკებთ, როცა დრო მოვა, ეხლა სხვა საქმე გვაქვს, საგანზე ილაპარაკეო“. ერთმა ორატორმა ნოე ჟ. რომ ახსენა, მთელი კრება ფეხზე დადგა და დიდი ოვაციები გამართა. რეზოლიუცია რა თქმა უნდა ერთხმად იქნა მიღებული.

10 აპრილის კრების შთაბეჭდილება. თუ ასე დიდხანს შევჩერდი ათი აპრილის კრებაზე, იმიტომ რომ მას გარდამწყვეტი, გადატეხის მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში ომის შემდეგ. ამ კრებამ დაარწმუნა ჩვენი მტერ-მოყვარენი, რომ არევდარევა და დემორალიზაცია ჩვენს პარტიაში დროებითი იყო, რომ კატასტროფის მიუხედავათ ჩვენ პოლიტიკურად არ დავმარცხებულვართ, ჩვენი პარტიული ძალა და გავლენა შეგვინარჩუნებია. ამან წელში გაგვმართა ჩვენ, გაახარა მთელი ქართველი ხალხი, გარდა ინტელიგენციის ნაწილისა და ჩვენი პირდაპირი მოწინააღმდეგეებისა. სრულიად უპარტიო ხალხი გვილოცავდენ ამ დღეს, აღტაცებას გამოსთქვამდენ ჩვენი პარტიული გამძლეობის და მასის დისციპლინის გამო. მე კავშირი მქონდა უცხოელთა წრეებში და ვნახე - თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 10 აპრილმა მათ შორის. რაუმერი (რომელსაც მუდამ საოცრად სწორი ინფორმაცია და jugement-ი აქვს მდგომარეობაზე) გაკვირვებული იყო: ვიცოდი რომ თქვენი გავლენა არ მომკვდარა, მარა ასეთ პოლიტიკური სიმწიფის გამოჩენას მაინც არ მოველოდიო. თქვენ კარგად წარმოიდგენთ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა კრებამ ბ-ბზე (ჩეკისტები ფარდის უკან იყვენ, ასე რომ ბეკებს სწორი ინფორმაცია ჰქონდათ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა კრება). კრების ამბავი მალე მოედო მთელს საქართველოს და ყველა კუთხეებში გაამხნევა ამხანაგები და ხალხი. ამგვარად, ბ-ბის წყალობით, ჩვენ შევძელით იმ მთელი საქართველოისთვის გასაგონ გამოსვლის გაკეთება, რომელზედაც ვოცნებობდით და რომელიც საჭირო იყო როგორც წინასწარი პირობათ მომავალ არალეგალური მუშაობის წარმატებით წარმოებისათვის.

რევკომის პასუხი. რეზოლიუცია დავგზავნეთ პროვინციაში. ქუთაისში, ტფილისელების წახედულობით, რევკომმა ნება მისცა ჩვენებს კრება გაე-

საქართველოს ეროვნული არქივი

მართათ. გავგზავნეთ ვ. თევზაია მოხსენების გასაკეთებლათ. იქაც ისეთივე წარმატება, როგორც ტფილისში. რეზოლიუცია დელეგაციის ხელით გადავეცით ოფიციალურათ რევკომს, თან დავრთეთ თხოვნა გაზეთის ნებართვის და ქონების დაბრუნების. რამოდენიმე დღეში, როგორც მოსალოდნელი იყო, მოგვარტყეს ორივე მუხლზე: „отказать". ორ-სამ დღეში კი გამოვიდა კოტე ცინცაძის (ჩეკა) ბრძანება: „ბნელი პიროვნებები" იკრიბებიან, ჩემი ცნობებით, ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში. ასეთი კრებები თუ დავიჭირეთ მონაწილენი სასტიკად დაისჯებიანო.

არალეგალური მდგომარეობა. აქ გათავდა ჩვენი ნახევრად-ლეგალური მოღვაწეობა და პარტია არა-ლეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. თუ 10 აპრილის კრებამ ჩვენი მორალურ-პოლიტიკური ძალა და გავლენა გამოააშკარავა, ეს იმას არ მოასწავებდა, რომ ორგანიზაციული მხრითაც კარგად გვქონდა საქმე, პირიქით:

დაბრკოლებები. ტფილისში, როგორც ვთქვი, არ გვაკარებდენ მასას, არც პროფესიულ კავშირებს. ვიწრო არალეგალურ მუშაობაზე გადასვლა ჩვენთვის ძნელი იყო ფსიხოლოგიურათაც და მატერიალურადაც. სამი წლის ფართო ლეგალობის შემდეგ თითქოს დაგვავიწყდა არალეგალური მუშაობა. ამას გარდა, როგორც იცით და როგორც ყოველთვის რეაქციის დროს, აქტიურ მუშაობას ჩამოშორდა ლეგალობის დროში მომუშავე ამხანაგების დიდი ნაწილი; მთელი სიმძიმე მუშაობისა დაატყდა და აწევს ეხლაც თავს ამხანაგების შედარებით ვიწრო წრეს, უმთავრესად მოწინავე მუშებს (ანანია, პავლე ბერ., ვასო ნოდია და სხვ.). ამას დაუმატეთ საშინელი პოლიციური დაბრკოლებები. ყოველ შემთხვევაში ორგანიზაციის ახალი ფორმების ჩამოყალიბება (თუმცა ეს სიტყვა აქ სწორი არაა, რადგან ბოლშ-ის რეჟიმში შეუძლებელია ორგანიზაციების ჩამოყალიბება) ნელის ნაბიჯით, მარა მაინც წინ მიდიოდა.

პროვინციაში. ასევე პროვინციებშიაც, აქ რა თქმა უნდა ზოგან უკეთ იყო საქმე, ზოგან უარესად: გურიაში, როგორც ყოველთვის, თითქმის შეგვრჩა მასიური ორგანიზაციები (ნუ დაგავიწყდებათ, რომ გურიას აქამდე არ უგემებია წითელი არმია). სამეგრელოშიაც გვარიანად იყო საქმე! კარგად შერჩა პარტ. ორგანიზაცია და კარგად სწარმოებდა მუშაობა ქუთაისში, აგრეთვე იმ რაიონებში, რომელსაც ქუთაისი მიუწვდება. ნელისა და ძნელი ნაბიჯით მიდიოდა პარტიული აღორძინების საქმე ქართლ-კახეთში, რომლებიც - სხვა ჩვეულებრივ სპეციფიურ პირობებს გარეშე - საშინლად დაარბია ჯარმა.

ცენტრი და პროვინცია. ყველაზე უფრო ძნელი საქმე იყო **კავშირი** ცენტრსა და პროვინციას შორის. წმინდა პოლიციურ დაბრკოლებებს გარდა აქ საქმეს გვირთულებდა ორი გარემოება:

უსახსრობა. მიმოსვლის სიძნელე საზოგადოთ და ფინანსიური **კრახი.** რომც უკლებლივ შეგვრჩენოდა ის თანხა, რომელიც ბონებით დაგვრჩა, ორ-სამ კაპეიკი აღარ დაგვრჩებოდა. მარა ის რამოდენიმე მილიონიც დაიბნა და გაიფლანგა (6 მილიონი, როგორც გეცოდინებათ, სეითს წაართვეს გზაში), ზოგი ბათუმში, ზოგი გურიაში. დავრჩით სრულიად უსახსროდ და ეს ყოველ საქმეში, ყოველ ნაბიჯზე ხელს გვიშლიდა. პროვინციაში კაცის გაგზავნას აპრილში რამოდენიმე ათეული ათასი სჭიროდა. მაისში და შემდეგ კი ასი ათასები. ტფილისსა და ადგილობრივ

საქართველოს ეროვნული არქივი

ორგანიზაციებს შორის ივნისამდე არსებობდა კავშირი უმთავრესად от случая к случаю და ხშირად კვირეობით არ ვიცოდით ტფილისში თუ რა ხდებოდა გურიაში ან თუ გინდ გორში ან დუშეთში. ამიტომ უკანასკნელ დრომდე ცენტრისათვის შეუძლებელი იყო მთელი ქვეყნისათვის საერთო კამპანიების ჩატარება. შემთხვევა კი შესანიშნავი გვქონდა და ასეთი დიდი პირველი შემთხვევა იყო ფ. მახარაძის მოგზაურობა.

ფ. მახარაძის მოგზაურობა. პირდაპირ საკვირველია ის სიბეცე, რომელსაც ბ-ი იჩენენ ყოველ ნაბიჯზე, თითქოს უნდა ხედავდენ, რომ ხალხი, მთელი ხალხი გადაჭრით მტერია მათი. ამისდა მიუხედავათ, თითქოს განზრახ, ისეთი ნაბიჯი უნდა გადადგან, რომ აიძულონ ხალხი ეს მტრული განწყობილება მათ საქვეყნოთ თვალში ახალონ. ასეთი ნაბიჯი იყო ფ. მახარაძის პროვინციაში წაბრძანება.[144] პარტიას რომ სულ ცოტაოდენი ხელმძღვანელობა გაეწია ხალხის გამოსვლაში სხვა და სხვა კუთხეებში, ეს მოგზაურობა გადაიქცეოდა - ერთ сплошной скандал-ათ, ისეთსავე სკანდალად, როგორიც გაუმართეს ნაძალადევში სტალინს ივლისში. მარა პარტიამ ეს ვერ შესძლო, ხალხის გამოსვლებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და თუ მაინც სასკანდალო გახდა ფილიპეს მოგზაურობა - ეს უწინარეს ყოვლისა თვით ხალხის საქმე იყო, შემდეგ ერთი-ორი ადგილობ-რივი ორგანიზაციის (როგორც ქუთაისში და ალაგ-ალაგ გურიაში) ან კერძო ამხანაგების (გურიაში).

ქუთაისში. პირველად ფილიპე ქუთაისში ჩაბრძანდა (აპრილის 15-20-ს). აქ მას გაუმართეს ჯერ აღლუმი, შემდეგ კრება. აღლუმში მონაწილეობა მიიღო რუსის და ჩვენმა წითელმა ჯარმა. როგორც ყოველივე სანახაობა ქუთაისში, აღლუმს დიდი ხალხი დაესწრო. ჩამოიარა წითელი ჯარის ნაწილებმა. ფილიპემ და სხვა კომუნისტებმა ბევრი იყვირეს - да взравствует красная Армия-ო, მარა ხალხმა სამარისებური სიჩუმით გააცილა. ხოლო როცა ბოლოს ქართული ჯარის პატარა ნაწილი გამოჩნდა, ხალხმა შექნა ყიჟინა: „გაუმარჯოს ქართულ ჯარს! გაუმარჯოს ტაბახმელას გმირებსო!“ ფილიპეს იმედი ჰქონდა, რომ საქმე მისი ამხანაგების მიერ გაწყობილ კრებაზე გამოსწორდებოდა. ამ კრებასაც დიდი ხალხი დაესწრო (პროფ. კავშირების შენობაში). ფილიპემ გააკეთა მოხსენება. მის შემდეგ ილაპარაკა ერქომაიშვილმა. ორივე სიტყვაში მხოლოდ ჩვენი გინება იყო. ტაშს უკრავდა 30-40 კაცი. დანარჩენი სდუმდა. სიტყვა ითხოვა გოგიტა ფაღავამ. ბ-ებს ჯერ არ უნდოდათ სიტყვის მიცემა, მარა ხალხმა დაიგრიალა: „მიეცით, მიეცითო!“ კრების თავმჯდომარემ, საშა გეგეჭკორმა განაცხადა: „რომ არ სთქვან მენშევიკებმა, რომ ჩვენ პირში მათ ბურთს ვჩრით, ვაძლევ სიტყვას ფაღავასო“. გოგიტას გამოსვლისას ისეთი ოვაციები ხვდა წილად, როგორსაც ძველად ნ. ჟ-ს უმართავდენ ხოლმე. „აქ ირწმუნებოდენო - დაიწყო გოგიტამ, თითქოს საქართველოს თებერვლამდე მოძალადეების და ხალხის მყვლეფელი მთავრობა მართავდაო. აქ დამსწრეთა დიდი უმეტესობის და მთელი ქართველი ხალხის სახელით ვაცხადებ, რომ ამ სამი წლის განმავლობაში საქართველოს მართავდა ხალხის მიერ არჩეული, მისი წიაღიდან გამოსული და მისი ნების აღმსრულებელი მთავრობაო“. შეიქნა საშინელი აურზაური. დიდი უმეტესობა

144 ამაზე დაწვრილებით მე II ნაწილში ვილაპარაკებ.

საქართველოს ეროვნული არქივი

ტაშს უკრავს, ყვირის, „მართალია, მართალიაო!“ კომუნისტები გაცეცხლდენ, იგინებიან, იმუქრებიან და სიტყვის გაგრძელებას არ აცლიან. საშა გეგეჭკორი გახელებული ყვირის: „თქვენ გორში დაგვიხოცეთ...“, „დიახ“ ართმევს სიტყვას გოგიტა: „თქვენ დაგვიხოცეთ ჩვენ გორში საუკეთესო ამხანაგები, ძველი რევოლიუციონერები, მაჩაბელი და კეცხოველი“. - „მართალია, მართალია! ზიზღი მაგათო!“ იძახის ხალხი. კომუნისტები სულ გახელდენ. გოგიტამ განაცხადა, ასეთ პირობებში ლაპარაკი შეუძლებელიაო. ხალხმა სტაცა ხელი და ოვაციით ჩამოიყვანა ტრიბუნიდან. მთელ ამ ამბავს ფილიპე გაყვითლებული უყურებდა და სიტყვა ვერ დაეძრა. იქიდან პირდაპირ სადგურში გავარდნილიყო და ქუთაისელ კომუნისტებთან ლაპარაკიც არ სდომოდა: „Вы меня оскандалили, дали какому-то мальчишке побить меня публично“-ო.

ქუთაისის მუშების და კომუნისტების შეტაკება მარტში. აქ მინდა ერთი ქუთათური ამბავი კიდევ მოგიყვეთ, თუმცა ის მარტში მოხდა, მარა ძლიერ დამახასიათებელია როგორც ჩვენი „ослабодитель“-ებისთვის, აგრეთვე მუშების სულისკვეთებისათვის. 18 მარტს მე ქუთაისში ვიყავი. ეს ხომ პარიზის კომუნის წლის თავია. წითელი ჯარის სარდლობამ და ქუთაისის კომუნისტებმა ამ დღეს გამართეს დიდი დღესასწაული. ბოლშევიკებს ჯერ ვერ მოესწროთ ჩვენი საპროფ. ორგანიზაციის დანგრევა. ჩვენებმა გადასწყვიტეს მიეღოთ მონაწილეობა, გამოსულიყვენ ცალკე, ჩვენი დროშებით და პლაკათებით. პავლე ბერიშვილს უნდა ეთქვა სიტყვა. უნდოდა გაეტარებია პარალელი პარიზის პროლეტარიატის ბრძოლის და ჩვენი ხალხის ბრძოლის შუა და შეედარებია რუსების შემოსევა პრუსიელების შემოსევას საფრანგეთში. დილით, როცა მუშები პროფ. კავშირების სახლში შეიკრიბენ და ეწყობოდენ გამოსასვლელად, შემოვიდა ვიღაც კომუნისტი და გამოაცხადა: „მე თანა მაქვს დროშები, ამ დროშებით უნდა გამოხვიდეთ და მე უნდა მომყვეთო“. მუშებმა უარი განაცხადეს - ჩვენ ჩვენი დროშები გვაქვსო. კომუნისტმა მოითხოვა - კრება გავხსნად და ვილაპარაკოთო რომელი დროშებით უნდა გამოვიდეთო. დასთანხმდენ. მარა როცა მუშებმა თავისი თავმჯდომარე აირჩიეს, კომუნისტმა პროტესტი განაცხადა - მე უნდა ვითავმჯდომაროო. ბატონი ბრძანდებიო - უპასუხეს მუშებმა ამ კურიოზულ პრეტენზიაზე. როცა დაინახა კამათიდან, რომ ვერას გახდებოდა, გამოაცხადა, Закрываю собрание, честные рабочие пойдут за мной-ო. მთელ ვეებერთელა დარბაზში მხოლოდ 3 „честные рабочие“ აღმოჩნდა. ამის შემდეგ მუშებმაც თავისი დროშებით იწყეს ქუჩაში გასვლა. არ გასულა რამოდენიმე წუთი, რომ მათ ცხენოსნები შემოერტყათ. მუშები გაცეცხლდენ, დაუწყეს გინება მოძალადეებს. ამათაც ხმლები იშიშვლეს და მუშები ისევ დარბაზში შერეკეს. პატარა ხნის შემდეგ დარბაზში მხეცივით შემოიჭრა რუსულ ჩეკას თავმჯდომარე და დაიღრიალა: „Рабочие! Клянусь памятью павших в этот день парижских коммунаров, что я утоплю вас в вашей же крови, если не опомнитесь“. (სიტყვა-სიტყვით ვიმეორებ მის ნათქვამს). ამ არგუმენტმა გასჭრა, მუშები დაიშალენ. ეს იყო პირველი შეხვედრა ჩვენ მუშებსა და მათ „გამანთავისუფლებელთ“ შორის.

ფილ. მახარაძე ბათომში. ეხლა დაუბრუნდეთ ფილიპეს მოგზაურობას. ქუთაისიდან რევკომის თავმჯდომარე ბათუმს ჩაბრძანდა. აქ ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, რადგან კრებას მომეტებულად რუსები და სომხები და-

საქართველოს ეროვნული არქივი

ესწრენ. აშკარად გამოსვლა აქ უფრო ძნელი იყო, რადგან ბათუმის თითქმის განუყოფელი გამკითხავი რუსის ჯარი იყო.

ფ. მახარაძე და გურია. სხვანაირად დახვდა საქართველოს ბოლშევიკურ მპყრობელს გურია. აქაც პარტიული ხელმძღვანელობა თითქმის სრულიად არ ყოფილა. მარა საკმარისი იყო კრებაზე ვინმეს ამოეღო ხმა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ მთელ ხალხს მისთვის მხარი დაეჭირა. კრებებს დიდი ხალხი ესწრებოდა, უნდოდათ გაეგოთ რას ეტყოდა ბოლშევიკების ლიდერი. მით უფრო იმპოზანტური იყო ის საერთო სიჩუმე და გულცივობა, რომლითაც ვეებერთელა ხალხი ხვდებოდა სოფლებში. ზოგან კი, თვით გლეხები რეპლიკებს აძლევდენ, სიტყვას აწყვეტიებდენ. ქუთაისის მაგალითიდ დაშინებული, სიტყვას აღარავის აძლევდენ ბ-ბი. რას ეუბნებოდა ხალხს ფილიპე? „თქვენ მოწამლული ხართ მენშევიკების მიერ, იცოდეთ არაფერი გაბედოთ, თორემ საშინელ საქმეს წაგკიდებთო“ - აი ამ ბრიყვ პოლიტიკოსის სიტყვების მოკლე შინაარსი: ამით ფიქრობდა ის გურიის ხალხის მოშინაურებას! ოზურგეთში სთქვა: „ძველი მთავრობა რაღაცას აპირებს. იცოდეთ - თუ რამე გაბედა და თქვენც მხარი დაუჭირეთ - იმ ჯარს არ გაკმარებ, რაც საქართველოშია, ორ იმდენს, ოთხ იმდენს, ას მილიონ ჯარს მოვიყვან და ქვას ქვაზე არ დავტოვებთო!“ (თითქმის სიტყვა სიტყვით გადმოგცემთ). რა თქმა უნდა, ასეთი მიმართვა ხალხზე იმის წინააღმდეგ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც ბ-ს სურდათ. გლეხები ამბობდენ - „გლახათ ქონია საქმე ამისი მწარეთ რომ იმუქრება და ჩვენდა ორ მილიონ ჯარს იმეტებსო!“

ქუთაისისებური სკანდალი გამეორდა გურიის ერთ სოფელში - ბახვში. აქ მსმენელთა შორის ფილიპეს მოხსენების დროს იყვენ კ. ქარცივაძე და შ. შარაშიძე. ფილიპემ იგინი შეამჩნია და თავის სიტყვაში, როცა მთავრობის გინება დაიწყო, სთქვა: „მე ვხედავ თქვენ შორის დაძრწიან ძველი მთავრობის აგენტები, ცრუ-სოციალისტები, რომლებიც ჭორებით ხალხს ატყუებენ და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენო“ და მოჰყვა ამათ გინებას. შემდეგ ილაპარაკა იმ „დამცირებაზე“, რომელიც ძველმა მთავრობამ ქართველ ხალხს და მის ეროვნულ გრძნობას მიაყენა, როცა ჩვენში ინგლისის იმპერიალისტები „შემოიყვანაო“. „მე მლაშე პატრიოტიზმით არ ვარ შეპყრობილი, მარა, როცა ჩვენში ინგლისის ვხედავდი, როგორც ქართველს, გული მიკვდებოდაო“. „ხომ ძლიერ გავიწროებდათ და შეურაცგყოფდათ ინგლისელი იმპერიალისტებიო?“ მიმართა ხალხს. სრული სიჩუმე . „შენ მითხარი, რომ მართალს ვამბობო?“ დაადებს ხელს ერთ ახლო მდგომ გლეხს. სიჩუმე. „შენ მითხარიო“, მიმართავს მეორეს. სიჩუმე.[145] მესამეს ჰკითხავს - ისიც სდუმს. „ჰო, ეხლა კი მივხვდი, ისტერიულად შესძახებს: თქვენ ყველანი მოწამლული ხართ მენშევიკებისაგან. თქვენ თავი უნდა გაგიჩეხოთ და ძალით ჩაგიდვათ შიგ კომუნიზმი და მაშინ მოჭკვიანდებითო“ და სხვა მრავალი ამგვარი. მოხსენება რომ გათავდა შარაშიძემ და ქარცივაძემ სიტყვა ითხოვეს. თავმჯდომარემ უარი სთქვა - გვეჩქარებაო. ხალხმა იგრიალა: „მიეცით,

145 მიტინგის შემდეგ შალვამ ერთ ამ გლეხთაგანს ხუმრობით ჰკითხა: „რატომ შეარცხვინე იმოდენა კაცი, რატომ არ დაემოწმეო“. იმანაც უპასუხა: „ინგლისის ჯარისკაცები ჩვენ ბავშვებს საცა ნახავდენ შოკოლადს ურიგებდენ, მტრის მოყვანილი რუსები კი ძროხებს გვიკლავენ. სულს რავა წავიწმედდი, რავა ვემოწმებოდიო!“

საქართველოს ეროვნული არქივი

მიეცითო". მაშინ თავმჯდომარე აცხადებს: სიტყვას ვერ მივცემთ, გლეხებს შეუძლია შეკითხვით მიმართონ ამხ. მახარაძესო. ერთი გლეხი ხელს სწევს - შეკითხვა მინდაო. „ჩემი შეკითხვა იმაში მდგომარეობს - მისცემთ თუ არა სიტყვას იმ ამხანაგებს, რომ ითხოვესო", კვლავ ყვირილი: „მიეცით, მიეცით!" ბოლოს შალვას აძლევენ სიტყვას ერთის წუთით წესრიგისათვის. „ფ. მახარაძემ აქ ორი კაცი გაგვლანძღა უსაბუთოდ და უსაბაბოდ. შეძლება უნდა მოგვეცეს პასუხი გაგვცეთო" - ხალხი კვლავ ყვირის: „მართალია! მართალიაო!" აქ ფილიპე გიჟივით წამოვარდება და ყვირის: „შეხედეთ ამ უტიფრებს, როგორ ბედავენ! ჩვენ ხალხის მტრებს და გამყიდველებს სიტყვას ვაძლევთო. შენ არ იყავი, ვაჟბატონო, (მიმართავს შალვას) რომ იცინოდი შარშან, რაც თქვენი ხულიგანი მუშები 1 მაისს კომუნისტურ დროშებს ხევდენო!" „Правда, правда, Филипп, я сама видела."- კივის მახარაძის ცოლი, რომელიც მას გვერდში უდგას. შემდეგ ისტერიით შეპყრობილი „მთავრობის თავმჯდომარე" მიმართავს კ. ქარცივაძეს: „შენც გიცნობ ვაჟბატონო: ხელზე და შუბლზე გეტყობა ვინცა ხარო". კ-მ უპასუხა: „მე ხელი ქართველი ხალხის სისხლში არ მაქვს გასვრილი და არც შუბლზე მაცხია სისხლიო". მთელი მიტინგი ერთხმად დასძახებს: „მართალია, მართალიაო!" აქ ისეთი აღშფოთების ყიჟინი ატყდა, რომ ფილიპე თავისი ამალით უსიტყვოდ მივარდა ავტომობილს და ოზურგეთისაკენ გაემართა.

ასე დაწვრილებით იმიტომ მოგიყევით ეს ამბები, რომ მინდოდა მეჩვენებია თუ როგორი იყო პირველსავე კვირეებში ხალხის სულისკვეთება და რა ცოტა რამ იყო საჭირო ჩვენი, პარტიის, მხრით, რომ ამ სულისკვეთებისათვის გაცილებით უფრო რელიეფური გამოხატულება მიგვეცა. მარა, მაშინ მაინც, პარტია მოკლებული იყო საშუალებას მწყობრი კამპანიები ჩაეტარებია და საქართველოს სხვა და სხვ. კუთხეებში გამოსვლებისათვის ეხელმძღვანელნა. ეს ვერც მაისისათვის შევძელით. აქაც ადგილობრივი ორგანიზაციები Оказались предоставленными самим себе.

რეპრესიები 1 მაისის წინა დღეებში. პირველი მაისის წინა დღეებში დაიწყო მასიური რეპრესიები დასავლეთ საქართველოში. მარა ეს რეპრესიები გამოწვეული იყო არა 1 მაისის მოლოდინით, არამედ ფილიპეს მოგზაურობის შედეგებით. გაბრაზებულ ფილიპეს ადგილობრივ რევკომებისათვის (ქუთაისის, გურიის, ბათუმის, სამტრედიის) დაეტოვებია ინსტრუქცია - როცა ის ტფილისში დაბრუნდებოდა, დაეჭირათ ყველა ცნობილი მენშევიკები (ეს საქართველოს რევკომს არ სცოდნოდა). ჭერა დაიწყო ქუთაისში. აქაურმა ბ-ბმა საქმე პროვოკაციით დაიწყეს. ესროლეს ბომბა საშა გეგეჭკორს, ბომბა, რომელსაც არავისთვის ზიანი არ მიუყენებია. მეორე დღეს ქუთაისის გაზეთმა დასწერა: „მენშევიკებმა დაიწყეს თეთრი ტერორი, ეხლა ჩვენი ჯერია: წითელი ტერორი უნდა დავიწყოთო". მარა პროვოკაცია იმდენად უხეშად იყო მოწყობილი, რომ ტფილისის ბ-ბს შერცხვათ. გაზეთში ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ მოათავსეს, ხოლო ფ. მახარაძემ ჩვენს დელეგაციას (ისიდორეს მეთაურობით), რომელმაც მას უდანაშაულოდ დაჭერილ ამხანაგების გაშვება მოსთხოვა, უპასუხა: „მეც მგონია, რომ ქუთაისის ამბავს პროვოკაციის სუნი უდის. ვუბრძანე, ამ მხრით აწარმოონ გამოძიება. თქვენი ამხანაგები ამ საქმისთვის არ არიან დაჭერილები; მათ საქმესაც გამოიძიებენ და გაანთავისუფლებენ მალეო". ამ ბომბის შესახებ

საქართველოს ეროვნული არქივი

„კომუნისტმა“ მოათავსა ჩვენი ც. კ-ას განცხადება, რომელსაც წაიკითხავდით. ეს იყო ერთად ერთი ცნობა, რომელიც გამოქვეყნდა ტფილისში ქუთაისის ამბების შესახებ. ქუთაისში, ბათუმში, გურია-იმერეთში დაატუსაღეს 1500 კაცზე მეტი. ერთ კვირაში დაიწყეს დაჭერილების განთავისუფლება (მაისის 5-10-ს). ყველაზე უწინ გაანთავისუფლეს კირილე ნინიძე და ნიკიფორე იმნ. შემდეგ ჩვენები, გარდა 30-40 კაცისა. მას შემდეგ ზიან (ეხლა ყველანი ტფილისში, მეტეხში) გიზო, გოგიტა, ზაქარია, ლადო ჯიბლაძე და კიდევ რამდენიმე კაცი. გრიშა და პარმენი უფრო გვიან დაიჭირეს (სოფელში).

მაისობა ტფილისში და პროვინციაში. ამ ჭერამ, რომელიც პირველი მაისის წინა დღეებში მოხდა, შეძლება წაართვა ორგანიზაციებს მაისობაში ამა თუ იმ სახით გამოსულიყვენ. ბათუმში, მაგალითად, ყველა ხელმძღვანელი ამხანაგები დაჭერილი იყვენ. ქალაქებში თავისთავად გატარდა ბოიკოტი. ამავე გზას დაადგა ტფილისი. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ჩვენს სახეს ვერ გამოვაჩენდით მანიფესტაციაში, რადგან რუსის ჯარში ვიქნებოდით მომწყვდეული და ჩვენი მონაწილეობა ბეკებს მისცემდა თვითრეკლამის საშუალებას. ამას გარდა, მაშინ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ვიდღესასწაულებდით ამა თუ იმ სახით 26 მაისს, იმის მზადებაში ვიყავით, რომ ამ დღისთვის მიგვეცა რაც შეიძლება იმპოზანტური ანტიბოლშევიკურიხასიათი.ამიტომმაისობაშიარგვინდოდადაგვეხარჯაიმდენი ენერგია და მიგვექცია ამ დღისათვის ხალხის განსაკუთრებული ყურადღება. გადავწყვიტეთ - შევკრებილიყავით ძმათა სასაფლაოზე და პირობების მიხედვით აღგვენიშნა პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაული. ბოლშევიკებმა იცოდენ, რომ ჩვენ მუშებს არ მოუწოდეთ მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ ისინი განსაკუთრებულის ენერგიით - ძალით ერეკებოდენ ხალხს. ყველა დაწესებულებებში (ზოგან წერილობითი განცხადების სახით[146]) გამოაცხადეს, ვინც არ მოვა 1 მაისს ვოენრევტრიბუნალს გადაეცემაო. ამანაც არ გასჭრა. 1 მაისი ტფილისში უბადრუკი და სასაცილო რამ იყო. მუშები თითქმის სულ არ გამოსულა. ქართველს ხომ ვერ დაინახავდი პროცესიაში, გარდა ჩვენი ზოგიერთი როსკიპი პოეტებისა (რობაქიძე, იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. მაყაშვილი), რომლებიც, რაღაც უშნო და ულაზათო „колесниц“-ებში ტაკი-მასხარების როლში დასეირნობდენ. მთელი რკინის გზისა და სახელოსნოებიდან 50 მუშაც არ იყო. ასევე სხვა დარგებიდან. მიტინგებს რუსთაველის პროსპექტზე უსმენდა 100-150 კაცი - რუსები და სომხები. ბლომათ იყო რუსის ჯარი. ამ დღეს წითელ არმიელებს ვედროებით ურიგებდენ ნაფარეულ-თელიანს.

სამაგიეროთ ჩვენი დემონსტრაციაც არ შესდგა. ძმათა სასაფლაოსთან დაგვხდა მილიციონერები და არ მოგვცეს შეკრების საშვალება.

2 მაისს ერევნის მოედანზე გამართეს ჯარების აღლუმი (випуск курсантов в „красни командиря“). ორჯონიკიძემ დიდის პომპით და ცერემონიით დაასა-ჩუქრა „წითელი დროშის“ ორდენით მე XI არმიის უფროსი გეკერი და ვიღაც რუსი ინვალიდი საქართველოს კამპანიისათვის. ამავე დროს ტფილისის

146 ერთი ასეთი განცხადება მე გამოვაგზავნე აქეთ წერილთან ერთად, მარა სამწუხაროდ ვერ მოაღწია სტამბოლამდი, როგორც აგრეთვე ჩემმა მეორე წერილმა, რომელშიაც, სხვათა შორის, ქუთაისის მოლაპარაკების ზოგიერთი დოკუმენტი იყო.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუჩებში გამოკრული იყო რადიო, რომლითაც რევკომი ქვეყანას ეფიცებოდა - საქართველო რუსის ჯარს არ დაუპყრია, აჯანყებულმა ხალხმა გადააგდო მთავრობაო!

პროვინციაშიც ისევე ეფერულად ჩატარდა 1 მაისი, როგორც ტფილისში. აქაც ჩვენი ხალხი დღესასწაულს არ დასწრებია. გურიის ერთ-ერთ სოფელში (თუ არ ვსცდები აკეთში) მოხდა საინტერესო ინციდენტი. გურიის რევკომის თავმჯდომარემ (ვიღაც ანდრო დოლიძე) ხალხს წინადადება მისცა მიეღო რეზოლიუცია, რომელშიაც საქართველოს მშრომელ ხალხს უნდა მოეთხოვა ევროპის პროლეტარიატისათვის „მოღალატე" ჟორდანია მისი მთავრობითურთ საქართველოში დააბრუნოს განსაკითხავად. ამის გაგონებაზე ხალხი საშინლად აღშფოთდა. გლეხებმა მიიწია შეიარაღებულ ბოლშევიკებისაკენ და კინაღამ მარცხი მოხდა. დოლიძე გაიქცა. ამის შემდეგ ამგვარი რამე აღარსად გაუბედავთ ბ-ებს.

26 მაისი. 26 მაისს ხალხი დიდის ამბით ელოდა, როგორც ტფილისში, აგრეთვე პროვინციაში. ათასი ხმა გავრცელდა - ჟორდანიამ მოიწერა რაც არ უნდა დაჯდეს 26-ს გამოდითო, ხან ამბობდენ უიარაღოთ, ხან იარაღითო. სამწუხარო კურიოზი: ამ ფანტაზიის მსხვერპლი გახდა მანგლისის ქართველი გლეხები. ჰგონებიათ - 26 მთელს საქართველოში აჯანყება იქნება, ევროპიდანაც მოგვეშველებიან ამ დღისთვისო და მანგლისის გლეხები, რომლებიც სულ ააწიოკეს რუსებმა (ადგილობრივმაც), დასცემიათ ამ უკანასკნელთ. მეორე დღეს დაჭერილები ჩამოიყვანეს ტფილისში. ჩვენ გვინდოდა ამ დღეს მთელ საქართველოში - ქვეყნის დასანახავათ - დიდი მანიფესტაციები მოგვეხდინა - რა თქმა უნდა უიარაღოთ.

დავიჭირეთ კონტაქტი სხვა პარტიებთან: ნ. დ-ან, ზომიერ ფედერა-ლისტებთან, სხიველებთან. ბოლშევიკებმა იგრძნეს, რომ მთელი ხალხი შეპყრობილი იყო სურვილით ამ დღეს რამე არა ჩვეულებრივი ჩაედინა და დე-მონსტრაციის ჩასამალად გადასწყვიტეს თვით აეღოთ ხელში დღესასწაულობის ინიციატივა (ლენინმა დეპეშით მიულოცა ტფილისის რევკომს ეს „გონივრული ნაბიჯი"). სწერდენ - ეს დღე უნდა გადავაქციოთ დღესასწაულად ქართველი ხალხის განთავისუფლებისა მენშევიკების და ანტანტის ბატონობისაგან და ნამდვილი დამოუკიდებლობის, რომელიც თებერვალში დამკვიდრდაო. ლოზუნგი იყო: დღესასწაულის მთავარი ტონი და შინაარსი ანტიმენშევიკური უნდა იყოსო. ამან რა თქმა უნდა შესცვალა მდგომარეობა. ჩვენ მაინც გვქონდა იმედი შევიძლებდით ვაკეში გასვლას და იქ, ბოლშევიკურ მანიფესტაციის დამოუკიდებლივ, დემონსტრაციის მოხდენას. მარა გამოირკვა, რომ ვაკეში ხალხს არ გაუშვებდნენ, ქალაქი ჯარით იქნებოდა გაკრული და მანიფესტაცია ამ ჯარს შუა მოქცეული. ასეთ პირობებში მაისის 18-20 გადავწყვიტეთ ბოიკოტისათვის მიგვემართა. ესევე იყო ზემოაღნიშნული პარტიების გადაწყვეტილებაც. 20-ს თუ 21 მაისს დაიწყო პირველი მასიური ჭერა ტფილისში. ხელი არ ახლეს მხოლოდ სილიბისტროს და ისიდორეს. დანარჩენი, ვინც დამალვა ვერ მოასწრო, სუყველა დაიჭირეს. იჭერდენ მომეტებულად ქუჩაში (ლეო რუხაძე, ბ. თებზაია, პ. ბერიშვილი, მე და კიდევ რამოდენიმე ამხანაგი იმ დღიდან არა ლეგალურ მდგომარეობაზე გადავედით).

საქართველოს ეროვნული არქივი

26 მაისის წინა დღეებში გამოუშვეს დეკრეტი, რომელმაც გააუქმა ჩვენი ღერბი და დროშა, სასტიკად აკრძალეს დროშის გამოტანა, დაავიწყდათ ჰიმნის აკრძალვა. რუს-ქართველი კომუნისტები დიდმა შიშმა შეიპყრო. ხალხს იმდენათ მოწყვეტილი არიან, ისეთი იზოლიაციაა გატარებული ქართველებსა და მმართველთ შორის, რომ კომუნისტები მართლა მოელოდენ აჯანყებას და გაფაციცებით ემზადებოდენ თავდაცვისათვის, მაშინ როდესაც არავინ აჯანყებაზე არ ფიქრობდა და მთელ ქართველობას ბოიკოტი ჰქონდა მიღებული. 25 მაისს საღამოდან შეუდგენ ქალაქის გამაგრებას, მრავალ პუნქტებში ტყვიის მფრქვეველები დასდგეს, მთელი რუსის ჯარი ფეხზე დააყენეს. ღამე ქალაქი სამხედრო ბანაკს მოგაგონებდა: ყოველ ქუჩაში ქვეითი და ცხენოსანი პატრულები დადიოდა, საომრად გამზადებულ ჯარს არ სძინებია. თქვენ იცით - როგორ ჩატარდა „დღესასწაული". ბოიკოტის ამბავი მსწრაფლ მოედო ქართველობას და შესანიშნავი ერთსულოვნობით გატარდა. არამც თუ პროცესიაში, ქუჩაში ვერ ნახავდი ქართველს. თან წინ ღამის სამხედრო მზადებამ რუს-სომხები დააშინა და ამათ ვერ გაბედეს ქუჩაში გამოსვლა. მე ისეთ სახლში ვიყავი, საიდანაც რუსთაველის პროსპექტი მშვენივრად ჩანდა. წარმოიდგინეთ, **ტროტუარზეც** არ იყო ხალხი, არ იყო იმის მე5ედიც, რაც ჩვეულებრივ დადის ხოლმე. დაცალიერებულ ქუჩებში დადიოდა რუსის წითელ არმიელები. ვორონცოვის მოედანზე დაუდგეს ძეგლი მარქს. აქ შეეყარათ თავი კომპარტიის წევრებს - იქნებოდა 150-200 კაცი. მახარაძემ სიტყვა სთქვა. შემდეგ ესევე ხალხი ავიდა თავისუფლების მოედანზე, აქაც ილაპარაკა მახარაძემ. იქიდან ავტომობილით მივიდა სახ. თეატრთან, მარა კომუნისტებს მოსვლა ვერ მოესწროთ, სხვა ხალხი კი არ იყო და სპეციალურად მოწყობილი ტრიბუნა გახუნდა. თვით კომუნისტები აღიარებდენ, რომ ეს მათთვის სასკანდალო დღე იყო. ქართველობის ერთსულოვანმა დემონსტრაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელებზე. საღამოს თეატრებში მოვიდა. ყველგან (სახაზინოში, დრამის, სახალხო სახლის თეატრში) ინტერნაციონალის დაკვრის შემდეგ ხალხი ითხოვდა ქართულ ჰიმნს და იძულებული იყვენ შეესრულებიათ კიდეც (სახალხო სახლში 4 ჯერ გაამეორებიეს). ასევე ჩატარდა 26 მაისი დანარჩენ ქალაქებში. მხოლოდ გურიაში, ოზურგეთში და ზოგიერთ სოფლებში, ხალხმა შესძლო დღესასწაულობის ინიციატივა წაერთვა ბოლშევიკებისათვის. ოზურ-გეთში მოვიდა გლეხები უახლოეს სოფლებიდან ეროვნული დროშებით, გამართეს მიტინგი, რომელზედაც გიორგი მერვანიძემ ილაპარაკა. მოვიდენ კომუნისტები (შეიარაღებული). მოინდომეს დროშის წართმევა, მოხდა შეხლა-შემოხლა, დროშა ჩვენებმა დაინარჩუნეს, მარა ორი-სამი კაცი დაიჭირეს.

ორგანიზაციების აღდგენა. ჩვენი ამხანაგების დაჭერა, ტფილისში, განსა-კუთრებით მოწინავე მუშების, რა თქმა უნდა, დიდათ დაეტყო ორგანიზაციულ მუშაობას. დაჭერილების უმრავლესობა 3 კვირაში გამოუშვეს, მათ შორის ანანია, რომელსაც ხელში ჰქონდა ორგანიზაციების დამაკავშირებელი ძაფი. ერთხელ დაწყებულ საქმის აღდგენა ადვილი გახდა. ივნისში განახლდა ყველა ორგანიზაციები. გადაწყდა პარალელურ, სამ წყება, ორგანიზაციების შექმნა. პირველი თუ დაირღვა დაჭერით, მის ადგილს დგება მეორე, სათადარიგო, მეორეს ადგილას - მესამე. როგორც ცენტრში, აგრეთვე ადგილობრივ, ხელმძღვანელ

საქართველოს ეროვნული არქივი

ორგანიზაციასთან არსებობს საინფორმაციო და სამხედრო განყოფილება: პირველი თავშეყრის თავის რაიონის საინფორმაციო მასალას და აწვდის მას ცენტრს, მეორე მხრით აწვდის ამხანაგებს და ხალხს აქედან ცენტრის საშვალებით მიღებულ ცნობებს. იგივე ორგანიზაცია უყრის თავს ცნობებს მტრის ბანაკიდან, კომპარტიიდან, პოლიტიკურ და სამხედრო დაწესებულებებიდან. სამხედრო განყოფილების მიზანია შეიარაღებულ მებრძოლთ ორგანიზაცია და ჯარში მუშაობა.

სამხედრო ორგანიზაცია. მოგეხსენებათ, რომ იარაღი ხალხში აუარებელია, არის ტყვიის მფრქვეველებიც. ზოგან, როგორც გურიაში, სამხედრო ორგანიზაცია (боевая организация) ჩემი წამოსვლისას კარგად იყო მოწყობილი. ყოველ სოფელში დანიშნულია რამოდენიმე კაცი, იარაღის მქონე, ყოველი ჯარისკაცი ან გვარდიელი, ესენი საჭიროების თანავე ერთმანეთს მონახავენ და ერთბაშად შეადგენენ ჯარის ნაწილს. სრულიად ბუნებრივად, ეს ორგანიზაცია გვარდიის ორგანიზაციას ეფარდება და დიდ ნაწილს დანიშნულ ხალხისა შეადგენენ ყოფილი გვარდიელები. ზოგიერთი კუთხეებში არის უკვე „გადავარდნილი" ჯგუფები, რომლებიც ჯერ მხოლოდ თავის შენახვას ფიქრობენ და აქტივობას არ იჩენენ, თუ თავზე არ დაესხმება კომუნისტები. ასეთებია გურიაში ალფესი გოგუაძე, მუხაშარია, მათითაიშვილი და სხვ. (ამ უკანასკნელს ივნისში დაეცა ჩეკისტები, ჰქონდათ სროლა, დაიჭრა ერთი ჩეკისტი), ახალციხის მაზრაში - გიორგი ხიმშიაშვილი. სამხედრო ორგანიზაცია ეწევა მუშაობას ჯარში, რასაც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ნაც. დ-ი და ჯარი. გეცოდინებათ, რომ ნაციონალ დემოკრატების ლიდერების მუშაობა ბოლშევიკების წინააღმდეგ კი არა, სავსებით ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული. იგინი ცდილობენ კარგი განწყობილება დაიჭირონ ბ-ბთან, თავი შეინახონ და თან მოამზადონ გადატრიალების დროისათვის ის სოციალური ძალა, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ დაეყრდნობიან და ძალაუფლებას თუ სავსებით ხელში ვერ ჩაიგდებენ, ამ რეალური ძალის საშვალებით უნდა გვაიძულონ მთავრობაში დიდი გავლენა მივცეთ. ეს არის ასათიან-კედიას მუშაობის შინაარსი. იგინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჯარს (ქართულს), ჯარში კი ოფიცრობას. ჯარის კაცების მიმხრობის იმედი არა აქვთ, სამაგიეროთ იმედი აქვთ ოფიცრების მიმხრობის და მათი საშუალებით საჭირო დროს, მთელი ჯარის თავის იარაღად გახდის. უნდა გითხრათ, რომ ქართული ჯარის ოფიცრობა ეხლა გაცილებით უფრო ანტი სოც.-დემოკრატელია, ვინემ ჩვენ დროს იყო. ბ-ი ჯარს აშორებენ ყველას, ვისაც ჩვენი პარტიის თანაგრძნობას სწამებენ, სამაგიეროთ ჩააყენეს ჩვენ მიერ შტატს გარეშე დატოვებული ოფიცრები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ნ. დ. გაჰყვებიან. ნ. დ. მთავარი მუშაობა მიმართულია ოფიცრობის მიმხრობისა და მათში ორგანიზაციის შექმნისაკენ, რომელმაც გადატრიალების დროს დიდი როლი უნდა ითამაშოს და პარტიას ძალა უფლებისაკენ გზა გაუკაფოს. ამიტომ ჩვენები, უკანასკნელ დროს მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჯარში მუშაობას, ჩვენი თანამგრძნობ ოფიცრების დარაზმვას და ჯარის კაცებში ორგანიზაციების შექმნას.

სხვა პარტიები და ჩვენ. ეხლა რამოდენიმე სიტყვა სხვა პარტიებთან დამოკიდებულებაზე. თედო ღლონტის ჯგუფზე ლაპარაკი ზედ მეტია. ესენი

საქართველოს ეროვნული არქივი

არიან რევკომის აგენტები, მისგან ფულს იღებენ და ემსახურებიან За страх и за совесть. ფედერალისტების კონფერენციაზე ივნისში, საცა ესენი უმცირესობაში აღმოჩნდენ და პარტიიდან გავიდენ, წაკითხული იქნა თ. ღლონტის წერილი ფ. მახარაძისადმი, სთხოვდა რამდენიმე მილიონს თავისი ჯგუფისათვის. „სოც.-ფედ." გიგზავნიდით და წაიკითხავდით - თუ რას სჩადიან ეს ვაჟბატონები. ამათზე უფრო სამარცხვინო და საზიზღარი როლი არავის ეთამაშა ჩვენში. მეორე ჯგუფი ფედერალისტებისა, როგორც ყოველთვის რეაქციის დროს, ინიციატივას და ენერგიას ვერ იჩენს, ხალხში ყოველივე გავლენას მოკლებულია.

ესერების ლიდერები (შენგელაია, ვანო გობეჩია და რამოდენიმე კაცი) ბ-ბს მიემხრენ, ჩვენ პროგრამას ახორციელებენ და მხარს დავუჭერთო. ამავე დროს, ამათი მიმყოლი ინტელიგენტები (მაგ. მასწავლებელი ჩიგოგიძე) ბოლშევიკების წინააღმდეგ გვარიან ენერგიულ ოპოზიციას აწარმოებენ.

ნაციონალ-დემოკრატებზე ზევით მოგახსენეთ. დაუმატებ მხოლოდ, რომ თუ საქართველოში არის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც კატეგორიული უარყოფით არ ექცევა ბ-ებს, ეს არის ნ. დ-ის ამალა, ჩვენი ე. წ. ბურჟუაზია, საგარეო ვაჭრობაში მომუშავე. (მარა ამაზე მოხსენების მეორე ნაწ-ში). ამავე დროს საქართველოში დარჩენილი ლიდერები პარტიისა დემოკრატიულ მთავრობას არ სცნობენ. მათთან არავითარი საქმის დაჭერა არ უნდათ და ჩვენ პარტიასთანაც საკონტაქტო მუშაობას არ ეტრფიან.

სხიველები თქვენი წამოსვლის შემდეგაც, ერთ ხანს მაინც, ხელმძღვანელობდენ ოპოზიციას ჩვენს ლანძღვა-გინებაში. ამასთანავე, მათ ჩვენთან შედარებით თითქმის სულ არ სდევნიდენ ივლისამდე. კირილე და ნიკიფორე მხოლოდ რამდენიმე დღით იყვენ დაკავებული გურიაში. გაზეთის ნებაც მისცეს, პროფ. კავშირებშიც უფრო უშვებენ. ამ პირობებმა შექმნა მათში ილიუზია - თითქოს გაძლიერდენ და ჩვენი მასის დიდ ნაწილს მიიმხრობენ. მაგრამ ეს ილიუზია ჩემის ღრმა რწმენით და შთაბეჭდილებით გაქარწყლდება იმავე დღეს, როცა ჩვენ თავისუფლად გამოსვლის შეძლება მოგვეცემა. მას შემდეგ, რაც სხიველებს გრ. გიორგაძე ჩაუდგა სათავეში (კირილე აპრილის შემდეგ, შეიძლება დაჭერის შიშით, აქტივობას არ იჩენდა). იგინი უფრო თავდაჭერილად იქცეოდენ ჩვენს მიმართ და მათთან ლაპარაკიც შესაძლებელი გახდა. მაისის დამლევს გაიმართა მოლაპარაკება სხიველებთან, ფედერალისტების ზომიერ ჯგუფთან და ნ. დ-თან ინტერპარტიულ ორგანიზაციის შედგენის მიზნით. ინიციატივა ჩვენი იყო. ფედ. და სხიველები თანაგრძნობით შეხვდენ, ხოლო ნ. დ. ისეთი პირობები წამოაყენეს, რომლებზედაც ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. პირობა უნდა დაგვედო, რომ დამფ. კრება მეტს არ შეიკრიბებოდა, რომ შედგებოდა კოალიციური მთავრობა, რომელშიაც ნახევარს შეადგენენ სოც. პარტიები, ნახევარს არა სოციალისტური, ე. ი. - ნ. დემ-ბი. მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა. როგორც უკანასკნელად მოსული ცნობები ამტკიცებს, ნ. დ.-ები ისევ ამ პოზიციას ადგანან. თუ ლიდერები ცენტრში (კედია, მაჭავარიანი, ასათიანი, გვაზავა) შეურიგებელ პოზიციას ადგანან, პროვინციის მოღვაწეები, ხალხის სულისკვეთების გავლენის ქვეშ, სხვა ჭკუაზე არიან; აქ დიდი ხნიდან კონტაქტია ჩვენსა და მათ შორის. ბათუმში მაგალითად, ნ. დ. ძლიერ ენერგიულად მუშაობდენ ჩვენთან ერთად სტამბოლთან კავშირის აღსადგენათ და როცა

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩვენები დაიჭირეს, ამათი საშუალებით გაიბა კავშირი ტფილისსა და სტამბოლს შუა, ამათ საშუალებით იგზავნებოდა და მიდიოდა კორესპონდენცია. მეც მაგათ მომიწყვეს გამოქცევის საქმე.

***

ამხანაგებო! მე ძლიერ ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ამ ორ-სამ კვირაში მაინც, გინახულოთ და პირადათ გადმოქცეთ რაც ამ მოხსენებაში გამომრჩა და რაც თვითეულ თქვენგანისათვის ინდივიდუალურად საინტერესო იქნება. განსაკუთრებით მინდოდა მეგრძნობინებია თქვენთვის ის სულისკვეთება, რომელიც იქ მომუშავე ამხანაგებში სუფევს. მუშაობა ძლიერ მწყობრად, ერთ-სულოვნად, უინტრიგოთ „ურაზლადოთ" სწარმოებს. საშინელმა კატასტროფამ, ამოდენა მტრების ყოველ მხრიდან ჩვენ პარტიაზე თავდასხმამ, როცა ის დევნილი, უფლება აყრილი, მატერიალურ სახსარს მოკლებულია, მჭიდროთ შეაკავშირა ყველანი და ერთი სურვილით, ერთი ნებით გამსჭვალა: ჩვენი პარტიის პრესტიჟის აღდგენა, მისი ძალების კვლავ შემოკრება და მისი საშვალებით ჩვენი ხალხის გადარჩენა. ამ პირობებმა აიძულა ამხანაგები დროებით დაევიწყებიათ ახლო წარსული, ის დიდი შეცდომები, რომლებიც ჩვენი პარტიის მოღვაწეობაში იყო და რომელთაც იქაურების საერთო აზრით უნდა მივაწეროთ მომხდარი კატასტროფა. თვითკრიტიკის ეხლა არც შეძლება, არც სურვილი აქვთ ჩვენებს საქართველოში. აქ პარტიული მასაც და ხალხიც საოცარ გონიერებას იჩენს. წარსულის კრიტიკა გადადებულია უკეთეს დროისათვის, მარა ერთის შეგნება კი საერთოა ყველა ჩვენს მოწინავე ამხანაგებში. თუ ჩვენვე არ გავითვალისწინეთ ჩვენი წარსული შეცდომები, თუ ჩვენვე არ შევისწავლეთ მათი მიზეზები და ჩვენვე **საჯაროთ არ ვაღვიარეთ იგინი,** გაბედული თვითკრიტიკა არ ვაწარმოეთ და წარსულის მწარე გაკვეთილები არ გამოვიყენეთ, - ჩვენი პარტია გავლენას დაჰკარგავს, ხალხს ჩამოიშორებს და ქვეყნის საქმეც ცუდათ წავა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებიან ჩვენთვის საშიშნი სხიველები და სხვა მტრები. ამიტომ, იქაურ ამხანაგებს იმედი აქვთ, რომ რასაც იგინი ეხლა ვერ იზამენ, თქვენ შეასრულებთ აქ: გაითვალისწინებთ წარსულ შეცდომებს, გამოიკვლევთ მათ მიზეზებს, დაამზადებთ მასალას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში, სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ პარტია გავაჯანსაღოდ, მისი მოღვაწეობა მკვიდრსა და საღ ნიადაგზე დავაყენოთ.

***

ორიოდე სიტყვა კიდევ ჩვენს იქაურ მუშაობაზე. ჩვენი პოლიტიკური მუ-შაობის შინაარსი საქართველოში ძლიერ მჭლეა: პრაპაგანდა აგიტაცია ჩვენს ხალხს არ ეჭივრება: თვითეული მუშა, თვითოეული გლეხი უფრო საფუძვლიანად და მოხდენილათ გააკრიტიკებს ბოლშევიკურ რეჟიმს ჩვენში, ვინემ ამას ჩვენ აქ დაწერილს და აქედან გაგზავნილ კრიტიკულ წერილში შევძლებთ. ბოლშევიზმით აღშფოთება და მისი გადაგდების სურვილი ქართველ ხალხში საერთო და ურყევია. ხალხს კარგად ესმის, რომ აქტიური, შეიარაღებული ბრძოლის დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საამისოდ ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნება საქართველოს გარეთ, რუსეთში და საერთაშორისო

საქართველოს ეროვნული არქივი

სფეროში. ამიტომ ხალხი დაყურადებულია აქეთ, ევროპისაკენ, თქვენსკენ და ჩვენსკენ. ის ერთ სიტყვასაც არ უჯერის ბოლშევიკების „ტრუ-კავროსტებს“ და „ცენტრო-ფეჩატებს“. ის წამ-და უწუმ კითხულობს - რას იწერება ნოე ჟორდანია, რომ ამბავი მოდის ჩვენი მთავრობიდანო. ჩვენი მუშაობის უმთავრესი შინაარსი უნდა იყოს „ტრუ-კავროსტებს“ დაუპირდაპიროდ ნამდვილი, საღი ინფორმაცია და ხალხს პოლიტიკურ ინტერესს მასალა მივცეთ. ამას ჩვენი ამხანაგები საქართველოში შესძლებენ, თუ ჩვენ აქედან მივაწოდეთ ცნობები. ამ მიზანს ემსახურება აქაური გაზეთი, მარა ის ძლიერ კოჭლობს და ამის მიზეზი აქაურები კი არა, თქვენ, ევროპაში მყოფები, ხართ. ამ გაზეთში უნდა იყოს უმთავრესად ცნობები, ინფორმაცია: 1) ცნობები იმის შესახებ თუ რას აკეთებს ჩვენი მთავრობა ევროპაში ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი მომავლისათვის. 2) რა ხდება ქვეყანაზე, რა ხდება ევროპაში, მცირე აზიაში, საერთაშორისო ურთიერთობაში. აქ უნდა იყოს „სვოდკები“, რომლებიც მოკლედ გააცნობს საქართველოს მკითხველს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების უმთავრეს ფაქტებს და მოვლენებს. ამას აქაურები ვერ შეასრულებენ, ყოველ შემთხვევაში, თქვენ უკეთ შეასრულებთ და მაქედან უნდა გზავნოთ გაზეთისათვის ყოველ კვირაში ამგვარი სვოდკები.

რაც შეეხება ჩვენი მთავრობის მუშაობას, ამის შესახებაც აქ უნდა მოდიოდეს არა ნედლი მასალა, არამედ გამზადებული ცნობები. მაგალითი, ივლისის დამდეგს დაიწყო ნოეს მოგზაურობა. ამის შესახებ აქეთ შევიტყვეთ გაზეთებით და იძულებული ვიყავით „თავისუფალ საქართველოისთვის“ ბელგიის და გერმანიის გაზეთების მასალით შეგვედგინა მოგზაურობის აღწერილობა. შემდეგ მიღებული კერძო წერილებით და ნოეს მიმართვიდან კიდევ ახალი ცნობები შევიტყვეთ და დავრწმუნდით, რომ მოგზაურობის გაცილებით უფრო იმპოზანტური ხასიათი ჰქონდა მეტი შედეგი მოჰყვა, ვინემ ეს გაზეთებიდან ჩანდა. თქმა არ უნდა, მაქ შეიძლებოდა უკეთესი, უფრო სავსე და ქართველი მკითხველის მოთხოვნილებას შეგუებული აღწერის შედგენა. ჩემი რწმენით, ამაებს დიდი მნიშვნელობა აქვს და გაზეთს მანდაურებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ.

წრფელი ამხანაგური სალამი

თქვენი დათიკო შარაშიძე.

ამ დღეებში გამოვგზავნი ცნობებს ხალხის სულისკვეთების და საერთო მდგომარეობის შესახებ.

დ. შ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 12, ფურცლები 1-18.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი გიორგი მაჩაბლის მიერ რომიდან აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილი წერილიდან, სადაც საუბარია ევგენი გეგეჭკორის იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე 1921 წლის 2 ივლისი

Legazione Di Georgia **რომი 2/VII. 1921.**

საქართველოს ელჩს პარიზში

დ. პ. ბატონო აკაკი,

ოთხშაბათს 29-ს დაბრუნდა პარიზში ბ-ნი ევგენი გეგეჭკორი და მასთან ერთად ბ-ნი ს. მდივანი. ბ-ნ ევგენის ჩამოსვლა მოხდა იტალიის პარლამენტის გახსნის პირველ სხდომებს, როდესაც მთელი აქაური დეპუტატები რომში იყვნენ და ამან შეძლება მოგვცა გვენახა ყველა გავლენიანი დეპუტატები და სენატორები და მათთან გვქონოდა მოლაპარაკება. უმთავრესად ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს სოციალისტებთან. კვირას 27-ს თიბათვეს ბ-ნმა ტრე-ვერსმა იტალიის პარლამენტში მოიხსენია საქართველო, ბოლშევიკებისგან დაკავებული, როგორც მსხვერპლი რუს-ოსმალეთის შეთანხმებისა. ამ ფრაზამ ისეთი საშინელი პროტესტი გამოიწვია იტალიის კომუნისტებისაგან, რომ მათ და სოციალისტებს შორის თითქმის ნამდვილი ჩხუბი და ლანძღვა დაიწყო, რაც გაგრძელდა რამდენიმე წუთს. ეს იყო პირველი შეტაკება ახალ პარლამენტში სოციალისტებსა დ კომუნისტებს შორის. ჩვენ (ბ-ნი ევგენი, სვიმონი და მე) ამ დროს დიპლომატიურ ლოჟაში ვისხედით, გრაფ სფორცამ ამოიხედა ჩვენსკენ და თავი დაგვიქნია. ჩერუტიც ჩვენთან ერთად იჯდა. ყველა გაზეთებში იყო ნათქვამი ამ ინციდენტზედ და ამ წერილთან ერთად გიგზავნით თქვენც. მეორე დღეს სერატიმ მოათავსა არა სასიამოვნო წერილი ავანტში, სადაც თითქმის ჰგმობდა ტრევერსის გამოსვლას ჩვენ სასარგებლოთ და ატარებდა იმ აზრს, რომ საჭიროა ჯერ-ჯერობით საქართველოს საკითხის გამორკვევა, ვიდრე იტალიის სოციალისტები თავის აზრს იტყოდნენო. მეორე დღესვე ამ წერილის გამოქვეყნებისა ჩვენ წავედით სერატისთან, სადაც ბ-ნ ევგენის ჰქონდა ერთ საათზედ მეტი ლაპარაკი და რის შემდეგაც იყო სერატის მეორე წერილი მომავალ ნომერში. ამ წერილში სერატი ამბობს, რომ მას ჰქონდა მეტად საინტერესო მოლაპარაკება გეგეჭკორთან და რომ საქართველოს მენშევიკები მზად არიან და თხოულობენ დაინიშნოს ანკეტა საქართველოს ამბების გამოსარკვევათ. გარდა ამისა, სერატი ამბობს, რომ ეს არ უნდა იყოს ძნელი და გამოსთქვამს სურვილს, რომ ორთა სოციალისტთა შორის კონფლიქტი მშვიდობიანათ იყვეს მორიგებული. (ყველა ამ გაზეთის ამონაჭრებს გიგზავნით ამ წერილთან ერთად). მემარჯვენე სოციალისტებთან საქმე კარგათ გვაქვს მოწყობილი და ყოველი ეჭვის გარეშე ჩვენ გვიჭერენ მხარს. ერთ დღეს ჩვენთან გვყვანდნენ მოწვეული ტურატი, ტრევერსი, მოდილიანი და ტურატის მეუღლე კულიშოვის ქალი. ბ-ნი ევგენის წინადადებით ჩერუტიც დაესწრო და ჩინებულად აუხსნა მათ ჩვენი მდგომარეობა და ბოლშევიკების ვერაგული პოლიტიკა ჩვენს წინააღმდეგ. ბ-ნი ევგენიც ბევრი ელაპარაკა მათ კულიშოვის ქალის დახმარებით (ის უთარგმნიდა

საქართველოს ეროვნული არქივი

იტალიანურად) და ჩვენ ეხლა მათში გვყავს გულ-წრფელი მეგობრები. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მათ უფრო ნაკლები გავლენა აქვთ პარტიაში, ვიდრე მე-III ინტერნაციონალის მომხრეებს და საჭიროა დიდი და ფრთხილი მუშაობა მათაც გამოვატანიებიოთ სხვა ევროპელი სოციალისტების დაგვარად რეზოლუცია ბოლშევიკების მოქმედების წინააღმდეგ. ამ დღეებში მექნება კვლავ მოლაპარაკება ამის შესახებ ტურატისთან და კულიშოვის ქალთან, რომელიც მალე ჩვენთან უნდა მოვიდეს.

დანარჩენ პარლამენტის პარტიების წევრებმაც, ვისთანაც ჰქონდა მოლაპარაკება ბ-ნ ევგენის დიდი ყურადღებით მოისმინეს ჩვენი ამბები და დაგვპირდნენ დახმარებას. აგრეთვე სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ძელატიმ გამოჰკითხა ყველაფერი დაწვრილებით. დღეს საღამოს ეს სენატორი გვყავდა დაპატიჟებული ჩვენთან სადილად ჩერუტისთან ერთად, რომ უფრო დაწვრილებით მოველაპარაკო ყველაფერზედ. ერთი სიტყვით ბ-ნ ევგენის წამოსლა აქ იყო მეტად ნაყოფიერი და მე გამიადვილა ნამეტნავად სოციალისტებთან დაახლოვება და მათთან მუშაობა. თქვენ ეხლა დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოლიოთ იტალიანურ პარლამენტში გავლენიანი წევრები, რომლებიც დაიცავენ ჩვენ საკითხს, როდესაც ეს იქნება საჭირო. მე ჩემის მხრივ მექნება მათთან მუდმივი კავშირი და არ მოვაკლებ მათ ვუგზავნო სამნიშვნელო ამბები, მათ მიღებისთანავე. პირადათაც ხშირ-ხშირად ვინახულებ.[147]

ღრმა პატივისცემით გიორგი მაჩაბელი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 500, ფურცლები 49-50.

147 დოკუმენტში ამის შემდეგ საუბარია ქართველი სტუდენტების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხზე - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნოე ჟორდანიას მიერ პარიზიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია ბოლშევიკებთან ბრძოლის ტაქტიკაზე
1921 წლის 22 ივლისი

წერილი საქართველოს სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგებო,

წერილის მოწერა დამიგვიანდა, ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ამდენ ხან ვერ მოვასწარი ევროპის ურთიერთობის გაცნობა და მაშასადამე თქვენთვის სწორი და უტყუარი ცნობების მოწოდება. სურამში შეძენილ ბრონხიტმა იმდენათ დამასუსტა, რომ საჭირო იყო ორი თვით მოსვენება სოფლათ ჯანმთელობის აღსადგენათ, რის შემდეგ შეუდექი ჩვეულებრივ მუშაობას.

როგორც იცით ჩვენ წამოვედით ჩვიდმეტ მარტს საღამოს. ლორთქიფანიძის დაბრუნებას ქუთაისიდან ვერ მოუცადეთ იმიტომ, რომ არ ვიცოდით როდის დაბრუნდებოდა და ან საზოგადოთ დაბრუნდებოდა თუ არა. ლორთქიფანიძეს ჩვენ პირდაპირი მავთულით ველაპარაკეთ 16-ს საღამოს, ვერაფერი გადაწყვეტილი ვერ გვითხრა, გარდა იმისა, რომ ვლაპარაკობთო. ხოლო მეორე დღეს კი უკვე დაიწყო რუსის ჯარის ჩამოსვლა ბათუმისაკენ. ასეთ პირობებში ჩვენი ბათუმში დარჩენა ნიშნავდა ტყვეთ ჩავარდნას. ჩვენ მაინც გემი გავაჩერებიეთ დილიდან საღამომდის, ლორთქიფანიძის მოლოდინში. საღამოს ექვს საათზე ჩვენთან მოვიდა ერთი ამხანაგი და გვითხრა - ესეც არის რუსის ჯარი მწყობრათ დაბანაკდა ბარცხანაში, ხოლო ქუთაისიდან არავითარი ცნობა არ არისო. ამის შემდეგ გემი გამოემგზავრა სტამბოლისაკენ. რასაკვირველია ლორთქიფანიძის დაბრუნება არ ნიშნავდა ჩვენს საქართველოში დარჩენას, ამაზე ორი აზრიც კი არავის არ ქონებია. თვით თედო ღლონტიც კი, რომელიც ახლა თურმე გაბალშევიკებულა, გვეუბნებოდა ბათუმში - მთავრობა უეჭველათ უნდა წავიდეს ევროპაში და დამოუკიდებლობის ლეგალური დროშა მაგრათ შეინახოსო. აქ ვნახე ლორთქიფანიძის მიერ დადებული ხელშეკრულება ქუთაისში. თუ ეს სწორათ არის გადმოცემული, უნდა გითხრათ, რომ ის გამოსულა ჩვენ მიერ მიცემული ინსტრუქციიდან. ჩვენი დადგენილება იყო: არავითარ შემთხვევაში არ ვიცნობთ რუსის ჯარის მიერ დაყენებულ მთავრობას საქართველოს კანონიერ მთავრობათ; ისინი იყვენ და არიან საქართველოს ოკუპანტები და მათ როგორ ჩავაბარებდით საომარ მასალას და სიმდიდრეს? როგორც სჩანს მთელი ეს ქუთაისის კონფერენცია ბოლშევიკების მიერ იყო მოხლართული ერთი მიზნით - ჩვენ არ გამოვეშვით ევროპაში და მით დაემტკიცებიათ ევროპისათვის ის ვერსია, რომელსაც აქ ავრცელებდენ - საქართველოში მოხდა შინაური აჯანყება, ხალხმა მთავრობა გადააგდო, რუსის ჯარი აქ არაფერ შუაში არისო. და რომ ჩვენ არ ჩამოვსულიყავით - საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ იქნებოდა გადაფუჩეჩებული და მით მთელი ჩვენი საქმე სამუდამოთ დამარხული.

ჩვენი განკარგულებით საზღვარგარეთ იქნა წამოღებული საქართველოდან ზოგი საქონელი. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ ბოლშევიკები რასაც კი ხელში

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩაიგდებენ ან რუსეთისაკენ გააქანებდენ, ან თვითონ დაფლანგვენ, და რასაკვირველია, არ გვინდოდა მათთვის ქვეყნის სიმდიდრე დაგვეტოვებია. სამწუხაროთ ამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. საქონელი იყო ჩატვირთული ვაგონებში; რკინისგზელთა შორის შედგა რაღაც საიდუმლო ორგანიზაცია, ყაჩაღური თუ ბოლშევიკური არ ვიცი, რომელიც მალავდა პორტში მისაყვან ვაგონებს. აუარებელი საქონელი დარჩა ბათუმში. ის მცირე რამ, რაც წამოვიღეთ, აწყვია სტამბოლში იტალო-კავკასიის ბანკში იმ მიზნით, რომ ამ საქონელით დაკმაყოფილდეს საქართველოს უცხოელის ვალები. რასაკვირველია, ამით ვალების მეათედიც არ იქნება გასტუმრებული. უმთავრესი ვალი შეაყენა იმ რეკვიზიციებმა, რომელიც ხდებოდა ბათუმში და ფოთში ომის საჭიროებისათვის (ფეხსაცმელები, კონსერვები და სხ.). გარდა ამისა ჩვენ წამოვიღეთ საეკლესიო და სამუზეუმო ნივთები, რაც ინახება ხელუხლებლათ სანდო ალაგას და დაუბრუნდება საქართველოს, როცა იქ აღსდგება ხალხის სუვერენობა და დემოკრატიული მთავრობა. **ორიოდე სიტყვა ლტოლვილების შესახებ.**

მიუხედავათ ჩვენი ზომებისა, საქართველო მოიცა ისეთმა შიშმა და პანიკამ ბოლშევიკების მოახლოვებით, რომლის მზგავსი მგონი ჩინგისხანის შემოსევისას არ ყოფილა. თფილისიდან ბათუმამდე - ჩვენ ხალხს ვაწყნარებდით, თავის ალაგას დარჩენას ვურჩევდით, მაგრამ არავის ეს არ ესმოდა, ყოველი კაცი სადღაც გასაქცევათ ემზადებოდა. ჩინებული კომუნიზმია, რომლის ხალხს ასე ეშინია! ბათუმში თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. მთავრობამ დაადგინა საზღვარგარეთ წამსვლელთა რიცხვი მთავრობის ხარჯზე არ უნდა აღემატებოდეს 100-125 კაცს, და ეს ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც საქართველოში დახვრეტა მოელის. მრავალი დარჩა, მაგრამ მაინც მრავალი წამოვიდა სტამბოლში, ასე რომ აქ თავი მოიყარა 800-მდე კაცმა, დიდ-უმრავლესობა ისეთი, რომელსაც არასოდეს საქმე არ ქონია არც პოლიტიკასთან, არც ომთან. შემდეგ შეუდექით ამათი ისევ უკან დაბრუნებას. ჩვენ აქ არ გვესაჭიროება უსაქმო ქართველი.

ახლა იკითხავთ, უეჭველია, რას ვაკეთებთ ჩვენ აქ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენ აქ დაგვიხდა მოსკოვის მთავრობის მიერ გავრცელებული ამბავი - საქართველოში რუსის ჯარი არ არის, არავითარი ომი არ ყოფილა, აჯანყებულმა ხალხმა განდევნა მენშევიკური მთავრობა და აირჩია ბოლშევიკებისო. ამას ისე უტიფრათ და დაჟინებით სწერდენ, რომ ბევრს სჯეროდა. აქ მყოფი ჩვენი ამხანაგები ამ გასაშტერებელ ჭორს ებრძოდენ, რასაკვირველია. უნდა გითხრათ, რომ ასეთი უტიფრობას და სილაჩრეს ბოლშევიკებისაგანაც არ მოველოდი. აქაურ კომუნისტურ პრესაში ჯერ სწერდენ წითელი ჯარი მიუახლოვდა თფილისს, აიღო თფილისი და სხ., მარა როცა ეს იმპერიალისტური თავდასხმა აქ არ მოეწონათ, უცებ შეაბრუნეს კეხი და სულ წინააღმდეგი ამტკიცეს. გაიმართა პოლემიკა თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალისტურ და ბოლშევიკურ გაზეთების შორის ჩვენი საკითხის გარშემო - ე. ი. მართალია რუსის ჯარები მოქმედობს საქართველოში თუ ქართველი ხალხის აჯანყებაა. მოსკოვის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელმა რეკონსტრუქტორების კონფერენციაზე ვენაში სავსებით უარყო რუსეთის თავდასხმა საქართველოზე, რის შედეგი იყო ამ კითხვის კომისიაში გადაცემა სიმართლის გამოსაძიებლათ.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩვენ ჩამოსვლისთანავე მივიღეთ ზომები სიმართლის აღსადგენათ და მოსკოვის მთავრობის სიცრუის გამოსააშკარავებლათ. უნდა ვთქვა, რომ ამ მიზანს ჩვენ დიდებულათ მივაღწიეთ. ჩვენმა კამპანიამ გაფანტა რა ბურუსი, სავსებით ჩააჩუმა აქაური ბოლშევიკების პრესა; მაშინ როდესაც პარიჟის ბოლშ. ორგანო თითქმის ყოველ დღე ათავსებდა ჩვენ საწინააღმდეგო ცნობებს, ახლა ეს ორი თვეა ერთი ცნობაც არ მოუთავსებია ჩვენს შესახებ. მე მგონი ევროპიელ ბოლშევიკებმა ბოლოს გაიგეს სიმართლე და დაჩუმდენ. იმდენი დამოუკიდებლობა არ აქვთ, რომ ჩვენი მხარი დაიჭირონ (ბრძანება და ფული მოსკოვიდან მოსდით). ამ კითხვაში ყველაზე უფრო სასკანდალო საქმე მოუვიდათ ისპანიის ბოლშევიკებს. ც.-კ.-ში მათ დააყენეს ჩვენი კითხვა და შემთხვევითი უმრავლესობის წყალობით დაადგინეს (ბევრი არ დასწრებია), სამი ხმით ორის წინააღმდეგ - საქართველო დაპყრობა მოსკოვის ჯარის მიერ მოწონებულ იქნასო. ვერსათ კომუნისტებმა ასეთი დადგენილების გამოტანა ვერ გაბედეს. ისპანიის კომუნისტ-იმპერიალისტებს სამაგიერო მიეგო, პარტიის კონგრესმა ეს ვაჟბატონები გარეთ გაყარა და მათ ახლა ცალკე პარტია დაარსეს.

თავდაცვის კამპანიიდან ჩვენ გადავედით შეტევაზე და მოვითხოვეთ ევროპის სოც. და მუშათა ორგანიზაციებიდან დაეგმოთ საქართველოს დაპყრობა და მოეთხოვათ რუსეთის ჯარის და მოხელების საქართველოდან გაყვანა. ამ კამპანიაში ჩვენ გვიჭერდა მხარს ყველა სოციალისტური და სინდიკალისტური პრესა, ხოლო ბოლშევიკურ და ბურჟუაზიული (ზოგი გაზეთის გამოკლებით) დუმდენ. დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენში ჩამოსულ სოციალისტურ დელეგაციამ. ერთათ ერთ შეიმანმა გაგვცა პასუხი რუსულ ბოლშევიკურ ჟურნალში (გამოდის ბერლინში), მარა ჩხეიძის პასუხის შემდეგ - ხმა არ ამოუღია. როცა პრესით ნიადაგი შევამზადეთ - მოვითხოვეთ შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა. ამ მიზნით პირველი მოხსენება გაუკეთე საფრანგეთის სოც-პარტიის (რეკონსტრუქტორების) ც. კ. საჭირო იყო პირველ ყოვლისა ამათი მომხრობა, ვინაიდან მეორე ინტერნაციონალი ისედაც გვემხრობოდა გადაჭრით, ხოლო ვენის ინტერნაციონალი ყოყმანობდა. მოხსენებამ გასჭრა და მათ ჩვენს სასარგებლოთ გამოსცეს მთელი მანიფესტი, მათ პრაქტიკული ლოზუნგათ მიიღეს თფილისის პარტიული კონფერენციის მოთხოვნილება, - საქართველოს ხალხის მიერ თავისუფალი არჩევა მთავრობის შერეულ კომისიის კონტროლის ქვეშ.

შემდეგ გაუკეთე მოხსენება საფრანგეთის მეორე სოც. პარტიას (დისიდენტები), რომელმაც მსგავსი რეზოლიუცია გამოიტანა. ამის შემდეგ დავინაწილეთ სხვა და სხვა ქვეყნები - კ. ჩხეიძე და რამიშვილს აღმოსავლეთის სახელმწიფოები, მე ბელგია-ინგლისი, ევ. გეგეჭკორს იტალია. მთავარი მნიშვნელობას ვაძლევთ ინგლისს, სადაც მუშათა პარტია მეტათ დიდი და გავლენიანი და მოსკოვის მთავრობა ინგლისიდან გამოელის შველას. ბელგიაში ჩემი მოგზაურობა ნამდვილი ტრიუმფი იყო საქართველოს და საქ. სოც. დემოკრატიისა. აქ ყველა წრე თანაგრძნობით გვეკიდება, პირველ ყოვლისა სოციალისტური პარტია. ანტვერპენის მიტინგმა მომაგონა თფილისის მიტინგები, სადაც ტაშით და ავაციით გვხდებოდნენ. დიდი თეატრი გაჭედილი იყო მუშებით, როცა სცენაზე გამოვედი მთელი ხალხი ადგა და ვაშა გაუმარჯოს საქართველოს

საქართველოს ეროვნული არქივი

ერთხმათ ქუხდა დარბაზში. თავმჯდომარის შემდეგ მივმართე მოკლე სიტყვით, ხოლო დებრუკერმა გააკეთა მშვენიერი მოხსენება საქართველოზე. ქუჩა ხალხით იყო გატენილი. რამოდენიმე ბოლშევიკს დაეწყო ლაპარაკი მოსკოვის დასაცავათ და ხალხს ძალზე ეცემა, ძლივს გადაარჩინა პოლიციამ. საზოგადოთ ბელგიაში საქართველო პირდაპირ უყვართ. ვანდერველდეს, დებრუკერის და გიუსმანსის წყალობით ჩვენ გვიცნობს მთელი ხალხი. ბელგიელი ამხანაგები ერთხმათ აღიარებენ, რომ ბოლშევიზმი მოკლა ბელგიაში საქართველოს დაპ-ყრობამო. ვცელი მოხსენება გავუკეთე შეერთებულ სხდომას - პარტიის ც. კ. პლენუმს (შედგება ასი კაცისაგან), სინდიკალთა წარმომადგენლებს და სოც. პარლამენტარულ ფრაქციისა (დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთებში). აქაც მიიღეს თფილისის რეზოლიუცია.

ბელგიიდან გიუსმანსის თანხლებით გავემგზავრეთ ინგლისში (პარიჟიდან მახდა ვოიტინსკი).

ინგლისში სწორეთ კარგ დროზე მივედით. ის იყო იწყებოდა მუშათა პარტიის კონგრესი ქ. ბრაიტონში. ლონდონში ჩასვლის თანავე ვაცნობეთ ბრაიტონში პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს (ც. კ.) ჩამოსვლა და მათი ნახვის სურვილი. იმავე საღამოს მივიღე დეპეშა ჰენდერსონისაგან, გელით ბრაიტონშიო. მეორე დღეს გავემგზავრეთ და იმავე დღესვე მომიწვიეს აღმასრულებელი კომიტეტში მოხსენების გასაკეთებლათ. იქ იყვნენ: ჰენდერსონი (პარტიის ლიდერი), ორივე ვები (პარტიის თეორეტიული ლიდერები), საპარლამენტო ფრაქციის ლიდე-რი - კლაინი, მაგდონალდი, სნოუდენი და სხ. სულ ათამდე. ჩემი მოხსენებას ინგლისურათ თარგმნიდა გიუსმანსი. ამ კრებამ აქვე გადაწყვიტა თფილისის რეზოლიუციის მიღება და კონგრესისათვის წარდგენა. ამ უკანასკნელს არ მოველოდით, ვინაიდან პარტიის სტატუტით კონგრესზე ახალი წინდაწინ გამოუცხადებელი რეზოლიუციის წარდგენა, დოუშვებელია. მაგრამ ვინაიდან იმავე სტატუტით აღმასრულებელ კომ. უფლება აქვს განსაკუთრებული, სას-წრაფო შემთხვევაში შეიტანოს ახალი რეზოლიუცია, ამიტომ საქართველოს საკითხიც სასწრაფოთ იცნეს და გადასწყვიტეს კონგრესზე დასმა. რეზოლიუციის პროექტი დასწერა ვებმა. მეორე დღეს პროექტი განიხილეს კომიტეტში, მობალშევიკო წევრნი წინააღმდეგი წავიდნენ, დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა, დაბეჭდეს, დაურიგეს კონგრესისტებს. კონგრესზე წარმოდგენილი იყო ოთხი-მილიონ ოთხას-ათასი მუშა. დაფაცურდენ ბოლშევიკები რეზოლიუციის ჩასაშლელათ, რადგანაც მათ კომიტეტში ვერაფერი გააწყვეს, მომმართეს მე მოვილაპარაკოთო, ლანსბერის მეთაურობით („დელიჰერალდის“ რედაქტორი). მოვიდენ ოთხივე წევრი კომიტეტისა. უნდა ითქვას, რომ ამათ შორის მხოლოდ ერთია ნამდვილი ბოლშევიკი (ის კრებამ არ აირჩია კომ-ში), დანარჩენი პირიქით ინგლისისათვის მემარჯვენე სოციალისტებია, მარა რუსეთში მხარს უჭერენ ბოლშევიზმს. მათი კონცეპცია უბრალოა - ბოლშევიზმი ჩინებულია უკულტურო აღმოსავლეთში, ევროპისათვის კი მიუღებელია. ლანსბერიმ განაცხადა: მოხსენით რეზოლიუცია, საჭიროა მეორე მხარის - მოსკოვის მთავრობის მოსმენაც, ისინი უარს ყოფენ საქართველოში რუსის ჯარის ყოფნას და ასეთ პირობაში ჩვენ არ შეგვიძლია მსჯავრის დადებაო. საჭიროა თქვენი და კრასინის შეხვედრა და სიმართლის გამორკვევაო. მე უპასუხე:

საქართველოს ეროვნული არქივი

რეზოლიუციის მოხსნა ჩემი საქმე არ არის, ვინაიდან ის ჩემი არ არის, ხოლო კრასინთან ერთათ საქმის გამორკვევის თანახმა ვარ, მოიწვიეთ თქვა. შემდეგ დავიწყეთ დავა. ჩვენ მიერ წარდგენილ საბუთებია, ისინი მეტათ დააფიქრა, მოსკოვის ცნობებში დაეჭვდენ, როგორც შევატყვე. გიუსმანსის სიტყვებმა მათზე შთაბეჭდილება მოახდინა. ამით უნდა აიხსნას ის მოულოდნელი ამბავი, რომ ჩვენი რეზოლიუცია კონგრესმა ერთხმათ მიიღო, მის წინააღმდეგ არავინ არ გამოსულა. მომხსენებელი იყო სნოუდენი, ბოლშევიკების საპასუხოთ დანიშნული იყო მაკდონალდი, მარა ვინაიდგან მოწინააღმდეგე არ აღმოჩნდა - მაკდონალდს არ ულაპარაკია. ყველაზე უფრო პოპულიარული პირი მუშებში ყოფილა მაკდონალდი. ის ითვლება აქ „მძიმე არტილერიათ", თვითეული მისი გამოსვლა ოვაციებს იწვევდა კრებაში. ეკუთვნის მემარცხენე სოციალისტებს და ითვლება საუკეთესო ორატორათ.

ამნაირათ მოხდა ინგლისის მუშათა კლასის ჩვენ მხარეზე გადმოსვლა. იგივე რეზოლიუცია პარტიამ წარუდგინა მეორე ინტერნაციონალს, რომლის ბიუროს სხდომა მოხთა იმავე კვირაში. ბიურომ მიიღო ის. შემდეგ ოფიციალურათ ეცნობა კრასინს რეზოლიუცია მოსკოვის მთავრობისაგან პასუხის მისაღებათ. ასეთივე რეზოლიუცია მიღებულ იქნა ამთვის შვიდს ვენის ინტერნაციონალის მიერ, რომლის სხდომა მოხდა ფრანკფურტში და მოხსენება წარუდგინეს ჩხეიძემ და რამიშვილმა. გერმანიის ორივე პარტია - უმრავლესობა და დამოუკიდებელნი გადაჭრით გვემხრობა. ძნელი იყო საქმის მოგვარება იტალიის სოც. პარტიაში, რომელიც ფორმალურათ მესამე ინტერნაციონალში ითვლება, თუმცა ფაქტიურათ კი შიგ არ შედის. მიუხედავათ ამისა, სოც. პარტიის ლიდერებმა კითხვა დასვეს პალატაში, უსაყვედურეს მთავრობას, რომ ნება მისცეს ბოლშევიკურ-თურქულ ბლოკს მისი დაპყრობა და სხვა. ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი შეტაკება სოც. და კომუნისტებს შორის. უკანასკნელებმა ვერავითარი პასუხი ვერ გასცეს. გაიმართა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა. სოც. პ-ია უეჭველია ჩვენს სასარგებლოთ ალაპარაკდება, როგორც კი საქმის გარემოებას გაეცნობა.

როგორც ხედავთ, საქართველოს კითხვამ შეაერთა ყველა სოციალისტური და მუშათა პარტიები ევროპაში, ისინი ერთხმათ გმობენ მოსკოვის მთავრობას და მოითხოვენ ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღდგენას. კომუნისტები ვერ გამოდიან ამ საერთო აზრის წინააღმდეგ და არჩევენ დუმილს. ბევრი ამათგანი, როგორც ვიცით, მეტათ უკმაყოფილონი არიან საქართველოს დაპყრობით, ვინაიდან ამ გარემოებამ გამოიწვია ბოლშევიკების პრესტიჟის დაცემა მთელ ევროპაში. არც ერთ კითხვას, არც ერთ აქტს არ მიუყენებია იმდენი ზარალი ბოლშევიკებისათვის აქ მუშებში, როგორც საქართველოს დაპყრობამ. ამას აღიარებენ ყოველგან. ინგლისის სოციალისტებმაც ბელგიელებივით გვითხრეს, რომ საქართველოს საკითხმა ბოლშევიზმი ინგლისში მოკლაო. აქაურ მუშათა კლასს დაპყრობას, თავდასხმას ვერ გააგონებ, ისე მოძულებული აქვს ეს იმპერიალისტური ყაჩაღობაო.

ორი ინტერნაციონალი - მეორე და ვენის, რომელიც ვერც ერთ კითხვაზე დღემდის ვერ შეთანხმებულან, სავსებით შეთანმხდენ ჩვენს საკითხზე და აპირებენ ერთათ პრაკტიკული ნაბიჯის გადადგმას. ერთი სიტყვით, არც ერთი

საქართველოს ეროვნული არქივი

კითხვა დღეს ევროპის დემოკრატიაში არ არის ისე პოპულიარული, როგორათაც ჩვენი კითხვა. საქართველოს ხალხის პრესტიჟი აიწია ყველა წრეში.

როგორია ჩვენი დამოკიდებულება ოფიციალურ წრეებთან? პირველ ყოვლისა უნდა გითხრათ რომ ამათ მეტათ მოსწონთ ჩვენი მუშაობა მუშათა წრეებში, ვინაიდან იციან რომ ვერავითარ საგარეო პოლიტიკას ვერ აწარმოებენ პროლეტარიატის სურვილის წინააღმდეგ. ყველა მთავრობა ამბობს ერთდაიმავეს - მოსკოვის მთავრობა არ გვიცვნია და საქართველოს ოკუპანტების მთავრობას როგორ ვიცნობთო. საქართველოს ერთათ ერთი მთავრობათ გვცნობენ ჩვენ და ჩვენს მისიებს. საქართველოს ქვეშევრდომთ ევროპაში არ უშვებენ ჩვენ ნებადაურთველათ. იქ დარჩენილი რაუშერი არ ითვლება გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლათ ბოლშევიკურ მთავრობასთან. ის დარჩა მხოლოდ გერმანელთა ინტერესის დასაცავათ. ამ ჟამათ ევროპას გაწყვეტილი აქვს კავშირი საქართველოსთან და სანამ იქ ბოლშევიკური მართველობა იქნება - ეს კავშირი არ აღდგება. რაც შეეხება ბურჟუაზიულ ანუ სავაჭრო წრეებს, ესენი არ არიან სანდო. თუ კი ქართველი ბურჟუაზია ელაქუცება ბოლშევიკებს და სურს მათი საშუალებით ხელი მოითბოს, რატომ აქაური ბურჟუაზია არ შეეცდება ამასვე, და ეს მით უფრო, რომ მოსკოვ-საქართველოს ბოლშევიკები ეხვეწებიან ევროპის კაპიტალისტებს - მოდით, საქართველოში ბევრია ტყე, მარგანეცი, თუთუნი, მადნები და სხ. და იმუშავეთო. ისინი მზათ არიან უცხოელებს ჩალის ფასათ ხელში ჩაუყარონ ჩვენი სიმდიდრე, ოღონდ კი ამით გაახანგრძლივონ თავისი ბატონობა. რა ენაღვლება მოსკოვს და მის თფილისელ აგენტებს საქართველოს საქმე. აქეთ გამოუგზავნიათ კარპე მოდებაძე კონცესიების გასაცემათ ისეთი უფლებებით, რომ საქართველოს ერთიანათ გაყიდის, თუ მოინდომა. მაგრამ ამ ვაჟბატონს ევროპაში არ უშვებენ, ხოლო სტამბოლში კი ბოლშევიკების ფასი კარგათ-იციან. საქართველოს ხალხის წმინდა ვალია არ დაანებოს ბოლშევიკებს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის უცხოელთა ხელში ჩაგდება. ჩვენ აქ შესაფერისი ნოტით მივმართეთ ყველა მთავრობას, განუცხადეთ, რომ სანამ მთავრობა საქართველოში არ აღდგება ხალხის სუვერენობა და კანონიერი მთავრობა, მანამდის არავითარ კონცესიას და სავაჭრო ხელშეკრულებას ბოლშევიკებთან დადებულს, არ ვიცნობთ და საქართველო მას არ დაემორჩილება.

ჩვენი ლოზუნგია - რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, ხალხის სუვერენობა, დემოკრატიული არჩევნები, ერის თვით გამორკვევა. აი ამ მოთხოვნილებას უნდა დაუმორჩილოთ მთელი ჩვენი საშინაო და საგარეო მოქმედება. ჩვენთან ერთათ არის ევროპის მთელი დემოკრატია. თუ ჩვენ იქ ვიქნებით მაგრათ, თუ ქართველი მუშა და გლეხი სულით არ დაეცემა და თავისუფლებას ბოლშევიზმის ტირანიაზე არ გაცვლის, ჩვენ გავიმარჯვებთ. ეს იქნება საბოლოო და მტკიცე გამარჯვება.

უეჭველია აქაურ ამბებს იკითხავთ. ერთხელ მე თფილისში ჩემი მოხსენებაში ვთქვი: არასოდეს ევროპა ისე შორს არ ყოფილა სოც. რევოლიუციიდან, როგორც არის დღესთქვა. და აი ახლა ჩემი პირადი დაკვირვების შემდეგ ეს დებულება უნდა აღვიარო სრული ჭეშმარიტებათ. ამის მიზეზია ორი გარემოება: ბოლშევიზმი და ომის ეკონომიური შედეგები. ბოლშევიზმი, ე. ი. ეკონომიური

საქართველოს ეროვნული არქივი

და პოლიტიკური რეაქციამ, ისე დააშინა აქ არა მარტო ბურჟუაზიული წრე, არამეთ დემოკრატიული და პროლეტარული, რომ ესენი მეტათ უფრთხიან დღეს ძირითად ცვლილებებს, ვაი თუ აქედან ბოლშევიზმი გამოვიდესო, ხოლო ომის მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენა ახალ, უცნობი გზით - ეს მეტათ საშიშარ ექსპერიმენტათ მიაჩნიათ. ბოლშევიზმმა გამოიწვია სოც. პარტიებში რასკოლი და მით დაასუსტა მუშათა პოლიტიკური ძალა და მისი ერთსულევანება. სადაც ყველაზე ძლიერია ბოლშევიკური სულისკვეთება, იქ ყველაზე უფრო სუსტია პროლეტარიატის ძალა და გავლენა, და პირიქით. აიღეთ მაგ. ინგლისი და საფრანგეთი. აქ, ინგლისში ბალშევიზმი მეტათ უმნიშვნელო ძალაა, სამაგიეროთ მუშათა პარტია მძლავრი, მრავალი რიცხოვანი და გავლენიანი. აქ საფრანგეთში ბოლშევიკური სულისკვეთება ძლიერია, სამაგიეროთ მუშათა კლასი დაქსაქსულია, დაყოფილი (რასკოლი რასკილს მიზდევს) და მისი გავლენა მილეულია. არსათ ისე სამარცხვინოთ არ ჩატარებულა პირველი მაისი, როგორც პარიჟში. სოც. რევოლიუცის მოახლოვება შეიძლება ევროპაში მხოლოდ ბოლ-შევიზმის საბოლოოთ დამარცხებით. და აი ამ უკანასკნელ ორ-სამ თვეში ამ მხრივ მოხდა აქეთ დიდი ცვლილება. ყოველგან ბოლშევიზმი სულს ღაფავს. გერმანიაში მარტის ხეპრული გამოსვლის შემდეგ ის დაუძლურდა, მეთაურები გაეცალენ, მოხდა შინაური რასკოლი, ამ ჟამათ ძალას არ წარმოადგენენ. ავსტრიაში არასოდეს არ ქონიათ რაიმე ძალა ბოლშევიკებს და არც ახლა აქვთ. შვეიცარიაში სოც-პარტია ერთხანს ყოყმანობდა, მარა ახლა გადაჭრით წინააღმდეგია მესამე ინტერნაციონალის და შედის ვენის ინტერნაციონალში. იტალიაში კომუნისტები სუსტი არიან, არჩევნებში გაიყვანეს 13 დეპუტატი, ხოლო სოციალისტებმა 123. აქ მომავალ კონგრესზე მოხდება სოც. პარტიის ფორმალურად გამოსვლა მესამე ინტერნაციონალიდან და შევლენ ალბათ ვენის ინტერნაციონალში. ისპანიაში პარტიამ უარყჰო მესამე ინტერნაციონალი. ინგლისში კომუნისტთა ჯგუფი არ შეუშვეს მუშათა პარტიაში, სადაც ყველა სოციალისტური პარტია და მუშათა პროფ. კავშირებია. ბრაიტონის კონგრესი ერ-თიანათ ანტიბოლშევიკური სულით იყო გაჟღენთილი. ბელგიაში კომუნისტები უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ. დარჩა ერთათ ერთი საფრანგეთი, სადაც მათ ხელშია ჟორესის მიერ დაარსებული გაზეთი „ჰუმანიტე“ და პარიჟში საგრძნობ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ეს ძალა მყვირალა და უსაქმოა. ვერც ერთი გამოსვლა, ვერც ერთი დემონსტრაცია ვერ მოაწყვეს დღემდე რაიმე კითხვის გარშემო. პირველ მაისი, როგორც ვსთქვი, სიჩუმით ჩატარდა, თუმცა გაზეთში ბევრი იყვირეს და ეს ასეც უნდა იყვეს, ვინაიდან აქაური კომუნისტთა მეთაურები გუშინდელი მემარჯვენე სოციალისტებია, როგორც მაგ.- კაშენი და ფროსარი. მხოლოდ ისინი, ვინც მუდამ მემარცხენე იყო და სო- პარტიას მეთაურობდენ როგორც მაგ. გედი, სამბა და სხ. კომუნისტების წინააღმდეგი არიან.

ამ ბოლო დროს რუსეთის კომუნისტები ბევრს ლაპარაკობენ ჩეხო-სლოვაკიის კომუნ. პარტიის ძლიერებაზე. რამდენათ ძლიერია - ეს სჩანს შემდეგი ფაქტიდან: კომ. პარტიამ დანიშნა 12 ამთვეს მუშათა საერთო გაფიცვა პოლიტიკურ მიზნით, ამ გაფიცვის წინააღმდეგი იყო სოც. დემოკრ. პარტია, შედეგი? - არც ერთ მუშათა ორგანიზაციამ არ მიიღო გაფიცვის წინადადება,

საქართველოს ეროვნული არქივი

ყველაზე უფრო ძლიერი კავშირმა - რკინის გზელებმა - ერთი საათით შეწყვეტაც კი უარი თქვეს. გაფიცვა არ შედგა. აქედან ნათელია საქმის მდგომარეობა. ევროპის კომუნისტები საზოგადოთ მოსკოვს აწვდიან ყალბ ცნობებს, რომ მეტი სუბსიდია და თანაგრძნობა მიიღონ.

ამ ნაირათ როგორც ხედავთ მთელ დასავლეთში კომუნიზმი მისუსტებულია და სწორეთ გვაკვირვებს ის ცრუობის გოდოლი, რომელითაც საქართველოს ბოლშევიკური პრესა თავის დაბრიყვებულ მკითხველთ უმასპინძლდება ევროპის შესახებ. მათი სიტყვით, ევროპაში მილიონებია მათ-მიმდევარი, დღეს თუ ხვალ ბოლშევიკური რევოლიუცია შესაძლებელია და სხვა. ტყვილი და ორპირობა ამ ხალხმა თავის ბრძოლის მთავარ იარაღათ გაიხადა. ნუ თუ საქართველოში არის ერთი კაციც, რომელსაც რაიმე სჯერა ბოლშევიკურ პრესის?. კომუნიზმის დაუძლურებას აქ ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ - საქართველოს საკითხმა და ლენინის ახალმა პოლიტიკამ. თუ პირველი ნიშნავს ბოლშევიკების პოლიტიკურ გაკოტრებას და იმპერიალიზმის მორევში შეცურვას, მეორე მოასწავებს მათი თეორიულ გაკოტრებას და ბურჟუაზიულ ეკონომიკაში ჩაბმას. ლენინმა უარყო კომუნიზმის შესაძლებლობა დღეს და კარი გაუღო კაპიტალიზმის ყველაზე უფრო საძაგელ ფორმას - შიგნით წვრილ მეშჩანურ, ხოლო გარეთ უცხო მცარცველს. მოსკოვის მთავრობის დღევანდელი მომართვა ევროპის კაპიტალისტების მიმართ - მოდით, შენც ჭამე და ჩვენც გვაჭამეთო - არის სულთმობძრავის უკანასკნელი ამოსუნთქვა. განა ასეთ ხალხს, ასეთ მეთაურთ, წვრილი ბურჟუაზიული სულით თავიდან ბოლომდის გაჟღენთილი, გაყვება ევროპის პროლეტარიატი? მართალია, რუსეთის კომუნისტები ამბობენ, დღეს შეუძლებელია კომუნიზმი და ამიტომ ისევ კაპიტალიზმს უნდა მივმართოთო. მაგრამ სად იყვენ ამდენ ხანს, განა არ იცოდენ ეს ამ სამი წლის წინეთ. რაპარტია, რომელიც პოლიტიკურ საანბანო დიაგნოზს ვერ აკეთებს. მეორე მხრით განა ბურჟუაზიაც ასე არ ლაპარაკობს: სოციალიზმი დღეს არ შეიძლება, თვარა ოდესმე რომ იქნება ჩვენც გეთანხმებითო.

ლენინის იდეური გაკოტრება დღეს ნათელია ევროპისათვის. მოსკოვის მთავრობა დღეს ემსახურება არა კომუნიზმს, არამედ თავის თავს, რამენაირათ მართებლობა შევინარჩუნოთ, - აი ასეთია დღეს ევროპის საერთო აზრი. ამავე დროს ევროპა თან-დათან აღწევს ომისაგან შექმნილ არანორმალურ ეკონომიურ მდგომარეობას. პური ყოველგან თეთრია. მიმოსვლა ძველებურია, ფულის კურსი სწორდება, ფასები საქონელზე ეცემა, მუშაობა გახურებულია, საწარმოვო ძალა ძლიერდება - ერთი სიტყვით ნორმალურ, ომის წინანდელი კალაპოტი თითქმის აღდგენილია.

ბოლშევიკურ პრესას ევროპის შესახებ არაფერი არ დაუჯეროთ. ტყუილი მათი მთავარი ფარხმალია.

რა უნდა ვაკეთოთ იქ, საქართველოში? პირველათ ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ ძალიან გამაკვირვა თფილისის რეზოლიუციის ერთმა ფრაზამ - ბოლ-შევიკების წინააღმდეგ იმპერიალისტურ ძალას არ მივმართავთო. გამოდის, რომ ბოლშევიკების ძალა არ არის იმპერიალისტური. მაშ რაძალაა? ნუ თუ მართალი არის ერთი მაინც ჩვენს ამხანაგებში, რომელიც ამ ძალაში ხედავენ ნატამალს პროგრესიული ძალისა? შეიძლება თავში ის იყო პროგრესიული ძალა

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთისათვის, მარა თავში მონარქიაც წარმოადგენდა პროგრესიულ მოვლენას. ბოლშევიზმი ეს უკანასკნელი მეორე წელია შეიცავს მხოლოდ რეაქციონურ ძალას, რომელმაც სავსებით აღადგინა ძველი პოლიციული ტირანია და სავსებით გაანადგურა საწარმოვო ძალა. მარქსიზმი პოლიტიკურ წყობილებას ზომავს ეკონომიურ საზომით; პროგრესიულია მხოლოდ ის წყობილება, რომელიც ავითარებს ქვეყნის საწარმოვო ძალას. ბოლშევიზმა კი ის ძირიანათ დაანგრია. ინგლისელ მეცნიერთ გამოუანგარიშებიათ, რომ რუსეთის რევოლიუციის წინა ეკონომიკის აღსადგენათ საჭიროა ხუთასი მილიარდი სტერლინგიო! რუსეთი სწრაფი ნაბიჯით მიექანება სპარსეთის მდგომარეობისაკენ, ევროპის კალონიათ გადაქცევისაკენ. ამერიკამ უკვე წამოაყენა ციმბირისათვის ეს კითხვა ვაშინგტონის კონგრესზე გადასაწყვეტათ. რუსეთის ხალხმა თავის-თავი დაანგრია, ახლა ჩვენ გვანგრევს. ჩვენ ხალხს კი არ უნდა ეს თვითმკლელობა და ის ვალდებულია დროზე მიიღოს ზომები სანამ რუსეთსავით დაინგრეოდეს და კალონიათ გადაქცევათ დამზადებოდეს.

მაშასადამე მთავარი ჩვენი საქმეა ხალხმა შეიგნოს ბოლშევიკური ტირანიის მთელი სიდუხჭირე და რეაქციონერობა. ყველა იმპერიალისტურ ძალაში ყველაზე უფრო მავნე და გამანადგურებელი ბოლშევიკურ იმპერიალიზმია. გერმანიას ოთხ-წელიწადს არ მოუხდენია ისეთი განადგურება ბელგიაში, რამდენიც მოსკოვმა საქართველოში მოახდინა ამ ოთხ-თვეს.

ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აქ ვეძებდეთ იმპერიალისტურ ინტერვენციას. არა, ჩვენ პირველად ყოვლისა ვახდენთ სოციალისტურ ინტერვენციას. თუ ეს არ გასჭრის, მერე ჩვენი ხალხი ადვილათ გამონახავს ბრძოლის სხვა საშუალებასაც. მხოლოდ საჭიროა ხალხი მაგრათ, შეურყევლათ იდგეს ანტი-ბოლშევიკურ პოზიციაზე და არავითარი მუქარით, თუ დაპირებით არ გადაუდგეს ამ პოზიციას. რეპრესიების სრულიად არ უნდა გეშინოდეთ, ვინაიდან რეპრესიების შეჩერება ჩვენში გამოწვეულია მხოლოდ ევროპის დემოკრატიის ზედ-გავლენით და არა ბოლშევიკთა კაი-კაცობით. იცოდეთ, რომ აქ საქართველოს არ უყურებენ როგორც რუსეთს; აქ ამბობენ: რუსეთში ის მთავრობაა, რომელიც რუსის ხალხმა შექმნაო, საქართველო კი დაპყრობილია და აქ დაპყრობილთ არავითარი უფლება არ აქვთო. ამიტომ თვითეული ამბავი დაჭერის ან რეპრესიის საქართველოში ყველა გაზეთს მოივლის და დიდათ აღელვებს მუშათა დემოკრატიას. ეს ჩინებულათ იცის მოსკოვმა და ამიტომაა თფილისს ცირკულიარებს უგზავნის, ფრთხილათ, ჩვენ არ მოგვბაძოთო. არჩევნებში, რასაკვირველია, მონაწილეობა უნდა მიიღოთ, მაგრამ თუ ძალმომრეობაა გამეფებული - მაშინ სჯობს სრული **ბოიკოტი.** ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ წყობილებასთან, რომელიც სრულიად არ გადახალისდება შიგნიდან, რეფორმებით, ვინაიდან არავითარ გადახალისებას და რეფორმებს ის არ ითმენს. ის უნდა დაინგრას ან უნდა დარჩეს, მესამე გზა არ არის.

როგორ შეიძლება ოკუპაციის რეფორმა!

მაშასადამე რეფორმები - უტოპიაა, რევოლიუცია - ერთათ ერთი გზაა. რუსის ჯარის საქართველოდან გასვლა და ხალხის ბატონობის აღდგენა - აი - ერთათ ერთი რევოლიუც. მიზანი. მზადება რევოლიუციონური გადატრიალებისათვის - აი მთავარი ტაკტიკა. ხოლო გადატრიალება დამოკიდებულია არა მარტო ჩვენ

საქართველოს ეროვნული არქივი

მზადებაზე, არამედ რუსეთის და ინტერნაციონალურ ძალთა განწყობილებაზედ. აქ ორი შესაძლებლობაა: ჩვენში ბოლშევიზმის დაცემა და დამოუკიდებლობის აღდგენა თვით რუსეთში ბოლშევიზმის დაცემით ანდა რუსეთში ისევ ბოლშევიზმია მარა რუსის ჯარი გაყვანილი იქნება საქართველოდან და მით ხალხს მიეცემა საშვალება თავის მართველობა აირჩიოს. ორივე ინტერნაციონალი, საზოგადოთ ევროპის დემოკრატიის აზრი, უკანასკნელი შეხედულებისაა. ორივე შემთხვევისათვის უნდა ვიყვეთ მზათ.

ჩვენში დიდი ეკონომიური გაჭივრება არის. ამ გაჭივრებას ვერც რუსეთი უშველის, ვინაიდგან იქ მეტი გაჭივრებაა. ჩვენ შეგვეძლო აქედან დახმარება, მაგრამ როგორ? ბოლშევიკების ხელში თუ ჩავარდა თავის პოლიტიკურ მიზნისათვის გამოიყენებენ, ევროპიელებს კი არ სურთ საქართველოსთან საქმე დაიჭირონ სანამ იქ ბოლშევიკები არის. საქართველოს შიმშილისაგან გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ევროპასთან კავშირით. მხოლოდ ეს კავშირი შეუძლებელია ბოლშევიკურ მთავრობასთან.

ამხანაგებო,

თქვენ გიყურებთ მთელი ევროპის დემოკრატია; ქართველი ხალხისაგან მოელის ის პოლიტიკურ სიმტკიცეს და საზოგადოებრივ სიმწიფეს. ის ბრძოლა, რომელიც დღეს წარმოებს აქეთ ბოლშევიზმის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის, არის იმავე დროს ბრძოლა საქართველოსათვის. ევროპის მუშათა ინტერნაციონალი დარწმუნებულია სოციალისტური დროშა ქართველ მუშას და გლეხს არ გაუვარდება, მას ის დაბლა არ დაუშვებს და დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთათ ის მას კიდევ უფრო მაღლა აფრიალებს და სახელმწიფოს ქვაკუთხედათ გადააქცევს. საქართველოს დამოუკიდებლობა ერთათ ერთი პირობაა ჩვენი დემოკრატიულ და სოციალისტურ შემოქმედობის აღდგენის და ევროპის ხალხთა შორის საპატიო ადგილის დაჭერის.

ამხანაგურ სალამით
ნ. ჟორდანია
/ხელრთვა/

22 ივლისი 1921 წ.
პარიზი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწერი 1, საქმე 31, ფურცლები 39-52.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი გიორგი მაჩაბლის მიერ რომიდან აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილი წერილიდან, სადაც საუბარია იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან წარმოებულ მოლაპარაკებაზე
1921 წლის 28 ივლისი

Legazione Di Georgia რომი 28/VII. 1921.

საქართველოს ელჩს პარიზში

როგორც დეპეშით შეგატყობინეთ 26-ს ამ თვეს 12 საათზედ მიგვიღო აქაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მარკიზ დელლა ტორეტიმ ჩვენ - კავკასიის მოკავშირეთა დელეგაცია. სომხეთს წარმოადგენდა მ. ვარანდიანი, მთიელებს და აზერბაიჯანს შეიხულ ისლამ ზადე და საქართველოს მე. პირველი სიტყვა მე მქონდა, რის შემდეგაც გადავეცი მინისტრს ჩვენი დეკლარაცია. მერე ილაპარაკეს ვარანდიანმა და შეიხულ ისლამ ზადემ. ჩვენი ნალაპარაკევის შინაარსს ამ დღეებში გამოგიგზავნით (ვაგდენთ ერთად), მე დაახლოვებით ის ვსთქვი, რაც ბ-ნ ზურაბმა პარიზში მხოლოდ იტალიანურ ნიადაგზედ გადმოტანილი და მასთან შეფარდებული.

მინისტრმა ძალიან კარგად მიგვიღო, დიდის ყურადღებით ყველას მოგვისმინა, გამოსთქვა სრული კმაყოფილება ამ აქტის გამო, მოგვილოცა, რომ გამოვნახეთ საერთო ენა და დაგვარწმუნა, რომ რუსეთთან ხელშეკრულება სუფთა ეკონომიურია, პოლიტიკური შიგ არაფერია და ჩვენ საკითხს არ შეხება. ჩვენ ხაზგასმით გავუმეორეთ, რომ დარწმუნებულნი ვართ, იტალია არ გადადგამს იმისთანა ნაბიჯს, რაც გამოიწვევს ჩვენ ხალხში უკმაყოფილობას და ცუდ შთაბეჭდილებას ჩვენ ხალხში. მალე უნდა მოაწერონ ხელი ამ ხელშეკრულებას და დავინახავთ, თუ რამდენათ მინისტრის სიტყვები იყვნენ გულ-წრფელნი. სხვა წყაროებიდან გავიგე, რომ ამ ხელშეკრულებას აქვს სრული ეკონომიური ხასიათი. ასეთი ჩქარა მოწყობილი აუდიენცია მინისტრთან უნდა დავუმადლოთ სენატორ ლუცატის, რომელმაც მისწერა წერილი მის ნაცნობ მოხელეს სამინისტროში, დაეჩქარებინა მოწყობა აუდიენციისა მინისტრთან. ამიტომ ჩვენ ყველანი მეორე დღესვე მივედით ლუცატისთან და ჩვენი მადლობა გამოვუსთქვით. გადავეცით დელეგაციას ასლი და მე ჩემის მხრივ ორივე მემუარები (ბოლშევიკების შემოსევაზედ და კავკასიაზედ შესწორებული). დიდხანს გველაპარაკა და მოგვცა შემდეგი წინადადება: დავწეროთ მოკლე მემორანდუმი ჩვენი საკითხის შესახებ და რომ ის გაუგზავნის ბრიანს, ლოიდ ჯორჯს და აქაურ მინისტრთა თავჯდომარეს თავის რეზიუმეთი და თხოვნით მიაქციონ ჩვენ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება. გთხოვთ ამის შემდეგ მოგვცეთ საჩქარო პასუხი და იქნებ გამოგვიგზავნოთ თვით ამ მემუარის შინაარსი. ჩვენ მართალია ჩვენის მხრითაც შევუდექით მის შედგენას, მაგრამ ეჯობინება მანდედგან მოგვაწოდოთ. ეს მემუარი უნდა შეეხებოდეს რასაკვირველია ამ ბოლო დეკლარაციას, მის მნიშვნელობას და რა გზით და რა საშუალებით

საქართველოს ეროვნული არქივი

საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას შეუძლიათ დაგვეხმარნონ ჩვენი მიზანის სისრულეში მოსაყვანათ. ეს უნდა იყოს შედგენილი ძალიან მოკლეთ (სულ ბევრი, 2 დაბეჭდილი მანქანაზედ გვერდი), ნათლად, კატეგორიულად. ამ მემუარს ვაძლევთ ჩვენ აქაური წარმომადგენელნი მას ლუცატის კერძოთ მისი თხოვნით და ის თავისით უგზავნის (აგრეთვე კერძოთ) თავიანთ მეგობრებს. ასეთია პროცედურა და მე მგონი ამის წინააღმდეგი არაფერი არ უნდა იყოს. მაგრამ ძალიან საჩქაროა, თვითონ გვთხოვა, რაც შეიძლება ჩქარა დამიმზადეთო. დღეს რამდენიმე დიდ გაზეთში (Tribuna, Messagero, Giornale ჩამონათვალია გასარკვევი და ალბათ სხვებშიაც) უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენგან მიცემული ინფორმაცია ამ მიღების შესახებ. ამ დღეებში კვლავ გავუშვებ ცნობებს ამ საკითხის გამო და მის მნიშვნელობაზედ.

ვინახულეთ სამივემ ერთად აგრეთვე სხვა და სხვა დეპუტატები, სოციალისტებიდგან ტრევსი და მოდილიანი, საგარეო საქმეთა კომისიის თავჯდომარე ტორრე და ორი კიდევ სხვა გავლენიანი დეპუტატები. სამწუხაროთ სოციალისტების მემარჯვენე მხარე იმდენად სუსტია, რომ თავიანთ სისუსტეს გულახდილათ ამჟღავნებენ. მე მათთან ცალკეც მქონდა საუბარი, რომ როგორმე მიმეღებინა რაიმე რეზოლუცია ჩვენ სასარგებლოდ. კატეგორიულად გამომიცხადეს ამის უიმედობა. იმასაც კი ვერ მპირდებიან, რომ დანიშნონ კომისია გამოსაკვლევად სიმართლისა. არავითარი იმედი მათი არა მაქვს. რაც შეეხება შეკითხვას პარლამენტში, სამწუხაროთ საგარეო საქმეთა კომისიამ დაინახა უდროოთ ამ საკითხის დაყენება ეხლა, როდესაც უნდა მოაწერონ ხელი რუსეთ-იტალიის შეთანხმებას. ამიტომ დავინახე უაზროთ მაინც დამესვებინა ეს შეკითხვა, როგორც უნდოდათ ჩემს მეგობრებს - პარლამენტის წევრებს და ვთხოვე გადაედოთ უკეთესს მომენტისთვის. უმეტესი ნაწილი პოლიტიკოსებისა ერთს უმთავრესს კითხვას გვიყენებენ: რა გსურთ კონკრეტიულად იტალიამ გააკეთოსო და როგორ ჰფიქრობთ განთავისუფლდეთ რუს-ბოლშევიკების ბატონობისაგანო. ამ კითხვებს გვისვამენ თქვენ, ე. გეგეჭკორს და ახლა ჩვენ და სწორეთ ეს არის ძნელი პასუხის გასაცემად.

ამ წერილთან ერთად გიგზავნით თარგმანს კომუნისტების გაზეთის წერილისა; თავს არ გვანებებენ. ერთის მხრივ კარგია ჩვენთვის, რომ ამდენს სწერენ ჩვენს შესახებ და თავიანთ სუსტ არგუმენტებს აყენებენ ჩვენ წინააღმდეგ, რაც ადვილი გასაქარწყლებელია. სამწუხაროდ გვაკლია სოციალისტური ორგანო, რომელიც მხარს დაგვიჭერდეს. ბ-ნ ევგენის წერილი თუმცა სერატი დამპირდა მის დაბეჭდვას, მაგრამ აგერ ერთი კვირა გავიდა, არ გამოსულა. ამის შესახებ მქონდა დიდი დავა-ბაასი სერატისთან, ამას დაწვრილებით ვწერ თვით ბ-ნ ევგენის.

ამ ბოლო ხანებში გავიჩინე ბევრი მეგობრები პარლამენტის წრეებში. ერთმა მათგანმა თავისი ჟურნალი (საუკეთესო პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოცემა) ჩემს განკარგულებაში მითავაზა, რაც მინდა დამეწერა. მეც შევადგინე (ყველა მასალების შეკრებით) ერთი მაგარი წერილი ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელიც დაიბეჭდება მომავალ თვეში. წერილი უკვე სტამბაშია. ტურინის

საქართველოს ეროვნული არქივი

ინტერნაც. კონგრესს შევატყობინე ბ-ნ ზურაბის მონაწილეობა. მეც მინდა გავემგზავრო, რადგან ეს შემთხვევა მომცემს გავიცნო ბევრი პოლიტიკოს-ეკონომისტები, ველაპარაკო ჩვენი საკითხის შესახებ. კაცზე 50 ლირაა გადასახადი და მე ვუგზავნი ჩვენ ორივესთვის 100 ლირას. მე მგონი თქვენც არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო მეც დავესწრო ამ კონგრესს.[148]

ღრმა პატივისცემით გიორგი მაჩაბელი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 500, ფურცლები 55-57.

148 დოკუმენტში ამის შემდეგ საუბარია ქართველი სტუდენტების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხზე - **გამომცემლები.**

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი მუშების მიმართვა ევროპის მუშებს,
სადაც აღწერილია საბჭოთა რუსეთის
მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში
შექმნილი უმძიმესი ვითარება
1921 წლის ივლისი

ქ. თფილისი 7/8

ასლი

მიმართვა ევროპის მუშებისადმი
განურჩევლად მიმართულებისა

ძვირფასო ამხანაგებო!

მეხუთე თვეა, რაც საქართველოს დემოკრატიული წყობილება დაანგრია უცხოეთის შეიარაღებულმა ძალებმა და ბოლშევიკური რევკომების ხელისუფლებანი დაამყარეს. საქართველოს მუშებმა, რომლებსაც გვქონდა მოძრაობის ხანგრძლივი ისტორია პროფესიონალური, სოციალისტური ორგანიზაციები, ასეთი საშინელი რეჟიმი არ მოსწრიათ ცარიზმის საშინელ რეაქციის ხანაში. მძიმე პირობებმა, რომლებშიაც ჩაგვაგდო ხუთი თვის ბოლშევიკურმა ძალადობამ, ჩვენ იძულებულნი გაგვხადა მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ვაცნობოთ ჩვენი აუტანელი ტანჯვა, რომელიც ხდება სოციალიზმის სახელით.

26 თებერვლიდან საქართველოში გათავდა მუშათა ორგანიზაციების თავისუფალი არსებობა. საქართველოს დაპყრობიდან ჩვენ გვექცევიან, როგორც მონებს რომლის მზგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს. წაგვართვეს და მოგვისპეს პრესის, სიტყვის, ბეჭდის კრების, კავშირების თავისუფლება. საქართველოს მუშები განურჩევლად ყველა დარგისა სამხედრო ბეგარის ქვეშ გამოგვაცხადეს. ყველგან დაარსეს არა ჩვეულებრივი კომისიები, რომლებიც უბრალო ლაპარაკისათვის ატუსაღებენ მუშებს მასსიურად. მოწინავე მუშებს ატყუებენ, ითხოვენ ადგილებიდან ყოველი უფლების აყრით და ასახლებენ, თავიანთ სამშობლო კუთხიდან. პროფესიონალური კავშირებში ჩვენი არჩეულები უპარტიონი და სხვა პარტიების წარმომადგენელნი სულ ყველგან გარეკეს და ზევიდან დანიშნეს სრულიად უცხო პირები. კრებებზე სიტყვის თქმისათვის და დეპუტატობისათვის უზომოდ დასჯა შემოიღეს. ამწყვდევენ ცივნესტიან სარდაფეფში და შეუკითხავად, გამოუძიებლად სჯიან სხვადასხვა ვადით.

ტრამვაის მუშათა პროფესიონალურ კავშირების არჩევნები, რომელიც მოხდა აპრილის შუა რიცხვებში, დაშალეს; არჩეულები დაატყვევეს, კრებაზე უბრალო შემკითხველებიც დასაჯეს, ასეთივე ბედი ეწვია რკინის გზის, დეპოს და თფილისის ყველა საწარმოვო დარგების მუშებს. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პროფ. ყრილობის მიერ არჩეული გამგეობა გადააყენეს და ზევიდან დანიშნეს. მთელ საქართველოს რკინის გზის რაიონებში მოწინავე მუშები დაარბიეს. ამ უკანასკნელ დროს მეთოდიური ხასიათი მიიღო რკინის

საქართველოს ეროვნული არქივი

გზის მუშების გადასახლებამ, ერთი პარტია ძველი მუშებისა უკვე გაგზავნეს. ახლა უპირებენ 1000 მუშას გადასახლებას უცხო ქვეყნის რკინის გზებზე. ძნელია შექმნილ მდგომარეობის საშინელი შედეგების გაცნობა, ნივთიერად მუშების თანამედროვე ვითარება საშიშარია. ჩვენ მოგველის ფიზიკური გახრწნა, დღეში ¼ გირვანქა პურსაც ვერ ვღებულობთ. სხვა სურსათი სრულიად აღარ არის. ჯამაგირები ძველებურია და გადის თვეები არც ის აგვიღია. სოფლად წასვლა სხვა სამეურნეო მუშაობაზე აკრძალულია, ამისთვის დახვრეტა მოგველის. მუშათა უბნებში, შიმშილი ავადმყოფობა და ხოლერა მეფობს. იღუპება მუშათა ოჯახები, ადამიანურად ენის ამოღება შეუძლებელი გახდა. გამეფებულია ტერორი. მთელი საქართველოს მოწინავე მუშები განურჩევლად პარტიული მიმართულებისა საპყრობილეში სხედან. შიმშილი და ავადმყოფობა მუსრს ავლებს. ადამიანთა სიცოცხლე არაფრად ფასობს ხვრეტენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. ისეთებსაც კი ვისაც არასდროს პოლიტიკურ მოძრაობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ხვრეტენ იმისთვის, რომ ის ემსახურებოდა მთავრობას, სახელმწიფოს, სამშობლოს.

ჩვენ გაცნობებთ ყოველივე ამას, ძვირფასო ევროპის მუშებო.

გაცნობებთ, რომ გაიგოთ ჩვენი ტრაგედია, ამოიღოთ ხმა მოძმე ხალხის დასაცავად ველურ ძალადობის წინააღმდეგ.

იჩქარეთ! ნახეთ ადგილობრივად საქართველოში საქართველოს დევნილი მუშათა ცხოვრება. გამოგზავნეთ თუგინდ თვით მარტო კომუნისტები, რომელთა სახელით ხდება ჯერ უცნაური და ისტორიაში უცნობი საშინელებანი.

ჩვენ მოველით თქვენს ძმურს სიტყვას, თქვენს სამართლიან განაჩენს....

თბილისის მუშები

ხელს აწერს 3449 მუშები.

გიგზავნით ამ მიმართვას. ამაზე ხელი მოწერილი აქვს 3449 კაცს.

დედანი ხელ მოწერით ინახება ჩვენთან. ვერ ვაგზავნით პოლიტიკური რეჟიმის, და სხვა და სხვა მოსაზრებით. ვინ იცის, რომ ამ წერილმა ვერ მოაწიოს თქვენთან მაშინ ხელმომწერლებმა უნდა აიბარგონ.

ვაგზავნით ასე სასწრაფოთ გადაეცით საჭიროებისამებრ.

ამხ. სალმით მადონერი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცლები 12-13.

საქართველოს ეროვნული არქივი

საინფორმაციო ბიულეტენი N1 (ნაწყვეტები)
1 აგვისტო, 1921 წელი

სტალინი თფილისის მუშებში.

5 ივლისს საღამოთი ბ-ნ სტალინმა ჯუღაშვილმა მოხსენება გააკეთა ნაძალადევის თეატრში მუშათა აუდიტორიის წინაშე. მოხსენების რეზიუმეს მოყვანა ძნელია, რადგანაც მთელი კრება, რომელსაც დაესწრო მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდი პროლეტარიატი რიცხვით 5000 კაცამდე, დემონსტრაციულ ხასიათს ღებულობდა და მომხსენებლის მიერ წამოყენებულ ყველა დებულებებზე რეპლიკებით აძლევდა პასუხს. სტალინის გამოსვლას მუშები სიჩუმით შეხვდენ, ხოლო, როდესაც მან მათ განთავისუფლება მიულოცა, აუდიტორია ფეხზე დადგა და იძახოდა: „ტყუილია, თქვენ დაგვიპყრეთ, ხიშტებით შემოხვედით, თქვენ გაგვანადგურეთ, ძირს.“ და სხვა. კრება მთელი ნახევარი საათი ნერვიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და რის ვაი ვაგლახით, ისევ მოწინავე მუშების დარიგების შემდეგ, დაწყნარდა. მომხსენებელი განაგრძობს. აუარებელი რეპლიკები ხელს უშლის მას და ეს დიდი ბუმბერაზი პიროვნება ნელ ნელა ხმას უკლებს და გაშტერებული მისჩერებია მღელვარე აუდიტორიას. „ხმა მაღლა“ გაისმის ირგვლივ. „საქართველოს არ შეუძლია ცხოვრება, თუ რუსეთმა პური არ მისცა, ბაქომ ნავთი“ ამბობს ის. ამაზე გაისმის ყვირილი: „სირცხვილია, ტყუილია, თქვენ გაზიდეთ ყველაფერი ჩვენი ოფლით მონაგარი. ჩვენ დაუმტკიცებთ მთელ ქვეყანას, რომ შეგვიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება.“ კრება კვლავ ღელავს. სტალინი იძულებულია გაჩერდეს. დიდი ხნის შემდეგ, ის კვლავ იწყებს: „საქართველოში მომხდარი რევოლუცია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ“ ... აქ კვლავ ხმაურობა გაისმის, მთელი დარბაზი გაიძახის: „სად იყო რევოლუცია, ეს დაპყრობაა, ქვეყნის განადგურებაა, ჩვენი ორგანიზაციების მოსპობაა.“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის იძულებული ხდება კრება დახუროს, მაგრამ მას მიუბრუნდება სტალინი და არწმუნებს, რომ კრება უნდა გათავდეს, რათაც უნდა დაჯდეს. დიდი აურზაურის შემდეგ სტალინი კვლავ აგრძელებს და დიდ ხმაურობაში ათავებს თავის მოხსენებას, რომელიც არავითარი თანაგრძნობის ნიშნებს არ იწვევს მუშებში. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ორატორთა სიაში ჩაწერილია ალექსანდრე დგებუაძე. უკანასკნელის სახელის გაგონებაზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება და გაისმის „ურას“ ძახილი და გაუმარჯოს საქართველოს ძახილი. ტაშის ცემა და ოვაცია გაისმის დიდხანს. დგებუაძე უპასუხებს დაწვრილებით მომხსენებლის მიერ წამოყენებულ იმ დებულებებზე, რომელნიც მიმართულია საქართველოს დემოკრატიისა და მის ხელმძღვანელ სოც. დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ. აბათილებს ფაქტებით და საბუთებით მას, რაც იწვევს მუშების მხრივ განუწყვეტლივ ტაშის ცემას. შემდეგ გამოდის ქართველი კომუნისტი და რუსულად იწყებს ლაპარაკს. დარბაზში ატყდება ყვირილი, მოითხოვენ ილაპარაკოს ქართულათ, ამ დროს გარეთ

საქართველოს
ეროვნული
არქივი

მილიციის უფროსი იჭერს ერთ ამხანაგს, რადგან შენ ყველაზე მეტს ყვიროდიო და მიყავს დაჭერილი, მაგრამ მუშების მხრივ გაისმის ყვირილი-გამოუშვით-უყვირიან სტალინს. ეგ არის თქვენი თავისუფლება. სირცხვილია, გამოუშვით, აქ მოიყვანეთ ... სტალინმა არ იცის რაშია საქმე. პრეზიდიუმი გაოცებულია, უძლურია წაიყვანოს წესიერათ კრება. ჩვენი ამხანაგები მოუწოდებენ ყველას წესიერებისაკენ. კრება წყნარდება. თავმჯდომარე აცხადებს, რომ გაცემულია ბრძანება მის გამოსაშვებათ. სცენაზე გამოდის მაუზერისტი კომუნისტი და იმართლებს თავს. „ზიზღი" იგრგვინა მთელმა დარბაზმა და კომუნისტების რაინდიც იძულებული გახდა გაპარულიყო. ორატორი კი სდგას და სცდილობს განაგრძოს რუსულათ ლაპარაკი. ხალხი მოითხოვს ქართულათ ლაპარაკს. ტრიბუნაზე ადის ამხ. ჭიაბრიშვილი და მოუწოდებს კრებას ნება დართოს ორატორს ილაპარაკოს ისე როგორც მას სურს. კრება წყნარდება და ორატორი დიდ აურზაურში ათავებს თავის სიტყვას. შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ისიდორე რამიშვილს. ენა ვერ აწერს იმ მდგომარეობას, რომელიც დარბაზში იქმნება: მთელი აუდიტორია სკამებზე დგება, მუშები მისცვივდებიან მოხუც რევოლუციონერს და ხელით აყვანილი მიყავთ სცენაზე. ტაშის ცემა ოვაციებათ იქცევა. მოხუცი, უკვე სდგას სცენაზე, მაგრამ დარბაზი არ წყნარდება, გაისმის: „გაუმარჯოს ჩვენს მოხუცს, გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს საქართველოს სოც. დემოკრ. მუშათა პარტიას". დიდი ხანი გასტანა ოვაციებმა. ისიდორე იწყებს თავის სიტყვას. ყოველ მის სიტყვაზე გაისმის მხურვალე ტაშის ცემა. ის უპასუხებს: „თქვენ გვეუბნებით, რა წაგვართვით. რა და ტერიტორია. რა წაგვართვით. რა და თავისუფლება. რა წაგვართვით. რაც ყველაზე უფრო ძვირფასია - დედა ენა". მას ნახევარი საათიც არ ულაპარაკია, მაგრამ საათნახევარი იდგა სცენაზე, რადგან ყოველ მის სიტყვაზე ოვაციები იმართებოდა. სიტყვის გათავების შემდეგ, დარბაზში კვლავ დგება და „გაუმარჯოს" ძახილით ისტუმრებს სცენიდან თავის ძველ მასწავლებელს. სტალინი თავ ჩაღუნული შეყურებს ამ სურათს. ის ზანტად იწყებს თავის უკანასკნელ სიტყვას. აუარებელი რეპლიკა მას მოსვენებას არ აძლევს, წერილობითი შეკითხვები ისე ბევრი იყო, რომ ის ვერ ასწრებს პასუხის გაცემას და, ილაგებს რა პორტფელში, ათავებს თავის სიტყვას. მუშები გზავნიან თავიანთ რეზოლიუციას, მაგრამ თავმჯდომარე სახტად რჩება და ბრძანებს ფარდა ჩამოუშვან.

ასე დამთავრდა ბ-ნ სტალინის გამოსვლა თფილისის მუშებში. სტალინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქართველოს დაპყრობა აუცილებელი გახდა, რადგანაც აქედან მოელოდა საშიშროება საბჭოთა რუსეთსაო.

8 ივლისს, კვირას, ხელმეორეთ განიზრახეს 5 ივლისის მდგომარეობის გამოსასწორებლათ ნაძალადევში კრება, სადაც ფიქრობდენ სტალინი და სხვები რეზოლიუციის გამოტანას. თეატრის დარბაზს დიდი ძალი ხალხი მოაწყდა, მოედანზე ბუნაბუნათ დისკუსიები გაიმართა. კომუნისტებით თანდათანობით გაიპარენ და, ბოლოს კრება გამოაცხადეს დახურულათ.

13 ივლისიდან დაიწყო რეპრესიები ტფილისში. მასსიური ჩხრეკა დაპატიმრება მოხდა, 72 კაცი დაატყვევეს სამი დღის განმავლობაში, უმთავრესად მუშები. დატყვევებულთა შორის არიან: ს. ჯიბლაძე, ის. რამიშვილი, ალ. დგებუაძე,

საქართველოს ეროვნული არქივი

ლ. ონიაშვილი, დ. დვალი, ალ. ლომთათიძე, ნ. ცინცაძე, გ. გიორგაძე, გ. მახარაძე (ეს უკანასკნელი გაანთავისუფლეს ერთი კვირის შემდეგ), დ. ლორთქიფანიძე, ვ. გოგიაშვილი, ს. გოცაძე და სხვები. დაეძებენ ბევრს. რეპრესიები გაძლიერდა პროვინციებშიც. გურიაში დაატყვევეს ბევრი მომუშავე მუშა-გლეხები. აგრეთვე დაატყვევეს სამეგრელოში, ყვირილა-ჭიათურაში.

თფილისში დატყვევებულნი მეტეხში მოათავსეს. ეს მესამე თვეა, რაც მეტეხში სხედან: ვლ. ჯიბლაძე, ზ. გურული, ვ. ნოდია, ბ. ჭუმბურიძე, გ. ანჯაფარიძე, გ. ფაღავა, ტ. შუშიაშვილი და კიდევ პროვინციებიდან და თფილისიდან 100 მეტი პოლიტიკური დამნაშავე. დახვრიტეს რამდენიმე სამხედრო პირი, მათ შორის ნიკოლოზ მარკოზაშვილი და ლეკვინაძე. ციხეებში სხედან აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ჯარის ოფიცრები, მოხელე ადმინისტრატორები, გვარდიელები, ყოფილი საგანგებო რაზმის თანამშრომლები და სხვანი. ტუსაღთა საერთო რიცხვი პროვინცია-ცენტრში ამ ჟამათ გამოურკვეველია, მაგრამ ამაზე შემდეგ. ციხეებში ცუდი და საშინელი რეჟიმია. ეძლევათ მხოლოდ ნახევარი გირვანქა უვარგისი პური. უმეტეს შემთხვევაში კი ერთი მეოთხედი გირვანქა.

რკინის გზებზე (ამონარიდები)

პირველ ხანებში მოხდა საქართველოს რკინის გზის „გაწმენდა“. საერთოდ ყველა სამგზავრო ვაგონები განადგურდა. წაიღეს ვაგონებიდან სარკეები, ტერმომეტრები, ჩარჩოები, მაუდები. ყოველგვარი ქსოვილი ფართალი, სადაც კი იყო აჭრეს, ვაგონ-სალონები სრულიად გაცარცვეს. ფანჯრები დაამსხვრიეს. ყველაფერი ეს ჩაიდინეს რუსის წითელ არმიელებმა. რკინის გზის გაერთიანებას მოყვა რუსეთის ცენტრის ბრძანებანი, საქართველოს რკ. გზების ქონების გატანა, არევდარევა და სრულიად ახალი ხანა. რუსეთის შემოსვლამდი საქართველოში იყო სამგზავრო, სანიტარული, სალონთა და სხვა ვაგონები - 1623 ცალი. დღეს არის საერთოთ ამიერკავკასიაში 554 ვაგონი. საბარგო მატარებელი, ცისტერნი, პლატფორმიანი ვაგონები იყო საქართველოში 4058 ცალი. ამჟამად ამიერკავკასიაში არის 7300-მდე. იყო ორთქმავლები, ვარგისიანი 219, შესაკეთებელი 197. ამ ჟამათ არის საქართველოში ორთქმავლები 102, რომელიც მთელ ამიერკავკასიას ემსახურება. საქართველოს გარეთ არის საქართველოდან გაგზავნილი ადერბეიჯანში და სომხეთში 53. დანარჩენ ორთქმავლების ბედი გამოურკვეველია.

ტფილისის ბაზარი. 1 აგვისტოს ფასები. თეთრი პური 1 გირ. - 8000მ., შავი პური - 4000 მ., ჭადი - 2500 მ., ხორცი - 13 000 მ., კვერცხი 1 ც - 1200 მ., შაქარი 1 გირ. - 30 000 მ., ყველი 1 გირ. - 13 000 მ., ნავთი 1 გირ. - 1500 მ., ნახშირი ფუთი - 60 000 მან., შეშა კუბიკური საჟენი - 2 500 000 მან., ფეხსაცმელები - 800 000-1 000 000-მდე, ღვინო ბოთლი - 12 000 მან. ასანთი ერთი კოლოფი - 1000 მან.

ცეცხლი ყარაიაზში. სახალხო გვარდიის მიერ დათესილი მამული ყარაიაზში საქართველოს რევკომმა გადასცა მე-11-ტე არმიას. იქ გაგზავნილ იქმნა დასაცველად მე-11-ტე არმიის ნაწილი. წითელ არმიელებმა ყარაიაზის ტყეში ნადირობა დაიწყეს. რადგანაც ტყეში ღორები ვერ ჩაიგდეს ხელში, ტყის ერთ

საქართველოს ეროვნული არქივი

ნაწილს ცეცხლი წაუკიდეს იმ მოსაზრებით, რომ ღორები მინდვრად გამოეგ-დოთ. ცეცხლი მოედვა ტყეს, გაგრძელდა ათი დღე და გადაიწვა ყარაიაზის ტყეს-თან ერთად მთელი ყარაიაზის ნათესი მამული.

გორის მაზრა. ახალქალაქის[149] რაიონში მძვინვარებდა და მძვინვარებს თეთრი ტერორი. აღდგომის დღეებში თავს დაეცენ მ. ლაშქარაშვილის ოჯახს. აუტეხეს სროლა სახლს და მოკლეს დედა ლაშქარაშვილისა, მოკლეს ყოფილი ქართველი ოფიცრები თარხანიშვილი, ციციშვილი და ყანჩაველი. რაიონში გაგზავნილი იყო კომისიები საქართველოს რევკომიდან, მაგრამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

პოლიტიკური მოღვაწეები, ზოგიერთ სამხედრო პირებიდან, გვარდიელები ტყეებში ცხოვრობენ.

ხაშურის რაიონში თვით ხაშურში ბატონობენ ოსები და კომუნისტები, ყო-ველგვარი პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციები დარბეულია. გავლა რაიონში ძნელია. მუშებს იჭერენ და ასახლებენ. მთელი ხაშურის მცხოვრებთა 85% წავიდა ხაშურიდან. მთელ მაზრაში უმთავრესად რევკომში, მილიციაში, ჩეკებში გარეშეებია. ხალხი ფაქტიურად არ ეკარება რევკომებს. სდევნიან ყველა პროგესიულ ელემენტებს. ბორჯომის რაიონში რეპრესიებია. ბევრი მშრომელი გაქცეულია ტყეებში. სასახლეები, ძვირფასი შენობები, ბაღები ჯარის სადგომებათ არის გადაქცეული და ერთიანად გაძარცულ-განადგურებულია, ყველა ქარხნები გაჩერებული. აღარ მზადდება ბორჯომის მინერალური წყლები. ქალაქი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს. ორგანიზაციები დარბეულია.

ტფილისის მაზრა. მანგლისის რაიონი. მანგლისში ყოფილი რუსი შავ-რაზმელები, ამჟამათ გაკომუნისტებული, ავიწროებენ ქართველებს. ქართული ენა გაუქმებულია, კულტურა გამასხარავებული. რევკომის თავმჯდომარეა გ. კობიძე, რომელიც მექრთამეობისა, ქურდობისათვის 1920 წ. იანვარში იყო დაჭერილი. რევკომის დანარჩენი წევრები რუსები და სომხებია. მანგლისში მყოფ ქართულ პოლკის ქონება და ეკლესიის ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი განძეულობა მანგლისის რევკომმა გაგზავნა ტფილისში. იყო რეპრესიები. მღვდელი ჩიტაძე, რომელიც სამშობლოს დასაცავათ ჯარში იყო, მესამე თვეა დაჭერილია.

აფხაზეთში. აფხაზეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადების შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა. გაძლიერდა რეპრესიები. მოსპეს ქარ-თული ენა. ქართველებს სოხუმის კომუნისტები დაცინვით იხსენიებენ. ქარ-თველი ელემენტებიც გარბიან. დაჭერილებს აგზავნიან რუსეთში. მათ შორის ქართველებსაც. ქართველი მოსახლეობა მოითხოვს საქართველოს რევკო-მიდან გაგზავნილ იქნას კონსული ქართველთა ინტერესების დასაცავად. აფხაზეთში მოქცეული სამურზაყანოს ხალხი გამოყოფას მოითხოვს. აფხაზეთის პოლიტიკის მწარმოებელნი არიან: ეშბა, ლაკობა და სხვები.

სამხრეთ ოსეთში. ჯავაში ქართველი მოსახლეები, ვინც ვერ გაიქცა რუსის ჯარის შემოსევის დროს, ამოხოცეს. ოსების ბატონობა გაგრძელდა ცხინვალის

149 იგულისხმება დღევანდელი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალქალაქი - **გამომცემლები.**

საქართველოს ეროვნული არქივი

რაიონზეც. რეპრესიები საშინლად მძვინვარებს. გაიტაცეს დიდძალი ხორბალი და საქონელი მცხოვრებლებიდან. ბევრი ქართველი ცხინვალიდან გაიხიზნა. ამ ბოლო ხანებში ოსების გადაჭარბებულ მოქმედების გამო, საქართველოს რევკომმა რამოდენიმეჯერ კომისია გაგზავნა. კომისიის დასკვნა ასეთია: ოსების მოქმედება ყოველ-გვარ საზღვარს გარეშეა. ქართველები ცუდ მდგომარეობაში არიან. მოსალოდნელია საშინელი ხოცვა-ჟლეტა, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული. მეჯვრისხევის რაიონშიაც მდგომარეობა ასეთია.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 31-38.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ
1921 წლის 6 აგვისტო

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა და სოციალისტ-რევოლიუციონერების ცენტრალურ კომიტეტებს

ასლი „სოციალისტურ უწყებას“ ბერლინში
და „რუსეთის თავისუფლებას“ პრაგაში

ძვირფასო ამხანაგებო!

ექვსი თვე სრულდება, რაც საბჭოთა ლაშქარი შემოიჭრა საქართველოში, მილეწ-მოლეწა უაღრესად დემოკრატიული დაწესებულებები, დაანგრია მუშების თავისუფალი ორგანიზაციები და დაამყარა რევკომების დიქტატურა. ყველაფერი ეს კეთდება რუსეთის მუშებისა და გლეხების სახელით. ჩვენ არ გვაქვს საშუალება, რომ მივაწოდოთ ცნობები იმ აუტანელი საოკუპაციო რეჟიმის შესახებ, რომელიც მძვინვარებს საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის მოწინავე დემოკრატიას. ჩვენ ვიცით, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში უხდება თქვენს პარტიებს პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი დემოკრატია გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ამ მუშაობას. ჩვენ ვცდილობთ მივაწოდოთ მას სწორი ცნობები რუსეთის შესახებ. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც საჭიროდ დაინახავთ და შეატყობინებთ რუსეთის სოციალისტურ დემოკრატიას, თუ რა აუტანელ პირობებში უხდება ცხოვრება საქართველოს მშრომელთ საოკუპაციო რეჟიმის ქვეშ. მუშების გროშებით შეძენილი პარტიული ქონება მიითვისა რევკომმა. ეზიდება საქართველოდან ერის ქონებას. ქართველი მუშები ძალათ გაყავს რუსეთში სამუშაოდ, სრულიად უდანაშაულო ჩვენს ამხანაგებს სამართლის გარეშე სიკვდილით სჯის. რევკომი ეყრდნობა რუსის ჯარს და არა ქართულ ელემენტებს. ის სდევნის ჩვენს ენას-ლიტერატურას. თეატრებში აღკრძალა ისტორიული პიესები, რომლის გავლენის ქვეშ იზრდებოდა მთელი თაობა. ამნაირად ის სთესავს ნაციონალურ შუღლს და ხელს უწყობს ორ მეზობელ და მეგობარ ერთაშორის მდგომარეობის გამწვავებას. საქართველო-რუსეთის მომავალი მეგობრული ურთიერთობის დამყარების ინტერესი მოითხოვს, რომ რუსეთის მოწინავე დემოკრატიამ აღიმაღლოს თავისი ხმა ამ ისტორიულ ბოროტების წინააღმდეგ და დაეხმაროს საქართველოს განთავისუფლებას, რომელსაც მოითხოვს მთელი ერი.

დარწმუნებული თქვენს დახმარებაში, მიიღეთ ამხანაგური სალამი.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ქ. თფილისი, 6 აგვისტო.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 14.

საქართველოს ეროვნული არქივი

სოციალ-დემოკრატ ალ. კანდელაკის მიერ თბილისის რკინიგზის მუშების ყრილობაზე წაკითხული დეკლარაცია, რომელსაც ხელს 36 დელეგატი აწერს 1921 წლის 18 აგვისტოს შემდეგ

თფილისის რკინის გზის რაიონის დელეგატთა ყრილობის სოც. დემოკრ. დელეგატთა დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკის რევკომის ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მისმა პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა საჯაროთ განაცხადეს, რომ დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას და დაემყარებიან ადგილობრივ შეიარაღებულ ძალას, ამასთან უზრუნველყოფენ თავისუფალ სიტყვას, წერას და კრებას კანონიერ ფარგალში.

ექვსი თვე გადის და ჩვენ ვხედავთ, რომ დამოუკიდებლობა ფაქტიურათ უარყოფილია. რესპუბლიკის დაწესებულებები გაივსო ჩამოსულ ელემენტებით, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებიან ერის მშრომელ ნაწილს და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმაშენებლობის საქმეში აშკარა საბოტაჟს ეწევიან. ქართული ენა - ეს საზოგადოების მშრომელი ნაწილის ერთად ერთი განვითარების იარაღი, იდევნება დაწესებულებებიდან. ასე ხდება ჩვენს რკინის გზაზე, რომლის რაციონალური ექსპლოატაცია ვითომდა ამას მოითხოვდეს, ნამდვილათ კი კონტრ-რევოლიუციუნურ და შოვინისტურ ელემენტების სასარგებლოთ. ადგილობრივი ლაშქარი აღარ დგება, იმის მოსაწყობათ არავინ ზრუნავს და ის ხდება იმიტომ, რომ შემოსულ ძალას ქონდეს საშვალება თვისი მილიტარული ძალა გაამაგროს აქ და შემდეგ აშკარათ აწარმავოს შოვინისტურ-იმპერიალისტური პოლიტიკა. ქართველ მშრომელ ხალხს წართმეული აქვს ყოველივე საშვალება, რომ გამოსთქვას თვისი აზრი საერთო მდგომარეობაზე და ამა თუ იმ საჭირბოროტო კითხვებზე. კრების, პრესის, სიტყვის თავისუფლება მოსპობილია. არ არის საშვალება საჯაროთ გამოტანილი იქმნას ის აუარებელი ბოროტმოქმედება, რომელსაც ეწევა რევკომების აგენტები და მშრომელ მასას არ აქვს საშვალება მიუდგომელ კანტროლის. საქართველოს მშრომელი ხალხის სიმდიდრე კი იღუპება. ამავე დროს იღუპება საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების მიერ დიდის წვალებით შენახულ-შექმნილი ვაგონები, ორთქმავლები და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას სამუდამოთ შორდებიან. მუშა-მოსამსახურეებს კი აშორებენ მათ ოჯახებს, სამუშაო რაიონებს, თავიანთ კუთხეს და გზავნიან საზღვარ-გარეთ. ამავე დროს რკინის გზის მეურნეობა ირღვევა და ყოველივე ეს ხდება არა მშრომელი ხალხის ნებართვით, კიდევ მეტი - არამართველი პარტიის საჯარო დადგენილების შემდეგ, არამედ ანონიმური კავ-ბიროს, ან მისი დაწესებულების მოქმედებით.

საქართველოს მუშები და კერძოთ რკინისგზელები ფიზიკურათ ნადგურდებიან უჭმელობის გამო, მათი მდგომარეობა თანდათან უარესდება იმ დროს, როდესაც მათ თვალწინ ხდება უაღრესი სპეკულიაცია. ჩვენი ქვეყნის და უცხოელი სპეკულიანტები თავისუფლად დასეირნობენ, ხოლო უმწიკლო

საქართველოს ეროვნული არქივი

საზოგადო მოღვაწეები, მოწინავე მუშები და გლეხები ციხეებში იტანჯებიან. განსაკუთრებით სდევნიან ქართველ მშრომელ ხალხს და თანამედროვე რეპრესია ღებულობს ეროვნულ დევნის ხასიათს. არ არსებობს თავისუფალი არჩევნები. ხიშტებით, ციხით სურთ დაიმორჩილონ საქართველოს მუშები და განსაკუთრებით ეს მოხდა რკინის გზელ მუშებზე თავდასხმით. არჩევნების ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიის აგენტებმა წითელარმიელთა დახმარებით თფილისის მთავარ სახელოსნოს ალყა შემოარტყეს, გასავლელი კარები დაიჭირეს, დაიწყეს მუშების ძებნა და დაპატიმრება. 18 აგვისტოს ორ საათის წინ გამოაცხადეს არჩევნები, კრებაზე მოვიდა შეიარაღებული კომუნისტები. რაზმის მთავარმა დაატყვევა მოწინააღმდეგეები, რასაც მოჰყვა მღელვარება და მღელვარების დროს კომუნისტებმა წამოაყენეს თავიანთი სია, რომელსაც 50 კაცმა მისცა ხმა, მეორე სიის წარდგენამდე კრება აურ-ზაურში დაიშალა და რამოდენიმე 1000 კაცს უფლება წაართვეს მონაწილეობის და 25 დელეგატი-კომუნისტი 50 მოყვანილ პირებს აარჩევიეს. ქალაქ ბათომში არჩევნების წინ მოწინავე მუშები ციხეში მოათავსეს. რეპრესიებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მუშებმა დასტოვეს ბათომი და ასე გაიყვანეს კომუნისტებმა თვისინები. ხაშურში რეპრესიები დიდი ხნის ადრე შემოიღენ. ერთი ჯგუფი მუშების ადერბეიჯანში გადაასახლენ. ბევრი ციხეებში მოათავსენ, ზოგიერთები დაიმალენ. არჩევნები მოხდა მხოლოდ სადგურში, სადაც ერთი დელეგატი აირჩიენ, მხოლოდ დეპოში არჩევნები არ მოახდინეს, მუშებმა იქ არაფერი იციან და ყრილობას აქ ხაშურის დეპოს მუშების სახელით დელეგატები ჩამოვიდენ იქაურ კომ-იაჩიკის მიერ არჩეულები. ერთი კვირაა ნავთლუღ-კახეთის რკინის გზის მუშების მიერ დელეგატი არა კომუნისტი არჩეულია და მათ მოწმობა ჯერაც არ მიუღიათ და არც სალოღლის დელეგატებს, რადგანაც იქ კომუნისტები მიუხედავათ რეპრესიებისა ვერ გავიდენ. თფილისის სადგურის მოძრაობის დარგის და ლიანდაგის მუშა-მოსამსახურეთა პირველი კრება 18 აგვისტოს მოიწვიეს. ამ დღეს, რადგანაც კრებას საკმაოთ დაესწრენ მუშები, კრება უკანონოთ გამოაცხადეს, არჩევნები დაშალეს და 22 აგვისტოსთვის გადადვეს. მიუხედავათ ამისა 20 აგვისტოს დილით გამოაცხადეს არჩევნები 10 საათზე. მუშა-მოსამსახურეებს ეს არც გაუგიათ, მოიყვანეს სხვა-და-სხვა უბნებიდან თანამოაზრეები და ამ გარეშეებს აარჩევიენ დელეგატები, მხოლოდ 2500 მუშას ხმა წაართვეს. სასურსათო განყოფილებაში კრება 20 აგვისტოს გამოაცხადეს და ნაცვლად 1000 მოსამსახურისა 80-იმ მიიღო მონაწილეობა და ასე მოხდა ყველგან საქართველოს რკინის გზის დარგებში, რომლის მზგავსი ჩვენს მუშათა კლასის ისტორიას არ მოსწვრია ცარიზმის საშინელ რეაქციის ხანაშიც.

ამიტომ ჩვენ ქართველ მშრომელი ხალხის და საერთა შორის მუშათა კლასის წინაშე ხმა მაღლა ვაცხადებთ, რომ ასეთი პირობებში არჩეული კონფერენცია მუშების ნებას სრულებით არ გამოხატავს. მის დადგენილებას არ ექნება არავითარი რეალური მნიშვნელობა და ის არის საქართველოს მუშათა კლასის აბუჩათ აგდება. მისი ინტერესების ფეხ-ქვეშ გათელვა, რომელსაც შესაფერ მსჯავრს დასდებს და დააფასებს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, განურჩევლად მიმართულებისა, როდესაც გაიგებს საქმის ნამდვილ ვითარებას. ვაცხადებთ რა ამას, ვსტოვებთ კონფერენციას და არავითარ პასუხისმგებლობას არ

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ვკისრულობთ მის მუშაობის გამო - მუშათა კლასის, ერის და ისტორიის წინაშე.

P.S. დოკუმენტს აქვს „მადონერის“ მიერ კალმით შემდეგი მინაწერი: „უნდა დაიბეჭდოს სოციალისტურ გაზეთებში.

ეს დეკლარაცია რკინის გზელთა ყრილობაზედ წაიკითხა სოც. დემ. დელეგატთა სახელით ალ. კანდელაკმა, რომელზედაც ხელს აწერდა თფილისის 17 დელეგატი და რომელსაც შემდეგ შეუერთდა ნავთლუღის 7 დელეგ. სალოღლის 6 და 6 დელ. სულ 36 დელეგ.“

მადონერი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცლები 15-16.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი ბათუმიდან მიღებული ცნობებიდან
1921 წლის ზაფხული

დაიწყო გაფიცვები დაწესებულებებში (ფოთში) იმ ნიადაგზე, რომ არსად ჯამაგირს არ აძლევენ ფულის ნიშნების უქონლობის გამო. ფულის უქონლობა კი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მეთერთმეტე არმია დაეპატრონა ფულის დაზგას და რევკომს აღარ აძლევს მცირე ნაწილის გარდა. მეთერთმეტე არმია კი იმიტომ დაეპატრონა ქართულ ფულს, რომ რუსეთიდან გამოგზავნილი სხვა და სხვა დროს სამი ვაგონი ფული მახნომ წაართვა.

„ჩეკას“ მოხსენება. ბათომის „ჩეკა“ აუწყებს თფილისს, რომ მდგომარეობა სერიოზულია, ბოლშევიკები ბეწვზე კიდიან, მუშები უკმაყოფილო არიან. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმართება „ნაციონალიზტების“ კრებები და მოსალოდნელია აჯანყება. ამიტომ ისინი თხოულობენ ძალის მოშველებას. ამ თხოვნაზე მათ მიიღეს ჯავშნიანი მატარებელი.

სამეგრელო. მთელი სამეგრელო „ყაჩაღების ხელშია“ აცხადებენ ბოლშევიკები. ყველა კუთხიდან მათ მიერ დევნილი ელემენტები სამეგრელოში გადაიხვეწენ და იქ შეაფარეს თავი.

ხოლერის საშინელებანი. თბილისში ხოლერა მძვინვარებს, დღეში 20-30 კაცი იხოცება. უმთავრესად ხოლერა შეიჭრა დამშეულ ინტელიგენტურ წრეოჯახებში. ხოლერიან ავათმყოფთა მოვლა-შველას ვერ ასწრებდნენ, რადგან საავათმყოფოები მთლად გავსილია ავათმყოფებით და ექიმთა პერსონალიც არ ყოფნის.

მუშები. თფილისის მუშები გაფიცვის წინაშე დგანან. მუშები აბსოლიუტურ შიმშილს განიცდიან, დღეში იღებენ 3/8 გირ. პურს.

ბავშვების გარყვნა. მთელ საქართველოში მოქმედებს საზარელი სისტემა ბავშვების გაკომუნისტებისა. მცირეწლოვან ბავშვებს ურიგებენ მუქთათ თეატრის ბილეთებს და აძლევენ საჩუქრებს. უკანასკნელის დარიგების დროს ბოლშევიკები შემდეგ ნაირათ იქცევიან: ჯერ ბავშვებს წინადადებას აძლევენ, რათა მათ შეევედრონ ღმერთს, რომ მან მისცეს პური, შაქარი და სხ. ბავშვები მათ წინადადებას ასრულებენ, მაგრამ ღმერთი რასაკვირველია, მათ სურვილს არ უსრულებს. შემდეგ კი აგრეთვე ვედრებით, ბოლშევიკების წინადადებით, ბავშვები მიმართავენ კომუნისტებს - მაშინ, რასაკვირველია, ისინი ყველაფერს იღებენ. ბავშვებს ამღერებენ ინტერნაციონალს და იძახიან: გაუმარჯოს ლენინ-ტროცკისო.

ერთი მოხსენებიდან. ბათუმის ოლქის სამხედრო კომისარს ქართული პოლკის პოლ. კომისარი მოახსენებს: „პოლკში კომ-იაჩეიკა ვერ შეიქმნა, არც სალდათი და არც ოფიცერი ჩვენ არ გვითანაგვიგრძნობს, რაც დრო გადის მით უფრო მეტ ზიზღს იჩენენ ჩვენდამიო. კომისარის რეზოლუცია ასეთია: სჩანს ვერ გიმუშავნიათ თორემ, ამოდენხანს ერთი კომ-იაჩეიკა როგორ ვერ შექმენითო. რუსეთში გენერლებიც კი ეწერებიან ჩვენთან და აქ რა ღმერთი წყრებაო. პოლ. კომ. უპასუხებს: რუსეთი-რუსეთია, მაგრამ საქართველო სულ სხვა ყოფილაო.“

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 14-15.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ანგარიში საქართველოში არსებული ვითარების შესახებ, რომელიც გაეგზავნა პარტიის საზღვარგარეთ მყოფ წევრებს 1921 წლის აგვისტოს შემდეგ

მიმდინარე წლის 11 თებერვლიდან საქართველო დიდ ისტორიულ ამბების ასპარეზად გადაიქცა. სამი წლის საპროპაგანდო სამზადისის და ადერბეიჯანში და სომხეთში თავის ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ, მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ დაიწყო სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ისტორიულის თვალსაზრისით ეს იყო მოსკოვის მიერ მოწყობილი ლაშქრობა რუსეთის საკოლონიო ბატონობის აღდგენისათვის საქართველოზე. ამ ლაშქრობის ოფიციალური მოტივი იყო საქართველოს მუშების და გლეხების განთავისუფლება იმპერიალისტების ბატონობისაგან, საბუთად კი დასახელებული იყო ქართველ ბოლშევიკების მიერ მოგონილი ვითომ აჯანყება დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველო ომისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა როგორც სამხედრო ტეხნიკის და ორგანიზაციის მხრივ, ისე ადმინისტრატიულათ და პოლიტიკურათ. საქართველოს მთავრობა საომარ მოქმედებას იმ დროს სრულიად არ მოელოდა და რამდენსამე დღის წინ ომის დაწყებამდე საზღვარზე მდგომ ჯარში ნაწილობრივი დემობილიზაცია მოახდინა. ტფილისში მთავრობის წრეებს არა სჯეროდათ, რომ საქართველოს მართლა მოსკოვის საბჭოთა ჯარები ეომებოდნენ. ეს წრეები რამდენიმე საბედისწერო დღეები ფიქრობდნენ, რომ ეს ომი კი არა, თავხედი ყაჩაღების და ბანდების ალაგობრივი თარეში იყო. ვიდრე საქართველოს ჯარმა ტფილისის პოზიციები არ მიატოვა, საქართველოს მთავრობას არსად უთქვამს საჯაროთ, რომ მას რუსეთი ეომება. მთავრობა ამ სინამდვილის გამჟღავნებას ისე გაურბოდა, თითქოს იმისი დამალვა უშველიდა რასმეს. მთავრობამ ვერ მოახერხა დროზე მობილიზაციის გამოცხადება და ქართველი ხალხის ენერგიის გამოყენება რესპუბლიკის დაცვისთვის. **საქართველოს შტაბს არ აღმოაჩნდა თავდაცვის გეგმა,** საწყობებში იარაღის ნაკლებობამ იჩინა თავი, ფრონტზე სურსათის მიწოდება ვერ მოწესრიგდა და სხ. ამ მოუმზადებლობამ მოიტანა ის, რომ საქართველოს სამხედრო ძალების თითქმის ნახევარი განადგურებულ იქმნა მტრის მიერ პირველსავე დაკვრით, ღამით 11 თებერვალს, და მთავარ სარდლის განკარგულებაში არც ერთი რაზმი აღარ დარჩა ტფილისის გზების შესაკვრელად. მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ აღფრთოვანებას უნდა მიეწეროს, რომ 19 თებერვლიდან 24-მდე განუწყვეტლივ ამარცხებდა ქართველი ახალგაზრდობა რუსის ჯარს სასტიკ ბრძოლებში ტფილისის პოზიციებზე. მხოლოდ მთავრობის და სამხედრო ხელმძღვანელების ბრალია, რომ ბრძოლებში გამარჯვებულმა ქართველმა მხედრობამ 24 თებერვლის საბედისწერო ღამეს მაინც დასტოვა ტფილისი. საქართველოს დედაქალაქის დატოვება გადაიქცა ქართველი ჯარის დაშლის დასაწყისად... თფილისის შემდეგ ქართველ ჯარს ნამდვილად აღარსად უბრძოლია ვიდრე ბათუმამდე, სადაც მან თავის თავის იშვიათის სიმტკიცით და სამაგალითო სიმამაცით დააცლევინა ბათომის ფორტები ოსმალთა ჯარებს.

საქართველოს ეროვნული არქივი

მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა დამოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობდა ფაკტიურათ, ხოლო იმისი მთავრობა კი გემებზე იჯდა, უცხოეთში გასახიზნათ გამზადებული.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ შემოუტია საქართველოს იმ დროს, როცა ის ერთი თვის წინათ ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიერ უკვე ცნობილ იქმნა დე-იურე, იმ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი დასავლეთის ქვეყნებში იმყოფებოდა, ხოლო ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობასთან ანგორაში მთავრობის სრულუფლებიანი რწმუნებული მდივანი აწარმოებდა მოლაპარაკებას მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისათვის. საომარ მოქმედების დაწყებისთანავე თანახმად ჟორდანიას კაბინეთის და დამფუძნებელი კრების სალეიტმოტივო სიტყვისა, საქართველოს საზოგადოებრივი აზრი უცხოეთიდან დახმარების ირგვლივ ატრიალდა. ორიენტაცია თავის თავზე საქართველოში მუდამ მხოლოდ ფუჭი სიტყვა იყო. **მენშევიკების პარტია რაც ხანი ის ბატონობს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყოველთვის სხვათა იმედით ყოფნას ურჩევდა ხალხს და არასოდეს მას სერიოზულად არ უფიქრია, რომ ქართველი ხალხი, ისე როგორც ყველა სხვა ერი, თითონ არის საბოლაოდ შემოქმედი და გადამწყვეტი თავის პოლიტიკურ მდგომარეობისა. 1918 წლის 26 მაისამდე, მენშევიკების რწმენით, ის სხვა, რომლის იმედზედაც უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხი, იყო დემოკრატიული რუსეთი.** როცა პოლიტიკურმა რეალობამ დაარღვია ეს რწმენა და საქართველო რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან დამოუკიდებელ ქვეყნათ გამორიყა, **მენშევიკების პოლიტიკურმა შეგნებამ შეაფასა ეს ფაკტი,** როგორც **„სამწუხარო აუცილებლობა“.** პოლიტიკური რეალიზმი ძნელი შესათვისებელია, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ისტორიულ მრავალფეროვანებას პრინციპიალურათ გვერდს უქცევს. ხელიდან წასულ რუსეთის ფეტიშის ნაცვლად საქართველოს სოც.-დემოკრატებმა 26 მაისის შემდეგ სხვების ძებნა დაიწყეს. საერთაშორისო პროლეტარიატი, ევროპის დემოკრატია, ანტანტის დიდი ქვეყნები - ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე. **საქართველოს მთავრობა და გაბატონებული პარტია** სამი წლის განმავლობაში **ეძებდა ამ სხვა ძალას,** რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ის რუსეთის ნაცვლად. მისი ძიება მოდებული ჰქონდა ქართველ ხალხს, რომელიც თავის გარეშე ეძიებდა დამოუკიდებელ არსებობისათვის ყავარჯენს, შინ კი მოუწყობელი ქონდა და დღითი დღე უფრო ეწეწებოდა ფინანსები, სამხედრო ორგანიზაცია, საადმინისტრაციო აპარატი, იუსტიციის საქმე, საგარეო სამსახური და სხ. შინაურ არევდარევას, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც ზედ ერთვოდა ათასი ბოროტმოქმედება, რომლის ქსელი თანდათან უფრო და უფრო იხლართებოდა და ერთი ერთმანეთზე აბამდა თავის მახეში საქართველოს უამრავ მოხელეთა ახალ ახალ წრეებს.

უცხოეთის იმედი არ გამართლდა. პირიქით, სწორეთ, როცა კრიტიკული დღეები დადგა, მაშინ დაიწყო ანგორის მთავრობამ ულტიმატუმების ენით ლაპარაკი საზღვრების გასწორებაზე, მაშინ განუცხადა ბრიტანიის თფილისელმა წარმომადგენელმა, რომ იმისი მთავრობა მორალურათ დაეხმარება საქართველოს. მხოლოდ საფრანგეთის მთავრობა განაგრძობდა დაპირებას, მაგრამ ისიც იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მხედრობა გამარჯვებული იქნებოდა

საქართველოს ეროვნული არქივი

ბრძოლებში. საფრანგეთის გემებმა მოზიდეს კიდეც ბათომის პორტში ერთი ნაწილი იარაღისა, მაგრამ, რაც ამ პარტიიდან საქართველოს ჯარმა მიიღო, /1000 თოფი/, თითქმის ყველა შეკეთებას საჭიროებდა... მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: კრიტიკულ მომენტში საქართველოს დახმარება არავინ აღმოუჩინა. ჯარში დემორალიზაცია გაძლიერდა და მისი დახევა ბათომისკენ უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე მთავრობასა და შტაბს ეგონათ.

ბათომში მმართველი წრეები სალიკვიდაციო ციებცხელებამ აიტაცა. სახელმწიფო ქონების გატანა უცხოეთში, პასპორტების დამზადება, ადგილების დაკვეთა გემებზე, ვალიუტის და სავალიუტო საქონლის მომარაგება საპირადო ინტერესებისთვის - აი, საზარელი სურათი საქართველოს ლიკვიდაციისა ბათომში. 23 მარტს ღამე მთავრობის თავმჯდომარემ და კაბინეთის წევრებმა მიატოვეს ბათომი და შესხდნენ გემებზე ისე რომ თავისი უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამთ ხალხისთვის ან დამფუძნებელი კრებისთვის. დასტოვეს საქართველოს ტერიტორია ისე, რომ არ შეუტყობინებიათ თავისი პოლიტიკური პერსპექტივები პოლიტიკურ პარტიებისთვის, არ გაუზიარებიათ მათთვის თავისი მოქმედების გეგმა, არ უთქვამთ ისიც კი, თუ სახელდობ რომელ ქვეყანაში იხიზნებიან... ეს უკანასკნელი ღამე იყო, საშინელი და საზარელი! იმ ღამისთვის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეული დამფუძნებელი კრების სხდომა არ შედგა, რადგან ჯერ მინისტრები, შემდეგ კრების თავმჯდომარე, ბოლოს მმართველი პარტიის წევრები კერძო თათბირის შემდეგ, ფარულად წასულიყვენ ზოგი გემებზე, ზოგი თავ-თავის ბინებზე. ქალაქის ქუჩებში კი უკვე რბევა დაიწყო. ვიღაც ნაძირალები ამტვრევდენ მაღაზიებს, და საწყობებს დარაბებს ხელის მოსათბობათ. ეს იყო დამარცხების ეპილოგი. წესიერებას უპატრონოდ დარჩენილი ქართველი ჯარის კაცები-ღა იცავდნენ. დილას გამოცხადდა ბათომის რევკომის დაარსება. მოვიდა რუსის ჯარიც. ასე დამყარდა რევკომის ხელისუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

როგორ შეხვდა ამ ამბავს საქართველოს ხალხი?

პირველი დღეები რევკომების ესე იგი ბოლშევიკების ხელისუფლების დამყარებისა, ხალხის შეგნებაში ყველგან ეჭვისა და უნდობლობის გამოურკვეველ მოლოდინით აღიბეჭდა. არავის არ სჯეროდა მათი ბატონობის ხანგრძლივობა. და ქართველი მასსა თითქოს შორიდან უცქეროდა მათს ფაციფუცს. ქალაქებში, განსაკუთრებით თფილისში და ბათომში, თავი წამოყვეს სრულიად უცნობმა პირებმა, რომელთაც აედევნენ არა ქართველი ელემენტები. გორის მაზრაში სითამამე დაეტყოთ ოსებს, რომელთაც ბოლშევიკური რაზმების დახმარებით და მფარველობით დაიწყეს ქართველ სოფლების რბევა. ეს დარბევა ზოგან ადამიანურ მსხვერპლსაც იწირავდა. ყველგან განსაკუთრებით კი პატარა ქალაქებში და სოფლებში, თავი წამოყვეს საეჭვო პირებმა, რომელთაგან ბევრი ბოლშევიკებმა ახლად გამოუშვეს ციხიდან, სადაც ისინი ავაზაკობისა და მტაცებლობისათვის ისხდნენ. ეჭვი და უნდობლობა, რომელითაც შეხვდა ქართველი ხალხი ბოლშევიკების გაბატონებას თანდათან გადაიქცა რწმენად, რომ ეს ახალი ბატონობა არის ბატონობა ნაძირალების, ქურდების, მტაცებლების და ყაჩაღების. თანდათან ქართველი ხალხი ყველგან, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში სრულიად იმიჯნება ბოლშევიკებისაგან, როგორც რაღაც ბოროტი

საქართველოს ეროვნული არქივი

და მავნე ძილისაგან. იქაც კი, ბოლშევიკების პროპაგანდას დიდი გასავალი ქონდა, მაგ. სამეგრელოში და დუშეთის მაზრაში, იქაც კი მათი ბატონობის სისტემამ სრულიად ნათლად აამხედრა მათ წინააღმდეგ ხალხი. მიუხედავათ ამ უარყოფითი დამოკიდებულებისა ბოლშევიკებისადმი, არსად საქართველოში დღევანდლამდე ადგილი არ ქონია მასიურ აჯანყებას. ხალხს ყველგან დინჯათ უჭირავს თავი და ყველგან ის აზრია გაბატონებული, რომ ბოლშევიკური ბატონობის განმტკიცება და ხანგრძლივათ დარჩენა შეუძლებელია. მათს გასვლას საქართველოს საზღვრებიდან ხალხი ყველგან დღე-დღეზე მოელის.

ტფილისში ბოლშევიკები 25 თებერვალს შემოვიდნენ კოჯრის გზით. წინა ღამით მთავრობასთან ერთად ტფილისიდან ბათომის მიმართულებით გაიხიზნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიების თითქმის ყველა აქტიური ელემენტები. ვინც თფილისში დარჩა, მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის სიხარულის ხითხითი, რომლითაც შეხვდა ტფილისის არა ქართული ელემენტი, განურჩევლად მდგომარეობისა, ბოლშევიკებს. განსაკუთრებით ხარობდნენ რუსები, სომხები და ებრაელები, რომელნიც ისე ეტანებოდნენ ახალ ძალას, თითქოს განუყრელი სულიერი და მატერიალური კავშირი ჰქონოდეთ მასთან. უხაროდათ ქართული მთავრობის მოსპობა თფილისში, უხაროდათ ისე ღრმათ, რომ არავინ ეკითხებოდა თავის თავს, რა მოქონდა მათთვის ბოლშევიკების ხელისუფლებას. ბევრმა მართლაც მოახერხა შეტკბილება ახალ ბატონებთან და საპირადო საქმეების გამოწყობა, მაგრამ ხალხის მასსა კი მოტყუვდა და ამ მოტყუებას ის თან და თან ხედავს. ტფილისში დარჩენილი უპარტიო და პოლიტიკის გარეშე დარჩენილი ელემენტები რბევის შიშით შეპყრობილნი, შეეცადენ ქართული ელემენტების შემოკრებას. დაარსდა დროებითი წესიერების დამცველი კომიტეტი და დაიწყეს თათბირი როგორ მოქცეულიყვენ. პირველ დღიდანვე სცენაზე გამოდიოდენ დამფუძნებელი კრების წევრები თედო ღლონტი და შალვა ნუცუბიძე. ღლონტი წინათვე ცნობილი იყო თავის ბოლშევიკური ტენდენციებით და ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ხომ იმისი ფიზიონომია მთლიანათ გამოირკვა. თებერვლის 27-ვე გამოდის ღლონტის გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“, ვინაიდან ღლონტს ნდობის თვალით უყურებენ ბოლშევიკები. ეს ჯგუფი კიდევაც სცდილობს ეს ნდობა განამტკიცოს და პირველსავე ნომრებში იბეჭდება აღფრთოვანებული წერილები „მომხდარი გადატრიალების“ შესახებ. ქებადიდებით იხსენიებენ „ახალს ძალას“ „ახალს ქვეყანას“, „ჩრდილოეთიდან ამობრწყინებულ ვარსკვლავს“ და რუსის ჯარის შემოსვლას სახავენ ხალხის საბედნიერო ძალათ. ღლონტის და ნუცუბიძის გაზეთი სრულიად ითვისებს ბოლშევიკების არგუმენტაციას, იმათივე თვალით უცქერიან მოვლენებს და სცდილობენ ქართველი ხალხი შეარიგონ ამ ახალ ძალასთან.

უპატრონოთ დარჩენილი ქართველი აპოლიტიკური ნაწილი, რომელსაც ამ საშინელ მომენტში სურს გაიგონოს ქართული სიტყვა აწყდება პირველ დღეებში ღლონტის და ნუცუბიძის მოხსენებებს, მაგრამ საზოგადოება ისევ მალე ერკვევა პირველი დღეების პანიკისაგან და თანდათან ზურგს აქცევს ღლონტ-ნუცუბიძის ლაქიურ და მოღალატურ პოზიციას. პირველ ხანებში ღლონტის ჯგუფს ეკედლებიან მაშასადამე, აპოლიტიკური ელემენტები და აგრეთვე ზოგიერთი

საქართველოს ეროვნული არქივი

პოლიტიკური მოღვაწენიც /ხოჭოლავა, სერგო ჯაფარიძე, გ. ნათაძე, გ. ქიქოძე, რობაქიძე, პ. იაშვილი და სხ./, მაგრამ ეს ელემენტები მხოლოდ მექანიკურათ უახლოვდებიან ღლონტს, რომელიც მათის დახმარებით და მათის საშუალებით თავის პოლიტიკურ ხაზის გატარებას სცდილობს: საქართველოს შერიგებას მომხდარ ფაქტთან, ე. ი. საქართველოს ბოლშევიკების მიერ დაპყრობასთან.

ათიოდე დღის შემდეგ ღლონტის მეთაურობით ტფილისიდან, რევკომის სურვილის თანახმათ და მისის მანდატით, ქუთაისისა და ბათომისკენ მიემგზავრება დელეგაცია, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს, ურჩიოს ბოლშევიკურ ძალებთან მებრძოლ პოლიტიკურ საქართველოს დაჰყაროს იარაღი, შესწყვიტოს წინააღმდეგობა და შეურიგდეს მომხდარ ფაქტს, რომელიც არც ისე დიდ უბედურებას წარმოადგენს ქართველი ხალხისთვის. რა გავლენა იქონია მდგომარეობაზე ამ დელეგაციამ, ამის შესახებ საკმაო ცნობები მოეპოვებათ უცხოეთში გახიზნულ მთავრობის წევრებს. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ რომ უამისოთაც მოდუნებული ენერგია წინააღმდეგობის ღლონტის მოსმენის შემდეგ ბათომში, უფრო მეტად მოდუნდა.

გადატეხის პირველმა დღეებმა საქართველოში შედარებით უმტკივნეულოთ ჩაიარა. არ ყოფილა მასსიური დევნა ინტელიგენციისა და სიკვდილით დასჯა ეგრეთ წოდებულ „კონტრრევოლიუციონერებისა". ბოლშევიკების ხელისუფლებმა გამოაცხადეს რომ ისინი სდგანან დამოუკიდებლობის ნიადაგზე და დაიცავენ მას. გაზეთებში დაიბეჭდა ლენინის წერილი ქართველ ბოლშევიკების სახელზე, რომელიც შეიცავს დარიგებას, ზომიერება დაიცვან, შეირიგონ ადგილობრივი ინტელიგენცია და არ აიმხედრონ თავის წინააღმდეგ წვრილი ბურჟუაზია. ეს განცხადებანი და შედარებითი ზომიერება ბოლშევიკების მოქმედებაში ხსნიან გზებს პოლიტიკურ კომპრომისების საძებნელათ. საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც ამ კომპრომისებს დაეძებენ. ყველა პოლიტიკურ პარტიას სწადიან მოიპოვოს ლეგალურ მოქმედების უფლება, ყველა პოლიტიკური პარტია ურჩევს ხალხს ლოიალობას და ყველას სურვილი აქვს იქონიოს თავისი პერიოდული გამოცემა.

საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაში იწყება სასტიკი შინაური ბრძოლა თ. ღლონტთან და მის ჯგუფთან. ბრძოლის ღერძს წარმოადგენს ორიენტაციის საკითხი. ღლონტის აზრით საქართ. ჯარის დამარცხებით დამარცხდა ორიენტაციაანტანტისქვეყნებზე,რომელსაცჩვენშინეიტრალობისგარეგნობით მოსავდნენ. ამის შემდეგ საქართველო უნდა დაემყაროს **საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას,** რომელსაც მეთაურობს რუსეთი ლენინის და საერთოთ მოსკოველ კომუნისტების მეთაურობით. ღლონტს საჭიროთ მიაჩნია, ნათლათ და ცხადათ იქნეს მიღებული ეს ორიენტაცია, რათა ამით საშვალება გაეხსნას საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ელემენტებისათვის ფეხის მომაგრებისა. უამისოდ კომუნისტების მიმდევარი და ამყოლი უცხო ელემენტები ეპატრონებიან საქართველოს ოფიციალ დაწესებულებებს, მათს ხელში გადადის საადმინისტრაციო მეხანიზმი, მათს ხელში ხდება საქართველოს სიმდიდრის გამოყენება და სხვა. ღლონტის სარევოლიუციო ორიენტაციას არ იზიარებს, მაგრამ მაინც ემხრობა მას **შალვა ნუცუბიძე** თავისი ამყოლებით იმ მოსაზრებით, რომ პატარა ერს არ შეუძლია დიდ პოლიტიკურ პრობლემისათვის

საქართველოს ეროვნული არქივი

ბრძოლაში ჩაებას, ის ყოველთვის ლერწამივით უნდა იხრებოდეს, ძალას უნდა ხერხიანათ მიუწვეს და ფიზიკური არსებობა შეირჩინოს. **პარტიის უმრავლესობა გადაჭრით წინააღმდეგია ამ პოლიტიკური მიმდინარეობისა.** უმრავლესობის აზრით სოციალური რევოლიუცია უკვე დამარცხდა თვით რუსეთში. იმედი ევროპის მასშტაბით სოციალური რევოლიუციის გაშლისა არ გამართლდა და რუსეთში იწყება ლიკვიდაციის ხანა. **ფიზიკური გადარჩენისათვის ორიენტაციის კომპრომისი მიუღებელია, რადგან ამ კომპრომისს არავითარი რეალური ღირებულება არ აქვს.** და რუსული იმპერიალისტური ძალა, კომუნისტურ სახით მოვლინებული, რაც შეუძლიან მაინც ყველაფერს გაანადგურებს საქართველოში.

პარტიის უმრავლესობა **თხოულობს ორიენტაციას ქართველ ხალხზე** და მთელის ჭირ-ვარამის გაზიარებას მასთან **დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.** ეს შინაური პარტიული ბრძოლა უზენაესობას აღწევს პარტიულ კონფერენციაზე, რომელსაც 200-დე დეპუტატი ესწრება საქართველოს ყველა კუთხეებიდან. კონფერენციის კრებებზე ფრაქციული ბრძოლის სიმწვავე პოლიტიკურ მორიდების ფარდებს გლეჯს და ირკვევა რომ პარტიის უმრავლესობა **მზათ არის უკიდურესი და უსასტიკესი აკტივობა განავითაროს** ქართველ ხალხთან ერთად, როგორც კი ამას მდგომარეობა მოითხოვს, საქართველოს **დამოუკიდებლობის აღდგენისათვის** და უცხო ძალის ბატონობის ლიკვიდაციისათვის. ღლონტი იძულებულია განაცხადოს, რომ მას და მის ჯგუფს პარტიაში დარჩენა აღარ შეუძლიათ. ღლონტთან ერთად კონფერენციას სტოვებს 27 დეპუტატი.

კონფერენციის უმრავლესობა ამის შემდეგ დინჯათ განაგრძობს თავის მუშაობას, აძლევს დირექტივებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, ირჩევს მის წევრებს და იშლება. ამ კონფერენციას მხნეობა შეაქვს არა მარტო პარტიის წრეებში, არამედ საერთოდ ქართველ ხალხის მასსებში. ღლონტი და იმისი ჯგუფი კი, ბოლშევიკების ქონებრივი დახმარებით და ლეგალურის მფარველობით, განაგრძობენ თავის გზით სიარულს. აღსანიშნავია, რომ ამ გარიყულთა ჯგუფში იდეური თანხმობა არ არის, ზოგი მათგანი ვერ უძლებს ერის მოღალატის სახელს, რომელიც მათ დაიმსახურეს და ან სრულიად თავს ანებებს პოლიტიკურ ასპარეზს /შალვა ნუცუბიძე/ ან თავის დედა პარტიას უბრუნდება უკან. თვით ღლონტი კი დღესაც განაგრძობს პოლიტიკურ შანტაჟს, რომელიც 25 თებერვალს დაიწყო, სახელდობ საქ. სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის სახელით მოქმედებას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიუხედავათ უხვ დაპირებისა, რომლებსაც ის აძლევს ყველა თავის მიმდევარს, საქართველოში ის თანაგრძნობას მაინც ვერ პოულობს. ვერც ლეგალური უპირატესობანი, ვერც ქონებრივი სიკეთენი, ვერც იარაღის დარიგება, ვერაფერი ვერ ხიბლავს ხალხს და განსაკუთრებით პარტიის ხალხს, წევრებს, რომელნიც ურჩევად დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ენერგია უნდა მოხმარდეს დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენას და არა ბოლშევიკების ხელისუფლებასთან შეგუებას. შეიძლება ითქვას, რომ ღლონტის ჯგუფი აღარ არსებობს. სულ მთელ საქართველოში შეიძლება ორმოცი კაცი იყოს მასთან, მაგრამ ღლონტი სარგებლობს თავისი მდგომარეობით და თავის გაზეთში ავრცელებს ყალბ ცნობებს. სოც.-ფედერალისტებს კი ხელისუფლებამ გადაჭრით უარი უთხრა გაზეთის და ლეგალობის შესახებ. ღლონტისებურმა

საქართველოს ეროვნული არქივი

მიმდინარეობამ მეტნაკლებობით სხვა პარტიებშიაც იჩინა თავი. **სოც.-რევოლ.** პარტია პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლების გაზიარების პლატფორმაზე შეჩერდა. ამ პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, უმცირესობის წინააღმდეგ, ერთგვარი დეკლარაცია შეიმუშავა, რომელიც ნაანგარიშევი იყო იდეურათ ბოლშევიზმის გაზიარების საფუძველზე, მაგრამ ამ დეკლარაციის დედა-აზრი დაწუნებულ იქმნა პარტიის ძირის ორგანიზაციების მიერ და, ეხლა, როგორც თვით სოც.-რევ-ბი ამბობენ, იგი სრულიად უარყოფილია, ხოლო სამაგიეროთ შემუშავებულია ახალი პლატფორმა, არსებითად **ბოლშევიკების შეურიგებლობის პრინციპზე.**

ნაც.-დემოკრატების წრეებში ჭარბად გამოსჭვივის ტენდენცია, **გამოიყენონ ბოლშევიზმით შექმნილი მდგომარეობა სოციალისტების ბატონობის საბოლათ ლიკვიდაციისათვის საქართველოში.** მათ სწამთ, რომ ბოლშევიკების ბატონობა დროულია და კისერს მოიტეხს. **მათი მეცადინეობა** კი არსებითად იქით მიიქცევა, **რომ შეამზადონ ისეთი რეალური ძალა, რომელიც ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ მთავრობის ძალას მათ ჩაუგდებს ხელში.** მათის შეხედულებით, ბოლშევიკების შემოსვლით საქართველოში არსებითად შეიცვალა ურთიერთობა და **ფიქრობენ,** რომ ეს **ურთიერთობა ეხლა მათდა სასარგებლოთ არის მიმართული.** მენშევიკებს თითქო მართლა ეფიქრებათ ნაციონალ დემოკრატების გავლენის ზრდისა და გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს მათს მოქმედებას.

ლეგალურ ფორმებში საოპოზიციო მოქმედების მოპოვება მოისურვეს აგრეთვე „სხივის" ჯგუფელებმა, მაგრამ ეს მეცადინეობა არ გაუმართლათ არც მათ, არც სოციალ-დემოკრატებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რევკომმა „სხიველებს" და „მაშვრალებს" საშუალება მისცა თავის გაზეთის რამდენიმე ნომერი გამოეცათ სოციალ-დემოკრატებს და სოც.ფედერალისტებს თავიდანვე უარით შეხვდნენ.

სოც. დემოკრატებმა თავისი პარტიული ორიენტაცია ახალ პირობებში გამოხატეს იმ დადგენილებაში, რომელიც მათს ყრილობაზე იქმნა მიღებული **10 აპრილს.** ამ რეზოლიუციის ტექსტი ცნობილია და საკმაოთ ნათლათ არკვევს მათს შეხედულებას. აღსანიშნავია რომ სოც. დემოკრატებმა საჭიროდ არც არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება მიიჩნიეს, არც შემუშავება ახალი რამ სამოქმედო დირექტივებისა. თავის მოქმედების ხაზს ისინი წინანდებურად განსაზღვრავენ ფორმულით **„დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ".** მათ თავისი თავი მასიურ პარტიათ მიაჩნიათ, მოუწოდებენ ხალხს ლეგალურ მოქმედებისათვის და აფრთხილებენ ყოველგვარ **შეთქმულობის და შეიარაღებულ გამოსვლის წინააღმდეგ.** როგორც ნაციონალ დემოკრატები, სოციალ დემოკრატებიც მოელიან ბოლშევიზმის ლიკვიდაციას და ემზადებიან იმისთვის, რომ მაშინ სხვამ არავინ ჩაიგდოს ხელში ხელისუფლება.

რეზოლიუციებზე და ოფიციალურ დეკლარაციებზე უფრო ნათლად და კონკრეტად პარტიათა პოზიციებს ახალ პოლიტიკურ პირობებში არკვევს ის მოლაპარაკება რომელიც დაიწყო მათ შორის აპრილში და რომლის პირველი ხანაც დასრულდა 21 აგვისტოს.

ამ მოლაპარაკების საგანს შეადგენდა პარტიათა დაახლოვება საურ-

საქართველოს ეროვნული არქივი

თიერთო კონტაკტისათვის. მიუხედავათ განმასხვავებელ ნიუანსებისა, საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ერთნაირის უარყოფით უცქერის კომუნისტების ბატონობას და ერთგვარი კონტაკტის დამყარება მათ შორის თავის თავად სადავო საგანს არ წარმოადგენს. /ღლონტის ჯგუფი და სოც.-რევოლიუციონერთა პარტია ამ საგანზე გამართულ ინტერპარტიულ მოლაპარაკების მონაწილენი არ ყოფილა/ **სადავო აღმოჩნდა კონტაკტის სივრცე და ის, თუ რა სახე უნდა მისცემოდა საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ იმისი დამოუკიდებლობა ნამდვილად აღდგენილი იქნებოდა.** პარტიათა წარმომადგენლების პირველ შეხვედრისას გამოირკვა, რომ ყოფილ მმართველ პარტიას, სასურველად მიაჩნდა მხოლოდ **ინტერპარტიული საინფორმაციო კავშირი,** რისთვისაც პარტიათა დელეგატებს უნდა შეედგინათ ინტერპარტიული **საინფორმაციო ბიურო.** ამ ბიუროს საშვალებით პარტიები ერთმანეთის მოქმედების კურსში იქნებოდენ და ეცოდინებოდათ, საქართველოს რომელ კუთხეში როგორი მდგომარეობაა, სად რა ხდება. სოც.-ფედერალისტთა პარტიას სასურველად მიაჩნდა აგრეთვე არა მარტო საინფორმაციო, არამედ ამასთანავე ერთად სამოქმედო კონტაკტიც, რისთვისაც საინფორმაციო ბიუროს გარდა უნდა დაარსებულიყო რაიმე ინტერპარტიული ხელმძღვანელი ცენტრი, **რომლის დირექტივებიც სავალდებულო იქნებოდენ პოლიტიკურ სფეროში ყველასათვის,** ვინც საქ. დამოუკიდებლობას აღდგენისათვის იმუშავებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. „სხიველების" აზრით სასურველი იყო ინტერპარტიულ კონტაკტებისათვის საფუძველი ჩაყრილიყო საინფორმაციო ბიუროს დაარსებით, ხოლო შემდეგ მოქმედების და ურთიერთობის პროცესში თანდათან გაფართოვებულიყო ეს კონტაკტი როგორც სათვალყურო საგნის აგრეთვე შინაარსის მხრივ. **ნაციონალ დემოკრატების აზრით საინტერპარტიო კონტაკტის აუცილებელ პირობათ უნდა ყოფილიყო პარტიათა შეთანხმება იმაზედ, რომ აღდგენილ საქართველოში არ იქნებოდა ნაწარმოები ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკების პარტია დამარცხებამდე და რომელმაც განუმზადა ქვეყანას ეს სამარცხვინო დამარცხება, ხოლო ამის გარანტიათ ნაც.-დემ. პარტიას საჭიროთ მიაჩნდა ჯერ განზრახულ ინტერპარტიულ ცენტრის, ხოლო შემდეგ დროებითი მთავრობის წევრთა არა ნაკლებ ნახევარი ყოფილიყო** არა სოციალისტურ წრეებიდან. ნაც.-დემ. საჭიროთ მიაჩნდათ აგრეთვე პარტიათა შორის წინასწარი შეთანხმება **იმაზედ, რომ დამფუძნებელი კრება აღარ განახლდებოდა, ხოლო უცხოეთში გახიზნული მთავრობა არ დაბრუნდებოდა საქართველოში, როგორც მთავრობა, და დროებითი მთავრობა განაგებდა საქმეებს ახალ საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე.** რადგან საინტერპარტიო კონტაკტის შესახებ პარტიათა შორის აზრთა სხვა და სხვაობა საკმაოთ თვალსაჩინო აღმოჩნდა, ამ საგანზე მოლაპარაკება გაგრძელდა გაჭიანურდა. მოლაპარაკების პროცესში მიღებულ იქმნა დადგენილება, ვიდრე იმის დასრულებამდე, თვითეულ კონკრეტ შემთხვევისთვის ცალკე მოეხდინათ პარტიებს ერთმანეთთან შეთანხმება საერთო ნაბიჯების გადასადგმელათ, მაგრამ ამ დადგენილებას ნამდვილათ არავითარი შედეგი არ მოყოლია: **სოც.-დემ. წინადადება,** რამდენჯერმე განმეორებული სხვა და სხვა სახით, რომ საქართველოში მომქმედ პარტიებს

საქართველოს ეროვნული არქივი

შეემზადებინათ საერთო მემორანდუმი და წარედგინათ ყველა პარტიის სახელით /პოლიტიკის ცენტრებისათვის საქართველოში, რუსეთში და დასავლეთ ევროპაში, ყოველთვის უარყოფილი რჩებოდა. ასევე უნაყოფო გამოდგა დადგენილება საერთო საინფორმაციო ბიუროს დაარსების შესახებ. ამ ბიუროს წევრებიც კი არ დაასახელეს პარტიებმა და ფაქტიურათ ასეთი ბიურო არც ერთხელ არ შეკრებილა. იმ დროს განმავლობაში, ვიდრე ეს მოლაპარაკება დასრულდებოდა, მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც გავლენა იქონია მოლაპარაკების განგრძობაზე, და, შესაძლებელია, ვიფიქროთ, იმის მიმართულებაზედაც: რუსეთიდან თფილისში სტუმრის თუ ინსტრუქტორის როლში მოსულმა ბოლშევიკმა სტალინმა /ჯუღაშვილმა/ წაიკითხა ნაძალადევში მუშათა კლუბის დარბაზში საჯარო მოხსენება. მოხსენების შემდეგ გამოცხადებული იყო დებატები. აუდიტორია ორ ჯგუფს წარმოადგენდა: მცირე რიცხვი ბოლშევიკებისა და ქართველი მუშები. მოხსენების საგანს შეადგენდა საქართველოს „სოვეტიზაცია“. ჯუღაშვილის შემდეგ სიტყვა მიეცა რამდენიმე მენშევიკს, **ისიდორე რამიშვილს, ალ. დგებუაძეს და სხვებს. ამ უკანასკნელთა გაბედულ სიტყვებს მუშათა აუდიტორია სატრიუმფო ოვაციებით შეხვდა,** მაშინ როდესაც თვით სტალინს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას შენიშვნებით. ეს მოხსენება და დებატები ფაქტიურათ გადაიქცა **პოლიტიკურ მანიფესტაციათ ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ.** ორატორთა სიაში ჩაწერილი იყვნენ სოც.-ფედ., მაგრამ აუდიტორია თავიდანვე დემონსტრაციათ გადაიქცა და პაექრობა შეუძლებელი შეიქნა. ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებმა დაატუსაღეს თფილისში **100-დე სოც.-დემოკრატი.** მათი დატუსაღების წინ გადაყენებულ იქმნა რევკომის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე** და დაინიშნა **ბ. მდივანი.** ამბობენ, მახარაძის გადაყენება იმიტომ მოხდა, რომ ის თანხმობას არ იძლეოდა თავის ყოფილ ამხანაგების დატუსაღებაზეო. ამ რეპრესიების მიზანი ალბათ დაშინება იყო, ნამდვილათ კი სრულიად საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიღო. **მენშევიკების შერყეული პრესტიჟი გამოსწორდა, ხოლო თვით მენშევიკები წინანდელზე იმედიანი შეიქნენ.** საერთოდ ბოლშევიკური რეჟიმი ისე მტკიცედ უწყობს ხელს ძველი მთავრობის პრესტიჟის აღდგენას, რა თქმა უნდა, უნებურათ, რომ საეჭვოა, კომუნისტებს ასეთი ნაყოფისთვის უკეთ მიეღწიათ, თავის მოქმედების საგანგებო მიზნათ რომ სწორეთ ეს დაესახათ, რაც ხანი გადის, **მით უფრო ძლიერდება შინაური ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, ეს კი ხალხის ფართო მასსებში ყოფილ მთავრობისადმი სიმპატიას ქმნის. ჟორდანიას სახელი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ ჰხდება.** ვინც საქართველოს პოლიტიკურ კულისებს იცნობს, იმისთვის ჟორდანიას ასეთი შეფასება ისტორიული კურიოზია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კონტაქტის შესახებ მოლაპარაკება ერთხანად სწარმოებდა არა მარტო ზემოთ მოხსენებულ პარტიათა შორის, არამედ ამის პარალელურათ ერთის მხრით სოც.-დემ. მიერ ცალკე **სოც.ფედერალისტებთან** და მეორეს მხრივ **ნაც. დემოკრ**. და **„სხიველების“ მიერ ცალკე ისევ სოც. ფედერალისტებთან. ამ მოლაპარაკების საბოლაო შედეგი ის არის, რომ ნაც. დემოკრატებმა დაუკლეს თავის პრეტენზიას. ეხლა თხოულობენ მხოლოდ პარტიულ პარიტეტს პოლიტიკურ ცენტრის და დროებითი მთავრობის**

საქართველოს ეროვნული არქივი

შემადგენლობაში ერთის რომელსამე უპარტიო პირის მიმატებით. მაგრამ კატეგორიულათ წინააღმდეგნი არიან **მენშევიკურ პოლიტიკის რესტავრაციისა.** სოც. ფედ. პარტიამ წარუდგინა ყველა დანარჩენ პარტიებს შეთანხმების პლატფორმა, რომელიც შესდგება შემდეგის სამის მუხლისაგან: 1/ **დაარსდეს ერთი ინტერპარტიული ცენტრი, რომელიც უმაღლესი ხელმძღვანელი იქნება პოლიტიკური მუშაობისა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, და ამ ცენტრსვე დაევალოს დროებითი მთავრობის ფუნქციები,** ვიდრე საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პარლამენტი შეიკრიბებოდეს, 2/ ამ ცენტრის შედგენა მოხდეს პარტიათა პარიტეტის საფუძველზე, 3/ ამ ცენტრს როგორც დროებით მთავრობას, დაევალოს დაიცვას შინაური წესრიგი რესპუბლიკაში, სახელმწიფო საზღვრები, მოახდინოს თავისუფალი არჩევნები სამი თვის განმავლობაში ბოლშევიკების გაუქმების შემდეგ, და გადასცეს მთელი ხელისუფლება პარლამენტს.

კონტაქტის დამყარებისათვის დაწყებული ინტერპარტიული მოლაპარაკება გადაიქცა ინტერპარტიულ დავათ იმის შესახებ, თუ რა სახე მიიღოს საქართველოს პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ბოლშევიკების „წასვლის“ შემდეგ, ვიდრე ახალ პარლამენტამდე. სოც.-დემოკრატებმა ყურადღების ცენტრად გაუქმებულ დაწესებულებათა რესტავრაცია გადააქციეს, მათის ფიქრით, რესტავრაცია უნდა მოხდეს სრულიად ყოველგვარ გამონაკლისის გარეშე, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დაწესებულებისა, როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში, სოც.-დემოკ. ასაბუთებენ თავის შეხედულებას ორი შემდეგის მოსაზრებით: 1/ **საქართველოში რევოლიუცია არ ყოფილა, მხოლოდ მოხდა იმისი დაპყრობა გარეშე ძალის მიერ.** ყოფილი დაწესებულებანი არ მოქმედებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ფუნქციები შეჩერებულია გარეშე ძალის გავლენის მიხედვით. დაეცემა თუ არა ეს ძალა, უნდა ამოქმედდეს ეს დაწესებულებანიც. ეს არის უფლებრივი დახასიათება /თუ დასაბუთება?/ რესტავრაციისა. თუ ამ სახით არ მოხდა რესტავრაცია, ეს იქნება იმის დადასტურება, თითქოს საქართველოში გადატრიალება მომხდარიყოს შინაური ძალების მიერ და 2/ საქართველოს მხარს უჭერენ ევროპის ქვეყნები, როგორც განსაზღვრულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემის ქვეყანას, რომელიც უცხოელების თვალში განსახიერებულია ჟორდანიას მთავრობით. ამიტომ ახალი მთავრობაც უეჭველად ჟორდანიას მთავრობა უნდა იყოს. ყველა სხვა გვარი გადაწყვეტილება მთავრობის საკითხისა გამოიწვევს ამ თანაგრძნობის და დახმარების დაკარგვას ევროპაში, რომელიც მოპოებული აქვს საქართველოს ჟორდანიას მთავრობის მოქმედებით.

რესტავრაციას, როგორც ის ესმით სოც.-დემოკრატებს, კატეგორიულათ ეწინააღმდეგებიან ყველა სხვა პარტიები. შეთანხმებისთვის საჭირო შეიქნა რაიმე კომპრომისის გამოძებნა. პარტიათა წარმომადგენლების თათბირმა სასურველად დაინახა კომპრომისის ძებნა ისეთი პლატფორმის საფუძველზე, რომელიც რესტავრაციის მწვავე სადავო საკითხს რამდენიმეთ ღიათ დასტოვებდა და შესაძლებელი იქნებოდა თითოულ პარტიას თავისი საკუთარი ინტერპრეტაცია გაეკეთებინა მისთვის. სოც.-დემოკრ. პარტიის წარმომადგენელმა დაივალა თავისი პარტიის უკანასკნელი საკომპრომისო პლატფორმა ეცნობებინა სხვა პარტიებისთვის. რამდენიმე დღის შემდე, ეს

საქართველოს ეროვნული არქივი

ცნობა მიიღეს პარტიის წარმომადგენლებმა 21 აგვისტოს. სოც.-დემოკრატების პლატფორმა გულისხმობს შეთანხმებას მხოლოდ იმ დროისათვის, როცა საქართველოში ბოლშევიკების ბატონობა მოისპობა, და სდუმს იმაზე, თუ რა ურთიერთობა იქნება მათ შორის არსებულ პირობებში: ეგ პლატფორმა გულისხმობს სრულს რესტავრაციას იმ ერთად ერთის ცვლილებით, რომ წინანდელი მთავრობის ნაცვლად ჟორდანია კოალიციის საფუძველზე ადგენს ახალს კაბინეთს. სოც.დემ.-ს ეს წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა ყველა სხვა პარტიებისათვის, და ამით დასრულდა ჯერ-ჯერობით ეს ხანგრძლივი ინტერპარტიული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამგვარად, საქ. პოლიტიკური პარტიები ჯერჯერობით ისევ დაქსაქსული არიან და არავითარი კონტაქტი ერთმანეთთან მათ არ აქვთ, თუმც თითოეული მათგანი ხედავს დაახლოვების საჭიროებას, რასაც პროვინციაში მომუშავე პარტიის წევრები განსაკუთრებით მწვავეთ გრძნობენ. ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი, რომ პარტიული ცენტრების გათიშულობის მიუხედავათ პროვინციაში ბევრგან ყველა ანტიბოლშევიკური ძალები ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედობენ.

იმ ხუთი თვის განმავლობაში, რაც საქართველოში ბოლშევიკები ბატონობენ, ხალხის ცხოვრების პირობებში ბევრი ცვლილებები მოხდა. უფლებრივი მდგომარეობა ყველგან თვითნებობათ შეიცვალა. არავის არაფერი უზრუნველყოფილი არ აქვს: ბინა, ქონება, პატივი, სიცოცხლე - ყველაფერი საეჭვოთ არის გამხდარი. ქალაქების მცხოვრებთა უმრავლესობა ნახევრად მშიერია. საბჭოთა მოსამსახურეებს და მუშებს, ზოგიერთ კატეგორიის გამოკლებით, თვეზე მეტია იმ ნახევარ გირვანქა პურსაც აღარ აძლევენ წინათ რო ურიგებდნენ. სოფლად ხალხი ღონიერათ არის იმ რაიონების გარდა, სადაც მოუსავლობის გამო სურსათი არ მოიპოვება, როგორც მაგალითად შორაპნის მაზრაში. რის გატანაც კი შეიძლებოდა რესპუბლიკიდან, **ორთქმავლიდან დამოკიდებული პაპიროსამდე, ყველაფერი გაზიდეს რუსეთში,** თუ დარჩა რამე შეუმჩნეველი, ნახავენ თუ არა, მიაქვთ რეკვიზიციის წესით და ან რუსეთში გზავნიან, ან აქვე ურიგებენ, ვისაც წყალობენ. წარმოების დაწესებულებანი, რაც კი მოიპოვებოდა, ნაციონალურ ქონებათ გამოცხადდა, და მუშაობა თითქმის ყველგან შეწყდა. ბოლშევიკები ზოგიერთ წვრილ ქარხნებს უკან უბრუნებენ პატრონებს იმ პირობით, რომ მათ მუშაობა განაახლონ. მუშები სურსათის უქონლობით ქალაქებიდან გარბიან და ვინც დარჩა ჯერ კიდევ, ისე ღონე მიხდილია, რომ მუშაობის თავი არა აქვთ. სახელმწიფო დაწესებულებებში კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობენ ქართველების რიცხვი შეამცირონ, იგივე ტენდენცია სჩანს მუშების მიმართ. საბეჭდავი მანქანა მუშაობს ყოველდღე განუწყვეტლივ და ბეჭდავს 700-800 მილიონამდე დღეში, მარა ბოლშევიკური დაწესებულებანი მაინც დიდს ფულის კრიზისს განიცდიან. ცხოვრების გაძვირებას ზომა აღარ აქვს. საქართველოს საზღვრები წაშლილია. თფილისი განსაკუთრებით გაიჭედა უცხო ელემენტებით - სომხებით და რუსებით, საქართველოს რევკომი ისე გულუხვად ურიგებს მეზობლებს ქართულ ტერიტორიის ნაწილებს, თითქმის თითონვე არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ ამ დარიგებას. სამაჰმადიანო საქართველო, ბორჩალოს მაზრა, ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი, აფხაზეთი, ყველა ეს უკვე ჩამოაცილეს საქართველოს...

საქართველოს ეროვნული არქივი

მთელი ტომები შესდგება ბოლშევიკების ბოროტმოქმედება რომ აიწეროს. ქართველი ხალხი ხედავს ამ ბოროტებას და ეძებს ხსნის გზებს. უცხოეთში გახიზნულ მთავრობის შესახებ აქ მეტად მცირე ცნობებია. რაც ხალხმა იცის, ისიც მხოლოდ ილიუზიებს ქმნის. სოც.-დემ. წრეები თითონაც ილიუზიებს განიცდიან: მათ თითქმის სჯერათ, რომ რაღაც გარეშე ძალა გაჩნდება და ის მოუღებს ბოლოს ეხლანდელ ვაკხანალიას. საშიშია, ეკონომიურმა კრიზისმა ისე არ მოღუნოს წელში ხალხი, რომ მას საზოგადოებრივი აქტივობის უნარიც კი დაეკარგოს. ამ ჟამათ, რუსეთის შიმშილობის ლოზუნგით საქართველოში დიდი უბედურებაა მოსალოდნელი: წინეთაც ხომ გაქონდათ ყველაფერი რუსეთში და დღეს კი უკვე მეორე თვეა, რაც მთელი ენერგია ხელისუფლებისა იქითკენაა მიქცეული. ეზიდებიან ყველაფერს, მეორე თვეა მოსამსახურეებს ჯამაგირი და პური არ მიუღიათ. საქართველოს მთლიანათ 52 მილიარდი /მარტო თფილისს 25 მილიარდი კონტრიბუცია დაადვეს და ვინც ვერ იხდის „ჩეკაში“ აგზავნიან. სასურსათო გადასახადი /პროდნალოგის/ პირველი პროპაგანდა სოფლად სამარცხვინოთ დათავდა: პროპაგანდისტები სოფლებიდან იფრინეს. აწი რა ზომას მიმართავენ არ ვიცი, კიდევ აპირებენ რაღაც გადასახადს. სიძვირე საშინელ სახეს იღებს და ფულები კი აღარ არის, მთელი ინტელიგენცია ჰყიდის, რაც აბადია და ამით ცხოვრობს, მაგრამ არაფერი იყიდება. ყველა ზამთრის შიშით ძრწის, მაგრამ ხსნა არსად სჩანს. ზემოდაც ვსთქვი, რომ მთელი საქართველო დრტვინავს, მაგრამ ჯერჯერობით გასაოცარ სულის სიმტკიცეს და თავდაჭერილობას იჩენს და მხოლოდ იმპოზანტიური დემონსტრაციებით კმაყოფილდება.

1. მარტის 9-ს ტფილისის პოზიციებზე დახოცილთა დასაფლავების დღეს ტფილისის ქართველობა სამხედრო ტაძრის გალავანში იყო და ხმაგაკმენდილი დასტიროდა კოჯრის გმირებს. ხალხის ზღვას რუსთაველის პროსპექტზე შავი დროშებით აუწერელი სახე ჰქონდა.

2. პირველი მაისობაც, რომელსაც ქართველი მშრომელი ხალხი განსაკუთრებულის სიყვარულით იხდიდა, წრეულს მხოლოდ სილა იყო ახალი ხელისუფლებისათვის. ერთი ქართველი არ გამოსულა ქუჩაში, თუმცა ნაბრძანები ჰქონდათ ყოველ დაწესებულებაში.

3. მაისის 26-ი ხომ კიდევ უფრო სამარცხვინო გამოდგა ბოლშევიკებისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობა „იდღესასწაულა“ რუსის ჯარმა, ურიებმა, სომხებმა. პროვინციაში კი ბევრგან ხალხი სამფეროვანი დროშებით გამოვიდა და სასოებით აღსავსე სიტყვები წარმოთქვა.

4. აგრეთვე იმავე კოჯრის გმირების დასაფლავების 40-ს თავზე ეკლესიის გალავანში წარმოთქმულ სიტყვებისთვის დაიჭირეს რამდენიმე ფედერალისტი და „ჩეკაში“ წაიყვანეს.

აუწერელია ის დიდებული სურათი, როდესაც უზღვავი ხალხი ოვაციებით აცილებს დაჭერილებს და მრისხანეთ გრიალებდა: „ძირს ჯალათებიო“. აგრეთვე მენშევიკები და ფედერალისტები ყველა არჩევნებში სოლიდარულათ გამოდიან „მესტკომებში“ და სხვა არჩევნებში, ყოველთვის საშინლათ ამარცხებენ კომუნისტების სიას, მაგრამ, რასაკვირველია, მერე კრებას უკანონოთ აცხადებენ და მაინც „არჩეულად“ აცხადებენ თავიანთებს. ამ ჟამათ ხდება

საქართველოს ეროვნული არქივი

პროფესიონალურ ორგანიზაციათა კონფერენციები, აქაც მარცხდებიან, მაგრამ გამარჯვებას მაინც აცხადებენ და ისე ქმნიან ფიქციას.

კერძოთ სოც. ფედერალისტებს უცხოეთიდან სრულებით ინფორმაცია არ მოდის ეს მინუსათ ეთვლებათ იმ ჩვენ პარტიულ ამხანაგებს, რომელნიც უცხოეთში არიან. ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, სრული ცნობები გვქონდეს იმაზედ, თუ რა ფაზისში იმყოფება მანდ საქართველოს საკითხი თვითეულ სახელმწიფოს თვალსაზრისით, რას აკეთებს გახიზნული ჟორდანიას მთავრობა და საერთოდ რა პერსპექტივები მოსჩანს მომავლისათვის. ჩვენ გვესმის ხმები, ვითომ უცხოეთის ქართულ წრეებში თავი ეჩინოს რუსოფილურ მიმართულებას წერეთლის მეთაურობით. გვინდა ვიცოდეთ, შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს. ჩვენ გვინდა, მანდ კატეგორიულად იყოს განცხადებული, რომ ბოლშევიკების შემოსვლამ საბოლაოთ მოსპო საქართველოს ყოველგვარი სიმპატია რუსეთისადმი და რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე ნაციონალური შეგნებით, როგორც ეხლა. დამოუკიდებლობის აღდგენა - საქართველოში მთელი ხალხის ლოზუნგია საერთო და იმის გარშემო ეხლა უფრო მჭიდროთ არის შეკრული ხალხი, ვიდრე ჟორდანიას ბატონობის დროს. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ნამდვილი შინაარსი იმ კავშირისა, რომელიც მანდ გაუბამთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებს ერთმანეთთან. საერთოდ, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ყველაფერი, რაც გაგვიადვილებს სწორეთ გავირკვიოთ აქ დამოუკიდებლობის რესტავრაციის გზა.

P.S. დოკუმენტს შავი ფერის კალმით აქვს მინაწერი: „დედანთან სწორია. გადამწერი ვ. წულაძე“.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 13, ფურცლები 8-21.

საქართველოს ეროვნული არქივი

მეტეხის საპყრობილეში არსებული ვითარების მოკლე აღწერა
1921 წლის 5 სექტემბერი

„კომუნისტური სავანე“
(წერილი მეტეხიდან)

შენ უკვე მიხვდი, მკითხველო, რა სავანეზედაც მექნება შენთან ლაპარაკი. ასეთი სავანეებით მოფენილია დღეს ჩვენი სამშობლო ჩვენი გამაბედნიერებლების მიერ. ერთ ასეთ სავანეში, ისტორიულ მეტეხში, მეც მხვდა წილად ბედნიერება ცხოვრებისა.

როცა მოსკოვმა საქართველო დაიპყრო და ბათუმის ციხიდან ჩვენებური კომუნისტები გაანთავისუფლა, ერთმა მათგანმა, არაქელა ოქუაშვილმა ასე აგვიწერა თავიანთი მომავალი სატუსაღო: ჩვენ სატუსაღოები არ გვექნება, გვექნება გამასწორებელი სახლები. ამ სახლებში შევქმნით ისეთ პირობებს, სადაც ყველა უზრუნველყოფილი იქნება ფიზიკურად და სულიერად. გავხსნით შიგ სახელოსნოებს, შკოლებს, თეატრებს, ვაჭმევთ, ვასმევთ და ვასწავლით. კარგათ მოვაწყობთ შიგნით სამკურნალო და სანიტარიის საქმეს, ხოლო ამის გარდა ექნება ნება კვირაში ერთჯერ მაინც წავიდეს სახლში ერთი ღამით, რათა დასუფთავდეს, ტანზე გამოიცვალოს, ცოლშვილთან გაათიოს და მეორე დილას დაბრუნდეს. დაუბრუნებლობისთვის კი სიკვდილით სასჯელი იქნება შემოღებულიო.

ასეთ დაპირებებს იძლეოდენ ბათუმში გამარჯვებით დამთვრალი ჩვენი ერის მოღალატენი. აქედან ერთი რამ ჯიუტად სრულდება დღესაც. ეს გახლავს სახელწოდება სატუსაღოებისა: ასეთ სახლებს ყველგან დიდი ასოებით აწერია „ისპრავდომ N ტაკოი-ტო“, რა საკვირველია რუსულათ. ასევე უწოდებენ მას ლაპარაკში, აგრეთვე მიწერმოწერაში. აიძულებენ ასე უწოდონ ტუსაღებმაც. „ჩვენ სატუსაღოები არა გვაქვს და არც ტუსაღები გვყავს; ჩვენ გვაქვს გამასწორებელი სახლები და შიგა გვყავს გასასწორებელი ამხანაგებიო“, წყრომით გაუსწორებენ ხოლმე ციხეში მოსული კომუნისტი მოხელეები და სატუსაღოს კომუნისტი ადმინისტრატორები ტუსაღს, რომელიც მათ „ისპრავდომს“ სატუსაღოს უწოდებს და თავის თავს პატიმარს. ყველა დანარჩენი დაპირებანი, რასაკვირველია მოგონებათ დარჩა.

ავიღოთ მეტეხი. ეს ისტორიული ციხე-სიმაგრე, 14 საუკუნის განმავლობაში ერთგულ დარაჯად მდგომი ქართველთა დედა ქალაქის თფილისისა (საიდანაც დაიწყებოდა ხოლმე დროებით დამარცხებულ-დამონავებულ ერის განთავისუფლების საქმე და სადაც უყვარდა ცხოვრება და ლოცვა თამარ მეფეს) ასი წლის წინათ რომანოვებმა აქციეს სატუსაღოთ, წელს ის მემკვიდრეობით მიიღო ბოლშევიკებმა და ის ჯერ გაძარცვეს, წაიღეს რაც მოსახმარი იყო: სატუსაღო ტანისამოსი, ლოგინები, კრაოტები, სკამები, მაგიდები, ჭურჭლები, და სხვა. (ტუსაღები, რასაკვირველია, ყველა გაუშვეს), ხოლო ორიოდე დღის შემდეგ დაუწყეს აქ შემორეკა ყოველნაირ ხალხს, დამნაშავეს და უდანაშაულოს, და იმდენს, რამდენიც ხელში მოხვდათ. ციხე გამოანგარიშებულია 300 კაცისათვის, ხოლო ბოლშევიკებს მუდამ ყავსთ იქ 700-800 და ხან 900 კაციც. ახალ შემოსულს

საქართველოს ეროვნული არქივი

თვალში ეცემა ეზოში მდგომი, ან მიწაზე დაყრილი ტიტველი ხალხი, ჭუჭყიანი და მზისგან დამწვარი კანით რომლებიც ლანდებივით გამოიყურებიან. რაშია საქმე? კითხულობს გაოცებული ახალი მოსული. საქმე იმაში გახლავსთ, რომ „სოციალისტურ სამოთხეში“ ტუსაღთა კვების (ჩაცმა-დახურვაზე ლაპარაკი ზედმეტია) შესახებ შემოღებულია ძველი სპარსეთის კანონები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ტუსაღზე ხაზინა არ ხარჯავდა არც ერთ კაპეიკს. მისი კვება მისი პატრონის საქმე იყო და თუ ასეთი არ ყავდა და ან მადლიანი ადამიანი არ გამოუჩნდებოდა, შიმშილით უნდა მომკვდარიყო. ასეა აქაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კომუნისტები ერთბაშად სიკვდილის ნებას არ აძლევენ და ამ მიზნით დაწესებული აქვსთ ტუსაღზე ½ გირ. პური და ერთი კოვზი ლობიოს, ან ტარანის ნახარში. აქედანაც ჩვეულებრივ თავის საყოფი უნდა მოიპაროს ვისაც ჯერარს და, ვაი მას ვისაც არა ყავს პატრონი და ყოველ დღე უზიდავს საზრდოს. ასეთები მეორე დღესვე შეუდგებიან ხოლმე ნაწილობრივ თავისი ტანისამოსის გაყიდვას. ბაზარი ამისათვის აქავეა: დაბალი ადმინისტრატორები და უფრო კი მექრთამეობაზე დაჭერილი კომუნისტი მოხელეები, რომლებიც აქ მუდამ ასობით ითვლება, არიან მყიდველებათ. გაჭირვებაში ჩავარდნილი ტუსაღი ოხრის ფასად აძლევს მათ ყველაფერს და აღებული ფულით აქვე, ციხის დუქანში ყიდულობს პურს, ასე ყიდის ის ცალცალკე ყველაფერს სანამ უკანასკნელ საცვლებს არ მიადგება. ჯერ კიდევ შერჩენილი სირცხვილის გრძნობა აიძულებს საცოდავს გაყიდოს მარტო პერანგი, ხოლო მისი ამხანაგი დაიტოვოს, თუნდაც სასირცხო ნაწილის დასაფარავად. ზოგს ბედი გაუღიმებს ხოლმე; სადღაც იშოვნიან სახაზინო ძველ საბანს, შემოიხვევენ და მოიმაგრებენ მას წელზე წვრილი ბაწრით და ასე გაანთავისუფლებენ ძირა საცვალსაც, რომ ორიოდე გირვანქა მჭადი კიდევ შეიძინონ. „კომუნისტური ულუფის“ ამარა ნელნელა ხმება, თვალები უცვინდება, სახე აებურძგნება, კარგავს ჭამის უნარსაც კი, რომ ხელ-პირი და ფეხები დაიბანოს, მსხვილი ტალახი მაინც მოიშოროს კანიდან. როცა ის ძვალ-ტყავად ქცეული დაიარება ლანდივით, უცბად ფიზიკურ კაბინეტებში მდგარი შეწყობილი ჩონჩხი მოგაგონდება. დაბოდიალობენ ეს საცოდავები ციხის ეზოში (საკნებში მათი ჩაკეტვა ვეღარ გაუბედავს ვერც კომუნისტების უგულო გულს) და ეღრიჭებიან ბედნიერ ტუსაღებს ე. ი. იმათ, ვისაც პატრონი რის ვაი-ვაგლახით აწვდის გარედან ლუკმა პურს, უმთავრესად პოლიტიკურებს. სთხოვენ პურის ნატეხებს, ნამცეცებს, ეძებენ და ჭამენ ყველაფერს რასაც ნახავენ ეზოში, სანაგვე ყუთებში, ფეხის ადგილებში. როცა ჩვენ, ერთი ჯგუფი პოლიტიკური ტუსაღებისა პირველად მოგვიყვანეს ამ ციხეში, საღამო იყო, ტუსაღები უკვე ჩაკეტილები იყვენ. დილას ადრე გავხსენით პარკები და ვისაუზმეთ. გამოვხვეტეთ საკანი და რადგან ნაგვის გასატანი ჭურჭელი ჯერ არ მოეცათ, იქვე ახლოს ფეხის ადგილში შევხვეტეთ. ამ დროს დერეფანში უკვე იდგენ ნახევრათ ტიტველი ტუსაღები და გვთხოვდენ პურის ნატეხს. ბევრმა მათგანმა მიიღო მოლოდინზე მეტიც, მაგრამ დერეფანში მათი რიცხვი უფრო და უფრო მატულობდა: როგორც კი აქედან პურის ჭამით გასულს შეხედავდნენ, ეზოდან ყველა ჩვენი საკნისკენ გამორბოდა. როცა მათ დაინახეს, რომ ფეხის ადგილში ნაგავი შეყარეს, რასაც ბევრი წითელი ბოლოკის ფოთლები, კიტრის ნათლები და სხვა ნაფჩხვენები გაჰყვა, გამგელებული მოსცვივდნენ და დაუწყეს

საქართველოს ეროვნული არქივი

ამოკრება ყველაფერს, გლეჯდნენ ხელიდან ერთი მეორეს, არ ერიდებოდნენ, რომ დასვრილი იყო, იტენიდნენ პირში და ცდილობდენ ახალ ლუკმის შოვნას, რის გამო ერთი მეორეს წააქელეს ამ ბინძურ ადგილზე ... ამის გამო ერთმა ამხანაგმა ვეღარ შეიმაგრა ცრემლები, რის დასამალავად ფანჯარაზე გადაეყუდა. განვლო დრომ. ყველანი რამოდენიმეთ მივეჩვიეთ ასეთ სურათებს, ყველას ნაკლებათ გვაღელვებს, როცა ეს ბეჩავი ხალხი დაქეთარობს ეზოში, ქექავს ნაგავს და გახარებული იტენის პირში, როცა იპოვნის საზამთროს ან ნესვის ნათალს, ძვალს და ყველაფერს, რასაც კი სიმბილე აქვს.

ასეთ პირობებში ავადმყოფობა აუცილებელია. ძვირათაა მათ შორის ჯანმრთელი. ხშირია ფეხებ დასიებული, ტან-დამუწუკებული, დაჩირქებული, ცოცხლად აყროლებული, საშინელი სანახავია და კვდებიან ასე უწამლოდ, როგორც უსაქმელოთ. საავადმყოფო მეორე ციხეა ორთაქალაში, მაგრამ ვის ეღირსება იქ გადაყვანა. ჯერ საქ�ია ექიმის მოწმობა, რომ საავადმყოფო აუცილებელია, (ამის ღირსად თვლიან მას ვინც ფეხზე ვეღარ დგება) მერე ეს მოწმობა უნდა წავიდეს ჩეკაში, ხოლო სანამ იქიდან ნებართვა მოვა, მანამ ავადმყოფი უკვე კვდება სადმე საკნის კუთხეში, თუ რაიმე სასწაულის გამო მორჩენა ვერ მოასწრო. აქვთ აქ ამბულატორია, რამდენიმე საწოლით, მაგრამ არავითარი წამლობა და არც გაძლიერებული ულუფა იქ არაა. იქ თუ წვება ვინმე, მხოლოდ იმისთვის, რომ ტახტი და თივის ლებია, სხვა არაფერი. ხშირად იქ დაკეტილში ყრია ავადმყოფები, ისე რომ წყლის მიმწოდებელი არ ყავთ. ამას წინათ ერთი რკინის გზელი, კანდუქტორი გორბაჩენკო ისე მომკვდარიყო, რომ არც კი გაუგიათ. მხოლოდ მეორე დილას, როცა ტუსაღები პირის დასაბანად გამოვიდნენ, შეიხედეს ფანჯარაში და დაინახეს საცოდავი ადამიანი მკვდარი, რომელსაც თავი გადაკიდებოდა საწოლიდან ...

ამ დასაწყლებულ ხალხს იმის უნარიც აღარ აქვსთ, რომ თავი მოიკლან. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო ასეთი. ტიტველ-მშიერი, არაქათ გამოლეული ტუსაღი ზედამხედველის ბრძანებით და თანხლებით ნაგავს ყრიდა მტკვარში მეტეხის თვალ-უწვდენელი სიმაღლიდან; მან ნაგავი ჭურჭლიანად გადააგდო კლდეზე და თვითონაც თან გადაყვა. დარაჯებმა სროლა აუტეხეს ჰაერში სწრაფად მიმფრინავი ტუსაღს, მაგრამ რა საქირო იყო: ამ სიმაღლიდან ფრინველი რომ გადააგდო, ის არ გადარჩება.

შიმშილის გარდა ავადმყოფობას ხელს უწყობს წარმოუდგენელი ანტი-სანიტარიული მდგომარეობა. პირველ ხანებში აბანოსაც კი არ აძლევდენ, თუმცა ასეთი არსებობს ციხეში. შემდეგ, როცა პოლიტიკურები მომრავლდნენ, ადმინისტრაცია დაითანხმეს, რომ ხანგამოშვებით მაინც აბანო გაათბონ, მაგრამ იმითაც მხოლოდ „მდიდრები“ სარგებლობენ, ე. ი. ისინი, ვისაც შეუძლია საპონი თვითონ შეიძინოს. ამავე დროს დემოკლეს მახვილივით თავს დაგვტრიალებს აპიდემიური ავადმყოფობანი. ხოლერამ თავისი წაიღო და წავიდა. სამაგიეროდ ზამთარში მოსალოდნელია ტიფი, რისთვისაც არავინ არ ზრუნავს.

აი ასეთ პირობებში კომუნისტებმა მართლაც გამართეს შკოლა და თეატრი, მისთვის აცთენენ ორ დიდ დარბაზს მაშინ, როცა საკნებში ტუსაღები თევზებივით არიან მიწყობილი ერთი მეორეზე. სწავლის მსურველი ყველაა და მიდიან კიდეც შკოლაში ახლად მიყვანილი ტუსაღები, ხოლო ივლიან მანამ, სანამ უკანას-

საქართველოს ეროვნული არქივი

კნელ სამოსს გაჰყიდის ლუკმა პურისათვის. შემდეგ კი სწავლისთვის არა სცხელა; შიმშილს უნდა ებრძოლოს, ნაგვის ყუთებს უდარაჯოს, ეზოში გამვლელთ მოწყალებისთვის ეღრიჭოს.

ასეთია მეტეხის სავანე. მიუხედავად ამისა ტუსაღები ციხეს სასტუმროს ეძახიან, ზოგი კიდევ აგარაკს და ეს იმიტომ, რომ სხვა ციხეებში კიდევ უარესი ჯოჯოხეთია. მეტეხის ყველა მცხოვრებს გავლილი აქვთ წინასწარ ჩეკას „სამოთხე" საიდანაც მოსულს რომ ეს ჯოჯოხეთი მართლა აგარაკათ ეჩვენოს, საკვირველი არაა. შენ არ შეგიძლია, მკითხველო, წარმოიდგინო ის საშინელება, რასაც ჩეკა სატუსაღო წარმოადგენს, ამის სურათს ვერ აგიწერ მე, და ვერც ვერავინ. ჩეკას უზარმაზარი შენობიდან ტუსაღებისათვის მხოლოდ სარდაფებია ჩვეულებრივი კამერები, კარგი კამერებად წოდებული, ნახევრად მიწაშია, მასში სინათლე ჩადის ფანჯრებიდან, რომლებიც მიწის სწორაა გარედან. ამ სარდაფ ქვეშ არის კიდევ სხვა სარდაფი, სადაც არის მეორე ნახევარი საკნებისა და სადაც არსაიდან სინათლე არ ჩადის. იატაკი მიწისაა და ისეთი ნოტიო, რომ რამოდენიმე საათის განმავლობაში შინელს ანამბულებს. თვით ზედა სარდაფშიდაც მიწისკენ მყოფი კედელი სულ სველია, ხოლო შიგნითა კედლებიც საკმაოდ ნოტიოა და რაღა იქნება ამის ქვეშ მყოფ ჯურღმულში! დასაწოლათ არის შიგ დაყრილი რამდენიმე ღერი ფიცრები, მაგრამ ის ყოველთვის არ არის სამყოფი. ამას ემატება ისიც, რომ საიდანღაც გამოდიან შიგ. აუარებელი ვირთხები, რომლებსაც იერიში მიაქვსთ ბნელში მყოფ ადამიანებზე. დაღამება-გათენებას აქ გებულობენ მხოლოდ ელექტრონის საშუალებით, რომელიც საღამოს ინთება და გათენებისას აქრობენ. აი ამ ჯურღმულში ამყოფებენ ტუსაღებს მთელ კვირეებს და ხან კი თვეებსაც და რა გასაკვირალია თუ იქიდგან მოსულს მეტეხი აგარაკად ეჩვენოს. ის კი არა, როცა აქედან ვისმეს ზედა სარდაფში ამოიყვანენ, გონია სამოთხეში ამოვედიო, თუმცა ეს სამოთხე საკმაოდ სველია, შიგ ჰაერი საკმაოდ დახუთულია და ტუსაღები ერთი მეორეზე მიწყობილი არიან. საკანში, რომელიც შეიცავს ოთხ ხუთ კუბ. საჟენ ჰაერს ათავსებენ 15-30 კაცამდე. კამერები მუდამ დაკლიტულია ფეხის ადგილში გაყავთ თითო-თითოდ და თუ გაითვალისწინებთ, რომ თითო დერეფანში, 6-8-მდე საკანია და 100-150 ტუსაღი, მხოლოდ ერთი მორიგი ზედამხედველია, ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ კმაყოფილდება ეს ბუნებრივი მოთხოვნილების საკითხი. ამის გამოა, რომ ზედა სარდაფიდან მოთმინება დაკარგული ტუსაღები ფანჯარაში აქცევენ ხოლმე, ხოლო ჯურღმულში მყოფნი იქვე იატაკზე, რის გამო ირგვლივ მუდამ სიბინძურეა და შმორის სუნი. „სასეირნოთ" დაჰყავთ 5-10 წუთი საღამოს და ასევე დილას, გარეთ გასავალად და პირის დასაბანად. საერთოდ კი ნიკოლოზის ჯალათები ჩეკას კომენდანტებისა, ზედამხედველებისა და ჯარის კაცებთან შედარებით ზრდილობიან იმერლებათ მოგეჩვენება. უსმენ მათ ლანძღვა-გინებას და დაცინვას და გიკვირს: რით, რა მანქანებით შესძლეს ამ ხალხის ასე გარყვნა, გაპირუტყვება და გაბოროტება. კარის კაცები აქ შერჩეულია, საგანგებო რაზმია ჩეკას განკარგულებაში. ეს რაზმიც და საერთოდ ჩეკას მოსამსახურენი, სულ უცხოელებია. ქართული ენა და მიწერ-მოწერა აქ უარყოფილია, მასხარად აგდებულია. ტუსაღმა, რომ ქართულად განცხადება დასწეროს თავმჯდომარის ნახვა მინდაო, კომენდანტი დახევს, ცხვირ-პირში

საქართველოს ეროვნული არქივი

მიაყრის და თან დამტვრეული რუსულით ეტყვის: „ჩვენ დაწესებულებაში ამ ძაღლის ენაზე არავინ ლაპარაკობსო“...

ყველა ამას დაუმატეთ ის ზნეობრივი ფიზიკური ტანჯვა-ვაება, რასაც ჩეკას სარდაფებში მყოფნი განიცდიან თითქმის მუდამ ღამეს დასახვრეტად ტუსაღთა გაყვანის დროს. ტუსაღები მიეჩვიენ საბედისწერო ხმას საბარგო ავტომობილისას, რომლებიც მიყავთ დასახვრეტი ხალხი წინასწარ გათხრილ სასაფლაოზე მინდორში, ქალაქ გარეთ. როცა ეს ავტომობილი მობრიგინდება ეზოში და ბრიგინობს თავის მატორით ღამის 1-2 საათზე, ეს უკვე ნიშანია, მსხვერპლს უცდის. ოჰ, რა საშინელებაა, რა ჯოჯოხეთია ამ დროს ეს ქვეყანას მოწყვეტილი სარდაფები! როგორი ტანჯული, გაფითრებული და სასოწარკვეთილი სახით მიჩერებიან ერთმანეთს მისი მცხოვრებნი, ავტომობილის ხმაზე რომ დაინახოთ დაფეთებული თვალები! ... ჯერ ყველანი იმის ნატვრაშია, „მე არ მომიწევდეს, მე არ გამომიძახებდენო“, ხოლო როცა ეს ირკვევა და პირუტყვული ინსტიქტი თვით გადარჩენისა გაივლის, მიმავალ მსხვერპლის ღრიალი აღვიძებს მასში ადამიანურ გრძნობას და ეშლება ნერვები ამ სანახაობით, მარა არ შეუძლია უშველოს რამე საცოდავს, იქნება სრულიად უდანაშაულოს. მისთვის ხომ არ უკითხავსთ, მას ხომ სასამართლოში არ დაუძახეს, არც კი იცის როგორ და როდის გადაუწყვიტეს, იცის მხოლოდ, რომ მიყავთ დასახვრეტად ... ღრიალებენ, ითხოვენ სამართალს, ხოლო ჯალათები დაცინიან; თუ ავადმყოფია, ან კოჭლობს, „ჩქარა მოგარჩენო“ ეუბნებიან ... მეორე დღეს ტუსაღები ხედავენ რომელიმე კომენდანტის, ზედამხედველის ან რაზმის წევრთა ტანზე წაყვანილ მსხვერპლთა ტანსაცმელს, ქუდს, ჩექმებს ...

ასე მეორდება ეს საშინელი სურათები დღიდან მოსკოვის აქ გაბატონებისა. გაყავთ ჯგუფობით 5, 10, 20 და ხან 50 კაციც. იყო შემთხვევა, როცა 64 კაცი გაიყვანეს ერთად. არავინ იცის როდის გათავდება, ვინ გადაურჩება. არავინ იცის როდის გათავდება, ვინ გადაურჩება. გადარჩენილებიც ხომ ცოცხალ-მკვდრებია; ხშირად გამოუძახებენ ამა თუ იმ ტუსაღს, გაიყვანებენ ავტომობილამდე და მოაბრუნებენ; იყო შემთხვევა, როცა წაიყვანეს სასაფლაოზედაც, აყურებიეს სხვების დახვრეტას და მოიყვანეს უკან, შეაგდეს სარდაფში უსიტყვოთ. ამით ეს ჯოჯოხეთის აგენტები ორ კურდღელს იჭერენ: ვისაც არ ხვრეტენ, მათაც სტანჯავენ, ხოლო ვისიც დახვრეტა უნდათ, მას უკარგავენ სურვილს წინააღმდეგობისას გაქცევის ცდისას, ვინაიდან არავინ იცის, მართლა ხვრეტენ თუ არა, სანამ არ მოხვდება ტყვია და არ გააგდებენ მის წინ პირდაღებულ ორმოში. ამის გამოა, რომ წინააღმდეგობას იშვიათად აქვს ადგილი.

აბა, მკითხველო, როგორ არ მოეჩვენება აქედან მოსულს აგარაკად ჩვენი მეტეხი: აქ რომ მოვდივართ, გვგონია გაგვიშვეს, თავისუფალი ვართო, ისე ამოვისუნთქებთ ხოლმე განსაკუთრებით პირველ დღეებში, პირვალთ ჩეკიდან მოსულ ტუსაღს ვერც კი დაუჯერებია, სიზმარში ჰგონია თავი ...

მეტეხს სასტუმროს უძახიან, თფილისში არსებული მეორე დიდი ციხის ორთაჭალის ტუსაღებიც. ნიკოლოზის დროს შეძენილი გამოცდილების წყალობით ამ დღეებში იქიდან მივიღეთ ერთი ამხანაგის წერილი, სადაც სხვათა შორის გვწერდა: ... „ჩვენ აქ ცივი წყალიც სანატრელი გვაქვს. უკვე სიცივეები დაიწყო და ვყრივართ იატაკზე ფანჯრებ ჩამტვრეულ საკნებში, იატაკი კი ცემენტისაა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ავად გახდები და იმედი არ უნდა გქონდეს საავადმყოფოს; წამლობას თავი დაანებე, საჭმელსაც არ გაძლევენ, ჩვეულებრივი „კომუნისტური ულუფა“ იქაც და მეტი არაფერი. პირდაპირ ომი გვაქვს სიკვდილთან, ომი უთანასწორო და მსხვერპლიც დღითი დღე მატულობს. ერთი ვირის ტაჩკა აქვთ სპეციალურათ ამ საქმისთვის და ძლივს აუდის. ეჰ, ისევ ჩვენი ვირი. მხოლოდ ამ პირუტყვს აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა: მუდამ მზათაა; გაბმულია; წაიღებს ერთს, დასტოვებს სასაფლაოზე და მოდის დაღონებული, თითქო ტირისო (არავინ იცის მხოლოდ ხალხს სტირის თუ თავის ჯანს); მოვა საავადმყოფოს კარებთან, მოაბრუნებს ტაჩკას და შემოსძახებს თავისებურ მაღალ ხმაზე, ორთაჭალის ჰანგებზე, თითქოს მსახურთ უძახის - გამოიტანეთ ვისიც რიგიაო, ან იქნებ ტუსაღებს ამხნევებს, - ნუ გეშინიათ, არც თქვენ დაგტოვებთო.

ვირი მაინც უყვართ ტუსაღებს და ნატრობენ: ნეტა საავადმყოფოს ქონდეს ასე შეგნებული თავის დანიშნულება, მაშინ საწყალ ვირსაც ნაკლები ჯაფა ექნებოდაო.

აი, მკითხველო, ასეთია ჩვენში „კომუნისტური სავანენი“ ასე ასრულებენ კომუნისტები ყველა დეკლარაციებს.

გაუტეხელი
5 სექტემბერი 1921 წ.
მეტეხი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 80, ფურცლები 32-35.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტის განხილვა, რომელიც საერთო მიზნისთვის პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებას ითვალისწინებდა 1921 წლის 22 სექტემბერი

პარიზი, 22 სექტემბერი 1921 წ.

მთავრობის სხდომის ოქმი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე - ნ. ჟორდანია; მდივანი - ი. ელიგულაშვილი; საგ. საქმ. მინისტრი - ევ. გეგეჭკორი; ფინან. მინ. - კონ. კანდელაკი; საქართველოს ელჩი პარიზში - აკ. ჩხენკელი; დამფუძ. კრების თავმჯდ. ამხან. - ექ. თაყაიშვილი; სიმ. მდივანი; გრ. ვეშაპელი.

მოისმინეს: ს. მდივანის მოხსენება სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტი საქართველოში პარტიათა შორის შეთანხმების შესახებ.

დაადგინეს: სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტი მიღებულ იქნას მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას შესწორებით: პროექტის პირველი და მეორე მუხლების შეუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს. მიღებულია ერთხმად.

ამ რიგათ მთელი შეთანხმება იქნება შემდეგი:

1. შესდგეს საქართველოში ინტერპარტიული ორგანო, თითო პარტიიდან თითო კაცი. პარტიათა შორის კონტაქტის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის გასამტკიცებლათ. ბოლშევიკების ლიკვიდაციამდე პარტიები ერთი მეორეს წინააღმდეგ საჯარო გამოსვლებს არ აწყობენ.

2. ყოველი პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას და დამპყრობელთა ძალა-უფლებას არ სცნობს, ვალდებულია თავის დამოკიდებულება ამ საგანთან ამა თუ იმ ფორმით გამოამჟღავნოს ისე, რომ ის აშკარა იქნეს როგორც ქართველი ხალხის, ისე ევროპის საზოგადოებისათვის.

3. დამპყრობელთა განდევნის შემდეგ დამფუძნებელი კრება იკრიბება მხოლოდ იმისთვის, რომ დანიშნოს პარლამენტის არჩევნები, მოისმინოს მთავრობის ანგარიში, შექმნას კაბინეტი, და მისცეს მას დროებითი კრედიტები.

4. პარლამენტი მოწვეულ უნდა იქმნას არა უგვიანეს ორი თვისა დამფუძნებელ კრების შეკრებიდან. შენიშვნა - 3-4 მუხ. არჩევნების ვადის გაგრძელება და დამფუძნებელ კრების მიერ სხვა საკითხების განხილვა, გარეშე აღნიშნულისა, შეიძლება მხოლოდ კოალიციაში მყოფ პარტიათა შორის შეთანხმებით.

5. ერთად ერთ კანონიერ მთავრობათ, ახლის შედგენამდე დამფუძნებელი კრების მიერ, ითვლება ახლანდელი მთავრობა, რომელიც საზღვარ გარეთ იმყოფება.

6. დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას.

7. 1 და მე-2 მუხლების აუსრულებლობა აბათილებს დანარჩენ მუხლებს.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, ს. მდივანი, აკ. ჩხენკელი, კ. კანდელაკი, ე. გეგეჭკორი, გრ. ვეშაპელი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 64, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საპყრობილეებში არსებული
ვითარების მოკლე აღწერა
1921 წლის 2 ოქტომბერი

I
თავი მე-4
საგანგებო კომისიების „მართმსაჯულება“ /„ჩეკისტები“/ დაპყრობილ საქართველოში

როგორ ექცევიან მუშებს, საზოგადო მოღვაწეებს.

4 ივლისს ნაძალადევში ბოლშევიკებმა მოიწვიეს მიტინგი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა კომ. ნუცუბიძემ. მოხსენების შემდეგ მან განაცხადა: „ნაძალადევის მუშების აზრს ჩვენ დიდი ყურადღებით ვისმენთ, რადგანაც ნაძალადევია საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის მთავარი ცენტრი. პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ვისაც უნდა ილაპარაკოს თავისუფლათ, დატყვევებული არავინ იქნება“. ამ განცხადების შემდეგ სიტყვა აიღო მუშა ერ. კაციტაძემ, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ ასე გვესმოდა და გვესმის, რომ სოციალიზმისათვის საჭიროა შესაფერი პირობები, შესაფერი განვითარებით, მუშათა კლასის ორგანიზაციული მუშაობით. რუსეთში კი მოხდა წინააღმდეგი, სოციალიზმის ნაცვლათ გაამეფეს თოფ-ზარბაზნების ბატონობა, მუშათა კლასის თავისუფლების ნაცვლად - მონობა, უსამართლობა, რომელიც ჩვენშიაც ძალით გადმოიტანეს და ეხლა იმისი მსხვერპლი ხდება მთელი საქართველო და ჩვენ მუშები“. თავმჯდომარემ მუშა კაციტაძეს სიტყვა წაართვა, კრებამ კი ორატორი ტაშით დააჯილდოვა. ნუცუბიძის პატიოსანი სიტყვა არ გამართლდა, კაციტაძე შვიდი დღის შემდეგ დაიჭირეს და რამდენიმე თვეა ციხეში ზის.

სად არიან დეპო-მთავარ სახელოსნოს ძველი რევოლიუციონერი მუშები. ბევრი გაქცეულია, ბევრი წავიდა, ნაწილი ციხეშია, ნაწილიც „ჩეკას“ სარდაფებში ზის.

ციხეში სხედან: მ. ღვინერია, იმიტომ რომ 17 წლის რევოლიუციონერია. ძველი მუშა დ. დვალი, რომელიც არა ერთხელ ტანჯულა ციმბირის გრძელ და საშინელ ეტაპებზე; გ. ჭელიძე, რომელიც ბაქოს პროლეტარიატის მებრძოლი წევრი იყო და რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა, კომუნისტების უსამართლობა ამხილა; ბალიანცი, თავდადებული ძველი მუშა; დ. ლორთქიფანიძე, 25 წელიწადია ძველ მეფის მთავრობას ებრძოდა; ლ. კერესელიძე, დ. კალაძე, დ. სუხიშვილი, ვ. გოგიშვილი, დ. ჭინჭველაშვილი, ვანეცკი, ვ. ვაშაკიძე, ე. თოლომონაშვილი, მეზარიაშვილი, ალ. ჭოხნელაძე, ი. ბურდული, მ. ჯიქაძე, კ. და თ. დემეტრაშვილი, კ. ვაშაკიძე, პ. ფირცხალავა, ალ. ძაძამია, ლ. სანაძე, ნ. თიგიშვილი, მარგველაშვილი, მანჯგალაძე, კ. დვალი, კალანდაძე, გ. და კ. კუტულაძეები ციხეებში სხედან და იტანჯებიან იმიტომ, რომ სიტყვა სთქვეს, შეკითხვები მისცეს კომუნისტებს. ყველა ესენი ძველი და გამოცდილი მუშებია, თითოელ მათგანს აქვს 10-30 წლის ბრძოლის ისტორია, არ არიან დღევანდელი კომუნისტები და და გუშინდელი კონტრ-რევოლიუციონერები.

განა მარტო ესენი. მრავალი თფილისელი მუშა ციხეებში ზის და მათი ოჯახები

საქართველოს ეროვნული არქივი

შიმშილით იხოცება. ეს არ არის მარტო თფილისში. ბათომის საუკეთესო მუშები დაფანტეს, დანარჩენი კი „ჩეკის“ სარდაფებში და ციხეებში სხედან. ხაშურის მოწინავე მუშები რიცხვით 20 კაცი ადერბეიჯანში გადაასახლეს; ერთი პარტია ციხეებში არის, მათ შორის ძველი მოხუცი მუშა ს. ბაბლიძე და ან. ბიბილური; ბორჯომში დევნის ნიადაგზე ძველი მუშები გაიქცენ და ტყეებში ბინადრობენ. ქუთაისის მოწინავე მუშები და საზოგადო მოღვაწეები ზოგი ციხეებშია და ზოგი დამალული. ძველი მუშა, ციხეებში არა ერთხელ ტანჯული, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, **კ. კანდელაკი 29 აპრილიდან ციხეშია,** მას ღამით დაეცენ თავს, ბინა აუფორიაქეს რევორვერ ამოღებულებმა და ისე წაიყვანეს. რისთვის. 8 თვეა ციხეშია და ბრალდება ჯერაც არ წამოუყენებიათ. ქუთაისის მოწინავე მუშები: ვ. სხირტლაძე, ი. წიქორიძე, ი. გეგეჭკორი, გ. ტუსკია, გრ. რევიშვილი და სხვები სრულიად ბრალდების წამოუყენებლათ ჩაყარეს „ჩეკის“ სარდაფში.

29 აპრილს სამტრედიაში დააპატიმრეს თფილისიდან თავის სოფელში გამგზავრებული ვლადიმერ ჯიბლაძე - ეს ბათომის მუშათა მოძრაობის ერთი ლიდერთაგანი, საქართველოს მუშების ერთი საუკეთესო წევრი, რომელიც მთელი წლობით წამებული იყო ცარიზმის დროს ციხეებში და ციმბირში - დღეს მეტეხის ციხეში ძლიერ დაავათმყოფებული იტანჯება. ასეთივე ბედი ეწვია მუშათა კლასის საუკეთესო და დაუღალავ მებრძოლს ალექსანდრე დგებუაძეს, სტალინის საპასუხო სიტყვის მესამე დღიდან. ხანგრძლივათ ციხეებში და ციმბირში დასჯილი, რევოლიუციონურ მოძრაობაში დაღლილი, ფიზიკურათ დასუსტებული ისე, როგორც ვლ. ჯიბლაძე, 24 წლის მუშათა მოძრაობის მუდმივი მოღვაწე - დღეს მის დაღლილი ნერვებს და ორგანიზმს სწამლავს ციხის ვიწრო კამერის ნოტიო ჰავა. ზ. გურული, რომელსაც თავის ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც ჭიათურის მუშათა მოძრაობის ერთი საუკეთესო შვილია, რომელ-საც რამდენიმეჯერ გაუვლია ციმბირის „ეტაპები“ დღეს დაავათმყოფებული მეტეხშია.

საქართველოს მესამე დასის პიონერმა, საქართველოს რევოლიუციონურ სოც.-დემ. მუშათა პარტიის საძირკველის ჩამყრელმა, ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილმა, სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელიც ცარიზმის დროს ციხეებში და ციმბირში ტანჯულა წლობით, რომლის გზა მუდმივ ეკლით იყო მოფენილი, რომლის ხვედრი იყო ტანჯვა და შიმშილი, მთელი ზაფხული მეტეხში გაატარა და ბოლოს მძიმეთ დაავათმყოფებული გამოიყვანეს ციხიდან, რადგანაც კომუნისტები ფიქრობდენ სულ ერთია მალე მოკვდებაო.

14 ივლისიდან ციხეში ზის 60 წლის მოხუცი ქართველ მშრომელი ხალხის ღირსეული წარმომადგენელი, პირველი დუმის წევრი ისიდორე რამიშვილი, რომლის მუდმივი ბინა ცარიზმის დროს ციმბირი იყო, დღესაც ციხეში ატარებს მოხუცი თავის დღეებს.

საქართველოს ხალხის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ქუთაისის მთელი რიგი ახალგაზრდობის აღმზრდელი, ცნობილი მოღვაწე და სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგი მეფის მთავრობისაგან საქართველოდან მუდამ დევნილი და მეფის დროს სამშობლოდან გადასახლებული გრიშა ლორთქი-ფანიძე 23 მაისიდან ზის ციხეში. ასეთივე პირობებშია დამფუძნებელი კრე-ბის თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე; ყოფილი სამხედრო

საქართველოს ეროვნული არქივი

მინისტრი პ. ჭიჭინაძე, რომელიც საუკეთესო, წრფელი მებრძოლი იყო საქართველოს მუშათა დემოკრატიის იდეოლოგიისათვის სულ ციხეში იყო და ოთხი თვის შემდეგ მეტეხში დაამთავრა წამებით თავისი სიცოცხლე - ის 3 ოქტომბერს გარდაიცვალა.

დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი ფაღავა 29 აპრილიდან „ჩეკის" სარდაფებში და მეტეხში იტანჯებოდა, საიდანაც მხოლოდ მძიმეთ დაავათ-მყოფებული 5 თვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

მთავარ სახელოსნოს ცნობილი მოწინავე მუშები ანდ. ჭიაბრიშვილი, ალ. ფანიევს ციხე მიაკუთვნეს საცხოვრებლათ.

ცნობილი ადმინისტრატორი შ. მაღლაკელიძე 23 მაისიდან ზის ციხეში.

ძველი რევოლიუციონერი, თფილისის პროლეტარიატის მოძრაობის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი კ. გოგუა და სახალხო განათლების მინისტრის ამხ. ნ. ცინცაძე საბრალმდებლოთ მეტეხის კამერებში ცხოვრობენ.

დამფ. კრების წევრი, ბათომის მუშათა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, შემდეგ ბათომის ქალაქის თავი გიზო ანჯაფარიძე, რომელმაც მთელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, აპრილიდან ზის ციხეში და არც რამეს აბრალებენ, არც ანთავისუფლებენ იმიტომ, რომ ხალხმა იგი ოვაციებით გააცილა საპყრობილეში.

მაისს აქეთ ბრალდება წამოუყენებლათ ციხეებშია გამომწყვდეული ახალ-გაზრდა მებრძოლნი ს. გოცაძე და მიხ. აბულაძე.

43 დღე დატყვევებული ყავდათ ცნობილი ძველი რევოლიუციონერი და აქტიური ხელმძღვანელთაგანი სპარსეთის რევოლიუციისა მუშა ვლასა მგელაძე /„ტრია"/, ომში დახოცილ ქართველ მხედრების საფლავზე სიტყვის წარმოთქმისათვის.

23 მაისიდან ციხეში ზის მუშათა კოოპერატივის „აღორძინების" თავმჯდო-მარე ძველი რევოლიუციონერი უშ. ელიავა. ასეთივე ბედი ეწვია მოწინავე მუშას, დამფ. კრების წევრს ვასო ნოდიას; ფოთის მუშების საუკეთესო წევრებს სოლ. პაიჭაძეს, სიმ. გოგიბერიძეს, ვანო კიღურაძეს და სხვებს.

„ჩეკის" სარდაფშია დამწყვდეული საგარეჯოს საუკეთესო წარმომადგენელი ი. აზარიაშვილი, სხვა სოფლელებთან ერთად.

8 მაისიდან ციხეშია საგურამოდან - ვასო მაყაშვილი, სოფლის საუკეთესო მოწინავე პირი.

23 აპრილს მცხეთაში ყაჩაღმა დ. თათარაშვილმა და სხვებმა დაიჭირა დუშეთის სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი ტატე შუშიაშვილი. იგი რამდენიმე დღე რკინის გზის ვაგონში ამყოფეს და თვითგასამართლება მოუნდომეს, მხოლოდ შემდეგ შემთხვევით გადარჩა.

29 აპრილიდან ციხეში მოათავსეს სამეგრელოში ყველასათვის ცნობილი მოწინავე მუშა დამფ. კრების წევრი იოსებ კვარაცხელია, სამეგრელოს დანარ-ჩენი მოწინავე გლეხები და მუშაკები.

ამავე რიცხვში დააპატიმრეს სამტრედიის მოწინავე მუშები: პავ. წულაია, **კიმ. შენგელია,** გ. დონდუა, დ. მიქელაძე და სხვ.

გურიაში თითქმის ყველა მოწინავე გლეხები და მოღვაწეები, მათ შორის: - ოზურგეთის ქალაქის მოურავი **გ. მურვანიძე, გ. შილაკაძე, მ. საბაშვილი, გრ.**

საქართველოს ეროვნული არქივი

კოპლატაძე, მ. რამიშვილი და სხ., ყველანი არა ერთხელ ყოფილან მეფის დროს ციხე-ციმბირში. რაჭაში დაიჭირეს **სპ. ჭელიძე**, ზ. ბიჭაშვილი, ლ. დავითულიანი, ნ. ტყეშელაშვილი და სხ.

კმარა. ვინ ჩამოთვლის ყველა იმათ, ვინც დღეს საქართველოს ციხეებსა და „ჩეკების“ სარდაფებში იტანჯებიან.

თუ რა ბედი ეწვია სოფლის მოღვაწეებს, სამშობლოს დამცველ გმირებს, ძნელია ყველა ამის აღნუსხვა. ცენტრის და პროვინციის ციხეები და „ჩეკის“ სარდაფები გავსილია, ბევრი ტყეებშია გადამალული, ბევრი გაქცეული.

საგანგებო კომისიის „მართმსაჯულებამ“ პირდაპირ შურისძიების ხასიათი მიიღო და ყოველივე ეს იმ დროს, როცა დაპყრობილ საქართველოში რუსეთის შავრაზმელები, უცხო საეჭვო ელემენტები, ადგილობრივი სპეკულიანტები, რეაქციონერები, ყაჩაღები, ყოველი ჯურის უსაქმო ხალხი და კომუნისტური არისტოკრატია თავისუფლად დღესასწაულობს, მეფური კმაყოფილებით თავს ირთობს და ეწევა უზომო გარყვნილებას.

ვინ გაასამართლა საგანგებო კომისია?

მარტის პირველ რიცხვებში დახვრიტეს თფილისის ქართველი კომერსანტი და საზოგადო მოღვაწე **რაჟდენ მირიანაშვილი**. რაჟდენ მირიანაშვილის ოჯახი ცნობილი იყო ცარიზმის რეაქციის ხანაში, როგორც რევოლიუციონერების თავშემფარავი და დამხმარე. ბევრი დღევანდელი კომუნისტი, ძველი რეჟიმის დროს დევნილი, თვეობით მირიანაშვილის ოჯახის სტუმრები იყვნენ. მიხა ცხაკაია, ნ. ცერცვაძე ხომ მისი პურმარილით იკვებებოდენ. საქართველოს განთავისუფლებიდან რ. მირიანაშვილმა თავისი ენერგია, თავისი ნივთიერი კეთილდღეობა სამშობლოს შესწირა. ომის გამოცხადების დროს ჯერ ერთი რამდენიმე მილიონი თავდაცვის ფონდს გადასცა, თუ რამე სურსათი ქონდა ჯარსა და გვარდიას მიუტანა, თვითონ კი მოქალაქეებიდან დამცველი რაზმი შეადგინა და ქალაქის უბნებს ნაძირალებისაგან იცავდა.

სამაგიეროთ მას ემტერებოდენ ცარიზმის დროიდან სომხის რეაქციონერი ვაჭრები ვინმე გ. ბახჩიევის მეთაურობით. ეს მტრობა-სიძულვილი საქართველოს თავისუფლების დროს გაიზარდა და დროს უცდიდენ. ვინ არის ბახჩიევი. ცნობილი დიდი ვაჭარი და თანამედროვე სპეკულიანტი. ამავე დროს ბახჩიევის ცოლის დისწულებია ბოლშევიკები კამო-პეტროსიანი და მისი დები, რომელთა სიძე გრუზჩეკის თავმჯდომარე კ. ცინცაძეა. რუსეთის ომის დაწყების დროს ბახჩიევს მირიანაშვილისათვის უთქვამს: „თქვენი აღსასრულის დღე მოდისო“, რისთვისაც უკმაყოფილება მოსვლიათ ურთიერთ-შორის. თფილისის დაპყრობის შემდეგ ბახჩიევი დამუქრებია „გიჩვენებ სეირსო“ და სამი დღის შემდეგ მართლაც დააპატიმრეს მირიანაშვილი; გაჩხრეკის დროს სახლში უნახეს სამი ნაჭერი ღორის ხორცი, რამდენიმე გირვანქა შაქარი და სანოვაგე ოჯახში სამყოფი, რადგანაც სამი ძმა ერთად ცხოვრობდა, და მთელი ოჯახი 21 სულისაგან შესდგებოდა.

აი მოკლეთ ამ საქმის ვითარება.

საგანგებო კომისია კი ოფიციალურათ აცხადებდა: „სპეკულიაცია-კონტრ-რევოლიუციონერობისათვის დახვრეტილ იქმნა რ. მირიანაშვილიო“. კომუნისტმა ნ. ცერცვაძემ გულდამშვიდებით მოიგონა მისი წარსული ღვაწლი თავის

საქართველოს ეროვნული არქივი

მეგობრებში და სთქვა: „მას ე. ი. მირიანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის, დიდი პურ-მარილი გაუღია ჩვენთვის, პატივი უცია, მ. ცხაკაია მის ოჯახში გაზრდილი იყო, საწყენია, მაგრამ რა გაეწყობა, რევოლიუციაში საწყენი იქით უნდა გადაიდვას"-ო.

დახვრიტეს პოლკოვნიკი ბ. ლექვინაძე, რომელიც იყო თავისუფლების დარაჯი. მან მთელი თავისი ენერგია ქვეყნის თავდაცვას შესწირა. ხშირათ მესხეთის მთებში ცივ ზამთრებში ატარებდა მშიერი, იყო რწმენით დემოკრატი და უპარტიო. მთავრობის ბრძანებით ის სამხედრო საველე სასამართლოს თავმჯდომარეობდა, კანონის თანახმად მოვალეობას ასრულებდა. საგანგებო კომისიამ გამოაცხადა, „კონტრ-რევოლიუციონერი დავხვრიტეთო".

„კონტ-რაზვეტკის" განყოფილებაში სამსახურისათვის დახვრიტეს ახალ-გაზრდა ოფიცერი **ფავლენიშვილი**.

დახვრიტეს **ირაკლი გაგლოევი**, რომელიც მთელ ოსეთში ერთგული დამ-ცველი იყო წესიერების და საქართველოსთან კეთილგანწყობილების.

დახვრიტეს ოფიცერი **სიმონ საფაროვი,** რომელიც წინათ მსახურებდა გვარდიაში და სამხედრო უწყებაში. - გამოაცხადეს: „ჯაშუშები და კონტრ-რევოლიუციონერები დავხვრიტეთ"-ო.

დახვრიტეს ოფიცრები: **ლ. გიგინეიშვილი, მ. ჭანიშვილი**. პირველი აჭარის საზღვრებთან დარაჯების უფროსი იყო, ერთგულათ ასრულებდა მოვალეობას; მეორე - ოფიცერი სახალხო გვარდიისა, არვინ იცის ვისი ბოროტი ენით და შურით დახვრიტეს. ბრალდებაც არ წამოუყენებიათ.

25 ივლისს დახვრიტეს - ნიკოლოზ /კოლია/ მარკოზაშვილი, ყოფილი რუსეთის წითელი არმიის გენერალი /კავალერიის/ და მას შემდეგ საქართველოს სახალხო გვარდიის ოფიცერი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დაცვაში და მთავარი ხელმძღვანელი იყო ვაზიანის ომში მონაწილე ცხენოსანთა იმ ფრთის, რომელმაც 22, 23, 24 თებერვალს სასტიკი დამარცხება აგემა რუსეთის ჯარს და, თუმცა თვითონაც დაიჭრა თავში, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა... ომის გათავების შემდეგ ის ბრუნდებოდა თავის სოფელში, რაჭაში მაგრამ ქუთაისში დააპატიმრეს და **„ჩეკის" საკანში** მოათავსეს, სადაც მას ფეხზე შხამიანმა მორიელმა უკბინა, ფეხი ძლიერ გაუსივდა, აქედან დიდი ძლიერი რუსის ჯარის რაზმის თანხლებით გაგზავნეს თფილისში, მოათავსეს საგუბერნიო ციხის საავათმყოფოში და განსაკუთრებული მცველები მიუყენეს. პატიმრობაში ფეხი მას ძლიერ გაუმიზეზდა და არც კი მორჩენია სავსებით, ისე წაიყვანეს და დახვრიტეს.

აი როგორი მწუხარებით აგვიწერს მასთან მყოფი რუსის ოფიცერი ტ-ვი, რომელიც დაპატიმრებული იყო დისციპლინის დარღვევისათვის და მასთან მოხვდა საავათმყოფოში. „ძნელი იყო მარკოზაშვილის ნახვა და მასთან საუბარი. საშინელი სიცხე ქონდა და არაჩვეულებრივი გამომეტყველებით იცქირებოდა... და ეს სიცხეში უგრძნობლათ ჩავარდნილი ადამიანი როცა გამოერკვეოდა თავის თავზე არაფელს ამბობდა, არც ფიქრობდა... ფიქრობდა მხოლოდ თავის პატარა სამშობლოზე. მის სიტყვაში, მის ბოდვაში, მის კვნესაში მხოლოდ ერთი ისმოდა: „ტანჯული საქართველო". ყველა ეს მისი სიტყვები გვესმოდა არა ქართველ

საქართველოს ეროვნული არქივი

ტუსაღებს და ვგრძნობდით მის გულის ტკივილს, მხედარის ტანჯვას“.

მარკოზაშვილმა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა რუსეთში. ის იყო ერთი დამაარსებელთაგანი წითელი არმიის კავალერიისა. მოსკოვიდან დაწყებული იგი იბრძოდა ყველა ფრონტზე: უკრაინაში, ჩრდილოეთ-კავკასიაში, ყუბანში და სხვაგან. ყოველგან ის და მისი ცხენოსანი ლაშქარი გადამწყვეტი იყო ბრძოლაში გამარჯვების საკითხის. მრავალი გამარჯვებისა და მამაცობისათვის ის დაჯილდოვებული იქმნა ტროცკისაგან რკინის წითელი დროშის ორდენით და წითელი გენერლის სახელწოდებით. 1920 წელს ის იბრძოდა როსტოვ-თერგის მიმართულებით დენიკინის წინააღმდეგ. დენიკინის დამარცხების შემდეგ ის გაიწვიეს პოლონეთის ფრონტზე, მაგრამ გზაში შეაჩერეს. უბრძანეს საქართველოზე თავდასხმისათვის მზადება და მისცეს განსაზღვრული ამოცანა. როცა ბაქოს მიმართულებით რუსის ჯარი საქართველოს შეუტევდა, მაშინ მას დარიალის ხეობა, ჩრდილოეთ-ოსეთის უღელტეხილით უნდა გადაელახა და თავის ჯარით შუა საქართველოს შემოსეოდა. აქ გათავდა ყველაფერი. მან წერტილი დაუსვა თავის ორდერებს, მოღვაწეობას და ეს მან აღარ ჩაიდინა, სამშობლოს არ უღალატა.

ის დაატყვევეს კავკავში. გადაუწყვიტეს დახვრეტა და განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ მოსკოვში, როცა იქ ჩამოართმევდენ მოსკოვის მიერ ბოძებულ ჯილდოებს. სადგურ ვისლავიდან ის გაექცა გაძლიერებულ მცველებს, მთიულეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და მის სამსახურში შევიდა.

ასეთია მოკლეთ ისტორია ნ. მარკოზაშვილისა.

რას სწერს თვითონ მარკოზაშვილი თავის დღიურში.

1920 წელი სექტემბერი /რიცხვი ძნელი გასარჩევია/ მე საქართველოში ვიმყოფები. მას უნდა შევსწირო ჩემი სიცოცხლე. ამიტომ ვერ დავემორჩილე რუსეთის სამხედრო საბჭოს, ტროცკის და ს. ორჯონიკიძის ბრძანებას. სამშობლოს წინაშე მე ღალატს ვერ ჩავიდენდი. ამას მავალებდა მე წარსულის პატივისცემა, თანამედროვე საქართველოს ნება, მომავალ თაობის და სამშობლოს სიყვარული...

ამისათვის მე გამასამართლეს რუსეთში და სიკვდილის განაჩენი გამომიტანეს. და მერე როგორ ცუდათ მომექცენ. მე როდესაც დამაპატიმრეს კავკავის სარდაფში მომამწყვდიეს და როდესაც სიკვდილით დასჯას ფიქრობდენ, მაშინ ჩემი ბინიდან ჩემი ოჯახიდან ყველაფერი წაიღეს ს. ორჯონიკიძის ბრძანებით. - ტანსაცმელი ჩემიც და ქალისაც, ფული და ყოველივე ძვირფასი სამკაულობა, ქალის ბეჭედიც კი აღარ დაუტოვებიათ. ნაჩუქარი, ოქროს ტარიანი რევოლვერი წაიღეს და ასე გამცალეს. ყველაფერი ეს ჩაიდინეს ჩემმა პირადმა „მეგობრებმა“. არა ერთხელ ვაცნობე საშა გეგეჭკორს, რომ დაებრუნებია, მაგრამ ერთ პასუხს მაძლევდა: - „რუსეთის „ჩეკის“ საკუთრებათ ჩაირიცხებაო“. მე კარგი, მაგრამ დედაკაცის ნივთებთან რაღა ხელი ქონდათ... **ნამეტი ცუდ ზნეობის ხალხთან** ვყოფილვარ ერთი წელი და რამოდენიმე თვე“.

1921 წელს მაისში თავის მეგობრებს თავის ანდერძში კი სწერს: - „მე მატყობინებენ ს. ქავთარაძე და ს. გეგეჭკორი, რომ ადრე გაგანთავისუფლებთ, წითელ ჯარს ჩაგაბარებთო“. მე ვგრძნობ ამ შემოთვლის საიდუმლოებას. შესაძლებელია პირველი ცდება, მაგრამ მეორეს კარგათ ვიცნობ. მაეჭვებს

საქართველოს ეროვნული არქივი

ერთი გარემოება: გეგეჭკორს მე კარგათ ვიცნობ, ვიცი მისი მოღვაწეობა და უეჭველათ მიფრთხის. მე მას ბევრჯელ მოვსთხოვე ის, რაც წაიღო ჩემი ბინიდან კავკავში, მაგრამ არაფელი არ დაუბრუნებია, დღეს ის მდგომარეობის გამო დიდი კაცია და რაღაც მოწყალებას და თანამდებობას მპირდება და ეს იმ დროს, როცა მან ჩემი სახლობის ნივთები ჩაიბარა და ჩემი სახლობა უკანასკნელ ტანისამოსს ყიდის ბავშვების დასაპურებლათ. საჭიროა იცოდეთ შემდეგი: ვიღაც გამომძიებელი ხოჭოლავა, რომელიც ჩემთან დასაკითხავათ იყო, ჩემს მეგობართან ყოფილა და უთხოვნია სამი მილიონია საჭირო და ადრე გაანთავისუფლებენო. წარმოიდგინეთ გულუბრყვილო ამხანაგს ნახევარი მილიონი მიუცია და დანარჩენს დაჰპირებია. ყველამ იცოდეს, რომ მათ არ დაუჯერონ. ისინი დღეს ყველა თავის საქმეს აკეთებს. მე არც ერთი მათგანი არ მჭირია, ამიტომ არც ენდოთ. მე ვიცი მათი ამბავი და ამიტომ გატყობინებთ. იცოდეთ აგრეთვე, რომ მარტო გეგეჭკორი არ არის დაკავშირებული ჩემს და საქართველოს ისტორიასთან. განსაკუთრებით ორჯონიკიძე არის მთავარი. მე მასაც ვიცნობ, ვიცი რაც გააკეთა მან და რატომ ხშირათ კითხულობს ხოლმე: „რატომ არ დახვრიტეს ამდენ ხანსო“ /19/5/.

მისი დახვრეტის მე-7 დღეს საქართველოს „ჩეკა“ ოფიციალურათ აცხადებდა: „26 ივლისს დახვრეტილ იქნა საბჭოთა ჯარების ყოფილი წითელი გენერალი ნ. მარკოზაშვილი, რომელმაც უღალატა საბჭოთა წყობილებას, გამოიქცა რუსეთიდან, წამოიღო დიდ ძალი ფული, მიემხრო მენშევიკების მთავრობას და ებრძოდა საბჭოთა ჯარს საქართველოში შემოსვლის დროს“.

ასეთი განცხადება მაშინ, როდესაც მარკოზაშვილი გამოიქცა არა თავისუფლად, ფულით დატვირთული, არამედ ეტაფიდან, ფეხშიშველა, ბლუზაშალვარის ამარა და არ უღალატა თავის ერს, თავის საქართველოს.

ეხლა გავეცნოთ მეორე საშინელ სინამდვილეს:

ყველაზე უფრო საშინელ სურათს წარმოადგენს ქუთაისის ჩეკას სარდაფი-სამარე. აი ყური დაუგდოთ რას მოგვითხრობს იქ ნაწამები და დღესაც დაფიქრებული ტუსაღი: „შუა დღე იყო, როცა სარდაფში შემიყვანეს. სარდაფი არის გუბჩეკის შენობის ქვეშ, ჯურღმულში. დღე იყო, მაგრამ იქ ბნელოდა. სარდაფი იყო სველი, ნოტიო. ტუსაღებს, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ დაუტყვევებიათ, ადამიანის სახე არ ქონდათ, მიცვალებულთა აჩრდილებს მოგაგონებდენ, შემკრთალი, შეშინებული იყვნენ. მე იქ დამხვდა სხვათა შორის ერთი ახალგაზრდა, გარეგნულათ ლამაზი შეხედულების ასე 22 წლის ებრაელი. ის აკანკალებული ფერწასული იჯდა... სარდაფში სიწყნარე და მწუხარება სუფევდა. საღამომდის მე მოვასწარი მისი გაცნობა. ის აღმოჩნდა ონელი ვაჭრის შვილი ხახიაშვილი. მას თურმე ბათუმიდან წამოეღო რამდენიმე ნაჭერი მატერია, რომელიც მიქონდა ონში, ქუთაისში იგი დაუჭერიათ და დაუბრალებიათ საქონლის გადამალვა, რომელიც მას სავაჭროთ მოქონდა. პირველათ ჩეკაში ქრთამათ მოეთხოვათ ერთი მილიონი და გაეშვათ მოსატანათ. როცა მილიონი მიუტანა, მოსთხოვეს: 60 მანეთის ოქროს ფული მოგვიტანე და სრულიად გაგანთავისუფლებთო. რადგანაც ამდენი ოქრო ვერ იშოვა წავიდა და რევკომის თავმჯდომარეს ლორთქიფანიძეს მოახსენა ყველაფერი, თავმჯდომარემ დაარიგა: „წადი ოქრო იშოვნე, ჩააბარე გამომძიებელს, გამაგებინე მაშინვე,

საქართველოს ეროვნული არქივი

რომ გაგჩხრიკოთ და აღმოვაჩინოთო“. ისიც ასე მოიქცა, მაგრამ ოქროს მიტანისთანავე მას ჯერ წინადადება მისცეს აგენტათ დადექიო და როცა უარი სთქვა, ისევ სარდაფში ჩაამწყვდიეს. გამომძიებელთან შესვლის დროს ერთ მსახურს მისთვის ეთქვა: „რა სისულელე ჩაიდინე რომ იჩივლე, მან მაშინვე გაგვაგებინა და ამიტომ დაგიჭირესო“.

ღამე აღარავის არ დაუძინია. ის იჯდა საცოდავათ: „არ ვიცი გამანთავისუფლებენ თუ არაო“ ამბობდა ხშირათ. ღამის სამი საათი იყო, როცა შეიარაღებული გაშიშვლებული რევოლვერებით შემოიჭრენ სარდაფში, ხახიაშვილი წაიყვანეს, პირი დაუბურთეს, ხელები შეუკრეს და სადღაც გააქანეს. ტუსაღები კანკალობდენ... „ხვრეტენ“, - გაისმა ჩუმი ხმა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ სროლის ხმამ შეგვაკრთო. მესამე დღეს, როცა ჩვენთან გამომძიებელი **ჟღენტი** შემოვიდა, მას ხახიაშვილის ძვირფასი კავკასიური ბოხოხი თავზე ეხურა.

ვინ იყო ჟღენტი. თფილისის სადგურის ყოფილი მილიციონერი, რომელმაც წინეთ ხალხი გაძარცვა და როცა გაუგეს, **ყაჩაღათ გადავარდა.**

ავიღოთ გურიის „ჩეკა“. მის სათავეში დანიშნულია ვინმე უცოდინარი, ავარა სოფლის ბიჭი, სრულიად ახალგაზრდა - **ქურიძე.** მან იცის მხოლოდ ერთი: „დაგხვრეტ, დაგახრჩობ კონტრ-რევოლიუციონერო“. ამით იწყება და ამით თავდება მისი „რევოლიუც.-მართმსაჯულება. ვინ არიან მასთან თანამშრომელათ. გურიის ყაჩაღები: ძმები გუნთაიშვილები, ქავთარაძე და სხვ., რომლებსაც ხალხი დასდევდა, რომლებიც არიან სოფლების გამძარცველები და მკვლელები.

„მართალია, კონკრეტული ბრალდება არა გვაქვს სიო ჭანტურიშვილის შესახებ, მაგრამ ის ავტორიტეტიანი პირია და უეჭველათ დახვრეტილი უნდა იქნასო. ასეთია ჩვენი დასკვნა“-ო სწერდა გურიის „ჩეკა“ ქუთაისის საგუბერნიო „ჩეკას“ ყოფილი სამაზრო ერობის თავმჯდომარის ჭანტურიშვილის შესახებ.

ასე სწერენ პატარა „ჩეკები“ დიდ „ჩეკებს“.

ხაშურში, ცხინვალში, დუშეთში კი ჩეკები თავის შემადგენლობით სრულიად ყაჩაღებია და თითო ოროლა პირის გარდა ყველანი რუსები, ოსები და სომხები არიან.

„თიანეთის სარდაფში, რომელშიაც წვიმა სრულიად თავისუფლათ ჩამოდიოდა, ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი ადგილობრივი პირი „ჩეკის“ მთავარ წევრებში. გვეკითხებოდენ დამტვრეული რუსულით, არ ვიცოდით რას გვეკითხებოდენ. ისინი სიღნაღელი და თფილისელი სომხები იყვნენ, მაგრამ ქართულათ ლაპარაკს კი არ კადრულობდენ“-ო, ასე სწერს ერთი იქ ნამყოფი გლეხი მეორე გლეხს თელავში და ეკითხება: „თელავშიაც ასე ხომ არ არის თქვენი საქმე დაღუპულიო“.

ეს ბოროტება კი დიდი „ჩეკიდან“ იწყება.

საინტერესოა დიდი „ჩეკის“ დათვალიერება და ამიტომ ყური დავუგდოთ თვით ტუსაღებს: „დიდი ჩეკაში როცა შეყავხართ ტუსაღი იქ ვერავის ვერ ნახავთ ადგილობრივს. კომენდანტი სომეხია, დარაჯი რუსია, გამომძიებელი ებრაელი, საქმის მწარმოებელი, მსახურნი - ებრაელი დედაკაცები. არიან თითო ოროლა ქართველებიც, მაგრამ ისეთები რომელთა შორის ზოგმა ქართული არ

საქართველოს ეროვნული არქივი

იცის, რადგანაც რუსეთში უცხოვრია და მხოლოდ დაპყრობის შემდეგ ეწვია საქართველოს.

ყოველგვარი საქმის წარმოება და გამოძიება მიდის რუსულათ და ეს იმ დროს, როცა ტუსაღები ქართველი მუშები და გლეხებია უმთავრესად. მთავარი უბედურება და ბოროტება ხდება, როცა გამომძიებელი უკითხავს ხელ-მოსაწერათ ჩვენებას დამნაშავეს და უკანასკნელი იძულებულია შიშის გამო მოაწეროს ხელი, მაგრამ არ იცის რას აწერს. კიდევ უფრო საშინელია, როცა კომენდანტები /რუსის ჯარის კაცები იგინებიან და სოფლელებს კი არ ესმით და გონიათ რაღაცას გვეკითხებიანო. ტუსაღის ნახვის ნებართვა ძნელი მისაღებია და თუ ეღირსა ტუსაღი მნახველს და მშობელი სასიკვდილოთ გამზადებულის, - ნახვა მუნჯურათ, ცრემლით გათავდება. პატარა, ვიწრო ფანჯარასთან მიყვანილ ტუსაღს წინ გაუჩერდება მნახველი, - კომენდანტი კი ზის იქვე მრისხანეთ და უცქერის, ქართულათ დალაპარაკება აკრძალულია. იშვიათია შემთხვევა, რომ ტუსაღმაც და მნახველმაც იცოდეს რუსული ლაპარაკი, უფრო ხშირათ არც ტუსაღმა და არც მნახველმა არ იცის რუსული და წვალებით აღელვებული ნებართვა უქმათ რჩება. იყო შემთხვევები, როცა ტუსაღებმა უარი განაცხადეს რუს გამომძიებელის მიღებაზე, მოითხოვეს ქართული ენის მცოდნე, მაგრამ მოთხოვნას არავითარი შედეგი არ მოყოლია.

ერთი ტუსაღი აგვიწერს: „14 მაისს იტალიის გემი „პალასკით“ მოვედით ბათუმში. ცნობები საქართველოს შესახებ ჩვენ არაფელი გვქონდა. გემიდან გადმოსულიც არ ვიყავით, როდესაც ჩვენთან მოვიდა ბათომის რევკომის წევრი ილ. მამულია და გამოგვიცხადა: „საქართველოში საუკეთესო წესწყობილება არის, ყველა პოლიტიკური პარტიები თავისუფლად მუშაობენ და თქვენც ხელს არავინ გახლებთო“. შემდეგ ამისა ჩვენ წაგვიყვანეს საგანგებო განყოფილე-ბაში, გაგვატარეს რეგისტრაციაში, საანკეტო ფურცლები დაგვაწერიეს და განყოფილების საგანგებო ციხეში მოგვათავსეს, სადაც გავატარეთ 17 მაისამდე. ციხიდან ბათომის ჩეკაში გადაგვიყვანეს, ჩვენ შევეკითხეთ მიზეზი დაპატიმრებისა და პასუხათ მივიღეთ: „თქვენს წინააღმდეგ ბრალდება არაფერი გვაქვს, მაგრამ ცენტრის დაუკითხავათ ვერ გაგანთავისუფლებთო“. ბათუმის ჩეკაში გავატარეთ 6 დღე. ამ დროს განმავლობაში ჩვენ ვიგრძენით ადამიანის პიროვნების გამასხარავება, დაცინვა, შეურაცყოფა... დარაჯებათ გვყავდა ნიკოლოზის დროის კაზაკები, ხოლო ეხლა კომუნისტებათ მონათლულები. ტუსაღებში ღამით დიდ შიშს იწვევდა ვინმე **პალაჩი „პუგაჩოვის“** გამოჩენა, რომლის მოსვლა ხშირი იყო. ჩეკის კამერაში გამოძიების ახალი მეთოდი ქონდათ შემოღებული. ღამით მოიყვანდენ კომუნისტ ტუსაღს, რომელიც შეუდ-გებოდა კომუნისტების ძაგებას და ჩვენთან თავის პლანების გადაშლას მათ საწინააღმდეგ. ასეთი ოინებით ფიქრობდენ ჩვენთვის საბრალმდებულო ოქმის შედგენას.

28 მაისს, საღამოს 9 საათზე ჩვენ აზიზიეს მოედანთან მიგვიყვანეს, ჩაგვყარეს საქონლის დახურულ ვაგონში და გამოგვიცხადეს თფილისში გაგ-ზავნა. ყველა სადგურში ჩერდებოდა ჩვენი მატარებელი. გაიგებდა თუ არა სადგურზე შეგროვილი ხალხი ტუსაღები მოყავთო, ყველა დიდი თანაგრძნობით გვეპყრობოდა, ჩვენს ვაგონს ყვავილებს, გვიგზავნიდენ სურსათს, პაპიროსებს.

საქართველოს ეროვნული არქივი

მეორე საღამოს ჩვენ ყვირილაში ვიყავით. ორი წუთის განმავლობაში ჩვენს ვაგონთან ზღვა ხალხი შეგროვდა, რამაც გააბრაზა ადგილობრივი მართველები და გასცეს ბრძანება ხალხის გასარეკათ. რადგანაც ხალხი ვერ გარეკეს მატარებელი ჩქარა გაისტუმრეს. ასეთივე თანაგრძნობა იყო ყველა სადგურებში. თფილისის სადგურზე ხალხი ბლომათ დაგვიხდა, მაგრამ ჩვენმა მცველებმა ახლოს არავინ მოუშვეს. მიუხედავათ ამისა, თფილისის ქუჩებში ხალხი ბლომათ დაგვიხდა და გზა და გზა მოგვდევდა. უნდოდათ ჩვენთან გამოლაპარაკება, მაგრამ ვერ ახერხებდენ. ხალხი ჩეკამდის მიგყვა. „გრუზჩეკაში" ჩვენ მიგვიყვანეს მთავარ კომენდანტთან. **იგი მთვრალი იყო და წამდაუწუმ იგინებოდა.** მან ჩვენ დაგვიყვირა: „დაეყარეთ მანდ იატაკზეო".

II საათამდე გაგრძელდა ჩვენი ანკეტა, რის შემდეგ შეგვიყვანეს მეტად ბნელ, ვიწრო სარდაფში და კარები ჩაგვიკეტეს. 22 კაცი შიგ არ ვეტეოდით, შიგ არც ნარები იყო. მოპყრობა კამერაში რა თქმა უნდა არადამიანური. დღეში ვღებულობდით უვარგისს და საეჭვო ღირსების პურს **ერთ მეოთხედ გირვანქას.** დარაჯებათ რუსის წითელი არმიელები იყვენ, გარეთ გასვლა ბუნებრივი საჭიროებისათვის უქრთამოთ ძნელი იყო".

მეორე ტუსაღი გვიამბობს: „24 ივლისს თფილისის ჩეკაში მოგვიყვანეს ქართლის სხვა და სხვა კუთხეებიდან და 21 კაცი მოგვათავსეს ისეთ პატარა სარდაფში, სადაც შვიდი კაცის დატევა და გამართვა არ შეიძლებოდა. ერთ საღამოს ტუსაღებმა გადასინჯვის დროს ვსთხოვეთ მოეცათ ჩვენთვის შესაფერი ბინა რომ შეგვძლებოდა ადგომა-დაწოლა. მან მრისხანეთ გვიპასუხა: **„ამეღამ ათი ტუსაღი „რასხოდში"** მიდის და დანარჩენებს ხვალ თავისუფლად მოგეცემათ დაწოლის **საშვალებაო".**

ამ განცხადებამ სოფლელი ტუსაღები ძლიერ დაგვაშინა, არ ვიცოდით ვის ხვრეტდენ. დაიწყო მოთქმა გოდება:

- რისთვის გვხოცენ.
- ვაი ცოლო და შვილო.
- რას გვაბრალებენ.

ისმოდა მთელი ღამე ხმები. არვის არ გვიძინია, ყველანი ფეხზე ვიყავით და ვკანკალებდით. ასე გავატარეთ დილამდის სიკვდილის მოლოდინში. მოდარაჯე რუსის ჯარის კაცი გაბოროტებული შემოგვცქეროდა; მას ცალ ფეხზე ეცვა ქალამანი და მეორე შიშველი ქონდა. ტანზეც ტანისამოსი სრულიად შემოსეოდა".

მესამე ტუსაღი აგვიწერს: **„ქუთაისის** ჩეკიდან თფილისში ღამის 10 საათზე მოგვიყვანეს. სადგურიდან დიდი-ძალი არმიელების თანხლებით მთავარ ჩეკისაკენ წაგვიყვანეს. რუსთაველის პროსპექტზე ერთმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა საჭიროა ამდენი მცველები რომ მოყვება ამდენ პატიოსან ტუსაღებსო". ეს აგენტმა გაიგონა და იგი იქვე დაიჭირა. ჩეკაში სათითაოთ გაგვჩხრიკეს, ჩამოგვართვეს ქაღალდები, ფული და ყველაფერი თუ კი რამე გვებადა. გამჩხრეკავები ერთი რუსი იყო, დანარჩენი სომხები. გაჩხრეკის შემდეგ ქუთაისის ტუსაღები შეგვიყვანეს ბნელ, ვიწრო ფანჯრებიან საკანში, რომელშიაც საშინელი სივიწროვის **გამო არც დასაჯდომი** ადგილი იყო და არც გასაჩერებელი. მოგვაწოდეს საანკეტო ფურცლები და გვიბრძანეს მისი

საქართველოს ეროვნული არქივი

შევსება. საანკეტო ფურცელი დამთავრებული არ გვქონდა, როცა ჩვენთან გინებით შემოიჭრენ კომენდანტები ოგანეზოვი და შახნაზაროვი. ბრძანეს მათ გაჰყოლოდენ ისინი, ვინც საანკეტო ფურცელი შეავსეს. ასეთები აღმოჩდენ შ. მაღლაკელიძე, გრ. ლორთქიფანიძე და ი. წიქორიძე, რომლებიც ჩვენგან მაშინვე წაიყვანეს, ატარეს და ბოლოს ერთ პატარა კამერაში შეიყვანეს. კამერა მეტად საშინელი იყო, წყალს ვერ ვშოულობდით, დასაწოლათ ერთი მეორეს ვაწობოდით, ხოლო ზევიდან განძრახ წყალს გვასხამდენ. ყველაფერი არეული იყო: ჩვენთანვე იყვენ ჯიბგირები, ყაჩაღები, ქურდები“.

მეოთხე ტუსაღი გვიამბობს: „პროვინციის ციხეში ვიყავით დაჭერილი. ჩვენთან შემოიყვანეს ნაცემი ქუჩაში წიგნების გამყიდავი ბაქრაძე. ის დაუტუსაღებია კომისარს, რადგანაც ნოე ჟორდანიას წიგნს ყიდდა სხვა სამეცნიერო წიგნებთან ერთად“.

მეხუთე ტუსაღი მოგვითხრობს: „ჩვენ ხაშურის რევკომმა დაგვატყვევა და შეგყარა ბნელ სარდაფში, რომელიც წყლით სავსე იყო. ჩვენთან მოიყვანეს პირველ აპრილს დაჭერილი ვ. სუხიევი, ძველი მოწინავე მუშა ანტონ ბიბილური. სახურავიდან სარდაფში წყალი ჩამოდიოდა, მოგვცეს ერთი ხის საჯდომი და მასზე მორიგეობით ვჯდებოდით. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ გადაგვიყვანეს სხვა ადგილას. 9 მარტს ჩვენთან შემოიყვანეს სოფლელი იოსებ მოსიაშვილი. მას წაუყენეს ძველი ბრალდება, ქალიშვილის მოკვლა. ამ საქმეზე 1919 წ. კომისია იყო და გამოირკვა რომ ქალიშვილის სიკვდილი მოხდა მისი გაქცევის დროს და ამაში არავითარი ბრალდება მოსიაშვილს არ მიუძღოდა. დაიწყეს მისი წამება. ხელები ელექტრონის მავთულებით შეუკრეს, ჩამოკიდეს ფანჯრის რკინის „რეშოტკაზე“ და ისე გამოკითხეს. 24 საათი იყო დაკიდული სანამ გრძნობა არ დაკარგა“.

მეექვსე ტუსაღი ასე აგვიწერს: „ჩეკაში ვღებულობდით მეოთხედ გირვანქა პურს და ესეც არ მოდიოდა თავის დროზე, ხან სრულებით უპუროთ ვიყავით. შიმშილისაგან მიბნედილი ტუსაღები **ნაგავის ყუთში დაეძებდენ** საჭმელს. უჭმელობისაგან ტუსაღები დასნეულდენ, ავათმყოფობა საერთო მოვლენათ გადაიქცა. გახშირდა გადამდები სნეულებანიც, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყველა ერთმანეთში ვიყავით არეული. იყო ასეთი შემთხვევა: შიმშილისაგან დასნეულებულ ტუსაღს ნაგავი მიქონდა გადასაყრელათ წყალში, მან თავი ვერ შეიკავა და თან გადაჰყვა. დარაჯებმა კი დახმარების ნაცვლათ ესროლეს და იქვე მოკლეს - „გაქცევა დააპირაო“. ციხის ექიმი კი სულ ყოველ დღე მთვრალი დადის და ისე სინჯავს ავათმყოფებს. ერთ ავათმყოფს კარები ჩაუკეტეს და ის დილით გარდაცვლილი იპოვეს“.

მეშვიდე ტუსაღი გადმოგვცემს: „ოსეთის სოფლებიდან ცხინვალში თავმოყრილია ყველანი ვინც წინათ ავაზაკობდა. ღამე იყო, როცა თავს დამესხენ. ოთახში შემოიჭრენ მილიციის უფროსი, რევკომის წარმომადგენლები მილიციონერებით. ხელები ყველას აგვაწევიეს, გაჩხრიკეს მთელი ბინა, არ დაუტოვებიათ კედლები გამოუნგრეველი. თუ რამე ძვირფასი იყო დაიტაცეს. წამიყვანეს პოლიტიკურ გამგესთან, რომელიც მეოთხე კლასის მოწაფეა. იმის გარდა იქ დაგვხდენ სხვა შეიარაღებული პირები. იქვე იყვენ დატყვევებული სოფლელი გლეხები. ისმოდა გინება, ლანძღვა, ცემა და ხმა: „დახვრიტეთ, ღირსია...

საქართველოს ეროვნული არქივი

რასხოდში...“ გათენებისას შეგვყარეს სარდაფში, სადაც არც დასაწოლი იყო, არც დასაჯდომი და არც სინათლე. აი ასეთ სარდაფში გავატარეთ გლეხებთან ერთად უდანაშაულოთ. არც საჭმელი გვქონდა, არც სინათლე, მოპყრობა გესლიანი, დაგვცინოდენ, როგორც ქართველებს. განსაკუთრებით ასეთი აუტანელი ციხე-სარდაფებია ცხინვალის რაიონში, სადაც თვეობით სხედან სოფლელები. ჩეკების აგენტებათ კი იმყოფებიან 18-19 წლის ყაჩაღები“.

აბა დაუგდოთ ყური ტუსაღს, რომელიც მოწამეა საშინელი ღამეების. „დაბნელდა ჩვენს სარდაფში. ამეღამ ვინმეს წაათრევენ, - ამბობდენ ჩუმათ ტუსაღები. იყო ჩვეულებრივი კანკალი, შიში, თრთოლვა. არ ვიცოდით ვის წაგვიყვანდენ. ნაშუაღამევი იყო, როცა შემოცვინდენ მხეცებივით კომენდანტები და ჯალათები: შეიქნა ყვირილი, კვნესა, ღრიალი, პატარა სარდაფში ჯერ იქით-აქეთ მივარდით და შემდეგ ჩავწევით პირდაღმა... მათ ხელი სტაცეს ტუსაღ მაშარაულს, ბერზონაშვილს და სხ. საშინელი წამი იყო, ცივი ოფლი მოედინა შუბლს... შეიქმნა ყვირილი: მიშველეთ, მიმათრევენ, მკლავენ, მიშველეთ... ჩვენ თითქმის არაფელი გვესმოდა, ისე ვიყავით პირზაღმა დაწოლილი და ვფიქრობდით: - ღმერთო გადაგვარჩინეთ... მხეცური ცემა, ღრიალი გათავდა იმით, რომ ოთხი ტუსაღი კარგათ გათოკეს, დათელეს ცემით და წაათრიეს. ეს იყო 7 ენკენისთვეს ღამით“.

საშინელია ტუსაღების მდგომარეობა სარდაფში. არც ერთა მათგანმა არ იცის არა აქვს გადაწყვეტილი. არც უცხადებენ. დადგენილება საიდუმლოებით არის მოცული და ყველა სიკვდილს, დახვრეტას ელის...

თურმე დუშეთის, თელავის, სიღნაღის კომ. პარტიის კომიტეტებს დაუდგენიათ აღნიშნულ მაზრის ინტელიგენციის დახოცვა და პირველათ დუშეთიდან დაიწყეს. შეპყრობილნი დანაშაულში გამოტყდენ, დაასახელეს საქმის მეთაურათ დატყვევებული ვასო ახალაშვილი. მან კი სინამდვილის აღიარებით იმართლა თავი. მას ჯიბეში აღმოაჩნდა სამაზრო კომ. პარტიის მიწერილობა და იმ პირთა სია, რომელნიც უნდა დაეხოცათ. ის გამოტყდა გრუზჩეკის წინაშე და აღიარა: „მონაწილენი არიან სამაზრო კომიტეტის და პოლიტკომის წევრები: „საშა დაფანაშვილი, ჩოფასური, სანდრო გახუკიძე, გირ. გახუკიძე, ყაჩაღი დარჩო გოგიჩაიშვილი, ივანოვი, ვ. პაპუნაშვილი, ბალსკი, ოზელა იაშვილი და სხ.“

აქედან ნათელია თუ ვინ ბატონობს პროვინციაში. აქედან ცხადია, რომ ჩამორჩენილ დუშეთის სოფლის საზოგადო მოღვაწეები ციხეში სხედან და იქ ნაძირალები ტერორს ახდენენ, ადამიანებს სიცოცხლეს უსპობენ.

როგორ აწყობენ პროვოკაციას.

29 აპრილს ქუთაისში ღამის 12 საათზე, როდესაც საგანგებო სხდომიდან ბინაზე გაემგზავრენ საქ. რევკ. კომიტეტის საგანგებო რწმუნებული ს. გეგეჭკორი თავის ამხანაგებით ქუთაისის რევკომის წევრები ავტომობილით მათ ვითომ თავს დაეცენ და ესროლეს ყუმბარა და რევოლვერებიდანაც. მაგრამ აღსანიშნავია არც კაცს და არც ავტომობილის ზიანი არ მიუყენებია. ამავე ღამეს ქუთაისიდან გუბერნიის ყველა რევკომებმა და ჩეკებმა ბრძანება მიიღეს ბატონ გეგეჭკორისაგან: „დაუყოვნებლივ დაატუსაღეთ ყველა მენშევიკებიო“.

ქუთაისის კომუნისტების ორგანო „მუშა და გლეხი“ ხალხს მოუწოდებდა:

საქართველოს ეროვნული არქივი

„მენშევიკებმა 29 აპრილს ბრძოლა გამოგვიცხადა, ხელთათმანი გადმოგვიგდეს, ჩვენ ამ გამოწვევას ვიღებთ და მზათ ვართო“.

იგივე გაზეთი შემდეგს სწერდა ქვევით: „პროვოკაცია შიგნით და გარეთ - აი მენშევიკების, როგორც ევროპაში ისე აქ საქართველოში, სამოქმედო გეგმა. ჩვენ მოგვეპოვება საკმაო საბუთები, რომლებიც ნათლად ამტკიცებენ ამას. ჩვენ შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით ვსთქვათ, რომ ევროპის იმპერიალისტური ჯარების მოხმობა და 29 აპრილს ბომბა - ერთი და იმავე ხელის საქმეა. ჩვენი მოვალეობაა ეს ხელი საბოლოოთ მოვსჭრათ ავანტიურისტების გროვას და ჩვენ ამას შევსძლებთ“.

ამუშავდა მთელი გუბერნიის რევკომების და ჩეკების აპარატები 4 დღის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიაში 1260-მდე კაცი დააპატიმრეს. გაჩაღდა რეპრესიები.

მაგრამ ასე წარმოიდგინეთ პროვოკაცია ისე უშნოთ იყო მოწყობილი, რომ ამან საქართველოს რევკომიც დააფიქრა და თფილისის კომუნისტურ გაზეთებს 29 აპრილის „თავდასხმაზე“ არც ერთი სტრიქონი არ დაუწერიათ.

1 მაისის წინა ღამით თფილისის ქუჩები რუსის ჯარებით გაივსო - „მენშევიკები გამოსვლას აპირობენო“.

13 მაისიდან კი გრუზჩეკამ და რევკომმა „მიიღეს ცნობა“ 26 მაისს მენშევიკები გამოსვლას აპირებენო, შეუდგენ წინასწარ მზადებას. 17 დაიწყო მოწინავე მუშების დაჭერა. დაატყვევეს თფილისის მოწინავე მუშებიდან 78 კაცი. რკინის გზის დიდი „ჩეკების“ სარდაფებში გააჩერეს ყველანი.

25 მაისს ღამით რევკომის, შტაბების და ყველა დაწესებულებების ბინებში ტყვიის მფრქვეველები მოაწყვეს და თფილისის ყველა ქუჩებში რუსის ცხენოსანი და ქვეითა ჯარები ჯავშნიანებით და ტანკებით დადიოდენ.

როგორ ეთხოვება ხალხი ტუსაღებს

ხალხი ყოველგან სიყვარულით და პატივისცემით აცილებს კომუნისტების მსხვერპლებს. აი ერთი მაგალითი:

30 აპრილს დაატყვევეს ჭიათურის სადგურში ძველი მუშა და რევოლიუციონერი ზაქარია გურული. დამსწრე ასე აგვიწერს მის დაჭერას: „ჭიათურაში წინ ღამით მოხდა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება, დააპატიმრეს ჭიათურის მოწინავე მუშები და საზოგადო მოღვაწეები. დაპატიმრებულნი რამდენიმე დღე ადგილობრივათ გააჩერეს. არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ. ეუბნებოდენ - ბრძანება თფილისიდან გვაქვსო. ერთ პატიმარს ვ. ჩუბინიძეს „ცნობილმა“ ვაშაძემ წინადადება მისცა: „ჩვენ სამსახურში შემოდი, ჩვენი წესები მიიღე და გაგანთავისუფლებთო“.

მეხუთე დღეს ზ. გურული და რამდენიმე პატიმარი ქუთაისში გაგზავნეს. საღამო იყო, როცა სადგურზე წაიყვანეს. სადგურზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, არ დარჩენილა ქალაქში არც ერთი მუშა, არც ერთი მოქალაქე, ყველა ტუსაღების გასაცილებლათ გაეშურა. მიუხედავათ კომენდანტის მიერ მიღებულ ზომებისა, მცველთა წინააღმდეგობისა, ზღვა ხალხი ყვავილებით ხელში მატარებელს შემოერტყა, რომელშიაც გურული თავის ამხანაგებით იყო. ისმოდა ხმები:

საქართველოს ეროვნული არქივი

- ვაშა, ვაშა, - გაუმარჯოს ზ. გურულს. - გაუმარჯოს მის ამხანაგებს.
- მშვიდობით, ნახვამდის...

ასევე იქცეოდა ხალხი ყველგან პროვინციაში.

20 მაისს ონიდან ქუთაისში ფეხით გადმოგზავნეს 27 ამხანაგი. ასი ვერსის მანძილი ისე გამოიარეს, რომ ტუსაღებს ყველგან ხვდებოდა გზაში ხალხი და უმასპინძლდებოდა. ამის გამო ერთი ტუსაღი ამბობდა რაჭიდან ჯერ ასე კარგათ არ მიმგზავრია სულ ქეიფით ჩამოვედიო.

როგორ ხვრეტენ ტუსაღებს

საღამო იყო, როცა ჩვენს სარდაფში ჯალათი პეტინი შემოიყვანეს. ტუსაღებმა ალეგორიული ლაპარაკი განაგრძეს და ზიზღით დაუწყეს მას ცქერა. არ ვიცოდით დაჭერილი იყო თუ განძრახ შემოყვანილი. ჩვენ ვიცანით რომ მას ეცვა რ. გრომოვის ბლუზა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დახვრიტეს. ჩვენმა შიშმა გაიარა, რადგანაც ჩეკის ჯალათი პეტინი ლოთობისათვის მართლაც დაეპატიმრებია ჩეკას. პეტინმა შეგვნიშნა შიში და ისიც, რომ ჩვენ ბლუზა ვიცანით. ის გულახდილი გამოდგა და აღიარა ყველაფერი. ჩვენ ვისმენდით, ის მოგვითხრობდა: „საქართველოს ჩეკასთან არსებული რაზმი სულ რუსულია, თუმცა აქა იქ ურევია სხვა ეროვნების ელემენტები უმთავრესად სომხებიდან და ებრაელებიდან. ჩვენი რაზმი დარაჯობს „ჩეკას“ მსხვერპლ ტუსაღებს და მათვე მიყავთ დასახვრეტი პირები. ჩვენ ყველაფერს ჩავდივართ და თქვენ რათ გიკვირთ, თქვენ მიცქერით ბლუზაზე - ეს არაფელია. „ის“ დავხვრიტეთ. ბლუზა მე ჩავიცვი, შემდეგ შეიძლება მეც დამხვრიტონ და სხვა ჩაიცვამს, თქვენ გგონიათ ვითომ დახვრეტას ახდენდენ კომენდანტები. ეს მათ მოვალეობას არ შეადგენს, თუ ამას ხანდიხან ჩადიან ისინი, ეს აიხსნება არა მოვალეობით, არამედ ამ ხელოვნების სიყვარულით. დახვრეტა ჩვენი მოვალეობაა, კომენდანტებს გამოყავთ დასახვრეტი ტუსაღები, ხდიან ტანისამოსებს, გარდა საცვლებისა /ხშირათ ამ უკანასკნელსაც/ შეუკრავენ ხელებს თოკით, გადააბამენ ერთი მეორეზე, ჩასვამენ ავტომობილში და ჩაგვაბარებენ. ჩვენ მიგვყავს ისინი სასაფლაოზე. ასეთი სასაფლავო ორი გვაქვს - ორთაჭალის ქვემო მინდორი და საბურთალო, სადაც წინასწარ მზათ დაგვხდება გათხრილი ორმო. ორმოსთან სათითაოდ გახდიან ჯარისკაცები საცვლებსაც, დავაყენებთ ორმოსთან, დავახლით უკანიდან თავში რევოლვერის ტყვიას და თითონ ჩავარდება ორმოში. როცა ერთს ვხვრეტთ, მეორე უყურებს და ღრიალებს გაგიჟებული, მაგრამ ყველას ვასალმებთ წუთისოფელს და თავზე მიწას ვაყრით“.

- ხომ შეიძლება, რომ ორმოში მაგ წესით დახვრეტილი ცოცხალი მოჰყვეს, - შეეკითხა გაფითრებული ტუსაღი ჯალათ პეტინს.

- „შეიძლება“ - უპასუხა გულ-გრილათ პეტინმა და თან დაუმატა - „ეს იშვიათია, რადგანაც ეს ადგილი /და მან კეფაზე თავის ნაწილის ტვინის მთავარ ალაგას დაიდო ხელი/ ისეთია, რომ სიკვდილი უეცრივ მოყვება. ეს საერთოდ ჩეკას მიღებული სისტემაა, ანატომიური დასკვნის შედეგი, რომ ბევრი ტყვია არ იხარჯებოდეს და თუ ხანდისხან მაინც მოხდება, რომ არ იყოს სავსებით მკვდარი, რა უჭირს, მიწის დაყრის შემდეგ მაინც გათავდება“.

საქართველოს ეროვნული არქივი

- სად მიდის დასჯილების ქონება. - დაეკითხა მეორე ტუსაღი პეტინს.

- ფული და ძვირფასი ნივთები მიდის ჩეკას კასაში, ხოლო ტანისამოსი ნაწილდება რაზმის შემადგენლობასა და კომენდანტებს შორის, იმის და მიხედვით, თუ ვის რა აკლია. ამ წესით მე ეს ბლუზა შემხვდა. გრომოვს ეს კარგი ბლუზა გახადეს და მომცეს".

- ნუ თუ არაფერს არ გრძნობთ ასეთი აქტის ჩადენის დროს - შეეკითხა მესამე.

- პირველათ მეცოდებოდა ხოლმე ზოგი ახალგაზრდა, მაგრამ ჩქარა მივხვდი, რომ ეს სისულელეა /„ერუნდა"/, ჩვენ დავხვრეტთ, ჩვენ დაგვხვრეტენ და ასე...

- შენ ხომ ოფიცერი ხარ, ნუ თუ ნებით დათანხმდი ისეთ ხელობას, რომელსაც ძველი რეჟიმის დროს მხოლოდ ზნედაცემული ნაძირალები თანხმდებოდენ, - დაეკითხა მეოთხე ტუსაღი.

- დავხვრეტთ, დაგვხვრეტენ, - გესლიანი ღიმილით წამოიძახა მან და ტუსაღებს მხეცივით გადმოგვხედა.

დამატება

იტანჯებიან თუ არ ტუსაღები, როგორ ცხოვრობენ, რა ბედი ეწვია ბევრს, ან რა მდგომარეობაში დარჩენილები, ამის შესახებ გავეცნოთ ზოგიერთ დოკუმენტებს. იუსტიციის კომისარიატის მიწერილობა სასურსათო კომისარიატის მიმართ.

N3163 ა/წ 11 ოქტომბრის თარიღით „ტუსაღების მდგომარეობა მეტეხში და ორთაჭალის ციხეებში მეტად აუტანელი ხდება მათი კვების მხრივ. ტუსაღები უჭმელობის გამო თითქმის ყველა საგრძნობლათ დაავათმყოფებულნი არიან. ამასთანავე გაცნობებთ, რომ უჭმელობის ნიადაგზე დაავათმყოფებულთაგან **დღეში კვდება საშუალოთ 7 კაცი.** სიკვდილმა შესაძლებელია მიიღოს მასიური ხასიათი.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ ზომები სურსათით პირობების გაუმჯობესების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიხსნით პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შედეგებისაგან".

პირადი განცხადება იუსტიციის კომისარიატის სასურსათო განყოფილების გამგეს. მან უთხრა სასურსათო კომისარს მიწერილობის გადაცემისას: „თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, მოსალოდნელია ბუნტი".

ასე სწერს სასურსათო კომისარიატს იუსტიციის კომისარი... დღეში 7 ტუსაღი კვდება შიმშილის გამო... და სხ.

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარს

ამ ერთი თვის წინეთ ჩვენ მეტეხში მყოფ პოლიტიკურმა ტყვეებმა მოგმართეთ თხოვნით მობრძანებულიყავით ჩვენთან სხვადასხვა ჩვენთვის საჭირო საკითხების გამოსარკვევათ. აშკარაა, ჩვენ აზრათ გვქონდა საქართველოს ეხლანდელ უზენაეს ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენელთან მოლაპარაკება.

გუშინ ჩვენთან გამოცხადდა უცხოელი ვინმე **ბროცკი** და გვაცნობა, რომ იგი მოსულია ჩვენი განცხადების გამო. ჩვენ მას აუხსენით, რომ ჩვენი

საქართველოს ეროვნული არქივი

განზრახვა იყო შევხვედროდით საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სრულუფლებიან წარმომადგენელს. ჩვენ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ხსენებულ ბროცკიმ უცხო ენაზე განგვიმარტა, რომ სწორედ ის არის თქვენი სრულუფლებიანი მოადგილე და, მაშასადამე, დღევანდელი უზენაესი მთავრობის წარმომადგენელიც.

დამოკიდებულება უცხო ენაზე საქართველოს მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთან ჩვენთვის პრინციპიალურათ მიუღებელია. ეს ფაქტიურათაც შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ თქვენი პოლიტიკური ტყვეები არიან მხოლოდ და მხოლოდ ქართველები და მათ დიდ უმრავლესობას შეადგენს გლეხები და მუშები, რომლებმაც არ იციან და მათთვის არც არის სავალდებულო უცხო ენის ცოდნა საქართველოს ტერიტორიაზე. ამის გამო ჩვენ ვერ ვსცანით შესაძლებლათ ლაპარაკი ხსენებულ ბროცკისთან, რასაც ცნობისათვის გაუწყებთ.

დასასრულ საჭიროთ მიგვაჩნია მოგახსენოთ, რომ ზემოაღნიშნული პრინციპიალური მოსაზრება იმდენათ ნათელი და უდავოა, რომ ჩვენ შემდეგშიაც მხოლოდ ამ წესით ვიხელმძღვანელებთ მთავრობის ოფიციალ წარმომადგენელთან ამა თუ იმ დამოკიდებულების დროს, რასაც სხვათა შორის სავსებით ეთანხმება ამ საგანზე საქართველოს რევკომის დეკრეტი.

პოლიტიკურ ტყვეთა დავალებით ხელს აწერს სამი კაცი. 2 ოქტომბერი 1921 წ. დედანი უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ასეთია ბოლშევიკების სოციალისტური რეჟიმი.

ასეთია დაპყრობილ საქართველოს ბედი რუსის წითელ არმიელთა უხეში ბატონობის ქვეშ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 16-37.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტურ პარტიებსა და მუშათა ორგანიზაციებს ქართველი რეპრესირებული მუშების ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის თხოვნის შესახებ
1921 წლის 10 ოქტომბერი

ევროპის და ამერიკის სოციალისტურ პარტიებს და მუშათა ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო,

თქვენ იცით, რომ რვა თვეა, რაც საქართველოს რესპუბლიკა, ჩვენი პატარა ერის თავ განწირული ბრძოლის შემდეგ დაიჭირა რუსეთის ჯარებმა და დაამყარა რევკომების დიქტატურა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი პარტია - განიცდის უსასტიკეს და აუწერელ დევნას. ჩვენ არ აგიწერთ დაწვრილებით ამ დევნას. გეტყვით მხოლოდ, რომ ოკუპანტები ისეთივე სიმკაცრით დევნიან სოციალ დემოკრატებს, როგორც ძველ დროში საქართველოში შემოსული შახები და სულთანები სდევნიდნენ ქრისტიანებს. ჩვენი საუკეთესო ამხანაგები ციხეებში იტანჯებიან და იქ კვტებიან. მათი რიცხვი დღეს უდრის დაახლოვებით 600-კაცს. ჩვენი მოწინავე გლეხობა და მუშები, რომ ასცდენოდენ ოკუპანტების ბარბაროსულ რეჟიმს, დაჭერა-გადასახლებას, იძულებულ იყვნენ მიეტოვებიათ თავიანთი ოჯახი, ცოლშვილი და გადასახლებულ-იყვნენ. მათი რიცხვი ორი ათასზე მეტია. მათ რიცხვში არიან ისეთები, რომელთაც რევოლიუციონური-სოციალისტური ბრძოლის 20-30 წლის სტაჟი აქვთ. ყველა ამ ამხანაგების ოჯახები უპატრონოთ არის მიტოვებული. მათი ცოლშვილი განიცდის ამ საშინელ კრიზისის დროს, უდიდესი შიმშილ-სიცივეს. ზამთარი დადგა და ჩვენ მოწამენი გავხდებით ჩვენი საუკეთესო ამხანაგების ბავშების უდროვო ამოწყვეტას. ფულის შეგროვება მათ დასახმარებლად ძნელია ჩვენში. ქარხნები იხურება და დარჩენილ მიწებს ჯამაგირი არ ყოფნით წყლის საყიდლადაც. ისინი შეძლებისამებრ ეხმარებიან თავიანთ ამხანაგებს, მაგრამ ფულის მოგროვება სასტიკად აკრძალულია ოკუპანტების მიერ.

ჩვენი მოვალეობა იყო-ეს ჩვენი გაჭირვება გვეცნობებია თქვენთვის. ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად ეკონომიურ კრიზისისა, ევროპა-ამერიკის ამხანაგები ეხმარებიან რუსეთის დამშეულებს, ჩვენ რა გვეთქმის ამის საწინააღმდეგოთ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ევროპა-ამერიკის პროლეტარიატი არ დაღუპავს მის ქართველ თანამოძმეთა ოჯახს, იმ თანამოაზრეთა, რომელთა ერთად ერთი დანაშაული არის თავის პრინციპების და თავის პატარა ერის დამოუკიდებლობის მტკიცე და შეურყეველი დაცვა, რომელსაც ჩვენი ხალხი ს. დ. მეთაურობით არასდროს არ უღალატებს.

მიიღეთ გულითადი სალამი

ს. ს. დ. პ. ც. კ.

საქართველოს ეროვნული არქივი

„10“ ოქტომბერი 1921 წ.
ქ. თბილისი.

P.S. დოკუმენტს უზის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 17.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქ. სოხუმში
არსებული ვითარების მოკლე ანალიზი
1921 წლის 10 ოქტომბერი

სოხუმი ბოლშევიკების დროს

ამ უკანასკნელ დროს სოხუმიდან ბევრი საყურადღებო ამბავი მოვიდა, თუ ამ ამბებს დაუკავშირებთ წინანდელ ცნობებს - მივიღებთ მთლიან სურათს სოხუმის თანამედროვე მდგომარეობისას.

სულ უკანასკნელ დროს კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ყოფილი სომხეთის კონსული სააკიანი და რამდენიმე ბერძენი. ისინი სოხუმიდან გამოიპარენ 3-4 ოქტომბერს. კონსული სააკიანი ჩვენ დაპატიმრებულიც გვყავდა. ბოლშევიკების შემდეგ მან მოიარა მოსკოვი, დაბრუნდა სოხუმში და რადგანაც მისთვის აუტანელი გახდა აქ ცხოვრება, გამოვიდა კონსტანტინოპოლში. მისი სიტყვით მოსკოვში აუტანელი მდგომარეობაა. სოხუმში კი 2-3 აგვისტოს მასიური დაპატიმრება დაუწყიათ. მის წამოსვლამდე დაუჭერიათ 61 კაცი, მათ შორის ვ. შერვაშიძე, ხარ. ავთალბეგიანი, ლ. ნოვიკოვი, კარალიოვი. ბერძნებიც ადასტურებენ ამ ცნობებს, ოღონდ დასძენენ, რომ დააპატიმრეს ყველა, ვინც წინეთ რამე მონაწილეობას მაინც იღებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რიცხვით 200-300 კაციო.

აგვისტოში სოხუმიდან ჩამოვიდა ავასტოვსკი, რომელიც წინეთ აფხაზეთის კომისარიატში მსახურებდა და შემდეგ რამოდენიმე თვე ბოლშევიკებთან მოხელეობდა. ამ ერთი კვირის წინ კი სოხუმიდანვე ბათუმით ჩამოვიდა ქ-ნი ტომარა, სოხუმის ყოფილი ქალაქის თავის მეუღლე. ეს უკანასკნელნი და განსაკუთრებით ქ-ნი ტომარა ბევრ საყურადღებო ცნობებს იძლევიან. ამ ცნობების თანახმათ ბოლშევიკების ბატონობის სურათი ასეთია:

სოხუმი ბოლშევიკებმა აიღეს 4 მარტს. გაგრის მხრიდან სოხუმში შემოვიდა დიდი და კარგათ გამოწყობილი ჯარი. იყო კავალერიაც. ბოლშევიკების მხრივ ექსცესებს ადგილი არ ქონდა, მით უფრო, რომ სოხუმმა დიდი მორჩილება გამოიჩინა. ყველა დარჩენილმა მოსამსახურეებმა მაშინვე მუშაობა დაიწყეს და ხალხი მეტათ დაშინებული იყო. არავითარი ოპოზიცია არსაიდან არ სჩანდა.

რევკომს სათავეში ჩაუდგა ეფრემ ეშბა და მისი ამხანაგები რევკომში იყვნენ: სვანიძე, ვ. მარღანია, ცაგურია, ისაკი ჟვანია, აკირთავა, ლაკობა და სხ. თავში ბოლშევიკები შედარებით ლმობიერნი იყვნენ, მაგრამ თანდათანობით გაძლიერდენ რუსეთიდან წამოსული უცხო ელემენტები - განსაკუთრებით რუსები და ებრაელები. ეს რუსეთის ბოლშევიკები არ იწონებენ აფხაზეთის კომუნისტების მუშაობას და მათი გავლენით სოხუმელი კომუნისტების მოქმედებას და თანდათან მეტი სიმტკიცე და სისასტიკე დაიწყო. რუსები აშკარათ ლაპარაკობენ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უბრალო თავშესაქცევი ხუმრობაა. მთელ აფხაზეთში ყველა საქმეებს რუსულ ენაზე აწარმოებენ.

„წითელი აფხაზეთის“ ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მეტათ მძიმეა. ჯერ კიდევ ძველი თუთუნი შველით, რომელიც მეტათ ენერგიულათ გააქვთ საზღვარ გარეთ, მაგრამ ამ თუთუნის მოლევის შემდეგ მდგომარეობა სრულიად აუტანელი შეიქმნება. საბჭოთა მოსამსახურეებს სამი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და „პაიოკსაც“ უხეიროთ, უსისტემოთ აძლევენ. „პაიოკი“ მცირეა,

საქართველოს ეროვნული არქივი

მაგრამ უფრო ენერგიული კომუნისტები უფრო კარგათ ახერხებენ თავიანთი მოსამსახურეების მოწყობას. ამნაირათ ხშირათ სხვა და სხვა კომისარიატებში სხვა და სხვა „პაიოკია“ მაგრამ ყველაზე კარგი „პაიოკი“ ეძლევა პასუხისმგებელ კომუნისტებს, მაგალითათ - მათ ყოველ თვიურათ ეძლევათ სამი ფუთი ფქვილი. ქალაქში გახსნილია რამოდენიმე სასადილო. სასადილოებიც სხვა და სხვა ხარისხის და რიგიანობისაა. ამ სასადილოებში უფასოთ სადილობენ საბჭოთა მოსამსახურეები. სადილი მეტათ მცირე და ცუდია. გამონაკლის შეადგენს მხოლოდ „სასადილო პასუხის მგებელ მომუშავეთათვის“. აქ სადილობენ უმაღლესი მოხელეები და კომისრები. სადილი აქ ჩინებულია. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში კომისრები სადილობენ თავიანთ სახლებში. აღსანიშნავია, რომ კომისრებმა თავიანთ საცხოვრებლათ აირჩიეს საუკეთესო დაჩები. ლაკობა ცხოვრობდა დრეერის დაჩაში და მიითვისა სმეცკოის „ობსტანოვკა“. როდესაც ლაკობა ბათუმში გადაიყვანეს, მან დაკეტა და თავის სახელზე დაიტოვა ეს დაჩა. ამბობენ, რომ ნაწილი სმეცკოის მებელისა მან ბათუმში წაიძღვანია. ცაგურია და კ. ინალიპა /მილიციის უფროსია/ ცხოვრობენ ბასკაკოვის მშვენიერ ვილლაში. სევა კუხალეიშვილი /გუმისტის კომისარი/, ისაკი ჟვანია /მიწათ მოქმედების კომისარია/ და დომენია /ჩეკას თავმჯდომარე/ ცხოვრობენ სამსონ ნინუასას. ეს უკანასკნელი სოხუმში ცნობილია და ეხლა დიდ სპეკულიანტობას ეწევა. სოხუმმა ბოლშევიკების ხელში სრულიად დაკარგა თავისი სახე. ყველგან და განსაკუთრებით ქალაქის ბაღში საშინელი სიბინძურეა. მაღაზიები ყველა დახურული და გაცარიელებულია. ბოლო დროს ზოგიერთმა ვაჭრებმა დაიწყეს ვაჭრობა და საზოგადოთ სპეკულიაციამ საშინლათ გაიდგა ფეხი.

მუშების მდგომარეობა მეტათ მძიმეა და ესენი ყველა ბოლშევიკების წინააღმდეგნი არიან. აგრეთვე გლეხებიც, განსაკუთრებით მეგრელებიც და ბერძნები, სრულიად წინააღმდეგი არიან ბოლშევიკებისა.

სოხუმის ქალაქის ბაღში დადგეს აფხაზეთის განთავისუფლების აღსანიშ-ნავათ ხის ძეგლი. მის პროექტი შეადგინა ტეხნიკმა სინიცინმა.

სოხუმის ოლქში რუსული ჯარი მეტათ ცოტაა. ბაშკირები დგანან ტუაპსეს და სოჩის ოლქში. თვით სოხუმში დგას წითელ არმიელთა ერთი პოლკი. ისინი მეტათ ცუდათ გამოიყურებიან, ტანსაცმელი არ აცვიათ და ციება მუსრს ავლებს. არის სოხუმში აგრეთვე აფხაზური ცხენოსანი ასეული, რომელსაც ცხენები არ ყავს. ამ ასეულის სათავეში სდგას ვარლამ შენგელია.

სოხუმში არავითარი ოპოზიცია არ არსებობს. ხალხი მეტათ შეშინებულია და ხმა მაღლა ლაპარაკს ვერ ბედავს. მხოლოდ დრო გამოშვებით კრონშტატიდან გადმოსახლებული მატროსები მიტინგების დროს წამოუძახებენ ბოლშევიკებს: „ა ჩტო ვი ზდელალი ვ კრონშტატე“. მატროსები ორი კატეგორიისა: კომუნისტები, რომლებსაც შავი ლენტები აქვს და კრონშტატელები - გიორგის ლენტებით.

აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელი კრების წევრმა - დიმიტრი ზახაროვმა სოხუმში დაბრუნებისას, ბოლშევიკურ „იზვესტიებში“ მოათავსა საძაგელი წერი-ლი, რომელშიაც თათხავს ჩვენ მთავრობას.

10 ოქტომბერი 21 წ.
ქ. კონსტანტინოპოლი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 73-76.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი ეროვნულ-დემოკრატ ლ. ჯაფარიძის მიერ
თანაპარტიელ გიორგი გვაზავასადმი გაგზავნილი წერილიდან
1921 წლის 19 ოქტომბერი

19/10 21 წ.

ამონაწერი ლ. ჯაფარიძეს წერილიდან გ. გვაზავასადმი

„საქართველოს მდგომარეობა თანდათან უარესდება და ქართული ელემენტები ნელ-ნელ კარგავენ ყოველივე პოლიტიკურ გავლენას. დღეს ფაქტიური მმართველი საქართველოს საქმეებისა არის „კავ-ბიურო", რაც ნიშნავს „კავკასიის ბიურო რუსეთის კომუნისტური პარტიისა, სადაც ერთი ქართველი შედის და დანარჩენნი რუს-სომეხ-ებრაელები. „ეს დაწესებულება არის აღჭურვილი ძველი „ნამესტნიკის" უფლებებით და თუმცა არა ოფიციალური ორგანოა, მაგრამ ფაქტიური დიქტატორია ხელის უფლება. ჩვენები ძალიან მუშაობენ და ჩვენი პარტიის გავლენა მათზე იზრდება. ჩემი იქ ყოფნის დროს გვქონდა მოლაპარაკებანი ინტერპარტიული ანტი-ბოლშევიკური საბჭოს შედგენაში და საერთო ფრონტის შესაქმნელად მუშაობისათვის, მაგრამ იქ შეთანხმება არ მოხდა, რადგან მენშევიკებმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს და მაშინ ვერ შევთანხმდით მომავალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ, სადაც ჩვენ კოალიციის პრინციპს ვიცავდით პარიტეტის ნიადაგზე სამი პარტიის შორის: ჩვენის, ფედერალისტების და მენშევიკების. ეს საკითხი ღიად დარჩა და მენშევიკებმა გადაიტანეს იგი უცხოეთში, რათა აქაურების აზრი გაეგოთ.

საქართველოში კი მოხდა მეორე შეთანხმება - ჩვენი, სხიველების, ფედერალისტების და ესერების და შევადგინეთ ცენტრი, სადაც ჩვენი ხელმძღვანელობით სწარმოებს მუშაობა. ამ ცენტრში შედის ერთი წარმომადგენელი აფხაზეთის და ერთი აჭარის; მაგრამ გუშინ მივიღე ცნობა, რომ ფედერალისტები გამოსულან ჩვენი ცენტრიდან და მენშევიკებთან შეთანხმებულან - მათგან ეს ყოველთვის იყო მოსალოდნელი.

დაიჭირეს გენ. მაზნიაშვილი, მაგრამ შემდეგ გამოუშვეს; ციხეში არიან ბევრი ჩვენი თანამოაზრე აფიცრები, გუშინ მივიღე ცნობა, რომ ზესტაფონში დაუტუსაღებიათ ოსიკო მაჭავარიანი, გვალია და სხვები და ქუთაისის ციხეში გადაუგზავნიათ. როგორც სჩანს ჩვენებისადმი რეპრესიებიც დაიწყეს.

სტამბოლში შევადგინეთ პარტიული კომიტეტი და მალე ალბათ გაზეთსაც გამოვსცემთ. მე 25-30 ამ თვეს პარიზში უნდა წავიდე ერთი თვით და შემდეგ ისევ აქ დავბრუნდები. ვმუშაობ აქაურ უცხოელების წარმომადგენლებთან (ფრანგების) პარტიული კონტაქტის დასამყარებლად და ჯერ საქმე კარგად მიდის"...

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 16, ფურცელი 2.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
თათბირზე მიღებული სამოქმედო გეგმა
1921 წლის 20 ოქტომბერი

საერთო მდგომარეობა და ჩვენი გზა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ ჩვენ თავიდანვე გვესახებოდა ორი გზა: ბოლშევიკური წყობილების დაცემა რუსეთში და მეორე, საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენება საქართველოს გასანთავისუფლებლათ ბოლშევიკური რუსეთისაგან.

რუსეთში მძვინვარე შიმშილმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო ველიკოროსიის ხალხის ინერტობა, აღმოცენებული მის თავისებურ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობაზე, და დამტკიცდა, რომ მას უძნელდება ბოლშევიზმის ბატონობის გადაგდება მაშინაც კი, როცა ამისთვის რუსეთში საკმაო ობიექტური პირობები შექმნილია და როცა თვით ბოლშევიკური მთავრობა დღითი დღე უფრო და უფრო სუსტდება და თავდაცვის უნარსა და შეძლებას კარგავს.

ამავე დროს გამოირკვა, რომ ევროპის დემოკრატია და სახელმწიფონი საქართველოს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და არ მოიპოვება არცერთი ოდნავ გავლენიანი წრე, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე არ იყოს. საქართველოს ბედი საერთაშორისო საკითხი შეიქნა და შორს არ არის ის დრო, როცა მისი გადაჭრა დღის წესრიგში იქნება დასმული საერთაშორისო მასშტაბით.

ჩვენ პირველ ყოვლისა საჭიროთ დავინახეთ საერთაშორისო ძალთა ჩარევა ჩვენს საკითხში მომხდარიყო სოციალისტური ინტერნაციონალის სახით, მაგრამ ბოლშევიკებმა კატეგორიულათ უარყვეს ეს გზა. საქართველოში კი მდგომარეობა დღითი დღე რთულდება და მთელი ერის მომავლისათვის საშიშ ხასიათს იღებს. ბოლშევიკები დაადგენ საქართველოში უცხოელების მასიურ ჩამოსახლებისა და აქტიურ ადგილობრივ ელემენტების, პირველ ყოვლისა მოწინავე მუშების უცხოეთში გადასახლების გზას. ხედავს რა, რომ ბოლშევიზმის ბატონობის გაგრძელება მას ემუქრება სრული ეკონომიური და ფიზიკური განადგურებით და ეროვნული სიკვდილით, ქართველი ხალხი მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას ოკუპანტების უღლის გადასაგდებათ და ყოველ წუთში მზათაა მთელი თავისი ძალღონით გამოვიდეს თავის გასანთავისუფლებლათ. უკანასკნელ დროს საქართველოდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ბოლშევიკურმა ძალადობამ ხალხის აღშფოთება უკიდურეს ხარისხამდე მიიყვანა და რომ მას გაუჭირდება თავი შეიკავოს სტიქიურ გამოსვლებისაგან და შეინარჩუნოს დღევანდელი გაუტეხელი აქტიური მტრობა ბოლშევიზმისადმი, თუ მისი თარეში მეტ ხანს გაგრძელდა. ამავე დროს სხვა განაპირა ქვეყნებიც, როგორიცაა სომხეთი, აზერბეიჯანი, მთა, ყაზახთა ოლქები, უკრაინა და ბელორუსია აგრეთვე ვერ ურიგდებიან ბოლშევიზმის უღელს და ხშირათ აჯანყებებს აწყობენ.

თათბირი ადგენს: მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები, რათა საქართველოს გასანთავისუფლებლათ მოპოებულ იქნეს ევროპის სახელმწიფოთა რეალური

საქართველოს ეროვნული არქივი

დახმარება, თანაგრძნობა ამ დახმარებისათვის ევროპის დემოკრატიისა და შეკრულ იქნეს მჭიდრო სამხედრო კავშირი ყველა ერებთან, აგრეთვე სხვა ანტიბოლშევიკურ ძალებთან, რომელნიც რუსეთის ბოლშევიკთა ბატონობას ებრძვიან და თან უდავოთ სცნობენ საქართველოს და კავკასიის სრულ დამოუკიდებლობას და გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ფეოდალური მიწათმფლობელობისა და საერთოთ ძველი რეჟიმის აღდგენას.

დიპლომატიური მუშაობა

საქართველოს გასანთავისუფლებლათ საუკეთესო გზათ უნდა მიჩნეულ იქნეს განაპირა ქვეყნებისაგან - კავკასიის კავშირისა, ყაზახთა რესპუბლიკებისა, უკრაინისა და ბელორუსიისგან, აგრეთვე თვით ველიკოროსიაში მოქმედ ანტიბოლშევიკური ძალებისაგან სამხედრო კავშირის შექმნა.

ეს მოითხოვს ჩვენი დიპლომატიის გაცხოველებას განზრახული კავშირის შესაქმნელათ და დიდ სახელმწიფოთა წინაშე აქტიური ნაბიჯების გადადგმას ანტიბოლშევიკური კავშირისათვის შესაფერი დახმარების აღმოსაჩენათ (იარაღით, ინსტრუქტორებით, ფულით და სურსათ სანოვაგით) და კავშირის წევრთა სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა მხარის დასაჭერათ.

ამავე დროს ჩვენი დიპლომატია ახლავე უნდა შეეცადოს რუსული იმპერიალიზმის საწინააღმდეგო კავშირს შემოუერთოს გარდა იმ ერებისა, რომელნიც ამ ჟამათ ბოლშევიკური დესპოტიის წინააღმდეგ იბრძვიან, აგრეთვე ყველა მოსაზღვრე სახელმწიფონი (ფინლანდია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი და რუმინია). განსაკუთრებული ყურადღება პოლონეთსა და რუმინიას უნდა მიექცეს და შეძლებისამებრ იქ ჩვენი წარმომადგენლობა მოეწყოს და მათთან ინტერესთა თანხმობა განმტკიცდეს.

თათბირი აღნიშნავს, რომ კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის გამარჯვებით დამთავრება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაწყდება სამხედრო კავშირი მოსკოვსა და ანგორის შორის.

ბოლშევიკებმა დასჭრეს საქართველოს სხეული და კერძოთ აჭარა ქ. ბათუმით ფაქტიურათ ოსმალეთს ჩაუგდეს ხელში. ჩვენი დიპლომატიის ვალია კავკასიის საკითხი დაუკავშიროს ოსმალეთ-საბერძნეთის ომის ლიკვიდაციას და შეეცადოს როგორც ანგორის მოსკოვისაგან ჩამოშორებას და მით ჩვენი ზურგის უზრუნველყოფას, აგრეთვე მიიღოს შესაფერი ზომები, როგორც დიდ სახელმწიფოთა, ისე საბერძნეთის წინაშე, რომ საქართველოს სუვერენიტეტი აღდგენილ იქნეს როგორც საქართველოზე, აგრეთვე პირველ რიგში ბათუმსა და მის ნავთსადგურზე.

სამხედრო მზადება და ორგანიზაცია

ბოლშევიკური ბატონობის დაცემის დასაჩქარებლათ უნდა გაძლიერდეს მუშაობა ყოფილ სახალხო გვარდიელებისა, ჯარისკაცებისა და სხვა მოხალისეთაგან სანდო ელემენტების გამოსაკრეფათ და მათგან ჯგუფების შესაქმნელათ. ამ გზით უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი სამხედრო ორგანიზაცია,

საქართველოს ეროვნული არქივი

რომელიც აჯანყებისთანავე „საქართველოს განმათავისუფლებელ ლაშქრათ“ იქცევა და მობილიზაციით შევსებულ იქნება.

აჯანყების დღიდანვე უნდა შეუდგეთ მთლიანი, ერთსისტემიანი რეგულიარული ჯარის მოწყობას და ამ მიზნით გამოვიყენოთ „განმათავისუფლებელი ლაშქრის“ ნაწილები და განსაკუთრებით ის მეთაურები, რომელნიც ბრძოლის პროცესში შესაფერ უნარს გამოიჩენენ.

როგორც აჯანყებისა, ისე რეგულიარული ჯარის სახელმძღვანელოთ უნდა დაუყონებლივ მოწვეულ იქნან უცხოეთიდან ჯარის ინსტრუქტორები.

დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენა

განთავისუფლებულ საქართველოში წესრიგის აღსადგენათ და ქართველი ერის ინტერესების უზრუნველსაყოფათ უნდა მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოები (ქალაქის, ერობის, თემის) და აღდგენილ იქნეს მთავრობის დაწესებულებანი შემოკლებული შტატებით.

დაუყონებლივ უნდა გაიწმინდოს რესპუბლიკა უცხო მობოლშევიკო, განსაკუთრებით ოკუპაციის დროს შემოჭრილი ელემენტებისაგან და გატარდეს სრული ნაციონალიზაცია მთელს რესპუბლიკაში, აგრეთვე აფხაზეთშიაც.

წესრიგის აღდგენა იკისროს „საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“, რომელიც აღჭურვილი იქნება სრული უფლებებით, იმოქმედებს შეუზღუდველათ რესპუბლიკის ინტერესებისთვის მიზანშეწონილობის ფარგლებში და თავის უფლებებს გადასცემს დამფუძნებელ კრებას და უცხოეთიდან დაბრუნებულ მთავრობას.

დამოკიდებულება სხვა პარტიებთან

თათბირი ადასტურებს სტამბოლის პოლიტიკური კომისიის დადგენილებას სხვა პარტიებთან კონტაქტის დამყარების შესახებ.

საქართველო და რუსეთი

თათბირი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკური ჯარის შემოსევამ ერთხელ კიდევ გამოაშკარავა ქართველი ხალხის ურყევი ნებისყოფა მოაწყოს რუსეთისაგან სრულიად დამოუკიდებლათ თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამრიგათ რუსეთის ორიენტაცია დამარხულათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში.

თათბირი საჭიროთ აღიარებს, რომ როგორც მთელი პარტია და მისი პრესა, აგრეთვე მთავრობა და მისი დიპლომატია ყველა თავის გამოსვლებში ამ ურყევ დებულებას უნდა ემყარებოდეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

სოც. დემ. პარტიის პროგრამის შესახებ

თათბირი უერთდება გადაწყვეტილებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შედგენის შესახებ.

„თავ. საქართ.“ თანამშრომლობის შესახებ

თათბირი ადგენს დაევალოს პარიზში მყოფ ამხანაგებს აქტიური თანამშრომლობა გაუწიონ გაზეთს.

მოწონებულია საბოლოოთ. ნ. რამიშვილი.

24, 25 და 26 სექტ. ქ. სტამბოლში შედგა თათბირი. დაესწრენ: პარიზის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე ნ. ხომერიკი, საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი კ. გვარჯალაძე, სტამბოლის პოლიტიკური კომისიის წევრნი ვ. წულაძე, მ. არსენიძე, კ. სულაქველიძე, „თავის. საქართვ.“ მომუშავე ამხანაგები დ. შარაშიძე, კ. ჭუმბურიძე, ვ. ჯუღელი.

თათბირზე ერთხმათ მიღებული რეზოლიუციები და ნ. რამიშვილის შესაფერი მოხსენება განიხილა ქ. პარიზში 7 ოქტ. სოციალ-დემ. პარტიის ცენტრ. კომიტეტისა და მთავრობის წევრთა კრებამ, რომელსაც დაესწრენ: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ირ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ევ. გეგეჭკორი, აკ. ჩხენკელი და კ. კანდელაკი.

კრებამ სტამბოლში მიღებული რეზოლიუციათა შესწორება მიანდო ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილს. შესწორებული რეზოლიუციები საბოლოოთ მიღებულ იქნა იმავე ამხანაგთა კრებაზე 20 ოქტომბერს 1921 წ.

ნ. რამიშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ნოე რამიშვილის პირადი ფონდი 2130, ანაწერი 1, საქმე 48,
ფურცლები 1-7.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

თბილისის მუშების მოწოდება საქართველოს მშრომელებს, სადაც საუბარია საქართველოს რევკომის მიერ მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების შესახებ
1921 წლის 26 ოქტომბერი

საქართველოს მშრომელ ხალხს! თფილისის მუშებისაგან

ამხანაგებო და მოქალაქეო!

24 ოქტომბერს დილის 10 საათზე, თფილისის მუშების სახელით მუშათა დელეგაცია რომელშიაც შედიოდა შემდეგი მუშები: 1. იასონ ჩაჩუა თავმჯდომარე, 2. იასონ კახაბრიშვილი, 3. ვასილ ოსიძე, 4. იაკობ ასიტოვი, 5. ნიკოლოზ გოგიშვილი, 6. ანდრო თოდუა, 7. ლეონტი თომაძე, 8. პეტრე ხარაძე და 9. იოსებ ავალიძე წარდგენ „საქართველოს“ რევკომის წინაშე განცხადების გადასაცემათ, რომელსაც ხელს აწერდა ხუთი ათას ას ოცდა თორმეტი მუშა.

განცხადებაში აღნიშნული იყო საქართველოს თანამედროვე მძიმე მდგომარეობა. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად თფილისის მუშებმა რევკომის წინაშე საჭიროთ აღიარეს შემდეგი ზომების მიღება:

1. დამოუკიდებელ საქართველოს შელახულ უფლების აღდგენა.
2. ქართული ენის დაცვა.
3. რუსის ჯარის გაყვანა.
4. მუშათა ორგანიზაციების, არჩევნების, სიტყვის, კრების, პრესის თავისუფლება, პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობა.
5. რომ შიმშილით არ დაიხოცოს მუშათა ოჯახები, მუშების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება.
6. მუშების დათხოვნა და უცხოეთში გადასახლების შეჩერება. უცხო მოხელეების ეროვნული ძალადობის მოსპობა.
7. სოფლებში დამსჯელი რაზმების მოქმედების შეჩერება და
8. პოლიტიკურ ტუსაღების და დევნილების განთავისუფლება.

რევკომის თავმჯდომარემ ბ. მდივანმა დელეგაციას აღუთქვა მიღება და სადარბაზო ოთახში 5 საათი ალოდინა. 5 საათის განმავლობაში დელეგაცია გახდა რევკომის მოხელეების და საგანგებო კომისიის აგენტების გაცხოველებულ ყურადღების საგნათ. 1 საათიდან 3 საათამდე თავმჯდომარის კაბინეტში დიდი თათბირის შემდეგ დელეგაციას უარი უთხრეს და მეორე დღის დილისათვის აღუთქვეს მიღება, **მაგრამ დელეგაცია იქვე სასახლეში დაატყვევეს და განსაკუთრებულ სარდაფში გაგზავნეს, სასტიკ რეპრესიების ქვეშ დააყენეს.**

ამხანაგებო და მოქალაქენო. თფილისის მუშათა კლასი გატყობინებთ თქვენ ამ უკანასკნელ ძალადობას, რომლის მსგავსი ე. ი. **მუშათა დელეგაციის დატყვევება** ჯალათ ტრეპოვ-სტოლიპინის საშინელ ხანაშიაც არ მომხდარა. თფილისში ეს ჩაიდინა უცხო საოკუპაციო ჯარების მეთაურმა „საქართველოს“ რევკომის თავმჯდომარემ და თავისუფლებისათვის მებრძოლ თფილისის მუშების წარმომადგენლების სამართლიან განცხადებაზე ჟანდარმული პასუხი გასცა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამხანაგებო, დეე, გაიგოს ყველამ ეს სამარცხვინო ამბავი.

დეე, ყველა გაეცნოს „კომუნიზმის ქურქში“ გახვეულ პროლეტარიატის ჯალათებს.

დეე, იცოდეს ამიერიდან მშრომელმა ხალხმა, რომ 24 ოქტომბერს, „საქართველოს“ რევკომმა თფილისის პროლეტარიატის დელეგაცია **დაატყვევა!**

26 ოქტომბერი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 8.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მიმართვა მსოფლიოს სტუდენტობას საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების გამო 1921 წლის 29 ოქტომბრის შემდეგ

ყველა განათლებულ ქვეყნის სტუდენტებს!

რვა თვე გადის, რაც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იურიდიულათ ცნობილი ევროპის სახელმწიფოებისა და თვით რუსეთის მიერ, დაპყრობილია რუსის ჯარის მიერ.

ჩვენი ერი, რომელსაც ორი ათასი წლის თავგანწირული ბრძოლით შეუნარჩუნებია თავისი მიწა-წყალი და ნაციონალური სახე, დღეს გმინავს მოძალადეების ხიშტებ ქვეშ. რუსეთიდან ახალ ახალი ჯარები მოდის და ჩვენ სამშობლოს კიდეც უფრო უარეს მომავალს უმზადებს.

ამის გამო თფილისის ქართველმა მუშებმა გაუგზავნეს ეგრედ წოდებულ რევკომს, საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს მმართველად დაყენებულს, ცხრა კაცისაგან შემდგარი დელეგაცია წინადადებით, რომ აღდგენილი ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობა ყველა მისი ატრიბუტებით, რევკომის თავმჯდომარემ დელეგაცია დაატყვევა. ამას მოჰყვა თფილისის მუშებისა და ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეების გაფიცვა-პროტესტები.

ჩვენ ქართველმა სტუდენტებმა, მთელ ერთან ერთად, დავუჭირეთ მხარი მთელი ჩვენი არსებით სამშობლოს შელახულ უფლებების აღდგენის მოთხოვნას. 3 ნოემბერს უნივერსიტეტის დარბაზში მოხდა კრება ორი ათასი ქართველი სტუდენტების, რომელმაც მოისმინეს მოხსენება სტუდენტ ჯანელიძის და ერთხმად, განურჩევლად მიმართულებისა, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა განცხადება 4 ოქტომბერს რევკომის მიერ თფილისის მუშათა კლასის დელეგაციის დაპატიმრების შესახებ, რომელშიაც შედიოდენ შემდეგი მუშები: 1/ ჩაჩუა იასონ - თავმჯდ. 2/ კახაბრიშვილი იასონ, 3/ ოსიძე ვასილი, 4/ ასიტოვი იაკობ, 5/ გოგინაშვილი ნიკოლოზ, 6/ თოდუა ანდრო, 7/ თომაძე ლეონტი, 8/ ხარაძე პეტრე და 9/ ავალიძე იოსები. თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტობა: 1/ სავსებით უერთდება თფილისის პროლეტარიატის მოთხოვნილებებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებისა და მისი ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, კრების, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართველ ლაშქრის უფლებათა აღდგენის და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონათ აცხადებს, რომ იგი მუდამ მზათაა მთელი თავისი ძალ-ღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნილებანი.

2/ სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეშ ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატა რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის

საქართველოს ეროვნული არქივი

თავმჯდომარის ბ. მდივანის 29 ოქტომბრის უტიფარ განცხადების გამო თითქოს დელეგაცია არავის დაეპატიმრებინოს;

3/ კრება ღრმა თანაგრძნობასა და სრულ სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამოწყვდეულ მუშათა დელეგაციას და

4/ მოითხოვს მის დაუყონებლივ განთავისუფლებას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს პროლეტარიატს!

გაუმარჯოს მუშათა დელეგაციას!

გაცნობებთ რა ამას უცხოელ ამხანაგებს, დარწმუნებული ვართ, რომ იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს პატარა, მაგრამ საუკუნოების განმავლობაში გაკაჟებული ერი თავისი არსებობის და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, თქვენი თანაგრძნობა, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენს მხარეზედ იქნება. აზიაში ჩვენ მოწინავე ქვეყნების კულტურის მატარებელათ გამოვდივართ და არავითარ შემთხვევაში ძირს არ დავხრით ამ კულტურის დროშას. გამხნევებული თქვენი თანაგრძნობით მსხვერპლად შევეწირებით ჩვენს პატარა, მაგრამ ლამაზ სამშობლოს, სრული დარწმუნებული საბოლაო გამარჯვებაში. მიიღეთ ჩვენი უმცროსი ძმების ძმური სალამი.

გაუმარჯოს საქართველოს მოწინავე ქვეყნებთან კავშირს!

კრების თავმჯდომარე ი. ხევცურიანი.
მდივანი ფ. შარაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის მუშების მოწოდება ქართველ მუშებს,
სადაც საუბარია საქართველოს რევკომის მიერ
მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების შედეგად
მუშებში არსებულ განწყობაზე
1921 წლის 4 ნოემბერი

საქართველოს მშრომელ ხალხს
თფილისის მუშებისაგან

ამხანაგებო და მოქალაქენო!!!

28 ოქტომბერს თფილისის პროლეტარიატის დელეგაციამ რევკომის თავმჯდომარეს ბ. მდივანს მოსთხოვა მეტეხის ციხიდან განთავისუფლება, რევკომის წინაშე წადგომა და მუშების დავალების ასრულება:

27 ოქტომბერს რევკომის თავმჯდომარემ მდივანმა, რომ საზოგადოებრივი მღელვარება და აღშფოთება დაემშვიდებია, გაზეთში ოფიციალურათ გამოაცხადა, „რომ არავითარი დელეგაცია არ დამიპატიმრებიაო. ამავე დღეს კი რუსულ-ქართულ კომუნისტურ გაზეთებში მოათავსეს პირდაპირი პროგრამული ხასიათის წერილები.

საქართველოს მშრომელო ხალხო! რევკომის თავმჯდომარემ განიზრახა დაემალა თავისი ისტორიული დანაშაულობა, მან განიზრახა დაემალა, რომ 24 ოქტომბერს 5 საათის განმავლობაში სასახლეში მუშათა დელეგაცია შეიქნა თავ სატეხ კითხვათ. მან შეეცადა დაემალა, რომ სასახლე აავსო „ჩეკისტებით". მან შეეცადა დაემალა, რომ კაბინეტში ხანგრძლივი თათბირი ქონდათ დელეგაციის ლოდინის დროს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე წივწივაძესთან; მან შეეცადა დაემალა ხალხის წინაშე დელეგაციის სასახლეში დატყვევება და ეს იმ დროს, როცა მუშათა დელეგაცია მეტეხის ციხეში ზის.

ამხანაგებო! 24 ოქტომბერს „საქართველოს" რევკომმა თავისი მოქმედებით თავის თავს ღირსება ახადა. 29 ოქტომბერს, მან ქვეყნის წინაშე თავის მართლება განიზრახა.

ამხანაგებო და მოქალაქენო! 31 ოქტომბერს მეტეხის ციხიდან დელეგაციამ რევკომის თავმჯდომარეს უკვე გადასცა ოფიციალურათ განცხადება **თფილისის პროლეტარიატის.**

ამხანაგებო და მოქალაქენო!

1 ნოემბერს, რევკომის ჟანდარმულ მოქმედებას თფილისის პროლეტარიატმა თავისი პასუხი გადასცა. ამ დღეს თფილისის რევოლიუციონური პროლეტარიატი პოლიტიკურ ცხოვრების ზედა პირზე გამოჩნდა და თვსი მრისხანე სიტყვა სთქვა მომხდარ ძალადობის შესახებ.

მთავარ სახელოსნოში, დეპოში რკინიგზის საქონლის სადგურში, ტრამვაის სახელოსნოში, ელექტრონის სადგურებებში, ორთაჭალის, ავლაბრის ქარხნებში, ნავთლუღ-კახეთის-სალოღლის რკინის გზებზე დილიდანვე დაიწყო კრებები, მიტინგები, გაფიცვები. თფილისი მღელვარებამ მოიცო, თფი-

საქართველოს ეროვნული არქივი

ლისი შეფორიაქდა: ყველა მიტინგებზე გამოტანილი იქმნა საპროტესტო რეზოლიუციები და მიტინგებს შემდეგ ყველგან მუშაობა შესწყდა, ერთი დიდი გაფიცვა გამოაცხადეს 1 ნოემბერს. არც ბაქოსკენ, არც ბათუმ-ერევანისაკენ მატარებლები არ გასულან.

ამხანაგებო! 3 ნოემბერს კიდევ კომუნისტურ გაზეთში დაბეჭდეს პროვოკაციული წერილები და ყალბი ცნობები რკინის გზის სახელოსნოს შესახებ ხოლო ამავე დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში თფილისის სტუდენტებმა 2 000-ზე მეტმა რევკომს პროტესტი გამოუცხადა და შეუერთა მუშათა დელეგაციის განცხადებას.

საქართველოს მშრომელო ხალხო! თავისუფლებას მოკლებულო, დეე, იცოდეს ყველამ საქართველოს რევკომი, რომელმაც 24 ოქტომბერს ისტორიული დანაშაულობა ჩაიდინა - თფილისის პროლეტარიატმა 1 ნოემბერს გაასამართლა.

4 ნოემბერი 1921 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 10.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში
არსებული ვითარების მოკლე აღწერა
1921 წლის 6 ნოემბერი

უკანასკნელი მიღებული ცნობები თფილისიდან (ნაწყვეტები)

მეტეხის ციხეში ეს ერთი თვეა, რაც რეპრესიები გააძლიერეს. 30-31 ოქტომბერს ადგილი ქონდა ცემასაც. „ჩეკის“ გამომძიებელმა ფედორენკომ გამოძიების დროს, რადგანაც ტუსაღებმა ნიკოლოზ ზურაბიშვილმა და ნიკოლოზ ჩაბიშვილმა რუსულის უცოდინარობის გამო პასუხი ვერ მისცეს რუსულათ, ფიზიკურათ დასაჯეს და „კარცერში“ დაამწყვდიეს. ამ უსამართლობის გამო მეტეხის ტუსაღებმა რევკომის და ჩეკის თავმჯდომარეებს, იუსტიციის კომისარს პროტესტი განუცხადეს და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვეს.

ტუსაღთა განცხადება და დასჯილთა თხოვნა უყურადღებოთ დასტოვეს.

ქართული უნივერსიტეტის ბედი საფრთხეში ჩავარდა. 25 ოქტომბერს ოფიციალურათ აცნობეს სტუდენტთა გამგეობას, რომ როგორც კავშირის გამგეობა, ისე სასადილოს გადაყენებული იქნებიან, ანგარიშები დაამზადონ და მათ ადგილს დანიშნულები დაიჭერენო. თვით უნივერსიტეტში მოითხოვეს რუსული ლექციები და პოლიტეხნიკუმთან შეერთება, რის გამო 5 ნოემბერს დეკანმა ჯავახიშვილმა თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა, ხოლო სტუდ. კავშირის წევრები გადიმალენ.

20 ოქტომბერს ტრამვაის მუშების კრებაზე მუშებმა კომუნისტური „მეს-ტკომი“ ზევიდან დანიშნული, გადააყენეს და თავისი აირჩიეს. ამის გამო ტრამვაის რამდენიმე მუშა დააპატიმრეს, რამდენიმე გადიმალა, ხოლო მუშების არჩეული „მესტკომის“ წევრები, ვინც ვერ გაიქცა, ჩეკაში წაიყვანეს. ასევე მოხდა სხვა რაიონებშიაც.

ბორჩალო-თფილისის მაზრაში დგას რუსის ჯარი. მათი ხარჯი სოფლელებს აქვთ გაწერილი. ყველა ოჯახებში 7-8 ჯარისკაცია. ამის გამო 3 ნოემბერს საქართველოს რევკომთან მივიდა ასურეთის რაიონის სოფლელთა დელეგაცია და ნემენცთ კოლონიებიდან ითხოვეს რუსის ჯარის გაყვანა და თუ მაინც და მაინც საჭიროა ქართველი ჯარი გამოაგზავნეთო. მათ გადაჭრით უარი უთხრეს და გააფრთხილეს.

ზუგდიდან მივიღეთ ცნობები, რომ სვანეთში ცუდი ამბებია. ამ ათი დღის წინეთ სვანეთში გააგზავნეს რუსის ჯარი სვანების განსაიარაღებლათ - სვანეთის და ზუგდიდის რევკომების მოთხოვნილებით. რუსის ჯარის შესვლას კი შეტაკებები მოჰყოლიათ. სვანები ძველათაც არავის აძლევდნენ იარაღს. ეხლაც გრძელდება ცუდი ამბები. არბევენ სოფლებს. ზარალი ორივე მხრით არის. დაწვრილებით ამ ორ დღეში გამოირკვევა.

ნატურალური გადასახადის გამო სოფლებში დიდი მღელვარებაა, აკრეფა არ დაუწყიათ, მაგრამ გაწერამ გამოიწვია.

საქართველოს რევკომს განზრახვა აქვს დეკემბერში მოახდინოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების არჩევნები. ამიტომ დაუდგენიათ: რეპრესიების

საქართველოს ეროვნული არქივი

გაძლიერება, მოწინავეთა ციხეებში მომწყვდევა. მუშებში, გლეხებში ბუნებრივათ იმართება თათბირები არჩევნების შესახებ.

გენერალ მაზნიაშვილის საქმე გამოურკვეველია, ის ისევ „ჩეკას“ სარდაფში ზის.

ყარსის კონფერენციაზე საინტერესო ამბებს ჰქონდა ადგილი. თფილისში სომხურ წრეში მაკიციანმა (სომხის წარმომადგენელი ყარსის კონფერენცია) განაცხადა, რომ ოსმალეთის წარმომადგენელმა კიაზიმ კარა-ბექირმა კონფერენციის გახსნისას კითხვა დაგვიყენა: „გაგვაგებინეთ თქვენ ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი ბრძანდებით, თუ რუსეთის ფედ. რესპუბლიკის ნაწილიასაო.“ ჩვენ დავიბენით. მან კი ხელმეორეთ შეგვეკითხა: „მიპასუხეთ ვისთან მაქვს საქმე და შემდეგ შეუდგებით ჩვენს მოვალეობის ასრულებასო“. ჩვენ ამ განცხადების გამო კრება შევსწყვიტეთ, თათბირი გავმართეთ, მოსკოვს შეუეკითხეთ რჩევისათვის და მივიღეთ პასუხით მოსკოვიდან: „უპასუხეთ, რომ ცალკე დამოუკიდებელი ხართო.“

თფილისში მეხუთე დღეა გრძელდება რეპრესიები. დაატყვევენ: ნაძალადევში 62 მუშა, ავლაბარში 10-მდე, ვერაზე 13. იჭერენ საზოგადო მოღვაწეებსაც. დღეს დილით 12 საათზე დაატყვევეს: პ. კახიანი, კ. ფანიევი, კოტე ანდრონიკაშვილი (კოოპერ. კავშირის თავმჯდომარე) გრ. რცხილაძე, შალიკიანი, ან. რამიშვილი, ექიმი კაკოშვილი, მ. გძელიშვილი და სხვები. ქუჩებში, ბინებში გრძელდება ჩხრეკა და დაპატიმრება. რეპრესიები მოედო პროვინციებსაც. ხაშურში დააპატიმრეს 16 მუშა, ყვირილაში 20-მდე. ყველა სამრეწველო დარგებში აპატიმრებენ. 260-ზე გადაიარა რიცხვმა თბილისში, მრავალი გადამამულია. რეპრესიები ღებულობს არაჩვეულებრივ ხასიათს. ამ მხრივ მდგომარეობა რთულდება. ეძებენ მრავალს განსაკუთრებით.

6 ნოემბერი.
ქ. თფილისი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 613, ფურცლები 78-79.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველი მუშების წერილი ევროპის და ამერიკის მუშებს
საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ
მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების შესახებ
1921 წლის 7 ნოემბერი

ევროპის და ამერიკის მუშებს განურჩევლად მიმართულებისა

ძვირფასო ამხანაგებო.

1921 წ. 24 ოქტომბერს, დილის 11 საათზე თბილისის მუშების დავალებით ჩვენ მივედით საქართველოს რევკომის თავმჯდომარესთან მოსალაპარაკებლად და წერილობითი განცხადების გადასაცემად, რომელშიაც აღნიშნული იყო საქართველოს თანამედროვე მძიმე მდგომარეობა, ქართველი მუშების დევნა, საქართველოს ტერიტორიის დარღვევის საშინელი პროცესი, შეუბრალებელი დევნა მუშების გლეხების და საზოგადოდ მოღვაწეების და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად თბილისის მუშები საჭიროდ აღიარებდენ შემდეგი ზომების მიღებას: 1. საქართველოს დარღვეულ დამოუკიდებლობის აღდგენას, ქართული ენის დაცვას. 2. რუსის ჯარის გაყვანას საქართველოდან და ქართული ლაშქრის შედგენას. 3. მუშათა ორგანიზაციების, კრების, სიტყვის, პრესის, არჩევნების თავისუფლებას და ბინის და პიროვნების ხელუხლებლობას. 4. რომ შიმშილით არ დაიხოცოს მუშათა ოჯახები, მუშების ნივთიერ მდგომარეობის დაუყონებლივ გაუმჯობესება. 5. მუშების დათხოვნის და უცხოეთში გადასახლების შეჩერება-მოსპობას, 6. უცხო მოხელეების ძალადობის მოსპობას. 7. საქართველოს სოფლებში რუსის ჯარის ეკზეკუციების მოხსნას და 8. პოლიტიკურ დევნილების და ტყვეების განთავისუფლებას.

მუშათა განცხადებას ხელს აწერდა მრავალი ათასი მუშა და ჩვენ დავალებული გვქონდა მისი გადაცემა რევკომზე.

რევკომის თავმჯდომარემ 24 ოქტომბერს ჩვენ სასახლეში 3-საათი გვალოდინა, აღგვითქვა მიღება. მაგრამ აღარ მიგვიღო. წასვლისას სასახლესთან ჩეკას თანამშრომლებმა ალყა შემოგვარტყეს და წაგვიყვანეს საგანგებო კომისიაში, სადაც უდიერად მოგვეპყრენ. ჩამოგვართვეს თბილისის მუშათა პეტიცია. ორი დღე და ღამე სარდაფში დაგვამწყვდიეს. შემდეგ მეტეხის ციხეში მოგვათავსეს. 28 ოქტომბერს რევკომის თავმჯდომარეს ციხიდან ჩვენ მივმართეთ და მოვთხოვეთ უფლების აღდგენა. 29 ოქტომბერს, რევკომის თავმჯდომარემ, რომ საზოგადოება და მუშათა კლასი შეცდომაში შეეყვანა ოფიციალურად განაცხადა „დელეგაცია არ დამიპატიმრებია და არაფერი ვიცი ამის შესახებო“. 31 ოქტომბერს ჩვენ ამის გამო რევკომის თავმჯდომარეს წერილობითი ჩვენი პროტესტი, პასუხი მოვთხოვეთ და ოფიციალურადაც გადავეცით თბილისის მუშების წერილობითი განცხადება მეტეხის ციხიდან, რომელიც 24 ოქტომბერს უნდა გადაგვეცა.

რევკომის ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა ჩვენს მიმართ საქართველოს მუშებმა პირველ ნოემბერს პროტესტის აღსანიშნავად გაფიცვები, კრებები მიტინგები მოაწყვეს და ყველამ მხარი დაუჭირა ჩვენს

საქართველოს ეროვნული არქივი

მოთხოვნილებას; ერის გათელვა სუვერენობის დაბრუნებას; ენის დაცვას; მუშების გადასახლების მოსპობას; რუსის ჯარის გაყვანას; პოლიტიკურთა დევნის მოსპობას და სხვა და სხვას. ამის გამო თბილისში და მთელ საქართველოში დაიწყო მასიური რეპრესიები იჭერენ და სჯიან ასობით მუშებს. დევნა ღებულობს ბარბაროსულ სახეს, გადამალულ მუშათა მაგიერ იჭერენ მათ ოჯახებს. არ იბრალებენ უბრალო საზოგადო მოღვაწეებსაც, არა ერთსა და ორი ათას მუშა მოქალაქეს ხვდა წილად ჩეკის სასტიკი რეპრესიები. მიუხედავად ამ საშინელ რეპრესიების 2-4 ნოემბერს თბილისის მუშათა კლასის პროტესტს შეუერთდა მთელი ქართველი სტუდენტობა, ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები და მთელი ქართველი გლეხობა. მუშათა კლასთან ერთად ერთ სულოვანი დარჩა ტანჯულ ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნილება. ჩვენ ვალდებულად ვცნობთ თავს ვაცნობოთ ყველას. გაცნობოთ თქვენ მუშათა კლასის ზემოაღნიშნული მოთხოვნილება და ქართველი ერისაგან თვის უფლების აღიარება.

ჩვენ ვალდებული ვართ ვაცნობოთ ყველა ქვეყნის მუშებს, რომ საოკუპაციო ჯარების რევკომმა თბილისის მუშების დელეგაცია 24 ოქტომბერს დაატყვევა და მით საქართველოს მუშებს თავდასხმით უპასუხა, მათი ისედაც გათელილი უფლება სრულიად გასრისა.

ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ჩვენი მოთხოვნილება გარდაუვალია, ის ჩავაბარეთ მეტეხის ციხიდან რევკომს და მან საქვეყნოდ უნდა გასცეს პასუხი მას.

გაცნობებთ რა ამას ევროპის და ამერიკის მუშებს მიიღეთ თბილისის მუშათა დელეგაციის სალამი მეტეხის ციხიდან.

თბილისის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე 1. იასონ ჩაჩუა

წევრები: 2. პეტრე ხარაძე
3. სამსონ კახაბრიშვილი
4. ლეონტი თომაძე
5. ანდრო თოდუა
6. იაკოფ ასიტოვი
7. ვასო ოსიძე
8. იოსებ ავალიძე
9. ნიკოლოზ გოგინაშვილი

7 ნოემბერი 1921 წ.
ქ. თბილისი.
მეტეხის ციხე.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 19.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ მუშებსა და გლეხებს 1921 წლის 8 ნოემბერი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!
საქართველოს მუშებს, გლეხებს და მთელ დემოკრატიას!

მოქალაქენო,

უკანასკნელ დღეებში მოხდა თბილისის ხუთი ათასი მუშების სახელით დელეგაციის გაგზავნა რევკომის თავმჯდომარესთან მოთხოვნილების წარსადგენათ. ცხრა მუშა დელეგატი, რომელთა გვარები დღეს მთელმა საქართველოს მოწინავე დემოკრატიამ იცის, ბ-ნმა მდივანმა დაატყვევა და ჯერ ჩეკაში, შემდეგ მეტეხის ციხეში გაგზავნა.

ამის პასუხად თბილისის ყველა დარგის მუშებმა დროებით შესწყვიტეს მუშაობა, მოაწყვეს საპროტესტო მიტინგები და ამით ღირსეული პასუხი გასცეს მუშების შეურაცმყოფელთ. მუშებს მედგრად და ერთსულოვნად მხარი დაუჭირა მთელმა თბილისის დემოკრატიამ: ქართველ სტუდენტობამ, მოსამსახურეებმა და სხვა.

რევკომმა მოიწვია კრება ვითომ პროფესიონალურ კავშირების, სადაც თავი მოიყარა რუსეთიდან ჩამოსულმა მოხელეებმა, ჩეკას თავიდან ფეხამდე შეიარაღებულმა აგენტებმა, კომისრებმა და მათმა დამქაშებმა, ამ ხალხმა, რასაკვირველია, დაგმო თბილისის მუშების მედგარი პროტესტი მათი წინააღმდეგ მიმართული. ამ კრებაზედ კომუნისტების კაზიონ ორატორებმა ნიშანში ამოიღეს ჩვენი პარტია. რისთვის? მხოლოდ იმისთვის რომ მთელი თანაგრძნობა საქართველოს დემოკრატიასთან ერთად მუშების მხარეზეა.

ამ სასაცილო კრებაზედ ღლონტელების სახელით ვიღაც მელაშვილმა განაცხადა, რომ მათ არაფერი იციან დელეგაციის შესახებ. ასევე რაინდულად მოიქცა „სხიველების“ წარმომადგენელი ვიღაც ტოპაძე. ეს იმ დროს, როდესაც მთელმა თბილისმა იცოდა დელეგაციის დაჭერა და იმ საათში, როდესაც უნივერსიტეტის დარბაზში ორი ათასი სტუდენტობა განურჩევლათ მიმართულებისა, ერთხმად ღებულობდა საპროტესტო რეზოლიუციას და ახალგაზრდული უანგარობით მხარს უჭერდა მუშების და მათი პირით მთელი ქართველი ერის უდიდესად სამართლიან მოთხოვნილებას; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, რუსის ჯარის გაყვანის, ქართულ ლაშქრის შექმნის, ქართველ მუშების უცხოეთში გადასახლების და ჩვენში უცხოელების ჩამოსახლების შეჩერების, ქართული ენის დაცვის, სოფლებში ეკზეკუციების მოხსნის, პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლების და სხვა.

ჩვენ მივიღეთ მუშების წერილი ყველა პარტიებისადმი და ჯგუფებისადმი მიმართული, რომ ამ სამართლიან და უდავო მოთხოვნილებისთვის მხარი დაგვეჭირა. ამ მოთხოვნილებებს ჩვენ უჭერდით და აწიც დაუჭერთ მხარს. ვერავითარი მუქარა ადგილობრივ კომუნისტებისა და ისინი ჩამოსულ გადამთიელ შოვინისტების - მირონოვ-ვირაპების ჩვენ ვერ შეგვაშინებს. ჩვენ ვიყავით და ვართ საქართველოს მუშებთან, გლეხებთან და მთელს მოწინავე

საქართველოს ეროვნული არქივი

დემოკრატიასთან და მათ დევნას ყოველთვის ვიზიარებდით და დღესაც სიამაყით გავიზიარებთ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ს. დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი

8 ნოემბერი 1921 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოსა და სხვადასხვა ქარხნის მუშების მიმართვა მეორე ინტერნაციონალს, იტალიის სოციალისტურ პარტიას, გერმანიის მუშათა კომუნისტურ პარტიასა და ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალს, რომელშიც ისინი ითხოვენ დახმარებას საქართველოს რევკომის მიერ დაპატიმრებული მუშათა დელეგაციის წევრების განთავისუფლებაში
1921 წლის 1 ნოემბრის შემდეგ

მეორე ინტერნაციონალს, რეკონსტრუქტორებს, იტალიის სოციალისტურ პარტიას, გერმანიის მუშათა კომუნისტურ პარტიას და ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალს

თბილისის ხუთი ათასმა მუშამ ცხრა კაცისგან შემდგარ დელეგაციას მიანდო საქართველოს ეგრედ წოდებულ რევკომისთვის გადაეცათ მათი განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, რუსის ჯარების გაყვანის, უცხოეთში ადგილობრივი მუშების გადასახლების შეჩერების, სოფლებიდან დამსჯელ ეგზეკუციების გაყვანის, უცხოელ მოხელეების ჩამოსახლების შეჩერების და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ. ცხრა დელეგატი მუშა რევკომის თავმჯდომარემ დაატყვევა და მეტეხის ციხეში გაგზავნა.

ამ აქტის საპასუხოთ თბილისის მუშებმა I ნოემბერს ყველა დარგებში მუშაობა შესწყვიტეს და გამოიტანეს თავიანთ მრავალ რიცხოვან მიტინგებზე რეზოლიუციები, რომლითაც შეუერთდენ დელეგაციის გარდაუალ მოთხოვნილებებს, დაგმეს რევკომის ძალადობა, მოითხოვეს დაპატიმრებულ მუშათა დელეგატების განთავისუფლება და საქვეყნოდ პროტესტი განაცხადეს. I ნოემბრის მუშების კრებებმა ჩვენ დაგვავალეს ვაცნობოთ ეს ყველა ქვეყნის მუშებს. ამით ჩვენ გვსურს საქვეყნოთ წავართვათ საშვალება რუსეთის წითელ იმპერიალიზმის აგენტებს, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს ჩვენი თანამოძმეები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის დახმარებით ბოლო მოეღება ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ტლანქი ხიშტების ბატონობას.

თქვენი თანაგრძნობა და დახმარება, ამხანაგებო, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია.

თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, დეპოს, მოძრაობის სადგურების I-ლ ნოემბრის მუშების მიტინგის

თავმჯდომარე ალ. ძაძამია
მდივანი თევზაძე
ნავთლუღ კახეთის სალოღლის რკინის გზის მუშების
მიტინგების თავმჯდომარეები:
1. შარაშენიძე
2. ნანიანცი

საქართველოს ეროვნული არქივი

სამხედრო არსენალის ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე: დ. სადრაძე

ცენტრალური საავტომობილო ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე: ვ. შუბლაძე

ნავთლუღის სხვა და სხვა დარგების მუშათა მიტინგის თავმჯდომარე: კ. აბაშიძე

სხვა და სხვა სტამბებში მომუშავეთა კრებების

თავმჯდომარეები: პაღარიძე, ჯავახიშვილი, რობაქიძე

კალინცის ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე: მ. არეშიძე

სხვა და სხვა სამრეწველო დარგების მიტინგების

თავმჯდომარეები: ვლ. კიკნაძე, ნ. რეკოფაძე, მენთეშაშვილი, დვალაძე, ყავრიშვილი, კირკულაშვილი, მაისურაძე

ადელხანოვის და ტოლეს ზავოდების მუშების მიტინგის თავმჯდომარე ვაშაკიძე

ბოზარჟიანცის ქარხნის მუშების მიტინგის თავმჯდომარე დუნდუა

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 3, ფურცელი 21.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვისას თბილისში არსებული ვითარების მოკლე აღწერა
1921 წლის 25 ნოემბერი

საქართველოს საინფორმაციო ბიურო
ბიულეტენი N1 (ნაწყვეტი)
კონსტანტინოპოლი
25 ნოემბერი 1921

ამხ. პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვა

მეტეხის ციხეში გარდაცვალებულ ამხ. პარმენ ჭიჭინაძის ცხედრის დაკრძალვა მოხდა 9 ოქტომბერს თფილისში. ასეთი დიდი პროცესია, როგორც ამ დაკრძალვაზე იყო, ჯერ არ ახსოვს საქართველოს. პროცესიაში მონაწლეობას იღებდა არა ნაკლება 100 000 კაცისა. ბოლშევიკები ამ დროს დიდ ფაცაფუცში და მზადებაში იყვნენ. ქუჩებში პულემიოტები გამოიტანეს. დაკრძალვა ნებადართული იყო სობოროს ეზოში, მაგრამ რევკომმა წინა ღამით აკრძალა და დილით 9 ოქტომბერს საფლავის გამთხრელი დააპატიმრეს. ხალხს ცნობა არ ქონდა, რომ სობოროს ეზოში დაკრძალვა აკრძალეს და რუსთაველის პროსპექტი ხალხით გაივსო. ცხედარი ესვენა მიხეილის საავადმყოფოში, ხალხმა იქით დაიწყო დენა, მაგრამ ბოლშევიკებმა გზა გადაუჭრეს, მტკვარზე ხიდები შეკრეს და არავინა გაუშვეს. მიუხედავათ ამისა პროცესია გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა. პროცესიას აუკრძალეს პლეხანოვის პროსპექტზე გავლა და იძულებული გახადეს ჩერქეზიშვილის ქუჩიდან წასულიყვნენ. დიდუბეში სასაფლაოს გალავანთან ჩეკისტებმა ხალხი ეზოში არ ჩაუშვა. პროცესია აქ შეჩერდა. გამოსათხოვი სიტყვები წარმოსთქვეს საქ. კათალიკოზმა ამბროსიმ და ვლასა მგელაძემ. ორთავე სიტყვები პოლიტიკური შინაარსისა იყვნენ. ამის შემდეგ პროცესია ქართული ჰიმნის სიმღერით დაიშალა.

ქართველმა ერმა პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვაზე ერთხელ კიდევ გამოხატა თავის ღრმა პროტესტი დამპყრობელთა ძალაუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 21-22.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საინფორმაციო ბიურო
ბიულეტენი N2 (ნაწყვეტები)
კონსტანტინოპოლი
30 ნოემბერი 1921 წ.

ქართველ მუშების დევნა.

ქართველ მუშების ტრაგედია გრძელდება. 10 ოქტომბრამდე „მივლინების" სახით, როგორც გწერდით, 1500-მდე მუშა რკინის გზებიდან უცხოეთის გზებზე გადაასახლეს. 9 ოქტომბერს კი დაიწყეს დათხოვნა და გადასახლება. ამ დღეს თბილისში დაითხოვეს 160-მდე მუშა მოხელე შტატის შემოკლების სახით, მხოლოთ ამათ ადგილზე 3 დღეში მიიღეს ახლები. დაითხოვეს ნავთლუღ-კახეთის გზებიდან 100-მდე.

რეპრესიები მთელ საქართველოში.

რეპრესიები ძლიერდება არა მარტო თფილისში, არამედ მთელ საქართველოში. იჭერენ ახლა არა მარტო მენშევიკებს, არამედ სოც-ფედერალისტებს, ეროვნულ დემოკრატებს, დაშნაკელებს. (გარდა „სხიველ" - თედო ღლონტის ჯგუფისა). პროვინციაში დაატყვევეს მრავალი ეროვნულ დემოკრატი. რეპრესიები გამოწვეულია თფილისის მუშათა განცხადების და სხვა და სხვა ამბებით. დაპატიმრება გრძელდება. თფილისში დაპატიმრებულთა რიცხვი 8 ნოემბერს აღწევდა 400-მდე. პროვინციაში კი 800-მდე.

ჯარის გაგზავნა სვანეთში.

სვანეთში გაგზავნეს დიდძალი ჯარი ქუთაისიდან. მდგომარეობა სვანეთის საშიშარია. ხალხი ელის დარბევას, აწიოკებას, მიზეზი როგორც გწერდით განიარაღებაა.

25 ოქტომბერი უცხოელებმა გადაიხადეს.

7 ნოემბერს მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა, 25 ოქტომბრის დღესასწაული მხოლოდ უცხოელებმა გადაიხადეს თფილისში. 1 ნოემბრიდან 7 დღეს თფილისის ქუჩებში დადიოდა რუსის ჯარი, ტანკები, გრძელდებოდა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. მხოლოდ 7 ნოემბერს არც ერთი ქართველი მუშა და ინტელიგენტი დღესასწაულში არ ყოფილა.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 24-25.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ქართველი ერის პეტიცია მსოფლიო თანამეგობრობას
1921 წლის 10 დეკემბერი

მთელი ქვეყნის განათლებულ ერებს

ორი ათას წელზე მეტია რაც ჩვენ - ქართველნი სახელმწიფოებრივათ ვცხოვრობთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმ შემაერთებელ ხიდზე, რომელსაც კავკასია ეწოდება. ერთ მთლიან ტრაგედიას წარმოადგენს ჩვენი პატარა ერის ხანგრძლივი ისტორია. ჩვენს ეროვნებას და სახელმწიფოს, ჩვენს კულტურასა და თვით არსებობას გამუდმებით ემუქრებოდა და ესხმოდა თავს ვეებერთალა ტლანქი ისტორიული ძალები. მაგრამ ჩვენს მამაპაპათა თავდადებული შრომისა და თავგანწირული ბრძოლის წყალობით შევირჩინეთ ფიზიკური არსებობა და ეროვნული მეობა, საკუთარი კულტურა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში დავკარგეთ დროებით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როდესაც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა - დიდმა რუსეთმა დაარღვია ჩვენს სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება და ანექსია უყო საქართველოს სამეფოს. 117 წლის განმავლობაში ქართველი ერი მოკლებული იყო არა მარტო სახელმწიფოებრივ სუვერენობას, არამედ უბრალო თვითმართველობასაც და განიცდიდა იგი უსასტიკეს ეროვნულ დევნასა და ჩაგვრას რუსეთის იმპერიის მიერ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს ბრძოლა მონობის წინააღმდეგ, ის თავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა მუდამ.

1917-18 წ. ბოლო მოეღო რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა მონობას, განთავისუფლდენ პოლონელნი, ფინები და სხვები. დიდის ბრძოლითა და მსხვერპლით გაინთავისუფლა თავი ამავე დროს საქართველომაც; ქართველმა ერმა აღადგინა თავის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1801 წელს რუსეთის მიერ ანექსია ქმნილი საქართველოს სამეფო 1918 წელს აღორძინდა, როგორც რესპუბლიკა, რომელმაც დაიჭირა თავის დემოკრატიული კონსტიტუცია, გამოაცხადა საუკუნო ნეიტრალიტეტი და თვით მყოფ ეროვნულ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას შეუდგა: ჩვენი დამოუკიდებლობა იცნო ევროპამ, ჯერ ფაქტიურათ და შემდეგ იურიდიულათ, რუსეთი კი ადვილათ ვერ ურიგდებოდა ჩვენს სუვერენობას, სამი წლის განმავლობაში გამუდმებით, მაგრამ უშედეგოთ გვებრძოლა იარაღით ხელში რუსეთის მთავრობები, როგორც ბოლშევიკური, ისე არაბოლშევიკური; მაგრამ ბოლოს რუსეთიც იძულებული იყო ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა. 1920 წლის გაზაფხულზე სამხრეთ რუსეთს ყოფილმა მთავრობამ /გენერალ დენიკინის ანტიბოლშევიკურმა მთავრობამ/ იცნო ფაქტიურად საქართველოს რესპუბლიკა. იმავე გაზაფხულზე მოსკოვის ბოლშევიკურმა მთავრობამაც გვიცნო ჩვენ, როგორც ფაქტიურათ, ისე იურიდიულათ. ამ უკანასკნელ მთავრობასთან ჩვენმა სახელმწიფომ ზავისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულებაც დასდო. მიუხედავათ ამისა მოკოვის მთავრობა ამის შემდეგაც განაგრძობდა დიდძალი თანხებისა და ენერგიის ხარჯვას, რომ საქართველო დაეპყრო არა პირდაპირი, აშკარა ომის საშვალებით, არამედ შინაური გადატრიალების შემწეობით, კომუნისტური რევოლიუციის სახით. მოსკოვის მთავრობამ ვერ შესძლო ჩვენი შიგნიდან გახრწნა და დაშლა,

საქართველოს ეროვნული არქივი

ვინაიდან ჩვენ ქართველნი ამ ჩვენი არსებობის უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში წარმოვადგენთ ერთსხმულსა და გამოკვეთელ სხეულს, რომელსაც ერთი სული ასულდგმულებს და ერთი სწრაფვა ამოქმედებს - აზრი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის. მოსკოვის მთავრობა იძულებული შეიქნა ისევ აშკარა თავდასხმა დაეწყო ჩვენს წინააღმდეგ. ერთი ამგვარი მისი ცდა გასული წლის გაზაფხულზე დამარცხებით დასრულდა; ეს იმ დროს როდესაც რუსეთი პოლონეთთანაც აწარმოებდა ომს, მაგრამ არც ამის შემდეგ აიღო რუსეთმა ხელი თავის დამპყრობელ განზრახვებზე ჩვენს წინააღმდეგ. რუსეთმა დაიკავა ჩვენი მეზობელი ქვეყნები, რესპუბლიკები მთიელთა, ადერბეჯანისა და სომხეთის, შეუთანხმდა ჩვენს წინააღმდეგ ანგორის მთავრობას და როდესაც ყველა სხვა ფრონტები მოილია ამა წლის თებერვალში ყოველმხრიდან შემოასია საქართველოს მრავალრიცხოვანი არმიები. ერთად იმავე დროს რუსეთის ლაშქარი დაესხა პატარა საქართველოს სამხრეთიდან /სომხეთიდან/, აღმოსავლეთიდან /ადერბეიჯანიდან/, ჩრდილოეთიდან, ეს საკუთრივ რუსულ საზღვრებიდან /სოჩი, მამისონი, როკი, ყაზბეგი/, ბოლოს მოსკოვის მოკავშირე ანგორის ჯარებმაც შემოგვიტიეს სამხრეთ-დასავლეთიდან და ამ რიგად ჩვენს რესპუბლიკას ირგვლივ, გარდა ზღვის ნაპირისა, შემოარტყეს ცეცხლისა და სისხლის ალყა, თითქმის თვენახევრის განმავლობაში იცავდა თავგანწირვით ჩვენი ხალხი თავის მშობელი მიწის თითეულ ადლს, მაგრამ ბოლოს, რასაკვირველია, ძლეული ვიქენით ამ საარაკო უსწორო ბრძოლაში მცირე ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა დაიჭირა ანგორის მთავრობამ და ოსმალეთს შეუერთა; ხოლო დანარჩენი საქართველო ცეცხლითა და მახვილით განვლეს კიდით კიდემდე რუსეთის არმიებმა. რესპუბლიკის მთავრობა იძულებული შეიქნა დროებით უცხოეთში გახიზნულიყო. დამყარდა საოკუპაციო ხელის უფლება, რომელმაც რესპუბლიკის კონსტიტუცია გაუქმებულათ, ხოლო ერის უმაღლესი კანონმდებელი ორგანო გარეკილად გამოაცხადა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფორმალურათ ჯერ არ გაუუქმებიათ ოკუპანტებს, მათ დააწესეს ჩვენში ეგრედ წოდებული რევკომთა ანუ საბჭოთა წყობილება და მოსკოვიდან გამოგზავნეს საქართველოს რევკომათ წოდებული საოკუპაციო მთავრობა, რომელიც თან ჩამოყვა საქართველოში რუსეთის არმიებს. ნამდვილათ ოკუპანტები ყოველდღიურათ და სისტემატიურათ აუქმებენ ჩვენს სახელმწიფოებრიობას და არის იმის აშკარა ნიშნებიც რომ მალე ფორმალურადაც მოსპობენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ქართველი ერი უსასტიკეს რბევასა და ჩაგვრას განიცდის დღეს, საეჭვოა, რომ ამაზედ უფრო საშინელი წყობილება და მდგომარეობა ოდესმე ყოფილიყო ქართველი ერის ჭაღარა ისტორიაში. ჩვენ ვიჩაგრებით არა მარტო სახელმწიფოებრივათ, არამედ გვტანჯავენ როგორც ერს, აფურთხებენ ჩვენს წმინდათა წმინდას, ჩვენს ენას, ჩვენს ეროვნულ კულტურას, ეწევიან ძალმომრეობით რუსიფიკაციას. ოკუპაციამ შექმნა ისეთი პირობები, რომ ქართველი ხალხის თვით ფიზიკური არსებობას საშინელი არსებობა მოელის. ჩვენ გვფლობს ამ ჟამად ტლანქი უცხო ძალა-რუსეთის არმიები დაფლობელობს იგი ბოლშევიკური დიქტატურის სახელით, ამიტომ ჩვენში გაუქმებულია არა მარტო ადამიანისა და მოქალაქის ყოველგვარი უფლებანი, არამედ გასრესილია ფეხქვეშ აგრეთვე პატივი და მისი ღირსებაც, უკვე ათი თვეა, რაც ამ საშინელ ყოფაშია ქართველი ერი, უკვე ათი თვეა რაც ის გმინავს რუსეთის ოკუპაციის უღელქვეშ. ჩვენთვის მიუღებელი და აუტანელია

საქართველოს ეროვნული არქივი

ამ გვარი ყოფა, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდებით ოკუპანტთა დიქტატურას. ქართველი ერი ასეთ მონურ სიცოცხლეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილს არჩევდა, რომ ჯერ კიდევ არ ქონდეს იმის იმედი, რომ ამ საზიზღარ საერთაშორისო დანაშაულობას, რომელსაც რუსეთი იდენს. საქართველოს მალე მოეღება ბოლო საერთაშორისავე ძალების გავლენით. ჩვენ არავის არ ვთხოვთ ჩვენს ან სხვის შინაურ საქმეებში ჩარევას, მაგრამ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მთელ კულტურულ კაცობრიობას, ყველა დიდსა და პატარა ერებს, ძლიერსა და სუსტს სახელმწიფოებს, რათა მათ აღიმაღლონ ხმა იმ საერთაშორისო დანაშაულობისა და ძალმომრეობის შესახებ, რომელსაც რუსეთი ჩადის საქართველოს მიმართ. დღეს, როდესაც დიდი მსოფლიო ომის შემდეგ მთელი კაცობრიობა და მათ შორის უძლიერესი სახელმწიფონიც იმსჭვალებიან იმ აზრით, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში უფლებას დაუმორჩილონ ძალა და როდესაც ერთა თვით გამორკვევის პრინციპის გატარებას იწყებენ ცხოვრებაში, ასეთ დროს თავის სრულ და უდავო უფლებათ მიაჩნია საქართველოს, მოთხოვნით მიმართოს მთელ კაცობრიობას, რათა მან მიიღოს მონაწილეობა მის ტრაღიკულ ბედში. აი, ამას ვითხოვთ ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერი ქართველი მოქალაქენი, განურჩევლათ რწმენისა და მიმართულებისა, თქვენგან ყველა ერთა სახელმწიფოთა მოქალაქეთაგან, აგრეთვე განურჩევლად პოლიტიკურ მიმართულებისა და სოციალური მდგომარეობისა, რომ აღიმაღლოთ ხმა ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ. ჩვენ არ ვითხოვთ ვისმესაგან მოწყალებას, ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან, არის ჩვენი უფლება და თქვენი ვალი; ამას გაკისრებს ჩვენ ცივილიზაცია და სამართლიანობა, ადამიანობა და სიმართლე, რომლის სახელით უნდა გამოესარჩლოთ საერთაშორისო ოჯახის იმ პატარა და ამიტომ სუსტს წევრს, რომელსაც თავს დაესხა უფრო დიდი და ამიტომ ძლიერი მეზობელი. თქვენ უნდა გადაჭრით და მტკიცეთ მოსთხოვოთ რუსეთის მთავრობას ერთი რამ - **მოხსნას ჩვენში ოკუპაცია, გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარები.**

ვაუწყებთ რა ზემო აღნიშნულს მთელი ქვეყნის განათლებულ ერებს, - ქართველი ერი, რუსეთის მიერ დაპყრობილი, ჩქარა მოელის თავის უდაო უფლების აღდგენას: **უცხოეთის ჯარებისაგან განთავისუფლებას, თავის სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.**

ამიტომაც ჩვენ, ქართველმა მოქალაქეებმა ერთხმად **უარვყავით დამპყრობელთა კონსტიტუცია:** რუსეთის ჯარების და მათი აგენტების მიერ მოწყობილ ვითომდა „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები". ჩვენ ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია, **ქართველი ერი ერთსულოვანი ბოიკოტით შეეგება მას.**

ხელს აწერენ:[150]
„10" დეკემბერი
1921 წელი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 504, ფურცლები 1-354.

150 დოკუმენტს თან ახლავს 34 000-ზე მეტი ხელმოწერა - **გამომცემლები.**

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში
არსებული ვითარების მოკლე აღწერა
1921 წლის 11 დეკემბერი

საქართველოს საინფორმაციო ბიურო
ბიულეტენი N3 (ნაწყვეტები)
კონსტანტინოპოლი
11 დეკემბერი 1921 წ.

აფხაზეთში.

აფხაზეთში ადგილობრივ კომუნისტებს შორის დიდი უთანხმოება არის ორიენტაციის გარშემო. ერთი ჯგუფი რომელსაც ხელმძღვანელობს ეშბა - საქართველოს ორიენტაციის მომხრეა. რუსეთის მომხრე ჯგუფს ხელმძღვანელობს ლაკობა. 27 ოქტომბერს მოხდა აფხაზეთის გლეხობის ყრილობა, რომელსაც დაესწრო მარტო აფხაზები. გაიმარჯვა ლაკობას ჯგუფმა. ამის შემდეგ რევკომიდან გავიდნენ - ეშბა, დომენია და კუხალაშვილი. ამის შემდეგ დაიწყო საქართველოს მომხრეების დევნა, ქართველები იძულებულნი არიან დასტოვონ აფხაზეთი. აფხაზეთის გლეხთა ყრილობამ დაადგინა - ჩამოართვან ქართველებს მიწები და საერთო ქონება და მისცენ აფხაზებს და რუსებს. ხოლო საქართველოს მომხრე აფხაზები გამორიცხონ თავიანთ წრიდან და ქონებაც ჩამოართვან. დაადგინეს აგრეთვე ოსმალეთიდან მუხაჯირების ჩამოყვანა. ამ მიზნით უკვე გაიგზავნა გემი. რუსებს, სომხებს და აფხაზებს შორის კარგი განწყობილება არის და შეერთებული ძალით სდევნიან ქართველებს. ყველა სოც-დემოკრატების ციხეში სხედან. აფხაზ. რევკომის თავმჯდომარე - ლაკობა არის და ის განაგებს აფხაზეთს. (საკ. ცნობა).

თელავში.

აქ გარნიზონის უფროსათ ყოფილი ოფიცერი საყვარელიძეა, რომელიც მეტის მეტ სასტიკად იქცევა. განსაკუთრებით სდევნის ქარ. ოფიცრებს. ვოენ-კომია ვიღაც ქუთათელაძე. განსაკუთრებით სისასტიკეს იჩენს ჩეკის წევრი ვანო მარკოზაშვილი. ჩეკა განსაკუთრებითი სისასტიკეს იჩენს ქალებისადმი, თელავში არ არის ისეთი ქალი, რომ ჩეკას არ დაეჭიროს. (კერ. ცნობა)

რაჭაში.

რაჭაში მთელი ხალხი ანტიბოლშევიკურათ არის განწყობილი, ის სოფლებიც კი რომელნიც წინეთ ბოლშევიკობდნენ, ეხლა ყველაზე უფრო უკმაყოფილონი არიან ბოლშევიკებით. მარტში მამისონზე გადმოსულს ჯარს ძლიერ აუწიოკებია სოფლები. ადგილობრივი კომუნისტების ადმინისტრაცია ძლიერ ავიწროებს ხალხს, მათმა თავხედობამ ქუთ. გუბჩეკაც აღაშფოთა და აგვისტოს დამლევში ონის ჩეკა დაიჭირა. მეორე მხრით ოსები ავიწროებენ სოფლებს ბოლშევიკების მოსვლისთანავე. ოსებმა იწყეს მთელს რაჭაში თარეში.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისში.

უკანასკნელათ ქუთაისში დაიჭირეს სოც-დემოკრატებიდან: ვექილები ლონ-გინოზ გრიგოლია და გიორგი კაპანაძე, ილ. ბახტაძე, ვ. სხირტლაძე და აგრეთვე ყველა მოწინავე მუშები. სოც. ფედერალისტებიდან - გრ. ლაღიძე და დათიკო გოცირიძე. ნაც. დემოკრატებიდან - ტრიფონ ჯაფარიძე, საშა ჯაფარიძე და ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, სულ დაჭერილია ორასამდის კაცი.

ტახალაძის მაგიერ ქუთ. გუბჩეკის თავმჯდომარეთ დანიშნეს ვიღაც ახალგაზრდა იაშვილი. ჩეკის პოდვალში ხალხი თვეობით სხედან, რომელსაც ანთავისუფლებენ იქიდან, ჭკუაზე იშლებიან ან კვდებიან. ვაჭარი მიხეილ ფიზიცკი 5 კვირა იჯდა ჩეკაში და გაანთავისუფლეს თუ არა გარდაიცვალა. იგივე ბედი ეწვია ერთ ლეჩხუმელ ებრაელს.

გაჭირება მეტად დიდია, ინტელიგენციამ გაყიდა ყველაფერი, თუ რამ გააჩნდა. ვექილი კალისტრატე ჩიკვაიძე ფუთობით ყიდულობს შეშას და თავისი ზურგით მიაქვს შინ. აფთიაქებში წამალი არ არის, ყაჩაღობა გახშირდა, ღამე სროლაა ისე როგორც რევოლუციის პირველ დღეებში იყო. ვაჭრობა ძლიერ დაეცა.

ყაჩაღ პაიჭაძის მოკვლა.

გურიაში მოკლეს ცნობილი ყაჩაღი პაიჭაძე, რომელმაც საქ. დემოკ. მთავრობის დროს მოკლა ინგლისელი ექიმი, ხოლო შემდეგ ბოლშევიკებთან ერთად მოაწყო გურიაში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა. საქართველოს დაპყრობის შემდეგ იგი ბოლშევიკებთან მსახურობდა, ხოლო ბოლოს უთანხმოება მოუვიდა კომუნისტებთან და იგი ამ უკანასკვნელებმა დახვრიტეს.

საქართველოს ციხეები.

საქარ. ციხეებში ტუსაღები დიდ გაჭირვებას განიცდიან: ტუსაღებს დღეში აძლევენ ერთ მეოთხედ გირვანქა პურს, ან ნახევარ გირვანქა მჭადს. ზოგჯერ არც ეს არის. ისე რომ, ტუსაღები, რომელთაც გარედან დახმარება არ აქვთ, შიმშილით იხოცებიან, განსაკუთრებით უგოლოვნები. ისინი ქუჩაში გავლელთ ფანჯრიდან უძახიან: „გვაჭამეთ რამე შიმშილით ვკვდებითო“-ო. უგალოვნები ციხის სანაგვეზე ეძებენ მჭადისა და პურის ნატეხებს.

პარ. ჭიჭინაძის დასაფლავების დღეს მეტეხის ციხეში ტუსაღებმა შავი დროშები გამოკიდეს, რის გამო ადმინისტრაციამ ერთი კვირით აკრძალა გარედან საჭმლის მიტანა. (კერ. ცნობა).

ქართულ წითელ არმიაში.

ქართული წითელი არმია ძლიერ სუსტია, ნაწილები არსად არ არის შევსებული სავსებით. არმიელები ჩაცმული ცუდათ არიან, ფეხზე არ აცვიათ, დღეში აძლევენ გირვანქა პურს, ხანდისხან არც ეს არის. შაქარი სულ არ აქვთ, ხორცი კვირაში ერთხელ. ზაფხულში არმიელები უმთავრესად ხილით ცხოვრობენ, იპარავენ სოფლებში. აფიცრები იღებენ თვეში - 5000 მან. მარა თავის დროზე არც იგი არის. დიდი უფლებებით სარგებლობენ

საქართველოს ეროვნული არქივი

ვოენკომები და პოლიტკომები, მათ ყოველთვის შეუძლიათ მთელი კომანდის შემადგენლობის დაჭერა. პოლიტკომები ცდილობენ მოაწყონ „კომიაჩეიკები“, რის განხორციელებაც უძნელდებათ. ვოენკომები და პოლიტკომები უმეტესად ყოველ მხრით მოუმზადებელი ხალხი, ზოგმა წერა კითხვაც არ იცის კარგათ. ბოლო დროს ქართველ წითელ არმიაში რუსი ოფიცრებიც დანიშნეს. იარაღი და აბოზი ცოტა აქვთ. ამზადებინებენ შეშასა და თივას, რის გამო სამხედრო მეცადინეობა სუსტია. (კერ. ცნობა).

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 37; 49-51.

საქართველოს ეროვნული არქივი

სახალხო გვარდიის დღის აღნიშვნა თბილისში
1921 წლის 12 დეკემბერი

გვარდიის დღე თფილისში
(12 დეკემბერი 1921 წელი)

ყველა ის დღეები და მომენტები, რაც ქართველი ხალხის მეხსიერებაში მომგონებელია საქართველოს სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის, დღეს სამშობლოს უცხო ძალთა მიერ დაპყრობის შემდეგ გადაიქცენ ნამდვილ ეროვნულ დღეებათ. თვით მიუვალ მთებში და მიყრუებულ სოფლებშიაც კი ხალხი ერთსულოვნად ეხმაურება ერის სუვერენობას და დემოკრატიის თავისუფლების დიდ დღეებს.

ერთი ასეთი დღე საქართველოსთვის არის 12 დეკემბერი. ის საქართველოს სახალხო გვარდიის დღეა. ამ დღეს, 1917 წელს, თფილისის მუშებმა აიღეს არსენალი, ხელთ იგდეს თოფ-იარაღი და შეიარაღებულები შეუდგნენ დემოკრატიის ფრონტების გამაგრებას, თავდამსხმელ ძალთა მოგერებას და რევოლუციის მონაპოვართა დაცვას. სამი წლის განმავლობაში გვარდია გადაიქცა სახალხო ორგანიზაციათ, ის შეიარაღებული ქარხნის მუშების და ღარიბ გლეხკაცობის სამხედრო რაზმი იყო, მისი დროშა საერთაშორისო კლასის მუშათა დროშა იყო.

სახალხო გვარდია რესპუბლიკის ჯართან ერთად უმთავრესი დასაყრდნობი ძალა იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის. ათეულ წლობით რევოლუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი მუშები იყვნენ, მისი მედროშენი და მათი ძალა იარაღთან ერთად იყო უმთავრესად რევოლუციონური შეგნება და ღრმა რწმენა დემოკრატიზმით სოციალიზმისკენ სვლისა.

ამისთვისა იყო, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაპყრობის პირველი დღიდანვე განსაკუთრებული რეპრესიები შემოიღეს გვარდიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. თითქმის მთელი მთავარი შტაბის, საოლქო და რაიონული შტაბების შემადგენლობა, რომელთა 90 პროცენტი ქარხნების ან სოფლების მუშებია, აგერ მეშვიდე თვეა ციხეში სხედან. მრავალი ყოფილი გვარდიელი, რომელთაც სდევნის რუსეთის ჯარები, გადახვეწილი არიან თავის სახლკარიდან და საქართველოს მთებში და ტყეებში იფარავენ თავს. ერთი სიტყვით დამპყრობელნი მთელ თავის ენერგიას არ ზოგავენ, რომ საქართველოს დემოკრატიის უმთავრესი დამცველნი შემუსრონ და მუშათა კლასის ძალა წელში გასტეხონ.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ დღეს საქართველოში და უმთავრესად კი თბილისში, სახალხო გვარდიელს ვერავინ ახსენებს, მისი გაგონება შიშის ზარს გვრის ყველას, ვინაიდან ამისთვის მოგელით „ჩეკის“ სარდაფი და ხანგრძლივი ციხე. ასეთ პირობებში აბა ვინ შესძლებდა, ან გაბედავდა გაეხსენებია გვარდიის დღე, შემოიკრიბა მისი დროშის ქვეშ თფილისის პროლეტარიატი და ერის გლოვის ათი თვის თავზე მოეგონებია დამპყრობელთათვის, რომ საქართველოს დემოკრატია მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა, არ მომკვდარა, მას ქედი არ მოუხრია უცხო ძალთა წინაშე და არც შერიგებია თავის ბედს. ასეთი აქტი

საქართველოს ეროვნული არქივი

გამოიწვევდა სისხლის ღვრას, რომელიც ასე სწყურიათ - დამპყრობელთ, ის ხელს გაუხსნიდა მოსულ ძალას და ერთხელ კიდევ გულს - იჯერებდნენ ქართველი ხალხის აოხრებით.

ციხეებში მომწყვდეული, ტყეებში და მთებში თავშეფარებული გვარდიელები 1921 წ. 12 დეკემბერს ხვდებოდნენ მდუმარეთ, ერთმანეთზე დაშორებულნი, მხოლოდ მომავლის იმედით, საქართველოს აღდგენის და აღორძინების რწმენით. ამ დღეს არც თვით საოკუპაციო ძალებს შეუწუხებიათ თავი. ისინი მეტად დარწმუნებული იყვენ, რომ სახალხო გვარდიის ხსენებას მაინც ვერ გაბედავდა ხალხი, რომ ციხეები საიმედოთ ინახავდა ათასობით ტყვეებს და ტყვეებში გადახვეწილ ახალგაზრდებს კი ყოველ მაზრაში სდარაჯობენ რუსეთის პოლკები.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. გვარდიის დღე იდღესასწაულა თფილისმა. ამ დღეს ძმათა სასაფლაო მოირთო ურიცხვი ყვავილებით, დახოცილ მებრძოლთა საფლავებს ესმოდა მჭექარე სიტყვები, მუხლ მოყრილი ხალხი ცრემლებით ფიცს აძლევდა ბრძოლაში დაღუპულთ, გაისმოდა გლოვის გალობა და ეროვნული ჰიმნი ...

სამჯერ იდღესასწაულა თფილისმა გვარდიის დღე. სამჯერ მოახდინა თავის არსებობის ხანაში თფილისის პროლეტარიატმა თავისი შეიარაღებული ძალების აღლუმი, სამჯერ ტაშს უკრავდა მებრძოლებს მთელი ხალხი და ესროდენ ყვავილებს, უქარგავდნენ საფლავებს თაიგულებით, მაგრამ 1921 წ. 12 დეკემბერი განსაკუთრებული იყო ყველა ამ დღესასწაულთა შორის, ის თავის სიღრმით, თავისი შინაარსით, თავისი მნიშვნელობით უფრო დიდია, ვინემ ყველა წარსული დღესასწაულები ერთად აღებული, ის იმედის მთქმელია, უფრო დიდი იმედის, ვინემ შეიარაღებული პოლკები და ზარბაზნებით და სანგრებით გამაგრებული პოზიციები.

ვინ იყო ეს ხალხი, რომ ასე უშიშრათ, ასე თავხედურათ, ასეთი შეუპოვარი გამბედაობით გამოვიდა ქუჩებზე, გაიარა თფილისი, შემოერტყა ნაძალადევის ძმათა სასაფლაოს, მოიხადა თავისი წმინდა ვალი და დასდო ფიცი, ფიცი მებრძოლთა გზის გაგრძელების. ეს იყო მოზარდი თაობა.

მუშის და ხელოსნის შემოგლეჯილი, შვილები, სოფლიდან ქალაქში სასწავლად მოსული ახალგაზრდები, ისინი ვისაც მამები ციხეებში ყავთ და ოჯახები შიმშილს განიცდიან, ისინი ვინაც არ იციან სად არიან თვისი მამები, რადგანაც მათ დევნიან დამპყრობელნი, და ისინი, ვისაც მამები ბრძოლაში დაეხოცათ. აი ვინ იყვნენ ეს ახალგაზრდები.

მამებით დაობლებულნი, სამშობლოს უბედურებით მგლოვიარენი, დედის ცრემლებით გულშეწუხებულნი, მარჩენალს მოკლებულნი გამოვიდენ ქუჩებზე და ერის გლოვა-გოდების წელს მივიდენ მამების საფლავთან, რომ შვილების ვალი მოეხადათ და მათი ანდერძისთვის შეეფიცათ ...

12 დეკემბერს, ასე 12 საათი იქნებოდა, რომ თფილისის ბევრ სასწავლებელში მოსწავლეებმა მოულოდნელათ მიატოვეს გაკვეთილები, გამოვიდენ ქუჩებზე და ყვავილებით ხელში ნაძალადევისკენ გაეშურენ. ისინი თითქო შეუმჩნევლად გაშორდენ ქალაქის ქუჩებს. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს ახალგაზრდები, რომელნიც შკოლის სკამს არ მოშორებიან, რომელთაც

საქართველოს ეროვნული არქივი

ბრძოლის არც ერთი საფეხური არ გაუვლიათ, გაბედავდენ და კბილებამდე შეიარაღებულ დამპყრობელთა რაზმებს უშიშრათ გააპობდენ, წავიდოდნენ იმ მოვალეობის მოსახდელათ, რისთვისაც მათ დედებს და მამებს ციხეები მოელოდათ და ერს კიდევ უფრო აღვირახსნილი რეპრესიები დაატყდებოდა. ერთი საათის შემდეგ ნაძალადევის ძმათა სასაფლაო გაივსო ახალგაზრდობით. მოსწავლეები ყვავილებით რთავენ საფლავებს. ვაჟები და ქალები თვალცრემლიანი უვლიან დახოცილ მებრძოლებს და ყოველი მათგანი თავისებურათ, ბავშვური გატაცებით და გულწრფელობით აძლევს ფიცს, იმეორებენ ანდერძს, მამების მიერ დადებულ ანდერძს ...

აქ, ამ ზღვა ახალგაზრდობაში, არც ერთი მამა, არც ერთი დედა. ვინ იცის რამდენ დედას უნდოდა ნაძალადევის ქოხებიდან დღეს აქ მოსვლა ძმათა საფლავში მიბარებულ შვილისთვის ამბის მიტანა, მგლოვიარე გულის ცრემლებით შეჯერება ... ვინ იცის რამდენი სახალხო გვარდიელი იგონებს დღეს დახოცილ ამხანაგებს და რამდენი ტუსაღი ციხეების სარკმლებიდან გადაყურებს საქართველოს მთებს და მათ თვალ-წინ როგორც სინემატოგრაფის ეკრანზე მირბიან სურათები დემოკრატიულ საქართველოს თავდაცვის ომებისა და დახოცილ ამხანაგებისა ...

მაგრამ ნაძალადევი სდუმს. ის დარბეულია ყოველ მხრივათ ... ამ რაიონიდან როგორც ეშელონები ისე გადაასახლეს მუშები ციხეებში, ბევრი გაიქცა, ბევრმაც სხვა უბნებს მიაშურა ... საქართველოს რევოლუციონური მოძრაობის ქურა თითქო ჩააქვრეს ... მუშათა კლასის ასეთი დარბევა, თვით რუსეთის თვითმპყრობელობასაც კი შეშურდებოდა. რაც ვერ შესძლო შავმა რუსეთმა, უტიფრათ შეასრულა „წითელმა“ რუსეთმა.

და ამ უდაბნოში, სადაც ყოველ წუთს გესმის მხოლოდ რუსეთის სალდათების ჩექმის ხმა, ეს მოზღვავებული ახალგაზრდობა, ყვავილებით ხელში და ცრემლებით ათრთოლებული თვალებით, წარმოადგენდა იმ ოაზისს, რომელიც იმედის ნაპერწკალებათ ღვივის და მომავალზე ოცნებას გაიასკეცებს.

ყვავილებმა დაფარა საფლავები ... გაისმის სამგლოვიარო ხმა ... - მსხვერპლად დაეცით მწვავე ბრძოლაში. როგორც ერთი კაცი აღმოხდა მუხლმოყრილ ახალგაზრდობას და ცრემლში ასეული სიტყვები მოეფინა მდუმარე სასაფლაოს ...

რაღაც განსაკუთრებული მწუხარება, რაღაც განსაკუთრებული გრძნობა დასტრიალებდა თავს ამ მოზარდ თაობას და მათი ცრემლები მთელ დაუსრულებელ მოგონებათა ფიქრებს თავს ხვევდა სასაფლაოს ... მაგრამ აი ადგა ეს ზღვა ხალხი, თვალებზე მოიწმინდა ცრემლი, სახეზე გადაურბინა ღიმილმა, ბავშვურმა ღიმილმა, და მოისმინა გუგუნით: დიდება მაღლით კურთხეულს, დიდება ტურფა ივერსა - თითქოს საყვირის ხმა იყო, ქარხნიდან გათენებისას რომ ეძახის მუშებს, თითქოს ნაძალადევის მთიდან 30 წლის განმავლობაში თავისუფლებისთვის დახოცილ მებრძოლთა შეერთებული ხმა უგალობდა ერს და მის შვილებს კვლავ თავისუფლებისთვის დახოცილ მებრძოლთა შეერთებული ხმა უგალობდა ერს და მის შვილებს კვლავ თავისუფლებისთვის საბრძოლათ მოუწოდებდა ...

და მართლაც ეს ხმა შეერთებული ხმა იყო ძველი და ახალი თაობის, შვი-

საქართველოს ეროვნული არქივი

ლებმა ისწავლეს მამებისაგან და ბრძოლაში დამარცხებულ მამებს იმედათ საფლავში ჩასძახოდენ მათგანვე ნაანდერძევ თავისუფლების ხმას ...

ეროვნული ჰიმნი მიწყდა ... მისმა ხმამ ნაძალადევი გამოაღვიძა ... საფლავებზე აიმართა ტრიბუნა და ზედ გამოჩნდა ქაბუკი.

- მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიდვეს - დაიწყო მან - ჩვენი ვალია ეს ანდერძი შევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა შვილებს ფიცი მივსცეთ, ფიცი მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოსა და დემოკრატიისათვის ისევე ერთგულად დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულმა მამებმა მოიმოქმედეს. ჩვენი მამები ციხეებში სხედან, ჩვენი მამები ტყეებსა და მთებში გახიზნულან, ჩვენი მამები დახოცილები დარჩნენ ბრძოლის ველებზე და დამპყრობლებმა მათ გვამებზე გადმოაბიჯეს, ხოლო მკვდრები ყვავ-ყორნებს უპატრონოთ დაუტოვეს, მთელი ქართველი ერი ძაძებშია შემოსილი და ყოველ ქოხს გლოვა დაუფლებია, დაპყრობილი ქვეყანა გმინავს მონობის უღელს ქვეშ, ხოლო უცხო ძალები და მოღალატენი დაპატრონებია ჩვენს საუნჯეს და ურცხვად გვძიძგნიან. დღეს, ქართველი ერის გლოვის მეათე თვის თავზე, საქართველოს სახალხო გვარდიის დღეს, მოვედით ჩვენ აქ, რომ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათაგან დადებულ ანდერძს ერთხელ კიდევ შევფიცოთ (ყველანი მუხლს იყრიან და გაისმის: ვფიცავთ, ვფიცავთ.).

პირველ სიტყვას მოყვა მეორე, მეორეს მესამე, შემდეგ ლექსები და ახალგაზრდათა ტრიბუნა როგორც საყვირი მოუხმობდა მთელ ერს, ფიცს აძლევდა მამებს და სამშობლოს იმედის გამოძახილს უგზავნიდა.

მთელი ორი საათი გაგრძელდა ეს ამბავი ... ქალაქში უკვე შეიტყვენ, რომ მოსწავლენი ძმათა სასაფლაოზე იყრიდენ თავს. წესიერების დამცველნიც შეშფოთდენ ... დაფაცურდა „ჩეკაც“ ... მოსწავლენი კი აგრძელებდნენ სიტყვებს, იმეორებდენ ფიცს, ათასფერათ ქარგავდენ ყვავილებით ძმათა სასაფლაოს ...

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს, ვინ იცის რით გათავდებოდა და რა ზომებს მიიღებდენ დამპყრობელნი ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომ ამ დროს სასაფლაოზე არ მისულიყო ნაძალადეველი ორი მუშა, რომლებმაც თფილისის პროლეტარიატის სახელით მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდობას და უსურვეს მხნეთ ბრძოლის გაგრძელება სამშობლოს გასანთავისუფლებლათ. შემდეგ კი ურჩიეს დაშლილიყვნენ, ვინაიდან დამპყრობელნი რეპრესიულ ზომებს მიმართავდენ და ზედმეტ მსხვერპლს შეიწირავდენ.

სრულ 4 საათზე ახალგაზრდობამ ნელა იწყო დაშლა სასაფლაოდან. დარჩა მხოლოდ ურიცხვი თაიგულები და ჰაერში კიდევ გაისმოდა აღგზნებული სიტყვები მამებისადმი ერთგულების ფიცისა.

იმ დღიდანვე შეუდგენ ოკუპანტები ფიცხელ გამოძიებას. სასწავლებლებში დაგზავნეს „ჩეკას“ აგენტები და დაკითხეს როგორც მასწავლებლებს, ისე შეგირდებს, ეძებენ ხელმძღვანელებს, მოთავეებს, მაგრამ ახალგაზრდობამ ამ შემთხვევაშიდაც განსაკუთრებული ერთსულოვნება გამოიჩინა. ყველა ერთ და იმავეს უპასუხებდა, ყველა მტკიცეთ იდგა თავის აზრზე, რომ მათ მოიხადეს მამებისადმი და სამშობლოსადმი წმინდა მოვალეობა.

1921 წ. 12 დეკემბერი ღირსშესანიშნავი დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამ დღეს სრულიად გამოაშკარავდა დამპყრობელთადმი უდიდესი სიძულვილი და ქართველი ერის დემოკრატიას რეზერვში ჩაუდგა მისი შვილები, მომავალი თაობა, რომელმაც ფიცი დასდო დახოცილთა საფლავებთან და საქართველოს მომავლის განთავისუფლების ხმა შესძახა. დამპყრობელებმა ერს გლოვის საშვალებაც მოუსპეს, დედებს შვილების საფლავთან ცრემლების დაფრქვევა აუკრძალეს, მაგრამ ახალგაზრდობამ, რომელსაც ჯერ არ უნახავთ ბრძოლის სიმწვავე, პირველებმა შეაშფოთეს მოძალადენი და შეუპოვრათ დაიკავეს დახოცილთა ადგილები ...

ქართველ ერს ახალი მესაჭე გაუჩნდა. ერის დამოუკიდებლობის იდეაზე აღზრდილი, სამშობლოს სიყვარულის გრძნობით შეპყრობილი და დემოკრატიის პრინციპებისთვის თავდადებული, მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც მამებმა უკვე გაუკვალეს გზა და მიუთითეს მიზანზე. და როცა ეს თაობა უკვე დავაჟკაცებული, საკუთარი ძალით დაიმედებული, რეზერვიდან მოწინავე პოზიციებზე წაიწევს, ქართველი ერის ტრაღედიაც დასრულებული იქნება, მის სახელმწიფოებრივ კედლებს ვეღარ შეანგრევენ მოღალატეთა წინამძღოლობით შემოჭრილი ძალები.

ახალგაზრდა

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 80, ფურცლები 28-30.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის
სხდომის ოქმიდან, სადაც დასახულია ღონისძიებები
ზემო სვანეთში არსებული დაძაბული ვითარების განსამუხტავად
1921 წლის 20 დეკემბერი

ოქმი N94
საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის
რევოლიუციონური კომიტეტის სხდომისა
1921 წ. დეკემბრის „20“ ქ/ ტფილისი.

რევ. კომ. თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.
რევ. კომ. წევრები: ორახელაშვილი, ტოროშელიძე
დაესწრნენ: კვირკველია, სვანიძე, ვაშაძე, კანდელაკი
მდივანი ალ. სალარიძე.

განსახილველი საგანი

23. მოხსენება ზემო სვანეთის მდგომარეობის შესახებ.

დადგენილება

1. დაევალოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარს გაგზავნოს სვანეთში სპეციალური კომისია სამი ამხანაგის შემადგენლობით ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშვნისამებრ, რომელსაც მიენდოს ადგილობრივად კამპანიის დაწყება ამხ. ბახტაძის მიერ დადებულ ხელშეკრულობის თანახმად.

2. ზემო სვანეთის ბლოკადა მოიხსნას, ქვემო სვანეთში მდგომი ჯარის ნაწილი შემცირებულ იქნეს 100 ხიშტამდე.

3. ამხ. ნავარიანი მოიხსნას და მის ნაცვლად დაინიშნოს სხვა არა ადგილობრივი პირი.

4. მიენდოს რევკომის თავმჯდომარეს მიმართოს ზემო სვანეთის მცხოვრებლებს მოწოდებით დადებულ ხელშეკრულობის თანახმად.

საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი,
ფონდი 19, ანაწერი 1, საქმე 19, ფურცელი 314.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სასტუმრო „ევროპის“ ყოფილი მეპატრონის ალექსანდრე ზაქაიძის განცხადება, სადაც ის მისთვის წართმეულ სასტუმროში დუქნის მოსაწყობად დატოვებულ ერთ ოთახზე შეწერილი გადასახადის შემცირებას ითხოვს
1921 წლის 20 დეკემბერი

ქალაქ თბილისის საგადასახადო ბიუროს!

მთხოვნელი ალექსანდრე
გრიგოლის ძე ზაქაიძე
თეატრის შესახვევი N

მე ყოფილი „ევროპიის სასტუმროს“ პატრონი, როდესაც შემოვიდნენ ქალაქშიდ იმ დღიდ ჩამომართვეს ზემოხსენებული სასტუმრო 35 ოთახი თავის მოწყობილობით და მაშასადამე იმ დღეიდგან დავრჩი უსაქმურათ - მივმართე საბჭოთა სახლების გამგეობას, რათა მოეცათ იმავ შენობაშიდ ყრუ შესახვევშიდ პატარა დუქანი, რადგანაც სხვა ბინა ჩემთვის აღარ აღმოჩნდა არსად - შეიწყნარეს ჩემი თხოვნა მომცეს და დავიწყე წვრილმანით ვაჭრობა, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ ისეთი ყრუ ადგილი აღმოჩნდა, რომ მუშტარი არა ხვდება. ასე ვიტანჯები ჩემის ცოლ-შვილით, რაც კი დამრჩა, სახლშიდ იყო გავყიდე. ეხლა ვადატნოი ინსპექტორმა შემომაწერა მილიონ ნახევარი გადასახადი და არ ვიცი საიდგან გადავიხადო. ამისთვის გთხოვთ როგორც ყრუ ადგილი და ახალი მოვაჭრე დუქნით ყურადღება მოაქციოთ, რომ იმისთანა კატეგორიაშიდ მიმაწეროთ რომ ნაკლებმა გადასახადმა სული მომათქმევინოს. დუქანი არის უოთახო უბადვლო. გაზომეს და აღმოჩნდა ოცდა ათი არშინი.

ა. ზაქაიძე
20/XII-921 წელსა

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: უარი ეთქვას. 20/XII /ხელრთვა/. დოკუმენტს ასევე ადევს მეორე რეზოლუცია: თანახმად დეკრეტისა არა გვაქვს უფლება /ხელრთვა/ 20/XII.

საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 19, ანაწერი 1, საქმე 42, ფურცელი 73.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქ. თბილისში ჩატარებული „მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების“ არჩევნების მოკლე მიმოხილვა 1921 წლის 28 დეკემბერი

ქართველი მშრომელი ხალხი და არჩევნები (ბოლშევიკური)

ისტორია არჩევნების ხანგრძლივია. პირველად საქართველოს ხალხში იყო ერთ-ერთი აზრი - არჩევნები მოხდება თავისუფალი და მუშათა და გლეხთა საბჭოების სახით ჩვენ ვიტყვით უკანასკნელ სიტყვას საქართველოს დაპყრობის შესახებო.

10 თვის სინამდვილემ ეს შეხედულება მოსპო. ამ ხნის განმავლობაში საქართველო დაარბიეს. საქართველოს მშრომელი ხალხი დაამუნჯეს. მას ბორკილები დაადვეს. ბინად ტყე და ციხეები მიუჩინეს. მისი ორგანიზაციები მოსპეს და გაანადგურეს. მოწინავე საზოგადო მოღვაწეები, მუშები, გლეხები ციხეებში „ჩეკის“ ნესტიან სარდაფებში მოამწყვდიენ, სადაც უსაბუთოდ იტანჯებიან ხალხის საუკეთესო შვილები, ძველი რევოლიუციონერები. აუარებელი მუშები რკინის გზებიდან გადაასახლეს უცხოეთში, ძველი და ქართველი მუშები გარეკენ ადგილებიდან და თბილისს მოაშორენ. ყველა დაწესებულებებში შტატის შემცირებით ქართული ელემენტები გარეკენ. მთელი საქართველო, ქართველი მშრომელი ხალხისათვის ციხეთ, ტყეთ და სასაფლაოთ იქცა.

თბილისი და ბათუმი უცხოეთის ქალაქებად გადააქციეს. ადგილობრივ მკვიდრთა ნაცვლად ქალაქებს შემოსეული ხალხი და ჯარი დაეპატრონა.

პირველად არჩევნებს სრულიად არ ფიქრობდენ. რევკომის წევრები პასუხად იძლეოდენ - მაშინ მოხდება არჩევნები, როცა ევროპაში კომუნისტური რევოლიუცია მოხდებაო.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში კი მოსკოვში დაადგინეს საერთაშორისო მოსაზრებით „საქართველოში მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების“ მოწვევა.

18 ოქტომბერს თ. ღლონტმა მუშათა დელეგაციას ფრიად საიდუმლოთ აცნობა ეს გარდაწყვეტილება და რეპრესიების მზადება. მან განაცხადა: „მენშევიკებს და სხვა ანტიბოლშევიკურ პარტიებს არ მისცემენ საშვალებასო“.

უკანასკნელმა რეპრესიებმა, ძალადობამ და მასიურად დარბევამ შესცვალა ხალხის დამოკიდებულება არჩევნებისადმი. არც ერთი აღთქმა, არც ერთი დაპირება რევკომის ასრულებული არ იქმნა ათი თვის განმავლობაში. სრულიად გამეფდა დიქტატურა ტერორიზმისა. მოისპო ერის დამოუკიდებლობა და დაიშალა მუშათა კლასის ორგანიზმი. მუშათა კლასი, როგორც ასეთი გაანადგურეს. ნოემბრის ბოლო რიცხვებში გამოვიდა თბილისისათვის საარჩევნო ინსტრუქცია, რის ძალით უფლება მიენიჭა თბილისში მცხოვრებთ ყველას არჩევნებში მონაწილეობის, რუსის ჯარს, მათ მოსამსახურეთა ოჯახებს, უცხოელებს, ერთი სიტყვით ყველას ვინც კი მოვიდა თბილისში დაპყრობის შემდეგ. არჩევნების ფარული წესი შესცვალეს ღია წესებზე. ამით გამოირკვა, რომ მრავალ რიცხოვან რამოდენიმე ათასი უცხო ჯარისკაცები, უცხო ელემენტები გახდენ თბილისის მუშათა კლასის, ქართველი ხალხის ბრძანებელნი.

საქართველოს ეროვნული არქივი

განწყობილება მუშებში სრულიად გამოიცვალა. მუშები ამ მოზღვავებულ ხალხში სრულიად დაიჩრდილა.

უცხოელები ჩადგენ 95%-ში.

ამავე ნოემბრის რიცხვებში დაიწყო მეტათ მკაცრი შავრაზმული აგიტაცია ანტიბოლშევიკურ პარტიების წინააღმდეგ. **ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ქავთარაძე, კიროვი, ლისოვსკი** ამეტყველდენ.

გაზეთებში დაიწყეს შავრაზმული განცხადებები. ამავე დროს დიდრონ ასოებით აცხადებდენ: „პური მოდის რუსეთიდან, ევროპიდან“ და სხვა.

ამოძრავდენ რუსის ჯარები, მათი აგიტატორები, „ჩეკას“ აგენტები.

წინასწარ აგიტაციის დროს საპასუხო სიტყვა კომუნისტების წინააღმდეგ ვინც გაბედა, სულ ყველას „ჩეკაში“ გაუჩინეს ბინა.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიამ, სოც.-ფედერალისტებმა, დამოუკიდებელ ს. დ. ჯგუფმა, ნაციონალ-დემოკრატებმა, რადიკალებმა, სოც-რევოლიუციონრების ორივე ფრთამ დაადგინეს: დაპყრობილ ქვეყანაში, უსაშინლეს ტერორის და ქართული ხალხის დარბევის ქვეშ ჩატარებულ არჩევნებში ქართველი ერი და მისი ხელმძღვანელნი პარტიები მონაწილეობას ვერ მიიღებენ და ბოიკოტით უპასუხებენ.

ასეთი იყო ნება და სურვილი მთელი ერისა.

საარჩევნო ბრძოლის ველზე დარჩა უცხოეთის ჯარები, შემოსული ძალები, მათი აგენტები - კომუნისტური რევკომები, „ჩეკები“ და თედორე ღლონტი თვისი ოცი კაცით. მთელი ქართველი მშრომელი ხალხი გაერთიანდა არჩევნების წინააღმდეგ.

არჩევნების დროს გამოვიდა ს. ს. დ. პ. ცენ. კომიტეტის შემდეგი მოწოდება:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

ამხანაგებო და მოქალაქენო,

ათი თვის განმავლობაში საქართველოს განაგებდა მოსკოვიდან დანიშნული „რევკომი“. ათ თვეს სწმენდა იგი საქართველოს ქართველი მოწინავე მუშებისაგან, რომლებსაც ათასობით გზავნიდა უცხო ქვეყნებში ან ციხეებში და ჩეკას ნესტიან სარდაფებში. და მხოლოდ ეხლა, ათი თვის მზადების შემდეგ, ბედავს „რევკომი“ საქართველოში შექმნას „მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოები“ მზგავსება. მთელი ის ტერორის სისტემა, რომელიც გამეფებულია ქართველი ხალხის მიმართ უცხოეთიდან მოყვანილი ლაშქრის მიერ, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა, ციხეების გავსება ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებით - ყველა ეს შეუძლებლად ხდის ქართველი მუშების და გლეხების ჭეშმარიტი აზრის საქვეყნოდ გამოთქმას.

რევკომის მიერ მიღებულ საარჩევნო სისტემის წყალობით „საბჭოებში“ უნდა გაბატონდენ სარატოვის, რიაზანის, ვორონეჟის და შიდა რუსეთის სხვა ადგილებიდან მოყვანილი ლაშქრის ნდობით აღჭურვილი პირები. მათ გვერდში ამოუდგებიან რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ათასობით და ათი ათასობით - ჩამოყვანილი „საბჭოთა“ ჩინოვნიკები და მათი ოჯახის წევრები. მხოლოდ ამ ელემენტებს დარჩებათ საარჩევნო ბურთი და მოედანი. ფარული ხმის მიცემის აკრძალვა ყველა ქართველ ამომრჩევლებს წაართვეს თავისი ნამდვილი ნებისყოფის გამომჟღავნების ხალისს, რადგან ყველასთვის ცხადია, რომ ამ

საქართველოს ეროვნული არქივი

გამომჟღავნებას მოჰყვება ციხე, საკანი და ჩეკას სარდაფი.

ის, რასაც „რევკომი“ უწოდებს „საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს“ ნამდვილად არ იქმნება ქართველი მშრომელი ხალხის საბჭოები. ეს იქნება საბჭოები საქართველოს მშრომელი ხალხის **დამპყრობი რუსის ჯარისა,** საქართველოს მშრომელ ხალხზე გაბატონებული **რუსის ჩინოვნიკებისა** და საქართველოს მონაწილე **უცხო ელემენტებისა.** ამ საბჭოების მიერ გამოცემული ყველა დადგენილებები, ყველა დეკრეტები, ყველა კანონები იქნება ფეხქვეშ გათელვა ქართველი მშრომელი ხალხის უფლებების. ამ ნაირი „საბჭოების“ მოწვევით, ამ ნაირი დაწესებულების „საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებათ“ მონათვლით მოსკოვის მიერ დანიშნული „რევკომი“ ახალ თავდასხმას უმზადებს საქართველოს.

დამპყრობლებმა არ იკმარეს ის **ფიზიკური** მკვლელობა, რომელიც მათ ათ თვის განმავლობაში აწარმოეს საქართველოს მიმართ. დღეს მას მოუნდომებია მისი **ზნეობრივი** მკვლელობაც; დღეს მას მოუნდომებია საქართველოს მშრომელი ხალხის ხმათ გაასაღოს მისი დამპყრობელის ხმა. ისტორიამ არ იცის ასეთი ავაზაკური ფალსიფიკაცია. ქართველი ხალხი მოვალეა ჩაუშალოს დამპყრობელებს მათი ავაზაკური განზრახვა. მისი ვალია ქვეყანას ამცნოს, რომ ხმა რომელიც გამოვა მოღალატეთა ხელით შეთითხნილი „საბჭოებიდან“, ვერ იქნება მშრომელი ხალხის ხმა. ამიტომ ქართველი მშრომელი ხალხი ვერ მიიღებს მონაწილეობას იმ ფალსიფიკაციაში, რომელსაც „საქართველოს საბჭოთა არჩევნებად“ ნათლავენ. ქართველი ხალხი ამ თავიდანვე უნდობლობას უცხადებს ამ „საბჭოებს“ და ბოიკოტით უპასუხებს მის არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოწვევაზე.

არც ერთი ქართველი ამომრჩეველი გარდა მოღალატეებისა, არ უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთებთან; ვერც ერთი პარტია, გარდა მოღალატეთა პარტიებისა ვერ მოუწოდებს თავის წევრებს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეთო.

ქართველი მშრომელი ხალხი მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოდან გაყვანილ იქნება მისი დამპყრობელი რუსის ჯარი და როდესაც მას შეძლება მიეცემა თავისი ნამდვილი სულის კვეთების გამოაშკარავებისა. მანამდის კი ბოიკოტი მოძალადეებს, ბოიკოტი მათ მიერ მოჭახრაკებულ არჩევნებს.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ს. დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი“.

დეკემბრიდან ნამდვილი ტერორი დაიწყო. მობილიზაცია ყველგან მოახდინეს კომუნისტებმა. მთელ ძალებს მოუწოდეს გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

არჩევნების წინ გამოვიდა სოც. ფედერ. სარევოლიუციო პარტიის შემდეგი ფურცელი:

„მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ქალაქ თბილისში უნდა მოხდეს არჩევნები მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატებისა ქალაქის საბჭოში, რომლის შესახებ საყოველთაო საყურადღებოთ ვაცხადებთ შემდეგს:

საქართველოს ეროვნული არქივი

1. ყოველივე არჩევნებისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, პროპაგანდა-აგიტაციისა, პრესისა და პიროვნების ხელშეუხებლობა, მაგრამ ამ ჟამად საქართველოში მშრომელი ხალხის მიერ სისხლით მოპოვებული ეს უფლებები აღარ არსებობს.

2. ყოველ თავისუფალი სახელმწიფოს ბედ-იღბალს თავისუფლად უნდა განაგებდეს ამ სახელმწიფოს თავისუფალნი მოქალაქენი, მაგრამ კომუნისტების საარჩევნო სისტემით დამონავებულს საქართველოში საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობას იღებს ისეთი უცხო ქვეყნის მოქალაქენი, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო საქართველოსთან და წარმოადგენენ მეტ ხორცს ქართველი ერის სხეულზე.

3. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, მათივე ცნობებით, თბილისში მცხოვრებთა რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა და ითვლება რვაას ათასამდე და ეს ზღვა უცხო ელემენტისა ირჩევს საბჭოს, რომელიც იქნება გამგე საქართველოსი და ქართველი ხალხისა.

4. არჩევნებში აგრეთვე მონაწილეობას იღებს უცხო ქვეყნის ჯარი, რომელიც დღეს აქ არის, ხვალ კიდევ სხვაგან და არაფერი გაეგება ადგილობრივი ინტერესებისა.

5. საშინელ ტერორისა და „ჩეკას" რეჟიმის ხანაში, როგორც დღეს საქართველოშია, ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია ის კენჭის ყრა, რომელიც მხარს უჭერდა ბისმარკიც კი და ყველა იმპერიალისტი და მოძალადე, ვინაიდან იგი მოასწავებს ამომრჩეველთა სინიდისზე და ნებისყოფაზე ძალადობას.

6. არჩევნების დრო და ადგილი არ არის წინდა წინვე გამოცხადებული, არ არსებობს წესები კანდიდატთა სიების წარდგენისა და არჩევნებს ახდენენ რაღაც მალულად.

7. უარყოფილია პროპორციული არჩევნების სისტემა და ამით ხელ აღებით მყარდება ბოლშევიკების დიქტატურა.

8. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები მთელს ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ საქართველოში უცხო ჯარის საშვალებით შემოვიდნენ იმისთვის, რომ განამტკიცებიათ დამოუკიდებლობა და თავისუფლება საქართველოში, თან და თან სპობენ უკანასკნელს ატრიბუტებს დამოუკიდებლობისას: სპობენ ქართულს ლაშქარს, გააერთიანეს რკინის გზა, საგარეო ვაჭრობა და საერთო ფინანსები, ფოსტა-ტელეგრაფი, ისპობა ქართული ენა დაწესებულებებში და სხ. და სხ.... ხალხის დაუკითხავად და ნება-სურვილის გარეშე დაადგინეს ამიერ კავკასიის ფედერაცია, რაც საფეხურია რუსეთთან შეერთებისა და ამას არქმევენ ფედერაციას.

9. ვითომ-და დამოუკიდებელ საქართველოში დღეს ფაქტიური ბატონ-პატრონია რუსეთის საოკუპაციო ჯარი, „ჩეკა" და სხვა და სხვა.

ასეთ პირობებში კი ყოველივე არჩევნები მიგვაჩნია მშრომელი ხალხის დაცინვათ და უცხადებთ ქ. თბილისის არჩევნებს სრულს ბოიკოტს.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კომიტეტი".

3 დეკემბრიდან იწყება ყველგან არჩევნები და მთავრდება 10 დეკემბრამდე. კომუნისტები მოსტყუვდენ. მათ ეგონათ ქართველი ხალხი გაჰყვებოდა,

საქართველოს ეროვნული არქივი

მონაწილეობას მიიღებდა, უმცირესობაში ჩადგებოდა და ამით საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე განაცხადებდენ - ჩვენ გავიმარჯვეთო.

ამას გრძნობენ დღეს კომუნისტები, ამ შეცდომას ხედავენ. მოსკოვიც ამაზე ეკითხება რევკომს - „მართლა მიიღო თუ არა ქართველმა ხალხმა მონაწილეობაო“.

მართალია ისინი რადიოთი, გაზეთებით ქვეყანას აცნობებენ, რომ არჩევნებში მთელი ხალხი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ სინამდვილეს ხედავენ. თბილისის საბჭოში თავი მოიყარა რევკომმა, „ჩეკამ“, კომუნისტურმა ცეკამ, რუსის ჯარმა.

გავეცნოთ ფაქტებს, სინამდვილეს.

3 დეკემბერს თამბაქოს, კოლოფების, ტოლეს ფაბრიკების მუშებში არჩევნების შესახებ გაზ. „კომუნისტი“ /N228/ ოფიციალურად აცხადებს: „არჩევნებს ყველგან ყველა მუშები დაესწრენ და ყველგან კომუნისტები აირჩიენო“.

3 დეკემბერს, „კომეტის“ სეილანოვის, ენფიანჯიანცის, დიუბეკის, და სხ. წვრიმალ თამბაქოს ქარხნებში დილიდანვე გაჩდენ შეიარაღებული „ჩეკისტები“ ვინმე ბაბიხუდაროვის მეთაურობით. შეაწყვეტინეს მუშაობა და გამოაცხადეს „ყველამ სეილნოვის ქარხანაში წამოდით არჩევნებზეო“. „კომეტის“ ქარხანაში მუშებმა ამ განცხადებას ანგარიში არ გაუწიეს. მუშაობა განაგრძეს. მუშაობა ძალით შეაჩერებინეს. ქარხანაში შეიქმნა გინება, ყვირილი, მაუზერების ტრიალი.

ისმოდა ხმები: არ გვინდა არჩევნები. იყავით თქვენ. ყველა კარები ჩაკეტენ. მუშები დაიმალენ, კარები დააღენ, ზოგიერთები გაიქცენ. ბოლოს „ჩეკისტებმა“ 30-დე ქალები გარეკენ სეილანოვის ქარხანაში, სადაც ასევე მორეკენ სხვა მხარეებიდან და შეადგინეს 160-დე ქალების და კომუნისტების კრება. ილაპარაკეს კომუნისტებმა. გამოუცხადეს სია, ხმა მისცა 65 კაცმა. დანარჩენებმა უარი განაცხადეს. სია კომუნისტებისა გამოაცხადეს არჩეულად.

კომუნისტები კი აცხადებდენ 700 მეტი მუშა დაესწრო და ერთხმად კომუნისტები აირჩიესო.

ასევე მოხდა თამბაქოს სხვა ქარხნებში.

6 დეკემბერს მუშათა სასახლეში გაიმართა სტამბებში მომუშავეთა კრება არჩევნებისათვის. ამ არჩევნებზე გაზ. „კომუნისტი“ /N229/ აცხადებს: „კრებას დაესწრო 600-დე მუშა და ერთხმად კომუნისტები და ერთი ღლონტის კანდიდატი აირჩიესო“. ასევე სწერდა „ტრიბუნა“ /N90/.

ნამდვილი ამბავი ამ არჩევნების იყო შემდეგი: მბეჭდავთა კავშირში ოფიციალური ცნობით არჩევნების წინა დღეს ირიცხებოდა 875 მუშა. მუშათა სასახლეში გამოცხადდა 260-დე კაცი. ამათში ქართველები 30 კაციც არ ყოფილა. ილაპარაკეს დუმბაძემ, თ. კალანდაძემ, თ. ღლონტმა, კრების შემადგენლობა გარდა ქართველებისა იყვნენ საეჭვო ელემენტები. დარბაზში ტრიალებდენ შეიარაღებული ძალები. იყო ნამდვილი ტერორი.

პირველი განცხადება კომუნ. ორატორების შემდეგ გააკეთა სოც. რევოლ. სახელით მუშა კილაძემ, რომელმაც აღნიშნა:

„დაპყრობილ საქართველოში მის დედა ქალაქში საქართველოს მუშებს მოუსპეს ყოველგვარი თავისუფლება. ასობით და ათასობით გადევნეს სამრეწველო დარგებიდან. მისი საუკეთესო ნაწილი მოამწყვდიეს ციხის და „ჩეკის“ ბნელ სარდაფებში. თბილისში დღეს თბილისის მუშათა კლასის სახელით

საქართველოს ეროვნული არქივი

მუშათა საბჭოს ირჩევს სრულიად გამვლელი, შემოსეული ხალხი. ეს არჩევნები ხდება უდიდეს საშინელ დარბევის შემდეგ. არჩევნები მიდის მაშინ, როცა მუშათა ორგანიზაციები და მუშათა კლასი როგორც მთლიანი ორგანიული ერთეული დაშლილია. დღეს ამ თქვენ კრებას არავინ არ ესწრება ქართველი მუშებიდან. აქ არიან მარტის შემდეგ შემოხიზნულნი უცხო პირები, ჩვენთვის უცნობნი. ჩვენ რამოდენიმე კაცი მოვედით აქ იმისათვის, რომ განვაცხადოთ: ქართველი მუშები დღეს ღალატს ვერ ჩაიდენს, ის აღარ ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას და ამას საქვეყნოთ აცხადებს. ჩვენი პარტია სოციალ.-რევოლიუციონერებისა, ქართველ ხალხთან ერთად არის და ის უარს აცხადებს არჩევნებში მონაწილეობაზე".

სოც. რევოლ. წარმომადგენელის განცხადების შემდეგ სიტყვა მოითხოვეს ს. ს. დ. მ. პ. და სოც.-ფედერ. წარმომადგენელებმა, მაგრამ კომუნისტებმა ასტეხეს აურ-ზაური. არ მისცენ ნება. დარბაზში რევოლვერიანებმა დაიწყეს თარეში. ასე წარმოიდგინეთ ჯერ არა ნახული ანარქია. ქართველი მუშებმა დასტოვეს კრება. იქ დარჩა უცხო მოსულები, მოყვანილები და თ. ღლონტის ოთხი კაცი კომუნისტებთან.

ასე დამთავრდა ეგ არჩევნები.

როგორ ჩაატარეს რკინის გზაზე არჩევნები?

5 დეკემბერი. რკინის გზის სამმართველოში 1700-დე მოსამსახურეა. ოთხ ჯერ მოსპეს სამმართველოს ორგანიზაცია. იქ თითქმის 40 კაციც აღარაა ადგილობრივი, ძველი, სრულიად რუსის ჯარის მოყოლილი პირები გაბატონდენ. მიუხედავად ამისა კომუნისტურ გამოსვლას ცუდი ბედი ეწია არჩევნებში. ბრძანებამ, მუქარამ, „ჩეკამ" მაინც ვერ იმოქმედა და არჩევნებზე ძლივს მოიყვანეს 220-დე კაცი. ამათში 16 ქართველი კომუნისტი იყო. კრებაზე ილაპარაკეს. მოინდომეს განცხადების გაკეთება, თუ რისთვის არ დაესწრენ არჩევნებს დანარჩენები, მაგრამ **ივან კავკასკიმ** და **დრიგაჩიმ** ამის ნება არ დართეს. წამოაყენეს კომუნისტებმა თვისი სია. ხმა მისცა მხოლოდ 80-დე კაცმა. მიუხედავად ამისა, რომ დანარჩენები ქართველები არ იყვენ და მათი მორეკილი გარეშები, მათ სიას თავჩაქინდრული შეეგებენ და ვინ იყვნენ მათ სიაში: გზის კომისარი, მისი მოადგილე, პოლიტკომი და სხვა.

ასე გათავდა მათი არჩევნები იმ მთავარ სამმართველოში საიდანაც ოთხჯერ გადასახლენ ქართული ელემენტები.

აი, ამ ოთხმოცმა კაცმა აირჩია 8 დეპუტატი. ამაზე აცხადებდა „კომ." და „პრავდა გრუზია" /N-N234, 234/ „მთავარ სამმართველოში ბრწყინვალეთ გავიმარჯვეთ, ერთხმად ჩვენები აირჩიესო".

6 დეკემბერს მოახდინეს არჩევნები რკინის გზის სასურსათო საწყობში და პროფ. ორგანოებში მომუშავეთა. დილიდანვე საარჩევნო დარბაზი დაიჭირა „ჩეკისტებმა", გარეშებმა. 800 კაციდან გამოცხადდა 380-დე კაცი. შეიქნა აურ-ზაური-ყვირილი. მუშებმა საერთოდ პროტესტი განაცხადეს. არ ვიღებთ მონაწილეობასაო. ილაპარაკეს **აკიმოვმა, ივანოვმა, კარლამოვმა** და სხვებმა. არჩევნები დასრულდა მათთვის სამწუხარო შედეგით. 38 კაცმა მისცა ხმა მთელ სიას. ამათში აქ ქართველი კომუნისტებმა, „ჩეკისტებმა". აი, ამ ხმით აირჩიეს 6 წევრი საბჭოსათვის.

საქართველოს ეროვნული არქივი

4 დეკემბერს მოხდა რკინის გზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა არჩევნები. 300 კაციდან არჩევნებს დაესწრო 103 კაცი, კომუნისტურ სიას ხმა მისცა 49 კაცმა. ამათში 4-მა ქართველმა კომუნისტებმა და ასე აირჩიეს 2 წევრი.

რკინის გზის სამმართველოს მილიციაში არჩევნებს დაესწრო 400-კაციდან 55 კაცი: აქედან კომუნისტურ სიას ხმა მისცა 26-კაცმა და ორი დეპუტატი გამოაცხადეს არჩეულად.

6 დეკემბერს რკინის გზის სასწავლებელში მოსამსახურეთა არჩევნებს სრულიად არავინ არ დაესწრო.

უმთავრესი იერიში მიიტანეს რკინის გზის სადგურის, მოძრაობის, დეპოს და სახელოსნოს მუშებზე. წინა ღამით მოახდინეს მთელ რკინის გზაზე მობილიზაცია კომუნისტური რაზმებისა.

5 დეკემბერს ღამით სადგურში მოვიდნენ შორაპნის კომისარი **სანჯაკიშვილი** და **ნამურაძე,** სამტრედიის, ხაშურის, სოღანლოღის-სალოღლის კომისრები, პოლიტკომები, „ჩეკები“ თავიანთი რაზმებით.

6 დეკემბერს დილით რკინის გზის და „გრუზჩეკას“ მთელი არმია პროვინციის რაზმებით რკინის გზის მიდამოებს მოეფინათ. ყველას ომის დასაწყისი ეგონა.

3.500 მუშა-მოსამსახურიდან კრებაზე ძლივს მირეკეს 170-დე. ამას შეუერთდა მოწვეული რაზმები 300 კაცამდე. წარმოსთქვენ კომუნისტური სიტყვები. წამოაყენეს სია და გარდა მოწვეულებისა კომუნისტურ სიას ხმა მისცა მხოლოდ 60-დე კაცმა. და ამორჩეულად გამოაცხადეს 15 საბჭოს წევრი და აი ამ კრებაზე აირჩიეს სოციალიზმის რენეგატი ფ. მახარაძე საპატიო წევრად.

ეს დიდი ლაშქარი I საათზე დეპოს ეწვია. დეპოს მუშებს მუშაობის დროს ალყა შემოარტყეს. შერეკეს ერთ ადგილას 400-დე მუშა, რომელშიაც ერია 40-დე ქართველი მუშა, მიუხედავად ამისა დაიწყეს ყვირილი, პროტესტები დარჩენილ დატყვევებულ მუშებმა, გაამრავლეს სტუმრებმა.

ილაპარაკა ივან კავკასკიმ. მოითხოვა რამოდენიმე მუშამ განცხადებისათვის სიტყვები, მაგრამ ნაცვლად ნებართვისა ძლივს გადარჩენ.

კომუნისტურ სიას კენჭი უყარეს. სხვა სია არ ყოფილა. მიიღეს 75-დე ხმა ნამდვილი დეპოს მუშებიდან, დანარჩენები ხმები დაუმატეს სტუმრებმა „ჩეკისტებმა“.

აი ამ „კრებაზე კომუნისტებმა გამოაცხადეს არჩეულად ბატონი ლენინი, ცხაკაია, ორჯონიკიძე და სხვა“ არჩევნები 7 საბჭოს წევრი.

დეპოს შემდეგ ლაშქარი მთელ სახელოსნოსკენ გაეშურა.

მთავარი სახელოსნო განადგურებულია.

2000 ქართველ მუშიდან დღეს დარჩენილია 1050-დე ქართველი მუშა. ძველი მუშები აღარ არიან, გადაასახლენ, დააპატიმრენ, ადგილიდან გარეკენ. ამ ჟამად მუშაობს სულ 2.500-დე მუშა. დიდძალი სრულიად ახალი.

მუშებს წინ და წინ კარები ჩაუკეტენ. ირგვლივ ალყა შემოარტყეს. სახელოსნოში საარჩევნო სამხედრო ლაშქრის მისვლის დროს დიდი არევ-დარევა დაიწყო: „არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, არჩევნები არ გვინდა, თავს დაგვესხენ“ - გაისმა ხმა და იწყეს მუშებმა დაშლა. მიუხედავად იმისა, რომ კარები ჩაკეტილი-ალყა შემორტყმული იყვენ, მუშები გაიქცენ. დიდი ზომების შემდეგ მოაგროვეს დაპატიმრებული მუშები დაახლოვებით 800 კაცამდე, რომელსაც დაემატა საექსპედიციო დამსჯელი. საარჩევნო ლაშქარი მეორეთ ხმის მისაცემად. ილაპარაკეს ობოლაძემ, ივან-კავკასკიმ. მათი

საქართველოს ეროვნული არქივი

ლაპარაკის დროს იყო ყვირილი, აურ-ზაური. ივან-კავკასკიმ მოუწოდა ხალხს მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, ნუ აყვებით ბოიკოტისტებს, ჩვენ არავინ არ დაგვიპყრია, პირიქით გაგანთავისუფლეთ. გამოდით უპარტიოთ. ვიმუშაოთ ერთად ანტანტის წინააღმდეგო.

მის მოწოდებამ გამოიწვია დიდი ხმაურობა. სურათი მეტად დამაფიქრებელი იყო. შეიარაღებული ხალხი, მღელვარება, „ჩეკისტები", ტრიალი ერთი მეორეში არეულიყო.

განცხადებისათვის სიტყვა ითხოვა მუშა თევზაძემ. მას ერთ ერთი მხრით ხელს უშლიდნენ საარჩევნო რაზმები. მხოლოდ მუშები ტაშით აჯილდოვებდენ.

მიუხედავად ხელის შეშლისა და ბოლოს სიტყვის წართმევისა ისტორიული განცხადება გააკეთა, სრულიად უბრალო მუშამ ნ. თევზაძემ, რომელმაც აღნიშნა:

„დღეს თბილისის მუშების სახელით, მუშების მტრები აკეთებენ და ასრულებენ თავიანთ უსამართლო საქმეს ჩვენს დაჩაგრულ ქვეყანაში. ნიკოლოზი მეორის დროს, აი, ამ შავს სახელოსნოში ჟანდარმების წინაშე ჩვენ, მუშებს გვქონდა საშვალება არჩევნებში თავისუფლად მიგვეღო მონაწილეობა, ფარულ კენჭის ყრით, გვქონდა ნება გამოგვემუშავებია ჩვენი პლადფორმა, გვქონდა ნება გვეთქვა სიტყვა, არჩევნების დროს მაინც თავისუფლად და გვქონდა ნება საკუთარი სია წამოგვეყენებია. დღეს კი ასეთი თავისუფლებაა, რომ ხვალე დილა მე „ჩეკის" სარდაფში გამითენდება და ჩემი ოჯახი უპატრონოდ დარჩება, აქ გამოსვლისათვის. თქვენი მობრძანების შემდეგ ბატონო კომუნისტებო, ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ეროვნული თავისუფლება, არამედ ყოველივე ისიც კი, რაც ნიკოლოზის გვქონდა. დავკარგეთ არა მარტო უფლება და თავისუფლება, არამედ აი, ეს ოჯახიც, ეს სახელოსნოც, სადაც თავ შეყრილი იყვნენ მუშები, სადაც იყო ერთი მილიონი მუშათა ოჯახი, სადაც ერთად ვიბრძოდით მუშები რამოდენიმე ათეულ წლობის განმავლობაში სოციალიზმისათვის. დღეს ეს ოჯახი დანგრეულია. გადამწვარია და აქ მეფობს მძიმე მწუხარება. მითხარით, სადღა არიან ის მუშები, რომელნიც ათეულ წლობით აქ ცხოვრობდენ, ერთად იბრძოდენ, ერთად წინ მიდიოდენ, ერთად იტანჯებოდენ. რატომ დაშალეთ დაანგრიეთ ნაძალადევის დიდი ოჯახი... თქვენ ბატონო კომუნისტებო, სამოთხეს გვპირდებოდით და ჯოჯოხეთში გადაგვყარეთ... თქვენ გადაასახლეთ ათასობით მუშები, თქვენ დაითხოვეთ და თბილისიდან გარეკეთ ამ ოჯახიდან, თვის ბინიდან ასობით, რომელთაც აქ დაუღვრიათ ოფლი, აქ დაუქცევიათ სისხლი, აქ უშრომიათ, აქ უბრძოლიათ. თქვენ მოგვაშორეთ ჩვენი მოწინავე მუშები. ტყვეთ სტანჯავთ - ციხის ბნელ სარდაფებში. თქვენ გაამეფეთ საშინელი რეჟიმი, თავდასხმა და ათი თვის შემდეგ მიზანს მიაღწიეთ, აქ დღეს მუშათა კლასის მაგიერ - ხედავთ იმ საშინელ სურათს, რომელიც თქვენმა ნაყოფმა მოიტანა. ჩვენ - გვქონდა ორგანიზაციები, გვქონდა პარლამენტი, გვქონდა წესწყობილება, ჩვენი ნებით და სურვილით მოწოდებული. მისი შეცვლა ჩვენი საქმე იყო. ეს ჩვენი უფლება თქვენ მიითვისეთ, უცხო ჯარებით შემუსრეთ.

რა მოიტანეთ თქვენ. ჩვენ ნაძალადევის მუშები მუდამ გამსჭვალული ვიყავით ინტერნაციონალური გრძნობით, სხვა ხალხების სიყვარულით, პატივისცემით, ძმობით. ეხლა თქვენმა მოქმედებამ შემოიტანა მტრობა, შუღლი. ჩვენ ქართველ მუშებს დაგვცინიან, გვდევნიან, აღარ გვალაპარაკებენ, ჩვენზე - შურს ძიობენ და ყოველივე ეგ უბედურება, ჩვენ დაგვატყდა და გვატყდება თავს, სამართლიანი უნდობლობა დასთესა ჩვენში, რომელიც დამაფიქრებელია და

საქართველოს ეროვნული არქივი

რომელიც მიმართულია თქვენს და თქვენი ხიშტების მიმართ.

ისტორია განსჯის ყოველივე ამას. ჩვენი დიდი ტანჯვა, უბედურების შემდეგ თქვენ გინდებიან ჩვენი სახელით ქვეყანა დაატყუოთ, შეცდომაში შეიყვანოთ, მაგრამ ამას თქვენ ვერ ჩაიდენთ, რადგანაც ჩვენ თქვენთან არ ვართ ქართველი მუშები, ქართველი ერი არ იცნობს იმ ძალას, რომელმაც შემუსრა საქართველო, არ ღებულობს მის კანონებს, მის წყობილებას.

მე დავალებული მაქვს არ შეგიშინდეთ დღეს თქვენ და აქ მოგროვილ უცხო ხალხს, შეიარაღებულ რაზმებს, „ჩეკას“ და გაგინცხადოთ თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს დეპოს მუშების სახელით შემდეგი: თქვენ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს იწვევთ, ქართველი ლაშქარი გააუქმეთ. თქვენი საბჭოები დარჩებიან უცხოელების, რუსის ჯარების საბჭოები. ამ არჩევნებში ჩვენს მუშათა კლასის, ქართველი მუშების ხმას ვერ მიიღებთ, ჩვენ არ შეგვიძლია ეს ისტორიული დანაშაულობა, ღალატი ჩავიდინოთ, თუმცა ამის სურვილი დიდია თქვენში. დღეს თქვენ ხედავთ ქართველ მშრომელ ხალხს, გარეთ დარჩით და ხვალ მსოფლიო ხალხები გაიგებენ, რომ თქვენ თქვენი წმინდა კომუნისტური საბჭოებით დარჩით მარტოთ, რუსის ჯარზე დაყრდნობილი. მრავალი ათასი მუშების სახელით ჩვენ პროტესტთან ერთად საქვეყნოთ ვაცხადებთ - ქართველი მშრომელი ხალხი მონაწილეობას არ იღებს დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობელთა არჩევნებში და ერთსულოვანი ბოიკოტით ხვდება დამპყრობელთა უკანასკნელი ცდას“.

მუშა **თევზაძის** განცხადების შემდეგ კრება იშლება, მუშები იფანტებიან. კომუნისტები აცხადებენ თვის სიას. არის ყვირილი, შეიარაღებულთა ხმაურობა. რამოდენიმე კაცი ხელს სწევს სტუმრებთან ერთად. სიას არჩეულად აცხადებენ. ამ „არჩევნებით“ აირჩიეს 15 წევრი საბჭოსათვის და მათ შორის **ბუდუ მდივანი**.

მთავარ სახელოსნოდან, დეპოდან, სადგურიდან კომუნისტების რაზმები დაღონებული დაბრუნდენ.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში ასეთი სამწუხაროთ შედეგები მიიღეს კომუნისტებმა.

სინამდვილეში დამწუხარებული კომუნისტები თავის გაზეთებით დაინუგეშენ და ათ თერთმეტ დეკემბერს გაზეთ „კომუნისტ“ და „პრავდა გრუზ“ /N-234, N-234/ აცხადებდენ: „მთავარ სახელოსნოში ერთხმად აირჩიეს კომუნისტების სიაო. დეპოში ათასზე მეტი დაესწრო /ეს იმ დროს, როცა ათასამდე ძლივს ადის საერთო რიცხვი მივლენილ მუშებიანებ/ და ერთის წინააღმდეგ გავი- და კომუნისტებიო. რკინის გზის საავადმყოფოში 127 კაცმა აირჩია ორივე ჩვენი კანდიდატებიო. სადგურში, მოძრაობის დარგში, საერთო ხაზის მუშების არჩევნებს 2779 კაცი დაესწრო, და ათის თავდაჭერით ერთხმად ჩვენები აირჩიესო და სხვა და სხვა.

ასე შორს წავიდა კომუნისტების მოურიდებლობა. ზოგან ისეთ ციფრს იღებენ და აცხადებენ, რომ დაწესებულებებში არც კი იყო. მაგ. სადგურ-მოძრაობაზე 3.000-დეა ნამდვილი სიით. გამოირკვა საარჩევნო დღეს ყოფილა 2779 კაცი. აქედან ბათუმ-ბოჯომ-ბაქო-როსტოვ-ერევნის მატარებლებზე მივლინებაში, ხაზებზე სამუშაოდ იმყოფებიან არა ნაკლებ 65%-ტისა ყოველდღიურად. კომუნისტებს კი კანცელარიიდან პირდაპირი სიის საერთო რიცხვი ამოეწერათ და გამოეცხადებიათ.

ასეთი იყო სინამდვილე.

საქართველოს ეროვნული არქივი

ასეთი დარჩა მათი ოფიციალური ზღაპარი.

გავყვეთ ფაქტებს.

ნაძალადევის თეატრის, სახელოსნოების, სასადილოების მუშა-მოსამსახურეები არჩევნებისათვის კომუნისტ **აზრუბელაშვილმა** და **ნამურაძემ** შეიარაღებულთა დახმარებით მორეკეს საარჩევნო დარბაზში. ძლიერი რეპრესიების ქვეშ 340 კაციდან ძლიეს 120 მოიყვანეს. დარბაზში შეიქნა აურ-ზაური, გინება, წაწევ-წამოწევა. ვიღაცამ დაიძახა ხმაურობაში კომუნისტების სია გავიდაო და კრებაც ყვირილით დაიშალა. „პრავდა გრუზია“ /N-234/ კი აცხადებდა 300 კაცი დაესწრო და ერთხმად აირჩიეს ჩვენი კაცები აზრუბელაშვილი და ნამურაძეო.

ავლაბარში კალნიცის ზაოდში მხოლოდ 22 კაცი გამოცხადდა არჩევნებზე.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა კრება შემთხვევით შეაგროვეს. სახელოსნოდან მუშები გამორეკეს, კონდუქტორები, ვატმარები, მეისრეები. სამუშაოზე გასულნი საარჩევნო ადგილისაკენ წაიყვანეს. მიუხედავად მოულოდნელად თავდასხმისა, 860 მუშიდან ძლიეს 165-დე მირეკეს. მირეკილებმა ასტეხეს საპროტესტო ყვირილი. ჩვეულებრივად ვიღაცამ სწრაფად სია წამოაყენა და კომუნისტური სია არჩეულად გამოაცხადეს.

ნამდვილი ამბავი ასეთი იყო, მხოლოდ 8 დეკემბერს გაზეთი „კომუნისტი“ და „პრავდა გრუზია“მ /N-231-232/ გამოაცხადა „ტრამვაის მუშების და მოსამსახურეების კრებას 698 კაცი დაესწრო და ერთხმად აირჩია კომუნისტური სიაო“. ციფრები ყველგან ლამაზად მოყავდენ!

ასევე ჩაატარეს მეტალისტების კრება სადაც არჩეულად ბატონი **სტალინი** და **ენუქიძე** გამოაცხადეს.

ნავთლუღის მე-6 საპოლ. უბნის მილიციის მოსამსახურეებიდან, ტყავის, კონსერვის, საპონის ქარხნებიდან 500 მუშიდან არჩევნებზე ძლივს შეაგროვეს 50-დე კაცი, რომლიდანაც მხოლოდ 13 კომუნისტმა მისცა ხმა მათვე სიას.

7 დეკემბერს კი ქალაქის სასაკლაოს 260 კაციდან არჩევნებისათვის დაამწყვდიეს 60-დე კაცი, რომლებმაც უარი განაცხადეს გარდა 20 კომუნისტებისა.

ნავთლუღ-კახეთის რკინის გზაზე დილიდანვე მოვიდა შეიარაღებული კომუნისტ ჩეკისტები. გამოაცხადეს, რომ „დღეს ირჩევა ტანისამოსის დარიგების კითხვა და ყველამ დაესწროსო“. მიღებულ იქმნა რეპრესიული ზომები. დატრიალდენ ჩეკისტები, მაგრამ არც ერთი მუშა არ მოვიდა. მუშებმა განაგრძეს მუშაობა, რადგანაც კომუნისტებისათვის მდგომარეობა შეიქმნა სერიოზული, სასწრაფოდ გაგზავნეს სალოღლისაკენ ვაგონები და გზიდან ჩამოიყვანეს ორ საათამდე 39 თათარი მუშა, მხოლოდ არც ერთი ქართველი არ გამოყოლოდა. აი ამ თათრებს მიემატა ათი ჩეკისტი, მისული კომუნისტები, ნავთლუღში მყოფი წითელ არმიელები და საარჩევნო კრებაც გაამზადეს. მაგრამ თათრებმა მაშინ ვეღარაფერი გაიგეს რაში იყო საქმე და წამომყვანელთ მოსთხოვეს „ჩვენ აქ ტანისამოსებისათვის ჩამოგვიყვანეთ და მოგვეცითო“. სამ საათზე არჩევნები მოათავეს. რამოდენიმე ათას მუშის ნაცვლად კომუნისტური სია მათვე მიიღეს.

8 დეკემბერს მოიწვიეს კრება შრომის სახალხო კომისარიატის, სოციალური უზრუნველყოფის, რუსეთის კოოპერატივების, ადერბეიჯანის, სომხეთის წარმომადგენლობის, კავბიუროს, კომუნ. ცეკას, თბილისის კომსომოლას, 6 და 8 პარტიის ბიუროების, საქართველოს და თბილისის სამაზრო რევკომების, ამიერ კავკასიის ენეშტორგის, სოვნარხოზის, ჩეკის წევრების, თანამშრომლების,

საქართველოს ეროვნული არქივი

აგენტების, მოსამსახურეების. ეს იყო ნამდვილი რუსული, სომხური და ქართულ კომუნისტების, აგენტების, არმიელების თავყრილობა, კრება დამპყრობლებისა. იქ აღარ მოსჩანდენ ქართველები, გარდა თ. ღლონტისა. კრება იყო შურის ძიებით გაჟღენთილი. ილაპარაკა **მდივანმა, ორახელაშვილმა.** ორახელაშვილმა აღნიშნა თავის სიტყვაში: „ჩვენ დღეს აქ გვესწრება ბულგარეთის წარმომადგენელი, რომელმაც ერთი გემი თეთრი ფქვილი მოგვიტანაო“. და კრებას აჩვენა ბულგარელი. კრება იყო თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული. ისმოდა დაცინვა, რუსული გინება სხვა და სხვა პარტიის ხსენებაზე. მიუხედავად შეიარაღებულ-სამხედრო განწყობილებისა სოც. ფედერ. და სოც.-დემ. მუშ. პარტიების წარმომადგენლებმა გააკეთეს შემდეგი განცხადება: „ჩვენ თანახმად იმ მუშა-მოსამსახურეთა დავალებით, რომელნიც აქ, ამ დარბაზში დღეს არ ესწრებიან გაცნობებთ თქვენ და ქვეყანას შემდეგს:

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნები ხდება ისეთ პირობებში, როდესაც ერთ მხრივ ქალაქი ავსებულია უცხო ელემენტებით - რუსეთის წითელი ჯარით და სხვა სახელმწიფოებიდან გადმოყვანილ მუშა-მოსამსახურე-ჩინოვნიკებით, ხოლო მეორე მხრივ თბილისიდან ბევრი მუშა-მოსამსახურე გადახვეწილია სხვა სახელმწიფოებში და ბევრიც გაძლიერებულ რეპრესიებისა და პოლიტიკურ დევნის გამო გარიყულია საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზიდან. ამასთანავე საარჩევნო ინსტრუქციის ძალით: 1/ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ენიჭება ყველას განურჩევლად ქვეშევრდომობისა, რაც შესაძლებლობას აძლევს ყველა გამვლელ-გამომვლელს და უცხო ელემენტებს თავისი სურვილი გაასაღონ თბილისის მშრომელთა ნება სურვილებით, 2/ არჩევნების დროს არ არის დაცული თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან საარჩევნო მეტრი ზოგან 150-200 ამრჩეველით განისაზღვრება, ზოგან კი 500-ით, 3/ არ არის დაცული ყველა სოციალისტურ პარტიების მიერ აღიარებული და რევოლიუციონურ ბრძოლის პრაქტიკაში განმტკიცებული, ფარული და პროპორციონალური ხმის მიცემის უფლება, რაც მოქალაქეს შესაძლებლობას უსპობს თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება სურვილები.

საბჭოთა დაწესებულებებში ქართველ თანამშრომელთა საზოგადო კრებების სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების საშვალებით გაცნობებენ, რომ ასეთი წესით მომხდარი არჩევნები ვერ მიაღწევენ მიზანს და ასეთ პირობებში არჩეული თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო არ შეიძლება იქნეს სწორი გამომხატველი თბილისის მშრომელთა კლასის ინტერესებისა.

კრება წინასწარ უნდობლობას უცხადებს ასეთი წესით უცხო ელემენტების მიერ არჩეულ ორგანოს, უარს ამბობს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და აღიარებს, რომ მხარის დაჭერა ასეთი არჩევნებისათვის იქნება თბილისის პროლეტარიატის უფლება უზურპაცია და მოღალატეობა საქართველოს მთელი დემოკრატიის წინაშე“.

3 დეკემბერს მოიწვიეს ტოლეს, ხარგაროვის, ბასენცოვის, ხლატარგოვის და ორთაჭალის მებაღეების კრება არჩევნებისათვის. წინასწარ მიღებულმა ზომებმა ვერ გასჭრა. მორეკეს მხოლოდ 450 მუშიდან 89 კაცი, რომლებმაც უარი განაცხადეს არჩევნებზე. სამაგიეროდ უარი დარჩა უარად. სტუმრებმა აასრულეს მასპინძლების საქმე. კომუნისტური სია არჩეულად, ოფიციალურად გამოაცხადეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

8 დეკემბერს მოხდა სახალხო გამოკვების კავშირების კრება. 2.600-კაციდან დაესწრენ 600-დე. ამათში იყო მხოლოდ 7 ქართველი. სამაგიეროდ დამსწრენი იყვნენ რუსის ჯარის კაცები.

აბანოებში მოსამსახურეთა არჩევნებს არც ერთი ქართველი არ დასწრებია.

6 დეკემბერს ადელხანოვის მუშებს ორ საათზე კარები ჩაუკეტეს. ორახელაშვილი მოვიდა მთელი ამალით. წინასწარ მიღებულ ზომებმა ნაყოფი ვერ გამოიღო. ქარხანაში კრება ვერ შეაგროვეს. იყო ლანძღვა და გინება. დამუქრებით გათავდა საქმე. ხელი ვინ ასწია გამოურკვეველია. მხოლოდ არჩევნები დასრულებულად გამოაცხადეს.

საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურენი სამ საარჩევნო უბნად დაჰყვეს. სამივე ადგილას ჩეკა, რევკომი, ცეკა თავისი თანამშრომლებით წითელ არმიელებით იღებდენ მონაწილეობას. წინდაწინ ყველას აწერიებდენ ხელს დასასწრებად, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკს სასჯელით ემუქრებოდენ, მაგრამ ქართველებიდან აღარავინ ესწრებოდა მაგ. დრამის თეატრში 4.000 კაცის ნაცვლად 300-დე კაცი დაესწრო. ეს კრება იყო როგორც სხვა კრებები წმინდა დემონსტრაცია ქართველ მშრომელ ხალხის წინააღმდეგ მიმართული. ამ კრებაზე განცხადებისათვის მისულ სოც-ფედ. პარტიის წარმომადგენელს ქ. რაჭველიშვილს ბატონ ქავთარაძის პროვოკაციის გამო ნება არ მისცეს და პირიქით საფრთხეს ძლივს გადარჩა. ს. დ. მ. პ. წარმომადგენელმა ძლივს შესძლო განცხადების დამთავრება. ბუდუ მდივანმა მას პირადი შეურაცყოფა მიაყენა.

კოოპერ. მოსამსახურეთა კრებამ ს. დემ. **ნაჭყეპიანის** განცხადების შემდეგ საარჩევნო დარბაზი მიატოვა და იქ დარჩა მხოლოდ 40-დე კომუნისტები და შეიარაღებულები.

მე-3 ნაწილში საბჭოთა მოსამსახურეების კრებაზე 1000-დან 200-მა უცხოელმა მისცა ხმა კომუნისტურ სიას. ს. დ. სოც. ფედ. ესერებმა და სხვებმა კრება განცხადებით მიატოვეს.

მე-4 ნაწილში სრულიად გარეშეებმა მოიყარეს თავი, სადაც საქართველოს ყველა სოციალისტურ პარტიების სახელით ს. ფ. მ. მეუნარგიამ პროტესტი განაცხადა და ბოიკოტი აცნობა კრებას.

8 დეკემბერს მედიკო-სანტრუდის საარჩევნო კრებაზე სრულიად სხვებმა მოიყარეს, დარბაზი გაიჭედა მე-II და ცალკე კავკასიის არმიების სანიტარული რაზმებით, ჩეკისტებით, არმიელებით. კომუნისტ ორატორების შემდეგ თედო ღლონტმა დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ასე წარმოიდგინეთ რუსებმა ხმაურობა აუტეხეს, ლაპარაკის ნება არ მისცეს. რუსები ძლივს დააწყნარეს და ორახელაშვილის ახსნის შემდეგ, რომ „თედო ღლონტი მათი კაცია“, დაწყნარდენ და მოუსმინეს. ამავე კრებაზე მიუხედავად მძიმე პირობებისა სოციალ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების წარმომადგენელმა, რომელნიც გაგზავნილნი იქნენ განცხადებისათვის შესძლეს განცხადების გაკეთება და დიდ ხმაურობა გინებაში, თუმცა იმავე დარბაზში დაატყვევეს ჩეკისტებმა ათი კაცი და ჩეკაში წაათრიეს.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების პირველი კრება 2 დეკემბერს სრულიად არ შედგა. გამოცხადდა მხოლოდ საარჩევნო-სამხედრო რაზმი და ათი კომუნისტი. 8 დეკემბერს კი მუშა-მოსამსახურეები ერთად შერეკენ. ილაპარაკა ყველამ და თედორე **ღლონტმა.** კრებაზე განცხადებები გააკეთეს საქართველოს

საქართველოს ეროვნული არქივი

სოციალისტურ პარტიებმა ბოიკოტის შესახებ. კრება გათავდა აურ-ზაურში.

ბოლოს სტუმრებმა გამოაცხადეს ასარჩევთა სია, ასწიეს ხელი ისევ სტუმრებმა და ჩეკისტებმა. კრება გათავებულად ჩასთვალეს.

ძნელია ყველა იმ უწესოების აღწერა, რაც მოხდა არჩევნების დროს. ვინც სიტყვა ამოიღო ყველანი დაიჭირენ. ყველგან სკანდალი და ცემით გათავდა კრება. ყველგან ჩეკა, რუსები, რევკომები თავის რაზმებით მიდიოდენ და კიდეც იღებდენ მონაწილეობას, კიდეც ირჩევდენ თავის თავს. მუშათა უბნებში ჩადენილმა უსამართლობამ, უზრდელობამ ყოველგვარი საზღვარი დაჰკარგა და არც სახალხო სოციალ-კულტურის მომუშავენი დაინდეს.

აი, როგორ აგვიწერს სრულიად უპარტიო განათლებული ადამიანი ბუდუ მდივნის თავდასხმას:

„9/12 საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა დარბაზში დანიშნეს აღნიშნულ კავშირში საბჭოთა არჩევნები. 6 საათის მაგივრად, კრება გაიხსნა 8 საათზე, მიზეზი ის იყო, რომ ხელისუფალნი უცდიდენ პარტშკოლების რუსულ მოწაფეთა არმიელებს, რომლებმაც თითქმის გაავსეს დარბაზი და დაიწყო კრება. დარბაზში დაახლოვებით იყო 450-კაცამდე, აქედან ქართველების რაოდენობა უდრიდა 50-ს დაახლოვებით. ამათში ერიათ სოციალ-დემოკრატიულ და სხვა პარტიის წარმომადგენლები, რომელთაც დავალებული ქონდა ან ინფორმაცია ან განცხადება ბოიკოტისა, დანარჩენი იყვნენ უცხო ელემენტები და შიგ ერია თედო ღლონტის ჯგუფის წევრები. კრება გახსნა თავმჯდომარემ და სიტყვა მისცა მთავრობის თავმჯდომარეს ბუდუ მდივანს, რომელმაც მთელი რისხვისა და ლანძღვა-გინებისა თავს დაატეხა ქართველ მასწავლებლობას და განსაკუთრებით მენშევიკებს. ნამდვილი ცირკის ფალავანდი ყოფილა მთავრობის თავმჯდომარე, დარბოდა, ყვიროდა, იმუქრებოდა, თვით ფიზიკურ განადგურებითაც კი იწევდა მოწინააღმდეგესაკენ. სცენაზე გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი **გ. ნაკაშიძე.** მან გრძნობით აღსავსე მჭექარე ხმით გადასძახა კომუნისტებს, რომ ასეთ სამარცხვინო არჩევნებში მისი პარტია მონაწილეობას ვერ მიიღებს. სიტყვები გაისმის: „დავოლნო, ბიტ ეგო“ და სხვა... ტრიბუნაზე ადის ს. დ. მ. პ. წარმომადგენელი სევერ. ედიბერიძე. მისი გამოჩენა და რაღაც აუწერელი, ჯარის კაცთა ღრიანცელი ერთი იყო. ყურთასმენა არ იყო, „რასტრელიატ ეგო, არესტოვატ ეგო, ვ ჩეკა ეგო“ და სხვა. მიუხედავად ხელის შეშლისა, დინჯი სიტყვა იყო ედიბერიძისა. ედიბერიძის ლაპარაკის დროს კრებამ გონება დაჰკარგა და ჟინით მთვრალ ბრბოს დაემზგავსა. ედიბერიძემ მშვიდად განაგრძო ლაპარაკი. კომუნისტებს ამსხვრევდა თვით მათი ბელადების სიტყვით და მოქმედებით და ბოლოს აცხადებს სასტიკ ბოიკოტს იმ არჩევნების მიმართ, რომელსაც საშვალება არ მისცა მშრომელ ხალხს თავისუფლად მისულიყო არჩევნების ყუთთან და აერჩია თავის წარმომადგენელი. ბუდუ მდივანი გიჟს დაემზგავსა, ბრბოს გადახედა, მოთმინება დაჰკარგა და დაიყვირა: „ეტო შიპენიე დავივავშიხ სვოი ვეკ ზმიი“. ბრბო დაწყნარდა. ტრიბუნაზე ადის **გრ. გიორგაძე.** მეტად ზრდილობიანად დაიწყო თავისი სიტყვა, მარა ბრბო უკიჟინებს: „დალოი რენეგატოვ, იზმენიკოვ, ა კაკ ბილო 18 გოდუ“ და სხვა. გიორგაძე განაგრძობს: „ჩვენ გვინდოდა არჩევნებში მონაწილეობა მიგვეღო, მარა შეუძლებელი შეიქნა, რადგან არჩევნები არ არის სამართლიანი“. თუმცა სიტყვა ბოიკოტი არ უხსენებია, მარა ბრბო განაგრძობს ბობოქრობას... რამდენად მსუბუქი იყო მისი კომუნისტების მიმართ გალაშქრება, იმდენად ძლიერი იყო მოწინააღმდეგე.

საქართველოს ეროვნული არქივი

გიორგაძემ ვერ დაამთავრა სიტყვა, შემდეგ ლაპარაკობს მ. ორახელაშვილი და მოლაპარაკეებზე აქეზებს და ასისიანებს წითელ არმიელებს „თქვენ გეძახიან პროხოდიმცებს /მაწანწალებს/, თქვენ იმ ხალხს, რომლებიც შიშის ზარს სცემს მსოფლიო კონტრევოლიუციას. არმიელები /რომლებიც ბლომად იყვნენ/ წამოდგენ და რომ მოლაპარაკენი იქ ყოფილიყვნენ შეიძლება ხელის შეხებამდე მისულიყო საქმე. ორახელაშვილის შემდეგ გამოვიდა ტრიბუნაზე თევ. ღლონტი, მისი გამოჩენა და ქართველების ყვირილი „ძირს“ ერთი იყო, მაგრამ თედო ღლონტის თუჯის შუბლი შეეჩვია მისი ხალხის წინაშე იუდის როლში გამოსვლას. ღლონტმა გაამართლა კომუნისტები. უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ბუდუს, მარა აქ მაყურებელი სიცილს ვეღარ იკავებს. ნამდვილი მოჭიდავეა, შინელი გაუხდია, გული გადაეღეღა, მკლავები წაუთელავს, მუშტები შეუკუმშავს და იღრიალა. საშინელი შემაძრწუნებელი იყო სურათი მთავრობის თავმჯდომარის ამ როლში დანახვა. ძალა უნებურად პარალელს ავლებ ძველ და ახალ მთავრობის თავმჯდომარეების შორის და გულის ტკივილით მოვიგონებ წარსულ დროს...

პირად საკითხზე სიტყვას აძლევენ **კ. ნინიძეს.** ღრიანცელი ასტყდა. ერთ წუთს მიჩუმდა და კ. ნინიძემ დაიწყო: „ამხანაგებო, მოქალაქენო და ბატონებო“, მეტი აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი. „ვინ არის ბატონები, ჩამოაგდეთ - ძირს ეს კონტრევოლიუციონერი, ჩაკმინდე ხმა და სხვა“. ბუდუ ჩაერია საქმეში, მუშტი მოუღირა ნინიძეს და დაუყვირა „ვაში გასპადა ვ პარიჟე“. რომ ნინიძეს თადარიგი არ დაეჭირა მთავრობის თავმჯდომარის მუშტი პირდაპირ ცხვირში მოხდებოდა. ნინიძე შეეცადა სიტყვა „ბატონებო“ ქართულ ზრდილობით აეხსნა, მით მეტი მთავრობის თავმჯდომარის მიმართ, მარა ამაოდ. ნინიძემ რაღაც ილაპარაკა, მარა არაფერი ისმოდა და დარბაზი საგიჟედ იქცა.

არჩევნებიც თავის წესით მოახდინეს. გამოიტანეს სია და გამოაცხადეს არჩეულად“.

ქართული წითელი ლაშქარი ყველამ იცის ფაქტიურად აღარ არსებობს. ამავე დროს კომუნისტური პრესა ხშირად ლაპარაკობს ქართველ ლაშქარზე. და ეს იმ დროს, როცა ქართველი ჯარისკაცები გარდა ასამდე კურსანტებისა, გაერთიანებულ ოკას მოსამსახურეებისა არც კი არიან. საქართველოს ჯარის კაცებს, ოფიცრებს ამ დიდ საბედისწერო თამაში საშვალება არ ქონიათ მონაწილეობა მიეღოთ, რადგანაც მათი ორგანიზაცია დაშლილია.

გაზ. „პრავდა გრუზიი“ /N-233/ ოფიციალურად აცხადებდა „კრების დარბაზი სავსე იყო კურსანტებით, წითელ არმიელებით, თანამშრომლებით, დაესწრო 700-დე კაცი და ერთხმად აირჩიეს სამხედრო საზღვაო კომისარი ამხ. შალვა ელიავა, სამხედრო სკოლის უფროსი დანელია და კომუნისტ კურსანტი კაჭარავა“. ასე აცხადებს „პრავდა გრუზია“ იმ დროს, როცა იმ კრებაზე დაესწრო ყველანი /რიცხვით 190/ გარდა ქართველი ჯარის კაცებ-ოფიცრებისა, არ ყოფილა არავითარი არჩევნები, არამედ ბრძანება და უფროსების სია.

ქართული ჯარისკაცების სახელით რუსეთის ჯარის მეგზურმა ელიავამ თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოში დაიკავა ადგილი.

საქართველოს დედა-ქალაქში ქართველ ჯარის კაცებს, რომელნიც დრო-ებით კი დარჩენ მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ საარჩევნო მეტრით სამიც არ შეხვდებოდა. ეს სამი ადგილიც უფროს კომისრებმა დაიკავეს. სამაგიეროდ „საბჭოში“ თავი შეიყარა რუსის წითელ არმიელების რამოდენიმე ათი ათასის

საქართველოს ეროვნული არქივი

წარმომადგენელმა 99 დეპუტატმა.

იმ დროს, როცა არჩევნები ხდებოდა თავისებური ძალდატანებით, იმ დროს, როცა ხალხი მონაწილეობას აღარ იღებდა და კომუნისტების გამოსვლები სამარცხვინოდ თავდებოდა, კომუნისტები შიგნით ზნეობრივად და პოლიტიკურად დამარცხებულნი, ოფიციალურად თავის თავთან ერთად საზოგადოებას ანუგეშებდენ გაზეთებით. მაგალითად ნავთლუღის რკინის გზის არჩევნებზე, სადაც არც ერთ მუშას და არც მორეკილ თათრებს მონაწილეობა არ მიუღია, არჩეულად გამოაცხადეს ფილიპე მახარაძე, მ. ორახელაშვილი, „პრავდა გრუზია“ /11-12-21-N-235/ აუწყებდა ყველას: „საერთო კრებას 945 კაცი დაესწრო და ერთხმად აირჩიეს კომუნისტური სიაო“. ამავე ნომერში იყო მრავალი ასეთი ყალბი განცხადებები: ქალაქის სასაკლაოზე სხვა და სხვა დაწესებულებებზე.

„მედიკოსანტრუდის“ არჩევნებზე, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ და რომელსაც დაესწრო მხოლოდ გარეშეები და ისიც 650-დე „პრავდა გრუზია“ /N-233/ კი აცხადებდა 1.500 კაცი დაესწროვო.

არჩევნებზე ყველგან გაისმა საქართველოს მშრომელი ხალხის ძლიერი პროტესტის ხმა და მოთხოვნილება რუსის ჯარის გაყვანის შესახებ.

არჩევნებში საქართველოს მშრომელ ხალხს მონაწილეობა არ მიუღია.

არჩევნების ბოიკოტის ირგვლივ გაერთიანდენ საქართველოს ყველა სოციალისტური ეროვნული პარტიები.

მიუხედავად ძლიერი თავდასხმებისა და საარჩევნო დარბაზში ექცესებისა, დაპატიმრებისა, მუშებთან ერთად გამოდიოდენ სოც. დემ., სოც. რევ., სოც. ფედ. რადიკალები და სხვები. მათმა წარმომადგენელებმა ყველა კრებებზე გააკეთეს შემდეგი წერილობითი განცხადება:

„ვინაიდან ქალაქ თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების მიმდინარე არჩევნებში უმაღლესი ხელისუფლების მიერ სავსებით უარყოფილია:

1/ ელემენტარული უფლებები თავისუფალ არჩევნებისა;

2/ უკუგდებულია საერთაშორისო მუშათა კლასის მიერ ხანგრძლივი ბრძოლისა და გამოცდილების შემდგომ აღიარებული ოთხ ფორმულიანი სისტემის წესი არჩევნებისა;

3/ აღარ არის უზრუნველყოფილი ამრჩეველთა და არჩეულთა პიროვნება და მათ არა აქვთ არავითარი საშვალება გამოხატონ თავის ნების ყოფა გამოსთქვან აშკარად და გაბედულად თავისი რწმენა, დაიცვან ფართე მუშათა ინტერესები ენერგიულად და ღირსეულად.

4/ თბილისის ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესი და მისი საერთო შემადგენლობა ეროვნულად, პოლიტიკურად, ეკონომიურად, კულტურულად დაჩრდილულია უცხოეთიდან ასი ათასობით შემოხიზნული ძალების მიერ.

5/ არჩევნები ხდება იმ დროს, როცა ყოველგვარი თავისუფლებანი პრესის, სიტყვის, კრების, ორგანიზაციების მოსპობილია; საქართველოში მეფობს უცხოეთის ჯარი; თბილისში ქართველი მუშები განდევნილია სამოქმედო ასპარეზიდან და მოწინავე მუშები გადასახლებულ-დაპატიმრებულია.

6/ ამრჩეველთ ძალით ერეკებიან საარჩევნო კრებებზე. არჩევნების მთელი პროცედურა შეგნებულად გართულებულია, რაც გამოიხატა საარჩევნო კანონის დებულებებში, საარჩევნო ადგილის დროსა და რიგის გამოუცხადებლობაში, მის განზრახ არევ-დარევაში და

7/ მთელი ეს არჩევნები მიმდინარეობს სასტიკი კომუნისტური ტერორის

საქართველოს ეროვნული არქივი

ქვეშ. ამიტომ ჩვენ საქართველოს სოციალისტური პარტიები უარს ვაცხადებთ ამ არჩევნებში მონაწილეობაზე. ჩვენ თბილისის მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის სახელით სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ჩვენი ხალხის ასე აბუჩად აგდების წინააღმდეგ. უარყოფთ რა ამ არჩევნებს, უარყოფთ აგრეთვე ასეთი წესით თბილისის მუშათა სახელით, თვით მუშათა გარეშე მდგომ უცხო ჯარების, ელემენტების მიერ არჩეულ, ვითომ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებსაც. ქალაქ თბილისის „მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო" ვერ იქნება თბილისის მშრომელი მასის ნების გამომხატველი, რადგანაც ის მის განადგურების შემდეგ უცხო ძალების მიერაა მოწოდებული.

უარვყოფთ რა თქვენ არჩევნებს, ჩვენ საქართველოს სოციალისტური პარტიები გამოვხატავთ მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის, მუშათა კლასის ერის ნებას, რომელიც დღს შეგნებულად აღარ გამოდის თქვენს კრებებზე, თქვენს არჩევნებზე და არ სცნობს თქვენს კონსტიტუციას.

დღეს ქართველი მშრომელი ხალხი, მუშათა კლასი თქვენს და ქვეყნის წინაშე აცხადებს: „არ გვინდა დამპყრობელთა, მოძალადეთა ძალით ჩატარებული არჩევნები და მოითხოვს თვის შელახულ უფლების აღიარებას სამშობლოს განთავისუფლებას".

ყველა კრებებზე ამ განცხადებას ხვდებოდენ უცხოელები გინებით, ხმაურობით ჩაატარეს რა ასე „არჩევნები" კომუნისტებმა ქვეყანას აუწყეს გაზეთებით „ჩვენ გავიმარჯვეთ, ხალხი აღფრთოვანებით დაესწრო კრებებსო" „კომ." „პრ. გრ." (N-N-290, 230, 31, 32, 33, 34, 35).

პირველ ხანებში მათ ეგონათ საქართველოს სოც. პარტიები ბოიკოტს აღარ გამოუცხადებენო. მათ არჩევნები რამოდენიმე დღეში დაიწყეს და გაათავეს. სამწუხარო ბოლო მიიღეს. ყველგან ერთი სია იყო. სხვა სია არ ყოფილა. ამას თვით აცხადებდენ გაზეთებში ოფიციალურად.

პირველ ხანებში მათი სია წმინდა იყო. მხოლოდ შემდეგ, რომ დაიჩრდილენ საზოგადოებრივი აღშფოთება ყველა სიას თითო თითო კომუნისტს უპარტიო სახელწოდება მიაწერეს. და ზოგიერთ ადგილებში თედო ღლონტის ჯგუფის წევრს დაუთმეს ადგილი.

არჩევნების წინასწარი კომპანია ომით დაიწყეს.

ვალაპარაკოთ ფაქტები.

პირველ რიგში ივლისიდან დაიწყეს მუშათა კლასის მთლიან ოჯახის დარღვევა.

რკინის გზებიდან /თბილისის ნავთლუღ-კახეთის ხაზზე, სამმართველოებში, სადგურებში, საწყობებში/ უცხოეთში გაგზავნეს ადგილებიდან დაითხოვეს 25 ნოემბრამდე 4374 მუშა-მოხელე-მოსამსახურე.

ტრამვაის საუკეთესო მუშები, ქართველები 107 კაცი უადგილოდ დაითხოვენ ივლისში, კიდევ მოიშორეს 20 ნოემბრამდე 122 კაცი. ბევრი გადიმალა და ბევრი ჩეკა მეტეხში მოათავსეს.

მთავარ სახელმწიფო გარაჟში, არსენალში, ტოლეს, ადელხანოვის ქარხნებში, თამბაქოს ფაბრიკებში პირველ ნოემბრამდე დიდ ძალი ძველი მუშები დაითხოვენ ტყავეულობის სამკერვალოების, სახელმწიფო ფეხსაცმელების ქარხნებიდან მარტო აგვისტოში 463 ძველი მუშა მოიშორეს.

ამ ბოლოს სახელმწიფოს დაწესებულებებიდან სრულიად გარეკეს ქართული ელემენტები.

საქართველოს ეროვნული არქივი

სახელმწიფო ექსპედიციიდან სექტემბერში დაითხოვეს 78 ძველი მუშა, ყველა სტამბებში 4-8-დე მუშა დაითხოვეს ან დაიჭირეს.

შემოიღეს დეკრეტით თბილისის გაწმენდა, და თბილისი გასწმინდეს ქართულ მუშებისაგან, ქართულ ელემენტებისაგან. უცხოელთა რიცხვი მას შემდეგ გაიზარდა.

ივნისიდან I-ლ ნოემბრამდე პროფესიონალურ კავშირების არჩევნებმა იმსხვერპლა 850-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, რომელთაგანაც ბევრი დღეს ციხეებში სხედან.

ნოემბრიდან დათხოვნილთა, გარეკილთა და გადასახლებულთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ საერთოდ წინანდელზე უფრო განვითარდა ბოლშევიკების დაწყებული საქმიანობა ამ მხრით. 20 ოქტომბრიდან კი დაიწყეს მასიური რეპრესიები.

20 ნოემბრამდე დააპატიმრეს თბილისში 400-დე მუშები, მოწინავე მოღვაწეები, სოციალ-დემოკრატები.

პროვინციაში კი დაპატიმრებულთა რიცხვი სამი ათასამდე მივიდა. ასობით და ათასობით მიიმალენ მოქალაქეები, გლეხები, მუშები.

რეპრესიებმა დაჰკარგა ყოველგვარი საზღვარი.

თბილისის მთავარ სახელოსნო-დეპოში, სადაც 25 თებერვლამდე ქართველ მუშების რიცხვი 96 1/2%-უდრიდა, 20 ნოემბერს 31%-დე დავიდა, ე. ი. 20 ნოემბერს 1.460 კაცამდე ძლივს უდრიდა.

ერთი მხრით გაანადგურეს რა მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები, მეორე მხრით მოყარეს დიდ ძალი უცხოელები და შეუდგენ აგიტაციას.

კომუნისტურ გაზეთებში შავი დიდრონი ასოებით იბეჭდებოდა განცხადებები მენშევიკების, ფედერალისტების და სხვა ანტიბოლშევიკური პარტიების დასარბევად. ამავე დროს ყალბი ცნობები პურის, მატერიის შესახებ. პირველი გვერდები „პრავდა გრუზიის“ „კომუნისტის“ /N-N224, 25, 6, 7, 8, 9-30/ დაკავებული ქონდა შემდეგნაირ განცხადებებს.

„მენშევიკებმა კონტრევოლიუციასთან ერთად გაყიდეს მუშათა და გლეხთა საბჭოების რუსეთი.

მენშევიკებმა დაეხმარა თეთრ გვარდიელთა გენერლებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკებმა გადასცა საქართველო გასაძარცავად იმპერიალისტურ ანტანტას.

მენშევიკებმა გაყიდეს საქართველოს მუშები და გლეხები და ლონდონ პარიზის ბანკირების მონებათა აქციეს.

მენშევიკებმა გაძარცვეს საქართველოს ხალხი და გაიქცენ.

მენშევიკები საზღვარ-გარეთ ამზადებენ კონტრევოლიუციონურ ძალებს საბჭოთა საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშებო, გლეხებო, წითელ არმიელებო! განა შეიძლება ასეთი მოღალატე, გამყიდველი მტრები დაუშვათ ჩვენს უფლების ორგანო-საბჭოში,

საბჭოში არა აქვთ ადგილი მენშევიკურ თეთრ გვარდიელებს!“

იწერებოდა მრავალი პროგრამული წერილები.

რუსის ჯარის კაცები, ყოფილი შავრაზმელები და შემდეგ გაკომუნისტებული აშკარა ნაციონალურ დაცინვას ეწეოდენ.

ერთი მხრით მიდიოდა ბრძოლა ქართველი ერის წინააღმდეგ, მეორე

საქართველოს ეროვნული არქივი

მხრივ დაიწყეს გაზეთებში ყალბი ცნობების გამომზეურება დიდრონი ასოებით პირველ გვერდზე:

28 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე გრძელდებოდა ასეთი ცნობები. მაგ. „კომუნისტი“ და „პრავდა გრუზია“ /N-N-227, 228/ აცხადებდენ „პური მოდის, პური ამიერ კავკასიისათვის.

გუშინ მიღებულია ცნობა რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატიდან, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ბათუმში ამიერ კავკასიის საჭიროებისათვის მოვა კიდევ 11.700- ტონა პური ე. ი. 700.000 ფუთი.

რ. ს. ფ. რ. საგარეო კომისარიატის ვაჭრობის და გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ 15 ოქტომბრიდან შესყიდული პურის რაოდენობა უდრის 2.230.000 ფუთს.

ამ ნაირად პურის საერთო რაოდენობა 1.000.000 ფუთთან ერთად, რომელიც უკვე შემოდის უკრაინიდან, შეადგენს ამიერ კავკასიის ხალხისათვის 3.230.000 ფუთს“.

ასეთი განცხადებებით კვებავდენ ხალხს.

I-ლ დეკემბრიდან დაიწყეს პურის ულუფის გადიდება. ეს იმ დროს, როცა მუშებს ულუფა რამოდენიმე თვეობით არ მიუღიათ. გადიდებული ულუფა გაგრძელდა „საბჭოს საზეიმო სხდომამდე“ და 11 დეკემბერს ძველი სინამდვილე უპურობისა აღსდგა. ყოველივე ზომები მიიღეს მაგრამ ქართველი მუშები ვერ ჩაითრიენ.

არ გამოდგა რეპრესიები, არ გამოდგა დაპირება პურით.

ხალხმა ბოიკოტით გასცა პასუხი.

10 დეკემბერს გაიხსნა პირველი კრება „მუშათა და არმიელთა საბჭოსი“. იმ ამბების შემდეგ, რაც მოხდა თბილისში ორჯონიკიძემ უტიფრად აღნიშნა თავის სიტყვაში: „ხვალ ევროპაში ბურჟუები წაიკითხავენ რადიოს, იქ სადაც გუშინ მენშევიკები ბატონობდენ, იქ სადაც ფრანგებმა და ინგლისელებმა მსოფლიო კონტრევოლიუციის კავკასიის განყოფილება გახსნეს - თუ იქ მუშები საბჭოთა მთავრობას უჭერენ მხარს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საქმე წასულიაო“ „პრავ. გრუზ.“ /N-236/.

ამავე პირველ სხდომაზე საარჩევნო კომისიის სახელით მოხსენება წაიკითხა ყურულაშვილმა, რომელმაც მოიყვანა არჩევნების შესახებ სრულიად ზღაპრული ციფრები.

გავეცნოთ მას.

მისი მოხსენებით თბილისის მუშა-მოსამსახურეთა ოთხ რაიონში 35.648 ამრჩევლიდან მონაწილეობა მიუღია არჩევნებში 28.923 მუშა-მოსამსახურეს ე. ი. 77%-ს. ასე აცხადებს მაშინ, როცა კრებები და არჩევნები ისე ჩატარდა, როგორც ზევით აღვნიშნე.

აქვე უნდა შევნიშნო ცნობისათვის. არჩევნების დროს არ ყოფილა არავითარი რეგისტრაცია, არ ყოფილა არავითარი დამსწრეთა აღნუსხვა და ხმის მიმცემთა სათვალავი. ამ ციფრებმა თვითონ კომუნისტებიც დააფიქრა და გაიძახოდენ: „საჭირო არ იყოო“. არჩევნების შედეგი მოხსენებით ასეთი დარჩა: ქალაქის უბნებში აირჩიეს 252 წევრი, რუს-წითელ არმიამ 99 წევრი, სულ: 351 წევრი, აქედან კომუნისტი 305, უპარტიო 36, თედო ღლონტის 10.

ამაზე შორს აღარ წავა თავხედობა. ჯერ ერთი რუსის არმიელები ყველგან მონაწილეობას იღებდენ არჩევნებში და კერძოდ 99 ადგილი დაიჭირეს. მეორეთ

საქართველოს ეროვნული არქივი

არსად არავითარი სხვა სია არ ყოფილა. ყველგან ერთი სია იყო კომპარტიის წარმოდგენილი.

არჩევნები ფაქტიურად ჩაატარა რუსის ჯარის კაცებმა, მათმა ოჯახებმა, რევკომ-ჩეკა კომუნისტებმა.

მოხსენება კი ციფრებით აწყობილად გაამზადეს და ეს მაშინ, როცა კრებები თავდებოდა სკანდალით. ხმას არვინ ითვლიდა. სია ისე ცხადდებოდა.

I-ლ სექტემბერს მათივე სტატისტიკური განყოფილების ცნობით თბილისში იყო 38371 მოსამსახურე. ამაში არ შედიოდა რუსის ჯარის უცხოთა არმიის სხვა და სხვა ნაწილების რიცხვი, რომელიც რამოდენიმე ათასს არწევს.

I-ლ სექტემბრიდან სრულიად გადევნეს ქართველი მუშა-მოსამსახურეები. ცხადია სამაგიეროდ უცხოელებმა დაიჭირეს მათი ადგილები, მაგრამ ციფრების ასე ლამაზად დაწყობა შეუძლებელია, რადგანაც უკანასკნელ დროს სტატისტიკა არაა. ფაქტიური მდგომარეობა არჩევნების იყო საშინელი, დამაფიქრებელი კომუნისტებისათვის. ოფიციალურად სხვა ქვეყნებისათვის გამოიტანეს გაზეთებში, მაგრამ მათთვის არჩევნების შედეგი მაინც სამწუხაროა. ამ შეცდომას ისინი ხედავენ.

11 დეკემბერს თბილისის მუშებმა არჩევნების გამო საქართველოს მუშებს შემდეგი მიმართვა გაუგზავნეს:

„ძვირფასო ამხანაგებო, თბილისის მუშათა კლასმა და მთელმა ქართულმა დემოკრატიამ კომუნისტების უკანასკნელ გამოსვლას არჩევნების სახით ბოიკოტით შეეგება. არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ქართველ მუშას, ინტელიგენტს გარდა თ. ღლონტის მოღალატეთა ჯგუფისა.

ქართველი ერი ამ დიდი საკითხის გარშემო გაერთიანდა.

კომუნისტური გაზეთები კი ავრცელებენ ყალბ ცნობებს, ჭორებს ვითომ მათ არჩევნები ბრწყინვალედ ჩაატარეს. ჩვენ საშვალება არა გვაქვს ყველას ვაცნობოთ სინამდვილე და ფარდა ავხადოთ მათ სამარცხვინო გამოსვლებს.

თბილისის მუშათა კლასმა, რომელმაც I ნოემბერს ერთსულოვნად დაჰგმო მუშათა დელეგაციის დაპატიმრება და მოითხოვა ქართველი ერის უფლების აღდგენა, ასეთივე ბოიკოტით ერთსულოვნად შეხვდა კომუნისტურ არჩევნებს. თბილისის მუშებს, სოციალისტურ ინტელიგენციას და მთელ ქართველობას არ შეეძლოთ მიეღონ მონაწილეობა ისეთ არჩევნებში, რომელიც დაადასტურებდა დაპყრობილ საქართველოში დამპყრობელთა ძალადობას. 10 თვის განმავლობაში საქართველო დანგრეულია, ყველაფერი განადგურებულია. თბილისი დაცლილია მუშებისაგან. რეპრესიები და ტერორი მეფობს ყველგან. ციხეებში იტანჯებიან ხალხის საუკეთესო შვილები. ამ დროს მოსკოვის იმპერიალისტებმა განიძრახეს ჩვენში თავიანთი იმპერიალისტური მიზნებისათვის საერთაშორისო მოსაზრებით დაარსონ საბჭოები.

საბჭოებს კი ირჩევენ ფაქტიურად შემოსეული ძალები.

თბილისის მშრომელი ხალხი ამ მახეში არ გაება და თბილისის ეგრეთ წოდებული „მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოები“ დარჩენ მე-11 არმიის, რევკომის, ჩეკას და შემოსეულ ხალხის წარმომადგენლები.

გაცნობებთ რა ამას თქვენ იცოდეთ - მუშათა კლასმა ქალაქ თბილისის თვისი უნდობლობა გამოუცხადა მოსკოვის იმპერიალისტებს და ყოველ საარჩევნო კრებებზე დაჰგმო მათი მოქმედებანი და მოითხოვა საქართველოს უფლებების აღდგენა.

საქართველოს ეროვნული არქივი

დარბეულ ბათუმში, სადაც აღარ არიან ქართველი მუშები არჩევნები 6 დეკემბერს დაიწყეს კომუნისტებმა და 8-ს გაათავეს. არჩევნები ბათუმშიაც ისე ჩატარდა, როგორც თბილისში. იქ რუსების ჯარმა და უცხოელებმა მიიღეს მონაწილეობა. ქართველობამ ბოიკოტით შეეგება. არჩევნების წინა დღით გამოვიდა მოწოდება ქართველ ხალხისადმი, რომელსაც ხელს აწერდენ ყველა სოციალისტური პარტიები. ამ მოვლენამ ბათუმში დააფიქრა კომუნისტები. იქაც კომუნისტური საბჭო შედგა. 10 დეკემბერს გამოვიდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის შემდეგი მიმართვა ხალხისადმი:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!
საქართველოს მშრომელო ხალხო!

ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილი ბოლშევიკური მთავრობა განაგრძობს თავის ვერაგულ მოქმედებას. მას გადაუწყვეტია მოახდინოს მთელს საქართველოში არჩევნები, რომ ამ გზით მაინც დააკანონოს თავისი ავაზაკური საქციელი, ჩადენილი ქართველი ხალხის მიმართ. რას პირდებოდენ ბოლშევიკები ხალხს და რა მოუტანეს. უსაშინელესი ტერორი, გაცოფებული ჭერა და ხვრეტა, მშრომელი ხალხის ყველა უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ყველა თავისუფლების: კრების, სიტყვის, ბეჭდვის დამარხვა და დასამარება, გლეხების ოჯახებში მშიერი წითელ არმიელების ჩასახლება, ბოლშევიკები პირდებოდენ ხალხს გადასახადების მოსპობას ამის მაგიერ კი მათ შეაწერეს გლეხობას უმძიმესი გადასახადი: პური, ღვინო, კვერცხი, ერბო და სხვა.

ქართველი ხალხის სამი წლის ნაამაგარი ბოლშევიკებმა გაანადგურეს ერთი დაკვრით: გაიაფების მაგიერ მათ გააძვირეს ცხოვრება ასჯერ და ათასჯერ, დასცეს სრულიად ფულის ფასი და მოსპეს რკინის გზით მიმოსვლა. რესპუბლიკის მთელი ქონება მოსკოვში გაზიდეს. ქართველი ერის წმინდათა წმინდა და მისი სახელმწიფოებრივი ღერბი, მისი დროშა ტალახში ჩასწიხლეს, მისი ენა განდევნეს ყველა დაწესებულებებიდან. მოსკოვის მიერ დანიშნულმა ჯალათებმა გასწმინდეს დედა ქალაქი თბილისი საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთ მუშა-მოქალაქედგან, ხოლო ხალხის საუკეთესო შვილები, მისი მოამაგენი ჩაყარეს ციხეებში და ჩეკას ბნელ ნესტიან სარდაფებში. აღამაჰ-მადხანის დროსაც არ გამოუვლია ქართველ ხალხს ის საშინელი ტანჯვა, რომელსაც იგი განიცდის დღეს ბოლშევიკების ხელში. ქართველმა ხალხმა ეს ტანჯვა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ დღეებში იგრძნო და ზურგი აქცია მოძალადეებს. ვიზე ეყრდნობა ბოლშევიკური მთავრობა ჩვენში. რუსეთის ჯარის ხიშტებსა და რუსეთიდან გადმოხვეწილ მოხელეებზე, რომელნიც მტრები არიან საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამ მოღალატეების მთავრობას უნდა ამოარჩევინოს თავისი თავი ქართველ ხალხს და საკუთარი ხელით გაალესინოს მას თავისი დასაკლავი დანა, მაგრამ ქართველი ხალხი არც ისე ბრიყვია და შეუგნებელი, როგორც ეს გონიათ ბ-ონ ბოლშევიკებს. მან უკვე კარგად იცის ვინ არის მისი მტერი და მოყვარე. ის მთავრობა, რომელმაც აავსო ციხეები ქართველი გლეხებით და მუშებით და მათ ძვლებზე ააგო თავისი ბატონობა, დღეს ბედავს ილაპარაკოს მუშათა და გლეხთა არჩევნებზე,

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ჩვენ ვიცით რასაც ნიშნავს მათი არჩევნები, თბილისის მუშებმა უკვე იგემეს ამ არჩევნების სიმწარე, როდესაც მათ საარჩევნო კრებიდან პირდაპირ ჩეკის ბნელ სარდაფებში მიაქანებდენ თავისუფალ აზრის გამოთქმისათვის. მათი ადგილი საარჩევნო კრებებზე დაიჭირეს რუსეთიდან გადმოხვეწილმა ჯარებმა, მოხელეებმა და ჩეკისტებმა. აი, ვინ აირჩია თბილისის საბჭო.

ეხლა იგივე ამბები უნდა გაიმეორონ სოფლად. ასეთ ვერაგულ არჩევნებს ზიზღით შეხვდა ჩვენი მუშათა პარტია, რომელმაც მტკიცე ბოიკოტით უპასუხა საარჩევნო კამპანიას. საქართველოს მშრომელო ხალხო, მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო, ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება ეს არჩევნების გამასხარავებაა და ხალხის უფლების ფეხქვეშ გათელვა. თქვენ ამის ნებას არ მისცემთ ჩვენი მტრებს და ზიზღით და ბოიკოტით გასცემთ მას პასუხს. არც ერთი თქვენგანი არ გაეკაროს საარჩევნო დარბაზს, სანამ საქართველოდან არ იქნება გაყვანილი უცხო სახელმწიფოს ჯარები, ხიშტების ძალ-დატანების ქვეშ ქართველი ხალხი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას.

დეე იცოდენ ეს საქართველოს მტრებმა.

ძირს ბოლშევიკური მთავრობის თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი“.

არჩევნების შესახებ პროვინციებშიაც დიდი ამბებია.

22 დეკემბერს საქართველოში არჩევნებისათვის გამოიცა მეორე დებულება, რის ძალით არჩევნების უფლება ეძლევა ყველას ვინც ამ ჟამად საქართველოშია და რუსის არმიელებს.

აქედან ცხადია, რომ რუსის ჯარები და მათი ამალები ყველგან მოაწყობენ ანუ გადააკეთებენ თავიანთ ჩეკებს და რევკომებს საბჭოებად. ამ ჟამად ქართველი ხალხის ნაცვლად უცხოელები ირჩევენ საბჭოებს. ეს ტრაღიკომიკური მდგომარეობა გადადის სოფლებშიაც. კომუნისტები რჩება მარტოდ, უხალხოთ.

არჩევნებში მონაწილეობის არ მიღების გამო ევროპის ხალხებს საქ. სოც. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა შემდეგი მიმართვა გაუგზავნა:

„ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიას.

მუშათა ორგანიზაციებს და დემოკრატიას.

საქართველოს საოკუპაციო ძალა უფლებამ, ეგრედ წოდებულმა რევკომმა, დანიშნა საბჭოების არჩევნები. ამ არჩევნებს ყველა საქართველოში მომქმედ პარტიებმა /სოციალ-დემოკრატები, სოც-ფედერალისტები, დამოუკიდებელ-სოც.-დემოკრატთა ჯგუფი, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლიუციონერები/ ბოიკოტით უპასუხებს, ჩვენმა პარტიამ მიიღო მხედველობაში არა მარტო ის ყველასაგან ცნობი რეჟიმი, რომელსაც განიცდის საქართველო ოკუპანტების მიერ, არამედ შემდეგი გარემოებას; თბილისში მაგ. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა მე-11 არმია მისი მოსამსახურეებით და ოჯახებით, მათთან ერთად აუარებელი რუსეთიდან ჩამოსული მოხელეები და მათი ოჯახობა, რომელიც თვით ოკუპანტების აღიარებით შეადგენს 260.000 მოქალაქეს და ეს მაშინ, როდესაც ადგილებიდან დაითხოვეს აუარებელი ქართველები და გადაასახლეს. ამ ჩამოსულმა ხალხმა ერთხელ მიიღო მონაწილეობა რუსეთის საბჭოების არჩევნებში, მერმე აირჩია ბაქოს საბჭო ადერბეიჯანის დაპყრობის

საქართველოს ეროვნული არქივი

შემდეგ და ახლა საქართველოს სატახტო ქალაქში ირჩევს საბჭოს. ამავე დროს არჩევნებს წინ უძღოდა მძაფრი რეპრესიებით, მუშათა უბნებში მთელი კვირაობით აწარმოებდენ მასიურ პარტიებს, ციხეები აავსეს ხალხის საუკეთესო შვილებით, გაამეფეს საქართველოსთვის ჯერ არ ნახული ტერორი, საარჩევნო კრებებზე მიერეკებოდენ მუშებს და მოსამსახურეებს საგანგებო კომისიის განკარგულებით და საბოტაჟისათვის „ჩეკაში" გამომწყვდევის მუქარით ყველა კრებაზე ერთი და იგივე ხალხი ჩეკის აგენტები და რუსი წითელ არმიელები ესწრებოდენ ამომრჩევლებზე ძალდატანების მოსახდენად და თვითონაც ღებულობდენ არჩევნებში მონაწილეობას.

საარჩევნო კრებები ალყა შემორტყმული იყო საიდუმლო აგენტებით, გარდა კომუნისტურ სიისა არავის ქონდა უფლება წარმოედგინა მეორე სია, ხოლო თავის სიას კენჭსაც არ უყრიდენ და თავმჯდომარის შეკითხვის შემდეგ, რომელსაც დასტურს იძლეოდა ჩეკისტები, წითელ არმიელები და თითით ჩამოსათვლელი კომუნისტები. სია ერთხმად მიღებულად ცხადდებოდა. ეს ცინიკური დაცინვაა თვით საბჭოს არჩევნების სისტემის. ასევე ხდება სოფლებშიც, სადაც დამსჯელი რაზმებია ჩაყენებული.

ამას გარდა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკა თვით რუსეთის და სხვა დიდ სახელმწიფოების მიერ იურიდიულად დამოუკიდებლად ცნობილი, დაიპყრო რუსის ჯარმა და მიუხედავად ქართველი ერის სასტიკი წინააღმდეგობისა, დღესაც არ ტოვებს ჩვენს ტერიტორიას. ამ ჯარის და მათი ორგანოების მიერ მოხდენილი არჩევნები - შეურაცყოფაა ქართველი ერის ისტორიული უფლებების და ასეთ სამარცხვინო აქტში ჩვენი დემოკრატია მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

ჩვენ გვაქვს პრეცედენტი სამი წლის წინად ენვერ ფაშამ მოახდინა არჩევნები ბათუმში საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზედ. მაშინაც ჩვენმა პარტიამ და მთელმა ქართველმა ხალხმა ამ არჩევნებს ბოიკოტით უპასუხა და აიძულა ენვერფაშა ქედი მოეხარა სამართლიანობის და თანამედროვე უფლების შეგნების წინაშე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, განათლებულ ქვეყნების მოწინავე დემოკრატია ზიზღით შეხედავს ოკუპანტების შეტევას და ერთსულოვნად მხარს მისცემს მთელი ქართველი ერის მოთხოვნილებებს გაყვანილ იქმნას რუსის ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან რომ ქართველმა ერმა თავისუფლად გადასწყვიტოს თავისი ბედი.

საქართველოს სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

„20" დეკემბერი 1921 წ.

აი, მოკლედ სინამდვილე არჩევნების ირგვლივ მომხდარ ამბებისა.
თუ რა მოხდება პროვინციაში ამაზე შემდეგ.

ამხანაგური სალმით **მადონერი.**

28/12-21 წ.
ქ. თბილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 5, ფურცლები 1-14.

საქართველოს ეროვნული არქივი

1922

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ევგენი გეგეჭკორის წერილი აკაკი ჩხენკელს იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან საქართველოს საკითხზე წარმოებული მოლაპარაკების შესახებ
1922 წლის 2 იანვარი

2 იანვარი 1922

ძმაო აკაკი,

წუხელ აქ ჩამოვედი. რომის ამბებით მაინცა და მაინც ვერ გაგახარებ, თუმცა ორივემ ბონომიმ და დელა ტორეტამ გულდასმით მომისმინა, ჩემს ედ-მემუარსაც გულდასმით გაეცნენ, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ისინი ან სულ არაფერს გააკეთებენ ჩვენთვის და ან ძლიერ ცოტას. ჯარის გაყვანის შესახებ მინისტრმა პასუხით მიპასუხა: et bien, evouez-vous, que c'ect possible?[151] ეტყობოდა მეტის მეტად ფანტასტიურად ეჩვენა ასეთი ჩვენი მოთხოვნა. საერთოდ დელა ტორეტტა ფიქრობს და ეს რასაკვირველია ასეა, რომ გადამჭრელი ხმა რუსეთის საკითხში ინგლისს ექნება; ამ უკანასკნელს კი ამ საკითხში განსაკუთრებული პოზიცია უჭირავსო. მოკლეთ რომის მთავრობასთან შეხვედრის შედეგი ისეთია, როგორც ზემოთ ვწერდი. მე პარიზში რა მოხდა არ ვიცი ჩემი წასვლის შემდეგ, მაგრამ „Temps"-ის მოწინავე 1-ის რიცხვიდან ძლიერ დამაფიქრებელია. ეხლა რას მოვახერხებ აქ კანში არ ვიცი. მივიღებ ყოველნაირ ზომებს ლოიდ-ჯორჯი ვინახულო. იმედები ამისთვის ცოტა მაქვს, მაგრამ ცდას არ დავაკლებ. თუ დადეშქელიანი აქ არის (ამის შესახებ ნოეს ტელეგრამა გავუგზავნე რომიდან) ან თუ დროზე მომისწრო შეიძლება ექვსამდე ის ვინახულო. ყოველ შემთხვევაში, რაც სათქმელი გვაქვს დაურიდებლად ვეტყვი და ვნახოთ რა გამოვა. მართლა, ბონომიმ და სად.საქმეთა მინისტრმა ერთი რამ დაგვპირდა, რომ თქვენი საკითხი გამოყოფილი იქნება რუსეთის საკითხიდანო. თუ ამ ნაირად წავიდა საქმე, შემდეგ შესაძლოა გარანტიების საკითხიც ობიექტურად თან მოყვეს. შენ რა ქენი? თუ რამე გამოვიდა ბრიანთან საუბრის ცდისაგან? ყოველ შემთხვევაში, მაცნობე რაც იცოდე. ვეცდები ბონარ ლოჟს და ჩერჩილის ნახვასაც, შესაძლოა მათ უფრო ადვილად მოიღონ მოწყალება და მნახონ. ველი შენგან ცნობებს. ეს წერილი ნოეს წააკითხე. ჩვენი მოკავშირეები რას შვრებიან? ალბათ ცალ-ცალკე ყველა წამოვა აქეთკენ.

გამარჯვებით იყავით,
შენი ევ. გეგეჭკორი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 496, ფურცლები 7-8.

151 წინადადების ქართული თარგმანი იქნება - „და თქვენი აზრით ეს შესაძლებელია"? - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

ევგენი გეგეჭკორის წერილი აკაკი ჩხენკელს
საქართველოს საკითხთან დაკავშირებით
ევროპის სახელმწიფოებთან მუშაობის შესახებ
1922 წლის 9 იანვარი

9 იანვარი 1922

ძმაო აკაკი,

ეტყობა კანში ისევ გაგრძელდება მთელი ეს ისტორია; ეხლა გერმანელებიც ჩამოდიან და რეპარაციის საკითხი დაიკავებს დიდ დროს, აქვე ალიანსის საკითხიც არის წამოჭრილი. ამნაირად მე არ ვფიქრობ და ცნობებიც ისეთია, რომ არც ანგორის და არც რუსეთის საკითხებს კონკრეტიულად შეეხონ. ჩვენ მაინც მოვიცადოთ ბოლომდი. ჩვენი მეზობლების ჩამოსვლის შემდეგ, ხალხი იმდენად დაშინდა, რომ სათოფეზე არ გვეკარებიან. მართლაც ფრანგებს იმდენი თავსამტვრევი საქმეები აქვთ, რომ სად მოიცლიან ჩვენთვის, ინგლისელები ბოიკოტს განაგრძობენ. ჯერ მხოლოდ მონარდიუდან მივიღე წერილი, რომ ის მთავრობის წევრი არ არის და ამიტომ ვერაფრით ვერ დაგვეხმარება და ამიტომ ჩინური ცერემონიით უარს ამბობს შეხვედრაზე. დანარჩენები ჯერ სდუმან. მე მაინც განვაგრძობ ნადირობას და შესაძლოა რომელიმე მათგანი დავიჭირო და რაც სათქმელი გვაქვს ვუთხრა ... აკაკი, შენ ხედავ, რომ გადამწყვეტი მომენტი მოახლოვებულია. გენუის კონფერენციამდე ჩვენ უნდა შევეცადოთ მთელი ჩვენი ძალები ფეხზე დავაყენოთ, რომ ჩვენი მთავრობა იქნეს მიწვეული. ამის საბუთები ჩვენ გვაქვს. საქართველო ცნობილი სახელმწიფოა, ეს ერთი და მეორე ჩვენი მთავრობა ერთად ერთი მთავრობაა, ლეგალური. საზოგადოებრივი აზრი, პარლამენტები და ერთი სიტყვით ვისი გამოყენებაც შეგვიძლია, უნდა ავამუშავოთ, რომ ცალკე მთავრობებიც ამ ნიადაგზე დადგენ. ჯერ მხოლოდ ბელგიელები გვპირდებიან, რომ ისინი ამ პოზიციას დაიცავენ. იტალიელები მე ვეცდები კიდევ ვნახო, რომშიდაც დაგვჭირდება ამ მხრივ მუშაობა. ფრანგები, რასაკვირველია, თუ დაგვეხმარებიან, ეხლა უნდა დაგვეხმარონ. ვიმეორებ, დაყოვნება ერთი წუთითაც არ შეიძლება. ჩემ ჩამოსვლამდე მუშაობა უნდა იქნეს დაწყებული. აუცილებლად საჭიროა ფრანგების რომელიმე გავლენიანი გაზეთი ამ თეზის დამცველი გამოვიდეს. „ტანის“ ინფორმაცია აქ არ გვეყოფა; საჭიროა წერილების მოთავსება. საჭირო ხარჯები უნდა გავიღოთ. სულ ერთია, თუ ეს კამპანია წავაგეთ, ჩვენი დუქანი მაინც უნდა მოვკეტოთ შემდეგ. ასეთია ამოცანა, მე კიდევ მაქვს რამოდენიმე წინადადებები, მაგრამ ამას იქ გეტყვით. ეხლა კი შეუდექით მუშაობას. ეხლავე დაამზადეთ ვრცელი და დასაბუთებული მემორანდუმი ამ შინაარსის. გთხოვ ამ წერილის შინაარსი თავმჯდომარეს გადასცე დაუყონებლივ. შენი ჩამოსვლა, რასაკვირველია, ზედმეტია. მეც ვეყოფი აქ. შენი გამოგზავნილი ნოტები ყველა მივიღე.

გამარჯვებით იყავით,

ევგენი გეგეჭკორი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 496, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საინფორმაციო ბიურო
ბიულეტენი N5 (ნაწყვეტები)
კონსტანტინოპოლი
12 იანვარი1922 წ.

რეპრესიები სოფლად

„ბანდიტების“ წინააღმდეგ ბრძოლის სახით აწიოკებენ სოფლებს. გურიაში აიკლეს რამდენიმე სოფელი. გაქცეულების ქონებას კომფისკაცია უყვეს. ხიდისთავში (გურია) სახლიდან გააგდეს გურიის გვარდიის ყოფილი ხელმძღვანელის მათითაიშვილის დედმამა, წაიღეს ყველაფერი თუ რამე იყო სახლში და შემდეგ სახლი და მიწა საბჭოთა საკუთრებად გამოაცხადეს, ასევე მოექცნენ ყველა იმ გვარდიელების ოჯახებს, რომლებიც იმალებიან.

დაპატიმრებულთა და გადამალულთა მდგომარეობა

გადამალულ და დაპატიმრებული მუშების და გლეხების ოჯახები უპატრონოთ არიან მიტოვებული. მათ გაყიდეს ყველაფერი ჯერ კიდევ დაზამთრებამდის რისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა და ეხლა მოკლებული არიან ცხოვრების ყოველგვარ სახსარს.

ომში დაჭრილ და დახოცილთა ოჯახები

თანდათან ირკვევა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უკანასკნელ ომში დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი ბლომათ არის. ეს ხალხიც დიდ გაჭირვებას განიცდის, დამხმარე არც მათ ყავთ ვინმე, მიუხედავათ ამისა, არავინ საყვედურს არ ამბობს, ყოველივე გაჭირვებას იტანს იმ იმედით, რომ საქართველოს ისევ განთავისუფლდება და ეს მსხვერპლი უნაყოფოთ არ ჩაივლის. (ს. კ.)

რევკომის თავმჯდომარის მოკვლა

სექტემბრის პირველ რიცხვებში ს. სიმონეთში მოკლეს თემის რევკომის თავმჯდომარე კავაძე. ამის გამო სოფელში ჩააყენეს წითელარმიელები. დაიჭირეს რამდენიმე ათეული უბრალო ხალხი და ჩაყარეს ჩეკას სარდაფებში თვეობით და ეს მაშინ, როცა მთავრობამ კარგათ იცოდა ვინ იყო ნამდვილი მკვლელები, რომლებიც დღეს გავარდნილი არიან ტყეში და რომლებიც ბოლშევიკებმა თვითონ გაანთავისუფლეს ციხიდან. (ს. კ.)

საბჭოების არჩევნები

წინასწარი რეპრესიები

საბჭოების არჩევნების მოსწყობა მოსკოვში გადაწყდა. ამის გამო გაწვეული იყო ბ. მდივანი და ჩეკის თავმჯდომარე კ. ცინცაძე. მერმე განსაკუთრებულ დავალებით ჩამობრძანდა თვით ორჯონიკიძე. 19 ოქტომბერს თ. ღლონტმა

საქართველოს ეროვნული არქივი

საიდუმლოთ გადასცა ერთ წრეს შემდეგი: „დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოების არჩევნები და მოსკოვის გადაწყვეტილების თანახმათ მთელ მენშევიკებს ამ დროისთვის ციხეებში მოათავსებენო.“ სერ. ორჯონიკიძემ კი კომუნისტების ლიდერებს პასუხისმგებელ ამხანაგთა კრებაზე უბრძანა: „მენშევიკების გარეთ დატოვება აღარ შეიძლება, საგარეო მდგომარეობა რთულდება, არჩევნები უნდა მოხდეს და ამ დროს თქვენი გულკეთილობა ზედმეტიაო.“ 7 ნოემბრის დღესასწაულის დროს თვითონ წინასწარ დაყარეს ხმები ხალხში, რომ საქართველოში აჯანყება იწყებაო. 4-5-6-7 ნოემბერს თფილისის ქუჩებში გამოიყვანეს რუსის წითელი ჯარი, ტანკები და ჯავშნოსანი ავტომობილები. მოყვენ ყველას ჭერას, აავსეს ციხეები და აგრეთვე წინდაწინ დაიწყეს მუქარა მენშევიკების არჩევა და დასახელება არავინ გაბედოსო.

არჩევნების ბოიკოტი

შექმნილ მდგომარეობის გამო, ყველა პარტიებმა, სოც. დემოკრატებმა, სოც. ფედერალისტებმა, „სხიველებმა“, სოც. რევოლუციონერებმა და ეროვნულ დემოკრატებმა, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და ხალხს მოწოდებით მიმართეს არ მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. „დაპყრობილ ქვეყანაში დამონავებულ ერს, სწერდნენ ისინი მოწოდებაში, რომელსაც წაართვეს ეროვნული თავისუფლება, პოლიტიკური, ნივთიერი, სრულიად მოსპეს და გაანადგურეს მისი არსებობა, როცა საქართველოში მეფობს უხეში ძალადობა ტერორისა, როცა საქართველოს ხალხს ციხე და ტყე მიუჩინეს ბინათ, პარტიები დამნაშავენი იქნებიან ერისა და კაცობრიობის წინაშე, რომ ისეთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რომელსაც ახდენს უცხოეთის ჯარები და მათი ადგილობრივი აგენტები დაპყრობილ საქართველოში.“ აი ასეთი იყო დაახლოვებით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პარტიების განცხადებანი. ამ რიგათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, უცხოელებმა, კომუნისტებმა და თ. ღლონტის ჯგუფმა და მათ გარდა არც ერთ ქართველს მონაწილეობა არ მიუღია.

კომუნისტები ამას არ მოელოდნენ და თუ პირველათ დიდი რიხით გაკიოდნენ თბილისისა და ბათუმის არჩევნებში გამარჯვების შესახებ, მერე ტონს დაუკლეს და ძლიერ დაფიქრებული არიან. მათ ეგონათ, რომ ცოტას მენშევიკები გაიყვანდნენ, ცოტას ფედერალისტები, ცოტას „სხიველები“, ცოტას ესერები, ხოლო მათ ეყოლებოდათ დიდი უმეტესობა და ამ რიგათ შეადგენდნენ სოფლისა და ქვეყნის მოსატყუებელ ვითომდა „მუშათა და გლეხთა საბჭოს“. ეს ასე არ მოხდა და მარტო თავისი თავი მოუხდათ არჩეული ერთხმად. როგორც გადმოგვცეს ასეთი არჩევნებით ეხლა არც მოსკოვი არის კმაყოფილი. (საკ. კორ.).

თფილისის მუშათა საბჭოს შემადგენლობა

კომუნისტური გაზეთების გადმოცემით თფილისის მუშათა საბჭოში არჩეულია 305 კომუნისტი, 10 ღლონტის ჯგუფის და 3 უპარტიო. თავმჯდომარეთ აირჩიეს კრილოვი.

საქართველოდან ჩამოსულის ნაამბობი საბჭოების არჩევნების გარშემო

საბჭოების არჩევნები თფილისში დასრულდა 10 დეკემბრისთვის. ღლონ-

საქართველოს ეროვნული არქივი

ტის პარტიის გარდა, არჩევნებს ყველა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და ხალხს მოწოდებით მიმართეს არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში. ბოიკოტი ჩატარდა. ბოლშევიკებმა ძალით მოიყვანეს მოხელეები, რუსეთიდან გადმოხვეწილები და საერთოთ უცხო ელემენტები. კრება მოხდა უმთავრესათ სამ ადგილას: სახაზინო თეატრში, აქ მოხსენება გააკეთა ბუდუ მდივანმა, ნაძალადევში მოხსენება გააკეთა ლ. ღოღობერიძემ და რუსთაველის თეატრში. ბოლშევიკები ასახელებდნენ კანდიდატებს და პირდაპირ ხელის აწევით უყრიდნენ კენჭს. სხვას არც კრიტიკის ნებას აძლევდნენ და არც კანდიდატების დასახელებისას. უმთავრესათ თფილისში არჩევნებს ლ. ღოღობერიძე ხელმძღვანელობდა. ის დადიოდა კრებებზე, იტყოდა სიტყვას და მერე აძლევდა წინადადებას ხელის აწევით აირჩიეთ ესა და ეს პირებიო. კრიტიკის უფლებას არავის აძლევდნენ. ხუთ კაცსაც რო მიეცა ხმა მათთვის, მაინც მას აცხადებდნენ არჩეულათ. ღლონტს წინდაწინ შეპირდნენ 10 ადგილს საბჭოში. ამ გვარათ თფილისის საბჭოში ყველანი კომუნისტები არიან, გარდა ერთი უპარტიო ნინო ნაკაშიძისა და 10 ღლონტისა. მეთერთმეტე არმიამ გამოგზავნა საბჭოში 60 დეპუტატი. აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს: თავმჯდომარეთ ლ. დუმბაძე, წევრებათ - ღოღობერიძე, ორახელაშვილი, მდივანი, ოკუჯავა, ს. გეგეჭკორი, კ. ცინცაძე, თედო ღლონტი, მილიციის უფროსი მიშა ჩხეიძე და სხვა.

კომუნისტებში

ცეკას ფაქტიურათ დონენკო განაგებს, კავბიუროს ნაზარეტიანი, ქართველებ შორის ყველაზე მეტი გავლენა აქვს ორჯონიკიძესა და ორახელაშვილს. ფ. მახარაძე მოსკოვში გადაასახლეს, კომუნისტები ამბობენ, რომ ქართველოფილობის უფრო კი შინაური ინტრიგისთვის. კიროვმა გავლენა დაკარგა, იგი ეხლა ბაქოშია. სერ. ქავთარაძეს არც კომუნისტებში აქვს გავლენა და არც საზოგადოებაში. მას სპეკულიანტს უძახიან. საშა გეგეჭკორს კომპარტია დიდი ნდობით აღარ უყურებს. მას აბრალებენ ზომიერებას. გრუზჩეკის თავმჯდომარეს ცინცაძესაც ზომიერებას სწამებენ. ქართველ ხალხს კომუნისტებში ყველაზე უფრო ეზიზღება: ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და ფ. მახარაძე.

სვანეთის წინააღმდეგ ბრძოლა შესწყვიტეს

უკანასკნელ დროს სვანეთის წინააღმდეგ ბრძოლა შეაჩერეს. თავმოყრილი ჯარი წინ აღარ მიდის. მეგრელების კომუნისტების რაზმი, რომელიც სვანების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. (საკ. კორ.).

აჯანყება დაიწყო განიარაღების ნიადაგზე, თუმცა სვანები არც ისე უშვებდნენ ბოლშევიკებს სვანეთში. რუსის ჯარის წინააღმდეგი არიან ყველა სვანები, ხოლო რაზმის რიცხვი 500 კაცს უნდა უდრიდეს. ისინი ვინტოვკებით არიან შეიარაღებულნი და გარდა ამისა უნდა ქონდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი. აჯანყებულთ ხელმძღვანელობენ ლაშხელი სვანები.

საქართველოს რევკომმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა მე-11 არმიის ერთი ბათალიონი, მარა მათგან ცოცხალი დაბრუნდა მხოლოდ 16 კაცი, დანარჩენი დაჭრეს და დახოცეს. ამის შემდეგ იქ გაიგზავნა მე-11 არმიის პოლიტკომი მელნიკოვი, რომელიც ცაგერში იყო და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ ამ ზამთარში სვანეთის იარაღით აღება შეუძლებელია. სვანეთის ამბების გამო ქუთაისში

საქართველოს ეროვნული არქივი

მოხდა წითელარმიელთა მიტინგი, რომელზედაც არმიელებმა განაცხადეს: სვანეთი არავის არ დაუპყრია, იქ არწივებს უჭირთ გადაფრენა და ჩვენ როგორ შევძლებთ მის დაჭერასო. მთელ ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადებულია საალყო წესები. (ჩამ. კაც. ნაამბობი).

სტუდენტების წინააღმდეგ

ბოლშევიკებმა სტუდენტების დამორჩილებაც მოინდომეს, მათ დაიჭირეს სასადილოს გამგეობა. სტუდენტების კავშირის გამგეობამ მისი განთავისუფლება მოითხოვა, ამის შემდეგ მასაც დაუწყეს დევნა. გამგეობა დაშლილათ გამოაცხადეს და თვითონ შეადგინეს ზევიდან ახალი გამგეობა, რომელსაც კომუნისტი სტ. ხუნდაძე (რაჟდენ ხუნდაძის შვილი) ხელმძღვანელობს. საერთოთ სტუდენტობას ძლიერ კარგათ უჭირავს თავი და აქტივობას იჩენს. სწავლა თითქმის არ არსებობს.

შპიონაჟი

ბოლშევიკებმა მთელი საქართველო შპიონებით აავსეს. ჩვენი ცნობით მათ საქართველოში ყავთ 4 ათასი ჯაშუში, ხოლო თფილისში 8 ათასი. პირველათ ჯაშუშების სათავეში ედგა მიშა კაჭაღმაძე. (ცნობილია როგორც ძველი რეჟიმის ჯაშუშ პროვოკატორი). უკანასკნელათ ხელმზღვანელობს ვიღაც რუსი გვარათ მუდრი. (კ. ც.).

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 57; 75-81.

საქართველოს ეროვნული არქივი

აკაკი ჩხენკელის საიდუმლო მოხსენება,
სადაც საუბარია გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე
საქართველოს ემიგრანტული მთავრობის
მოწვევაზე უარის მიზეზებზე
1922 წლის 17 იანვარი

პარიზი, 16 იანვარი 1922 წელი

საიდუმლო

გეუწყებათ დამატებით გარეშე მინისტრის გეგეჭკორის მიერ გადმოცემული, კანიდან დაბრუნებისას. უმაღლეს საბჭოს სხდომის ოქმი არ იყო შედგენილი, რაც გეწერებათ, ემყარება იქ დამსწრე დელეგაციების ინფორმაციას.

წინადადება საქართველოს გენუის ეკონომ. კონფერენციაზე დაშვების შესახებ მიუცია ბრიანს უმაღლ. საბჭოსათვის და მას მაშინვე მიმხრობიან ბონომი და ტენიუსი. ლორდკერზონი შებრძოლებია წინადადებას (ლოიდ ჯორჯი სხდომას არ დასწრებია), მას უთქვამს: საქართველო დაკავებულია ამ ჟამად, მისი მთავრობა, რომელიც უცხოეთშია, ვერასფერს შესძენს კონფერენციას;

ვთქვათ, კონფერენციამ დაადგინა, რომ ამდენი და ამდენი ასი ათასი სტერლინგის სესხი მიეცეს საქართველოს, თქვენ ხომ ვერ შესძლებთ ეს ფული გადასცეთ იმ მთავრობას, რომელიც თავის ტერიტორიაზე არის. ამ სიტყვებზე ბრიანს უნდა ეთქვას მწარე ღიმილით: მკაცრ სიტყვებს (mots oruels) ამბობთ ლორდო, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ უარს არ გვეტყოდით კონფერენციაზე დაშვებაზე. (ნიშანი ბელგიის ოკუპაციაზე ალბათ). კერზონს უპასუხნია ბრიანისათვის: თქვენ თვითონ გნებავდათ ეკონომიური ხასიათი მიგეცათ გენუის კონფერენციისათვის, თვით შესწორება „ფინანსიური“ თქვენ დაუმატეთ, და ახლა კი გნებავთ საქართველოს მოწვევით პოლიტიკური ხასიათი მისცეთ მას. ამ დროს ბონომის შემოუტანია წინადადება: მოვიწვიოთ ორივე მთავრობის დელეგატები, როგორც ლეგალულის, ისე ფაქტიურის, მაგრამ იგი მაშინვე უარუყვიათ. მაშინ განუცხადებია ერთ ვინმეს (ალბათ კერზონს, დანამდვილებით არ ვიცით): ჩვენ ხომ ევროპის სახელმწიფოებს ვიწვევთ, საქართველო კი აზიას ეკუთვნის, ამ საბაბს გაუჭრია და დაუდგენიათ საქართველო არ მოეწვიათ. (ამერიკა და იაპონიას კი იწვევენ). სპარსეთიც ამ მიზეზით არ მოუწვევიათ. გეგეჭკორის შთაბეჭდილებით, ბრიანი და სხვები არ ყოფილან მტკიცე, ვერ დაუცავთ ენერგიულათ პოზიცია. იყო თუ არა ლაპარაკი კავკასიის სხვა რესპუბლიკებზე, დანამდვილებით არ ვიცით. ზოგიერთ წყაროებიდან გაუგია გეგეჭკორს თითქოს სომხებიც აზიისთვის მიუწერიათ, ხოლო აზერბეიჯანი, როგორც რუსეთის პროვინცია, თითქოს ევროპაზეა მიწერილი. ეს ცნობები აქა იქ იყო პრესაში, ხოლო საქართველოს შესახებ ყველგან.

ბრიანის კაბინეტი დაეცა და უმაღლ. საბჭო დაიშალა, მაგრამ გენუის კონფერენციას მაინც მოიწვევენ ალბათ. არ არი გამორკვეული, როგორ შეხედავს ჩვენს საკითხს პუანკარეს კაბინეტი. მიღებულ იქნება ზომები მის მოსამხრობათ, აღძრულ იქნება ისევ მოწვევის საკითხი.

საქართველოს ეროვნული არქივი

P.S. ვინაიდან „Temps“-ში უკვე იყო გამოქვეყნებული უკანასკნელი ნოტები, რომლის ასლები თქვენ უკვე გაქვთ, მიიღეთ ზომა საჩქაროთ გამოაქვეყნოთ ისინი სავსებით „თავისუფ. საქართველო“-ში.

1) ნოტა, ხელმოწერილი ნ. ჟ. და ევგ. გეგეჭკ. მიერ უმაღლ. საბჭოს სახელზე,

2) ნოტა, ხელმოწერილი ჩემ მიერ ჯერ ექსპერტების კომისიის და მერმე უმაღლეს საბჭოს სახელზე საქართველოს სახელით, ეკონომ. კითხვაზე,

3) ნოტა, ხელმოწერილი მოკავშირეთა მიერ უმაღლ. საბჭოს სახელზე. გთხოვთ კარგათ გადაათარგმინოთ, თვითონ უნდა ადევნოთ თვალყური კორექტურას.

ა. ჩ.
17. I. 22

P.S. დოკუმენტს პირველ გვერდზე უზის პარიზში საქართველოს ემიგრანტული მთავრობის საელჩოს ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწერი 2, საქმე 55, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის ერთ წლისთავთან დაკავშირებით
1922 წლის 27 იანვარი

27 იანვარი

თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში დღესასწაულობდა ქართველი ერი ოცდაშვიდ იანვარს. ეს იყო დღეობა ნინო განმანათლებელისა. ამ დღეს დაუკავშირა ქართველმა ხალხმა თავის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ის მნიშვნელოვანი ხანა, როდესაც ის მთელ კაცობრიობაში ყველა ხალხებში ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თავის განვითარებითა და კულტურით შორს გასცილდა პრიმიტიულ წარმართობას და სარწმუნოების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე, ქრისტიანობაზე ავიდა. ეს დღე შეიქნა არა მარტო მართლ-მორწმუნე ქრისტიანთა საზეიმო დღეთ, არა მარტო ეკლესიის კუთვნილებათ, არამედ მთელი ქართველი ხალხის ეროვნულ დღეობათ გადაიქცა. მაგრამ კიდევ უფრო გაცხოველდა და გაკაშკაშდა ეს დღე მას აქეთ, რაც გასული წლის იგივე ოცდაშვიდ იანვარს მსოფლიომ იურიდიულათ იცნო ქართველი ერის და საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ დღეს ჩვენ უდიდესი წარმატება და გამარჯვება მოვიპოვეთ. მრავალი წლის სასტიკი და თავდადებული ბრძოლის შემდეგ ქართველმა ერმა, მშრომელთა მეთაურობით, მოიგო დიდი ომები, ვებერთელა შეტაკებანი. საქ-ში მოხდა ძლიერი და ორკეცი რევოლიუცია. რევოლიუცია პოლიტიკური, რომელმაც ხელმწიფება თვით ხალხს, მშრომელ ერს გადასცა და რევოლიუცია ეროვნული, რომელმაც ქართველ ერს თავის თავი მიაკუთვნა. თავისუფლება მოქალაქის, თავისუფლება ერის - დემოკრატიული ხალხოსნური წყობილება შიგნით და სუვერენობა, დამოუკიდებლობა გარედან, აი რა მოიპოვა ქართველმა ხალხმა თავისუფალი ბრძოლით და უამრავი მსხვერპლით. თითქმის სამი წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა ამ ძვირფას განძს ქართველი ხალხი, იმ განძს, რომელშიაც ჩაინასკვნა მთელი ერის სული და გული, მისი წმიდა აღმაფრენა და სპეტაკი გრძნობა, წარსულის სევდიანი კაეშანი და მომავლის ბრწყინვალე იმედი.

გაშტერებითა და გაოცებით უჭვრეტდა ამ ხნის განმავლობაში მთელი მსოფლიო ქართველი ერის გააფთრებულ გორგასლანობას დიდ მონაპოვარის დაცვის საქმეში. სჭვრეტდენ და სწონიდენ აღმდგარ საქართველოს ძლიერნი და განათლებულნი ერები: მართლა სწყურია თუ არა ქართველ ხალხს თავისუფლება? ღირსია თუ არა ის ამ თავისუფლების? შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებელი ცხოვრება? და აი დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ განათლებულმა კაცობრიობამ გასული წლის ოცდაშვიდ იანვარს ყველა ამ კითხვებზე დასტური დასცა, იურიდიულათ გვიცნო, მეზობლობისა და მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა და გვითხრა: კეთილი იყოს თქვენი შემოსვლა ერთა და სახელმწიფოთა ოჯახშიო. აი ამ დღეს დაგვირგვინდა ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა და ამაგი, ამ დღეს ქართველმა ერმა ფორმალურათ, იურიდიულათ ჩაიბარა თავისი მიწა-წყალი, დაიმტკიცა საქართველო. ამ

საქართველოს ეროვნული არქივი

დღეს ვერავითარი ძალა ვეღარ ამოშლის მის ისტორიის ფურცლებიდან. ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ვეღარავინ გააქარწყლებს მისდა მიუხედავად, რომ ამ დიდი ზეიმისა და ლხინის დღეს თან მოყვა საშინელი ურვა და ჭირი.

თუმცა კიდევ უფრო ადრე საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო რუსეთმა, მაგრამ მისი მთავრობა სიტყვას იმიტომ კი არ იძლევა, რომ შეასრულოს. ყოვლად წარმოუდგენელი პირობა, მოღალატეობა და შემპარაობა, ასეთი ღირსებით შემკულმა, ამ თვისებათა მატარებელმა რუსეთის მთავრობამ თავისი მონათა უამრავი შემოუსია ჩვენ ქვეყანას და მოინდომა ჩვენი თავისუფლების ჯეჯილის ყაძახთა ცხენებით წაჯეკნა, ჩვენი ერის და სახელმწიფოს რუსული ჩექმით გასრესა.

პირდაპირ საარაკო გმირობით ეკვეთა ქართველი ხალხი ურიცხვ მტერს, არც ერთი მტკაველი თავის მიწისა არ დაუთმო მან მომხდურთ, მაგრამ შეუძლებელს ვერავინ შესძლებს, სასწაულს ვერავინ ვერ მოახდენდა და რუსეთის ურდოებმაც გადალახეს მთელი საქართველო. მაგრამ სწორეთ ამ დამარცხების დროს უაღრესათ გაიმარჯვა ქართველმა ერმა, სწორეთ ამ დამარცხებაშით გაიმარჯვა ჩვენმა დამოუკიდებლობამ. სოღანლუღისა და ვაზიანის, ტაბახმელასა და კოჯორის, მეხადირისა და ანარია-სამების გმირების სისხლი უკანასკნელ დუღაბათ მიემატა საქართველოს დამოუკიდებლობის მტკიცე ბალავერს, ურყევ საფუძველს.

სამი წლის ბრძოლა ოცდაშვიდი იანვარით დაგვირგვინდა. ოცდაშვიდი იანვარი დამატებით განამტკიცა იმ გმირთა სისხლმა, რომელნიც მტლათ დაედვენ ჩვენ თავისუფლებას. მალე ერთი წელი გავა, რაც ქართველი ერი გლოვის ძაძებშია გახვეული, მალე ერთი წელი იქნება, რაც ჩვენს ტურფა სამშობლოს საშინელი და საზიზღარი მაჯლაჯუნა დაპატრონებია. მაგრამ მრავლის მნახველმა ქართველმა ხალხმა იცის ჭირიც და ლხინიც. ის ლხინში არ კარგავს გონებას და წონასწორობას, ჭირშიაც სასოს არ იკვეთს, მით უმეტეს, როცა ის ღრმათ დარწმუნებულია, რომ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც შავი ნიაღვარის ტალახიანი წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი კი დარჩებიან; რომ მალე ტურფა სამშობლო ხსნილი იქნება ქაჯეთის ტყვეობიდან და მომავალ ოცდაშვიდ იანვარს ჩვენ შევხვდებით არა ძაძებში, არამედ საზეიმოთ მორთულნი, ეროვნულათ თავისუფალნი და სოციალურ თანასწორობისაკენ თამამათ მიმავალნი.

აი ამ მტკიცე იმედითა და ღრმა რწმენით ულოცავს ოცდაშვიდ იანვარს ქართველ ერსა და მის ბელადს მუშათა კლასს **საქართველოს სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 15.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე შეკრებილი სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რათა დაეხმარონ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს გათავისუფლებაში 1922 წლის 7 თებერვალი

კულტურულ კაცობრიობას, გენუას კონფერენციაზედ წარმოდგენილს

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და
პატრიარქი სრულიად საქართველოისა,
ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავსა და კასპიის ზღვებ შორის, ქართველ მოდგმის ტომებმა შეჰქმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნების ყოფით და მდიდარი აკტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეთა განმავალობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინაზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპიული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალა მიხდილი, ქართული ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველ ჰყოფდა თავისი პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორის და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში; მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავალობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართულმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურისა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, პატარა უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორეთ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენათ ბედნიერადა ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან

საქართველოს ეროვნული არქივი

[illegible]

[illegible] ეროვნული [illegible]

[illegible]

ბატონო [illegible]

ბატონ [illegible]

[illegible]

[illegible]

[

გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლათ ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ: მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოპოვებულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან; ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა-წმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას, და სინიდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნულია; მისი ეკლესია ეს ძველის ძველათვე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა დღეს უფლება აყრილია იმდენათ, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამ პირობებში ჩემს მწყემს-მთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონათ ვსთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვა და სხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას, ამიტომ ვითხოვ: 1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქმნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობის და მძლავრობა-მიტაცებისაგან; 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ, მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გაარკვიოს უუდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვ-რებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სა-მარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრა-ფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოისა.

7/II 22 წ.
ტბილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 132-133.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოდან პარიზში გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია საბჭოთა ხელისუფლების მიერ თელავის მაზრაში ჩატარებული არჩევნების შესახებ 1922 წლის 10 თებერვალი

პარიზს

რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა მოახდინეს საბჭოთა არჩევნები თელავის მაზრაშიდაც. არჩევნებს წინ მიუძღოდა მასიური დაპატიმრება ყველა ცოცხალი ძალების, ხოლო მთელი მცხოვრებლების საშინელ ტერორის ქვეშ დაყენება. ერობისა და დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ამომრჩეველთა რიცხვი განისაზღვრებოდა 85 000 კაცით. კომუნისტებმა კი არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მიანიჭა მხოლოთ 47584 კაცს, ე. ი. თელავის მაზრის მცხოვრებლების ნახევარს. საარჩევნო სიებიდან გამორიცხეს ყველა ყოფილი სახალხო გვარდიელი, სოციალ დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრები და ყველა ის, ვინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს რაიმე თანამდებობას ასრულებდა. აგრეთვე არჩევნების დღეს, მიუხედავათ იმისა, რომ საარჩევნო სიებში შეტანილნი იყვნენ, გამორიცხეს ის უპარტიო გლეხები, რომლებმაც გამოიჩინეს მოქალაქობრივი გამბედაობა და ბოლშევიკების აგენტებს სიტყვა შეუბრუნეს. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ბოლშევიკებისათვის სიტყვის შებრუნება ადვილი არ იყო, რადგან ყველგან, სადაც კი არჩევნები ხდებოდა, ჩეკელების რაზმი კრებას გარს ერტყმოდა და ყველა „ურჩს“ დახვრეტით ემუქრებოდა.

არჩევნები ყველა სოფლებში სხვა და სხვა დროს იყო დანიშნული. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ არჩევნების დღეს ამ სოფელში მოჰყავდათ კომუნისტებს მახლობელი სოფლებიდან თავიანთი ორგანიზაციის წევრები და ასე ერთი და იგივე კომუნისტი არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ყველა სოფლებში. მაგალითად სოფელ შილდაში არჩევნების დღეს კომუნისტებმა მირეკეს თავისი პარტიის წევრები სოფელ საბუიდან, ალმატიდან და გრემ-ელისლიდან და ეს მოხდა მაშინ, როდესაც ამ სოფლებში არჩევნები უკვე დამთავრებული იყო. ასევე მოიქცნენ ყვარელში და ძველ გავაზში. რაც შეეხება თვით ქალაქ თელავს ამ დღეს თელავში მორეკეს სოფელ შალაურის, კურდღელაურის, ვარდისუბნის და იყალთოს მცხოვრებლები და არჩევნებში მონაწილეობა მიაღებიეს. მიუხედავათ იმისა, რომ ჩამოთვლილ სოფლებში არჩევნები უკვე მომხდარი იყო. თელავის ამომრჩეველთა რიცხვი 6000 კაცს უდრიდა, ხოლო არჩევნების დღეს, მიუხედავათ გენერალური მობილიზაციისა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოთ 600 კაცმა და მათ რიცხვშიდაც საგრძნობ ნაწილს ბალღები შეადგენდნენ. გარდა თელავისა არც ერთ სოფელში არჩევნები დანიშნულ დღეს არ მომხდარა, რადგან გლეხკაცობა არჩევნებს სრული ბოიკოტით ხვდებოდა. როდესაც ამრჩევლები დანიშნულ დროს არ გამოცხადდებოდნენ მოედებოდა ხოლმე სოფელს ჩეკისტებისა და მილიციონერების რაზმები და ცემა ტყეპით მიერეკებოდნენ მცხოვრებლებს რევკომებში. აქ უკვე წინათვე გამზადებული იყო კანდიდატთა სია და ოქმი და ასე ძალით აწერინებდნენ ოქმზე ხელს მცხოვრებლებს. თუ ამ გზითაც შეუძლებელი ხდებოდა საკმაო რიცხვის შეგროვება, მაშინ ზეპირათ სწერდნენ საჭირო რიცხვის რაოდენობას.

საქართველოს ეროვნული არქივი

ხალხის მირეკა ხდებოდა მხოლოთ თვალების ასახვევათ თორემ ისე რა საჭირო იყო, როდესაც, როგორც სამაზრო ისე სასოფლო საამრჩევლო კომისიები მხოლოთ კომუნისტებისაგან შესდგებოდენ და რამდენი ხმაც უნდოდათ იმდენს ჩასწერდნენ.

ასე ამ გზით კომუნისტებმა საოკუპაციო ჯარის საშუალებით ჩაატარეს არჩევნები თელავის მაზრაში. მათი ოფიციალური ცნობების თანახმად არჩევნებში ამომრჩევლების საერთო რიცხვი 47584-დან მონაწილეობა მიიღო 25 000 კაცმა. მაგრამ გარდა იმისა, რომ ეს ციფრი ზეპირათ ჩაწერილია ეს 25 000 ამომრჩეველი ფაქტიურათ მხოლოთ 5-6 ათასი კაცია, რადგან ერთი და იგივე პირი 4-5 არჩევნებში იღებდა მონაწილეობას.

აი, როგორ ჩატარდა არჩევნები თელავის მაზრაში. არჩეულთა შორის ორი მესამედი სოფლის ავარებისგან შესდგება და მათ შორის ბევრი ურევია პროფესიონალი ქურდ-ავაზაკი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცნობების პასუხის გებას ვიღებ ჩემს თავზე.

თელავის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე - /ხელრთვა/

10 თებერვალი 1922 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 82, ფურცელი 34.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის ერთი წლისთავთან დაკავშირებით
1922 წლის 11 თებერვალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!
საქართველოს მოქალაქეებს!

მოქალაქენო!

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესია რუსეთის იმპერიალისტური ლაშქარი. თერთმეტ თებერვალს დაიწყო საქართველოს დემოკრატიის და მთელი ქართველი ერის სამგლოვიარო დღე. თერთმეტ თებერვალს საქართველოს ხალხს ცეცხლითა და მახვილით თავს დაესხა კომუნიზმის სამოსელში გახვეული შავი რუსული იმპერიალიზმი.

1921 წლის თერთმეტ თებერვლიდან დაწყებული 20 მარტამდის ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებმა რუსეთის და ოსმალთა ურიცხვ ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში სული დალიეს და თავიანთი სისხლით შეღებეს ჩვენი პატარა ქვეყნის ყოველი კუთხე და მტერს არ დაუთმეს უბრძოლველათ არც ერთი მტკაველი მიწა.

მოქალაქენო! დღეს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც საქართველოს დამპყრობლებმა დაიწყეს ჩვენი ქვეყნის გაპარტახება და ქართველი ხალხის საუკეთესო გმირთა საფლავები გასთელეს ურდოებმა.

ერთი წელი გადის და ამ ხნის განმავლობაში ოკუპანტები ყოველ საშვალებას ხმარობდენ, რომ ქონებრივათ გაეღატაკებიათ საქართველო და აღმოეფხვრათ ქართველი ერის გულიდან ყოველგვარი შეგნება დამოუკიდებლობისა და თავისუფალ ცხოვრების. ამ საზიზღარ საქმის გაკეთების დროს რუსეთის კომუნისტებთან ერთად არიან, ეხმარებოდენ და ეხმარებიან აქტიურათ, ველიკოროსიის როგორც ახალი ისე უცხოეთში გადახვეწილი ძველი ბურჟუაზია და შავრაზმელები, რეაქციონერები.

მართალია ერთი წლის განმავლობაში ოკუპანტებმა გააოხრეს საქართველოს ქონება, გაქურდეს ჩვენი ქვეყანა, მოსპეს ყოველგვარი ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლება, გაანადგურეს მუშათა კლასის და მთელი დემოკრატიის ცხოვრება, მაგრამ, სამაგიეროთ შეაერთეს ჩვენი ერის ყველა ცოცხალი ძალები თავის წინააღმდეგ და დღეს საქართველო, გაჭირვებაში გაკაჟებული და მოქალაქობრივი შეგნებით ამაღლებული, ერთხელ კიდევ ხმა მაღლა და ერთსულოვნათ, განათლებულ ქვეყნების სრული თანაგრძნობით, შესძახებს:

ძირს დამპყრობლები!
გაიყვანეთ რუსის ჯარი საქართველოდან!
გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!
ძირს „წითელი“ იმპერიალიზმი!
გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

11 თებერვალი, 1922 წ. საქ. სოც.-დემ. მუშ. პ. ცენ. კომიტეტი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 16.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საინფორმაციო ბიურო
ბიულეტენი N6 (ნაწყვეტები)
კონსტანტინოპოლი
22 თებერვალი 1922 წ.

როგორ შემოვიდა რუსის ჯარი რაჭაში და რა ხდება იქ

რაჭიდან საკუთარი კორესპოდენტი აგვიწერს რუსის ჯარის შემოსვლის პირველ დღეებს და მას შემდეგ იქ შექმნილ მდგომარეობას. რუსის ჯარი გადმოვიდა მამისონის უღელტეხილზე და ღამით 27 თებერვალს დაიჭირა ქ. ონი. შემოსული მტრის რიცხვი პირველათ დაახლოვებით 500 კაცამდე იქნებოდა. ადგილობრივმა ძალებმა რამდენათაც შეიძლებოდა წინააღმდეგობა გაუწია. რამდენიმე დღე ონის შემდეგ წამოწევის საშუალება აღარ მისცა, მაგრამ იმგენს კიდევ მიემატა ახალი ძალები. ონის დაპყრობისთანავე ჯარების უფროსმა ძალით გამოიყვანა ზემო რაჭის მცხოვრებლები და გააწმენდია უღელტეხილის გზა. ამან საშუალება მისცა რუსის ჯარს მომატებოდა ახალი ძალები. წითელ არმიელებმა მოსვლისთანავე მიყვეს ხელი ძარცვა გლეჯას. წაართვეს მცხოვრებთ თუ რამე გააჩნდათ სასმელ-საჭმელი, ცხენი და ხარები. ქონდა ადგილი ქალების გაუპატიურებასაც. მაგალითად სოფ. ჭყვიშში 60 ჯარისკაცი დაბანაკდა რაფიელ ყიფიანი ქვრივის ოჯახში. იგი თავისი ქალიშვილებით გადაიმალა, სახლში დატოვა მოხუცი მოსამსახურე ქალი. წითელმა არმიელებმა გაძარცვეს მთელი ოჯახი, შესჭამეს რაც კი რამ იყო, ერთი ქათამიც არ დასტოვეს და წაიღეს ყველაფერი რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. ქვეშაგებელსაც კი გადააძრეს პირები. ისინი ამასაც არ დასჯერდნენ და მოხუცი დედაკაცი გააუპატიურეს. ეს უკანასკნელი რამდენიმე დღის შემდეგ მოკვდა. რუსის წითელ არმიას თან ახლდა 3-4 ქართველი, რომელიც წინეთ სპირტით ვაჭრობენ რუსეთში. ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, სახლკარი მიატოვა და ტყეში გაიხიზნა. დაბრუნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომ რუსის ჯარი გავიდა მაზრიდან და საქ. რევკომმა მოწოდებით მიმართა და წესიერების აღდგენას შეპირდა.

ბოლშევიკებმა ციხიდან გამოუშვეს ყველა ავაზაკები და რაც რუსის ჯარმა დააკლო, ხალხს, მათ შეუსრულეს. ამის შემდეგ დაიწყო საშინელი შიმშილი. ადგილობრივმა სამაზრო რევკომმა განაცხადა - ოსეთმა 15 ვაგონი სიმინდი გვაჩუქა და საჭიროა გადმოტანაო. გულუბრყვილო ხალხმა მართლა დაიჯერა, გამოიწვიეს მთელი მაზრა და გაგზავნეს ოსეთში. გადასცდნენ თუ არა უღელტეხილს, ოსებმა ყველანი გაძარცვეს, წაართვეს ხარები და ცხენები და ცარიელი დააბრუნეს უკან.

მდგომარეობა აუწერელია, ადგილობრივი რევკომი და პოლიტ-ბიურო ყველას იჭერს, ვისაც კი ძველათ რაიმე კავშირი ქონია დემოკრატიულ მთავრობასთან. ახალგაზრდობა სავსებით გარყვნეს. მათ აძლევენ ფულს და ჯაშუშებათ იყენებენ. მოკლეს ციხის კომისარი ჩუმათ და სხვა ყოფილ კომისრებსაც მისწერეს მუქარის წერილები. ხშირათ აქვს პროვოკაციასაც

საქართველოს ეროვნული არქივი

ადგილი. გასული წლის აგვისტოში ხალხში განგებ გაავრცელეს ხმები, რომ ოსები აპირებენ ონზე თავდასხმასო. მერე ყველასათვის მოულოდნელათ ღამით ასტეხეს თოფებიდან და პულემიოტებიდან სროლა, რომელმაც ორ საათს გასტანა. შეშინებული ხალხი საცვლების ამარა გარბოდნენ ტყისკენ. მეორე დღეს პასუხისმგებელმა კომუნისტებმა განაცხადეს ეს იმიტო ვქენით, რომ გვინდოდა ჩვენი ძალების დაშინჯვაო.

სექტემბერში ქუთაისიდან ჩამოვიდა ექიმი ლეჟავა, მოიწვიეს საზოგადო კრება. ლეჟავამ დაიწყო ჟორდანიას და მისი ამხანაგების გინება, ხალხმა მაშინვე მიატოვა კრება, მარა მათ შემოარტყეს მილიციონერები და არ გაუშვეს. მაშინ 60 წლის მოხუცმა გლეხმა განაცხადა: ჩვენ არ გვინდა მოუსმინოთ მათ, ვინც ჩვენს იმედს და ნუგეშს აგინებსო. ხალხმა მოხუც გლეხს ოვაციები გაუმართა. კომუნისტებმა ამის გამო იქ მისი დაჭერა ვერ გაბედეს. (საკ. კორ.).

ქართული ელემენტების დევნა

ამ ოცი დღის განმავლობაში შტატის შემოკლების სახით სრულიად გაწმინდეს საბჭოთა დაწესებულებები ქართული ელემენტებისაგან. ათასობით უადგილოთ დარჩნენ, რომელიც ამ ახლო ხანში განდევნიან თფილისიდან, მათი ადგილები კი დაიჭირეს უცხო ელემენტებმა.

კავბიუროს დადგენილებისთანავე ფედერაციის შესახებ შეუდგნენ მრავალი დაწესებულებების დაშლას და გარუსებას. დაშალეს მუშათა და გლეხთა ინსპექცია და ყველა მოსამსახურეები დაითხოვეს. რკინის გზაზე გააერთიანეს მილიცია და „ჩეკა“, შეუდგნენ სავაჭრო-სამრეწველო კომისარიატის დაშლას.

„დამოუკიდებელ“ საბჭოთა საქართველოს ლაშქარი გაუქმებულ იქმნა. დღეს წარმოადგენს მხოლოდ რუსეთის წითელი ჯარის ერთ ერთეულს, რომელიც ყოველმხრივ ემორჩილება განსაკუთრებულ კავკასიის არმიის უფროსს. მისი დამოუკიდებელი არსებობა ფორმალურად მოსპეს და ქართული ლაშქრიდან ადგენენ მხოლოდ ერთ ბრიგადას, რომელშიდაც შედის სამი ქვეითი პოლკი, ერთი ცხენოსანი პოლკი და 6 ბატარეა. საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ათი ათას კაცს, ამ ათი ათას კაცში შედის ყველა სამხედრო სამხედრო მოსამსახურენი, როგორც მწყობრის. ეს ბრიგადა სავსებით ემორჩილება როგორც სამხედრო ნაწილში რუსეთის წითელი არმიის შტაბს. ამ რიგათ სამხედრო კომისარიატი გაუქმებულია და ქართული ლაშქარი დღეს არ არსებობს, არიან მხოლოდ ქართველი ჯარის კაცები, რომლებიც შეადგენენ რუსეთის წითელი ჯარის ნაწილს. მოკლეთ, ქართული ლაშქარი აღარ არსებობს. ისტორიას ბარდება, ქართული ლაშქრისა: ამუნიცია, იარაღი, სამეურნეო დარგი ჩაიბარა რუსის არმიის ოკამ. ბევრი ოფიცრები დაითხოვენ. თბილისში ისევ გრძელდება რეპრესიები, რევკომის, ჩეკის, ცეკის, საგანგებო სხდომამ დაადგინა, ენერგიული ზომები იქმნეს მიღებული მენშევიკურ და საერთოდ ანტი-კომუნისტური მოძრაობის მოსასპობათ. გამოყოფილია საგანგებო კომისია ყველა „მავნე ელემენტების“ აღმოსაჩენათ. ამ ახლო ხანში საქართველოში მოდიან რუსის ჯარები. ჯარებს თან ახლავს აუარებელი ოჯახები რუსეთიდან. დატყვევებულ მუშათა ოჯახებს მოუსპეს ყოველგვარი დამხარება. წინეთ, ძველათ და დემოკრატიული მთავრობის დროს, რისთვისაც უნდა ყოფილიყვნენ

საქართველოს ეროვნული არქივი

მუშები დაპატიმრებულნი, მათ ოჯახებს ეძლეოდათ ის დახმარება, რომელსაც იღებდა მუშა ხელფასით. ამ გარემოებამ თვითონ კომუნისტებიც აალაპარაკა. არა ერთი განცხადება მიდის კომისარიატებში თვით კომუნისტური მესტკომებიდან და მოითხოვენ უპატრონო ოჯახების დაკმაყოფილებას.

გლეხების დაპატიმრება

17 დეკემბერს თელავის მაზრაში 60 ღარიბი გლეხი დააპატიმრეს, რადგან მათ ვერ შესძლეს გადახდა, ამან გამოიწვია არეულობა. მაზრის სხვა და სხვა სოფლებიდან შეგროვდა დიდძალი გლეხები. გარეკეს კომუნისტები, გადასახადის ამკრებნი მათი რაზმებით და ტყვე გლეხები გაანთავისუფლეს. რევკომმა იქ სასწრაფოდ გაგზავნა რუსის დამსჯელი რაზმი და სოფლებს ანადგურებენ.

დამოუკიდებლობის აღნიშვნა

27 იანვარს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად საქართველოში, სოც-დემოკრატებისშემდეგიმოწოდებაგამოუშვა:თექვსმეტისაუკუნისგანმავლობაში დღესასწაულობდა ქართველი ერი თოთხმეტ იანვარს. ეს იყო დღეობა ნინო განმანათლებლისა. ამ დღეს დაუკავშირა ქართველმა ხალხმა თავის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების მნიშვნელოვანი ხანა, როდესაც ის მთელ კაცობრიობაში, ყველა ხალხებში ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თავის განვითარებით და კულტურით შორს გასცილდა პრიმიტიულ წარმართობას და სარწმუნოების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე - ქრისტიანობაზე ავიდა. ეს დღე შეიქმნა არა მარტო მართლმორწმუნე ქრისტიანთა საზეიმო დღეთ, არა მარტო ეკლესიის კუთვნილებათ, არამედ მთელი ქართველი ხალხის ეროვნულ დღეობათ გადაიქცა. მაგრამ კიდე უფრო გაცხოველდა და გაკაშკაშდა ის დღე მის აქეთ, რაც გასული წლის იგივ იანვრის 27-ს მსოფლიომ იურიდიულათ იცნო ქართველი ერის და საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ დღეს ჩვენ უდიდესი წარმატება და გამარჯვება მოვიპოვეთ. მრავალი წლის სასტიკი და თავდადებული ბრძოლის შემდეგ ქართველმა ერმა, მშრომელთა მეთაურობით მოიგო დიდი ომები, ვეებერთელა შეტაკებანი. საქართველოში მოხდა ძლიერი და ორკეცი რევოლუცია, რევოლუცია პოლიტიკური, რომელსაც ხელმწიფება თვით ხალხს, მშრომელ ერს გადასცა და რევოლიუცია ეროვნული, რომელმაც ქართველ ერს თავის თავი მიაკუთვნა. თავისუფლება მოქალაქის, თავისუფლება ერის, დემოკრატიული ხალხოსნური წყობილება შიგნით და სუვერენობა, დამოუკიდებლობა გარედან. აი, რა მოიპოვა ქართველმა ხალხმა თავის ბრძოლით და უამრავი მსხვერპლით. თითქმის სამი წლის განმავლობაში თავს დასტრიალებდა ამ ძვირფასს განძს ქართველი ხალხი, იმ განძს, რომელშიაც ჩაინასკვა მთელი ერის სული და გული. მისი წმინდა აღმაფრენა და სპეტაკი გრძნობა, წარსულის სევდიანი კაეშანი, მომავლის ბრწყინვალე იმედი. გაშტერებით და გაოცებით უჭვრეტდა ამ ხნის განმავლობაში მთელი მსოფლიო ქართველი ერის გააფრთრებულ გორგასლანობას დიდი მონაპოვრის დაცვის საქმეში. სჭვრეტდნენ და სწონიდნენ აღმდგარ საქართველოს ძლიერნი და განათლებულნი ერები: მართლა სწყურია თუ არა ქართველ ხალხს თავისუფლება,

საქართველოს ეროვნული არქივი

ღირსია თუ არა ის თავისუფლების, შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებელი ცხოვრება. და დაკვირვების და შესწავლის შემდეგ განათლებულმა კაცობრიობამ გასული წლის 27 იანვარს ყველა ამ კითხვებზე დასტური გასცა, იურიდიულათ გვიცნო, მეზობლობის და მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა და გვითხრა: კეთილი იყოს თქვენი შემოსვლა ერთა და სახელმწიფოთა ოჯახშიო. ამ დღეს დაგვირგვინდა ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა და ამაგი. ამ დღეს ქართველმა ერმა ფორმალურათ, იურიდიულათ ჩაიბარა თავისი მიწა-წყალი, დაიმტკიცა საქართველო. ამ დღეს ვერავითარი ძალა ვეღარ ამოშლის მის ისტორიის ფურცლებიდან. ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ვერავინ გააქარწყლებს მისდა მიუხედავათ, რომ ამ დიდი ზეიმის და ლხინის დღეს თან მოჰყვა საშინელი ურვა და ჭირი. თუმც კიდე უფრო ადრე საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო რუსეთმა, მაგრამ მისი მთავრობა სიტყვას იმიტომ კი არ იძლევა, რომ შეასრულოს ყოვლად წარმოუდგენელი პირობა, მოღალატეობა და შემპარაობა. ასეთი ღირსებით შემკულმა, ამ თვისების მატარებელმა რუსეთის მთავრობამ თავისი მონა?? უამრავი შემოუსია ჩვენ ქვეყანას და მოინდომა ჩვენი თავისუფლების ჯეჯილის ყაზახთ ცხენებით წახდენა, ჩვენი ერის და სახელმწიფოს რუსული ჩექმით გასრესა.

პირდაპირ საარაკო გმირობით ეკვეთა ხალხი ურიცხვ მტერს, არც ერთი მტკაველი თავის მიწისა არ დაუთმო მან მომხთურთ, მაგრამ შეუძლებელს ვერავინ შესძლებს. სასწაულს ვერავინ ვერ მოახთენდა და რუსეთის ურდოებმაც გადათელეს მთელი საქართველო. მაგრამ სწორეთ ამ დამარცხების დროს უაღრესათ გაიმარჯვა ქართველმა ერმა, სწორედ ამ დამარცხებაში გაიმარჯვა ჩვენმა დამოუკიდებლობამ. სოღანლუღის და ვაზიანის, ტაბახმელის და კოჯორის, მეხადირის და ანარია-სამების გმირების სისხლი უკანასკნელ დუღაბათ მიემატა საქართველოს დმაოუკიდებლობის მტკიცე ბალავერს, ურყევ საფუძველს.

სამი წლის ბრძოლა 27 იანვარს დაგვირგვინდა. 27 იანვარი დამატებით განამტკიცა იმ გმირთა სისხლმა, რომელნიც მტლად დაედვენ ჩვენ თავისუფლებას. მალე ერთი წელი გავა, რაც ჩვენ ტურფა სამშობლოს საშინელი და საზიზღარი მაჯლაჯუნა დაპატრონებია. მაგრამ მრავლის მნახველმა ქართველმა ხალხმა იცის ჭირიც და ლხინიც. ის ლხინში არ კარგავს გონებას და წონასწორობას, ჭირშიაც სასოს არ იკვეთს, მით უმეტეს, როცა ის, ღრმათ დარწმუნებულია, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც შავი ნიაღვარის ტალახიანი წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი კი დარჩებიან, რომ მალე ტურფა სამშობლო ხსნილი იქნება ქაჯეთის ტყვეობიდან და მომავალ 27 იანვარს ჩვენ შევხდებით არა ძაძებში, არამედ საზეიმოთ მორთულნი. ეროვნულათ თავისუფალნი და სოციალური თანასწორობისკენ თამამათ მიმავალნი.

ამ მტკიცე იმედით და ღრმა რწმენით ულოცავს 27 იანვარს ქართველ ერს და მის ბელადს მუშათა კლასს საქართველოს სოც. დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ხალხური თქმულებანი ბოლშევიკების შესახებ

ქართველ ხალხში ბევრი თქმულებანი არის გავრცელებული, რომელნიც ბოლშევიკებისადმი ზიზღს და გული წყრომას გამოხატავენ, ხოლო ჟორდანიას

საქართველოს ეროვნული არქივი

მთავრობას და მენშევიკებს ქებათ ქებას ასხამენ. დასახასიათებლად მოგვყავს ზოგიერთი მათგანი, რომლებმაც ჩვენამდი მოახწიეს.

ამხანაგო ბიძია, იმ დასაქცევ 18 მარტს გევიხედე ბიძია და ნეტაი არ გამეხედა. რაღაცა გააქვს ბრიგინ-ბრიგინი, ლიწინ-ლიწინი, მოდის უშველებელი რევკომი, პარტკომი და პრედკომი, მოდის და მოუძღვება, მაგრამ რას მოუძღვება, მოსდევს და რა მოსდევს: პარტკომი, რევკომი, დომკომი, ზავკომი, მესტკომი, პრედკომი, სოვნარხოზი, ნოვრაჩკომი, გრუკავროსტა, სულ პროტესტი, კომხოზი, კომსოუზი, კომსომოლი, ნარკომზდრავი, აგიტ-პუნკტი, ნაჩბრიგი, ნაჩხოზი, ზომკომბრიგი, ნაჩკომზდრავი და მათ უკან მოსდევს დეზოკამრა და ჩეკა. მოაქვთ, მარა რა მოაქვთ, ნეტავი არ მოქონდეთ - შიმშილი, წყურვილი, უპურობა, უფულობა, უხორცობა, უღვინობა, უწამლობა, უბინაობა, უცოლობა, უქმრობა, გაყრა-გამოყრა და დაშტრიკინებული საანკეტო ფურცლების წერა. მოვიდნენ და დასახლდნენ: ქალაქში, ვაგზალში, ქუჩაში, დუქანში, სოფელში, ბოსელში, შენს ოთახში, ჩემს ოთახში, სხვის ოთახში, სხვის ლოგინში, დალაგდნენ თვითონ და ჩვენ კი გაგვანთავისუფლეს, მარა არ იკითხავთ რისგან გაგვანთავისუფლეს: ჭამისგან, სმისგან, ჩაცმისგან, დახურვისგან, ბინისგან, წამლობისგან, მოსვენებისგან და თავისუფლებისგან. გაგვანთავისუფლეს თუ არა დაარსეს მარა რა დაარსეს, დაარსეს საბჭოთა მთავრობა, სრული უთავობა, შაბათობა, კვირაობა, საანკეტო ფურლების წერა. მოგვაყარეს საანკეტო ფურცლები და გვიბრძანეს აბა ჩაწერეთ: რა იყავი, სად იყავი, რეიზა იყავი, რას ჭამდი, რეიზა სჭამდი, ვინ გაჭამა, რეიზა გაძეხი, ვინ გაგაძღო, სად ცხოვრობთ, რეიზა ცხოვრობ და შემდეგ დააწერეს ფურცლებზე: ,,უდალიტ, ვიგნატ ვ ჩეკა არესტოვატ რასტრელიატ". ერთი სიტყვით ყველაფერი ბევრი ჩამოიტანეს, მარა ყველაფერს სჯობია ჩეკა იმით, რომ თურმე ისევ ჟორდანიას გამოჩეკამს.

გადაკეთებული ქართული ჰიმნი
(იმღერება დიდების ხმაზე)
ზიზღი შალვას და მამიას,
ფილიპე კაციჭამიას
ერის დამღუპველთ.
ზიზღი ბესოს და საშასა,
მათ მოძმე ქემალ ფაშასა,
ზიზღი სამშობლოს გამყიდველთ
ერის მახინჯ შვილთ.
ზიზღი ბუდუ მდივანს
იუდა ადამიანს
წითელ დიპლომატს
ზიზღი სტალინ-ჯუღაშვილს
ქართული ერის უღირს შვილს
ზიზღი წითელ არმიას,
ძალით შემოსულს.

საქართველოს ეროვნული არქივი

რევკომის დახასიათება და მომავლის იმედი
საქართველოს რევკომშია,
თავში ზის ბუდუ
და იძახის თავმჯდომარეთ
ვეჩნა ია ბუდუ.
საქართველოს მშრომელი კი,
უმზერს იცინის,
ჟორდანიას დაბრუნებას
დღე-დღეზე ელის.
ვენაცვალე ჟორდანიას,
ჩვენ ბებერ ძიას,
ის მოუტანს საქართველოს
ვარდს და იას.

აბესალომ და ეთერის მოტივზე
მოქმედი პირები: ნოე ჟორდანია და ერის მოღალატე ფ. მახარაძე.
ჟორდანია: ფილიპ, ფილიპ, შენსა მზესა საქართველო რა დღეშია?
მახარაძე: შენ ხომ იცი, დიდო ნოე, რუსის ხიშტი უხეშია.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 89; 94-96; 104-105; 107-108; 112-113.

საქართველოს ეროვნული არქივი

მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა საჩივარი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარესა და საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარს ციხეში არსებული ვითარების შესახებ
1922 წლის 24 თებერვალი

ასლი

საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს, საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, იუსტიციის სახალხო კომისარს

მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა საჩივარი

თებერვლის 24-ს, ნაშუადღევის 4-საათზე, როდესაც სეირნობის შემდეგ კარებში ვბრუნდებოდით, ეზოში მოულოდნელად გამოჩნდა გაცოფებული და გაფითრებული ციხის უფროსი **შულმანი**, რაღაცა დაიყვირა, ამოიღო რევოლვერი და ორჯერ გაისროლა, მაგრამ პირველად არ გავარდა და მეორეთ ტყვია მოხვდა მესამე სართულის ფანჯრის ნაპირს, საიდანაც მოსჩანდნენ კიბეზე ამსვლელი პატიმარნი.

ჩვენ დიდ ხანს ვერ გამოვარკვიეთ რაში იყო საქმე და მერე გამოირკვა, რომ კამერაში მღეროდა სამი კაცი /„მხოლოდ შენ ერთს“/, რასაც შულმანი გაებრაზებინა. შულმანი ავარდა კიბეზე რევოლვერით ხელში და დაგვიწყო დედ-მამის გინება შემდეგი სიტყვებით: „ლაჩრებო, ბოზებო, გამოდით ღია ბრძოლაშიო“, თანაც ღრიალებდა დედას იგინებოდა. როდესაც ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ასეთი ქცევისათვის, შულმანმა განაცხადა: „რევოლვერი ჰაერში გავისროლე და დედ-მამა მარტო სტუდენტებს შევაგინეო“. შულმანს თან შემოყვა გამომძიებელი /ვიღაც წითელ არმიელი/, დარაჯები რევოლვერებით და ეზოში კი შემოიჭრნენ წითელ-არმიელები თოფებ მოღერებულნი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ შულმანს შეიძლება ჰქონდეს რაიმე სხვა მიზნები და ეს იყოს მორიგი პროვოკაცია.

გატყობინებთ რა ამას, რათა დაუყონებლივ გამოძიებული იქმნას ეს საქმე, ციხის უფროსი როგორც დამნაშავე დასჯილი იქმნას და მიღებული იქმნას ზომები, რათა ასეთი უმზგავსო საქციელი მომავალში მაინც აგვცდეს თავიდან თებერვლის 24-ს 1922 წ.

მეტეხის ციხე.

ხელს აწერენ 117 პოლიტიკური, მათ შორის მ. გიორგაძე, სპ. კედია, ს. ფირცხალავა, გ. ლასხიშვილი, ს. დადიანი, შ. მესხიშვილი, ს. დიდიძე და სხვები.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 91, ფურცელი 38.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო
პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ საქართველოს
ოკუპაციის ერთი წლის შეჯამება
1922 წლის თებერვალი

გლოვის ზარი

წელიწადი შესრულდა რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა (მოღალატე ქართველ ბოლშევიკებთან ერთად) მუხანათურად გადმოსთელეს საქართველოს საზღვრები, მიუხედავად იმ სასტიკი წინააღმდეგობისა, რომელიც მოულოდნელობის მიუხედავად ბრძოლის ასპარეზზე მათ გაუწია ქართველმა ხალხმა, დაიწყეს ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ნგრევა და ქართველი ხალხის ავლა დიდების ძარცვა, მაგრამ ქართველი ხალხი ამან ვერ გასტეხა. მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს მშრომელი ხალხი ზიზღს და სიძულვილს ატარებდა მათდამი, ვინც მოსკოვის ლაქიებად გადიქცნენ და ქართველ გმირთა სისხლში ამოვლებულ ხელებით ეპოტინებოდნენ ხელისუფლებას.

11 თებერვალს, იმ დღეს, როდესაც საქართველოს შემოესია წითელ სამოსელში გახვეული იმპერიალისტური ლაშქარი, თბილისი სამხედრო ბანაკათ გადაიქცა. თოფებით და მათრახებით გაუმასპინძლდა კომუნისტური ხელისუფლება ტფილისის მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას. ბავშვებსაც კი, რომელთაც სურდათ ყვავილებით შეემკოთ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა საფლავები, უხეში ძალით ფანტავდნენ. დაიწყო თავაშვებული დევნა მუშებისა, სტუდენტების და ინტელიგენციისა, რომელნიც ციხეებში ჩაყარეს, მაგრამ ქართველი ერი არ შეშინდა და კვლავინდებურად განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას.

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

საქ. სოც. ფედერ. სარევ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
სიმონ მდივანის პირადი ფონდი 2118, ანაწერი 1, საქმე 35, ფურცელი 1.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

პროვინციის ამბები
(ნაწყვეტები)

წერილი სიღნაღის მაზრიდან

11 თებერვალმა სრულიად დაურია დავთრები კომუნისტებს. თავიანთი სიმძაფრე უმაღლეს წერტილამდე აიყვანეს. ატუსაღებენ ყველას, მიუხედავად ამისა ხალხში სრული ერთობაა, უგზავნიან საჭმელს დატუსაღებულებს და მათი დასჯა თავიანთ დასჯად მიაჩნიად. 25 თებერვალს ქიზიყის თითქმის ყველა ეკლესიის გუმბათებზე ფრიალებდნენ ეროვნული დროშები ზედწარწერით: გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას. მთელი სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი გაერთიანებულნი ელიან ოკუპანტებისგან და ახალი ფორმის ბატონყმობისგან განთავისუფლებას. როგორც ზევით ვსთქვით, ყველაზე დიდათ უკმაყოფილონი არიან კომუნისტებით სოფლის უღარიბესნი მცხოვრებნი და მაზრის მუშა-მოსამსახურენი, ვინაიდგან უმთავრესად მათ დაატყდათ თავზე გაჭირვება და სიმშილი და თუ ითმენენ ყველა ამას სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი, ეს იმას არ ნიშნავს, ისინი მონებათ გადაიქცნენ, არამედ შეგნებულად ელიან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას.

„არჩევნები სამტრედიაში“

7 თებერვალს 1922 წელს მოხდა სამტრედიის ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს დეპუტატების არჩევნები, რომელსაც მშრომელი ხალხი სრულის ბოიკოტით შეხვდა. კომუნისტებმა ჯერ გაავრცელეს ხმა, რომ არჩევნები ოც თებერვალს იქნებაო, მაგრამ ჩვენთვის გასაგები მიზნების გამო მოულოდნელად ღამით გააკრეს განცხადებები, რომ 7 თებერვალს რკინის გზის კლუბის ეზოში მოხდება არჩევნებიო. ახლო მახლო სოფლებში აფრინეს მილიციონერები ღამით, რომლებიც უცხადებდნენ ხალხს, ხვალ თორმეტ საათზე ხართ დაბარებულებიო, ოჯახიდან თითო კაცი რკ. გზ. კლუბის ეზოშიო, ვინც არ გამოცხადდება დაისჯებაო. ნამდვილ მიზეზს ამ კრებისას ხალხს არ უხსნიდნენ, მასთან ისეთ პირებს, რომლებისგანაც ხეირს არ ელიან კრებაზე არ იბარებდნენ. 7 თებერვალს სოფლებიდან მოსულმა ხალხმა, გაიგო რა, საქმე რაში იყო უკანვე გაბრუნდნენ ამ სიტყვებით: „ჩვენ ვიცით კომუნისტების არჩევნების სისტემაო, მაგისთანა არჩევნებში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთო.“ კომუნისტებმა, რა შეხედეს, რომ ხალხი არ იკრიფება, ბაზარში ვაჭრებს დააკეტინეს მაღაზიები, და ძალით გარეკეს კრებაზე. დეპოს მუშებს მარკები არ დაურიგეს, ჯერ კრებას დაესწარითო და მერმე მიიღებთ მარკებსაო, დაუკრეს აგრეთვე მუსიკა, რომ სახაზინო სახლებში მცხოვრებთა ყურადღება მიეპყროთ. ამით უნდოდათ მათ შეექმნათ მათ მრავალრიცხოვანი კრება, თვალის შესახედათ მაინც. ყოველივე ამ საშუალების შემდეგ მოედანზე შეგროვდა დაახლოვებით 400 კაცამდე (თექვსმეტი ათასის მაგიერ, რომელსაც უდრის ამრჩეველი რიცხვი), მათ შორის წითელი არმიელიც რუსები. საათის პირველზედ რევკომის

საქართველოს ეროვნული არქივი

თავმჯდომარემ ბ-ნ ქუთათელაძემ გახსნა კრება. მთელმა რიგმა კომუნისტებმა ილაპარაკა ჩვეულებრივი ბაქიაობით და მუქარით ევროპის ბურჟუაზიის და „სოგლაშატელების“ მიმართ. ერთმა (ვ. სტურუამ) ისიც კი სთქვა, რომ ბათომში ლირის გაძვირება ნოე ჟორდანიას ბრალიაო. ამის შემდეგ წამოაყენეს სია თავის კანდიდატებისა და გამოაცხადეს, ვისაც გაქვთ სია, წამოაყენეთო. მაგრამ სიას ვინ წააყენებდა, როდესაც არჩევნები არავის სწამდა. ამის შემდეგ ქუთათელაძემ გამოაცხადა არჩევნების უფლება არ აქვთ ვაჭრებს, სამღვდელოებას, და ძველ ჩინოვნიკებსაო. ასეთებმა დასტოვეთ კრებაო. ხალხში სიცილი ასტყდა და ბევრმა მათგანმა დასტოვა ეს სასაცილო კრება. ტრიბუნის მახლობლად დარჩა მარტო კომუნისტები და წითელი არმიელები. უყარეს კენჭი თითო არევით და ხმა მისცა ამ სიას დაახლოვებით ასმა კაცმა. ამრიგად „მრავალრიცხოვანმა კრებამ ერთხმად“, ამოირჩია საბჭოში კომუნისტი დეპუტატები.

რეზოლუცია მიღებული სამტრედიის გიმნაზიელების სახალხო მიტინგისა 11 თებერვალს

დასაბამიდგანვე ჩვენ ერს მუდმივ სისხლიანი ისტორია აქვს, მას ყოველმხრივ ესეოდნენ და ანადგურებდნენ ველურები. ჩვენი სამშობლო მუდმივ თავდაცვით ომის წარმოებაშია ... საქართველოს ხეობები სისხლის ცრემლებითაა დაღარული, მას უანგარიშოდ უგმირავდნენ გმირ ჭაბუკებს და ივერიის მთაზე მუდმივ იქნება წარწერილი შავი მატიანე აოხრებისა და ტყვეობის. მაგრამ საქართველომ, როგორც ერთ მთლიან ეროვნულმა ერთეულმა დღემდის შეინარჩუნა თავის სახე და მომავალშიც შეინარჩუნებს. ჩვენი პატარა საქართველოს ცხოვრება, ჩვენი კეკლუცი მამული და მის შვილთა მაგალითი გვეუბნება მის გმირობასა და რაინდობასაც. მთელი ჩვენი წარსული წინასწარმეტყველებს დიად სასწაულებრივ შესაძლებლობას, მაგრამ მას არ დააცადეს და არც ეხლა მეოცე საუკუნეში არ უნდათ, რომ დააცადონ. არ უნდათ, რომ კაცობრიობამ ულამაზესი შემონაქმედი დაინახოს და მოისმინოს.

ჩვენ მოვითხოვთ:

1. ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას უცხო ჯარებისაგან.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ყველა იმ მოთხოვ-ნილებათა შესრულებას, რომლისთვისაც იბრძვის საქართველოს მშრომელი ხალხი.

თავმჯდომარე: ლ. იმნაძე, მდივანი: ს. ყუფარაძე.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 716, ფურცლები 16-20.

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა ხელისუფლების მიერ სენაკის მაზრაში
ჩატარებული არჩევნების მოკლე აღწერა
1922 წლის თებერვალი

საბჭოთა არჩევნები სენაკის მაზრაში

არჩევნების დაწყების წინ ადგილობრივმა ხელისუფლებამ საშინელი რეპრესიები და უმაგალითო ტერორი გაამეფა მთელს მაზრაში. რამდენიმე ასეული კაცი ჩეკის ბნელ სარდაფებში იქნა ჩაყრილი და როდესაც ეს წინასწარი „სამზადისი“ დამთავრდა, როდესაც ჩამოიშორეს უფრო აქტიური ხალხი, დაიწყეს „არჩევნები“. მაგრამ სენაკის მაზრის მცხოვრებლებმა, განსაკუთრებით მშრომელთა ნაწილმა, ჩინებულათ ჩაატარა ბოიკოტი იმ თამაშისადმი, რომელსაც კომუნისტები არჩევნებს უწოდებენ. მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა, სასტიკი მუქარისა და ცემა-ტყეპისა, ხალხი არ გაეკარა მათ მიერ შეთითხნილ არჩევნებს და მით ერთხელ კიდევ აშკარად, ქვეყნის გასაგონათ აღიარა, რომ ის ვერასდროს ვერ შეურიგდება მუშათა კლასის სისხლით და სახელით მოვაჭრე კომუნისტების ბატონობას. მაგრამ უკეთესია ვალაპარაკოთ ციფრები: ნავ. ქ. ახალ-სენაკში დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ითვლებოდა 3254 ამომრჩეველი; „საბჭოთა არჩევნებს“ ესწრება 200 კაცი, კანდიდატთა სიას ხმას აძლევს 53 კაცი, დანარჩენი ძალით მოგროვილი ხალხი თავს იკავებს. თეკლათის თემში იყო 7154 ამომრჩეველი, თავი მოუყარეს 255 კაცს, აქედან სიას ხმა მისცა 75 კაცმა. ნოსირის თემში 3621 ამომრჩეველი იყო, თავი მოუყარეს 145 კაცს, სიას ხმა მისცა 36 კაცმა, ძველ სენაკის თემში იყო 2100 ამომრჩეველი, თავი მოუყარეს 200 კაცს, სიას ხმა მისცა 67 კაცმა. ეკის თემში 1920 ამომრჩეველი იყო, თავი მოუყარეს 235 კაცს, სიას ხმა მისცა 32 კაცმა. ნოქალაქევის თემში 1500 ამომრჩეველი იყო, დიდი დავიდარაბებით და ვაი-ვაგლახით მიიყვანეს 175 კაცი, ხმა მისცა 27 კაცმა. სეფიეთის თემში 1485 ამომრჩევლისგან არჩევნებზე მორეკეს 270 კაცი, ამ დამსწრეთაგან სიას ხმა მისცა 35 კაცმა. აბაშის თემში 2760 კაცი იყო ამომრჩეველი, თავი მოუყარეს 347 კაცს, სიას ხმა მისცა 50 კაცმა და ასე მოხდა სხვა თემებშიაც. ამ რიგად სულ მაზრაში იყო 74 159 ამომრჩეველი (ქალი და კაცი), ამ რიცხვიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღო და ამა თუ იმ პარტიას ხმა მისცა 62 519 ამომრჩეველმა. „საბჭოთა არჩევნებს“ დაესწრო 8010 კაცი, კომუნისტების სიას ხელი მოუწერა 3019 კაცმა. აქტიური ბოიკოტი ჩაატარა და საბჭოთა კრებებს სულ არ დასწრებია 66 149 ამომრჩეველი. ძალით მოკრეფილმა პასიური ბოიკოტი ჩაატარა კრებებზე - 4991 ამომრჩეველმა. სულ აქტიური და პასიური ბოიკოტი ჩაატარა - 71 140 ამომრჩეველმა. 3019 კაცმა წინააღმდეგ 71 140 კაცის ნება-სურვილისა აირჩია მაზრის „საბჭო“. აქვე უნდა აღვნიშნო, თუ როგორ შეაგროვეს ეს 3019 ხმა კომუნისტებმა. არჩევნების დროს დარღვეული იყო ყველა ელემენტარული წესები არჩევნებისა: „არჩევნები“ ხდებოდა უბრალო თითის აწევით; თითის ამწევნი კი იყვნენ კომიაჩეიკის, მილიციის და რევკომის წევრები და მათი ოჯახის წევრები. არჩევნები სხვა და

საქართველოს ეროვნული არქივი

სხვა სოფლებში და რაიონებში ინიშნებოდა სხვა და სხვა დროს. იმ სოფელში, სადაც არჩევნები ხდებოდა, მოდიოდენ მეზობელ სოფლების კომიაჩეიკის და მილიციის წევრები და ხმას აძლევდნენ სიას. აქედან ცხადია, თუ როგორ შეაგროვეს 3019 ხმა კომუნისტებმა. ისიც უნდა ითქვას, რომ დანიშნულ დღეს თითქმის არც ერთ თემში არ შემდგარა არჩევნები ხალხის დაუსწრებლობის გამო. შემდეგ როცა ხალხი არ ეკარებოდა, ძალით, მოტყუილებით მიყავდათ არჩევნებში. ეუბნებოდნენ, რომ არჩევნები კი არა სხვა საქმეა და კრებას უნდა დაესწროთო. ამიტომ იყო, რომ კრებაზე დამსწრეთა ორი მესამედი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა არჩევნებში და რადგანაც კრება ალყა შემორტყმული და არავის არ ქონდა უფლება სახლში წასვლისა, პასიურ ბოიკოტს მიმართავდენ. აი, ასე ჩაატარეს „საბჭოთა არჩევნები“ კომუნისტებმა სენაკის მაზრაში.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 716, ფურცლები 30-31.

საქართველოს ეროვნული არქივი

სამ ქართულ პოლიტიკურ სუბიექტს შორის
პარიზში დადებული შეთანხმება
1922 წლის 3 მარტი

შეთანხმება ხელშეკრულება

სოც. დემოკრატ. დემოკრატიულ (გაერთ. ეროვნ. დემოკრ. ეროვნულ-დემ., პარტიები და უპარტიოთა ჯგუფი) და სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას შორის.

I მუხლი. საქართველოს პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს უთანხმდებიან რუსეთის ოკუპაციის მოსასპობად და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად. ამ მიზნით, შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავისი ძალღონით, იბრძოლონ ოკუპანტების წინააღმდეგ, ემზადონ გამოსვლისათვის საოკუპაციო მმართველობის გასაუქმებლად და საჭირო ჟამს მთელი თავისი ძალა გავლენით ამ გამოსვლაში მიიღონ.

II მუხლი. საქართველოს კანონიერ მთავრობად შეთანხმების მონაწილე პარტიები კვლავინდებურად უცხოეთში მყოფ ნ. ჟორდანიას მთავრობას სთვლიან, რომელიც, შეთანხმების ფრაქციათა წარმომადგენლებით შევსებული დამფ. კრების პრეზიდიუმთან ერთად ხელმძღვანელობს პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს დემ. რესპუბლიკის აღსადგენად.

III მუხლი. საქართველოს ხალხის დარაზმვა, განმანთავისუფლებელ ლაშქრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა ოკუპაციის გასაუქმებლად, საქ. განმათავისუფლებელ კომიტეტს აქვს მოწყობილი. ამავე კომიტეტს ევალება ოკუპაციის გაუქმების შემდეგ უცხოეთიდან კანონიერ მთავრობის დაბრუნებამდე სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვა.

IV მუხლი. მთავრობასთან ერთად, უცხოეთიდან ბრუნდება დამფ. კრების პრეზიდიუმი, რომელიც დაუყონებლივ (არა უგვიანეს ერთი კვირისა) იწვევს დამფუძნებელ კრების სხდომას. დამფ. კრება მოისმენს მთავრობის და განმანთავისუფლებელი კომიტეტის ანგარიშებს, ადგენს კოალიციურ მთავრობას, უხსნის მას სათანადო კრედიტებს, გამოსცემს საარჩევნო კანონს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს არა უგვიანეს სამი თვისა. შეთანხმების მონაწილე პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ დამფ. კრებამ გადასინჯოს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი.

შენიშვნა: სხვა საკითხების განხილვა და პარლამენტის არჩევნების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს შეთანხმების ყველა მონაწილე პარტიათა დასტურით.

V. დამფ. კრების მიერ შედგენილი კოალიციური მთავრობა განაგებს ქვეყანას პარლამენტის შეკრებამდის და მის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს:

ა) ოკუპაციის მიერ ნაანდერძევი ანარქიის მოსპობა და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცება.

ბ) ევროპის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ მოკავშირეთა მოძებნა, მოწინავე ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება და

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებულ ეკონომიურ პოლიტიკის განხორციელება და

გ) უცხოელ ინსტრუქტორების დახმარებით სამხედრო ძალის მოწყობა ერთ სისტემიანი რეგულარიული ჯარის სახით.

VI. პარლამენტის არჩევნებს ხელმძღვანელობს დამფ. კრების მიერ დანიშნული კოალიციური ცენტრალური საარჩევნო კომისია. ადგილობრივ არჩევნების ხელმძღვანელობა ეკუთვნის ადგილობრივ თვითმართველობას, რომელიც თავიდანვე ადგენს ყველა საარჩევნო კომისიას კოალიციურად, ადგილობრივ არსებულ პარტიათა წარმომადგენლებისაგან. არჩევნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაცია და მილიცია საარჩევნო სფეროში ემორჩილება საარჩევნო კომისიებს.

VII. შეთანხმების მონაწილე პარტიები თავს მოვალეთ სთვლიან ხმოსანთა ახალ არჩევნებამდე ქალაქთა და ერობათა საბჭოსა და ერობებზე კოალიციური გამგეობანი აირჩიონ.

VIII. შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ რუსეთის ოკუპაციის გაუქმებამდე ერთი მეორეს საწინააღმდეგო საჯარო გამოსვლები არ მოახდინონ.

IX. ამ შეთანხმებას შეუძლია შეუერთდეს არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან შეთანხმების დღემდის ჩაბარებისა, საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც იმ აუცილებელი პირობით, ა) უცვლელად მიიღებს ამ შეთანხმებას და შეუერთდება სამი პარტიის მიერ გამოცემულ მიმართვებს. ბ) საჯაროდ განაცხადებს, რომ ის უარყოფს რუსეთის ოკუპაციას და მიზნად ისახავს საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას.

პარიზი 3 მარტი 1922 წელი

დედანს ხელს აწერენ:

სოციალ დემოკრატიული პარტიის სახელით: ნ. კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, ბ. ჩხიკვიშვილი.

გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით: გ. ვეშაპელი, ლ. ჯაფარიძე, რ. გაბაშვილი, გ. ალშიბაია, ე. თაყაიშვილი, ნ. ჯაყელი, ნ. ნიკოლაძე.

სოც. ფედ. პარტიის სახელით: ს. მდივანი, კ. კობახიძე

დედანთან სწორია: გ. ვეშაპელი.

დამატებითი შეთანხმება-ხელშეკრულება

სოც. დემ., გაერთ. ერ. დემ. და სოც. ფედ. პარტიათა შორის

I. ძირითადი ხელშეკრულების მესამე მუხლში ნაგულისხმევ, საქ. განმათავისუფლებელი კომიტეტი ამ თავიდან შედგება 4 კაცისაგან: ორი სოცდემოკრატი (მათ შორის თავჯდომარე, არჩეული მთელი კომიტეტის მიერ ერთი ერ. დემ. პარტიის და ერთიც სოც. ფედ. პარტიის წარმომადგენელი. იმ მოსალოდნელი შემთხვევისათვის, თუ რომელიმე სხვა პარტია ისურვებს შემოსვლას ამ შეთანხმებაში, მისი წარმომადგენლის კომიტეტში მიღება

საქართველოს ეროვნული არქივი

შეადგენს უფლებას თვით კომიტეტისას, რომელიც მხოლოდ სამი მეოთხედი ხმით სწყვეტს ასეთ საკითხს. სხვა პარტიათა წარმომადგენლის ან წარმომადგენლების შემოსვლის შემდეგ უნდა მოხდეს განმათ. კომიტეტის შემადგენლობის გაფართოვება იმ სახით, რომ ნახევარი, მათ შორის თავჯდომარე სოც. დემ. პარტიას ეკუთვნის, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ პარტიებს, რომელთა შორის ხმათა განაწილება არსებულ განმათ. კომიტეტის უფლებას შეადგენს, ისე კი რომ გაერთ. ერ. დემ. და სოც. ფედ. პარტიებს თანასწორი ხმები ექნეთ.

II. კოალიციური მთავრობის ნახევარი, მათ შორის თავჯდომარე უნდა ეკუთვნოდეს სოც. დემ პარტიას, ხოლო მეორე ნახევარი მათ შორის თავჯდომარის მოადგილე დანარჩენ პარტიებს, იმ პირობით, რომ საქ. გაერ. დემ. პარტიამ უნდა მიიღოს ერთი პორტფელით მეტი, ვიდრე სოც. ფედ. ს. პარტიამ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული თავჯდომარე იწვევს კაბინეტის წევრებს პარტიებთან შეთანხმებით.

III. ყველა სხვა საზღვარგარეთულ არსებულ და მომავალ ორგანიზაციებისათვის (პოლიტიკური კომისიები, საინფორმაციო ბიუროები, გაზეთ „თავისუფალ საქართველოს“ სარედაქციო კოლეგია და სხვ.) შემოღებული უნდა იყოს დაახლოვებითი პროპორცია, რომელიც დამტკიცებულია განმათავისუფლებელი კომიტეტისა და კოალიციურ მთავრობისათვის. დამფ. კრების პრეზიდიუმი შევსებული ფრაქციათა წარმომადგენლებით ყოველ კერძო შემთხვევაში აწესებს პროპორციასა და პერსონალურ შემადგენლობას ასეთი ორგანოებისას.

IV. შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულებენ, რომ დამფ. კრების მიერ არჩეულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ნახევარი, მათ შორის თავჯდომარე, წარმოდგენილი იქნება სოც. დემ. ფრაქციის მიერ, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ ფრაქციათა მიერ.

V მუხლი. განმათავისუფლებელ კომიტეტში, კოალიციურ მთავრობაში ან სხვა ყველა კოალიციურ არჩევნებში ხმების თანასწორობის დროს თავჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს.

VI. სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციას აწესებს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, შევსებული ფრაქციათა წარმომადგენლებით.

ხელს აწერენ იგივენი, ვინც ძირითად ხელშეკრულებას.
დედანთან სწორი გ. ვეშაპელი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცლები 10-13.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის
მთავარი კომიტეტის მიმართვა ევროპის ერებს
და კულტურის სფეროს მუშაკებს
1922 წლის 11 მარტი

ევროპის განათლებულ ერებს და კულტურის სფეროში მომუშავეთ

1921 წლის თებერვლის 11-ს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა გადალახეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და დაიწყეს ომი საქართველოს წინააღმდეგ უეცრად და გამოუცხადებლად. ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს არწმუნებდა, რომ რუსეთი საქართველოსთან კეთილ განწყობილებაშია იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც ამ სახელმწიფოთა შორის დაიდო 1920 წ. მაისის 8-ს; მიუხედავათ ამ გვარ რწმუნებისა საბჭოთა რუსეთის რეგულიარული ჯარები სასტიკ შეტევას აწარმოებდა საქართველოს თითქმის ყველა საზღვარზე. ამ უხეშ თავდასხმამ ფეხზე დააყენა მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, რომელმაც თავისი წარმომადგენლების პირით დამფუძნებელ კრებაში გადასწყვიტა თავისი ქვეყნის, თავისი კერას დაცვა მტრისგან, და ეს გადაწყვეტილება მან დაამტკიცა უმეშველოდაც, როდესაც ქართულ ლაშქარს, მედგრად მებრძოლ საბჭოთა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, ყოველგვარ დახმარებას უწევდა. დიდი იყო ერთსულოვნება და სიმტკიცე ქართველი ხალხისა სამშობლოს დაცვის საქმეში. ჯარიც, როგორც ხალხის შვილი დიდად გამხნევებული და გააფთრებული ებრძოდა უხეშ ძალას, რომელიც უქადდა მის ტურფა ქვეყანას განადგურებას. საქართველოს დედა ქალაქ ტფილისის გარშემო პოზიციებზე ქართველი ჯარის-კაცები პირდაპირ გამგელებული ებრძოდა საბჭოთა რუსეთის ჯარს, რომელსაც თანდათან ახალი მაშველი ჯარები მოსდიოდათ იმ რუსეთიდან, რომელიც ვითომ საქართველოს არ ეომებოდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ბ. ჩიჩერინის ოფიციალური სიტყვით. ბოლოს თებერვლის 25-ს საბჭოთა რუსეთის ჯარები ტფილისში შეიჭრნენ და ცეცხლით და მახვილით მთელი საქართველო გადაიარეს. უამრავ, უხეშ ძალას ვერ გაუძლო ქართველმა ხალხმა: რევოლუციისა და რუსეთის ანარქიის ცეცხლში წარმოშობილმა საქართველოს რესპუბლიკამ ვერ შესძლო სამი წლის განმავლობაში თავისი არსებობის ყოველმხრივი უზრუნველოყოფა: საქართველო დაპყრობილ იქმნა და საოკუპაციო რუსის ჯარების საშუალებით ტფილისში ახალი, ვითომდა ქართველობისაგან შემდგარი, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. რაც რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე მოსკოვის ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს, ის ამიერ კავკასიაში საქართველოს დაპყრობით დაასრულეს, როგორს ოდესღან მოსკოვის მწიგნობარნი-მეცნიერნი ფიქრობდნენ, რომ მოსკოვია მესამე რომი, მუდმივი, გადაუვალი, რომ მის მიერ მსოფლიოს განახლება და მსოფლიოზე მისი ბატონობა აუცილებელი, ესევე პატრიარქები მოსკოვის კომუნიზმისა ქმნიან მოსკოვის მესამე ინტერნაციონალს; ვითომდა კაცობრიობის ცხოვრების განახლებაზე, გარდაქმნაზე ზრუნავენ, დამონავებულ

საქართველოს ეროვნული არქივი

ერთა განთავისუფლებას ვითომდა ემსახურებიან, არსებობით კი მთელი მა-თი მოქმედება მიმართულია დიდი რუსეთის აღდგენა-განვითარებისკენ. ამ ქვეყნად ოქროს საუკუნის დამყარების ინიციატორები ვერ განთავისუფლდნენ ძველ რუსულ ტრადიციებიდან და რუსეთის ისტორიამ დაიპყრო თვით რუსეთის რევოლუცია, როდესაც უნდა დაერღვია მისი გადმოცემანი. ყველგან, სადაც კი ძველი რუსეთის თავის ისტორიის სივრცეზე ბატონობას ეძებდა, სწორედ იქ ყველგან იქ მოსკოვის კომუნისტები თავის „სოვეტიზაციის სისტემით" გაჩდნენ, ვითომდა ახალი მოსაზრებით და საბუთებით ლაპარაკობენ თავიანთ უფლებებზე ფილანდიაში, ბალტიის სახელმწიფოებში, პოლონეთში, ამიერ კავკასიაში, სპარსეთში, ახლო აღმოსავლეთში, შორეულ აღმოსავლეთში და სხ. მოსკოვის ფარისევლები ვითომდა მსოფლიო სოციალური რევოლუციის ინტერესებით ხსნიან თავისუფალ ერთა საქმეში ჩარევას, გაიძახიან, რომ პროლეტარული ინტერესების გამარჯვება და მსოფლიო და ადგილობრივ ბურჟუაზიის დამარცხება მოითხოვს თავისუფალ სახელმწიფოთა ეგრეთ წოდებულ რუსეთის წითელი ჯარებით დაკავებას და აოხრებას. ამგვარ საერთაშორისო პოლიტიკის მსხვერპლად შეიქმნა საქართველო 11 თებერვალს 1921 წ. და შეიძლება ვსთქვათ, ამ ერთი წლის განმავლობაშიდ ოკუპაცია დაპყრობად გადაიქცა. მართალია, დღესაც გრძელდება თამაში საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა; მაგრამ მოსკოვის კომუნიზმის ბელადები ამას სჩადიან იმისთვის, რომ განათლებულ ქვეყნების და სახელმწიფოთა საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანონ; სინამდვილეში კი საქართველოს სახელმწიფო არ არსებობს: იგი საბჭოთა რუსეთის უბრალოდ პროვინციას წარმოადგენს; საქართველოს არ აქვს სახელმწიფოებრივი საზღვრები, იგი მოსკოვმა მოუსპო; საქართველოს სახელმწიფოს არ ჰყავს მთავრობა, ვინაიდგან არსებული მთავრობა არის დაყენებული მოსკოვის მიერ და მთავრობის წევრები კი მოსკოვის მთავრობის მოხელეები; საქართველოს თავისი საკუთრება არ აქვს, ვინაიდგან, რაც კი საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება, მოსკოვის განკარგულებაშია, მისი აგენტების ხელშია; საქართველოს სახელმწიფოს არ ჰყავს თავისი შეიარაღებული ძალა; ეგრეთ წოდებული განსაკუთრებული კავკასიის რუსული ჯარი განაგებს ქვეყანას; საქართველოს სახელმწიფოში მობინადრე ხალხის შრომის ნაყოფიც მოსკოვის აგენტების განკარგულებაშია; ქართული ენა ვითომცდა სოციალური რევოლუციის მსხვერპლად არის მიტანილი და ამის გამო თითქმის გაუქმებულია საქართველოს სხვა და სხვა დაწესებულებები; ყველა კულტურული, ეროვნული, ქართული დაწესებულება მოსპობილია. სკოლა, როგორც დაბალი, ისე საშუალო და უმაღლესი სრულიად დაშლილია. მოისპო საქართველოში ყოველგვარი ეროვნული მუშაობა, თავისუფალი სიტყვა, პრესა, აზროვნება. სრულიად განადგურებულია ქვეყანა; გაიზიდა ყველაფერი რუსეთში, რისი გაზიდვაც კი მოხერხდებოდა. მთელი საქართველო გაივსო უცხო ელემენტებით და ბოლშევიკურ რუსეთის ცენტრალურ დაწესებულებათა ქვე განყოფილებებით. რუსეთის ჯარი და მოხელეთა მთელი ლაშქარი მოედო, როგორც კალია, მთელ ქვეყანას და ლამის არის სჩანთქავს იგი. ქართველი ხალხი დაჩაგრულია, უბრალო ელემენტარულ მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული; ქართველ მუშას, გლეხს, ქართველ ინტელიგენტს

საქართველოს ეროვნული არქივი

დღეს საქართველოში არ შეუძლია თავის მოყრა, თავის საჭიროებაზე მოლაპარაკება. გაბატონებულია ყველგან, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში საშინელი ძალმომრეობა, ეგრეთ წოდებული პროლეტარიატის დიქტატურის სახით. საქართველოს ჩეკა ეს ახლად მოვლინებული ქვეყნის გადასაქმნელად წმინდა მოსკოვის შემოქმედების ნაყოფი ფართო ავითარებს საზოგადოებრივი ძალების განადგურების საქმეს. ციხეები სავსეა დღეს ქართველი მუშებით და გლეხებით, ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენლებით. ატუსაღებენ ყველას განურჩევლად მდგომარეობისა და ასაკისა; არ დაინდვეს მოსწავლე ახალგაზრდობაც და 13-14 წლის ყმაწვილები ციხეებში ჰყავთ გამომწყვდეული. მრავალი მასწავლებელი, სამხედრო პირი, სტუდენტი იტანჯება ციხეებში, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლების წყალობით საქართველოში აუარებელია.

ამ გვარად მოსკოვის კარნახით დღევანდელი ხელისუფლება აპარტახებს საქართველოს და ფიზიკურად და ეროვნულად ქართველი ხალხის მოსპობას ხელს უწყობს. ასეთი უსამართლობა ხდება სწორედ იმ ისტორიულ ჟამს, როცა ბრძოლა მშვიდობიანობისთვის, ბრძოლა უფლებისათვის განათლებულ კაცობრიობისათვის პაროლად და ლოზუნგად გადაიქცა. ამ ლოზუნგის გარშემო შემოიკრიფა ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ ხალხების საზოგადოებრივი აზრი. ევროპის საზოგადოებრივ კლასებს კარგად ესმით ბრძოლა უფლებისათვის. ის ხალისი, რომლითაც ისინი აუარებელ მსხვერპლს სწირავენ მის სამსხვერპლოს, მოწმობს იმას, რომ ყველა გამსჭვალულია უხეში ძალმომრეობის და ძალის ბრძოლით, და ამ ძალის დამორჩილების სურვილით, რათა განმტკიცდეს უფლებრივი დასაწყისი, რომელიც საფუძველია საერთაშორისო ცხოვრებისა. უფლების ბატონობის შეურყეველ საფუძველზე დამყარება - მოწინავე სახელმწიფოთა და ერთა მთავარი მიზანია. დიდი საშიშროება, რომელიც დღეს კაცობრიობას ემუქრება, იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა ახალი მილიტარიზმი და იმპერიალიზმი, მოსკოვის ბოლშევიზმი. არ შეიძლება ამ უხეშ და ყოველგვარ კულტურულ ღირებულებათა გამანადგურებელ ძალას არ მივაქციოთ ევროპის განათლებულ ერების და ორგანიზაციების ყურადღება.

საქართველოს მასწავლებლობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით დარწმუნებულია, რომ მისი სულის კვეთებას და ღრმა აღშფოთებას მოსკოვის მიერ საქართველოს განადგურებით გამოწვეულს ჩაწვდებიან ევროპის განათლებული ერები, და გაუწევენ ქართველ ერს დახმარებას იმ წარმოუდგენელ ძალადობის მოსპობის საქმეში, რომელიც დღეს გამეფებულია საქართველოში. ქართველ მასწავლებლობას და კულტურულ სფეროში მომუშავეთ ქართველი ერის გადასარჩენად და მის კულტურულ განვითარების უზრუნველ საყოფათ აუცილებელ საჭიროდ მიაჩნიათ შემდეგი: I. აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობისა და მისი დაცვა ადგილობრივ ძალებით; II. დაუყონებლივი გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან უცხო საოკუპაციო რუსეთის ჯარების; III. სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიულ საფუძველზე აღდგენა; IV. საქართველოში ისეთი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, რომელიც შეესაბამება როგორც ადგილობრივ, ისე საერთო ობიექტურ პირობებს და

საქართველოს ეროვნული არქივი

რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ყოველ მხრივ განვითარებას. ყველაფერი ეს იქნება არა მარტო დახმარება პატარა ერისადმი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის, - ეს იქნება უფლების ძალაზე გამარჯვების, მშვიდობიანობის - ომიანობაზე.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი
კომიტეტის თავმჯდომარე: ალ. მდივანი /ხელრთვა/
წევრები: დ. პარკაძე /ხელრთვა/
ა. მეგრელიძე /ხელრთვა/
ალ. წერეთელი /ხელრთვა/
ნ. იმნაიშვილი /ხელრთვა/
კ. გაგუა /ხელრთვა/
ვ. ბურჯანაძე /ხელრთვა/
ნ. იმნაიშვილი /ხელრთვა/
მდივანი: ტრ. ხუნდაძე /ხელრთვა/

მარტის 11-ს, 1922 წელს.
ქ. ტფილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 686, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წერილი საზღვარგარეთ მყოფი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს საქართველოში არსებული ვითარებისა და პარტიის მომავალი ტაქტიკის შესახებ
1922 წლის 15 მარტი

საქართ. სოციალ-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან

თუმცა უკანასკნელ ცნობების შემდეგ ჩვენი მდგომარეობა დიდათ არაფლით შეცვლილა, - მაგრამ მაინც მოკლეთ გაუწყებთ შემდეგს: ოკუპაციის ძალა-უფლება გადაჭრით და მთელის სიმკაცრით განაგრძობს ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის ყოველ ნასახის აღმოსაფხვრელად. თუ აქამდე სიტყვით მაინც დამოუკიდებლობას აღიარებდენ, დღეს ეს დამოუკიდებლობა ფორმალურათაც გაუქმებულია. უკვე შესდგა ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც მხოლოდ საფეხურია ჩვენი რუსეთის პროვინციის გადასაქცევათ. მთავრობის პრეზიდიუმში შედიან: ნარიმანოვი, მიასნიკოვი და მდივანი. რეზიდენცია იქნება თფილისი. ამავე დროს საქართველოს **საბჭოთა ყრილობამ იშვილა აქ მყოფი რუსეთის ჯარები.** ამიერიდან მათ საქართველოს ჯარებს უწოდებენ. ამასთანავე სასწრაფო ზომებს იღებენ ადგილობრივი ჯარის შესაქმნელათ. გამოცხადდა კომუნისტების მობილიზაცია; მათ ქართულ ჯარში რიცხავენ /მობილიზაციით უმთავრესათ რუსები და სომხები გაიწვიეს/. ეს შესაძლებელია იმისათვისაც უნდათ, რომ გენუაში გამოაცხადონ, რომ საქართველოშითითქოსრუსეთისჯარებიარარისდაძალა-უფლებაადგილობრივ ხალხის ხელშია. ეს იქნება მორიგი სიცრუე. პი[რი]ქით, ჩვენ ვიცით რომ რუსის ჯარს უკანასკნელათ სისტემატიურათ ძალები ემატება. ქართული მოსაზღვრე რაზმები რუსის პოლკებით შესცვალეს და სხ. ერთი სიტყვით სამხედრო სამზადისი აქვთ. თუ ასე გაგრძელების საშვალება დაურჩათ, მალე უბრალო სანამესტნიკოთ შეიცვლება დღევანდელი რთული მექანიზმი. ამერ-კავკასიის მთავრობასთან დაარსდა ამიერ-კავკასიის „ჩეკა“, რომლის თავმჯდომარეთ ვიღაც რუსანოვია /ყოფილი მეფის ნიკოლოზის მკვლელი უნდა იყოს/. ჩვენში სრულებით არ არის იმის იმედი რომ კომუნისტები ჯარს აქედან თავის ნებით გაიყვანებენ. ეს ჩვენ მიგვაჩნია მავნე ილიუზიათ. ამაში ჩვენ გვარწმუნებენ უკანასკნელი განცხადებები ყველა პასუხისმგებელ პირებისა. თქვენ შეიძლება არ იცით და მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ამ უკანასკნელათ ტროცკიმ განაცხადა, რომ მთავარი საშიშროება კავკასიაში მოგველის, იქ ნავთისა და მარგანეცის გარშემო ევროპის კაპიტალი ყოფილ ამიერ-კავკასიის მთავრობის თხოვნით ინტერვენციისათვის ემზადებაო. ტროცკიმვე გამოსცა წიგნი საქართველოს შესახებ, სადაც ეკამათება რა ჰენდერსონს, ამბობს: „ვსთქვათ, საქართველოს მართლაც ძალდატანებით ოკუპაცია მოვახდინეთ და ამაში ჰპოვა გამოძახილი საბჭოთა იმპერიალიზმმა, მერე რა სურთ ჰენდერსონებს, ჩვენ ეს გვჭირია და აბა სცადონ და დაგვაცლევინონ საქართველო“-ო. კიდევ უფრო მაგრათ ლაპარაკობენ აქაურები. დამპყრობელნი უკანასკნელ შესაძლებლობამდე

საქართველოს ეროვნული არქივი

შეეცდებიან თავიანთი ბატონობა ხელიდან არ გაუშვან. დღეს მთელი მათი იმედი კავკასიის სიმდიდრეზეა, ასე რომ ამ საკითხში მათგან დათმობა არ არის მოსალოდნელი. ჩვენი შთაბეჭდილება ასეთია და აქედან გამომდინარეობს ჩვენი ტაქტიკაც. მაგრამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ მარტო ჩვენი ძალების იმედი არ გვეყოფა. ჩვენ გადაჭრით იმ გზას ვადგივართ, რომ სანამ მტკიცე გარანტიები არ გვექნება-მანამ ჩვენ ხალხს ვერ მოვუწოდებთ აქტიურ გამოსვლებისაკენ. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის დაქცევა და პარტიის გაჟლეტა. ამ გზას ჩვენ ვერ დავადგებით. სანამდე გარკვეული და აშკარა, საიმედო ინფორმაცია არ გვექნება, ჩვენ ვჯერდებით მშვიდობიან დემონსტრაციებს. ამ მხრივ მაქსიმუმი ჩვენი შესაძლებლობისა არის საერთო საპროტესტო გაფიცვების მოწყობა /რკინის გზების შეჩერებით/. ეს იქნება უდიდესი, რაზედაც ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ ამ პირობებში, ამასაც დიდი მსხვერპლი დასჭირდება, მაგრამ ამას არ დავერიდებით, თუ უდიდესი მნიშვნელობა ექნება. თქვენგან აქამდისაც ვერ ვეღირსეთ ვერც აშკარა და ნამდვილ ცნობას, ვერც გარკვეულ ტაქტიკას. ჩვენ გვინდა არა გაკვრითი ცნობები და ქარაგმები, არამედ ნამდვილათ რას აკეთებს მთავრობა. რა დიპლომატიური მუშაობა აწარმოვა მან და რა იმედები აქვს მას. ამ მხრივ ორჭოფობა მიუტევებელი დანაშაულობა ცოდვა იქნება.

ნოეს უკანასკნელ წერილიდან ჩვენ უიმედობის დასკვნა გამოვიყვანეთ. გაგვაგებინეთ რაშია საქმე. ჩვენ დაიმედება არ გვესაჭიროება, გვინდა ვიცოდეთ საქმის ნამდვილი ვითარება. ნოე ჩვენგან აქტივობას მოითხოვს. ჩვენ დიდი ხანია ამ აზრს ვადგევართ. **ჩვენი აქტივობა ორგვარათ შეიძლება:** ერთი მშვიდობიანი დემონსტრაციები და მეორე შეიარაღებული აჯანყება. სხვა გზა არ არის. თქვენ გინდათ აქტივობა გამოვიჩინოთ, მარა ამავე დროს ამას არ მიეცეს აჯანყების ხასიათი. აქა-იქ დაკვრა კი უბრალო ბუნტარული, მახნოსებური გამოსვლები იქნება, რომელ გზასაც ჩვენ ვერ გავყვებით. ეს იქნება დასაწყისი ჩვენი ხალხის ამოჟლეტის. ერთი სისხლიანი **„წაბიძგების“** შემდეგ **ჩვენ უკან დახევა არ გვექნება. ან უნდა გავწყდეთ, ანდა გავიმარჯვოთ,** და ვინ იცის იქნებ ჩვენც თურქესტანის და ჩრდილოკავკასიის ხალხების ბედი გვეწვიოს, რომლებიც ფიზიკურათ გაანადგურეს. ამ აჯანყებისათვის კი სრულიადაც არ არის დღეს ხელსაყრელი პირობები. რომ ეს ვქნათ უნდა ვიცოდეთ გარკვევით და გადაჭრით, რა დახმარებას გაგვიწევს ევროპა, როგორ იხსნის ის ქართველ ხალხს რუსეთის არმიების ხელ-ახალი შემოსევისაგან. სულ სხვაა, თუ რუსეთი მოიშალა და შიგნით, ან სხვა საზღვრებზე გართულება დაიწყო. მაშინ ჩვენი გზაც გახსნილი იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენ გამარჯვების შესაძლებლობის მაქსიმუმის მომენტს ვირჩევთ. ამაზე განსვენებული სილვაც მრავალჯერ გწერდათ, მაგრამ ერთი გარკვეული პასუხიც არ აღირსეთ. გარდა ამისა ჩვენთვის სრულიად გამოურკვეველია **ქემალის პოზიცია,** რომელიც, ყოველ შემთხვევაში დღემდე რუსეთთან შეთანხმებით გამოდის; ცხადია ის მოხერხებულ დროს ბათუმს და ახალციხე-ახალ-ქალაქს დაიკავებს და ზურგიდან დაგვესხმება. ასეთ პირობებში და იგიც მარტო ჩვენი ძალების ამარა ჩვენ **„წაბიძგება“** ავანტიურის დაწყებათ მიგვაჩნია.

გარეშე ამ კითხვისა, მთავრობის ვალია ფხიზლათ ადევნოს თვალ-ყური, თუ როგორ უთანხმდება ევროპა ოსმალეთს. ვინ იცის, იქნებ მოსკოვში დადებული

საქართველოს ეროვნული არქივი

საზღვრები დაადასტურონ და მაშინ საქართველო რომც განთავისუფლდეს მისი არსებობა რას ემსგავსება, თუ ახალციხე-ბათუმიდან **ათ ვერსში ოსმალოს ასკერები იქნებიან.** ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობამ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს, რათა ოსმალეთის კითხვის გადაჭრის დროს 1914 წლის საზღვრები იქნეს აღდგენილი და ოსმალეთი მაინც განიდევნოს ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან. თუ ჩვენ გადაყლაპვა მოგველის, თუ ჩვენ ევროპა გაგვწირავს - დეე მთლიანი საქართველო მაინც დაგვრჩეს, რომ მომავალში ხანგრძლივი ბრძოლის ხაზი ავიღოთ და ადრე თუ გვიან განთავისუფლებას მოვესწროთ. ამ პირობებში კი არტაან-ბათუმში ოსმალეთის დატოვება მიგვაჩნია სამერმისო იმედის დასამარებათ, ვინაიდან ეხლანდელი ოსმალეთი მალე შესძლებს ამ კუთხეების სრულიად დამონავებას და იქ დარჩენილ ქართულ გავლენის ჩაკვლას. ეს კითხვა ჩვენთვის საჭირბოროტო კითხვაა და მთავრობამ ყურადღებით უნდა მოეპყრას, მით უმეტეს რომ ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ოსმალეთის საკითხი მორიგ კითხვათ დგას ევროპაში.

თქვენ იცით, რომ საქართველოში გამეფებულია გააფთრებული ტერორი. თუ აქამდე მარტო სოციალ-დემოკრატებს სდევნიდენ, დღეს ყველა ქართული პარტია დევნის ობიექტათ არის გადაქცეული. ჩვენზე ხომ ნამდვილი ნადირობაა გამართული, მიუხედავათ ამისა ხალხის მასსაში დღითი-დღე იზრდება ჩვენდამი თანაგრძნობა და დამპყრობელთადმი სიძულვილი. დიდი ტაქტი და წინდახედულობაა ჩვენის მხრივ საჭირო, რომ გაბოროტებული ხალხი გულისთქმას არ აყვეს და აჩქარებული ნაბიჯი არ გადადგას. ამისათვის კი ძლიერი ორგანიზაციებია საჭირო. ამ მუშაობა საკმაო ენერგიულათ სწარმოებს. რასაკვირველია უდიდეს დაბრკოლებათა გადალახვა გვიხდება. ყველა აქტიური ამხანაგები არალეგალურ მდგომარეობაშია. ჩვენი ფინანსების საქმე თქვენც კარგათ იცით და ამიტომ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებშია ჩაყენებული მთელი პარტია, მაგრამ მუშაობას მხოლოდ ჩვენი პარტია აწარმოებს. დანარჩენ პარტიებთან სრული შეთანხმების მიღწევა ჯერ არ მოხერხდა /ამ მიზნით მოლაპარაკება კიდევ გრძელდება/, მაგრამ ისინი ყველა ჩვენს გამოსვლებში მხარს გვიჭერენ და საერთოდ ჩვენ მოგვყვებიან. ამ რიგათ ფაქტიურათ საერთო ფრონტი შექმნილია, მთელი ერი გაერთიანებულია დამპყრობელთა წინააღმდეგ. მოკლეთ, საქართველოში ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა, გავლენა უდიდესია. მაგრამ საერთო სიტუაცია, ჩვენის აზრით, ხელსაყრელი სრულიადაც არ არის, ამიტომ აჯანყებისაკენ ჩვენ ხალხს ვერ მოვუწოდებთ. სვანეთი აჯანყებულთა ხელშია. ჩვენ შეძლებისადაგვარათ დახმარებას ვუწევთ. შეიძლება კიდევ ბევრი რაიმეს გაკეთება, მარა უფულობა კლავს ყოველივე საქმეს. თქვენ ბევრს გვპირდებით და არაფელს ასრულებთ. ჩვენი რესურსებით საქმე არ გამოკეთდება. ამ მხრივაც საჭიროა ვიცოდეთ სინამდვილე, რაც უნდა მწარე იყოს იგი. აქტივისტურ პოლიტიკისათვის ხომ იცით რამდენი მილიარდებია საჭირო.

ამხანაგების წამოსვლა ჯერ საჭირო არ არის. საქართველო მაინც არალეგალურთა ბანაკს წარმოადგენს. რაც შეეხება აფხაზებს, სხვებს ეს საჭიროა. კერძოთ ამსტერდამის წარმომადგენელის ჩამოსვლას, თუ ერთი თვით მაინც შეაჩერებთ, კარგია. ვფიქრობთ ერთ ორ თვეში აქეთ ბევრი რამ

საქართველოს ეროვნული არქივი

უფრო ნათელი იქნება. ამისათვის ჯერ-ჯერობით არ იყო სასურველი მისი ჩამოსვლა, ვინაიდან კომუნისტები ამას თავის გავლენის და საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლათ გამოიყენებენ. ყოველ შემთხვევაში წინასწარ მაინც გვაცნობეთ მისი წამოსვლა და თქვენი აზრი.

ცეკას პრეზიდიუმის მდივანი მდივანი
სანდრო

პოსტ სკრიპტუმ. ეს კოლექტიური აზრია პასუხად უკანასკნელი წერილებისა;

15 მარტი 22 წელი

P.S. დოკუმენტს პირველ გვერდზე აქვს მინაწერი: „პირველი კოლეგიური“ I. კოლეგ. წერილი N1“

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 7-11.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური
რეპრესიების მოკლე აღწერა
1922 წლის 15 მარტი

თფილისიდან
(ნაწყვეტები)

რეპრესიები. რეპრესიები თებერვლის ამბების გამო ყველგან გრძელდება. დაპატიმრებულთა რიცხვი არამც თუ კლებულობს, არამედ მატულობს. თელავ-სიღნაღში ჯარები ისევ განაგრძობენ ჭერას, სოფლების დარბევას. თვით თფილისში ისევ დიდი შიშია. კომუნისტები და წითელი ჯარები ყოველთვის მზათ არიან. ქუთაისში ყველაფერი ციხეთ იქცა. ამავე დროს რესპუბლიკის ბევრ ადგილას სწავლა შეწყვეტილია. ქუთაისის მხარეში კი ჯარებია შესული. განსაკუთრებული იერიში მიიტანეს გურიაზე. ლიხაურის თემში ხელმეორეთ ჩადგა რუსის ჯარის ეგზეკუცია. ეგზეკუციაა აგრეთვე აკეთის, ბახვის, სუფსის, ლანჩხუთის თემებში. ბახვს 3 მარტს ალყა შემოარტყეს რუსის ქვეითა და ცხენოსანმა ჯარებმა. მთელი დღე და ღამე იყო სროლა. დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მიგვიღია. გურიაში გრძელდება ძლიერი რეპრესიები. ითხოვენ დევნილებს და მეთაურებს. ოზურგეთის სასწავლებლები საპყრობილეთ გა-დააქციეს. ლანჩხუთში მოკლული მოწაფეები ჩეკის რაზმებმა დაასაფლავეს. ხალხი არ დაუშვეს. მღელვარება ხალხში თანდათან მატულობს. რევკომებს აღარავინ ეკარება. ნატურალურ გადასახადს ვეღარ იღებენ.

შიმშილი საქართველოში. შიმშილობამ მასსიური ხასიათი მიიღო. დამშე-ულია მთელი გურია. განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთი. დამშეულია 100 000-მდე მცხოვრები. ოფიციალურათ 70 000 აცხადებენ. დამშეულია მთელი რაჭა, იქ შიმშილით იხოცება ხალხი. დამშეულია სამეგრელოს დიდი ნაწილი და უკვე რამდენიმე შემთხვევები იყო შიმშილით სიკვდილისა. სამხრეთ ოსეთში შიმშილობამ სერიოზული ხასიათი მიიღო, ამ დღეებში დამშეულთა ბრბოები შემოესია ცხინვალის რევკომს და დაარბიეს მისი სასურსათო საწყობები, საქარ. რევკომმა დაარსა დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. ისე კი შიმშილობის გამო მეტად საშინელი გაზაფხული ელის ხალხს.

არჩევნების კამპანია დიდი ხანია დამთავრდა. ბოიკოტი არაჩვეულებრივ კარგათ ჩატარდა. ცნობები ამის შესახებ ყოველის მხრიდან იყრის თავს. ყვირილის მაზრაში გარდა კომუნისტებისა არავის მიუღია მონაწილეობა. მაგალითად ხარაგაულის თემში არჩევნებზე მთელი ხალხი მივიდა, ერთმა გლეხმა გააკეთა განცხადება, რის შემდეგადაც ხალხმა ერთბაშად მიატოვა არჩევნები და იქ მხოლოდ რევკომის აგენტები დარჩენ. კახეთშიდაც ერთსულოვნად ჩატარდა. გურიაში ბოიკოტის ირგვლივ ყველანი გაერთიანდა. საინტერესოა როგორ აირჩიეს საბჭოების დეპუტატები. მაგ. აკეთში 43 კომუ-ნისტმა აირჩია 27 დეპუტატი (ამომრჩეველი კი არის 2700). ასკანაში 21 (?) კომუნისტმა აირჩია 30 დეპუტატი (ამომრჩეველია 3114 კაცი) . ბუკნარის თემში 7 კაცმა აირჩია. ხიდისთავის თემში 128 კომუნისტმა აირჩია 69 დეპუტატი. ძიმითის თემში 41 აირჩია 34 დეპუტატი. მოკლედ ყველგან ასეთი სურათი იყო

საქართველოს ეროვნული არქივი

მთელ საქართველოში. რასაკვირველია ამ მოვლენებმა ძლიერ დააფიქრა კომუნისტები შიგნით, მხოლოდ ოფიციალური გაზეთებში კი მაინც „გაბედულად“ გამოდიან. ასე ჩაატარეს არჩევნები.

11 თებერვალს როგორც გწერდით სავსებით გამოიცვალა საქართველოს ვითარება. რეპრესიები იზრდება და საერთო მდგომარეობა მწვავდება. შიგა კახეთში ეგზეკუციები განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას. ხალხი დარბეულია. დატყვევებულთა დიდი ნაწილი თბილისში იგზავნებიან და სოფლები სავსებით გაძარცვულია. საუკეთესო მოწინავე გლეხები ტყეებშია გაქცეული და მთელ საქართველოში გამოურკვეველი მდგომარეობაა. სასწავლებლები გაჩერებულია, მასწავლებელთა 75% დაჭერილია, მრავალი ოჯახები უპატრონოთაა დარჩენილი. თბილისში ყოველდღიურათ მოყავენ პროვინციებში დაჭერილები, ვინაიდან პროვინციებში სატუსაღოები აღარ იტევდა. გურიაში კი გრძელდება შეუბრალებელი მოქმედება რუსის ჯარებისა. ლიხაურისა და შემოქმედის თემები აკლებულია. ჩოხატაურის, ხიდისთავის, ბახვის რაიონებში ეგზეკუციები სასტიკად მოქმედებენ. მოითხოვენ იარაღს, დევნილებს, მეთაურებს, ორგანიზაციას. მოქმედებენ სამხედრო საველე სასამართლოები. ლიხაურში დახვრიტეს სამი კაცი. შემოქმედში 2. ერთი ახალგაზრდა სტუდენტი გეგიაძე. თფილისში ჩამოიყვანეს გურიიდან 100-ზე მეტი პოლიტიკური ტუსაღი, ბათუმიდან 50-მდე, მათ შორის ბევრი ქართველი ოფიცრებია; მოყავენ სამეგრელოდან, ქართლიდან. დაჟინებით ამბობენ, რომ ტუსაღების დიდ ნაწილს გადასახლებას უპირებენო. ქუთაისის მდგომარეობა სერიოზულია, იქ გარეთ აღარავინ დარჩა. სვანეთის გარშემო კი ხდება ახალი რაზმების დაჯგუფება. ზუგდიდში, ლეჩხუმში და ბევრ სხვა მხარეში ხალხის მღელვარება მატულობს. ხალხი დამშეულია და ამავე დროს ჯარები ხალხის ხარჯზეა. სოფლებში შიმშილი თანდათან ძლიერდება და მასსიურ ხასიათს იღებს. ასე რომ დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა საშინელია. ამავე დროს დამშეულ ხალხს ეგზეკუციებითა და ნატურალურ გადასახადებით სულს ხდიან. ამიტომ უკანასკნელ ხანებში ნერვიულობა დაეტყო ჩვენს ცხოვრებას.

ქალაქებში კი იზრდება კრიზისი, უმუშევრობა და ამას თან სდევს საშინელი შედეგები: შიმშილით სიკვდილი, გადამდები სენი და სხვა. სოფლებში გახშირდა ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, მკვლელობა. ნატანების, ახალციხის, კახეთის და სამხედრო გზებზე თავდასხმამ თითქმის ყოველდღიური ხასიათი მიიღო. 8 მარტს ღამით ყვირილა და სვირს შუა მატარებელს, თფილისიდან მომავალს, თავს დაესხნენ, რომელიც გააჩერეს, მილიციონერებს იარაღი აყარეს, მგზავრები გაძარცვეს, მოკლეს და დასჭრეს რამოდენიმე, მხოლოდ ყაჩაღების მხრივ მოკლეს სამი, დანარჩენი მიიმალა. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ბევრგან ყაჩაღებს ხელს უწყობენ პროვოკაციის მიზნით. მაგალითად ბათუმელმა ჩეკისტმა ამ დღეებში ლიხაურში მოკლა რუსის ჯარის კაცი, რასაც მოყვა დიდი პროვოკაცია. მატარებელთა თავდამსხმელებში ყოფილა ყაჩაღი-ჩეკისტები. გურიაში ჩეკამ თავის სამსახურში მიიღო ყაჩაღები, გემების და მატარებლების გამცარცველნი: ღლონტი, მამულაიშვილი და სხვები.

თფილისში მოსამსახურეებს და მუშებს ორი-სამი თვეა ჯამაგირი აღარ მიუღიათ. ბაზარზე საშინელი სიძვირეა და ამავე დროს ქართული ბონების დიდი

საქართველოს ეროვნული არქივი

კრიზისია. ვაჭართა წრეებში იზრდება პანიკა, რადგან შემოტანილ საქონელს, პურს ბრინჯს და სხვას რეკვიზიციას უკეთებენ სადგურში მაგარ ფასებში. მაგალ. ფქვილი დღეს ღირს ბაზარზე 900 000 – 1 200 000 მანეთი. ვაჭრები ვერც ამას ღებულობენ, რადგან რევკომს ფულის ნიშნები არ აქვს. ქართული ბონები მთლიანად რუსულ არმია მიაქვს. ეს იმის შემდეგ რაც საბჭოთა კურსი დაეცა და რუსის ჯარმა ჯამაგირები ქართული ბონებით მიიღეს.

ახალგაზრდობის დევნა თფილისში გრძელდება, სწავლა არეულ-დარეულია. დაკეტილია რამდენიმე გიმნაზია. 9 მარტს მოსწავლეებმა სამხედრო ტაძარში, სადაც რუსეთთან ომში დაღუპული ქართველი მხედრები მარხია, საფლავები ყვავილებით შეამკეს და თავის მოყრა იწყეს. ეკლესიის გალავანს ცხენოსანმა ჯარმა ალყა შემოარტყა, შიგნით შეიჭრნენ ჩეკისტები და მოსწავლეები გაფანტეს, ბევრს სცემეს და დაიჭირეს. მარიამ ორახელაშვილის განკარგულებით ამის გამო მე-7 გიმნაზია დაკეტეს.

რეპრესიები დიდია. 7000-მდე ავიდა დატყვევებულთა რიცხვი. გაქცეულთა რიცხვი არავინ იცის. მიუხედავათ ამისა ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცე მაღლა და მაღლა იწევს.

15 მარტი 1922 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 716, ფურცლები 11-15.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონაწერი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) პლენუმის სხდომის ოქმიდან სვანეთში მიმდინარე აჯანყების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით
1922 წლის 16 მარტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამონაწერი

Президиума

საქართველოს კომუნისტური პარტიის პლენუმის, პოლიტ-ბიუროს, ორგ-ბიუროს
1924 წ. Марта 16 სხდომის ოქმიდან (N23)

NN რიგზე	განსახილველი საგანი	დადგენილება
1.	Сообшение Военкома, Ответственного секретаря и Нач. Политбюро Лечхумского уезда о движении банд из Верхней Сванетии в Нижнюю и дальше в Цагери.	Ликвидировать самым беспощадным образом выступление банд в Сванетии. Политическое и военное руководство ликвидацеий этих банд, цека поручает т. Агниашвили под общим командованием штаба ОКА. Вместе стем выслать в Сванетию комиссию в составе т.т. Думбадзе, Бахтадзе В. и Агниашвили для выяснения положения дел и политического воздействии на население для наиболее бесболезненной ликвидации этой затеи.

Секретарь ЦК /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აქვს მინაწერი: т. В. Бахтадзе; Сов. Секретно.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცელი 64.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პლენუმზე მიღებული დადგენილება კოალიციური მთავრობის შექმნის თაობაზე
1922 წლის 20 მარტი

N40

ამ პატარა ბარათში გაეცანით შემდეგს, რომელიც უკანასკნელათ მიიღო ჩვენმა პლენუმმა და საბოლაოთ:

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ჩვენთვის მთავარი მიზანია დღეს ოკუპაციის მოშორება, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება და რევოლიუციის ყველა პროგრესიული ძალების კოორდინაციით შენარჩუნება, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული ფორმების მუდმივობის /მემკვიდრეობის/ დაცვა და ამნაირათ დამფუძნებელი კრების და საქართველოს კანონიერი მთავრობის ნორმალური ფუნქციების აღდგენა, - ჩვენ წარმომადგენელს, რომელიც აწარმოებს სხვა პარტიებთან მოლაპარაკებას, ევალება იხელმძღვანელოს შემდეგი დებულებებით:

1. არსდება ინტერპარტიული ბიურო პარიტეტულ ნიადაგზე, რომელიც აწარმოებს პოლიტიკურ მუშაობას შეთანხმებით, ეხმარება საზღვარ გარეთ მთავრობას და ღებულობს მისგან ცნობებს და მატერიალურ დახმარებას.

2. შემთხვევის დროს ადგენს თავდაცვის საბჭოს. შემადგენლობა: შედარებით უმრავლესობა-სოც-დემოკრატები, ხოლო აბსოლიუტური - სოც.-დემოკრ. და ფედერალისტები. თავმჯდომარე სოც-დემოკრატი.

3. კონსტიტუცია ძალაში შედის. რესპუბლიკის კანონები და ადგილობრივი თვითმართველობანი აღდგენილი იქნებიან.

4. იკრიბება დამფ. კრება. ის მოისმენს საბჭოს მოხსენებას. დამფუძნებელ კრების წინ წარსდგება საზღვარ გარეთიდან დაბრუნებული მთავრობა მოხსენების გასაკეთებლათ და მისი მოქმედების დასადასტურებლათ.

5. შემდეგ დგება კოალიციონური მთავრობა იმავე საფუძველზე, როგორც თავდაცვის საბჭო. დამფუძნებელი კრების დათხოვნის არა უგვიანეს ოთხი თვის ხდება პარლამენტის არჩევნები დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემული კანონებით.

6. დამფ. კრება ირჩევს კომისიას, რომელიც უკანასკნელ ომთან დაკავშირებულ კითხვებს არკვევს.

7. თუ რომელიმე ჯგუფს ესაჭიროება, - სოც.-დემოკრატია უკეთებს ცალკე განცხადებას, რომ ის, როგორც მის პროგრამაში სწერია, სდგას ერთ სისტემის სამხედრო ორგანიზაციის ნიადაგზე, მხოლოდ ეს უნდა გატარდეს საკანონმდებლო გზით.

8. ჩვენი წარმომადგენელი უთანხმდება პარტიებს ზემოთ დასახელებულ დებულებების ნიადაგზე შეერთებულათ და, თუ ეს არ მოხერხდება, სეპარატიულათ ცალკე პარტიას ან პარტიებს.

აქ ორიოდე სიტყვით განმარტება მეექვსე მუხლის შესახებ. ამას დაჟინებით მოითხოვენ ყველა პარტიები. ამიტომ იქმნა მიღებული და ბოლოს ჩვენ მაინც არაფერს წავაგებთ.

ასეთივეა მეშვიდე მუხლის ისტორიაც. აგრეთვე გაცნობებთ მოკლე

საქართველოს ეროვნული არქივი

ისტორიას საბჭოსა და კოალიციურ მთავრობის რიცხვის შესახებ.

ისინი მოითხოვდენ: თუ იქნება ხუთი საბჭოში და მთავრობაში, მაშინ ყველას თითო თითო, თუ იქნება ათი, მაშინ ორ-ორი. ჩვენი უკანასკნელი წინადადება: სამი მენშევიკი, 2 ფედერალისტი, ორი ნაციონალ-დემოკრატი, 1 ესერი და 1 სხიველი. ამაზე გადაჭრით უარი სთქვეს. ამ რიგათ არ მოხერხდა შეთანხმება და ამას იქით წასვლა ჩვენ აღარ შეგვიძლია.

ისინი გაურბიან ამ ბოლო დროს. ცოტა ხნით ადრე კარგ გუნებაზე იყვნენ, ხოლო ახლა არა. ორში ერთია: ან ეშინიათ, ან ხელს გვიშლიან. უმთავრესათ მოლაპარაკებას კედია-სხიველები გაურბიან. ფედერალისტები ჩვენ სავსებით გვემხრობიან და უნდათ შეთანხმება. თუ საერთო არ მოხერხდა, - გადაწყვეტილია ჩვენი ქორწილი.

ჩვენ გვეგონა, რომ რაკი მემორანდუმზე ხელი მოაწერეს, თებერვლის ამბებში ჩავითრიეთ და ჩვენი ბედის მონაწილე გავხადეთ, კარგათ გათავდებოდა საქმე. ამ ბოლოს გვერდი გვიხვიეს.

ამიტომ ჩვენ გავაცხოველეთ მუშაობა ამ კვირაში მათ „მასსებთან", ე. ი. სამხედრო პირებთან და ყველასთან. ამ უკანასკნელთ ძალიან უკვირთ და იწყება მათი დაშლაც.

ფედერალისტები ჩვენთან არიან.

თქვენი მადონერი.

20-III-22 წ.

P.S. დოკუმენტის პირველ გვერდზე არის შემდეგი მინაწერი: „მესამე კოლეგიური".

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცლები 12-13.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობაზე მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვით ლეო შენგელაია და ივანე გობეჩია პარტიიდან გარიცხეს საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოების გამო 1922 წლის 20 მარტის შემდეგ

ასლი მიღებულიდან, რომელიც
ჩვენ მივიღეთ

ბრძოლაში პოებ შენს უფლებას
საქართველოს სოციალისტ
რევოლიუციონერთა პარტია

მასალები

საქართველოს სოციალ-რევ. პარტიის მესამე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ბ. შენგელაიას და ივანე გობეჩიას მოქმედების შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, დაავალა ცეკას მასალების გამოქვეყნება. ამ დავალების სისრულეში მოსაყვანად ცეკა სცემს ამ მასალებს. სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო ბევრი რამ რჩება ჯერ-ჯერობით გამოუქვეყნებელი. როდესაც დადგება შესაფერისი პირობები გამოქვეყნდება დამატებითი მასალებიც.

***

25 თებერვალს რუსეთის ჯარმა საქართველო დაიკავა. გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. და საქართველოს სოც. რევ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ბუნებრივად აღიძრა საკითხი ახალ ხელისუფლებისადმი დამოუკიდებლობის შესახებ. ბ. შენგელაია და ივანე გობეჩია მოითხოვდენ - საბჭოთა ხელისუფლების ცნობას. საბჭოთა სისტემის მიღებას და აქედან ლოგიკურად გამომდინარე პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას ბოლშევიკებთან პოლიტიკურ კონტაქტს, პოლიტიკურ თანამშრომლობას და პოლიტიკურ პასუხის მგებლობის გაზიარებას. და ამ მიზნით ისინი მოითხოვდნენ ისეთ დეკლარაციის გამოშვებას, სადაც ცნობილი იქნებოდა საბჭოთა სისტემა და ბოლშევიკებთან საერთო პლათფორმა, საერთო გზა გამონახული. ამ პოზიციის წინააღმდეგ იყო ცეკაში სასტიკი ბრძოლა.

დეკლარაცია. /12 აპრილს 1921 წ./ ცეკამ გამოუშვა დეკლარაცია. დეკლარაციაში მიღებულია საბჭოთა სისტემა. დეკლარაციის ამ სახით გამოშვების წინააღმდეგი იყვნენ ცეკას ზოგიერთნი წევრები. დეკლარაცია არ გაიზიარა პარტიულმა ორგანიზაციებმა. მოდიოდა ცეკას სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან პროტესტები დეკლარაციის გამო. საჭირო იყო ყრილობის მოწვევა და ახალი ცეკას არჩევა, რადგან ძველი ცეკას ნაბიჯები არ გამოხატავდა პარტიის ნების ყოფას. ყრილობის მოწვევა იმ ხანებში ბევრ მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქმნა. მაშინ ცეკამ შემდეგ ზომას მიმართა: ყველა იმ რაიონებიდან, სადაც პარტიული ორგანიზაციები არსებობენ მოიწვია ამხანაგები და მათ ცეკას

საქართველოს ეროვნული არქივი

წევრების უფლებები მიანიჭა. კოპტაციით შევსებულ ცეკას პლენუმი სამჯერ იქმნა მოწვეული.

ცეკას პლენუმმა ორივე სესიაში უარყო დეკლარაცია და შესაფერისი პრაქტიკული დასკვნები გააკეთა. მესამე სესიაში კი ცეკამ მუშაობა ვერ დაასრულა და დაადგინა: მოწვეულ იქმნას ყრილობა ორი თვის განმავლობაში დღიდგან დადგენილების მიღებისა. დადგენილება ეს მიიღო ცეკამ მიმდინარე წლის 15 იანვარს. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო თავის პრეზიდიუმს და თავი გამოაცხადა დაშლილად.

გაზეთი „შრომა“

შევსებულ ცეკას პლენუმმა პირველივე სესიაში, უარყო რა დეკლარაცია გადაწყვიტა გაზეთის გამოცემა. გაზეთს უნდა აეღო მტკიცე პოლიტიკური ხაზი და გაეფანტა ის ბურუსი, რომელიც შექმნა დეკლარაციამ.

გაზეთი უნდა ყოფილიყო დეკლარაციის ოფიციალური უარყოფა. მოხდა კი წინააღმდეგი. გამოვიდა გაზეთის 10 ნომერი პირველიდან მერვე ნომრამდე /N-N-1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8/ გაზეთის უმთავრესი ხელმძღვანელი იყო ბ. შენგელაია. ამ ნომერში დაისტამბა მთელი რიგი წერილებისა რომლებიც სოც. რევ. პრინციპიალურად მიუღებელია, მაგ. ინტერვენციაზე, დიქტატურაზე და სხვა.

პირველ ნომერში და შენგელაიას წერილში „ინტერვენციის ახალი გეგმებისათვის“ შემდეგს სწერს: „ამასთანავე, რა კი საერთო ინტერვენციაზე ჩამოვაგდეთ საუბარი, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩვენ ვართ რევოლიუციონერები, ამიტომ არ შეგვიძლია ვიყოთ ყველგან, ყოველთვის და ყოველგვარი ინტერვენციის წინააღმდეგი. ჩარევა კარგი საქმისთვის მისაღებია, ჩარევა სხვა ქვეყნის საქმეებში ცუდი საქმისათვის დაპყრობისა და დამონავების მიზნები, ჩვენთვის ყველგან და ყოველთვის მიუღებელია. მაშასადამე „ჩვენ ვართ და ვიქნებით ყველგან და ყოველთვის ჩარევის წინააღმდეგი და დასაშვებათ მიგვაჩნია რევოლიუციონური ჩარევა, მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. სხვა ქვეყნის საქმეებში რევოლიუციონური ჩარევა არ უნდა ხდებოდეს მშრომელთა ნება-სურვილების წინააღმდეგ და 2. ჩარევას უნდა მოყვეს ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების უკეთესი პირობები, ვიდრე ჩარევამდი იყო.

ნამდვილი ბოლშევიკური ჟარგონია ბოლშევიკებიც ასე ასაბუთებენ საქართველოს დაპყრობას. ისინი ამბობენ: „ჩვენ ვართ რევოლიუციონერები, კომუნისტები, ამიტომ ქართველმა მშრომელმა ხალხმა ჩვენ გვთხოვა საქართველოს განთავისუფლება, მოვედით განვათავისუფლეთ, შევქენით საუკეთესო პირობები, ეროვნულ, პოლიტიკური და სხვა. რევოლიუციონური ინტერვენციის აღიარება ბ. ლ. შენგელაიას დაჭირდა იმისთვის, რომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობა გაემართლებია.

აღნიშნავდა რომ ინტერვენცია /თუნდაც ეგრედ წოდებული რევოლიუციონური ინტერვენცია/ პრინციპში არამც თუ სოციალისტს არსად არას დროს არ მიუღია და ვერც მიიღებს, იმპერიალისტებიც ვერ ახერხებენ და ვერც ბედავენ საქვეყნოთ, საჯაროთ პრინციპიალური მოსაზრებით აშკარა ინტერვენციის გამართლებას.

საქართველოს ეროვნული არქივი

სოციალისტებისთვის წმინდათა წმინდაა გარდა თვითგამორკვევის პრინციპი და არა ინტერვენცია. ეს ანბანია სოციალისტური პოლიტიკისა.

დიქტატურა

გაამართლა რა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ინტერვენცია, ბ. შენგელაია შეუდგა მეორე საქმეს. ის ამართლებს დიქტატურას. /იხ. შრომა N-1-3/ მესამე ნომერში წერილში „სოციალური რევოლიუცია და დიქტატურის ფორმებით ბ. ლ. შენგელაია სხვათა შორის სწერს: „ბურჟუაზია - პოლიტიკურათ და ეკონომიურათ ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ მას რევოლიუციისათვის ზიანის მოტანა არ შეეძლოს, გასაქანი არ ქონდეს, მაშასადამე დიქტატურის ხანაში მთელი ძალა-უფლება უნდა ქონდეს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ ხალხს, ე. ი. პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას.

ამ ხანაში რომ ბურჟუაზიას პოლიტიკური უფლებები ავხადოთ ამის წინააღმდეგ ჭეშმარიტს სოციალისტს ტაქტიკური თვალსაზრისით მაინც არაფერი ეთქმის /იხ. „შრომა“ N-3/.

იმავე ნომერში ბ. ლ. შენგელაია ამბობს: „ჩვენთვის არჩევნების პრინციპი ფეტიში არაა...

ბოლშევიკების შემოსვლისას ბ. შენგელაიამ სწრაფ ფრონტი იცვალა და ესერელ დევიზიის მაგიერ ყველაფერი ხალხისათვის და ხალხის მიერ ბოლშევიკური დიქტატურის გამართლება და დახასიათება იწყო. ჩვენ სოც. რევ. უაღრესი დემოკრატები ვართ, დემოკრატიზმი ჩვენთვის გარდა პოლიტიკურისა, მორალური პრინციპიც არის.

საქართველოს სოც. რევ. პარტიის მესამე ყრილობაზე მომენტის შესახებ მიღებული რეზოლიუცია, სხვათა შორის ამბობს: „ბოლშევიკურმა პრაქტიკამ ზედმეტად დაამტკიცა, რომ ერთად ერთი გზა მუშათა კლასის აღზრდისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის არის დემოკრატიული გზა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიის ფარგლებშია შესაძლებელი შრომის სხვა და სხვა ელემენტების ორგანიზაციულად დარაზმვა საერთო ანტიბურჟუაზიულ ფრონტზე...

საქართველოს დამოუკიდებლობა

კიდევ ერთი ნიმუში თუ როგორ ლაქიობს ბ. შენგელაია ბოლშევიკების წინაშე და როგორ ღალატობს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეთ. ის სიტყვა სიტყვით იმასვე იმეორებს, რასაც ბოლშევიკები საქართველოს შესახებ სწერდენ. ბ. ლ. შენგელაია წერილში „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ სწერს: „თუ გვინდა ვიყოთ ობიექტური, თუ გინდა სიმართლეს არ უღალატოთ, უნდა ვსთქვათ: **ამ სამი წლის განმავლობაში საქართველო იყო სრულიად დამოუკიდებელი რუსეთისაგან ხოლო რაც შეეხება იმპერიალისტურ ევროპას, ის ახდენდა - ჩვენს ქვეყანაზე მის საქმეებზე უდიდეს ზეგავლენას. შემოყავდათ თავისი ჯარები, ერეოდა შინაურ საქმეებშიც“.**

N-2 ვერსიკი ავტორისა ასევე სწერს ბოლშევიკების ოფიციალურ ორგანო „კომუნისტში“. რისთვის სჭირიათ ბოლშევიკებს იმის მტკიცება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფიქცია იყო, ეს ყველასათვის ცხადია.

რატომ ამღერდა ბ. შენგელაია ბოლშევიკების ჰანგებზე ესეც გასაგებია.

საქართველოს ეროვნული არქივი

კონფედერაცია

ბ. ლ. შენგელაია წინააღმდეგ პარტიის ნების ყოფისა იცავს ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციას. საინტერესოა დასაბუთება წერილში „როგორი კავშირით“ ბ. შენგელაია სწერს: „შექმნილი ობიექტური მდგომარეობა, შინაური ცხოვრების ეკონომიური პოლიტიკური პირობები და საერთაშორისო სიტუაცია ძალაუნებურად მოთხოვს გულითად კავშირს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების შორის.

ხოლო ინტენსიური თანამშრომლობით და ურთიერთის დახმარებით შეიძლება დაძლეული იქმნეს წარმოება, მოწესრიგდეს გაცვლა-გამოცვლა.

ევროპა არ სცნობს საბჭოთა მთავრობას, იმპერიალისტები კვალად და კვალად იცნობენ ინტერვენციაზე, რევოლიუციის შემუსვრაზე და საბჭოთა ძალა-უფლების დამხობაზე.

მაშასადამე მჭიდრო გულითადი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკისათვის შეადგენს თუ გნებავთ ყოფნა არ ყოფნის საკითხს. ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები მოითხოვენ მათ უაღრესად დაახლოვებას /„შრომა“ N-7 1921/ ბოლშევიკური არგუმენტით, ბოლშევიკური ჟარგონით, ბოლშევიკური გაგებით ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კავშირი, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა აი რას ამბობს ბ. შენგელაია. ხოლო სავსებით ამის აშკარათ აღიარებას ვერ ბედავს და წერილის ბოლოს ამბობს: კავშირის ფორმა უნდა იყოს არა ფედერაცია ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ კონფედერაცია /N-7/ საერთო გაზეთ „შრომას“ ხსენებულ N რვა ნომერში 1921 წ. /N-N-1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8/ არის მთელი რიგი წერილებისა, რომლებიც საქარ. სოც. რევ. პარტიისათვის პრინციპიალურად მიუღებელია და საერთოდ ხაზი ამ ნომრებისა ანტიპარტიულია.

პარტიის მესამე ყრილობამ 1921 წ. გაზ. „შრომის“ /N-1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8/ 3, 9, 16, 22, 30 ოქტომბრიდან 6, 13-მა ნოემბრის ნომრების გამოაცხადა ანტიპარტიულად ნომრებად.

ცეკას პრეზიდიუმი გაზეთის შესახებ, აღნიშნავდა, რომ კოოპტაციის შევსებულ ცეკას პრეზიდიუმს არა ერთხელ ქონდა მსჯელობა გაზეთის შესახებ და არა ერთხელ დაიწუნა მან გაზეთის ხაზი და შინაარსი და კატეგორიულად დაავალა სარედაქციო კოლეგიას მიეცა გაზეთისათვის პარტიული მიმართულება, მაგრამ ბ. შენგელაიამ არ აასრულა პრეზიდიუმის დადგენილებები. მაშინ პრეზიდიუმის დადგენილებით სასწრაფოთ იქნა გამოწვეული სოფლიდან ამხ. **დილიანი**. მეცხრე ნომერი გამოვიდა ამხ. დილიანის მონაწილეობით. წმინდა პარტიული ამ ნომრით დარჩა უკმაყოფილო ბატონი შენგელაია. ნომერი მას მეტად ანტიბოლშევიკურათ მოეჩვენა და სარედაქციო კოლეგიიდან გავიდა, შეიტანა რა ცეკას პრეზიდიუმში წერილობითი განცხადება ამის შესახებ, მაშინ ცეკას პრეზიდიუმა დაიმალა სარედაქციო კოლეგია და გაზეთის ხელმძღვანელობა მხოლოდ ამხ. დილიანს მიანდო. ამხ. დილიანმა გამოუშვა „შრომის“ მეათე N-ი გაზეთს კონფისკაცია უყვეს. ბ. შენგელაიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გაზეთის მეათე ნომერში. საქართველოს სოც. რევ. პარტიის მესამე ყრილობამ გაზ. „შრომის“ 1921 წ. მეცხრე და მეათე ნომრების შინაარს და ხაზი მოიწონა და სცნო ხსენებული ნომრები ყოველ მხრივ სავსებით დაკმაყოფილებულად და პარტიულ ნომრებათ.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქ. სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის ყრილობა

ჩვენ მივიღეთ სოც. რევ. პარტიის ყრილობის მასალები, რომელსაც შემოკლებით ვბეჭდავთ და რომლიდან ნათლათ სჩანს თუ როგორ ბოროტათ მოიხმარა ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის პირველ ხანებში პარტიის ნდობა შენგელაიამ და გობეჩიამ. რის გამო მისი ამხანაგები იძულებული შეიქნენ კოოპტაციის საშვალებით შეექნათ ახალი ცეკა ყრილობის მოწვევამდე.

ცეკას პლენუმმა მესამე სესიაში ვერ დაასრულა მუშაობა და დაადგინა მიმდინარე წლის 15 იანვრის ყრილობის მოწვევა დღიდან დადგენილების მიღებისა ორი თვის განმავლობაში. ყრილობის მოწვევა მიანდო პრეზიდიუმს და თავის თავი გამოაცხადა დაშლილად. პრეზიდიუმმა ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინა ყრილობის მოწვევა რაიონული პრინციპის მიხედვით 1922 წ. 20 მარტისათვის. დელეგატთა რიცხვი განისაზღვრა 35-ით. თავის დროზე გაეგზავნა ყველა რაიონებს ოფიციალური მოწვევითი ბარათი პრეზიდიუმის სახელით. დანიშნულ დროს ყრილობაზე გამოცხადდა და ოფიციალურად რეგისტრაციაში გატარდა და 22 დელეგატი. 20 მარტის საღამოს 7 საათზე ცეკა პრეზიდიუმის სახელით ყრილობა გახსნა და მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა მას ამხ. დილიანმა, რის შემდეგ არჩეულ იქმნა ყრილობის პრეზიდიუმი და სამანდატო კომისია. განხილულ იქმნა ყველა საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში იყო შეტანილი და გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუციები.

მოგვყავს ზოგიერთი რეზოლიუცია მომენტზე:

II. „ევროპა თავს აღწევს ომის მიერ შექმნილ კრიზისს და საერთაშორისო იმპერიალისტური ფრონტი ძლიერდება. მუშათა კლასი ვერ აღმოჩნდა ორგანიზაციულად საკმაოდ შეკავშირებული, რომ ბურჟუაზია საბოლაოდ დაეძლია და სახელმწიფოებრივ ხელის უფლებას დაპატრონებოდა. ამის ერთი მიზეზთაგანი არის მშრომელთა ფრონტის მთლიანობის დაშლა, რაც სხვათა შორის გამოიწვია ბოლშევიკურმა რეაქციამ.

მომენტის უპირველესი მოთხოვნილებაა მუშათა ფრონტის - მთლიანობის აღდგენა, ერთი მუშური ინტერნაციონალის შექმნა.

ბოლშევიკურმა ტაქტიკამ ზედმეტად დაამტკიცა, რომ ერთად ერთი გზა მუშათა კლასის აღზრდისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის არის დემოკრატიული გზა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიის ფარგლებშია შესაძლებელი შრომის სხვა და სხვა ელემენტების ორგანიზაციულად დარაზმვა საერთო ანტიბურჟუაზიულ ფრონტზე.

დეკლარაცია კი, რომელიც შენგელაიამ და გობეჩიამ მიაღებიეს ცეკას 12 აპრილს, დგას საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, რაც ეწინააღმდეგება პარტიის პრინციპებს, ამიტომ ის გაუქმებულია.

ბოლშევიკების ანტისოციალისტური, ანტიეროვნული და ანტიდემოკრა-ტიული **მოღვაწეობა** საფრთხეს უმზადებს ქართველი ერის მომავალს და ქართველ მშრომელ მასების კაპიტალის უღლიდან განთავისუფლების საქმეს.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ამას საქარ. სოც. რევ. პარტიის მესამე ყრილობას შეუწყნარებლად მიაჩნია პოლიტიკური თანამშრომლობა, ან რაიმე პოლიტიკური შეთანხმება საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამასთანავე ის კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ავანტიურისტულ გამოსვლებს

საქართველოს ეროვნული არქივი

უკანასკნელის წინააღმდეგ.

II. **რეზოლიუცია გაზეთზე:** „შრომას“ 1921 წ. N-N-1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8-ში შელახულია პარტიის პრინციპები და ტაქტიკა. ამიტომ გამოცხადდეს ხსენებული ნომრები ანტი-პარტიულ ნომრებათ. ხოლო გაზ. „შრომის“ N-N-9, 10 1921 წ. სადაც სავსებით დაცულია პარტიის პრინციპები და ხაზი, მიღებულ იქმნას წმინდა პარტიულ ნომრებათ.

III. საქართველოს სოც. რევ. პარტიის მესამე ყრილობა, გაეცნო რა **ლეო ანდრიას-ძე შენგელაიას და ივანე პავლეს-ძე გობეჩიას მოქმედებას** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, გამოირკვა შემდეგი:

1/ ლეო ანდრიას-ძე შენგელაია და ივანე პავლეს-ძე გობეჩია დგანან საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ღალატობენ პარტიის პრინციპებს, ტრადიციას და ეთიკას, განაგრძობენ ანტიპარტიულ დეზორგანიზატორულ და ანტიეროვნულ მოქმედებას.

2/ ამიტომ გამორიცხულ იქმნან საქართველოს სოც. რევ. პარტიიდან ლეო ანდრიას-ძე შენგელაია და ივანე პავლეს-ძე გობეჩია.

3/ დადგენილება ეს შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა ყრილობის მიერ.

4/ დადგენილება ეს ეცნობოს: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, დამ. სოც. დემოკრ., სოციალ. ფედერალისტებს და ეროვნულ დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტებს.

ლ. შენგელაია

ბ. შენგელაიას სრული პოლიტიკური უსუსურობა, უპრინციპობა და როგორც ადამიანის, სრული ამორალობა აშკარად დასანახია როგორც სარკეში იმ დოკუმენტებიდან, რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ.

შენგელაია-ღლონტი

ღლონტი სინონიმია უპრინციპობის, უსინდისობის და ყოველივე სისაძაგლის. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოში ამდენ ხანს იყო ერთად ერთი პიროვნება თ. ღლონტი, რომელიც ყოველ პატიოსან ქართველს, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა ეზიზღება მთელი მისი არსებით. რადგან ღლონტმა გვიღალატა, გაგვყიდა, გამოჩნდა მეორე ღლონტი ლ. შენგელაია, რომელიც აღმოჩნდა თედო ღლონტის პოლიტიკური თანამშრომელი და მისი საეჭვო თანხების მოზიარე. მაგრამ განსხვავება ღლონტსა და შენგელაიას შორის იმაშია, რომ ღლონტი უფრო პირდაპირი და აშკარა მომქმედია, რაც მას შენგელაიაზე მაღლა აყენებს, შენგელაია კი ფარულად, ქურდულად მოქმედობს. სწორეთ იმ ხანებში, როდესაც - სამედიატრო სამართალში სავსებით გამოაშკარავდა, რომ თ. ღლონტი ბოლშევიკ მთავრობის „ნახლებნიკია“, რომ მისი გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ მიყიდულია, ბატონი ლ. შენგელაია საიდუმლოთ თანამშრომლობდა ღლონტთან, „სოციალისტ-ფედერალისტში მ-ლის ფსევდონიმით და იღებდა სასყიდელს.

თანამშრომლობას განზრახ უმალავდა ამხანაგებს. ყოველ დღეს ამხანაგებთან იყო. შემთხვევები იყო, როდესაც მისი წერილი სოც. ფედერ. მასთან ერთად წაუკითხავს ამხანაგებს და მას არაფერი უთქვამს რომ ეს წერილები მისია.

საქართველოს ეროვნული არქივი

გარდა ამისა მასალებში დაწვრილებით, დოკუმენტალურათ არის აღნიშნული ის, თუ რა ზნეობრივ პიროვნებას წარმოადგენენ ლ. შენგელაია და ივ. გობეჩია, როგორ დაეცენ ისინი ზნეობრივათ, რის გამო სოც. რევ. პარტია იძულებული შეიქნა გაერიცხა თავისი ყოფილი ლიდერები პარტიიდან.

ცეკას განაჩენი

შენგელაიას ღლონტთან თანამშრომლობის შესახებ საქარ. სოც. რევ. პარტიის ცეკამ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: „საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წ. 17 ივლისს სხდომაზე მოისმინა ამხ. ლეო შენგელაიას განმარტება მისი თანამშრომლობის შესახებ თედო ღლონტის ორგანო „სოც. ფედერ.“ 1921 წ. /N-N- 97, 102, 103, 106, 107, 109, 111, 112 და სხვა/ გამოირკვა შემდეგი:

I.

1/ ამხ. ლეო შენგელაია სისტემატიურად ათავსებდა გაზ. „სოც. ფედერ.“ მ-ლის ფსევდონიმით სახელმძღვანელო პოლიტიკურ წერილებს...

2/ აღნიშნულ გაზეთში თანამშრომლობისათვის არც წინასწარ და არც პოსტ-ფაქტუმ ნებართვა არ მიუღია ცეკასაგან და ასეთი არც უთხოვია.

3/ თანამშრომლობას უმალავდა ამხანაგებს.

4/ კერძო საუბარში მეტად ცუდად იხსენიებდა გაზ. „სოც. ფედერ.“, უწოდებდა რა მას ნაციონალისტების ორგანოს, მაშინ როდესაც თვით თანამშრომლობდა იქ.

5/ თანამშრომლობა ფასიანია.

6/ ცეკამ შემთხვევით გარეშე პირების საშვალებით გაიგო ამხ. ლ. შენგელაიას თანამშრომლობის შესახებ გაზ. „სოციალ. ფედერ.“

II.
დაადგინა:

1/ ცეკას პრინციპიალურად და ტაქტიკურ-პრაქტიკულ მოსაზრებით მიუღებლად მიაჩნია პარტიის რომელიმე წევრის მით უმეტეს ცეკას თავ-მჯდომარის მიერ სახელმძღვანელო პოლიტიკურ წერილების მოთავსება მოწინააღმდეგე პარტიის პრესაში, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში. ცეკას „სოციალ. ფედერ.“ თანამშრომლობა მიაჩნია პარტიისათვის მიუტევებელ შეცდომათ.

2/ ამხ. ლ. შენგელაიამ დაარღვია პარტიის რევოლიუციონური დისციპლინა და ამხანაგური ეთიკა, როდესაც არც ცეკას მთლიანად არც მის წევრებს კერძოთ არ აცნობა თავისი ახალი პოლიტიკური ნაბიჯის შესახებ არაფერი, მაშინ როდესაც თედო ღლონტმა და მისმა ჯგუფმა ყველაფერი იცოდა.

3/ ცენტრალური კომიტეტი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ამხ. ლეო შენგელაია როდესაც პარტიას მეტი მზრუნველობა და მოვალეობა ესაჭიროებოდა, ვერ აღმოჩნდა თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ყველა ამ გარემოებათა გამო ცენტრალურ კომიტეტს უხერხულად მიაჩნია ამხ. ლეო შენგელაია დარჩეს ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეთ.

საქართველოს ეროვნული არქივი

ცეკას რეზოლიუციით შენგელაია შეფასებულია პოლიტიკურათ, ზნეობრივათ და მიცემული პოლიტიკური „მგლის ბილეთი“ /ვოლჩი ბილეტ/ ასეთივე განაჩენი გამოუტანა თვით შენგელაიამ თავის თავს.

შენგელაიას სულის სარკე

ნათქვამია, რომ ღმერთი კაცის წახდენას მოინდომებს უწინ ქკუას წაართმევსო, თუ არა სრული უგნურობით, რით აიხსნება ის პოლიტიკური და მორალური თვით განადგურება რომელიც შენგელაიამ ქვემორე მოყვანილი დოკუმენტით მოიმოქმედა. დოკუმენტი დაწერილია ბ. შენგელაიას ხელით ზემოყვანილ ცეკას რეზოლიუციის საპასუხოთ. ეს დოკუმენტი ბევრ მხრივაა საყურადღებო, ის გვაჩვენებს სხვათა შორის თუ როგორ უეჭვოა და უზნეო კაცს შეუძლია ისარგებლოს შემთხვევით და დროებით მაინც საზოგადო მოღვაწის სახელი მოიხვეჭოს. ეს დოკუმენტი სარკეა შენგელაიას სულის. აი ეს დოკუმენტი:

საქარ. სოც. რევ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.
ამხანაგებო.

ამას წინეთ მე მოვათავსე რამოდენიმე პოლიტიკურ ხასიათის წერილი გაზეთ „სოციალ.-ფედერ.“ წერილები დაბეჭდილია ფსევდონიმის ქვეშ. ამ წერილებში მე ვიცავდი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და აშკარად ვებრძოდი ერთს გარკვეულ მიმართულებას. ამ გაზეთში ჩემი მონაწილეობა იყო დროებითი და კერძო ხასიათის.

17 ივლისს ცეკამ გაარჩია ეს საკითხი, ცეკა არ დაკმაყოფილდა ჩემის სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით და გამოიტანა ცალკე რეზოლიუცია, რომელსაც პარტიის წინაშე დანაშაულად აღიარა ჩემ მიერ ფსევდონიმით გაზ. „სოც. ფედერ.“ რამოდენიმე წერილის /5-7/ მოთავსება და ცეკას თავმჯდომარეობის თანამდებობიდან გადამაყენა. ცეკას რეზოლიუცია გამოტანილი 17 ივლისს და განსაკუთრებით მისი მუხლები ჩემის ღრმა რწმენით არის სრულიად **არა ამხანაგური, უსამართლო და უკანონო,** ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო ცეკას ჩემი მოსაზრებანი ამ რეზოლიუციის შესახებ. მე მოვათავსე რამოდენიმე წერილი გაზ. „სოც. ფედერ.“ სრული შეგნებით, რომ მე არავითარი დისციპლინას არ ვარღვევდი და ამით უფრო არავითარ დანაშაულს არ ჩავდიოდი. ხსენებული გაზეთის ხელმძღვანელმა მე მთხოვა დამეწერა რამოდენიმე წერილი, მე უარი არ მითქვამს ამ შემთხვევაში, მე ხელმძღვანელობდი შემდეგის მოტივებით:

1. გაზ. „სოც. ფედერ.“ არის სოციალისტური გაზეთი, მასში წერილებს ათავსებენ, როგორც ფედერალისტები, ისე სხვებიც, მაგ. სოც. დემ. და სხვა. მე არ მიმაჩნდა და არ მიმაჩნია სოციალისტური გაზეთში წერილების მოთავსება პრინციპის ღალატად.

2. გაზ. „სოც. ფედერ.“ მიუხედავად მრავალი შეცდომებისა, დეფაქტებისა და იმ წაჯექ-უკეჯექობისა, რომელიც ჩვევია საზოგადოდ ფედერალისტებს, მიუხედავად ყოველივე ამისა დგას გარკვეულ ეროვნულ ნიადაგზე და იცავს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

3. ამ გაზეთის ოფიციალური პოზიცია, მისი დამოკიდებულება არსებული

საქართველოს ეროვნული არქივი

რეჟიმისადმი თითქმის იგივეა, რაც ჩვენი.

4. გაზეთი „სოც. ფედერ.“ არ არის ჩვენი პარტიის მეტოქე, ის ჩვენი პარტიისათვის დღეს საფრთხეს არ წარმოადგენს. თუ ეს ჯგუფი გაიზრდება, ის გაიზრდება მემარცხენე ფედერალისტების ხარჯზე, რამდენათ ჩვენ ვართ დაინტერესებული ფედერალისტების პარტიის დანგრევაში. ამაში კი ჩვენ უარესად ვართ დაინტერესებული. ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რა თქმა უნდა არა პირდაპირ სოც. ფედერ. ის ჯგუფს რითაც შეგვიძლია. ამ ჯგუფს დღესაც ყველაზე მეტი რეალური შანსები ფედერალისტების პარტია დაანგრიოს.

5. გაზ. „სოც.ფედერ-ში“ რამოდენიმე წერილის მოთავსება მე არ მიმაჩნდა ზნეობრივად სათაკილოთ, რადგანაც ეს გაზეთი იმავე პირობებში გამოდის რა პირობებშიდაც უნდა გამოსულიყო ჩვენი საკუთარი გაზეთი. ასეთი იყო დაახლოვებით ჩემი მოტივები. წერილობით განმარტებაში მე ვამბობდი: სოციალისტური პრესაში სოციალისტის მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ ეთიკას და მიღებული ტრადიციებს. იგი არ არის პარტიული დისციპლინის დარღვევა, რადგანაც არც ერთი სოციალისტური პარტიას და მათ შორის საქართველოს სოც. რევ. პარტიას რაიმე დადგენილება სოციალისტურ პრესაში მონაწილეობას უარყოფელი არ გამოუტანია, მაგრამ ვინაიდან შესაძლოა ჩემი მონაწილეობა გაზ. „სოც. ფედერ.“ ობივატელურ წრეებში სხვანაირად იქმნეს გაგებული ან განზრახ იქმნეს პარტიის საწინააღმდეგოდ გამოყენებული მე დღეიდან ვსწყვეტ ამ გაზეთში წერილების გზავნას მეთქი. ასეთი იყო ჩემი საკუთარი განაჩენი ამ საგანზე. მე ვაღიარებდი შესაძლებლობას. მე ვამბობდი შეიძლება პარტიის წინააღმდეგ გამოიყენონ მეთქი. აქედან დასკვნა: მე დღეიდან ვსწყვეტ ამ გაზეთში წერილების გზავნას მეთქი. ჩემის ღრმა რწმენით ეს განცხადება ამხანაგებისათვის სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო, რატომღაც ცეკასთვის დამაკმაყოფილებელი არ შეიქმნა.

მე ვიმეორებ ცეკას დადგენილება არ არის ამხანაგური. იგი არის უსამართლო და უკანონო...

3. მთელი მსვლელობიდან და გამოტანილ რეზოლიუციებიდან სჩანს, რომ ცეკა ამ საკითხს უდგება კრიმინალის თვალსაზრისით.

მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ამის წინააღმდეგ და მოგახსენებთ, თუ ეს ასეა, თუ ჩემი მოქმედება კრიმინალი არის, მაშინ თქვენ სრულებით არ ქონდათ უფლება ეს საქმე გაგერჩიათ მაშინ ეს საქმე უნდა გაერჩია პარტიულ ყრილობას, ან მის მიერ არჩეულ სასამართლოს და არა ცეკას.

4. ცეკა ურევს ერთმანეთში ორ ცნობას ჟურნალისტის და თავმჯდომარეს. ჟურნალისტმა ლ. შენგელაიამ დასწერა რამოდენიმე წერილი, ისიც ფსევდონიმით. რა შუაშია აქ ცეკას თავმჯდომარე. მე როგორც თავმჯდომარე რომ გადამედგა პარტიის სახელით რაიმე ნაბიჯი, გამეკეთებია რაიმე ოფიციალური განცხადება ან დამეწერა ისეთი რამე, რაც სცემს პარტიის პრესტიჟს და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, მაშინ თქვენ სრული უფლება გქონდათ გელაპარაკათ თავმჯდომარეს შესახებ, მაგრამ ამის მზგავსი არაფერი ყოფილა.

5. ცეკა საშინლად აზვიადებს და ბერავს საკითხს. მართლაც რაშია საქმე. უღალატე პარტიის პრინციპს დავარღვიე პარტიის დადგენილება. ჩირქი მოვცხე პარტიას. არა და არა. ამას თქვენ ვერ დაამტკიცებთ, თუმცა კატეგორიულად

საქართველოს ეროვნული არქივი

სწერთ, რომ მე ვერ აღმოვჩნდი ჩემი დანიშნულების სიმაღლეზე...

6. ცეკა ღებულობს მარტო მშრალ ფაქტებს, რომ მე რამოდენიმე წერილი მოვათავსე. ცეკა არ ეხება არსებითად ამ წერილების შინაარს. მე მესმის რომ ეს წერილები იყო ისეთი რამ, რაც არცხვენს პარტიას, ეწინააღმდეგება მის პრინციპებს და ტაქტიკას, მაშინ სხვა არის, ცეკას წერილების შინაარსი არ გაურჩევია და ისე ზეპირად გამოაქვს თავისი განაჩენი. ეს არის ობიექტივობა.

7. ცეკამ ჩემდამი მიმართა დასჯის უმაღლეს ზომას. განკარგულებაში არ იყო მეტი უფრო მკაცრი ზომა, ვიდრე ის რომელსაც მიმართა, მაგრამ მოგახსენებთ უმაღლესი სასჯელი ადამიანს გამოუტანო მაშინ, როდესაც მის უმაღლეს უდიდეს დანაშაულს ჩაიდენს. მე კი არამც თუ უმაღლესი არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. მე ამას კატეგორიულად ვაცხადებ.

8. ცეკა სრულებით არ უწევს ანგარიშს იმ ფაქტებს, რომ ჩემი წერილები მოთავსებულიყო ფსევდონიმით. ეს კი სულ სხვა გახლავთ ვიდრე საკუთარი სახელი და გვარით გამოსვლა. თუ საჭირო იქმნა მე ყოველთვის მაქვს საშვალება ფსევდონიმის ქვეშ დაწერილი უარვყო, რადგანაც ეს იცის დანამდვილებით მხოლოდ რედაქტორმა...

მე მინდა აგრეთვე მოკლედ შევეხო ცეკას რეზოლიუციის ზოგიერთ მუხლებს, რომ მე მოვათავსებდი სახელმძღვანელო წერილებს.

1. ცეკა ხაზს უსვამს იმ შემთხვევას, მე კი ვფიქრობ, რომ თუ თანამშრომლობა საერთოდ მიუღებელია, მაშინ სულ ერთია სახელმძღვანელო წერილები იქნება თუ არა სახელმძღვანელო, მაშინ არც ერთი და არც მეორე არ უნდა დაიბეჭდოს. ჩემის აზრით აქ საკითხი სწორეთ არ არის დაყენებული. მე ვფიქრობ საკითხი ასე უნდა დაისვას. ჩემს წერილებში მე გადაუხადე თუ არა პარტიის მიერ აღებულ გეზს. თქვენ ამას არ ამბობთ და ვერც იტყვით, რადგანაც ამის მზგავსი ჩემ წერილებში არაფერი ყოფილა და თუ მიუხედავად იმისა რომელიმე ჯგუფმა ჩემი წერილები სახელმძღვანელოდ გაიხადა ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ჯგუფი მე პარტიის ჭკუაზე მომიყვანია. მგონი ეს არ უნდა იყოს პარტიული საქმე..

2. თანამშრომლობა ფასიანიაო ამბობს რეზოლიუცია /მუხ. N-5/. ვერ გამიგია ეს რა მოსატანი იყო აქ. რომ ეს საბუთად ვერ გამოდგება სჩანს იქიდან, რომ ყოველი სტრიქონი რომელიც დღეს გაზეთში დაიბეჭდება ფასიანია.

3. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ამხანაგებს უმალავდი თანამშრომლობის ფაქტს, დამალვა გულისხმობს: 1/ როცა ადამიანი თვითონ არ ამბობს, 2/ არც სურს სხვამ გაიგოს და 3/ ღებულობს ზომებს, რომ სხვამ არ გაიგოს. მე არ მითქვამს წინასწარ ამხანაგებისთვის, რომ წერილები მოვათავსე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმეს ვმალავდი, პირველ შემთხვევის თანავე მე უთხარი ამხანაგებს, რომ რამოდენიმე წერილი მოვათავსე. მე არავითარი ზომები არ მიმიღია, რომ ეს ამხანაგებს არ გაეგო, მაშასადამე, თქვენი დებულება, რომ მე თითქოს რაღაცას ვმალავდი მართალი არ არის. მერწმუნეთ რომ მე დამალვა მდომოდა მე ამას მოვახერხებდი, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდებოდა.

6. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მე კერძო საუბარში ცუდად ვიხსენიებდი გაზ. „სოც. ფედერ.“ სულ ამავე დროს იქ წერილებს ვსწერდი. არ არის მართალი გაზ. „სოც. ფედერ.“ მე უყურებ ისე როგორც უნდა უყურებდეს ყოველი ჩვენგანი, თუ კი ჩვენ გარჩევის და დაფასების უნარს არ დავკარგავთ. მე ამას

საქართველოს ეროვნული არქივი

ასე მოგახსენებთ, როგორც ამას პარტიის ინტერესები მოითხოვს ამა თუ იმ კონკრეტიულ შემთხვევაში. საერთოდ მე არ ვიხსენიებდი ცუდათ ამ გაზეთს, მხოლოდ იყო ერთი შემთხვევა... რეზოლიუციის ერთ-ერთი მუხლი ამბობს, რომ მე თითქოს დავანგრიე რევოლიუციონური დისციპლინა არც ეს შეიცავს სიმართლეს. რევოლიუციონური დისციპლინა გულისხმობს რევოლიუციონურ ბრძანებას. ასეთი ბრძანება კი ცეკას 17 ივლისამდე არ მიუცია. ცხადია ამის დარღვევა რაც არ იყოს მე არ შემეძლო ასე უსამართლო და დაუმსახურებელია რეზოლიუციის ყველა მუხლები...

ამხანაგური სალამი **ლეო შენგელაია.**
25 ივლ. თბილისი.
1921 - წ.

უადგილობისა გამო დოკუმენტი იბეჭდება შემოკლებით. შემდეგ ამ დოკუმენტს დავბეჭდავთ სავსებით, რაც ლეო შენგელაიას ფიზიანომიას გამოაშკარავებს. ამ დოკუმენტის ყოველი სტრიქონი საინტერესოა, მაგრამ მაინც მიგვაჩნია საჭიროდ ზოგიერთ ალაგებს გაუსვათ ხაზი.

1. მუხლში ბ. შენგელაია ამბობს სოც. ფედერ. არის სოციალისტური გაზეთი: მასში წერილებს ათავსებენ, როგორც ფედერალისტები ისე სხვებიც, მაგ. სოც. დემ. ჩვენ არ გვგონია, რომ ეს სიმართლეს შეიცავდეს, რომ ღლონტთან თანამშრომლობდნენ ს. ფედერალისტები და სოც. დემ. ეს სტრიქონები ბ. შენგელაიამ თავისი შესამსუბუქებლად დასწერა.

2. მეორე მუხლში შენგელაია სწერს: გაზ. „სოც. ფედერ." დგას გარკვეულ ეროვნულ ნიადაგზე და იცავს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამ სიტყვებიდან სჩანს, თუ როგორ ესმის ბ. შენგელაიას ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა.

3. ბ. შენგელაია მე-3 მუხლში სწერს, ამ გაზეთის ოფიციალური პოზიცია მისი დამოკიდებულება რეჟიმისადმი თითქმის იგივეა რაც ჩვენი. ლეო შენგელაია მიდის ღლონტთან, ეს ამ მუხლიდან აშკარაა, რომ პარტიას კი ღლონტთან არაფერი საერთო არა აქვს, ამიტომ შენგელაია პარტიიდან გაძევებულ იქმნა..

4. მეტად დამახასიათებელია მე-4 მუხლიც, აქ შენგელაია სწერს: გაზ. „სოც. ფედერ." არ არის ჩვენი პარტიის მეტოქე. ის ჩვენი პარტიისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. თუ ეს ჯგუფი გაიზრდება, ის გაიზრდება მემარჯვენე ფედერალისტების ხარჯზე და რამდენად ჩვენ ვართ დაინტერესებული ფედერალისტების პარტიის დანგრევაში, ამაში კი ჩვენ უაღრესად ვართ დაინტერესებული, ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რა თქმა უნდა, არა პირდაპირ სოც. ფედერ. ჯგუფს რითაც შეგვიძლიან. ამ ჯგუფს აქვს დღეს ყველაზე მეტი რეალური შანსები ფედერალისტების პარტია დაანგრიოს. როგორც სჩანს, მეტად საზიზღარი როლი უკისრია ბ. შენგელაიას. ასეთ როლს არ კისრულობს არამც თუ პოლიტიკური მოღვაწე, არამედ არც ერთი კეთილ-შობილი ადამიანი. ასეთ საქციელს შესაფერისი სახელწოდება აქვს.

5. საინტერესოა მე-5 მუხლი: ბ. შენგელაია სწერს გაზ. „სოც. ფედერ." რამოდენიმე წერილის მოთავსება მე არ მიმაჩნდა ზნეობრივად სათაკილოდ, რადგან ეს გაზეთი იმავე პირობებში გამოვიდა, რა პირობებში უნდა გამოსულიყო

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩვენი საკუთარი გაზეთი. ღლონტის გაზეთი მოყიდულია. შენგელაიას სურდა პარტიული გაზეთიც გაეყიდა, მაგრამ საპასუხოდ გაძევებულ იქმნა პარტიიდან.

6. მე-6 მუხლში ბ. შენგელაია ამტკიცებს, რომ მას ღლონტის გაზეთში გლახა პარტიის პრინციპების საწინააღმდეგო არაფერი დაუწერია. არ არის ეს მართალი. მართალი ის არის, რომ მას იქ კარგი არაფერი „დაუწერია და“ ვერც დასწერდა, რადგან ღლონტის პოზიციაზე იდგა. ვალაპარაკოთ თვით შენგელაია გაზ. „სოც. ფედერ.“ 1921 წ. N-103 ბ. შენგელაია სწერს საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებამ ამიერ კავკასიაში შექმნა ახალი პირობები ამიერ კავკასიის რესპუბლიკის სოლიდარობისა და თანამშრომლობის დასამყარებლად. საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამ ამიერ კავკასიაში მოსპო ომის შესაძლებლობა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შორის. /კურზიკი ავტორის/.

უკვე გადალახულია დაბრკოლებანი-პოლიტიკური, სოციალისტური და თითქმის ეროვნულიც ამ სამი რესპუბლიკის დასაახლოვებლად მათი მჭიდრო შესაკავშირებლად.ამნიადაგზეუნდასაბოლაოდჩამოყალიბდესდაგანმტკიცდეს ის არა ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი ბურუაზიული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ სოციალისტური რესპუბლიკებისათვის ნორმალური და აუცილებელი ურთი ერთობა, რომელიც უნდა იქნეს უაღრესი დაახლოვებით და ნამდვილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება. /კურ. ავტორისა/ ბ. შენგელაიას სიტყვებით უკვე დაბრკოლებულია პოლიტიკური, სოციალური და თითქმის ეროვნულიც ამ სამი რესპუბლიკის დასაახლოვებლად, მათი მჭიდროდ შესაკავშირებლად და ნამდვილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად სავსებით ასევე სწერენ კომუნისტები. ესენი დღესაც ამტკიცებენ, რომ საქართველო ახლაა ნამდვილი თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკანასკნელად ავღნიშნავთ, რომ ბ. შენგელაია განზრახ ამბობს ტყუილს, როდესაც სწერს საპასუხო წერილში, რომ სოც. ფედერ. მოათავსა მხოლოდ 5 წერილი, ჩვენ ხელთ გვაქვს ათი წერილი.

7. ძლიერ ახასიათებს ბ. შენგელაიას, როგორც ადამიანს მე28 მუხლი, აქ ბ. შენგელაია სწერს: „ცეკა სრულიად არ უწევს ანგარიშს იმ ფაქტებს, რომ ჩვენი წერილები მოთავსებული იყოს ფსევდონიმით. ეს კი სულ სხვა გახლავთ, ვიდრე საკუთარი სახელით და გვარის გამოცვლა. თუ საჭირო იქმნა, მე ყოველთვის მაქვს საშვალება ფსევდონიმის ქვეშ დაწერილი უარვყო, რადგანაც ეს იცის დანამდვილებით მხოლოდ რედაქტორმა“. ამ სტრიქონებს კომენტარები არ სჭირდება რამდენათ ბეც და უზნეო უნდა იყო ადამიანი, რომ ეს სტრიქონები დასწერო.

8. შემდეგ, როდესაც ბ. შენგელაია ცეკას რეზოლიუციის მუხლებს არჩევს, იქ მე-3 მუხლში სწერს: რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მე ამხანაგებს უმალავდი თანამშრომლობის ფაქტს. ეს სიმართლეს არ შეიცავს. არ თქმა არ ნიშნავს დამალვას ამ სიტყვაში გამოსჭვივის აშკარა იეზუტიზმი, რომ შენგელაია განზრახ უმალავდა ღლონტთან თანამშრომლობას ეს ფაქტია. დილიდან საღამომდი შენგელაია ამხანაგებთან იყო, მასთან საუბრობდა, მსჯელობდა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც შვ-ლის მასთან წაუკითხავს ამხანაგებს და მას არაფერი უთქვამს, რომ ეს წერილები მისია. საერთოთ როგორც ავღნიშნეთ, ხსენებული დოკუმენტის ყოველი სტრიქონია საინტერესო. ეს დოკუმენტი სარკეა ბ. შენგელაიას სულის.

საქართველოს ეროვნული არქივი

შენგელაია და საბჭოთა ხელისუფლება

მოგვყავს ადგილები ცენტრ. კომიტეტის ოფიციალურ ოქმებიდან.

ლეო შენგელაია: მთელი რიგი საკითხებისა მოითხოვს მათთან /კომუნისტებთან/ თანამშრომლობას... „თუ მისი /რევკომის პოლიტიკისა/ შეცვლა გვინდა მხოლოდ მთავრობაში შესვლით შეიძლება... ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ შიგ /რევკომში/ გავიზიაროთ პასუხისმგებლობა... ეხლა კომუნისტური პარტია იცავს ჩვენს დამოუკიდებლობას და ჩვენ მას უნდა ამოუდგეთ გვერდში, ეროვნული საქმე საუცხოვოთ იქნებაო /1921 წ. 12 აპრ. სხდომის ოქმი/. ლეო შენგელაია: ეროვნული კეთილ-დღეობა მოითხოვს, რომ ჩვენ მათ /კომუნისტებს/ დაუჭიროთ მხარი „თვით რომ პარტიული ინტერესიც არ მოითხოვდეს, ხალხის კეთილ-დღეობა ერის დამოუკიდებლობა მოითხოვს ჩვენ დაუჭიროთ მხარი საბჭოთა რევკომს“ თბილისის ორგანიზ. 1921 წ. 16 აპრილი კრების ოქმი იმავე კრებაზე: საპასუხო სიტყვებში ბ. შენგელაია ამბობს: „როცა რევოლიუცია სოციალისტურია განზედ გადგომა რევოლიუციონერობა არ არის. დიქტატურაც არ არის რაიმე მიუღებელი“...

...„გამოსავალი გზა სხვა არ არის გარდა თანამშრომლობისა... ლეო შენგელაიას მიერ წარმოდგენილი პირველი პროექტი. „საბჭოთა საქართველომ მოიპოვა დიდი და საიმედო მოკავშირე წითელი რუსეთი, როგორიც ეროვნულ ჩაგვრასა და მონობას სასტიკათ ებრძვის“. საქართველოსთვის წითელ რუსეთთან მეგობრობა და კავშირი ყოველ მხრივ ხელსაყრელია...

ივანე პ. გობეჩია: „ჩვენი თანამშრომლობა /კომუნისტებთან/ აუცილებელია“ /1921 წ. 12 აპრილის ცეკას სხდომის ოქმი/.

ბლოკი

1921 წ. 11 დეკემბერს ლ. შენგელაიას და ივანე გობეჩიას მიერ მესამეჯერ იქმნა დასმული საკითხი საბჭოთა არჩევნებში კომუნისტებთან ბლოკის შესახებ. ისინი მოითხოვდენ მოლაპარაკების გამართვას კომუნისტებთან.

პრეზიდიუმმა სამჯერვე უარყო შენგელაიას და ივანე გობეჩიას წინადადება: და ივ. პ. გობეჩიას ეს ამონაწერები ოქმიდან სავსებით ააშკარავებენ ბ. შენგელაიას ტიპიურ ფიზიანომიას.

პარტიის გაწმენდა

სოც. რევ. პარ. როგორც თეორიას ისე პრაქტიკას დიდი ისტორია აქვს, მომხიბლავია ეს ისტორია, ის გადაგიშლის პარტიის სულის სიფაქიზეს. დაგანახვებს მის ურყევ ნებისყოფას. სოც. რევ. პარტიის წარსული აღამაღლებს სულით, გაგასპეტაკებს, გაგამხნევებს, აღჭურავს იდეალით და გასწავლის მისთვის ბრძოლას, თავდადებას. ასეთ ფაქიზ ატმოსფერაში თავის თავად ცხადია ვერ ისულდგმულებს ისეთი ელემენტები, რომლებიც ბუნებას არ დაუჯილდოვებია არც ხასიათის სიფაქიზით და არც ბრძოლის უნარით. ასეთი ელემენტებისათვის პარტიის პრინციპიალობა, ტემპერამენტი და სიფაქიზე სულის შემხუთავია. ამიტომ უკანასკნელნი, როდესაც ისინი პარტიის ოჯახში მოხვდებიან ყოველ ღონეს ღონებენ იქ თავისთვის ხელსაყრელი ატმოსფერა შექმნან.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქარ. სოც. რევ. პარტიაშიც გაჩდენ ასეთი ელემენტები. ობიექტიურმა სოციალ. პოლიტიკურმა წარმოშვა - ისინი მათი წარმოშობა რა საკვირველია ყოველთვის შესაძლებელია, სანამ არსებობს დღევანდელი დუხჭირი პირობები, მაგრამ მათი განადგურებაც შესაძლებელია, რადგან არსებობს პარტიული მედიცინა, ხირურგია.

ბ. შენგელაია და ივანე გობეჩია ცდილობენ პარტია პირადი ინტერესებისათვის გამოეყენებიათ, მაგრამ ხირურგია თავის დანიშნულების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ოპერაცია მეტად მოხდენილად ჩატარდა, პარტიულ ორგანიზაციას კი ნააპერაციებიც არ დააჩნდა. ასე გულმოდგინეთ იღწვოდენ ბ. ბ. შენგელაია და ივანე გობეჩია ბოლშევიკებისათვის. პარტია კი მათ სასტიკათ ებრძოდა და მესამე პარტიულმა ყრილობამ კი გააძევა ისინი პარტიიდან.

დღეს ყოველიფრის გამოქვეყნება არ შეიძლება, როცა ამის შეძლება მოგვეცემა გამოვაქვეყნებთ.

ლ. შენგელაია ბოლშევიკურ გაზეთში თანამშრომლობს

რაც დრო გადის უფრო და უფრო ირკვევა ბ. შენგელაიას საიდუმლო თანამშრომლობა ბოლშევიკებთან.

დღეს ირკვევა, რომ ლ. შენგელაია თანამშრომლობდა აგრეთვე ბოლშევიკურ გაზეთში „მუშის შრომა“ ფსევდონიმები: „ულმობელი“, „ა-ძე“, „შორეული“.

ღლონტთან დავიჭირეთ ბოლშევიკურ გაზეთში თანამშრომლობა დაგვიმალა, დღეს ესეც გამოირკვა, ალბათ სხვაც გამოირკვევა შემდეგში. ამ ფაქტს კომენტარიები არ სჭირდება.-

საქარ. სოც. რევოლ. პარტიის ცეკა.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 14, ფურცლები 1-19.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობაზე მიღებული დადგენილება პარტიიდან ლეო შენგელაიასა და ივანე გობეჩიას გარიცხვის თაობაზე, რომელიც გაეგზავნა ქართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს
1922 წლის 22 მარტი

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა
პარტიის ცენტრალური კომიტეტი
21 მარტი 1922 წ.
N3
ქ. თბილისი

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

თანახმათ საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მესამე ყრილობის დადგენილებისა გეგზავნებათ ა/წ 20 მარტის სხდომაზე მიღებული რეზოლუციის ასლი:

„საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მესამე ყრილობამ, გაეცნო რა **ლეო ანდრიას ძე შენგელაიას** და **ივანე პავლეს ძე გობეჩიას** მოქმედებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ / საქ. სოც.-რევოლ. პარტიის მესამე ყრილობამ/ გამოარკვია შემდეგი:

1. ლეო ანდრიას ძე შენგელაია და ივანე პავლეს ძე გობეჩია დგანან საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ღალატობენ პარტიის პრინციპებს, ტრადიციას და ეთიკას, განაგრძობენ ანტი-პარტიულ დეზორგანიზატორულ და ანტი ეროვნულ მოქმედებას.

2. ამიტომ გამორიცხულ იქმნან საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიიდან ლეო ან. შენგელაია და ივანე პავლეს ძე გობეჩია.

3. დადგენილება ესე ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტებს საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიას, დამოუკიდებელ სოც.-დემ. მუშათა პარტიისას და ეროვნულ დემოკრატებისას.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა ყრილობის მიერ.

ყრილობის თავმჯდომარე:
მდივანი:

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნოე ხომერიკისა და ვალიკო ჯუღელის საიდუმლო წერილი
საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას, სადაც საუბარია
საქართველოში მუშაობისთვის საჭირო თანხების გამოყოფაზე
1922 წლის 24 მარტი

სრულიად საიდუმლო
საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
სამხედრო მოხსენება N2
სტამბოლის პოლიტიკური კომისია

მოხსენება N1 განსაკუთრებით საოკუპაციო რუსის ჯარების აღრიცხვას და დახასიათებას შეეხებოდა ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში. მოხსენება N2 კი არკვევს ჩვენ საკუთარ სამხედრო მუშაობას და ახასიათებს ჩვენ სამხედრო ორგანიზაციებს. ჩვენ დღემდე ვერ გამოვგზავნეთ ეს მეორე მოხსენება, რადგანაც ჩვეულებრივ ფოსტას ვერ ვენდობოდით და დღემდე საიმედო კაცი ვერ ვიშოვეთ. ეხლა გვაქვს შემთხვევა სრულიად საიმედო კაცს გამოვატანოთ ეს საიდუმლო მოხსენება და ჩვენც ვეცდებით სრული სურათი დაგიხატოთ.

ამ უკანასკნელი 3-4 თვის განმავლობაში ჩვენ შევსძელით სისტემატიური სამხედრო მიწერ-მოწერის გამართვა საქართველოსთან. პირველი წერილი, რომელიც საქართველოდან მივიღეთ და რომელიც ჩვენში არსებულ საკუთარ სამხედრო ძალებს ახასიათებდა, თქვენ უკვე დიდი ხანია გადმოგეგზავნათ კერძო წერილის სახით. მის შემდეგ ჩვენ მივიღეთ საქართველოდან დამატებითი ცნობები და წერილები, რომლებსაც ასევე გაახლებთ (ასლებში).

ერთი წერილი შეეხება ჩვენ სამხედრო ხარჯთაღრიცხვას და მას სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ.

„იმ მუშაობისთვის რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ და ცოტა კიდევ რომ გავადიდოთ თანახმად თქვენი წინადადებისა - მიმდინარე თვის (თებერვლის) საჭირო იქნება დიდი ეკონომიით და მომჭირნეობით დაწყებული მუშაობის შესანარჩუნებლად შემდეგ ხარჯები:

1. ბათუმში იმ 5-10 მომუშავის შენახვა, მიმოსვლა, კავშირი 10 მილიონი მან. ბონებით ანუ 50 თურქული ქაღ. ლირა.
2. ზუგდიდ-სენაკის მაზრებისთვის - 75.
3. გურიაში 5 მომუშავეს და აუცილებელი ხარჯებისათვის - 75.
4. ქუთაისი-რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი - 150.
5. შორაპანი-ჭიათურა - 50.
6. სამტრედიის რაიონს - 40.
7. ახალციხე-ახალქალაქი - 90.
8. ბორჯომი-მიხაილოვო-გორი - 100.
9. დუშეთ-ყაზბეგი - 90.
10. გარე-კახეთი და მანგლისი - 60.
11. თელავი და თიანეთი მთებით - 100.

საქართველოს ეროვნული არქივი

12. სიღნახი - 45.

13. ბორჩალო - 25.

14. თბილისის რაიონები - სულ 170 (1. ნაძალადევი - 20; 2. ერთობის უბანი - 15; 3. რკინის გზა - 15; 4. ტრავმაი - 15; 5. ვერა-დიღომი - 20; 6. გარე-უბანი -15; 7. ორთაჭალა - 15; 8. ავლაბარი - 15; 9. ნავთლუღი - 15; 10. კახეთის ნავთლუღი -15).

ასეთი ხარჯების გაწევით შესაძლებელია კარგად გამაგრება და დაწყებული მუშაობის გაგრძელება. იანვარში მუშაობის დროს დაიხარჯა 374 მილიონი, რომელიც ცეკამ გაიღო.

გარდა ამისა აუცილებლათ საჭიროა თვიურათ:

1. მთავარი ცენტრის აუცილებელი ხარჯებისათვის - 200.

2. ოპერატიული მუშაობისთვის და ოფიცრებისთვის - 225.

3. უკანასკნელი 50 კაცისთვის მთელ რესპუბლიკაში/ გადამალულების დახმარება - 250.

4. საგანგებო კომისიაში თვეში 3 კაცისთვის მინიმუმი - 100 (ცვალებადია).

5. რევკომში 2 კაცისთვის - 100.

6. რუსის არმიის („ოკა"-ს) შტაბიდან სისტემატიური ცნობებისათვის - 200.

7. რკინის გზის აგენტურისთვის - 75.

8. კომუნისტების ცეკას და კავბიუროს კურიერებისათვის - 175.

9. ფოშტაში - 50.

თუ ეს თანხები იქნა, მაშინ შესაძლებელია აგენტურის კარგად მოწყობა და ცნობების სისტემატიურათ მიღება.

სულ საჭიროა 2600 ლირამდე (აქ ნაანგარიშები არ არის აფხაზეთი - სტამბოლ. პოლ. კომ.) თვეში. თუ ეს არ დარჩა - მუშაობა ჩაფლავებულათ ჩაითვლება! ეს წინასწარ შემუშავებულია, განხილული და მიღებული სხდომის მიერ, რომელსაც დაესწრენ რიურიკი, ბოკსი, ავთანდილი, ყარაჩოღელი, მადონერი. 4 თებერვალი 22 წელი."

ასეთია მებრძოლი საქართველოს სამხედრო ხარჯთაღრიცხვა. როგორც ხედავთ იგი მეტად თავდაჭერილი და მინიმალურია. თუ ამას შევადარებთ იმ 3000-3500 ლირას, რომელიც თვიურათ ჩვენ ლტოლვილებზე იხარჯება, უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოს მოთხოვნილება სრულიად სამართლიანი და მცირეა. თვით ხარჯთაღრიცხვა ამტკიცებს, რომ მისი შემდგენელნი უკიდურეს ეკონომიას იცავდენ. მაგალითად მთელ გურიაზე - სადაც უკვე არსებობს ორი დამკვრელი გვარდიის ბათალიონი 1500 კაცისაგან შემდგარი - იხარჯება 75 ლირა, ყველა ოფიცრებზე და საოპერატიულ მუშაობაზე გამოითხოვენ 225 ლირას და სხვა. ამასთანავე თვით ხარჯთაღრიცხვა ამტკიცებს, რომ ფულით დაპყრობილ საქართველოში ძალიან ბევრის გაკეთება შეიძლება: ჩვენებს აგენტები გაუჩენიათ რევკომში, „ჩეკაში", „ოკა"-ს შტაბში და სხ. ამიტომ თანახმად ამ ხარჯთაღიცხვისა ჩვენ აუცილებლათ მიგვაჩნია სამხედრო მუშაობისათვის თვეში 25 ათასი ფრანკის გაღება. მაშინ დაკმაყოფილდება ზოგი ახალი რაიონის მოთხოვნილებაც და გაზრდილი მოულოდნელი ხარჯებიც.

ამ ერთი კვირის წინ კი ჩვენ დამატებითი წერილი მივიღეთ შემდეგი შინაარსის: „ცნობებს თანდათან უფრო სისტემატიურათ მოგაწვდით. მაგრამ ჩვენც გვინდა თქვენგან ხშირი ინფორმაცია. თქვენ იცით საერთო ჩვენი

საქართველოს ეროვნული არქივი

ვითარება - ფაქტიური და ფსიხოლოგიური. თუ გინდა უბრალო იყოს თქვენი ცნობა - ამასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენ ალბათ ყველაფერი იცით როგორც აქაური, ისე მადაური. ჩვენი მუშაობაც მოითხოვს ვიცოდეთ აქ კარგიც და ავიც. ეს საჭიროა. მოველით თქვენგან ხშირ ინფორმაციას. თქვენ იცით, რომ ჩვენ გლახა, სუსტი მომუშავეები ვართ, მაგრამ იცის ღმერთმა - ბევრი გაკეთება გვინდოდა! ამ მხრივ თქვენი გამოცდილების დახმარებაა აუცილებელი, აქ კი უნდა გითხრათ, რომ ამას ნაკლებათ ვღებულობთ. რასაკვირველია ამ ბოლო დროს მეტ ყურადღებას გვაქცევთ.

ეხლა ჩვენი მდგომარეობის შესახებ: ჩვენი მუშაობა წინ მიდის. გავაბით ძაფები ყველგან მაგალითად: აფხაზეთში, ახალციხეში, ჯავახეთში, ბორჩალოში, თუშეთ-დარიალში. ერთი სიტყვით რაღა ბევრი გავაგრძელოთ - ყველგან საქართველოში! უნდა მართალი გითხრათ ამ მხრივ ჩვენ დიდი ზარალი ნავხეთ (ალბათ რეპრესიები იგულისხმება სტ. პ. კ.) თორემ მეზობლებშიაც შეიძლებოდა ნაყოფიერი მუშაობა (წერილში ასე წერია: „თორემ შორს, სხვის ბახჩაშიც შეიძლებოდა ნავარდობა“ სტ.პ.კომ.), ხელი შეგვიშალა აგრეთვე უფულობამ. ამან ბევრი ზარალი მოგვსცა. რა გაეწყობა! ... თქვენ გაიგებდით, რომ ცხოვრება საშინლათ გაძვირდა. ბილეთი ბათუმამდე ღირს 800 000 მა.! ეხლა თქვენ იცით ჩვენი სამხედრო ძალები. საჭიროა მხოლოდ მათთვის შინაარსის მიცემა და საარსებო სახსარი!

სამხედრო მთავარ შტაბს რიურიკთა პალატა ქვია. იგი შესდგება 9 წევრისაგან. აქედან 3 გარეთ არის, „ზაპასში“, - არ მუშაობენ, მაგრამ საქმეებს იცნობენ. 3 მუდმივათ პრეზიდიუმში მუშაობს და 3-იც კი მუშაობას პროვინციაში ეწევა და ანგარიშს შტაბს აბარებს. დიდი საკითხების დროს საერთო სხდომები ხდება.

მაზრებში სამეულებია, რომლებიც სავსებით ცენტრს ექვემდებარებიან და მისგან იღებენ ბრძანებებს. ცენტრს აქვს თავის ოპერატიული განყოფილება და საიმედო აგენტები. მუდმივ ნაწილებში (ალბათ ქართული ნაწილები იგულისხმება. სტ. პ. კომ.) კავშირი მტკიცე ფესვებს იდგამს. ეს საქმე დამთავრებულათ ჩაითვლება (წინათ ძლიერი იერიშების მიტანას ფიქრობდენ და ცდილობდნენ ჩვენზე ეროვნულები და სხიველები, მაგრამ ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ყოველივე ნიადაგი გამოეცალათ. მათ უმთავრესათ ოფიცრობის იმედი ქონდათ, მაგრამ რადგანაც მათ ძალა არ ყავდათ, ოფიცრობაც არ გაყვა. გრ. გიორგაძე ერთ ცნობილ გენერალს (ვარდენ წულუკიძეს სტ. პ. კ.) უპირებდა გადაბირებას, მაგრამ ის გენერალი არ გაყვა მას, როდესაც გაიგო, რომ ისინი მენშევიკების წინააღმდეგ მუშაობენ ... ამნაირათ დღეს ისინი სრულიად დამარცხებულნი არიან).

აქვე გვინდა თანახმად ამხანაგების დავალებისა ორი კითხვა დაგისვათ: 1) შესაძლებელია თუ არა თქვენგან ფაქტიურათ ფინანსური დახმარება და 2) შეგიძლიათ თუ არა, რომ რაიმე დარჩეს ჩვენში, - სამხედრო მასალის სწრაფად მოწოდება ?! იცოდეთ თუ ფული არ იქნა მთელი მუშაობა ჩაიღუპება. იარაღის საკითხიც წინასწარ უნდა გამოირკვეს, რადგანაც ჩვენ აქ ვხედავთ, რომ საქართველოს განთავისუფლება საბოლაოთ შინაგანი ბრძოლით უნდა გადაწყდეს! ამიტომ ჩვენი მუშაობისათვის აუცილებელია დასმულ კითხვებზე

საქართველოს ეროვნული არქივი

თქვენი სწორი და ჩქარი პასუხი. აი მოკლეთ!!

ასეთია უკანასკნელი წერილი. მისი მთავარი აზრი შემდეგშია: მებრძოლ საქართველოს აღარ აქვს ილუზიები მხოლოდ გარეშე ძალების საშუალებით განთავისუფლებისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლაში იგი მთავარ ფაქტორათ თავისთავს აღიარებს. ამიტომ მან მთელი საქართველო დაქსელა მტკიცე და საიმედო სამხედრო ორგანიზაციებით, რომელთა შესანარჩუნებლათ და გასაძლიერებლათ იგი ჩვენგან და პირველ ყოვლისა თავისი მთავრობისაგან ფინანსურ და შემდეგ იარაღით დახმარებას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ სრულიად აუცილებლათ მიგვაჩნია, რომ მთავრობამ ამ სამხედრო ორგანიზაციისათვის ყოველთვიურათ 25 000 ფრანკი გადადვას და ამასთანავე მიიღო ენერგიული ზომებიიარაღისმოსამარაგებლათ.რასაკვირველიაჩვენეხლავევერშევსძლებთ საქართველოში იარაღის გაგზავნას და ამიტომ პირველი დაკვრისათვის ჩვენ უნდა ვიკმაროთ ის იარაღი, რომელიც ქართველ ხალხს ხელში აქვს (და კიდევ ის, რომლის შეძენა ეხლაც შეიძლება თვით საქართველოში), მაგრამ მებრძოლი საქართველო დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მეორე დარტყმისათვის მას აქედან მოუსწრებს იარაღი.

მტრის და ჩვენი საკუთარი ძალების ნათლად წარმოსადგენათ ჩვენ აქვე ვგზავნით რუქას, სადაც ორივე ეს ძალები აღნუსხულია. მტერს საქართველოს ტერიტორიაზე ყავს 23-24 ათასი მებრძოლი. ეს ძალები უმთავრესათ დაბანაკებულია თბილისში, ბათუმში და ქუთაისში, ე. ი. ცენტრებში. ჩვენ კი მთელ საქართველოში გვყავს 11-12 ათასი ძველი გვარდიიდან (აქედან 10-15% უიარაღოა), 4-5 ათასი ქართული ლაშქრიდან და 3-4 მილიციიდან - სულ 18-20 ათასი მებრძოლი. ეს ძალა აჯანყების დროს ადვილათ გაიზრდება ორჯერ-სამჯერ. მტრის უპირატესობა იმაშია, რომ მას ყავს მოწესრიგებული ძალები, რომლებსაც ცენტრები უკავია, ხოლო ჩვენი ძლიერება კი იმაშია, რომ მთელი საქართველო ჩვენთან არის და აჯანყებას ვეყრდნობით. კარგად მოწყობილი, საყოველთაო აჯანყება კი უძლეველია. ეხლა ჩვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება ხელი შევუწყოთ აქედან სამხედრო ორგანიზაციის ზრდას, ხოლო ადგილობრივმა მთავარმა შტაბმა ისე უნდა მოაწყოს ეს ორგანიზაცია, რომ აჯანყება მთელ საქართველოს უცბათ და პირველი დაკვრისათვე ხელთ ვიგდოთ ცენტრები ... თვით აჯანყება კი უნდა მოხდეს მაშინ, როცა ამისთვის იქნება საუკეთესო საგარეო და შინაური პირობები. პირველი და აუცილებელი პირობაა აქტიური შეთანხმება კავკასიის ერებთან.

24 მარტი 22 წ. კონსტანტინოპოლი. ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 110, ფურცლები 5-9.

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია სვანეთში მიმდინარე ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების შესახებ 1922 წლის 25 მარტი

25/III 22. სპარ. ან II.

გასული წლის ზაფხულზე სვანეთში ადგილობრივმა ხალხმა ჩამოაგდო რუსული რევკომი და ძალა უფლება თვით აიღო ხელში. საოკუპაციო ჯარებმა მაშინვე მიიღო ზომები აჯანყების ჩასაქრობათ, მარა სექტემბერში რუსეთის ორი პოლკი დამარცხდა სვანებთან ბრძოლაში და ამის შემდეგ სვანეთი გადაიქცა თითქმის სრულიად დამოუკიდებელ კუთხედ. ნოემბერში სვანებმა დელეგაცია გამოგზავნეს თფილისში და რევკომს მოთხოვნილებანი წარუდგინეს სვანეთის სახელით. აჯანყებული ხალხი მოითხოვდა რუსეთის ჯარების გაყვანას, ოკუპაციის მოხსნას და ხალხისთვის თავისუფალ არჩევნების უფლების მინიჭებას. ეს ვერ დააკმაყოფილეს დამპყრობლებმა და სვანეთის ხალხი დღესაც განაგრძობს ბრძოლას.

უკანასკნელ თვეებში რუსის წითელმა არმიამ გადასწყვიტა სვანეთის აჯანყების ლიკვიდაცია, რისთვისაც სათანადო მზადებას შეუდგა. წითელმა ჯარებმა როგორც ქუთაისის მხრიდან, ისე ნალჩიკ ყუბანის მიმართულებიდან დაიწყეს მეტოდიური შეტევა სვანეთის წინააღმდეგ. 3 მარტს ცაგერის მხრიდან შეტევაზე გადავიდა რუსეთის ერთი პოლკი, რომელიც ქვედა სვანეთის მთებში აჯანყებულებმა სრულიად დაამარცხეს და გაფანტეს. აქედან სვანებს ტყვედ ჩაუვარდათ 270 რუსის წითელი არმიელი. შეტევის საპასუხოთ სვანებმა აქტიური მოქმედება დაიწყეს, რომელთაც გამოეხმაურენ ლეჩხუმის და რაჭის მცხოვრებლები. ამის შედეგად აჯანყებულებმა დაიკავეს ცაგერი და მისი მიდამოები და აგრეთვე რაჭისკენ ონის მიმართულებით სტრატეგიული პუნკტები. პანიკით მოცული წითელი არმიელები იხევდენ ქუთაისისაკენ.

ამავე დროს სვანებმა დაამარცხეს სამეგრელოს მხრიდან მომქმედი წითელი არმიელები. ამ ამბავმა პანიკა და არევ-დარევა შეიტანა ოკუპანტებში. ტფილისიდან სასწრაფოდ გაიგზავნა კურსანტები სამარშრუტო მატარებლებით. წითელ არმიამ მიიღო აგრეთვე სათადარიგო ზომები სხვა მაზრების გასამაგრებლად და ერთი ბრიგადა გაიგზავნა ოზურგეთში, სადაც ხალხი ეგზეკუციებს წინააღმდეგობას უწევს. ქუთაისის მიმართულებით წითელი ჯარების უფროსათ დაინიშნა პოლიტიკური კომისარი ლარიჩკინი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან ოპერაციებს ხელმძღვანელობს ჩრდილ. კავკასიის არმიის უფროსი.

17 მარტს ლარიჩკინი შემდეგს იტყობინება:

„ტფილისი. არმიის შტაბის უფროსს. - გადაცემულია ლეჩხუმში პოლკის, ოზურგეთში ბატარეის გაგზავნის შესახებ. ღამბაროვი იტყობინება ჩვენი ძალების გადაჯგუფებაზე. ლეჩხუმში გაგზავნილი ნაწილები ჯერ არ მოსულან. მოვიდა კომუნისტური რაზმი ოსეთის ბრიგადიდან. ლარიჩკინი“.

20 მარტს 10 საათზე 20 წ. ჩრდილოეთ კავკასიიდან იტყობინებიან: „ტფილისი. ოკას ბრძანების თანახმად კირიჩალის გასავლელი V. შემჩნეულია ყაზახების ცდა სვანეთში გადასასვლელად. სვანეთიდან გამოქცეულის სი-

საქართველოს ეროვნული არქივი

ტყვით, იქ შიმშილია. ის გვიჩვენებს ტუნახტეს გასავლელს, საიდანაც სვანები მიეზიდებიან თოფებს და პატრონებს. დღეს დილით ჰაეროპლანი დაბრუნდა რაზვედკიდან, რომელმაც დაათვალიერა სვანეთის მთები და კადალაურთან შეამჩნია აჯანყებულთა სადარაჯოები. მფრინავი აღნიშნავს აჯანყებულთა ძლიერი ძალების შეჯგუფებას. ჰაეროპლანი ესროდა აჯანყებულთ ტყვიის მფრქვეველებისგან. გთხოვთ თქვენი მხრით ინფორმაციას. ჩრდ.-კავკ. არმიის შტაბის უფროსი პაული.

23 მარტს ლარიჩკინი ატყობინებს „ოკას“:

შტაბს: „გაგზავნილმა ქვეითმა მზვერავებმა სოფ. ოხორკოლუზე, ჯვარზე, მუხურზე და ქვედრეთზე შეამჩნია, რომ აჯანყებული სვანები ყველა მიმართულებით უკან იხევენ და წინააღმდეგობას გვიწევენ, განსაკუთრებით ონის მიმართულებით. მუხურში, ცაგერში აჯანყებულებს მოუხდენიათ ფქვილის და მარილის რეკვიზიცია. ცაგერის მიმართულებით მეორე პოლკის როტას აჯანყებულები კლდეებიდან ესროდენ. ზარალი უმნიშვნელოა. მოსულ ბათალიონს მეცამეტე ქვეითა კურსებისა და მესამე პოლკს მიეცათ ამოცანები. ხვალ დაიწყებენ საერთო შეტევას“. ლარიჩკინი.

ყველა ეს ამბები თფილისში და სხვა ქალაქებში საიდუმლოებითაა მოცული, კომუნისტური გაზეთები ამაზე არ სწერენ, ხოლო მთელ რესპუბლიკაში რეპრესიები გააძლიერეს და მთელი ძალები ფეხზე დააყენეს. 21 მარტს მაზრების კომუნისტურ კომიტეტებს შემდეგი ცირკულიარული საიდუმლო დეპეშა გაუგზავნეს: Приговоре милицию „Ч.О.Н.“ „З.Н.Т.“, выписка...

აჯანყების ჩასაქრობათ თბილისიდან გაყვანილი ძალების ნაცვლად ჩრდილოეთ კავკასიიდან მოდიან ახალი ეშელონები.

დამპყრობელები შეშფოთებული არიან, მით უმეტეს, რომ მათ ცნობები მოსდით დაღესტანში აჯანყებების შესახებ.

რუსეთის წითელი არმიის ნაწილები როგორც ყუბანის ისე ქუთაისის მხრიდან უკვე ერთი თვეა ზარბაზნებით ანგრევენ ლეჩხუმს და აჯანყებულ სვანეთის დამორჩილებას ლამობენ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 42-44.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს საინფორმაციო ბიურო
ბიულეტენი N7 (ნაწყვეტები)
კონსტანტინოპოლი
25 მარტი 1922 წ.

საკუთარი კორესპოდენტისგან

მე ვიცი თქვენ გაინტერესებთ უკანასკნელი ამბები. ამიტომ რაც შემიძლია შევეცდები გადმოგცეთ, გაცნობოთ. ჩვენში დიდი ამბები იყო. 11 თებერვლიდან დაწყებული დღემდის გრძელდება არაჩვეულებრივი და იშვიათი ამბების მსვლელობა. 11 თებერვალს დაწყებული სამგლოვიარო მანიფესტაციები, გაფიცვები, სასწავლებლების გაჩერება 23 თებერვლამდის გაგრძელდა საქართველოში. მთელი საქართველო შეფორიაქდა. უნდა მართალი გითხრა ასეთი დრო ძლიერ ნაკლები ყოფილა ჩვენს ისტორიაში, რასაკვირველია თავისებურობით. არ დარჩენილა არც ერთი ჩამორჩენილი, მივარდნილი კუთხე, რომ ისტორიულ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა არ მიეღოს, შავი და ეროვნული დროშები არ აღემართოს. სამაგიეროთ არ დარჩენილა არც ერთი მივარდნილი კუთხე, სადაც რუსის ჯარის, ჩეკას რაზმები არ მისულიყოს. იყო იშვიათი ამბები. გლოვამ გააერთიანა როგორც მცირე წლოვანი მოწაფე და მოხუცი, ისე ყველა განურჩევლათ მიმართულებისა.

აი როგორ აგვიწერენ შორეული მთების ამბებს: „11 თებერვალს, დილით მაღაროსკარში (ფშავეთის თემი) ერწოში, ნაქალაქარში, საყდრიონში, ნადოკარში (თიანეთის მაზრაშია) მთელ თიანეთის, ახმეტის რაიონში ყველგან შავი დროშები აღიმართა. შეწყდა სწავლა, შეჩერდა გლეხების მუშაობა, იწყეს ბუნა-ბუნათ ყრილობები. ბევრ ადგილას რევკომები გაიქცნენ. ბევრ ადგილებში ჯარების ნაწილები თავს დაესხნენ ხალხს. მაგალითად საყდრიონში მთელი დღე გაგრძელდა სროლა, რბევა. ბოჭორმის ხეობაში (ხევსურებში) კი სამი დღე მოქმედებდა ჩეკას რაზმები.“ ყველგან მთელ აღმოსავლეთ საქართველოში იყო ასეთი ამბები.

სიღნაღშიც განსაკუთრებით დიდი ამბები იყო. მთელი სამაზრო რევკომი თავის ამალით მიიმალა ისე შეშინდა პირველათ. გურიაში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ოზურგეთში, სადაც სამი რუსის ბათალიონი იღებდა მონაწილეობას მშვიდობიან მანიფესტაციის წინააღმდეგ. აი როგორ აგვიწერენ ოზურგეთის ამბებს: ,,დილა ცუდი იყო. წვიმიანი თოვლი მოდიოდა. ქუჩები დილიდანვე პატრულებმა დაიჭირეს. ბაზარი დაიკეტა. 9 საათიდან დაიწყო ყველა სასწავლებლების შეჩერება. სამ ადგილას მოსწავლეებმა, მოქალაქეებმა იწყეს თავის შეყრა და გაეშურენ ძმათა სასაფლაოსაკენ, სადაც მარხია სახალხო გვარდიელები. გაეშურენ შავი და ნაციონალური დროშებით. სასაფლაოზე მისვლა იყო სწრაფი. 12 საათზე მთელი ქალაქი რუსის ჯარმა დაიჭირა. 1 საათზე დაიწყო სროლა. მანიფესტანტებს ჯარმა ვერ წაართვა დროშები. 3 საათზე დაიწყო ნამდვილი დარბევა. ჯარი ძარცვავდა ყველაფერს. დაშავებული და

საქართველოს ეროვნული არქივი

დასახიჩრებულია მრავალი მოქალაქე და მოსწავლე. 6 საათიდან დაიწყო მასიური დაჭერა. დაჭერილებს უმოწყალოთ ძარცვავდნენ ჯარის კაცები, ყველაფერს ართმევდნენ. ნაცემია საშინლათ ქალებიც. ამ ამბების გამო შეჩერებულია სასწავლებლები. რევკომის წევრები დოლიძენი, მკურნალები და სხ. რუსის ჯართან ერთად მხეცებივით იქცეოდნენ. ნაცემია რევკომისა და ჩეკის აგენტები და სხ.“

ლანჩხუთის ამბები იცით. დამატებით გაცნობებთ, რომ არეულობის დროს მოკლული აღმოჩნდა ჯავშნიანი მატარებლის უფროსიც. აგრეთვე ყაზარმაში დამწყვდეულ მოსწავლეებსა და მოქალაქეთ მთელი ორი საათი ესროდნენ ჰაერში, რათა გაეცათ მეთაურები, მაგრამ ვერავინ გამოსტეხეს.

ამგვარათ თფილისის ირგვლივ გაერთიანდა მთელი საქართველო, მთელი ერი. დააფიქრათ ამან ისინი. მეთორმეტე დღეა, რაც მუშაობს საოკუპაციო ძალები ე. ი. 10 თებერვლიდან დღემდის. არის დიდი რეპრესიები. სასეიროა, დაუჯერებელია მაგრამ ფაქტი, სინამდვილე მაინც ასეთია: მთელი ხალხი ციხეებში, ყაზარმებშია, ასე წარმოიდგინეთ ახალ შემოღებულ სატუსაღოებში, ფურნეებშია დამწყვდეული. მაგალითად ზუგდიდში დღემდის დატუსაღებულთა რიცხვმა 1200-მდე მიაღწია, ქუთაისში 800-ზე გადაიარა. გურიაში 1700 მეტია. ფოთიდან გვატყობინებენ მოკლეთ - ფოთი ციხეშია. ბათუმის მოგეხსენებათ. გორში, თიანეთში, დუშეთში, მთელ კახეთში გრძელდება დაჭერა. იჭერენ სრულიათ გამოურკვევლათ და ყველას განურჩევლათ მიმართულებისა. თფილისშიაც გრძელდება დევნა, ძებნა და დაჭერა. სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილია მთელს რესპუბლიკაში. ბევრ ადგილას წარმოებაც შეწყვეტილია. ხელისუფალთა სფეროებში დიდი შიშიანობა სუფევს. არის წმინდა სამხედრო მზადება. დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობენ.

მომხდარ ამბების გამო თფილისში 20 თებერვალს გაიმართა ეგრეთ წოდებულ ვითომდა „თფილ. წითელ არმიელთა და მუშათა საბჭოს“ სასწრაფო სხდომა. სხდომა იყო დახურული. გაიმართა სახალხო სახლში. წინდაწინ სახალხო სახლის ქუჩები ჯარმა დაიჭირა. ირგვლივ ყველაფერი შეკრეს. სხდომის ანგარიშები არ გამოუქვეყნებიათ. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით დადგენილებები: 1. მთელი ძალების მობილიზაცია. 2. ეთხოვოს რუსეთს მუშათა საბჭოს სახელით დატოვებულ და გაძლიერებულ იქმნას რუსის ჯარი საქართველოში კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველათ და სხ. ეს ერთი. მეორეთ გაცნობებთ, რომ ეგრეთ წოდებული ნატურალური გადასახადის ირგვლივ მდგომარეობის გართულება გრძელდება. გადასახადებს აღარავინ იხდის. თანახმად ბრძანებისა, 15 დეკემბრამდე უნდა აკრეფილიყო ერთი წლის სამყოფი, მაგრამ აკრეფა ჯერაც არაა დაწყებული. გლეხები ყოველგან აქტიურათ წინააღმდეგია. ამის გამო 20 თებერვალს გაიცა სასტიკი ბრძანება ნატურალური გადასახადის დაუყოვნებლივ აღების შესახებ. წინააღმდეგ ურჩებს საშინელი სასჯელით ემუქრებიან. მესამეთ, მოხდა უჩვეულო, წარმოუდგენელი, ჯერ არსად გაგონილი ამბავი. ს. ჯიბლაძე 23 თებერვალს უნდა დაესაფლავებიათ. 21 თებერვალს კი მის ბინას თავს დაესხა ჩეკას რაზმები. ქუჩებში შეგროვილი დიდძალი ხალხი (ყოველ საღამოობით მის ბინასთან თავს იყრიდნენ) გარეკეს. ქუჩები დაიკავეს რაზმებმა. ცხედარი კუბოში ჩაასვენეს, დროგით წაიღეს

საქართველოს ეროვნული არქივი

სასაფლაოზე და დამარხეს რუსების ეკლესიაში, სასაფლაოზე რაზმი დააყენეს. დარაჯები დღესაც დგანან. აი მოკლეთ. იყავით კარგათ. თქვენი მ.

24 თებერვალი 1922.

ნაწილი მეორე

თქვენ იცით 11 თებერვლიდან რა ამბები დატრიალდა საქართველოში. ეხლა გაცნობებთ, თუ რა ამბები მოხდა თფილისში 24, 25, 26 თებერვალს.

24 თებერვლიდან დაიწყო თფილისში ყოველი მხრიდან ჯარების და კომუნისტური რაზმების შემოსვლა. თფილისი ლაგერს დაემსგავსა. ქუჩები, მთავარი შენობები რაზმებმა დაიჭირეს. ქალაქში დიდი შიშიანობა იყო წინეთ და ეხლა თანდათან გაძლიერდა. 11 თებერვლიდან დაწყებული რეპრესიები სულ უფრო და უფრო გააძლიერეს.

23 თებერვალს ღამით სამხედრო შტაბიდან გაიცა ფრიად დამაფიქრებელი ბრძანება, რომლის ძალით ყველაფერი ემორჩილებოდა სამხედრო ბრძანებას. კომუნისტებში ყოველგან ერთი აზრი ტრიალებდა: „25-ს ღამით უთუოდ დაიწყება აჯანყებაო“. ამავე დროს სრულიად საიდუმლოთ საქ. რევკომი ემზადებოდა ეგრეთ წოდებულ „საქართველოს საბჭოს“ გახსნისთვის.

24 თებერვალს დილით ყველა საბჭოთა მოსამსახურეთ და მუშებს ხელი მოაწერიეს, რომ 25-ს დილით გამოცხადდებოდნენ, ვინც არ გამოცხადდება ჩეკას გადაეცემაო. ამავე დღეს ქართულ ჯარების ნაწილებს ყოველგან თოფები და პატრონები ჩამოართვეს, ეს მოხდა სამხედრო კომისარიატის და „ოკას“ ბრძანებით. გამოაცხადეს, რომ ბაზარი უნდა დაიკეტოს, ყველა სახლებზე საბჭოთა დროშები და ხალიჩები უნდა გამოკიდოთო. ამაზე იყო სასტიკი ბრძანება. ნაშუადღევს გაიცა სწრაფი ბრძანება და თფილისის ყველა ხიდები, სამხედრო-სტრატეგიული ადგილები ჯარებმა დაიჭირეს. არტილერია გაემზადა, აეროპლანებიც აამუშავეს თფილისის თავზე. ასე გეგონებოდათ ომი იწყებაო. სასწავლებლები კი რასაკვირველია შეჩერებულია და ეს გრძელდება ეხლაც. ნაშუადღევის 4 საათზე ადგილობრივ და რუსეთიდან გადმოხვეწილ კომუნისტების შეიარაღებულ რაზმებმა და რუსის რეგულიარულმა ჯარებმა ყველა ქუჩები და რკინის გზები დაიჭირეს. დაღამებიდან ქალაქი სამხედრო ბანაკის სრულ სახეს იძლეოდა. მოქალაქეებიდან ქუჩებში არავინ ჩანდა. იყვნენ მხოლოდ ჯარები, კომუნისტები, ჩეკების რაზმები, არტილერია, კავალერია და თავზე ჰაეროპლანები. განსაკუთრებით შეკრეს მტკვრის ნაპირები და მუშათა უბნები ნადიროვკა, ნაძალადევი, დიდუბე, ვერა, ნავთლუღი. ქუჩებში იყო ჭერა, ჩხრეკა. ღამე მთელი რუსის ჯარი და კომუნისტები ფეხზე იდგენ. ქუჩებში დასრიალობდნენ ჯავშნიანი ავტომობილები. თფილისის რკინის გზაზე ჩამოაყენეს ყველა ჯავშნიანი მატარებლები.

25 თებერვალი გათენდა. მუშები დანიშნულ ადგილას არ მოვიდენ. ბაზარი გაიღო, არც ერთ სახლზე (გარდა სახელმწიფო დაწესებულებებისა და კომუნისტებისა) საბჭოს დროშები, ხალიჩები არაა, არც საქართველოს მოქალაქეები სჩანდნენ გარეთ. დასეირნობენ კომუნისტები და რუსის ჯარები. ქალაქში საშინელი შიშიანობაა, კომუნისტები და ჯარიც ძლიერ შემკრთალნი არიან. დაიწყეს „დღესასწაული“. ასე წარმოიდგინეთ რკინის გზის

საქართველოს ეროვნული არქივი

სამმართველოდან, სადაც 1700-მდე სრულიად ახლათ მიღებული მოსამსახურეა და მათ შორის 40 ქართველიც არ არის, მხოლოთ 80 კაცი გამოცხადდა. ასევე მოხდა ყოველგან, გარდა რუსეთის დაწესებულებათა. სამაგიეროთ გამოვიდა რუსის ჯარი და გამოიყვანეს 150 ქართველი ჯარისკაცი, უიარაღოთ, იარაღ-აყრილი.

ჯარები გააჩერეს რუსთაველის ქუჩებზე მწკრივებათ. როგორი იყო ცერემონია. 12 საათზე გამოიარა მწკრივების წინ რუსის შტაბმა ორჯონიკიძის მეთაურობით. მას უკან მისდევდა ფიპილე მახარაძე რევკომით და კომუნისტებით. მისალმების დროს რუსის ჯარის კაცებმა უპასუხებს თავის შტაბს, მხოლოდ მახარაძის შტაბს პასუხი არ გასცეს, რევკომის სალამის დროს, ასე წარმოიდგინეთ არც რუსის შტაბს უპასუხეს. ამან ძლიერ გაანცვიფრა ოკუპანტები, ეს მათთვის მოულოდნელი იყო.

პარადმა ჩაიარა ასე უხალისოდ, გაათავეს ჩქარა. ქართველები ქუჩებში არსად სჩანდნენ. ამ დღის „დღესასწაულმა" კიდევ უფრო გაადიდა შიში და რევკომიც და შტაბიც შეუდგნენ თადარიგს. კომუნისტებში გავრცელდა ხმა: ,,წუხელის არ დაიწყო აჯანყება, მაგრამ დღეს იწყებაო". ნაშუადღესვე ქუჩები ისევ ჯარებმა დაიჭირეს. ჰაეროპლანებმა იწყეს დაზვერვა. ეგრეთ წოდებული ,,საქ. საბჭოების" კრება გაიხსნა იმ დროს, როცა ყველა ქუჩები, ხიდები ჯარებმა გაამაგრეს. ქუჩები მთელი ღამე იყო შეკრული. 26 თებერვალს მთელი დღე და ღამე ჯარები ისევ იდგა ქუჩებში და უბნებში, ასევე იყო 27 თებერვალსაც. 20, 21, 22, 23, 24, 25, 26 და დღესაც გრძელდება მასიური დაჭერა. ამეღამ კიდევ მოელიან მასიურ ჩხრეკას ყველა უბნებში. აი ასე გაათენეს 25 თებერვალი. ასე გახსნეს „საქართველოს საბჭო". უნდა მართალი გითხრათ, ძალიანი შეშინებულია ბბ. კომუნისტები და რუსის ჯარი. გასაკვირალია რატომ ....

ამ ხნის განმავლობაში, სილიას სასაფლაოზე რუსების ეკლესიაში, დიდი რაზმი იდგა.

27 თებერვალი 1922 წ. თქვენი მ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 615, ფურცლები 115; 132-136.

საქართველოს ეროვნული არქივი

მადონერის (ნოე ხომერიკის) ინფორმაცია საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას სვანეთში მიმდინარე ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების შესახებ
1922 წლის 27 მარტი

უკანასკნელი ცნობები:

1. სვანეთთან ბრძოლა თანდათან ძლიერდება. დღემდე ტყვეთ ჩაიგდეს სვანებმა სამასამდე რუსი, 3 ზარბაზანი და სხვა და სხვა სამხედრო მასალები. რუსეთის სარდლობამ დაატყვევა ქართველი ავიატორი-ოფიცრები, რომლებმაც ვერ შეასრულეს გაფრენის ბრძანება და რომლებიც უკვე მოიყვანეს თბილისში და შესაძლებელია კიდეც დახვრიტონ. იმ უმსგავსო გავრცელებულ ცნობის გამო ვითომც და ყაჩაღურია სვანეთის ამბავი - საკმარისია გადმოგცეთ თუ როგორი ცნობა მიიღო შტაბმა წუხელი თავისი სარდლისაგან: „მესამე დღეა შევაჩერე შეტევა, რადგანაც მეტათ ძნელია ამ პირობებში ომის წარმოება - თანაც რამოდენიმე ხანს ავდრების გამო. ჩვენ გვაცნობეს სვანეთის პარლამენტიორებმა, რომ მათი ბრძოლა ეროვნულ-პოლიტიკურია და გადაჭრით მოითხოვენ საქართველოდან ოკუპაციის მოხსნას. მოითხოვენ აგრეთვე ტყვეების გაცვლას და გვპირდებიან ერთ მათ ტყვეში სამი რუსის გამოგზავნას“. /აქ ნაგულისხმევია აგრეთვე წინანდელიც, მად./ გუშინ შინ ეგრეთ წოდებულმა საქართველოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ მოეთხოვოს მოსკოვს ვლადიკავკავიდან ჯარების გადმოგზავნა.

2. გურიის ჯარებს სერიოზულათ აძლიერებენ. იქ გაგზავნილია კურსანტები, არტილერია და კავალერია. ფიქრობენ ხალხის განიარაღებას. ასეთია მათი ზრახვა, მაგრამ ამაოთ. გურიაში ამ ბოლო დროს თანდათან იზრდება მღელვარება, მაგალითად არის ამ დილის ცნობა, რომ ხიდისთავის რევკომი განაიარაღესო.

3. საერთოდ სულიერი მდგომარეობა ძალიან აწეულია, მაგალითად, ნატურალურ გადასახადის კამპანია ჩაფლავდა. აქ მათი მოღვაწეობა სამწუხაროთ დამთავრდა ყველგან, ბეგრის ასაკრეფათ მისული ხალხი იფრინეს. ამავე დროს უნდა იცოდეთ ამ სამ დღეში ორჯერ მატარებელი გადააგდეს გზიდან და კარგათ გაძარცვეს. ასე რომ ამ მხრიდანაც ყველგან არევაა, ერთი მეორე ემატება.

4. ამას თან მისდევს ჩრდილო-კავკასიის ბოლო ხანების გაფართოებული არეულობანი და უკანასკნელი ნოვოროსიისკის აჯანყება. ასე რომ მონასტერში არაა წინანდელი ფაქიფიანობა და სულიერი ნეტარება, რაც ფრიად ანგარიშ გასაწევია.

5. წუხელის მივიღეთ ცნობა, რომ ზაქათალაში აჯანყებაა. იქ დაატყვევეს რუსის ჯარი და მას წაართვეს ზარბაზნები და სხვა რაც ქონდათ.

6. წუხელის შტაბს აცნობეს, რომ ერთი კვირაა, რაც როსტოვიდან ორჯონიკიძე ვეღარ წავიდა მოსკოვში მდგომარეობის გამწვავების გამოვო.

ამას ახლავს დეპეშები. ამიერიდან სისტემატიურათ მოგაწვდით ცნობებს.

ეხლა ნახვამდის.

თქვენი მადონერი
27 მარტი, დილა.

უნდა იცოდეთ, რომ ეს ცნობები რუსის ჯარის შტაბისაგანაა, ხოლო ამას, რა თქმა უნდა, გამჟღავნება არ უნდა.

სტამ. კომისია.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 50-51.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამ ქართულ პოლიტიკურ სუბიექტს შორის დადებული შეთანხმების მეორე მუხლი 1922 წლის 28 მარტი

პარიზი, 28 მარტი 1922 წ.

მთავრობის სხდომის ოქმი
თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია
სხდომის მდივანი - ი. ელიგულაშვილი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრი - ევ. გეგეჭკორი, შინაგან.. - ნ. რამიშვილი, ფინანსთა და ვაჭ. მრეწ. - კ. კანდელაკი, ამხ. - ი. ელიგულაშვილი, დამფუძ. კრების თავმჯდ. - ნ. ჩხეიძე, .. წევრი - ბ. ჩხიკვიშვილი.

მოისმინეს - მე II მუხლი პარტიათა შორის ხელშეკრულებისა: - „საქართველოს კანონიერ მთავრობად შეთანხმების მონაწილე პარტიები კვლავინდებურად უცხოეთში მყოფ ნ. ჟორდანიას მთავრობას სთვლიან, რომელიც, შეთანხმების ფრაქციათა წარმომადგენლებით შევსებული დამფ. კრების პრეზიდიუმთან ერთად, ხელმძღვანელობს პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს დემ. რესპუბლიკის აღსადგენად.“

დაადგინეს - „იქონია რა მსჯელობა პარტიათა შეთანხმების მეორე მუხლის შესახებ: - ამ მუხლის ასასრულებლად მოეწყოს რეგულიარული შეერთებული სხდომები მთავრობისა და დამფუძნებული კრების პრეზიდიუმისა, რომლის დადგენილების სისრულეში მოიყვანს მთავრობა მთავრობა და მისი ორგანო.“

მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია, სხდომის მდივანი - ი. ელიგულაშვილი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცელი 14.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა კავშირის საბჭოს მიმართვა
ევროპისა და ამერიკის სტუდენტობას
1922 წლის 30 მარტი

ევროპის და ამერიკის ახალგაზრდობას

მეგობრებო, უძველესი და კულტუროსანი ქართველი ერის ისტორიაში განსაკუთრებული სიმკვეთრით აღიბეჭდება ორი თარიღი: 26 მაისი და 26 იანვარი.

1918 წლის 26 მაისს დაიმსხვრა რუსეთის ერთი საუკუნის ეროვნული მონობის ხუნდები. ამ დღეს ქართველი ერის მტკიცე და თავისუფალმა ნებისყოფამ საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებას: 26 მაისი საქართველოს პარლამენტისაგან აღიარებულ იქმნა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამავე წლის 26 იანვარს საქართველოს დედა-ქალაქს ტფილისში დაარსდა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მთელი ქართველი ერი დიდი ხნის განმავლობაში გრძნობდა რუსეთის მონარქიის ბატონობით შენელებულ კულტურის აღორძინებისათვის - საკუთარი უნივერსიტეტის დაარსების საჭიროებას. მაგრამ, საქართველოს მრავალ თაობათა სანუკვარ იდეას ხორცი შეესხა მხოლოდ რუსეთის დესპოტიზმის დამსხვრევის შემდეგ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენამ კი უფრო მკვიდრ საფუძველზე დააყენა ქართველი ერის კულტურულ აღორძინების ერთი უძლიერესი ფაქტორთაგანი - სახელმწიფო უნივერსიტეტი. 26 მაისმა კიდევ უფრო განამტკიცა 26 იანვარი.

სამი წლის განმავლობაში ქართული უნივერსიტეტი, ხუთი ათასი სტუდენტით, ეწევა დამოუკიდებელ სამეცნიერო მუშაობას მშობლიურ ენაზე და სამშობლოს მტერნიც და ორგულნიც კი დაარწმუნა ქართული კულტურის ცხოველმყოფლობაში.

ქართული უნივერსიტეტი გადაიქცა ერის უკეთესი მომავლის იმედათ მან უნდა გახადოს უძველესი კულტურისა და მრავალ-საუკუნოვანი ისტორიის ერი დასავლეთის კულტურისა და მეცნიერების თანაზიარი. ის უნდა შეიქმნას ევროპისა და აზიის ერების კულტურული თანამშრომლობის შემაერთებელ ცენტრად.

ესოდენ დიდი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულება დღეს დაღუპვის კარამდეა მისული.

1921 წლის თებერვალში ხანგრძლივი და თავგანწირული ომების შემდეგ, რომელსაც ერმა შესწირა თავისი საუკეთესო ძალები დამოუკიდებელი საქართველო დაიკავა რუსეთის წითელმა ჯარებმა. მრავალრიცხოვან მტერს ვერ გაუმკლავდა სამშობლოს თავდადებული მცირერიცხოვანი ქართველი ხალხი. ის ფიზიკურათ დამარცხდა.

რუსეთის წითელმა ჯარებმა დაამყარა საოკუპაციო ხელისუფლება, რომელმაც სულ მოკლე დროში. მოუსპო თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ყოველგვარი ნიშანწყალი: დააქუცმაცა ეროვ-

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ნული ტერიტორია, მოსპო ყოველგვარი საზღვრები, განდევნა ქართული ენა უმრავლეს სახელმწიფო დაწესებულებიდან, მოსპო ქართული ლაშქარი, გახრწნა ქართული შკოლა, რკინის გზები შეუერთა რუსეთს და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში საოკუპაციო ჯარების თარეშმა გაანიავა ეროვნული ავლადიდება, არივ-დარია ეკონომიური ცხოვრება და ერი, კულტურულ და პოლიტიკურ აღორძინების გზაზე შემდგარი საშინელი შიმშილისა და ეკონომიურ დაქვეითებამდე მიიყვანა.

დღიდან საქართველოს ოკუპაციისა ბოლშევიკური ხელისუფლება სცდილობდა საზოგადოებრივი აზრის გაყალბებას და ისეთი ილუზიების შექმნას, თითქოს ქართველი ხალხი მას თანაუგრძნობს. მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი ცდისა და მთელი იძულებითი აპარატის ამოქმედებისა მან ეს ვერ შესძლო და როგორც ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ისე ქართველმა სტუდენტობამ - ახალგაზრდობამ არაერთხელ აშკარად და მკაფიოდ გამოხატა სრული მტრული განწყობილება მოძალადე უცხო ძალის მიმართ.

ერთი წელია მთელი ქართველი ერი, მისი მუშათა კლასი განაგრძობს დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენისთვის ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ.

ოკუპანტების ხელისუფლება ვერ ითმენს ვერავითარ უკმაყოფილებას და ერის მძლავრ და ერთსულოვან მოთხოვნილებებს უნახავი და დაუზოგველი რეპრესიების უპასუხებს. მთელი საქართველო ერთ ვეებერთელა საპყრობილეთ არის გადაქცეული. ტფილისისა და სხვა ქალაქების საპატიმროებშია მთელი ქართველი ინტელიგენცია, სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწეები, მუშათა კლასის უკეთესი წარმომადგენლები და მცირე-წლოვანი მოსწავლენი. საქართველოს მიწა-წყალზე შემოჭრილმა უცხო ძალამ მოიწადინა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება. იგი სცდილობს მოშალოს ერის კულტურის აღორძინების უმძლავრესი ფაქტორი - სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაიწყო სტუდენტების მასობრივი შევიწროება და ყველა მისი ორგანიზაციების დაშლა.

ერის თავგანწირულ ბრძოლაში აქტიურ და პირდაპირ მონაწილეობას იღებს მთელი ქართველი სტუდენტობა. ის დარწმუნებულია, რომ ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია მშვიდი სამეცნიერო მუშაობა და ეროვნული კულტურის განვითარება. არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მრავალჯერ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციებისა და კრებებისათვის მას თავს დაატყდა საოკუპაციო ხელისუფლების რისხვა. უნივერსიტეტში შეიჭრა რუსული ჩექმა და ფიზიკურად შეურაცხყო ქართველი სტუდენტი. სროლით ალყა-შემორტყმულ უნივერსიტეტის კედლებში თოფის კონდახებითა და ხელით სცემეს სტუდენტ ქალებსა და ვაჟებს. პროტესტისათვის ასობით დაატუსაღეს საუკეთესო სტუდენტები და სამეცნიერო სამუშაოს მოაცილეს უკეთესი მუშაკნი. ციხეების გარეთ დარჩენილი სტუდენტობის დიდი ნაწილი არალეგალურად სცხოვრობს და ისიც მოკლებულია აქტიურ საშვალებას განაგრძოს საყვარელი საქმე: მეცნიერულ-სააკადემიო მუშაობა. თვით უნივერსიტეტი კი გადაქცეულია „ჩეკას“ სათარეშო მოედნათ. ჩახშულია ყოველგვარი თავისუფლება: კრების, სიტყვის, კავშირის.

მიუხედავათ ასეთი მძიმე მდგომარეობისა ქართველი სტუდენტობა მთელ

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველ ერთან ერთად ქედმოუხრელად განაგრძობს ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ და მოითხოვს: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას.

დატუსაღებულებიც ციხეში უსაზიზღრეს რეჟიმს განიცდიან. თვეობით სხედან სისხლის-სამართლის დამნაშავეებთან და მოწამენი არიან სიკვდილ მისჯილ ტუსაღთა სიცოცხლისათვის უკანასკნელი გაბრძოლებისა. მათ თვალწინ ათეული ტუსაღი გაყავთ დასახვრეტათ. ამ ნიადაგზე ზოგნი სულიერათ დაავადმყოფდენ.

უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იმედითა და ღრმა რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დაახწევს თავს რუსეთის მონობას, აღადგენს თავის დამოუკიდებლობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ჩახშული სამეცნიერო მუშაობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში მთელი თქვენი თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იქნება და ყოველგვარი საშუალებებით ხელს შეუწყობთ ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს, რითაც დაჩქარდება ევროპა-აზიის კულტურული თანამშრომლობა.

4500 ქართველის სტუდენტის დავალებით
ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა კავშირის საბჭო: დ. ლომთაძე
გ. კიკნაძე /ხელრთვა/
ვ. ზაალიშვილის /ხელრთვა/
მიხ. ჭანიშვილი /ხელრთვა/
ვ. გულისაშვილი /ხელრთვა/

ქ. ტფილისი
1922 წ. მარტის 30.

ამხანაგებო! გეგზავნებათ სტუდენტობის მიმართვა სათანადო მსვლელობის მისაცემად. „თავ. საქ.“-ში ნუ დაბეჭდავთ ან თუ კი, - ხელმოუწერელათ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 686, ფურცლები 3-4.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას სვანეთში მიმდინარე აჯანყების შესახებ 1922 წლის 4 აპრილი

გენუა 4 აპრილი 1922

საქართველოს დელეგაციას
განცხადება

გენუის კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მარტო დიპლომატიური მუშაობით არ უნდა აღიწერებოდეს ჩვენი შრომა და მოღვაწეობა სამზღვარგარეთ.

მე დავალება მაქვს მოვაქციო თქვენი განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობას. იქ აჯანყებაა, წმინდად ეროვნული ხასიათისა; იგი დაიწყო პირველად სვანეთში, თანდათან ჰფართოვდება და იზრდება; აჯანყების სათავეში დგანან ქართველი ოფიცრები, ჯარი თანდათან გადადის მათ მხარეზე და ხალხი მხარს უჭერს. აჯანყება დაიწყო აგრეთვე კახეთში და ხევსურეთში. ჩემთან იყვნენ აჯანყებულებისაგან გამოგზავნილი პირები და როცა მე ვუთხარი რომ აჯანყება ნაადრევია, უნდა ჯერ მოვითმინოთ სანამ რაიმე დახმარებას მივიღებთ სამზღვარგარეთიდან-მეთქი, მე მიპასუხეს - ,,ჩვენ ლოდინი არ შეგვიძლიაო, არც შეჩერება უკვე დაწყებული ბრძოლისა, ამიტომ თუ მოგვეშველებით, ეხლა მოგვეშველენითო.“ ეს ამბავი მე უკვე გადავეცი საფრანგეთის და ინგლისის უმაღლეს კომისრებს სტამბოლში. ეხლა კი თქვენ გიცხადებთ: აჯანყება საქართველოში ისეთია, რომ ჩვენ უნდა დაუყოვნებლივ როგორმე მივეშველოთ, თუ სხვა რითიმე არ იქნება ფულით მაინც. თუ

ფული ექნებათ, აჯანყებულებს შეუძლიათ შეიძინონ პურიც და იარაღიც.

რაც გინდა მცირე იყოს დახმარება, ის განამხნევებს მებრძოლთ მამულიშვილებს, გააორკეცებს მათ ძალას და საქართველოსაც გადაარჩენს სრული განადგურებისაგან.

მეორე საკითხი, რომელიც მინდა გაცნობოთ ეს არის - დახმარება საქართველოს წითელი ჯვრისა. საქართ. წით. ჯვარი დარჩა იმავე ორგანიზაციად, რომელიც იმას ჰქონდა ბოლშევიკების გაბატონებამდე. საქართველოში სიმშილობა იწყება, ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის, საქართ. წით. ჯვარი ითხოვს დახმარებას, რომ მიეშველოს გაჭირვებულ ხალხს. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია გადაიდგას რაიმე ნაბიჯი საერთაშორისო საქველმოქმედო დაწესებულებათა წინაშე, რათა შესაძლებელი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს წით. ჯვარს. ეს მუშაობა შეიძლება მოხდეს ლეგალურად და შეწირულობა გაიგზავნოს პირდაპირ საქართ. წით. ჯვრის სახელზე ბათუმში.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 495, ფურცლები 34-35.

საქართველოს ეროვნული არქივი

სვანეთის მკვიდრის ილია ფალიანის მიმართვა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიის წევრებს ლადო დუმბაძესა და პეტრე აღნიაშვილს, რათა სვანეთის აჯანყების განმუხტვა უსისხლოდ მომხდარიყო
1922 წლის 7 აპრილი

საქართველოს სოც. საბჭოთა მთავრობის საგანგებო
კომისიას ზემო სვანეთის საქმეთა მოსაწესრიგებლათ

მოქ. ილია გიორგის ძე ფალიანისაგან

მოხსენება

ყველა შეგნებული და ოდნავ მაინც დაინტერესებული პირისათვის ახლანდელი სვანეთის მდგომარეობაზე ფრიად და ფრიად სასიამოვნოა, რომ დღეს იმ ჯარს, რომელიც მოსდგომია სვანეთს „კონტრ-რევოლიუციის“ ჩასაქრობათ, ხელმძღვანელობენ არა კერძო პირები, არა ისინი ვინც მხოლოთ კარიერა აინტერესებს და არა ხალხი, არა ისინი ვისაც პირადი წინწაწევისათვის შეუძლიათ ბუზისაგან ლომი შექმნან, არამედ, ნამდვილი მთავრობის წარმომადგენლები, არა გუშინდელი, მდგომარეობით სოციალისტურ ქურქში გახვეული პირები, არამედ დიდი ხნის ხალხისათვის ბრძოლაში ნაწრთობი ამხანაგები.

ამის ნებას მაძლევს მე არა მლიქვნელობა, არამედ პირადი ცნობა ორი ამხანაგისა ლადოსი და პეტრესი.

მე იმედი მაქვს, რომ სვანეთში მომხდარ ამბებს დაერქმევა თავისი ნამდვილი სახელი და არა „კონტრ-რევოლიუცია“, დაერქმევა მიტომ რომ ასეთის ადგილი სვანეთში არაა. არაა იმიტომ, რომ კონტრ-რევოლიუციონორობა ბურჟუაზიის, შეძლებული გლეხობის და არისტოკრატიის საქმეა და სვანეთში მხოლოთ თუ გნებავთ მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხთა შორის უუღარიბესი გლეხობაა. სვანეთში ყველა კუთხის გლეხებზე უფრო თავისუფლების მოყვარული გლეხობაა და განა წარმოსადგენია, რომ ეს გლეხობა ებრძოდეს თავისუფლებას? მე მგონია, არ დამჭირდება საბუთებით მტკიცება იმისი, რომ ეს ასეა, მიტომ თქვენ თვით კარგათ იცით, რომ ეს ასეა.

მაშასადამე ეს სოციალური მდგომარეობა სვანეთის მუშა მშრომელი მშიერი გლეხისა, უნდა ვიქონიოთ ქვაკუთხედათ მასთან „კონტრ-რევოლიუციის“ ძებნის დროს და ამ რიგათ მის სულსა და გულს, მის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში ჩვენ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს და მიდრეკილების მიზეზებს ჩვენ ვერ ვნახავთ.

მაშ რაშია საქმე? რამ გამოიწვია სვანის მშრომელი გლეხობის მიერ იარაღის ხელში აღება და წითელ ჯარის ტყვიით შეხვედრა? რამ გამოიწვია სვანეთიდან ერთი მცირე ჯგუფის ქვემო სვანეთში გადასვლა და იქ წითელი ჯარების ნაწილების განიარაღება და უნამუსო ხელის შეხება?

აი ის მთავარი და უბედური საკითხები, რომელთაც მისცეს მთავრობას საბუთი სვანეთის ამბებისათვის დაერქმია „კონტრ-რევოლიუცია“. აი ის უბედური საკითხები, რომელთა წყალობითაც დღეს წითელი ჯარი მოსდგომია კარზე

საქართველოს ეროვნული არქივი

დამშეულ სვანეთს და ეს პატარა კუთხე ართმევს მთავრობას ყურადღებისა და მოქმედების ნაწილს მაშვინ, როდესაც დიდმნიშვნელოვანი სარევოლიუციო საკითხებია სამუშაო და ამ დროს საჭიროა შინაგანი მწყობრი შრომა და სიმშვიდე მშრომელთა.

შეუდგეთ მიზეზთა პუნკტუალურათ გარჩევას და ჩვენ დავინახავთ, რომ მომხდარი ამბების ლიკვიდაცია არც ისე ძნელია, როგორც ის უთუოთ დაუსურათეს მთავრობას იმათ, ვისი მიზეზითაც მოხდა ყოველივე ეს. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ბრალმდებლები სვანეთისა „კონტრ-რევოლიუციაში“ /სვანეთის მმართველები/ სვანეთის საქმეების გამორკვევის შემდეგ თვით იქნებიან დასმულნი ბრალდებულთა სავარძლებში.

1) ჰკითხეთ სვანს თუ რა არის წითელი ჯარი?

2) რა მთავრობაა ან ვისი მთავრობაა საბჭოთა მთავრობა?

3) რა მოაქვს ამ მთავრობას ღარიბი გლეხობისათვის?

4) რათ მიემხრო მთელი რუსეთის და საქართველოს მშრომელი გლეხობა ამ მთავრობას და არა მენშევიკებს ან სხვა ვისმეს?

5) რამ გამოიწვია ის სიძვირე, რომელიც სვანს ასე აწუხებს, რადგან თვითონ ყიდულობს ყველაფერს, მარა გასაყიდელი არა აქვს არაფერი?

სვანი ვერც ერთ ამ კითხვებზე ვერ გიპასუხებთ, რადგან მისთვის ეს საკითხი ჯერაც ახალი ხილია, მისთვის არავის არაფერი არ აუხსნია. არ აუხსნიათ 1) იმიტომ რომ არ ეცალათ, ადგილობრივ ვისაც ევალებოდა ეს იმათ, უნდებოდენ კერძო ინტერესებით ამა თუ იმ პირთა დევნა ძარცვას, სახელმწიფო ქონების ურთიერთ შორის განაწილებას ქუთაისსა და თბილის შუა გამუდმებულ სიარულს ახალ ახალი სიმდიდრის მისაღებათ ხალხის სახელით საკუთარი ჯიბისათვის.

2) იმიტომაც, რომ ახსნას და მმართვას ცოდნა და გამოცდილება უნდა, ხალხის ფსიხალოგიის ალღოს აღება უნდა, მის ზნეჩვეულებას და ადათებს ხშირათ ანგარიშის გაწევა უნდა და არც ერთი ეს სვანეთის რევკომსა და პარტკომში არ მოინახა.

მმართველობამ მიიღო კუთხური სახე, შემადგენლობა მმართველობისა თავიდანვე იყო ცუდი რეპუტაციის პირებისაგან. უწინარეს ყოვლისა ამ პირებმა დაიწყეს ბრძოლა მათ წინანდელ პირად მტრებთან, ხალხს არაფერი აუხსნეს, არასფერი გააგებიეს, სამსახურში შეიყვანეს ყველა ისინი, ვინაც ხალხს სძულდა წინა მთავრობების ხელში და აი ამან დაუკარგა ნდობა ხალხში მმართველებს და შეამცირა პრესტიჟი მთავრობისა.

განვიხილოთ ყველა ეს პირები ცალკ-ცალკე და მათი მოქმედება.

1) რევკომის თავმჯდომარე სილიბისტრო ნავერიანი. ეს პირი ერთი დადებითი მხარის მქონეა, ეს არის ის, რომ მექრთამე არაა. დანარჩენი: ხასიათით უხეში მუშტ-კრივით განთქმული, ამპარტავანი, მართალია სტუდენტია, მარა სრულიათ განუვითარებელი, ხეირიანათ არც სვანურის, არც ქართულის და არც რუსულის მცოდნე. ხალხში ცრუმორწმუნეობის გამავრცელებელი წინათ, პირადი მტრების მრავლათ მქონე სვანეთში, თუ მკვლელობით, თუ გალახვით, თუ მოტყუილებით შეურაცხყოფილთაგან სრულიად უცოდინარი არამც თუ მარქსიზმის, თვით უბრალო ზერელე მოკლე კომუნისტური პროგრამისა, სინამდვილეში არა კომუნისტი.

2) მისი თანაშემწე, მისივე ძმა გიორგი ნავერიანი, მოწაფე, ჯერ სრულიათ ცხოვრებაში გამოუსვლელი ახალგაზრდა.

საქართველოს ეროვნული არქივი

3) მწერალი მდივანი და ყველა ეს რასაკვირველია მათი ოჯახობები და ნათესავები.

4) გრიგოლ გუჯეჯიანი, უსწავლელი კაცი, მკვლელობის ჩამდენი. სვანეთში მოსისხლე მტრების შიშით მულახის საზღვრებს ვერ სცილდება, მისი თანაშემწეა მისი ცოლი.

5) აბესალომ იოსელიანი /მილიციის უფროსი/, ყოფილი სტრაჟნიკი, სრულიათ უსწავლელი, აზნაური, ბოროტმოქმედთა ხელის დამფარებელი, ამპარტავანი, სინამდვილეში მონარქისტი.

6) მისი თანაშემწე ალი მარგიანი, სრულიათ გამოუდექარი პირი, ცრუ, მლიქვნელი, არავითარი გავლენის არა მქონე, თვით მისი მილიციონერების ცემა-ტყეპის საგანი, აბუჩათ ასაგდები მათგანვე.

7) განათლების გამგე ეფთი იოსელიანი, მოწაფე, სრულიათ გამოუცდელი საშკოლოთ გამოსულ სიმდიდრის გამფლანგველი სხვა საქმეებში.

8) უფროსი მილიციონერი ესტატე შარვაშიძე, ცნობილი ყაჩაღი, მკვლელი ორი სამი კაცისა კერძო ინტერესებით. ამ პირმა იარაღი არ ჩააბარა რევკომს, ამის შემდეგ აუტეხა სროლა თვით რევკომის შენობას, როცა მთელი მოსამსახურეები შიდ იყვნენ, არ ორმოცდა ათამდე ტყვია მიაყარა, ჩაულეწა კარ ფანჯარა. ამის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს ურიგდებიან მას, უტოვებენ იარაღს, შემდეგ ღებულობენ სამსახურში და ამ დიდ ბოროტ მოქმედს აყენებენ მილიციონერების სათავეში. ქთამათ ღებულობენ ხარს.

ყველა ჩამოთვლილი პირები მულახლები, ერთმანეთის ნათესავები. სხვა საზოგადოებებიდან მიწვეული მილიციონერები, განსაკუთრებით ქურდები, ყაჩაღები, მძარცველები, ისეთი პირები, რომლებიც სისხლს სწოვდენ ხალხს წინანდელი მთავრობების ხელში თუ ყაჩაღობით.

აი, მოკლე ერთი მეათასედი იმ სურათის, რომელიც სუფევდა ადგილობრივ მთავრობაში.

გადავიდეთ ახლა იმ მიზეზზე, რომლითაც დაიწყო წითელი ჯარის სვანეთის ორი საზოგადოების შორის შეტაკება.

სოფ. ფარში მცხოვრები კაბუ ჯაჭვლიანმა /მილიციონერი იყო, ცნობილი ქურდია/, ჩუბეხევიდან სილიბისტრო ნავერიანის მეთაურობით განსაიარაღებლათ წასულ კომანდაში, ჩარეულმა თოფით დასჭრა მეორე მილიციონერი, ცნობილივე ყაჩაღი ყანსავ ჯაფარაიძე. კაბუ ჯაჭვლიანს ხმა ვერ გასცეს და ხელი არ ახლეს. როცა ამოვიდენ ფარში ჯაჭვლიანის ოჯახიდან, გამოიყვანეს მის მაგივრათ ხარები. უსამართლობა ეწყინათ ოთხ ხუთ კაცს, რომელთაც განუცხადეს: თუ თქვენ ბოროტ-მოქმედებს ხელს არ ახებთ, მართალ პირებს იარაღს ართმევთ, კაცის მაგივრათ ხარებს კლავთო, ეს უკანონობა არისო, და ასეთ პირს ჩვენ იარაღს არ მივსცემთო. ამით გულმოსულმა ნავერიანმა ხუთი პირის პასუხის მიცემის ნაცვლათ მთელ საზოგადოების სხოდს მისცა ასეთი პასუხი: „მაცალეთ ცოტა! მე სილიბისტრო არ ვიქნები, თუ თქვენ ჯარი არ შამოგისიოთ და ქვა ქვაზე დავტოვო ფარის საზოგადოებაშითო“. გამგუნებულ პატარძალივით მოახტა ცხენს, აღარც ხალხს მოუსმინა, არც არავის და ამოვიდა ეცერის საზოგადოებაში. ფარიდან გამოეკიდენ საზოგადოებისაგან არჩეული პირები, მოეწიენ ეცერში და სთხოვეს, რომ „ხუთი კაცისათვის მთელი საზოგადოება ნუ ჩაითვლება წინააღმდეგათ. ხალხი იარაღს გაბარებთ და გთხოვთ დაბრუნდეთ ფარში და ჩაიბაროთ იარაღიო“. პასუხი მისცა ასეთი: „სანამ

საქართველოს ეროვნული არქივი

ფარში ჯარს არ შამოვიყვან და მხოლოთ წითელი მიწა არ დარჩება გადამწვარი სახლებიდან, მანამდი მე ფარს არც ვნახავ და არც ვიცნობო“.

ამ დროს ეცერში იარაღი შეგროვილი ეწყო სკოლის შენობაში, ეცერის რევკომმა სთხოვა ჩაებარებია იარაღი. პასუხი ასეთი მისცა: „ეცერის რევკომი შამომეხვეწოს ძალიან და თავისი ზურგით ამომიტანოს იარაღი მულახში, თორემ თქვენც ფარის ბედს ეწევითო“.

დიდძალი იარაღის გადაზიდვა ეცერის რევკომმა ვერ იკისრა თავის ხარჯით და ამით განრისხებული სილიბისტრო ნავერიანი ეცერის საზოგადოებასაც ჰპირდება განადგურებას და დემონსტრატიულათ სტოვებს საზოგადოებას, იმავე შეპირებებით, რაც აღუთქვა ფარს.

აი ის დიდი აგიტაციის ღვაწლი, ის დიდი პოლიტიკური მუშაობა, ის დიდი შეგნების შეტანა ხალხში, რომელიც პირველი და უკანასკნელი იყო ამ ხალხში.

ამის შემდეგ გადის ერთი თვე, ხალხი არ ხედავს არავის მის გზაზე დამყენებელს და უცფათ ჯარი ჩნდება ამ საზოგადოებებში მომავალი. იქონიეთ მხედველობაში, რომ წელს არც ერთ ოჯახს აღდგომამდი საყოფი საკვები არ მოსვლია, ხალხი დამშეულია. ამ მდგომარეობით ისარგებლა ვინღაც პროვოკატორმა და უთუოთ იმან მოსწერა ამ საზოგადოებებს წერილი ჯარის სახელით შემდეგის შინაარსისა: „დაუყონებლივ შამოგვაგებეთ იარაღი და თქვენ ქალებს გახადეთ ქვედა საცვლები მზათ დაგვახვედრეთო“. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ვინმე ბოროტი პროვოკატორის ხელის საქმეა, მარა მიიღეთ მხედველობაში მთიულის შეუგნებლობა, მისი ტრადიცია, დამუქრების შესრულების თვალწინ დგომა, ისიც სილიბისტრო ნავერიანის მეთაურობით მომავალი ჯარი და თქვენს თვალწინ გადაიშლება სურათი არა „კონტრ-რევოლიუციის“, არამედ მთიულის სისხლით და ოფლით შექმნილ ღარიბ ქოხთა დაცვის, მისი ტრადიციის, მისი სულისა და გულის ძვალსა და რბილში გამჯდარ ოჯახის თავმოყვარეობის დაცვის აუცილებლობა.

აქაც უნდა ითქვას ისიც, რომ სილიბისტროს თბილისში მთავრობამ არ მისცა ჯარი და მეგრელიაში მოაგროვა თავისი ნებითო, თორემ მთავრობა რავა მისცემდა ჯარსო. ამ რიგათ ეს ჯარი სვანების თვალში იყო სილიბისტროს ჯარი და არა მთავრობის, ეს ჯარი იყო მეგრელების და სილიბისტროს ნაშოვნი ჯარი სვანების შეგნებით.

ამხ. ჯიქია მოკლეს ორმა ეცერელმა, რომელთაც ცხენის წართმევის მიზნით ჯიქიამ და მისმა ამხანაგებმა აუტეხეს სროლა. უპასუხეს სვანებმა და ამხ. ჯიქია აღმოჩნდა მოკლული. მკვლელები შეიპყრო ისევ სვანებმა და გადასცეს სოხუმში. ჯიქიას სიკვდილით ისარგებლეს მისმა ამხანაგებმა, გაფლანგეს სახელმწიფო ქონება და მიაწერეს სვანებს 500 ფუთი ხორცი, რომ ეს სიყალბეა ამაში დარწმუნდება საგამომძიებლო კომისია.

მომხდარ ამბებს გაუგებრობას და მრავალ სხვა საპატიო მიზეზებს მოჰყვა უბედურება და ძმამ დაღვარა ძმის სისხლი.

თუ მართლა სვანმა დაღვარა სისხლი მისი თანამოძმის მუშებისა და გლეხების წითელ არმიელთა სისხლი, იმ შეგნებით, რომ ის ებრძვის მუშებისა და გლეხების მთავრობას და მის ჯარს, ის განადგურების ღირსია, მარა თუ ეს ჩაადენინა შეუგნებლათ სხვამ, მაშვინ როგორც ამ საბრალო ხალხის, აგრეთვე მისი ინტერესების გამომხატველი მთავრობის რისხვა უნდა დაატყდეს თავს მათ, ვისი მიზეზითაც მოხდა ყოველივე ეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

რაღაი რომ ეს უბედურება მოუხდათ და ერთხელვე შევიდნენ შეცდომაში, სვანს ვერ შეაგნებიებთ იარაღით იმას, რომ მთავრობა შურის საძიებლათ არ მოდის ჯარით სვანეთში. ის ღრმათ დარწმუნებულია იმაში, რომ ჯარი იმიტომ მოდის სვანეთში, რომ მას გაანადგურებს და გასწყვეტს, რადგან მთავრობის ჯარის სისხლი დააღვრევინეს მათ. ეს წარმოდგენა მასში ღრმათ ფესვებ გადგმულია, რადგან სვანის უზენაესი წმინდათა წმინდაა სისხლის აღება, ეს ნაშთი ძველი ბარბაროსობისა, რომლის ამოსაფხვრელათ საჭიროა შეგნების შეტანა და სისტემატიური კულტურული მუშაობა ამ ხალხში.

მართლაც ზემოდან მოადგა ისევ ჯარი, ამ დროისთვის სვანეთი გაერთიანა ყველა მამაკაცი მოლაშქრეთ შევიდა და სვანეთში ერთი უბედური სიტყვა გაისმოდა: „გაგვწყვეტენ და თავი მაინც ვისისხლოთო“. დიდი შრომა და ახსნა დაგვჭირდა ხალხში იმისა, რომ მთავრობა შურს არ იძიებს, ოღონდ ჩვენ ვიყოთ აწი მაინც ჭკუით, გაუგზავნოთ დელეგატები და შეგვირიგებს მთავრობათქო. მართლაც გაიგზავნა დელეგატები, მთავრობამ როგორც მოსალოდნელი იყო, ლმობიერათ მიიღო სვანთა მოციქულები, დანიშნა სვანეთში წამომავალი კომისია. ეს გამოეცხადა ხალხს და ხალხიც აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მარა საუბედუროთ კომისიის ნაცვლათ ისევ ჯარი გამოჩნდა ქვემო სვანეთში, იქ მომხდარა რეპრესიები, გაუსამართლებლათ პირთა დახვრეტა საშინელ პირობებში.

ამით ისარგებლეს უთუოთ ორმა სამმა პირმა, რომელნიც არავითარ შემთხვევაში ხსნას და პატიებას არ მოელოდენ და ერთი ნაწილი უმნიშვნელო ნაწილი სვანეთისა შეცდომაში შეიყვანეს და თავს დაესხნენ ქვემო სვანეთს.

დიდ ნაწილს სვანეთისას, სადაც კი მოვასწარი მოწოდებებით თუ პირად წასვლით ახსნა, რომ ეს ჯარი არაა სვანეთში მომავალი, რომ მთავრობა ჩვენ არ გვეომება, რომ ჩვენი გადასვლით ჩვენ ვღუპავთ ჩვენსავე თავს, მადლობელი დარჩა და სიამოვნებით ხვდებოდა ამ ჩემს განცხადებას და პროტესტს აცხადებდა გადასულთა მიმართ. ამ რიგათ მესტიის, ლენჯერის, ლუბლის, ბეცოს, ეცერის, ცხუმარის, ფარის, ჩუბეხევის და ლახამულის საზოგადოებებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და პირიქით საშინლათ აღელვებული იყვნენ გადამსვლელებზე.

ახლა შეიქნა ასეთი მდგომარეობა, რომ კვლავ თქვენის მეთაურობით მოადგა სვანეთს ჯარი. სვანები ამბობენ: „ახლა კი აღარ გვაპატიებენ არაფერსო“. აი ეს ინსტიქტია თავის დაცვის სვანში გამჯდარი დღეს. ჯერ იარაღს ჩამოგვართმევენ და მერე გაგვწყვეტენო და ბარეღამ თავი ვისისხლოთო. ამ რიგათ სვანის დღეს იარაღით ხელში დგომა არაფერი შეგნებული ადამიანის თვალში არ უნდა იყოს „კონტრ-რევოლიუცია“. ეს არის მხოლოთ შურისძიების შიში, ეს არის თავის დაცვის შეუგნებელი ინსტიქტი მის ზნე ჩვეულებაზე დამყარებული და მეტი არაფერი.

ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ როგორც თქვენ მთავრობის კომისია, აგრეთვე თვით მთავრობა დაინტერესებულია მოხდეს ლიკვიდაცია ამ შეუგ-ნებლობით გამოწვეულ უბედურებისა.

მე მგონია მთავრობისათვისაც სასურველია, რომ ეს მოხდეს სისხლის დაუღვრელათ და რაც შეიძლება უფრო ადრე.

ამისათვის ნებას ვაძლევ ჩემ თავს, გთხოვოთ, როგორც ადგილობრივი

საქართველოს ეროვნული არქივი

ხალხის სულის კვეთების ახლო მცოდნე პირი, რომ იქონიოთ ოდნავ მაინც მხედველობაში ის გზები, რომლითაც უფრო ადვილათ და უფრო მალე მივაღწევთ თქვენ მიერ დასახულ მიზანს.

ჯარით შამოსვლას სვანეთში ხალხი ათასი რომ უმტკიცოთ, ისე შეხედავს, როგორც შურის საძიებლათ შამოსვლას, მას უეჭველათ მოჰყვება კვლავ დიდი უმანკო სისხლის ღვრა, ამას მოჰყვება სვანეთის სრულიათ განადგურება, იმ სვანეთის, რომლისაგანაც სულ მოკლე ხანში შეგვიძლია თავდადებული, ჩვენთვის მებრძოლი ხალხი შევქნათ. იმ ხალხის, რომელიც წარმოადგენს მხოლოთ ღატაკ მშრომელ გლეხებს. ამას მოჰყვება შიგნითაც ურთიერთ შორის დაუსრულებელი სისხლისღვრა. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისითაც უნდა მოგახსენოთ, რომ სრულიათ ზემო სვანეთის იარაღით მონათვლა ერთობ ძვირი დაჯდება და დიდი ხანიც დასჭირდება, მაშვინ, როდესაც სიცოცხლეს ვსდებ თავდებათ, რომ ორი სამი შეგნებული ამხანაგი მაიდან გამოგზავნილი ისეთები, როგორიცაა თეოფანე გორგასლიძე ან სხვა ვინმე მისი შეგნებით, მის ხნევანებაში მყოფი პირებით, იარაღსაც მოუყრით თავს და ყველა დასახულ მიზნებს მივაღწევთ უახლოეს დროში.

ხალხს უნდა ეს მთავრობა, ხალხი სტირის და ბრაზ მორეულია იმ მმართველებზე, რომელთაც მას ეს ჩაადენინეს, მარა მას ეშინია განუკითხავათ, ხალდეშის ისტორიის გამეორებისა, რომელიც მოხდა ჟანდარმების დროს 85 წლებში და თვალცრემლიანი ემზადება სასიკვდილოთ და თავის სასისხლებლათ.

ამხანაგებო! ნუ ვიზამთ ამ საბრალო ხალხის განადგურებას, ნუღარ დაიღვრება სისხლი უმანკო, ძმათა შორის, ნუ მოვიძულებთ ამ კლდეებში მომწყვდეულ მშიერს და უბედურს გლეხობას და ცეცხლისა და მახვილის ნაცვლათ მის ჭრილობებს მოვაცხოთ მალამო ლმობიერებისა, სიყვარულისა და სათნოებისა. გარწმუნებთ, რომ ამ ბედშავ ხალხში ყველაფრის გაკეთება შეიძლება, ოღონდ ვაჩვენოთ, რომ მუშურ გლეხური მთავრობა არაა გაჟღენთილი სვანივით სისხლის აღების ბოროტი ინსტიქტით.

ეს ჩემი ამოძახილი არის ხალხის ამოძახილი, ისმინეთ ხმა მუშებისა და გლეხებისა.

მე შეიძლება აღარ გახსოვდეთ, მარა მე კარგათ მახსოვხართ ორივე და მით მეტადრე ამხ. ლადო 905 დანვე.

მიიღეთ ჩემგან „მეამბოხისაგან“, როგორც მნათლავენ თურმე მანდ, გულითადი სალამი.

ილია ფალიანი

1922, 7 აპრილი
სოფ. მესტია

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 26-30.

საქართველოს ეროვნული არქივი

აკაკი ჩხენკელის შეხვედრა პუანკარესთან, სადაც ის ცდილობდა გენუის კონფერენციაზე საფრანგეთის მხარდაჭერა მოეპოვებინა 1922 წლის 11 აპრილი

დარბაზობა პუანკარესთან 11.IV.1920[152], გაგრძ. 17 წუთი.

ელჩი ა. ჩ. (ურთიერთმისალმების შემდეგ) - უწინარეს ყოვლისა მიბოძეთ ნება. ბ. თავმჯდომარე. გადმოგცეთ ჩვენი უღრმესი მადლობა იმ კარგი სიტყვებისთვის, რომელიც თქვენ ინებეთ წარმოგეთქვათ პალატაში პირველ აპრილს ჩვენდა სასარგებლოთ, და ეს მადლობა გეძღვნებათ არა მარტო ჩვენგან, არამედ მთელი ქართველი ერისაგან, რომელთანაც ჩვენ ვიმყოფებით გამუდმებულ მჭიდრო კავშირში და ამისათვის კვირეულიც კი გვაქვს სტამბოლში, საიდანაც ჩვენი ხალხი გებულობს ყველაფერს, რაც კი ითქმის და იწერება მის შესახებ ევროპაში.

პუანკარე - მე მხოლოდ ის ვთქვი, რასაც მდგომარეობა მავალებდა. ჩვენ ვიცანით იურიდიულათ საქართველო, აქედან ცხადია ვცნობთ იმ მთავრობას, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, და ამიტომ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, რომ გენუის კონფერენციაზე საქართველოს სახელით ლაპარაკობდეს რუსეთის მთავრობა ან მის მიერ ადგილობრივ დაყენებული კომისრები.

ა. ჩ. - ჩვენ უკვე გავუგზავნეთ კონფერენციის თავმჯდომარეს გენუაში განცხადება, რომ მანდატების შემოწმების დროს არას გზით არ მიეღოთ რუსეთის ან საქართველოს ბოლშევიკურ დელეგატების მანდატები. თქვენ მოგეხსენებათ უეჭველათ, რომ მოსკოვის დელეგაციამ თან ჩაიყვანა გენუაში საქართველოს და მის მეზობელ რეპსუბლიკების ეგრედ. წოდ. დელეგატები.

პუანკარე - ვიცი, როგორ არა, მაგრამ საქართველო არაა მიწვეული კონფერენციაზე, როგორც აზიაში მდებარე სახელმწიფო და ამიტომ მისი სახელით მათი დაშვება შეუძლებელია.

ა. ჩ. - ჩვენ გვაფიქრებს, ისინი იმიტომ ჩამოიყვანეს მოსკოვის დელეგატებმა, რომ უნდა ხელი მოაწერინონ სხვა და სხვა პირობებზე საქართველოს სიმდიდრეთა გასაფლანგავათ.

პუანკარე - მერე რა, განა ამ პირობებს რამე ძალა ექნებათ? სრულებით არა. თქვენ შეგიძლიათ ისინი ყოველთვის გააბათილოთ. როცა დაბრუნდებით სამშობლოში, ყველა ამ პირობებს უკანონოდ გამოაცხადებთ და კიდეც გექნებათ ამის უფლება.

ა. ჩ. - თანახმად სარწმუნო ცნობებისა ლონდონიდან, ინგლისის მთავრობა თითქოს დაინტერესებულიც კია, რომ კონფერენციაზე სრულიად არ იქნეს აღძრული კითხვა კავკასიის რესპუბლიკების და მათი სიმდიდრის შესახებ. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ შელის კომპანიამ, რაც იგივე Royal Dutch-ია, ხელი მოაწერა კრასინთან ერთათ ერთ პროექტზე, რომლის ძალით კავკასიის მთელი ზედმეტი ნავთი ამ კამპანიის ხელში გადადის. მე თვითონ მქონდა შემთხვევა წამეკითხა ასლი ამ პროექტისა, ეტყობა, მას ისინი საიდუმლოებად არ თვლიან. თუ ეს ასეა, ინგლისის მთავრობა ალბათ ეცდება სულაც არ იქნეს ლაპარაკი,

152 დოკუმენტში შეცდომით წერია 1920 წელი, უნდა იყოს 1922 წელი - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

კონფერენციაზე ამ საგანზე, ხოლო იმავე დროს შეიძლება მან მიაღწიოს მოსკოვის მთავრობის ცნობას, რითაც კანონიერი გახდება ეს და კიდევ სხვა პირობა-შეთანხმებანი.

პუანკარე - გამიგონია ეს (სდუმს).

ა. ჩ. - ჩვენ, ბ. თავმჯდომარე, მუდამ იმის მომხრე ვიყავით და ახლაც ვართ, რომ თქვენ შეთანხმდეთ თქვენს მოკავშირესთან ჩვენს შესახებ, ვიცით, რამდენათ საზარალოა ჩვენთვის, თუ ჩვენი საქმე სადაო საგნათ იქცა თქვენ შორის. მაგრამ, როცა ცხადათ ვხედავ, რომ ინგლისის მთავრობა ასეთ საშუალებებს მიმართავს, მე ვკადნიერდები და ვეხები მათ. არა მგონია თვით საფრანგეთისთვის სასარგებლო იქნეს, თუ ინგლისმა მიაღწია თავისას. (პაუზა) ფრიად დამახასიათებელია, რომ ლოიდ ჯორჯი ამ შემთხვევაში თავის ტაქტიკას აშენებს რუსეთის ბოლშევიკების ეგრ. წოდ. ნაციონალიზაციაზე, ამიტომ ალბათ მან გაიყვანა კანში პრინციპი ჩაურევლობისა, ე. ი. ჩვენი საქმე არაა, იარსებებს რუსეთში კერძო საკუთრება თუ არაო. მართლაც, ნაციონალიზაციის ძალით მთელი ნავთი მოსკოვის მთავრობას უვარდება ხელში, თვით უცხოელთა საკუთრებაც არაუზრუნველყოფილია, მან მიყიდა, მაგ., ბელგიის ერთი საზოგადოების კუთვნილი 3 000 000 ფუთი ბენზინი გროზნოში იმავე კომპანიას და ერთი დატვირთული გემი კიდეც ჩავიდა ინგლისში. ეს მე გადმომცა ერთმა ჩემმა თანამემამულემ, რომელიც ბელგიის საზოგადოების ერთ-ერთი დირექტორია და გაეშურა გენუაში, რომ იხსნას ქონება. ყველა ამის მიხედვით იბადება კითხვა: არის თუ არა ხელსაყრელი, რომ კავკასიის სიმდიდრეთა შესახებ სრულიად არ იქნეს მსჯელობა კონფერენციაზე? თუ ინგლისი სიჩუმის ტაქტიკას აწარმოებს, შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იქნეს საფრანგეთმა მის წინააღმდეგი ტაქტიკა აწარმოვოს. მაგ. საფრანგეთის დელეგაციამ რომ დაისახოს მიზნად: კონფერენციამ გამოაცხადოს უკანონოდ მოსკოვის დელეგაციის ან მთავრობის მიერ კავკასიის სიმდიდრეთა, განსაკუთრებით ნავთის შესახებ დადებული პირობები, ამით მოისპობოდა საშუალება კულისებში საქმის გარიგებისა საქართველოს შესახებ, რადგანაც ის იურიდ. ცნობილია, ასეთი რამ შესაძლებელი უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში.

პუანკარე - მე არ ვარ გენუაში და ამიტომ ვერ ვიტყვი ხელსაყრელია თუ არა, ან კიდევ შესაძლებელია ასეთი კითხვის დასმა. უკეთესია, ის რაც მითხარით, დასწეროთ და გადმომცეთ, რის შემდეგ მე შემიძლია შევუთვალო ბობარტიეს ამის შესახებ, მივცემ ზოგიერთ დამატებით ინსტრუქციებს. თქვენც უნდა იყვეთ გენუაში და უკეთ შეძლებთ გაარკვიოთ რა უმჯობესია გაკეთდეს.

ა. ჩ. - ჩვენ, რასაკვირველია, ვიქნებით იქ; ქაღალდს მოგართმევთ. რუსეთის ბოლშევიკები ისეთ კრიტიკულ მდგომარეობაშია დღეს, რომ მისი დელეგაცია უდიდეს დათმობებზე წავა. ყურადღება არ უნდა მიექცეს, ჩვენის აზრით, მათ ბაქიობას, ეს უბრალო დემაგოგია არის, რომელიც მათ სჭირდებათ ევროპის მუშების წინაშე. ჩვენ ვიცნობთ პირადათ მოსკოვის დღევანდელ ბატონებს, წარმოდგენილი გვაქვს მათი მდგომარეობა, უეჭველი თავის სახსნელათ ისინი არ დაერიდებიან ხელის მოწერას ყოველგვარ გარანტიებზე.

პუანკარე - მათი ხელის მოწერას თუ დავსჯერდით! (იცინის) ვიცით მათი გაჭირვებული მდგომარეობა.

ა. ჩ. - რომ წარმოვიდგინოთ: ბოლშევიკებმა მოგცენ ყველა ის გარანტიები, რასაც მოსთხოვთ, შეიძლება პრაქტიკულათ დაისვას საკითხი მათი ცნობის

საქართველოს ეროვნული არქივი

შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვითხოვდით კონფერენციისაგან, რომ საქართველო გამორიცხული იქნეს რუსეთის საზღვრებიდან.

პუანკარე - არა მგონია, ეს საჭირო იყოს. საქართველო ცნობილია ჩვენ მიერ, მაშასადამე, ის არ იმყოფება რუსეთის საზღვრებში, საიდანაც ის უნდა გამოგვერიცხა. რუსეთის ცნობა სულაც არ მოასწავებს საქართველოს მის საზღვრებში შესვლას.

ა. ჩ. - ჩვენც ასე ვფიქრობთ, მაგრამ, სამწუხაროთ, შესაძლოა ვინაიდან საქართველო რუსეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფება სხვა სახელმწიფოებმა, არა საფრანგეთმა, ის რუსეთის ფარგლებში წარმოიდგინონ. განა, როცა ინგლისს ნავთი ევროპაში გააქვს, იგი მან საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა გამოატაროს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ის ამის დასტურს მოსკოვიდან ღებულობს. თქვენ გაქვთ, ბ. თავმჯდომარე, იმედია თქვენი ინფორმაცია ქართველი ხალხის სულისკვეთების შესახებ. ის ვერასდროს ვერ შეურიგდება რუსების ბატონობას და იმედი აქვს სრული, რომ მიაღწევს თავისუფლებას. მისი თანამედროვე საზრუნავი გენუის მიმართ, ის არის, რომ მის საერთაშორისო იურიდიულ მდგომარეობას კომპრომეტაცია არ გაუკეთდეს.

პუანკარე - მე ვიცი, მაქვს ცნობები საქართველოს შესახებ. სწორია, საქართველოს იურიდიული სტატუსი უნდა დარჩეს ხელუხლებელი, ჩვენ დაგეხმარებით.

ა. ჩ. - დიდ მადლობას გწირავთ. გაზეთების ცნობით, გენუაში უნდა იმსჯელონ კანის რეზოლუციის სისრულეში მოყვანის შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს, მიექცევა ყურადღება იმ გარემოებას, რომ რუსეთმა დაარღვია წინდაწინ ამ რეზოლუციის მე-6-ე მუხლი, რომელიც ავალებს რუსეთს მეზობლების მიმართ აგრესიისაგან თავი უნდა შეიკავოს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, მოკავშირეებმა რომ მოთხოვონ დაბეჯითებით საქართველოდან ჯარი გაიყვანოს, ის იძულებული იქნება მისი მდგომარეობის მიხედვით, აასრულოს ეს მოთხოვნა.

პუანკარე - დასწერეთ ყველა ეს და გადმომეცით. Mon Cher Ministre, დარწმუნებული იყავით, ჩვენ გაგიწევთ დახმარებას.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 637, ფურცლები 17-19.

საქართველოს ეროვნული არქივი

მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ციხეში არსებული მძიმე ვითარების შესახებ
1922 წლის 13 აპრილი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

მეტეხის პოლიტიკურ პატიმართა რწმუნებით
და დავალებით მათი მამასახლისების

განცხადება

პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა ყოველმხრივ მეტათ მძიმე და აუტანელ პირობებშია. ზოგ ამ საჭიროების გამოსარკვევათ ჩვენ უკვე მივმართეთ სათანადო უწყებებს; ხოლო რაც შეეხება ჩვენი მდგომარეობის უმთავრესს, სახელდობრ - უფლებრივ საკითხებს, ისინი მოითხოვენ არა რომელიმე უწყების, არამედ თქვენს ყურადღებას და რჩევას. ამიტომ გთხოვთ პირადათ მობრძანდეთ საპატიმროში ან გამოგზავნოთ თქვენი პასუხისმგებელი რწმუნებული.

მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა მინდობილობით და დავალებით მათი მამასახლისები: ის. რამიშვილი /ხელრთვა/



სვ. ელიავა /ხელრთვა/
ალ. დგებუაძე /ხელრთვა/
ანდრონიკაშვილი /ხელრთვა/
ხელრთვა
ხელრთვა
ხელრთვა
ხელრთვა

ქ. თბილისი, 13 აპრილი 1922 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 3, ფურცელი 43.

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია თელავის მაზრის განიარაღების შესახებ
1922 წლის 14 აპრილი

თელავის მაზრა

საქართვ. ჩეკის ხელმძღვანელობით მე-18 დივიზიის ცხენოსანმა ნაწილებმა დაიწყეს კახეთის განიარაღება. სახაზინო თარიღის იარაღს გარდა ისინი ჰკრებენ სანადიროსა და გლეხების ჩვეულებრივ სახმარ ცივ იარაღსაც; კრებენ აგრეთვე ვერცხლით მორთულ ხმლებსა და ხანჯლებს. ხუთას კაციანი წითელარმიელთა ჯგუფები თავისი ცხენებით რჩებიან თვითეულ სოფელში არა ნაკლებ ერთი კვირისა, რომლის დროს ისინი სრულ ადგილობრივ ხარჯზე არიან. დარიგებულნი არიან ჯგუფ-ჯგუფად მოსახლეებზე შესანახად. უამისოდაც დამშეულ სოფელს, გაძვალტყავებულს ათას გვარი ბეგარით და სასურსათო გადასახადით, წითელ არმიელთა შენახვა მათი ცხენებით, აუტანელ მდგომარეობაში აყენებს. ხშირი მოვლენაა ოჯახიდან მიაქვთ ცხენებისათვის უკანასკნელი დასაფქვავი სიმინდი, ქერი, თივა, შემონახული ღორი, ინდაური, ბატკნები და სხვა. გამეფებულია სრული უპასუხისმგებლობა: ყოველი წითელ არმიელი იქცევა ისე, როგორც მას პირადათ მოესურვება. შედიან სახლებში და სჩხრეკენ, ვითომდა იარაღის აღმოსაჩენად. ისაკუთრებენ, რაც მოეწონებათ და რასაც დაინახავენ. მთელი დღის განმავლობაში სოფლის ქუჩებში დახეტიალობენ შექეიფიანებული წითლები, რომელთა შეხვედრას ყველა ერიდება - რადგან იგინებიან უწმაწურად და თვით მოპყრობა გლეხებისადმი ყოვლად უდიერი აქვთ, ადგილი აქვს ცემასაც. ყველას ბურჟუაზიასა და მენშევიკს ეძახიან, რომლებსაც ისინი კანონს გარეშე სახვენ. ბევრი ადგილობრივი ხელისუფალნიც სარგებლობენ მათი მისვლით და ახალ წყაროს პოულობენ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად. სოფლიდან მობრუნებისას არმიელები ჯგუფ-ჯგუფად აბნეულები მოდიან; თითქმის ყველა მთვრალებია, ცხენებზე გადაკიდებული აქვთ ზოგს ქათმები, ზოგს ინდაური, ბატკანი, ვიჩინა ან გუდით ღვინო. გზა და გზა ყიდიან სოფლიდან დატაცებულ ნივთებს. თან მიჰყავთ დატუსაღებული ურჩი გლეხები. ამ სახით განაიარაღეს: გავაზი, ყვარელი, შილდა, საბუე, ენისელი, ნაფარეული, ახატელი, იყალთო, ველის ციხე და სხვა თელავის ახლო მდებარე სოფლები. განაიარაღეს დუშეთის სოფლებიც, საიდანაც დიდი ნადავლით დაბრუნდნენ. განიარაღებას განაგრძობენ.

დიდ სიძნელეს ადგილობრივ მოხელეებისათვის წარმოადგენს სასურსათო გადასახადის აკრეფა. მიუხედავად დიდი ენერგიის დახარჯვისა და მთელი ყურადღების ამ საქმისადმი მიპყრობისა შედეგს ვერ მიაღწიეს. იშველიებენ დამსჯელ რაზმებსაც, რომელსაც ხშირად აგზავნიან სოფლად, მაგრამ დღევანდლამდის 20% გადასახადისა ვერ შეაგროვეს. გლეხებმა განსაკუთრებული დელეგაციებით მოითხოვეს გადასინჯვა გაწერისა და უფრო სამართლიანი გაწერა, მაგრამ ვინაიდგან შედეგს ვერ მიაღწიეს ლეგალური გზით ისინი გადავიდნენ აშკარა წინააღმდეგობაზე. ბევრგან იარაღი აჰყარეს და

საქართველოს ეროვნული არქივი

სცემეს კიდევაც ამკრებ აგენტებს და მათ დამცველებს.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში თელავში დახვრიტეს 5 ახალგაზრდა, მიზეზი საზოგადოებისათვის გამოურკვეველია - რის გამო ხალხი აღელვებულია.

14 აპრილი 1922 წ.
ქ. თელავი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 108, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

სვანეთის მკვიდრის ბიძინა პირველის წერილი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილ მთავარ კომისიას, რომელშიც ის ირწმუნება, რომ სვანეთში მომხდარი აჯანყება არ იყო მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ
1922 წლის 17 აპრილი

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. მთავარ კომისიას სვანეთის საქმეებზე

სვანეთის მოქ.
ბიძინა პირველისაგან

მოხსენება

დიდი სიტყვის პაჟი და არგონავტი უნდა იყოს ადამიანი, რომ შესძლოს მთლიანად ერთის მხრივ სვანეთის ღარიბი ცხოვრების აწერა და მეორეს მხრივ მთავრობისაგან დიდი ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი, რომ მთავრობა დაარწმუნოს სვანეთის ამ გამოსვლებით სრულიად უდანაშაულობაში. საუბედუროდ მე ორივე მხარეს მოკლებული ვარ, მაგრამ მაინც შევეცდები მოკლედ ორივე მხარე შეძლების და გვარად გავაშუქო. თუ კი ამ ჩემ მოკლე სიტყვას მთავრობა დღეს უნდობლად შეხედავს - იმედს ის მაძლევს, რომ მოვა დრო და საქმის გამორკვევის შემდეგ მთავრობა დარწმუნდება ჩემი მოხსენების სრულ სიმართლეში.

ვინ უნდა იცოდეს იმ კუთხის სახელი, ვის უნდა აინტერესებდეს იმ კუთხის ავი თუ კარქი, რომელიც ცხოვრების ისტორიულ საშინელ ძალ მომრეობას გაქცევია და სადღაც ორ ხევ შუა კავკასიონის გამოქვაბულ კლდეებში ჩაყუდებულა; ვინ უნდა გამოელოდეს რაიმე დახმარებას იმ ხალხიდან, რომელსაც პაუპერიზმის, საერთო სიღარიბის პატეა, ტანჯვა ასამარებს, ანადგურებს და ყოველივე ამას კი პირველყოფილი შეგნება ხალხისა შავ მანტიად ჰმოსავს. ძნელი ასატანია დანახვა სვანეთის დევ-შავ კლდეებისა, რომელიც მარტოა დამტირებელი სვანეთის ბედისა; აუწერელი, აღმაშფოთებელი არის აგონია სასიკვდილო ზარის, ცხოვრების უკუღ მართობით დატანჯულ სვანისა, რომელსაც სურს მისი ყრუ ღაღადი, ტაჯვითი ამოკვნესა მთელ მსოფლიოს მოსდვას, მაგრამ შეუბრალებელია თეთრი ღრუბლების ის თეთრი მანანა, რომელიც ერთის მხრივ სასიკვდილო ერთფეროვნებას აძლევს სვანეთს და მეორეს მხრივ დაუშრეტლად სვამს, როგორც სვავი სვანეთის უკუღმართ ბედის ტრიალს აგონიას და არ აძლევს ნებას, რომ ეს მის ფარგლებს გასცილდეს. და ეს ყოველივე არის მიზეზი იმისა, რომ სვანეთი ყოველთვის დაცინვით იხსენიება და მისი სიტყვა, თუ თხოვნა უპასუხოდ რჩება; ეს არის მიზეზი, რომ სვანებს ყველა ეჭვებით შეგვცქერის და ადამიანებად არვინ გვთვლის, თითქოს ჩვენ ისეთივე აზრებით, ცხოვრებით, შეგნებით არ ვიკვებებოდეთ, როგორც სხვა ხალხი, თითქოს ჩვენი გული სხვანაირად ჰფეთქავდეს და ჩვენი გრძნობა არ მუშაობდეს და ეს საერთო ჩვენდამი აპატია, ანტი ადამიანური შეხედულება, თვით ჩვენშივე აღძრავდა

საქართველოს ეროვნული არქივი

ეჭვებს ჩვენი უადამიანობისა, რომ ისტორია არ გვანუგეშებდეს: ჩვენი ისტორიით, ჩვენ არას დროს ჩამოვჩენილვართ ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რასაც მოწმობს ის, რომ ჩვენ სახელდობრ თავისუფალ სვანებმა ადრევე მოვსპეთ ჩვენში წოდებრივი უთანასწორობა და ისტორიულად ჩვენ კიდო უფრო მემარცხენე აზრებით, პათოსით, შეგნებით ვიკვებებოდით, როგორც სხვა ძმები საქართველოისა და აგრეთვე მიზეზად იმისა, რომ ჩვენ ამ შავ-კლდეებს მოვაშურეთ იყო არა სილაჩრე, არამედ ჩვენ არ შეგვეძლო ატანა კაცობრიობის პირველყოფილ საშინელ მონობისა და გამძღარ, ქვედაბუნ ამოსუნთქვას, კუჭურ დაკმაყოფილებას ჩვენ ვარჩიეთ შიმშილით, სიღარიბით ცხოვრება, მხოლოდ თავისუფალ ჰაერით, თავისუფალ ცხოვრებით ამოსუნთქვა.

ეს მოკლე ისტორიული საგანი სვანეთის ცხოვრების და ჩამორჩენილობა უბედობისა. ახლა გადავიდეთ თვით იმ საგანზე, რომელმაც მე იძულებულ მყო მთავრობაში ეს მოხსენება გამეკეთა:

სვანეთის დღევანდელმა გამოსვლამ თავ-დაცვითმა, ჩვენ წარმოდგენილად გვაქვს ბევრი სხვა და სხვა აზრი წარმოშვა, როგორც მთავრობის, ისე სხვა და სხვა საზოგადო წრეებში, ჩვენ გვჯერა, რომ რამოდენიმე ნაწილი ამას პოლიტიკურ აჯანყებად მიიღებდა და რამოდენიმე კი ყაჩაღურ გამოსვლას დაუძახებდა და ორივე კი ეს შემცდარი აზრია. გამოსვლის მიზეზები სულ სხვა იყო და მიზანი სულ სხვა. უმთავრესი მიზეზი ამ გამოსვლების იყო ადგილობრივ მაზრევკომის მესვეურთა და მოსამსახურეთა ბოროტ-მოქმედება და მათი ბავშური პოლიტიკა. ეს ბოროტ-მოქმედება მაზრევკომის მესვეურებმა დაიწყეს სახელმწიფო ქონების მითვისებით და ქურდობით, კერძო ინტერესით ხალხის ხარებით დაშტრაფვით, მხოლოდ ერთი ან ორი თემის ბატონობით რევკომში ქალიან-ბოშიანად (როდესაც ხალხს ვერ გაეგო ეს მაზრევკომი სვანეთის იყო, თუ ნავერიან-გუჯეჯიანების) და სხვა უსაზღვრო ექსპლოატაციით, რომლითაც ადგილობრივი მაზრევკომი უმასპინძლდებოდა ხალხს. დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამოდენიმე ფაქტს, რომელიც იქმნება დამახასიათებელი ამ პიროვნებების: გიორგი ნავერიანმა ჩამონართმევი რევოლვერი გაყიდა ჯვარის წერის დროს ოქროს ბეჭედში, რომელიც მიყიდა არტემ პირველს; გრიგოლ გჯეჯიანმა სამ-კომს პეტროვს მოჰპარა თოფი რევკომში და მიყიდა ალექსანდრე შერვაშიძეს; სერგო ვარხაზოვმა ჩამონართმევი რევოლვერი გაყიდა ძროხაში, ყველა ეგენი იცის უკანასკნელი გამოძიებით თვით პარტკომის პასუხის მგებელ მდივანმა ს. გულბანმა. ს. ნავერიანმა მთელი მოტანილი საქონლიდან, ნახევარი მაინც ოსეთში ნაქურდალ ცხენებში და საქონელში გაყიდა, რომელიც მთვარობას გადმოუგზავნა და ნახევარი მოგებისა თვით მან დაიტოვა და მისმა სიმამრმა.

ყოველივე ამას დაურთეთ მაზრევკომის მესვეურთა მიმართ ხალხის უნდობლობა, რომელიც გამოწვეული იყო მათი წარსული ბნელი ისტორიით: ხალხი უნდობლად უყურებდა იმ პიროვნებებს სახელდობრ ს. ნავერიანს, დ. დადუანს, რომელთაც გააღვივეს და გააღვიძეს სვანეთში შურისძიება, შემოიღეს ძალმომრეობა და ხელი შეუწყვეს, რომ ბნელი მასსა კიდო უფრო გაემსჭვალათ ცრუ-მორწმუნეობით: მაგალითად, როდესაც სილვესტრ ნავერიანი და დ. დადუ-

საქართველოს ეროვნული არქივი

ანი ს. ლატალში იყვნენ მასწავლებლებად, რომ ხალხი შეეშინებიათ, თვითონ „წახალისებულიყვნენ“ და ბნელ მასსას მათთვის ხაჭაპურებით მსხვერპლი შეეწირა - სოფელში და ეკლესიებში ცოცხებით დადიოდენ და ხალხს აშინებდენ საშინელი ყვირილით და პროვოკაციით, რომ ამ სოფელში დევები დადიანო. უკანასკნელ დ. დადუანის სისაძაგლე იმ ზომამდე მივიდა, რომ ტყუილა უბრალოდ მოჰკლა თავისი ძმა. ამას კიდო აღვივებდა ის ფაქტი, რომ მთელი რევკომის მილიციონერები ძველი ქურდები და ყაჩაღები იყვნენ, რომელნიც თვითვე არღვევდენ წესრიგს, მაგალითად: ესტატე შერვაშიძემ და მისმა ძმამ რევკომის ფანჯრები ტყვიით ჩაანტვრიეს, ერთი დღე მთელი მოსამსახურენი ჩამწყვდეული ჰყავდათ და ბოლოს, როდესაც ხალხი მათ დაჭერას მოელოდა, რევკომი ხარით და ჯიხვის ხორცით შეურიგდა ამ მართლაც ყაჩაღებს. ყოველივე აქიდან, ვინაიდან მთელი მთელი შემადგენლობა რევკომის მესვეურ-მოსამსახურეთა ყაჩაღები იყვნენ - ხალხის ლოღიკური დასკვნა ეგეთი იყო: საბჭოთა მთავრობა ყაჩაღური მთავრობა ყოფილაო. ამნაირად საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი სვანეთში, ადგილობრივ ადმინისტრაციის მოსამსახურეთა შემადგენლობამ დასცა.

და წარმოიდგინეთ თქვენ ის მდგომარეობა, როდესაც სვანეთში გავარდა ხმა ს. ნავერიანს ჯარი მოჰყავსო. შეუგნებელ ხალხს გაუკვირდა და ვერ მოეძებნა მიზეზი და ისეთი დანაშაულობა, რომ ღირსი ყოფილიყოს მის მიზეზით მთავრობაც შეწუხებულიყო და ხალხიც, ამასთანავე ხალხში საშინელ თავ-დაცვით პანიკას ქმნიდა ის ფაქტი, რომ ამ ჯარს მოუძღვებოდა შენიშნული პირი ხალხის თვალში ს. ნავერიანი. მართალი არის ს. ნავერიანი მთავრობას ეგრე დაუმტკიცებდა ს. ფარი არ იყრის იარაღსო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე იყო. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: როდესაც ს. ნავერიანი მივიდა ს. ფარში, დილას კრებაზე რამოდენიმე ახალგაზრდამ იარაღის აყრის უარი განაცხადა არა სხვა მიზეზით, ან მიზნით, არამედ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სვანები იარაღის მოყვარული ხალხი ვართ და აგრეთვე მიზეზად მათ ის ჰქონდათ, რომ ს. ნავერიანი ამ მათ ნავხში ნაყიდ იარაღს, რავარც აიტანს მულახში თავის ნათესავებს ჩამოჰკიდებს. მართალია დილას კრებაზე მათ უარი განაცხადეს, მაგრამ შემდეგ ს. ნავერიანს კაცი უკან მოაწიეს, თვით ადგილობრივ რევკომის თავმჯდომარე, იარაღი აკრიფეს და სთხოვდენ ს. ნავერიანს ეს მობოჭილი იარაღი ჩაებარა. ს. ნავერიანმა ეს უარყო, უკან არ დაბრუნდა, შეურაცხ-ყოფად მიიღო, არ ჩაიბარა და ფარს დაპირდა: მოკლე ხანში რუსის ჯარს მოვიყვან და ფარის ნამოსახლარზე წითელი ქვის მეტს არრას დავტოვებო. და მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ სვანეთს მოადგა ჯარი და თქვენ თვითონ განსაჯეთ რა უნდა ეფიქრა იმ ხალხს, რომელსაც განადგურებას დაპირდა. რამოდენიმე დღის წინედ ს. ნავერიანი - თუ არ თავის დაცვა და შურის-ძიება და მართლაც ამ ჯარს წინ დახვდა ეს სოფელი, რომელმაც იძულებულყო მთელი სვანეთი საერთო ფიცის ძალით ისიც ჩარეულიყო და დახმარებოდა თავის ძმებს. ამნაირად მაშინ, როდესაც საქმის მშვიდობიანად მოგვარება შესაძლები იყო ხალხში აგიტაციით, ხალხის ფსიხოლოგიასთან შეთვისებული პოლიტიკით, მაზრევკომის თავმჯდომარემ ეს არ მოინდომა და მიზეზად ამ გამოსვლების შედეგისა ეს პირი უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს ეროვნული არქივი

მთელი სვანეთის ამ საქმეში ჩარევას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ დაშინებამ და პროვოკაციამ, რომელსაც ავრცელებდენ ადგილობრივი „თავ-მოყვარე“ რევკომის პასუხის-მგებელი მოსამსახურენი, რომ დღეს კი დაგვიდგა დრო ყველა ჩვენ კერძო-მოინტერესეებზე ჯავრი ვიყაროთო. ამით, ვინაიდან მისი შემადგენლობა ამ რევკომისა იყო მულახელების და ნავერიან გუჯეჯიანების - ხალხს შეეშინდა და თავის სიცოცხლის და თავ-მოყვარეობის დაცვას შეუდგა.

ყოველივე ამას დაურთეთ სვანეთის სიღარიბე და ის ზამთრის პირი, რომელიც ჯარს იძულებულს ჰყოფდა საზამთროდ აქ დარჩენილიყო და რომლის რჩენა არც ყიდვით და არც სხვა საშუალებით სვანეთს არ შეეძლო.

თვით თქვენც კარქად იცით, რომ საწყალი სვანი, დადგება თუ არა შემოდგომა მიდის საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ტალახის საჩიჩქნად, რომ ლუკმა პური იშოვოს და ოჯახში შიმშილით არ ამოუწყდეს. სვანეთში ათასში ერთს თუ ნახავთ, რომ მოსავალი სარჩო მთელ წელიწადს ჰყოფნიდეს. ვის არ უნახავს საწყალი სვანი, რომელიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში დაძრწის ძონძებში გამოხვეული მშიერ-მწყურვალი, ტალახში ამოსვრილი, რომელსაც გარშემო მხოლოდ დაცინვა ესმის, დაცინვა საშინელი ეკლიანი, სარკაზმული თავმოყვარე სვანისათვის. დიახ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სვანეთის გარე, სვანის თავისუფლების, ინტერესების დამცველი არის მხოლოდ დაჟანგული ხანჯალი, რომელსაც ის მუდმივად ატარებს და რომლის იმედი მარტო აქვს მას. ეგრე იყო ძველად დაჟანგული სვანის ხანჯალსავით, შავი, ძველი მთავრობის დროს, უარესი კახპა მენშევიკების დროს და ეს მეორდება დღეს თქვენ დროსაც, რომელნიც თქვენ მიზანს მხნედ, უტყუილებლად დადგომიხართ და მენშევიკების „მეძავობას“ გასცილებიხართ. საშინელი არის ის დიდი ბოღმა, რომელიც მისწოლია სვანეთის ხალხს გულზე და დიდი საშიშია, რომ ის არ გადმოინთხეს და ამდენად დაგუბებულმა ტანჯვამ და მთიულ თავმოყვარეობის შელახვამ სვანეთის ხალხისა ვიწრო ნაციონალური შურის-ძიების ხასიათი არ მიიღოს. ჩვენ, ვინც მათში ვმუშაობდით, ამას ვერიდებოდით. ეს საერთოდ მიზეზი ამ გამოსვლების თქვენისავე გადმოცემით, როგორც გავიგეთ თქვენ დარწმუნებული ყოფილხართ, რომ ეს გამოსვლა სვანეთის - წინ-და წინ გაზომილი იყოვო და ამ საქმეს თითქოს ჩვენ ვმეთაურობდეთ თავიდანვე. ჩვენ არ გვაინტერესებს რამოდენიმე პიროვნების ყოფნა, თუ არ ყოფნა, თუ ეს მთავრობას სვანეთში ზიანს არ მოუტანს, არც ლაშქრობას ვიკადრებთ, რომ თავი მოვიკატუნოთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენგნივ ყველაფერს სიმართლეს ვაღვიარებთ, რომელსაც ვერვინ ვერსად ვერ გაექცევა. არ ვიცი, რომ ზნეობით მაინც ისე დაცემულიყვნენ მაზრევკომის ყოფილი მოსამსახურენი, რომ სთქვან: ამ საქმის დამწყები ესა და ეს პირები იყვნენო. ეს სიცრუეა და სიცრუედაც წავა. თვით მაშინ მე პირადად საპ. განგ. განყ. კოლეგიაში ვმსახურობდი, როდესაც გავიგეთ, რომ სვანები ჯარს დახვდენ და კომანდირი მოკლესო. ჩვენ, როგორც თვითეულმა სვანმა ავიღეთ იარაღი ხელში, ვინაიდან ერთის მხრივ გვეშინოდა, რომ ჯარი შემოჭრილიყო სვანეთში შურს-იძიებდა და მეორეს მხრივ გვეშინო-და ამ გამოსვლას ანარქიული ხასიათი არ მისცემოდა, ყაჩაღური სახე არ მისცემოდა და შემდეგში ანარქია ჟლეტისა შიგნით არ დატრიალებულიყო -

საქართველოს ეროვნული არქივი

რევკომს დავეცით, წავართვით 7-8 თოფი - ქონებას სრულიად არ შევხებივართ, რასაც დაამოწმებს ივანე გუჯეჯიანი, რომელიც ამის მოწმედ დავისწარით - და გავეშურეთ ქვეით და ჯარს რუსის დაბრუნებულს მიუსწარით. ამის შემდეგ ხელი მივყავით ხალხის მოწესრიგებას და დღემდე ამ საქმეში შეძლების და გვარად ვმუშაობთ. ამის შემდეგ ჩვენ ვგებულობთ, თუ როგორ გლახად იქცეოდენ ქვემო-სვანეთში ადგილობრივი მოსამსახურენი და როგორ ტყუილ უბრალოდ დაჰკლეს საძაგლად ორი ლაშხელი გზაზე და ამის ძალით და აგრეთვე იმ მიზნით, რომ გაზაფხულზე ქვემო-სვანეთს და ზ. სვანეთ შუა არ დაწყებულიყო შურის-ძიება, ტაცობა და ძარცვა გლეჯა და აგრეთვე თანახმად 1918 წ. ფულისა - საბჭოს გამოაქვს დადგენილება ქვემო-სვანეთის შემოფიცვისა, რომლის შესრულებაც დაგვავალა ჩვენ შესასრულებლად. ამის ძალით ჩვენ ვიკავებთ ქვემო-სვანეთს და იქ მყოფ ჯარის ნაწილებს ვანიარაღებთ. დაბრუნებისას მართალია რამდენიმე ბნელი პირები დაბრუნებულან, ტყვეები გაუცარცავთ. მთავრობა ამაში უნდა დაგვერწმუნოს, რომ ეს ჩვენ თვით არა მთავრობაზე ნაკლებად გვეწყინა, მაგრამ წარსულს ვერ დავაბრუნებდით და ტყუილი შეწუხება შეგვრჩა. ამნაირად ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ საქმეში ჩვენ დანაშაულობა და მონაწილეობა მიგვიძღვის ისე, როგორც მიუძღვის თვითეულ სვან მოლაშქრეს - წინააღმდეგ ჩვენ ხალხმა იარაღად მოგვიხმარა და ხალხის სურვილით და ნებით ვსულდგმულობდით. ამასთანავე დარწმუნებული ვამბობთ, რომ ჩვენ არავითარ პარტიასთან კავშირი არა გვქონია, რომ ამისათვის პოლიტიკური სახე მიგვეცა და ამ საქმეში ჩარევა უცაბედი იყო, რომელიც არ იყო თვით ჩვენსავე მიერ მოფიქრებული და წინა და წინ გაზომილი.

აშკარად ვაღვიარებთ, რომ ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ სვანეთის უფლე-ბებისათვის ბრძოლა, ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ამ გამოსვლაში ჩვენი ჩარევა იყო იმ მიზნით, ერთის მხრივ თავი გაგვენთავისუფლებია, ადგილობრივი მაზრევკომის ექსპლოატაციიდან ხალხი და მეორეს მხრივ დაგვენახვებია მთელი ხალხისათვის და აგრეთვე მთავრობისათვის, რომ ჩვენც ხალხი ვართ, ძალას წარმოვადგენთ - და თუკი ამ ძალას მთავრობა ყურადღებას მიაქცევს, არ წააგებს. ჩვენ მხოლოდ ეს გვაინტერესებს, რომ მთავრობამ და ხალხმა სთქვას: იქ, სადღაც კავკასიონის კლდეებზე მოსახლე ხალხი სვანები ყოფილა, რომ ქართველმა ხალხმა აღიაროს თვისი შეცდომა და მომავალში ეგრე ეჭვებით არ გვიყურებდეს, რომ ქართველმა ხალხმა და მთავრობამ შეიგნოს, რომ სვანებიც ადამიანები ვართ, არავისზე ნაკლები თუკი ვინმემ მიგვიხმარა, ამისათვის ნუ იქმნება მომავალში სვანების დაცინვა, მიგვიღეთ ჩვენც თანასწორ უფლებიან ძმებად, რომ „სვანო მაზიგ გეტაკა“-ს მაგიერ „გამარჯობა ამხანაგო სვანოვო“ გვესმოდეს და მაშინ ჩვენ დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია გაწევა, როგორც მტრობის ისე ძმობის. ეს იყო და არის დღესაც ჩვენი უმთავრესი მიზანი, რომლისთვის ყოველთვის მზადა ვართ ვიბრძოლოთ, თუმც ვიცით, რომ ეს ვიწრო ნაციონალური აზრია.

ჩვენ უკანასკნელად გიცხადებთ, რომ ვინაიდან ჩვენ ამ მიზანს ცოტათი მაინც მივაღწიეთ - დღეს თანახმა ვართ მორიგების და ხელს ვაწერთ მთავრობის კომისიის და სვანეთის დელეგატებს შორის დადებულ პირობაზე ს. სასაშში.

საქართველოს ეროვნული არქივი

მთავრობის წინაშე პირობას ვდებთ, რომ თუ კი ის დადებული პირობა შესრულებული იქმნება - ჩვენ არავითარი მთავრობის საწინააღმდეგოდ არ ვაწარმოოთ არა ლეგალური მუშაობა და ჩვენის მხრივაც მთხოვნელნი ვართ, თუ კი მაინც და მაინც სვანეთში ჩვენ ყოფნას საფრთხედ უყურებთ და შეუძლებლად სცნობთ - ნება მოგვეცეს საქართველოს სხვა ქალაქებში ცხოვრებისა მაინც, რომ ჩვენი სიცოცხლე უზრუნველ-ყოფილი იყოს და ეს მანამ, სანამ ჩვენის მოქმედებით დარწმუნდეთ, რომ მომავალში მთავრობის ხელშემშლე პირები და მავნე პირები არ ვიქნებით.

განმეორებით ვამბობთ, რომ თუკი სვანეთს მომავალში მთავრობა მეტ ყურადღებას მიაქცევს - ჩვენ მზადა ვართ მთავრობასთან ხელ-გადაკიდებული ვიმუშავოთ მთავრობის და ხალხის სასარგებლოდ.

სვანეთის მოქალაქე: ბიძინა პირველი /ხელრთვა/

17/IV

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 32-35.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიმართვა ქართველ ერს
1922 წლის აპრილი

სამშობლოს ერთგულებს

რუსეთის ველური ურდოები შემოესია ასი წლის მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს და კვლავ ცეცხლით და მახვილით ააოხრა იგი.

მოსკოვის აქაური აგენტები გულმოდგინეთ იღწვიან, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ძირიანათ აღმოფხვრან ყოველივე ნასახი ეროვნული თავისუფლებისა!..

სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებით ციხეებია აღვსილი.

ყველა არა კომუნისტი ქართველი კანონს გარეშეა გამოცხადებული თავისივე სამშობლოში...

ჩვენი ერის ასეთ უკიდურეს მდგომარეობისა გამო, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ბუნებრივად აღმოცენდა აქტიურ მოქმედების რაზმები, ბევრგან უკვე სისხლიც დაიღვარა...

საქართველოს მტრებმა ამაზე ქალებისა და ძუძუმწოვარა ბავშვების დატუსაღებით უპასუხეს.

ასეთი უმსგავსო რეპრესიები კიდევ მრავალ ახალ ძალებს გამოიწვევს ბრძოლისათვის.

საქართველოს შვილნო! ჩვენი მტრები შეეცდებიან ჩვენი მოქმედების გაშავებას და სახელის გატეხას: ისინი ჩვენ ბრძოლას ბანდიტიზმად და ავანტურად მონათლავენ.

მაგრამ, თქვენ ხართ და დარჩებით პირუთვნელი მოწმე ჩვენი მოღვაწეობისა. თქვენ ხედავთ და მუდამ გეცოდინებათ, თუ რას ემსახურებიან და რისთვის იღწვიან კახეთის რაზმები, რომელთაც მე ვხელმძღვანელობ; არავითარი პირადული, არავითარი ჯგუფური, წოდებრივი, ან პარტიული მიზანი და მისწრაფება.

საქართველოს დახსნა ეროვნულ მონობის უღლისაგან და ქართველ ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენა, აი ერთად ერთი მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი რაზმები, და რომელიც ჩვენივე სისხლით აღბეჭდილია ჩვენ სამფეროვან დროშაზე.

ამ იდეას იზიარებს დღეს მთელი საქართველო და ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აკაჟებდა თავის ეროვნულ გრძნობებს, არასოდეს არ მოიხრის ქედს მონობის უღელქვეშ.

სამშობლოს ერთგულნო! საქართველოს მტრების განკითხვის დრო მოახლოვებულია. მათ აიმხედრეს თავის წინააღმდეგ მთელი კულტურული კაცობრიობა.

ვიყვნეთ მხნე, მტკიცე და გაბედულნი.

სალამი თქვენ და გამარჯვება საქართველოს!

აპრილი 1922 წ.
კახეთი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 60, ფურცელი 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

საშობლოს ერთგულებს!

ბრუნეთის ველური ურდოები შემოესია ასი წლის ბატონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს და ველურად ცეცხლით და მახვილით აოხრა იგი.

მოსკოვის აქაური აგენტები გულმოდგინეთ იღწვიან, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ძირიანათ ამოგუდონ ყოველივე წასახი ეროვნული თავისუფლებისა!..

საშობლოს დამოუკიდებლობისთვის მეზრძოლ ეზით ციხეებია ავსებილი.

ყველა ორი კომუნისტი ქართველი კანონს გარეშე გამოცხადებული თავისივე საშობლოში...

ჩვენი ერის ასეთ უკიდურეს მდგომარეობისა გამო, საქართველოს ს

დოკუმენტები საქართველოში დაზვერვითი მუშაობის წარმოების, მოსახლეობის მომზადებისა და აჯანყებისათვის მზადების შესახებ

1. ჩვენი სტამბოლის ადრესი.

რესტორანი გრანდ ბრეტანია „ჟან ბეჟანოვს“. წერილზე უნდა დაიწეროს:

ოღონდ სიტყვიერად ეტყვით ბეჟანოვს.

2. ბათომის ადრესები:

ხუთი ადრესი ისეთი, სადაც ჩვენ გამოგზავნილ კაცს ადვილათ შეეძლება მონახვა და ამანათის გადაცემა. უკეთესია რომელიმე სავაჭრო კანტორაში ან დამოჟნაში გაიჩენდეთ კაცს, რომლებსაც ჩვენები გადაცემენ გამოგზავნილ ამანათს.

აგრეთვე საჭიროა ორი ისეთი კაცის (და მისი ადრესები) დასახელება, რომელთა სახელზედაც შეიძლება გამოგზავნილი ფულის მიტანა და ჩაბარება.

3. საჭიროა რამოდენიმე ამხანაგმა ვაჭრობა დაიწყონ (ორმა სამმა) სტამბოლთან. აქ ხელს ჩვენ შეუწყობთ. ჩვენი აზრით ამისათვის გამოდგებიან შემდეგი ჩვენი ამხანაგები: ბიქტორ ჭედია, ბესარიონ ჟღენტი. ესენი ხშირად ივლიან იქით აქეთ და მუდმივი ძაფი იქნება გაბმული. თფილისიდან გამოდგებიან ბუკია და ბართლომე კილაძე.

4. მოგვაწოდეთ ფოთისა და ბათუმელი ამხანაგების ადრესები, რომ შეგვეძლოს მათთან აქედან პირდაპირი კავშირის დაჭერა.

5. თფილისმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ბათუმს. თფილისიდან იქ საჭიროა გაიგზავნოს ერთი კაცი, რომელის მოვალეობა მხოლოთ და მხოლოთ ჩვენთან კავშირის დაჭერა იქნება.

6. გაზეთები რაც კი გამოდის, ყველა ნომერი ორ ორი ეკზემპლიარი მაინც შეიძინონ და გვიგზავნონ იმავე წესით და იმავე ადრესით როგორც ბარათი/ წერილისავით პაკეთათ შეხვეული და პაკეთზე ადრესი წაწერილი.

7. ეცადეთ შეიძინოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები და გამოგვიგზავნოთ.

8. სამხედრო ძალის რაოდენობა, სად რომელი ნაწილი დგას, რამდენია ნაწილში, ვინაა და სხვა. როგორც ჩვენში ისე სომხეთში, ადერბეიჯანში, მთაში და თუ შესაძლებელია ჩრდოლოეთ კავკასიაში.

9. ყოველი ჩვენი წერილის მიღება დაგვიდასტურეთ, რომ ესა და ეს ნომერი წერილისა და ამანათისა მივიღეთ.

10. გვაცნობეთ ჩვენი პარტიის აზრი კოალიციაზე და აგრეთვე ბოლშევიკები საგარეო ვაჭრობაზე ხელი შევუშალოთ მათ თუ ნეიტრალები ვიყოთ.

11. კედია დაითხოვეს ფრანგებმა და ის კონტროლში აღარ მსახურობს. ამიტომ მისი ადრესით არაფერი გამოაგზავნოთ.

12. პაროლები: ბათომი, სამტრედია, ზესტაფონი, ხაშური, თფილისი.

13. შიფრი: .....

საქართველოს ეროვნული არქივი

14. მისვლა მოსვლა ხმელეთით. ჩამოსვლა ამხანაგებისა ან აქედან დაბარება საჭიროების მიხედვით.

15. ილია ჯუ. თბილ. ყაზბეგი ბათომ.

16. ზღვის ნაპირები გადასასვლელათ.

17. სამხედრო მუშაობა (დაიცვან საიდუმლოება) ჯარი სად და რამდენია (რაიონისთვის დახმარება ფულით), რა სულის კვეთებაა ჯარში, როგორ არიან ჩაცმული, რას აჭმევენ. ცენტრის წევრებს და აგენტებს ჯამაგირი.

18. სამხედრო რაზვედკისთვის დაიჭირონ კავშირი გარსევანიშვილთან, რომელიც ცხოვრობს გუნიბის 41.

19. განსაკუთრებული დანიშნულების თანხას არ ეხლება ხელი.

20. გვარდიელების სახელი არ იყვეს.

დაბრუნდნენ არა ლეგალურათ. იარაღის შეძენა, აღწერა, პატრონების შეძენა რუსებისაგან. მუშაობა ქართულ ჯარში სამი კაცის პირით.

21. მიაქციონ ყურადღება ზოგიერთ პირს სამხედროს, რომელნიც აპირებენ სამხედრო დიკტატურას. მიიღონ ზომები, მეთაურის გაგება.

22. რუსულ ჯარში მომუშავე პირები. აქედან მიეცემათ კავშირი კაზაკებთან, უნდა მიეცეს საშვალება კაცების გაგზავნისა. დახმარება პოლიტიკურ მუშაობაში. ადერბეიჯანთან მუშაობა, ეს მუშაობა არ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენ მუშაობასთან, სხვა პირები უნდა განაგებდნენ ამ საქმეს. უნდა ეცადონ ჩვენებმა, რომ დამოუკიდებლათ ამ პირის მოსვლამდე თითონ გაიბან კავშირი კაზაკებთან.

23. კავშირი სომხებთან ვრაციანის ჯგუფთან (სპარსეთში და სათათრეთშიაც).

24. მოწინავე პირები ბოლშევიკების და ამ პირთა სია.

25. შეთანხმება პარტიებისა. მთავრობის შესახებ ლაპარაკი მეტია. შეთანხმების შესახებ მიუვათ აქედან ჩვენი აზრი. ეცადონ საღ ნიადაგზე მოახდინონ შეთანხმება დანარჩენ პარტიებთან.

ინსტრუქცია

1. შიდა რუსეთში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა შესაძლებელია ბოლშევიზმის ბატონობა კიდევ გაგრძელდეს. ეს არა იმიტომ, რომ ბოლშევიკები თითონ ძლიერნი არიან, არამედ იმიტომ რომ ხალხი მათ დაქსაქსეს, პოლიტიკური პარტიები მოსპეს და მასაში ახლა მეფობს აპოლიტიკური სულიერი განწყობილება. ერთად ერთი აქტიური ჯგუფი იქ ისევ მემარჯვენე-მონარქისტებია. რაც შეეხება მემარცხენეებს (მენშევიკებს, ესერებს), მათ თითონ არ აქვთ კარგათ გარკვეული თუ რა აკეთონ.

2. აქედან, ცხადია, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ განთავისუფლებაზე ცენტრის დამოუკიდებლადაც. (შესაძლებელია ეს მიზანი გაადვილოს ომმა, რომელიც მოსალოდნელია პოლონეთ-რუმინიასა და საბჭოთა რუსეთს შორის გაჩაღდეს.).

3. მარა ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გამოვალთ ამიერკავკასიის ხალხებთან, კაზაკებთან და უკრაინელებთან ერთად. ამ უკანასკნელთ კიდევ შერჩათ აქტიური ბრძოლის სურვილი და შესაძლებლობა.

4. ჩვენთან შეკავშირების სურვილი აქ ჩამოთვლილ ხალხებს აქვთ, რაც

საქართველოს ეროვნული არქივი

აადვილებს მიზნის განხორციელებას. ჩვენ უკვე დავიწყეთ მათთან მოლაპარაკება და ვფიქრობთ, რომ მალე შეთანხმებით გათავდება. ეს ასწევს პრესტიჟს აგრეთვე უცხოეთის დიპლომატიის თვალში.

5. ჩვენ გვინდა ჩვენი პრაკტიკული და ორგანიზაციული მუშაობა აქ და საქართველოშიაც ამას შევუთანხმოთ.

რა უნდა ვაკეთოთ საქართველოში

1. ჩვეულებრივი პოლიტიკური მუშაობის გარდა, საჭიროა სამხედრო ტექნიკური მზადება, რომელიც ახლა ჩვენი ცნობით იქ ხდება, მარა საჭიროა მისი გაფართოება და უფრო ინტენსიური წარმოება. ამისათვის ვახდენთ შიგ, საქართველოში ადამიანებისა და იარაღის აღრიცხვა-დაანგარიშებას. სამხედრო ორგანიზაციები დგება იაჩეიკების სახით - 10 კაცი იაჩეიკაში ან ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები, ადგილობრივ პირობის მიხედვით. დგება ორი წყება იაჩეიკების: იარაღის მქონეთა და უიარაღოების. იაჩეიკას ყავს მეთაური და მისი თანაშემწე. იაჩეიკების შექმნისა და ინსტრუქციის გადაცემის შემდეგ მისი კრებები იშვიათ და აუცილებელ შემთხვევებში ხდება. იაჩეიკის წევრებმა არ იციან სხვა იაჩეიკის და საერთოდ დანარჩენი სამხედრო ორგანიზაციის ვინაობა. სათემო იაჩეიკების მეთაურები შეადგენენ კოლეგიას და ირჩევენ ერთ კაცს და მის თანაშემწეს საუბნო კუთხის ცენტრისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი სამაზროსათვის. მთელ ორგანიზაციებს კი აგვირგვინებს ერთი ცენტრი, რაც შეიძლება ნაკლები პირებისაგან შემდგარი. იაჩეიკის წევრები და მათი წარმომადგენლები სათემო და საუბნო ორგანიზაციებში არ შორდებიან თავის ჩვეულებრივ ოჯახურ და სამეურნეო მუშაობას და ამიტომ ფულით ჯილდოს არ იღებენ. რაც შეეხება სამაზრო ცენტრის წევრებს, სასურველია რომ ჩვეულებრივ საქმიანობას არც ისინი მოსწყდნენ, მარა გაცდენილი დროისა და მუშაობისთვის ერთგვარი დახმარება უნდა მიეცეთ. მუდმივ ჯამაგირში იქნებიან მხოლოდ უმაღლესი ცენტრის წევრები და მათი აგენტები, რომელნიც საჭირო იქნებიან გაგზავნ-გამოგზავნისა და დავალებათა შესასრულებლათ.

მთელი ეს ორგანიზაცია არის პარტიული ორგანიზაციების მხედველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. კონსპირატიულისა და სხვა მოსაზრებათა ძალით სასურველია მას გვარდიის სახელი არ დაერქვას, არამედ ქონდეთ რამე სრულიად უბრალო სახელწოდება, ვთქვათ რევოლუციონური წესრიგის რაზმი ან სხვა რამ.

2. ქართულ წითელ ჯარში მუშაობა და იქ ნაწილებში პატარ-პატარა ჯგუფების ყოლა საჭიროების დროს მთელი ნაწილის მოსამხრობლათ და ბრძოლაში გამოსაყენებლათ. თვალყურის გდება მემარჯვენე ოფიცრობაზე, რომელნიც გადატრიალების დროს სამხედრო დიქტატურის გამოცხადებაზე ოცნებობენ.

3. რუსულ წითელ ჯართან კავშირის გაბმა და იქ მუშაობა თუ ეს პრაქტიკულათ შესაძლებელია.

4. კავშირის გაბმა ადერბეიჯანის ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციასთან, ვრაციანის ჯგუფთან სომხეთში, მთასთან და კაზაკებთან. ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. ჩვენებმა უნდა ეცადონ ამ კავშირის გაბმას საქარ-

საქართველოს ეროვნული არქივი

თველოდან დამოუკიდებლათ და აგრეთვე უცხოეთში გახიზნული წრეების საშვალებით. ამ წრეებს აქედან ჩვენ ვაცნობთ მათი იქ გაგზავნილი კაცების საშუალებით.

5. სამხედრო რაზვედკის მოწყობა. უნდა ვიცოდეთ ჩვენში და თუ შესაძ-ლებელი იქნება მეზობელ ქვეყნებშიაც რომელი ნაწილები დგანან, ვინ არიან სარდლები, რამდენია ჯარი (ხიშტი და ზურგი), რომელი ნაწილი რა პუნკტში დგანან, როგორაა შეიარაღებული, როგორი სულის კვეთებაა. როგორი განწყობილებაა ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის და სხ. საჭიროა თვალყურის გდება ჯარის დისკლაციისათვის და ამ გვარი ყოველი ცვლილების გაგება და აღნუსხვა.

6. ბათომის პუნკტის კარგათ მოწყობა. აქ ვინმე გამოცდილი ძველი მუშაკის ჩაყენება და მეთაურობის გაწევა. მიღებულ უნდა იქმნას ზომები, თუ გინდა ამისთვის ფულის დახარჯვაც დარჩეს საჭირო, რათა ვიცოდეთ ბეკების ყველა საიდუმლოებანი, მათი ზრახვანი და ფიქრი. საჭიროა გვქონდეს ბათომში რამდენიმე მოხერხებული ადგილი წერილების მისატანათ ცალკე და გაგზავნილი კაცების გამოსაცხადებლათ (იავკა) კიდე ცალკე. იავკაც ორნაირი უნდა გვქონდეს: ერთი წყება ისეთი იავკების, სადაც გამოცხადდებიან არა ქართველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო მეორე იავკა უფრო კონსპირატიული წმინდა ჩვენი საქმეებისათვის. ეს იმიტომ, რომ ერთმა მეორე არ ჩააგდოს.

7. ახლო მომავალში ტრაპიზონიდან (ხმელეთის გზით აჭარაზე) ივლის ჩვენი კაცი სამ-ოთხჯერ. ეს კაცი იქნება ოსმალო. შეუძლია მოიტანოს და წამოიღოს ფუთამდე ტვირთი. ამ გზის გამოყენება შესაძლებელი იქნება აგრეთვე იმისთვისაც, რომ როცა საჭირო იქნება ვინმე მაქედან გადმოვიდეს აქეთ, ან აქედან მაქეთ, მოსალაპარაკებლათ და უფრო მჭიდრო (კავშირის) კონტაკტის დასამყარებლათ. ამას ჩვენ საჭიროთ ვთვლით და ვთხოვთ ამხანაგებს გვაცნობონ თავისი აზრი.

8. საჭიროა გვქონდეს შიფრი და პაროლი.

9. ბათომიდან დაწყებული თუ შეიძლება გაგრამდე უნდა გვქონდეს ზღვის პირას არჩეული პუნკტები, სადაც შეიძლებოდეს არალეგალურათ ნავით ან პატარა გემით მისვლა. ეს პუნკტები მაქ უნდა დაასახელოთ და გვაცნობოთ. ვინიცობაა დაგვჭირდეს უნდა ვიცოდეთ რომელ სოფელში და ვისთან უნდა მივიდეს ამ გზით მოსულები. ამას ძლიერ სერიოზული ყურადღების მიქცევა უნდა. ეს დაგვჭირდება როგორც ჩვენ, ისე კაზაკებს, უკანასკნელებს განსაკუთრებით. ამის გეგმა დაწვრილებით უნდა ვიცოდეთ. შეიძლება ეს საშვალება გამოყენებულ იქმნას აგრეთვე ნაწილობრივ იარაღისა და თოფების გადმოსატვირთად და სხ.

10. კაზაკების განზრახვა აქვთ საქართველოს გზით კავშირი გააბან თავიანთ ქვეყნებთან. ამ მიზნით უნდათ ჩვენების დახმარებით მოაწყონ პუნქტები ბათომში, თფილისში და ყაზბეგში. უნდა დავეხმაროთ ყოველნაირათ.

11. ცოტა ხანში თფილისში იქნება ადერბაიჯანელების კაცი ადერბეიჯანის არალეგალურ ორგანიზაციებთან დასაახლოვებლათ. პაროლი იქნება: მათი კაცი იტყვის: Оть Никашвили. უნდა უპასუხონ: Онь мой хороший друг. მარა სანამ ეს კაცი ჩავიდოდეს, მანამ შეიძლება კავშირი გააბან ჩვენებმა ბაქოში. თუ

საქართველოს ეროვნული არქივი

ამის საშვალება ექნებათ ბაქოში ნახავენ ნარიმან ნარიმანბეკოვს, მსახურობს ვნეშტორგში თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. მას კითხავს კერბალაი ველი მიკაილოვს. ამ კაცს ეტყვის: получили ли вы письмо и 50 лирь оть Д-ра Мехтиева. ეს იქნება პაროლი. ამ კაცთან შეიძლება მოლაპარაკება საიდუმლო საქმეებზე. საჭიროა ძალიან სიფრთხილე რომ ის არ ჩავარდეს.

12. პარტიათა შორის კონტაკტის დამყარება.

I თანამედროვე მდგომარეობა საქართველოსი

გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საკითხს ამჟამად თანაუგრძნობს მთელი დედამიწა, რასაკვირველია სხვა და სხვა სახელმწიფოები ბევრად თუ ნაკლებათ სხვა და სხვა მიზნისათვის; მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ საქართველოს საკითხს ყველანი თითზე იხვევენ და უჩვინებენ ბოლშევიკებს, როგორც დამამტკიცებელს მათი ავაზაკობისა, დაუნდობლობისა და უპატიოსნობისა. ეს შედეგია ჩვენი მთავრობის მუშაობის საზღვარგარეთ და იმედია ამას ის მომავალში სრულებით გამოიყენებს ქართველი ერის მომავალი ბედნიერების გასამტკიცებლათ.

ამიტომ შესაძლებელია და ჩვენთვის აუცილებელი, რომ საქართველოს ამოძრაობა უნდა მოხთეს იმ მომენტში, როდესაც ყველა ანტიბოლშევიკური ძალები მზად იქნებიან აქტიურ გამოსვლისთვის და ნიადაგი სრულიად მომწიფებული იქნება. საქართველოს ამოძრავებას უნდა უსათუოთ თან არა ზედ მაინც მიყვეს ყველა ძალების ამოძრავება: ევროპამ და ყველა ანტიბოლშევიკურმა ძალებმა უნდა შეიგნონ, რომ ამისთანა კოზირი, როგორც არი საქართველოს საკითხი უბრალოდ საფრთხეში არ ჩავარდეს და უშედეგოთ საერთო მასშტაბში არ ჩაიაროს. ამ საკითხს უნდა ანგარიში გაუწიოს ყველამ, ვისაც კი დედამიწის მომავალი კულტურა და პროგრესი აინტერესებს.

საკითხი უსათუოთ ასე უნდა დაისვას და ვიმეორებ ეს ეხლანდელი პირობების მიხედვით შესაძლებელი არის. ქართველი ერი ერთსულოვნათ წინააღმდეგია რუსეთის ბოლშევიკური ტირანიის, ის მზათ არი თავი დასდოს ამ უღლის კისრიდან ასაშორებლათ. ამას ერთხმათ ამტკიცებენ ყველა წყაროები და ამაში ერთხმათ არის დარწმუნებული მთელი კაცობრიობა. ქართველმა ერმა, თავის მეთაურების საშვალებით, მოუსპო მორალური გავლენა ბოლშევიზმს; ეხლა ის მზად არი იარაღით ხელში თავზარი დასცეს ბოლშევიზმის შავბნელ ძალას, მაგრამ სხვა ანტიბოლშევიკური ძალებიც მოვალე არიან მას სათანადო დახმარება გაუწიონ და თან გამოყვენ.

მართალია ქართველი ერი ბოლშევიკების უღელქვეშ დღითი დღე უარესდება, მარა მიუხედავათ ამისა აჩქარება ყოვლად მიუღებელია; საჭიროა მოთმინება და თავის შენახვა. საერთოთ კი უნდა ითქვას, რომ ეს მომენტი უკვე ახლოა და მით უმეტეს საჭიროა უფრო ენერგიული მუშაობა ამ დარჩენილ ხანაში.

კომუნისტებმა საქართველოში და განსაკუთრებით ქართველებში ვერავითარი ნიადაგი ვერ მოიპოვეს, დაახლოვებით იგივე უნდა ითქვას ყველა კავკასიის ერებზე, ასე რომ მათი იქ ყოფნა ღებულობს წმინდა ოკუპაციურ ხასიათს. ძალიან ებღაუჭებიან სომხობას და ოსობას: ამით აიხსნება სომხობის

საქართველოს ეროვნული არქივი

გაბატონება თფილისში, ოსეთის ავტონომია წმინდა სტრატეგიული და არა ეთნოგრაფიული საზღვრებით და სხვა, მაგრამ არც ამ ერებს საქართველოში არავითარი ნიადაგი არ აქვს; ისტორიულათ მათი საქართველოში ბრძანება ხომ შედეგია მხოლოდ ქართველი ერის ლმობიერების და თუ ჯინიანობა მათ დაიწყეს, ჩვენ მათ ვეტყვით: „საიდანაც მოსულხართ, იქითვე წაბრძანდით.“ ამრიგათ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნისტებს საქართველოში და მთელ კავკასიაშიდაც ვერავითარ ადგილობრივ ძალებზე დამყარება არ შეუძლიათ. უმთავრესი მათი ძალა არის რუსეთის წითელარმიელთა ხიშტები. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რიცხვი ამ ხიშტებისა თანდათანობით მცირდება ოთხივე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რომლებსაც სამხედრო მხრივ განაგებს „ოკა“. თუ 1921 წლის შემდეგზე ხიშტების რიცხვი ამ არმიაში უდრიდა დაახლოვებით 60 000-ს, ეხლა ეს რიცხვი არ აღემატება 25-30 ათასს; გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ თურქესტანში აჯანყების დაწყების შემდეგ, ამ ჯარების უმთავრეს ცენტრად შეიქმნა ბაქო და მისი მიდამოები; ამან გამოიწვია ჯარების შემცირება საქართველოში და ეხლა სხვა და სხვა წყაროების ცნობების მიხედვით სულ საქართველოში რიცხვი რუსეთის ჯარების ხიშტებისა არ აღემატება 10 000-ს. მათ შორის ყველაზე უფრო სერიოზულ ძალას წარმოადგენენ კურსანტები, რომელთა რიცხვი უდრის დაახლოვებით ორი ათას ხიშტს და რომელნიც იმყოფებიან ამჟამად თფილისში, გურიაში და ბათუმში. ამათ გარდა კარგად იბრძოლებენ კომუნისტური რაზმები; რაც შეეხება წითელ არმიელებს, მათი განადგურება შედარებით იოლი იქნება, ვინაიდგან არც სულიერი განწყობილება, არც დისციპლინა და არც სამხედრო მომზადება მათი არ არი დაყენებული შესაფერ ნიადაგზე. ჩეკის ნაწილები, საგანგებო რაზმები და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები ჩვენში, როგორც სჩანს ცნობებიდან, არ არიან კომუნიზმისათვის მაინც და მაინც თავდადებულნი. უმთავრესს ცენტრებს როგორც პოლიტიკურად ისე ჯარების დაგროვების მხრით წარმოადგენენ თფილისი და ბათუმი.

აქვე უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რუსეთს ყოველთვინ შეუძლია გააძლიეროს ჯარის რიცხვი საქართველოში, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: 1) საიდუმლოების დაცვას, რათა ეჭვი არ აიღონ გამოსვლის შესაძლებლობაზედაც კი, 2) მეზობლების (ყაზახობა, მთა, აზერბაიჯანი და სომხეთი) ჩვენთან ერთად გამოსვლას, 3) საქართველოს საზღვრების თავიდანვე შეკვრას (გაგრის მიდამოები, კლუხორის უღელტეხილი, დვალეთი, დარიალის ხეობა, ზაქათალი, ფოილოს, ევლახის, წითელი და შაგალის ხიდები) და 4) ოსმალეთის ყოფაქცევას ჩვენი გამოსვლის დროს.

თუ ყველა ეს პირობები იქმნა დაცული, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გამოსვლა გაიმარჯვებს, კავკასიონის ქედის საშვალებით, თუ კი შესაფერი იარაღი და სხვა მატერიალური საშვალებები იქმნა, იოლი გახდება შექმნა მთლიანი რუსეთის საწინააღმდეგო ფრონტის, მით უმეტეს, რომ რკინის გზების უსაშინელეს მდგომარეობის გამო, რუსეთი ჩქარა ვერ შესძლებს საკმარისი ჯარის დაგროვებას ჩრდილო კავკასიაში. გავა რამდენიმე თვე მაინც. ამ ხნის განმავლობაში ჩვენც გავმაგრდებით და მოკავშირე სხვა ძალებს საშუალება ექნებათ იმოქმედონ ჩვენ სასარგებლოთ.

საქართველოს ეროვნული არქივი

II საიდუმლოება

შეთქმულების უდიდესი საფუძველი არის კონსპირაცია ე. ი. საიდუმლოების დაცვა. თუ ეს არ იქმნა დაცული შეთქმულება არამცთუ რაიმე შედეგს მოიტანს, არამედ საბოლოვოდ დაღუპავს ყველა მონაწილეებს, გაანადგურებს ხალხს და დაუკარქავს მას ყველანაირ იმედს და საშვალებას. ეს გარემოება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჩვენ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ ვიცით თუ რა ფართო ხასიათი აქვს ბოლშევიკების შპიონაჟს და რა ენა დიდია ხან და ხან უნებლიედაც ქართველი ხალხი.

ამიტომ საჭიროა ჩვენ პირობებში შემდეგი ზომები: 1) არაქართველს ჩვენ მთავარ საიდუმლოებებში მაინც ვერ გავინდობთ, ვინაიდან უნდა გვახსოვდეს რომ ჩვენი საკითხი ძალიან გადახლართულია ნაციონალურ საკითხთან და ბევრ სხვა ნაციებს ჯერ-ჯერობით ეწინააღმდეგება. კი მართალია გვაქვს ცნობები, რომ საქართველოში ამ ჟამად რუსებიც კი არიან ბოლშევიკების წინააღმდეგი, მარა მაინც სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდგან ბოლშევიკები, როგორც ჩვენ ვიცით ფაქტებიდან შოვინიზმს იყენებენ თავის მტრების წინააღმდეგ. ასეთივე უნდა ჩაითვალოს ჯერ-ჯერობით სომხების და ოსების მდგომარეობა (როგორც სჩანს საქართველოდან მომავალი ცნობებიდან მათში ბოლშევიკები განსაკუთრებულ ანტიქართულ აგიტაციას ეწევიან, მათ თავის მხარეზე იბირებენ და ალბად უნდათ გამოიყენონ გაჭივრების დროს ჩვენ წინააღმდეგ. ამის ნიშნებია სომხის ელემენტების გაბატონება თფილისში და აღმოსავლეთ საქართველოში, ოსეთის ავტონომია მისი ჯარით და სხვა). უფრო სანდო უნდა გამოდგენ თათრები, თუ ოსმალეთი არ იქნა ჩვენ წინააღმდეგ. ამ მხრივ ევროპიელებშიც შეგვიძლია დავენდოთ მხოლოთ ფრანგებს და პოლონელებს. თვით ქართველებშიაც დიდი სიფრთხილეა საჭირო: გამოდგებიან ძველი პარტიული მუშაკები, დევნილი ამჟამად მოქალაქეები და პატრიოტიზმით აღჭურვილი სამხედრო პირები. 2) გარკვევით უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ვის რა საიდუმლოება ენდობა: საერთოთ ყველამ უნდა იცოდეს ის რაც მისთვის დასახული მიზნისთვის არის საჭირო. 3) უნდა იყოს სია თუ ვის რა საიდუმლოება აქვს განდობილი. 4) ასევე თვითეულმა პირმა უნდა იცოდეს აგრეთვე ვის აქვს განდობილი ის საიდუმლოება, რომელიც მას აქვს. 5) საიდუმლოების განდობის დროს უნდა გარკვევით აეხსნას პიროვნებას თუ რა არ უნდა ამოვიდეს მისი პირიდან და რისი თქმა ვისთვის შეუძლია. 6) უნდა იყოს თვითეულ შემთხვევაში გათვალისწინებული, თუ სიმართლის დასაფარავად რა ხმები უნდა იყოს და რანაირად გავრცელებული. 7) ყველა განდობილმა პირებმა უნდა იცოდენ, რომ გაცემისთვის ისინი პასუხს აგებენ თავის და თავის ოჯახის წევრების სიცოცხლით და ამისთვის უნდა იყოს შესაფერი ორგანიზაცია. 8) წერილობითი გადაგზავნილი საიდუმლოების დაცვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი შიფრით, სანდო პიროვნებების არჩევით, შესაფერ გზების გამონახვით და სათანადო ინსტრუქციით წამღებ პიროვნების მიმართ. 9) გარდა ამისა საჭიროა მკაცრი თვალ-ყურის დევნა ყველა განდობილ პიროვნებებზე; ამისთვის უნდა იყოს სპეციალური ორგანიზაცია, განსაკუთრებით სანდოდ და ოსტატურად მოწყობილი. 10) აუცილებელია მუდმივი თვალყურის დევნა მოწინააღმდეგეზე და მის დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანიზაციებზე ხომ არავითარი ცნობა მიუღიათ ან ეჭვი ხომ არ აქვთ რაიმე. აქ გარდა

საქართველოს ეროვნული არქივი

მათი აგენტებზე და შტაბებზე თვალ-ყურის დევნისა ამის ნიშანს მოგვცემს ჯარის გაძლიერება, გადაყვან-გადმოყვანა, უფრო ფრთხილი სამსახური და სხვა. 11) ყველა მონაწილენი უნდა იქმნენ წინასწარ გაფრთხილებულნი, რომ ღალატობისთვის დაისჯება, როგორც წინათ არის ნათქვამი, აგრეთვე ის, ვინც ტყვეთ ჩავარდნილი ან სხვა უბედურობის მიზეზით გასცემს საიდუმლოებას. უნდა იყოს მზად იწამოს, მარა საიდუმლოება არ გასცეს. ბოლოს და ბოლოს სულერთია ეს გამოაშკარავდება და ხალხი გაიგებს და მაშინ ვაი იმას.

III პიროვნული შემადგენლობის თვისებანი

გარდა მკაცრი კონსპირაციის შენახვისა, შეთქმულებაში მონაწილენი, თავიდან მაინც, უნდა იყვენ განუსაზღვრელად თავდადებულნი: მათი დევიზი უნდა იყოს „ან გამარჯვება - ან სიკვდილი." ამიტომ ყველაზე უფრო გამოსადეგი ჩვენ პირობებში იქნებიან პოლიტიკური რწმენით და პატრიოტიზმით აღფრთოვანებული მოქალაქენი. სხვა რაიმე მიზნებთა მიმდევარნი (მაგალითად: პირადი თავმოყვარეობა, სახელი, მატერიალური უპირატესობა და სხვა) პირველ ხანებში საქმეს მხოლოდ ავნებენ და არა ასარგებლებენ. მე ვგულისხმობ შეთქმულების და პირველ დაკვრის ხანას; შემდეგში რასაკვირველია ქვეც უნდა ვაიძულოთ ყველა, რომ თავი შესწირონ რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის. სხვა ერების შესახებ მე უკვე ნათქვამი მაქვს პირველ თავში, როდესაც საერთო კონსპირაციაზე ვლაპარაკობდი. ამასთან ერთათ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში რომ შეძლების და გვარათ, თვითეულ პიროვნებას მიენდოს ის საქმე, რაზედაც მას გული უდევს და რის გაკეთება მართლაც შეუძლია მისი ნიჭის, ცოდნის და გამოცდილების მიხედვით. ამ გარემოებას საერთოთ არ აქცევენ ყურადღებას; ნამდვილათ კი ამას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს.

IV წინასწარი მზადება, მომუშავე ორგანოების მოწყობა და ძალების ორგანიზაცია

თანამედროვე მაგალითებმა ჩვენ აშკარად დაგვიმტკიცა, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვთ ერთი მეორეში სამხედრო მოქმედებას, შინაურ და გარეშე პოლიტიკას და ეკონომიურ საკითხებს. ცხადია, რომ ამ საკითხების შეუთანხმებლობამ დაღუპა დიდი ომის დროს რუსეთი და გერმანია მისი მოკავშირეებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის შეთანხმებას ყველა საფეხურზე შეთქმულების დროს. ყველა ამ საკითხებს უნდა ყავდეს თავისი გამგე ორგანო და ყველა ეს ორგანოები უნდა იქმნენ შეერთებული ერთ ორგანოთ სხვა და სხვა საფეხურზე. ამისთანა ორგანოები უნდა არსებობდენ: პარიზში, სტამბოლში, სადმე უფრო ახლოს საქართველოს საზღვრებთან, საქართველოში, თვითეულ მაზრაში, თფილისში და ბათუმში. ყველა ადგილობრივ ორგანოებს ხელმძღვანელობს საქართველოში მყოფი საერთო ორგანო; ამას კი უნდა ქონდეს მუდმივი კავშირი უახლოეს საზღვარგარეედ მყოფ ორგანოსთან. კავშირი შიგნით ერთმანეთთან და შიგნიდან საზღვარგარეთთან უნდა იყოს მოწყობილი ორი-სამი გზით და მიმართულებით, რომ კავშირი არ შეწყდეს.

საქართველოს ეროვნული არქივი

პარიზის ორგანო უნდა იყოს უზენაესი ხელმძღვანელი საქართველოს საქმეების; ყველანი ყველაფერ საკითხში მას უნდა ექვემდებარებოდნენ (როგორც ეს ფაქტიურათ ეხლა უკვე არი). მისი მოვალეობა არი: 1) საერთოთ უმზადოს ნიადაგი საქართველოს საკითხს მთელ დედამიწაზე; 2) გამოარკვიოს საქართველოს საკითხთან დამოკიდებულება ამა თუ იმ სახელმწიფოსი; 3) გაიჩინოს მატერიალური წყაროები როგორც თანამედროვე მუშაობისთვის, ისე საქართველოს გათავისუფლებისთვის იარაღი და სხვა მოწყობილობა ჯარის და შემდეგ მისი ეკონომიური საკითხების შესაფერ ნიადაგზე დაყენებისთვის; 4) დაიკავოს კავშირი და შეუთანხმოს თავისი მოქმედება და განსაკუთრებით გამოსვლის დრო სხვა ანტიბოლშევიკურ ძალებთან; 5) აძლიოს შესაფერი ინსტრუქციები როგორც სხვა, ისე ადგილობრივ ორგანოებს მუშაობისთვის და ქართველი ერის გასამხნევებლად; 6) შეისწავლოს სახელმწიფოებრივი საკითხები სხვა და სხვა კულტურულ სახელმწიფოებში. სტამბოლის ორგანოს მოვალეობას უნდა შეადგენდეს: 1) თვალყურის დევნა საქართველოზე და იქიდან ყოველნაირი ცნობების მიღება; 2) თვალყურის დევნა და ცნობების შეკრება ყაზახობაზე, მთაზე, აზერბაიჯანზე, სომხეთზე და ოსმალეთზე; უკანასკნელზე როგორც სტამბოლში ისე ანგორაში; 3) სტამბოლში მყოფ უმაღლეს კომისრებთან და რუსეთის საკითხით დაინტერესებული სახელმწიფოების წარმომადგენლებთან კავშირის დაკავება; 4) აზერბაიჯანის, სომხეთის, მთის, კაზაკობის და უკრაინის ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციებთან შეძლების და გვარათ მჭიდრო კავშირი მუშაობისათვის.; 5) კონსტანტინოპოლის ბაზრის შესწავლა: ვისგან, რის და რა ფასებში შეძენა შეიძლება, ყოველმხრივი წინასწარი მზადება ამ საკითხის ნიადაგის; 6) ბოლშევიკურ ორგანიზაციების მუშაობაზე თვალყურის დევნება; 7) საქართველოს რუქების შეძენა-დამზადება.

თუ შევძელით სადმე ახლოს საქართველოს საზღვართან შექმნა ორგანოსი, იმის მოვალეობა იქნება უფრო მჭიდრო კავშირის დაკავება ერთის მხრით საქართველოში მყოფ მთავარ ორგანოსთან და მეორე მხრით სტამბოლში მყოფ ორგანოსთან. მე ამ ორგანოს ვაძლევ დიდ მნიშვნელობას იმიტომ, რომ ეს ორგანო უფრო დაწვრილებით და მუდმივ გაცნობილი იქნება ყოველდღიურ მდგომარეობას საქართველოში, შესძლებს უფრო გულდასმით და თავისუფლად აწონ დაწონას ამ მდგომარეობისას და შესაფერი რჩევის მიცემას, ვიდრე საქართველოში არა ლეგალური მუდმივ საფრთხეში მყოფი ორგანო; ამასთან ერთათ ამ ორგანოს უფრო თავისუფალი და მუდმივი კავშირი ექნება სტამბოლის ორგანოსთან და მაშასადამე უფრო დაწვრილებით იქნება გაცნობილი საერთო მდგომარეობას, რასაც ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში ექნება უდიდესი მნიშვნელობა.

საქართველოში მყოფ მთავარ ორგანოს მოვალეობას შეადგენს: 1) ხალხის გამხნევება და მისი სულისკვეთების გამაგრება; 2) ადგილობრივი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა; 3) ბოლშევიკური ძალების შესწავლა და ამ მიზნისთვის ყველა მათ ორგანოებში თავის კაცების ყოლა; 4) გამოსვლის გეგმის დაწვრილებითი შემუშავება და მისი ხელმძღვანელობა; აქ უნდა იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი მატერიალური შესაძლებლობის გამოყენება და, თუ შესაძლებელი იქმნება, მისი დაგროვება ხელსაყრელ რაიონებში; 5)

საქართველოს ეროვნული არქივი

ყაზახებთან, მთასთან, აზერბეიჯანთან და სომხეთთან კავშირის დაკავება და მათი ხელმძღვანელობა ორგანიზაციულ საკითხებში; 6) მოწინააღმდეგის ძალების გახრწნა; 7) რუქების და სხვა სამხედრო სახელმძღვანელოების შეძენა-დაგროვება.

ადგილობრივი მაზრების და ქალაქების ორგანოები, თანახმად მთავარი ორგანოს ინსტრუქციებისა, უნდა ასრულებდენ თავის რაიონებში იმასვე, რასაც მთელ საქართველოში ასრულებს მთავარი ორგანო; გარდა ამისა მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს გამოსადეგ მებრძოლთა სიების შედგენა აღნიშვნით თუ ვინ რა დარგის ჯარშია გამოსადეგი, ცხენების, ხარების და ურმების აღნუსხვა. მათვე უნდა დაევალოს აღნუსხულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მორალური და ტექნიკური ხელმძღვანელობა, რამაც უნდა ჩაუნერგოს მათ გულში თავდადებულობა, საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლის აუცილებლობა და გააცნოს ისინი პირობების მიხედვით მოქმედებას, მტრის ძალა-მდგომარეობის და მისი მოქმედების შესაძლო ხერხებს.

შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია უნდა დამყარდეს შემდეგ საფუძვლებზე:

უნდა შეიქმნას ერთი „საქართველოს განმანთავისუფლებელი ლაშქარი", რომლის მთავარი ხელმძღვანელობა იქნება საქართველოს მთავარ ორგანოსთან. სამხედრო ორგანოები, დაქვემდებარებულნი მთავარ ხელმძღვანელობას, მოეწყობიან მაზრების და ქალაქების ადგილობრივ ორგანოებთან. თვითეულ ადგილობრივ ორგანოს რაიონში, იმის და მიხედვით თუ რამდენი სანდო და გაწვრთნილი მოქალაქე ეყოლებათ მათ, უნდა შეიქმნენ ცალკე ბათალიონები; თვითეული ბათალიონის შემადგენლობა დაახლოვებით: სამი-ოთხი ქვეითა გუნდი, 150 კაცი თითოში; ტყვიისმფრქვეველთა გუნდი 6-8 ტყვიისფრქვევლით; მზვერავთა გუნდი დაახლოვებით 100 კაცი, მათ შორის არანაკლებ მესამედი ცხენოსანნი; კავშირის გუნდი, სადაც უნდა იქმნენ ტელეფონისტები, ტელეგრაფისტები, მოტოციკლისტები და ველოსიპედისტები, 12-15 ცხენოსანნი; პირველ ხანებში ბათალიონებიდანვე უნდა დაარსდეს საპიორთა ჯგუფი. ამნაირად ბათალიონების ორგანიზაციის დროს უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს სამნეო და სანიტარული ნაწილების მოწყობას მათში. გარდა ამისა საჭიროა, რომ თვითეულ ბათალიონს ორი ზარბაზნის ორგანიზაცია ჰქონდეს, რომ მზად იყოს შოვნისთანავე ისინი გამოიყენოს. არტილერიის გამოყოფა შეიძლება მერმე, თავიდან კი იმათი ბუდეც უნდა იქმნეს ბათალიონებთან; რასაკვირველია ზოგიერთ სპეციალურ შემთხვევისთვის დაგვჭირდება თავიდანვე ვიყოლიოთ ცალკე ჯგუფები არტილერიისთვის, ჯავშნიანი მატარებლებისთვის, ავტომობილებისთვის და სხვა. ეს დამოკიდებულია ადგილობრივ მდგომარეობისაგან. თუ კი შესაძლებელი იქნება სასურველია, რომ სამი-ოთხი ბათალიონი შეადგენდნენ ბრიგადას და მათი ხელმძღვანელობა თავმოყრილი იყოს ერთი უფროსის ხელში. ეს მთავარ ორგანოს გაუადვილებს მართვა-გამგეობას.

ყველა ამ მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სურსათ-სანოვაგის და ტანფეხის საკითხს: უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უნდა

საქართველოს ეროვნული არქივი

თავდადებული იყოს კაცი, მშიერი და შიშველი დიდხანს ვერ იბრძოლებს, ავათ გახდება და ზედმეტ ბარგათ გადაიქცევა. უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს პატრონების ეკონომიის ახსნა-განმარტებას; შორიდან ნასროლი ტყვია მიზანს ვერ ახწევს, როდესაც იგივე ტყვია არა უშორეს 600 ნაბიჯისა ნასროლი უსათუოთ მიზანს მიახწევს.

ჩვენი გამოსვლის აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ: 1) დამთავრება წინასწარი მზადებისა და 2) გამოსვლისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელი მომენტის შერჩევა.

წინასწარი მზადება უნდა გამოიხატებოდეს: ა) ევროპის დემოკრატიაში და მთავრობებში თანაგრძნობის მოპოვებაში; ბ) თუ შესაძლებელი იქნება, რომელიმე ძლიერ სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირის დაკავებაში; გ) ყველა ანტიბოლშევიკურ აქტიურ ძალებთან შეკავშირება და ერთათ მოქმედებაში; მათ შორის აუცილებელია ერთად მოქმედება ყაზახებთან, მთიელებთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან; დ) ოსმალეთის თუ არა დახმარების, ნეიტრალიტეტის მაინც მოწყობაში, გარდა ამისა ოსმალეთმა თავისი ორგანიზაციების საშვალებით კავკასიის მუსულმანებში არ უნდა შეუშალოს ხელი მათ აქტიურ გამოსვლას ბოლშევიკების წინააღმდეგ; ე) საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში საჭირო ორგანიზაციული სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა; ვ) შეიარაღებულ ძალებისთვის იარაღ-ტანფეხ-სურსათის დამზადებაში, რომ ორი კვირის განმავლობაში გამოსვლის შემდეგ ის უნდა იყოს უკვე საქართველოში.

რაც შეეხება გამოსვლის მომენტს, უნდა ითქვას, რომ ამ გამოსვლას თან უნდა ახლდეს საერთო გამოსვლა ყველა ანტიბოლშევიკურ ძალებისა, ან და ჩვენი გამოსვლა უნდა შეიქმნეს საბაბი ამ გამოსვლისა. თუ ეს ასე არ მოხთა და რუსეთს მიეცა საშუალება ყველა თავისი ძალები მოაყაროს, მდგომარეობა სერიოზული იქნება თუ გინდ მთელი კავკასია ფეხზე დადგეს. პოლიტიკური გამოსვლა და ძალების დემონსტრაციები მაინც უნდა მოხთეს, რომ აიძულოს ბოლოს და ბოლოს რუსეთი ერთნაირი მოლაპარაკება მაინც ჩამოაგდოს საქართველოსთან და კავკასიის სხვა გამოსულ ერებთან. თუ ესეც არ მოხდა, რასაკვირველია კავკასიის და ამიერკავკასიის ერებს შეუძლიათ კავკასიონის ქედის საშუალებით ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს, მაგრამ იმ პირობებში თუ სამხედრო და მატერიალური დახმარება მიიღებს ფართო ხასიათს; გაწვრთნილი ცოცხალი სამხედრო ძალა ამ ერებს საკმარისად მოეპოვებათ: თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი რიცხვი აღემატება ნახევარ მილიონს.

ამრიგად წინასწარი მომზადება უნდა გამოიხატოს: 1) ევროპის დემოკრატიის და მთავრობების თანაგრძნობის მოპოვებაში; 2) ქართველი ერის ანტიბოლშევიკური სულისკვეთების განმტკიცებაში; 3) მეზობლებთან და ყველა ანტიბოლშევიკურ ძალებთან შეკავშირებაში და შეძლების და გვარად მათთან საერთო გამოსვლის გეგმის შემუშავებაში; 4) თვით საქართველოში შესაფერი ორგანოების და შეიარაღებული ძალების მოწყობაში; 5) მატერიალური ნამდვილი სანდო წყაროების აღმოჩენაში; 6) გამოსვლისთვის შესაფერ მომენტის გამორჩევაში.

საქართველოს ეროვნული არქივი

V მტრის და ადგილმდებარეობის შესწავლა-დაზვერვა

ზედმეტია მასზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგის შესწავლა-დაზვერვას და ადგილმდებარეობის ცოდნას. მხოლოდ ამ ცნობების მიხედვით შეიძლება დამუშავდეს გეგმა გამოსვლის და რასაკვირველია, თუ ეს ცნობები არ იქმნენ სრული და სწორი, ყოველნაირი გეგმა იქნება დამარცხებული. ეს არი საქმე წინასწარი მუშაობის და ამის შესწავლისთვის არაფერი არ უნდა დაიშუროს. ამ საქმეს უნდა აწარმოებდეს საქართველოში როგორც მთავარი ორგანო ისე უფრო დაწვრილებით ადგილობრივი ორგანოები; ნუ დავივიწყებთ, რომ საზღვარგარეთაც შეიძლება საერთო მასშტაბის ცნობების შეკრეფის, რომელნიც გააშუქებენ მდგომარეობას საქართველოს ირგვლივ და საერთო ძალებს რუსეთისას, მაგალითად სიდან რა ძალების მოყვანა შეუძლია რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ. მთავარი საშვალებანი დაზვერვის არიან თვალყურის დევნა ადგილობრივ, აგენტების გაგზავნა საინტერესო რაიონებში და ჯაშუშების დაქირავება ბოლშევიკების ორგანიზაციებში, განსაკუთრებით შტაბებში; მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ამ ჟამად რუსეთში ფულის საშვალებით ყველაფერი ამის მოწყობა იოლია. საჭიროა, რომ ერთსა და იმავე საგანზე მუშაობა სწარმოებდეს რამოდენიმე მიმართულებით, რომ შესაძლებელი იყოს ცნობების კონტროლი. მეორე მხრივ უნდა გვახსოვდეს, რომე ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს განუწყვეტლივ.

აუცილებელია მუდმივი ცნობების ქონა და თვალყურის დევნა შემდეგ საკითხებზე:[153]

VI ხალხის დამზადება

VII მოწინააღმდეგის გახრწნა[154]

VIII გამოსვლის გეგმა

სამხედრო მოქმედების გეგმა უნდა ემყარებოდეს: ჩვენ მიზანზე, ჩვენ ძალებზე, მოწინააღმდეგის ძალებზე და ადგილმდებარეობაზე. ყველა ეს საგნები უნდა იყვნენ დაწვრილებით შესწავლილი, გათვალისწინებული და აწონ-დაწონილი. ამიტომ ძნელია აქ ამ გეგმის დაწვრილებითი შემუშავება, მაგრამ საერთო აზრების გამოთქმა შესაძლებელია და აუცილებელი.

ჩვენ მიზანს უნდა შეადგენდეს: ამიერკავკასიის და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთების, თერგამდი მაინც, გათავისუფლება ბოლშევიკებიდან.

თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილ-მდებარეობის, მოწინააღმდეგის ძალების და გაძლიერების შესაძლებლობას და ადგილობრივი ხალხის სულისკვეთას, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ შეგვიძლია მიზანს მივახწიოთ, მხოლოდ საჭიროა მეტი გამაგრება და გაძლიერება საქართველოში არსებულ ორგანიზაციების, მეტი კავშირი და უფრო ენერგიული მუშაობა აზერბეიჯანში, მთაში, ყაზახებში და სომხეთში ორგანიზაციების შესაქმენალად და გასაძლიერებლად და იარაღის დამზადება ამ ერების შეიარაღებული ძალების გაფართოებისთვის პირველ დაკვრისთანავე. კავკასიონის ქედი გვაძლევს

153 დოკუმენტის ეს ნაწილი აქ წყდება - **გამომცემლები.**

154 მეხუთე და მეექვსე პუნქტების მხოლოდ სათაურებია - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

საშვალებას მხოლოთ ოთხი მიმართულებით ბრძოლისას; ესენი არიან: სოჭის, კასარის, დარიალის და პეტროვსკის მიმართულებანი; დანარჩენი ფრონტი თითქმის სრულებით უზრუნველყოფილია მოწინააღმდეგის გადმოლახვიდან, მითუმეტეს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ყველგან ჩვენი იქნებიან.

თუ კი მტერმა ვერ გაიგო გამოსვლისთვის დანიშნული დრო და ვერც გამოსვლის სურვილზე და მზადებაზე ვერ აიღო ეჭვი, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალები ამიერკავკასიაში ორ-სამ დღეში იქნებიან განადგურებული. ამავე დროს შეიძლება ისე ჩაიკეტოს წინად ნახსენები მიმართულებანი, რომ მტერი ჩრდილოეთიდან ვერაფერს გვიზამს პირველ ხანებში; მხოლოთ ოსმალეთის პოზიცია უნდა იქმნეს გარკვეული და მან ზურგში არ უნდა დაგვკრას; თუ ეს მოხთა მაშინ ჩვენი გამოსვლა უშედეგო იქნება. მაშასადამე რუსეთს დასჭირდება უკრაინიდან და შიგნი რუსეთიდან ჯარის ჩამოყვანა როსტოვ-ვლადიკავკავის და ცარიცინ-ტიხორეცკის რკინისგზებით; ჩრდილო კავკასიაში მას ჯარი ცოტა ყავს (ოთხი ცხენოსანი და ერთი-ორი ქვეითთა სუსტი დივიზიები) და ვერც მათ მოხსნას შესძლებს თუ ყაზახობაში დაიწყო მოძრაობა; ამ მოძრაობის გაფართოებას უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება და ერთ-ერთ მის მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს რკინის გზების განადგურება. ამ პირობებში, თუ მივიღებთ მხედველობაში თანამედროვე მდგომარეობას რუსეთის რკინის გზებისას, მას დაჭირდება არა ნაკლებ ორი თვის, რომ შესაფერ ძალებს მოუყაროს თავი ჩრდილო კავკასიაში, ამ ხნის განმავლობაში კავკასიის ერებმა შესაძლებელია თუკი მატერიალური დახმარება ექმნათ გამოიყვანონ არა ნაკლებ 200 000 ჯარისა, რასაც შეუძლია კავკასიონის ქედის და აქტიური მოქმედების საშვალებით სრულიად უზრუნველყოს კავკასიის რესპუბლიკები.

იარაღის მომარაგებას მე ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ, რომ, თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ ცნობებს საწყობების გატანის შესახებ ამიერკავკასიიდან, ჩვენ გამოსვლის დროს შესაძლებელია ბევრი იარაღი ხელში ვერ ჩავიგდოთ; უიარაღოთ კი ხომ ბრძოლა არ შეიძლება.

დაკვრის საბოლოო გეგმის შემუშავებამდი უნდა დაწვრილებით გათვალისწინებულ იქმნეს ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე ძალების კომბინაციები. რუსის ჯარებზე ჩვენ უკვე ვთქვით, მაგრამ მე მინდა აღვნიშნო აქ სომხების და ოსების როლი. ნუ დავივიწყებთ, რომ სომხები და ოსები წინადაც და ამ რევოლუციის შემდეგაც იყვნენ ის ელემენტები, რომლებითაც შავი და წითელიც რუსეთი ჩვენ გვებრძოდა. ეხლაც ეს ერები ბოლშევიკებმა გააბატონეს აღმოსავლეთ საქართველოში და ალბათ ისინი მათ ერთგულ ყმებად დარჩებიან, ამიტომ ეგრეთ წოდებულ „ავტონომიურ“ ოსეთს და სომხეთს უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება. შესაძლოა ბოლშევიკები ეცადონ მათი ტერიტორიები გადააქციონ თავის ბუდეთ: ამის საწინააღმდეგო ზომები უნდა იყოს მიღებული. ოსეთს, როგორც უშუალოთ გადაბმულს ტერიტორიალურათ რუსეთთან, შეუძლია ითამაშოს დიდი როლი, ამიტომ კასარის და დარიალის ხეობების დაკავებას და აგრეთვე ფოილოს, წითელი და შაგალის ხიდების შეკვრას ექნება დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის.

რაც შეეხება თვით დაკვრას, ეს უნდა მოხთეს ერთსა და იმავე დროს მთელ ტერიტორიაზე; თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

საქართველოს ეროვნული არქივი

თფილისს, ბათუმს, ბაქოს, ერევანს, განჯას, სოჩის მიდამოებს, კასარის და დარიალის ხეობებს და პეტროვს-დერბენდის მიმართულების ჩაკეტვას. ყველა ჩვენ ორგანიზაციებს უნდა ქონდეს დანაწილებული მიზნები მოქმედების და ამისთვის საჭირო ძალები; ყველგან უნდა იყოს პასუხის მგებელი მეთაური პირი ან ორგანო. თვითეულ პუნქტში მოქმედების გეგმა დამოკიდებულია ამ მეთაურ ორგანოსგან ან პიროვნებისგან; მაგრამ ყველამ უნდა იქონიოს მხედველობაში მნიშვნელობა მტრისთვის კავშირის მოსპობის და პირველ ყოვლისა მის მეთაურების და შტაბების განადგურება, რომ მოწინააღმდეგის ძალები დარ-ჩენ უხელმძღვანელოთ. რკინის გზების და ფოჩტა-ტელეგრაფების ხელში ჩაგდება უნდა იყოს ერთი მთავარ მიზანთაგანი. გარდა ამისა, ალბათ ყოველგან ბოლშევიკურ გარნიზონებს აქვთ შემუშავებული გეგმა თავის მოქმედების აჯანყების დროს, საქართველოში მათთვინ არსებული პირობების მიხედვით არ შეიძლება, რომ მათ ამისთანა გეგმა არ ქონდეთ. დიდი მნიშვნელობა ექნება ამ გეგმების ხელში ჩაგდებას: ეს აშკარათ გახთის ჩვენთვის მათ ზომებს და მათი თავიდანვე ჩაფუშვა ჩვენთვის იოლი იქნება, რაც სრულებით დაუბნევს მათ თავს. ასე რომ ამ საკითხს ყველა პუნქტებში უნდა მიექცეს ჩვენი ორგანიზაციებიდან შესაფერი წინასწარი ყურადღება.

IX გამოსვლის დრო

გამოსვლის დრო დამოკიდებულია ყველა წინასწარ მომზადების დას-რულებაზე. შესაფერ საერთაშორისო მდგომარეობაზე და ხალხის სულისკ-ვეთაზე. ესე იგი: 1) მჭიდრო შეკავშირება მეზობლებთან და მათშიც ისეთივე ორგანიზაციების მოწყობა როგორც საქართველოში; 2) იარაღის და სხვა სამხედრო მასალების დამზადება; 3) ოსმალეთთან საკითხის გამორკვევა; 4) საერთო აგრესივობის საკითხის მომწიფება ბოლშევიკების წინააღმდეგ.

რაწამს ყველა ეს საკითხები იქნებიან მოწესრიგებული, მეტი ცდა და დროს დაკარგვა მხოლოდ მავნებელი იქნება, ვინაიდგან ქვეყანა დღითი-დღე უფრო ნადგურდება; ხალხიც შესაძლებელია მოთმინებიდან გამოვიდეს და მოწინააღმდეგესაც შეუძლია რაიმე ეჭვი აიღოს და წინასწარი ზომები მიიღოს.

რაც შეეხება წლის დროს გამოსვლის საკითხში, რასაკვირველია საერთო მდგომარეობის მიხედვით, მას დიდი ანგარიში ვერ გაეწევა; ისე კი სასურველია გამოსვლა მოხთეს, როცა სოფლის ხალხი უფრო თავისუფალია მუშაობიდან. ამისთანა დროთ ჩვენში უნდა ჩაითვალოს მოსავლის მილაგების შემდეგ; მით უმეტეს რომ ამის შემდეგ ზამთარში უღელტეხილები ჩაიკეტება, რაც გაუადვილებს ამიერკავკასიას ზამთარში ბრძოლას და შექმნას ჯარებისას გაზაფხულამდი, როდესაც ბრძოლა უფრო მკაცრ ხასიათს მიიღებს.

X პირველი დაკვრის შემდეგ მუშაობა

განმანთ ლაშქარი:
შემ. 1922 წ = 97, 98, 99, 900, 901, 902 წ.
გაზაფხული 1923 = 97, 98, 99, 900, 901, 902 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი

შემოდ. 1923 = 901 და 902 წ. – 1903 წ.

შემოდ. 1924 = 1903-1904 წ.

ოდიშელიძე, მდივანი, გედევანიშვილი, კვინიტაძე, ჯაფარიძე, ჩიქოვანი, ფურცელაძე, ვაჩნაძე იასე, გრიგოლია, ვაჩნაძე დათა, ქუთათელაძე, ყაზბეგი, გედევანიშვილი, ზაქარიაძე, გედევანიშვილი, ნაცვლიშვილი, ჯიჯიხია, ცხაკაია, ფურცელაძე, თაყაიშვილი, გურამიშვილი, კანდელაკი, ვახვახიშვილი, გოგიტიძე, ყიფშიძე, ციციშვილი, მენთეშაშვილი, თათარაშვილი, მაზნიაშვილი, წულუკიძე ვარდ., ართმელაძე, გედევანიშვილი, კონიაშვილი, ბაქრაძე, არჯევანიძე, ციციშვილი, სუმბათაშვილი, ფურცელაძე კომენდ. ბათ., ვაშაკიძე, ფურცელაძე, მაჭავარიანი, თავაძე, ჩხეიძე - სკოლა, ქვიქვიძე, ვაჩნაძე კოლია, სრესელი, მშველიძე, ქარცივაძე, საგინაშვილი, გეგელაშვილი.

21 ქვეითა ათასეული = 7 ბრ.

6 სანაპირო ათასეული = 1 ბრიგ.

ცხენოსანი ბრიგადა = სამი ცხენ. ლეგიონი და ერთი ბორჩალ. კადრული ცხენ ლეგიონი.

7 არტილ. ბათალიონი - 4 ბატარ. = 3 სამთო, ერთი საველე.

ერთი ცხენოს. არტილ. ბათალიონი = სამი სამთო ბატარეია.

საარმიო არტილ ბრიგადა

საინჟენ-სატეხნიკო ბრიგადა = საპიორთა, ტელეგრაფ-ტელეფონისტთა, საავტომობილო და საავიაციო ბათალიონები.

9 დივიზია - 27 ლეგიონი - 81 ბათალიონი = 60 000 ხიშტი = 486 მძიმე და 486 მსუბუქი ტყვიისმფრქვეველი.

60 000 ხიშტი, 992 ტყვიისმფრქვეველი. 160 ზარბ.

2500 ცხენ და 24 ---------- 12 ზარბ.

4 ბრონეპოეზდი

8 ტანკი

16 ჯავშნიანი ავტომობილი

16 აეროპლანი

არმიის არტ. ბრიგ = 4 ბათალიონი

1 ბათალ = 3 ბატარეია სამთო

1 ბათალ = 3 ბატარეია საველე

1 ბათალ = 4 ბატარეია 48 ხაზიანი

1 ბათალ = 2 ბატ. 6 დიუმ., 1 ბატ - 42 ხაზ. და 1 ბატ. აეროპლ საწინააღ.

10 000 არტ.+95 000 ქვეითა +5000 კავ. +10 000 ინჟ. = 115 000 / 120 000 – 13 000 ზურგი/ 133 000 +27 000 =160 000

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 58, ფურცლები 2-4; 12-32.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის თბილისის კომიტეტის მიმართვა ქართველ მუშებს 1922 წლის 1 მაისი

პირველი მაისი

ეს მეორე პირველ მაისს ხვდება საქართველოს მშრომელი ხალხი - უცხო ძალთა მიერ ფეხქვეშ გათელილი და იძულებით დადუმებული. რუსის ხიშტი და ის მოღალატე მოსყიდული ქართველები, რომელნიც ხელს უწყობენ შავი რუსეთის საბოლოოდ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებას - ამ დღესაც ალბად იდღესასწაულებენ და გამოაცხადებენ, რომ მათგან დაპყრობილი, გაძვალტყავებული და შიმშილში ჩავარდნილი ქართველი მშრომელი ხალხი კმაყოფილია და რუსის ჯარის ხიშტს ფიცულობს, მას ეტრფის. მაგრამ უკვე დიდი ხანია ისინი მთლად გარიყულნი არიან. მათ შეუძლიანთ უხეში ძალით დროებით ჩააჩუმონ მშრომელი ხალხი, მაგრამ ვერასოდეს დაეპატრონებიან მის თავისუფალ სულს, მის შეგნებას, რომელიც აუცილებლად მოსთხოვს მათ შესაფერ პასუხს.

პირველი მაისი საერთაშორისო მუშათა დღესასწაულია, მისი სოლიდარობის, მისი ძლევამოსილობის დემონსტრაციაა. რა ბედის დაცინვა არის ის, რომ ამ დღესასწაულს ეპოტინებიან რუსის ბოლშევიკები, რომელთაც გააპარტახეს თავისი ქვეყანა, მოსპეს პროლეტარიატი და გადიქცნენ ერების მესაფლავეებად. მათი ბუნება სიცრუე და სიყალბეა, მათი მოქმედება მუხანათური და მშრომელი ხალხის აღმომფხვრელი. ისინი ცდილობენ მოატყუონ მთელი ქვეყანა, ვითომ მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა სწადიანთ. მაგრამ ამ ჰოტენტოტებს ეს ფრონტი რუსეთსა და საქართველოში კი არ სწადიანთ, არამედ საზღვარ-გარედ, სადაც მათ აღარავითარი გავლენა არა აქვთ, რადგან იქაც ხომ რუსის ხიშტი არ მეფობს. მთლიან ფრონტზე გალობენ ეს ვაჟბატონები მაშინ, როდესაც რუსეთის და კერძოდ საქართველოს ციხეები სავსეა როგორც თვით საუკეთესო მუშებით, ისე მათი წინამძღოლებით. მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: საქართველოში უკვე არსებობს მუშათა მთლიანი ფრონტი და ეს ფრონტი მიმართულია იმპერიალისტ, დამპყრობელ ბოლშევიკების წინააღმდეგ. და ჩვენ ღრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ფრონტი თანდათან უფრო გაძლიერდება, გამაგრდება და გაანთავისუფლებს მშრომელ ხალხს და მთელ საქართველოს იმ ხულიგანებისაგან, რომელნიც მთლად ბურჟუაზიას დაუკავშირდნენ, მაგრამ სოციალიზმის წმინდა დროშას მაინც ეპოტინებიან. ჩვენ ვიცით, რომ ხულიგან-ბოლშევიკების თარეში დიდხანს ვერ გაგრძელდება და ისინი მალე სამარცხვინოდ იქნებიან გაკრულნი. ქართველი მშრომელი ხალხი გულჩათხრობილი, უხეში ძალის მიერ დაუძლურებული, მაგრამ სულიერათ მტკიცე - პირველ მაისს მოიგონებს თავის ნაცად ლოზუნგებს, წყევლა-კრულვას შეუთვლის დამპყრობლებს და მტკიცე იმედით აღჭურვილი, დასძახებს:

გაუმარჯოს მუშათა სოლიდარობას და პირველ მაისს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ძირს მშრომელი ხალხის უდიდესი მტრები და ერების მესაფლავენი - ხულიგან-ბოლშევიკები.

გაუმარჯოს სოციალიზმს და ერთა თავისუფლებას.

საქართ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტიის
ტფილისის კომიტეტი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 11.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე
გაგზავნილი ქართული დელეგაციის მეთაურის აკაკი ჩხენკელის
ანგარიში საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას
1922 წლის 5 მაისი

საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე მოხსენება დელეგაციის თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის მთავრობისადმი

I

თანახმად უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა ამა წლის იანვარს ქ. კანში, საქართველო, როგორც აზიაში მდებარე, არ იქნა მიწვეული გენუის ეკონომიურ კონფერენციაზე.

წინადადება საქართველოს მიწვევის სასარგებლოდ შეიტანა უმაღლესი საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ბრიანმა, მას მხარი დაუჭირეს იტალიის და ბელგიის პრემიერებმა ბონომიმ და ტენიუსმა, მაგრამ დიდ ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა წინ აღუდგა ამას იმ მოსაზრებით, რომ საქართველო აზიაშია და ჩვენ ევროპის სახელმწიფოებს ვიწვევთ გენუაშიო.

მიუხედავათ კანის დადგენილებისა, გენუის კონფერენციაზე არა ერთხელ დააყენეს საქართველოს საკითხი. საქართველოს დელეგაციამ დიდი შრომა გასწია ამისთვის. როგორც კონფერენციის წევრთა შორის ისე პრესაში. მას, დელეგაციას, დიდი ძალი მასალა ქონდა საქართველოს ყოველმხრივ გასაცნობათ. აღსანიშნავია, რომ ქართველი ერის ბედი დიდ თანაგრძნობას იწვევდა ირგვლივ, პრესა მას საუკეთესო ჰქონდა.

აქვე მოგვყავს ის შემთხვევები, როცა საქართველოს შეეხენ.

არ მოწვეული სახელმწიფოების განცხადებანი

გენუის სახელმწიფოს მომწვევ ანუ მოკავშირე სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და ბელგია) პირველ დელეგატებს ჰქონდათ სამომწესრიგებლო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნენ არ მოწვეულ სახელმწიფოთა განცხადებანი. ამ სხდომაზე, გარდა ჩვენი დელეგაციის განცხადებისა მოხსენებულ იქნა: საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მემორანდუმი და კათალიკოზ ამბროსის წერილი კონფერენციის სახელზე. სხდომამ დაადასტურა კანის დადგენილება და დასძინა, რომ გენუის კონფერენციაზე არ შეიძლება დაისვას ისეთი კითხვები, რომელიც არ მოწვეულ სახელმწიფოებს ეხებაო. რაც შეეხება კითხვას აქვს თუ არა უფლება რუსეთის დელეგაციას საქართველოს და ამერკავკასიის სხვა რესპუბლიკე-ბის (აზერბაიჯანი, სომხეთი) სახელით ილაპარაკოს კონფერენციაზე, გადაეცა განსახილველად სამანდატო კომისიას. ამ კომისიის წევრთა სიაში ბეკზადიანი იყო შეყვანილი რუსეთის მხრიდან.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთის დელეგაციის პრეტენზია საქართველოს წარმომადგენლობაზე

ჯერ კიდევ კანის კონფერენციის შემდეგ რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ოფიციალური ნოტით მიმართა იტალიის მაშინდელ პრემიერ ბონომის, სადაც ის სხვათა შორის ამბობდა, რომ რუსეთის დელეგაციასთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებიც ჩამოვლენ გენუაშიო, მართლაც ჩამოყვნენ რუსეთის დელეგაციას საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ,,პრემიერები" ბუდუ მდივანი, ნარიმანოვი და ბეკზადიანი.

კონფერენციის სეკრეტარიატის მიერ გამოცემული დელეგაციების პირველ სიაში, რუსეთის რუბრიკის ქვეშ ჩიჩერინის, კრასინის, რიკოვსკის, ლიტვინოვის, იოფეს შემდეგ დასახელებული იყვნენ მდივანი, ნარიმანოვი, ბეგზადიანი, როგორც „დამატებითი დელეგატები". იმავე სეკრეტარიატმა გამოსცა მეორე საბოლოო სია დელეგაციების და აქ კი უკანასკნელნი არ იყვნენ სრულად შეტანილი. როგორც გამონაკლისი, ეკონომიურ და ფინანსურ კომისიების წევრთა სიაში ბეგზადიანი იყო შეტანილი რუსეთის მხრივ.

როგორც შემდეგ გამოჩნდა ხსენებული სამი პირს არავითარი მანდატი არ წარუდგენიათ კონფერენციისთვის. ბუდუ მდივანი არ მოითხოვდა კონფერენციაზე დაშვებას როგორც საქართველოს დელეგატი. საქართველოს და სხვა ,,მოკავშირე" რესპუბლიკების მანდატი მინდობილი ქონდა რუსეთის დელეგაციას, როგორც ასეთს და ეს იყო აღნიშნული ხუთი დელეგატის მანდატებში თვითეულისათვის ცალკე. ამრიგათ, მდივანს, ნარიმანოვს და ბეგზადიანს არც რუსეთისგან ქონდათ მანდატი და ამიტომ ამოშალეს ისინი საბოლოო სიიდან.

აქედან ნათელია, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იყო საქართველოს მთავრობის და მის დელეგაციის ცდა, რომ კონფერენციაზე არ დაეშვათ საქართველოს სახელით, როგორც რუსეთის დელეგაცია ისე მისი უსახელო ,,დამატება" ბუდუ მდივანი. ეს უკანასკნელი არა იმისთვის ჩამოვიდა გენუაში, რომ დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ იმისთვის, რომ დაედასტურებინა საქვეყნოთ მისი, საქართველოს რუსეთის პროვინციად ქცევა. ბ. მდივანს და მის ამხანაგებს არავინ არაფერს არ ეკითხებოდა გენუაში, კავკასიის სიმდიდრენი და ავლადიდება გამოქონდათ ბაზარზე კრასინს, ლიტვინოვს ...

სამანდატო კომისიამ არა ერთი სხდომა მოანდომა მანდატების განხილვას, მან სპეციალისტ იურისტებს გადასცა პირდაპირ საქმე გარკვევისთვის, მაგრამ იურისტებმა უკან დაუბრუნეს იგი კომისიას იმ მოსაზრებით, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კითხვა პოლიტიკური ხასიათისააო. კომისიებში დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი თვალსაზრისი: პოლიტიკური და იურიდიულ-ფორმალური. პირველი თვალსაზრისი ამბობდა: რუსეთის დელეგაციას უფლება არ აქვს ილაპარაკოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელით, განსაკუთრებით არ შეიძლება მისი დაშვება საქართველოს სახელით, რომლის კანონიერი მთავრობა ჩვენ ვიცანით იურიდიულათ და რომელიც იძულებულია უცხოეთში იცხოვროს რუსეთის მიერ საქართველოს ძალით

საქართველოს ეროვნული არქივი

დაკავების მეოხებით. მეორე თვალსაზრისი ამბობდა: სამანდატო კომისიას არ შეუძლია შეეხოს პოლიტიკურ კითხვებს, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საქართველო და სხვა რესპუბლიკები არ იყვნენ გენუაში მიწვეული, მაშასადამე არ შეიძლება მათი სახელით რომელიმე დელეგაცია იქნეს საზოგადოდ დაშვებული კონფერენციაზე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კომისია ერთხმად მიემხრო მეორე თვალსაზრისს და იგი დაედო საფუძვლად მის მოხსენებას კონფერენციის საერთო სხდომისთვის, სადაც ის დაადასტურა უკამათოდ.

ამ რიგათ რუსეთის დელეგაციის მანდატი რამდენათაც ის ეხებოდა საქართველოს და მის მეზობელ რესპუბლიკებს თავისთავად გაუქმდა. კომისიის წევრები თანახმანი იყვნენ იმაში, რომ რუსეთის დელეგაციას ვერ მიენდობა საქართველოს წარმომადგენლობა და ისინი კამათობდნენ ამ აზრის ასე თუ ისე დასაბუთების შესახებ.

აქ საყურადღებოა ერთი რამ. კამათის დროს კომისიის ერთმა წევრმა, სახელდობრ, ინგლისელმა სესილ ჰარსტმა (Sesil Hurt) განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს არ უცვნია საქართველო და არც სხვა რესპუბლიკები. მას შეედავენ ფრანგი ბარერი, ბელგიერი ჟასპარი და იტალიელი ჩელუზი (თავმჯდომარე) როგორ არა საქართველო ჩვენ ვიცანით ფაქტიურად და იურდიულათო, მაგრამ ჰარსტმა იგივე გაიმეორა მეორედაც. სწორედ ეს იყო სხვათა შორის მიზეზი, რომ კომისიამ ერთსულოვნების მისაღწევად იურიდიულ-ფორმალური თვალსაზრისი გაიზიარა. სესილ ჰარსტი ასრულებდა ამ შემთხვევაში ალბათ ლოიდ ჯორჯის დავალებას. ლ. ჯორჯი უფრო შორსაც მიდიოდა, მან კერძო ბაასის დროს გაუკეთა წინადადება საფრანგეთის დელეგაციის მეთაურს ბარტუს, რომ საქართველოს სახელით რუსეთის დელეგაცია დაეშვათ კონფერენციაზე, რაზედაც უარი მიიღო. დიდ ბრიტანეთის მიერ საქართველოს ცნობა უდაოა, ჩვენ გვაქვს ოფიციალური ქაღალდი იმის შესახებ, რომ უმაღლესმა საბჭომ, რომელშიდაც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელიც იყო, საქართველო იურიდიულად იცნო 27 იანვარს 1921 წ. შარშან შემოდგომას გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ჰავსუორსმა საჯაროდ განაცხადა თემთა პალატაში შემდეგი: ჩვენ ვიცანით საქართველო De facto 1920 წ. ხოლო De Jure 1921 წ.

შეუვალობის შეთანხმება. (PACTE NON-AGRESSION)

გენუის კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია-შეთანხმება, რომლის ძალით მონაწილე სახელმწიფონი პირობას სდებენ თავი შეიკავონ თავდასხმისა და მტრული პროპაგანდისაგან უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ ოთხი თვის განმავლობაში დღიდან ექსპერტთა კომისიის მუშაობის დასრულებისა ჰააგაში, ეს კითხვა იხილებოდა კონფერენციის ბოლო დღეებში, როცა ფრანგები და ბელგიელები არ იღებდნენ მონაწილეობას არც პირველ პოლიტიკურ კომისიაში და არც მისგან გამოყოფილ (რუსეთის საქმეებისათვის) მცირე კომისიაში. რუსეთმა მოითხოვა მცირე კომისიაში, რათა შეუვალობის შეთანხმება გავრცელებულიყო აგრეთვე რუსეთის „მოკავშირე“ ქვეყნებზე. ამ ქვეყნებში გულისხმობდა კავკასიას, შორეულ აღმოსავლეთის (ჩიტა) და

საქართველოს ეროვნული არქივი

სხვა რესპუბლიკებს. ჩიჩერინის წინააღმდეგ ენერგიულათ შეედავა იაპონიის დელეგატი იში. მან სთქვა: შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა არაა მოწვეული, მაშასადამე არ შეიძლება მის შესახებ დადგენილების მიღება. იშიმ დაასახელა საქართველოც და სთქვა, არც ამაზე შეიძლება გავრცელდეს შეთანხმებაო, მაგრამ ლოიდ ჯორჯმა დაუჭირა მხარი ჩიჩერინს, - რაც უფრო მეტ ქვეყნებში იქნება უზრუნველ ყოფილი მშვიდობიანობა მით უკეთესიო - ამბობდა ის. მცირე კომისიის თავმჯდომარემ შანცერმაც ბოლოს ლოიდ ჯორჯს მიეკედლა, თუმცა შესწორება შეიტანა ჩიჩერინის ტექსტში და განაცხადა ოქმში შესატანად, რომ ამით ჩვენ სრულიადაც არ ვცნობთ ხსენებული რესპუბლიკების ადგილობრივ ,,მთავრობებსო". შანცერის შესწორება მიღებულ იქნა და რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ შეთანხმება ვრცელდება აგრეთვე იმ რესპუბლიკების მთავრობებზე, რომელნიც ამჟამად მოკავშირენი (actuelmoment allies) არიან რუსეთის მთავრობისა.

სვანეთის აჯანყება

ჯერ კიდევ კონფერენციის გახსნამდე ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა პარიზიდან კონფერენციის მონაწილეთ და თავმჯდომარეს, სადაც ის აცნობებდა მათ წითელ ჯარების მიერ სვანეთის წინააღმდეგ გალაშქრებას და მათ სთხოვდა სისხლის ღვრის შეჩერებას. დელეგაციამ თავის მხრივ ეცადა მიქცეოდა ამ საქმეს ყურადღება გენუაში, პრესაშიაც გამოიწვია საგრძნობი ახმაურება.

შედეგი ამ მეცადინეობისა იყო ის, რომ მცირე კომისიაში შვეციის დელეგატმა პრემიერმა ბრონტინგმა მოითხოვა ზომების მიღება სისხლის ღვრის შესაჩერებლათ სვანეთში. მას მხარი დაუჭირა შვეიცარიის დელეგატმა მაცამ, რის შემდეგ საფრანგეთის დელეგატმა ბარტუმ წინადადება შეიტანა მინდობოდა თავმჯდომარეს შანცერს გადაედგა სათანადო ნაბიჯი რუსეთის დელეგაციის მიმართ. ეს წინადადება მოიწონა ყველამ, მათ შორის დიდ ბრიტანეთის პრემიერმა ლ. ჯორჯმა და ამ რიგათ მიღებულ იქნა იგი.

შანცერმა წერილით მიმართა ჩიჩერინს, სადაც მიიქცია მისი ყურადღება სვანეთის ამბებზე და მოსთხოვა მას სისხლის ღვრის და საზოგადოთ რეპრესიების შეჩერება საქართველოში.

ჩიჩერინმა პასუხი გასცა შანცერს, მან როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად უარყო სვანეთის ამბები, მთავრობის თავმჯდომარეს ჟორდანიას „კერძო პირი" უწოდა, რომელსაც არაფერი არ დაეჯერებოდა, თან გაკვირვებას გამოსთქვამდა, რომ გენუის კონფერენცია რომელზედაც არ მიუწვევიათ საქართველო და მისი ნამდვილი წარმომადგენელი (ბუდუ მდივანი) სვამდა საქართველოს საკითხს. იმავე დროს ჩიჩერინი თავდასხმაზე გადადიოდა თავის პასუხში. აქო და ევროპის სახელმწიფოები სჩაგრავენ უთვალავ ერებს დედამიწის ყოველ კუთხეში, საჭიროა ყველაზე წინ ამათ მიექცეს ყურადღება და თუ გნებავთ ჩვენ მზათა ვართ გელაპარაკოთ ყველა ჩაგრულ ერთა შესახებ.

ჩიჩერინის წერილს დაწვრილებით უპასუხა დელეგაციამ იმავე შანცერის სახელზე. თავმჯდომარემ თავის მხრივ დეპეშით მიმართა კონფერენციის

საქართველოს ეროვნული არქივი

მონაწილეთ იმავე საგანზე. ამ პასუხებში დამტკიცებული იყო ჩიჩერინის წერილის სიყალბე, მოყვანილი იყო საბუთები სვანეთის ამბებზე და ყველა ეს მოთავსდა პრესაში, მაგრამ ვინაიდან ჩიჩერინი აცხადებდა თანხმობას გარკვეულიყო ყველა ჩაგრულ ერთა და მათ შორის, მაშასადამე, დაჩაგრულ საქართველოს საკითხი, დელეგაციამ მოითხოვა საერთაშორისო ორგანოს შექმნა საქართველოს ვითარების შესასწავლათ და აგრეთვე ისიც, რომ მოეწყოთ ამისთვის შესაფერ პირობებში პლებისციტი, რომელიც ცხად ყოფდა, თუ რამდენად შეეფერებოდა რუსეთის ჯარების ყოფნა ხალხის სურვილებს საქართველოში, დელეგაცია ამტკიცებდა აგრეთვე იმასაც, რომ არცერთი ერის მიმართ არ ჩადენილა ისეთი უსამართლობა და ბარბაროსობა, როგორც ქართველი ერის მიმართ, რომელთანაც რამდენიმე თვის წინ დასდო რუსეთმა ცალკე ხელშეკრულება, სადაც მან კატეგორიულად იცნო მისი დამოუკიდებლობა და მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. დელეგაციამ წარადგინა ხელშეკრულების და თავდასხმის აღწერის ასლები.

მოსალოდნელი იყო და მცირე კომისიის ზოგიერთ წევრებსაც ასე ეგონათ, რომ შანცერი მოახსენებდა კომისიას ზევით მოყვანილ მიწერ მოწერას. ეს მით უფრო, რომ ამ მიწერ-მოწერამ დიდი გამოძახილი იპოვა პრესაში და თვით კონფერენციის წრეებში იყო შემთხვევები, როცა ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეს ულოცავდნენ ზოგი დელეგატებიც კი და გამოსთქვამდნენ რწმენას, რომ საქართველოს საკითხი პრაქტიკულ ფორმებს ისხამსო, მაგრამ ეს არ მოხდა. შანცერმა არ მოახსენა მცირე კომისიას არაფერი, ერთი სიტყვით, იქ და არც სხვაგან არ ყოფილა შემდეგ მსჯელობა სვანეთის აჯანყების შესახებ.

შესაძლოა შანცერს ქონდა კერძო თათბირი ვისმესთან, უფრო დასაჯერებელია, ლოიდ ჯორჯთან, საქმის წარმართვის შესახებ. ვინაიდან იმ დროს რუსეთის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით იდგა, არ იქნება გასაკვირი, თუ ლოიდ ჯორჯმა ურჩია შანცერს მთელი წარმოების მიჩქმალვა.

არის მეორე შესაძლებლობაც. გენუაში დელეგაციას არაერთხელ მოესმა იტალიის, ინგლისის და გერმანიის დელეგაციების წყაროებიდან, რომ საქართველოში სრული სიმშვიდეა და არავითარ არ აქვს ადგილი სვანეთშიო. გენუაში ჩამოვიდნენ პირდაპირ თბილისიდან, მაგ. ყოფილ ელჩის რაუშერის ცოლი, აგრეთვე შელის კომპანიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბილი. ჩამოვიდა ერთი იტალიელიც, მაგრამ ფრანზონიმ სტამბოლიდან შანცერს გამოუგზავნა მოხსენება. ყველა ეს პირები ამტკიცებდნენ ჩვენში სრულ მშვიდობიანობას, ეს დაწვრილებით გაიგო დელეგაციამ. პარიზშიც კი ჩამოსულა ფრანგი ვინმე ჟერბო (გენ პელეს გაგზავნილი საქართველოში), რომელიც იმავეს ამტკიცებდა! ყველა ამ ცნობებს და განსაკუთრებით ცოცხალ მოწმეების მოსმენას შეეძლო ერთგვარი გავლენა მოეხდინა შანცერზე და სხვებზედაც და ამიტომ მიიძინა, შეიძლება, ჩვენმა საკითხმა კომისიაში.

სვანეთის ირგვლივ დატრიალებულმა ამბებმა გენუაში სრულიად ცხადჰყო დელეგაციისაათვის, რომ ევროპის სახელმწიფოს მოღვაწენი ანგარიშს უწევდნენ უმთავრესად ფაქტებს! საქართველოს სვებედი უთუოთ აინტერესებს მათ, საკმაოთ აქვთ შეგნებული მასზე თავდატეხილი უბედურობა და უსამართლობა, აგრეთვე მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საერთაშორისო

საქართველოს ეროვნული არქივი

ფარგლებში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი მათ თვალში, თუ ერი თვითვე არ დაანახვებს და ცხადათ და ნათლათ ყველას რომ ის თავგანწირულათ იბრძვის თავისუფლებისათვის.. ე. ი. ფაქტებს.

არის ერთი მოწამლული იარაღიც, რომელსაც კრემლის დიქტატორები იმარჯვებენ და რომელიც უთუოდ ახდენს შთაბეჭდილებას ევროპაში. ეს გახლავთ მათი მტკიცება, თითქოს საქართველო სრულიად დამოუკიდებელი იყოს და ამის სადემონსტრაციოთ მის სათავეში ნომინალურათ ქართველი კომისრების ყოლა. რუსეთის დელეგაციას ერთხელაც არ განუცხადებია გენუაში, რომ საქართველო შედის რუსეთის ფედერაციაში, პირიქით, ის მას ეძახის როგორც ზევით დავინახეთ „მოკავშირე რესპუბლიკას".

აქ არ არის ადგილი ამაზე სიტყვის გაგრძელების, უნდა ითქვას მხოლოდ ერთი რამ: ქართველმა ერმა და მისმა ერთგულმა შვილებმა უნდა მიხვდნენ, რომ მარტო დიპლომატიით ქვეყნის ხსნა შეუძლებელია, არც იცის ასეთი მაგალითი ისტორიამ.

II
რუსეთის პრობლემა

კონფერენციამ ყველაზე მეტი დრო და შრომა რუსეთის პრობლემას მოანდომა. მართალია ნაყოფი არაფერი გამოვიდა აქედან, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთის საკითხი პირველათ გენუაში დაისვა პრაქტიკულათ საერთაშორისო მასშტაბით.

თავიდანვე უდაოთ იყო აღიარებული ყველას მიერ, რომ ევროპაში ნორმალურ მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, თუ რუსეთი არ იქნა ეკონომიურად ჩაბმული საერთაშორისო მეურნეობის ფერხულში. მაგრამ, ვინაიდან რუსეთს ბატონობენ ამ დროებით ბოლშევიკები, რომელთაც დაანგრიეს იგი საფუძვლიანად, ამიტომ ბურჟუაზიული ევროპა საჭიროდ თვლიდა მიეღო მოსკოვის დიქტატორებისაგან მთელი რიგი გარანტიებისა, რომელიც გამომუშავებული იქნა კიდეც კანში. რუსეთის დელეგაციამ თავის მხრივ წარმოადგინა პირობები.

კამათი ტრიალებდა უმთავრესად სამი საკითხის ირგვლივ: ძველი ვალების ცნობა, უცხოელ კერძო მესაკუთრეთა აღდგენა მათ უფლებებში და ახალ კრედიტების გახსნა რუსეთის ეკონომიურათ აღსადგენათ და ამისათვის შესაფერ პირობების შექმნა. რუსეთის დელეგაციამ უარყო ნაწილათ თუ მთლადთ ყველა ეს მოთხოვნილებანი. ის ამბობდა: მუშათა და გლეხთა რევოლუციამ ჩვენ მოგვანიჭა უფლება არ ვიცნოთ ძველი ვალები, მაგრამ ჩვენ მზათ ვართ ვიცნოთ იგი თუ თქვენც იცნობთ 50 მილიარდი ოქროს მანეთის ზარალს, რომელიც ჩვენ მოგვაყენა თქვენმა ინტერვენციამ, იმავე რევოლუციამ რუსეთში გააბატონა კონფისკაციების და ნაციონალიზაციის სისტემა, ამიტომ არ შეგვიძლია ვიცნოთ უცხოელების კერძო საკუთრება რუსეთში, მზათა ვართ მხოლოდ გრძელვადიანი იჯარის პირობით დავუბრუნოთ მათ ქარხანა-ფაბრიკები და სხვა უძრავი ქონება; რაც შეეხება შესაფერ პირობების შექმნას, რუსეთში სამუშაოთ ეს უკვე შექმნილია საბჭოთა უკანასკნელ ,,კანონმდებლობის" მეოხებით, მეტს ჩვენ ვერ

საქართველოს ეროვნული არქივი

დავსთმობთ ვინაიდან ეს იქნება ჩვენი შინაურ საქმეებში ჩარევა.

მაგრამ უმთავრესი, რასაც რუსეთის დელეგაცია თხოულობდა, ეს იყო: სესხი რუსეთის მთავრობისათვის, რომლის რაოდენობას ის საზღვრავდა 3-დან 5 მილიარდ სტერლინგამდე.

არ ვეხებით ხანგრძლივ მოლაპარაკების სხვა და სხვა საფეხურებს, არც ეგრ. წოდ. კრიზისებს, რომელსაც განიცდიდა კონფერენცია დრო გამოშვებით, აღსანიშნავია მხოლოთ ის, რომ რუსეთის პრობლემამ ლამის არ გათიშა მოკავშირე სახელმწიფონი და აქედან ლამის არ შეიტანა არევ დარევა მთელს ევროპაში. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: კომპრომისი ბოლ-შევიზმთან და სრული შეურიგებლობა მასთან. პირველს იცავდა ლ. ჯორჯი, ხოლო მეორეს პუანკარე, რომელიც, თუმცა არ იყო გენუაში, მაგრამ მისი ხელი მუდამ ტრიალებდა იქ. ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის მეორე მუხლის გამო მოხდა: უცხოელთ უნდა დაუბრუნდეთ მათი კერძო საკუთრება, თუ მოიჯარადრეთ უნდა იქცნენ ისინი. ლ. ჯორჯი შესაძლებლათ თვლიდა კერძო საკუთრების იჯარაზე შეცვლას და ამ რიგათ ეს უძველეს კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენელი თითქოს ნაციონალიზაციის სისტემის დამცველად გამოდიოდა, რუსეთისთვის, რა თქმა უნდა.

რა იყო ამის მიზეზი? კონფერენციის მასალებში ვერ იპოვით მას. გენუაში ოფიციალურ კონფერენციის ზურგს უკან, კულისებში, გაჩაღებული იყო ნამდვილი საჯარო ვაჭრობა რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეზე, რომელზედაც მიილტვოდნენ ყველა ქვეყნებიდან მრეწველნი, ბანკირნი და უბრალოდ სპეკულიანტებიც.

ვინაიდან რუსეთის დელეგაცია კავკასიის სიმდიდრესაც თავისად თვლიდა, ამიტომ თავის თავად მისახვედრია, რომ უმთავრეს ყურადღებას ნავთი იპყრობდა გენუაში. ინგლისის დიდ კომპანიამ ,,შელიმ" კიდევ თებერვალს შეეკრა კრასინს პირობით, რომლის ძალით მას უნდა მიეღო ,,რუსეთის" ნავთის ექსპორტის მონოპოლია. მაგრამ ამ პირობას სისრულეში მოყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო რუსეთის მთავრობას, თუ მთელი წარმოება ნავთისა მის სრულ განკარგულებაში იქნებოდა, ე. ი. ნაციონალიზაცია ძალაში დარჩებოდა, მეორეს მხრით რუსეთის მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო წართმეულ ქონებით ვაჭრობა უცხოეთში, თუ ის იურიდიულათ ცნობილ იქნებოდა.

აი მიზეზი და სათავე დიდ ბრიტანეთის პოზიციისა გენუაში, ნაციონალიზაცია ინგლისის პირდაპირ ინტერესს შეადგენდა ამ შემთხვევაში, თუ მართლა სურდა, რომ ის დაპატრონებოდა კავკასიის ნავთს. მოსკოვის მთავრობის ცნობაც მის ინტერესში შედიოდა, თუ სურდა უცხოელნი მესაკუთრენი არ გადაღობებოდნენ მას წინ.

მოლაპარაკება ნავთის შესახებ საიდუმლოებით იყო მოცული. იყო მიღებული წინასწარი ზომებიც ყოველგვარ დაბრკოლებების თავიდან ასაცდენათ. მაგალითად, აზერბაიჯანის და მთიელთა დელეგაციებს იტალიამ ვიზები არ მისცა გენუაში ჩასასვლელად, ცხადია, იმისთვის, რომ მათ ფარდა არ აეხადათ შელ კრასინის მახინაციებისათვის და მით საქმე არ ჩაეფუშათ. მხოლოდ კონფერენციის მიწურულში მისცა იტალიამ ვიზები და ისიც მხოლოდ აზერბაიჯანის დელეგაციას. საქართველოს დელეგაციამ მაშინვე აუღო ალღო

საქართველოს ეროვნული არქივი

შექმნილ მდგომარეობას და მიიღო საჭირო ზომები.

პრესამ ასტეხა განგაში. გამოქვეყნდა თვით შელ-კრასინის შეთანხმების პროექტი. კონფერენციის მონაწილენი და მათი გამოგზავნილი ქვეყნები სახტად დარჩნენ. ამერიკამ, რომელის ასე ღრმათაა დაინტერესებული ნავთით, ხმა აღიმაღლა. ლოიდ ჯორჯმა საჯაროთ უარყო დიდი ბრიტანეთის მთავრობის მონაწილეობა შელის კომპანიის კომბინაციებში, თუმცა თვით კომბინაციებს ის არ უარყოფდა, რაც ნებას აძლევდა თითოეულს თავისი დასკვნა გაეკეთებინა. შედეგი ამ აურზაურისა იყო ის, რომ შელის კომპანია იძულებული შეიქნა შეეჩერებინა საბოლოო ხელშეკრულების დადება რუსებთან. ამ გარემოებამ შეანელა ლოიდ ჯორჯის მისწრაფება უთუოდ გენუის კონფერენციაზე მომხდარიყო რუსეთთან შეთანხმება. რუსეთთან შეთანხმების მიღწევა არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან მისი დელეგაცია გარდა იმისა, რომ მიუღებელ პირობებს აყენებდა იაფ და დემაგოგიურ ფანდებს მიმართავდა, რამაც ერთი კვირის შემდეგ ყველას თავი მოაბეზრა, მას აინტერესებდა ის, რომ ევროპა დახმარებოდა რუსეთს, როგორც ასეთს, არამედ ის, რომ მიეცათ კრედიტი ბოლშევიკური მთავრობისთვის მისი არსებობის განსაგრძობად. ეს კი არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ლოიდ ჯორჯს, მიუხედავათ მისი ლმობიერებისა ბოლშევიკების მიმართ. ინგლისი თანახმაა კრედიტი მისცეს მისივე მოქალაქეთ რუსეთში სამუშაოთ და არა ბოლშევიკურ მთავრობას. რაც შეეხება საფრანგეთს, მას სერიოზულათ არ გამოუჩენია ასეთი პრეტენზიები. ან კი როგორ შეიძლებოდა სერიოზულათ მოპყრობა, როცა ჩიჩერინი უარყოფდა ძველ ვალებს და იმავე დროსვე ახალ სესხს თხოულობდა!!

თავისთავად, ცხადია, მოსკოვის მთავრობას რომ კრედიტი მიეღო, თუ გინდ გაცილებით ნაკლები ვინემ თხოულობდა, ის დიდი სიამოვნებით შესწირავდა მის პრინციპებს, მათ შორის ნაციონალიზაციას.

საჭიროა ვახსენოთ აქვე რაპალოს ხელშეკრულებაც, რომელმაც ძლიერ შეასუსტა ლოიდ ჯორჯის პოზიცია. ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება ყველასათვის. რაპალომ დაბლა დასწია კომპრომისების ფასი.

XX

რუსეთის პრობლემა გენუიდან ჰააგაში გადაიტანეს, სადაც საეჭვოა პირობები უკეთესი გამოდგეს მის გადასაჭრელად. ორი მიმართულება, რომელიც გენუაში ებრძოდა ერთმანეთს ჰააგაშიც იჩენს თავს, უკვე ამ თავითვე სჩანს, რომ ვაშინგტონის მთავრობა უფრო საფრანგეთის თვალსაზრისისკენ იხრება და ამას კი იმისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ამერიკის დაუხმარებლათ ევროპის და რუსეთის ეგრ. წოდებულ ეკონომიურ აღდგენაზე ფიქრი კი არ შეიძლება. ვაშინგტონის მთავრობამ უარი სთქვა ჰააგის კონფერენცაზე მონაწილეობაზე, ვინაიდგან მან ჰააგა გენუის განგრძობად ჩასთვალა. მან ორი პირობა წამოაყენა, რომელიც შესაძლებლად გახდის მის მონაწილეობას: ა) რუსების მიერ მათი 11 მაისს გადაცემული მემორანდუმის უკან წაღება და იქ ჰააგის კონფერენციის წმინდა საანკეტო კომისიად ქცევა, რომელმაც თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარ პოლიტიკურ მსჯელობისაგან და გამოიკვლიოს მხოლოდ პირობები, თუ როგორ შეიძლება რუსეთის ეკონომიური აღდგენა. ცხადია, თუ რა პირობებს გულისხმობს ამერიკა. მისმა გარეშე საქმეთა მინისტრმა არა ერთხელ დაასახელეს ისინი:

საქართველოს ეროვნული არქივი

დიქტატურის მოსპობა და კერძო საკუთრების აღდგენა.

ამრიგათ ჰააგის კონფერენცია უფრო რთულ და მოსკოვისთვის ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში მოხდება. მოსკოვის დელეგაცია გააგრძელებს, რა თქმა უნდა, ჰააგაშიაც თავის დემაგოგიას, ასე ვსთქვათ, პროლეტარიატის თვალის ასახვევათ, ხოლო კულისებში ის შეეცდება რუსეთის ავლა დიდების განაღდებას, ოღონდ კი იგდოს ხელში სესხი თავის მთავრობისათვის. ამასვე ხელს შეუწყობენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა ნომინალური მესვეურნიც და როგორც გენუაში, ჰააგაშიც იარაღად იქცევიან მოსკოვის დელეგაციის ხელში ნავთის და კავკასიის სხვა სიმდიდრეთა გასაფლანგავათ.

საქართველოს მთავრობის და მის წარმომადგენლობის მუშაობის გეზი თავის თავად მისახვედრია. არც ერთი ხელშეკრულება და შეთანხმება საქართველოს შესახებ, მოსკოვის დელეგაციასთან დადებული არ არის სავალდებულო ქართველი ხალხისთვის, უკანასკნელი არავის მისცემს ნებას, რომ მისი სიმდიდრე დამუშავებელ ან გაზიდულ იქნას ვინმეს მიერ მოსკოვის ბატონობის განსაგრძობათ. საქართველო, როგორც ყველას მიერ ცნობილი, შეუძლებელია გამორიცხულ იქნას საერთაშორისო ოჯახიდან.

ქართველ ხალხს ბევრი ყავს მეგობრები, თუმცა მტრებიც არ აკლია მას, უდიდესი მისი მეგობარი არის თვით ობიექტური პირობები, რომელიც შეუძლებლად ხდის რუსეთის ძველ ფარგლებში აღდგენას. ამას ევროპის ბევრი მთავრობები და მმართველი პარტიები ხედავენ, მათ შორის არიან ისეთნიც, ვინც შეგნებულათ ისახავს სწორეთ ამ მიზანს, ე. ი. სანაპირო ქვეყნების სამუდამო ჩამოცილებას რუსეთისგან, უნდა ითქვას აშკარათ, რომ რუსეთის ეგრ. წოდ. აღდგენა არსებითათ მას კოლონიად ქცევას მოასწავებს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ. უნიადაგო ოცნებაა თითქოს კრემლის დიქტატორებს შეეძლოთ ისტორიის ამ განაჩენის თავიდან აცდენა.

ევროპაც და ამერიკაც მიხვდებიან ადრე თუ გვიან, რომ ერთად ერთი გონიერი და სწორი გზა არის კავკასიის რესპუბლიკა პირველ ყოვლისა საქართველოს რესპუბლიკის აღდგენა, ამას მით უფრო ადრე და ადვილათ შეიგრძნობენ ისინი რაც უფრო ფხიზელი, გაუტეხელი და მამაცი დარჩება ქართველი ერი.

5. V. 22.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 495, ფურცლები 41-61.

საქართველოს ეროვნული არქივი

გიორგი ფაღავას მიერ ნოე ჟორდანიასთვის
გაგზავნილი წერილი და ხელშეკრულება,
რომელიც ხუთი ქართული პოლიტიკური პარტიის მიერ
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის
შექმნას ითვალისწინებდა
1922 წლის 5 მაისი

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა მიაღწიეს მიმდინარე წლის აპრილში საერთო შეთანხმებას, შეთანხმება დამყარებულია ერთის მხრით საყოველთაოდ ცნობილ აუცილებლობაზე იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის აღსადგენათ საჭიროა ქართველი ხალხის პოლიტიკური აქტივობის გაერთიანება, ხოლო მეორე მხრივ შეიცავს იმ საურთიერთო დათმობის აღნუსხვას, რომელიც შესაძლოთ ხდიან პოლიტიკურ პარტიათა მოქმედების კოორდინაციას. შეთანხმების მიღწევას მეტათ დიდი დრო დასჭირდა, რადგანაც შეფასება იმ კატასტროფის, საქართველოს რომ დაატყდა თავს 1921 წლის დასაწყისში, ღრმათ განასხვავებს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს და ქართველ ხალხის სხვა და სხვა წრეებს ურთიერთობისაგან. დიდი აზრთა სხვა და სხვაობა არსებობს აგრეთვე ამ პერსპექტივების მხრივ, რომლებსაც შეუძლიანთ იხსნან ქვეყანა მომავალში ამგვარ საშინელ კატასტროფის განმეორებისაგან. დაძლევა აზრთა სხვა და სხვაობისა მოხდა უმთავრესათ საორგანიზაციო მომენტების საშვალებით, რასაც თვით შეთანხმების ტექსტიდან დაინახავთ. ჩვენ გვგონია, რომ მომხდარ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ნაყოფიერ გავლენას იქონიებს ქართველი ხალხის პოლიტიკურ მოძრაობაზე. ამ შეთანხმების საფუძველზე უკვე შესდგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელ მუშაობას, მიმართულს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

რა საშინელ პირობებში იმყოფება ქართველი ხალხი, რაც ხანი საქართველოში რუსის საოკუპაციო ჯარი სდგას და მის მიერ ზურგ გამაგრებული ბოლშევიკები დათარეშობენ ჩვენს ქვეყანაში, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ. აღსანიშნავია, რომ უკმაყოფილების ტალღები იზრდებიან, როგორც ინტენსივობის მხრივ, აგრეთვე ეტსტენსიურათ. განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას და გამწვავებას იწვევს სოფლათ ეგრეთ წოდებული პროდნალოგის აკრეფა და საერთო მწვავე ეკონომიკური კრიზისი. საქართველოს ზოგიერთ ადგილას ხალხი დამშეულია, მაშველი კი არა სჩანს. ქალაქებში ყველგან ხალხის მასა ნახევრათ მშიერია. მხოლოდ ბოლშევიკები და მათი მიმდევრების ვიწრო წრეა რაოდენადმე უზრუნველყოფილი ქონებრივათ. ციხეები სავსეა პოლიტიკური ტუსაღებით და თვითნებობას საზღვარი არ უჩანს. ქართველი ხალხის მასსიური რწმენაა, რომ არსებული რეჟიმის განმტკიცება შეუძლებელია. ხალხს სჯერა, რომ ეს რეჟიმი ახლო მომავალში დაიშლება და ქვეყანა განთავისუფლდება ბოლშევიკების ტყვეობისაგან. ხალხს სწამს, რომ შველა დასავლეთიდგან მოდის და ამ ნიადაგზედ ხშირად ლეგენდებიც ითხზვის.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა არ შეიძლება მოხდეს გარეშე თვით ქართველი ხალხის პოლიტიკური აქტივობის, რომელიც უნდა განვითარდეს საერთაშორისო პოლიტიკურ პირობების მიხედვით, ამიტომ დამოუკიდებლობის კომიტეტს ესაჭიროება სწორი და უშუალო ცნობები თქვენგან იმის შესახებ, თუ რას მიაღწიეთ თქვენის მოქმედებით ამ მხრივ საერთაშორისო ასპარეზზე და როგორ გაქვთ განზრახული თქვენი მოქმედების განვითარება შემდეგისათვის. ეს ცნობები მით უფრო ესაჭიროება დამოუკიდებლობის კომიტეტს, რომ თანახმათ პარტიათა შორის დადებულ ხელშეკრულებისა თქვენი მოქმედების მთავარი მიმართულება და რაიმე ახალი მდგომარეობის დამამყარებელი აქტები უნდა სრულდებოდეს დამოუკიდებლობის კომიტეტთან შეთანხმებით. ჩვენ იმედი გვაქვს პირველი შესაძლებლობისთანავე თქვენ მაქაური მოქმედების კურსში ჩააყენებთ დამოუკიდებლობის კომიტეტს და გაუადვილებთ აასრულოს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დავალება. დამოუკიდებლობის კომიტეტს განზრახული აქვს აწარმოვოს ფართო საორგანიზაციო მუშაობა თავის საბოლაო მიზნის აღსრულებისთვის. ამ მუშაობის ფინანსიურ (უნდა იყოს ინტენსიურ) განვითარებას დიდი საფინანსო საშვალებანი სჭირდება. მიუხედავათ საშინელი ეკონომიკური კრიზისისა და საქართველოს საერთო გაღარიბებისა საჭირო თანხების ნაწილს კომიტეტი აქ იშოვის, მაგრამ უმთავრესი წილი თანხისა განსაკუთრებით მოქმედების დასაწყისში საჭიროა მიღებულ იქმნას თქვენგან. გარდა ამისა კომიტეტს დავალებული აქვს ერთგვარი კონტროლი გაუწიოს იმ ხარჯებს, რაც მაქ იცემა რესპუბლიკის ხაზინიდან, ან სხვა რაიმე წყაროებიდან. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ თქვენ გაუადვილებთ მას ამ მძიმე დავალების ტეხნიკურათ ასრულებას. საერთოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს განძრახული აქვს დაიჭიროს თქვენთან მჭიდრო და უშუალო კავშირი, რათა შეთანხმებული მოქმედებით გაძლიერებულ იქმნეს საერთო მიზნისაკენ მიმართული მეცადინეობის ეფექტი, რათა კონტაქტი საქართველოს მთავრობის და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის მტკიცე ნიადაგზე იქნას დამყარებული. დამოუკიდებლობის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს დააწესოს საგანგებო საკონტაქტო წარმომადგენლობა, რომელსაც პირდაპირ ურთიერთობა ექნება თქვენთანაც და დამოუკიდებლობის კომიტეტთანაც. პერსონალური შემადგენლობა ამ კომიტეტისა გეცნობებათ დამატებით. გიგზავნით ამასთან ერთად ამ პარტიათა შორის დადებულ ხელშეკრულების პირს ცნობისთვის და სახელმძღვანელოთ.

დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე: გ. ფაღავა
მდივანი: ი. ჯანელიძე
5/5 22 წელი.

ხელშეკრულება

საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული, - ვსდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

საქართველოს ეროვნული არქივი

1. დაარსდეს: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ აღნიშნული პარტიათა თითო წარმომადგენელისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასანთავისუფლებლათ მიმართულ მთელი მუშაობისა.

შენიშვნა: კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალ ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლათ.

4. მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშვალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლათ იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია.

შენიშვნა: მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთი ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი.

5. გარდამავალ ხანაში, მთავრობის ფუნქციების ასრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენელთაგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არც ერთ პარტიას მართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს.

6. დროებითი მართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილათ აცხადებს.

7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებით მართველობის პრინციპით და პროპორციით.

განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმისა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში) ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადასწყდება დროებით მართველობის მიერ.

შენიშვნა: დროებით მართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ ადგილობრივ ხელისუფლების შედგენის შესახებ.

8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მართველობას.

9. მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მართველობა. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას ამავე პრინციპით, როგორც დროებითი მართველობა.

10. დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევათ, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება.

შენიშვნა: დამფუძნებელი კრება გაარჩევს სხვა საკითხებსაც, თუ ამის შესახებ სპეციალური შეთანხმება იქნება პარტიათა შორის.

11. არა უადრეს ორი თვისა დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არაუგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 139, ფურცლები 5-9.

საქართველოს ეროვნული არქივი

კავკასიის ცალკეული არმიის ოპერატიული ცნობები
საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული
ძალების მოქმედების შესახებ
1922 წლის 7 მაისი

ოკას ოპერატიული ცნობებიდან

1/5-ს ღამით ლაშხეთის რაიონში სვანების ბანდა თავს დაესხა მეოთხე პოლკის მეორე როტას; მოკლულია - 3, დაჭრილია - 18, 16 უგზოუკვლოდ დაიკარგა; წაიღეს 28 ვინტოვკა და ტყვიისმფრქვეველი.

პირველ მაისს საექსპედიციო რაზმს უნდა დაეწყო იარაღის მიღება ზემო სვანეთის მცხოვრებთაგან. მცხოვრებმა არც მისცეს არც მეთაურები და არც იარაღი. ამის გამო სამ მაისს რაზმმა კვლავ დაიწყო შეტევა ზემო სვანეთის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია პარლამენტიორების გამოგზავნა აჯანყებულთა მხრივ.

ოკას უფროსის ბრძანებით თიანეთის მაზრაში ბანდების წინააღმდეგ გაიგზავნა ორი ესკადრონი ქვეითად ორი ტყვიისმფრქვევლით. ლაგოდეხის რაიონში, გარდა ერთისა, რომელიც იქ არის კიდევ ერთი ესკადრონი ყვარელიდან, ცნობაში აღნიშნულია გაგზავნილ რაზმების სუსტი მუშაობა და გამოთქმულია სასტიკი გაფრთხილება. ნაჩვენებია წყრომით რომ ბანდიტიზმზე საქართველოში ოკას სამი პოლკია დაბანდებული.

რუსეთის რევვოენსავეტი უბრძანებს ოკას მიიღოს ზომები შავი ზღვის ნაპირების გასამაგრებლათ. ბაქოდან იგზავნება მორტირები და ყუმბარები. ბათუმის გამაგრებულ რაიონს ეხსნება კრედიტი აგენტების დასაქირავებლათ. მისივე საჭიროებისთვის ნიკოლაევიდან იგზავნება ორი ნაღმოსანი და 4 წყალქვეშა ნავი.

სუხუმ-კალეს სამხრეთით 1 მაისს გამოჩნდა წყალქვეშა ნავი, რომელიც ნაპირიდან სროლის შემდეგ მიიმალა.

კომრაზმის ნაწილებმა ჩხრეკა მოახდინეს რაჭის სოფ. გლოლაში და ქვემო ლაშხეთში. აღმოაჩინეს 69 ინგლისური სისტემის თოფები, 24 სამხაზიანი და 1 ტყვიისმფრქვეველი.

ტროცკის ბრძანება ოკასადმი, N27 14 აპრილი. შინაარსი: ბერლინში სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა და მენშევიკების უფლებების აღდგენა; გენუაში ბარტუმ დასვა საკითხი ჟორდანიას მთავრობის გენუაში დაშვების შესახებ. ვინაიდან მოსალოდნელია ამას მოყვეს სამხედრო ინტერვენცია, ამიტომ ოკას ებრძანება მზათ იყოს ასეთ შემთხვევისთვის.

ალი შამილი.
7/5 22 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 128, ფურცლები 4-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე 1922 წლის 23 მაისი

სტამბოლი 23. V. 1922
საქართველოს წარმომადგენელს პარიჟში

უკანასკნელათ გენუაში მოგწერეთ 16 ამ თვეს. როცა ის წერილი გენუაში მივიდოდა, თქვენ იქ აღარ იქნებოდით. არ ვიცი, თუ ის წერილი თქვენამდის მოაღწევს. აქ გწერდით მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიის პატრიარქის მიერ ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. მან აღმითქვა, რომ იღებს რა მხედველობაში ჩვენი ეკლესიის სიძველეს, რომ ის სპეციალური კანონით არასოდეს არ ყოფილა შეერთებული რუსეთის ეკლესიასთან, არ გაუწევს არავითარ ანგარიშს დღევანდელ მდგომარეობას ჩვენში, არ მოითხოვს არც დასტურს რუსეთის ეკლესიიდგან (როგორც ეს უნდა ვქნა პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ცნობის საკითხშიო) და ქართულ ეკლესიას ვიცნობ დამოუკიდებლათო. საჭიროა მხოლოთ ფორმალური წერილი თქვენი პატრიარქისო. ჩვენ უკვე მივიწერეთ საქართველოში, რომ ასეთი წერილი აქ გამოგზავნონ. გწერდით აგრეთვე რაუშერის შესახებ. მას ძლიერ სურდა სადმე ევროპაში კარგი ადგილი ჰქონებოდა და მართლაც მას ძლიერ საპასუხისმგებლო პოსტი შეაძლიეს - ვარშავაში. აქ პოლონელებმა გამომკითხეს ყველაფერი მის შესახებ. უთხარი მათ ყველაფერი მის შესახებ. ის ჩვენში ინტრიგანობდა და არცა პოლონეთში იტყოდა კარგ რამეს ჩვენზე. აქედგან ყველაფერი მიუწერიათ ვარშავაში. ამას წინათ გადმომცეს, რომ ჩვენი მთავრობა რაუშერის ელჩობაზე უარს იტყვისო. თუ რამე გამოხთა ვერც ათინას ნახავს ის. მინდოდა ძლიერ ფრანცონი საქართველოდგან წამოეყვანათ. აქ ბევრი ველაპარაკე გარონის, რომ მათ ჩვენში ისეთი კაცი უნდა ყავდეს, რომელიც ჩვენ ხალხს იტალიელების სიყვარულს ჩაუნერგავდა გულში და არა მუდამ აღიზიანებდეს თქვენ წინააღმდეგთქო. თვით თქვენი ინტერესი მოითხოვს, რომ მომავლისათვის თქვენ ჩვენში ნიადაგი არ გამოგეცალოსთქო. მაგრამ გარონი მარწმუნებს, რომ ფრანცონი თქვენი წინააღმდეგი არ არისო, რაც რასაკვირველია მართალი არ არის და მარწმუნებს, რომ ნუ ვითხოვთ იმის გამოწვევას, რომ დაიჯერებდნენ და მას ჩვენგან წამოიყვანდნენ თქმა არ უნდა უკეთესი იქნება.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ ბოლშევიკებს პროექტი აქვთ ჯარი შეამცირონ. ელოდნენ გენუაში ფულს იშოვნიდნენ და წელს გაიმაგრებდნენ. ეხლა კი მათ ცეკას გადაწყვეტილი აქვს ზოგი წლების დემობილიზაცია მოახთინონო. ფრანგების ცნობით ჩვენში კომუნისტების მობილიზაცია და ერთნაირი ადგილობრივი კადრების შედგენა პრავალით დამთავრდა.

დაბრუნდა მახმუდ ფაშა. როგორც წინეთ გწერდით, მან შემპირდა, რომ გაიგებდა რამე ამბებს ჩვენს შესახებ ანგორაში. ამბობს, რომ დღევანდელ

საქართველოს ეროვნული არქივი

პირობებში, როცა სათათრეთ საბერძნეთს შორის ომი გრძელდებდა და რუსეთი სათათრეთისათვის საჭიროა თურქები ყოველგვარ კავშირს, იქნება ის ოფიციალური თუ არა ოფიციალური ერიდებიან თქვენთანო. ეშინიათ ბოლშევიკებმა ამათ ცუდათ არ შეხედონო. ამ ომის შეწყვეტის შემდეგ საქმე სულ სხვანაირათ წავა და კავშირი სულ ადვილი საქმე იქნებაო. ანგორას ესმის კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მოხერხებულ დროს ამას გამოესარჩლებაო. ბათუმის საკითხში აზრთა სხვადასხვაობა იყო და ეს გამოწვეულია მით, რომ იქ ხშირათ ჩამოდიან აჭარლების დელეგატები, რომლებიც შველას და სათათრეთთან შეერთებას თხოულობენო. ისე კი ბათუმის მნიშვნელობა კავკასიისათვის ყველას აქვს შეგნებულიო, ვიცით, რომ კავკასიას უბათუმოთ არ შეიძლება არსებობაო. მისი აზრით ამ საკითხის მოგვარება არ იქნება ძნელი. მოკლეთ რო მოვსჭრათ სათათრეთთან დამოკიდებულების საკითხი ისევ ძველ სტადიაშია. როცა მე მახმუდ ფაშას გადავეცი, რომ ინგლისი ცდილობს ამიერკავკასიის სიმდიდრე კონცესიების სახით ხელში ჩაიგდოს და ამ მიზნებისათვის არ ერიდება, რომ კავკასია რუსეთს მიაკეროს და რომ ჩვენ ამ პოლიტიკას ენერგიულათ შევებრძოლებით, მას ეს ძლიერ იამა. თავიდანვე შეებრძოლეთ მათ თავიდანვე ჩაჰკალით მათში ყოველგვარი მტაცებლური სურვილებიო.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 7-8.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა
დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანება 24 მაისს
სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების დროზე ადრე დაკეტვისა ან
გაუღებლობისთვის ჯარიმის დაწესების შესახებ
1922 წლის 24 მაისი

ბრძანება N4
ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტისა.

ამა წლის 24 მაისს ქალაქ ქუთაისში და მისივე მაზრის დანარჩენ ქალაქებსა და დაბებში არსებულ ყოველგვარი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების უმუშევრობისა და გაუღებლობის გამო, ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა:

&1.

დაჯარიმებულ იქნენ ქ. ქუთაისში და მის მაზრის ყველა ქალაქებსა და დაბებში არსებულ დუქნების, მაღაზიების, სახელოსნოების, რესტორნების, ღვინის სარდაფების და საერთოთ ყოველივე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების ის მოიჯარადრენი და მეპატრონენი, რომლებმაც 24 მაისს, როგორც არა უქმ დღესა ჩვეულებრივ დანიშნულ დროს განზრახ არ გააღეს ან დაკეტეს ჩვეულებრივზე ადრე თავისი სამრეწველო-სავაჭროები და რომლებთა სავაჭროებიც აღბეჭდილია მილიციის მიერ ამავე დღეს.

&2.

დაჯარიმებული მოქალაქენი დაყოფილი იქნენ სამ კატეგორიათ ნივთიერი ქონების და შეძლების მიხედვით: ა) პირველი კატეგორია - შეძლებულნი, ბ) მეორე - საშუალო და გ) მესამე - მცირე მქონენი.

&3.

ამ ბრძანების &2-ში აღნიშნული კატეგორიების დაჯარიმებული პირებს გადახდეთ ა) პირველ კატეგორიის - 40.000.000 მ., ბ) მეორესი - 25.000.000 მან. და გ) მესამესი - 15.000.000 მ.

&4.

თუ დაჯარიმებული მოქალაქენი მათზე შეწერილ თანხებს არ გადიხდიან **შვიდი დღის ვადაში** ამა ბრძანების დადგენილების დღიდან, ე. ი. 24 მაისიდან 1 ივნისამდე, მათ ჩამოერთმევათ აღბეჭდილ სავაჭროებში დაწყობილი ქონება და საქონელი **კონფისკაციის სახით** და გაყიდული იქნება საჯარო ვაჭრობის წესით, ხოლო აღებული ფულები გადაირიცხოს ხაზინის სასარგებლოთ.

&5.

დაჯარიმებულ მოქალაქეთა კატეგორიებზე დასაყოფათ დანიშნული იქნეს კომისია აღმასრულებელ კომიტეტის სამი წევრთა ამხ. ამხ. ი. ფანცხავასა, მ. მეძმარიშვილის და კ. სულავას შემადგენლობით.

საქართველოს ეროვნული არქივი

&6.

ასეთივე კომისიები დანიშნული იქნეს მაზრის ქალაქებში ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ხოლო დაბებში თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

&7.

დაჯარიმებულ მოქალაქეთა სიები კატეგორიის აღნიშვნით გამოქვეყნებული იქნეს ცალკე.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი,
ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 266.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნა, რომელსაც უნდა შეედგინა ქ. ქუთაისში 24 მაისს პოლიტიკური ნიშნით დაკეტილი დუქნების სია
1922 წლის 29 მაისი

ოქმი

შედგენილი იმ კომისიის მიერ, რომელიც აირჩია აღმასკომმა იმის გამოსარკვევათ, თუ რატომ და რა მიზეზით იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი დუქანი ქ. ქუთაისში 24 მაისს არ იყო გაღებული დილის ცხრა საათზე.

კომისია 26 მაისს დილიდან შეუდგა გამოკვლევას იმ მიზეზებისას, რომელთაც გამოიწვიეს რამდენიმე დუქნის გაუღებრობა 24 მაისს დილის ცხრა საათისთვის და რომელი დუქნებიც მილიციის მიერ დალუქული იყო. სია იმ დუქნებისა კომისიას გადაეცა სათანადო მილიციის მიერ.

კომისია პირადი დაკითხვით როგორც დუქნების მეპატრონეებისა, ისე ამ უკანასკნელთა მეზობლებისა, საბუთების განხილვით, რომელნიც დაინტერესებულმა პირებმა კომისიას გადმოცეს, მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. ხაჩატუროვი, არველაძე, ბუზიკაშვილი, რუხაძე, ჩიქოვანი, გოცირიძე და თედორაძე იყვნენ სამსახურისა გამო სხვა და სხვა დაწესებულებაში და არ ქონდათ საშუალება იმ დროისთვის დუქნები გაეღოთ.

2. ჩიკვაშვილი, მოწონაშვილი, რიჟინაშვილი და თავდიდიშვილი სავაჭროთ იყვნენ წასული ბათუმში და დაბრუნდნენ მხოლოდ 24 საღამოს და 25 დილით.

3. ხიდაშელი, ბარათაშვილი, კუხიანიძე, გაბადაძე, კუჭავა, გაგუჩაძე, გოქაძე, გერსამია, ურდია, ხელაია, სანებლიძე, ბალანჩივაძე, კუხიანიძე, გუგულავა, ჩოგოვაძე, თუთფერიძე, მურადოვი, ქვარიანი, ტუკვაძე, მეძმარიაშვილი, ჩიხლაძე, ჩიხლაძე, ჩაკვეტაძე, შავგულიძე, წულაძე, ნარსია, მესროპოვი, თურქია, გუბელაძე, ოცხელი, ამბროლაძე, ჭეიშვილი - ამ პირებმა ვერ გააღეს დუქნები ზოგმა ოჯახური მდგომარეობისა, ზოგმა ავადმყოფობისა გამო.

აქ აღნიშნული მიზეზისა გამო კომისია ფიქრობს, 24 მაისს ადგილი არა ქონია არავითარ გაფიცვას და არც არავითარ საგანგებო განზრახვას აქ აღნიშნულ პირთა მიერ. ამიტომ კომისია ცნობს რომ ეს პირები სრულიად თავისუფალი უნდა იქნენ ყოველ გვარ ჯარიმისაგან, ამათი დუქნები ახსნილი და თუ ვინმეა ამ მიზეზით დაკავებული, განთავისუფლებული.

კომისიას პატივი აქვს წარუდგინოს ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ეს ოქმი.-

კომისიის წევრები	ი. ფანცხავა /ხელრთვა/
	კ. სულავა /ხელრთვა/
	მ. მე.... /ხელრთვა/

27 მაისი 1922 წ.

P.S. დოკუმენტს აზის ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1922 წლის 27 მაისი. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ვადასტურებ. /ხელრთვა/. 29/V.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 30, ფურცელი 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ი. ტალახაძის ცირკულიარი სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს ქართულ ენაზე სავალდებულო მიწერ-მოწერის წესის დაცვის შესახებ
1922 წლის 29 მაისი

ЦИРКУЛИАРУЛАД
ЧВЕЛА МАЗРИС ДА ЧАЛАЧИС АЧМАСРУЛЕБЕЛ
КОМИТЕТС. (ЧУТАИСИС)

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსული ცნობების თანახმად ადგილობრივ, როგორც მცხოვრებნი, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოებიც, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან რუსული ენის უცოდინარობის გამო. არის ისეთი შემთხვევაც, რომ ორგანო, რომელიც საქმეს აწარმოებს სახელმწიფო, ქართულ ენაზე, ღებულობს მოწერილობას რუსულად და ვინაიდან ადგილობრივი ორგანოს არ აქვს შეძლება და არც საჭიროება მოითხოვს რუსულადვე პასუხს, საქმის სისწორით და დროზე ასრულება ბრკოლდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიწერილობის გამგზავნი დაწესებულება უწინ სახელმწიფო ენაზე გზავნიდა მიწერ-მოწერას და პირადი შემადგენლობის შეცვლის გამო, ხშირად ირღვევა უკვე გაჩალხული და მიღებული წესი. ასეთი გარემოება და არევ-დარევა ყოვლად მოუთმენელია გარდა ბორჩალოს, ახალქალაქის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და წითელი არმიისა, მიმოწერა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენაზე.

ასეთი ხასიათის ცირკულიარული ბრძანება უკვე გამოიცა /იხ. ჟურნალი „მოამბე“ N13/ 1921 წლ. აგვისტოში თანახმად საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ცირკულიარული წერილისა და დეკრეტისა.

განმეორებით ეძლევა წინადადება ყველა ორგანოს ადგილობრივ და დაწესებულებათა სისწორით დაიცვან შემდეგი:

1. საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის დროს აუცილებლად მიღებულ იქნეს მხედველობაში სახელმწიფო, ქართული ენის ცოდნა.

2. სხვა და სხვა რაიონებში და თემებში საპასუხისმგებლო ადგილზე უნდა დაინიშნონ ისეთი პირნი, რომლებმაც აუცილებლად იციან ქართული ენა და გარდა ამისა იმ ეროვნების ენაც, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს ამა თუ იმ რაიონსა და თემებში.

3. მიწერ-მოწერა ადგილობრივ ორგანოებთან უნდა სწარმოებდეს აგრეთვე ქართულ ენაზე, ხოლო ისეთ რაიონებსა და თემებთან, სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას არა ქართველნი შეადგენენ უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

4. ამ ბრძანების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი - დ. ჩიქოვანი
საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე - შ. დადიანი

საქართველოს ეროვნული არქივი

დედანთან სწორია:

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების საქმისმწარმოებელი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტემპი თარიღით 1922 წლის 26 მაისი. დოკუმენტს ასევე აზის ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1922 წლის 29 მაისი. დოკუმენტს ბოლოში კალმით აქვს მინაწერი: ქუთაისის აღმაკომს.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 177.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისრის ჯიქიას ბრძანება სვანეთის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ჩახშობაში გამოჩენილი მამაცობისთვის მესამე ბატარეის უფროსის ალექსანდრე მოსიძის ოქროს საათით დაჯილდოების შესახებ
1922 წლის 31 მაისი

სვანეთის ამბების გამო

ბრძანება საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი N201. 31 მაისი 22 წელი თფილისი.

ჩემი მოადგილის სვანეთის საექსპედიციო რაზმის უფროსის - ამხ. აღნიაშვილის მოხსენებიდან სჩანს, რომ სვანეთის აჯანყების ჩაქრობის დროს საექსპედიციო რაზმში თავი ისახელა და ყველაზე მძიმე ოპერაციებში გამოიჩინა მაქსიმუმი ცოდნისა და ენერგიისა მესამე სამთო ბატარეის უფროსმა - ალექსანდრე პავლეს ძე მოსიძემ, მისი პირადი მაგალითი ამხნევებდა და ენტუზიაზმს გვრიდა წითელ არმიელებს, რამაც, მიუხედავათ იმისა, რომ არ იყო გზა, ჩანგრეული იყო ხიდეები, მდინარეები ადიდებული და იწვა დიდი, გაუვალი თოვლი, მაინც შესაძლებლობა მისცა ბატარეიას სინდისიერათ და სისწორით შეესრულებია მასზე დაკისრებული სამხედრო ამოცანები.

ვიღებ რა ზემოთ დასახელებულს მხედველობაში - მესამე ბატარეის უფროსს ამხ. მოსიძეს გმირულ მოქმედებისათვის ვაჯილდოვებ ოქროს საათით.

სამხედრო-საზღვაო კომისარი - ჯიქია.
შტაბის უფროსი - გედევანოვი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 116, ფურცელი 15.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია იაპონიის საქართველოთი დაინტერესებაზე 1922 წლის 1 ივნისი

სტამბოლი 1 ივნისი 1922 წ.
საქართველოს წარმომადგენელს პარიჟში

გუშინ იაპონელ იამანუჩის, იაპონიის მთავრობის ექსპერტს გენუაში და მომავალ კონფერენციაზე გააგაში გამოვატანე წერილი, სადაც გწერდით მის ვინაობაზე და რომ მას მოლაპარაკებოდით. ის დიდ ხანს აქ ვერ დარჩა, დეპეშით პარიზში გაიწვიეს. კარგი იყო, რომ ცოტა მეტი დარჩენილიყო აქ. აქ არიან ახლა ყველა ჩვენი მრეწველები. არიან აგრეთვე ნავთის საქმის კარგი მცოდნენი. მე მათ ყველას მოველაპარაკე, დავამზადებინე ყველა ცნობები, შევთანხმდით, რომ ამ ლაპარაკს ჩვენი მრეწველები ერთნაირ გარკვეულ პოლიტიკურ სახესაც მისცემდნენ. იაპონელებზე ერთნაირ კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ და თუ პარიზში გექნებოდათ მათთან საქმე ერთნაირათ ნიადაგი მომზადებული გექნებოდათ. ოთხი-ხუთი ჩვენი მრეწველი უკვე მზათ იყვნენ მათთან ლაპარაკისთვის, მაგრამ მათ უეცრივ მოუხთა პარიზში გამგზავრება, ისინი პარიზში საჩქარო დეპეშით გაიწვიეს. იაპონელებმა მიამბეს გენუაში ნავთის ირგვლივ ათასი მახინაციები. როგორც ამერიკელებს, ისე მათაც რასაკვირველია არ სურთ, რომ ერთმა რომელიმე სახელმწიფომ ჩაიგდოს ნავთის მონოპოლია ხელში, ამიტომ ეხლავე ეძებენ სადმე ფეხი მოიკიდონ. ამიტომ ჩემი შთაბეჭდილებით და როგორც ეს გადმომცა აქაურმა მათმა ელჩმა, იაპონიის მთავრობისათვის არაფერი არის და სულ ადვილათ შეუძლიათ მათ 100-200 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიღონ უბრალო ნიადაგის მოსამზადებლათ, ფეხის მოსაკიდებლათ და მომავალში, რომ მათ მუშაობის დაწყების საშუალება ექნათ. კ. კანდელაკს ალბათ აქვს იქ სათანადო მასალები. ეგებ ამ დროებით ამ ლაპარაკიდგან არაფერი არ გამოვიდეს რეალურათ დღეს რაცაა პოლიტიკურათ ჩვენ სხვისი დიდი დახმარება გვინდა და ტყვილა კი არვინ დაგვეხმარება, რასაკვირველია, ჩვენ სიმდიდრეზე ლაპარაკი ყველასთან ერთნაირათ არ შეგვიძლია. მაგრამ იაპონელების დაინტერესება და მომავლისათვის მათთვის ერთნაირი პერსპექტივის მიცემა ყოველთვის შეიძლება. მათ ძლიერ კარგათ გაიგეს, რომ რუსეთს უნდა კავკასიის რესპუბლიკები შეიერთოს, მათ სიმდიდრეს ნაციონალიზაცია უყოს და მერმედ თვითონ გასცეს კონცესიები. იაპონია დღეს რუსეთთან კარგათ არ არის და დარწმუნებულია, რომ რუსეთიდგან ის დიდ ვერაფერს მიიღებს. იაპონია დღეს დაინტერესებულია კონცესიები სხვაგან ეძებოს და არა რუსეთში. აქედგან მათი სურვილი, რომ, მაგალითათ, საქართველოსთან მათ პირდაპირ შეძლონ ლაპარაკი - საქართველო თავისუფალი იყოს. იაპონელებმა საკითხს სწორედ ასე შეხედეს. ვიმეორებ თუ რამეთი კი შეიძლება მათი დაინტერესება ეკონომიურათ, პოლიტიკურათ ისინი ჩვენი მომხრენი იქნებიან. ნახეთ. მე ძლიერ ვნანობ, რომ ისინი ასე უეცრივ და მოულოდნელათ გაიწვიეს პარიზში. თორემ ჩვენ მრეწველები დაჩემებული

საქართველოს ეროვნული არქივი

იყვნენ, რომ მათ კარგათ შევხვდებით და კარგ შთაბეჭდილებას მოვახთენთ მაინცო. მე პირადათ ერთი წამით არ დამვიწყნია, რომ დღეს ჩვენ საფრანგეთთან გვაქვს საქმე და მას ამ მხრივ უდიდესი ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ ეს იმას ხომ მაინც არ ნიშნავს, რომ სხვა ჩვენ არ დავაინტერესოთ ჩვენით.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 9-10.

საქართველოს ეროვნული არქივი

გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაკითხვის ოქმის სტენოგრამა
1922 წლის 12 ივნისი

ჩვენება

1922 წელს ივნისის 12 დღესა დაკითხულია ხელაია ბესარიონ ზოსიმეს ძე, 62 წლის, უმაღლესი განათლებით, საქართველოს კათალიკოსი, რომელმაც გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მოწოდების გამო აჩვენა შემდეგი: მოწოდება გენუის კონფერენციის სახელზე იყო ჩემ მიერ შედგენილი და ხელ მოწერილი.

კითხვა: რა საბუთები გაქვთ იმისა, რომ ქართველი ერი გმინავს, არ შეუძლია აღამაღლოს თავისი ხმა და ბედკრულ მდგომარეობაშია?

პასუხი: ცნობებს იმის შესახებ, რომ ხალხი ასეთ მდგომარეობაშია, ვღებულობდი პირადი დაკვირვებით, ეს ხდებოდა სოხუმის ოლქში, სადაც მიხდებოდა მორწმუნეთა შორის რელიგიოზურ საკითხებზე ბაასი და რაც შეეხება პოლიტიკურ ხასიათის ლაპარაკს, საყდარში, როგორც მე და ისე სხვებსაც არ ვანებებდი. გარეშე ეკლესიისა პოლიტიკურ თემებზე ლაპარაკი ხდებოდა, მხოლოდ ინიციატივა ამისა ჩემგან არ იყო და მორწმუნეები კი თვით ეხებოდნენ პოლიტიკას. სოხუმის ოლქში ხშირად იყო მოვლენა, რომ აგიტატორები ეხებოდნენ სარწმუნოებას, ლანძღავდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას; ასეთი შემთხვევები მენშევიკურ მფლობელობის დროსაც იყო, მე ამას სათანადო ყურადღებას ვაქცევდი, რის გამო მივმართამდი მენშევიკურ მთავრობას. უმეტესად ეს აგიტატორები სოფლად იყვნენ ქართველები. ასეთი მოვლენები სამღვდელოების წინააღმდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც იყო. მე დადებით თქმა იმისა არ შემიძლიან, რომ აგიტატორები მთავრობიდან იყვნენ, მაგრამ მე და ხალხიც ასე ფიქრობს, რომ წარმომადგენელნი მთავრობის მოხელენი არიან. მე უშვალო დამოკიდებულება საქართველოს ხალხთან არა მქონია, მხოლოდ ჩემთან მოდიოდნენ მორწმუნენი, ერის ხალხი, სამღვდელოების და სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი. ჩემთან მოდიოდნენ წმინდა საეკლესიო საქმეებზე და მორწმუნეთა წარმომადგენელნი პოლიტიკას არ ეხებოდნენ. არ ვღებულობდი მათ პოლიტიკის შესახებ და მხოლოდ მუსაიფის დროს კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი მთავრობის შესახებ, თავიანთ ცუდ მდგომარეობის ყოფნის გამო. არც ერთ ჩემთან ყოფილ წარმომადგენელს ჩემთვის არ მოუმართავს, რომ მე მათი სახელით მიმემართა გენუის კონფერენციისათვის. უმეტესნი მომსვლელ წარმომადგენლობისა ჩემთან აცხადებდნენ, რომ დღევანდელ არსებულ მთავრობის დროს სარწმუნოება და მორწმუნენი უფრო ცუდ პირობებშია, ვინაიდან ეკონომიურად, ეროვნულ სახით და სხვა, დაჩაგრულნი ვართ.

კითხვა: მოწოდება ვისი სახელით იყო და სთვლიდით თქვენ თავს ქართველი ერის წარმომადგენლათ?

პასუხი: ქართველი ერი მე მრწამს ყველა მორწმუნეთ და რამდენათაც მე ასე მწამს ვსთვლი მე ჩემს თავს მისგან, ერისაგან არჩეულს და მისი სახელით,

საქართველოს ეროვნული არქივი

მორწმუნეების, ვლაპარაკობ.

კითხვა: თქვენ გქონდათ რაიმე მონდობილობა იმ ერისაგან რომელმაც აგირჩია?

პასუხი: მე არავითარი არც ოფიციალური და არც არა ოფიციალური მონდობილობა ერისაგან და საეკლესიო ყრილობისაგან, რომელმაც **მე პატრიარქათ ამირჩია არ მქონია, რომ მიმემართა გენუის კონფერენციისათვის, იმ სინიდისით რომლის შესრულება მე დამავალა საეკლესიო ყრილობამ, მათი ინტერესების დაცვა, მხოლოდ ეს მიმართვა გამოწვეული იყო ჩემი პირადი დაკვირვებით და სინიდისის მიხედვით.**

ვიმეორებ, რომ უმთავრესათ ჩემი ეს მოქმედება ეხებოდა საეკლესიო საქმეს.

კითხვა: აძლევდით თუ არა ხსენებულ მოწოდებას პოლიტიკურ ხასიათს, როდესაც მას სწერდით?

პასუხი: პოლიტიკურ ხასიათს არ ვაძლევდი, ვინაიდან საბჭოთა რუსეთს არ ვსთვლი მოკავშირეთ, არამედ ოკუპანტად.

კითხვა: ოკუპაცია არის თუ არა პოლიტიკური ნაბიჯი?

პასუხი: ოკუპაცია არის დროებითი პოლიტიკური ნაბიჯი.

კითხვა: სთვლით თქვენს თავს ვალდებულად ჩაერიოთ იმ საქმეში, რასაც თქვენ უწოდებთ ოკუპაციას?

პასუხი: ვალდებულად ვსთვლი თავს ჩავერიო იმ საკითხებში პოლიტიკურ ხასიათისას სარწმუნოების სახელით.

კითხვა: რით აიხსნება ის წინააღმდეგობა თქვენს ჩვენებაში, რომ სამღვდელოება პოლიტიკურ საქმეებში არ ერევა, მაგრამ ოკუპაციის საკითხში, რომელიც პოლიტიკური ნაბიჯია თქვენ ჩაერიეთ ხსენებულ მოწოდების დაწერით?

პასუხი: იმიტომ ჩავერიე ამ საქმეში, რომ ოკუპაცია გათავებული მეგონა და მინდოდა მთავრობას ყოლოდა თავისი ჯარი.

კითხვა: შეგიძლიათ თქვენ სთქვათ, რომ ქართული ჯარი არ არსებობს?

პასუხი: ქართული ჯარი არ არსებობს.

კითხვა: რით ამტკიცებთ, რომ რუსეთის წითელი ჯარი არის ოკუპაციონური?

პასუხი: ჯარი შემოვიდა და დარჩა.

კითხვა: სთვლით, რომ საქართველოში არ არსებობს მთავრობა?

პასუხი: საქართველოს მთავრობა არსებობს, საქართველოს დამოუკიდებლობა კი ჩემის აზრით არ არსებობს.

კითხვა: სახელმწიფოს დამოკიდებლობის და დამოუკიდებლობის შესახებ არის თუ არა პოლიტიკური კითხვა?

პასუხი: არის.

კითხვა: ვინ წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

პასუხი: დამოუკიდებლობა საქართველოს წაართვა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ.

კითხვა: სცნობთ თუ არა საჭიროდ, როგორც სარწმუნოების წარმომადგენელმა ხმა აღიმაღლოდ დამოუკიდებლობის შესახებ?

პასუხი: ვსცნობ იმდენათ რამდენათაც ეს ჩარევა ხელს უწყობს ეკლესიის და ხალხის აღორძიებას.

საქართველოს ეროვნული არქივი

კითხვა: ჩაერია თუ არა უცხო ელემენტები უშვალოთ, სახელდობრ რუსეთის ჯარი საეკლესიო საქმეებში?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: ჩაერია თუ არა, თქვენ მიერ უცხო ელემენტებათ წოდებული ჯარი, ან სხვა ვინმე, კერძო პირი საეკლესიო საქმეებში სხვისი ვინმეს საშვალებით?

პასუხი: ამ კითხვაზე პასუხის მოცემა არ შემიძლიან.

კითხვა: ჩაერია თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობა საეკლესიო საქმეებში?

პასუხი: ჩაერია.

კითხვა: რაში გამოიხატება ეს ჩარევა?

პასუხი: ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფაში, რომელიც ჩემის აზრით დასაგმობი არ არის, სხვა ჩარევა გამოიხატა შემდეგში: უარყოფითი შეხედულება მთავრობისა სამღვდელოებაზე, მამულების, სახლების და ყოველ ნაირ იურიდიულ უფლებების ჩამორთმევა.

კითხვა: რაში გამოიხატა იურიდიულ უფლებების ჩამორთმევა?

პასუხი: იმაში, რომ ეკლესიას არ შეუძლიან შეიძინოს საეკლესიო ქონება, მეორე სკოლების გახსნის უფლების ჩამორთმევა.

კითხვა: არის თუ არა რაიმე განსხვავება ყოფილ სამეფო რუსეთის და დღევანდელ საბჭოთა რუსეთის შორის?

პასუხი: განსხვავება არის.

კითხვა: რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

პასუხი: წინათ რუსეთს განაგებდა თვით მპყრობელი მეფე, ეხლა კი განაგებს რუსეთის მშრომელთა წარმომადგენლობა, საბჭოთა მთავრობის სახით, რომლის მოძღვრება აძლევს ყველას თანასწორობას, თავისუფლებას, სიტყვის, რწმენისას, სწავლისა და იურიდიულ უფლებას, აგრეთვე საბჭოთა მოძღვრება აძლევს თვით გამორკვევის უფლებას.

კითხვა: ეხება თუ არა საბჭოთა რუსეთს მოწოდების სიტყვები, სადაც ნათქვამია, რუსეთს არ შეეძლო მოეთმინა საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც მის წინანდელ მჩაგვრელს, საბჭოთა რუსეთს?

პასუხი: ეხება საბჭოთა რუსეთს.

კითხვა: სთვლით თუ არა საბჭოთა რუსეთს იმპერიალისტურ სახელმწიფოთ, რომელსაც მიზნათ აქვს ახალ ახალი ქვეყნების შეერთება?

პასუხი: მოძღვრებით და იდეით არ ვსთვლი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სინამდვილე ამას არ ეთანხმება.

კითხვა: დაიპყრო თუ არა საბჭოთა რუსეთმა საქართველო?

პასუხი: დაიპყრო.

კითხვა: დაიპყრო თუ არა საბჭოთა რუსეთმა სხვა ერი?

პასუხი: არა, მხოლოდ გამიგონია, რომ საბჭოთა რუსეთს სურს დაპყრობა სხვა ერისა.

კითხვა: რით ხსნით, რომ საქართველო დაიპყრო რუსეთმა?

პასუხი: ეს მე ვერ ამიხსნია მით უმეტესად, რომ იდეიას და საბჭოთა მთავრობის მოძღვრებას ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს მშრომელთა ხალხს დახმარება ეთხოვა საბჭოთა რუსეთისათვის, საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობის ჩამოსაგდებათ?

საქართველოს ეროვნული არქივი

პასუხი: შესაძლებელია, თუმცა მე არ ვიცი.

კითხვა: რაში გამოიხატა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა?

პასუხი: ჯარის შემოსვლაში, მის აქ დარჩენაში და სუვერენობის დაკარგვაში.

კითხვა: რაში გამოიხატება სუვერენობის დაკარგვა და დამოკიდებულება?

პასუხი: იმაში, რომ მართვა გამგეობა წარმოობს მოსკოვის დირექტივებით.

კითხვა: მიმითითეთ მხოლოდ ერთ დირექტივზე.

პასუხი: არც ერთ დირექტივებზე მითითება არ შემიძლიან, მხოლოდ ასე ვფიქრობ.

კითხვა: შეგიძლიანთ თუ არა საბუთიანათ დამტკიცება ხსენებულ მოწოდებაში ნათქვამისა: ერის მონობის, ჩაგვრის, ძალდატანებისა და უბედურების შესახებ?

პასუხი: ვფიქრობ, რომ შემიძლიან.

კითხვა: მიმითითედ მხოლოდ ერთ საბუთზე ერის მონობის, ძალდატანების და ჩაგვრის დასამტკიცებლად.

პასუხი: ეხლა ერთ საბუთზე მითითება არ შემიძლიან.

კითხვა: რაში გამოიხატება მორალური და ფიზიკური განადგურება ერისა?

პასუხი: გამოიხატება ერის სარწმუნოების წინააღმდეგ მოქმედებაში, რასაც მოსდევს ფიზიკური გადაგვარება.

კითხვა: ვინ აკეთებს საქართველოში ექსპერიმენტებს საქართველოს ერთი ბოლო წლის განმავლობაში?

პასუხი: ის ვინც ოკუპაცია მოახდინა.

კითხვა: ვინ მოახდინა ოკუპაცია?

პასუხი: ოკუპაცია მოახდინა რუსეთმა.

კითხვა: რაში გამოიხატა ექსპერიმენტები?

პასუხი: რუსეთის ექპერიმენტები გამოიხატა მიწის სოციალიზაციაში, სარწმუნოების შევიწროებაში და სახლების მუნიციპალიზაციაში.

კითხვა: ამ ექსპერიმენტებს ატარებს თუ არა საქართველოს მთავრობა?

პასუხი: ექსპერიმენტებს საქართველოს მთავრობა ატარებს, მხოლოდ საქართველოს მთავრობა არ არის, არამედ მე ვსთვლი მას, საქართველოში რუსეთის მთავრობათ. კონკრეტიულად ამის დამტკიცება ჯერ ჯერობით არ შემიძლიან.

კითხვა: ვინ ართმევს საქართველოს ქონებას და უყოფს უცხო მოძალადე ელემენტებს?

პასუხი: რუსეთი ართმევს ხალხს ქონებას და უყოფს უცხო ელემენტებს.

კითხვა: რა ქონება არის ჩამორთმეული?

პასუხი: სახლები, ტერიტორია, რომელიც გადადის სხვის მფლობელობაში, მაგალითად ზაქათალის ოლქი და ცხინვალი.

კითხვა: დამისახელეთ ერთი მაგალითი, რომ ქართველ მესაკუთრეს ჩამოართვეს სახლი და მისცეს სხვას უცხოს, ან და ქართველები გამოასახლოს და ჩაასახლეს უცხოელები.

პასუხი: ამის შესახებ ცნობები არ მომეპოვება.

კითხვა: რა საარსებო საშვალება წაართვეს ქართველ ხალხს და გაგზავნეს უცხოეთში?

პასუხი: ასეთი ცნობები ჩემ მიერ იქნება წარმოდგენილი, ეხლა არ გეტყვით.

კითხვა: რაში გამოიხატა დედა ენის ჩაგვრა საქართველოში, არის თუ არა

საქართველოს ეროვნული არქივი

განდევნილი ქართული ენა დაწესებულებებიდან და სასწავლებლიდან?

პასუხი: დაწესებულებებიდან ქართული ენა განდევნილი არ არის, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში სწარმოებს მიმოწერა უცხო ენაზე.

კითხვა: რაში გამოიხატა ან რამ გამოიწვია ნაციონალური კულტურის დამახინჯება?

პასუხი: ნაციონალური კულტურის დაცემა და მისი დამახინჯება საბჭოთა მთავრობის ბრალია, იმდენად, რამდენათაც აქ საქართველოში არ არის დამყარებული მშვიდობიანი მართველობა, კონკრეტიულად მითითება არ შემიძლიან, მხოლოდ საერთო მდგომარეობა ასეთია.

კითხვა: დამისახელეთ ისეთი მაგალითი, რომ უცხოელების მიერ იყოს შეურაცყოფილი სარწმუნოება ან და ფიზიკურად შეეხო ეკლესიას, როგორც საბჭოთა მთავრობა ან მისი წარმომადგენელნი?

პასუხი: ეხლა კონკრეტიული ფაქტების მოცემა არ შემიძლიან.

კითხვა: რატომ სწერდით ყველა ამას მოწოდებაში?

პასუხი: იმიტომ რომ მთავრობის უბრალო წარმომადგენლები შეურაცყოფას აყენებდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას.

კითხვა: მიმითითედ რომელიმე მთავრობის წარმომადგენელზე.

პასუხი: ეხლა დასახელება არ შემიძლიან.

კითხვა: ასეთი შეურაცყოფა სისტემატიურია თუ არა, ან და სდევნიდნენ სამღვდელოებას იმისთვის, რომ ისინი იყვნენ სარწმუნოების მატარებელნი?

პასუხი: არა.

კითხვა: იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ სდევნიდნენ ერის ხალხს, იმიტომ რომ ის მორწმუნე იყო?

პასუხი: არა.

კითხვა: რისთვის მიმართედ გენუის კონფერენციას?

პასუხი: მივმართე გენუის კონფერენციას იმისთვის, რომ მეგონა დაისმებოდა მცირე ერების საკითხი და რამდენათაც ერი განთავისუფლდებოდა ამით სარწმუნოება აღორძინდებოდა, ვინაიდან ერი მწამს იმდენად, რამდენათაც ხელს უწყობს სარწმუნოების გაძლიერებას და ერის აღორძინებას. საქართველოს საბჭოთა იდეია ხელს უწყობს ერის აღორძინებას.

კითხვა: დღევანდელი საბჭოთა საქართველო ხელს უშლის თუ არა ერის აღორძინებას?

პასუხი: ხელს ვერ შეუწყობს.

კითხვა: ხელს უწყობს თუ არა დღევანდელი მთავრობა გაბატონებას მშრომელი ხალხისას, მის გაძლიერებას პოლიტიკურად და ეკონომიურად?

პასუხი: თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად გაცნობილი არა ვარ თქვენს მოქმედებას.

კითხვა: რა წაართვა რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველოს?

პასუხი: ძალით ჯარს არაფერი არ წაურთმევია, მხოლოდ ეს ჯარი იკვებება საქართველოს სურსათით.

კითხვა: საიდან გაქვთ ეს ცნობა, რომ საქართველოს სურსათით იკვებება რუსეთის ჯარი?

პასუხი: ფაქტიური საბუთები იმისა, რომ რუსეთის წითელი ლაშქარი სცხოვრობს საქართველოს ხარჯზე არა მაქვს, მხოლოდ ასეთი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში.

საქართველოს ეროვნული არქივი

კითხვა: ეს ჯარი უფლებრივად და პოლიტიკურად სჩაგრავს თუ არა ქართველ ერს?

პასუხი: ვფიქრობ, რომ სჩაგრავს.

კითხვა: რაში გამოიხატება პოლიტიკური და უფლებრივი ჩაგვრა?

პასუხი: მე მიმაჩნია, რომ შელახულია **სუვერენობა**.

კითხვა: მშრომელ ხალხს მიაჩნია თუ არა მჩაგვრელად წითელი ჯარი?

პასუხი: პასუხის მოცემა არ შემიძლიან.

კითხვა: წითელი ჯარის აქ ყოფნა თუ საჭიროებათ მიაჩნიათ საქართველოს მთავრობას და ასეთი იყო გადაწყვეტილება მთავრობის, მაშინ თქვენ გქონდათ თუ არა უფლება მოგეთხოვათ ჯარის გაყვანა?

პასუხი: უფლება მაქვს თუ არა არ ვიცი, თუ კი მთავრობის დადგენილება იყო უფლება არ მქონდა გენუის კონფერენციაზე ჯარის გაყვანა მომეთხოვნა.

კითხვა: რუსეთის წითელი ჯარი სამუდამოდ არის აქ საქართველოში დარჩენილი თუ არა?

პასუხი: ამაზედ პასუხის მოცემა არ შემიძლიან, ვინაიდან არ ვიცი.

კითხვა: იცით თუ არა, რომ საქართველოს მთავრობის დაუკითხავათ რაიმეს გატარება ცხოვრებაში არ შეიძლება.

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: იცოდით თუ არა რომ ჯარის აქ დარჩენა იყო მთავრობის დად-გენილება?

პასუხი: არ ვიცოდი.

კითხვა: იცით თუ არა საბჭოთა მთავრობის მმართველობა-გამგეობის სისტემა, მათი უმაღლესი ორგანოები, მათი კანონები, სამმართალი, დეკრეტები და სხვა?

პასუხი: სავსებით გაცნობილი არა ვარ.

კითხვა: იცით თუ არა რომელია უმაღლესი ორგანო?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: იცოდით თუ არა რომ ყრილობა იყო საბჭოების, და ამ ყრილობამ აირჩია მთავრობა?

პასუხი: ვიცოდი ყრილობა იყო, მაგრამ არ ვიცოდი ამ ყრილობამ აირჩია მთავრობა თუ არა.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ საქართველოში არსებობდა საბჭოთა მთავრობა?

პასუხი: ვიცოდი.

კითხვა: იყო თუ არა საბჭოთა მთავრობა ხალხის სურვილების გამომხატველი?

პასუხი: უნდა ყოფილიყო.

კითხვა: რომელი მთავრობა უფრო გამოხატავს ხალხის ინტერესებს?

პასუხი: საბჭოთა მთავრობა თუ კი ის დამოუკიდებელი იქნება.

ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა. /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 125-128.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის საუბარი თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი შეეხო თურქეთ-რუსეთის ურთიერთობას
1922 წლის 13 ივნისი

13 ივნისი, ანგორის წარმომადგენელთან სტამბოლში

კ. გვარჯალაძე - მე გახლავართ საქართველოს ძველი მთავრობის წარ-მომადგენელი. დღეს ანგორას კავშირი აქვს ბოლშევიკურ რუსეთთან და კავკასიის იმ რესპუბლიკებთან, რომელნიც დღეს რუსეთის მიერ დაპყრობილია და სადაც დღეს რუსეთის საოკუპაციო ჯარი სდგას. მე პირადათ დღემდის არ მიცდია, რომ თქვენთან კავშირი დამეჭირა, რადგანაც ჩემი ცნობებით თქვენ ასეთ კავშირს, ალბათ სხვა და სხვა მოსაზრებით გაურბოდით. დღეს კი ჩემის აზრით იქმნება ისეთი მდგომარეობა, რაც საჭიროდ ჰქმნის ჩვენ შორის კავშირი გაიბას და საჭირბოროტო კითხვებზე ლაპარაკი გვექნას.

ჰამიდ ბეი - დიახ, ეს მეტათ საინტერესო იქნება, ბრძანეთ.

გვარჯალაძე - მე ხშირათ მომისმენია თურქების პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, რომ სათათრეთი დაინტერესებულია კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობით, რომ სათათრეთის მომავლის უზრუნველსაყოფათ ფრიათ საჭიროა რუსეთს და სათათრეთს შუა კავკასიის რესპუბლიკათა თავისუფალი არსებობა. და თუ დღეს ბოლშევიკურ რუსეთთან გვაქვს კავშირი, მომისმენია მე, ეს კავშირი დროებითია და იძულებითიო. და ასეთი კავშირის ქონება აუცილებელი ხთება მანამდის, სანამ საბერძნეთთან ომი არ გაგვითავებია და ანტანტას ვერ მოვრიგებივართო. მაგრამ მე მეშინია, რომ დასავლეთის სისაშაშიშრემ თქვენ ჩრდილოეთის სიშაშიშრე არ დაგავიწყოთ ან და ამ ჩრდილოეთის კიდევ ვინმე დასავლეთიდგან არ შეუერთდეს და ორივე ესენი არ გახთენ თქვენი და ჩვენიც დაუძინებელი და ამავე დროს მძლავრი მტერი.

ჰამიდ ბეი - უკავრავათ, მაგრამ ვინ გყავთ თქვენ სახეში? თქვენთვის ხომ არ იქნება უხერხული, რომ პირდაპირ ვილაპარაკოთ?

გვარჯალაძე - მე დღეს თქვენთან სწორეთ მიტომ მოვედი, რომ პირდაპირ ვილაპარაკოთ და საჭირო კითხვები გავარკვიოთ. მე ვამბობ, რომ ერთი მტერი ჩრდილოეთით არის, ეს არის თქვენი დიდი ხნის მტერი რუსეთი. თქვენ ხშირათ ამბობთ, რომ რუსეთთან თქვენი კავშირი იძულებითია და დროებითი. სწორეთ ასევე ამბობენ რუსებიც. და ეს კი ნათლად მოწმობს იმას, რომ თქვენ შორის ერთნაირი უნდობლობა არსებობს. ამ ბოლო დროს უკვე გამოირკვა, რომ რუსეთს დასავლეთიდგან ინგლისი ექომაგება, მას უჭერს მხარს, უნდა მიამხროს რუსეთი მის მხარეზე, რომ მით რუსეთში თავის საქმეები აკეთოს და მერმედ შეიძლება თავის საქმეების გაკეთებაც კი მოსთხოვოს მას.

ჰამიდ ბეი - მაგალითად თქვენი აზრით, როგორ უნდა აკეთოს რუსეთის ინგლისის საქმეები ანდა რა უნდა აკეთოს ინგლისმა რუსეთში, როგორ გაქვთ წარმოდგენილი ეს თქვენ კონკრეტულათ?

გვარჯალაძე - თქვენ იცით თუ რა მოხთა გენუის კონფერენციაზე. ამ

საქართველოს ეროვნული არქივი

კონფერენციამ ნათლად დაგვანახვა, რომ ის ნავთის კონფერენცია იყო, დავინახეთ რომ ინგლისის მთელი პოლიტიკა ამ ნავთით ამოიწურებოდა. და სწორედ ამ ნავთიზაა, რომ ინგლისი აზერბაიჯანს, საქართველოს ყიდის, უნდა ისინი რუსეთს მიაკეროს და მერმედ მოსკოვიდგან მიიღოს კონცესიები. აგრეთვე ვიცით ისიც, რომ ინგლისი მოითხოვს რუსეთიდგან მის ნეიტრალობას მცირე აზიაში, თქვენგან მის ჩამოშორებას და არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, რომ ინგლისი ცდილობს მოიხმაროს მოხერხებულ მომენტში რუსების ხიშტები თქვენს წინააღმდეგაც.

ჰამიდ ბეი - მართალი ხართ თქვენ ინგლისის შესახებ. ის მართლაც ცდილობს ყველა ამას, რასაც თქვენ ამბობთ, ნავთის ხელში ჩაგდებას და ჩვენ წინააღმდეგაც ეწევა ჩვეულებრივ ინტრიგას. მაგრამ ჩვენი ცნობებით რუსებს არ უნდათ გახთენ ინგლისელების იარაღათ და ისინი გაიბატონონ თავის სახლში.

გვარჯალაძე - წინააღმდეგ, ჩემი ცნობებით სწორეთ კრასინი აწარმოებდა ასეთ მოლაპარაკებებს ლონდონში ლოიდ ჯორჯთან. სწორეთ დღევანდელი კატასტროფიული მდგომარეობა აიძულებს რუსებს ყოველნაირ კომბინაციებზე წავიდეს. და ამავე დროს თუ ინგლისი რუსეთს კავკასიას პირდება და მცირე აზიაში სამოქმედოთ ხელს გაუშლის. რუსეთი ამით რას ჰკარგავს?

ჰამიდ ბეი - ინგლისს უნდოდა ნავთი ხელში ჩაეგდო, იყო რამოდენიმე პროექტები, მაგრამ პროექტები დღემდის პროექტებად დარჩა, ინგლისს ალბათ სხვებიც არ დაანებებენ, რომ ნავთი მან ჩაიგდოს ხელში.

გვარჯალაძე - მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ერთი რამ. ინგლისმა დღემდის აუარებელი ნავთის წყაროები შეისყიდა ბაქოში და ყოველი დღე იქ ფეხს იკიდებს და მაგრდება. შეიძლება ერთ დღეს, როცა აქ ლაპარაკი და ერთმანეთში უთანხმოებაა, იქ ადგილობრივ ბაქოში ინგლისელები ნამდვილ ბატონებად მოგვევლინონ. მას აგრეთვე დიდი ადგილები აქვს სპარსეთში, ნავთის გულიზა იბრძვის ის თქვენშიდაც. და ინგლისი ყველგან ეკონომიურად გაბატონებული შეეცდება ყოველნაირათ იყოს ბატონი ამ ქვეყნებში. ამიტომ ჩემის აზრით საჭირო იქნება აქედანვე გაეწიოს სერიოზული ანგარიში შექმნილ მდგომარეობას და ყველა იმ ქვეყნებმა, რომელთაც გვაქვს საერთო ინტერესები როგორმე რუსეთის ისე ინგლისის ჩვენდა საწინააღმდეგო მოქმედებებში, ვიფიქროთ ჩვენ მომავალზე და შეთანხმებით და საერთო პერსპექტივით ვიმოქმედოთ.

ჰამიდ ბეი - ჩვენ გვაქვს მეგობრობა (amitie) რუსეთთან, ვიღებთ დახმარებას მისგან. დღეს ყველა ჩვენი წინააღმდეგია, ასეთ პირობებში ჩვენ რუსეთს ზურგს ვერ შევაქცევთ. ამასთანავე მოსალოდნელია ერთი რამ: დღეს რუსეთი დამშეულია და მან თუ ვერ მიიღო საიდანმე დახმარება, მას შეუძლია რუმინიას მოადგეს და გადმოლახოს ის. ამასთანავე ბოლგარიაშიაც კომუნისტები ძლიერდებიან და თუ რუსეთმა რუმინია გადმოლახა ბოლგარიის გზის თვით სტამბოლში შემოიჭრებაო. ასე რომ დღეს ჩვენ არ ვართ დაინტერესებული რუსეთთან კარგი განწყობილება არ გვქონდეს.

გვარჯალაძე - მე, რასაკვირველია, არ ვამბობ იმას, რომ რუსეთთან კონფლიკტი ხელოვნურათ გამოიწვიოთ, თქვენ თქვენი ინტერესები უკეთ იცით. მაგრამ მე ერთი რამ მსურს, მე მინდა მქონდეს რწმენა, რომ ჩვენი ხალხის განთავისუფლების ხანაში თქვენ - თურქები არ იყოთ ჩვენი წინააღმდეგი, რომ

საქართველოს ეროვნული არქივი

ამ დროს თქვენ ნეიტრალიტეტი მაინც დაიცვათ.

ჰამიდ ბეი - როგორც ზემოთ ვსთქვი, რუსეთთან დღეს კონფლიკტი ჩვენთვის არ იქნება ხელსაყრელი და ამას ვერც ვიზამთ. რაც შეეხება ჩვენ ნეიტრალობას ჩემი პირადი აზრით, მე მგონია, რომ თქვენ მიმართ ჩვენ ნეიტრალი უნდა ვიქმნეთ. ყოველ შემთხვევაში მე ჩემ მთავრობას შევეკითხები ამის შესახებ.

გვარჯალაძე - ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი შეხვედრა არ იქნება პირველი და უკანასკნელი. მე მგონია, რომ ერთნაირი კავშირი უნდა არსებობდეს ჩვენს შორის და ჩვენ და ჩვენ მდგომარეობას ანგარიშს გაუწევთ.

ჰამიდ ბეი - რასაკვირველია, ჩვენ ყოველთვის გიწევდით ქართველებს ანგარიშს.

გვარჯალაძე - მე არ ვიცი თუ თქვენ გაქვს ინფორმაცია და თუ კი ის თქვენ გაქვს მაშვინ გეცოდინებათ რა ძალას წარმოადგენს ჩვენში ბოლშევიკები, როგორ უყურებს მათ ჩვენი ხალხი, რა სულისკვეთებაა ამ ხალხში და რომ ამ ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი არის დღეს ევროპაში მყოფი მისი მთავრობა და არა თფილისის რევკომი.

ჰამიდ ბეი - მე ხშირად მომდის ცნობები თფილისიდგან.

გვარჯალაძე - მაშინ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ ჩვენი ხალხის სახელით ლაპარაკი შეგვიძლია მხოლოთ ჩვენ და არა ვინმე სხვა ვინმეს. მე მგონია, რომ დღეიდგან ჩვენ შორის მეტი კავშირი უნდა იყოს.

ჰამიდ ბეი - დიდი სიამოვნებით, როცა რამ იქნება საინტერესო ან მე შემოვთვლი თქვენთან ან და თქვენ მობრძანდებით ჩემთან.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 17-20.

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია გურიაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შესახებ 1922 წლის 20 ივნისი

რეპრესიები გურიაში

/წერილი გურიიდან/

იმ საზიზღროებას, რომელსაც კომუნისტები სჩადიან დაპყრობილ საქართველოში დაუმატეს კომუნისტებმა ერთი კიდევ უსაშინელესი საზიზღროება, რომლის მსგავსი არც ერთ რეჟიმის, არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა. დევნა, ჭერა, ხვრეტა. უბრალო მშვიდობიანი სახალხო მიტინგებისათვის ბომბების დაშენა. ქალების და ბავშვების გაჟლეტა, ეს ხომ ხშირი მოვლენა არის, მაგრამ ის საზიზღარი ზომა, რომელსაც გურიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიმართეს ამ ბოლო დროს პოლიტიკურ დევნილთა ოჯახების, ნათესავების და მათ დამხმარეთა წინააღმდეგ ყოველივე საზღვარს გადასცილდა.

მაისის პირველ რიცხვებში ოზურგეთის პოლიტ-ბიუროს გამგემ ბატ. მხეიძემ გურიის კომუნისტურ პარტიის კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის ლოცვა-კურთხევით, შეუდგა დევნილთა წინააღმდეგ ბრძოლას და მიიღო მთელი რიგი ზომები მათ ხელში ჩასაგდებათ, მარა, რაკი დარწმუნდა, რომ მათ მიღებული ზომებით ისინი დევნილებს ხელში ვერ ჩაიგდებენ, მაშინ შური იძიეს დევნილთა ოჯახებზე და მათ ნათესავებზე და ყველა იმ პირებზე, რომლებიც მათი აზრით, ხელს უწყობენ პოლიტიკურ დევნილებს.

სასტიკი ზომები კომუნისტების მიერ მიღებული გამოიხატება შემდეგში: ყველა დევნილებს და მათი ხელშემწყვე ოჯახების დაბეჭდეს, ოჯახის სრულწლოვანი წევრები დაატუსაღეს და ოზურგეთის საპყრობილეში მოათავსეს. ნივთები აღწერეს, რამდენიმე ოჯახიდან კიდევაც წაიღეს და სახელმწიფო ქონებათ გამოაცხადეს. მცირეწლოვანი ოჯახის წევრები კი კარში გამოყარეს და ცხოვრების საშვალება მოუსპეს, პატარა ბავშვები უპატრონოთ დასტოვეს და მათი დედ-მამა სატუსაღოში მოათავსეს.

მაგალითისათვის მოვიყვანთ რამოდენიმე ოჯახებს: აკეთში, ვითომ დევნილობისათვის, სახლი დაუბეჭდეს და სატუსაღოში გაგზავნეს 90 წლის მოხუცი **ივანე მგელაძე** თავისი ავადმყოფი 85 წლის ცოლით. ამავე აკეთის თემში დაუბეჭდეს ოჯახები და ციხეში გაგზავნეს შემდეგი პირები: **ივანე ხუხუნაიშვილი, შიო ქურიძე, მიხეილ ღლონტი** /ცოლ-შვილიანათ/, **პავლე ცქვიტიშვილი** /ცოლიანათ/, დაბეჭდეს აგრეთვე **ალფესი გოგუაძის** ოჯახი. აცანაში დაუბეჭდეს ბინა **ვლადიმერ ჩხაიძეს** და ციხეში გაგზავნეს მისი 85 წლის მოხუცი ავადმყოფი დედა.

ხიდისთავში დაუბეჭდეს ბინა, ნივთები წაიღეს და ოჯახი, ეზო და ყველაფერი სახაზინო გამოაცხადეს **სერგო მათითაიშვილის** და **გიორგი ლომთათიძის**. შემოქმედის თემში დაუბეჭდეს ბინა და ციხეში ჩასვეს **ესე ჭანუყვაძე** ცოლშვილით და მრავალი სხვები. ასეთი ზომები მიიღეს გურიის ყველა თემებში.

ასეთ მდგომარეობაში ჩააყენეს კომუნისტებმა გურიის მრავალი ოჯახები და ეს იმ დროს, როდესაც მუშაობის დრო არის და თითოეული წუთი მუშა-

საქართველოს ეროვნული არქივი

გლეხისათვის ძვირფასია. მუშაობის დროს მუშებს და გლეხებს ციხეებში ერეკებიან და ამავე დროს ნატურალურ გადასახადებს ერთი ორათ ახდევინებენ ისედაც გაძვალტყავებულ გლეხებს.

მაგრამ მიუხედავათ ასეთი საშინელი ზომებისა, მათმა ცდამ მაინც ვერ გასჭრა და ხალხის თანაგრძნობა დევნილების მიმართ უფრო გააძლიერა და ერთი წუთითაც ვერ შესუსტდა გონება-აბნეულ გაბოროტებულ კომუნისტების სასტიკმა ზომებმა. ეხლა, როდესაც 24-26 მაისის მიტინგ-დემონსტრაციები ბრწყინვალეთ ჩატარდა და ვერავითარმა ზომებმა ხალხი ვერ შეაშინა, კომუნისტებმა კიდევ სხვა ზომებს მიმართეს. ყველა ის პოლიტიკური დევნილები, რომლებიც ხელში ვერ ჩაიგდეს, დასაჯეს დამსჯელი რაზმების ჩაყენებით. ს. აკეთში 6 მაისს მოიყვანეს რუსის ცხენოსანი წითელი არმიელები და ჩააყენეს დევნილთა ოჯახებში, რომლებსაც დაავალეს არმიელების და მათი ცხენების რჩენა. და ეს იმ დროს, როდესაც გურიის თითქმის ყველა ოჯახი დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, არც ერთ ოჯახს თავის საყოფი სიმინდი არა აქვს, ამ დროს არჩენიებენ რუსის ჯარებს და მათ ცხენებს. თითოეულ ცხენს უნდა აძლიონ დღეში 5 გირ. სიმინდი. თითოეულ ოჯახში ჩაყენებული არის 12-15 რუსი, დათესილი ყანები სრულიად გაანადგურეს ამათმა ცხენებმა. აკეთში ჩაყენებული არის ეგზეკუცია შემდეგ ოჯახებში: სოსო და იულო ბაჟუნაიშვილებისას, ფილიპე ქეიშვილისას, ასლან მჟავანაძისას, ივლიანე ქანტურიშვილისას, მიხეილ ღლონტისას და მრავალ ადგილას სხვებისას. ასე ანიავებენ „წითელი სოციალისტები“ შრომის მოყვარე და თავისუფლების მოტრფიალე ხალხს სოციალიზმის სახელით. მაგრამ მიუხედავათ ასეთი გაჭივრებისა და საშინელი მდგომარეობისა, ხალხის სულიერი განწყობილება კარგია, მას სწამს, რომ ეს უბედურება არის დროებითი და ამ რწმენით ის იტანს უმაგალითო, ისტორიაში ჯერ არ ნახულ და გაგონილ ტანჯვა-წამებას.

სამხრეთ გურიაში თითქმის ყველა ოჯახებში ჩაყენებულია რუსის ჯარის კაცები 4-6 კაცი თითო ოჯახში. განსაკუთრებით კი სერიოზულია მდგომარეობა შემოქმედის თემში. თემი დამშეულია და რუსები კი გლეხების ხარჯზეა...

20 ივნისი 1922 წ.
გურია.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 55-57.

საქართველოს ეროვნული არქივი

მადონერის (ნოე ხომერიკის) საინფორმაციო წერილი, სადაც საუბარია ნაძალადევის მუშათა კლუბში ბუდუ მდივანის მუშებთან შეხვედრაზე გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით 1922 წლის 27 ივნისი

საინფორმაციო წერილი

ამ წერილში მინდა მოკლედ აგიწეროთ ბ. ბუდუ მდივანის გამოსვლა ნაძალადევში. მან გენუიდან ჩამოსვლისთანავე ტფილისში დაიწყო მოხსენებები საქართ. საბჭოთა დელეგაციის მოღვაწეობაზე გენუაში. პირველად, რასაკვირველია, ის ეწვია ყველა საოკუპაციო ოფიციალურ ორგანოებს, კომპარტიის ცეკას, ე. წ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, პროფკავშირებს. მისი გამოსვლა ყოველთვის იყო ტრაბახით დაწყებული და გათავებული მუქარით, - თუ ევროპამ არ დასთმო ომით გავცემთ პასუხსო. 22 ივნისს მან ნაძალადევში განიზრახა თავის გასტროლის გაკეთება. ნაძალადევის დევნილ მუშათა კლასს მან მოუნდომა მოტყუილება. მართლაც, მისი სტუმრობა არაჩვეულებრივი, იშვიათი დღეა ჩვენს ცხოვრებაში - ამ დიდ ზღაპრულ და რეპრესიების ხანაში. ამიტომ ცოტა უფრო დაწვრილებით აგიწერთ ბ. ბუდუს აღლუმს ნაძალადევის თეატრში.

ნაძალადევის თეატრი 22 ივნისს საღამოს არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მოგაგონებდათ ძველ დროს. მიტინგი უნდა გახსნილიყო საღამოს 7 საათზე მარა უკვე 6 საათზე თეატრის დარბაზი, იარუსები, ბალკონი, კარიდორი, ფანჯრები და ეზო ხალხით გაიჭედა. ამ ხალხში ვეღარ ვხედავდით ჭრელ ხალხს, ბოლშევიკურ არისტოკრატიას, სოლოლაკის გაბოლშევიკებულ ბურჟუაზიას, უცხოელებს. ეს ხალხი იყო „შავი ხალხი“, მხოლოდ ნაძალადევის მუშები, რომელთაგან ბევრი ადგილებიდან გარეკილნი არიან ბოლშევიკების მიერ. რასაკვირველია აქა იქ ბოლშევიკების აგენტები და ჩეკისტები ურევია, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

7 საათზე რაიკომმა მიტინგი გახსნილათ გამოაცხადა და სცენაზე მატროსივით გულგახსნილი გამოჩნდა ბუდუ. მისი გამოჩენის დროს ოცამდე ტაშის ხმა გაისმა. მას ტაში დაუკრეს მარტო ჩეკისტებმა მხოლოდ და კომუნისტებმა. ბუდუ შეფიქრდა მან წინ და წინ იგრძნო მტრის ბანაკში ყოფნა. ამას ის არ მოელოდა, ვინაიდან კომპარტიას ცეკას ბრძანების თანახმად ნაძალადევის თეატრი ტფილისის ბოლშევიკებს ადრიან უნდა დაეჭირათ. გაკვირვებულმა ბუდუმ იჭვის თვალით დაათვალიერა თეატრი, ცოტა შეჩერდა. და მართლაც დამაღონებელი იყო 4000-მდე მუშა და 20-მდე ტაშისკვრა. ბუდუს სახე გამოეცვალა, თავისი მოხსენება არტისტულად დაიწყო.

ბუდუ მდივანი: გენუის კონფერენციის შესახებ მინდა მოხსენება გაგიკეთოთ.

ხმები: ვინ დაგავალათ რომ იქ ბრძანდებოდით, განა დაგიშვეს კონფერენციაზე.

ბუდუ მდივანი: ოი, თქვენ შეგარცხვინათ ღმერთმა - ამ სიტყვებმა დარბაზში სიცილი გამოიწვია.

ხმები: განაგრძეთ, გიყურებთ რა გაგიკეთებიათ.

მდივანი: გენუის კონფერენციაზე რუსეთი მოიწვიეს ...

საქართველოს ეროვნული არქივი

ხმები: თქვენ რაღა მოხელე იყავით? მდივანი დაიბნა; ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო.

მდივანი: ევროპის თანამედროვე ეკონომიურმა მდგომარეობამ აიძულა ევროპის სახელმწიფოები, რომელნიც იარაღით ებრძოდნენ წითელ რუსეთს და დამარცხდნენ, ახლა თავი დაემდაბლებიათ და კანონს გარეშე გამოცხადებული რუსეთი გენუის კონფერენციაზე მიეწვიათ. ამით მათ იცნეს კიდეც რუსეთი. გენუის კონფერენციას ჩვენ მიუთითეთ კიდეც, რომ თუ თქვენ გინდათ ევროპის ეკონომიური აღდგენა, დაივიწყეთ ძველი ანგარიშები, ვიყოთ მშვიდათ და ის ოქრო, რომელიც უძრავათ დევს ამერიკის და ევროპის სალაროებში, გავინაწილოთ თანასწორათ.

სიცილი, ხმები: თქვენ რუსეთში დაგელიათ ოქრო ...

მდივანი: მესმის, ბატონებო თქვენი სიცილი და თავხედობა და თქვენც ისევე დაგიმტკიცებთ, როგორც ეს დავუმტკიცეთ გენუაში ევროპის ბანკირებს, რომ ჩვენი მოთხოვნილება არის სამართლიანი. ჩვენ ვამაყობთ, რომ რუსეთის პროლეტარიატის დელეგაციამ გზების თავისუფლება და განიარაღება მოითხოვა იმპერიალისტურ გენუაში.

ხმები: თქვენ ხომ უარესი იმპერიალისტები ხართ საქართველოში რუსის ჯარის ხიშტებზე დამჯდარნი, თვით როდის აპირებთ განიარაღებას ... ეს ხმები მთელი დარბაზის ტაშისცემამ დაფარა. ბუდუ გაფითრდა, ჩეკისტებმა წრიალი დაიწყეს; მაგრამ ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ. მათ მოინდომეს რამოდენიმე მუშის იქვე დაპატიმრება, მაგრამ მთელი დარბაზის ხმაურობამ ისინი დაადუმა.

ხმები: აქ ვერაფერს გაბედავთ, ჩეკისტებო, ზიზღი ჯალათებს ...

მდივანი: ბ-ნო მენშევიკებო, ძალიან გინდათ რუსის ჯარი გავიყვანოთ. რა ჭკვიანები ყოფილხართ. თქვენ ამას ვერ მოესწრობით. ჩვენ არ გავიყვანთ რუსის ჯარს და ვერც თქვენ მოესწრობით ქართული ჯარის შედგენას ... კბილების კრაჭუნით წამოიძახა მდივანმა ეს სიტყვები. დარბაზი ხმაურობდა. იყო საერთო ყვირილი: ბუდუ ძალზე დაბნეული ხანგამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე რაღაცეებს დამუქრებით: მღელვარების შემდეგ მდივანი განაგრძობს - გენუაში რუსეთთან ყველა სახელმწიფოები ცალ ცალკე სცდილობდნენ მოლაპარაკებას. განსაკუთრებული სიმპათიით გვეკიდებოდა ლოიდ ჯორჯი. მენშევიკებიც მუშაობდნენ კონფერენციაზე, მათ შესძლეს მხოლოდ ევროპის ალაპარაკება. მოითხოვეს ჟორდანიას მთავრობის დაშვება, მაგრამ ჩიჩერინის მკაცრმა გამოსვლამ ალაგმა საფრანგეთის მადა. დარბაზში საშინელი ხმაურობა ატყდა ... გაისმა საერთო ხმები: სირცხვილია, ეგ ტყუილია, თქვენ არ დაგიშვეს ...

- გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას ... გაისმა საერთო ხმა და ოვაციები. ბუდუ და მისი პატარა ბოლშევიკები სცენიდან დარბაზს შეშინებული უყურებდნენ.

- კარგა ხნის შემდეგ მდივანი შემდეგის სიტყვებით ათავებს თავის მოხსენებას, მენშევიკებმა ამბროსი გამოიყენესო ...

ხმები: პაპს რატომ ემთხვიეთ ხელებზე ... იტალიის მეფეს ჩიჩერინთან როგორ ჩაუდექით ფრონტში. ... სიცილი, ხმაურობა ...

მდივანი: რუსეთის დელეგაციამ გენუაში ერთის დაკვრით შესძლო ბურჟუაზიის ფრონტის დაშლა. მან დაარღვია ინგლის საფრანგეთის კავშირი, ხოლო რაპალოს ხელშეკრულებით მან გაიმარჯვა და ამით კიდეც დაემუქრა

საქართველოს ეროვნული არქივი

მთელ ევროპას და ახლო მომავალში რუსეთის დროშა აფრიალდება ყველგან.

დამუქრებით გაათავა თავისი „მოხსენება“ მდივანმა. დაიწყო შეკითხვები.

1. რატომ არის გერმანიის სოციალ დემოკრატია რაპალოს წინააღმდეგი.

2. რატომ დამალეთ გენუის კონფერენციის დადგენილება, რის ძალითაც რუსეთს არ მისცეს დაპყრობილ საქართველოს სახელით ლაპარაკის ნება ...

3. რატომ დამალეთ გენუაში სვანეთის ამბები და მის შესახებ დადგენილება ...

4. რატომ დამალეთ გენუაში რუსეთის დელეგაციის მოლაპარაკება ბაქოს ნავთის შესახებ ...

ხმები: ვინ მისცა ჩიჩერინს უფლება ნავთის ვაჭრობისა. მოესწრებით კი გატანას ...

5. როგორ გიყურებთ თქვენ ევროპის მუშები ... - იყო სხვა შეკითხვებიც. მდივანი დაიბნა ამ შეკითხვებზე. მან პირდაპირი პასუხი ვერ გასცა. მხოლოდ ირონიულად შემდეგი განაცხადა: თუ შევეკითხებით ყვითელ ინტერნაციონალის ძალებს - ვანდერველდეს, მაკდონალდსა და კომპანიას ... მან განცხადება ვერ გაათავა. დარბაზში ხმაურობა და საერთო ძახილი ატყდა: თქვენ ხო იტალიის მეფეს დაეკითხეთ ... ლოიდ ჯორჯს ევაჭრებით ... ამიერ კავკასიით და საქართველოთი ინგლისის კაპიტალისტებს ევაჭრებით. ვერ მოესწრებით თქვენ ამას ...

დარბაზის დაწყნარების შემდეგ დაიწყო ბუდუ მდივანმა დაწერილ შეკითხვის კითხვა: „ბატონო ბუდუ, რომელ რუსეთით ემუქრებით ევროპას, განა იმ რუსეთით რომელიც მიყიდეთ კაპიტალისტებს ...“ ბუდუმ ამაზე გიჟურათ დაიყვირა: „ფუი ამის დამწერს - პირდაპირ ულვაშებში მივაფურთხე.“ დარბაზში სიცილი ასტყდა. მან განაგრძო ყვირილი: „თუ ვაჟკაცი ხარ ამის დამწერი, ადექი და გამოჩნდიო.“ ბუდუს ამ სიტყვებზე დარბაზში სწრაფად წამოდგა ერთი მუშა და განაცხადა: - მე გახლავართო.“ ამის დაძახებაზე მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და მუშას ოვაციები გაუმართა. შეკითხვების შემდეგ სიტყვა მოითხოვა ს. დემოკ. ორატორმა კ. ქავთარაძემ. დანიშნულმა პრეზიდიუმმა ამაზე უარი განაცხადა. მაგრამ მთელმა დარბაზმა მოითხოვა მისთვის სიტყვა მიეცათ. ს. დემოკრატის გამოჩენამ სცენაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მთელი დარბაზი მას ფეხზე ადგომით და ტაშის ცემით შეეგება. ქავთარაძემ ფარდა ახადა სინამდვილეს, გამოააშკარავა ბ-ნ. მდივნის სიყალბე. შეეხო გენუის კონფერენციას, ევროპის მუშების დამოკიდებულებას ბოლშევიკებისადმი, ჩვენს შინაურ მდგომარეობას, ბალშევიკების იმპერიალისტურ მოღვაწეობას, ადერბეიჯან საქართველოს გაყიდვას ნავთის სახით და აღნიშნა: „ბოლშევიკებმა თავი შეაფარეს მეფეს, ლოიდ ჯორჯს, კაპიტალისტების კალთებს, გამოეთიშენ საერთაშორისო მუშათა კლასს და იქ შეეცადენ და სცდილობენ დაპყრობილ საქართველოთი ვაჭრობას. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ხალხი არავის ამის უფლებას არ მისცემს, ის იბრძოლებს ოკუპაციის მოსახსნელად, ერის უფლებების აღსადგენად და ამ ბრძოლაში ის დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს; ის არ ცნობს ოკუპანტების მთავრობას, ვინაიდგან მას ყავს საკუთარი მთავრობა - ნოე ჟორდანიას მთავრობა, მან სიტყვა საერთო ოვაციებში და ტაშის ცემაში დაამთავრა. ნოე ჟორდანიას მთავრობის ხსენებაზე ხალხი ერთავად ფეხზე ადგა და ძლიერი ტაშის ცემით და ძახილით „გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას“ - ნახევარი

საქართველოს ეროვნული არქივი

საათი ხმაურობდა. დარბაზის დაწყნარების შემდეგ საუცხოვო სიტყვით გამოვიდა სცენაზე უპარტიო პაპავა. მან დაიწყო, რომ აქ ბ-ნ მდივანი საქართ. კათალიკოსზე ამბროსიზე ლაპარაკობდა და მან დაივიწყა იტალიის არქიეპიზკოპოზი, მეფე ... ბუდუ ზეზე წამოვარდა და მუშტების ღერებით ახალგაზრდას დაუწყო ყვირილი: „შენ შეგირცხვა სინდისი, შეგარცხვინა ღმერთმაო." ... დარბაზში ასტყდა ისეთი ძლიერი ყვირილი. ახალგაზრდებს ოვაციები გაუმართეს. ბუდუ ღრიალებდა. პაპავამ სიტყვა განაგრძო და დაასრულა, რის შემდეგ მთელი ხალხი ფეხზე ადგა. ბუდუ კი რაღაცას იძახოდა. დარბაზში ერთმა მუშამ დაიძახა „გაუმარჯოს საქართველოსათვის განმანთავისუფლებელ ბრძოლას, გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას, ძირს საოკუპაციო ძალაუფლება ..." ამ სიტყვებზე მთელმა დარბაზმა განმეორებით დაიგუგუნა. გაისმა ვაშას ძახილი და ხალხმა ერთბაშად დარბაზიდან დემონსტრატიულად გავიდა. მიმავალ ხალხს ბუდუმ მიაძახა „მე თქვენ გიტირებთ დედასო". ... დარბაზში დარჩა ბუდუ და ოცი ჩეკისტი, რომელნიც სასწრაფოდ წავიდნენ. ასეთი ბედი ეწვია ბუდუს ორ ივნისს ნაძალადევში.

ამაზე კომუნისტები სდუმდნენ. ხოლო 27 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" (N143) დუმილი დაარღვია ბუდუს პატარა ფინიამ, ვიღაც სევასტიმ, რომელმაც წერილს სათაურად უწოდა - „გახრწნილი პარტია" და ნაძალადევის მუშათა მიტინგი მონათლა რეაქციონერების, ვაჭრების, მღვდლების მიტინგათ. ეს იმ დროს, როცა არც ერთი ვაჭარი არ ყოფილა შიგ. ამ მარცხის შემდეგ სოვნარკომი ჩეკას ემდურება - ნაძალადევი ადრე უნდა გაიწმინდოსო. აი მოკლეთ ამ დღემ ცოტა არ იყოს ამ დიდი რეპრესიების დროს მტერი და მოყვარე დააფიქრა კიდევ ერთხელ.

27.6. 22 წ. პატივისცემით თქვენი მადონერი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 129, ფურცლები 14-18.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 24-26 მაისის დემონტრაციების სასტიკი მეთოდებით დარბევასთან დაკავშირებით
1922 წლის ივნისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
საქართველოს მშრომელ ხალხს!

მოქალაქენო? კიდევ ახალი თავდასხმა, კიდევ ახალი სისხლიანი დღეები! 24-26 მაისის განმავლობაში მშვიდობიან მანიფესტანტებს თოფ ზარბაზნებით „ამშვიდებდა" საოკუპაციო მთავრობა. მან ურცხვათ ჩამოიძრო ნიღაბი და დაენახვა საქართველოს თავისი მახინჯი სახით. 23 მაისის ხელმოწერილი დეკრეტით გააუქმა ჩვენი ისტორიული დღე - 26 მაისი და 25 თებერვალი გამოაცხადა დამოუკიდებლობის დღეთ. ამით ის არა მარტო არსებითად, გარეგნულათაც კი გაემიჯნა ქართველ ერს, სრულიად გაშიშვლებული დამპყრობი ძალა დაუპირდაპირდა დაპყრობილ საქართველოს.

საქართველომ მოურიდებლათ აიღო ხელში გადმოსროლილი ხელთათმანი და მეორე დღესვე მისცა პასუხი უხეშ მოძალადეებს. 24 მაისს ფეხზე დადგა მთელი საქართველო, მწყობრათ, ერთსულოვნათ გამოვიდა ის ქალაქებში და სოფლებში თავის უფლებების დასაცველათ. გვერდში საქართველოს ყველა საზოგადოებრივი წრეები, ყველა პოლიტიკური პარტიები ეს იყო პროტესტი, რომელშიაც ქართველმა ერმა გამოიჩინა თავისი ეროვნული ძლიერება, თავისი შეურყეველი ნებისყოფა.

თავზარ დაცემულმა საოკუპაციო მთავრობამ არ იცოდა რა ექნა. მისი მოსყიდული აგენტები და რუსეთის ჯარები მოედვენ ქუჩებს, შემოეხვივნენ ყველა დაწესებულებებს, შეიარაღებულ ბანაკათ გადააქციეს თბილისი. თავიდან ფეხებამდის დარაზმულები შიშით კანკალებდენ მშვიდობიანი ხალხის წინაშე. შიშის ციება ემართებოდათ, როცა ხედავდენ ორ-სამ კაცს ერთად გავლილს. დაბა-სოფლებში ისინი ყოველი ღონისძიებით ცდილობდენ, რომ შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაეთრიათ მშვიდობიანათ გამოსული ხალხი. თოფ-ზარბაზნებით და ყუმბარებით შეხვდენ უიარაღო მუშებს და გლეხებს, ქალებს და ბავშვებს. ხალხი არ შეშინდა. ხალხმა უკან არ დაიხია, სანამდის არ სთქვა თავისი სიტყვა. შეუდრეკელი ხმით ეუბნებოდა ამ დღეებში მოსკოვს და მოსკოვის მოციქულებს ქართველი ერის, რომ ის არ დანებდება მათ, რომ ის გაჩერდება მხოლოდ მაშინ, როცა მიაღწევს თავის მიზანს.

„კომუნისტებმა" ხალხს უპასუხეს პროვოკაციით, სროლით, ბარბაროსული ცემით. 26 მაისის დღეები სამოქალაქო ომის დღეებათ გადააქციეს ხალხის მოღალატეებმა. ხალხი არ აყვა პროვოკაციას. ღია მკერდით იდგა ის თავდამსხმელი მსროლელების წინააღმდეგ.

მოხდა საშინელი სისხლის ღვრა. სისხლში მონათლა „მუშა-გლეხის მთავრობამ" ქართველი მუშა-გლეხობა. 24 მაისს ოკუპანტებს გურიაში სამხედრო ფრონტი ქონდათ გახსნილი და საქართველოსთვის ჯერ არ ნახული ველურობით

საქართველოს ეროვნული არქივი

ყუმბარებით და თოფებით ანადგურებდენ მშვიდობიან ხალხს. ამ დღეს ფიჩხის ჯვარში, ხონჭკათში, ლანჩხუთში და ხაჭალიაში მიტინგების დროს მოკლეს 11 კაცი, ამათგან ერთი ქალი და ერთი ბავშვი. დაჭრილია მძიმეთ 47, ბევრს ყუმბარამ მოსწყვიტა ხელ-ფეხი, დასახიჩრებულია ბავშვები და ქალები. ამას დაურთეთ სამტრედიაში მომხდარი უბედურება, სადაც მუშათა მშვიდობიან მანიფესტაციას ესროდენ ოკუპანტები და სადაც მოკლეს მოხუცი მუშა და დასჭრეს, დაასახიჩრეს და სცემეს 25-მდე კაცს. ასეთივე უბედურება მოხდა შორაპანში. აქაც მოკლეს ერთი მუშა და დასჭრეს მძიმეთ სამი. თვით თბილისში ამ დღეს ნამდვილი ველური ნადირობა იყო გამართული მშვიდობიან ხალხზე. ბევრი დასჭრეს და დაასახიჩრეს, თმებით ათრევდენ ცხენოსანი ველურები მოსწავლე ქალებს და ასობით ყრიდენ სარდაფებში. ჯერ კიდევ არ არის სრული ცნობები შეკრებილი, მსხვერპლი გაცილებით მეტია.

უსინდისო მახარაძეები, ორახელაშვილები, ჩიჩერინები კიდევ იტყვიან - საქართველოში სისხლის ღვრას კი არა, უბრალო წესიერების დარღვევასაც არ აქვს ადგილიო?.. ჩვენ არა ერთხელ გამოგვიმჟღავნებია და კიდევ გამოვამჟღავნებთ მათ სიყალბეს.

საოკუპაციო მთავრობა ვერ ძღება დაქცეული სისხლით, მოკლულებით, დაჭრილებით. ის დღეს განაგრძობს მუშა-მოსამსახურეების დევნას 26 მაისის უქმობისათის. ამხანაგებს ითხოვენ ადგილებიდან, ასაჩუქრებენ მგლის ბილეთებით, რომ ვეღარსად იშოვონ სამუშაო, მათ ადგილებზე იღებენ თავის აგენტებს მომეტებული ჯამაგირებით. ბინძური მმართველები, ბინძური მოსყიდვით ცდილობენ ქართველი მშრომელი ხალხის გათიშვას და ამ გათიშვაზე თავის საბატონო ტახტის გამაგრებას. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ბეწვზე ჰკიდია ეს ტახტი.

სისხლით დამთვრალი ოკუპანტები ამ ველურობითაც არ კმაყოფილდებიან. მათ გაავსეს ციხეები და სარდაფები, ახალი საპყრობილეებით მოფინეს მთელი საქართველო და შიგ ჩასჭედეს ათასობით რევოლიუციონერები და ერის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი შვილები. დღემდი ქართველი ერის ამ საუკეთესო შვილებს თავის სამშობლოს საკნებში მაინც აწამებდენ, დღემდი დამპყრობლები ისე არ გათავხედებულან, რომ ამ მებრძოლთა ციმბირში და ტურუხანის მხარეში გადახვეწა ეფიქრათ. დღეს კი გაცოფებული, გონება დაკარგული და სისხლით ყელამდე ავსილი ოკუპანტები ფიქრობენ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მხედრების სამშობლოდან რუსეთის ჯოჯოხეთში გადახვეწას. დამშეული, კაცის-ჭამიობას მიჩვეული რუსეთი და მისი კომუნისტები თვით გამორბიან საქართველოში ლუკმა პურისთვის, ხოლო თავის საკუთარ ჯოჯოხეთში მოსკოვი ქართველ მოღვაწეთ უპირებს ჩაღრჩობას. ნუ თუ ასე გაბატონდა შავრაზმელი პუგაჩოვი მახარაძე-ქავთარაძეზე? ნუ თუ ამ უკანასკნელებმა ისე დაკარგეს გონება, რომ ფიქრობენ საქართველო აპატიებს მათ ახალ დანაშაულს?

ქართველი ერის მთლიანობას ამით ვერ დაარღვევენ ის კიდევ უფრო განმტკიცებულია 24-26 მაისს გაღებული სისხლით და მსხვერპლით. საქართველომ იშოვნა მოკავშირეები დაჩაგრულ ერებში. ქართველ დემოკრატიას გვერდში ამოუდგნენ საქართველოს ეროვნული უმცირესობები. ახალი მოკავშირეებით გაძლიერებული საქართველო გაბედული მრისხანებით დგას

საქართველოს ეროვნული არქივი

დღეს საოკუპაციო მთავრობის წინააღმდეგ.

24-26 მაისის დღეები ახალი სისხლიანი დატაა ქართველი ერის ისტორიაში. ამ დღეს მოსკოვმა და მისმა ჯარებმა ერთხელ კიდევ გაიმეორეს ალიხანოვების, ერმოლოვების, კრილოვების და სისხლიანი ტოლმაჩოვების საქართველოში არა ერთხელ ნაცადი აწიოკება, უიარაღო ხალხის დახვრეტა და დაბა-სოფლების განადგურება. ამ დღეებში მთელმა საქართველომ თავისი ათეული წლობით დაგროვილ რევოლიუციონური ენერგიით და უშიშრათ გაღებულ მსხვერპლით უთხრა იგივე პასუხი „წითელ" მოსკოვს, როგორ პასუხსაც ის ასი წლის განმავლობაში აძლევდა თვითმპყრობელობის პეტერბურგს.

დეე, გურიის სოფლებში დახვრეტილი ამხანაგები, ყუმბარით დაფლეთილი ქალები და ბავშვები, დეპო-ქარხნებში სისხლში ჩაღრჩობილი ხელებ დაკოჟრილი მუშები და მათი უდროვოთ გაჭრილი საფლავები ახალ მსხვერპლათ მიემატოს საქართველოს ფრონტებზე დაღუპულ უთვალავ გმირთა საფლავებს - ეს გაღებული სისხლი ფიცია მთელი ერის, ფიცი შეურყეველი, რომ საქართველო დასცემს მოძალადეთა ბატონობას და უშიშრათ ააფრიალებს 26 მაისის თავისუფლების დროშას. სისხლით შემოვიდა მოსკოვი საქართველოში და სისხლში ამოსვრილი წავა ის საქართველოდან.

ძირს ქართველი მუშების და გლეხების მკვლელები!

ძირს სისხლში გასვრილი საოკუპაციო მთავრობა!

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს 26 მაისის დროშას!

დიდება სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკათ მიტანილ მსხვერპლთ!

საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტი.

ივნისი 1922 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 13.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტის მიმართვა დუშეთის გლეხებს
1922 წლის ივნისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
დუშეთის გლეხკაცობას!

მშრომელო გლეხებო! რამოდენიმე დღეა რუსეთის ხიშტებით გამეფებულმა საოკუპაციო მთავრობამ იდღესასწაულა ეგრეთ წოდებულ „დუშეთის აჯანყების“ ოთხი წლის თავი. მოსკოვის ბრძანებით შეუდგა ის ძეგლების აგებას იქ, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ძვლები განისვენებენ.

თქვენ კარგათ გახსოვთ ეს „აჯანყება“. ეს იყო 1918 წელს. გამარჯვებული ოსმალეთი, რუსეთის ეხლანდელ მოკავშირე ენვერფაშას მეთაურობით, ბათუმში შემოიჭრა და გურია ააოხრა, ხოლო სადახლო კრწანისით საქართველოს გულს თბილისს განადგურებით ემუქრებოდა. ჩრდილოეთით, შავი ზღვის მიმართულებით, სამეგრელოს შემოესია ბოლშევიკური ტამანის არმია და მცხოვრებთა აწიოკება იწყო. რესპუბლიკა ანარქიის რკალით იყო შემორტყმული და მთელი ხალხი დარაზმული ებრძოდა უცხოეთიდან შემოჭრილ ურდოებს.

და აი ამ დროს საქართველოს ახალი ფრონტი გაუხსნეს მისმა მოღალატე შვილებმა მახარაძე-ორჯონიკიძე-ქავთარაძემ, რომლებიც მაშინ მოსკოვის კომისრებათ განაგებდენ კავკავის რესპუბლიკას. ლარსის მხრიდან შემოიჭრა რუსეთის ბოლშევიკური ანარქია და დუშეთი ომის ცეცხლში გაახვია. თბილისის ქარხნის მუშები: საშა რიკაძე, პეტრე ავლოხაშვილი და გორა ნაგლიაშვილი ქავთარაძე-ცინცაძის ბრძანებით ამ ნაძირალებმა დახვრიტეს და ნარეკვავ-თან საფლავი გაუთხარეს 20-დე ახალგაზრდას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას თავისი სისხლით იცავდენ. ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ურდოებმა ღირსეული პასუხი მიიღეს თბილისის მუშებისა და დუშეთის მშრომელ გლეხობისაგან. რუსეთის ბრბოებთან ერთად მახარაძე-ქავთარაძეები განდევნილ იქმნენ მათ მიერ გაყიდულ საქართველოდან.

ყველგან, სადაც კი გამოჩნდებოდენ საქართველოს მტრები, სადაც კი მოინდომებდენ უცხო ძალები საქართველოზე თავდასხმას მახარაძე-ქავ-თარაძეები გამოდიოდენ საქართველოს წინააღმდეგ, აშკარად, თუ მალულად გვერდში ედგენ უცხო ძალებს, ისინი ლესდენ დანას ქართველი მუშის და გლეხის დასაკლავად.

ეს ნაძირალები, ეს რუსეთის ჯარების და ჩინოვნიკების ლაქიები, ეს დი-ანბეგები მოსკოვის მთავრობის მოდიან დღეს თქვენთან, დუშეთის გლეხებო, და ერთგულებაზე გეფიცებიან. ქართველი ხალხის მკვლელები საქართველოს იუდასებურათ ეამბორებიან, დუშეთის გამყიდველნი ამ გაყიდვის ოთხი წლის თავს დღესასწაულობენ.

მაგრამ ამ ნაძირალების ზეიმს დუშეთის ხალხმა 13 ივნისს სამართლიანად დაუპირდაპირა თავისი გულისწყრომა და დამპყრობელთ მოაგონა, რომ დუშეთი და ხევი მთელი საქართველოს ხალხთან ერთად იბრძვის დღეს მოზეიმე დამპყრობელთა წინააღმდეგ, ერის შელახული უფლებების აღსადგენათ. ამ

საქართველოს ეროვნული არქივი

დღეს მცხეთის, ბაზალეთ-საგურამოს და დუშეთ-ხევის გლეხობამ ერთხელ კიდევ დაანახვა მახარაძე-ორჯონიკიძეებს, რომ საქართველოს გლეხობა თავის სამშობლოს არ გასცვლის რუსეთის ანარქიაზე, რომ საქართველოს ჩრდილოეთის დარაჯი ხევი კვლავ ძველებური სივაჟკაცით იბრძოლებს რუსეთიდან მოვლენილ ჩინოვნიკებისა და მოსყიდული მოღალატე დიანბეგების წინააღმდეგ.

თქვენ სოფლის მშრომელნო, თქვენ თავისუფალი ხევის თავისუფალო არწივებო, საქართველოს მუშათა კლასი მოგიწოდებთ ძველებური სივაჟკაცით და სამშობლოს სიყვარულით განაგრძოთ ბრძოლა ამ მოღალატე-მოძალადეთა წინააღმდეგ. დღეს დაპყრობილი და რუსეთისაგან გათელილი საქართველო ერთი აზრით და მისწრაფებით არის გამსჭვალული - ის ძალებს იკრებს, რომ მოიძროს მონობის უღელი და თავისი დამოუკიდებლობა კვლავ დაიბრუნოს.

მთელ საქართველოსთან ერთად დუშეთის გლეხობა და მისი თავისუფალი ხევიც ამ ბრძოლის პირველ რიგებში იქნება. 1918 წლის დუშეთის გლეხობამ შეაფურთხა ანარქიულ რუსეთს და მის მშობელ დედას - საქართველოს მიეკრა გულზე. ეს გლეხკაცობა ეხლაც თავის დედასთან - საქართველოსთან იქნება. და ისე როგორც 1918 წელში რუსეთის ურდოებთან ერთად დუშეთიდან ხალხმა განდევნა ერის მოღალატენი, მომავალ ბრძოლის დროსაც რუსეთის ხიშტებს თან გააყოლებს საქართველო მის უღირს შვილებს.

ძირს ქართველი ხალხის მკვლელი საოკუპაციო მთავრობა!
ძირს ერის მოღალატენი!
გაუმარჯოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის!
გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

საქართ. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.
ივნისი 1922 წ.

სტამბა საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრ. კომ. (პ. ტ. - 23-37500)
P.S. დოკუმენტს ფანქრით აქვს მინაწერი: „თადეოზი. სტ.“

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 19.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, საქართველოს დემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის, საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს, სადაც აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში დანერგილი ძალმომრეობის ფაქტები

1922 წლის ივნისი

საქართველოს მოქალაქენო!

მოსკოვის აგენტები, რომელიც საქართველოს საბჭოთა მთავრობის სახელს ატარებენ, ერთხელ კიდევ აწყობენ ჩვენს აკლებულ ქვეყანაში ხალხის ნებისყოფის გამასხარავებას, ხალხის დაცინვას, მის შეურაცხყოფას და შეგინებას. ვინ არ იცის, ვინ არის - ვერ ხედავდეს, რომ მხოლოთ საგიჟეთში შეიძლება ეთქვას არჩევნები იმ ცრუობის კომედიას, უცხო ჯარის ხიშტებზე დამყარებული მოძალადენი და მოღალატენი რომ მართავენ!.. ან განა თვით ამ მოძალადეებს არ ესმით, რომ არჩევნები არ არის იქ, სადაც ხიშტით, მუშტით, ჩეკით, ციხით და ხვრეტით დაშინებულ მოქალაქეებს ნდობის სათუთ საკითხს დაუსვამენ?..

რა თქმა უნდა, ესმით, მშვენივრათ ესმით და სწორეთ იმიტომაც შეიმუშავეს ისეთი საარჩევნო წესი, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო ხალხის მიერ სამოქალაქო ნებისყოფის თავისუფალ გამოთქმასთან და რომელიც თავიდან ბოლომდის წარმოადგენს უხეშ მუქარას?. რას ნიშნავს ხელის აწევა, ფარული ხმის მიცემის ნაცვლად, რასაც მოწინავე დემოკრატია თხოულობს ყველგან დედამიწის ზურგზე, თუ არა ბოლშევიკურ რეპრესიების მუქარას? და ეს მუქარა ესაჭიროებათ მოსკოვის აგენტებს, რადგან იციან, რომ უამისოთ ვერ მიიღებენ ვერც ერთ ხმას, რას ნიშნავს, საარჩევნო უფლების მინიჭება უცხოელებისთვის, თუ არ იმას, რომ საქართველოს ხალხს ჩამორთმეული აქვს უფლება საქართველოს საქმეების გამგებლობისა?. რას ნიშნავს არჩევნებში მონაწილეობის მინიჭება მხოლოდ იმ მოქალაქეთათვის, ვისაც ეს მოსკოვიდან დანიშნული აგენტები მოიპრიანებენ, თუ არა მათს გაქცევას საქართველოს მთელი ხალხის თავისუფალ სამსჯავროდან?. რას ნიშნავს უცხოეთის საოკუპაციო არმიის ჯარისკაცთა მოწვევა არჩევნებში, თუ არ იმას, რომ ეს საოკუპაციო არმია ნამდვილი გამგეა მის მიერ გათელილ ქვეყნისა?

საქართველოს მოქალაქენო.

რუსის იმპერიალისტებმა, მისმა შემოსეულმა ჯარმა და მათი ამყოლმა ქვეყნის მოღალატე ქართველებმა ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს წაგვართვეს სამშობლოც, პოლიტიკური თავისუფლებაც, სამოქალაქო უფლებებიც, შეგვრჩა მხოლოდ ის, რისი წართმევაც შეუძლებელია, შეგვრჩა ჩვენი შეურიგებლობა მოძალადეებთან, შეგვრჩა უფლება ბრძოლისა და თავის დადებისა სამშობლოს გასანთავისუფლებლათ.

ქართველი ხალხი მტკიცე და ერთსულოვანია ამ ბრძოლაში. ის დღეს უფრო

საქართველოს ეროვნული არქივი

შეურიგებელია ვიდრე აქამდე. ამ შეურიგებლობით ხვდება ის მოძალადეების მიერ გამოცხადებულ არჩევნებს.

საქართველოს ხალხი უარყოფს ამ არჩევნებს, როგორც თავის პოლიტიკურ და სამოქალაქო სინდისის შეგინებას და თავის ქვეყნის ყველა კუთხეში ერთსულოვნად შესძახის:

ძირს მოძალადენი!

ძირს მოსკოვის აგენტები!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის!

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული და რადიკალ-დემოკრატიული პარტიები).

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია.

საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

ივნისი 1922 წ.

სტამბა საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრ. კომ. (პ. ტ.-24-38000)

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 20.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმიდან ამონარიდი, სადაც საუბარია საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების შესახებ
1922 წლის 3 ივლისი

ოქმი
(ნაწყვეტი)
მთავრობის სხდომის 3 ივლისი 1922 წ. პარიზი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია, მინისტრები: ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, კ. კანდელაკი, მინ. ამხანაგები: კ. საბახტარაშვილი და ი. ელიგულაშვილი, ელჩი - აკ. ჩხენკელი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი და წევრნი: ნ. ჩხეიძე, ე. თაყაიშვილი, გრი. ვეშაპელი და ბ. ჩხიკვიშვილი.

მოისმინეს - მთავრობის თავმჯდომარის განცხადება, რომ მან მიიღო საქართველოდან დადგენილება ინტერპარტიული შეთანხმების შესახებ და ამ დადგენილებასთან ერთად წერილი ამ შეთანხმების შესახებ განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარისაგან.

დაადგინეს - მთავრობის თავმჯდომარე სვამს კითხვას უნდა დაადასტუროს ეს დადგენილება და მიიღოს სახელმძღვანელოდ მთავრობამ თუ არა. ნ. ჩხეიძე ამბობს, რომ ამ დადგენილების მიღება, რომელიც აუქმებს პარიზში მომხდარ ინტერპარტიულ კრების შეთანხმებას, აზრის გაცვლა-გამოცვლის გარეშე და შეუფასებლად მიუღებელია. ნ. რამიშვილი იძლევა წინადადებას, რომ წინასწარ უნდა შევიტყოთ ჰქონდათ თუ არა მიღებული საქართველოში პარიზში მომხდარ შეთანხმების პირობები და შემდეგ ვიმსჯელოთო. ახლა მიღებული დადგენილების ზოგიერთი მუხლი სრულიად გაუგებარია და მიუღებელიო. მრავალ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა საქართველოდან დამატებით ცნობებს მოვუცადოთო. გრ. ვეშაპელი წინააღმდეგია მოცდის. იგი აცხადებს: „საქართველოდან დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან მოსული ცნობა პარტიათა შორის დადებულ შეთანხმების შესახებ უნდა იქმნას მიღებული სახელმძღვანელოდ და განხორციელდეს, ვინაიდან ამ ხელშეკრულების მიღება პარტიათა შორის საქართველოში მტკიცდება თვით ფაქტით დამოუკიდებლობის ინტერპარტიული კომიტეტის შედგენისა; ამიტომ პარტიის სახელით წინადადებას ვიძლევი, რომ წინადადება განხორციელდეს თანახმად დამ. კომიტეტის გამოგზავნილი მიმართვისა.“ მიღებულ იქმნა მთავრობის თავმჯდომარის წინადადება, რომ წინასწარ პარტიათა წარმომადგენლებმა იმსჯელონ საქართველოდან მოსულ დადგენილების თაობაზე და თავისი შეხედულება მოახსენონ მთავრობის და დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის შეერთებულ სხდომას.

მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია, მდივანის მაგიერ - კ. კანდელაკი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცლები 31-32.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის თაობაზე
1922 წლის 26 ივლისი

საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს

ამ თვის 13-ს მე ვიყავ მოწვეული თქვენ მიერ საგანგებო კომისიაში ჩვენების ჩამოსართმევად ჩემ მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმის გამო.

მე თქვენ მოგეცით ვრცელი განმარტება მემორანდუმის გასაშუქებლად მისთვის, რომ არც მთავრობას და არც საზოგადოებას არ ეფიქრა ვითომც მე უარს ვყოფდე მემორანდუმში აღნიშნულ დებულებათა.

მე ვფიქრობდი, რომ ჩემი განმარტება კმასაყოფელ იქნებოდა საქმის სათანადო მსვლელობისათვის, მაგრამ თქვენ მიერ დანიშნულმა გამომძიებელმა მოქალაქე **ქავჟარაძემ** ამ ოთხი დღის წინათ მიმიწვია საგანგებო კომისიაში და დამავალა დავასაბუთო მემორანდუმში აღნიშნული დებულებანი. ამის გამო საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო შემდეგი: ყველასათვის ცნობილია, თუ რა ზომ დიდი მონაწილეობა მიიღო საქართველომ რუსეთის დიდ რევოლიუციაში, რისთვისაც იგი დიდ იმედებს ამყარებდა ამ რევოლიუციაზედ. მართლადაც რევოლიუციის პროცესში ქართველმა ერმა მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა და სამი წლის განმავლობაში განაგებდა თავის საქმეებს სუვერენულ ნებისყოფის თანახმად. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო თვით რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ 1920 წ. თებერვლის 7[155] ხელშეკრულებით იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ხსენებულ ხელშეკრულებაში. მიუხედავად ამისა 1921 წ. თებერვალში რუსეთის ჯარმა გადმოლახა ჩვენი საზღვრები, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და მოსპო ქართველი ერის სუვერენობა. ამ გარემოებას მოჰყვა საქართველოს დაქუცმაცება: ერთი მისი ნაწილი გადაეცა აზერბეიჯანს, მეორე - სომხეთს, მესამე - ახალ შექმნილ ავტონომიურ ოსეთს /დადგენილება საზღვრების შესახებ 1921 წ. მაისის 5-ის და ნოემბრის 6-ის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის რუქა/, გამოეყო ცალკე რესპუბლიკის სახით აფხაზეთი და აჭარისტანი, საქართველოს რკინის გზა შეუერთდა რუსეთის რკინის გზას, საქართველოს ჯარი გაითქვიფა საქართველოში მომქმედ რუსეთის წითელ ჯარში, ქართული ენა გამოიდევნა რკინის გზის სამმართველოდან, შევიწროვებულია სხვა დაწესებულებებში /თუნდაც საგანგებო კომისიაში, საიდანაც უწყებები იგზავნება და შესასვლელ ბარათებს იძლევიან რუსულ ენაზე/, დაქვეითდა კულტურა /გამოდის მხოლოდ ერთი გაზეთი „კომუნისტი" და დრო გამოშვებით „ტრიბუნა", გამოიცა მხოლოდ ორი წიგნი პროფესორის **ნუცუბიძისა** და ნიკ. **ბარათაშვილი**/, თბილისში მომქმედი სტამბები გაიგზავნა სომხეთში /იხ. Первий год деятельност В. С. Н. Х.

155 უნდა იყოს 7 მაისი - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

 т/. მოქალაქეთ წაერთვა სარჩო-საბადებელი /საკათალიკოზო საბჭოს მიმართვა მთავრობისადმი N1538 1921 წ. ივლისის 14-ს და N55 1922 წ. თებერვლის 21-ს/, შეილახა სარწმუნოებრივი გრძნობა /საკათალიკოზო საბჭოს მიმართვა N3022 1921 წ. ნოემბრის 21-ს და N315 - 1922 წ. ივნისის 12-ს/, შეურაცხყოფას განიცდიან ერის მოძღვარნი /საკათალიკოზო საბჭოს მიმართვა N3022 და 3006 ნოემბრის 10-ს 1921 წ., N14 ა. წ. იანვრის 13-ს, N335 ა. წ. ივნისის 23-ს/, ბინიდგან ერეკებიან მღვდელთა და მღვდელ-მთავართ /მიმართვა N1538 წ.წ. 14 ივლისს, N1878 წ. წ. აგვისტოს 20-ს, N64 ა. წ. 24 თებერვალს და სხვა/.

მე, როგორც სიტყვის, ბეჭდვის, სინიდისის თავისუფლების და ერის თვითგამორკვევის მომხრეს, /ყოველსავე ამას აღიარებს საბჭოთა ხელისუ-ფლებაც/ და ამასთან ერთად მორწმუნე საქართველოს მამათმთავარს და სულიერ მოძღვარს, **არ შემეძლო არ ამემაღლებინა ხმა ზემოაღნიშნულის შემ-დეგ მე შევასრულე ჩემი მოვალეობა ღვთისა და მშობელ ერის წინაშე,** და თუ ეს ჩამეთვლება დანაშაულად, მზად ვარ საჯაროთ ვაგო პასუხი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შტემპი თარიღით 1922 წლის 26 თიბათვე.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცელი 118.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ალექსანდრე გეგეჭკორის მიმართვა მაზრებისა და ქალაქების აღმასკომებს მოქალაქეთა თვითნებური გადასახლების აღკვეთის შესახებ
1922 წლის 29 ივლისი

ყველა მაზრისა და ქალაქის აღმასკომებს!

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსდის ცნობები, რომ ზოგიერთ აღმასკომებს გამოაქვთ ადმინისტრატიული **ხასიათის დადგენილებანი**, ხან მაზრის, ხან თემის ფარგლებიდან **მოქალაქეთა გადასახლების შესახებ,** ვაცხადებ სახელმძღვანელოდ და ყველას საყურადღებოთ, რომ ასეთი დადგენილების სისრულეში მოყვანა, გარეშე არსებული კანონებისა ყოვლად დაუშვებელია.

თანახმად სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა N-16 (2 მაისი 1922 წ. „მოამბე", N33) და N-30 (28 მაისი ა. წ. „მოამბე" N-36) - ადმინისტრატიული **წესით დაიდება** შემდეგი სასჯელი:

1. თავისუფლების აღკვეცა ორ თვემდე,
2. თავისუფლების აღუკვეთად იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე, და
3. ჯარიმა არა უმეტეს ოცი მილიონისა.

ამასთანავე ის პირი, რომელიც რაიმე დანაშაულებისათვის სასამართლოს წესით იქნება პასუხის-გებაში მიცემული, არ შეიძლება იმავე მოქმედებისათვის ადმინისტრატიული წესით დაისაჯოს - (დადგ. N-16, &6).

დადგ. N-16-ისა მე-ა მ. თანახმად, ისეთი ადმინისტრატიული სასჯელის დადება, რომელიც ამ დადგენილებით გათვალისწინებული არ არის - არ შეიძლება.

ამიტომ გეძლევათ წინადადება სასტიკათ დაიცვათ კანონიერება და არ დაუშვათ ხელის უფლების გადამეტება აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში თანახმად დადგ. N-16-ის მერვე მუხლისა, ამ საქმეში დამნაშავე თანამდებობის პირნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, როგორც სასჯელ-დადებულ პირთა საჩივრით, ისე მეთვალყურეობის წესით.-

24 ივლისი 1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გეგეჭკორი.
საქმეთა მმართველის მაგ. ა. ცინცაძე.
საინსტ. საინფ. განყოფ. გამგე შ. დადიანი
დედანთან სწორია: საქმის მწ. /ბალანჩივაძე/ ხელრთვა

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ. 29/VII-22. თავმჯდომარე /ხელრთვა/.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 33.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმიდან, სადაც საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის ყოველთვიურად თანხის გაგზავნის შესახებ
1922 წლის 31 ივლისი

პარიზი, 31 ივლისი 1922 წ.
მთავრობის სხდომის ოქმი
(ნაწყვეტი)

თავმჯდომარეობს - საგ. საქ. მინ. ევ. გეგეჭკორი
სხდომის მდივანი - ი. ელიგულაშვილი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია, საგ. საქ. მინისტრი - ევ. გეგეჭკორი, შინ. - ნ. რამიშვილი, ფინანსთა - კ. კანდელაკი, საგ. მინ. ამხ. -კ. საბახტარაშვილი, ფინ. - ი. ელიგულაშვილი, საქართველოს ელჩი - აკ. ჩხენკელი, დამფ. კრებ. თავმჯდ. ამხ. - ე. თაყაიშვილი, ს. მდივანი, წევრი - გრ. ვეშაპელი.

ნ. რამიშვილის მოხსენება - დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმის (შევსებული პარტიათა წარმომადგენლებით) სახელით იმ წერილის და ხელშეკრულების გამო, რომელიც მოვიდა საქართველოში შემდგარ დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან და მთავრობის თავმჯდომარის განცხადება, რომ მან განკარგულება მოახდინა ეგზავნოს დამოუკიდებელ კომიტეტს თვეში ათი ათასი ფრანკი ამ თანხიდან, რომელიც საქართველოსთვის იგზავნება სანამ მისი (თავმჯდომარის) შეკითხვაზე პასუხი მოვიდოდეს. მოხსენება დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმის (შევსებული პარტიათა წარმომადგენლობით) მიღებული იქნას ცნობათ. პოლიტიკური მუშაობა ევროპაში ფაქტიურად სწარმოებს დამფუძნებელ კრების გაფართოებულ პრეზიდიუმთან შეთანხმებით. ხოლო საქართველოში მუშაობს დამოუკიდებლობის კომიტეტი. მთავრობის თავმჯდომარის განცხადება ფულის გადაგზავნის შესახებ მიღებული იქნას ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე - გეგეჭკორი, სხდომის მდივანი - ელიგულაშვილი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცელი 38.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებული სასურსათო ბეგარის შესახებ
1922 წლის ივლისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხალხი თუ მოსკოვის აგენტები!

საქართველო მშიერია და უარესათ იმშევა დღითი-დღე. არ შიათ კომუნისტებს, სპეკულიანტებს, არ შია „წითელ“ ბურჟუაზიას, საოკუპაციო მთავრობას, მაგრამ შიმშილით ხდება სული მუშას და გლეხს.

ოკუპანტები ორი დღის წინეთ ფ. მახარაძის პირით ტრაბახობდენ, - ჩვენ კარგათ დავეხმარეთ დამშეულებსო. „კომუნისტი“ ორი დღის შემდეგ იძულებული გახდა საქვეყნოთ გამოემჟღავნებია ეს სიყალბე.

ამ გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულია თავზარდამცემი დეპეშები საქართველოს სხვა და სხვა ადგილებიდან შიმშილობის შესახებ. დეპეშებს ეჭირვებათ მხოლოდ ერთი განმარტება: - სინამდვილე კიდევ უფრო საშინელია, ვიდრე ეს დეპეშები.

მოსკოვის აგენტები აქაც მენშევიკებისკენ ისვრიან წიხლებს. მაგრამ ჩვენ მათ არ გამოვეკიდებით ამ კამათში. ჩვენ არ ვეძებთ პოლიტიკურ სარგებელს ხალხის დამშევაში.

ჩვენ კითხვას ვაყენებთ პრაქტიკულათ. ჩვენ ვამბობთ, სოფელს სასწრაფო დახმარება უნდა, მაგრამ ოკუპანტები ვერ დაეხმარებიან, როგორც ვერ დაეხმარენ აქამდის.

ჩვენ ვიცით, რომ ნახევარ წელიწადში ისინი აგროვებდენ ფულს და სურსათს, მაგრამ არავინ იცის, რამდენი შეგროვდა, სად წავიდა, როგორ დაიხარჯა შეგროვილი თანხა. არც ხალხმა იცის ეს.

ჩვენ **მოვითხოვთ,** რომ კომუნისტურ გაზეთებში გამოქვეყნებული იქნეს ამის სრული ანგარიში.

ჩვენ ბრალს ვდებთ საოკუპაციო ორგანოებს, რომ დახმარების განაწილებაში ისინი ხელმძღვანელობდენ კოლონიზატორული ანგარიშებით, და არა ხალხის მოთხოვნილებით.

ჩვენ **მოვითხოვთ,** რომ კომუნისტებმა ფაქტებით დაარღვიონ ეს ბრალდება. სთქვან თავის გაზეთებში, როგორი იყო ამა თუ იმ მაზრის, ამა თუ იმ სოფლის გაჭირვება თესვის დროს, და ვის რა დახმარება მისცა.

ისინი ახლაც თავის ნაცადი ბიუროკრატიული გზით მიდიან ამ დიდ სახალხო საქმეში. ადგენენ რაღაც კომიტეტებს კომუნისტური ჩინოვნიკების თავმჯდომარეობით. ამათ ხელში უნდა მოგროვდეს ისევ ფული და სურსათი. ჩვენ ვაცხადებთ წინდაწინ, რომ ხალხს არაფერი არ ერგება ამათი ხელიდან.

ჩვენ **მოვითხოვთ,** რომ დამშეულების დახმარება გადავიდეს თითონ დამშეულების ხელში. ხალხმა აირჩიოს საქალაქო, სამაზრო და სასოფლო კომიტეტები ისეთი პირებისაგან, რომლებსაც იცნობს და ენდობა. ამ უნდა

საქართველოს ეროვნული არქივი

ექნესთ ხელში დამშეული ოჯახების სია. ესენი დაეხმარებიან პირველ რიგში მართლა დამშეულებს და არა პარტიულ აგენტებს.

რევკომი სასტიკათ დამარცხდა სასურსათო გადასახადის შეგროვებაში. შეაგროვეს სულ 12-13 პროცენტი იმისი, რაც უნდა შეეგროვებიათ. ახლა ამ საშინელი შიმშილობის დროს ისინი აპირებენ დანაკლისის შევსებას. უნდათ, რომ მოსავლის შენახვაც არ დააცადონ გლეხებს, ახლავე ამოიგონ ძველი და ახალი გადასახადი. ეს იქნება მიწასთან გასწორება მთელი მშრომელი ხალხის. შიმშილობის ბრჭყალებიდან ვერ დააღწევს თავს ქართველი გლეხობა, თუ ამ ვაჟბატონებმა განაგრძეს თავის სასურსათო პოლიტიკა.

ჩვენ **მოვითხოვთ,** რომ დამშეული ხალხი განთავისუფლებული იქნეს სასურსათო გადასახადისგან. გლეხი ოფლს ღვრის თავის ნაჭერ მიწაზე და ის არ დაიმშევა თუ თავის ნებაზე მოიხმარს თავის ნაოფლარს.

ჩვენ ვაყენებთ ამ უბრალო მოთხოვნებს და კომიაჩეიკები ხმას ამოიღებენ თუ გაჩუმდებიან, მაინც ერთხელ კიდევ დაგვანახვებენ, ვის ან რას ემსახურებიან ისინი, - ხალხს თუ

ბრუსილოვ-სლაშჩევ-ლვოვის შაიკას.
ძირს ბატონყმური სასურსათო ბეგარა.
ძირს შიმშილის მომტანი მთავრობა.
გაუმარჯოს ხალხის თვით-მოქმედებას.
გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!..

საქართ. სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ივლისი 1922 წ.
(პ. ტ.-26)
P.S. დოკუმენტს ფანქრით აქვს მინაწერი: 8. VIII. N. თადეოზის. I რიგ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 21.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული მიწის რეფორმასთან დაკავშირებით 1922 წლის ივლისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ძირს მიწის ახალი კანონი! მშრომელ გლეხკაცობას!

ბოლშევიკების უღელი უფრო და უფრო აუტანელი ხდება საქართველოს მუშა-გლეხებისთვის. მეორე წელიწადია რაც მოსკოვის აგენტები წურბელასავით ჩაჰკიდებიან ჩვენს სახალხო მეურნეობის სხეულს და ანადგურებენ ხალ-ხის სარჩო-საბადებელს. სხვა და სხვა გადასახადებით, გაუგონარ სიძვირით, შიმშილობით, ბოლშევიკებმა შექმნეს ჯოჯოხეთური პირობები. საერთო გაღა-ტაკებისკენ მიიმართება მათი აღმშენებლობა ყველა დარგებში. გაღატაკება-ნგრევისკენ არის მიმართული მათი ნაცოდვილარი ახალი კანონი მიწის შესახებ. ამითი სურთ ვითომ გლეხკაცობის „გაბედნიერება“. ნამდვილად კი ეს იქნება მისი გაუბედურება. ამ დეკრეტის ძალით ისპობა კერძო საკუთრება მიწაზე და წესდება „მუდმივი მფლობელობა“. მაგრამ ეს „მფლობელობაც“ ისეა შეგლეჯილი და შევიწროებული, რომ არაფერი რჩება იმისგან. გლეხკაცობას ბოლშევიკები უტოვებენ მხოლოდ სამ დესეტინა მიწას, დანარჩენს ართმევენ როგორც ზედმეტს ბარგს. სამმა დესეტინამ უნდა გამოკვებოს გლეხი და მისი ოჯახი, შეაძლებინოს უთვალავი გადასახადები, გაასტუმრებინოს ვალები და დააკმაყოფილებინოს ბოლშევიკების გაუმაძღარი აგენტები. აშკარაა, რომ ამისთანა „მფლობელობით“ გლეხი ვერაფერს გახდება და მალე გადაიქცევა უბრალო ბოგანოდ.

თანასწორობის აზრი, როგორც ყველაფერი ბოლშევიკების ხელში, სა-შინლათ დამახინჯებულია ამ კანონშიაც მისი ძალით სამი დესეტინა რჩება ნორმად თითქმის ყველგან განურჩევლად ნიადაგის სხვა და სხვაობისა, ნაყო-ფიერ და უნაყოფო ადგილებში სახნავ-სათესებისთვის და ზვრებისთვის. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში ვერ იხეირებს სოფლის მეურნეობა. ის აუცილებლად დაქვეითდება და ბოლოს სულ განადგურდება.

ნუ თუ ამისთვის იბრძოდა ჩვენი გლეხკაცობა მრავალი წლების განმავ-ლობაში, ნუ თუ ამისთვის ღვრიდა სისხლს?

ზოგიერთ რაიონებში - განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში ბოლშევიკების დეკრეტი არამც თუ არაფერს აძლევს მშრომელ გლეხკაცობას, არამედ - ართმევს მათ საკუთარ მიწებს. ასე იცავენ ბოლშევიკები ხალხის ინტერესებს. ასეთია „მუშათა და გლეხთა“ მთავრობის მზრუნველობა მშრომელ გლეხკაცობაზე. დაუმატეთ ყველა ამას, რომ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება მინდობილი აქვთ რაღაც კომიტეტებს, სადაც მოიკალათებენ მოსყიდული აგენტები, საეჭვო პირები, რომლებიც არ იცნობენ ხალხს და რომლებსაც არ იც-

საქართველოს ეროვნული არქივი

ნობს ხალხი. მაგრამ ჩვენი გლეხკაცობა კარგად არჩევს შავს თეთრისაგან და არ გაჰყვება ამ ვაჟბატონებს. რევოლიუციამ უკვე გადასჭრა მიწის საკითხი და მისცა ქართველ გლეხკაცობას მიწა სრულ საკუთრებად თანახმათ საქართველოს დამფ. კრების კანონისა 1920 წ. 28 იანვრისა, სადაც მშვენივრად შეთანხმებულია მშრომელ გლეხკაცობის ინტერესები სოფლის მეურნეობის განვითარებასთან.

დღეს მთელი საქართველოს გლეხკაცობამ ერთსულოვნათ უნდა უარჰყოს კომუნისტების კანონი და ხმა მაღლა საჯარო კრებებზე უთხრან მოძალადეებს, რომ ის უცხოა ხალხისთვის, როგორც უცხოა მისთვის თვით საოკუპაციო მთავრობა.

გლეხებო, სხვის ხიშტებზე დაბრძანებულებს უნდათ თქვენში არევ-დარევის შეტანა. თავის ახალი კანონით ისინი ამხედრებენ გლეხს გლეხის წინააღმდეგ, სიძულვილის და მტრობის თესლს სთესავენ სოფლებში, სამოქალაქო ომის სუნით სწამლავენ სოფლის ჰაერს. მეურნეობის განადგურება, გლეხების დანაწილება და მათი ერთმანეთზე გადამტერება, - ასეთია ყველგან და ყოველთვის ბოლშევიკების საქმიანობა. ამითი უდგიათ სული რუსეთში და ამითი აპირებენ სუნთქვას საქართველოშიაც.

ნუ აყვებით, ნუ დაუჯერებთ, ისინი მოღალატეები არიან, როცა მეგობრებათ გეჩვენებიან და მტრები არიან, როცა მოყვრობას გპირდებიან. მათ არაფერი არ უნდათ თავისი ვიწრო პარტიული ბატონობის მეტი და ამის გულისთვის მსხვერპლათ შეიწირავენ როგორც სახალხო მეურნეობის, ისე ხალხის ინტერესებს.

სოფლელებო, მოითხოვეთ, რომ უთქვენოთ, თქვენ ზურგს უკან ვერავინ გაბედოს მიწის საკითხის გადაჭრა. მოითხოვეთ, რომ თქვენ თითონ აგარჩევინონ სასოფლო კომიტეტები ისეთი პირებისაგან, რომლებსაც თქვენ იცნობთ და ენდობით. თქვენმა არჩეულებმა იქონიონ მსჯელობა მიწის საკითხზე და გამოარკვიონ, ვის რა აქვს ჩამოსართმევი. აქ ხალხის კეთილდღეობაა სასწორზე დადებული და ხალხმა უნდა სთქვას, რომელ კანონს ირჩევს ის - დამფუძნებელი კრებისას, თუ მოძალადე მთავრობისას.

არ გადაადგმევინოთ არავის მიწის საკითხში არც ერთი ნაბიჯი ხალხის დაუკითხავათ.

გაუმარჯოს დამფუძნებელი კრების მიწის კანონს!

ძირს ხალხის მოღალატე მთავრობა და მისი მიწის კანონი!

საქ. ს.-დემ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი.
ივლისი 1922 წელი. (პ. ტ.-)

P.S. დოკუმენტს აქვს მინაწერი: თადეოზის. I რიგი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 9, ფურცელი 22.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური
წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი
აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია საბერძნეთ-თურქეთის
ომზე და სხვა საკითხებზე
1922 წლის 1 აგვისტო

სტამბოლი 1 აგვისტო 1922 წ.
საქართველოს წარმომადგენელს პარიჟში

მივიღე თქვენი წერილი (23. VII. 22). ეხლა ჩემი წერილიც (22. VII. 22) გექნებათ მიღებული. ამ ჩემ წერილში უკვე რამდენადმე არის პასუხი თქვენ წერილზე. როგორც გენ. პელე ისე სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელი ვინახულე და მქონდა მათთან ყველა ჩვენ საკითხებზე ლაპარაკი. როგორც გწერდით ესენი ყველა კარგათ გვიყურებენ. ჩვენ შესაძლებლობას ცნობენ სასურველათ და აგრეთვე რეალურათ განსაზღვრულ პირობებში. გვირჩევენ რომ ჩვენი მოქმედება შეფარდებული იყოს მომზადებულ პირობებთან. მდგომარეობა რთულია, რუსეთი დიდი ქვეყანაა, ჯერ ჯარი ბოლშევიკებს ემორჩილება და საკმაო დიდ ძალას წარმოადგენს, რომ მათი გეშინოდეთო. ცოტა რომ წაიფორხილონ ბოლშევიკებმა თქვენი საქმე კარგათ წავა ალბათო. ხელს გვიშლიან და ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ფრანგებზე ჩვენი მეზობლების უილაჯობა. თუ რამე იციან მათ შესახებ ეს მხოლოთ ჩვენგან. არც ერთ მათგანს მათთან კავშირი არ აქვს არც რამე ცნობები მისდით მათ პირდაპირ თავის ქვეყნიდგან. როგორც იცით სომხები ფრანგებს გაურბიან, არც ფრანგებს უყვართ ისინი. აზერბაიჯანლები და მთიელები აქ მხოლოთ ერთმანეთში კინკლაობენ. ამას ყველაფერს ხედავენ და ყურადღებას აქცევენ. ხედავენ, რომ ჩვენ ვართ ყველგან საქმის ცენტრში და ამას რასაკვირველია აფასებენ. ჩვენ ინფორმაციას აქ დიდათ ენდობიან, მაგრამ მთელი კავკასიის ინფორმაციას უნდა ვაწვდიდეთ არა მხოლოთ ჩვენ ყოველთვის, არამედ ჩვენთან ერთათ ჩვენი მეზობლებიც. ეხ მოახთენს უფრო დიდ შთაბეჭდილებას. მაგრამ ჩვენი მეზობლები ცოტას ფიქრობენ ამაზე. დღემდინ მათ სათანადოდ კავშირი ვერ გაბეს თავისიანებთან. ჩვენი საქმე არც ისე ადვილათ გადასაჭრელია. ზედმეტი წარმოდგენა თავის ძალებზე და ილლიუზიებზე დაყრდნობა პირდაპირ დამღუპველი იქნება ჩვენთვის. თუ ყველა ჩვენი მეზობლები არ გამოიჩენენ სათანადო ენერგიას და თავის საქმისათვის ნდობას, მარტო ჩვენ შუბლით კედელს ხომ ვერ გავხეთქავთ. ამ მხრივ არის საჭირო დიდი მუშაობა ეხლა. ამას ვაქცევთ აქ ყურადღებას. განსაკუთრებით საჭირო იქნება, რომ ფრანგებს ადგილობრივათ შეეძლოთ ცნობების შეკრება ჩვენში. ამას ექნება დიდი მნიშვნელობა. მაშ ასე, სტამბოლი ჩვენ კარგათ გვიყურებს და ჩვენ საწინააღმდეგოს არაფერს ჩაიდენს. მაგრამ რომ ესენი კიდევ უფრო გაბედულნი იყვნენ, დიდათ საჭიროა ამათ იცოდენ, თუ როგორ უყურებს პარიზის მთავრობა ჩვენს საკითხს პრინციპიალურათ, თუ არის ის დაინტერესებული ჩვენით, ერთი სიტყვით საჭიროა, რომ აქ იცოდენ ჩვენი მთავრობის და მათი მთავრობის ერთმანეთთან დამოკიდებულება არა მხოლოდ ჩემგან აქ, არამედ ამის შესახებ ცნობა ქონდეთ ამათ პარიზიდგანაც.

საქართველოს ეროვნული არქივი

ბერძენ-თურქების ომი ჯერ კიდევ ვერ მოთავდა. ორივენი დაიღალენ და სერიოზულათ ომის წარმოება არც ერთ მათგანს არ შეუძლია. ამ უკანასკნელათ ზეიკოსის კონფერენციაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჯერ დანამდვილებით არაფერი იციან. ამავე დროს ბერძნებმა სტამბოლის ოკუპაციაზე დაიწყეს ლაპარაკი. ეს რასაკვირველია, სერიოზული რამ არ არის. ამით მათ უნდოდათ ბერძნის ხალხის სულისკვეთება გაემაგრებიათ, ამავე დროს სმირნის ავტონომია გამოეცხადებიათ, თურქების წრეებში ერთნაირი ნერვიულობა შეექმნათ და თურქები დათმობისაკენ წამოეყვანათ ასეთნაირი „როლი“ ინგლისელების ინსპირაცია არის. ბერძენ-თურქების საქმეში ინგლისელები რომ ჩარეულნი არიან და ისინი, რასაკვირველია, ცდილობდნენ თავის პრესტიჟის დაცვას. სტამბოლზე ბერძნების გამოლაშქრება წარმოუდგენელია. ეს მოასწავებდა ფრანგების ომში ჩარევას და მით მდგომარეობის ფრიათ გართულებას. ეს ვერ მოხთება დღეს. ვერც ანგორაში არის საქმე კარგათ. ომმა მოაწურა ყველაფერი. ეკონომიურათ მათი მდგომარეობა ცუდია. ფული ეხლა რუსეთს აღარ აქვს. დახმარება რუსეთმა სხვაგან ვერ იშოვა. ამ მხრივ რუსეთის იმედი აღარ აქვთ. სწორეთ ეს იწვევს, რომ ეხლა ანგორა სხვაგან იწყებს მოკავშირის და განსაკუთრებით დამხმარეს ძებნას. ეს იმას რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ ანგორა რუსეთს ასე უცბათ მიატოვებს ან და ახალ მოკავშირეს ასე ჩქარა იპოვის. ანგორაში არალოვი მილიონებით ხარჯავს, დეპუტატებს თვიურ ჯამაგირებს აძლევს და ასე თავის მაგ საქმეს აკეთებს. იუნიონისტების პარტია დღეს იქ პოულობს გავლენას. წინათ ანგორაში იუნიონისტებს არ უშვებდნენ და იჭერდნენ. ეხლა იმაზეა ლაპარაკი, რომ ენვერი და ქემალ ფაშა გარიგდნენ. თუ ქემალი წინათ შეურიგებელი იყო, დღეს მას მოწინააღმდეგეების ეშინია და მორიგების პოლიტიკას ადგება.

ჩვენი ეკლესიის ცნობების შესახებ წინადაც გწერდით. ვუცდი საჭირო ქაღალდებს საქართველოდგან, რაც უკვე მიწერილი გვაქვს. აქ პატრიარქი შეპირებულია, როცა ქაღალდები იქნება, მათ მიხედვით კითხვას დასვამს და დადებითად გადაწყვეტს. ჩვენი პატრიარქი დაჭერილი არ ყოფილა. დაუკითხავთ სამ-ოთხჯერ. ამბობს თურმე - სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, ფიზიკურათ ხალხის ვარო, ჩემი ლეში ვისაც გინდათ იმან წაიღეთო.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 34-36.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის
კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს,
სადაც საუბარია კავკასიის ნავთობით სხვადასხვა
სახელმწიფოების დაინტერესებაზე
1922 წლის 1 სექტემბერი

სტამბოლი 1 სექტემბერი 1922 წ.
საქართველოს წარმომადგენელს პარიჟში

ამ სამი დღის წინათ ვნახე გენ. პელე. გადმომცა, რომ პარიზში ლაპარაკი ყოფილა ჩემ და თქვენ მთავრობას შორის, რომ საქართველოში გაიგზავნოს სამხედრო მისიაო. დღევანდელ პირობებში ეს ყოვლათ შეუძლებელი და მოუხერხებელიაო. ჯერ რომ არც ერთი ოფიცერი იქით წასვლაზე არ დათანხმდება და მერმედ რომც ვინმე გავაგზავნოთ მაშინვე ჩავარდებაო. მე არ ვიცი როგორ სვამდით იქ თქვენ კითხვას. როგორც ნ. რ. გადმომცა კითხვას ამნაირათ არც თქვენ სვამდით. თუ კი ამნაირათ დავსვამთ ჩვენ კითხვას, ეს შეცდომა იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ დღესვე გაგზავნოთ თქვენ თქვენი ხალხი, მეტადრე ეს სამხედრო მისიის სახით, ჩემის აზრით საჭირო იქნება თქვენ სპეციალური ორგანო ჰქონდეთ და ამისთვის სპეციალურათ გეყოლებათ ალბათ ხალხი, რომლებიც ჩვენ საკითხს შეისწავლის, თვალყურს ადევნებს ყოველივე მოვლენებს ჩვენში და თქვენ მიერ შეკრებილ მასალას თქვენვე დაეყრდნობითთქო. ეს ხალხი ჯერ-ჯერობით შეიძლება სტამბოლში იყოს, აქ იმუშაოს, მერმედ კი თუ საჭირო იქნება და ამ საჭიროებას თქვენ თვითონ დაინახავთ, მათ შეეძლებათ ჩვენსკენაც წავიდესთქო. პელე ცოტა მოლბა. ამ სახით რასაკვირველია შეიძლებაო. როგორც სჩანს პელეს ისე გაუგია, ან მისთვის ისე უცნობებიათ, რომ ვითომც ჩვენ მოქმედებას ეხლავე ვიწყებთ და ამ მოქმედებას ისინი უნდა ხელმძღვანელობდნენ. როგორ შეიძლება ეხლა მოქმედება, როცა სათათრეთის საკითხი არ გამოგირკვევიათ, თანაც ბოლშევიკებს ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვთო. მე მას აუხსენი, რასაკვირველია, რომ საკითხი ეხებოდა პარიზში ალბათ არა დაუყონებლივ მოქმედების დაწყებას, არამედ მოქმედებისათვის პირობების მომზადებას და შექმნას, რომ სწორეთ ჩვენ არ ვართ დაინტერესებული იმაში, რომ უდროვოთ რამე მოხდეს, ამით საქმე წავაგოთ და თქვენც დაგაშინოთქო. შევთანხმდით იმაში, რომ როგორც დღემდის სტამბოლიდგან ადევნებენ ჩვენ საქმეებს თვალ ყურს და როცა იქნება სამოქმედო დრო და პირობები, მაშვინ ვნახავთ. მასთან ლაპარაკში გავიგე, რომ ერთი დღეა, რაც ლენცი დაბრუნებულიყო. მეორე დღესვე ვნახე ლენცი. როგორც სჩანს თქვენ იქ ის არ გინახავთ. მისი ნალაპარაკევიდან გამოირკვა, რომ ის ყოფილა სამხედრო სამინისტროში, საგარეოშიდაც. ბევრი პარიზელები ამ დროებით ქალაქგარეთ იყოვო. მე პირადათ ვითხოვე ერთი კვირით ჩასვლა პარიზში ჩემ პირად საქმეებზე და სხვათა შორის თქვენზედაც იყო ლაპარაკიო. იქ ისეთი აზრია, რომ თქვენ ცოტა ჩქარობთო. თან დიდ ანგარიშს უწევენ იმ ფაქტს, რომ რუსეთი უდიდეს ყურადღებას აქცევს კავკასიას, როგორც ნავთის წყაროს და ადვილათ მას არ შეელევაო. რეველს, რიგას რუსეთი გაცილებით

საქართველოს ეროვნული არქივი

ადვილათ დასთმობს დღეს, ბაქოს და თფილისს კი გაცილებით მეტ ყურადღებას მიაქცევს, დიდძალ ჯარებს მოჰყრის იქ, რომ კავკასია ხელიდგან არ გაუშვასო. თან სამინისტროებში ისეთი აზრიც ტრიალებს, რომ დღეს ყველა ნავთით არის დაინტერესებული (ინგლისელები, ამერიკელები და სხ.) და ჩვენაც უნდა მივაქციოთ მას ყურადღებაო. მე აღარ მიკითხავს მისთვის, რომელ სამინისტროში უფრო ადგიან ასეთ აზრს. ლენცი წინათ აქ არასოდეს გამოსთქვამდა ასეთ აზრს. მე მგონია, რომ მართალი ხართ თქვენ, როცა იწერებით მათ ,,აზრის შეცვლაზე და ნიადაგის მოსინჯვის დაწყებაზე". პარიზს სპეციალურათ ლენცისთვის არაფერი დაუვალებია. ლენცმა კი პირადად აღმითქვა, რომ გააგრძელებს მუშაობას იმ სახითვე, როგორც დღემდის, ელის ჩვენგან ყოველგვარ მასალებს და ცნობებს. ისე კი კითხვა ღია რჩება, ელოდებიან ალბათ მათთვინ ხელსაყრელ მომენტს. ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ საგარეო სამინისტრო ფრთხილობს და ფეხს ითრევს, სამხედრო შეიძლება უფრო აქტიური იყოს, მაგრამ საგარეო საქმეებს ხომ ბოლოს საგარეო სამინისტრო წყვეტს. როგორც სჩანს ჩვენი მეგობრები განზე მუშაობენ, ფრთხილობენ და ამ დროებით მათგან პრაქტიკულათ დიდი არაფერი გამოდის. გვიხთება კიდევ ლოდინი და დაჟინებით მუშაობის გაგრძელება.

ამას წინათ შალვა ქარუმიძემ პარიზიდგან მიიღო (არ ვიცი ვისგან) წერილი, სადაც საფრანგეთის მიმართ დიდ უიმედობას გამოსთქვამდნენ თურმე. ეს ამბავიც, როგორც სხვა ყოველივე ამბავი ყველამ იცის ახლა აქ. არც დიდი ოპტიმიზმი ვარგა, მაგრამ გადამეტებული პესიმიზმიც ვნების მეტს არ მოგვიტანს.

კ. გვარჯალაძე

P.S. გწერდით ოფიცრების შესახებ. წავიდნენ უკვე პოლონეთში გენ. ბაქრაძე, ჩხეიძე და ოთხი უმცროსი ოფიცრები. ისინი ეხლა უკვე ვარშავაში იქნებიან.

კ. გ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 31-33.

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ანტისაბჭოთა
ეროვნული აჯანყების შესახებ
1922 წლის 18 სექტემბერი

დუშეთის მაზრის ამბები

29 აგვისტოს ცნობები. სერგოს ბრბოს წინააღმდეგ გაგზავნილ 30 კაცისაგან შემდგარ კომუნისტურ რაზმს წილკანთან თავს დაესხა ჩოლოყაშვილის ნაწილები. ნაწილი ამოხოცეს, დანარჩენი ტყვეთ წაიყვანეს. იმავე დღეს ახლო მახლო სოფლელები გამოვიდენ იარაღით ხელში და ებრძოდენ თფილისიდან გაგზავნილ ჩეკის რაზმებს. ზურგიდან მათ თავს დაესხა გვერდწითელის რაზმი, რომელმაც ისინი ტყვეთ წაიყვანა.

თფილისიდან გაგზავნილი 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი აღმოსავლ. კურსანტ. ბრიგადის ჩოლოყაშვილმა დაამარცხა ანანურთან, სადაც ის გამაგრებულია. ქართული მილიციის ცხენოსანი დივიზიონის ნაწილი ჩოლოყაშვილის მხარეზე გადავიდა.

28 აგვისტოს დილით ანანურში გაიგზავნა პირველი ცხენოსანი პოლკის ერთი ბატალიონი, დანარჩენებს ებრძანათ მზათ ყოფილიყვნენ საღამოსთვის, მე-18 დივიზიონის უფროს ებრძანა გაგზავნოს 2 პოლკი დუშეთში.

28 აგვისტოს ღამით ჩამოსულმა პირმა დაადასტურა ყველა ეს ცნობები და დაუმატა, რომ თიანეთის მაზრაში მოეწყო 3 ბანდა, რომელმაც გარეკა რევკომი და ამზადებს თავდასხმას თელავზე.

30 აგვისტოს დილის ცნობა. გვერდწითელის ბრბოში ითვლება 100 მეომარი, ნახევარი ცხენოსანი, ჩოლოყაშვილს ყავს 160 კაცი - სულ ცხენოსანი.

25 აგვისტოს დილით გვერდწითელმა 12 საათით დაიკავა დუშეთი, რევკომი ტყვეთ წაიყვანა.

29 აგვისტოს დილით ჩოლოყაშვილი გამაგრებულია ხიდთან დუშეთსა და ანანურ შუა.

იმავე დღეს თიანეთიდან მას მოუვიდა 40 თუში ცხენოსანი ტყვიის მფრქველით, ოფიცერი ლომაურის მეთაურობით. გაგზავნილი მონაწილეები თავს იყრიან დუშეთში. ჩოლოყაშვილს მოუვიდა 28 კაცი ჩეჩნები და ინგუშები, რომლებმაც თან მოიყვანეს 50 შეკაზმული ცხენი. მათ განაცხადეს, რომ მათ უკან მოდიან 40-დე ჩეჩენი. მოხევეების ბრბოს მეთაურია ოფიცერი თოფაძე. მან განუცხადა ჩოლოყაშვილს, რომ მას პირველ დაძახებისთანავე შეუძლია გამოიყვანოს 200-დე მოხევე.

სამი დღის ბრძოლაში მოკლულია 43 კაცი, მათ შორის მილიციის უფროსის თანაშემწე, პირველი უბნის კომისარი და მეორე უბნის უფროსი, აგრეთვე მილიციონერი - ყოფილი ოფიცერი ჯაში. ჩოლოყაშვილის მხრივ მსვერპლი გამოურკვეველია. 28 აგვისტოს თფილისიდან გადაგზავნილი კომსომოლას რაზმი 100 კაციდან შემდგარი გზაში გაიქცა.

ჯავშნოსანი მატარებელი N57 კასპთან დგას, ხოლო N101 მცხეთასთან.

პირველი სექტემბრის დილის ცნობები. თიანეთის გზით ჩოლოყაშვილისათვის უკან დასახევი გზის მოსაჭრელათ გაიგზავნა ორი ესკადრონი. კსანკაში

საქართველოს ეროვნული არქივი

გადმოსხეს ქუთაისიდან მოყვანილი რუსული პოლკის ორი გუნდი გვერდწითელის რაზმის მოსავლელათ დასავლეთით მუხრან-საგურამოდან. ჯავშოსანი მატარებელი N57 კსანკაში გადაიყვანეს.

თიანეთის მაზრაში 103 ცხენოსან პოლკს ბრძოლა ქონდა მოზრდილ ბრბოსთან, სადაც მან გაიღო მსხვერპლი: 2 მოკლული, 4 დაჭრილი, 10 დაკარგული, დაიჭრა 10 ცხენი.

სოფელ ჩივაანთ უბანში (გორის მაზრა) კომუნისტების მიერ მოწყობილ მიტინგზე მოვიდა 30 კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელმაც განაიარაღა რევკომი, განუმარტა ხალხს საქმის ნამდვილი მდგომარეობა დუშეთის მაზრაში და მოუწოდა მათ შეკავშირებისაკენ. ხალხი ოვაციებით შეხვდა მათ და აღუთქვა მათ ყოველგვარი დახმარება.

ბრბოების საწინააღმდეგო ოპერაციების ხელმძღვანელობა დაევალა სვეჩინს (გენერალური შტაბის ყოფილი გენერალი), რაზმის შტაბის უფროსათ დაინიშნა მუსხელაშვილი.

მზვერავები იტყობინებიან, რომ ღამით 28-29 აგვისტოს აჯანყებულთა ბანაკს გამოეყო 2 ჯგუფი: ერთი წავიდა თიანეთის გზით, ხოლო მეორე ძირულის უღელტეხილისაკენ. მათივე გადმოცემით ბრბოებს 200-300 კაცი ყავს. უნახავთ აგრეთვე ტყვიის მფრქვეველები. 4 სდგას ხიდთან, წინ აქვთ სამფეროვანი ეროვნული დროშა.

ირკვევა, რომ დუშეთზე გავლის დროს გვერდწითელს დუშეთიდან წაუღია ერთი მილიარდი მანეთი ბონებით.

გორის მაზრაში გამოჩნდა ციციშვილის ბრბო 50 კაცი, რომელიც შედგება ყოფილ სახალხო გვარდიელებისაგან.

მოსკოვის ბრძანებით შავ ზღვაზე კანდელები არ ინთება.

ცაგერში 50 პოდვოლით მოიტანეს თეთრი კანადის ფქვილი სვანებისათვის უფასოთ დასარიგებლათ. სვანებმა ჩააბარეს 500 თოფი და ოთხი ტყვიის მფრქვეველი. ზემო სვანეთის და ქვემო სვანეთის სოფლები - გლოვა, ახალი მახანი და ორიც სხვა ჩაბარებაზე უარს ამბობენ და წინააღმდეგი არიან მიიღონ ხელის უფლებისაგან საჩუქრები.

30 აგვისტო. 30 კაცისაგან შემდგარი ბრბო თავს დაესხა მცხეთას და წაიყვანა 4 ცნობილი კომუნისტი. იგივე ბრბო ნატახტარის ახლოს თავს დაესხა საბარგო ავტომობილს, რომლითაც მოდიოდენ ექიმი საექიმო მასალებით და 23 ჯარისკაცით, ლუისის ტყვიის მფრქვეველებით. მასალები და იარაღები წაიღეს. 4 ჯარისკაცი გაიტაცეს, დანარჩენები გაუშვეს.

ალი, შამილი.

3/IX გარშიფრულია 18/IX.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 97, ფურცლები 67-75.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის
კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს,
სადაც საუბარია თურქეთ-საბერძნეთის ომზე
1922 წლის 21 სექტემბერი

სტამბოლი 21 სექტემბერი 1922 წ.
საქართველოს წარმომადგენელს პარიზში

როგორც უკვე გწერდით დღეს საქმე გამარჯვებულ სათათრეთთან გვაქვს. ის მაღალი შტილით ლაპარაკობს დღეს. ბერძნები მცირე აზიიდგან გამორეკა და ეხლა სტამბოლზე, ადრიანოპოლზე და სრუტეებზე ფიქრობს. სტამბოლში დიდი პანიკაა და ხალხში ათასნაირი ხმები დადის. ბევრი სომეხი და ბერძენი სტოვებს ქალაქს, ბანკებიდგან გამოაქვთ ფულები. არ მგონია, რომ დღეს ქემალი სტამბოლზე წამოვიდეს და ძალით ის აიღოს. თუ მოსწრებულ დროზე მოინდომებს ამის ქნას, შეიძლება მან შესძლოს ეს, მაგრამ მერმედ მას საქმე ექნება ფრიად გართულებულ მდგომარეობასთან და ქემალი დღეს არც ისე მაგარია, რომ მან ყველაფერს თავი გაართვას. გაიმარჯვა მიტომ კი არა, რომ ის მეტად ძლიერი იყო, არამედ მიტომ, რომ ბერძნები მეტად სუსტი და ულაზათონი გამოდგნენ. ქემალს შეუძლია სტამბოლზე არ წამოვიდეს პირდაპირ და ნეიტრალური ზონით თრაკიაში შეიჭრეს, ამავე დროს სტამბოლში შიგნით მოაწყოს თურქების აჯანყება და ქალაქი ამნაირათ ჩაიგდოს ხელში და ალიები ფაქტის წინაშე დააყენოს. დანამდვილებით კი ძნელია გადაჭრით რამით თქმა, რომ ქემალმა დღეს სტამბოლიდგან ძალით ალიები განდევნონ და სრუტეები ხელში ჩაიგდონ, ეს იქნება მათთვის და განსაკუთრებით ინგლისისათვის არა თუ სილის გარტყმა, არამედ მათი პრესტიჟის დაცემა მთელ ევროპაში და ყველა მუსულმანურ ქვეყნებში. ინგლისმა უკვე მაგრათ დაიწყო ლაპარაკი და აქეთ ფლოტს და კოლონიის ჯარებს იწვევენ. თან თურქებს რუმინიით და სერბიით ემუქრება. სერბიის აქაური ელჩი, რომელიც თურქებთან კარგათ იყო, გაიწვიეს და მის მაგივრათ დანიშნეს ახალი ელჩი თურქების მოწინააღმდეგე, წინათ რუსეთში ყოფილა დიდხანს ელჩად. ყოველი ზომა აქვს მიღებული ინგლისს, რომ თურქები დააშინოს და მართლაც ასე ადვილათ ის ქემალს დაუთმობს. მოსალოდნელია გამარჯვებულ ქემალის კიდევ წინსვლა, მაგრამ სულ ადვილად შეიძლება ამას მოყვეს მისი სასტიკად გალახვა.

ამნაირათ ჩვენ გვაქვს საქმე გამარჯვებულ ქემალთან, რომელიც ახლა ამაყათ ლაპარაკობს. მაგრამ ჩვენ ხომ მუდამ უნდა გვქონდეს მათთან კავშირი, არიან ისინი მაგრათ თუ არა, ყოველ მათ მდგომარეობაში საჭიროა ჩვენთვის მათი აზრი ჩვენ შესახებ. ერთმა ჩვენმა მეგობარმა, რომელსაც მე ვსთხოვე გაეგო ქემალისტების და ანგორელების აზრი საზოგადოთ ჩვენ შესახებ, ელაპარაკა ანგორის ერთ ცნობილ წარმომადგენელს და შემდეგი მეტად საყურადღებო ცნობები გადმომცა, დღეს ჩვენო, უთქვამს ანგორელს, საქართველოს დამოუ-კიდებლობის მომხრე ვართო და ამის წინააღმდეგ, რასაკვირველია, არაფერი გვექნებაო. როცა მას შეეკითხებიან, თუ რა პოზიციას დაიჭერენ ქემალისტები ქართველების მიმართ, რომ ამ უკანასკნელმა რუსები განდევნონ და თავისი დამოუკიდებლობა აღიდგინონო, მას უპასუხნია, რომ ამ დროებით ეს არ იქნება

საქართველოს ეროვნული არქივი

სასურველი, რადგანაც ჩვენ რუსებთან ხელშეკრულება გვაქვს და თუ ისინი მოგვთხოვენ დახმარებას აჯანყებულ რესპუბლიკების წინააღმდეგ ჩვენ მათ ამ ხელშეკრულების ძალით უნდა დავეხმაროთო. მერმე კი, როცა მოვათავებთ ომს და ანტანტასთან ზავს ჩამოვაგდებთ ჩვენ გავაკეთებთ დეკლარაციას, რომ ამიერიდგან არავითარი სამხედრო კონვენციები არ გვაქვს და გვინდა ვიმუშაოთ განსაკუთრებით ეკონომიურ ნიადაგზეო. ამ მომენტიდგან ჩვენ ხელი გაშლილი გვექნება, თავისუფალი ვიქნებით და ნეიტრალურობასაც დავიცავთო. უთქვამს აგრეთვე, რომ თუ ქართველებს უნდა ჩვენთან კარგათ ყოფნაო, სომხებს და მათ გამოქომაგებას თავი დაანებონო. ეს მეტად საყურადღებო ცნობაა, ამას კიდე შევამოწმებ და მას, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს.

გწერდით, რომ პილსუცკი და ნარუტოვიჩი მიდიან რუმინიაში და აქედგან მათ შესახვედრათ მიდის მათი სტამბოლის ელჩითქო. ელჩს მე დავაბარე, რაც საჭირო იყო. ის დაბრუნდა. მათი საერთო აზრი ასეთია: პოლონეთი დაინტერესებულია საქართველოს საკითხით და შეძლების და გვარათ ყოველნაირ აქტივურ დახმარებას გაგვიწევს. ამის საბუთები უკვე გვაქვს. ეს იცით. საერთო პოლიტიკაში ისინი საფრანგეთს უყურებენ და მათთან თათფირობენ თითქმის ყოველთვის, მეტადრე დიდ საკითხებში. ვინიცობაა, რომ საფრანგეთი მოელაპარაკოს რუსეთს, შეკრას მათთან სხვა და სხვა ხელშეკრულებები, მიიღოს რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში კონცესიები, დაიკმაყოფილოს თავისი ეკონომიური მისწრაფებანი რუსეთში, მან შეიძლება აზრი შეიცვალოს და ჩვენ საკითხს აღარ მიაქციოს ყურადღება. ამ შემთხვევაში პოლონეთი ვერ გაყვება საფრანგეთს. პოლონეთისათვის ჩვენი საკითხი უფრო პოლიტიკური საკითხია და მისი მომავლის და არსებობისათვის ამას აქვს დიდი მნიშვნელობა და რომც საფრანგეთმა შეცვალოს აზრი, ჩვენ მაინც თქვენი მომხრე ვიქნებითო, ამბობენ ესენი. პილსუცკის, ნარუტოვიჩს და ჩემს შორის, გადმომცემს ელჩი, აზრთა სრული ერთნაირობა იყოო.

არაოფიციალურათ ბარანოვსკიმ გადმომცა, რომ ნარუტოვიჩს ყურადღება მიუქცევია იმ ფაქტისთვის, რომ ვარშავაში ქართველებს შორის აყალმაყალი არის და არ იცის ვისთან შეიძლება იქ ლაპარაკიო. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება, რომ ვინმე პასუხის მგებელი პირი გყავდეთ იქო. ეს ექვსი თვეა თქვენ ხშირად მწერდით, რომ იქ ვინმეს გაგზავნიდით. დღემდის კი იქ არავინ არის. ეხლა, როგორც იცით, იქ მთელი ჩვენი მხედრობა იყრის თავს, ამის გარდა გვაქვს სხვა სერიოზული საქმეებიც, პოლიტიკურ მუშაობასაც უნდა მიექცეს ყურადღება. დღეს იქ პილსუცკი და მისი პარტიაა, მათთან უფრო ადვილია მუშაობა. რომ მომავალ არჩევნებზე ოპოზიციამ გაიმარჯვოს, მაშვინ მდგომარეობა შეიცვლება. ოპოზიცია ჩვენ შესახებ არ არის იმავე აზრის და ნეიტრალობას არ გასცილდება. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. ნ. რამიშვილი მწერდა პ. თუმანოვზე, მე მას არ ვიცნობ. მხოლოთ ვიტყვი, რომ აქ უნდა გავგზავნოთ სანდო კაცი, რომელიც ამ დროს პოლიტიკურადაც უნდა ერკვეოდეს. მე ბარანოსკის უთხარი, რომ ამ მოკლე ხანში იქ გვეყოლება პასუხისმგებელი და ოფიციალური პირითქო. ნუ დააყოვნებთ ამას, ეს საჭიროა.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 37-40.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია თურქეთის საქართველოს საკითხისადმი დამოკიდებულებაზე 1922 წლის 16 ოქტომბერი

16 ოქტომბერი 1922 წ.
სტამბოლი

საქართველოს წარმომადგენელს პარიზში

ჩვენი წერილი 9. X. 22. და 12. IX. 22. თარიღით მივიღე. ჩვენი საგაზეთო წერილი რედაქციას გადავეცი. ამ ორ-სამ დღეში გამოვა ალბათ.

წავიკითხე ნოტები. თქვენ დიდ ნოტას, აღმოსავლეთის საკითხის შესახებ პუანკარესადმი გადაცემულს მთლათ ვერ ვიზიარებ. დღეს ჩვენ დაინტერესებული ვართ რამენაირათ თურქებმა ფრონტი იცვალონ ბოლშევიკების მიმართ. ჩვენ გვინდა მათ დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ნაციონალურ მთავრობასთან კავშირი მათთვის უფრო სასარგებლოა ყოველმხრივ და ვითხოვთ მათგან ნეიტრალობას ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოძრაობის დროს ჩვენში. მე, მაგალითად, ამათ ვეუბნები აქ, რომ ამ დროებით, თუ მოძრაობა დაიწყება ჩვენში, დაცულ იქმნას status quo - ჩვენი ტერიტორია ამათ არ გადმოლახონ, დაიცვან ნეიტრალიტეტი და საზღვრების საკითხებზე მერმედ ვილაპარაკოთქო. თქვენი ნოტით კი ამ საკითხს თქვენ ეხლავე უშვებით დეტალიზაციას. მე მგონია საკმარისი იყო ნოტაში გეთქვათ და ჩვენი კონფერენციაზე დაშვების საჭიროება იმით დაგესაბუთებინათ, რომ სათათრეთი ჩვენი მესაზღვრე სახელმწიფოა და თუ იქნება საზღვრებზე ლაპარაკი იქ ჩვენც უნდა ვიქნათო. არ იყო საჭირო ლაპარაკი დეტალურათ არდაგანზე, ართვინზე და სხ. ყველა ეს საკითხები, რასაკვირველია, მაშვინ უნდა წამოგვეყენებია, თუ მართლა დაგვეკითხებოდნენ და ვაჭრობა შეიქმნებოდა. კითხვა ზოგადად უნდა დასმულიყო. თორემ თურქებს შეუძლიათ თქვან: ბოლშევიკებთან ქე გვაქვს ხელშეკრულებები - მათ ეს ტერიტორიები დაგვითმეს, ნაციონალური მთავრობა კი ეხლა ამ ტერიტორიებზე გვედავებაო. უმჯობესი იქნება ბოლშევიკებთან გვქონდეს საქმეო. წინდაწინვე არ უნდა შევქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათთვის სხვა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ჩვენ. თუ თქვენ იმაში ხართ დარწმუნებული, რომ ჩვენ პირდაპირ ლაპარაკს თურქებთან დიდი მნიშვნელობა არ აქვს, აქ სხვები უნდა ჩამოერიონ და ჩამოერევიან კიდევაც, თურქებს ყურში ხელს სტაცებენ და აიძულებენ დათმობაზე წამოვიდნენ, მაშვინ თქვენი ნოტა უნდა დაწერილიყო სწორეთ ისე, როგორც არის.

როცა რუსეთის, უკრაინის და საქართველოს მოწვევის საკითხი წამოიჭრა მე ვნახე აქ კომისრები. ესენი არ ფიქრობენ, რომ რუსეთი მოწვეულ იქმნას ამ კონფერენციაზე. მათი აზრით შეიძლება სრუტეების საკითხი გამოიყოს და მაშვინ მიიღონ რუსეთის ინტერესებიც მხედველობაში. თუ ვინ უნდა მიიწვიონ ამის შესახებ ლონდონში, პარიზი და ომი უნდა შეთანხმდნენო. იქ ეცადეთ ეს კითხვა მოაგვაროთ და თქვენი მთავრობა დაუშვანო ამბობდა პელლე.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამასვე იმეორებდა გარრონი. რაც შეეხება ინგლისელებს, ისინი მუდამ იმას იმეორებენ, ვითომც მათ, მას მერედ რაც ჯარი გამოიყვანეს კავკასიიდგან, ჩვენი საკითხი არ აინტერესებთ. ჩვენ კი წინააღმდეგი ვიცით და ეს დაამტკიცა გენუის კონფერენციამ, სადაც ნავთის სუნი ძლიერ სულშემხუთავი იყო. მათ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არ აინტერესებთ, მაგრამ ამას ახლათ არ ამბობენ. ეხლა როცა პირობები შეიცვალა და შესაძლოა სხვანაირადაც დაიწყონ ლაპარაკი, მაგრამ ჯერ კიდევ ამბობენ ჩვენ არავითარი ახალი ინსტრუქციები არა გვაქვსო. ერთი სიტყვით საჭიროა. მუდმივათ ვახსენოთ ამათ ჩვენ საქმე. სულ ადვილი შესაძლებელია ამათ ფერი იცვალონ. მე გავაგრძელებ ამ მხრივაც მუშაობას, რასაკვირველია, სათანადო სიფრხილით. ვნახოთ. საქართველოდგან მიღებული ცნობებით ჩოლოყაშვილი გადასულია ხევსურეთში. მის წინააღმდეგ, როგორც იცით, გაგზავნილი იყო დიდძალი ჯარი. ორი-სამი სოფელი ბოლშევიკებს გაუნადგურებიათ. მათაც დიდი ზარალი მოსვლიათ და მერმედ თავი გაუნებებიათ. ასე რომ ეხლა სიწყნარეაო. კარგი რომ უდროვო დროს არ გადავარდით ცეცხლში.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 641, ფურცლები 49-50.

საქართველოს ეროვნული არქივი

უცნობი პოეტის ლექსი ბუდუ მდივანსა და ფილიპე მახარაძეზე
1922 წელი

პასუხი მოღალატის წერილზე
(ბუდუს და მახარაძეს)

გუშინ მივიღე შენი ბარათი
და გული ზიზღმა დაჭრა, დასერა:
ყოფილხარ მშობელ ქვეყნის ჯალათი ...
ან, რად დაეცი, მითხარი ასე რად ...
გვწერ გადვიხადეთე დღესასწაული,
თფილისს ამკობდენ გრილიანდები ...
რად დაგავიწყდა ერის ტრაური
და თვალზე ცრემლთა ბრილიანტები.
ეგებ გგონია, ჰოი, იუდავ,
რომ შიში შეიქმნს წმინდა სიყვარულს,
შენ საზიზღარი იქნები მუდამ,
ვერც ეღირსები ჩვენგან სიბრალულს,
ახლა მთვრალი ხარ მაღალ დიდებით,
მაგრამ როდესაც გადასწევ ფარდებს:
ნახავ ცრემლთა ზღვას სისხლის ხიდებით
და ათასობით შენ მსხვერპლთა ლანდებს.
მაშინ რას იზამ, სად გაიქცევი
სინდისის ქენჯნას და შიშის ალებს,
როგორც იუდა, ყოფის დღეთ მწყევი,
შენც სახრჩობელას მიაპყრობ თვალებს.
არ გაპატიებს არც ისტორია,
კრული იქნება შენი სახელი.
ეს ყოველივე ისე სწორია,
როგორც ეს ლექსი შენთვის ნამხელი.

ყოფილი პოეტი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 111, ფურცელი 55.

საქართველოს ეროვნული არქივი

1923

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფის მიერ სამლოცველოების თვითნებურად დაკავებისა და მორწმუნეთა შეურაცხყოფის აღკვეთის აუცილებლობის შესახებ
1923 წლის 10 იანვარი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

წარმოვგზავნი რა ამასთანავე თბილისის წმ. გიორგის /ყოფილი სამხედრო/ ტაძრის მლოცველთა წარმომადგენელთ, რომელთაც მომმართეს მე სათანადო შუამდგომლობით, პატივისცემით გთხოვთ შეიწყნაროთ მათი თხოვნა.

ამ შუამდგომლობის აღძვრას მაბედვინებს ერთის მხრით ჩემი მოვალეობა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მართლმადიდებელ მოსახლეობის მამათმთავრისა, ხოლო მეორე მხრით რესპუბლიკის უზენაესი მთავრობის მიერ გამოცემული კანონები სარწმუნოების და სინიდისის თავისუფლების შესახებ. აღნიშნულს დავსძენ, რომ მე არა ვარ წინააღმდეგი არა მორწმუნეთა მიერ იდეურ ბრძოლისა მორწმუნეებთან, მაგრამ ჩემი არსებობა ვერ შეურიგდება იმას, რომ რესპუბლიკის ძირითად კანონების წინააღმდეგ არა სრულწლოვან ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინიდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლი და მისცეს მას სხვა დანიშნულება. თბილისის ახალგაზრდობის ამ გვარი მოქმედება მით უფრო დაუშვებელია, რომ ქალაქელებს შეიძლება მიბაძონ სოფლელებმაც და ამ ნიადაგზედ მოხდეს მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის შეხლა-შემოხლა, რაც არც თქვენთვის და არც ჩემთვის არ დარჩება სასურველად და სასიამოვნოთ.

სავსებით დარწმუნებული, რომ თქვენ მოქალაქე მთავრობის თავმჯდომარევ, დაიცავთ კანონიერებას, დავშთები თქვენი პატივისმცემელი.

კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი

N21
1923 წ. იანვრის 9 დღესა.

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი
თარიღით 1923 წლის 10 იანვარი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცელი 512.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინტერპარტიული კომიტეტის მიმართვა ქართველ ახალგაზრდებს 1923 წლის 26 იანვარი

საქართველოს ახალგაზრდობას!

მეგობრებო, ეს მეორეთ უხდება ქართველ სტუდენტს გლოვით შეხვდეს მისთვის უძვირფასეს თარიღს - 26 იანვარს.

საქართველოში რუსეთის ასის წლის ბატონობამ უძველესი კულტურის ერი დააქვეითა არა მარტო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ - ამ ბატონობის კიდევ უსაშინელესი შედეგი იყო ქართული კულტურის მაჯის ცემის მოდუნება, ეროვნული თვითშეგნების შესუსტება და ქართული და ქართული ოდესღაც ამაყი ნებისყოფის გატეხა. პოლიტიკურ ჩაგვრაზე უფრო სასტიკი ქართული კულტურის გაქელვა იყო: შეირყვნა ქართული ენა, სკოლა და ყველაფერი, რასაც ეროვნული შეგნების გაღვივება ჰქონდა მიზნათ. გარუსების აჩრდილი დაძრწოდა საქართველოში მთელი საუკუნის განმავლობაში. რაღა გასაკვირველია, რომ უკეთეს ქართველ მამულიშვილთა თაობანი მთელს თავის ძალღონეს ქართული იერის შენარჩუნებისათვის ხარჯავდენ ყველგან: ხელოვნებაში, პოლიტიკაში და სკოლაში. ახალ კულტურულ ღირებულებათა შექმნა საოცნებო საგნათ იქცა. იყო დრო, როდესაც ბევრი ქართველი უიმედობამ შეიპყრო - ქართული კულტურის და განსაკუთრებით ქართული მეცნიერების აღორძინებაში დაეჭვიანდა.

მაგრამ მოხდა სასწაული და ყველანი, თით სასოწარკვეთილნიც, წელში გაიმართენ. ქართველმა ერმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი გამძლეობა და მარადისობა: მან წარსულ სახელოვან საუკუნოებს 26 იანვრის გამოძახილით უპასუხა. აქ დაარსდა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამით მტკიცე და ურყევი საფუძველი ჩაეყარა ქართული მეცნიერებისა და კულტურის წმინდა ტაძარს. სულ მოკლე დროში თბილისის უნივერსიტეტის გარშემო შემოიკრიბა მთელი ქართული სამეცნიერო ძალები და მოსწავლე ახალგაზრდობა. ქართულ-მა უნივერსიტეტმა თავის ხანმოკლე, მაგრამ განსაცვიფრებელი ინტენსიური კულტურული შემოქმედებით ჩვენი უკეთურნიც კი დააჯერა საქართველოს ეროვნულ შემოქმედებითი სიძლიერეში. საქართველოს პოლიტიკურმა თავი-სუფლებამ და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სხეულის განმრთელებამ კიდევ უკეთესი პირობები შექმნეს ქართული უნივერსიტეტის საქმიანობის-თვის. 26 მაისმა განამტკიცა 26 იანვარი და მთელმა შემდგომმა განვითარებამ კი ყველასათვის ნათელჰყო თუ რაოდენ მჭიდრო კავშირია პოლიტიკურ თავისუფლებასა და ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობათა შორის დღეს ყველამ შეიგნო პოლიტიკური დამოუკიდებლობის აუცილებლობა კულტურის განვითარებისათვის და პირიქით.

განახლებულ საქართველოსაც ბედმა უმუხლთა და 26 იანვრისა და 26 მაისის სიხარულთან ერთათ 25 თებერვლის სიმწარეც არგუნა. 25 თებერვალს გლოვისა დამწუხარების სუდარამ დაბერა საქართველოს სახე: განთავისუფლებული და აღორძინების გზაზე შემდგარი ერი კვლავ დაიპყრო მისმა ისტორიულმა მტერმა - რუსეთმა, ამჟამათ წითელ ნიღაბ ქვეშ. „წითელმა“ რუსეთმა, ისევე

საქართველოს ეროვნული არქივი

როგორც ძველმა მეფის რუსეთმა დადებულ ხელშეკრულობის უსინდისო და მუხთალი დარღვევით ხუნდები დაადო მრავალწამებულ საქართველოს. მაგრამ, თუ ძველი რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებისათვის საჭირო იყო საუკუნე, 26 მაისისა და 26 იანვრის საქართველოსთვის სრული და საბოლოო განთავისუფლებისთვის მოლოდინი ვერ იქნება ასე გრძელი. 26 იანვარმა და მაისმა მთელს საქართველოს დააჯერა საქართველო. იმედი და მხნეობა შემატა მთელ საქართველოს და განკითხვის ჟამს მას მკლავი არ უსუსტებს საბოლოოთ გაჰკვეთოს მონობის ბორკილი.

ამის თავდებია კოჯორ ტაბახმელა-სოღანლუღი და ქართველი ხალხის ამ ორი წლის თავგანწირული ბრძოლა. ამის თავდებია მთელი ქართველი ახალგაზრდობა, რომელმაც ასობით შესწირა თავისი საუკეთესო წევრები სამშობლოს კეთილდღეობას და მზათაა, როგორც ერთი კაცი მსხვერპლათ შეეწიროს მარადის ძვირფას საქართველოს თავისუფლებას. გლოვის ზარი, დღეს რომ საქართველო მოუცავს, ვერც ერთი ქართველის გულში უიმედობას ვერ დაასადგურებს - ის ბრძოლის ყიჟინაა და ყურმახვილი მტერი ამ გლოვის ზარში მრისხანე შურისძიების ხმას უნდა ისმენდეს.

ქართველი ახალგაზრდობაც ქართველ ხალხთან ერთად უკეთესი მერმისის მოლოდინში გლოვიარობს - ტრაურით ხვდება ძვირფას თარიღებს. 26 იანვარს, ისე როგორც სხვა ეროვნულ სიამაყის დღეებში ქართველი ახალგაზრდობა ვერ იზეიმებს. დღესასწაულს ვერ გადაიხდის. და ეს მანამდე, სანამ საქართველოში კიდევ იქნება თუგინდ ერთი მოძალადე და მშობელი ერის მტერი.

ამ დღეს ჩვენ მხოლოდ მოვიგონებთ საქართველოსათვის განწირულ გმირების ბრწყინვალე სახელს.

დიდება საქართველოს და მისთვის მებრძოლთ...

გაუმარჯოს ქართულ უნივერსიტეტს...

გაუმარჯოს ქართველ სტუდენტობას...

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის
ინტერპარტიული კომიტეტი.

26 იანვარი 1923 წ.
ქალ. თბილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 65, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, რათა დაჩქარდეს მის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების პროცესი
1923 წლის 5 თებერვალი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარს

უკვე მესამე კვირა გადის, რაც დაპატიმრებულნი არიან საქათოლიკოზო საბჭოს სამი წევრი, საბჭოს კანცელიარის გამგე, მისი თანაშემწე და სამეურნეო გამგეობის დირეკტორი. მეც აღკრძალული მაქვს ბინიდან გასვლა, მთხოვნელების მიღება და, მაშასადამე, ჩემი მოვალეობის აღსრულება. იმათი უხერხული მდგომარეობა, რომელთაც საქართველოს ეკლესიის ცენტრალურ დაწესებულებთან აქვთ საქმე, საქმეების წარმოების სრულიად შეჩერება და წირვა-ლოცვის შესრულების ჩემთვის შეუძლებლობა მორწმუნეთა შორის ბადებს არა სასურველ მითქმა-მოთქმას.

ამისთვის გთხოვთ დაჩქარებულ იქმნას საქმის გამოძიება, რომ ამით რაც შეიძლება მალე ბოლო მოეღოს ამ გამოურკვეველ და არა სასურველ მდგომარეობას.

პატივისცემით
კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი

P.S. დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შტემპი თარიღით 1923 წლის 29 იანვარი; დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: გადაეცა ამხ. კაკაბაძეს. 5/II; დოკუმენტს აზის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შტემპი თარიღით 1923 წლის 5/II.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცელი 131.

საქართველოს ეროვნული არქივი

სენაკის მაზრის მილიციის უფროსის დ. ანდრონიკაშვილის მოხსენებითი ბარათი სოფელ ისულაში კონსპირაციული კრების მოწყობისას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მ) სენაკის სამაზრო ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი (კაკო) კალანდარიშვილისა და მისი მცველის ალექსანდრე ჯიქიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით 1923 წლის 5 თებერვალი

მივიღე რა ცნობა საიდუმლო აგენტისაგან, რომ სენაკის მაზრის მენშევიკური პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარე კაკო კალანდარიშვილი და მისი მცველი – ბანდიტი ალექსან-დრე ჯიქიძე იმყოფებიან სოფ. ისულაში კონსპირაციული კრების მოსაწყობად, რის გამო იქნა გაგზავნილი ჩემი მოადგილე, იგივე სამმართველოს უფროსი გრიგოლ გვაძაბია, ბანძის უბნის მილიციის უფროსის თანაშემწე ვლადიმერ მირცხულავა სამაზრო მარქაფის მილიციონერი ასლან დანელიათურთ ხსენებულ სოფელში დასაპატიმრებლად ზემოთ ნაჩვენები პირებისა, რომლებიც დიდი ენერგიული და ტაქტიკური ზომების მიღების შემდეგ იქნენ დაპატიმრებულნი მათ მიერ. კომიტეტის თავმჯდომარე კაკო კალანდარიშვილს აღმოუჩნდა სენაკის სამაზრო მენშევიკური ორგანიზაციის კომიტეტის შტამპი და ბეჭედი, რამდენიმე სხვადასხვა თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი საბუთები, წიგნები, გეგმები აღნიშვნებით, თუ სად აქვთ დაარსებული ორგანიზაციები და სხვა. მის მცველს, ბანდიტ ჯიქიძეს კი აღმოაჩნდა სამხაზიანი თოფი (კარაბინი) ორას სამოცამდე ვაზნით. დამნაშავენი ერთად აღმოჩენილი საბუთებით გადაეცა სენაკის სამაზრო ინფორმპუნქტს.

ასეთი საიდუმლო და თვალსაჩინო პოლიტიკური საქმის აღმოჩენისათვის უკვე ჩემს მიერ გაცემულია ოცდაათი მილიონი მანეთი საიდუმლო აგენტისა-დმი, რომლისათვის მისაცემია კიდევ 50. 000. 000 მანეთი. ამ თანხის მიცემა აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს შემდეგშიც ასეთი საქმის სათანადოდ მოსაწყობად. მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ სათანადო განკარგულებას, რომ მომეცეს მე საიდუმლო ხარჯებისათვის ზემოთ ნაჩვენები ოთხმოცი მილი-ონი მანეთი (80. 000. 000) და ხსენებული თანამშრომლები თოფურია, გვა-ძაბია, მირცხულავა და დანელია მათზე მინდობილი ასეთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი საქმის სათანადოდ შესრულებისათვის იქნან მატერიალურად დაჯილდოებულნი თქვენი შეხედულებით სხვების სამაგალითოდ.

სენაკის მაზრის მილიციის უფროსი დ. ანდრონიკაშვილი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 285, ანაწერი 1, საქმე 476, ფურცელი 17.

საქართველოს ეროვნული არქივი

გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის სკოლის გამგის წერილი ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილებას, რათა აღნიშნულ გიმნაზიას გადასცემოდა სკოლასთან არსებული ეკლესიის შენობა სარგებლობაში
1923 წლის 9 მარტი

ქუთაისის მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილებას

წარმოვადგენ რა ამასთანავე რწმუნებული ჩემდამი სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებას ა/წ. მარტიდან, სკოლასთან მდებარე ეკლესიის და მისი ქონების სკოლაზე უკანვე დაბრუნების შესახებ, გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილების ამონაწერს 1919 წლ. 8 ნოემბრიდან და განათლების სამინისტროს მოწერილობის ასლს 1919 წ. 26 ნოემბრიდან N11736 ხსენებული ეკლესიის მცხოვრებლებზე დროებით გადაცემის შესახებ, ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რომ აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ხსენებული ეკლესია თავის ქონებით დაუბრუნდეს სკოლას როგორც მისი კუთვნილი, რომელიც შენობას გამოიყენებს მოწაფეთა საჭიროებისათვის /მაგ. სალიტერატურო დილის და საღამოების და ლექციების გასამართავად და სხ./, რაც შეეხება ქონებას, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სკოლა ერთი უღარიბესთაგანია და ეკლესიაში კი თითქმის არ არის ნივთი, რომლის გამოყენება არ შეიძლებოდეს, რითაც მე იძულებული არ ვიქნები შეგაწუხოთ სხვა და სხვა ნივთების მოცემაზე და შეძენაზე /მაგ. ნოხები, პირსახოცები და სხვები/, რითაც სკოლას ცოტათი საღავათი მიეცემა.

სკოლის გამგე /ხელრთვა/
საქმისმწარმოებელი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 240, ფურცელი 32.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, განათლების სახალხო კომისრისა და იუსტიციის სახალხო კომისრის საიდუმლო ცირკულიარი სამაზრო აღმასკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი განძის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით

1923 წლის 17 აპრილი

ცირკულიარი
საიდუმლო

ყველა სამაზრო აღმასკომს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და აფხაზეთის ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებს

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობებით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთ-მოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეთ შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქმნას ზემოხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს. კ. საბჭოს დადგენილებისა, ა/წ. 21 მარტს დაარსდა **სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი,** რომელშიც შედიან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი** და იუსტიციის სახალხო კომისარი - **ვარძიელი**.

გაუწყებსთ რა ზემოხსენებულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევსთ - ეკლესია-მონასტერის გაუქმებისა და ჩამორთმევისას მიუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიად:

ა/ ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან, მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმებით, თუ სხვა რითმე მაინც დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენენ;

ბ/ ძეგლები - ძვირფას განძეულობითურთ, რომელნიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს ანდა უკანასკნელამდე წარმოებდა ღვდელ-მსახურება;

გ/ ძეგლები, რომელნიც თავის თავად არავითარ სახუროთმოძღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობათა.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთაგან პირველ ორი კატეგორიის სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქმნას ისტორიისა და კულტურისათვის და მაშასადამე, **არავითარი შეკეთება, გადაკეთება ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ადგილობრივ დასაარსებელ საისტორიო მუზეუმების პუნქტები, არ შეიძლება და სასტიკადაც აღკრძალულია.**

რაიცა შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარია:

საქართველოს ეროვნული არქივი

ა/ ქედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვ.

ბ/ ქსოვით ხელოვნების ნივთები.

გ/ სხვადასხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.

პირველ ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა/ ისტორიულ-მხატვრულ მნიშვნელობის - ძვირფასი ნახელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

გ/ განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნ**უსხვა დამოუკიდებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა.**

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივ აღმასკომის პასუხისმგებელი თანამშრომელნი მცოდნე პირთა თანდასწრებით.

ყველა ნივთი მესამე კატეგორიის ეკლესია-მონასტრებიდან გამოღებული, თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქმნას, სათანადო აქტის შედგენით, მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლისა თუ სხვა ხიფათისაგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი მოკითხვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ, მთელს **რესპუბლიკაში სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები.**

ამიტომ დროებით, სანამ საამისოდ სათანადო კომისიები შედგებოდეს, რომელნიც თვითოეულ ნივთის შესაფერ ღირებულებას გამოარკვევენ და საბოლოოდ დაადგენენ, თუ რომელი, მეორე კათეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი უნდა გადაკეთდეს მუზეუმად, - ყველა აღნუსხულ ნივთის მოვლა-პატრონობა ევალება ადგილობრივ აღმასკომის მიერ დანიშნულ პირთ - აღმასკომისა და პირველთა ურთიერთის პასუხისმგებლობით.

განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქმნას განათლების სახალხო კომისარიატში - სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის.

აქვე გეგზავნებათ სია იმ ეკლესია-მონასტერთა და საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელნიც დაცულ უნდა იქმნან სამეცნიერო მიზნით.

დამატებით ინსტრუქციებს მიიღებთ.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე
ს. ს. ს. რესპუბლიკის კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე /ხელრთვა/

წევრნი:

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი /ხელრთვა/
იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტის შტემპი თარიღით 1923 წლის 17 აპრილი. დოკუმენტს ბოლოში აზის სიძველეთა და ხელოვნების დაცვის კომიტეტის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 170, ფურცლები 6-8.

საქართველოს ეროვნული არქივი

იმ ეკლესია-მონასტრების სია, რომლებსაც მიენიჭათ
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი
1923 წლის 17 აპრილი

სია
იმ ეკლესია-მონასტერთა და საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელთაც საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ

1. ტფილისის მაზრაში: ანჩისხატი, სიონი, ბეთანია, მარტყოფი, ქაშვეთი, მეტეხის საყდარი, ნათლისმცემელი, მანგლისის ტაძარი.

2. დუშეთის მაზრაში: ჯვარის საყდარი, მცხეთა, სამთავრო, წილკანის, შიო მღვიმის და ანანურის ტაძრები.

3. თელავის მაზრაში: შუამთა, ალავერდი.

4. სიღნაღის მაზრაში: ბოდბის მონ.

5. გორის მაზრაში: ერთაწმინდა, რუისი, ურბნისი, სამთავისი, ყანჩავეთი, ატენი, ქვემო ჭალა, წრომი, ოქონის მონ. იკორთა.

6. ბორჩალოს მაზრაში: ახტალის ეკლესია, ფიტარეთის, ბოლნისი.

7. ახალციხის მაზრაში: ზარზმა, ვარძია, საფარა.

8. ახალქალაქის მაზრაში: კუმურდოს ტაძარი.

9. ქუთაისის მაზრაში: გელათი, მოწამეთა, ხონის წმ. გიორგის.

10. შორაპნის მაზრაში: კაცხი, მღვიმე, ჯრუჭი, სავანე, უბისა.

11. რაჭის მაზრაში: ნიკორწმინდა.

12. ოზურგეთის მაზრაში: შემოქმედი, ჯუმათი, ლიხაური.

13. სენაკის მაზრაში: მარტვილი, ტყვირი, სუჯუნა.

14. ზუგდიდის მაზრაში: ხობი, ცაიში, კორცხელი, წალენჯიხა, ყულისკარი, ობუჯი

15. სვანეთში: კვირიკე და ივლიტესი.

16. აფხაზეთში: დრანდა, ბედია, ბიჭვინთა, მოქვი, ილორი.

P.S. დოკუმენტს ბოლოში აზის სიძველეთა და ხელოვნების დაცვის კომიტეტის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი,
ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 170, ფურცელი 7.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შალვა ნუცუბიძის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის თერაპიული კლინიკის ასისტენტის დიმიტრი ჯავახიშვილის პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ
1923 წლის 24 აპრილი

სახალხო კომისართა თავმჯდომარეს

ამით გვაქვს პატივი გაუწყოთ, რათა თვენახევარზე მეტია, რაც დატუსაღებულია საგანგებო კომისიის განკარგულებით თერაპიული კლინიკის ასისტენტი დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილი, რადგანაც საქმის გამოძიება გვიანდება და თანაც ექიმი ჯავახიშვილი ამ ჟამად ავად არის, ამიტომ უნივერსიტეტის გამგეობის სახელით მოგმართავთ და გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა უნივერსიტეტის გამგეობის თავდებობით განთავისუფლებულ იქმნეს იგი.

რექტორი, პროფესორი შ. ნუცუბიძე /ხელრთვა/
საქმეთა მმართველი დემეტრაშვილი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შტემპი თარიღით 21/IV 1923 წ. დოკუმენტს ასევე აზის სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 24/IV 1923 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის დოცენტის სერგი დანელიას პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ
1923 წლის 24 აპრილი

სახალხო კომისართა თავმჯდომარეს

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც დატუსაღებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **სერგი დანელია** და დღემდის მისი საქმე არ არის გამოძიებული და არ ვიცით კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდება. დატუსაღების გამო მეცადინეობა მასზე დაკისრებულ საგანში შეწყვეტილია.

ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სახელით გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს რათა უნივერსიტეტის გამგეობის თავდებობით განთავისუფლებულ იქმნეს დოცენტი სერგი დანელია.

რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი /ხელრთვა/
საქმეთა მმართველი დემეტრაშვილი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შტემპი თარიღით 23/IV 1923 წ. დოკუმენტს ასევე აზის სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 24/IV 1923 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის ასისტენტის გიორგი რცხილაძის პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ
1923 წლის 24 აპრილი

სახალხო კომისართა თავმჯდომარეს

უკვე ერთი თვეა, რაც დატუსაღებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი **გიორგი რცხილაძე და დღემდის** მისი საქმე არ არის გამორკვეული და არ ვიცით კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდება.

ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სახელით გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს, რათა უნივერსიტეტის გამგეობის თავდებობით განთავისუფლებული იქმნეს ასისტენტი გიორგი რცხილაძე.

რექტორი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი /ხელრთვა/
საქმეთა მმართველი დემეტრაშვილი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შტემპი თარიღით 23/IV 1923 წ. დოკუმენტს ასევე აზის სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 24/IV 1923 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცელი 5.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის ტყიბულის რაიონული უჯრედის პასუხისმგებელი მდივნის მიმართვა ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტს რაიონში ჩატარებული ანტირელიგიური კამპანიის შესახებ
1923 წლის 27 აპრილი

სამაზრო პარტკომს

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ტყიბულის რაიუჯრედის ბიურო შეუდგა ანტირელიგიოზური კამპანიის ჩატარებას.

ა/წ. „20“ აპრილს ჩამოტანილი იქნა ნაქერალის მთიდან სხვა და სხვა ნაშთები სახელდობ „ცხრა ჯვარი“ /ცხრა ჯვარი ეს ის კერპია რკინებისაგან შემდგარი, რომლსაც ადგილობრივი მცხოვრებნი დღემდის წირავდნენ საქონელს, ფულს და სხვა და სხვა ნივთეულობას). ამავე დღეს იქმნა დაბა ტყიბულის მრავალრიცხოვან მიტინგზე გასამართლებული ზემოხსენებული კერპი, რის შემდეგ მიტინგის დადგენილებით იქნა დაკეტილი ტყიბულის ეკლესია. ანტირელიგიოზური კამპანია რაიონის ფარგლებში გრძელდება, შედეგებს გაცნობებთ. ყველა ოქმები იქნება გადმოგზავნილი ანგარიშებთან ერთათ.-

რაიუჯრედის პ.-მგ. მდივანი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის ტყიბულის რაიპარტიული ინსტრუქტორის შტემპი თარიღით 1923 წლის 26 აპრილი. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: საგ.-საპრ. 27/IV.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 170, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილების გამგის მიმართვა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ქვიტირის თემში ეკლესიებისთვის ჩამორთმეული ავეჯი ქვიტირის თემის შრომის სკოლისათვის გადაეცათ
1923 წლის 27 აპრილი

ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს

გთხოვთ განკარგულებას, რათა ქვიტირის თემში ჩამორთმეული ეკლესიების ყოველივე ავეჯეულობა მაგალითად: შკაფები, სკამები, კამოდები, მაგიდები და ნოხფარდაგები გადაცემული იქნას ადგილობრივი თემის შრომის შკოლაზე.-

განათლების განყოფილების გამგე /ხელრთვა/
საქმის მწარმოებელი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების შტემპი თარიღით 1923 წლის 27 აპრილი.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 170, ფურცელი 10.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის მაზრის სოფ. მოწამეთას მცხოვრებთა თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს მოწამეთას მონასტრისა და მასთან არსებული შენობა-ნაგებობების მათთვის გადაცემის შესახებ
1923 წლის 4 მაისი

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის თავმჯდომარეს

მცხოვრებთ **ს. მოწამეთას ქუთაისის** მაზრისა
ქვემორე ამისა ხელის მომწერლებისაგან

თხოვნა

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, **მცხოვრებნი ს. მოწამეთას** ქუთაისის მაზრისა, რიცხვით 50 კომლი მოსახლე, მივმართავთ საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, შემდეგის შინაარსის და სრულიად სამართლიანი თხოვნით:

მოგახსენებთ, რომ სოფელს მოწამეთაში არსებობს, ეგრედ წოდებული, მოწამეთის მონასტერი, სადაც გამართულია შენობები და ეკლესია; ამ შენობებს, ეკლესიას და მათ გარშემო ადგილებს სარგებლობდნენ ბერ-მონაზნები, ხოლო შენობები და ეკლესია იყო აშენებული ამ სოფლის მკვიდრთა მცხოვრებლებისაგან, ე. ი. ჩვენი მამა-პაპების მიერ; დღეს აქ შეწყდა ყოველგვარი სასულიერო მოთხოვნილება და ბერ-მონაზონნი იქნენ ამ ადგილ-შენობებიდან განდევნილნი, ხოლო ს. კურსების საზოგადოებას, რომელიც რვა ვერსტიტ დაშორებულია ჩვენი სოფლიდან, სურს ეს შენობები და ეკლესია დაანგრიოს და გადაიტანოს შუა კურსებში, ამავე კურსების სოფლის საჭიროებისათვის, რომლის ასრულებას ხელს უწყობს ადგილობრივი პროდკომი, მაგრამ, ამავე დროს, ეს ჩვენი მეზობლები, მოქალაქე კურსებლები, არ უწევენ ანგარიშს ჩვენს უკიდურეს მდგომარეობას, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ყოველგვარ საზოგადოებრივი დაწესებულებებს: არა გვაქვს სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრი და სხვა, - როდესაც მათ, მოქალაქე კურსებლებს, ყველა ესენი გამართული აქვთ - სინიდისით და იურიდიულის თვალსაზრისით ამ შენობებში და ადგილებში ჩვენ გვეკუთვნის ყველა სოფელზედ უპირატესობა, ვინაიდან, როგორც მოგახსენეთ, შენობები აგებულია ჩვენის შრომით და ხარჯით და ეგენი ჩვენთვის უფრო მეტი საჭიროა ვიდრე მათთვის. ჩვენ ყველანი ღატაკნი და ღარიბნი ვართ; ადგილები მცირე და ნაკლებ შემოსავლიანია და ამისათვის არა გვაქვს შეძლება, ყველა ჩვენი სოფლის საერთო საჭიროება და მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთ, ეხლა ერთი შემთხვევა მოგვეცა და ესეც თუ წაგვერთვა და გადაეცა ისეთი მდიდარს სოფელს, როგორც კურსებლებია, - ჩვენი საშველი მომავალში არსიდან იქნება და არც არასოდეს ყოფილა. მათ, ე. ი. ჩვენს მეზობლებს, კურსების მცხოვრებთ, აქვთ მრავალ ადგილას გამართული სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრიც და სხვა და სხვა დაწესებულება და თანაც, შორს ჩვენზედ მეტი, შეძლებულები არიან და ადგილებიც ძვირფასი მოსავლიანია, - ასე რომ, მათ, თუ კიდევ რამე უნდათ ჩვენდა დაუხმარებლად შეუძლიათ შეიძინონ - ჩვენთვის კი, იმ სკოლებით,

საქართველოს ეროვნული არქივი

ბიბლიოთეკით, თეატრით, თუ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებით, რომ-ლებიც იქ ს. კურსებში გაშენებული, ამ მონასტრის შენობებით, სარგებლობა შეუძლებელი იქნება, ვინაიდან ჩვენი სოფლის მუშა-გლეხობა და ყმაწვილებს არ შეუძლიათ ყოველ დღე რვა-ათი ვერსის მანძილი გაიარონ და ისევ შინ დაბრუნდნენ. თუმც, მაინც და მაინც, ამ კურსების სოფელსაც აქვს რაიმე დაწესებულების საჭიროება, იმ შემთხვევაში მათ თავისივე სოფელში აქვთ რამოდენიმე მშვენივრად გამართული ქვიტკირის ეკლესიები, დიდებულად მოწყობილი და გამშვენიერებული, რომელთა არც დანგრევა დასჭირდება და არც გადატანა და ახლად აშენება და სწორედ ამ ეკლესიებში შეუძლიათ მოაწყონ რაც მათთვის სასურველია. ყველასათვის ცხადია, რომ მოწამეთის მონასტრის გადატანა, 8-10 ვერსის მანძილზე, გამოიწვევს დიდს ხარჯს და ზარალს; მათი დანგრევა, გადატანა, ახლად მათი გაშენება და სხვა და სხვა მასალის ღირებულებას დასცემს და ბევრიც დაიმტრევა-დაიმსხვრევა და ეს ასე რად უნდა მოხდეს, როდესაც ესეთები ჩვენთვის ადგილზედ საჭიროებას მოითხოვს და ადგილზედვე შეგვიძლია მითი სარგებლობა და არ არის საჭირო არც მათი გადატანა და არც დანგრევა?! ეს ადგილი ცენტრია ამ სოფლის, ამ შენობაში გვინდა გავხსნათ **სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრი და თავშესაფარი და ნუ თუ ჩვენ არა** გვაქვს ამისი უფლება და აქვთ გარეშე სოფლელებს?!

ჩვენი სივიწროვე და უკიდურესი მდგომარეობა - კარგად აქვთ გათვა-ლისწინებული ჩვენს მეზობლებს ს. კურსებში მცხოვრებთ, მაგრამ ამ ჩვენს მდგომარეობას ისინი არ იზიარებენ და უმრავლესობით გვჯობიან და გვარ-თმევენ, რამოდენიმე კაცის მეოხებით და სოფელზე ძალ დატანებით. აქ უმრავ-ლესობას კი არ უნდა ქონდეს ადგილი, არამედ საჭიროებას და სამართლიანობას, მაგრამ ამას ანგარიში არ ეწევა და ფაკტი ფაკტად რჩება, რომ ამ შენობებს ჩვენ გვართმევენ და მიუხედავად ჩვენი სამართლიანი მოთხოვნისა და უფლებისა, სხვას აძლევენ და ჩვენ ვრჩებით ისევ ძველებურად სიბნელეში და გაუნათლებაში.

მოვახსენებთ რა ყოველივე ამ გარემოებას საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს ვთხოვთ არ იქნეს საბჭოთა ხელისუფლებაში დაშვებული ასეთი უსამართლობა და რადგან ჩვენი თხოვნა არის სამართლიანი და სინიდისიერი - ვშვამდგომლობთ თქვენს წინაშე შეიწყნაროთ ჩვენი ვედრება და მოწამეთის მონასტრის ყველა შენობა გადმოგვეცეს ჩვენ, მოწამეთის სოფლის მცხოვრებთ, ჩვენდა სასარგებლოდ, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ყველა გარშემო ადგილებით საკუთრად, ან საიჯაროთ.-

ამ განკარგულებას გთხოვთ დაჩქარებით, ვინაიდან შესაძლებელია ეს შენობები ორ-სამ დღეში დაანგრიონ და გადაიტანონ. ამ თხოვნის შეტანას ვანდობთ ჩვენს სოფელშივე მცხოვრებთ სპირიდონ ქავთარაძეს და ვლადიკო ჭარხალაშვილს.

P.S. ხელრთვა 50 ადამიანისა.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 240, ფურცლები 72-74.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც შეიქმნა კომისია მაზრიდან ყოფილი მემამულეებისა და ყოფილი თავად-აზნაურების გასახლების მიზნით
1923 წლის 18 მაისი

ამონაწერი
ქუთაისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის

1923 წ. მაისის 18-ს სხდომის ოქმიდან N48.

N	განსახილველი საგნები	დადგენილება
1	საიდუმლოდ სახალხო კომისართა საბჭოს სრ. საიდუმლოდ ცირკულიარის N111/2 განხილვა - ყოფ. მემამულეების და თავად-აზნაურების გამოსახლების შესახებ.- მომხს. ე. ღვამიჩავა და ვ. გურულიშვილი.	ყოფ. მემამულეების და თავად-აზნაურების გამოსახლების შესახებ შესდგეს კომისია, თანახმად ცირკულიარისა - თავმჯდომარეთ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ე. ღვამიჩავა, წევრებათ: მიწად-მოქმედების განყ. გამგე ამხ. ს. ნამჩავაძე, პლიტ-ბიუროს თავმჯდომარე ამხ. დ. კილაძე და პროკურატურის წარმომადგენელი.

თავმჯდომარე - ე. ღვამიჩავა. მდივანი - ალ. გიორგობიანი.

დედანთან სწორია:

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 5, საქმე 14, ფურცელი 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია სამხედრო ცენტრის თხუთმეტი ოფიცრის დახვრეტის შესახებ 1923 წლის 21 მაისის შემდეგ

1923 წ.
როგორ იხოცებიან ქართველი პატრიოტები სამშობლოსათვის

მაისში საოკუპაციო ხელისუფლებამ დაახოცინა ზაკჩეკას თფილისში 15 ქართველი, რომელთა უმრავლესობა გამოჩენილი, განსწავლული მხედრები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, როგორც ღენ. კონსტანტ. აფხაზი, ღენ. ვარდენ წულუკიძე, ღენ. ანდრონიკაშვილი, პოლკ. გ. ხიმშიაშვილი, რ. მუსხელიშვილი და სხვები. მათ ბრალდებოდათ საქართველოს განმანთ. კომიტეტის სამხედრო სექციის ხელმძღვანელობა და აჯანყებისათვის სამხედრო სამზადისი. მოსკოვის აგენტებს პირველათ განზრახული ქონდათ მათი საჯარო გასამართლება და ე. წ. რევტრიბუნალისთვის გადაცემა, მაგრამ საბრალდებო მასალა იმდენად სუსტი იყო, რომ ოკუპანტებმა ვერ გაბედეს მისი დღის სინათლეზე გამოტანა და განაჩენი გამოატანინეს სპეციალურათ ამ საქმისათვის დანიშნულ კომისიას, რომელშიაც დანიშნული იყვნენ: ცნობილი ჯალათი პანკრატოვი (ოკას ოსობი. ოტდ. თავმჯდ.), მოგილევსკი (ზაკჩეკ. თავმჯდ.), ჩეკისტი რუსი - აშუკინი, რუს. არმიის სამ. საბ. წევრი ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, გრუზ-ჩეკის თავმჯდომარე კვანტალიანი და სხ. საქმე ჩვეულებრივათ გაირჩა ბრალდებულთა დაუსწრებლათ.

სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები ისევე ლაჩრულათ დახოცეს, როგორც გაასამართლეს. მათი სიმამაცე და სიმტკიცე, მათი უშიშრობა სიკვდილის წინაშე სამაგალითო და საამაყო გახდა ქართველი ხალხისათვის. მათმა სიმშვიდემ და ვაჟკაცობამ ამ თვით სისხლით გალეშილ ჯალათებზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

აი, როგორ აღგვიწერს ამ ეროვნული გმირების უკანასკნელ წუთებს ერთი პატიმარი, რომელიც მათთან ერთად იჯდა და საშუალება ქონდა სწორი ცნობა მიეღო დახვრეტილთა დამსწრე პირისაგან.

„მსხვერპლთაგან რამდენიმე ისე მძიმეთ ავადმყოფები იყვნენ, რომ ჩეკის ადმინისტრაციას საავათმყოფოში ჰყავდა გადაყვანილი, როდესაც ავათმყოფი პოლკოვნიკი გულისაშვილი სამკურნალოდან მიჰყავდათ ჩეკაში, ერთმა სადისტმა-ჩეკისტმა გესლიანათ ჰკითხა: „ხომ იცი სად და რისთვის მიგამგზავრებენო?“. გულისაშვილმა უპასუხა: „ვიცი, მივდივარ იმისთვის, რომ საქართველოსთვის მოვკვდეო.“ პოლკ. ხიმშიაშვილი დახვრეტის ერთი დღით ადრე გადაიყვანეს ჩეკაში. მან კარგათ იცოდა რისთვისაც მიჰყავდათ, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სულის სიმშვიდე. დაშორებისას მეგობრებს ღიმილით უთხრა: „მივყევარ საწამებლათ, მაგრამ ჩვენი მტერის აღსასრულიც მოახლოებულიაო.“ თითქმის ყველა სიკვდილ მისჯილნი საშინლათ ნაწამებნი იყვნენ. ერთმა მათგანმა, ბეითალმა ქუთათელაძემ, ვერ გაუძლო წამებას და ჭკუაზე შესცდა. ამან ჯალათებს ხელი არ შეუშალა ჭკუაზე შეშლილი კაცი დასაკლავათ ხარივით გაათრიეს სამკურნალოდან. ნიკო ზანდუკელი ანანურელი გმირების შთამომავალი, ტიფით იყო ავათ, 41% სიცხე ქონდა. ის უგრძნობლათ

საქართველოს ეროვნული არქივი

იყო, როცა საკაცურით წაიღეს ჩეკაში ...

დადგა სისხლიანი მწუხრი ზაკჩეკაში ... განწირულები ორ-ორი გაჰყავთ საკნებიდან და თავს უყრიან განსაკუთრებულ ოთახში. ამათ ელიან ჯალათები: პანკრატოვი, სომეხი პეტროსიანი, რუსი აშუკინი, მათ შორის ურევია აგრეთვე პირგაშავებული იუდა, ქართველი კვანტალიანი. ბოლოს მობრძანდა ზაკჩეკას თავმჯდომარე ებრაელი მოგილევსკი. ყველა ესენი დაჟღენთილი არიან ქართველთა სისხლით. კითხულობენ სასიკვდილო განაჩენს, ერთი წუთით მძიმე დუმილი ჩამოვარდა ... მას არღვევს პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, რომელიც წინ წამოდგა და ამაყათ: ,,ჩვენ ვიცით რისთვისაც გვკლავთ. თქვენ კარგათ იცით, რომ ბანდიტები არა ვართ. მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანეთ მოგთხოვთ პასუხს. გაუმარჯოს საქართველოს.“ ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს მიმართავს გაჭაღარავებული რაინდული გარეგნობით და სულით გენერალი წულუკიძე: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია, იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ!“ თვით პანკრატოვზე ამ მთელ რუსეთში ცნობილ ჯალათზეც კი ახდენს შთაბეჭდილებას გმირული თავდაჭერა და სრული სიმშვიდე სიკვდილის წინ. ის მიმართავს წულუკიძეს: „თქვენ მართლაც გმირულად კვდებით, გინდათ გადავცე რამე თქვენიანებს?“ წულუკიძე: „გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით ქართველ პატრიოტებს შეფერის.“ კოტე აფხაზი: „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკათ მიტანისა. ჩვენი სიკვდილი კიდევ ერთ გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.“ პოლკ. მაჭავარიანი: ,,ჩვენ არ გიპირებდით შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა.“ ბოლოს მშვიდი, მუდამ აუღელვებელი ღენერალი ანდრონიკაშვილი ესვრის მტრებს: „სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე. იქნება ქართველები ყველა ამისთანები (მიუთითებს კვანტალიანზე) გეგონათ? ძრწყოდეთ, მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიძულვილს.“ პოლკ. ჩრდილელი: „რუსეთში გადაეჩვივნენ იდეისათვის თავგანწირულათ სიკვდილს. წადით და უამბეთ მათ, თუ როგორ იხოცებიან ქართველები სამშობლოსათვის.“ ...

ჯალათები შეუდგენ უკანასკნელ ოპერაციას ზაკჩეკაში: დაიწყეს მსხვერპლთ ხელფეხის შეკვრა. მოხუცი წულუკიძე გაძალდა: „ქამებო, ნუ გვიკრავთ ხელ-ფეხს. თქვენ ბრჭყალებში ვართ, მარა კარგათ იცით, რომ მონები არ ვართ!“ ... ამაოდ: ყველა შებორკეს, ჩაყარეს ორ საბარგო ავტომობილში და გააქანეს სასაკლაოსკენ. ავტომობილებს ორივე მხრით მისდევს თქარა-თქურით კავა-ლერია, წინ მიუძღვის მსუბუქი ავტომობილით პანკრატოვი ... გზაში აფხაზმა და ჩრდილელმა მოახერხეს ხელფეხი აეხსნათ ხიმშიაშვილისთვის. იგი სწვდა კისერში ერთ-ერთ კომენდანტს, ვიკენტიევს, ააგლიჯა რევოლვერი და სწრაფათ გადახტა ავტომობილიდან. ერთი წუთი, და ის საბოლოოთ გაუსხლტება ჯალათებს ხელიდან - მიიმალება ... მაგრამ ბედმა უმუხთლა. გადახტომისას, რევოლვერი გაუვარდა, მხლებელმა ცხენოსნებმა გაიგეს, დაედევნენ, შეიქმნა თოფების ბათა-ბუთქი ... ხიმშიაშვილი ფეხებში დაიჭრა, წაიქცა. ორმა ჯალათმა ამიროვმა და აბაზოვმა, ტყვიებით დაცხრილეს, წაათრიეს და პირველი ჩააგდეს დამზადებულ ორმოში. შემდეგ დახოცეს დანარჩენებიც. დახვრეტაში პირვე-ლათ მონაწილეობა მიიღო პანკრატოვმა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ასე დაიხოცენ გმირები. უკანასკნელ წუთამდე მათი ფიქრი და გონება საქართველოს ეკუთვნოდა და საქართველოც სამუდამოთ შეინახავს თავის გულში მათ მსხვერპლით გაცისკროვნებულ სახეს.“

ტუსაღის წერილი თავდება ამონაწერით გიორგი ხიმშიაშვილის ლექსიდან, რომელიც განსხვენებულს სიკვდილის დღეს დაუწერია:

თავის მოსისხლეს თუ მომსპობს მტერი დედამიწაზე,
თუმც ვერ მოივლის ჭირისუფალი ცრემლით საფლავზე
მაინც ვნუგეშობ: ხსოვნა იქნება ერთგულ მხედარზე
და ქუდს მოიხდის მამულიშვილი ჩემ ხსენებაზე.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 122, ფურცლები 50-52.

საქართველოს ეროვნული არქივი

დადგენილება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას საცხოვრებელი
სახლის ბავშვთა კოლექტორისათვის გადაცემის შესახებ
1923 წლის 29 ივნისი

სასწრაფო-საიდუმლო
29 ივნისის
N535

ქალაქ ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარეს
ამხ. სუხიშვილს

გეგზავნებათ ამასთანავე სასწრაფოდ შესასრულებლად საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მომართვის N31 ასლი კათოლიკოსი ამბროსის ბინის ბავშვთა კოლექტორისათვის გადაცემისა და ამა უკანასკნელის ბინის შრომის ბირჟის და დამზღვევ კასის განკარგულებაში გადაცემის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. შ. ელიავას შემდეგი რეზოლიუციით: „ამბროსი შესახლებულ იქნეს ტფილისის ერთ-ერთ საეკლესიო სახლში, ან და რომელიმე მონასტერში. ელიავა. 29/6-23“.

საქმეთა მმართველი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 2, ფურცელი 269.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეთავაზება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე
1923 წლის 5 ივლისი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას და საქართველოს კომისართა საბჭოს. პირი სოციალისტური ინტერნაციონალის, ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის და კომინტერნის აღმასრ. კომიტეტებს

ბატონებო!

საქართველოს დაპყრობის პირველი დღიდანვე თქვენ აწარმოებდით ჩვენი პარტიის წინააღმდეგ უღირს ბრძოლას, რაიც გამოიხატა პირველ ხანებში პარტიული ქონების მითვისებასა და კლუბების დახურვაში, ხოლო შემდეგ მასიურ დატუსაღებასა და გადასახლებაში. ამით თქვენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მოუსპეთ ლეგალური არსებობისა და მოღვაწეობის საშვალება. მარა როცა ამით ვერ გააქარწყლეთ ჩვენი პარტიის გავლენა მასსაში, აგერ ერთი წელიწადია ხელი მიყავით მის ფიზიკურ განადგურებას. გასული წლის ნოემბერ-დეკემბრიდან დაწყებული თქვენი ჯალათების მსხვერპლი გახდა მრავალი სოციალისტი-მუშა და გლეხი, პიონერები საქართველოს სახელოვანი რევოლიუციონური და სოციალისტური მოძრაობისა. ესეც არ იკმარეთ და დატუსაღებულ ამხანაგებს ჩეკის სარდაფებში აწამებთ, რომ მათ გამცემლობა იკისრონ და პარტიის გმობაზე ხელი მოაწერონ. უმაგალითო სულიერი და ფიზიკური წამების გამო ბევრი ჭკუაზე შეცდა, ბევრი სამუდამოთ დაავათმყოფდა და ზოგიც გარდაიცვალა. დღეს მარტო თფილისში 700-800 პოლიტიკური ტუსაღი მუშები და გლეხები - უმთავრესათ ჩვენი ამხანაგები ჩეკის ჯურღმულებსა და მეტეხის საკნებში იტანჯებიან.

სარგებლობენ რა თქვენ მიერვე შექმნილი უმუშავრობით და მუშათა მასის საშინელი გაჭივრებით, თქვენი აგენტები დაძრწიან ფაბრიკა ქარხნებში და იქ ჯერ კიდევ დარჩენილ თითო ოროლა ქართველ მუშასა და მოსამსახურეს ადგილებიდან დათხოვისა და გადასახლების შიშით ხელს აწერიებენ ჩეკაში შეთხზულ განცხადებებზე. ჩვენ ხელთ გვაქვს მრავალი საბუთები უსაძაგლესი ძალ მომრეობისა, რომელშიაც გალაღებულ ჩეკისტებთან ერთად უმაღლესი ოფიციალური პირებიც იღებდენ მონაწილეობას.

ახლა ხელის მოწერასაც აღარ ჯერდებიან და ნაძალადევ „კონფერენციებს“ იწვევთ, ვითომდა იმის დასამტკიცებლათ, რომ მუშები და გლეხები გულწრფელათ „ინანიებენ თავის ცოდვებს“ და თქვენ გემხრობიან. დაშინებით თუ მოყიდვით თქვენ შოულობთ თითო ოროლა მოღალატეს, ხოლო დანარჩენ მასას სასტიკი რეპრესიებით ემუქრებით, თუ ისინი თქვენი ძალადობის წინააღმდეგ პროტესტს გააცხადებენ. ამიტომ მოღალატეები, ხშირათ თქვენი ფარული აგენტები ჩეკისტების პირდაპირი კარნახით აკეთებენ და ლაპარაკობენ სხვისი სახელით, რაც მათ სურთ და ეს მაშინ, როცა ჩვენს მიმდევრებს და საერთოთ თქვენს იდეურ მოწინააღმდეგეთ საშვალება არ აქვთ თქვენს წინააღმდეგ გამოვიდენ

საქართველოს ეროვნული არქივი

და ილაპარაკონ.

ასეთი უხეში ძალადობა, ასეთი ტირანია ჯერ ისტორიას არ ახსოვს: არც ერთი დესპოტიური მთავრობა ასე არ დამცირებულა და ჩამოქვეითებულა. რასაც თქვენ ჩადიხართ - ეს არ არის იდეურ-პარტიული ბრძოლა. ეს სამოქალაქო ომია, მიმართული ერის სასიცოცხლო ძალების წინააღმდეგ. ამით თქვენ გსურთ გატეხოთ საქართველოს ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობა. აი სწორეთ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ერთხელ კიდევ მოგმართოთ შემდეგი წინადადებით:

1. შესდგეს თანასწორი რაოდენობით კომისია დასავლეთის კომუნისტებისა და სოციალისტებისაგან. ამ კომისიამ გამოარკვიოს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ხალხის ნამდვილი სურვილი.

2. ჩვენ თანახმა ვართ კომისია დაეკითხოს არა მთელ ხალხს, არამედ მუშებსა და გლეხებს, ე. ი. იმათ, ვისაც საბჭოთა კონსტიტუციის ძალით არჩევნების უფლება აქვს და ვინც თქვენის სიტყვით ქვეყნის ბატონ პატრონი უნდა იყოს.

3. ჩვენ წინდაწინვე საქვეყნოთ პირობას ვდებთ, რომ ხელს ავიღებთ თქვენ საწინააღმდეგო ყოველგვარ მოქმედებასა და აგიტაციაზე, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე მის გარეთ, თუ ჩვენი მშრომელი ხალხის ერთი მესამედი მაინც თქვენი მომხრე აღმოჩნდება. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ერთ პირობას: კენჭის ყრა იყოს ფარული.

4. ამ კომისიამ ადგილობრივ გამოარკვიოს თქვენი აგენტებისა და თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი, როგორიცაა უდანაშაულო ხალხის დახვრეტა და ჩუმათ წამება, ძალით ხელის მოწერინება და სხვა.

5. ჩვენ მზათა ვართ ამ ბოროტმოქმედებათა მსჯავრის დადება მივანდოთ მარტო დასავლეთის კომუნისტების წარმომადგენლებს, მხოლოდ ისინი მოისმენენ ჩვენს საბუთებსა და ცოცხალი ადამიანების ჩვენებას.

6. თუ თქვენ საქართველოს მშრომელთა ხმების ერთ მესამედს ვერ მიიღებთ, ხოლო მეორე მხრივ თქვენი ძალადობა დაგმობილ იქნება თქვენ დასავლეთელ ამხანაგების მიერ, მაშინ მოსკოვმა უნდა გაიყვანოს აქედან რუსის ჯარი და მოწვეულ უნდა იქნას ზემოთ დასახელებული კომისიის თვალყურის გდებით თავისუფლათ არჩეული საბჭოების ყრილობა, რომელიც გამოარკვევს მშრომელთა ნამდვილ სურვილებსა და განსაზღვრავს საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთთან.

ბატონებო! ვგონებთ ეს პირობები თქვენთვის საკმაოთ ხელსაყრელია. თქვენს ხელშია ძალა უფლება, თქვენს მონოპოლიას შეადგენს პრესა. ჩვენ ყოველივე ამას მოკლებული ვართ და თან მრავალი ათასი ჩვენი ამხანაგი გახიზნული, გადასახლებული ან დატუსაღებულია. ჩვენ ამ მხრივ არავითარ წინასწარ პირობას არ გიყენებთ. მაშასადამე გაძლევთ ისეთ წინადადებას, რომელიც თქვენ, ისედაც უპირატესობაში მყოფთ, ზედმეტ უპირატესობას განიჭებს.

ამ წინადადებით თქვენ მშვენიერი შემთხვევა გეძლევათ ფარხმალი დააყრევინოთ თქვენს ერთ ერთ უძლიერეს მტერს /რომ მენშევიზმს ხალხში ნიადაგი არ აქვს - ეს ზღაპარი ხომ თქვენ თითონ არ გჯერათ, რასაც ამტკიცებს მუშებისა და გლეხების განუწყვეტელი მასიური ჭერა, ფაკტიური სამხედრო მდგომარეობა და სხვა განსაკუთრებული ზომები/ შეამციროთ უსარგებლო

საქართველოს ეროვნული არქივი

პოლიციური ხარჯები, დაითხოვოთ ან შეამცეროთ ჩეკისტთა და ჯაშუშთა მრავალრიცხოვანი ჯარი და საზოგადოთ შექმნათ მშვიდობიანი შრომის ატმოსფერა, რომლისთვისაც სიტყვით თქვენ თავსა სდებსთ.

აი ჩვენი წინადადება.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

თუ თქვენ ოდნავ მართალი ხართ, რომ ქართველი მშრომელი ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსახურეთ, თუ თქვენ თითონ გჯერათ ის, რასაც თქვენი გაზეთები და ორატორები მუდამ დღე გაიძახიან, მაშინ ჩვენ წინადადებას არ გაექცევით და ქვეყანას დაუმტკიცებთ, რომ ჩვენ მართლა მატყუარები და სხვისი სახელის უზურპატორები ვართ. მარა თუ თქვენ ამას არ იზამთ, მაშინ ქართველმა ხალხმა, ევროპის სოციალისტებმა და მთელმა განათლებულმა კაცობრიებამ ერთხელ კიდევ დააფასოს თქვენი სიტყვა და საქმე.

საქ. სოც.-დემ. მ. პარ. ცენტრალური კომიტეტი
5 ივლისი, 1923 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 108, ფურცლები 42-44.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოწამეთას მონასტრის დანგრევის შესახებ
1923 წლის 9 ივლისი

ფრ. სასწრაფო

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

პასუხად თქვენი მოწერილობისა მიმდინარე წლის 3 ივლისის თარიღით და N4322 მოწამეთის მონასტრის შენობების შესახებ გაუწყებთ, რომ ამ ჟამად განზრახულია ამ მონასტრებზე მიშენებული ცალკე შენობების დარღვევა და კურსების თემზე გადაცემა ადგილობრივ სასკოლო შენობის ასაგებად. ხსენებული შენობები მონასტრის არსებობის დროს შეადგენდა ბერების საცხოვრებელ ბინებს; რაც შეეხება თვით მონასტერს, ასეთი ჯერ ჯერობით ხელუხლებელ რჩება, მხოლოდ, თუ საჭიროება იქნება, ჩვენ ვფიქრობთ და შესაძლებლად მიგვაჩნია მათი დანგრევაც სხვა საჭიროებისათვის გამოყენების მიზნით, ვინაიდან ჩვენის შეხედულებით და ადგილობრივ ეთნოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენელთა დასკვნით ეს მონასტერის შენობა არქეოლოგიური და ისტორიული მხრით სრულიად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

თავმჯდომარე /ხელრთვა/
მდივანი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1923 წლის 5 ივლისი; დოკუმენტს ასევე აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 1923 წლის 9 ივლისი; დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: 1) გადაეგზავნოს ასლი სასწრაფო დასკვნისათვის საარქეოლოგიო კომისიას. 2) ქუთაისის აღმასკომს მიეცეს წინადადება თვით მონასტრის შენობა არ იქნას დანგრეული სახ. კომ. საბჭოს ნებადაურთველად

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცლები 45-45ა.

საქართველოს ეროვნული არქივი

ვალიკო ჯუღელის მიერ აკაკი ჩხენკელისთვის ბელფორიდან (საფრანგეთი) გაგზავნილი წერილი 1923 წლის 22 ივლისი

22 ივლისი 23 წ. ბელფორი
საქართველოს ელჩს

მოვალეთ ვსვთვლი თავს მოკლეთ გაცნობოთ ჩემი აქ ჩამოსვლის, დაბინავების და მუშაობის დაწყების ამბავი, - მით უფრო, რომ ყოველივე ეს დამახასიათებელია ფრანგული ჯარისთვის და აგრეთვე საგულისხმიერო იმ მომავალ მუშაობისათვის, რომელშიაც მე აქ ჩავები.

ბელფორში მე ჩამოვედი ამ თვის 18-ს საღამოს. მეორე დილასვე გამოვცხადდი მე-35-ტე ქვეითა პოლკში (ლეგიონში). პოლკის უფროსს სამხედრო სამინისტროსგან უკვე ცნობა ქონდა ჩემი ჩამოსვლის შესახებ. პოლკის უფროსი - პოლკოვნიკი პერნე მეტისმეტად კარგად შემხვდა და მითხრა, რომ ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ მე მის პოლკში საჭირო მუშაობა გავსწიო. მაშინვე მან გამოიწვია თავის თანაშემწე და აგრეთვე მესამე ბათალიონის უფროსი, გამაცნო მათ და ჩემი თავი ჩააბარა მესამე ბათალიონის უფროსს - კომანდირ ტურნატს. მაშინვე კომენდანტმა თან წამიყვანა და მთელი ყაზარმა დამათვალიერებია. გზა და გზა ჩემ ამბავს, ჩემ მიზანს და სახელწოდებას მეკითხებოდა. მეც „ჩემი ფრანგულით“ ყოველივეს ვუხსნიდი და სახელწოდების შესახებ ვუთხარი: საქართველოში მე ნაციონალური გვარდიის შეფი ვიყავი. იქ ჩინი არ მქონია, ეხლა აქ ჩემი მთავრობის მიერ წარმოგზავნილი ვარ როგორც კაპიტანი. ამნაირათ მე ეხლა აქ ყველა მიცნობს როგორც - ქართველ კაპიტან ჯუღელს. შემთხვევით ძალიან კარგი გამოვიდა, რომ მე კაპიტნის ჩინი ავიღე: - არც მეტი - არც ნაკლები! მუშაობისთვის ასე ჯობია. ჩემმა კომანდირმა იმავე დღეს თითქმის ყველა ოფიცრები გამაცნო. შემდეგ მან მითხრა: სად ხარ გაჩერებულიო? და როცა გაიგო, რომ სასტუმროში ვარ, - სთქვა, რომ ეს ალბათ ძვირი გიჯდებათ და საჭიროა თქვენი იაფათ მოწყობაო. მაშინვე მან გამოიწვია კაპიტანი ჟავრენი და სთხოვა მას, რომ დამხმარებოდა ბინის შოვნაში. უთხრა, ყველაფერს აჯობებს თუ ოფიცერთა საკრებულოში მოუწყოფთო. მე დიდი მადლობა ვუთხარი და დავსძინე, რომ არ მაქვს უფლება ბევრი ფული ვხარჯო მაშინ, როცა ჩემი ხალხი საშინელ ტანჯვას განიცდისთქო. ამ წვრილმანებზე მე იმიტომ ვჩერდები, რომ ისინი მეტად დამახასიათებელია ფრანგული ჯარისთვის. აქ მე თავიდანვე შევხვდი არა მარტო მეგობრულ დამოკიდებულებას, არამედ ჯანსაღ მუყაითობას, უბრალოებას და თავდაჭერილობას, - ე. ი. ყველაფერ იმას, რაც აკლდა რუსის ჯარს და რაც სამწუხაროთ, მემკვიდრეობით ჩვენც გვაკლდა. კაპიტანმა ჟავრენმა წამყვა საკრებულოში და იქ შესანიშნავათ მომაწყო, ეხლა მე უკვე ამ საკრებულოში (მესსაში) ვცხოვროფ. მაქვს უბრალო, მაგრამ დიდი და ნათელი ოთახი თვეში 45 ფრანკათ და აგრეთვე თითოეული დეჟენე ან დინე ჯდება სამ-სამი ფრანკი! ამნაირათ თუ პტი-დეჟენესაც და აუცილებელ საჩუქრებსაც იანგარიშებთ საჭმელ-სასმელი და ოთახი თვეში დამიჯდება არა უმეტეს 300 ფრანკისა. ასე რომ მე ვიმედოვნეფ, რომ როგორმე 500 ან 550 ფრანკს თვეში ვიკმარეფ. მართალია ხანდახან ოფიცრების დაპატიჟება დამჭირდება, მაგრამ

საქართველოს ეროვნული არქივი

ოფიცრები იმდენათ უბრალო და უპრეტენზიო ხალხია, რომ არც ეს გამოიწვევს დიდ ხარჯს. აქაური ოფიცრები არიან კარგი ამხანაგები, ტყუილა ფულის ხარჯვა არც თვითონ უყვართ და არც შენ დაგახარჯიებენ. ისინი მდიდრები არ არიან და არც სცხვენიათ ამის. იმათ არ აქვთ ის დიდი ნაკლი, რომელიც ჩვენ თან გვდევს: Пускать пыл В глаза !

ეს სამი დღე მე ჩემს მოწყობას და ოფიცრობის გაცნობას მოუნდი. მაგრამ მიუხედავათ ამისა უკვე მუშაობაც დავიწყე. გუშინწინ აქ დღესასწაული იყო და არ მუშაობდნენ. იყო სამხედრო აღლუმი და მეც ვიყავი მიწვეული. გუშინ კი დავიწყე მუშაობა. გავყევი ერთ-ერთი როტის მუშაობაზე. იყო თოფის სროლის ვარჯიშობა და მსუბუქი პულემიოტების დაშინჯვა. ოფიცრები ყოველივეს მიხსნიდნენ, მირკვევდნენ. მთლათ უვიცი არც მე გამოვდექი და გუშინ, როცა ერთათ ამუშავდა ექვსი მსუბუქი ტყვიისმფრქვეველი, როცა კვლავ მეცა თოფის წამლის სუნი და როცა დავინახე დაკაპიწებული ჯარისკაცები - ამითამაშთა, ამიძგერდა გული! ფიქრები, დარდები, იმედები ყოველმხრივ ამომაწვნენ. საქართველო, ტანჯული, დაჩაგრული, დამარცხებული, მაგრამ კვლავ მებრძოლი სამშობლო დამიდგა თვალწინ. აგორაკებული, ამწვანებული ბუნებაც ჩემ ქვეყანას მომაგონებდა და დანაღვლიანებულ გულში შეიჭრა იმედი! გარდაუვალი, დაუძლეველი, მტკიცე და საფუძვლიანი იმედი! საქართველო, მალე, სულ მალე იქნება თავისუფალი! მეუბნებოდა გული. შეუძლებელია არ გადაიგდოს მან მტრის უღელი! და თუ როდისმე მე მქონია ბრძოლის და თავდადების სურვილი, თუ როდისმე მქონია იმედი გამარჯვებისა, დღეს ყოველივე ეს ჩემში გაასკეცდა ... ასეთი პირველი შედეგი ჩემი აქ ჩამოსვლისა.

რაც შეეხება სწავლას და მეცადინეობას ამის იმედი გქონდესთ: თავს არ შევირცხვენ და საქმეს არ გავექცევი! იმედი მაქვს რომ 3-4 თვეში აქ ბევრს შევიძენ. იმის შესახებ კი თუ სად უნდა წავიდე აქედან ამ ერთ თვეში მოვიწერები.

დასასრულს კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ ძლიერ კმაყოფილი ვარ აქაურობით. თუ ფორმალურათ მოსახერხებელია კარგი იქნებოდა, რომ პოლკოვნიკ ფურნიეს კიდევ მადლობას გადაუხდიდეთ და აცნობებდეთ, რომ მე სრულიად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი სიყვარული საფრანგეთისადმი კიდევ უფრო გაიზარდა და რომ მუდამ ერთგული ვიქნები მისდამი ...

ვალიკო ჯუღელი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 735, ფურცლები 1-3.

საქართველოს ეროვნული არქივი

ვალიკო ჯუღელის მიერ ბელფორიდან (საფრანგეთი)
სიმონ მდივანისათვის გაგზავნილი წერილი,
სადაც საუბარია მისი სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხვაზე
1923 წლის 24 ივლისი

24 ივლისი 23 წ. ბელფორი

ჩემო ძვირფასო, საყვარელო სიმონ! უთუოდ გაგაკვირვებს ჩემი მოულოდნელი, ესოდენ დაგვიანებული წერილი. მე კი სრულიად არ მიკვირს, რადგანაც ყოველთვის მინდოდა შენთვის წერილის მოწერა და თუ დღემდე ვერ მოვახერხე, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველდღე მადეთ წამოსასვლელათ ვიყავი გამზადებული და მინდოდა შენთან სიტყვით მელაპარაკა იმაზე, რის მხოლოდ ნაწილის მოწერას დღეს მოვახერხებ. სალაპარაკო კი მართლაც ბევრი, ძალიან ბევრი მქონდა!.. მაგრამ რადგანაც ეხლა დავრწმუნდი, რომ ყოველშემთხვევაში ერთი ოთხი თვე აქეთ დარჩენა მომიწევს, რადგან ამასთანავე ახალ ცხოვრებაში ჩავარდი და უკვე შეძლება მეძლევა უფრო ობიექტიურათ და დამშვიდებით შევხედო პარიზს - მეც გადავწყვიტე შენთვის ვრცელი წერილის გამოგზავნა. ნუ დამძრახავ თუ წერილი გამიგრძელდეს და აქა-იქ „გამიგრძნობიერდეს“. რა ვუყო ამ ჩემ ოხერ თავს? გრძნობა ყოველთვის თან მდევს და ხშირათ სანტიმენტალიზმი ვერ დამიძლევია!..

ჩემო სიმონ! შენ გაიგებდი, რომ მე ახალი ცხოვრება, ახალი მუშაობა დავიწყე. ანდა უფრო სწორათ რომ ვსთქვათ ძველ ცხოვრებას უფრო ახალ, თანამედროვე სახეს ვაძლევ, რომ უფრო მტკიცეთ და სამუდამოთ ვსდგები იმ ეკლიან გზაზე, რომელზედაც ჩემი თავი მხოლოდ დროებით მქონდა წარმოდგენილი. რომ ჩემი ძვირფასი ილიკოს უბედურების ამბავი არ მომსვლოდა, - ალბათ ამ გადაწყვეტილების მიღებას ვერ გავბედავდი. მეტად დიდი იყო ჩემში ძველი, კლასიკური, უმიწო სოციალიზმის ტრადიცია, მეტად ძლიერი იყო ჩემი ანტი მილიტარისტული სული, რომ ასე ერთბაშათ ყველაფერი შემეტრიალებია და დროებით მაინც მხოლოდ მილიტარისტული იდეალი დამესახა და ძლიერი მუშტი მიზნათ გამეხადა! მაგრამ ჩემი ძმის უბედურობის ამბავმა საშინელი ლახვარი დამსცა. მე შემეზარა ჩემი საკუთარი თავი, ჩემი სიშორე საშიშროებისაგან, ჩემი მშვიდობა! და მე გადავწყვიტე თავი შემეწირა იარაღისთვის, რომელსაც ეხლა ყველაზე უფრო შეუძლია ჩაგრულ სამშობლოს ემსახუროს და ძმის სისხლის აღებაც გამიადვილოს! და დღეს ევგენის და აკაკის წყალობით მე უკვე ბელფორში ვარ! ამ სახელგანთქმულ, გამორჩეულ, ყველასათვის საამაყო ქალაქში. შენ უთუოდ გაინტერესებს თუ რას ვშვრები, როგორ ვმუშაობ აქ. გეტყვი მოკლეთ: ჩათვლილი ვარ აქ მე 35 ქვეითის პოლკში როგორც ქართველი კაპიტანი, რომელიც გადის სამხედრო სტაჟს ფრანგულ ჯარში. უკვე ხუთი დღეა რაც აქ ჩამოვედი, ძალიან კარგად დამხვდენ ოფიცრები, მეტად იოლათ მომაწყვენ და მუშაობაც დამაწყებინეს. დილ დილობით სამხედრო ვარჯიშობაზე დავყობი პოლკის სხვა და სხვა ნაწილებს და იქ პრაქტიკულათ ვეცნობი, როგორც პოლკის ორგანიზაციას ისე მის შინაურ, საომარ მუშაობას. ოფიცრები საჭირო განმარტებებს მაძლევენ. საღამოობით კი თეორიას ვსწავლობ. აი მაგალითად - ხვალ დილას ადრიანათ უნდა დავესწრო ან ტყვიისმფრქვეველთა

საქართველოს ეროვნული არქივი

გუნდის ვარჯიშობას ანდა ქვეითთა გუნდის მეცადინობას. იქნებ, თუ მარჯვეთ ვიქენი, ორივე მოვასწრო. საღამოს კი წიგნებს ჩავუჯდები და, გარდა საერთო თეორიისა, გავეცნობი იმასაც, რასაც ზეგ პრაქტიკულათ ვნახავ. ვამბობ, რომ ჯერ ხუთი დღეა აქ ვარ და ძალიან კმაყოფილი ვარ. სრული იმედი მაქვს, რომ 3-4 თვეში ძალიან ბევრ რამეს შევიძენ. შევიძენ არა მარტო სამხედრო ცოდნას, არამედ - რაც უმთავრესია - მხედრულ სულისკვეთებას, ფრანგულ სამხედრო სულისკვეთებას! ამ პოლკში 4 თვით ვარ მივლინებული, შემდეგ კი რომელიმე სამხედრო სასწავლებელში უნდა გადავიდე. მაგრამ ეს მომავალი, შორეული საქმეა. მე კი ეხლა უფრო სხვა მინდა. მინდა ამ 4 თვის შემდეგ, როცა გონებრივად და სულიერადაც უფრო განმტკიცებული ვიქნები, - ვქნა ის, რაზედაც მე და შენ ასე ხშირათ ვლაპარაკობდით და რაზედაც ყოველთვის შენი პატრონი მიგვითითებდა! ვერ წარმოიდგენ როგორ მწამს, როგორ მჯერა ეს საქმე! აქ, როცა ვხედავ ამ შენ petit soldat-ებს, როცა ვაკვირდები მათ ყოჩაღ, მუყაით მუშაობას, - ოცნებას ყოველთვის სამშობლოში გადავყავარ და გული გამარჯვების სიმღერას მღერის!.. ხო, ჩემო კარგო სიმონ! მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა, მიუხედავათ მრავალი მებრძოლის დაკარგვისა და საქართველოს უწყალო აოხრებისა მე ღრმად მწამს ჩემი ერის ბრწყინვალე გამარჯვება, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით! თუ ერის მეთაურები მტკიცეთ იდგომილებიენ თავის სადარაჯოებზე, თუ იმათ უმოქმედობის და უიმედობის დამბლა არ დაპყრობს, თუ ისინი ისეთივე სილაჩრეს არ გამოიჩენენ, როგორც თბილისის დაგდების დროს! მე ამას ყოველთვის ვამბობდი და დღეს კიდევ მეტის რწმენით ვამბობ! დიდი განცდის დროს დიდი ხელმძღვანელები, დიდი გმირები უნდა ერს! და თურმე ფეხზე მდგომი ერის ხელმძღვანელობა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე წაქცეულისა! ჩვენ ყველა გმირები ვყოფილვართ მაშინ, როცა საქართველო უფრო იდგა და ჯანსაღიც იყო. მაგრამ როცა იგი წაიქცა და დაავადმყოფდა - ჩვენ გმირობა დავკარგეთ და უბრალო, სუსტ „ობივატელებათ“ გადავიქეცით! და სწორეთ ეს არის ის მთავარი ჩემი „რაზაჩაროვანიე“, რომელიც პარიზმა მაჩუქა. შენც იცი რომ მე არასოდეს არ ვიყავი პარიზის დიდი თაყვანისმცემელი. მაგრამ მე არასოდეს არ წარმომედგინა, რომ ჩვენი პარიზელი მეთაურები ასე დამბლა დაცემულნი, ასე უმოქმედონი და უპერსპექტივონი იყვენ. და ეხლა კიდევ ამ პარიზის „ნირვანნას“ ორი ახალი გვამი შეემატა - სამსონ ფირცხალავა და ნოე ცინცაძე! მაპატიე, რომ შენთან ასე გულახდილათ, თამამათ ვლაპარაკობ. მაგრამ მე იმდენად გაფასებ და პატივს გცემ შენ, რომ გინდა შენც, როგორც ზოგიერთ ახლო ამხანაგს ყველაფერზე გულღიათ გელაპარაკო. მე არ ვაქცევ ყურადღებას იმას, რომ შენ სხვა პარტიას ეკუთნი, რადგანაც ვიცი, რომ ჩვენ შორის საერთო მეტია ვიდრე სხვადასხვა. დღეს ეს საერთოა სამშობლოს სიყვარული და მის აღსდგენისათვის მუშაობა... მე ვამბობ, რომ პარიზმა ერთი ორი „რაზაჩაროვანიე“ მომგვარა, რომ მან თავისი სულისკვეთებით მომიკლა გული. და რომ იცოდე - რა ბედნიერი ვარ, რომ მოვცილდი პარიზს, მის უმოქმედებას, უიმედობას და გადმოვარდი ამ მიყრუებულ, მაგრამ მაინც საყვარელ ქალაქში! უმთავრესი უბედურება ის არის, ჩემო სიმონ, რომ პარიზმა თითქმის დაკარგა მებრძოლი სული. ამიტომ დაკარგა პერსპექტივაც და იმედებიც. საერთოდ რომ ვსთქვათ - პერსპექტივა და იმედები სავსებით არავის დაუკარგავს, - მაგრამ ყოველივე ეს შორს, ძალიან შორს არის გადატანილი და უახლოესი პერსპექტივა ამიტომ

საქართველოს ეროვნული არქივი

რჩება თავის თავზე, თავის ტყავზე ზრუნვა... და სწორეთ ამით იხსნება, რომ ჩვენი პოლიტიკური ლიდერები კრაოტზე, ლობიოზე, კურდღლებზე და ჭირიან ქათმებზე მეტის აღელვებით, თავგამოდებით და დაწვრილებით კამათობენ, ვიდრე ჩვენ უდიდეს, საბედისწერო საკითხებზე! შენ რომ ლევილის მამულის კომიტეტის „კონფერენციებს" ესწრებოდე - სიცილით, სიმწრის სიცილით მოკვდებოდი... შეიქნა წვრილმანი, შეკუმშული, ეგოისტური ფსიხოლოგია. არ უნდათ ობოლი კაცის შემომატება, ეშინიან „ახალი მჭამელის". ამ ფსიხოლოგიის სუსხი შენც გხვდა! და მე სწორეთ ის მწყინს, რომ ნაცვლათ ერთმანეთის დახმარებისა, დაიმედებისა და გამტკიცებისა, - ამ საერთო უბედურობის დროს ჩვენ შეგვიმუშავდა ერთმანეთის გაწირვის და განცალკევების ფსიხოლოგია... ამაზე როდისმე პირადად მოვილაპარაკებთ... მე არ მინდა გამიგო ისე, თითქო აქ ყველაფერი და ყოველივე ზოოლოგიას შეუპყრია, არა - საბედნიეროთ კარგი, გასამხნევებელი გამონაკლისებებიც არიან, მაგრამ ეს გამონაკლისები საერთო სურათს ვერ ცვლიან...

რა თქმა უნდა ამ ფსიხოლოგიით ძალიან შორს ვერ წახვალ და სასწაულს ვერ მოახდენ! როცა თვით შენ არ გწამს შენი საქმე - სხვას როგორ დააჯერებ?!

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, სიმონ მდივანის პირადი ფონდი 2118, ანაწერი 1, საქმე 132, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა გამგის ვუკოლი ბერიძის მიერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობისთვის გაგზავნილი ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და სარგის კაკაბაძის დასკვნა მოწამეთას ეკლესიისა და კოშკების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ
1923 წლის 26 ივლისი

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მართველობას

პასუხად თქვენის მომართვისა, ა/წ. 14 ივლისს N4645, ამასთანავე გაახლებთ ჩვენი შეკითხვების პასუხს - ტფ. სახ. უნივერსიტეტისა, საქართვ. სამხატვრო აკადემიისა, რესპუბლიკის საარქივო საქმეთა სამმართველოსადმი - მოწამეთის ეკლესიისა და კოშკების ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობის შესახებ.

რესპ. სამეცნ. დაწეს. მთავარმ. გამგე ვუკ. ბერიძე /ხელრთვა/
მდივანი პავ. ბოკერია /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატის შტემპი თარიღით 1923 წლის 18 ივლისი; დოკუმენტს ასევე აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 1923 წლის 19 ივლისი; დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ქუთ. აღმასკომს. გაეგზავნოს ასლი და წინადადება მიეცეს ხელუხლებლად იქნეს დატოვებული მოწამეთას ეკლესია და ძველი კოშკები, ვინაიდან მათ აქვთ არქეოლოგიური მნიშვნელობა (თავმჯდომარის ხელის მოწერით). 26/VII.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტს

პასუხად თქვენის შეკითხვისა, მოწამეთის მონასტრის დანგრევისა და მისი სხვა საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ, საჭიროდ ვრაცხთ გაუწყოთ, რომ მონასტრის რაიონში შეიძლება დანგრევა მხოლოდ იმ შენობათა, რომელიც ბერების სადგომს წარმოადგენენ, რაიცა შეეხება თვით ეკლესიას, აგრეთვე ძველ კოშკებს, ისინი ხელუხლებლად უნდა იქნენ დატოვებულნი რადგან:

ა/ ეკლესია წარმოადგენს ქართულ ხუროთმოძღვრების დამახასიათებელს ძეგლს მე 19 ს. პირველ ნახევარში /ამ ეპოქის სხვა არ მოგვეპოვება/.

ბ/ კოშკები კი, როგორც უძველესს დროს აგებულნი, იშვიათ საერო ხუროთ-მოძღვრების ნიმუშებს გვაძლევენ.

ტფ. სახ. უნ. რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი /ხელრთვა/
პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი
სარგის კაკაბაძე საარქივო სამმართველოს გამგე

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 153, ფურცლები 43-44.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის მიმართვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თელავის მაზრაში ანტისაბჭოთა ძალებთან საბრძოლველად დროებით საგანგებო მილიციელთა რაზმის შედგენის შესახებ
1923 წლის 22 აგვისტო

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს

ბანდიტებთან ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მილიციამ რესპუბლიკის თითქმის ყველა მაზრებში მოსპო ბანდიტიზმი. ამჟამად მხოლოდ თელავის მაზრაშიღა შერჩა ბანდიტების ერთი ჯგუფი ცნობილ ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

მილიციის შტატის უკანასკნელ შემცირების შემდეგ თელავის მაზრის მილიციას საშუალება და ღონე აღარ შესწევს ბანდიტებთან ბრძოლაში.

მილიციის შტატის შემოკლებას უეჭველად მოჰყვება ბანდიტიზმის გაძლიერება. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება მის წინააღმდეგ და ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა. ამ მიზნით აუცილებელ საჭიროებათ ვთვლი დაარსებულ იყვეს თელავის მაზრაში დროებით საგანგებო **მილიციელთა რაზმი 80 კაცისაგან შემდგარი, რომლის დანიშნულებაც იქნება განსაკუთრებით ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლა.**

მოგახსენებთ ზემოაღნიშნულ გარემოებას და გთხოვთ დამიდასტუროთ ჩემი განძრახვა რაზმის შედგენის შესახებ, რომლის საორგანიზაციო საქმე თითქმის დამთავრებული მაქვს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე /ხელრთვა/
სამილიციო განყ. უფროსი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტემპი თარიღით 1923 წლის 20 აგვისტო; დოკუმენტს ასევე აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 1923 წლის 22 აგვისტო.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 160, ფურცელი 8.

საქართველოს ეროვნული არქივი

ოზურგეთის მაზრის პოლიტ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგის კ. ბარაბაძის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამავე მაზრაში დახურული ეკლესიების გადასაკეთებლად თანხის გამოყოფის შესახებ 1923 წლის 23 აგვისტო

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

ოზურგეთის მაზრის პოლიტპროსვეტისაგან

განცხადება

მიმდინარე 1923 წლის განმავლობაში გურიაში ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების გამო გაუქმებულ იქმნა ღვთის მსახურება გურიის ყველა ეკლესიებში /გაუქმებული ეკლესიების რიცხვი კი გურიაში უდრის 137/.

აღნიშნულ ეკლესიების გადასაკეთებლად კულტურულ დაწესებულებათ ხალხი დიდ ენერგიას ხარჯავს. მაგრამ არსებულ ეკონომიურ პირობების გამო ფერხდება ამ დარგში მუშაობა.

ჩვენ გავიგეთ რა ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ხუთი მილიარდის გადარიცხვის შესახებ, ეკლესიების გადასაკეთებლათ კულტდაწესებულებათ. ოზურგეთის სამაზრო პოლიტპროსვეტი გთხოვთ, რათა მოგვეცეს ჩვენც საშვალება ეკლესიების გადასაკეთებლათ და აღნიშნულ ფონდიდან გადმორიცხოთ ჩვენი მაზრის საჭიროებისათვის საჭირო თანხა.

ოზურგეთის მაზრის პოლიტ-პროსვეტის გამგე: კ. ბარაბაძე
22 აგვისტო 1923 წ.
ქ. ოზურგეთი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 2, საქმე 2, ფურცელი 337.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის მიერ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთვის საიდუმლოდ გაგზავნილი წერილიდან, სადაც საუბარია თელავში სამი თვით შექმნილი მილიციელთა განსაკუთრებული რაზმის წევრებისთვის გაზრდილი ჯამაგირის დანიშვნის შესახებ
1923 წლის 3 სექტემბერი

ფრ. საიდუმლოდ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს

ამჟამად მხოლოდ თელავის მაზრაშიღა მოსჩანს ერთი ჯგუფი ბანდიტებისა, რომელიც ჩოლოყაშვილის მეთაურობით არ აძლევს ადგილობრივ მცხოვრებთ მოსვენებას და სცდილობს საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის დაცემას. ასეთ მავნე პირობის ერთხელ და სამუდამოთ ამოსაფხვრელად ჩემის განკარგულებით დაარსებულია თელავში დროებითი (სამი თვით) მილიციელთა განსაკუთრებული რაზმი, რომლის შტატის რაოდენობა უდრის 80 კაცს.

აღნიშნულ რაზმის შენახვის ვარაუდი ამასთანავე მოგვყავს:

შტატი და ხელფასი: რაზმის თანამშრომელთ უნდა მიეცეთ მილიციის თანამშრომელთა ჩვეულებრივ ჯამაგირის გაორკეცებული ჯამაგირი აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეებისათვის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე /ხელრთვა/
საფ.-სამნეო განყ. გამგე /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 160, ფურცლები 9-10ა.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ. სოკოლოვსკის ცირკულიარი სამაზრო რევკომებს სარაიონო და სათემო რევკომების მხრიდან ეკლესიის საქმეებში თვითნებურად ჩარევისა და სამღვდელოების შეურაცხყოფის დაუშვებლობის შესახებ 1923 წლის 30 სექტემბერი

ასლი
ცირკულიარი

ყველა სამაზრო რევკომებს

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოდის ცნობები, რომ ზოგიერთ მაზრებში, ადგილობრივი სარაიონო და სათემო რევკომები და მათი წარმომადგენლები ხშირათ ერევიან ეკლესიის საქმეებში, არ ერიდებიან სამღვდელოების შეურაცყოფას იმ დროსაც კი, როდესაც ისინი ასრულებენ მორწმუნეთათვის ღვთის მსახურებას.

ვინაიდან რევკომებისა და მათი წარმომადგენლების ასეთი მოქმედება არღვევს წესიერებას და, საერთოდ, სცემს მთავრობის პრესტიჟს /თანახმათ საქართველოს რევკომის ბრძანებისა/, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სასტიკი ზომები, რათა ადგილობრივი რევკომები არ ერეოდენ ეკლესიის საქმეებში და, საერთოდ სამღვდელოების განკარგულებაში, უკეთუ მას ბოროტ-მოქმედების ხასიათი არ ექნება; წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან.

სახალხო კომისარი ნ. სოკოლოვსკი
საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე
საერთო განყ. გამგე
დედანთან სწორია
საქმის მწარმოებელი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტემპი თარიღით 1923 წლის 31 სექტემბერი. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დაეგზავნოს სუყველას.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის, თბილისის ყოფილი სამხედრო ტაძრის და ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარის, დეკანოზ ანტონ თოთიბაძის, თბილისის ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძისა და თბილისის დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის მიმართვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბრალმდებელს, რომელშიც ისინი ითხოვენ ბრალის დროულად წარდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობის დაწყებით იმუქრებოდნენ

1923 წლის 1 ოქტომბერი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესს სასამართლოს ბრალმდებელს

ჩვენ ქვემორე ამისა, ხელისმომწერელნი, მოხუცებულებისა (57-54 წლისანი) და სნეულებათაგან ისედაც დაუძლურებულნი, 1923 წლის იანვარში ვიქმნენით დატუსაღებულნი. საქართველოს განსაკუთრებულ კომისიისა და გამასწორებელ N2 სახლის საკნებში რვა თვის წამების შემდეგ, მიმდინარე თვის 20 ვიქმნენით გადმოყვანილნი გამასწორებელ N1 სახლში. აქ გავიგეთ აღმოსავლეთ საქართველოს უმაღლეს სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგის, მოქალაქის ჭიჭინაძისაგან, რომ ჩვენ ვიმყოფებით უზენაესს სასამართლოს ბრალმდებელის განკარგულებაში. დაგვებადა იმედი: დაგვკითხავენ, გავიგებთ რა ბრალი გვედება და ამის შემდეგ ვიქნებით გასამართლებულნი.

მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, ჩვენ დღესაც დაუკითხველნი ვართ, დღესაც არ ვიცით რა ბრალდებისა გამო ვიტანჯებით სულიერად და ხორციელად. ამისთვის პატივისცემით მოგახსენებთ: თუ ოქტომბრის ოთხამდის ჩვენ არ ვიქმნენით დაკითხულნი და დარწმუნებულნი, რომ ჩვენს საქმეს ახლო მომავალში განიხილავს ან უზენაესი, ან აღმოსავლეთ საქართველოს უმაღლესი სასამართლო, ოქტომბრის აღნიშნულ (4) რიცხვიდგან ჩვენ ვსწყვეტთ საზრდელის მიღებას, ხოლო დღევანდელი დღიდან - საკნით გამოსვლას.

ამა ჩვენი გადაწყვეტილების შედეგებისათვის პასუხის გებას ღვთისა და მთავრობის წინაშე ვავალებთ მათ, ვინც საქართველოს საგანგებო კომისიას მისცა ყალბი მასალები ჩვენი რვა თვის განმავლობაში უსაბუთოდ წამებისათვის.

1. ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი
2. ტფილისის ყოფილი სამხედრო ტაძრის და ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე
3. სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს წევრი ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე
4. სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს წევრი და ტფილისის დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი.

1923 წ. სექტემბრის 29 დღესა
N1 გამასწორებელი სახლი

P.S. დოკუმენტს აქვს მინაწერი: პროკ. შემ. N248. 1/X-1923 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 108-109.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე გეგეჭკორის
დადგენილება საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ
1923 წლის 23 ნოემბერი

დადგენილება N113
საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი
საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს**:

1) დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში.

2) ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს დაცულ უნდა იქნეს სახალხო განათლების კომისარიატის სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად /სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ 1923 წლის აპრილის 17-ს თარიღითა და 232 ნომრით გამოცემული ინსტრუქცია/.

3) დანარჩენი საეკლესიო განძეული (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები), რომელსაც მეორე მუხლში აღნიშნული მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თვითეულ შემთხვევაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით საკულტურო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი სამეურნეო საჭიროებისათვის, უმთავრესად კი ადგილობრივი გლეხობის საჭიროებისათვის.

4. ყველა სხვა საეკლესიო ქონებას, რაც საჭიროა ღვთის მსახურებისათვის, შეინახავენ აღმასრულებელი კომიტეტები და ეს ქონება შეიძლება გადაეცეს ადგილობრივ მცხოვრებთ რელიგიური საზოგადოების სახით იმ წესის თანახმად, რაც განსაზღვრულია იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ გამოცემულ ინსტრუქციაში (გაზ. „კომუნისტი“, N322, 1923 წლ. სექტემბრის 23).

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯ. მოადგ. ა. გეგეჭკორი
სახ. კომის. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე

1923 წ. ნოემბრის 23.
სწორია: საქმის მწარმოებელი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი,
ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 281, ფურცელი 13.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის მაზრის დვალიშვილების თემის საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა ვანის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს თემში დახურული ეკლესიის შესახებ
1923 წლის 22 დეკემბერი

ვანის რაი აღმასკომს

თანახმად თქვენი მომართვისა N184. „20“ დეკემბრის თარიღით გაცნობებთ შემდეგს: თემს ქონდა ორი ეკლესია, ორივე დახურულია მაგრამ ერთი მადგანი გადაცემულია საეკლესიო კომისიის განკარგულებაში, მეორე კი არის საბჭოს განკარგულებაში. გახსნისათვის არავითარი ნიადაგი არ მზადდება. რაც შეეხება ნივთების რაოდენობას აღწერის შესახებ ეხლა ვერ გაცნობებთ, მიტომ რომ ყოველივე ნივთები ისევ ეკლესიაში არის სოფელ გადითში, რომელიც დალუქულია ჩემს მიერ. ნივთების სია მე ხელთ არა მაქვს, რადგან აღმასკომის სამართველოს რაიონში გადატანის დროს ის სიებიც თან გაყვა საქმეებში, რომელიც ეხლა მანდ არის. და თუ დიდ აუცილებლობას შეადგენს, იმ შემთხვევაში მაცნობეთ და გავხსნი და ხელ ახლევ მოახდენ აღწერას და წარმოგიდგენთ. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, რაიმეთ გამოყენებას, არაფელია ისეთი, რომ რაიმე დიდ ხირებულებას შეადგენდეს გარდა ერთი ხის შენობისა, რომელიც ჯერ ჯერობით არაფლად არ გვჭირდება.

დვალიშვილების თემის საბჭოს თავმჯდომარე /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 281, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

დუშეთის მაზრაში მოსახლეობისათვის ჩამორთმეული შენობების სია
1923 წლის 30 დეკემბერი

დუშეთის მაზრაში და ქალაქ დუშეთში მოსახლეობისთვის ჩამორთმეული შენობების სია

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	**სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N**	**რომელ წელში არის სახლი აგებული**	**როდის და რა აქტით არის დამტკიცებული**	**რომელ დაწესებु-ლებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ**
1.	ლოლაძე დიმიტრი	1905 წ. რევოლიუც. სახელ. ქუჩა	1810 წ.	1923 წ. მიწის რეფორ. ჩატარ. დროს	დუშეთის საბავშვო ბაღი
2.	მოზდოკელი ვასილი	„-“	1810 წ.	„-“	სცხოვრ. მოსამსახურეები
3.	კეზელი ნიკოლოზ ივანეს ძე	ლენინის და 1905 წ. რევოლ.ქუჩის კუთხე	1909 წ.	„-“	მაზრაღმასკომის განყოფილება
4.	ქაქალოვი დავითი		1870	„-“	სცხოვრ. მოსამსახურეები
5.	დაფქვიაშვილი ნინო		1875	„-“	მოსამსახურეებით
6.	სასეფოვი ვასო	ორჯონიკიძის ქუჩა	1870	„-“	მოსამსახურეებს
7.	ტატუნოვი ალექსანდრე	ჯაფარიძის ქუჩა	1900	„-“	მოსამსახურეებს
8.	მირაქოვი გრიგოლი	მილიციის ქუჩა	1905	„-“	ინფორ. პუნქტი
9.	მისივე		1900	„-“	მოსამსახურეების და სავეტერინარიო ამბულატორია
10.	სომხიის ეკლესიასთან მოთავს. შენობებ. ყოფ.	შაუმიანის ქუჩა	1870	„-“	მოსამსახურენი
11.	თვითმართველობა	ლენინის ქუჩა	1870	„-“	განათლ. განყოფილება გლეხკომი და სტატბიურო
12.	ჭონქაძე ალექსი	1905 წ. რევოლ. სახ. ქუჩა	1875 წ.	მიწის რეფ. ჩატ. დროს 1923 წ.	ნაწილში სცხ. მოსამს. ნაწილში კერძო პირები
13.	კრასინელი ვლადიმერი	„-“		„-“	მოსამსახურენი და სადურგლო სახელოსნო
14.	მარტიროზოვი ანნა / ფლიგელი/	ცხაკაიას ქუჩა		„-“	ახ. კომკავშირის კლუბი და მოსამსახურენი
15.	სტეფანიანელი ვასილი	შაუმიანის ქუჩა		„-“	ნაწილში ფაქტ. დაწესებ. და ნაწილში მოსამსახ.
16.	მიქელაშვილისა	მილიციის ქუჩა			მოსამსახურენი
17.	ნადეჟდა ზანდუკელისა	1905 წლ. რევოლ. ქუჩა		მიწის რეფორმის ჩატარების დროს 1923 წელი	სცხოვ. თითონ და მოსამსახურენი

საქართველოს ეროვნული არქივი, მცხეთა-მთიანეთის
რეგიონალური არქივი,
ფონდი 3, საქმე 19, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

დუშეთის მაზრის მუხრანის, ფასანაურის, ანანურის, ბაზალეთის, მჭადიჯვრის და ყაზბეგის თემებში მოსახლეობისთვის ჩამორთმეული ქონების სია
1923 წლის 30 დეკემბერი

მუხრანის თემი

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
1.	ბაგრატიონ მუხრანსკი ნიკო გიორგის ძე	სოფ. მუხრანი	1886	მიწის რეფორმის ჩატარების დროს	მუხრანის ოთხწლედი და მოსამსახ. სცხოვრ.
2.	მისივე	„-“	1912	„-“	გლეხთა ახალგაზ. სკოლა
3.	ბაგრატიონ მუხრანსკი გიორგი ესტატეს ძე	„-“	1901	„-“	საბჭოთა დაწესებულებები
4.	მისივე	„-“	1907	„-“	სამხედრო ნაწ. წერტ.
5.	მისივე	„-“	1907	„-“	კერძო პირს
6.	მისივე	„-“	1907	„-“	კერძო პირს
7.	მისივე	„-“	1912	„-“	ფოშტის დაწესებ. და საცხოვ. მათივე თანანმშრომლებით
8.	ზაქარია პეტრეს ძე მიქაძე	„-“	1907	1923 მიწის რეფორმის ჩატ. დროს	წარმოკავშირის ამხანაგ. და კოოპერატივი
9.	მისივე (ერთი) ოთახი+ოთახი	„-“	1907	„-“	სამკითხველო და ამბულატორია
10.	ყოფ. სომხის სკოლა	„-“	1907	„-“	აფთიაქი

საქართველოს ეროვნული არქივი

ფასანაურის თემი

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
1.	კობაიძე გრიგოლ სოლომონის ძე	სოფ. ფასანაური	1911 წ.	1923 მიწის რეფორმის ჩატ. დროს	ამბულატორია, აღმასკომი
2.	მისივე	„-“	„-“	„-“	სახალხო სასამართლო
3.	ჩიჯავაძე ივანე თეოფანეს ძე	სოფ. ფასანაური	„-“	„-“	სკოლა
4.	კლებანსკი	„-“	1908	„-“	მოსამსახურეები
5.	კალებანსკი	„-“	„-“	„-“	მოსამსახურეები

სოფ. ანანური /ანანურის თემი/

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
	მღ. გიორგი გელაძესგან 2 ოთახი	სოფ. ანანური	1908	1923 წ. მიწის რეფორმის ჩატ. დროს	1 ოთახში საფერშლო პუნქტი, მეორეში სცხოვრ. ფერშალი

სოფ. ბაზალეთი /ბაზალეთის თემი/

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
1.	ყოფ. გენერალ ჭილაევისგან	სოფ. მილახვრიანთ-კარი	1908	1923 წ. მიწის რეფორმის ჩატ. დროს	სკოლა და უსახლკარო გლეხობა
2.	მარიამ კეზლისა	სოფ. საშაბურო / ბაგა/	1908	1923 წ. მიწის რეფორმის ჩატ. დროს	სკოლა

საქართველოს ეროვნული არქივი

სოფ. მჭადიჯვარი /მჭადიჯვრის თემი/

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
1.	მუხრანელი გიორგისგან	სოფ. მჭადიჯვარი	1908	მიწის რეფორ. ჩატარ. 1923	თემაღმასკომი

სოფ. ილტოზა

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
	სარაჯიშვილისა	სოფ. ილტოზა	1908	მიწის რეფორ. ჩატარ. 1923	გლეხთა ახალგაზ. სკოლა

სოფ. ყაზბეგი /ყაზბეგის თემი/

	ვის ეკუთვნოდა სახლი მის მუნიციპალიზაცია ქმნილად გამოცხადებამდე	სახლის მდებარეობა ქალაქი, სოფელი, ქუჩა სახლის N	რომელ წელში არის სახლი აგებული	როდის და რა აქტით არის დამტკიცებული	რომელ დაწესებულებას უკავია ან ვინ სცხოვრობენ
	ყოფ. ღენერალი ყაზბეგისა	სოფ. ყაზბეგი	1908	მიწის რეფორ. ჩატარ. 1923	სკოლა და თემაღმასკომი

საქართველოს ეროვნული არქივი, მცხეთა-მთიანეთის
რეგიონალური არქივი,
ფონდი 3, საქმე 19, ფურცლები 3-4.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა კოლექტიური წერილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ე. წ. კომსომოლისტების მიერ ეკლესიებში ჩადენილი უმსგავსო საქციელის აღკვეთის თაობაზე 1923 წელი

საქარ. სოციალ. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

ქვემორე ხელისმომწერთა ქართველ
მართლმადიდებელ მორწმუნეთა
წარმომადგენელთა
უმდაბლესი თხოვნა

ამ თვის 6-7 დანიშნული იყო „კომსომოლისტების შობა". მორწმუნეთათვის ერთ უდიდეს დღესასწაულთაგანია სწორეთ შობა ქრისტესი. სალოცავად მისულთ სამწუხაროდ მოუხვდათ ბევრი რამ ისეთი მოვლენათა დანახვა, რაიც მეტად ამწარებდათ მათ და სულის სიმშვიდეს უკარგავდა ყველას. ჩვენ არ შევეხებით იმას, რაც ხდებოდა თბილისის ქუჩებში, მაგრამ როდესაც უწლოვანი ბავშვებიც და ზოგიერთა სხვანიც ეჭრებიან ეკლესიის გალავნებში, ან, უმეტეს, **თვით ეკლესიაში** და იქ ახდენენ უწესოებას, ამცირებენ მლოცველთ, შეურაცხყოფენ სიტყვით, აშინებენ იარაღით, ეს კი შეუწყნარებლად მიაჩნია ყოველ მორწმუნეს, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ურწმუნოთა. ასეთ მოვლენათ კი ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნულ დღეებში მაგალითად, ზედ შობა დღეს ყოფილ სამხედრო ტაძარში წირვის დროს შემოდიოდნენ ვიღაც ახალგაზრდანი ქუდებით და პაპიროსებით ხელში, ირონიით ეხებოდნენ ხატებს, შიგ ეკლესიაში აბნევდნენ პროკლამაციებს, აქა-იქ აყუდებდნენ პლოკატებს სხვადასხვა წარწერებით, ეკლესიაშივე ტრიალებდნენ თოფიანი ყმაწვილები. ყველა ამან ისე ააშფოთა მლოცველები, რომ ზოგიერთს ისტერიკები მოუვიდათ და ზოგსაც გული წაუვიდათ. წირვის გამოსვლის შემდეგ თუმც ეკლესია დაკეტა წინამძღვარმა და გასაღები თან გაიყოლა, მაგრამ კარი ეკლესიისა ვიღაცამ მიბეჭდა და ალაყაფის კარებშიაც დაუყენებიათ თოფიანი დარაჯები, რომელნიც საშვალებას უსპობენ როგორც სამღვდელოებას, ისე მორწმუნეთაც ეკლესიაში ლოცვისას. ამითაც არ იკმარეს, შობის მეორე დღეს ყმაწვილები ასულან ეკლესიის გუმბათზე და ზედ ჯვარზე ჩამოუცვამთ წითელი საფარებელი ალბათ ემბლემებით. ყოველი ეს მეტად აწუხებს მორწმუნეთ, უნებლიეთ ერთი მეორეს შესჩიოდა და ბოლოს ჩვენ დაგვავალეს ყოველივე მოგვეხსენებინა თქვენთვის.

ვასრულებთ ამ დავალებას და ჩვენი მხრივაც გთხოვთ უმორჩილესად მიიღოთ ზომები, რომ მრავალი მორწმუნეთა წყლული განკურნოთ თქვენი განკარგულებით, რომ: 1) ეკლესიის კარებიდან ბეჭედი მოისპოს, 2) გუმბათიდან ჩამოღებულ იქმნას გადაფარებული მატერია და დღეს ყველა შებმული ემბლემები.

საქართველოს ეროვნული არქივი

ვიმედოვნებთ, რომ კვლავაც ამ ნაირ განსაცდელს თავიდან აგვაცილებთ და ამით დაამშვიდებთ მორწმუნეთა აშფოთებულ სინიდისს, რასაც მოითხოვს თვით მთავრობის დეკრეტიც სინიდისის თავისუფლების შესახებ.-

P.S. თხოვნას ხელს აწერს ხუთი ადამიანი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცელი 513.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ნოე რამიშვილის წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, სადაც საუბარია კავკასიის მასშტაბით ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების გეგმაზე
1924 წლის 2 თებერვალი

N1
მივ. 9/XII-24

2/II 1924
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს

მთავრობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით და მისი დავალებით გაცნობებთ შემდეგს: ჩვენთვის მისაღებია ოსმანის წინადადება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება მთელი ამიერკავკასიის საქმე, ყოველ შემთხვევაში მთისა და აზერბეიჯნის მონაწილეობით. სომხეთი შემდეგ იძულებული გახდება ამ საქმეს შეუერთდეს. მაგრამ ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება ჩვენს მეზობელთა მიერ ის, რომ კვლავ მოტყუებული არ დავრჩეთ, საქმის დაწყება მეზობლებმა უნდა იკისრონ! პირველ ყოვლისა მთამ. საქართველო შემდეგ შეუერთდება. საქმის ასეთი მოგვარება იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ოსმალეთიც იძულებული გახდება თავისიანები დაიცვას და ადრე თუ გვიან რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდეს.

იგზავნება ის პირები, რომელთაც მოითხოვთ და საქმეს საბოლოოთ მათთან გაარკვევთ.

მინდობილობით ნ. რამიშვილი

კოწია! წერილს გადმოგცემს ბენია. მე ამ დღეებში წამოვალ. ეს წერილი დაუყონებლივ გაუგზავნეთ დამკომს.

ნ. რ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე რამიშვილის პირადი ფონდი 2130, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცლები 28-29.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთაისის პოლიტბიუროს უფროსის საიდუმლო ცირკულიარი ქუთაისის მაზრის რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს მათ რაიონებში ყველა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელთა აღრიცხვის შესახებ 1924 წლის 21 თებერვალი

საიდუმლო
ცირკულიარად

ქუთაისის მაზრის ყველა რაიონების აღმასკომის თავმჯდომარეებს ქ. ქუთაისის რაიონის აღ. თავმჯდომარეს

გეძლევათ წინადადება, რათა სავსებით იქნეს გამორკვეული რიცხვი სასულიერო წოდების პირების ყველა სარწმუნოებისა /როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანესი აგრეთვე ებრაელების და სხვა/ ეხლავე შეუდგეთ მათი აღრიცხვას თანახმად მასთან დართულ ფორმისა, ამიტომ თითეული სასულიერო პირმა უნდა შეავსოს ანკეტა ორი ცალი და სააღრიცხვო ბარათი ერთი ცალი. სააღრიცხვო ბარათის მეორე გვერდში უნდა იქნეს მიწეპებული აღრიცხულ ფოტოგრაფიული სურათი. არავითარი ხარჯი აღრიცხვისათვის დაწესებულების მიერ არ უნდა იქნეს გაწეული. აღრიცხვისთვის არავითარი განცხადებები არ უნდა იქნეს გაკრული, არამედ აღრიცხვა უნდა მოხდეს დაწესებულებაში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. აღრიცხვის უკანასკნელი ვადა არის 5 მარტამდის, რის შემდეგ აღსარიცხავი საბუთები უნდა იქნეს წარმოდგენილი პოლიტ-ბიუროსი, არა უგვიანეს 10 მარტისა.

დანართი: ანკეტები და სააღრიცხვო ბარათი.

ქუთ. პ/ბ. უფროსი /ხელრთვა/
პ/პ რწმუნებულის თან. /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 186, ფურცელი 16.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომა,
სადაც განიხილეს საქართველოში შეიარაღებული აჯანყების საკითხი
1924 წლის 23 თებერვალი

ოქმი

მთავრობის სხდომის 23 თებერვ. 1924 წ. პარიზი.

დაესწრენ: ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი და აკ. ჩხენკელი.

ნ. რამიშვილი მოაგონებს სხდომას იმ ცნობების შესახებ, რომელიც მიღებულია საქართველოდან. დღემდის დამ. კომიტეტში ს. დ. პარტიის წევრნი უფრო თავდაჭერილნი იყვნენ, მაშინ როცა ნაც-დემ. მაგალითად, უფრო ხშირად მომხრენი იყვენ გამოსვლის. ახლა ყველა ხელმძღვანელნი და მათ შორის ჩვენი პარტიის წარმომადგენელნიც იმ აზრის არიან, რომ შესაძლებელია საერთო გამოსვლა კავკასიის მასშტაბით; არ არის იმედი სომხების, მაგრამ მთა ყველაზე მეტათ მიიწევს და ჩვენ ვაჩერებთო. მათ იმედი აქვთ სრული, რომ აზერბეიჯანს თვით შეუძლია თავისი ქვეყნის გაწმენდა, ხოლო ბაქოსთვის მოითხოვს სხვების დახმარებას. ისინი ითვლებიან, რომ მათ ასეთ ოპერაციისთვის აქვთ საკმარისი სამზადისიც და ძალაც. თუ აქედან შეგვეძლება რითიმე დახმარება კარგია რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ამის იმედს ვერ მივსცემთ, მაინც აქვთ იმედი გამარჯვების და საკმარისი იარაღი და ფულიც ადგილობრივ. ახლანდელი მომენტი შეუძლებლად მიაჩნიათ ხელიდან გაუშვან და კითხულობენ ჩვენს აზრს. მე ველაპარაკე ყოველივე ამის შესახებ მთავრობის თავმჯდომარეს - იგი თანახმა იყო, ცოტა შეფიქრიანდა ჩემი გამგზავრების შესახებ, მაგრამ შემდეგ ამაზედაც თანხმობა გამოაცხადა. რაკი ჩვენები თხოულობენ ჩვენს აზრს, საჭიროა მსჯელობა ვიქონიოთ ამის შესახებ.

ე. გეგეჭკორი: ჩვენი საკითხი ახლა ისეთ კრიზისს განიცდის, რომ თუ კი შესაძლებელია ჩვენი საკითხის გაცხოველება, ჩვენ ვერ ვიქნებით წინააღმდეგი გამოსვლისა. მართალია, ჩვენები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი ამისათვის მზათ არისო, მაგრამ მე ვიქნებოდი გამოსვლის მომხრე თუნდაც ამას მარტო საქართველოს მასშტაბით ჰქონდეს ადგილი, თუ ასეთ გამოსვლას მართლა ხალხოსნური ხასიათი ექმნებოდა და არა უბრალო აჯანყების, „პუტჩის“ ხასიათი. მე ამ საკითხის გადაჭრაში ვერ ვენდობოდი მარტო ახლა წასულებს. აქედან პასუხისმგებელი, უფრო პასუხისმგებელი პირი უნდა წავიდეს და მან უნდა შეაფასოს ყოველივე და ასწონ-დასწონოს კარგად. თუ ეს პირი ნ. რამიშვილი იქნება, რომელზედაც ვართ შეთანხმებული, მე იმედი მაქვს, რომ მომენტი სერიოზულად იქნება შეფასებული. ვიმეორებ გამოსვლის წინააღმდეგ ახლა ვერ წავალთ, თუ ამ გამოსვლას მართლა ფართე ხალხოსნური ხასიათი მიეცემა და მით უფრო ამიერკავკასიის ფარგლებში. დახმარებას ნივთიერს ჩვენ ახლა ვერავითარს ვერ გაუწევთ, მაგრამ ზომები მაინც ყოველივე უნდა იქმნას მიღებული, რაც კი შესაძლებელი იქმნება ჩვენის მხრით. ბევრ იმედებს კი, რასაკვირველია, ვერ მივსცემთ. თუ მოძრაობამ სერიოზული ხასიათი მიიღო ყოველ შემთხვევაში იმ დროისათვის მეტი გამოძახილის და დახმარების იმედი უნდა გვექმნეს, ვიდრე ახლა. ჩვენი საკითხი ახლა თითქმის მოხსნილია დღის წესრიგიდან და რაც იმის გამოცოცხლებას ხელს შეუწყობს, ჩვენ არა გვაქვს უფლება მას ხელი შეუშალოთ, თუ კი მართლა ამას ექმნება სერიოზული

საქართველოს ეროვნული არქივი

ხასიათი. მე დიდ ანგარიშს ვუწევ იქედან შემოთვლილ ამბებს, რადგან ცენტრში არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც დაჩქარებას ვერ დავწამებთ. ნამდვილი გარემოება იქ უკეთ უნდა დააფასონ, ვინემ ამას ჩვენ აქ შევძლებთ.

კ. კანდელაკი: ის რაც მე ახლაც და კერძო ლაპარაკშიც გავიგონე საქართველოდან მოსულ ცნობების შესახებ პირდაპირ საზღაპროთ მიმაჩნია. მზათ ვართ გამოსვლისათვის არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ამიერკავკასიის ფარგლებშიო. თუ ეს ასეა, ამის შესახებ ჩვენ წინადაც გვქონდა მიღებული დადგენილება. მაგრამ რაც უფრო გასაკვირია, ისინი ითვლებიან - თუ თქვენ ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევთ, მაინც მზათ ვართო. მე მეშინია, რომ ისინი ადგილობრივ შეცდომაში არ იყვენ შეყვანილი; აქედან წასულმა კაცმა მათ ნათლად უნდა დაუხატოს ჩვენი მდგომარეობა: ფული სავსებით, სავსებით გამოგველია და ვერც ვიშოვით; ვერც სხვაგვარ ნივთიერ დახმარებას მივაწვდენთ ახლა; არც იმის თქმა შეიძლება, რომ ოღონდ გარეკეთ რუსის ჯარი და მაშინვე გამოჩნდება დახმარებაო; დამოუკიდებლობის დროს შვიდი თვე ვიყავით აქ და ისიც ძლივს ქაღალდზე მივიღეთ კონტრაკტები; ახლა ვარესი იქნება. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობაც უნდა ავუხსნათ - კავშირი არავისთან გვაქვს. და თუ ეს ყოველივე იციან და ეს ეცოდინებათ, მაინც იმედი აქვთ გამოსვლის და გამარჯვების, ცხადია ჩვენ აქედან წინააღმდეგიც რომ ვუთხრათ არ დაგვიჯერებენ. მე არ მგონია, ერთი და ორი გატაცებული ადამიანი კიდეც რომ გამოჩნდეს, მას ხალხი გაყვეს თუ რისიმე იმედი არა აქვს. მხოლოდ წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, მეშინია ისინი შეცდომაში არ იქმნან შეყვანილი და ყოველივე ნათლად უნდა იქმნეს გარკვეული: ჩვენი მდგომარეობა ასეთია, რომ დაგვჭირდეს კაცის სამგზავრო ფულიც არ გვაქვს.

ა. ჩხენკელი: მე ძალიან მომწონს ევ. გეგეჭკორის აზრი, რომ გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იმას ექმნება ხალხოსნური ხასიათი და გარემოება იქ უნდა დააფასონ ამ მხრივო. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ნ. რამიშვილის წასვლა. მაგრამ პირადათ იმის მიხედვით, რაც მე ვიცი, არა მგონია ახლა ჩვენში გამოსვლას ხალხოსნური ხასიათი ექმნეს; თორემ სასირცხვილოთ არ მივიჩნევდი კიდეც რომ დავმარცხდეთ. მე გამოსვლის წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, რომ მჯეროდეს, რომ მას სერიოზული ხასიათი ექმნება, მაგრამ მე ეს არ მჯერა. მომენტიც ძალიან ძნელია: ახლა იარაღიც რომ მოგვცა სრუტეებში ვერ გავატარებთ. აჩქარება არ ვარგა, მე ვფიქრობ კიდევ დაგვიდგება მომენტი ხელსაყრელი, ნუ ავყვებით ნ.-დემ. სულისკვეთებას; მე მეშინია, რომ ხალხის ფსიხოლოგია არ არის ახლა ამისთვის საკმარისად მზად და რამოდენიმეთ ამ ფსიხოლოგიას ს. დევდარიანის წერილებიც გამოხატავს. მე მომხრე ვიქნებოდი რუსეთის უიმისოდაც გამოსვლის, რომ მჯეროდეს ასეთ გამოსვლას მართლა სერიოზული ხასიათი ექმნება და გარემოებებიც ხელს უწყობდეს. დიდი ანგარიშის გასაწევია ისიც, რაც აქ კ. კანდელაკმა სთქვა, ეს უსათუოდ ცოტა იყვნენ ჩვენში. მომენტი ისეთია, რომ დახმარებას ნურსაიდან ნუ ველით.

ნ. რამიშვილი: ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი საკითხი ევროპაში თავდება, ერთი წლის განმავლობაში ჩვენი სტატუტი სულ მოისპობა. ჩვენი მუშაობა არსად სჩანს, აქ ფიქრობენ, რომ ხალხი მდგომარეობას შეურიგდა კიდეც. რუსეთში რა მოხდება, გადაჭრით ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. არის შესაძლებლობა ბონაპარტიზმისაც, მაგრამ დემოკრ. რეჟიმიც რომ დამყარდეს იქ, ჩვენი საკითხისთვის იგი რეაქციონერი იქნება. მე ამით იმის თქმა არ მინდა, რომ რუსეთში მოძრაობა იქმნეს ჩვენ ვერ ვისარგებლებთ მეთქი, მაგრამ

საქართველოს ეროვნული არქივი

შესაძლებლად მიმაჩნია მოძრაობა კავკასიიდანაც მოედოს რუსეთს. ჩვენ რომ რუსეთის მაჩანჩალათ გამოვიდეთ მოძრაობაში, ამით ჩვენი ეროვნული საკითხი ვერ გადაიჭრება.

ჩვენები გვეკითხებიან: არის თუ არა საერთაშორისო პირობებიო ხელსაყრელი. ყოველ შემთხვევაში უკეთესი მომენტი ჩვენ წინ არ გვიდგეს, რუსეთის მოძრაობისთვის აყოლება კუდში, როგორც ვსთქვი, ჩვენ საკითხს ვერ გადასწყვეტს. გაიხსენეთ როგორ აყენებს საკითხს მაკდონალდიც პარლამენტშიც და თავის წერილშიც. ყველა ფაქტს უწევს ანგარიშს. კითხულობს კ. გვარჯალაძის ნალაპარაკევს ფევთ-ფაშასთან, რომლის აზრით ოსმალეთი ნეიტრალური იქნება.

ჩვენები გვითვლიან: ერთხელ თქვენ ძალიან ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაგვაშვებიეთო, ახლა მეორე მომენტი გვაქვსო. გვაქვს ჩვენ უფლება ეს მომენტიც ხელიდან გავაშვებიოთ? დახმარებას პირველი მომენტისათვის ყოველ შემთხვევაში ჩვენ მათ, რასაკვირველია, ვერავითარს ვერ მივსცემთ, შემდეგ კი ალბათ ვიშოვით დამხმარებლებს.

ყოველ შემთხვევაში მე არ ვიქნები მომხრე მარტო საქართველოს ფარგლებში გამოსვლის. ამიტომ ჩვენ უნდა ვსთქვათ: საერთაშორისო მდგომარეობა ხელსაყრელი არის; დახმარებას აქედან ჩვენ ვერავითარს ვერ ვპირდებით ვერც ფულით, ვერც იარაღით პირველად, შემდეგისათვის კი ვეცდებით. მე წავალ, ხოლო სად და როგორ ეს მე მომანდევით.

ევ. გეგეჭკორი: ჩვენ ვერ ვეტყვით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა არის ხელსაყრელი; ჩვენ უნდა უთხრათ, რომ ის ხელს არ უშლის გამოსვლას.

აკ. ჩხენკელი: მე არ მიმაჩნია საერთაშორისო მდგომარეობა ხელს შემწყებად ახლა გამოსვლისათვის.

დასასრულ მიღებულ იქმნა ოთხი შემდეგი დებულება:

1) თუ მდგომარეობა მართლა საკმარისად მომზადებულია და არა მხოლოდ შეთქმულებისათვის, არამედ ნამდვილ სახალხო გამოსვლისათვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბეიჯანი და მთა), გამოსვლა უნდა მოხდეს (სამი მომხრეა, ერთი ა. ჩხენკელი წინააღმდეგი).

2) ამ ცნობების წინასწარი შეფასება და იმის საფუძვლიანობის გამორკვევა ენდობა იმ კაცს, რომელიც აქედან მიდის და რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებათა საფუძვლიან შეფასების მიხედვით ადგილობრივი ხელმძღვანელებიან შეთანხმებით დგას შესაფერ ნაბიჯებს; (მიღებულია ერთხმად).

3) აქ ახლავე მიღებული უნდა იქმნეს ზომები, თუ რისიმე დახმარების მოწოდება კი შეიძლება აქედან (მიღებულია ერთხმად);

4) საერთაშორისო მდგომარეობა ყოველ შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას, მაგრამ ჩვენში წინასწარ რაიმე გადაწყვეტილებისა, სისწორით უნდა იცოდნენ როგორც არის, რომ ახლა არავითარი დახმარების მოწოდება აქედან არ შეგვიძლია, აგრეთვე საზოგადოთ ჩვენი შესაძლებლობა. (სამი ხმით, ერთის (აკაკი ჩხენკელი) წინააღმდეგ).

სხდომის თავმჯდომარე: ნ. რამიშვილი
მდივანი. კ. კანდელაკი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 152, ფურცლები 15-19.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების მიმართ გამოტანილი განაჩენი 1924 წლის 19 მარტი

რეზოლიუცია

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით 1924 წელსა მარტის 10-11-12-13-14-15-16-17-18 და 19 დღეებში რესპუბლიკის უზენაეს სასამართლომ თავის საჯარო სხდომებზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გ. ჩხეიძე
წევრნი: 1. გ. რთველაძე
2. ვ. წივწივაძე

ბრალმდებელნი: 1. ნ. მაჭავარიანი
2. ნ. ოკუჯავა

საზოგადო ბრალმდებელი: ალ. ერქომაიშვილი

მდივანი: აბაკელია

განიხილა რა საქმე ბრალდებისა გამო ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიასი (სამღვდელოებაში სრულიათ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი), ნესტორ ანდრიას-ძე ლეჟავასი (სამღვდელოებაში ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი), ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძის, დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ იოსებ დიმიტრის-ძე მირიანაშვილის, ქვაშვეთის ეკლესიის დეკანოზ დიმიტრი ივანეს-ძე ლა-ზარიშვილის, მცხეთის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის, ვერის ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის ანტონ მაქსიმეს-ძე თოთიბაძის, სიონის ტაძრის წინამძღვრის მარკოზ პავლეს-ძე ტყემალაძის, საკათალიკოსო საბჭოს ყოფილი მმართველის იასონ კაპანაძის, საკათალიკოსო საბჭოს წევრთა ნიკოლოზ ივანეს-ძე არჯავანიძის და ნიკოლოზ ყარამანის-ძე თავდგირიძის - იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, რომელიც გათვალის-წინებულია სისხლ. სამარ. კოდექსის 10, 15, 16, 60, 69 მუხლის მე-3-ე ნაწილში, 73, 116-ის მუხლის მე-2-ე ნაწილში და 131 მუხლში, - **პოვა:** ბოროტმოქმედება გათვალისწინებული სისხ. სამართ. კოდ. 60 მუხლით, რაიც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს - სიკვდილით დასჯას - უნდა ჩაითვალოს სავსებით დამტკიცებულათ, მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ბესარიონ ზოსიმეს-ძე ხელაიას და აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოს სამართალში მიცემულ წევრთა, პირველი - ღრმა მოხუცებულობა, მეორე - მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების გადაჭრით ცნობა, მესამე - ბრალდებულ ბესარიონ იგივე კათალიკოს ამბროსის მიერ თავის გენუიის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის შეცდომათ აღიარება

საქართველოს ეროვნული არქივი

და მეოთხე - ის გარემოება, რომ ვინაიდან ისინი საქართველოს მშრომელთა მასაში არ სარგებლობენ არავითარი ნდობითა და გავლენით და ამიტომ გამ-ტკიცებულ არსებულ ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენენ არავითარ საშიშ-როებას, - **დაადგინა:** 1) ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას (სამღვდელოებაში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი), საკათალიკოსო საბჭოს წევრთ - კალისტრა-ტე ცინცაძეს, იასონ კაპანაძეს - დაუსწრებლათ, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს თანახმათ სისხ. სამარ. კოდექსის 10, 13, 15, 16, 60 და 73 მუხლებისა; 2) იმავ ბრალდებულთ ბესარიონ ხელაიას, კალისტრატე ცინცაძეს, იასონ კაპანაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს, მარკოზ ტყემალაძეს და აგრეთვე ანტონ თოთიბაძეს თანახმათ სისხლ. სამართ. კოდექსის 10 და 69 მუხლის მე-3-ე ნაწილისა; 3) ბრალდებულთ ბესარიონ ხელაიას, ნესტორ ლეჟავას და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს თანახმათ სისხლის სამართლის კოდექსის 15, 16, 10 და 105 მუხლებისა - **მიესაჯოთ:** 1) ბრალდებულ ბესარიონ ზოსიმეს-ძე ხელაიას (სამღვდელოებაში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი) მისთვის, რომ მან საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან კალისტრატე ცინცაძესთან, იოსებ მირიანაშვილთან, იასონ კაპანაძესთან, მარკოზ ტყემალაძესთან და ნიკოლოზ თავდგირიძესთან წინასწარ შეთანხმებით და ერთათ შეადგინა და გაუგზავნა გენუიის კონ-ფერენციას მოწოდება იმ მიზნით რომ გამოეწვია უცხო სახელმწიფოების ჩარევა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში (ინტერვენცია) რა ბოროტმოქმედებაც აღნიშნულია სისხ. სამ. კოდ. 10 და 60 მუხლებში - თავი-სუფლების აღკვეთა ცხრა წლით სასტიკი იზოლიაციით და ყოველი მისი ქონების კონფისკაციით; 2) იმავე ბრალდებულს ბესარიონ ხელაიას მისთვის, რომ სხვა ზემოაღნიშნულ საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთათ შეადგინა და გაუგზავნა რა გენუის კონფერენციას მემორანდუმი - მოათავსა შიგ კონტრ-რევოლიუციონურ მიზნით ცრუ ხმები ვითომ საქართველოს ერს ართმევენ ქონებას და გააქვთ საზღვარ გარეთ, მიწა-წყალს ურიგებენ სხვა ტომის შემოხიზნულ ხალხს და სხ. და სხ. რა ბოროტმოქმედებაც გათვალიწინებულია ს. ს. კოდ. 73 მუხლში - თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით გამასწორებელ სახლში მოთავსებით; 3) იმავ ბრალდებულს ბესარიონ ხელაიას, აგრეთვე ნესტორ ანდრიას-ძე ლეჟავას (სამღვდელოებაში მიტროპოლიტი ნაზარი) და არქიმანდრიტ პავლე პლატონის-ძე ჯაფარიძეს მისთვის, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც განაგრძობდნენ ყოფილ მენშევიკურ მთავრობის დროს თბილისიდან გატანილ და ქუთაისში მიწაში ჩაფლულ მცხეთისა და სიონის ტაძრების განძეულობის დამალვას, რა ბოროტმოქმედებაც აღნიშნულია სისხ. სამ. კოდექსის 15, 16, 10 და 105 მუხლებში - იძულებითი მუშაობა თვითეულ მათგანს ერთი წლის ვადით; 4) იმავ ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას თანახმათ სისხ. სამარ. კოდ. 69 მუხლის მე-3-ე ნაწილისა - ერთი წელიწადით თავისუფლების აღკვეთა; სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლის ძალით ბესარიონ ხელაიასადმი იმავ კოდექსის 73, 69 მუხლის მე-3-ე ნაწილში და 105 მუხლში აღნიშნულ ქმედობის ჩადენისათვის მისჯილი სასჯელი დაფარულ იქნეს იმავ ბრალდებულისათვის თანახმათ სისხ. სამართ. კოდექსის 10 და 60 მუხლებში აღნიშნულ ქმედობის ჩადენისათვის მისჯილ სასჯელით და ცალკე სისრულეში

საქართველოს ეროვნული არქივი

მოყვანილი არ იქნეს; თანახმათ სრულიათ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 8 მარტის ამნისტიის მე-2-ე მუხლისა მისჯილთ ნესტორ ანდრიას-ძე ლეჟავას და არქიმანდრიტ პავლე პლატონის-ძე ჯაფარიძისათვის დადებილი სასჯელი სრულიათ მოხსნილ იქნას; სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის ძალით მისჯილ ბესარიონ ხელაიას დადებულ სასჯელში ჩაეთვალოს დრო მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული; 4) საკათალიკოსო საბჭოს წევრთ - იასონ კაპანაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ მისჯილ ხელაიასთან წინასწარ შეთანხმებით და ერთათ შეადგინეს და გაუგზავნეს გენუიის კონფერენციას მოწოდება იმ მიზნით, რათა გამოეწვიათ უცხო სახელმწიფოების საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში ჩარევა (ინტერვენცია), რაიც გათვალისწინებულია ს. ს. კოდ. 10 და 60 მუხლებში - თავისუფლების აღკვეთა - პირველს - იასონ კაპანაძეს ცხრა წლით, დანარჩენთ კალისტრატე ცინცაძეს, მარკოზ ტყემალაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს და იოსებ მირიანაშვილს - ხუთი წლის ვადით თვითეულ მათგანს სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 5) ამავე ბრალდებულთ იასონ კაპანაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ შეადგინეს და გაგზავნეს რა გენუიის კონფერენციაზე მოწოდება - მოათავსეს შიგ ცრუ ხმები ვითომ საქართველოს ხალხს ართმევენ ქონებას და ეზიდებიან საზღვარგარეთ და სხვა - რა ქმედობაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 73 მუხლში - თავისუფლების აღკვეთა თვითეულს თითო წლის ვადით; 6) ბრალდებულთ მარკოზ ტყემალაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, ნიკოლოზ არჯევანიძეს და ანტონ თოთიბაძეს სისხ. სამარ. კოდ. 69 მუხლის მე-3-ე ნაწილში აღნიშნულ ქმედობისათვის თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით თვითეულ მათგანს სასტიკი იზოლაციით; თანახმათ სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლისა მისჯილთ კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძისათვის იმავე კოდექსის 10 და 60 მუხლების ძალით დადებული სასჯელით დაფარული იქნას იმავე ბრალდებულთათვის თანახმათ ს. ს. კოდ. 73 და 69 მუხლის მე-3-ე ნაწილის დადებული სასჯელი და ეს უკანასკნელი სისრულეში მოყვანილი არ იქნეს; სრულიათ საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 25 თებერვლის ამნისტიის მე-2-ე მუხლის ძალით მისჯილთ თოთიბაძესა და არჯევანიძეზე დადებული სასჯელი სრულიათ მოხსნილ იქნას; გარდა ამისა სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში 1) შესახებ იოსებ მირიანაშვილისა - მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ავათმყოფობა და აგრეთვე მისი მცირე ინტელექტუალური მონაწილეობა ქმედობაში, 2) შესახებ ბრალდებულ ტყემალაძისა - მისი გულწრფელი აღიარება თავის დანაშაულისა და მემორანდუმის შედგენისა და გაგზავნის შეცდომის თავიდანვე ცნობა - თანახმათ სისხ. სამართლის კოდექსის 28 მუხლისა შეუმცირდესთ - მირიანაშვილს და ტყემალაძეს მისჯილი ხუთ-ხუთი წელიწადი - ორ-ორ წლამდე თვითეულ მათგანს; იმავე კოდექსის 31 მუხლის ძალით და აგრეთვე თანახმათ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარისა მისჯილთ კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს თავისუფლების

საქართველოს ეროვნული არქივი

აღკვეთის ვადაში ჩაეთვალოთ ის დრო, რომელიც მათ წინასწარ პატიმრობაში და სამართლის ქვეშ დაყვეს. ამის გამო მსჯავრდებულნი მოთავსებული იქმნან გამასწორებელ სახლში თითეული შემდეგი ვადით: 1) ბესარიონ ზოსიმეს-ძე ხელაია - შვიდი წელიწადი, ცხრა თვე და ოც და სამი დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით; 2) იასონ კაპანაძე - ცხრა წლით სასტიკი იზოლაციით და მთელი მისი ქონების კონფისკაციით; 3) კალისტრატე მიხეილის-ძე ცინცაძე - სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოც და სამი დღით სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით; 4) ნიკოლოზ ყარამანის-ძე თავდგირიძე - სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოც და სამი დღით (3 წ. 9 თ. 23 დ.) სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით; 5) იოსებ დიმიტრის-ძე მირიანაშვილი - ცხრა თვე და ოც და სამი დღით სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით; 6) მარკოზ პავლეს-ძე ტყემალაძე - ცხრა თვე და ოც და სამი დღით (9 თ. 23 დ.) სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით. ბრალდებული დიმიტრი ივანეს-ძე ლაზარიშვილი როგორც უდანაშაულო სავსებით იქნას გამართლებული. მსჯავრდადებულნი კალისტრატე ცინცაძე, იოსებ მირიანაშვილი და ანტონ თოთიბაძე იმ ბრალდებაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 131 მუხლში დაუმტკიცებლობის გამო ცნობილ იქმნას უდანაშაულოთ. სასამართლოს ხარჯები მიღებულ იქნას სახელმწიფოთ. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები დარჩეს საქმეში გარდა საეკლესიო წიგნებისა, რომლებიც დაიგზავნოს კუთვნილებისამებრ. განაჩენი საბოლაოა და არ განსაჩივრდება. დასაბუთებული განაჩენი გამოცხადებული იქნება კანონიერ ვადაში.

თავმჯდომარე გ. ჩხეიძე /ხელრთვა/

წევრნი 1. გ. რთველაძე /ხელრთვა/
2. ვ. წივწივაძე /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 516, ანაწერი 2, საქმე 3, ფურცლები 245-248.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქეოლოგიო სექციის თავმჯდომარის სარგის კაკაბაძის ცირკულიარი ქუთაისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ისტორიული ღირებულების ნივთების მუზეუმში გადატანის შესახებ
1924 წლის 17 აპრილი

ასლი
ცირკულიარული

Გ.ს.კ. ს.ს.ს.ს. საარქეოლოგიო სექცია
1924 წ. მარტის 26 N5 ქუთაისის მაზრის აღმასკომს

ამ დღეებში საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგად. საარ-ქეოლოგიო საბჭოს წევრები ფინანსთა სახალხო კომისარიატის ოქრო-ვერცხლობის მაღაზიაში თფილისში წააწყდნენ სხვა და სხვა დასადნობად გამზადებულ ძველ საეკლესიო შემკულობათა ნატეხებს /ხატებისა და სხ./ ამ ნატეხებს შორის აღმოჩნდა რამოდენიმე ისტორიულ და ხელოვნების თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი საგნები. მათ შორის მე 12 საუკ. საუცხოო ხელობის ხატის მოჭედულობის ერთი ნატეხი, რომელიც გურიიდან ყოფილა ჩამოტანილი. საერქოლოგიო სექციამ ეს ნატეხი, ისე როგორც სხვა ისტორიულ ღირებულების ნივთები დაუყონებლივ გადაიტანა მუზეუმში. საარქეოლოგიო სექცია დიდის მწუხარებით აღნიშნავს, რომ, როგორც ზემოდ ნახსენებ ხატის მოჭედულობის ერთი ნატეხიდან სჩანს, ამ ხატის მოსპობით მსოფლიო მეცნიერებამ და ქართველ მშრომელთა ხალხმა დაკარგა ერთი ფასი საუნჯეთაგანი, რომელიც დაამშვენებდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუზეუმს, არამედ ევროპის მუზეუმებსაც.

როგორც თქვენც მოგეხსენებათ, უკანასკნელ წლებში ჩვენმა მეცნიერებამ ამ მხრივ ჰპოვა აუნაზღაურებელი ზარალი, მრავალი ძეგლები ძველი ქართუ-ლი მდიდარი ხელოვნებისა განსაკუთრებით საეკლესიო დარგის - დაიღუპნენ, ისინი მოსპობილ იქნენ ანდა დამტვრეულ და განადგურებულ, ნაცვლად ამისა, რომ ეს ფასდაუდებელი, ზოგ შემთხვევაში მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები გადატანილი ყოფილიყვნენ მუზეუმში და აქ დაცული ჩვენი მშრომელ ხალხის სასახელოდ. შეუგნებლობა და ჩვენი უკულტურობა რაც არის მიზეზი პირველ ხარისხოვან ძეგლებისადმი ასეთი მოპყრობისა, არ ამსუბუქებს მსოფლიო მეცნიერებისა, კულტურისა და ჩვენი მშრომელ ხალხის მომავალ ინტერესებისადმი ასეთი ძეგლების მოსპობით ჩადენილ დანაშაულს.

საარქეოლოგიო სექცია, სანამდის ჩვენში ჯეროვნად მოეწყობოდეს მასშტაბით სიძველეთა დაცვის საქმე, რის შესახებ საკითხი დასმულა სახალხო კომისართა საბჭოში, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები და გასცეთ მაზრაში თქვენს ხელქვეით მყოფ ორგანოების მიმართ სასტიკი განკარგულება, რათა ისტორიულ ღირებულების ძეგლები და ნივთები ხელუხლებლად და ფაქიზად დაცულ იქმნენ და ამით გაამაგროთ საქართველოს საბჭოთა აღმაშენებლობა ამ ფრონტზედაც და აგვაცდინოთ წარუხოცელ სირცხვილს მეცნიერებისა და ცივილიზაციის წინაშე. სექცია მუშაობს სახალხო კომისართა საბჭოსთან

საქართველოს ეროვნული არქივი

არსებულ სიძველეთა დაცვის კომიტეტთან შეთანხმებით. კომიტეტში, როგორც თქვენც მოგეხსენებათ შედიან სახალხო კომისარები. ამხ. ა. გეგეჭკორი, ამხ. დ. კანდელაკი და ამხ. ი. ვარძიელი.

გთხოვთ მიიღოთ სასტიკი ზომები, რათა ეკლესიებიდან გამოტანილი თუ სხვა გზით აღმასკომების განკარგულებაში მყოფი ისტორიულ ხასიათის ნივთები დაკარგვისაგან უზრუნველყოფილ იქმნას და აგრეთვე გამოყოფა ისტორიულ ხასიათის ნივთებისა და მათი გადარჩევა უბრალო მატერიალურ ღირებულების ნივთებისაგან ადგილობრივი გარდაწყვეტილებით არ ხდებოდეს, არამედ ამისთვის ყოველ კერძო შემთხვევაში მოითხოვოთ ჩვენგან სპეციალისტის ან სპეციალისტთა კომისიის გამოგზავნა.

ვინაიდგან საქართველოსი, როგორც მდიდარი ძველი კულტურის მქონე ქვეყნის, ისტორიული ნივთები /საეკლესიო-მონასტრების ძველი ნივთები და სხ./ აგრეთვე დიდი ნაწილი ისტორიულ შენობებისა /ძველი ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები და სხ./ კარგადაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში / ევროპიულ ენებზე და რუსულადაც/, ამიტომ არც ერთი დაკარგული ისტორიული ნივთი არ დარჩება მეცნიერებას შეუმჩნეველი.

სექცია ამასთანავე გაცნობებთ, რომ ისტორიულ ნივთების დაკარგვისა-თვის ან ისტორიულ შენობების დანგრევისათვის, ის ყოველს კერძო შემთხვევას - აღძრავს მთავრობისა და ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობას დამნაშავე პირთა სახალხო სამართალში მიცემის შესახებ. შედეგი მიღებული ზომებისა გვაცნობეთ, რათაც დიდად დაგვავალებთ.-

საარქეოლოგიო სექციის თავმჯდომარე ს. კაკაბაძე /ს. კაკაბაძე/
სექციის მდივანი ი. ჭეიშვილი /ი. ჭეიშვილი/

ადრესი: ქ. ტფილისი, ლენინის ქ. N48 ცენტრარქივის საარქეოლოგიო სექციისათვის. ამ ადრესით თანახმად ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა 27 სექტ. 1923 წ. თარიღით N95, შეიძლება გამოიგზავნოს უფასოდ კორესპოდენცია და ამანათიც წონით 16 კილოგრამამდე.

სწორია: საქმის მწარმოებელი
სარაიონო აღმასკომს.

ასლი ესე ეგზავნება ცნობათ და შესასრულებლათ.-

„10“ აპრილი 1924 წ. N4309.

მმართველობის განყ. გამგის და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე /
ხელრთვა/
საინფ. განყ. გამგე /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: სახელმძღვანელოდ. 17/IV. 1924 წ.; დოკუმენტს ბოლო გვერდზე ადევს რეზოლუცია: საქმეში. 17/IV. 1924 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 281, ფურცლები 33-34.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოდან ემიგრაციაში გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას გასამართლებაზე
1924 წლის 2 მაისი

მიღებულია 2 მაისს 1924 წ.

კათალიკოზ ამვროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების გასამართლება

10 მარტს 1924 წელს გაიხსნა უზენაესი სასამართლოს სესია. როგორც იცით ამვროსის ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან შეადგინა და გაუგზავნა გენუის კონფერენციას მემორანდუმი საქართველოს რუსის ჯარის მიერ დაპყრობის შესახებ. აგრეთვე მას და სხვა ბრალდებულთ სიონის ტაძრის და სხვა განძეულობის გადამალვა და დაფარვა, მიუხედავათ მთავრობის დეკრეტისა, რომ საქართველოს მოქალაქეთ ყოველივე განძეულობა უნდა ჩაებარებიათ მთავრობისთვის. საქართველოს ეხლანდელ მმართველებს დიდი იმედი ქონდათ ამ სასამართლოსი. მათ სურდათ ამით ეჩვენებინათ და დაემტკიცებიათ ყველასთვის, რომ ქართველმა ხალხმა ზურგი შეაქცია ყველა იმათ, ვინც ამა თუ იმ გზით სცდილობს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას და მასთან უნდოდათ სამღვდელოებისათვის სახელი გაეტეხათ. მათ უნდოდათ უკანასკნელი დაფნის გვირგვინი ჩაეწნათ იმ თავიანთ „დიდ მოღვაწეობაში", რომელიც ე. წ. რუსოფილ-ცენტრისტებმა დაიწყეს ამ ერთი წლის წინათ და რომელიც გამოიხატა ქართველი ხალხის სინიდისის შელახვაში, ქართული ეკლესია-მონასტრების დანგრევაში და აოხრებაში, სამღვდელოების დევნაში, ბევრი მათგანის ქურდულათ მოკვლაში და სხვა. ამბობენ ორჯონიკიძე წინააღმდეგი იყო ამ პროცესის წამოწყებისაო, მაგრამ ცეკაში წინააღმდეგ აზრმა გაიმარჯვაო. ორჯონიკიძე მართალი ყოფილა, რადგან ამ პროცესით კომუნისტებმა მიაღწიეს სულ იმის საწინააღმდეგო შედეგებს, რაც მათ მიზნათ ქონდათ დასახული. მთელი ხალხი განურჩევლათ ერთხმათ იმეორებდა ამას. ამ პროცესმა აშკარათ ყველასთვის და უპირველესათ კომუნისტებისათვის, რომ მთელი ქართველი ხალხი შეურყევლათ სდგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე. საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიებიც დიდი მადლობელი უნდა იყვნენ კომუნისტების ამ პროცესის წამოწყებისათვის, ვინაიდან მან ყველასთვის, თვით ბრმათათვისაც აშკარა გახადა აუცილებლობა ოკუპაციის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისა. მან მთელი საზოგადოება ააფორიაქა. რამდენი დღე გადიოდა, იმდენი ატმოსაფერა იკუმშებოდა. ბრალდებულებს, დამცველებს, მოწმეებს ყოველ საათობით ორეული ემატებოდა. კირილე ნინიძე ყველასთვის ხელზე საგოგმანებელი და საყვარელი გახდა. ამვროსის წამებულის დაფნის გვირგვინი დაედგა. ჩვენთვის, შეიძლება ჩვენდა მოულოდნელათ, ცხადი და ნათელი შეიქმნა ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხის, მთელი ქართველი ერის გულში შეუნელებლათ გუზგუზებს საქართველოს განთავისუფლების იმედი. და ის სწრაფათ ივიწყებს ამ თუ იმ ქართველის უარყოფით მხარეებს, როცა ეს

საქართველოს ეროვნული არქივი

უკანასკნელი მებრძოლთა რიგებში დგება. ჩვენთვის ნათელი შეიქმნა ის ფაქტი, რომ მიუხედავათ ბევრი მებრძოლის დაცემისა, დაჩოქებისა ქვეყანას უკლებლივ ერთად-ერთი იმედი ასულდგმულებს - იმედი განთიადის მოახლოებისა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეთ გიორგი ჩხეიძე ბრძანდებოდა. თითქოს განზრახ ეს ვაჟბატონი დაესკუპებიათ ამ მაღალ საპასუხისმგებლო პოსტზე, რათა უფრო აშკარა გამხდარიყო ბრალდებულთა ინტელექტუალური და ზნეობრივი სიმაღლე და ბრალმდებელთა სიბნელე და ზნეობრივი გათახსირება. გიორგი ჩხეიძე ცნობილია, როგორც ქურდი და გათახსირებული ადამიანი. ის ერთ დროს მოიჯარადრეთაც იყო და მუშებს ტყავს აძრობდა. ეხლაც კარგათ ითბობს ხელს, როგორც სხვა დიდი კომუნისტები, უვიცი, ხეპრე. მეორე მხრივ ბრალდებულები ყველა აკადემიკოსები, სამღვდელოების ყველაზე მეტად განათლებული და ზნეობრივი ნაწილი, მოღვაწენი, ცარიზმის დროს ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლნი, პატრიოტები.

საქმის გარჩევა ღია კარებში იქნებაო გამოაცხადეს. სინამდვილეში კი ამ ნიადაგზე ჩვეულებრივი ჩეკისტური ძალმომრეობა იყო გამეფებული. პროცესს აუარებელი ხალხი მოაწყდა. შიგ კი არავის უშვებდნენ, გარდა თავისიანებისა. მიუხედავად ამისა ნაწილი მაინც ახერხებდა შესვლას. წესრიგის და აუდიტორიის გაწმენდის საქმე ებარა პირველი რაიკომის თავმჯდომარე გოლდბაუმს. ეს ვაჟი ოფლში იწურებოდა, რომ დავალება კარგათ შეესრულებია. პირველ დღეებში წითელი ბილეთებით უშვებდნენ. შემდეგ, როცა ამანაც არ გასჭრა უკანასკნელ სამ სხდომაზე გამოდიოდენ და გვარებით გამოძახებით უშვებდნენ. ამით ნაძალადევის თეატრის ეზოში და ახლო-მახლო ქუჩაში მოზღვავებულ ხალხს, რომელიც ღამის თორმეტ საათამდე არ იშლებოდა, მოთმინებიდან გამოჰყავდა. ითხოვდნენ შესვლას, მაგრამ ვინ უშვებდა. გოლდბაუმი სინდისიერათ ასრულებდა დავალებას. ზალა ქუჩის მაწანწალებით და ხულიგნებით ავსებდა. ქართველ საზოგადოებას კი ახლოს არ აკარებდა. ამ ნიადაგზე ერთ საღამოს შეტაკებამდინაც კი მივიდა საქმე. კურსანტებმა რამდენიმეჯერ თოფები გაისროლეს და აღელვებული ხალხი დაჰფანტეს. შიგ აუდიტორიაში არ ყოფილა ისეთი დღე, რომ რამდენიმე კაცი არ დაეჭირათ. იჭერდნენ ყველას, ვისაც კარანდაშს და ქაღალდს დაუნახავდნენ. დაიჭირეს ერთი გიმნაზიის მოწაფე ხაფავა, რომელსაც აბრალებდნენ სტენოგრამის წერას თითქოს სოც-დემ. ცეკას დავალებით. ერთ დღეს მოწყალება მოიღეს და დეპო-სახელოსნოების მუშები თავისუფლათ შემოუშვეს (ეს მას შემდეგ, რაც მათ კოლექტიური პროტესტი განაცხადეს რომ არ უშვებდენ). ეს სწორეთ ის დღე იყო, როცა კირილე ნინიძე გამოვიდა დიდი სიტყვით. ხალხმა, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში აღიზიანებდენ და აბოროტებდნენ, ვერ მოითმინა, და კირილეს ოვაციები გაუმართა. აქვე დაიჭირეს ასამდე კაცი. მათ შორის ერთი კომუნისტიც შ. ნუცუბიძე - მასწავლებელი. მოაწყვეს რუსული შაბლონით დელეგაციები, რომლებიც ითხოვდნენ ბრალდებულების და დამცველების დახვრეტას. პირველი დელეგაცია სახელოსნოდან მოვიდა. ყველა უცხოელები გარდა ნაძალადევში კარგათ ცნობილი ჯაშუში ისაკა ლელაშვილისა. პროცესის ვგონებ მეოთხე დღეს სამ საათზე დაჰკეტეს დეპოს და სახელოსნოს კარები. უბრძანეს მუშებს თავი მოეყარათ. წარუდგინეს სია დელეგაციის - გამოაცხადეს

საქართველოს ეროვნული არქივი

სია მიღებულათ. შემდეგ ჩაუყენეს ჩეკისტები მუშებს და მირეკეს ნაძალადევის თეატრის ეზოში. ასეთ ძალმომრეობას უწოდეს 4000 მუშის სურვილი და ნების ყოფა, რომ დამნაშავენი დახვრეტილ იქმნენ. გაუცხადეს სასამართლოს თითქოს მუშები აღელვებულია და თავმჯდომარეს თხოულობსო. თავმჯდომარე სწყვეტს სხდომას და გამოდის მათ „დასაწყნარებლათ". მუშები მართლა აღელვებული იყვნენ, მაგრამ არა იმიტომ, რასაც გაზეთში სწერენ, არამედ იმ ძალმომრეობის და თვალთმაქცობის გამო, რაც პროცესზე და პროცესის ირგვლივ ხდებოდა. ასეთი „დელეგაციები" და მუშათა „პროცესიები" რამოდენიმეჯერ მოათრიეს „სასამართლოში", პლაკატებით და სხვა. მოდიოდა რუსები, სომხები, ქურთები, მეეზოვეები, ქუჩის ბიჭები.

შიგ სასამართლოს დარბაზში ხო ნამდვილი ვაკხანალია იყო. გოლდბაუმმა მოახდინა კომსომოლისტების მობილიზაცია. კომსომოლის უმრავლესობა ხომ უცხოელია, ხულიგანები, ქუჩის ბიჭები: მთელი ქანდარა ამათ ეკავა, ყოველ გამოსვლას ბრალდებულთა თუ დამცველთა სტვენით, კიჟინით, ლანძღვა-გინებით ხვდებოდნენ. თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ხანდახან ტუჩებზე ღიმილით შეაჩერებდა - ერთხელ თითქოს სხდომის შეწყვეტაც კი მოინდომა. ეს რასაკვირველია წინდაწინ მოფიქრებული თვალთმაქცობა იყო. ყვირილი განუწყვეტელი იყო: „ძირს ნინიძე, ძირს ამვროსი, ძირს ბარათოვი". სახელდახელოდ ასწავლეს ორი-სამი ქართული სალანძღავი სიტყვები და აყვირებდენ უსირცხვოთ, ქუჩურათ. კავო ვიდელ? პოპა გდე? ... ტამ-ტო ჩტო-სდელალ დალ პო .... კე და სხვა ასეთი მარგალიტები. ამას ღიმილით და სიამოვნებით უსმენდენ უზენაესი სასამართლო და საქართველოს მესვეურნი. დამცველ ბარათაშვილის მელოტ თავს კომპლიმენტებით ამკობდნენ. აბამდენ პალტოზე კარიკატურებს. ადიოდენ სასამართლოს მაგიდასთან და კარიკატურებს ცხვირში სჩრიდნენ ვექილებს და ბრალდებულებს. საჭირო იყო იობისებური მოთმინება, რომ კაცს ეს დამცირება და ძალმომრეობა აეტანა. ვექილები და ბრალდებულები შესანიშნავათ იჭერდნენ თავს. ნინიძის ოლიმპისებური სიმშვიდე მოთმინებას უკარგავდა ხულიგანთა ბრბოს. ამ უკანასკნელთა 90% ხომ უცხოელები იყვნენ, ქართული არ იცოდენ. ამისთვის ლოჟაში გოლდბაუმმა დააჯინა კომუნისტი ქართულის მცოდნე, რომელიც იქიდან ქანდარას ცხვირსახოცით ნიშანს აძლევდა, როდის ეყვირათ და როდის არა. ყველაფერი ეს, ყოველი სიტყვა, მოქმედება ელვის სისწრაფით ედებოდა მთელ ქალაქს და ხალხს აღელვებდა. მიუხედავათ ათასგვარი ზომებისა, უკანასკნელი სამი სხდომის გარდა (როცა გოლდბაუმს მხოლოდ სიებით შეყავდა კომუნისტები) დარბაზში საკმაო ხალხი ახერხებდა შეძვრენას. ამისთვის გაღიზიანებული საზოგადოება ყოველივე ხრიკებს და ეშმაკობას მიმართავდა. პირველ დღეს, როცა დარბაზში შემოვიდა ამვროსი, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. მოსამართლეებს კი არ აუდგა. მეორეჯერც ასეთი სურათი განმეორდა. ამის შემდეგ ჩხეიძემ „უხრიკა" და ყოველთვის სასამართლოს წევრები შემოდიოდნენ ამვროსისთან ერთად, რათა გაენელებიათ ეს აშკარა დემონსტრაცია.

ყველა ბრალდებულმა არაჩვეულებრივი სიმხნევე და გაბედულება გამოიჩინეს. მთელი პროცესის განმავლობაში შეურყეველი ფრონტით იდგენ ეროვნული ინტერესების ნიადაგზე. ამვროსის ჰკითხეს, იყავი თუ არა როდისმე

საქართველოს ეროვნული არქივი

პასუხის გებაშიო. ცარიზმის დროს მდევნიდენ და დამსაჯეს სწორეთ იმისთვის, რისთვისაც თქვენ მასამართლებთო.

დამცველებმა მოითხოვეს საექსპერტო კომისიები, გამოსარკვევათ იმისა, მართალი იყო თუ არა მემორანდუმში მოხსენებული, რომ ქონება გაზიდეს საქართველოდან, რომ საქართველოს მიწა-წყალს უცხოელებმა დაეპატრონა და სხვა. რასაკვირველია ეს შუამდგომლობა სასამართლომ უარყო. მიუხედავათ ამისა პროცესმა რამდენიმეთ მაინც ახადა ფარდა ამ საშინელებას, რაც საქართველოს დაატყდა და სწორეთ ამიტომ იყო, რომ ცეკა და გოლდბაუმი ასე ცხრილავდენ დამსწრეებს. ქონების გაზიდვა დამტკიცდა, როსტოვში რომ თფილისის ტრამვაის საუკეთესო ვაგონები წაიღეს და სხვა. მიწა-წყალის დაპატრონება ხომ იოლი დასამტკიცებელი იყო. ყარაიაზი და საგარეჯოს მონასტერი ეხლა ადერბეიჯანის ხელშია, ცხინვალი ოსების ხელში, აფხაზეთი გაარუსეს და სხვა და სხვა. უცხოელები გააბატონეს. ენა შერყვნეს, დაამცირეს. ეს ყველაფერი ყველასთვინ ნათელი შეიქმნა. ბრალდებულთა უმეტესობა ჩეკაში აწამეს. იქ მათთვის სასურველი ჩვენება მიაცემინეს. საბჭოს წევრი ნიკო თავდგირიძე პროკურორის ოკუჯავას შეკითხვაზე - რატომ ეხლა სხვას ლაპარაკობ და ჩეკაში კი სხვა პირობებში ვიყავიო. ოკუჯავა დაჟინებით მოითხოვს - რა პირობები იყოვო. თავდგირიძე სთხოვს გაანთავისუფლონ ამ კითხვაზე პასუხის მიცემიდან, რადგან ეს პასუხი მთავრობას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებსო. შემდეგ მაინც ამბობს ზოგ რამეს, ძლიერ ცოტას (მთელი საგამომძიებლო მასალა რუსულ ენაზეა შედგენილი) დაკითხვის წინ გამომძიებელმა მიკმა ჩეკის სარდაფიდან შეიყვანა ის პატარა სრულიად ბნელ კარცერში, სადაც, მიუხედავათ იმისა, რომ დაპირდა მალე შემოვალო, გაგიყვან ჩვენებისთვისო, 24 საათის განმავლობაში დაჰყო ფეხზე სივიწროვის გამო ნახევრად მოხრილი. იატაკზე საშინელი სიბინძურე იყო. მეორე დღეს მიკი მოვიდა და დაემუქრა - უარესი მოგელის თუ ისეთ ჩვენებას არ მოგვცემ, რაც ჩვენ გვესაჭიროებაო. ჯაფარიძეს არაფერი უთქვამს მისი წამების შესახებ, მაგრამ ყველამ იცის რომ მას თავზე მუხრუჭი მოუჭირეს. მიუხედავათ ამისა სასამართლოში ყველას ღირსეულათ ეჭირა თავი. ყველამ ერთნაირათ და გაბედულათ აღნიშნეს, რომ ამვროსის მიერ გაგზავნილი მემორანდუმი მიზანშეწონილი იყო, მისი გაგზავნის უფლება ქონდა, რომ მემორანდუმი გამოხატავდა ხალხის სულის კვეთებას და ამიტომაც იყო, რომ მას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. მოწმეებიც ყველა გაბედულათ იქცეოდა. მაგალითად პროკურორი ერქომაიშვილი (კოოპერატივის ყოფილი მოანგარიშე) ეკითხება მოწმე აკადემიკოს თალაკვაძეს: „ქონდა თუ არა უფლება ამვროსის გაეგზავნა მემორანდუმი საბჭოს დაუკითხავათ?“ თალაკვაძე: „ის როგორც პატრიარქი აღჭურვილი იყო ყოველნაირი უფლებებით და ამიტომ ქონდა უფლებაო.“ ერქომ: „როდის გაიგეთ მემორანდუმის შინაარსი?“ თალაკვაძე: „როდესაც გაზეთებში გამოქვეყნდა.“ ერქომ: „რა გავლენა მოახდინა შენზე მემორანდუმმა?“ თალაკ: „მემორანდუმმა შემაშინა იმდენათ, რამდენათაც ის კიდევ უფრო გააძლიერებდა ეკლესიის წინააღმდეგ დევნას.“ - ერქომაიშ: „როგორი გავლენა იქონია ხალხზე მემორანდუმმა?“ - თალაკვ: „მემორანდუმს აღფრთოვანებით შეხვდა ქართველი ხალხი და მასთან ერთად ქართველი სამღვდელოება.“ - ერქომ: „თუ კი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი იყო

საქართველოს ეროვნული არქივი

მემორანდუმი, რატომ არ მოიწვია ამვროსიმ ხალხი და საბჭო და მათთან ერთად არ შეადგინა ის?“ თალაკვაძე: „ხალხის თავის მოყრა არ შეიძლებოდა, არც საბჭოსი, დაიჭერდნენ, დაშლიდნენ და მემორანდუმსაც ვეღარ გაგზავნიდაო.“ შემდეგ თალაკვაძე ჩამოთვლის სად რა დაკარგა საქართველომ ტერიტორია, ქონება, სად ჩაასახლეს უცხოელები და სხვა.

თან და თან რაც დრო გადიოდა პროცესზე როლები იცვლებოდა. ბრალდებულები და ვექილები თავდაცვიდან შეტევაზე გადადიოდენ. სასამართლო და ბრალმდებლები თავს იცავდენ. ეს აშკარა გახდა სრულიად, როცა „პროკურორმა“ სიტყვა აიღო. საცოდავი ერქომაიშვილი არაფერს არ გავდა. ცუდი როლი დააკისრეს ამ საბრალოს. თავს იცავდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ნინიძემ დიდი და სერიოზული სიტყვა წარმოსთქვა. მან ხაზი გაუსვა მისი მდგომარეობის სიძნელეს, როცა მას, როგორც სოციალისტს უხდება სამღვდელოების დაცვა და თავის თავისაც ქანდარის ბრბოისაგან. მას აუარებელი ფაქტები მოყავს მემორანდუმში მოყვანილი დებულებების დასამტკიცებლათ. ნინიძის სიტყვა ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა, რასაც ასამდე კაცის დაჭერა მოყვა. შემდეგ სხვა ვექილებმა ილაპარაკეს. ამვროსიმ თავი დამნაშავეთ არ იცნო, რეზოლიუციაში კი ნათქვამია თითქოს ამვროსიმ და სხვებმა თავის დანაშაულობა აღიარეს. ეს ტყუილია თავიდან ბოლომდე.

ბაგრატი

რაც შეეხება განძეულობის გადამალვას, ამის შესახებ ბრალდებულებმა, მოწმეებმა და ვექილებმა მრავალი ფაქტი მოიყვანეს, რომ ძველათ საქართველოში, როცა მტერი შემოესეოდა - სამღვდელოება ქონებას საიმედო ალაგას მალავდა, რათა ის ერისთვის შეენახა. ეხლაც ამ მიზნით მოვიქეცით ასეო.

ბ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 124, ფურცლები 4-9.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ 1924 წლის 2 მაისი

27 მარტი 1924 წ. (მიღებულია 2 მაისს)

დამკომის წერილი

მოკლეთ გაგიმეორებთ წინა წერილებში მოწერილს - შეიძლება ზოგიერთი წერილი იკარგება. გითვლიდით, რომ თებერვლის ბოლო რიცხვებში და მარტის პირველ რიცხვებში დიდი ზარალი მოგვივიდა, ჩვენმა აპარატმა გასძლო სამი თვე, ბევრი ორგანიზაციები დაინგრა. ამ სამი თვის წინეთ გამოსვლა შეიძლებოდა. გადარჩენილს ვუფრთხილდებით. დანგრეულს ვადგენთ. ორი მთავარი დაბრკოლებაა: 1) პროვოკატორებით ვართ შემორტყმული (ხრწნიან ფულით, წამებით და სხვა). 2) სრული უფულობა. თქვენი ნდობით აღჭურვილი ვაჟბატონები აქ ყოვლათ უსინდისოთ იქცევიან. უკანასკნელი სამი ათასი და კიდევ სამი ათასი არ მიგვიღია. ამიტომ ფართო მასშტაბით მუშაობა შეჩერებულია. კეთდება კუსტარულათ მხოლოდ. განა ასეთ საქმიანობას გვიკარ-ნახებს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა? გვაცნობეთ დაწვრილებით რა ფაზისშია ჩვენი საკითხი მანდ. რა ნაბიჯებს სდგამთ ან უკვე გადასდგით ევროპის საზოგადოებისა და დიპლომატიური აზრის ჩვენ სასარგებლოთ მომართვისათვის?

მარტის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყეს მასიური ჭერა, უმთავრესად პროვინციაში. მარტო სენაკის მაზრაში 1000 კაცზე მეტია დაჭერილი (მოხუცი, ახალგაზრდა, დედაკაცები ძუძუმწოვარი ბავშვებით). შორაპნის მაზრასაც ეს ბედი ეწვია. ქართლ-კახეთი დარბეულია (აქ მუშაობს მხეცი სადისტი ჩეკისტი დევდარიანი. აპატიმრებს უდანაშაულო ხალხს, ყრის ნესტიან ცივ სარდაფებში, აწამებს, ატიტვლებს და ცივ წყალს ასხამს, რათა ათქმევინოს რაიმე, ხვრეტს). ბორჩალოს მაზრაში გრძელდება ჭერა. ყველგან საშინელი წამება. მსხვერპლი ევედრება მტარვალებს - დახვრიტოს, რომ ბოლო მოეღოს ფიზიკურ და სულიერ ტანჯვა-წამებას. ადერბეიჯანთან დღესაც მოწყვეტილი ვართ. წავაწყდით პროვოკატორთა ქსელს. ვუდგებით სხვა გზით. როგორც გწერდით, მთა მაგრათაა, გვაქვს მუდმივი კავშირი. მას აქვს კარგი კავშირი და დამოკიდებულება თერგის კაზაკებთან. როგორც გწერდით, სომხეთი მიუდგომელია. ის კავშირში არ შემოდის. ჩვენ ვცდილობთ მიუდგეთ, რათა ნეიტრალიტეტი მაინც დაიცვას. მაქ მოელაპარაკეთ მაგათიანებს, იქნებ იქონიონ გავლენა აქაურებზე. მხო-ლოთ დაგვისახელონ ვისთან დავიჭიროთ საქმე. ძალებით დავსუსტდით. მოგვე-შველენით. დაპირებული ხალხი არ სჩანს.

წინათ გითვლიდით დამკომის დადგენილებას მაქედან გამოგზავნილ პარტიათა წარმომადგენლების და მთავრობის შორის შეთანხმების შესახებ. დამკომმა არ დაადასტურა იგი. დასტოვა ძალაში სტატუსკვო ე. ი. აქ დადებული

საქართველოს ეროვნული არქივი

ხელშეკრულება. მხოლოთ გააუქმა მაქაური პარტიათა წარმომადგენლობა და დაარსა პარიტეტული კოლეგია. დაგპირდით ამ კოლეგიაში წარმომადგენლების დანიშვნას. ახლა გითვლით: ესდეკებიდან - კ. ჩხეიძე, ენდეკებიდან - კედია. სხვებიც შემოთვლის. კოლეგიას ევალება აწოდოს დამკომს ინფორმაცია მთავრობასთან ერთად, გზავნოს კაცი ვრცელი მოხსენებებით და გზავნოს ანგარიშები ფინანსების და მთავრობის პოლიტიკური მუშაობის შესახებ. განმეორებით ეთხოვოს მთავრობას, რომ მან მოიწეროს როდის რამდენი და ვისი ხელით გამოუგზავნა დამკომს. ეხლა საჭიროა დიდი თანხა.

დამკომი გაეცნო ვეშაპელის ინტერვიუს ალექსინსკის გაზეთში და დაადგინა: „ვეშაპელის ინტერვიუს დამკომი სთვლის საზიანოთ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის და დაუშვებლათ მიაჩნია ასეთი უპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა პარტიის ოფიციალური წარმომადგენლის მხრივ. ამიტომ გამოეცხადოს ვეშაპელს საყვედური“.

გულითადი სალამი ყველას.

დიმიტრი (კოტე)

კათალიკოზის გასამართლების შესახებ გეგზავნებათ ცალკე კორესპოდენ-ცია. რასაც ჩავიგდებთ ხელში ამ საინტერესო პროცესის შესახებ მოგაწვდით.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 139, ფურცლები 24-25.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაჟარი ლეჟავას განცხადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საცხოვრებელი ბინის, საეპარქიო კანცელარიის შენობის, ჩამორთმეული ნივთებისა და სამღვდელმსახურო შესამოსელის დაბრუნების თაობაზე
1924 წლის 17 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის
თხოვნა

1923 წელს, ჩემი დაპატიმრებისა და თბილისში ჩამოყვანის შემდეგ, ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებას დაუკავებია ჩემი საცხოვრებელი ბინა „არქიელის გორაზე" და შიგ ექიმ სიმონ ლორთქიფანიძის შუამდგომლობით (რომელიც ზევით გორაზე ცხოვრობს) ფერმიდან გადმოუტანია შამშე ლეჟავას სახელობის ბავშვთა თავშესაფარი და მოუთავსებია და ჩემი წარმომადგენლის დაუსწრებლად აუწერია და წაუღია ჩემი კუთვნილი ქონება, რაცა მომეპოებოდა კაბინეტში, ზალაში, საძინებელ ოთახში, სასადილოში და სამზარეულოში. ამავე აღმასკომს დაუკავებია იმერეთის საეპარქიო კანცელარია და ქუთაისის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევის დროს წაუღია იქიდან ყოველგვარი სამღვდელმსახურო შესამოსელი. ასე რომ, დღეს განთავისუფლების შემდეგ, აღარც ბინა მაქვს საცხოვრებელი, არც ჩემი ქონება პირადი, არც საეპარქიო კანცელარია და არც შესამოსელი ღვთისმსახურების შესასრულებლად. ეს გარემოება გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებს როგორც მე პირადად, ისე კიდევ კერძოთ ქუთაისის და საერთოდ მთელ იმერეთის ნახევარ მილიონ მორწმუნეთა, რომელნიც ამგზით შევიწროებულნი არიან თავის რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

მაქვს პატივი მივაქციო თქვენი ყურადღება შემდეგ გარემოებას:

1) ჩვენი მთავრობა არც ერთ რელიგიის მიმდევართ არ აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ იმათ საშუალება არ ჰქონდეთ დაიკმაყოფილონ სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, იმედია - არ ჩააყენებთ ასეთ მდგომარეობაში ქრისტიან ქართველებსაც.

2) არც ერთი რელიგიის უმაღლესი წარმომადგენელი არც რუსების, არც ბერძნების, არც პოლონელების, არც სომხების, არც თათრების და არც ებრაელების, იმიტომ რომ ის მღვდელმსახურია, მთავრობას არ დაუტოვებია უბინაოდ, უკანცელარიოდ და უშესამოსლოდ, ვიმედონებ - არც მე ქრისტიან ქართველების წარმომადგენელს დამტოვებს, მით უმეტეს რომ ჩვენ ქართველები ვართ და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი და მთავრობა პირველ ყოვლისა ვალდებულია უფრო მეტი ყურადღება და მფარველობა ჩვენ გაგვიწიოს და არა სხვა ერს და სხვა ტომს.

3) რაც შეეხება ჩემს საცხოვრებელ ბინას და კანცელარიას, ისინი თავის დროზე არ ყოფილა აშენებული არც სახელმწიფო, არც საზოგადოებრივი ფულით, ისინი აუგია იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას საკუთარი ხარჯით და

საქართველოს ეროვნული არქივი

არა რაიმე სასპეკულიანტო მოსაგებათ მიზნით, არამედ საეკლესიო-საეპარქიო საჭიროებათათვის.

4) ამასთან საჭიროდ ვსცნობ მოგახსენოთ, რომ საქართველოს აღმასკომის თავმჯდომარემ მოქალაქე მიხა ცხაკაიამ, როდესაც მე მას პირადად გავაცანი ზემოაღნიშნული გარემოებანი, მომცა თავისი პატიოსანი სიტყვა და აღთქმა, რომ ჩემი სრულიად კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილება უსათუოდ იქნება დაკმაყოფილებულიო.

ყველა ამის მიხედვითა უმორჩილესად გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა მე დამიბრუნდეს ჩემი საცხოვრებელი ბინა „არქიელის გორაზე" ყველა ნივთებით და საგნებით, რომლებიც მასში იყო, საეპარქიო კანცელარიის შენობა და მასთან ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან წაღებული სამღვდელმსახურო შესამოსელი, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის აღმასკომი შესაძლებელია ამის წინააღმდეგი იყოს. ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება იქნება აქტი სახელმწიფოებრივ სამართლიანობისა, რომელიც მორწმუნე ხალხის შეგნებაში უაღრესად განამტკიცებს და გააძლიერებს საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს.

ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი
N100
6,V,24 წ.
ქ. ქუთაისი.

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 1924 წლის 13/V; დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ქუთაისის აღმასკომს ახსნა განმარტებისათვის. 17/V.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 257, ფურცლები 43-44.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარი ლეჟავას განცხადება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ქუთაისის საკათედრო ტაძრის (სობოროს) დანგრევის მიზანშეუწონლობის შესახებ
1924 წლის 22 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს მთავრობას

ქუთათელ მიტროპოლიტ
ნაზარის

განცხადება

ეს სამი დღეა ქუთაისში მორწმუნეთათვის თავზარდამცემი ხმა გავრცელდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლების შუამდგომლობით და ცენტრალურ მთავრობის დადასტურებით გადაწყვეტილია ქუთაისის საკათედრო ტაძრის დანგრევა და მიწასთან გასწორება. ამის გამო მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი:

1) საერთოდ ყოველი საკათედრო ტაძარი და კერძოთ ქუთაისის ემსახურება არა მარტო რომელიმე რელიგიოზურ საზოგადოებას, არამედ მთელი ეპარქიის მორწმუნეებს, რადგან იმერეთის ეპარქიაში მხოლოდ აქ სრულდება სამაგალითო საზეიმო სამღვდელმთავრო ღვთისმსახურება: მღვდლის, დეკანოზის, იღუმენის, არქიმანდრიტის, დიაკონის და იპოდიაკონის კურთხევა.

ქუთაისის საკათედრო ტაძრის დაკეტამ ძაძებით შემოსა მორწმუნეები, ხოლო მისი დანგრევა უეჭველად სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს და სარწმუნოებრივ აღშფოთებას გამოიწვევს არათუ ქუთაისის მორწმუნეთა შორის, არამედ იმერეთის ნახევარ მილიონ მორწმუნეთა შორის. ასეთი სარწმუნოებრივ გრძნობის შელახვა არ მომხდარა არათუ ჩვენს მეზობელ სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებში, არამედ არც რუსეთში, სადაც დღეს სარწმუნოებრივი ცხოვრება დუღს და გადადუღს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართლიანობის საფუძველზე არ უნდა მოხდეს არც საქართველოში.

2) არ შემიძლია არ მოვიგონო ის საშინელი უსიამოვნება, რომელიც გამოიწვია რუსეთში ვარშავის რუსების მართლმადიდებელი ტაძრის დანგრევამ არათუ მორწმუნეთა შორის, არამედ მთავრობის წარმომადგენელთა წრეებში, რაც ხაზ-გასმით აღნიშნეს არათუ რუსეთის, არამედ საქართველოს და სხვა რესპუბლიკის გაზეთებმა. ნუთუ დანგრევა არ მოგვწონს უცხო სახელმწიფოში, ჩვენში უნდა იყოს მიღებულ-მოწონებული?

3) ეს ტაძარი დიდი ისტორიული ძეგლია იმერეთის ნახევარ მილიონ ქართველ მორწმუნეთა. ის აგებულია იმერეთის გლეხების მიერ ბატონყმობისაგან განთავისუფლების სახსოვრად, რომლის დამამტკიცებელი დოკუმენტი კარგა ხანია წარდგენილი არის საეკლესიო საქმეთა გამგე კომიტეტის წინაშე და ურიცხვი კიდევ ინახება და დაცულია ქუთაისის საეპარქიო კანცელარიის არქივში.

4) გაუგებარია, რა უნდა შესძინოს ვისმეს ამ მორწმუნე ხალხის ოფლით და სისხლით აშენებულ ძეგლის და სალოცავის დანგრევამ? ყველასათვის ცხადია,

საქართველოს ეროვნული არქივი

ეროვნული არქივი

რომ ამ ტაძრის დარღვევა იმერეთის ყველა მაზრებში მორწმუნეთა შორის დიდ მითქმა-მოთქმას, უკმაყოფილებას და სულიერ აღშფოთებას გამოიწვევს; მიუწდომელია რატომ უნდა ვცდილობდეთ ხალხში უკმაყოფილების გაძ-ლიერებას და განვითარებას. როდესაც მოსკოვში კრებაზე საზღვარ გარეთელ კომუნისტებმა დაგმეს საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი ანტირელიგიოზური მოქმედებანი, რამდენად მახსოვს, ზინოვიევმა განაცხადა, რომ მე ურჩევდი ქართველ ამხანაგებს სარწმუნოების საკითხს ფრთხილად მოქცევოდნენო და თუ მართლა დასახელებულ ტაძრის დანგრევაა გადაწყვეტილი, განა იმავე შეცდომების განმეორება არ არის?

ყველა ამის მიხედვით მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს მთავრობას, რათა მან კეთილ ინებოს გააუქმოს და სისრულეში არ მოიყვანოს ქუთაისის საკათედრო ტაძრის დანგრევის შესახებ გადაწყვეტილება, რომელი ტაძარი არის დიდი ისტორიული ძეგლი, არამედ მორწმუნეთა გასახარებლად და ....მოდ (არ იკითხება - გამომცემლები) გულის მოსაგებად და კმაყოფილების გრძნობის დასამყარებლად, მოულოდნელად კიდევაც უნდა გახსნათ, რათა მთავრობისადმი მადლობითი გრძნობით აღავ-სენ; მით უფრო, რომ ასეთი განკარგულება სრულად არ იქმნებოდა წინააღმდეგი ეკლესიის შესახებ გამოცემულ დეკრეტებისა.

ქუთათელი მიტროპოლიტი
ნაზარი
22, V, 24

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: არსებულ საარქეოლოგიო კომისიას. კუთვნილებისამებრ.

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 317, ფურცლები 65-66.

საქართველოს ეროვნული არქივი

პატიმრობაში მყოფი ნოე ხომერიკის წერილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, რათა მას დაუბრუნდეს მთავრობის დადგენილებით ჩამორთმეული საოჯახო ნივთები
1924 წლის 20 ივნისი

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

ამ ოთხი თვის წინათ მე გადავეცი ერთ პირს რწმუნების ქაღალდი, რომ მას მიეღო თავის განკარგულებაში ჩემი საოჯახო ნივთები, რომელიც დარჩა ჩემს ყოფილ ბინაზე (ანასტასიას ქ. 28. 13) 1921 წ. მარა მისთვის ამაზე უარი უთქვამთ და მიზეზათ ის დაუსახელებიათ, რომ არსებობს მთავრობის დადგენილება, რომლითაც ყველა გადახვეწილ პირთა ქონება ჩამოურთმევიათ.

სამწუხაროთ, მე არ ვიცი რომელ დადგენილებაზეა ლაპარაკი, იმ დროს მე საქართველოში არ ვყოფილვარ და შეძლება არ მქონდა თვალყური მედევნებია ყველა დადგენილება-განკარგულებისთვის. არ ცოდნა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში პრეტენზიის საბუთი არ არის, მარა მე მაინც არ შემიძლია ჩემი გაკვირვება არ გამოვსთქვა ასეთი დადგენილების გამო, თუ ის მართლათ გაგებულია და სისწორით უდგება მოცემულ შემთხვევას.

პირველ ყოვლისა უნდა განვაცხადო, რომ მე ჩემს თავს სრულიადაც არ ვთვლიდი გადახვეწილათ და ემიგრანტათ. მე წავედი აქედან დაღლილობისა და ავათმყოფობის გამო, რომ დროებით დამესვენებია იქ, სადაც საამისო პირობები მიმეგულებოდა. მე რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი იმაში, რომ საქართველოში იმ ხანათ ამას შევსძლებდი, რასაკვირველია, აქედან არ წავიდოდი. რომ ეს ასეა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მე პირველ შესაძლებლობისთანავე დავბრუნდი სამშობლოში, მართალია, დავბრუნდი არალეგალურათ, მარა ეს გარემოება არ სცვლის საქმის არსებით მხარეს. რამდენათაც ვიცი, არალეგალურათ მცხოვრებ პირთათვის დღემდი არავის არავითარი ქონება ჩამოურთმევია.

მარა ესეც რომ არ იყოს, განა შეიძლება ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები ჩაითვალოს იმ ქონებათ, რომლის ჩამორთმევა წარმოადგენს რაიმე საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ინტერესს? მე მესმის ჩამორთმევა ადგილ მამულის, სახლ-კარის, ფაბრიკის, თუ გინდ ძვირფასი ავეჯეულობის, ხოლო ვერ გამიგია ჩამორთმევა უბრალო მაგიდის, სკამის, ძველი ტანისამოსის და სხვა ასეთი ნივთების. მე მეეჭვება, რომ მთავრობის დადგენილება ამას ეხებოდეს. მართალია, სხვაგვარი ქონება მე არასოდეს მქონებია და შემიძენია, მარა ეს გარემოება, ვფიქრობ, ვერ გამოდგება იმის გასამართლებელ საბუთად, რომ იგი მე წამერთვას.

იძულებული ვარ ამ საგანზე ვილაპარაკო ჩემი ახლანდელი მდგომარეობის გამო. მე რომ ჩემ თავს ვეკუთვნოდე და ხელფეხშებოჭილი არ ვიყო, რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკით არავის მოვაწყენდი და მით უფრო თქვენ. მარა მოგეხსენებათ, მე დღეს ციხეში ვზივარ და შეძლება არ მაქვს ვიშრომო და ჩემი მოთხოვნილება დავიკმაყოფილო. სუსტი ჯანმრთელობის მიზეზით იძულებული ვარ გარედან მოტანილი საჭმლით ვისაზრდოვო, არ მაქვს საღსარი შევიძინო

საქართველოს ეროვნული არქივი

წიგნები, ტანისამოსი და სხვ. ერთად ერთი საშვალება - ეს ის იყო, რომ ხსენებულ ნივთებს ვისმეს გავაყიდვიებდი და მით ამ პირობებში თავს შევინახავდი. თუ ეს ნივთები წამერთმევა მე, ამით ყოველივე ამის საშვალება მომესპობა.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ხსენებულ ნივთთა შორის არის ჩემი ბავშვის საწერი მაგიდა და როიალი, რომელიც მას საჩუქრათ უყიდა ბიძამისმა იას. ნიკოლაშვილმა; არის აგრეთვე პატარა შკაფი, რომელშიაც იმყოფება ჩემი უფროსი განსვენებული ბავშვის დანატოვარი ნივთები, რომელთაც ჩემთვის ძვირფასი მნიშვნელობა აქვს და სხვისთვის კი არავითარი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მოგმართავ თქვენ განიხილოთ ეს საკითხი და ახსნათ ყადაღა ხსენებულ საოჯახო ნივთებს, რათა მომეცეს მე საშვალება მათი გამოყენების.

ამასთანავე გთხოვთ მაცნობოთ შედეგი ამ ჩემი მომართვისა.

ნ. ხომერიკი
18 ივნისი, 1924 წ.
ამიერკავ. განსაკუთრებული კომისია.

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ბეჭედი თარიღით 1924 წლის 20 ივნისი; დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: უარი ეთქვას. არქივში.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 257, ფურცლები 34-35.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ
1924 წლის 2 ივლისი

N12. 2/VI 1924 წ. (სტამბოლში მიღებულია 2 ივლ. 1924)

დამკომის წერილი მთავრობას

თქვენ 8 მაისის თარიღით გამოგზავნილი წერილი მივიღეთ. იძლევით წინადადებას, შეკითხვებზე დროს ნუ კარგავთ, ერთი წამით შესაფერი მომენტი არ გაუშვათო.

აშკარაა თქვენ გვპასუხებთ დაგვიანებით მიღებულ ჩვენს 27 მარტის წერილზე, რადგან ჩვენ შემდეგ წერილებში, რომელიც უკვე მიღებული გექნებათ, ჩვენ აღარ გეკითხებით, რადგან ვიცით, რომ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენთვის სასარგებლოთაა მომართული. ახლა საქმე ჩვენზეა. არც აქაა ურიგოთ დაყენებული საქმე. ტეხნიკური აპარატი თითქმის მოგვარებულია (აქ ცოტა გაურკვევლათ არის, მაგრამ უნდა იყოს: ის ელის სიგნალს მხოლოდ). მაგრამ აპარატის ასამოძრავებლათ, გამოსვლის ფართე მასშტაბით მოსაწყობათ, მეზობლებთან განსაკუთრებით მთასთან შეთანხმებულათ გამოსასვლელათ აუცილებელია წინასწარი ნაბიჯების გადადგმა, ამოქმედება გამოსვლის ორი კვირის წინ, რისთვისაც აუცილებლათ საჭიროა თანხა არა ნაკლებ ოცდახუთ-ოცდაათ ათასი ლირისა. უამისოთ აქ ჩვენ ხელს ვერ გავანძრევთ. ამაზე ჩვენ არაერთხელ მოგწერეთ. თქვენ მოიწერეთ, რომ ფინანსები ამოიწურა და სხვა წყარო არ სჩანს, ეს რა თქმა უნდა საქმეს არ შველის. აქ ჩვენ ვცდილობთ თანხების შოვნას, ჯერჯერობით ამაოთ. დრო კი მიდის და უნდა გითხრათ, რომ თუ ამ გარემოების გამო ჩვენ გავუშვით ხელსაყრელი მომენტი, დაშვებული იქნება უსაშინელესი დანაშაული ერისა და ისტორიის წინაშე.

იწერებით (აქ გამოტოვებულია მთელი რიგი სიტყვებისა, მარა უნდა იყოს: ბენია-ვალიკოს ჩამოსვლით აღადგენთ მიყენებულ ზარალსო) უნდა გითხრათ, რომ ისინი ჩვენ არ გაგვიბამს და ვერც ჩავაბამთ ყოველდღიურ მუშაობაში. ამით მხოლოთ მათ გავამჟღავნებთ მათი აქ ყოფნის შესახებ. ჩეკას მხოლოთ ეჭვი აქვს და აგერ გაშმაგებულთ დაეძებს და ამ ძებნაში განზრახ ახდენენ მასიურ ჭერას. რა თქმა უნდა ამასაც ავიტანთ რომ დროზე ჩავიგდებთ ხელში საჭირო თანხას. დამკომი გამოსთქვამს თავის გაკვირვებას, რომ მთავრობას ასეთი მომენტისათვის არ ქონებია მომარაგებული განსაკუთრებული თანხა.

დამკომი გაცნობებთ, რომ აქაურ წრეებში არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას ის გარემოება, რომ მაქედან სხვა პარტიის წარმომადგენლები არ მოდიან.

აქ ხედვენ უფრო პარტიულ საქმიანობას, ვიდრე ეროვნულს. გვაცნობეთ, რატომ დანარჩენი პარტიის წარმომადგენლები არ მოდიან.

დამკომის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ნოე რამიშვილის პირადი ფონდი 2130, ანაწერი 1, საქმე 30, ფურცლები 4-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარი ლეჟავას განცხადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მისი ადრინდელი განცხადების რეაგირების გარეშე დატოვების შესახებ
1924 წლის 21 ივლისი

საქართველოს რესპუბლიკის კომისართა საბჭოს

ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის განცხადება

უკვე რამდენიმე თვეა აღვძარი თქვენს წინაშე დასაბუთებული შუამდგომლობა, რომ ქუთაისის აღმასკომს დაებრუნებია ჩემთვის: 1) ჩემი საცხოვრებელი ბინა ქუთაისში „არქიელის გორაზე", აშენებული იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ფულებით და არა საზოგადოების და მთავრობისაგან; 2) ჩემი საკუთარი ნივთები, წიგნები, სახლის ავეჯოულობა და სამზარეულოს მოწყობილება და ბევრი სხვადასხვა საჭირო ნივთები; 3) ყოფილ ქუთაისის საკათედრო ტაძარს დღეს უკვე დანგრეულის საეკლესიო კულტისათვის საჭირო ნივთები, თანახმად მთავრობის დეკრეტისა, მაგრამ დღემდე მე არ მიმიღია პასუხი, თუმცა, როგორც დანამდვილებით გავიგე ქუთაისის აღმასკომს, თანახმად თქვენი შეკითხვისა, უკვე 31 მაისის თარიღით N7227 წარმოუდგენია თავის განმარტება. ეხლა გთხოვთ მაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება ჩემი ზემოაღნიშნულ შუამდგომლობის შესახებ. ამ თხოვნის წარმოდგენას ვანდობ მთავარდიაკონს ანტონ დიმიტრის ძე ლაზარიშვილს.

ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი.
ქ. ქუთაისი
N114
13,VII, 24 წელი.

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 1924 წლის 21/VII.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 257, ფურცელი 41.

საქართველოს ეროვნული არქივი

რაჭის მაზრის აგიტპროპის გამგის ა. ჭელიძისა და საერთო განყოფილების გამგის ა. ყრუაშვილის საიდუმლო წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მაზრაში ეკლესია-მონასტრების გადაკეთების პროცესისთვის 10 000 მანეთის გამოყოფის შესახებ
1924 წლის 12 აგვისტო

საიდუმლო

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას

მაზრაში როგორც ვაჩვენებთ საერთოდ თვის ანგარიშში მასიური ხასიათი მიიღო ყოფილი ეკლესიების გლეხთა სახლებათ, სასწავლებლებათ და კლუბებათ გადაკეთებამ, რისთვისაც რაიონები და ადგილობრივი საბჭოები გვთხოვენ ფულით დახმარებას. მაზრაში არც ერთი ეკლესია აღარ მოიპოება, მღვდლებმაც გაიპარსენ და ანაფორა გაიხადეს და შეუდგენ ჩვეულებრივი მოქალაქისამებრ მუშაობას. არის ხშირი შემთხვევები, რომ ყოფილი მღვდლები გამოდიან როგორც მოხსენებით, ისე რელიგიის წინააღმდეგ ეკლესიის შენობის დანგრევის აგიტაციით მასაში. სამპარტკომი აგიტაციურ და პროპაგანდისტულ მუშაობას აძლიერებს, მაგრამ მას არა აქვს საჭირო თანხა, რომ მან ამ მხრივ რაიმე დახმარება გაუწიოს ადგილებს, ამისათვის სამპარტკომი დაბეჯითებით გთხოვთ მოგვცეთ ზემო აღნიშნული საჭიროებისათვის 10.000 მან. /ათი ათასი მანეთი/.

აგიტპროპის გამგე ა. ჭელიძე /ხელრთვა/
საერთო განყ. გამგე. ა. ყრუაშვილი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაჭის სამაზრო პარტიული კომიტეტის შტემპი თარიღით 1924 წლის 12 აგვისტო.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 167, ფურცელი 50.

საქართველოს ეროვნული არქივი

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა აჭარის მოსახლეობას საქართველოში მომხდარ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით
1924 წლის 31 აგვისტო

ВОЗЗВАНИЕ
ЦЕНТРАЛЬНОГО ИСПОЛНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА А. С. С. Р.
АДЖАРИСТАНА
К населению АДЖАРИСТАНА

В целях точной информаций населения, Правительство Аджаристана считает необходимым сообщить следуюшее: авантюристы из подпольного Цека меньшевиков и паритетного Комитета, возглавляемые князем Андрониковым (Не смотря на неоднократное заявление о том, что они отказываются от вооруженной борьбы с Советской властью) делают отчаянные безумные попытки вооруженной рукой свергнуть Рабоче-Крестьянскую Власть.

С этой целью 28 Августа в 4 часа утро меньшевистскими бандами произведено нападение на Чиатуры Эта банда состояла из представителей паритетной контр-революции, бывших полковников, князей, дворянчиков и промышленников. Благодаря принятым Правительством Грузий мерам это наступление быстро ликвидировано и в Чиатурах возстановлена нормальная жизнь. Главари зачиншики возстания захвачены и понесут заслуженную кару.

Потерпев в Чиатурах полную неудачу, бандитское возстание перекинулось в другие районы Грузии, где оно нашло слабый отклик в местных бандитах-меньшевиках, но, за короткое время, всюду было подавлено силами самых рабочих - и крестьян.

Рабочие и крестьяне Аджаристана вместе сохранив полное спокойствие и преданность своей Власти - немедленно двинулись в охваченные бандитским возстанием районы Грузий на помощь рабочим и крестьянам Братской Республики.

В настоящее время бандиты меньшевики не выдержав натиска рабоче-крестьянских сил, во всех возставших районах отступают назад, оставляя за собой массу пленных и отдавая занятые ими на несколько часов некоторые районы Грузий: Озургеты, Ланчхуты, Супса, Самтреди, Поти, Ново-Сенаки, Зугдиди и безрезультатно ищут спасенья в горах, укрываясь от преследования рабочих и крестьян.

Правительством Аджаристана, не смотря на то, что в Республике царит абсолютный покой и непоколибимая общность интересов рабочих и крестьян, все же приняты строгие меры по охране порядка, спокойствия и безопасности населения Республики.

Организована Центральная Чрезвычайная Пятерка, кратко ЦЧП, по предупреждению меньшевистских провакационных выступлений в Аджаристане и выделены Уездные Чрезвычайные Тройки, руководимые и инструктируемые Центральной Чрезвычайной Пятеркой.

Настроение рабочих и крестьян Аджаристана воодушевленное неподдель-

საქართველოს ეროვნული არქივი

ным чувством бознощадного подавления в зачатий всяких поползновений анти-советских сил и ценою жизни сохранения Советского Строительства, в условиях которого протекает необходимая созидательная работа, служит верной порукой тому, что враги Рабоче-Крестьянской Власти бандиты-меньшевики и их единомышленники будтт безпощадно подавленя железной рукой рабочих и крестьян в том случае, если попытаются перебросить свою провокационную работу и в Аджаристане.

Положение Рабоче-Крестьянской Власти и Аджаристане устойчивое и пусть знают все что она не знает пощады в борьбе с врагами рабочих и крестьян.

За председателя Центрального Исполнителного Комитета Аджаристана и Председатель ЦЧП, Предсовнаркома Аджаристана Химшиашвили.

Секретарь ЦПЧ Гараканидзе.

31 августа 1924 г.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 9, ფურცელი 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ქონებაჩამორთმეული ვაჭრების სია ზუგდიდის რაიონში 1924 წლის აგვისტოს შემდეგ

სია იმ მოვაჭრეთა, რომლებიც 28 აგვისტოს გამოსვლებში
ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას შეიარაღებული ძალით და
იბრძოდენ ხელისუფლების წინააღმდეგ და
მიუხედავათ იმმისა, რომ ქალაქში იყო გამოცხადებული, რათა
24 საათის განმავლობაში გაღებული იყო სავაჭრო მაღაზიები,
მაგრამ ასეთი არ არის მათ მიერ
შესრულებული, ვინაიდან ეს პირნი დარჩნენ ტყეში

1)	შენგელია გახა	საფართლო
2)	ლემონჯავა იოსები	საფართლო
3)	გოგია ლადი	საფართლო
4)	ჯინჯოლავა იოსები	საფართლო
5)	ჯგერენაია ტატაში	საბაყალო
6)	ბულია მიხა	აზიური მოხელე
7)	ჩომახია ივანე	საბაყალო
8)	ვეკუა თადეოზი	საფართლო
9)	წულაია კოწია	საგალანტერო
10)	ფიფია ანდრი	საგალანტერო
11)	ჯიშკარიანი ილარიონი	საწვრილმანო
12)	რაფავა ლეონტი.	აზიური სახელოსნო
13)	დგებუაძე რაჟდენი	საფართლო
14)	დარასელია მაკარი	თერძი
15)	ჩხეიძე ბიქტორი	საწვრილმანო
16)	ჩხეიძე იოსები	ღვინის სარდაფი
17)	მესხი ბეგლარი	საფართლო აწერილია
18)	როგავა ტრიფონი.	საფართლო
19)	ცხაკაია დოროთე	საფართლო. აწერილია, შეპყრობილი
20)	კოზმავა იასონი	საფართლო. ხუთ დღით
21)	ბაკარანძე ძუკუ	საფართლო. სოფ. წასულა
22)	ბუღაშვილი კაპიტონ	საბაყალო. შეპყრობილია
23)	დარჯანია ვარლამი	საბაყალო. აწერილია. ღებულობდა მონაწილეობას ა. ლო-მაიას
24)	მოლაშხია ალექსანდრე	საბაყალო. აწერილია. ღებულობდა მონაწილეობას
25)	ჯიქია ხარიტონ	საბაყალო. აწერილია. ღებულობდა მონაწილეობას
26)	კაკაბაძე ისიდორე	საბაყალო. აწერილია. ღებულობდა მონაწილეობას

საქართველოს ეროვნული არქივი

27)	მოსია დოროთე	საწვრილმანო
28)	შურღაია ბარნაბა	საპირფარეშო
29)	მორგოშია სპირიდონ	დუქ. გაღებულია
30)	ბოჭორიშვილი ლეონტი	სახელ. გაქცეულია
31)	დავითაია დომე	სახელოსნო
32)	ქირია მაქსიმე	სამჭედლო
33)	ფიოლია ტრიფონი	საპირფარეშო
34)	ბერანძე გრიშა	ღვინის სარდ.
35)	ლოგუა მუხრანი	საყასბო
36)	სვანიძე ვასილი	საბაყალო
37)	დარასელია სამსონი	მეწაღე
38)	მოსია ალექსანდრე	მეწაღე
39)	გვასალია ბესა	მეწაღე
40)	ყურაშვილი მელიტონი	საწვრილმანო
41)	მიმინოშვილი ვანო	ტყავეულ. მაღაზია
42)	გვასალია მიხა	მეწაღე
43)	ქარდავა პილა	სათერძო
44)	თოდუა ექვთიმე	სახელოსნო. აწერილია
45)	როგავა ვალოდია	სახარაზო
46)	ცანავა მიხა	სახარაზო
47)	სიჭინავა ამროსი	საფართლო. აწერილია
48)	კვარაცხელია აქვსენტი	მეუნაგრე
49)	სიჭინავა ირაკლი	საწაღო
50)	დარასელია აკაკი	საწაღო
51)	გოროზია ნიკო	სახარაზო
52)	კილავა თედორე	არასფერი არა აქვს
53)	დარასელია დიანოზი	საფართლო
54)	სიჭინავა მიხა	სახარაზო
55)	სიჭინავა იონა	სახარაზო
56)	ბულია მიხა	საფართლო
57)	გოგოხია ძვაძვი	მეუნაგრე, შეპყრობილია
58)	კვარაცხელია ილა	სახარაზო, შეპყრობილია
59)	ბელქანია სამსონი	სახარაზო
60)	ბაღათურია აკაკი	საწვრილმანო
61)	ჩახაია ილია	სახარაზო
62)	ქანთარია ბეგო	სამჭედლო და სახლი
63)	ფონია აკაკი	საფართლო, შეპყრობილია
64)	კიტია ბოკოკია	მეწაღე
65)	ლუკავა კოლია	რესტორანი
66)	ბულია ევგენი	რესტორანი
67)	ბულია დათიკო	რესტორანი

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცლები 69-70.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქ. ზუგდიდის მკვიდრის, 1924 წლის აჯანყების მონაწილის ლუკა გვასალიას მეუღლის სონია ნორაკიძის განცხადება ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ 1924 წლის აგვისტოს შემდეგ

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს
ქ. ზუგდიდის მცხოვრები სონია გვასალიასა
ნორაკიძეს ასულისაგან

განცხადება

ქმარი ლუკა გვასალიას ედება ბრალი ბანდიტური გამოსვლებში მონაწილეობის მიღებაში, როგორც გავიგეთ თქვენს განკარგულებით ხსენებული გვასალიას უნდა ჩამოერთვას ქონება კონფისკაციის სახით. მოგახსენებთ რა ამას, რომ გვასალია ქონების მხრივ იყო ძალიან ღარიბი, მას არავითარი საკუთარი ქონება აღარ გააჩნდა მანამ, სანამ ის მე ვერ შემიერთებდა ცოლად. ყოველი პატიოსანი მოქალაქე, მცხოვრები ქალაქ ზუგდიდისა და აგრეთვე .... (არ იკითხება - **გამომც.**) ამას, რომ მე მქონდა ქონება დატოვებული ჩემი პირველი ქმარი სპირიდონ აბესაძესაგან, მისი შემდეგ, რაც ჩემი საკუთარი ქონება გადავიდა გვასალიას განკარგულებაში, მან სახელი მოიპოვა ქონების მხრივ და გახთა .... (არ იკითხება - **გამომც.**), ამას დაამტკიცებს შემდეგი პარტიული ამხანაგები: მაკარი ლაშხია, ... (არ იკითხება - **გამომც.**) გვასალია, იპოლიტე სარია, მელიტონ ხვარავა და სხვები. უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს მოხუცებულებაში მომეცეს საშველება ცხოვრებისა და გაანთავისუფლოთ კონფისკაციისაგან მარტოდ მარტო ჩემი პირველი ქმარისაგან დატოვებული სახლი და დუქანი, რაც შეეხება დუქანში, ესე იგი მაღაზიაში მყოფი საქონელისა, ეს ასე არის თუ ისე შეადგენს გვასალიას სავაჭრო ქონებას, რაში მეც თანახმა ვარ ჩამორთმევისა, მივაქცევ თქვენს ყურადღებას და თან გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ სანამ გვასალია მე არ შემირთავდა, მას არავითარი საკუთარი ქონება აღარ გააჩნდა და ეხლა ამ ქონებას შეადგენს ჩემი პირველი ქმარი ს. აბესაძისაგან წილად დატოვებული ქონება, სრული დარწმუნებული ვარ საბჭოთა ხელისუფლების მთავრობა, როგორც დამცველი ჭეშმარიტებისა არ ინებებს ბრალდებული გვასალიას სახელით მე არ დამსაჯოს ჩემი მოხუცებულობის დროს გამახთენს ლუკმა პურის მაძიებლად.

მთხოვნელი: სონია გვასალიასა /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დადგენილია უარი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 109.

საქართველოს ეროვნული არქივი

აჭარის ასსრ საგანგებო კომისიის კოლეგიის განცხადება აჭარაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე პირების სიკვდილით დასჯის შესახებ
1924 წლის 2 სექტემბერი

ОБЯВЛЕНИЕ

Чрезвычайной Коммиссии Аджаристанской Социалистической Советской Автономной Республики по борьбе с контр-революцией, шпионажем, бандитизмом, и преступлением по должности.

Коллегия АджарЧека доводит до сведения населения СССР Аджарии, что происшедшая за последние дни августа авантюра со стороны антисоветских партий: Меньшевиков, Соц.-Федералистов, Национал-Демократов - обединившихся в Паритетный комитет на предмет создания очередной провокации против Советской Власти и населения удара мирной жизни возрастающейся Республики, а также обединив вокруг себя кучу бывших генералов, помещиков, офицерство, полицейских, торгашей и т. п. Не разбираясь в средствах борьбы с Советской Властью, намеревались устроить разрушение железнодорожного полот на, телеграфно-телефонной линии и прочих Государственных сооружений Республики, а также предпологали совершить ряд отдельных убийств Представителей СовВласти Аджарии.

Советское Правительствв в целях охранения миркой жизни рабочих и крестьян Аджарии, неоднократно принимало все меры предупреждения к возникновению подобных явлений. Однако, не считаясь и с этим - группа авантюристов именующих себя Социалистами, намеривались нанести удар мирной жизни ССР Аджарии и тем самым инцинировать восстание рабочих и крестьян против Советской Власти, с целью срыва проиходящую с успехом ратификацию договора СССР с Англией.

В целях окончательного искорения подобных выходок со стороны предателей-авантюристов, рабочих и крестьян. Коллегия АджарЧека в своем заседании от 1-го августа 1924 года Постановила приговорить к высшей мере наказания расстрелу - нижеперечисленных главарей и соучастников подготовлявшейся и неудавшейся авантюры.

1) ПУРЦЕЛАДЗЕ Георгий Михайлович 56 лет, Грузин, дворянин, генерал майор, быв. Начальник Штаба Батумской крепости, военный атташе в Батуме. руководит Военой организацией Социал-Федералистов по поручению коего принял рудоководство вооруженными бандитскиии нападениями.

2) САБАШВИЛИ Михаил Самсонович 35 лет, окончил Тифлискую Духовную Семинарию, состоял Председателем Паритетного Комитета, возглавлял Военную организацию в Аджарии, занимался шпионажем, проживал нелегально.

3) АХВЛЕДИАНИ Владимир Иванович 33 лет, дворянин быв. Старший Лейтенант меньшевитской Армии и Адютант Штаба Батумской крепости. Социал-Федералист 1912 года, вел активную работу по организации Вооруженного выступления в Кобулетах.

4) Чиковани Гига Платонович 30 лет, дворянин, учител. Председатель Батумской Организации Соц.-Федералистов, в партии с 1906 года, он же член Паритетного Комитета, активный работник по подготовке вооруженного выступления в Аджарии.

5) Имнадзе Антон Авсекович 60 лет, Владелец лесного склада. Заядлый укрыватель бандитов и меньшевиков служил связью с паритетным комитетом.

საქართველოს ეროვნული არქივი

6) Читаишвили Василий Александрович 27 лет, преподаватель-землер. Уполномоченный ЦК меньшевиков и член Батумского комитета, руководил военной организацией проживал нелегально.

7) Рамишвили Акакий Онисимович 34 лет, торговец, быв. ротный командир народной меньшевитской гвардии, состоял членом тройки военной организации меньшевиков по подготовке вооруженного выступления против Советской Власти в Аджарии.

8) Гегиадзе Диомид Александрович 45 лет, торговец, бывший бандит меньшевик, принимал активное участие по подготовке вооруженного выступления в Аджарии.

9) Дадиани Давид Николаевич 36 лет, быв. начальник конвойной команды военной Морской милиции акт. член военной организации меньшевиков.

10) Панцулая Аппалон Николаевич 38 лет, с высшим образованием, вел активную работу в провоцировании Советской Власти.

11) Горделадзе Агафия Максимовна 26 лет имела связь с Батумской организацией и ЦЕКА меньшевиков, а также занималась укрывательством активных меньшевиков, проживаюших нелегально и имела связь с военной организацией.

12) Чиковани Антономаз Платонович 23 лет - дворянин, член Батумского Комитета партии Соц.-Федералистов, принимал участие в военрой организации.

13) Зоидзе Александр Кешвардович 19 лет.

14) Малазония Каленин Васильевич 28 лет.

15) Хомерики Алфез Ермолаевич 30 лет.

16) Зоидзе Исидор Иванович 20 лет.

17) Мкурнавидзе Кирасий Тедович 19 лет.

18) Запертов Владимир Васильевич 25 лет.

19) Муджири Николай Леварсиевич 36 лет.

20) Кадиешвили Лаврентий Иосифович 25 лет.

21) Такайшвили Михаил Ермолаевич 35 лет.

22) Хомерики Виктор Владимирович 20 лет.

23) Кинкладзе Сопрон Лаврентиевич 30 лет.

Все вышепоименованные (начиная с № 13 до 23 включительно) приговорены за вооруженное выступленние выразившее в нападении на телеграф. жел. дорогу, а также убийства Представителей Советской Власти Аджарии.

Коллегия Аджарчека строго стоя на страже завоеваний рабочих-крестьян СССР Аджарии и впред не остановится перед жестокими мерами наказания, лиц намеревающихся нарушить строительства Советской Социалистической Республики Аджарии.

Приговор над вышепоименованными приведен в исполнение.

КОЛЛЕГИЯ АДЖАРЧЕКА.

гор. Батум.

2 сентября 24 г.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 9, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით
ქ. ზუგდიდში დახვრეტილთა სია
1924 წლის 6 სექტემბერი

1. ჭიჭიკო კირილეს ძე ჯიქია, 30 წლის, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი 1920 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
2. ჭუჭუ დათას ძე ჩიქოვანი, 33 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ტყაია-ბეჟაშღალის მკვიდრი;
3. ბენედიქტე ორისტოს ძე დგებუაძე, 25 წლის, ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი;
4. რაჟდენ ოთოს ძე ყურაშვილი, 30 წლის, სოფ. ხიბულის მკვიდრი;
5. სარდიონ ანდროს ძე გრიგოლია, 26 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
6. ღუღუნი ნიკოლოზის ძე ხვარძიკია, 26 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. შამგონის მკვიდრი;
7. ძიკი ფილიპეს ძე თვალთვაძე, 46 წლის, მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერი (ესერი) 1918 1918 წლიდან, სოფ. წალენჯიხის მკვიდრი;
8. თეოფანე ნიკოლოზის ძე ხვარძიკია, 23 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. შამგონის მკვიდრი;
9. ვასილ კოსტას ძე კალანდია, 59 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
10. მაკარ დარასელია, 26 წლის, კულაკი;
11. მიხეილ ბიჭოს ძე სიჭინავა, 66 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან;
12. ლეონტი ბებიტოს ძე რაფავა, 26 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან;
13. პროკოფი ალექსის ძე ანთია, 23 წლის;
14. ალექსანდრე თეიმურაზის ძე მესხია, 27 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი;
15. ფილიპე ანდროს ძე გრიგოლია, 23 წლის, `ეპოს" ნოქარი, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, ყოფილი გვარდიელი;
16. ვალოდია მიხეილის ძე ჩხოლარია, 34 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. კოკის მკვიდრი;
17. დოროთე საბას ძე ცხაკაია, 42 წლის, ვაჭარი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან;
18. ვარლამ როსტომის ძე სიჭინავა, 43 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
19. ამროსი კუკას ძე სიჭინავა, 28 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
20. რაჟდენ ტოტის ძე დგებუაძე, 39 წლის, ყოფ. აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
21. თადეოზ სტეფანეს ძე ვეკუა, 28 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
22. კონდრატე მარკოზის ძე შამათავა, 35 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;

საქართველოს ეროვნული არქივი

23. აკაკი თეიმურაზის ძე ფონია, 33 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
24. თადეოზ სტეფანეს ძე მატუა, 40 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
25. თომა ბახვას ძე ხვიტია, 43 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
26. აკაკი ბესარიონის ძე ანთელავა, 24 წლის, ყოფილი აზნაური, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი;
27. კონსტანტინე ბახვას ძე ჩხოლარია, 30 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. კოკის მკვიდრი;
28. ვარლამ ევგენის ძე გობეჩია, 41 წლის, ყოფილი მემამულე, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
29. ჯვებე ორზოლია, 50 წლის, ყოფილი აზნაური, სოფ. კოკის მკვიდრი;
30. ბადუ იოსების ძე ქავთარაძე, 54 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
31. ირაკლი შარუს ძე სიჭინავა, 37 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
32. კოზმან როსტომის ძე კოზუა, 31 წლის, ვაჭარი, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
33. კირილე იოსების ძე მიშველიძე, 45 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ჯოღეჯიანის მკვიდრი;
34. შალვა ალექსის ძე თოდუა, 22 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, სოფ. ორულუ-ერგეტის მკვიდრი;
35. არსენ მათეს ძე წურწუმია, 30 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ორულუ-ერგეტის მკვიდრი;
36. გრიგოლ გუჯუს ძე კუკავა, 35 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. დიდინეძის მკვიდრი;
37. ვარლამ კოსტას ძე მაქაცარია, 28 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. დიდინეძის მკვიდრი;
38. მელიტონ ტატიევი, 38 წლის, კულაკი, სოფ. ცაიშის მკვიდრი;
39. სოლომონ კერანდუხის ძე ქუთელია, 50 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, მეფის დროს სახელმწიფო მოხელე, ქ. ზუგდიდის მკვიდრი;
40. ბექირბი ეგნატეს ძე კუკავა, 41 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. კახათის მკვიდრი.[156]

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 2.

156 ზემოთ ჩამოთვლილი პირები ჯალათებმა ზუგდიდის დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიასთან დახვრიტეს (პატიმრები თოკებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულები). დახვრეტილები სხვების ჭკუის სასწავლებლად მცხუნვარე მზის ქვეშ ეყარნენ. სწორედ ამ გარემოებამ სიკვდილისაგან იხსნა ოთხი მათგანი: ჭიჭიკო ჯიქია, ვალოდია ჩხოლარია, მელიტონ ტატიევი და აკაკი ფონია. ისინი საკონტროლო ტყვიას შემთხვევით გადაურჩნენ, შემდეგ კი ხელებიდან თოკის მოხსნა და გაქცევა მოახერხეს. მოგვიანებით, ჭიჭიკო ჯიქია ზუგდიდის მაზრის საინფორმაციო პუნქტში ნებაყოფლობით გამოცხადდა - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომა, სადაც გადაწყდა მიემართათ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებისთვის, ერთა ლიგისთვის, საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისთვის, რათა 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ საქართველოში არსებული კონფლიქტი არბიტრაჟის წესით გადაწყვეტილიყო 1924 წლის 6 სექტემბერი

მთავრობის სხდომა
6. IX. 1924 პარიზი

დაესწრენ: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და კ. კანდელაკი.

მოსმენილი იქმნა საქართველოში მომხდარ აჯანყების შესახებ.

1. **დადგენილი იქმნა:** გაეგზავნოს დეპეშებით მიმართვა მთავრობის თავმჯდომარის მიერ - ინგლისის პრემიერ მინისტრს მაკდონალდს, საფრანგეთისას - ერრიოს, ნაციათა ლიგის სესიის თავმჯდომარეს მოტას, და ზოგიერთ წარმომადგენლებს ლიგაში (პირი) და აგრეთვე მოსკოვში „სოვნარკომის“ თავმჯდომარეს, რათა კონფლიქტი გადაწყდეს არბიტრაჟით.

მიენდოს ირ. წერეთელს მიმართოს ამავე მიზნით მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს.

2. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა ზოგიერთ ნაბიჯის გადადგმისთვის ფულის საშოვნელად.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია
სხდომის მდივანი გეგეჭკორი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 153, ფურცელი 21.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის ახალ ხიბულის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა ქონების კონფისკაციის შესახებ
1924 წლის 7 სექტემბერი

ახალ-ხიბულა ასლი

ოქმი

1924 წელს სეკტენბერს 7 დღესა, შესდგა საგანგებო კრება საჩიჯაოს თემის სამეულისა და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგებისა, რომელსაც დაესწრო მომქმედ რაზმის უფროსი ამხ. ვანო ნიკოლაიშვილი, სამეულის წევრები: ამხ. ამხ. ჯვებე მხეიძე, ეპი მიქავა და ლუკა გოგია. საჩიჯაოს თემის კომიაჩეიკის პასუხისმგებელ მდივან ამხ. ნიკოლოზი მიქავა. ამავე იაჩეიკის წევრები ამხ. სიმონ მზარელუა და ათანასა კემულარია. ამავე თემის კომკავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ანტონ მზარელუა, კომპარტიის თანამგრძნობი, სამეულის მდივანი ამხ. ისიდორე ქაჯაია, კომპარტიის თანამგრძნობი ამხ. სანდრო გვასალია და უპარტიო ამხ. გერასიმე არზიანი. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ვ. ნიკოლაიშვილი და მდივნათ ი. ქაჯაია.

დღიური წესრიგში იყო დასმული საკითხი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ აქტიური მონაწილეობის მიმღებ პირებთა გამორკვევა, რომლებიც დიდი ხნიდან ეწეოდნენ ორგანიზაციების მოწყობას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, აწყობდნენ შეიარაღებული ბანდებს და მეთაურობდნენ ავანტიურისტული გამოსვლაში 28-29 აგვისტოს 1924 წელსა.

საქართველოს ეროვნული არქივი

მოისმინეს	**დაადგინეს**
1) საკითხის შესახებ მომხსენებელია მომქმედ რაზმის უფროსი ამხ. ვანო ნიკოლაიშვილი, რომელიც საკითხის შესახებ ვრცელ მოხსენებას უკეთებს კრებას. კომიაჩეიკის პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლოზ მიქავა აღნიშნავს, რომ როცა რომ ბანდიტებმა დაგვატყვევეს, მე და ყველა კომპარტიის და კომკავშირის წევრები გამოგვიყვანეს მინდვრათ და დახვრეტა მოგვინდომეს, მაგრამ ზოგიერთ ბანდიტებთაგანმა დაგვეხმარა და სიკვდილს გადაგვარჩინა. ამას გარდა გრიგორი თირქია და მასთან ყველა ამათ თოფის ძალით დამაშლევინეს კანცელარიის ეზოს ჭიშკარზე დახატული ჩაქუჩი და ნამგალი (სახელმწიფო დროშა) და ქონდა შესაფერი წარწერები. კომპარტიის წევრი ლუკა გოგია აღნიშნავს, რომ ბანდიტებთაგანი ერასტო ქუჩულორიამ დანით დაჭრა ლენინის სურათი და კომკავშირის წევრებს შიშის ქვეშ დააფურთხებია სურათზე. ამხ. ეპი მიქავა და სანდრო გვასალია ადასტურებენ ამხ. ნიკოლოზი მიქავა და ლუკა გოგიას მოხსენებას. ამხ. ჯვებე მხეიძე და კომკავშირის წევრი კირილე ჯახია ადასტურებენ ზემოხსენებულს და დასძენენ, რომ ყველა ბანდიტებს და მათი მეთაურებს ხელმძღვანელობდა ამბაკო კუჭავა, რომელმაც იცოდა რა გამოსვლის დრო, რამოდენიმე დღის წინეთ ჩამოვიდა მოსკოვიდან, რათა გაეწია ხელმძღვანელობა ბანდებისათვის. ამხ. ი. ქაჯაია აღნიშნავს, რომ ბანდიტებთაგანი ერასტო ქუჩულორია, ბანდიტებთან იყო საქმის მმართველათ, მან გაგლიჯა ტელეფონის მავთული, რითაც შეაჩერა ტელეფონის მუშაობა.	როგორც დანამდვილებით გამორკვეულია და ნათლად სჩანს, მცხოვრებნი საჩიჯაოს სათემოსი: 1) გრიგორი გუსარის ძე თირქია, 2) მისი ძმა ნესტორი გუსარის ძე თირქია, 3) ნესტორი კოსტას ძე კვარაცხელია, 4) გიორგი (კოკი) იოსების ძე ჩიჩუა, 5) ანტონი ბასას ძე ფულარია, 6) ესტატე სიმონის ძე ახალაია, 7) მისი შვილი ხუტუ ესტატეს ძე ახალაია, 8) ამბაკო თანაფიას ძე კუჭავა, 9) მისი ძმა ლადი თანაფიას ძე კუჭავა, 10) ერასტო ქუჩულორია და 11) კალისტრატე მიხეილის ძე ნანეიშვილი არა მარტო საჩიჯაოს თემში შემავალ სოფლებში, არამედ მეზობელ სოფლებშიდაც დიდი ხნიდან ეწეოდენ მუშაობას, აწყობდნენ ორგანიზაციებს და ყოველ გვარ ზომებს ღებულობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ და უკანასკნელ დროს, 28-29 აგვისტოს, ავანტიურისტული გამოსვლებში მეთაურობდნენ იარაღით ხელში. ბანდებს, როგორც ამ თემში და საერთოდ ახალ ხიბულის რაიონში, აგრეთვე აწყობდენ ბანდებს და გზავნიდენ ზუგდიდში იქაური ბანდების დასახმარებლად და ბევრი სხვა და სხვა ბოროტმოქმედება და საზიზღრობას იდენდენ დაადგინეს: ზემოხსენებული თერთმეტი ბანდიტების ქონება იქმნეს აღწერილი დაბეჭდილი კონფისკაციის სახით. ბანდიტები იქნეს გადაგზავნილი სამაზრო სამეულის განკარგულებაში, როგორც გაუსწორებელი პირები მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომების მისაღებათ.-

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა

კრების თავ-რე ვ. ნიკოლაიშვილი
მდივ. ი. ქაჯაია

კრებაზე დავესწარით, დადგენილებაში მონაწილეობა მივიღეთ:
1) ნ. მიქავა 2) ჯ. მხეიძე 3) ე. მიქავა 4) ლ. გოგია 5) ან. მზარელუა 6) ს. გვასალია 7) გ. არზიანი 8) სიმონ მზარელუა 9) კ. ჯახია 10) პ. სალაყაია

დედანთან სწორია:
ახალ ხიბულის რაიაღმასკომის თავმჯდომარე /ხელრთვა/
მდივანი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცლები 177-178.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმი, სადაც საუბარია საქართველოში მომხდარი აჯანყების შემდეგ მთავრობის მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე
1924 წლის 7 სექტემბერი

ოქმი
მთავრობის სხდომის 7. IX. 24
პარიზი

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია და წევრები ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და კ. კანდელაკი; დამფ. კრების პრეზიდიუმი: ნ. ჩხეიძე და ე. თაყაიშვილი; პარტიათა წარმომადგენლები: სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, ს. ფირცხალავა, ი. გობეჩია და რ. არსენიძე; გენ. მაზნიაშვილი.

მთავრობის თავმჯდომარე მოახსენებს სხდომას, რომ დღევანდელ არაჩვეულებრივი სხდომის მიზანია გაცნობა იმ მდგომარეობის, რაიცა შეიქმნა საქართველოში იმ ზომების, რომელიც მთავრობამ გადასდგა და ახლობელი მუშაობის გეგმის შემუშავება.

ნ. რამიშვილი აკეთებს მოხსენებას: მიღებულს სტამბოლიდან ტელეგრამებს კითხულობს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბები სრულიად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში - ამ ჟამათ ამას არ მოველოდითო. მართალია, ხალხის სულიერი განწყობილება, როგორც მუდამ იწერებოდნენ მეტად მოჭიმული იყო, პარიტეტული კომიტეტიც სხვა და სხვა დროს იწერებოდა, რომ სამზადისში იყო გამოსვლისათვის, მაგრამ მრავალი მუშაკების დაჭერის შემდეგ, იმ გეგმის მიხედვით, რომლის გარეშე ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნდა გამოსვლა, ამ ჟამათ არ იყო მოსალოდნელი. რა მოხდა, რამ დააჩქარა არ ვიცით. ტელეგრამიდან სჩანს, რომ გზები შეკრულია, ტელეგრაფი არ მუშაობს, ამიტომ ალბათ ცნობები დაწვრილებით არ მოგვდის. ერთი ცხადია - რომ გამოსვლას ნამდვილი ხალხოსნური ხასიათი აქვს. იღებს თუ არა მონაწილეობას - აზერბეიჯანი, მთა, ყუბანი, სომხეთი - არ სჩანს. უამისოდ კი არაა იმედი გამარჯვების. ყოველ შემთხვევაში ფაქტია ძლიერი გამოსვლები და ჩვენ ყოველ ღონე უნდა ვიხმაროთ, რაც შეიძლება საუკეთესოდ და ნაკლები მსხვერპლით დათავებისთვის. მთავრობამ გადადგა შემდეგი ზომები: გაუგზავნა ტელეგრამი - მაკდონალდს, ბრიტანეთის პრემიერს, ერიოს - საფრანგეთის პრემიერს, მოტას - ნაციათა ლიგის თავმჯდომარეს და ლიგის ცნობილ მოღვაწეებს და ამ ტელეგრამებში ჩვენ ვითხოვთ ჩვენ კონფლიქტებში ჩარევას და არბიტრაჟით საქმის გათავებას. დაახლოებით ასეთივე ტელეგრამა გაეგზავნა ირ. წერეთელს ინტერნაციონალისთვის. გარდა ამისა ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელსაც პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ვაწერთ, მაგრამ ვფიქრობთ მომავლისათვის ამასაც ექნება მნიშვნელობა: გაეგზავნა ტელეგრამა „სოვნარკომს“ მოსკოვში, სადაც ავუწერთ გარემოებას, რომ თვით იციან საქართველოს სხვის ბატონობას ვერ აიტანს და არბირტაჟით გადავსწყვიტოთ საქმე 7 მაისის 1920 წ. ხელშეკრულების ნიადაგზე. შეიძლება ისიც, რომ ეს ტელეგრამა მათ ცუდათ გამოიყენონ, მაგრამ ამას ვერ შევუშინდებით - ჩვენ ტელეგრამა აქაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. დიდი უბედურებაა, რომ უფულოთა

საქართველოს ეროვნული არქივი

ვართ. მივიღეთ ზომები, მაგრამ რა გამოვა ვნახოთ.

ი. გობეჩია: თუ იყო რამე კავშირი ოსმალეთთან?

ნ. რამიშვილი: კავშირი არავითარი, მათგან მხოლოდ ნეიტრალობის შესახებ გვქონდა კერძო დაპირება, დახმარების კი არავითარი იმედი არ შეიძლებოდა.

სპ. კედია: მთავრობას რაკი ცნობები ჰქონდა, რომ შესაძლებელი იყო გამოსვლები, თადარიგი თუ იყო ფულით ან იარაღით დახმარების.

ნ. რამიშვილი: ჩვენ არა ერთხელ მიგვიწერია, სპეციალურად ჩამოსული კაციც იყო პარიტეტული კომიტეტის და მასაც გავაცანით მდგომარეობა ჩვენგან ახლა არავითარი ფულით ან იარაღით დახმარების იმედი ნუ ექნებათ, პოლიტიკური სიტუაციაც ისეთია, რომ ვერაფერს ვიშოვიდით; რომ შესაძლებელი იქნებოდა ყურადღების ჩვენდამი მოპყრობა მხოლოდ თუ ამიერკავკასია იქნებოდა განთავისუფლებული, ამიტომაც იყო ჩვენი შეხედულება, რომ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ გამოსვლა ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა ყოველ მხრივ.

გრ. ვეშაპელი: შარშან მოწოდება რომ იწერებოდა ჩვენი ერისადმი აქ იყო ლაპარაკი ტეხნიკურ სამზადისზე. ამ მხრივ გაკეთდა რამე?

ნ. რამიშვილი: რეალურს ვერაფერს მივაღწიეთ, მხოლოდ დაპირებები კი გვქონდა, რომ თუ ძალა უფლებას ხელში ჩავიგდებდით - გვექნებოდა დახმარება. თუ ეს მოხდა, ახლაც გვაქვს ამის იმედი.

სპ. კედია: ახლა ნუ გავაგრძელებთ კამათს, რა იყო გამომწვევი მიზეზები გამოსვლების ან ვინ იყო. ფაქტის წინ ვართ, ამას უნდა გავუწიოთ ანგარიში და იმის კეთილად დაგვირგვინებისთვის ვიზრუნოთ. მინდა მხოლოდ განგვეხილა, რომ ზოგი იქიდან მოსული ცნობები მაქვს - თითქოს მთავრობა თუ მთავრობის კერძო წევრები აქედან ისეთ წერილებს იწერებოდნენ, რაიცა ხალხს წააქეზებდა.

ნ. ჟორდანია: როგორც აქ უკვე სთქვეს საქართველოდან აქ პირდაპირ ჩამოვიდა კაცი, არა სტრატეგიულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად, არამედ მოსახსენებლად, რომ მზათა ვართო. ჩვენ ჩვენის მხრივ მას დავაბარეთ ჩვენი შეხედულება და აუწერეთ ჩვენი მდგომარეობა: დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს მომზადებით დაკმაყოფილება, მთელი კავკასია განსაკუთრებით აზერბეიჯანი და მთა ჩვენთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ. უამისოდ ვერანაირ მიზანს ვერ მივაღწევდით; თუ კავკასიის ქედის აქეთ სავსებით მოვსწყვეტდით მთელ ტერიტორიას რუსეთს, მაშინ ევროპაც უსათუოდ მიაქცევდა ყურადღებას ასეთ დიდ ფაქტს.

ნ. რამიშვილი: ამ საკითხს სწყვეტდა პარიტეტული კომიტეტი ადგილობრივ, ე. ი. ყველა პოლიტიკური პარტიები. აქედან ჩვენ ვერავითარ დადგენილებას ვერ მივსწერდით, ადგილობრივ პირობების და მომენტის შეფასება მათი საქმე იყო. ამას ვერც ერთი პარტია ვერ იკისრებდა და ახლანდელი გამოსვლები ამას მოწმობს, რომ იქ ერთსულოვნება არსებობს. შეიძლება ისინი შეცდენ მეზობლებში, არ ვიცით უნდა მოვუცადოთ გარემოების გამორკვევას და იქიდან ცნობებს. რაც შეეხება დახმარების საკითხს ამის შესახებ მიწერილიც გვქონდა, კაცებსაც დავაბარეთ, რომ არც ფულით და არც იარაღით ჩვენ ახლა მზათ არ ვიყავით. ამის გამო ისინი საყვედურსაც კი გვწერდნენ, მაგრამ ჩვენ ვუთვლიდით ფული ასეთ მომენტისთვის გადადებული იყო, მაგრამ რომ არაფერი მოხდა, შემდეგ თანდათან მათვე გადაეგზავნა - პასუხისმგებლობას ჩვენ მათთან მაინც ვიზიარებთ. გრ. ვეშაპელი ამოწმებს, რომ სხვა პარტიების შეხედულებაც აქ ის

საქართველოს ეროვნული არქივი

იყო, რომ საქართველოში უნდა გადაეწყვიტათ გამოსვლის საკითხი და არა აქ.

ს. ფირცხალავა წინადადებას იძლევა მსჯელობა იქმნეს მხოლოდ პრაქტიკულ საკითხების შესახებ.

ნ. ჟორდანია: საჭიროა უპირველეს ყოვლისა ამუშავება ევროპის აზრის ჩვენ სასარგებლოთ. დღეს ბოლშევიკებიც უწევენ ანგარიშს ევროპის აზრს. ევროპაში მდგომარეობა ისეთია, რომ პრესა ჩვენ საკითხს წინანდელათ არ აქცევს ყურადღებას - ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

სპ. კედიას წინადადებები: 1) გაბმა კავშირის საქართველოსთან და კაცების გაგზავნა. ვინ წავა ეს გადაწყდეს ვიწრო წრეში 2) გაძლიერება ყოველგვარ პროპაგანდის და ყოველგვარ ქართულ ორგანიზაციების ჩაბმა ამ საქმეში.

ი. გობეჩია ემხრობა მას და კითხულობს, რას ფიქრობს მთავრობა მომავალზე.

ე. გეგეჭკორი: იმის შემდეგ, რაც აქ ითქვა, ცხადია, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მოძრაობის გასაძლიერებლად და არა ჩასაქრობათ. კაცები უნდა გაიგზავნოს, როგორც კი მოვახერხებთ. პრესა, პროპაგანდა უნდა გავაძლიეროთ. ეს არ არის მარტო მთავრობის საქმე, ყველა უნდა დაგვეხმაროს.

ე. თაყაიშვილი: ინტელიგენციას გაგვიჟლეტენ, ამიტომ საჭიროა ერიოზე ვიქონიოთ გავლენა - ჩაერიოს ამ საქმეში.

ი. გობეჩია: გეგმებს თუ ვადგენთ, გვაქვს ამისთვის ფული თუ არა?

ნ. რამიშვილი: როგორც მოგახსენეთ, ფული არ გვაქვს - ვიღებთ ზომებს. ვისაც შეგიძლიათ დაგვეხმარეთ ან ახალ გზებზე მიგვითითეთ: ჩვენ კი მოგახსენეთ, რომ ზოგიერთ კერძო პირს მივმართეთ და ზოგიერთ პოლიტიკურ პირებსაც.

ნ. ჟორდანია: ჩვენ აქ მოგახსენეთ მთელი რიგი ნაბიჯების, რომელიც მთავრობამ გადასდგა. ამათ შესახებ არავის აქ საწინააღმდეგო არ უთქვამს, მაშასადამე მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოწონებულია. კაცის გაგზავნა საჭიროა, როგორც კი ამისთვის წყაროს აღმოვაჩენთ, ახლა კი საკითხს ვსწყვეტთ პრინციპიალურად. ავირჩიოთ ბიურო - ყოველგვარ პროპაგანდის მოსაწყობათ და ამ საქმისთვის ფული გავიღოთ არსებული თანხებიდან, რამდენიც მოხერხდეს. თუ ვისმე აქვს სახეში ზომები ფულის საშოვნელად, გთხოვთ დაგვისახელოთ.

სიტყვას არავინ თხოულობს.

დადგენილია: მთავრობის მიერ საქართველოდან აჯანყების ცნობების მოსვლის გამო გადადგმული ნაბიჯები მოწონებულ იქმნას; მიღებულ იქმნას ზომები საქართველოში კაცების გასაგზავნად; არჩეულ იქმნა ბიურო პროპაგანდის გასაძლიერებლად - ე. გეგეჭკორი, სპ. კედია, ი. გობეჩია - ამ საგანზე ფული დაიხარჯოს არსებულ თანხებიდან; ვინც იძულებული იქნება სამსახურს თავი გაანებოს, გასამრჯელო მიეცეს.

მთავრობის თავმჯდომარე - ნ. ჟორდანია
სხდომის მდივანი - კ. კანდელაკი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 155, ფურცლები 1-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის მაზრის პარტიულ კომიტეტთან არსებული საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მ. ბედიას სახელმძღვანელო ინსტრუქცია ამავე მაზრის ყველა რაიონული პარტიული კომიტეტების მდივნებს, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რაიონული მილიციის უფროსებს და თემთა საბჭოების თავმჯდომარეებს 1924 წლის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ მაზრაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით

1924 წლის 10 სექტემბერი

სასწრაფოდ-ცირკულიარულად

სენაკის მაზრის ყველა რაიპარტკომების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, რაიმილიციის უფროსებს და თემთა საბჭოების თავმჯდომარეებს.

ბანდიტების გამოსვლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მაზრაში ნორმალურ მდგომარეობის აღსადგენად და მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად სამპარტკომთან არსებული საგანგებო კომისია კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ მომავლისათვის იხელმძღვანელოთ შემდეგი დირექტივებით:

1) თემებში საბოლოოდ ბოლო უნდა მოეღოს ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეობის მიმღებ პირებთაგან პირუტყვების და სხვა ნივთების ჩამორთმევას.

2) საგანგებო კომისიის დასტურით არსებული რაზმები ამხ. ამხ. კვანტალიანი, ნადარაია და ჩაჩიბაიასი მეთაურობით საჭირო სურსათ-სანოვაგეს იძენენ ფასში და სათანადო კვიტანციების (ქვითრების) გაცემით აღნუსხავენ თუ რომელ მოქალაქესაგან რა შეიძინეს და როგორი ღირებულების.

3) ყველა დღემდის არსებული რაზმები გარდა მეორე მუხლში გათვალისწინებულებისა, რომლებიც არ არიან სამპარტკომთან არსებულ საგანგებო კომისიის მიერ სათანადო რწმუნებით აღჭურვილნი, დაუყონებლივ იშლებიან. მათ მიერ გაწეული ხარჯები 10 ენკენისთვიდან არ იქნება ანაზღაურებული სამაზრო ხელისუფლების მიერ, ხოლო ხარჯების ნებადაურთველად გაწევა ასეთი რაზმების მიერ გამოიწვევს ხარჯების გამწვევის ნივთიერ და ადმინისტრატიულ პასუხისმგებლობას დაზარალებულთა სასარგებლოდ.

4) კატეგორიულად უნდა უარყოფილ იქნას ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის (იარაღით თუ გინდ უიარაღოდ) ადგილობრივად სასჯელის გამოტანა მაგ. დაჯარიმება, სამუშაოზე გამოყვანა და სხვ.

5) მსხვილ მემამულეებს, თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას, რომლებიც ღებულობდნენ ბანდიტურ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას, უნდა ჩამოერთვას ყველა შენობები, გარდა პატარა მიწური სახლისა, რომელიც დაეტოვებათ საცხოვრებლად.

შენიშვნა: თუ კი გამოსვლებში მონაწილეობის მიმღებ თავადმა, აზნაურმა და მღვდელმა თავისი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედებით ადგილი

საქართველოს ეროვნული არქივი

მისცა მშრომელ მასის ფართე აღშფოთებას, ასეთს შეიძლება ჩამოერთვას ყოველგვარი უძრავი ქონება, მხოლოდ საჭიროა ხსენებული აქტი დამტკიცებულ იქნეს სამაზრო აღმასკომის მიერ.

6) გარდა აქტიური მენშევიკებისა, ყოფილი გვარდიელებისა, ძველი ოფიცრებისა, თავად-აზნაურობისა და სამღვდელოებისა, რომლებიც არიან დაპატიმრებულნი გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის ან გამოცხადდებიან მომავალში, აუცილებლად განთავისუფლებულ უნდა იქნან პატიმრობიდან და ყოველგვარ სასჯელისაგან.

შენიშვნა: ისეთი მოქალაქეები კი, რომლებიც არ ეკუთვნიან 6 მუხლ ჩამოთვლილ დაპატიმრებულ ჯგუფებს (თავად-აზნაურობა, ყოფილი გვარდიელები, სამღვდელოება, ძველი ოფიცრობა), მაგრამ მიუძღვით მძიმე დანაშაული, როგორიცაა: კაცის მოკვლა, გაცარცვა, დაწესებულებისათვის იარაღით დაცემა, სათანადო ბრალდების აქტით უნდა გადმოგზავნილ იქნან სამაზრო ინფორ-პუნკტის განკარგულებაში.

7) ადგილობრივ ორგანიზაციებმა ენერგიული ზომები უნდა მიიღონ ვაჭრობის და აღებ-მიცემობის აღსადგენად.

8) ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეობის მიმღებ თავად-აზნაურობა, ვაჭრები, სამღვდელოება, გვარდიელები და ყოფილი ოფიცრებისაგან ჩამორთმეული ცხენები მეპატრონეებს არ დაუბრუნდებათ. ასეთები გადაირიცხებიან სამაზრო მილიციის განკარგულებაში, სამაგიეროდ იმ ცხენებისა, რომლებიც დაიტაცეს ბანდიტებმა მილიციიდან გამოსვლების წარმოების დროს.

9) 10 ენკენისთვემდის წითელი ჯარის და ადგილობრივი რაზმების საჭიროებისათვის მოქალაქეებიდან ჩამორთმეული პირუტყვების ღირებულება სამაზრო ხელისუფლების მიერ ანაზღაურებული არ იქნება.

10) ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ კონტრევოლიუციონერებისაგან ჩამორთმეული ქონების გახარჯვა რაიმე საჭიროებისათის გარეშე სამაღ-ს დასტურისა არ შეიძლება.

11) ინსტრუქციის შეცვლის, მისი მუხლების დარღვევისა ან ახალი მუხლების დამატების უფლება არავის არა აქვს გარეშე სამპარტკომთან არსებული საგანგებო კომისიისა.

12) სისწორით ცხოვრებაში გატარება ამ ინსტრუქციისა სასტიკ პასუხისმგებლობის ქვეშ ევალებათ: რაიპარტკომის მდივანს, რაიაღ-ს თ-რეს და რაიმილიციის უფროსს.

სამპარტკომთან არსებული საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მ. ბედია.
მდივანი აღ-ს თ-რის მოადგილე კ. მელიქაძე.

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის შტემპი თარიღით 1924 წლის 10/IX. დოკუმენტს ასევე აქვს მინაწერი: ძველ-სენაკის რაიაღმასკომს.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 100.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუისის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის წერილი გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სოფელ რუისში გლეხების მიერ ფანიაშვილების ოჯახის დახოცვის გამო წარმომადგენლის გამოგზავნის თხოვნის შესახებ[157]
1924 წლის 14 სექტემბერი

ამითი გაცნობებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ რაიონშიდ მოხდა გლეხების მიერ თავადაზნაურობაზე დაცემა, რამაც გამოიწვია 35 ქალის და კაცის სხვერპლი საღამოს ცხრის ნახევარ საათზედ სოფ. რუისშიდ წინ უბანშიდ ფანიაშვილებზედ, რაზედაც იქმნა სათანადო ზომები მიღებული, დაცემა იყო სრულიად მოულოდნელი, რადგან დაშორებულია უბანი აღმასკომის შენობას, ვერ გადავარჩინეთ ცხოვრების უმრავლესობა. გლეხები სტიქიურად გამოდიან, მოსალოდნელია სხვა სოფლებშიდაც, რაზედაც გთხოვთ გაგვიწიოთ სათანადო დახმარება, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი ექცეზიები. ნაწილი გლეხებისა შეპყრობილია ისევ ტკბილი სიტყვებით, რადგან ძალა არ ყავს აღმასკომს, გთხოვთ, საჩქაროთ გამოგზავნოთ ჩეკა და აგრეთვე დახოცილ მოქალაქეებს როგორ მოვექცეთ, სახლებზედ დაყენებულია ყარაულები, რომ არ გაიფანტოს ნივთები და აგრეთვე დახოცილებზედ, მდგომარეობა აუწერელია გთხოვთ ან თითვონ ჩამოხვიდეთ ანდა გამოგზავნოთ ერთი წარმომადგენელი საქმეების მოსაწესრიგებლად.

რუისის რაი აღმასკომის თავმჯდომარე: /ხელრთვა/
14/IX 24 წელი
P.S. დოკუმენტს აზის რუისის რაიონული აღმასკომის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, გორის ადგილობრივი არქივი, ფონდი 3, საქმე 92, ფურცელი 60.

157 დოკუმენტი მოგვაწოდა გორის ადგილობრივი არქივის თანამშრომელმა ქეთევან მაჭავარიანმა - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

მასწავლებელთა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია,
რომელშიც დაგმობილია 1924 წლის აჯანყება
1924 წლის 14 სექტემბერი

რეზოლიუცია
მიღებული სექტემბრის 14-ის მასწავლებელთა კონფერენციაზე

საქართველოს გასაბჭოება იყო ისტორიული შედეგი რუსეთის ოქტომბრის დიდი რევოლიუციისა, რომელმაც შრომისა და ხალხთა სოლიდარობის პრინციპი დაუპირდაპირა კაპიტალისტურ იმპერიალისტურ შურსა, მტრობას და ექსპლოატაციას.

სამი წლის განმავლობაში მშრომელი საქართველო გვერდში უდგია დიდი რუსეთის რევოლიუციას და პროლეტარიული დიქტატურის წესწყობილებაში განუწყვეტლივ იბრძვის - კაცობრიობის საუკეთესო იდეალისათვის.

ქართველი ხალხი თავის რევოლიუციონური ტემპერამენტით ისტორიულად იკაფავს გზას და ქართული საზოგადოებრივობა იზრდება და იწვრთნება სოციალისტურ მოძრაობაში. ინტელიგენციის დიდი ნაწილი საქართველოს დედა-ქალაქში - ტფილისის მასწავლებლობა ხალხის სოციალ-ისტორიული ტკივილების დროს ვერ დარჩება გარეშე საზოგადოებისა, გარეშე მასისა, რომელიც ჰქმნის ახალ ეპოქას კულტურის ევოლიუციაში, რომელსაც შემოაქვს წუთისოფლად ახალი მორალი შრომისა და ხალხთა სოციალისტური სოლიდარობის.-

მასწავლებლობა ნათლად ხედავს საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ მიღწევებს. სამი წლის განმავლობაში, ხელოვნების, მეცნიერების და მრეწველობის დარგებში სოციალისტური პოლიტიკის რადიკალური ნაბიჯები გამონახავენ ხალხის ინტერესებსა და იდეალებს; ყოველგვარი აჯანყება და მენშევიკების და მათი მომხრების ავანტიურისტული გამოსვლა ხელს უშლის მთავრობის შემოქმედებით მუშაობას.

ამიტომ ყოველ-გვარი კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება არსებულ მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებლობას მიაჩნია ხალხისათვის დაუშვებლად და დამღუპველად, სავსებით ჰკითხავს ამ ავანტიურისტულ მოძრაობის სულის ჩამდგმელთ და ხელმძღვანელებს და ყოველ პატიოსან ინტელიგენტს მოუწოდებს ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის.

ამასთანავე ერთად მასწავლებელთა კრება ავალებს კავშირის ცენტრალურ გამგეობას და სახალხო განათლების კომისარიატს, მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ მასწავლებელთა რიგები სასწრაფოდ გაიწმინდოს იმ უცხო ელემენტისგან, რომელსაც თავი შეუფარებია მის რიგებში.-

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 213, ფურცელი 1.

საქართველოს
ეროვნული
არქივი



იატაკქვეშეთში მომუშავეთა დაშიფრული მიმოწერა. 1923 წ.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომის ოქმი, სადაც საუბარია საქართველოში მომხდარი აჯანყების შემდეგ საინფორმაციო ომის წარმოების აუცილებლობაზე 1924 წლის 14 სექტემბერი

ოქმი

მთავრობის, დამფ. კრების პრეზიდიუმის და პარტიათა
წარმომადგენლების შეერთებული სხდომის 14. IX. 1924. პარიზი

დაესწრენ: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, ნ. ჩხეიძე, ე. თაყაიშვილი, სპ. კედია, ს. ფირცხალავა, ი. გობეჩია, გრ. ვეშაპელი, ირ. წერეთელი, კ. საბახტარაშვილი.

მთავრობის თავმჯდომარე მოახსენებს თუ რა კეთდება; კერძოთ ჩვენ შევქმენით საინფორმაციო ბიურო და იმის მუშაობამ უკვე კვალი დაამჩნია პრესას. ჩვენი ნაბიჯები დიპლომატიურ სფეროში იცით: ნაციათა ლიგა ალაპარაკდა, წერილები დავუგზავნე სხვადასხვა მოღვაწეებს, ზოგი ჩვენი მეგობრების წერილები გავლენა ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენში ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას აქვს ადგილი. არის მშვიდობიან ხალხის მიმართ საშინელი რეპრესიები, საჭიროა ამის შესახებ მოვაწყოთ კამპანია, აგიტაცია. სამწუხაროთ უფულობა აბრკოლებს ჩვენს ნაყოფიერ მუშაობას, საჭიროა წასვლა სხვა და სხვა ადგილას, კაცების დაგზავნა - ფული კი არა გვაქვს. საჭიროა რამე ზომები მივიღოთ ამ მხრივ. თუმცა ზომები მიღებული გვაქვს, მაგრამ ნაყოფი არ სჩანს.

ირ. წერეთელი მოახსენებს კრებას, რომ მან მიმართა ეგზეკუციტივს, რომ დანიშნულ იქმნას საანკეტო კომისია და შეჩერებული სისხლის ღვრა. ჯერ პასუხი არა აქვს, თუ ჩაერევიან ამ საქმეში. ეგზეკუტივის სხდომაა და წასვლა იქმნება საჭირო, რათა დაწვრილებით გააცნოს იქ საქმის ვითარება, რომ მოძრაობა (გამოსვლები) სტაბილურათ მოხდა, ახლა ყველა პარტიები იღებს მონაწილეობას და არა ჯგუფი კონტრრევოლუციონერების. „ჰუმანიტეს“ ყოველ წერილზე პასუხის გაცემა არ ღირს, ხოლო როცა საქართველოდან მასალები მოგვივა, უნდა გავსცეთ ერთბაშად პასუხი ყველა ინსინუაციებზე.

სპ. კედია: აქ რაც შეიძლება მუშაობა სწარმოებს, მაგრამ საჭიროა მუშაობა აგრეთვე ინგლისში, ამერიკის პრესაში და სხ.

ე. გეგეჭკორი: იტალიის პრესასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

მთავრობის თავმჯდომარეს საჭიროთ მიაჩნია პრესის წარმომადგენლების შეკრება და გარემოების გაცნობა.

დადგენილება: საინფორმაციო ბიუროს დაემატოს აგრეთვე კ. საბახტარაშვილი და რაც ხარჯი იქმნება საჭირო გაღებულ იქმნას არსებული თანხიდან.

ს. ფირცხალავა საერთოდ კმაყოფილია ინტერნაციონალის დამოკიდებულებით ჩვენ საკითხთან, მაგრამ არ კმარა: ორი რეზოლუცია იყო ჩვენსა და რუსეთის შესახებ. უკანასკნელი უფრო აქტიურ საკითხათ დაისახეს, ჩვენ საკითხში კი რეზოლუციის მიღებით დაკმაყოფილდნენ. ეს არ მიაჩნია მას სამართლიანათ.

საქართველოს ეროვნული არქივი

ე. გეგეჭკორი ფიქრობს, რომ საჭიროა „ჰუმანიტეს“ ცილის წამებიდან თავდაცვა, საწინააღმდეგო წერილების დაბეჭდვა.

ნ. ჟორდანია: თავდასაცავი ჩვენ არაფერი გვაქვს, პირიქით ჩვენ თავ-დასხმაზე უნდა გადავიდეთ.

ირ. წერეთელს მოსწონს ეს აზრი, მაგრამ საჭიროა ცოტა დავიცადოთ, სანამ მეტი მასალები მოგვივიდოდესო.

ფულის საკითხი

კ. კანდელაკი მოახსენებს სხდომას, რომ არის გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯები, მოლაპარაკებაც გვქონდა სხვადასხვა პირებთან, მაგრამ რეალურათ არაფერი სჩანს.

გრ. ვეშაპელი: პროპაგანდის საქმე მოწყობილია, მაგრამ რეალურ დახმა-რებისთვის არიან წრეები, რომელნიც უნდა დაინტერესდნენ ჩვენი საქმით. რაც კი შესაძლებელია, ყველა ზომები უნდა იქმნას მიღებული.

დადგენილება: არჩეულ იქმნას კომისია - სპ. კედია, გ. გვაზავა და კ. კანდელაკი.

დიპლომატიური მუშაობა

ს. ფირცხალავა მოითხოვს, რათა გაძლიერებულ იქმნას მუშაობა ინგლისში.

სპ. კედიას აზრით იქ უნდა სწარმოებდეს მუშაობა ორი გზით, როგორც მიგრამის პარტიაში ისე კონსერვატორ-ლიბერალების წრეებში. ეთხოვოს ირ. წერეთელს, რომ ზომები მიიღოს, იქნება ჩვენმა მეგობრებმა გადადგან რეალური ნაბიჯები საქმეში ჩასარევათ.

ე. გეგეჭკორი: ჩვენ რო უსახსრობა ხელს არ გვიშლიდეს, იქ ორი კაციც უნდა იყოს გაგზავნილი. ყოველ შემთხვევაში, დაბრუნდება თუ არა ელჩი უნდა გაემგზავროს.

დადგენილება: მიღებულ იქმნას ზომები ინგლისში კაცის გასაგზავნათ.

მთავრობის თავმჯდომარე - ნ. ჟორდანია
სხდომის მდივანი - ე. გეგეჭკორი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 155, ფურცლები 6-8.

საქართველოს ეროვნული არქივი

გურკომის, სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმისა და საგანგებო ხუთეულის სხდომის ოქმი, სადაც დააჯილდოვეს 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში მონაწილე პირები
1924 წლის 18 სექტემბერი

ოქმი

გურკომის, სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის და საგანგებო ხუთეულის სხდომისა. 18 სეკტემბერის 1924 წ.

სხდომამ განიხილა გურიაში მომქმედ ჯარის ნაწილების უფროსის მიერ წარმოდგენილი სია, რომელშიაც აღნიშნულია სულ 30 მებრძოლთა თავდადება მენშევიკ-ბანდიტების წინააღმდეგ და დაადგინა:

1. პირველ სიაში აღნიშნული 5 მებრძოლი დაჯილდოებულ იქნან იარაღით, ან ოქროს საათებით წარწერით: „გულადობისთვის". მეორე სიაში აღნიშნულნი 25 მებრძოლნი კი ვერცხლის საათებით.

2. სხდომამ საჭიროთ დაინახა წარდგენილ იქნენ და დაჯილდოვებულნი იარაღით ან ოქროს საათებით შემდეგი ამხანაგები:

1. თვით უფროსი ამხ. მისჩენკო. ამხ. მისჩენკო არა ჩვეულებრივ ნიჭს და უნარს იჩენდა ხელმძღვანელობაში, ის სრული კონტაქტით მუშაობდა ადგილობრივ ამხანაგებთან. მისი ნიჭისა და უნარის მეოხებით დამარცხდა - ბანდიტ-მენშევიკების გამოსვლა გურიაში.

2. სამაზრო მილიციის უფროსი ამხ. სოსელია. ამხ. სოსელიამ 6 ცხენოსანით გაარღვია ბანდიტთა წრე და მთელი სამი დღის განმავლობაში იცავდა ჩვენს ბელადს ამხ. ფილიპე მახარაძეს.

3. ბახვის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ამხ. შავიშვილი. მან განიარაღების დროს ღამის ორ საათზე ბანდიტებს გამოუსხლტა და პირველმა გვაცნო გამოსვლების შესახებ 9 ვერსის გამოვლით, რამაც დააჩქარა ამხ. ფილიპეზე მიშველება. თუ ამხ. ფილიპე ბანდიტებს ხელში არ ჩავარდა ეს უნდა მიეწეროს ამხ. შავიშვილს.

4. მილიციის უფროსის თანაშემწე ამხ. გოგვაძე. მან 25 ცხენოსანით პირველმა შეუტია შემოქმედზე ამხ. ფილიპეს გამოსაყვანათ, მტერი შემოქმედში გაანადგურა. დახოცა 5 ბანდიტი. თვითონ პირველმა შევარდა დაერია ბანდიტებს და გაფანტა ისინი თავისი არა ჩვეულებრივი თავდადებით.

5. ლანჩხუთის რ. მილიციის უფროსი ამხ. ორაგველიძე. მან ორი მილიციონერით გაამაგრა მილიციის სამმართველო და აღმასკომი, რომელზედაც მტერი მთელი ღამის განმავლობაში სასტიკად უტევდა, თუ ლანჩხუთი გადარჩა აუღებელი, ეს ერთად უნდა მიეწეროს ამხ. ორაგველიძეს.

6. საჭამიას-სერი მილიციის უფროსი ამხ. ვასაძე. მან შეინარჩუნა თავის ვაშკაცობით 40-მდე კომუნარი სასტიკი ბრძოლა აწარმოვა საჯევახოს ხაზიდან.

7. ჩოხატაურის მილიციის უფროსი ამხ. თალაკვაძე. თავდადებით არა ჩვეულებრივი სიმხნევით იბრძოდა და ხელმძღვანელობდა ჩოხატაურის რაიონის კომუნარებს.

8. ხიდისთავის რ. მილიციის უფროსი ამხ. სიხარულიძე. მან მარტოთ მარტომ თავგანწირული ბრძოლით 29 აგვისტოს დილამდის შეინარჩუნა ხიდისთავი აუღებელი.

საქართველოს ეროვნული არქივი

9. ოზურგეთის რ. მილიციის უფროსი ამხ. ჯიბუტი. მთელი ბრძოლის განმავლობაში თავგანწირვით იბრძოდა. მისი სიმხნევე და ვაჟკაცობა ამხნევებდა და ასალკდევებდა დანარჩენ ამხანაგებს.

10. ცინცაძე კოსანდილე. ამხანაგმა თავდადება და გმირობა გამოიჩინა ლანჩხუთის დაცვაში.

11. ლანჩხუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე. 29 აგვისტოს ბრძოლაში გამოიჩინა სიმხნევე და სხვა ამხანაგებთან ერთად შესძლო ლანჩხუთის სადგურიდან მტრის გარეკვა.

ვერცხლის საათებით

12. დოლიძე ისიდორე. გმირი მზვერავი, რომლის გულადობა ყველა ამხანაგებს ამხნევებდა.

13. ქალიფთარი მაკარი. იბრძოლა მედგრად ნაგომარში და შემდეგ გაკრულ გზებიდან გამოვიდა და შემოუერთდა ოზურგეთის ხაზს და სიმხნევით განაგრძობდა ბრძოლას.

14. შოვეშვილი შალვა. მან ღამით შემოქმედის თემში საშიშ ადგილებში შესძლო გასვლა და კავშირის აღდგენა მარცხენა ფრთასთან, რამაც ჩვენი ამხანაგები გამოიყვანა საშინელ მდგომარეობიდან.

15. აქვსენტი დოლიძე /მილიციონერი/. იბრძოდა ამხ. გოგვაძესთან ერთად შემოქმედში და გამოიჩინა არა ჩვეულებრივი სიმხნევე. ის სამაგალითო პირია მილიციის რიგებში.-

სამაზრო პ/კომიტეტის მდივანი
სამაზრო აღმასკომისა და საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარე /ხელრთვა/

P.S. ხელმოწერაზე დასმულია ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 150, ფურცლები 13-14.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის ხმალაძის, სამილიციო ქვეგანყოფილების უფროსის კიღურაძის, მაზრის მილიციის საგარეო ნაწილის უფროსის ჯიბლაძისა და კანცელარიის მმართველის გუგუშვილის მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში მონაწილე მილიციელების წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შუამდგომლობის შესახებ
1924 წლის 20 სექტემბერი

20 სეკტემბერი 24 წ.
5547

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს
ასლი - ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის
თავმჯდომარეს

მოხსენება

მენშევიკების მიერ უკანასკნელად მოწყობილ ავანტიურისტულ გამოსვლებში გმირ და მთავრობისადმი თავდადებულ ტფილისის მ/გ მილიციის თანამშრომელთა შესაფერისად დაჯილდოვების შესახებ.

1. ა/წ 29 აგვისტოს მშრომელი გლეხობისა და მუშების მოღალატე მენშევიკების მეთაურობით, სისხლის სამართლის დამნაშავეებმა, თავად-აზნაურობამ, მღვდლებმა და სხვებმა, რომელთაც საბჭოთა ხელის უფლების განმტკიცებით საბოლაოთ ეცლებოდათ ხელიდან მშრომელი კლასის ყვლეფის ყოველგვარი შესაძლებლობა ქურდულად, როგორც ავაზაკებს ჩვევიათ, დაეცნენ გარე-კახეთის სამილიციო რაიონში მდებარე სოფლებს და პირველ რიგში **პატარძეულს** და **გიორგი წმინდას**. პატარძეულში მოჰკლეს თავის სადარაჯოზე სოფლის მილიციონერი ამხ. ბილანიშვილი და ამის შემდეგ მიზნათ დაისახეს გარე-კახეთის სამილიციო რაიონის ცენტრის სოფ. სართიჭალას დაკავება. სართიჭალიდან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით სამილიციო რაიონის /მილიციის/ უფროსმა პატარძეულის მიმართულებით გაგზავნა დასაზვერვად და შესაფერი ცნობების შესაკრებლად გარე-კახეთის სამილიციო რაიონის ორი უმცროსი მილიციონერი: ამხ. ამხ. ს**ილაგაძე ბაგრატ** და **ბროლაშვილი შაქრო**. აღნიშნული ამხანაგები, პატარძეულის მიმართულებით მიმავალნი, წააწყდნენ ავანტიურისტების საკმაოდ ძლიერ რაზმს, სართიჭალიდან დაახლოვებით 2 ვერსის მანძილზე. ბანდა მოემართებოდა სოფ. სართიჭალის ასაღებად. ზემოდ აღნიშნულმა ორმა ამხანაგმა არ შეუშინდა რა ძლიერ მოწინააღმდეგეს, იმ მოსაზრებით რომ აშორებულ ყოფილიყო მათი თავდასხმა სოფ. სართიჭალაზე, სადაც მოთავსებული იყო რაიონის ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ჯერხნობით კი არ იყო მიღებული ყოველგვარი საჭირო ზომები, მოულოდნელობის გამო, ცენტრის დასაცავად, - განიზრახეს მტრის შეჩერება და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, რომ ამ რაიონს სართიჭალას საშვალება მისცემოდა მიეღო სათანადო ზომები ბანდასთან საბრძოლველად. მოხსენებულმა ამხანაგებმა საშინელი თავგამოდებით

საქართველოს ეროვნული არქივი

აუტეხეს სროლა მომავალ ბანდას. ცოტა ხნის წინააღმდეგობის შემდეგ ბანდამ, რომელიც არ მოელოდა ამ თავდადებულ და ვაჟკაცურ დახვედრას, შეშინებული გაიფანტა. ამხ. ამხ. სილაგაძისა და ბროლაშვილის ასეთი თავდადებისა და გმირობის გამო სართიჭალას საშვალება მიეცა გაფრთხილებულიყო, შემდეგში ფრიად ნაყოფიერად დამთავრებული, ბრძოლა ბანდიტების შესაპყრობლად და მათი ბრძოლის უნარიანობის დაუყონებლივ მოსასპობლად.

11. გარე-კახეთის სამილიციო რაიონის უფროსის თანაშემწე გარეშე ნაწილში ამხ. **მიქელაძე ალექსანდრე**, ბანდიტების ამოძრავებისთანავე თავისი სივაჟკაცით, თავგამოდებით და მოწინააღმდეგესთან შებმის გარდაუვალი სურვილით იქცევდა პასუხის-მგებელ ამხანაგების ყურადღებას. გარე-კახეთში ა/წ 29 აგვისტოს დილის 9 საათზე ბანდიტებმა თავს დაესხა სოფ. **დიდ ლილოს** განაიარაღა პარტამხანაგების მცირე ჯგუფი და გაემართა ვაზიანისაკენ უკანასკნელის ასაღებად. ამხ. მიქელაძე თავისი პატარა რაზმით იღებს რა განკარგულებას, ბანდისათვის გზის გადაჭრის შესახებ გამოცანას ასრულებს სრულებით უმსხვერპლოთ და უნაკლულოთ, ატყვევებს და **ანიარაღებს** ბანდიტებს, აპატიმრებს საეჭვო და ბანდისადმი ერთგულათ განწყობილ პირებს და მათ რიცხვით 88 კაცს აგზავნის გარე-კახეთის საგანგებო სამეულის განკარგულებისათვის.

გარე-კახეთში ბანდიტური გამოსვლების მოსპობისა და მეთაურთა შეპყრობის შემდეგ, როდესაც ამ რაიონში გამეფდა სრული მშვიდობიანობა ამხ. მიქელაძეს ეძლევა შესაფერი რწმუნება ერწოს სამილიციო რაიონში წასვლისა 11 წითელ არმიელის და 3 მილიციონერის თანხლებით, ამ რაიონში საქმის მდგომარეობის გამოსარკვევად. მისვლისას გამოირკვა, რომ მოსალოდნელი იყო ჩოლოყაშვილის რაზმის თავდასხმა ერწოს სამილიციო რაიონზე. ამხ. მიქელაძე რჩება აღნიშნულ რაიონის უფროსის ამხ. კოპალიანის განკარგულებაში და მონაწილეობას იღებს ა/წ 7 სეკტემბერს სოფელ სიმონიანთ-ხევზე ჩოლოყაშვილის რაზმის თავდასხმის დროს მომხდარ ბრძოლაში.

ამხ. მიქელაძე ამ ბრძოლაში მხარს უმშვენებს რამოდენიმე რჩეულ და გმირ ამხანაგებს და იარაღს ხელს უშვებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იჭრება მარცხენა ფეხში მტრის ვერაგული ტყვიით და მასთან ერთად წინააღმდეგობის უნარს ჰკარგავენ მისი ამხანაგები მიღებული ჭრილობის შემდეგ. მიქელაძე მტერს მიყავს ტყვეთ, მაგრამ მისი დაკვირვებული და მიზანშეწონილი ქცევით ტყვეობიდან თავს ინთავისუფლებს და უბრუნდება წითელ მილიციონერთა რიგებს.

111. ერწოს სამილიციო რაიონში ახლად გადაყვანილმა აღბულაღის სამილიციო რაიონის უფროსმა ამხ. კოპალიანმა, რომლის გადაყვანას სარჩულად ედვა ამ რაიონში, ბოლო დროს, შემჩნეული ყაჩაღთა თარეში, - სრულებით გაამართლა ის იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდა ტფილისის მ/გ მილიცია. მან ყაჩაღთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამობრძმედილმა თავისი სპეტაკი სისხლით მორწყა ის სადარაჯო, რომლის დაცვა მას დაავალა მუშათა და გლეხთა მთავრობამ. ერწოს სამილიციო რაიონის ცენტრს, სოფ. სიმონიანთ ხევს თავად ჩოლოყაშვილის რაზმი დაახლოვებით 150 კაცისაგან შემდგარი, მისივე პირადი მეთაურობით, თავს დაესხა ა/წ 7 სეკტემბერს ღამის 3 საათზე. რაიონში იმყოფებოდა ჩვენი ძალა შემდგარი დაახლოვებით 60 კაცისაგან.

ერწოს დამცველთა უკანასკნელი რაოდენობა განაწილებული იყო სხვა და სხვა სადარაჯოებზე, სროლის დაწყებისას დიდი უმრავლესობა სადარაჯოებისა

საქართველოს ეროვნული არქივი

ბრძოლის აკტიობას მოკლებულნი დარჩნენ, მტერს სადარაჯოები დაუთმენ პირველი შემთხვევისთანავე, რადგან მტერმა ერთ და იმავე დროს სოფელს ალყა ყოველმხრივ შემოარტყა და სადარაჯოებს ბრძოლის უნარიანობა დაუკარგა. ამხ. კოპალიანი თავგამოდებით ცდილობს, სადაც ეს შესაძლებელია, გამაგრდეს და მტერს ცოცხალი არ ჩაუვარდეს, მაგრამ ბრძოლის წარმოების ყოველგვარ წესებს უჩვევი ამხანაგებისაგან შემდგარი მცირე ჯგუფები ვერ ახერხებენ საკმაო სიმტკიცის გამოჩენას და სადარაჯოებს სტოვებენ. სოფლის სკოლის შენობაში ამხ. კოპალიანის მიერ დატოვებული ჯგუფი სტოვებს სადარაჯოს და მირბის სწორედ იმ დროს, როდესაც მათი მოქმედება სწყვეტდა ბრძოლის შედეგებს. მიუხედავათ ამისა ამხ. კოპალიანი, გარე-კახეთის სამილიციო რაიონის უფროსის თანაშემწე ამხ. მიქელაძის, რამოდენიმე თვისი მილიციონერების და 11 კაცისაგან შემდგარ წითელ არმიელების გუნდის თანხლებით მაგრდება მილიციის და აღმასკომის შენობების წინ და ომობს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას აღნიშნული დაწესებულებანი. ბრძოლა დაწყობილი ღამის სამი საათიდან გრძელდება დილის ექვს საათამდე და ამხ. კოპალიანის რამოდენიმე კაცისაგან შემდგარ რაზმს მტერი ასი კაცისაგან შემდგარი ვერაფერს აკლებს. სადარაჯოზე ეცემა მტრის ტყვიით განგმირული მილიციის იარაღის საწყობის გამგე უმც. მილიციონერი ამხ. ჩიქოვანი, კომკავშირის წევრი მილიციონერი ამხ. ქისტელი და წითელ არმიელთა გუნდის უფროსი, ამხ. მიქელაძე და ბოლოს თვით ამხ. კოპალიანი, უკანასკნელ ჭრილობას ამხ. კოპალიანი ღებულობს ზურგს უკან მდგარ მტრისაგან; მიუხედავათ ამისა ამხ. კოპალიანი ცდილობს თავისი იარაღი მტერს ხელთ არ ჩაუგდოს და ახერხებს მათ მდინარეში გადაყრას. გამარჯვებული მოწინააღმდეგე თოფის ყუით უკანასკნელ ჭრილობას უკვე გრძნობა დაკარგულ ამხ. კოპალიანს აყენებს თავში და დარწმუნებული იმაში, რომ კოპალიანი მკვდარია - სძარცვავს მას. ამის შემდეგ ბანდიტები სძარცვავენ დაწესებულებებს და მიეშურებიან ტყეში. დაჭრილ-დასახიჩრებული ამხ. კოპალიანი ამხანაგებმა ჩამოიყვანეს ტფილისში და ექიმები იმედს იძლევიან, რომ ის ჭრილობას გადიტანს და გაჯანსაღდება, რომ ისევ დაუბრუნდეს თავის საყვარელ საქმეს.

ზემოთ აღნიშნულ რწმუნებულ ჩემდამი მ/გ მილიციის თანამშრომლებს: ა) გარე-კახეთის სამილიციო რაიონის **უმცროს მილიციონერებს - ამხ. ამხ. სილაგაძე ბაგრატს,** რომელიც მსახურობს რწმუნებულ ჩემდამი მ/გ მილიციაში 1923 წ. 28 თებერვლიდან, ბროლაშვილი შაქროს, მსახურობს 1922 წ. 26 ივნისიდან, გარე-კახეთის სამილიციო რაიონის უფროსის თანაშემწე, **ამხ. მიქელაძე ალექსანდრეს**, მსახურობს 1923 წ. 6 მარტიდან და ბ) ერწოს სამილიციო რაიონის უფროს **ამხ. კოპალიანი დავითს, მსახურობს** 1922 წ. 9 სეკტემბრიდან, - სამსახურისადმი თავდადებისა და გმირობისათვის არა ერთხელ მიუღიათ ჩემ და სხვა შესაფერ უწყებებისგან სამსახურის სახელით მადლობა და ჯილდო, მენშევიკების უკანასკნელ ავანტიურისტულ გამოსვლებში კი საბოლათ დაამტკიცეს თავისი გმირობა, ერთგულობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისადმი და ფრიად დიდი სისპეტაკით დაიცვეს მუშათა და გლეხთა, მილიციის ავტორიტეტი მუშებისა და გლეხების თვალში.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას მაძლევს კატეგორიულად ვიშუამდგომლო თქვენს წინაშე, რომ აღძრათ შესაფერი შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს ზემოხსენებული ამხანაგების წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვების შესახებ.

საქართველოს ეროვნული არქივი

ტფილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების
გამგე, იგივე ტფილისის მ/გ მილიციის უფროსი (ხმალაძე) ხელრთვა
სამილიციო ქვე-განყოფილების უფროსი (კიღურაძე) ხელრთვა
მაზრის მილიციის საგარეო ნაწილის უფროსი (ჯიბლაძე) ხელრთვა
კანცელარიის მმართველი (გუგუშვილი) ხელრთვა

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: მოხსენდეს თავმჯდომარეს. 22/IX. პრეზიდიუმს. 26/IX. მიეცეს ჯილდო ასი მანეთის რაოდენობით: 1) კოპალიანს, მიქელაძეს. 2) 50 მანეთი სილაგაძეს და ბროლაშვილს.

საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისის ცენტრალური არქივი,
ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 204, ფურცლები 1-3.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის „ფაზისელის“ საიდუმლო წერილი პარტიულ ამხანაგებს 1924 წლის აჯანყებაზე
1924 წლის 20 სექტემბერი

საიდუმლო. მტერს ხელში არ ჩაუვარდეს
შინაარსი გააცანით რაც შეიძლება მეტ ამხანაგებს
წერილი პარტიულ ამხანაგებს

ძვირფასო ამხანაგებო! შეიარაღებული აჯანყების დამარცხებით დამთავრება იწვევს საზოგადოებაში და ჩვენს წრეებშიც ათასგვარ მითქმა-მოთქმას. ბევრი აბრალებს პროვოკაციას, ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეცდომა იყოვო და სხვა!

რომ ამხანაგები რამოდენიმედ მაინც გაეცნოს საქმის ნამდვილ ვითარებას, მოგიყვანთ ზოგ ფაქტებს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ღია წერილის საშვალებით, მომავალში კი, როცა შევძლებთ ორგანიზაციების ნახვას, ან მათი წარმომადგენლების შეხვედრას, ჩვენ მათ გადაუშლით სრულ სურათს ჩვენი მუშაობისა ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში.

როგორ ციცით თვით საკითხი შეიარაღებულ აჯანყებისთვის მზადების შესახებ ჩვენს ორგანიზაციებში არავითარ ოპოზიციას არ პოულობდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო ოროლა ინტელიგენტებს, რომლებიც ორგანიზაციის გარეშე იდგნენ. ჯერ კიდევ ა/წ. იანვრის კონფერენციაზე აშკარა გახდა ცეკასთვის, რომ მთელი პარტია ამ საკითხში ერთსულოვანია და შეურყევლად უჭერს მხარს ცეკას მიერ აღებულ ხაზს. ამ კონფერენციის შემდეგ ცეკა ცდილობდა, რაც შეიძლება დაეჩქარებია წინასწარი მუშაობის დამთავრება იმ ანგარიშით, რომ გამოსვლა მოსწრებულიყო 26 მაისამდე. ხელი შეგვიშალა რამოდენიმედ ზოგი ამხანაგების ჩავარდნამ და უმთავრესად უფულობამ. დაწყებული 1 მარტიდან 15 ივლისამდე არც ცეკას და არც დამკომს არ მოეპოვებოდა არც ერთი კაპეიკი. შეფერხდა და გადაიდო აუარებელი ისეთი საქმეები, რომლებიც მოითხოვდა სასწრაფოდ მოგვარებას და აი ეს იყო მთავარი და თითქმის ერთად ერთი მიზეზი გამოსვლის სისტემატიურად გადადების. შემდეგ როგორც იქნა დიდის გაჭირვებით ივლისის შუა რიცხვებში სხვა და სხვა გზით ვიშოვეთ მინიმუმი იმისი, რაც საშუალებას გვაძლევდა საკითხის პრაქტიკულათ დასმის გამოცხოველდა მუშაობა ცენტრშიც და პროვინციაშიც. საერთაშორისო და უმთავრესად შინაური მდგომარეობა გვაიძულებდა საქმის ან სრულიად მოხსნას ან დაჩქარებას. ცეკა შეეცადა გაეგო ცეკის გარეშე მყოფი მოწინავე ამხანაგების აზრი, რათა დარწმუნებულვიყავით ჩვენი ხაზის სისწორეში. ჩვენ გვინდოდა გაგვეგო მოხდა თუ არა რაიმე გარდატეხა ამხანაგების აზროვნებაში იანვრის კონფერენციის შემდეგ. ამისთვის საკითხის საბოლოოდ გადაჭრის და დროს დანიშვნის წინ მოვახდინეთ დაკითხვა ამხანაგების და ვერსად ვერ შევხვდით ოპოზიციას აქ, თბილისში, ხოლო რაც შეეხება პროვინციას - ყველა ადგილიდან დაჟინებით მოითხოვდენ საქმის დაჩქარებას. ამის შემდეგ გადაწყდა დაახლოვებით აგვისტოს შუა რიცხვებში გამოსვლის დაწყება. ამ დროს 6 აგვისტოს იჭერენ ვალიკო ჯუღელს, ეს ფაქტი შეიქნა საბედისწერო, რომელმაც ნიადაგი ჩაუყარეს მოძრაობის დამარცხებით დამთავრებას. აქვე უნდა გაესვას ხაზი ერთ გარემოებას. ცეკას სრული შემადგენლობა და მასთან ახლო მდგომი

საქართველოს ეროვნული არქივი

ამხანაგები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ჩვენს ორგანიზაციაში არავითარ სერიოზულ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია. ეს რწმენა ეხლა უფრო შეურყეველი შეიქნა, ვინაიდან ჩვენ ეხლა გვაქვს ბევრი საამისო საბუთები, რის მოყვანა ამ წერილში უხერხულია. რასაკვირველია ასეთ გრანდიოზულ მზადების დროს ნაწილობრივი გაცემები აუცილებელი იყო, მაგრამ რომ ჩვენს ახლო ვინმე დიდი პროვოკატორი ყოფილიყოს, ეს არავითარ შემთხვევაში დასაჯერებელი არ არის. მიუხედავათ ამისა, სამწუხაროდ ვალიკო წამოეგო ჩეკის კოლეგიის მიერ გადმოსროლილ ანკესზე და როცა მას წარუდგინეს ზოგი მათ ხელში არსებული ფაქტები, ვალიკო იმდენად გულუბრყვილო გამოდგა, რომ გაუტყდა ჩეკას და უთხრა აჯანყება მართლა მზადდებაო. მანვე მოითხოვა ციხიდან ამხანაგები და ჩეკის საშვალებით და ნებართვით ციხეს გამოაგზავნია გარეთ ცეკასთან მოსალაპარაკებლად ერთი ტუსაღი, რომლის პირით შემოუთვალა მოხსენით აჯანყების საკითხიო. ჩეკამაც თავის მხრივ დამოძღვრა ხსენებული პატიმარი: მოროზმა და კვანტალიანმა უსურვა მას ამ დიდი მისიის სასურველად შესრულება. პატიმარის სიტყვიდან სჩანდა, რომ ჩეკა ყოველივე გზით ცდილობ-და ესარგებლა ვალიკოს ავტორიტეტით ან შესაფერი გავლენა მოეხდინა გარეთ მყოფ ამხანაგებზე. რადგან აქ ჩეკას გასვრილი ხელი ერია ცეკა ოფიციალურად არ შეხვდა ამ პატიმარს, მხოლოდ გადასცა მესამე პირის საშვალებით, რომ ის არ ფიქრობდა აჯანყების მოხდენას. თუმცა ჩეკამ მიიღო ეს ცნობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან გაიგო ვალიკოდან ყველაფერი, ის რასაკვირველია ამის შემდეგ არავითარ ჩვენს რწმუნებას არ დაენდობოდა. მართლაც ვალიკოს მიერ გაკეთებულ განცხადების მეორე დღესვე ე. ი. 13 აგვისტოს (ვალიკოს წერილი ჩეკის საშუალებით გამოგზავნილი ისეთივე შინაარსის, რაც 29-ს კომუნისტში გამოაქვეყნეს ჩვენ მივიღეთ 14 აგვისტოს) უკვე ამოძრავდა მოწინააღმდეგის მთელი სამხედროს მთელი სამხედრო აპარატი ცენტრში და პროვინციაში. მოხდა ჯარების სასწრაფო გადაჯგუფება, ზედმიწევნით გაამაგრეს ტფილისი. მეორე მხრივ, ვალიკოდან მიღებული წერილის გამო გამოწვეულმა ბუნებრივმა ეჭვებმა და მტრის სასწრაფო მომზადებამ დამკომი აიძულა 19 აგვისტოსთვის დანიშნული გამოსვლა გადაედო. 4-5 დღე დაიკარგა ამ იჭვების გარკვევაში, ზოგი მომქმედი პირების მოხსნაში, ახლების დანიშვნაში და სხვა. ყველა პარტიების შინაურ საქმიანობის და მუშაობის დაკვირვებამ და ანალიზმა დაარწმუნა ყველანი, რომ ვალიკო თავის წერილში ძლიერ აჭარბებდა, რომ ის თავის გულუბრყვილობით გაება დაგებულ მახეში და გახდა მტრის ხელში ჩვენს წინააღმდეგ მომართულ იარაღათ. ამავე დროს ხმალი უკვე ამოღებული იყო ქარქაშიდან. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. დაინიშნა ახალი ვადა 28 აგვისტო. თბილისის გამაგრების შემდეგ სპეციალისტებმა გააცხადა, რომ თბილისს გარეთ დაუხმარებლად ვრ ავიღებთო. ამან აიძულა დამკომი შეეცვალა წინანდელი გეგმა და დაეწყო მოქმედება თბილისის გარეშე. დამკომი გავიდა ქალაქს გარეთ. საუბედუროთ ერთხელ დანიშნულ დღის გადადებამ ჩაშალა თბილისზე გარედან მოდგომის გეგმა. ის ხალხი, რომელიც 19-ისთვის მზად იყო ამ საქმისთვის ამ რიცხვიდან 28-მდე დაიშალა და 28-ს საკმაო რიცხვი აღარ გამოცხადდა - ეგონათ ეხლაც მოგვატყუებენო. ამავე დროს მოხდა ერთი საშინელი შეცდომა, რომელმაც საბოლაოდ გადასწყვიტა აჯანყების ბედი. ჭიათურა რაღაც მიზეზის გამო გამოვიდა 24 საათით ადრე დანიშნულ ვადაზე, რამაც გააფრთხილა მოწინააღმდეგე. უკვე 28 საღამოს თბილისში ზომები მიიღეს. ბრონევიკები დაიძრა დასავლეთისკენ. ქალაქებში ყველგან დაირაზმენ. ალბათ ქუთაისიც

საქართველოს ეროვნული არქივი

ამის გამო ვერ აიღეს. შეუძლებელი შეიქნა წიფის გადაკეტა. ქართლს უნდა დახმარებოდა შორაპანი. ეს აღარ მოხერხდა. ბორჩალოს თათრები ფეხზე იდგა. თბილისზე ერთი მხრიდან მისვლის გეგმის ჩაშლამ ბორჩალოც გააჩერა და ამ რიგათ დამარცხება აუცილებელი შეიქნა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებდით, რომ ჩვენ არ გადაგვედო გამოსვლა, მით უფრო, რომ ჩვენ გვქონდა საკმაო და უტყვი საბუთი იმისა, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ საქართველოს აყვებოდა ზოგი სხვებიც, მით უფრო რომ ჩვენი წინანდელი მტკიცება იმის შესახებ, რომ მოძრაობა იქნებოდა უაღრესად ხალხური და მასიური ბრწყინვალეთ გამართლდა ყველგან, იქაც კი, სადაც გამოსვლები არ მოხერხდა. თქვენ ალბათ გაიგებდით, რომ დამკომს წაუყენეს ულტიმატუმი, თუ გინდათ რომ შეჩერდეს ხვრეტა, დეკლარაციაზე მოგვიწერეთ ხელიო. აქედან ცხადია, რომ დამკომის განცხადება „ზედაფენების“ გამოსვლის შესახებ და ავანტიურის შესახებ იძულებითი განცხადებაა.

აი მოკლეთ ის მიზეზები, რამაც გამოიწვია დამარცხება. თავისთავად ცხადია, რომ ეს გამოსვლა არ ჩაითვლება ავანტიურად, ვინაიდან რომ ეს უბედურება არ დაგვტეხოდა თავს (ვალიკოს დაჭერა და ვადის გადადება, ჭიათურის უდროვოთ გამოსვლა) საქმე სულ სხვა გვარათ წავიდოდა. თუ რა მოხდა და რა ხდება ეხლა საქართველოში ამ დამარცხების შემდეგ თქვენც კარგათ ხედავთ ოკუპანტები ცდილობენ ქართველი ხალხის სრულიად განადგურებას. ჩვენი ვალია დავადგეთ ისეთ გზას, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადავარჩინოთ ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაწილი განადგურებას. ამან გამოიწვია ჩვენი ცეკას იმ წევრების მიერ, რომლებიც გადარჩა დაჭერას, თქვენთვის უკვე ცნობილი განცხადების გამოქვეყნება გადადგომის შესახებ და პარტიულ ხაზის გადასინჯვის შესახებ.

გთხოვთ მიიღოთ ყოველივე ზომები, რომ ქართველი ხალხის სისხლით დამთვრალ ჯალათებს, რაც შეიძლება ნაკლები საბაბი მიეცეს ჟლეტის გაგრძელებისთვის. ეცადეთ შეინახოთ ორგანიზაციები. სიტყვით და საქმით გაამაგრეთ საორგანიზაციო კომიტეტის ავტორიტეტი. ეს ორგანო დროებითია, სანამ არ შესდგება ახალი ცეკა. ჩვენ გვწამს, რომ ტყვილად არ ჩაივლის ეს თავდადებული ბრძოლა ჩვენი ხალხის, საამისო სიმპტომები უკვე არის, თქვენ მიიღებდით ზოგ ცნობებს ამის შესახებ, უმთავრესია სიმტკიცე და უიმედობის გულიდან აღმოფხვრა.

ამხანაგური სალმით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცეკას ყოფილი წევრი და მდივანი ფაზისელი.

„20“ სექტემბერი 1924 წელი.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 171, ფურცლები 20-22.

საქართველოს ეროვნული არქივი

სენაკის მაზრის მილიციის უფროსის წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილებას 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დაპატიმრებულთა გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებით
1924 წლის 24 სექტემბრის შემდეგ

მოგახსენებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ მაზრაში მოკლულ იქნენ შემდეგი ბანდიტები: 1. ბანძის უბნიდან ამა წლის 22 სექტემბერს ქ. ახალსენაკში გამოგზავნილი 10 პატიმარი, მონაწილეობის მიმღებნი ბანდიტურ გამოსვლებში, მოჰყავდათ მდინარე გაჭედილის ახლო. მათ დახდომიათ ბანდიტები, რომლებსაც აუტეხიათ სროლა გზაზე. სროლის დროს მოკლულ იქნა 10 პატიმარი ბანდიტი. 2. 23 სექტემბერს სოფელ მარტვილიდან გადმოეგზავნათ მაზრის ინფორმპუნქტის განკარგულებაში 36 ბანძის პატიმარი, სოფელ ნახუნავოში ერთი ნაწილ პატიმარბანდიტებს გაქცევა მოეწყოთ. ამ დროს პატიმრების გამყოლ კომუნარებს თავს დასხმიან ადგილობრივი ბანდიტები, დაახლოებით 6 კაცი. კომუნარების დასახმარებლად იქნა გამოგზავნილი ცხენოსანი რაზმი, მაგრამ რაზმის მისვლამდე ბანდიტები გაფანტულან. მასთან აღმოჩნდა მოკლული 5 კაცი – პატიმარი ბანდიტები, რომლებსაც გაქცევა მოუნდომებიათ. 3. 24 სექტემბერს ხუნწის თემში იქნა ნახული გვამი განთავისუფლებული ბანდიტის პლატონი გაბისონიასი, რომელიც, როგორც გამოძიებით გამოირკვა, არის მოკლული ბანდიტების მიერ ინფორმაციის მიცემის გამო.

გამოძიება გრძელდება. მიღებულია სათანადო ზომები ბანდიტების შესაპ-ყრობად.

სენაკის მაზრის მილიციის უფროსი /ხელრთვა/
სამმართველოს მდივანი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 285, ანაწერი 1, საქმე 1069, ფურცლები 35-35ა.

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის მაზრაში არსებული ეკლესია-მონასტრების სამღვდელოების კრების ოქმი, სადაც დაგმობილია 1924 წლის აჯანყებისას მოძმეებს შორის მომხდარი სისხლისღვრა
1924 წლის 28 სექტემბერი

ასლი

ოქმი

1924 წელსა სექტემბრის 25-26 დღესა მოხდა ქ. ტფილისის ოლქის სამღვდელოების კრება, დაისვა საკითხი: სამღვდელოების მიმართება მომენტისადმი. სამღვდელოებამ იქონია მსჯელობა და გამოიტანა სათანადო დასკვნა, რომელის რეზოლიუციის ფორმაში ჩამოყალიბება მიენდო 26 სექტემბრის კრებას. ამ დღეს 12 საათზედ გახსნილ კრებაზედ ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: განცხადებაში, რომელიც ქალაქ ტფილისის ქართველ სამღვდელოებამ მიართვა ს. ს. ს. რ. მთავრობის თავმჯდომარეს ჯერ კიდევ 1923 წ. მაისის დამდეგს, გამოთქმული იყო ამ სამღვდელოების შემდეგი მრწამსი: „მიეცი კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთსა - აი მცნება ქრისტეს მაცხოვრისა ამ ქვეყნად მოქალაქობისთვის ჩვენთვის ნაანდერძევი. ჩვენ ამ ნიადაგზედ ვდგევართ და ვიდგებით. ამიტომ ვაცხადებთ, რომ არც მენშევიზმის „აგენტები“ ვართ და ვყოფილვართ და არც რომელიმე სხვა პარტიისა. სარწმუნოებრივი ორგანიზაცია ჩვენი სდგას და იდგება ყოველივე პარტიულ და პოლიტიკურ მიმდინარეობის გარეშე - ლოიალურ-მოქალაქობრივ ცხოვრების გზაზე. საერთო სახელმწიფოებრივ კანონების წინაშე პასუხის მგებლობით“. დამატებად და განსავითარებლად ზემო აღნიშნულ განცხადებისა ქ. ტფილისის ქართველმა სამღვდელოებამ, იქონია რა მსჯელობა საქართველოს სხვადა სხვა კუთხეებში ა./წ. აგვისტოს ბოლოს მომხდარ გამოსვლების შესახებ, ამა წლის 25-26 ენკენისთვეს კრებაზედ გამოიტანა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: „ქ. ტფილისის ქართველი სამღვდელოება, როგორც ყოველივე პოლიტიკის და პარტიულობის გარეშე მყოფი და მატარებელი დიადი ქრისტიანული პრინციპისა ხელისუფლებისადმი მორჩილების და პატივისცემის შესახებ, არც იდეურად, არც მოქმედებით არ იზიარებს ამ სისხლის მღვრელს და ძმათა გამთიშველ გამოსვლებს.

აცხადებს რა ზემოაღნიშნულსა საჯაროდ, ტფილისის ქართველი სამღვდელოება მამობრივი მუდარით მოუწოდებს მორწმუნეთა ყოველივე სახით ხელი შეუწყონ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა ხელის უფლებას მისს ეროვნულ-კულტურულ მშვიდობიან აღმშენებლობაში.

თავმჯდომარე კრებისა, მთავარ ხუცესი დეკ. დ. ხახუტაშვილი
დეკანოზი გ. ასათიანი
დეკანოზი გ. გამრეკელი
დეკანოზი ი. ბერიძე
დეკანოზი ვ. კარბელაშვილი
დეკანოზი ს. უსტიაშვილი
დეკანოზი ი. მირიანაშვილი
დეკანოზი ი. გურგენიძე
დეკანოზი ვ. მატათაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი

დეკანოზი ლ. ნათიძე
მღვდელი ა. ელისაბედაშვილი
დეკანოზი ა. თევზაძე
დეკანოზი დიმ. ლაზარაშვილი
არქიმანდრიტი დიმიტრი
დეკანოზი ი. ტატიშვილი
მღვდელი ა. ტყემალაძე
დეკანოზი ილია შუბლაძე
მღვდელი ალ. სამადალაშვილი
დეკანოზი ზ. ლუკაშვილი
დეკანოზი იოელ გამრეკელი
დეკანოზი ბ. კანდელაკი
დიაკონი გ. ხუციშვილი
დიაკონი ნიკოლოზ ბილღაშვილი
მღვდელ მონაზონი ევაგრი
დეკანოზი იეროთე აივაზაშვილი
დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე
პროტოდიაკ. სიმ. მონასელიძე
დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი

1924 წელსა 28 სეკტემბერს. აქ მოყვანილ რეზოლიუციას სავსებით ვიწონებ. ს-დ საქართველოს კათ. პატრიარქის დროებითი მოადგილე ეპ. ქრისტეფორე ურბნელი.

დედანთან სწორეა მთავარხუცესი დეკანოზი დ. ხახუტაშვილი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 37ა, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრების ქონების კონფისკაციის შესახებ
1924 წლის 29 სექტემბერი

ს. ს. ს. რ. Секретно
სრულიად საქ. საბჭოებთა
ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტი
1924 ნ. сентября „29“
N 48/c
ქ. ტფილისი
სასახლე

СЕКРЕТАРЮ ЦК КПГ ТОВ. КАХИАНИ.

При сем препровождается к Вам постановление Грузцика о конфискации имущества бывш. членов правитеьства меньшевиков и учредительного собрания со списком их на Ваше заключение.

О последующем заключении прошу сообщить срочно.

Приложение: упомянутое.

Секретарь ЦИКА Грузии
/Сабашвили/ /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 108ა.

საქართველოს ეროვნული არქივი

იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 1924 წლის აჯანყებაში მარტვილის რაიონში და ამის გამო მათზე შეწერილი ფულადი ჯარიმა 1924 წლის სექტემბერი

ცნობები

ბანდიტურ გამოსვლებში იმ მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა გამოსვლებში და არიან გადასახადის უნარის მქონენი

თემის სახელწოდება	რაოდენობა აქტიურ მონაწილეთა, რომელთაც შეუძლიათ გადასახადის გადახდა	რამდენი შეიძლება დაეწეროს საშვალოთ მათ რომ შემდეგ არსებობის საშვალება შერჩეთ	შენიშვნა
ხუნწის თემი	აქტ. 18. პასიური 29=47	1,620 მ.	
	აქტ. 6. პასიური 17=23		
ნაგვაზოვოს თემი	აქტ. 20. პასიური 27=47	780 მ.	
	აქტ. 22. პასიური 59=81		
ნახუნავოს თემი	აქტ. 4. პასიური 20=24	1,440 მ.	
	სულ 222 კაცი		
მარტვილის თემი		2,340 მ.	
გაჭედილის თემი		760 მ.	
		სულ 6,940 მ.	

კომისიის თავ-რე: ი. თოფურია /ხელრთვა/
წევრები: 1. /ხელრთვა/
2. /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის სენაკის მაზრის მარტვილის სარაიონო აღმასკომის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

მარტვილის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური კომისიის დადგენილება აღნიშნულ რაიონში 1924 წლის აჯანყების მონაწილეებზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის მითითებით 1924 წლის სექტემბერი

სია:

იმ მოქალაქეთა, რომლებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა ბანდიტურ გამოსვლებში და არიან გადასახადის უნარის მქონენი

გვარი, სახელი	აქტიური	პასიური	საშვალი	ღარიბი	რამდენი დაეწერა ფული	შენიშვნა
ნაგვაზოვო						
მეძველია ანდრია ივანეს ძე	აქტ.			ღარიბი	20	
ჯღარკავა ლუკა მოსეს ძე		პასიური	საშვალი		40	
ჯღარკავა იასონი თადას ძე		პასიური		ღარიბი	20	
ჯღარკავა ყათი ესოს ძე		პასიური	საშვალი		40	
ჯღარკავა ერასტი მოსეს ძე		პასიური		ღარიბი	20	
ბოლქვაძე ძოკია	აქტ.		საშვალი		40	
ახალაია პროხუა ბიჭის ძე		პასიური	საშვალი		40	
ჩიქოვანი გურა	აქტ.		საშვალი		40	
ჯღარკავა ისლამი მახას ძე		პასიური		ღარიბი	20	
ჯღარკავა აქვსენტი ქაქუჩიას ძე		პასიური	საშვალი		40	
ბოლქვაძე თეოდორე ბუჟუს ძე		პასიური		ღარიბი	20	
ახალაია ბესა	აქტ.			ღარიბი	20	
ახალაია ესტატე		პასიური	საშვალი		40	
ახალაია კირილე		პასიური	საშვალი		40	
ბოლქვაძე შარ.		პასიური	საშვალი		40	
კვანტალიანი პლატონ სპირიდონის ძე		პასიური	საშვალი		40	
კვანტალიანი სილოვანი პეტრეს ძე		პასიური	საშვალი		40	
ჩიქვანაია რაუდენ პეტრეს ძე	აქტ.		საშვალი		40	
ფირცხალავა არსენი ჩაგუს ძე		პასიური		ღარიბი	20	

საქართველოს ეროვნული არქივი

კვანტალიანი გრიგორი დუტუს ძე	აქტ.		საშველი		40	
გაბისონია ვლადიმერი		პასიური	საშვალი		40	
სურმავა ალექსანდრე დიმიტრის ძე		პასიური	საშვალი		40	
სურმავა ისიდორე მაქსიმეს ძე		პასიური	საშვალი		40	
					სულ 780	
ხუნწის თემი						
მოგელაძე დომენტი როსტომის ძე	აქტ.		საშვალი		40	
რევია დავითი	აქტ.			ღარიბი	20	
ჟიშკარიანი ევგენი		პასიური	საშვალი		40	
გახოკიძე მელიტონ	აქტ.		საშვალი		40	
ჩიქოვანი ვანო		პასიური	საშვალი		40	
ბართაია კოსტა	აქტ.		საშვალი		40	
ბერია ლუკა		პასიური		ღარიბი	20	
ჯიქია ბახვა		პასიური	საშვალი		40	
გვილავა რაჟდენ პავლეს ძე		პასიური	საშვალი		40	
ჯალაღონია იოსები	აქტ.			ღარიბი	20	
რევია თენგიზი		პასიური	საშვალი		40	
კინწურაშვილი იაკინთე	აქტ.		საშვალი		40	
მონიავა ივანე ფატის ძე		პასიური	საშვალი		40	
მონიავა კოსტა		პასიური	საშვალი		40	
კირთაძე ბახვა		პასიური	საშვალი		40	
მონიავა იონა		პასიური	საშვალი		40	
ხუროძე ანდრო როსტომის ძე		პასიური	საშვალი		40	
მანჩხავა პავლე	აქტ.		საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

გოლენიძე ბესა		პასიური	საშვალი		40	
მოსიავა ვანო	აქტ.			ღარიბი	20	
რევია ილია		პასიური		ღარიბი	20	
ბერია ამროზი	აქტ.		საშვალი		40	
ძიძიგური ელიზბარი		პასიური	საშვალი		40	
ჯანჯღავა დიმიტრი		პასიური		ღარიბი	20	
ციცხვაია გიორგი	აქტ.		საშვალი		40	
წოწორია სანდრო	აქტ.			ღარიბი	20	
თოფურია მიხა	აქტ.		საშვალი		40	
ჯღამაია სამსონ	აქტ.		საშვალი		40	
გეგეჭკორი რაჟდენ	აქტ.		საშვალი		40	
წოწორია ტოტი	აქტ.		საშვალი		40	
თოფურია ვალოდია	აქტ.		საშვალი		40	
გვალია ბესა	აქტ.		საშვალი		40	
ბაკურია კიტი		პასიური		ღარიბი	20	
თოფურია ბარნაბა		პასიური		ღარიბი	20	
გეგეჭკორი პავლე			საშვალი		40	
					სულ 1200	
..... თემი (არ იკითხება - **გამომც.**)						
სამსონია აკაკი	აქტ.		საშვალი		40	
ჩიქვანია იუსტინე		პასიური	საშვალი		40	
ციცხვაია ალექსანდრე		პასიური	საშვალი		40	
თოფურია კოსტა		პასიური	საშვალი		40	
ციცხვაია პლატონ		პასიური	საშვალი		40	
თოფურია ნოე პავლეს ძე		პასიური	საშვალი		40	
ბერია გიორგი		პასიური	საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

მოგელაძე ლავრენტი	აქტ.		საშვალი		40	
გოგია ალექსანდრე		პასიური		ღარიბი	20	
ჯიქია გერასიმე		პასიური		ღარიბი	20	
მონიავა ისაკი		პასიური		ღარიბი	20	
					ჯამი 380	
ნახუნავო						
სულაბერიძე მიხაილ		პასიური		ღარიბი	20	
ბედია ნესტორ	აქტ.			ღარიბი	20	
ასათიანი მიხა		პასიური		ღარიბი	20	
ნარსია გიგო		პასიური		ღარიბი	20	
სურმავა ლევანი		პასიური		ღარიბი	20	
დგებუაძე პლატონ	აქტ.		საშვალი		40	
ჭუბაბრია მარუშა	აქტ.			ღარიბი	20	
ჯოლია იასონი	აქტ.		საშვალი		40	
ჯოლია თეოფანე	აქტ.		საშვალი		40	
ჯოლია სოლომონ	აქტ.		საშვალი		40	
ჯოლია სარდიონი	აქტ.		საშვალი		40	
ჯოლია კონსტანტინე სოფროს ძე	აქტ.		საშვალი		40	
კანკავა გრიგორ სიმოს ძე	აქტ.		საშვალი		40	
ფანცულაია ტარასი	აქტ.			ღარიბი	20	
ინჯგია ლევან		პასიური		ღარიბი	20	
ბარათელი ათანასა	აქტ.			ღარიბი	20	
სიგუა ნესტორ	აქტ.			ღარიბი	20	
სიგუა დათიკო		პასიური	საშვალი		40	
სიგუა სოლომონ	აქტ.		საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

სიგუა მაკარი		პასიური	საშვალი		40	
ფაღავა პაკრუ	აქტ.		საშვალი		40	
ფაღავა შალიკო	აქტ.		საშვალი		40	
სიგუა ივანე მოსეს ძე	აქტ.		საშვალი		40	
სიგუა ალია	აქტ.		საშვალი		40	
ცანავა კოკია	აქტ.		საშვალი		40	
ბარათელი გრიგორ		პასიური		ღარიბი	20	
ქურდიანი პლატონ	აქტ.			ღარიბი	20	
ქურდიანი აკაკი	აქტ.			ღარიბი	20	
ცანავა ანტონ	აქტ.		საშვალი		40	
ცანავა მოსე		პასიური		ღარიბი	20	
ცანავა მათე		პასიური	საშვალი		40	
ცანავა სტეფანე	აქტ.		საშვალი		40	
ჯიჯალავა ბუხუ		პასიური	საშვალი		40	
სიგუა ბესა ივანეს ძე	აქტ.		საშვალი		40	
ჩხეტია კოლია	აქტ.			ღარიბი	20	
ხარბედია კოსტა		პასიური		ღარიბი	20	
ჭოჭუა ძოკო	აქტ.		საშვალი		40	
კირტავა პოლიკარპე	აქტ.		საშვალი		40	
ფარულავა ვალიკო		პასიური		ღარიბი	20	
ცანავა სოლომონ	აქტ.			ღარიბი	20	
ცანავა გერასიმე ნიკოს ძე	აქტ.		საშვალი		40	
ჭოჭუა ბარდღა		პასიური		ღარიბი	20	
ჯოლია იოსები		პასიური		ღარიბი	20	
სიგუა ლუკა ივანეს ძე		პასიური		ღარიბი	20	
ჭოჭუა კირილე		პასიური	საშვალი		40	
ჭოჭუა ალექსანდრე	აქტ.		საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

სურმავა ბესა	აქტ.			ღარიბი	20	
					სულ 720	
გაჭედილი						
ჯანჯღავა გუისა	აქტ.		საშვალი		40	
ჯანჯღავა მიხა	აქტ.		საშვალი		40	
ფაცაცია კოსტა		პასიური	საშვალი		40	
ჯანჯღავა რადიონი		პასიური		ღარიბი	20	
ჯანჯღავა მანუჩარ	აქტ.			ღარიბი	20	
ჭოჭუა ნესტორ	აქტ.		საშვალი		40	
ბახიშვილი აკაკი	აქტ.		საშვალი		40	
წულაია სოლომონ კოჩას ძე	აქტ.		საშვალი		40	
ბახიშვილი მიშა	აქტ.			ღარიბი	20	
..... ნიკოლოზ	აქტ.			ღარიბი	20	
..... პლატონ	აქტ.		საშვალი		40	
..... თომა	აქტ.		საშვალი		40	
წულაია ფარნა	აქტ.			ღარიბი	20	
წულაია ლუკა	აქტ.		საშვალი		40	
შავდია მაკარი	აქტ.			ღარიბი	20	
შავდია პლატონ	აქტ.			ღარიბი	20	
შავდია ხუტუ	აქტ.			ღარიბი	20	
ბართია ალექსანდრე	აქტ.		საშვალი		40	
ციკოლია ეგნატე	აქტ.		საშვალი		40	
ხურცილავა ისლამი	აქტ.			ღარიბი	20	
ხურცილავა იასონი	აქტ.			ღარიბი	20	
შავდია მამია	აქტ.		საშვალი		40	
ჯანაშია შარუ		პასიური	საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

წულაია კოწია	აქტ.			ღარიბი	20	
მარტვილის თემი						
ბირკაია არჩილი	აქტ.		საშვალი		40	
ჩიქვანია ნეოფურ	აქტ.			ღარიბი	20	
გვალია ამბაკო		პასიური	საშვალი		40	
ხარებავა გრიშა		პასიური		ღარიბი	20	
სულავა პორფილე		პასიური	საშვალი		40	
ფაცია პლატონ		პასიური		ღარიბი	20	
ჩაკვატაძე არჩილ		პასიური		ღარიბი	20	
გაბისონია ბიკტორ		პასიური		ღარიბი	20	
გაბისონია კონსტანტინე		პასიური		ღარიბი	20	
სულავა გერასიმე		პასიური	საშვალი		40	
ბირკაია მიშა გიორგის ძე		პასიური		ღარიბი	20	
კიკალიშვილი ანტონ		პასიური		ღარიბი	20	
მასხულია უჩა		პასიური		ღარიბი	20	
ფონიავა ბიკტორ	აქტ.		საშვალი		40	
კვეკვეცია მიშა	აქტ.		საშვალი		40	
გაბისონია ჟორჟი ზოსიმეს ძე		პასიური		ღარიბი	20	
გაბისონია ვარდენი		პასიური	საშვალი		40	
აზიზა თათარი		პასიური		ღარიბი	20	
გაბისონია გრიგორ		პასიური	საშვალი		40	
					სულ 540	
..... თემი (არ იკითხება - **გამომც.**)						
გეგეჭკორი ისიდორე	აქტ.			ღარიბი	20	
გეგეჭკორი გრიშა	აქტ.		საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

გეგეჭკორი ბიკტორ	აქტ.			ღარიბი	20	
გეგეჭკორი ნოე სოფრომის ძე	აქტ.		საშვალი		40	
ჭალაგანიძე გიორგი	აქტ.		საშვალი		40	
სულავა დათიკო	აქტ.		საშვალი		40	
მასხულია კოლია		პასიური	საშვალი		40	
მონიავა მიხა				ღარიბი	20	
ელიავა თომა	აქტ.		საშვალი		40	
ხაჟომია გრიშა		პასიური	საშვალი		40	
ხაჟომია ჯონდო		პასიური		ღარიბი	20	
ხაჟომია მიშა		პასიური		ღარიბი	20	
ხაჟომია რაჯდენ ბეს.		პასიური		ღარიბი	20	
ხაჟომია დავითი ანტონის ძე		პასიური		ღარიბი	20	
გრიგალავა შარუ		პასიური		ღარიბი	20	
ხაჟომია ალექსანდრე		პასიური		ღარიბი	20	
გეგია ყარა		პასიური		ღარიბი	20	
გალდავა ვალიკო		პასიური		ღარიბი	20	
ციცხვაია მიხა		პასიური		ღარიბი	20	
გეგია მარკოზი				ღარიბი	20	
საკანდელია ნიკოლოზ	აქტ.		საშვალი		40	
ჭედიშვილი გრიგორი	აქტ.		საშვალი		40	
საკანდელია იონა		პასიური		ღარიბი	20	
ჩიქოვანი შალვა		პასიური		ღარიბი	20	
ჭედიშვილი აქვსენტი				ღარიბი	20	
ჭიჭაღუა გრიგორი	აქტ.		საშვალი		40	
ჭიჭაღუა კოსტა	აქტ.		საშვალი		40	

საქართველოს ეროვნული არქივი

წოწორია მალაქია	აქტ.		საშვალი		40	
ქაცარავა სამსონ	აქტ.		საშვალი		40	
ამაღლობელი ვალიკო		პასიური		ღარიბი	20	
გაბეშია ნიკოლოზ		პასიური	საშვალი		40	
ლაგვილავა მიხა		პასიური		ღარიბი	20	
გაბეშია შალიკო		პასიური		ღარიბი	20	
გეგია ჯობოა				ღარიბი	20	
ჯანჯღავა კოლია	აქტ.		საშვალი		40	
ხვინგია ლუკა	აქტ.			ღარიბი	20	
					სულ 1020	
.... თემი (არ იკითხება - **გამომც.**)						
..... გიგო (არ იკითხება - **გამომც.**)		პასიური	საშვალი		40	
გვილავა იასონი		პასიური		ღარიბი	20	
ჩიქოვანი კოტიკო		პასიური	საშვალი		40	
ფუტკარია ვასილი		პასიური		ღარიბი	20	
გეგეჭკორი შალიკო		პასიური		ღარიბი	20	
ფარულავა სილოვანი		პასიური		ღარიბი	20	
რუხაია ლადი		პასიური		ღარიბი	20	
გეგეჭკორი გრიგორი		პასიური		ღარიბი	20	
გეგეჭკორი გრიშა		პასიური		ღარიბი	20	
ხაჟომია ბათლომე		პასიური		ღარიბი	20	
ჩქოფოია ივანე		პასიური		ღარიბი	20	
გვალია გვაჯა		პასიური		ღარიბი	20	

საქართველოს ეროვნული არქივი

გეგეჭკორი სერგი		პასიური		ღარიბი	20	
ხვინგია გიორგი		პასიური		ღარიბი	20	
სილოგავა დავითი		პასიური		ღარიბი	20	
ფირცხალავა ივანე		პასიური		ღარიბი	20	
ჭილაია ლაზარე		პასიური		ღარიბი	20	
ფირცხალავა ნესტორ		პასიური	საშვალი		60	
გეგია გრიგორი		პასიური	საშვალი		40	
ჟორდანია სილიბისტრო	აქტ.		საშვალი		40	
ჟორდანია იასონი			საშვალი		60	
ოდიშარია მელიტონ	აქტ.		საშვალი		40	
სულავა ილარიონი		პასიური		ღარიბი	20	
კვანტალიანი ნოე		პასიური		ღარიბი	20	
საკანდელია იოსები		პასიური		ღარიბი	20	
ფარულავა იასონი		პასიური		ღარიბი	20	
					ჯამი 740	
					სულ ჯამი 6940	

კომისიის თა-რე /ხელრთვა/

წევრნი: 1. /ხელრთვა/
2. /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის სენაკის მაზრის მარტვილის რაიონული აღმასკომის შტემპი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 8, ფურცლები 4-7.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას საქართველოში
მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების მოკლე აღწერა
1924 წლის სექტემბერი

გურია. (ცნობები) ინფორმაცია

სამწუხაროდ დეტალური ცნობები არ გვაქვს. გამოსვლები დაიწყო 28 ღამით, იყო მწყობრი და ერთსულოვანი. გურია ხელში იგდეს აჯანყებულებმა, ხაზის (რკინიგზის) ჩაგდება ვერ მოახერხეს, რაც გამოწვეულია საერთოთ არა მათგან დამოკიდებული მიზეზებისგან. შეიპყრეს ათასამდე კომუნისტ-კომსომოლისტები, რომელთაც კარგად ეპყრობოდენ. ხალხი აღფრთოვანებას მოეცვა. ერთმანეთს ულოცავდენ გამარჯვებას. რამოდენიმე დღის შემდეგ მოადგა რუსის ჯარები. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. უმთავრესად საჯაოხოს ხაზზე. შემდეგ აჯანყებულებმა მთებში დაიხიეს. დახვრეტილები გურიიდან ბევრი არ არის. ეს იმის გამო, რომ დიდხანს გაუმაგრდენ მტერს და ამასობაში მოუსწრო განკარგულებამ დახვრეტების შეწყვეტის შესახებ. იყო შემთხვევა გაგიჟების, ერთმა თავი მოიკლა, ერთმა თავი ჩამოიხრჩო (ქანქათი - ვადაქკორია). მიუხედავათ დამარცხებისა, ხალხი იმედიანათაა. სასოწარკვეთილებას არ მისცემია. ასეთია მდგომარეობა საერთოთ ყველგან.

**

ბათომში არასფერი არ მომხდარა. მიზეზი წინასწარი რეპრესიები და პროვოკაციები იყო. აჭარლები უცდიდნენ გურულებს, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ბათომზე წამოსვლა.

**

აფხაზეთში ნაწილობრივი გამოსვლა იყო, რეპრესიები კი დიდი. დახვრეტილთა რაოდენობა არ ვიცით.

**

სამურზაყანოში გამოსვლები მოხდა. რამდენი დახვრიტეს არ ვიცით.

**

ლეჩხუმი გამოვიდა. რეპრესიები დიდი იყო. ცნობები არა გვაქვს. ქუთაისის მაზრა აიღეს გარდა ქუთაისისა - მოხდა ბევრ ადგილას შეტაკებები. აჯანყებულებმა ბრძოლით უკან დაიხიეს. რამდენია დახვრეტილი მაზრაში ჯერ არ ვიცით. არც შიგ ქუთაისში რამდენი დახვრიტეს არ ვიცით.

**

რაჭა გამოვიდა - მსხვერპლი დიდია.

**

სვანეთი ქუდზე გამოვიდა - და თანახმად გეგმისა ნაწილი სამურზაყანოსაკენ გაემართა, ნაწილი ქუთაისისაკენ. შემდეგ იძულებული იყვნენ დაეხიათ იმერლებს და მეგრელებთან ერთად. ბრძოლა იქ ეხლაც გრძელდება. ქვემო სვანეთი მტერმა აიღო. პოლიტ სუკები აღებულ სვანეთს 24 საათით ჯარისკაცებს აძლევენ

საქართველოს ეროვნული არქივი

დასარბევათ. ეს უკანასკნელნი ანადგურებენ ყველაფერს, აუპატივრებენ მცირე წლოვანებს, ჟლეტენ ვინც წინააღმდეგობას უწევს. ქვედა სვანების ნაწილი ზედა სვანებს შეურიგდა და იქ დიდი ბრძოლებია. მოქმედობს რუსის მე V პოლკი, კავალერია, არტილერია, კომ. რაზმები, აეროპლანები, მაგრამ ჯერ ვერ აიღეს. ამ დღეებში ერთი რაზმი ჩამოსულა, დაცემია სამეგრელოში, წაუღია სურსათი (მარილი და სხვა), იარაღი და უკანვე წასულა.

**

შორაპნის მაზრაში დაიწყო აჯანყება 28 გათენებისას. ამ გარემოებამ გააფრთხილა მოწინააღმდეგე ყველგან. მოვიდა ცნობა, რომ გიორგი წერეთელს თავი მოუკლავს (ეს შემოწმებული არ არის ჯერ). ის იყო ხელმძღვანელი და მან იცოდა გამოსვლის ვადა. მოსვლია შეცდომა და როგორც ამბობენ ამისთვის მოუკლავს თავი. შორაპნის მაზრაში მწყობრი გამოსვლა იყო. ჭიათურაში 1800-მა მუშამ მიიღო მონაწილეობა. აღების შემდეგ მტერმა დიდი ზარალი მიაყენა ჭიათურას, დახვრეტილთა რაოდენობა არ ვიცით, გარდა იმ 120 კაცისა, რომლებიც შეჰყარეს სამ საბარგო ვაგონში, გაიყვანეს ცოტა მოშორებით და ტყვიის-ფრქვევლებით დაცხრილეს. მათთვის ისე პატარა ორმო ამოეთხარათ, რომ მკვდრები შემდეგ დღეებშიც ჩანდა. ხალხმა ითხოვა ნება, რომ მიწა გადაეყარათ, რის ნებაც როგორც იქნა მისცეს. აჯანყებულებმა მთებში დაიხიეს. ჩხარში და ახლო-მახლო დიდი ბრძოლები იყო. რამდენია ზარალი, არ ვიცით. კომუნისტები მალავენ თავიანთ ზარალს!

**

აღმოსავლეთ საქართველოში საქმე შეაფერხა თბილისის გაჩერებამ. ყველა მას უცდიდა. მიუხედავად ამისა, გამოსვლები იყო.

ქართლში (კავთის ხევი, წინარეხი და სხვა) დახვრეტილია ბევრი, გორში 450 კაცი, სოფლებში არავინ იცის. კახეთში იყო გამოსვლა. გარე კახეთში - თიანეთში. (ქართლში დაჭერილი იყო 3000 კაცი). ეხლა დაჭერილია 500. მთელი კახეთი ააოხრეს, თიანეთი და სხვა, ამაზე ქვევით.

დუშეთშიც იყო. დუშეთი აიღო აჯანყებულებმა 4/IX-ს, შემდეგ მოხდა ბრძოლა რუსის ბათალიონთან და დაიხიეს მთებში. ბორჩალოს მთელი თათრობა ფეხზე იყო - ეხლა უმრავლესობა გაქცეულია.

თბილისში აქა იქ იყო აფეთქება - მაგრამ საერთო არა. 30-დან ესხმოდნენ ყველა ქართველის ოჯახს და იჭერდენ ყველას. მარტო დეპოდან დაიჭირეს 250 მემანქანე და სხვები. ქუჩებში აჩერებდენ ხალხს და ეკითხებოდენ: „ქართველი ხარ?“ თუ ქართველი აღმოჩნდებოდა, იჭერდენ. ამრიგათ დააკავეს რამოდენიმე ათასი. გაივსო ჩეკები, ციხეები და მრავალი კერძო შენობები ტუსაღებით. 30-სვე გაიცა განკარგულება დახვრეტების შესახებ. ხვრეტდენ ადგილობრივათ სამეულები და ხუთეულები. განუკითხავათ ხვრეტდენ ახალ დაჭერილებს და ძველებს, განსაკუთრებით სოც. დემოკრატებს. მეტეხიდან გამოიყვანეს პატიმრები და დახვრიტეს (რამდენი არავინ იცის) და ვინ იცის რამდენი თვეები დასჭირდება ამის გამორკვევას. აქვე სიიდან დაინახავთ რა ხალხს ხვრეტდენ - ორჯონიკიძეს განკარგულება იყო (მოგილევსკის და საზოგადოდ რუსების მოთხოვნით) მოსპეთ რაც შეიძლება მეტი ძველი, გამოცდილი ს. დ. მუშებიო. ბევრი დახვრიტეს იმავე დღეებში დაჭერილები. აქ ვარდგენთ სიას მეტეხიდან გაყვანილების. სრული არაა. ჩეკიდან გაყვანილნი და ახლად დაჭერილნი

საქართველოს ეროვნული არქივი

რამდენია საერთოდ დახვრეტილნი არ ვიცით. დასახვრეტად გამზადებულნი სიკვდილს მედგრად ხვდებოდნენ. აქვე მოგიყვანთ ციხიდან მიღებულ წერილს: „ამხანაგებო! გიგზავნით დახვრეტილი ამხანაგების სიას. ეს ხალხი აჯანყების პირველ დღეებში გადაიყვანეს ჩეკაში და ვფიქრობთ ყველანი დახვრეტილნი არიან. შესაძლებელია მათგან 1-2 ვინმე იყოს გადარჩენილი. საავადმყოფოდან საცვლების ამარა წაუყვანიათ მეტეხიდან მიყვანილები და აქედან (საავადმყ.) მიყვანილებიც გრუზჩეკას საკნებიდან გაჰყავდათ. გვარებისა და სახელების მოუკითხავათ რიგ-რიგობით უკრავდენ ხელებს და მიჰყავდათ. ყველანი გმირულად გასულან. როცა ერთ ადგილზე მოუყარეს თავი ხელშეკრულებმა დაიწყეს დიდების სიმღერა და გაიძახოდენ: „გაუმარჯოს საქართველოსო!" ახალგაზრდა გერასიმე ფირცხალაშვილს (გოგიტასთან იყო დაჭერილი, მამა მოუკლა კაზაკებმა 1903 წელში) დაეძახნა: „Передайте следователя Пителяку что Г. Пирцхалайшвили встретил смертъ мужественно". ერთმანეთს ამხნევებდენ. ორს წინააღმდეგობა გაუწევნია და კარიდორში მოუკლავთ. საერთოდ ყველა ასე გმირულად ხვდებოდენ სიკვდილს ყველგან. ქუთაისში მიტროპოლიტ ნაზარის (ამბროსის პროცესიდან გაანთავისუფლეს მაშინ) სიტყვა უთქვამს დახვრეტის წინ. განუმხნევებია დანარჩენი მღვდლები. ჩეკიდან ბევრი გაუყვანიათ, მაგრამ ვერ გავიგეთ ყველას ვინაობა. ამხ. სალამით მალხაზი". - მასიური დახვრეტა შესწყვიტეს (სამეულებიც) 4/IX-ს დაჭერილ დამკომის შეთანხმებით. დამკომი დაიჭირეს ქალაქს გარე, შეამჩნიეს ტყეში და სროლით მივიდნენ. წერდენ ოქროს ფულზე, დანამდვილებით ვიცით, რომ კ. ანდრონიკაშვილს თან ქონდა 1000 მან. ქაღალდით და 850 მან. ნიკოლოზის ოქრო. ეს უკანასკნელი წინა დღეებში უსესხნიათ (1000 მან.), ახდევინებდენ 70 მ. % ოქროთი % % თვიურად. აი ეს ოქრო გამოაცხადეს ფრანკებად. 4-დან როგორც სხვა მასალებიდანაც დაინახავთ ორგანიზ. მოწყობილი ოფიციალური ხვრეტა შეწყვიტეს, მაგრამ სინამდვილეში უარესი საშინელება დაიწყო, უმთავრესად აღმ. საქართველოში. იქ სადაც კომუნისტები უფრო მეტად ოსურ სომხური ელემენტია - მთავრობამ ოფიც. ამცნო ქვეყანას, ეს იყო თავად აზნაურული ავანტიურა და გამოსცა მოწოდება (ჰაეროპლანით ჩაჰყარეს სოფლებში) ჰკათ თავად-აზნაურებსო. (ეს მოწოდება გაზეთებში იყო მოთავსებული). გაიცა საიდუმლო დირექტივები, რომ კომუნისტებმა სოფლათ მოაწყონ ინცენიროვკა თითქოს გლეხები გამოვიდნენ და დაერიონ იმათ, ვინც გადარჩა წინა დღეებში დახვრეტას. ერეკებოდენ წინ მოსახლეობას, წვავდენ და ანადგურებდენ მრავალ ოჯახს, ჟლეტდენ მათ წევრებს. აქ მოვიყვანთ ამონაწერს ერთ კორესპოდენციიდან - კახეთიდან: „სოფ. ბაკურციხეში დახვრიტეს რამოდენიმე გლეხი და ყოფ. თავადები პირველ დღეებში. ამას შემდეგ ბაკურციხეს მოადგა კომუნისტების ბრბო ჯერ თითქოს გაჩხრეკის სახით. შემდეგ კი ავაზაკურად ეცემოდა უმამაკაცო ოჯახებს და აწიოკებდენ, იტაცებდენ ავეჯს, სანოვაგეს, ტანსაცმელს, ჰგლეჯდენ კარებს და ფანჯრებს, ერეკებოდენ კეტებით პატრონებს. განდევნილების მდგომარეობა წარმოუდგენელი იყო. მეზობლებს აკრძალული ქონდათ მათი მიღება და შეფარება. გამწარებულები ტყეებს აფარებდენ თავს. ვისაც ახალგაზრდა ქალები ჰყავდათ, წინადადებას აძლევდენ „მითხოვდით" კომსომოლისტებსო და მართლაც ხშირი იყო ასე ძალით „მითხოვება". რწმუნებული ბაწაშვილის განკარგულებით მოუყარეს თავი იქაურ მეურნეებს (საკუთარი ხელით მუშაობდენ) ვაჩნაძეებს და ქვებით ჩაქოლეს. ამ დროს სიღნაღიდან მოსული კომისია სოფელში დადიოდა ხალხს საჯალათოსაკენ მათრახებით ერეკებოდა:

საქართველოს ეროვნული არქივი

„წადით, თქვენს მტრებს, სისხლის მსმელებს გაუსწორდითო!“ სისხლით დამთვრალნი იქედან გამოეშურენ ტანჯულთ ოჯახებში, სადაც ათასი საზიზღროება ჩაიდინეს. ერთ კომისართაგანს სისხლში ამოსვრილი პალტო ეცვა, მეორეს წამებულის ქუდი ეხურა და ასე. სახლები დაანგრიეს. აქედან გადავიდნენ სოფ. კალაკში. იქაც ისეთი ისტორია. ორ სართულიან სახლების აივნებიდან ბავშებს ყრიდენ. გამოქცეულებმა სად და სად შეაფარეს თავი. (ზოგი ჭკვაზეც შეირყა, მაყაშვილი). ამგვარ მოვლენებს მთელ კახეთში ქონდა ადგილი. მსხვერპლის რიცხვის აღდგენა ჯერ მეტად ძნელია. დიდია დაღუპულთა რიცხვი გლეხებიდან. არ არის ოჯახი, რომ ერთი მსხვერპლი მაინც არ იყვეს, ხალხში დიდი უკმაყოფილებაა იმის შესახებ, რომ დახვრეტილ გლეხების სიები არ არის გამოქვეყნებული მაშინ, როდესაც ყოფ. თავადთა და აზნაურთა გვარებით აჭრელებულია სოფლის აღმასკომის კედლები. საერთო რიცხვი დახვრეტილთა და დახოცილთა მთელს კახეთში 1000 მდე აღწევს. ასეთივე მდგომარეობა იყო ქართლშიც, რუისის ისტორია იცით სხვა მასალიდან. ამის შემდეგ მოდიან აქ ევროპა-ამერიკის და რამოდენიმე ათას სიტყვას აგზავნიან რედაქციაში და არწმუნებენ საზოგადოებრივ აზრს, რომ აქ ყველასფერი რიგზეა არც ცდილობენ სინამდვილის გაგებას. კახეთში აღმასკომის თავმჯდომარესთან უსაუბრიათ. განა ეს გამორკვევაა სინამდვილის? რომელი დამნაშავე კომუნისტი რომელთაც სისხლში აქვთ გათხუპნული ხელი, სიმართლეს იტყვის. ეგებ შესძლოთ გადასცეთ იმ რედაქციებს, საცა ამ ვაჟბატონების კორესპოდენციები იბეჭდება, გამოიჩინონ იმდენი ადამიანობა, რომ ნუ შეჰყავთ ხალხი შეცდომაში. ეს ხომ დაცინვაა მთელი ერის, მთელი ქვეყნის. აქ ახალგაზრდობა ვეღარ ითმენს, ბრაზზე მოდის ამ კორესპოდენტების უსინიდისო საქციელით. ნუთუ ფულის სიყვარულით ასე დაბრმავდენ, რომ ასე იოლად ვაჭრობდენ ამდენი ათას ხალხის დახოცილების სისხლით. ნუთუ ევროპა-ამერიკა იმდენად გაველურდა და გაყაჩაღდა, რომ ზედმეტად სთვლის უბრალო რამესაც კი, აღნუსხვას იმის, რაც მოხდა. ნუთუ ამის ღირსიც არ შეიქნა ქართველი ხალხი, რომ მას არ დასცინოდენ, არარად არ აგდებდენ ძაძებში გახვეულ ქვეყანას. ჩვენ არ გაგვიკვირდება კომუნისტ კორესპოდენტისაგან, ჩვენმა ხალხმა იცის, რომ ევროპის კომუნისტები მოსკოვის ოქროთ საზრდოვებს, მაგრამ რა უნდა ვსთქვათ ბერლინელ ცაგერბლატის კორესპოდენტზე? ეგებ მანდ სთქვან რატომ არ გააგებინენ მანდ სინამდვილენი. გააგებინეთ აქაური პირობები, ჩვენ აქ ოთხი დღეა ვცდილობთ გადავსცეთ კლარა ცეტკინას დახვრეტილთა სია (ნაწილობრივი, რაც ხელთა გვაქვს) და ვერ მოგვიხერხებია. ვერავინ ვერ მიაღწია ამ ქალბატონამდე. იმის შემდეგ, რაც ქალების დელეგაცია იყო მასთან, ჩვენ გვინდა როგორმე ვინახულოთ ხსენებული გაზეთის კორესპოდენტი ფიშერი, მოველაპარაკოთ, მარა განა შევსძლებთ? მუშა რევოლიუციონერმა ლეგალურმა ენა არ იცის! არის ბევრი თავს გადადობს, ვინც იცის ენა ეშინიათ, ვინაიდან 90% იმისაა, რომ დაიჭერენ და აწვალებენ. ეგებ კიდევაც დახვრიტონ. ვინაა გამკითხავი. ეცადეთ და გააგებინეთ, აუხსენით ჩვენი მეგობრების საშვალებით. ჩვენ გაწვდით მასალას, იქ არაფერი არ არის გადაჭარბებული, პირ იქეთ ჩვენ ვერ შევსძელით საკმაო მასალის შეგროვება - ძნელია - საშინელი პირობებია...

ეს მასიური რბევა (ბოდიშს ვიხდი ასე არეულად რომ ვწერ) გაგრძელდა ერთ კვირაზე მეტი (თიანეთში დაარბიეს 116 ოჯახი) შემდეგ მან, როცა თანდათან საშინელი ხასიათი მიიღო, რამაც ააშფოთა ბევრი კომუნისტებიც კი, მთავრობა როგორც შეჰფერის გაქნილ სულით და ხორცით მეძავეებთ, უშვებს მოწოდებას

საქართველოს ეროვნული არქივი

გლეხების მიმართ, დამშვიდდითო, საიდუმლოთ კი განკარგულება მისცეს ორგანიზაციებს შეაჩერონ რბევა-აწიოკება და მართლაც შეჩერდა ყველგან, ვინაიდან ყველაფერი ეს მათივე მოწყობილი იყო.

რა მდგომარეობაა ეხლა ჩვენში? აუტანელი. აუარებელი ხალხი ტყეებში იმალება, ზოგან შეტაკებები ხდება. სვანეთის მიმართულებით ხომ ბრძოლებია ნამდვილი, ეხლა პირდებიან სვანებს ყოველისფერს, რომ იარაღი დაჰყარონ, მაგრამ ისინი არ თანხმდებიან.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 171, ფურცლები 1-3.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის ფახულანის თემის საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა ლიის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას სამურზაყანოდან გადმოსული ვარლამ ქეცბაიას რაზმის წევრის მიერ ფახულანის თემის მკვიდრისთვის ვერცხლით მოჭედილი ხანჯლის წართმევის შესახებ
1924 წლის 3 ოქტომბერი

ლიის რაიაღმასკომს

3 სეკტემბერს ა/წ სამურზაყანოდან ჯარის მოსვლის დროს ფახულანის თემში ერთმა პირმა ვარლამ ქეცბაიასი კამანდაში მყოფი იონა ჭანტურიამ წაართვა ვერცხლით შეჭედილი ხანჯალი ფახულანის თემის მცხ. პეტრე პატუხუს ძე გოგოხიას. ამისათვის გთხოვთ სათანადო განკარგულებას, რათა იქნეს დაბრუნებული ზემოხსენებული ხანჯალი როგორც უბრალო პირი აჯანყებაში, რასა შინა ვამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა 1924 წ. 26/IX

ფახულანის თემის საბჭოს
თავმჯდომარე ა. შონია /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ეთხოვოს ზუგდიდის აღმასკომს სათანადო ზომების მიღება. ლიის რაიაღმასკომის თავმჯდ. /ხელრთვა/. 3/X-24 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 43, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის ფახულანის თემის საბჭოს თავმჯდომარის ათანასა შონიას მიმართვა ლიის რაიონულ აღმასკომს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას სამურზაყანოდან გადმოსული ვარლამ ქეცბაიას რაზმის წევრის მიერ ფახულანის თემის მცხოვრებლებისთვის ნივთების წართმევის შესახებ
1924 წლის 3 ოქტომბერი

ლიის რაიაღმასკომს

3 სეკტემბერს ა/წ. კამანდირი ჟგარენკოს მოსვლის დროს ფახულანის თემში, ზოგიერთი პირმა ჯართაგანმა, ფახულანის თემის მცხ. გერასიმე კაჯალის ძე გოგოხია და ალექსი ჯიგვას ძე გოგოხიასაგან წაუღია ქვემო მოხსენებული ნივთები, ამისათვის გთხოვთ სათანადო განკარგულებას რათა იქნეს დაბრუნებული დაკარგული ნივთები პატრონებისთვის როგორც უბრალო პირები.

გერასიმე გოგოხიასაგან წაღებულია როგორც განაცხადა:

ფასი ნივთებისა

1) ვერცხლის სარტყელი ჩვიდი თვალიანი - 20 მ.
2) მატყლით შერეული აბრეშუმის კაბალახი - 6 მ.
3) აბრეშუმის ივკა - 15 მ.
4) ბელგანიის რუბაშკა - 10 მ.
5) კაზანის პაჭიჭი არშეკრული - 6 მ.
6) ერთი მატყლის და ორი ტყავის პატარა ქუდი - 3 მ.

სულ - 60 მ.

ალექსი ჯიგვას ძე გოგოხიასაგან წაღებულია როგორც განაცხადა:
1) აბრეშუმის კაბალახი - 5 მ.
2) შავი ხანჯალი - 3 მ.
3) უნაგირი თავისი მოწყობილებით - 50 მ.

სულ - 58 მ.

უნაგირი წაღებულია ოტობაის თემის მცხოვრები იონა ჭანტურიას მიერ, რომელიც იმყოფება ვარლამი ქეცბაიას კამანდირი; რასა შინა ვამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა 25 სეკტემბერი 1924 წ.

ფახულანის თემის საბჭოს თავმჯდომარე ათანასა შონია /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ეთხოვოს ზუგდიდის მაზრის აღმასკომს სათანადო ზომების მიღება. 3/X-24 წ. /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 43, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანის სასოფლო საბჭოს დადგენილება სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურობის განდევნისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ 1924 წლის 3 ოქტომბერი

ოქმი N5

1924 წ. 3 ოქტომბერი, **სოფ. გურჯაანში** შესდგა ს. გურჯაანის სასოფლო საბჭოს კრება, კრებას დაესწრნენ 15 წევრი, სახელდობრ 1). გ. გოგიაშვილი 2). პ. წვერიაშვილი 3). დ. ხუროშვილი 4). ალ. ნაბიჭვრიშვილი 5). იაგორა ყაჩლავაშვილი 6). ვ. გვინცაძე 7) გ. ტავლალაშვილი 8). ი. რაინდოშვილი 9). რომანა ჩუგოშვილი 10). ალ. ბეზარაშვილი 11). გ. მეტრაველი 12). დ. ივანოვი 13). ქარუმა ქადაგიშვილი 14). შაქრო მყვირალაშვილი 15). გ. ქადაგიშვილი. დაესწრენ 15 კაცი გარეშე პირნი და საბჭოსთან შეთანახმებული საგანგებო კომისია, კომისიაში შედიან 1). სამ. აღმ. წარმომარდ. ილ. მხეიძე. 2). სამაზკომის წარმომარდგ. ალ. ბაიდოშვილი და ადგ. რაიაღმ. თავმჯდომ. დ. ივანოვი.

დღის წესრიგი: 1. გლეხების მიერ გადევნილი თავად აზნაურების შესახებ.
2. შემთხვევით დარჩომილ თავად აზნაურების შესახებ.

განიხილეს	**დაადგინეს**
1. გლეხების მიერ გადევნილ თავად აზნაურების შესახებ.	1. ჩვენ გურჯაანის მუშათა და გლეხთა საბჭომ და შეთანხმებულმა კომისიამ გადავშინჯეთ რა, გადევნილ თავად აზნაურების სიები ვსთვლით მიზან შეწონილათ გლეხების მოქმედებას თავად აზნაურებისადმი და ყველა საბჭოს წევრები მოვითხოვთ კატეგორიულათ გადასახლებულ იქმნან გურჯ. ფარგლებიდან ყველა თავად აზნაურები - თავიანთი ოჯახობით და მათი ქონება როგორც უძრავი ისე მოძრავი გადარიცხულ იქმნეს სახალხო ფონდში.

საქართველოს ეროვნული არქივი

2. შემთხვევით დარჩომილ თავად აზნაურების შესახებ.	2. ჩვენ გურჯაანის მუშათა და გლეხთა სასოფლო საბჭოს ყველა წევრები კატეგორიულათ მოვითხოვთ ყველა ქვემო აღნიშნული პირები, თავად აზნაურები გადასახლებულ იქმნენ თავიანთი ოჯახით და მათი ქონება როგორც უძრავი ისე მოძრავი და გადაირიცხოს სახალხო ფონდში. 1. **გიგიშა ჯორჯაძე**, როგორც ყოფილი მიროპოსლედნიკის შვილი ნიკოლოზის და მენშევიკის დროს საშინლათ აბეზრებდა გლეხებს ცემით და არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრე. 2. **ზაალი ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი** როგორც ყოფილი პროკურორი, მენშევიკების დროს გამომძიებელი. ყოფილა შემთხვევა, რომ გლეხებს მისთვის სალამი არ მიუციათ და მას გლეხებისათვის უცემნია. გლეხებთან ლაპარაკის დროს ილაშქრებდა საბ. ხელისუფლების წინააღმდეგ დღეს თუ თქვენი დროა ხვალ ჩვენი დრო მოვაო. გლეხებს ამუშავებიებდა თავის მამულს და ნაფასურს არ აძლევდა, რომ მოთხოვდენ სცემდა. 3. **ეკატერინე ანდრონიკაშვილისა**, ქვრივი როგორც საეჭვო პიროვნება, ყოფილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის აგენტი, ყოფილი აფიცრის ცოლი, ზიზღით უცქერის საბჭოთა ხელისუფლებას და გლეხებს. 4. **ლადო აბელას-ძე ანდრონიკაშვილი** როგორც ნიკოლოზის დროს სასტიკათ ეპყრობოდა გლეხებს, ამას მენშევიკურ მთავრობისას განაგრძობდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხებს ემუქრებოდა, დღეს თუ თქვენი დროა, ხვალ ჩვენი დრო იქმნებაო. გლეხი თუ ქუდს არ მოუხდიდა, ის აჭმევდა მას ჯამით ტალახს. გლეხებს ამუშავებდა თავის მამულში, ფულს არ აძლევდა, სცემდა და ისე გამოაგდებდა, როგორც ნიკოლოზის დროს, ისე მენშევიკების და საბჭოთა ხელის უფლების დროსაც. კრება ერთხმათ კატეგორ. ითხოვს რომ ზოგი-ერთი თავად-აზნაური შემთხვევით არიან დარჩომილნი, ისევ გურჯაანის ფარგლებში შემთხვევით დარჩომილია, რომლებსაც ჩაუდენიათ არანაკლები ზემოხსენებულ თავადების საქციელზედ. იგინი იქმნენ გადასახლებულნი გურჯ. ფარგლებიდან, ვინაიდან მათ ვერ მოუნელებიათ საბჭოთა ხელისუფლება და უნდათ ძველებურათ იბატონონ.

საქართველოს ეროვნული არქივი

	1. **კოტეს ცოლი ნინო ჯორჯაძისა** ქვრივი კნეინა ისევ ისე განაგრძობს ამაყურ ქცევას და ჭორიკანობას დედაკაცებში, ისევ მალე მოვა ჩვენი დრო და ისევ ისე გაგვიხდებით ყმებათ, მოლოდინი აქვს ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მენშევიკებისა. 2. **ზურაბი შაქროს-ძე აბაზიძე** მცხ. ს. ვეჯინში, ჩოლოყაშვილის მომხრე და მისი აგენტი, ამ ავანტიურ გამოსვლის დროს თოფით გასულა ტყეში. 3. **ვანო სვიმონის-ძე აბაზიძე** მცხ. ს. კოტეხში, ძველი მემამულე. მამულებს აკეთებდა გლეხების საშვალებით, გლეხებს არასფერს აძლევდა, ეხლაც ზიზღით უცქერის საბჭოთა ხელისუფლებას და ემუქრება გლეხობას. 4. **მიტო დონიკოს-ძე ანდრონიკაშვილი** მცხ. ს. ვეჯინში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის აგენტი, გლეხებს სჩაგრავდა, სცემდა, ძველი მემამულე. 5. **ჯიბოს ცოლი ქეთუნა ჩოლოყაშვილისა** (ქვრივი), ქაქუცას ნათესავი და ჭორიკანა, რომ მალე მოვა ჩვენი დრო და ისევ გაგვიხდებით ყმებათო, გლეხებს ემუქრება ძველი დროით. დამსწრე პირთ შემოაქვთ წინადადება, რომ ვეჯინში მცხ. აზნაური შვილები იქმნენ გადასახლებულნი, ვინაიდან იმათ არავითარი განსხვავება არ აქვთ მათ მიერ ჩადენილ საქციელიდან, რაც გამოიხატება გლეხებათ მოპყრობაში, გაპატიმრება გლეხების ქალებისა, ცემა, ამუშავებდნენ გლეხებს თავიანთი მამულებში, ნაფასურის მიცემის მაგიერ უმასპინძლდებოდენ ცემით და სხვა. 1. კოტე ვანოს ძე ფურცელაძე მცხ. სოფ. ვეჯინში. 2. ბესო ტიტიას ძე ფურცელაძე „-“ 3. კოლა გიგოს ძე ფურცელაძე „-“ 4. რამანა ნასიძე „-“ 5. მიშა კოტის ძე ფურცელაძე „-“ 6. ვასო კიაზოს ძე ფურცელაძე „-“ 7. გიორგი პატას ძე რცხილაძე „-“ 8. მიტა კიაზის ძე ფურცელაძე „-“ 9. საბა კიაზის ძე ფურცელაძე „-“ 10. მიშა გიგოს ძე ფურცელაძე „-“ 11. ვასო სანდროს ძე ფურცელაძე „-“ ყველა ზემოაღნიშნული პირები აზნაურიშვილები 1921 წ.წ. ჯარის შემოსვლის დროს უმთავრეს როლს თამაშობდნენ წ. ჯარის საწინააღმდეგოთ. ზოგიერთ ტყვეთ დაჭერილ წით. არ. ეპყრობოდენ უდიერათ, რაც გამოიხატება ცემაში და პროვოკაციაში, ვითომც და ისინი არიან ბანდიტები და არა რეგულიარული ჯარ. ნაწილები. უმთავრეს როლს თამაშობდა კოტე ფურცელაძე. ყველა ესენი არიან ჩოლოყაშვილის მომხრენი, ავანტიურ გამოსვლების დროს გამოდიოდნენ და ამაყათ ლაპარაკობდნენ ხალხში, რომ ახლო მომავალში გაბატონდება ისევ მენშევიკების წესწყობილებაო და ამ გლეხობას გადაუხდის სამაგიეროსო. ამისათვის დავადგინეთ: ჩვენ გლეხობამ ძალიან ბევრი მოვითმინეთ, გვეგონა თუ ისინი გამოსწორდებოდენ და შეუდგებოდენ პატიოსან ცხოვრებას, მაგრამ მათ ვერ მოინელეს და ამაყურათ დაიწყეს ისევ გლეხების და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ლაპარაკი, მათი გადასახლება აუცილებლობას მოითხოვს რომ ერთხელ და სამუდამოთ განთავისუფლდეს გლეხობა ბატონ ყმობიდან და მათი ქონება მოხმარდეს უღარიბეს გლეხობას.

დედანი სათანადოთ ხელმოწერილია
ასლი დედანთან სწორეა: მდივანი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცლები 49-50.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ შაშიანის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურების განდევნის შესახებ 1924 წლის 4 ოქტომბერი

ამონაწერი

სოფელ შაშიანის საბჭოს ღია სხდომისა 4 ოქტომბერი 1924 წ.

1. ნუცა სვიმონის ასული რცხილაძე 2. ტარასი გრიგორის-ძე რცხილაძე 3. მიხაკო გრიგოლის-ძე რცხილაძე 4. დათიკო რცხილაძის ქალები - ქეთო და სოფიო.	დადასტურებულ იქნეს სოფლის დადგენილება, რომლის ძალითაც იგინი გაძევებულნი ყოფილან სოფლიდან. გლეხები აღნიშნავენ, რომ ხსენებული აზნაურები გადმოსახლდნენ დასავლეთ საქართველოდან და როგორც რეაქცია აძლევდა მათ უფლებებს - წაართვეს მათ, გლეხებს მამულები და დაისაკუთრეს თითონ. ჩაუყენეს რამდენიმე ყაზახების ეგზეკუცია და ამ ჟამადაც ისინი არიან გლეხების მტერნი.

დედანს ხელს აწერენ: თავმჯდომარე - გაბრიელაშვილი
მდივანი - კაკაბაძე.
სწორია:

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 27.

საქართველოს ეროვნული არქივი

სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართვა ამავე მაზრაში დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწეს 924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრეტილი კონდრატე გეგეჭკორის ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით
1924 წლის 5 ოქტომბერი

დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწეს სენაკის მაზრაში

პასუხად მომართვისა 15 ოკტომბრიდან ა/წ. N332 გაცნობებთ, რომ მოქ. კონდრატე გეგეჭკორი დახვრეტილ იქნა ბანდიტურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის და მის სავაჭრო ქონებას სამპარტკომის მიერ არჩეულ საგანგებო სამეულის მიერ კონფისკაცია ეყო, სავაჭრო ქონება აღწერილია ხოლო კანონიერ და უკანონო პრეტენზიების განხილვა გაადცემულია სპეციალურ კომისიაზე, რომელიც ამ მოკლე ხანში წარუდგენს აღ-ს პლენუმს თავის მოსაზრებებს გეგეჭკორის სავაჭრო ქონების აღსაწერად არ იქნა დაშვებული აღმასრულებელი იმ მოსაზრების გამო, რომ გამორკვეული არ იყო იქნებოდა თუ არა პრეტენზია მარტინივის კანონიერად ცნობილი და მეორედ სამპარტკომის მიერ არჩეულ კომისიის დადგენილებაში არაფერი არ იყო ნათქვამი კონკრეტიულად მარტინივის შესახებ. სამაღ-ს მიერ პრეტენზიების განხილვის შემდეგ დაუყონებლივ გაცნობებთ შედეგს ხსენებულ საქმეზე.

სამაზრო აღმასკომის თავ-რის მოადგილე
საქმეთა მმართველი

P.S. დოკუმენტს აზის თარიღი 1924 წლის 5 ოქტომბერი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 64, ფურცელი 12.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ შინდისის საზოგადოების კრების ოქმი
სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურობის გასახლების შესახებ
1924 წლის 5 ოქტომბერი

დანართი N16

1924 წ. 5 ოქტომბერი შესდგა შინდისის პარტიული და საბჭოს წევრების კრება თანდასწრებით კრებაზედ დაესწრო უმრავლესობა კრების თავმჯდომარეთ იქმნა დასახელებული ნიკოლა ფუნაშვილი, მდივნათ ვასილ სიმონიშვილი

დღის წესრიგი:
1/ ყოფილი თავად-აზნაურების ბოროტ მოქმედების შესახებ

მოისმინეს	**დაადგინეს**
1/ ყოფილ თავად აზნაურ ვანო ბერძნიშვილისა გიორგის-ძისა შესახებ და აგრეთვე მათ ჰყავდათ აღნიშნული ავანტიური გამოსვლის დროს 14 კაცი მიწის კომისია და პარტიულები.	1/ ვინაიდან ყოფილი აზნაური მოქ. ვანო გიორგის-ძე ბერძნიშვილი იყო აკალოდიჩნი რაიც არბევდა ხალხს და როგორც უნდოდა აწიოკებდა ყველა გლეხობას და იგი როგორც მომხრე მენშევიკურ ავანტიურ გამოსვლებზეც ხელის შემწყობი იქნეს გადასახლებული ს. შინდისიდან.
2/ ყოფ. აზნაური სანდრო კონსტანტინეს-ძე მირზაშვილი.	2/ ვინაიდან როგორც ბოროტ მომქმედი, ყმების ამწიოკებელი, სჯიდა თავისებურად, როგორც მას სურდა და ამას თან მოსამსახურეს არავითარ ჯამაგირს არ აძლევდა და როგორც უნდოდა მიწების ღალებსა აკრეფდა, სცემდა საწყალ გლეხებს, ამიტომ კრებამ ერთხმად დაადგინა: იქნეს გადასახლებული ს. შინდისიდან.
3/ ყოფილი აზნაური მარიამ დავითიშვილისა შესახებ.	3/ ვინაიდან მარიამ დავითიშვილისა არის ნამდვილათ ჩუმი აგენტი და აგიტაციის გამწევი ქალთა შორის, რომელიც ატარებდა აგიტაციის შესახებ მენშევიკურ გამარჯვებას და კომუნისტების გაწყვეტას, ამიტომ კრებამ ერთ ხმად დაადგინა: იქმნას გადასახლებული მარიამ დავითიშვილი ს. შინდისიდან.
4/ ყოფილი აზნაური რევაზი ივანეს-ძე თავისი დედით მათ შესახებ მირზაშვილები.	4/ ვინაიდან როგორც რევაზს კადეტი ჰქონია დამზადებული წიგნაკები და დაჰპირებია პირადათ პარტიის თანამშრომლებს ამხ. ნიკოლა ფატინიშვილსა, რომ მთავრობა საბჭოთა ხელისუფლებისა საჭიროებას არ წარმოადგენსო, ეს მთავრობა ზედმეტი ბარგიაო, ამიტომ ერთხმათ დაადგინა კრებამ იქნეს გარდასახლებული როგორც არასასურველი პირი რეზო მირზაშვილი ს. შინდისიდან განდევნილი.
5/ ყოფილი აზნაური სონიკო დავითის-ძე მირზაშვილის შესახებ.	5/ ვინაიდან როგორც სონიკო მირზაშვილი იყო გვარდიაში და აწიოკებდა როგორც ოსებს, ისე ქართველებს უმღერებდა ყველა მოქალა... (არ იკითხება - გამომც.) თოფს და ბანდიტებსაც ფარულათ ჰქონიათ ბუდე სონიკოს სახლში. ამიტომ კრებამ ერთხმად დაადგინა იქმნეს გადასახლებული ს. შინდისიდან სონიკო მირზაშვილი.

საქართველოს ეროვნული არქივი

6/ ყოფ. აზნაური ვანო ჩინოს-ძე გარსევანიშვილის შესახებ.	6/ ვინაიდან ვანო გარსევანიშვილი როგორც მოღალატე საბჭოთა ხელისუფლების აღფრთოვანებით მიგებებია სამხრეთ ოსეთის გადაწვას და ცეცხლის წაკიდების დროს ვანო ნასყიდაშვილს შეუცოდებია ოსები და ორი სიტყვა წარმოუთქვამს ოსების ცეცხლის მოკიდებაზე, ამაზედ დაუპატიმრებია ვანო ნასყიდაშვილი სამი დღით. ამიტომ კრებამ ერთ ხმად დაადგინა იქნეს გარდასახლებული ს. შინდისიდან ვანო გარსევანიშვილი.
7/ ყოფ. აზნაური მიხეილი ტატონას-ძე გარსევანიშვილის შესახებ.	7/ ვინაიდან მიხაკა გარსევანიშვილი არის ნამდვილათ ბოროტ მომქმედნი და ნიკოლოზის დროს არც ერთი გლეხი არ გაუტარებია უცემარი ლიახვის მიდამოებზედ, რომელზეც აუკრებია ნარიყი, შემდეგ ავანტიური გამოსვლის დროს დაპატიმრებული მიხაკა გარსევანიშვილი უკითხავს სანდრო მირზაშვილს, თუ რათ იყო დაჭერილიო, მიხაკას უთქვამს სულ ერთია თუმცა მე მოვეკალი მაინც ჩვენი მთავრობა გაიმარჯვებს, მაგათ კვირტი არ იქნება გახარებულიო, ამიტომ კრება ერთ ხმათ ადგენს იქნეს გარდასახლებული სოფ. შინდისიდან გარსევანიშვილი.
8/ყოფ. აზნაური პლატონ კიკოს-ძე გარსევანიშვილის შესახებ.	8/ ვინაიდან პლატონ გარსევანიშვილი არის ბოროტ განმზრახველი დამტკიცდა იმით, რომ იგი იყო იოსებ ბერძნიშვილის ამხანაგი, მისი აზრების მესაიდუმლე, დამფარავი ყოველივე მისი მოქმედებისა. როგორც იოსებ ბერძნიშვილი იყო გამგეობის თავმჯდომარე / წარმოკავშირში/ და გამგე პლატონ გარსევანიშვილი, იოსებ ბერძნიშვილი ყოველ დღე დადიოდა საჩხერის და სხვა ადგილებისაკენ, მას მიქონდა ამ გამგეობისგან ფული და ხარჯამდა კონტრ-რევოლიუციის სასარგებლოდ. ეს დამტკიცდა იმით, რომ როცა მოკვდა იოსებ ბერძნიშვილი დიდი სუმა დახარჯული ეს იცოდა სად ატანდნენ ამ ფულს და არ ამბობდა პლატონ გარსევანიშვილი, ამიტომ იქნეს გადასახლებული, როგორც ხელი შემწყობი კონტრევოლიუციის პლატონ გარსევანიშვილი.
9/ ყოფილი აზნაური ლუკა კოტეს-ძე მირზაშვილი.	9/ ვინაიდან მტკიცდება, რომ ლუკა მირზაშვილს უმიზეზოთ და უსაბაბოთ ბევრჯელ გაულანძღია კომუნისტები და საბჭოთა მთავრობა: 1/ მაგალითად მას ყოველ მიზეზ გარეშე იდგა და აგინებდა კომუნისტებს და გერ. საბანაძეს. 2/ როდესაც გაბო კონიაშვილი მისულა მის სახლში, მას დაუძახნია ეს ჩემი მტერი აქ სად მოიყვანეთო, მაგრამ მე თქვენ კვირტს არ გავახარებო. იობა მაზმიშვილი ადასტურებს, როდესაც მე მივედი ლუკა მირზაშვილთან / ხილის საწყობში/ ფულის სათხოვნელათ კომუნისტებს ცოლი და დედა აგინა. მე მითხრა დამემალა მისი სიტყვები. ამისათვის გადასახლებულ იქნეს ს. შინდისიდან, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტერი.

საქართველოს ეროვნული არქივი

10/ ყოფილი აზნაური გიორგი სანდროს-ძე მირზაშვილი.	10/ ვინაიდან გიორგი მირზაშვილი, როგორც მენშევიკი იყო აქტიური მოწინააღმდეგე და მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა, ის ყველა სოფლის გლეხებს აქეზებდა კომუნისტების წინააღმდეგ წასვლას, უღივებდა გლეხობას ოსების სიძულვილს, გზავნიდა ხალხს ოსების დასარბევად და ასაკლებათ. აპატიმრებდა კომუნისტებს და ღებულობდა მათზე სასტიკ ზომებს, ამისათვის ის როგორც აგრონომი და უმაღლეს სწავლაში ნამყოფი მას არ ეპატიება სოფლის უსწავლელი და მშრომელი გლეხების მოტყუება, ამისათვის იქნეს გადასახლებული ს. შინდისიდან, როგორც მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა, აგრეთვე ადასტურებს შაქრო საყუაძე, რომ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც გამოსვლებს ამზადებდნენ მენშევიკები, ამ დროს გიორგი მირზაშვილი და ბერიძე იწვევდნენ თავის ამხანაგებს ს. მერეთში წარმოდგენაში, მაგრამ ამ დროს კიდეც მოხდა გამოსვლა და აღარავინ მივიდა წარმოდგენაში.
11/ ყოფ. აზნაური მიხაკო და ჟორჟიკა მირზაშვილები.	11/ ვინაიდან ჟორჟიკა მირზაშვილი და მისი ძმა იყვნენ მომხრენი და ადგენდნენ მოხალისე ჯარს ბალშევიკების წინააღმდეგ, ამიტომ გადასახლებულნი იქნენ ს. შინდისიდან, როგორც მოწინააღმდეგენი და არა მშრომელები.
12/ ნამყოფი მღვდელი დავით სიმონიშვილი.	12/ ვინაიდან დავით სიმონიშვილი ყოფილა მოწინააღმდეგე, სწირამდა ეკლესიაში არა რელიგიის ასასრულებლად, არამედ კრებას ახდენდა ეკლესიაში და აგროვებდა მენშევიკებს, ამისათვის გადასახლებულ იქნეს, როგორც ცბიერი და მატყუარა ს. შინდისიდან.
13/ ნამყოფი დიაკვანი გიგა გასიშვილი.	13/ როგორც დიაკვანი და ღვდელთან ერთად საიდუმლო კრებებზე მოსიარულე ეკლესიებში. თანაც დაუტრაბახნია, რომ მე ვიქნები კომუნისტების პალაჩიო. ამისათვის როგორც ხალხის მტერი იყვეს განდევნილი სოფ. შინდისიდან.
14/ ნამყოფი გვარდიელები გიორგი და ირაკლი იასიშვილები.	14/ როგორც აქტიური მომუშავენი საბჭოთა ხელისუფლებისა მფარველი თავიანთ ოჯახში ქურდბაცაცების და კონტრევოლიუციონერებისა, ამისათვის გადასახლებულ იქნეს ს. შინდისიდან.
15/ ნამყ. მღვდელი ივანე ოჩეულოვი და მისი შვილი მიშა.	15/ ვინაიდან ი. რჩეულოვი გვატყუებდა, აქამდინ არ იხდიდა ანაფორას, სცემდა გლეხებს და ისტუმრებდა თავპირდამტვრეულებს და მისი შვილი მიშაც ამ როლში გამოდიოდა გლეხებისადმი, ამისათვის იყვნენ გადასახლებულნი ს. შინდისიდან.
16/ ყოფ. აზნაური ლევან დარისპანის-ძე თავყელიშვილი და მისი ძმა გიგო.	16/ ვინაიდან ლევან და გიგო თავყელიშვილები არიან აქტიური მოწინააღმდეგე, მტრები მუშების და გლეხების, აწყობდნენ გეგმებს კომუნისტების წინააღმდეგ, იფარამდა და ხელს უწყობდნენ ჩვენი წინააღმდეგ დანიშნულ ბანდიტს გაგნიძეს და უგზავნიდა მას პურს და ფულსაც. ეს ორივე პირი ამისათვის იყნენ გადასახლებულნი ს. შინდისიდან.

საქართველოს ეროვნული არქივი

17/ ნამყ. აზნაური დათა და რამანა თაყველაშვილები.	17/ როგორც ნამყოფი ფეთებელი მენშევიკების ჯარისა და წინამძღოლი მენშევიკებისა, და ბალშევიკების წინააღმდეგ მონაწილე და რამანა არა სასურველ პირებთან მოსიარულე და ჩხუბში მომხრე ყველა თავის ამხანაგებთან გლეხების წინააღმდეგ იყვეს გადასახლებული ს. შინდისიდან, აგრეთვე რამანამ დედის გინებითაც მოიხსენა ორჯონიკიძე, როდესაც განცხადებას კითხულობდენ ხალხი.
18/ ნამყ. აზნაური ლადო ზაალის-ძე მახვილაძე.	18/ ვინაიდან ლადო მახვილაძე დადიოდა კრებაზე ამ ბოლო დროს სხვა კონტრევოლიუციონერებთან აწყობდა მათთან ერთად საიდუმლო შეთქმულებას კომუნისტების წინააღმდეგ, ამიტომ როგორც აქტიური მოწინააღმდეგე იყვეს გადასახლებული ს. შინდისიდან.
19/ ყოფ. აზნაური გიგუცა ზაალის-ძე მახვილაძე.	19/ გიგუცა მახვილაძე, როგორც კომუნისტების მოწინააღმდეგე გინებით და ლანძღვით, იქნეს გადასახლებული.
20/ ყოფ. აზნაური შაშა მიტოს-ძე დავითიშვილი.	20/ როგორც არა სასურველი ელემენტი იყვეს გადასახლებული ს. შინდისიდან.
21/ ყოფ. აზნაური და სპეკულიანტი ილიკო დავითიშვილი და შვილი ნიკოლი.	21/ გადასახლებულ იქნენ როგორც სპეკულიანტები და მოწინააღმდეგენი საბჭოთა ხელისუფლებისა.
22/ ყოფ. აზნაური იასონ სურათის-ძე თავყელიშვილი.	22/ ვინაიდან იასონ თავყელიშვილი ყოფილა ყოველივე კრებისა დამფარავი და ხელის შემწყობი, რომელიც ხდებოდა ხშირად მის სახლში და საბძელში ქონიათ ბუდე მის სახლში ყოველ გვარ მენშევიკურ ბანდიტებს, იქნეს განდევნილი შინდისიდან.
23/ ნამყოფი აზნაური სოსო დავითიშვილი.	23/ როგორც არა მიწის მუშა და ცუდი მოლაპარაკე პრავოკაციის მიზნით იქნეს გადასახლებული ს. შინდისიდან.

ასლი დედანთან სწორეა: ხელრთვა

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 15-17.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის უცხოეთის ბიუროს გაერთიანებული სხდომის ოქმი, სადაც საუბარია რეპრესიების ქვეშ მოყოლილი აჯანყებულების ნივთიერ დახმარებაზე 1924 წლის 7 ოქტომბერი

ოქმი

მთავრობის და დამოუკ. კომიტეტის უცხ. ბიუროს შეერთებული სხდომის
7. X. 1924 პარიზი

დაესწრენ: ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, კ. კანდელაკი, სპ. კედია და ი. გობეჩია.

ინფორმაცია მთავრობის თავმჯდომარე აცნობს სხდომას საქართველოდან (საზღვრიდან) მოსულ ინფორმაციას იმ ტერორის შესახებ, რომელიც ჩვენში მძვინვარებს; რომ სულიერი განწყობილება აჯანყებულებში კარგია, მაგრამ არის დიდი გაჭირვება და სხვ.

სპ. კედია საჭიროთ სთვლის, რომ შესაძლებელია რაიმე ზომები იქმნას მიღებული იქნება დიპლომატიური გზით ჩაერიონ და ეს სისხლის ღვრა საშინელი ტერორი შეაჩერონ. საჭიროა რაიმე გზის გამონახვა დასახმარებლათ.

ნ. ჟორდანია: ახალს ვერაფერს გავაკეთებთ დიპლომატიურ სფეროში. ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ ვეჭვობ რამე გამოვიდეს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვეცადოთ რამე ნივთიერი დახმარება აღმოვუჩინოთ აქედან. ყველაზე მეტად საჭიროა ფული, მაგრამ საჭიროა აგრეთვე ტანსაცმელი, სხვა და სხვა გვარი წამალი, ფეხსაცმელი. საზოგადოებრივი ინიციატივა არ სჩანს, თორემ ამას შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა. უნდა ავამუშაოთ აქაური კოლონიის გამგეობა და წითელი ჯვარი. ამის გარეთ საჭიროა ვისარგებლოთ საქართველოდან მოსული ამბებით და ეს ამბები თავის მიმართვაში ქველ-მოქმედთა მიმართ უნდა გამოიყენოს წითელ ჯვარმა და კოლონიის გამგეობამ.

მთავრობის თავმჯდომარის წინადადება მიღებულია:

მიენდოს სპ. კედიას მოელაპარაკოს აქაური კოლონიის გამგეობას და კ. კანდელაკს - წითელ ჯვარის გამგეობას, რათა მეტის ენერგიით შეუდგენ ნივთების მოგროვებას.

მთავრობის თავმჯდომარე - ნ. ჟორდანია
სხდომის მდივანი - ე. გეგეჭკორი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 155, ფურცლები 18-19.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ ფხვენისის საზოგადოების კრების ოქმი
ნიკო ამილახვრისა და სერაფიონ მაჭარაშვილის
ოჯახების სოფლიდან განდევნის შესახებ
1924 წლის 10 ოქტომბერი

დანართი N18

ОქМІ

1924 წ. ღვინობისთვის 10-ს ჩვენს. ფხვენისის საზოგადოებამ მოვახდინეთ საერთო ყრილობა, სადაც თავმჯდომარეობდა ამხ. ბ. ბოჭორიშვილი და მდივნათ ამხ. გ. ციცქიშვილი. ყრილობაზე ფხვენისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გუცა რაჯაბაშვილმა გააკეთა მოხსენება მასზედ, რომ ს. ფხვენისის ფარგლებიდან აუცილებლათ უნდა იყვეს განდევნილი ყველა ის ხალხის მავნე ელემენტები, რომლებიც დღევანდლამდე ყოველ მხრივ ძალზე ავიწროვებდენ მშრომელ ხალხს და საბჭოთა ხელისუფლებას უშლიდა ხალხს თავის მოქმედებით. ყრილობაზე ხალხის მიერ იყო განხილული ნიკო ალექსანდრეს-ძე ამილახვრის მოქმედება ხალხის წინაშე და ერთ ხმათ იქნა ის აღიარებული მთელი სოფლის მოსახლეობის წინაშე დამნაშავეთ, დანაშაულობა მისი გამოიხატება შემდეგში: **ნიკო ამილახვრისაგან** იყო ხალხი დაბეგვრილი მთელი სამი წლის განმავლობაში ძალათი, ეს შეიძლება ითქვას ძალათი იმიტომ, რომ მას სავსებით სწამდა რო დარჩებოდა მოტყუებით და მამულს ხალხი ვერ იმალავდა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალა უნებურათ ფული იქმნა გაწერილი ხალხზე და სამი წლის განმავლობაში ხალხს მძიმე უღლათ აწვა იმ ფულის გადახდა და ფული გადახდილ იქმნა და ხალხის რწმენა მართლაც გამართლდა და თავის გამოცდილებით ხელში დასვა ცარიელზე. მეორე: 1905 წ. მოძრაობის დროს მამა ნიკო ამილახვრისა სანდრო ამილახვარი მოკლულ იქმნა რევოლიუციონერების მიერ, რისთვისაც შემდეგ ამ მდგომარეობის გამო **ნიკო ამილახვრის** მიერ, რისთვისაც შემდეგ ამ მდგომარეობის გამო ნიკო ამილახვრის მიერ იქმნა გამოწვეული ზეკუცია და მთელი სამი კვირა ხალხი გმინავდა და იტანჯებოდა მტარვალებისაგან. ს. ფხვენისის მცხოვრებელმა ამხ. სოლო სვანაძემ განაცხადა და დაამტკიცა, რომ ტანჯვისა და წვალების გარდა ხდებოდა ხალხს ამ ზეკუციის განმავლობაში ჩვიდმეტი თუმანი /170 მან./ მან ყოველდღე ამასთანავე **სანდრო ამილახვარი** და მისი ოჯახი როგორც დესპოტები ძალზე ავიწროებდენ გლეხკაცობას, იყო ასეთი შემთხვევაც სანდრო ამილახვარი როგორც ქეიფის მოყვარე თავადი აკეთებდა შემდეგ ხრიკებს და რო შემოელეოდა საქეიფო ფული დააბრალებდა რომელიმე გლეხკაცს რამეს და გაუხიწნავდა მთელ ქონებას, მაგ. სანდრო ამილახვარმა გამოაცხადა, რომ ვითომ მან დაკარგა ცხენები, დააბრალა ცხენები ტყუილ უბრალოთ უღარიბეს გლეხს გიგო რაგამაშვილს და მას ამისათ-ვის დასტაცა უღელი ხარი და თერთმეტი თუმანი. ამხ. სანდრო ეშმაკურაშვილმა განაცხადა შემდეგი, მამის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახი დარჩენილიყო ობლად და სანდრო ამილახვარმა როგორც მისმა მებატონემ დაიტაცა ობლები და ისეთი უბედურება, ისეთი ენით გამოუთქმელი ტანჯვა მიატეხა, რომ როგორც თვითონ განაცხადა დღევანდლამდე კიდევ მოსდევს ის აუტანელი ტანჯვა. კიდევ **ნიკო ამილახვარმა** დაუგირავა მიწა გლეხს შაქრო რაჯაბაშვილმა და ორი წლის შემდეგ გაუყიდა მამული და ხსენებული რაჯაბაშვილი დარჩა ცარიელ ტარიელი, ნიშნათ მოგებით ფეხები წაუშვირა, ერთი სიტყვით მთელი ოჯახი

საქართველოს ეროვნული არქივი

ნიკო ამილახვრისა ხალხის დამტკიცებით არის ზედმეტი, ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტერი და ძირის გამომთხრელი, რისთვისაც ხალხის მიერ იქმნა დადგენილი, რომ იყვეს განდევნილი სოფლიდან ნიკო ამილახვრის ოჯახი, როგორც მუშა ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების მავნე პიროვნება.-

მეორე პიროვნებაზე: სერაფიონ მაჭარაშვილზე ხალხმა იქონია მსჯელობა და განიხილა მისი მოქმედება და დამტკიცებული იქმნა ვანო თომაძის მიერ, რომ როდესაც საქართველოში შემოდიოდა ხალხის გამანთავისუფლებელი წითელი ლაშქარი, მაშინ ის შეხვდა ძალაუნებურად გაწვეულ საბრძოლველათ მშრომელ ხალხს და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „გასწით ამხანაგებო, ის ვიღაც ბრბო ავაზაკების უკვე დამარცხებულია" და ამ სიტყვებით ვითომც ფრთებს უსხამდა ხალხს თავის საკეთილდღეოთ. ამხ. იასონ მაისურაძემ განაცხადა შემდეგი: ამ უკანასკნელად მომხდარ ცრუ მოღალატე მენშევიკურ ავანტისტურ გამოსვლების დროს სერაფიონ მაჭარაშვილი თავის წისქვილის კარებზე აწარმოებდა შემდეგ პრაპაგანდს, გეყურებათ ზარბაზნის ხმა ბატონო, ეს თათრები მოდიან და მაშინ მე მოგირიგდებით თქვენ და მე როგორც კაცს დამსვავენ ბეგათ და გავხდები თქვენი მბრძანებელიო. ამხ. ეშმაკურაშვილმა განაცხადა შემდეგი: 1921 წელს, როდესაც ხალხი შეშინებული იყო ოსებისაგან მთელი სოფელი გამოდიოდა საყარაულოთ, ამ დროს სერაფიონ მაჭარაშვილი ეწეოდა შემდეგ ექსპლოტატორობას მის მაგივრათ რომ ის თვითონ გამოსულიყო თავის თავის საყარაულოდ გზავნიდა თავის მოჯამაგირეს, რომელსაც არაფერი არ ეცვა იმ ზამთრის სიცივეში და იტანჯებოდა. მოჯამაგირეს რომ გაუჭირდა განუცხადა, რომ მე რათ უნდა გამოვიდე საყარაულოზე თვითონ უფრო კარგი ყარაულია და ერთი ტანკის იარშიკი პატრონა თავის ვინტოვკით სახლის ლამფაში **აქვს შენახულიო,** ამისათვის მოჯამაგირე იყო დათხოვნილი ყარაულიდან და კოტე ეშმაკურაშვილისაგან და რისთვისაც სერაფიონ მაჭარაშვილმა დიდი შეურაცყოფა მიაყენა კოტე ეშმაკურაშვილს, ამისათვის სერაფიონ მაჭარაშვილი და რეზო ამილახვარი აწარმოებდენ ჩუმ კრებებს ვითომ და წარმოკავშირის ამხანაგობის შესაქმნელათ, რის შესახებ საბჭომ არაფერი არ იცოდა და როდესაც იმათ მოსთხოვეს პასუხი, მათ ცივი უარი განაცხადეს და სთქვეს, რომ ჩვენ არაფერი კრება არ გვქონიაო და რომ ჰქონდათ ფარული კრება ამას ამტკიცებს გიორგი აბულაძე. ამხ. იასონ მაისურაძემ განაცხადა შემდეგი: მე და ჩემი უმცროსი ძმა და და ვიყავით მოჯამაგირეთ სერაფიონ მაჭარაშვილთან და საჯამაგიროს არ იძლეოდა შვიდი წლის განმავლობაში. ამის გარდა თვითონ მოხერხებით რომ არ გადახდენოდა საჯამაგირო ფული, გადაჰკიდა ძმა და და ერთმანეთში და მოაკვლევინა თავის ხელით და ამ ზემო აღნიშნულ მდგომარეობის გამო ხალხი ერთხმად მოითხოვს, რომ სოფლიდან განდევნილი იქნეს სერაფიონ მაჭარაშვილი თავის ოჯახით, როგორც მუშა ხალხის მოღალატე და საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამომთხრელი.

კრების თავმჯდომარე:
მდივანი: ციცქიშვილი
ასლი დედანთან სწორეა: /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 20.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წევრებისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრების ქონების კონფისკაციის შესახებ 1924 წლის 16 ოქტომბერი

Секретно Исход. N
Пролетаребо ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
Октября 24 года

ამონაწერი
ПРЕЗИДИУМА
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან (N...24....)
1924 г. ОКТЯБРЯ 16 ДНЯ

N N რიგზე	განსახილველი საგანი	დადგენილება
	О конфискации имущества у бывш. меньшевиков учредительного собрания и бывш. членов меньшевистского правительства.	Подвердить первоначальное постановление о конфискации, дополнительный список отклонить.

СЕКРЕТАРЬ ЦК КАХИАНИ
С ПОДЛИННЫМ ВЕРНО:
ЗАВ БЮРО СЕКРЕТАРИАТА /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აქვს კალმით მინაწერი: ქონების კონფისკაციის შესახებ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 106.

საქართველოს ეროვნული არქივი

სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართვა ამავე მაზრის მილიციის უფროსს 1924 წლის აჯანყების მონაწილეთათვის ჩამორთმეული ცხენებიდან სამი საუკეთესო ცხენის ქ. ახალი სენაკის სამეურნეო ტექნიკუმისთვის გადაცემის შესახებ 1924 წლის 24 ოქტომბერი

სენაკის მაზრის მილუფროს ამხ. კაჭარავას

დაუყონებლივ გადაეცით 3 კარგი ცხენი ბანდიტებისაგან ჩამორთმეული ახალ სენაკის სამეურნეო ტეხნიკუმის გამგეს. შესრულება დღესვე გვაცნობეთ.

სამაზრო აღ-ს თავ-რის მოადგილე
საქმეთა მმართველი

P.S. დოკუმენტს აზის თარიღი: 1924 წლის 24 ოქტომბერი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 22, ფურცელი 21.

საქართველოს ეროვნული არქივი

სოფელ საქაშეთის საერთო კრების დადგენილება
სოფლიდან სიკო ტიტვინიძის, კოტე დიასამანიძისა და
გიორგი ტიტვინიძის განდევნის შესახებ
1924 წლის 27 ოქტომბერი

დანართი 14

ოქმი N4

1924 წ. 27 ოქტომბერს.

ჩვენ სოფ. საქაშეთის მცხოვრებელნი კრებას დაესწრო რიცხვით 70 კაცამდე შესახებ სიკო ტიტვინიძისა და კოტე დიასამანიძისა და გიორგი ტიტვინიძის საკითხის გასარჩევათ. მათზე და მათ მოქმედებაზედ კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული მდივანი.

მოისმინეს	**დაადგინეს**
ჩვენ რაც მათ დაუთმეთ, მათი ბიოგრაფია რო დაწვრილებით გაიგოთ, ჩვენ თავზედ როგორ გადადიოდენ მალაყს, როგორ უნდოდათ ბრჭყალების ჩავლება ან როგორა გვწოვდენ ტვინსა და როგორ, ჩვენ გლეხები კიდევ გულკეთილები ვიყავით, თორემ საჭირო იყო მათი მოსპობა ძირფესვიანათ. ჩვენ გადმოგეცით /გაუგებარია/.	სოფლის საერთო კრებამ დაადგინა: ჩვენ რაც დაუთმეთ მაგათ, მეტს ვეღარ დაუთმობთ, ვინაიდან ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ჩვენი ძირის გამომთხრელებია ეგენი, ახლა საჭიროა თავიანთ ცოლშვილიანათ აიფხიკნონ საქაშეთიდან, თუ კიდევ არ მოგვეშვებიან, მაშინ ჩვენ მივიღებთ ზომებს სადა როგორც უნდა გაწმენდა, მაშინ ყველამ დაინახოს რაც მოხდება.

1924 წელს 27 ოქტომბერს სოფ. საქაშეთიდან განდევნილი პირებისა სახელდობრივ: 1/ სიკო ტიტვინიძე, 2/ კოტე დიასამანიძე, 3/ გიორგი ტიტვინიძე. ნიკოლოზის ბატონობის დროს რას ჩაგვდიოდა საქაშეთის გლეხობას, არა ერთხელ და არა ორჯელ ჩაგვიყენა ზეკულია მამულების ღალების აკრებაზედ ნალოგების გადახდაზედ, რომელიც ტყავს გვაძრობდა მათრახებით, რომელიც ვეღარ შეიძლებოდა მუშებში დიდ ექსპლოტაციას ეწეოდა, რომელი გაჭირვებული გლეხიც კი მივიდოდა მასთან სამუშაოთ, არაფრით არ ზოგავდა და მათზედ ბატონობის მენშევიკების დროს კიდევ სდევნიდა კომუნისტებს. მაგისდა გიორგი და დიასამანიძის წყალობით გახლდათ დაჭერილები და ტიტვინიძესაც სდევნიდნენ დასაჭერად, რომელიც 6 კაცმა მოათავეს სამსამი თვე გორის საპყრობილეში. ჩვენ ყველა ესენი ვაპატიეთ ძველი დანაშაულები, ჩვენ კიდევ შევინახეთ, მაგრამ მათ კიდევ არ მოგვასვენეს ხელისუფლების დროსაც, რას ჩაგვიდიოდა ბატონი ტიტვინიძე, მისი მამა გიორგი ტიტვინიძე, ყოველნაირ ზომებსა ხმარობდენ, რომ პრავოკაციას ეწეოდენ ხალხში, როგორმე ერთმანეთი ამოეხოცათ გლეხებს, რომელიც შიგადაშიგ კულაკი გლეხებიდან ხელისუფლების მტრები ცდილობდნენ, რომელიც აი ეს ვაჟბატონები, რომელთაც დიდი სვიაზი ჰქონდათ ერთმანეთში სიკო ტიტვინიძე, კოტე დიასამანიძე, გიორგი ტიტვინიძე ხელიხელ ჩაკიდებულნი, თუ კი გამოსვლები

საქართველოს ეროვნული არქივი

მოხდებოდა შინდისის თემში, ესენიც მზათ იყვნენ კუდის ასაბზეკათ. საერთოთ ასე: იციან, როცა ძალას დაინახამენ ჩვენსას, მაშინ მოიკაკვებიან ხოლმე, ამ გამოსვლებზედ ადრე ფარული კრებაც ქონდათ სიკო ტიტვინიძის სახლში, რომელიც ნაჩვენებია ინფორმაცია პოლიტბიუროში ამხანაგ მესხიძის ხელით. აი, აქ ყველა ჩვენება თუ სიმართლეს არ შეეფერება, შეგიძლიანთ ადგილობრივ მოხვიდეთ და გამორკვევით თქვენ თვითონ ხალხის საზოგადო კრებით.

ასლი სწორე:

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 13.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ ბერბუკის საბჭოს წევრების მიმართვა ქ. გორის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, სოფ. ბერბუკიდან ეფემია აწაწევის შვილებთან ერთად გასახლების თხოვნაზე
1924 წლის 27 ოქტომბერი

დანართი N6
ასლი

ოქმი N

სოფ. ბერბუკიდან

1924 წ. 27 ოქტომბერს ეფემია აწაწივზე ამით გაცნობებ ქ. გორის ჩეკის თავმჯდომარეს, ეფემია აწაწევი არის აზნაურის ნაცოლარი და თანაც ქმარი იყო ჟანდარმი და დღეს მისი ქმარი არის გასული, არ ვიცით სად იმყოფება და მისი ცოლი ეფემია თუმცა აშკარათ ვერ გამოსულა, მაინც ჩუმათ არ იშლის საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო სიტყვებს და ამისათვის ამით გაცნობებთ, რომ საჩქაროთ ან თქვენ მიიღოთ ზომები და ან ჩვენ მოგვცეთ ნება, რომ ავყაროთ აქედან თავის შვილებიანათ, რადგანაც მისი მაზლი და მაზლის შვილი არიან დაპატიმრებულები, იმათ თავის არის ძალიან მწუხარეთ ამისათვის მთელი სოფელი გაცნობებთ, რომ თუ თქვენ არ მიიღებთ ზომებს ჩვენ დაგვრთეთ ნება რომ იქმნეს გაძევებული ჩვენ სოფელ ბერბუკიდან, რასაც ვამოწმებთ სოფ. ბერბუკის საბჭოს წევრები ხელის მოწერით და ყოფილი წითელ არმიელი.

1. ს. აბალაკი.
2. კიმო ბერდაშვილი.
3. გიორგი გიაგაური.
4. არჩილა აკალავი.
5. ვიქტორ მერებაშვილი.
6. გიგუცა აბალაკი.
7. რადგანაც სოლომონმა წერა არ იცის, მის მაგივრად ხელს
ვაწერ ვაწერა კაბალაკი.
8. სანდრო გიგაური.
9. ილა მერებაშვილი.
10. წერა არ ვიცი ვასვამ ჯვარს.
11. ილა მერებაშვილი.
12. ს. აბალავა.
13. იოსებ აბალაკი.
14. რადგან წერა არ იცის ვაწერ ხელს იმის მაგივრად იოსებ აბალაკი.
15. ანა აბალაკი.
16. მელი აბალაკი.
17. ეკატერი.
18. აბალაკი.
19. შიიობიკი.
20. თამარა რუსი.
21. ტაშვილი.

საქართველოს ეროვნული არქივი

22. მოისოგ მაისურაძე.
23. მარუსა გერეგაუვი.
24. მელანია აბალაკისა.
25. პელა აბალაკი.

ასლი დედანთან სწორეა /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 38.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ამონარიდი გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევის რაიონის საბჭოს სხდომის ოქმიდან, ყოფილი თავად-აზნაურების სოფლიდან განდევნის შესახებ
1924 წლის 28 ოქტომბერი

ასლი

ოქმი N1

1924 წელსა ოქტომბრის 23 დღესა შესდგა სხდომა **მეჯვრისხევის** რაიონის საბჭოს წევრთა რომელზედაც დაესწრენ 42 წევრი

ყრილობას თავმჯდომარეობდა **ლ. ფსიტიძე**

მდივნად იყო არჩეული **ნ. ხახუტაშვილი**

დღის წესრიგი

1. გარეკილ თავად-აზნაურების შესახებ.
2. აღმასკომის წევრის მომატება.
3. საქონლის სიარულის აკრძალვა ბაღ-ვენახებში.
4. სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

მიმდინარე საკითხები

1. „რემედასის“ შესახებ.
2. ტირიფონის ველის არხის შესახებ.
3. კოოპერაცია.

მოისმინეს:	**დაადგინეს:**
1. გარეკილ თავად აზნაურების შესახებ.	1. **ვასილ გიორგის ძე ბათიაშვილზე** საკითხი გადაეცეს გორის პოლიტბიუროს, ვინაიდან მას ბრალდება მენშევიკურ ხანაში საველე სასამართლოს წევრობა და რომლის მეოხებითაც იყო დახვრეტილი გლეხი ს. მეჯვრისხევის მცხოვრები აკოფა ზარაფოვი და თუ იგი მას დაუმტკიცდა იყვეს იგი მეჯვრისხევიდან გადასახლებული და მისი ქონება კი იყოს გადაცემული გლეხთა დამხმარე კომიტეტზე. 2. **ალექსანდრე საკაევი** იყო ყოფილი ბატონების მოურავი და მას უმტკიცდება ზედმეტად ღალების და სხვა გადასახადების ძალით და ეშმაკობით აკრება. იგი ახდევინებდა ხოლო ბატონის მამულში ყველა იმას, ვინც-კი ან ურემს გაატარებდა ან დასაჭედ საქონელს წააქცევდა და სხვა ყველა ამით მან შეიძინა უფრო მეტი ქონება ვიდრე თვით ბატონმა. ამის დამამტკიცებელია მთელი რიგი მისი მოძრავი ქონება: ქ. თბილისში მას აქვს 3 სართულიანი სახლი, თვით ოჯახში აურებელი მოძრავი ქონება აქვს კარგად დაყენებული მეფუტკრეობა და სხვა. ყველა ამით ისედაც ღარიბ-ღატაკ გლეხებს ტყავს აძრობდა. იგი მისდევდა საგრძნობლად მეფუტკრეობას, მეხილეობას და სხვა მეურნეობას, მაგრამ როგორც მცოდნე ადამიანი ამ დარგში იგი არას დროს არ აძლევდა დარიგებას გლეხს. ბევრიც რომ ეთხოვა, თუ როგორ უნდა მოვლა მოშენება ფუტკრისა, მყნობა და სხვა და ისტუმრებდა შემდეგი სიტყვებით: „მე ვიცი მარტო ჩემთვის და თქვენ არაფერს გასწავლით“. ამ ქცევით მას უმტკიცდება ხალხის მტრობა, ვინაიდან იგი იყო სრულიად გამოსადეგი, ამიტომ იგი იყვეს განდევნილი ს. დ. მეჯვრისხევიდან მთელი უძრავ და მოძრავ ქონებათა ჩამორთმევით. 3. **ზურაბ ჩუბინიშვილი** იყო აშკარა კონტრრევოლიუციონური რაც მას უმტკიცდება მრავალი საუბრებით. მას აღმოაჩნდა ფაქიზად შენახული ყოფილ ნიკოლოზ მე-II სურათი. აი იმ ერთ საბუთთაგანი, რომელიც აშკარა კონტრ-რევოლიუციონორობას ადასტურებს. გარდა ამისა, იგი იგირავებდა ხოლმე გლეხებიდან მსხმოიარე ვენახებს, ნივთებს და სხვას და სარგებლებში გლეხობას აძრობდა ტყავს, რის დამამტკიცებელი საბუთებათ მას აღმოაჩნდა სახლში თამასუქები და ხელწერილები. იგი დღესაც არის გამმავრცელებელი სხვა და სხვა პოლიტიკურ მშენებლობის ცრუ ხმებისა, რითაც მშრომელთ აღელვებას, ამიტომ იგი იყოს განდევნილი სოფ. მეჯვრისხევიდან ქონების ჩამორთმევით.

საქართველოს ეროვნული არქივი

4. **სანდრო ნიკოლოზის ძე თულაშვილი** საერთოდ, როგორც წათამამებული აზნაური იყო ნამდვილი ჯალათი გლეხობისა, რასაც ჰმოწმობენ თითქმის ყველა სოფელი. როგორ შეეძლო გლეხს წყალში თევზის დაჭერა ნებადაურთველათ, წაართმევდა და სცემდა ჩემ წყალში დაიჭირეო. ან ვინმე წყალს წაიღებდა ნებადაურთველად მასაც სცემდა. ამ ჟამად ჯერ ისევ დასნეულებული გლეხია, რომელსაც მან წყლის წაყვანაზე მოასწრო, ააღმრევინა წყალი და ძალით დაალევინა რამდენიმე ჯამი. ყველა ეს მოწმდება მის გაუმაძღრობას, სხვისი ოფლის ჭამას, ვინაიდან ისეთ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ადგილი მშრომელთ შორის, იგი იყვეს განდევნილი მეჯვრისხევიდან ქონების ჩამორთმევით.
5. **ტიტო ნიკოლოზის ძე თულაშვილი.** თუმც იყო აზნაური, მაგრამ მას მუქთა ხორობა არ ეტყობოდა უწინ და ახლაც მხოლოდ მისი ცოლშვილი-კი როგორც თვითონ ტატო თულაშვილმაც განაცხადა იგი ცოლის ქცევების წინააღმდეგი იყო მუდამ უშლიდა, რომ გლეხებს ნუ დალანძღამ და ნუ სძოლდები, ამიტომ თვითონვეა წინააღმდეგი ცოლ შვილის დაბრუნებაზედ მეჯვრისხევში და მას, ვინაიდან წარსულში არავითარი ბოროტება არ მიუძღვის გლეხებში დაბრუნებული იყვეს უცოლშვილოდ თავის მამულში.
6. **სიკო ველისარიონის ძე ყანჩაველი** არის მშრომელთა მტერი, იყო წარსულში და ეხლაც საბჭოთა ხელისუფლებაში ამრევ-დამრევი. მისი ლაპარაკი ყოველთვის იყო მიმართული გლეხების და ხელისუფლების წინააღმდეგ. აი მისი დაცინვითი ლაპარაკი გლეხებისადმი „გლეხის ცალი წიბო გვეჭმევაო, მხოლოდ არ ვიცით რომელივო“. მას ჯავის აწიოკების დროს ძარცვით საქონელი უხვად ჰყავს გადმორეკილი. 1919 წლის ბოლშევიკურ გამოსვლების დროს /მენშევიკების ხანაში/ იყო დახვრეტილი პატ. მეჯვრისხევის მცხოვრები, პარტიული, გეურქა შახნაზაროვი და დამხვრეტნი პირნი მან მიიპატიჟა სახლში მხოლოდ მზარეულად კი იძულებით გაიწვია დახვრეტილის მამა. ყველა ეს ამტკიცებს მას, როგორ სძულს მშრომელი გლეხობა და ხელისუფლება, ამიტომ იგი იყვეს განდევნილი ოჯახობით მეჯვრისხევიდან ქონების ჩამორთმევით.
7. **როსტომ ჩიკოიძე,** როგორც ძველი გენერალი და მის ძვალ ხორცში გამჯდარი სულ სხვა რეჟიმი, მონარქიული, ვერ შეეთვისა იგი უწინდელ დროს, რაც მტკიცდება საბუთებით: მის პლაშს დღესაც აქვს მხრებზე „პოგენების“ დასამაგრებელი, იგი ლაპარაკში გამოსთქვამს ხოლმე, რომ ეხლა კანონები არ არსებობს, აგრეთვე უფროს უმცროსობაც, რაიც ძველ დროს ეს ყველაფერი იყო. იგი მომხრეა ნაციონალური და რელიგიური წრეებისა, ამიტომ იგი, როგორც დაუძინებელი მტერი მშრომელთა, იყვეს განდევნილი მეჯვრისხევიდან ქონების ჩამორთმევით.
8. **მიხეილ ნიკოლოზის ძე ხმალაძე.** ყოფილი აზნაური იმ თავითვე ცხოვრებაში იყო გამოუსადეგარი ადამიანი, ლოთი. სწოვდა მშრომელთა სისხლს და დღეს - კი დაუძინებელი მტერია გლეხებისა და ხელის-უფლებისა, რაიც უმტკიცდება მას სხვა და სხვა საბუთებით. მიწის რეფორმის დროს მისი მამული დაურიგდა უღარიბეს გლეხებს და რომ გლეხებში შეექმნა ერთგვარი არევ-დარევა, ეუბნევოდა: „ვის მამულს მუშაობთ, სულ ერთია ეგი დამუშავებული ვენახები მე დამრჩება და მართლაც, გლეხები იყვნენ ამ ლაპარაკის გავლენის ქვეშ და ვენახებიც დამუშავებული ჰქონდათ. წინათ ამუშავებდა გლეხებს და მუშებს და საფასურს - კი არ აძლევდა. არის - რა მტერი გლეხებისა და ხელისუფლებისა, იყვეს განდევნილი ქონების ჩამორთმევით.
მიხეილ ბესარიონის ძე სრესელი: თუმცა ყოფილი აზნაურია, მაგრამ მას არც უწინ და არც ეხლა არ ეტყობოდა მტრობა გლეხობისადმი, ამიტომ იგი იყვეს **დაბრუნებული** სოფელში თავის მამულზე.
სიკო დიმიტრის ძე კობახიძე. ყოფილი აზნაური, მას როგორც ახალგაზრდას უწინ და ეხლა არავითარი ბოროტობა არ მიუძღვის გლეხებისადმი, ამისათვის იგი იყვეს **დაბრუნებული** სოფელში თავის მამულზე.
ნიკო გრიგოლის ძე ჩიკოიძე: ყოფილი აზნაური მის წინააღმდეგ არავითარი ბრალდება წამოყენებული, როგორც წარსულზე აგრეთვე აწმყოზე, ამიტომ იგი **დაბრუნდეს** თავის მამულზე.
ხმალაძე სანდრო საამის ძე, იგი ყოფილი აზნაურია, გამავრცელებელი ტყუილი და პროვოკატორი ხმებისა. მასაც მიწის რეფორმის დროს აქვს ჩამორთმეული

საქართველოს ეროვნული არქივი

	მამული. ამ ჟამად ის მამული დანაწილებულია უღარიბეს მშრომელთა შორის. ზედ გადის ტირიფონის ველის არხი. სანდრო ხმალაძე ამ ტირ. ველის არხზე მომუშავე მუშებს ეუბნება, რომ რაზე ეწვალებით, ვის მამულს სჭრით, ოხრად დაგრჩებათ ეს შრომა, მალე მოვა ჩვენი დრო და თქვენც მიწასთან შიგ არხში ჩაგაყოლებთო. ვინაიდან ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ იგი ნამდვილათ მოტრფიალეა ძველი რეჟიმისა და მტერი აწმყოსი. ერთ ხმად დადგენილია მისი განდევნა სოფ. აძვიდან ქონების ჩამორთმევით. დამატებითი იყო წარმოდგენილი სია გასადევნი აზნაურებისა: 1. **ხმალაძე ლადო სანდროს ძე; 2. ხმალაძე გალა სანდროს ძე და 3. ხმალაძე კოლა მიხეილის ძე,** რომლებიც არ იყვნენ განდევნილი, მაგრამ თვითონ გაიპარნენ. მთლად ხმალაძეებს დიდი ბოროტება მიუძღვით გლეხებისადმი. როგორც გავლენიანი პირები /იგინი შეადგენენ სულ ორივე ორიოდე კომლს ს. აძვში/ ყოველთვის ხმარობდნენ ძალ მამრობას: ს. აძვში სარწყავი წყალი მათ ჰქონდათ დაჩემებული ნახევრათ სოფ. აძველებთან, სადაც 60 კომლია. ეს იყო გლეხების დაბრიყვება, მათი გატყავება, ერთხელ ესენი ჭალიდან მოდიოდნენ და ს. მხურვალეთში ერთი გლეხი აბისონაშვილი, როდესაც სწამდა ჯინს თავის კარებზე ერთმა მათგანმა გლეხს სახალისოთ ნიშანი იცის თუ არა ესროლა და გვერდი გაუგმირა. მრავალი სხვა ბოროტობა აქვთ მათ დათესილი ცხოვრებაში. ყოველ ნაბიჯზედ უდანაშაულო გლეხს სცემდნენ, იმიტომ რომ მათ ეყურებინათ როგორც იტანჯებოდნენ მისი ხელქვევითები, იგინი ამაში ხედავდნენ სიამოვნებას, ამიტომ იგინი როგორც მშრომელთა მტრები იყვნენ განდევნილნი მეჯვრისხევის ფარგლებიდან. **ბესარიონ სრესელი:** ყოფილი აზნაური, მას მიუძღვის მრავალი ბოროტება გლეხებისადმი და რეგულიაციის ხანაში - კი იგი არის დაუძინებელი მტერი საბჭოთა ხელის უფლებისა. საბუთათ ამისა ის არის, რომ 1919 წლის ბოლშევიკურ გამოსვლაში და მის ჩაქრობის შემდეგ იყო აქტიური მონაწილე პარტიულების დასარბევათ და თვით იარაღით, პოლიმიოტით გამასპინძლება, პოლიმიოტი ჰქონდა წინასწარ შენახული სახლში. მის სახლში იყო მოთავსებული შტაბი გვარდიელთა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. შინაურ ცხოვრებაში გლეხებთან იყო შეუბრალებელი: ცარიელი მიწებშიაც კი ღალას ახდევინებდა, თუ წესით გლეხებია არ მისცემდნენ, ძალით ართმევდა. მან მიიღო მონაწილეობა ჯავის აწიოკების დროს ჯავლების ქონების მითვისებაში. კიდევ სხვა მრავალი ბოროტება მიუძღვის, როგორც წინათ ისე ეხლა, ამიტომ იგი, როგორც მავნე პირი გლეხებისათვის და მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა, იყვეს განდევნილი მეჯვრისხევის რაიონიდან ქონების ჩამორთმევით. **თონიკო ველისარიონის ძე ყანჩაველი:** ყოფილი აზნაური, მიუძღვის მრავალი ბოროტება გლეხებისადმი ძველად. არც ერთი მისი ცხოვრების ფაქტი არის ადამიანური. მისდევდა მარტო მტაცებლობას, ძალადობას და შეუბრალებლობას. რეგულიაციის ხანაში მან დაამტკიცა კვლავ თავისი ბუნებრივი თვისებანი: ჯავის აწიოკების დროს უხვად იგდო ხელთ გლეხების ქონება 1919 წ. ბოლშევიკური გამოსვლის და მის ჩაქრობის შემდეგ იყო აქტიური მონაწილე იარაღით ხელში პარტიულების დასასჯელად. მისი მეოხებით იყო გაუპატივრებული გლეხის ქალი ვინაიდან თონიკო ყანჩაველი ძველად და ახლა იყო მტერი მშრომელთა, იყვეს განდევნილი მეჯვრისხევიდან.

დედანი სათანადო ხელ მოწერილია
ასლი დედანთან სწორეა
მეჯვრისხევი რაიაღმასკომის მდივანი /ჯაფარიძე/

1924 წლის 28 ოქტომბერს
ს. მეჯვრისხევი

ასლი ასლთან სწორეა /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 30-33.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ დირბის სასოფლო საბჭოს კრების ოქმი
სოფლიდან ყოფილ თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ
1924 წლის 29 ოქტომბერი

დანართი N20

ოქმი N8

1924 წ. 29 ოქტომბერს შესდგა **დირბის** სასოფლო საბჭოს კრება, თავმჯდომარეობდა ამხ: გერისო გემიაშვილი, მდივნად ანა ყიფშიძე თანადასწრებით რუის-ურბნის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. პაქსაშვილის.

მოისმინეს	**დაადგინეს.-**
2/ მოხსენებას აკეთებს ამხ. პაქსაშვილი თავად აზნაურთა განდევნის შესახებ ამხ. აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ფართო ხასიათი მიიღო სასოფლო საზოგადო კრებებმა თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ, მხოლოდ თვითეულ პიროვნების კონტრაქტიულ განხილვის შემდეგი შეიძლება მათი /განდევნა/ გადასახლება რომლებსაც მიუძღვით ბრალდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არა გვარევნობით.	2/ მოისმინეს რა მოხსენება ამხ. პაქსაშვილისა თავად აზნაურთა გადასახლების შესახებ, კრებამ დაადგინა: იქნეს გადასახლებული ის პირნი, რომლებიც ითვლებიან არა საიმედო პიროვნებათ არა მარტო საბჭოთა ხელისუფლებისა, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთათვის არა სასურველნი პირნი, ამიტომ იქნეს განდევნილნი შემდეგი პირნი: სოფ. ბრეთში 1/ **ილიკო ავალიშვილი** იოსების-ძე, ყოფილი შავრაზმელი, „პრავიტელსტვენი" მამასახლისი, რომელსაც უჯიათში ყავდა გლეხები ცემით და სხვა. 2/ **პეტრე რაჟდენის-ძე ავალიშვილი**, შავრაზმელი და გვარდიელი, ყოფილი ურიადნიკი, და პრავიტ. მამასახლისი, უჯიათის მიმყენებელი მშრომელ გლეხებისა ცემით და არც მუშაობს მამულს. 3/ **ბიჭიკო ვასილის-ძე ავალიშვილი**, ყოფილი შავრაზმელი და მენშევიკური ავანტიურის დროს იყო გაქცეული, გლეხების გალახვა და სხვა. 4/ **გრიშა კოტეს-ძე ავალიშვილი**, როგორც ძველი ოფიცრის შვილი და მენშევიკების დროს ნაციონალ ჯარში იყო და არა მუშა არ მუშაობს თავის შრომით და იჯარით სცემს გლეხებზე მამულს. 5/ **პეტიკო ყაფლანის-ძე ავალიშვილი**, როგორც არა მუშა, ვაჭარი და არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისა სოფ. საყულაშენში. 6/ **შაქრო თევდორეს-ძე ყიფშიძე** როგორც არა მიწის მუშა, აქვს საკუთარი სახლები ქ. თბილისში, ყოფილი გენერალი, არა საიმედო პიროვნება სოფ. წვერში. 7/ **გრიშა და ადა დიმიტრის ძენი კალატოზიშვილები**, ყოფილი შავრაზმელნი, გლეხების გამლახველნი, ყოფილი გვარდიელები და გამცარცველები სამხრეთ ოსეთისა, საქონელით და სხვა ოსეთის განადგურების დროს სოფ. არადეთში. 8/ **მიხეილ იშხნელი**, პარიტეტულ კომიტეტის წევრი, ჩამოერთვას მთელი ქონება და გადასახლდეს, როგორც არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისა. 9/ **შაქრო და კოტია იშხნელები**, შავრაზმელები გლეხების გამლახველნი, კოციი ოფიცერი და არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისა. 10/ **ფირან და აპალონ სვიმონის-ძე იშხნელები**, როგორც ყოფილი შავრაზმელები, გლეხების გამლახველნი, და ზეკუციების მომყვანნი სოფლად და უჯიათში ჩამყრელები გლეხებისა სოფ. დირბში.11/ **ვანო სანდროს-ძე დეკანოზიშვილი,** როგორც ყოფილი შავრაზმელი, ყოფ. პრავიტ. მამასახლისი ხურვალეთის საზოგადოებაში, რომელსაც ყავს დახოცილი იქ რევოლიუციონერები 1905 წელში, აგრეთვე ცემა და უჯიათში ჩაგდება გლეხებისა და მოღალატე საბჭოთა ხელისუფლებისა. 12/ **გაბრიელ, მიშა და გეგენა ნიკოს-ძე დეკანოზიშვილები**, როგორც შავრაზმელები, შემნახველები შავრაზმისა, გლეხების გამლახველნი, გლეხები ძალით თავიანთ სამუშაოზედ გაჰყვანდათ, თავიანთ მამულებზე გლეხების გავლა ან საქონლის გატარება ან თავიანთ მამულზე დაახლოვებით გზაზე გავლაზე სცემდენ, უჯიათად ექცეოდენ, ავალდებულებდენ გლეხებს, რომ ემუშავათ იმათ მამულში. იქნენ განდევნილნი ყველანი, მხოლოდ დარჩეს იასონ გაბრიელის-ძე დეკანოზიშვილი. 13/ **გიორგი და ალექსი სიმონის-ძე დეკანოზიშვილები**, როგორც არა საიმედო პიროვნებები საბჭოთა ხელისუფლებისა და მის წინააღმდეგ ჭორების გამავრცელებელნი გლეხობაში, ალექსი როგორც სპეკულიანტიც. 14/ **სვიმონ ანდრიას-ძე მგალობლიშვილი**, როგორც არა საიმედო პიროვნება და არა მიწის მუშა და მისი მამის მამასახლისობის დროს აშენებული აქვს სახლები ხალხისგან მათრახების და კონდახების ცემით და არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისა. 15/ ი**ვანე მიხეილის-ძე მგალობლიშვილი** სცემდა გლეხობას, აყენებდა დიდ უჯიათს გლეხებს და ამ ჟამადაც არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისა.

დედანი სათანადო ხელმოწერილია.
ასლი ასლიდან სწორეა: /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 23.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ რუისის სასოფლო საბჭოს სხდომის ოქმი
სოფლიდან ყოფილ თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ
1924 წლის 30 ოქტომბერი

ასლი-ასლიდან

ოქმი N

1924 წლ. ოქტომბრის 30. რუისის სასოფლო საბჭოს სხდომა ამხ. გიორგი პაქსაშვილის თავმჯდომარეობით და გრ. გეშიაშვილის მდივნობით.

1/ ზოგიერთ სოფლებში სასწავლებლის გახსნა და მასწავლებლების დაკმაყოფილება ადგილობრივ შემოსავლის წყაროებიდან.

2/ თავად აზნაურთა განდევნის შესახებ.

3/ ცირკულიარების და მოწერილობების განხილვა.

4/ მიმდინარე საკითხი.

მოისმინეს	**დაადგინეს.-**
2/ მოხსენება ამხ. პაქსაშვილისა, თავად აზნაურთა შესახებ, სადაც მომხსენებელი განმარტავს, რომ ხშირად მოდის სოფლებიდან დადგენილებები საზოგადო კრებებისა თავად აზნაურთა განდევნების შესახებ გარემოების მიხედვით და თვითეულ მათგანზე არ არის წამოყენებული ბრალდებები, რაც მიზანშეუწონელია.	2/ მოისმინეს რა მოხსენება ამხ. პაქსაშვილისა თავად აზნაურთა განდევნის შესახებ, საბჭო ადგენს: იქნეს ქვემოთ მოხსენებული პირები გადასახლებულნი შემდეგი ბრალდებებით: 1/ **გაბო ნიკოლოზის-ძე მამაცაშვილი**, ყოფილი შავრაზმელი, დიდი მებატონე მემამულე, რომელიც დიდ უჯიათ აყენებდა გლეხებს ცემით, როგორც რუისის თემში ისე დირბისა, გომისა და ქვიშხეთში, რომლის ცემა ჩაგვრა და უჯიათი დღესაც ახსოვთ გლეხობას. ჩამოერთვას ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება ს. რუისში, როგორც შეძენილი ისე გლეხების მიერ და არა მიწის მუშას ამასთანავე თბილისში სახლების მქონეს. 2/ შაქრო ქრისტესიას-ძე მამაცაშვილი, შავრაზმელი, რომელმაც 1905 მოიწვია სოფ. რუისში კაზაკები ეგზეკუცია და ჩაადგო დიდ უჯიათში გლეხობა. მისივე მიზეზით არის მკვდარი ორი ქალი. 3/ მღვდელი დათიკო სალარიძე, როგორც მავნე ელემენტი მშრომელი ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 4/ ილია დავითის-ძე მამაცაშვილი, ყოფილი გვარდიელი გამტაცებელი სამხრეთ ოსეთიდან საქონლისა, ამ ჟამადაც გაქცეული და არა საიმედო პირი. 5/ ვასილ ნიკოლოზის-ძე დეკანოზიშვილი ყოფილი მაზრის უფროსი გლეხების გამლახველი და არა საიმედო პირი მშრომელი ხალხისათვის. 6/ გუგული ქაიხოსროს-ძე კლდიმიაშვილი, ცნობილი შავრაზმელი გვარდიელი გლეხების მჩაგვრელი და არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 7/ ნიკო დავითის-ძე კლიმიაშვილი, ყოფილი შავრაზმელი, გვარდიელი, გლეხების მჩაგვრელი, არა მიწის მუშა, არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 8/ სამსონ ივანეს-ძე კლდიმიაშვილი, ყოფილი შავრაზმელების მეთაური, გლეხების მჩაგვრელი და არა საიმედო პიროვნება. 9/ შალვა მიხეილის-ძე კლიმიაშვილი, ყოფილი შავრაზმელი გვარდიელი, გლეხების მჩაგვრელი და ამრევ დამრევი, **ჩოლოყაშვილის, ბანდიტის** ხელ-შემწყობი. 10/ რომან გიგოს-ძე გვარამიძე, ყოფილი შავრაზმელი პროფესიონალური ქურდი, არა სასურველი ელემენტი მცხოვრებთათვის. 11/ საშა დაფქვიაშვილი, ყოფილი შავრაზმელი და ჩოლოყაშვილის ბანდიტის ხელ-შემწყობი, არა საიმედო პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის. 12/ სარდიონ არავიაშვილი, მტერი საბჭოთა ხელისუფლების და არა საიმედო პიროვნება. 13/ ბაადურ ესტატეს-ძე, 14/ გენო ლაზარეს-ძე, 15/ ვანო სარდიონის-ძე, 16/ არჩილ ელიზბარის-ძე, 17/ იასონ ვასილის-ძე ფანიაშვილები, ყოფილი შავრაზმელები, გვარდიელები, უკანასკნელ მენშევიკურ ავანტიურის ხელის შემწყობნი, რომლებიც აწყობდნენ მენშევიკურ უჯრედებს, ახდენდენ კრებებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 18/ ვასო ესტატეს-ძე თოდაძე, ყოფილი შავრაზმელი მენშევიკების ბატონობის დროს დიდ უჯიათის მიმყენებელი გლეხებისა, რომელსაც დახოცილი ყავს გლეხები.

დედანი სათანადო ხელმოწერილია.
ასლი-ასლიდან სწორეა: /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 22.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრების ქონების კონფისკაციის შესახებ
1924 წლის 31 ოქტომბერი

დადგენილება N112
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს ყოფილი დამფუძნებელი კრებისა და მენშევიკური მთავრობის ზოგიერთი წევრის ქონების კონფისკაციის შესახებ

ამა წლის აგვისტოს დამლევს საქართველოში მომხდარ თავად-აზნაურულ მენშევიკურ ავანტიურას, რასაც მიზნად ჰქონდა საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამხობა, სულს უდგამდენ ყოფილი მენშევიკური მთავრობის წევრები, რომელნიც დღეს ემიგრაციაში იმყოფებიან და საბჭოთა ხელისუფლების მტრების კარნახით განაგრძობენ საზღვარგარეთ თავიანთ ბოროტ მოღვაწეობას საქართველოს მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ.

ამის გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ხელისუფლება საჭიროდ სცნობს ნოე ჟორდანიას ყოფილი მთავრობისა და ყოფილი დამფუძნებელი კრების ემიგრაციაში გადახვეწილ და ხსენებულ ავანტიურის მონაწილე წევრებს ჩამოერთვას მათი კუთვნილი ქონება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ტერიტორიაზეა და მოხმარდეს იმ ზარალის ანაზღაურებას რაც საქართველოს მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა ვერაგულმა ავანტიურამ.

ამ მოსაზრებით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს**:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 70 მუხლის გამონაკლისად და საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის მარტის 26-ს თარიღითა და 21 N-რით გამოცემული დადგენილების დასადასტურებლად - მთელი ქონება ყოფილი მენშევიკური მთავრობის და ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრებისა, რომელნიც ამ ჟამად ემიგრაციაში არიან და ამას წინად მომხდარ გამოსვლასთან კავშირი ჰქონიათ, - ჩამორთმეულ იქნეს კონფისკაციის წესით.

2. ოჯახის გაჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ წევრებს, რომელთაც 1-ლ მუხლში აღნიშნული პირნი არჩენდნენ - დაეტოვებათ საჭირო საოჯახო ნივთები, წვრილი და შინამრეწველობის იარაღი, უკეთუ ეს უკანასკნელი არსებობის სახსარია და არ წარმოადგენს სხვისი შრომის ექსპლოატაციის საგანს და აგრეთვე საკვები პროდუქტები.

3. ამა დადგენილების აღსრულება დაევალება იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს, რომელთაც ევალებათ გამოსცენ სათანადო ინსტრუქცია.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე /ხელრთვა/
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი /ხელრთვა/

1924 წ. ოქტომბერი 31
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 100.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეთა
ქონების კონფისკაციის ინსტრუქცია
1924 წლის ოქტომბერი

ინსტრუქცია

ქონების კონფისკაციისათვის გამოცემული დადგენილების აღსრულების წესის შესახებ

1. კონფისკაციას მოახდენს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი. კონფისკაციაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღოს პროკურორის თანაშემწემ მაზრაში.

2. კონფისკაციისათვის შედგენილ უნდა იქნენ ჩამორთმევის წამში, ცალკე აქტი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა/ ქონების ყოფილი პატრონის სახელსა, გვარსა და საცხოვრებელ ადგილს;

ბ/ დაწვრილებით და სწორ სიას, სადაც აღინიშნება როგორც კონფისკაციით ჩამორთმეული, ისე დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად დასატოვებელი ქონება: რაგვარი ქონება, რა წონისა, რა ზომისა და რამდენი; თანაც აღნიშნული უნდა იქნეს, ვის დაეტოვა ქონება.

3. აქტს ხელს მოაწერს კონფისკაციის ყველა მონაწილე პირი.

4. კონფისკაციაქმნილი ქონება ჩაირიცხება სახელმწიფო ფონდში და დროებით, განსაკუთრებულ განკარგულებამდე, დარჩება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში.

5. აქტის ასლი წარედგინება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის წინაშეც უნდა აღიძრას ხოლმე ყველა საკითხი, რაც წარმოიშობა კონფისკაციისათვის გამოცემული დადგენილების აღსრულების გამო.

ამასთანავე დართულია იმ პირთა სია, რომელთა ქონებაც ჩამორთმეულ უნდა იქნეს კონფისკაციით.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 102.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების იმ წევრთა სია, რომლებსაც ქონება ჩამოერთვათ 1924 წლის ოქტომბერი

СПИСОК

членов бывшаго меньшевитского правительства и Учредительного Собрания и др., имущества коих подлежат конфискации

1. Арсенидзе Ражден
2. Ахметелашвили Владимир
3. Ахметелашвили Семен
4. Асатиани Александр
5. Гегечкори Евгений
6. Гварджаладзе Константин
7. Гобечия Иосиф
8. Элиава Николай
9. Елигулашвили Иосиф
10. Вешапели Григорий
11. Такайшвили Ефимий
12. Канделаки Константин
13. Кедия Спиридон
14. Ломтатидзе Александр
15. Мгеладзе Власа
16. Мдивани Семен
17. Нинидзе Кирилл
18. Жордания Ной
19. Рамишвили Ной
20. Сабахтарашвили Константин
21. Пагава Гогита /Георгий/
22. Карумидзе Шалва
23. Шервашидзе Варлам
24. Шервашидзе Кадир
25. Шервашидзе Давид
26. Чхеидзе Николай
27. Чхенкели Акакий
28. Чхиквишвили Вениамин
29. Цинцадзе Ной
30. Церетели Ираклий
31. Хомерики Ной
32. Джугели Владимир
33. Магнарадзе
34. Кедия
35. Пачулия

საქართველოს ეროვნული არქივი

36. Сулаквелидзе Владимир
37. Сулаквелидзе Константин
38. Гогвадзе Владимир
39. Гогвадзе /брат Вл. Гогвадзе/
40. Чавчанидзе Иван
41. Карцивадзе Николай
42. Одишелидзе
43. Кутателадзе Владимир
44. Бахтадзе
45. Салакая Иосиф
46. Джапаридзе Александр
47. Цинамдзгваришвили Георгий
48. Амиреджиби Шалва.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 105.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქ. ახალი სენაკის მკვიდრის ნატალია ჩარგეიშვილის განცხადება სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა მისთვის მიეცათ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო დახვრეტილი ტუტუ ხარბედიას კონფისკირებული ქონებიდან 250 მანეთი, რომელიც მას სესხად ჰქონდა დახვრეტილისთვის მიცემული
1924 წლის ოქტომბერი

სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს
დროებით ქალაქ ახალ სენაკის მცხოვრები
ნატალია სვიმონის ასული ჩარგეიშვილის

თხოვნა

ამას წინეთ შემოვიტანე თხოვნა თქვენს წინაშე და ვითხოვდი, რათა მოეცათ ჩემთვის ბანდიტური გამოსვლების გამო დახვრეტილი ტუტუ ხარბედიას დარჩენილი ქონებიდან 250 მან. რომელიც მე მქონდა მიცემული მაზე 1924 წ. ივლისის სამს სესხით სახით (საპროცენტო), მაგრამ დღემდის არ მიმიღია და არ ვიცი რა მდგმოიარებაშია ჩემი საქმე. მოგახსენებთ ცნობათ, რომ მე ვარ უსახლკარო ადამიანი, არ მომეძეობა არავითარი ქონება გარდა ზემო აღნიშნული თანხისა, რომლითაც ვირჩენდი და ვისაზრდოვებდი ჩემს თავს. გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგმოიარებაში, გარჩიოთ რაც შეიძლება დაჩქარებით და მომცეთ ასეთი ხარბედიას დარჩენილი ქონებიდან.

მთხოვნელი ნატალია ჩარგეიშვილი (ხელრთვა)

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 64, ფურცელი 24.

საქართველოს ეროვნული არქივი

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ საქართველოს ემიგრანტული მთავრობისთვის მიწოდებული ინფორმაცია 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების შესახებ
1924 წლის ოქტომბერი

1924 წლის აჯანყების პერიოდში, სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კ. გვარჯალაძის საინფორმაციო ხასიათის დეპეშები

7/IX ნ. რამიშვილს

ხვრეტა, აწიოკება გრძელდება.

აუარებელი ხალხია დაჭერილი. მათ მოელის საშიშროება. ბათომში დახვრიტეს მიხა საბაშვილი. მიიღეთ ზომები.

გვარჯალაძე

14/ IX ჟორდანიას, შავიშვილს

მთელ საქართველოში საშინელი რეპრესიებია. აუარებელ ხალხს ხვრეტენ. წვავენ სახლებს, აწიოკებენ მცხოვრებთ. ქუთაისში სხვებთა შორის დახვრიტეს მიტროპოლიტი ნაზარი. ყველა მაზრებში ათასობით აყენებენ ჯარებს. კრეფენ ყოველგან მცხოვრებლებს, ჯარი ემუქრება, ძალით აწერინებს ხელს, რომ ქართველი ხალხი კმაყოფილია და მას კომუნისტების მეტი არავინ უნდა. ამ გზით კომუნისტები ცდილობენ ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანონ. ვინც ბოლშევიკების მიერ შეთხზულ დოკუმენტს ხელს არ აწერს ხვრეტენ. მცხოვრებთა იარაღიანი ნაწილი მთებისკენ იხევს, სადაც ბრძოლა გრძელდება. ბოლშევიკებს მისდის დამხმარე ძალები.

16/ IX ჟორდანიას, შავიშვილს

გავასის ცნობა სამწუხაროთ მართალი არ არის. თფილისი, ბათომი თავიდგან ბოლშევიკების ხელში იყო. ახალ მოსული ძალებით მტერმა სხვა ქალაქებიც დაიბრუნა. ხალხი იარაღით მთებში გაიხიზნა, ბრძოლა იქ გრძელდება. ყველგან ხვრეტა, წვა, რეპრესიებია. ყველა ცნობებს ვამოწმებ, ისე ვგზავნი. გუშინ, დღეს ცნობები არ არის. პუნქტი მოგვიხსნეს. ვიზა არ ხერხთება. გვპირდებიან გადმოყვანას, როცა გემით მოადგებიან. რკინის გზით ძნელია. ორი დღეა თფილის-ქუთაისიდგან მოდის აქ კომერსანტებისათვის დეპეშები.

გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი

18/ IX ჟორდანიას

მთელ საქართველოში ბრძოლა გრძელდება. სენაკის და ზუგდიდის მაზრებში დიდი ბრძოლებია. სომხეთიდგან და აზერბაიჯანიდგან ბოლშევიკებს მოყავთ შეიარაღებული კომუნისტები ჯარების დასახმარებლათ. ცებელდის ახლო 3000 აჯანყებული ებრძვის რუსის ჯარებს. 17 სექტემბერს ბათომის ციხიდგან გაიქცა ყველა დაჭერილები. გაამტვრიეს კარები. მრავალ დახვრეტილთა შორის არი ქალი, აღ. გორდელაძე.

კ. გვარჯალაძე

19/ IX ჟორდანიას

მუხამედა იტყობინება. სოხუმს და ოჩამჩირის შუა აჯანყებულებს ებრძვის მრავალი ათასი რუსის ჯარი არტილერიით. წვავენ და ანადგურებენ სოფლებს. ასობით ხვრეტენ მებრძოლთა ნათესავებ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. აუარებელი ხალხი მიყავს ჯარებს მძევლებათ. ყოველგან საალყო წესებია გამოცხადებული. პროვინციებში ადგილობრივი ჩეკა განსაკუთრებული უფლებებით არის აღჭურვილი. დაუკითხავად ხვრეტს ვისაც უნდათ. ქართველი ერის საუკეთესო ნაწილს ანადგურებენ. ბოლშევიკები ყველაფერს მალავენ. მათი გაზეთები სდუმს. გადაეცით ჟენევას.

კ. გვარჯალაძე

21/ IX ჟორდანიას

მუხამედა იტყობინება. სამეგრელოში, აბხაზეთში და სვანეთში დიდი ბრძოლებია. ქუთაისიდან დახეული აჯანყებულები შეუერთდნენ სვანეთის აჯანყებულთ. მთიულეთში, კახეთის მთებში პარტიზანული ბრძოლა გრძელდება. აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებენ მთელი დივიზიები. ყოველ დღე მოდის ახალი ძალები. დაპყრობილ პროვინციებში აუარებელ ხალხს ხოცავენ. დახოცილთა რიცხვს ათასობით ითვლიან, კომუნისტური გაზეთები კი მხოლოდ 120 კაცის დახვრეტას აქვეყნებენ.

გვარჯალაძე

24/ IX ჟორდანიას, თუმანოვს

საქართველოს ყველა კუთხეებში რუსის ჯარებია ჩაყენებული მცხოვრებთა ხარჯზე. კრეფენ კონტრიბუციებს. სამურზაყანოში, ლეჩხუმში ჯარები სწვავენ სოფლებს. ბევრ ადგილას სახლიც აღარ დარჩა. პარტიზანების ნათესავებს ხოცავენ. მოხუცები, ბავშვები მძევლად მიყავთ. ქართლში პარტიზანულ ბრძოლას მეთაურობს ლაშქარაშვილის რაზმი. ყველა მისი ნათესავები დახოცეს. თიანეთში რაზმმა დაამარცხა და განაიარაღა რუსის როტა. სვანეთის

საქართველოს ეროვნული არქივი

მხრივ რუსის ჯარები აწარმოებენ უნაყოფო შეტევებს. დიდი დანაკლისი აქვთ. ჟენევას ყველა საჭირო დეპეშები თქვენ გაუგზავნეთ.

კოწია

25/ IX ჟორდანიას, თუმანოვს

მუხამედა გვატყობინებს: რუსის ჯარი შევიდა ქვემო სვანეთში. ზემო სვანეთში ბრძოლა გრძელდება. ქვემო სვანეთიდგან რუსის ჯარი კრეფს პარტიზანთა ნათესავთ მოხუცებულებს, ქალებს, ბავშვებს და ფრონტის წინ ყავთ ესენი. ყველა სადგურებზე საქართველოში და აზერბაიჯანში ჩაყენებულია ჯარები.

საქართველოში ბევრ მთიან ადგილებში პარტიზანული ბრძოლები გრძელდება.

27/ IX ჟორდანიას

სვანეთთან დიდი ბრძოლებია. მის ასაღებათ რუსებმა დიდი ძალები მიაყარეს, მარა ჯერ ვერას გახდენ. მთებშიდაც გრძელდება ბრძოლა. ციხეებში აუარებელ ხალხს ხვრეტენ, მათ რიცხვს და გვამებს მალავენ.

29/ IX ჟორდანიას

საქართველოდან გვატყობინებენ ახლად მოყვანილ ძალებს ნაწილობრივ აყენებენ სოფლებში ეგზეკუციად, დანარჩენს გზავნიან გახიზნულების წინააღმდეგ განმეორებითი შეტევისთვის. სვანეთზე უკუგდებულ იქნა დიდის ზარალით რუსებისათვის. გორდში, სენაკში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ფოთში, ქუთაისში დატყვევებულია 2000 კაცზე მეტი. ჭიათურაში თავიდან ჩამოყვანილი 163 მძევალი დახოცეს ვაგონებში. საერთოდ საქართველოში დახვრეტილთა რიცხვი ასცილდა 5000. საკონცენტრაციო ბანაკები სავსეა ტყვეებით, მძევლებით. რუსებმა გააძლიერა სამხრეთ საზღვრის დაცვა, რათა არ გადაუშვან აჯანყებულები.

კოწია

1/X ჟორდანია, თუმანოვს

რევოლუციონერებმა ტყვედ წაიყვანეს ხუთასი წითელარმიელი სვანეთთან ბრძოლაში. ოცდაერთს ენკენისთვეს აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში ოზურგეთი, გამოუშვეს ციხეებიდგან ტყვეები და თან წაიყვანეს. სენაკის მაზრაში თავმოყრილია 3000 აჯანყებული. ბრძოლაა სურებშიდაც. რუსეთიდგან განუწყვეტლივ მოდის ჯარები. გრუზჩეკა საიდუმლოთ ატყობინებს პროვინციულ განყოფილებებს დახვრეტილთა რიცხვი და გვარები გაზეთებში არ გამოაქვეყნონ.

გვარჯალაძე

საქართველოს ეროვნული არქივი

4/X[158] ჟორდანიას

ამ ორი კვირის განმავლობაში აჯანყებულებმა რამოდენიმეჯერ დააზიანეს ბათომი-თფილისის რკინის გზის ხაზი და ნავთსადენი. რევოლუციონერთა რაზმები ღამეობით ეშვებიან მთებიდან და თავს ესხმიან რუსის ჯარებს. 25 სექტემბერს აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთში მიმავალ დამსჯელ რაზმს და განაიარაღა ის. უკანასკვნელ ათი დღის განმავლობაში რუსებმა სვანეთთან ბრძოლაში დიდი ზარალი ნახეს. პარტიზანებთან ბრძოლა სხვაგანაც გრძელდება.

კ. გვარჯალაძე

6/X[159] ჟორდანიას

სვანეთში რევოლუციონერებმა წაართვეს რუსებს ერთი ზარბაზანი, ხუთი პულემიოტი. სამხედრო გემები ქართულ ნაპირებს იცავენ, დაბრუნდნენ გუდაუთიდგან ბათომში. მატროსთა ძლიერი რაზმები ჩამოსხეს სუხუმში და ბათომში. დახვრეტილთა ნათესავებს ტირილისათვის სასტიკად სჯიან.

გვარჯალაძე

14/X ჟორდანიას

ბრძოლა სვანეთის გარშემო გრძელდება. შეტაკებებია აგრეთვე გურიის, კახეთის და დუშეთის მთა-ტყეებში. სენაკის მაზრა მთლად მტრის ხელშია. ზუგდიდის, სამურზაყანოს, სენაკის და ქუთაისის მაზრებიდან ბევრი წავიდნენ სვანეთში. ქართველების მასიური ჭერაა. ქართველებს ყველგან ადგილებიდან ითხოვენ, მათ ადგილას უცხო ელემენტებს აყენებენ. ხვრეტა, აწიოკება გრძელდება, დახოცილ-დაჭრილებს ოჯახებს ადებიებენ და მილიციონერებს აძლევენ. განსაკუთრებულ მხეცობას იჩენენ პარტიულები.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 805, ფურცლები 9; 30; 32; 34; 36; 38-45; 49.

158 დოკუმენტში შეცდომით, მეცხრე თვე წერია, თუმცა დეპეშის შინაარსით დგინდება, რომ გაგზავნილია ოქტომბერში - **გამომცემლები**.

159 დოკუმენტში შეცდომით, მეცხრე თვე წერია, თუმცა დეპეშის შინაარსით დგინდება, რომ გაგზავნილია ოქტომბერში - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის ყრილობის
დადგენილების ოქმი სოფლიდან მიტუშა, გიგო, ერმანა და
ბაგრატ ჩხეიძეების განდევნის შესახებ
1924 წლის 1 ნოემბერი

ოქმი N1

1924 წელსა ნოემბრის 1 დღესა შესდგა სოფ. ყელქცეულის სოფლიური ყრილობა თანადასწრებით სოფ. ყელქცეულის საბჭოს წევრების სანდრო სამხარაძისა ყრილობის შინაარსი ჩხეიძეების მიერ მიყენებულ უჯიათისა ყელქცეულის მცხოვრებლებზე მომხსენებელი სანდრო სამხარაძე და იასე წეველიძე კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნა ამორჩეული მიხეილ ლიაძე, მდივნად გრიგოლ ლომიძე.

მოისმინეს	**დაადგინეს**
მოისმინეს რა მოხსენება საბჭოს წევრის სანდრო სამხარაძისა ჩხეიძეების მიერ მიყენებულ უჯიათისა ყელქცეულის მცხოვრებლებზე: იქმნა საერთო ჩვენება ჩამორთმეული.	**ჩვენება:** მოვისმინეთ რა მოხსენება სანდრო სამხარაძისა ჩხეიძეების მიერ მიყენებულ უჯიათისა ჩვენ სოფელ ყელქცეულში მცხოვრებელთ ერთ ხმად ვადგენთ, რომ რათა ძირიან ფესვიანათ იქნეს დათხოვნილი და ალაგმულნი სოფ. ყელქცეულიდან ზემო ხსენებულნი ჩხეიძეები.

1/ ყელქცეულში მცხოვრებელი ლუკა წეველის-ძე ამბობს, რომ მე დამიწვეს საბძელი და ამის მოწამე მყავს სოლო სამხარაძე, როდესაც ბეგარაზე უთხარი გასვლა **მიტუშა ჩხეიძემ** მითხრა დახე, გუშინ რა დღე დავაყენე და კიდევ ვერ შავაშინეთ.

2/ შიო გამგებლის ჩვენება: მე მომივიდა ლაპარაკი მეზობელთან მიტრო გამგებელთან, ამ დროს ამორჩეული კაცი იყო გიგო ჩხეიძე, როდესაც მიჩივლა გამგებელმა **გიგო ჩხეიძემ** დამაჯარიმა ათი თუმნით, რომელიც გადამახდევინა. შემდეგ მივდიოდი საჩივლელათ და გაიგო გიგო ჩხეიძემ, დამიჭირა მაშინათვე, დამაპატიმრა საჩივრის ნება არ მომცა.

3/ არჩილა გამგებლის ჩვენება: მე და ლუკა წეველიძე ვიყავით სოფლის ამორჩეული კაცები, ფული იყო შეწერილი ჩხეიძეებზე 5 მან. მისვლის უმალვე გამოვიდნენ **ერმანა და ბაგრატა ჩხეიძეები** და რევოლვერით გამოგვიდგნენ აღარ მოხვიდეთ თორემ დაგხვრეტამთო.

4/ სასონა სამხარაძის ჩვენება: ერთ დროს მივედი ლხინში სათამაშოთ და მიტუშა ჩხეიძემ გამომაგდო ცემით და მითხრა თქვენისთანა ოსებს რა უნდათ ლხინშიო.

5/ ვანო ჯავახიშვილის ჩვენება: ოსების ჩხუბის დროს მე მიმქონდა ჩემი ცოლის მზითევი კამოდი და სხვა და სხვა სოფ. შინდისში დამხვდა მიტუშა ჩხეიძე დამიწყო ცემა თან მეუბნებოდა ეს კამოდი ოსებისა არის და შენ სად მიგაქო.

6/ სანდრო მეტრეველის ჩვენება: მე გუთანი მება პარტიულ ვასო წეველიძესთან, როდესაც საღამოთი დავბრუნდი დამხვდა ერმანა ჩხეიძე და მითხრა

საქართველოს ეროვნული არქივი

რათ შეაბი გუთანი ვასო წეველიძესთან, ნუ თუ შენ იმაზე კარგი კაცი ვეღარ ნახეო. მე იმ კაცთან არაფერი დანაშაული მაქს, არც იმას ჩემთან და რათ არ უნდა შემებაო. ერმანამ მითხრა საქმე მოხვნა კი არ არის იმ მიწისა საქმე მოთიბვა არისო. შემდეგ ჩემმა მეზობელმა გაათხოვა სანდრო სამხარაძემ და მოვიწვიეთ მღვდელი ლომსაძე, მივეცით თავისი გასამრჯელო, მაგრამ იმან იცოტავა და ზედ მეტი გვთხოვა, ბოლოს ვისესხეთ და მივეცით. შემდეგ გვიჩივლა, შინდისის რევკომში ვიყავით დაბარებულები და ლომსაძე გავამტყუნეთ, თანაც მღვდელობიდან დავითხოვეთ ჩვენ სოფლიდან, ბოლოს ლომსაძის სიძემ გიგო ჩხეიძემ მომასწრო ერთ ადგილას, დამიწყო ჩხუბი რათ დაითხოვეთ ჩემი მოყვარე ამ სოფლიდანო, დამიწყო ლანძღვა გინება.

7/ იასე წეველიძის ჩვენება: 1904 წელში მე მება გუთანი ჩემ მიწაში, მივიდნენ ერმანა და ბაგრატა ჩხეიძეები, ერმანას ეჭირა ცული და ბაგრატს ბარი, მისვლის უმალ გამიჭრეს გუთანი, მაგრამ მე მაინც უჯავრდებოდი ხარებს, ბაგრატამ დაარტყა ბარი მამაჩემს, დაარეტიანა, ერმანამ ცული დაარტყა კიდევ მამაჩემს და ძალიან დასჭრეს, ამ ჭრილობის შემდეგ მამაჩემმა იცოცხლა ორი კვირა და მოკვდა ისეთი ჭრილობით. ერმანა ჩხეიძეს მე დაუჭირე ცული და მოასწრო კიდევ დამარტყა მარჯვენა ხელში, რომელიც დღესაც დაშავებული მაქს, მე კიდევ ვეცადე და წავართვი ცული, თორემ სულ დაგვხოცამდნენ, გავასაჩივრე ეს საქმე, მაგრამ იმათ როგორც აზნაური შვილები მოიწვიეს ადვოკატები და საჩივარს თავი დავანებე.

8/ იოსებ ბერიოზაშვილის ჩვენება: მე ვიყავი სალდათში და მქონდა ვენახი ჩხეიძიანთ ბაღის თავზე, ჩემ იქ ყოფნის დროს წაერთმიათ მამა ჩემისთვის, როდესაც მიველი სალდათიდან უთხარი რათ წაართვით ვენახი, იმათ მითხრეს საიდან მოგეცათ ეგ ვენახი ჩვენ ბაღის მიჯნაზეაო, მერე ვიცოდი ვერაფერს გავხდებოდი და დავანებე თავი.

9/ ილა წეველიძის ჩვენება: მე მომიკლეს მამა ჩხეიძეებმა, შემდეგში ლაპარაკობდა ერმონა, მამა ხომ მოუკალით, შვილსაც მალე თან გავაყოლებთო.

10/ ლევანა ონიაშვილის ჩვენება: მე ვიყავი სალდათში, ჩემი ვენახის გზა დაიჩემეს ჩხეიძეებმა და ნება აღარ მომცეს ჩემ გზაზე სიარულისა, რომელიც ნამდვილათ მე მეკუთვნოდა.

11/ სოლო სამხარაძის ჩვენება: მე ვიყავი და ვარ კიდეც საწყალი კაცი, გაქცეული ოსების ჭირნახული ჩამოვიტანე, დამხვდენ ჩხეიძეები და წამართვეს ის ჭირნახული. ოსები როდესაც დაბრუნდენ ის ჭირნახული გადაუხადე ოსებს და ჩხეიძეებმა კი არაფერი. აგრეთვე ვიყავი ამორჩეული დამხმარე კომისიაში, ჩხეიძეების ჩამორთმეული მამული გადავეცი ხალხს საფონდოთ, დამხვდნენ თავიანთი წისქვილის კარებზე, დამიწყეს ჩხუბი გიგომ და ერმანამ, დამემუქრნენ მოკვლით, რა უფლების ძალით ჩვენი მამული გადაეცითო.

12/ მიშა ონიაშვილის ჩვენება: 1923 წელს ვიყავი დაპატიმრებული ჩხეიძეებთან ქეიფის შემდეგ, გამოვედით სათამაშოთ ეკლესიაზე, ჩემი ძმა იასონ ონიაშვილი გალახეს მიტუშა ჩხეიძემ და ერმანა ჩხეიძემ, მე მივეშველე ჩემ ძმას და გაჩაღდა ჩხუბი, ისინიც მცემდნენ, მეც ვცემდი, მიტუშა გააქცია შინა რეზომ და რო მე დავინახე მე უთხარი, რათ გააქციე სახლში, მომივიდა გული, დავარტყი თავში ქვა და თავი გაუტეხე.

საქართველოს ეროვნული არქივი

13/ გიორგი ივანეს-ძე გამგებლის ჩვენება: ჩიტაძე გუცა სცემდა მამაჩემს, მე რო დავინახე, შევარდი ხალხში და ქვა დავარტყი თავში გუცა ჩიტაძეს, მერე მიტუშა ჩხეიძე მიეშველა ჩიტაძეს და გამომიდგა ნამგლით, ქალებს რო არ ეშველათ, ეხლა კვდარი ვიქნებოდი, მეორე დღეს მიტუშამ მითხრა, რო მოგწეოდი თავს მოგჭრიდიო.

1/ სილო მახარაძე
2/ გიორგი გამგებელი
3/ ილა წეველიძე
4/ მეტრეველი გიორგი
5/ სირა წეველიძე
6/ ალექსი გამგებელი
7/ ერმანა გამგებელი
8/ გაუგებარია
9/ „ - "
10/ სოსო სოხიტაშვილი
11/ გაუგებარია
12/ ვანო გამგებელი
13/ რევაზა გამგებელი
14/ ლადო ჯიოშვილი
15/ დათა წველიძე
16/ მიშ. ონიაშვილი
17/ გაუგებარია
18/ გუცა დიტაძე
19/ მიტუშა ბერიაშვილი
დანარჩენები გაუგებარია.

დედანი სათანადო ხელმოწერილია
ასლი-ასლიდან სწორეა: ხელრთვა

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 9-10.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ ქვემო ხვითის საზოგადო კრების შუამდგომლობა შინდისის აღმასრულებელ კომიტეტთან სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურების გასახლების თაობაზე 1924 წლის 2 ნოემბერი

დანართი N13

ოქმი N3

1924 წ. ნოემბრის 2 დღესა შესდგა საზოგადო კრება **სოფ. ქვემო ხვითში** დაესწრო უმრავლესობა, თავმჯდომარე კ. მაისურაძე, მდივანი გ. კვინიკაძე.

დღის წესრიგი:
1/ ყოფილ თავად აზნაურების დანაშაულების შესახებ

მოისმინეს	**დაადგინეს**
მოხსენება გააკეთა იასონ დაკაშვილმა, ნიკა ბუზადაძემ, სოლო ბასილიძე, თედო ნიკუჭაძე, ვანო ბასილიძე, სოსო ნიკუჭაძე, პეპო ნიკუჭაძე, ვანა კერესელიძე, გიგა ბითაძე, ზაქა მაისურაძე, გიორგი ბასილაძე და ბითაძე გიგამ, შესახებ თავად აზნაურების მოქმედებაზე.	კრებამ ერთ ხმად დაადგინა თავად-აზნაურები: 1/ ივანე მისი შვილებით, 2/ სესე, 3/ მიშა თაქთაქიშვილები, 4/ დიმიტრი თაქთაქიშვილი, 5/ დათიკო თაქთაქიშვილი, 6/ მიხეილ დიასანიძე, 7/ კარპოზ თაქთაქიშვილი, 8/ გიორგი, 9/ კოლა, 10/ კოწია და 11/ შურა მაჩაბლები, 12/ ისაკო თაქთაქიშვილი, 13/ ვარა თაქთაქიშვილი, 14/ არჩილ და შაშა თაქთაქიშვილი, 15/ ირაკლი თაქთაქიშვილი, 16/ ნიკა ციციშვილი, 17/ ვასა თაქთაქიშვილი, 18/ გიორგი თაქთაქიშვილი, 19/ გიორგი თაქთაქიშვილი, 20/ ილუშა თაქთაქიშვილი, როგორც **ყოფილი თავადები და უჯიათები**, ხალხისა დიდი გაჭირვება და შეწუხება ჰქონდათ, მათგან არავითარი დახმარება არ ახსოვთ ხალხს და დღიდგან საბჭოთა ხელისუფლების მიღების მართალია, მათგან წინანდელი უჯიათი არ მიგვიღია, მაგრამ ისინი მაინც სხვა დროს ნატრობენ და სიტყვებით მაინც გვცემენ, ამისათვის, როგორც მშრომელი ხალხის მოღალატენი, ეთხოვოს შინდისის აღმასკომს შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ იგინი იყვნენ გადასახლებულები, უკეთუ ეს ჩვენი დადგენილებას არ შეასრულებს მთავრობა, ჩვენ მიერ იქნება ზომები მიღებული.

თავმჯდომარე კ. მაისურაძე, მდივანი გ. კვინიკაძე
დედანთან სწორეა: ხელრთვა

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 12.

საქართველოს ეროვნული არქივი

დასავლეთ საქართველოს პროკურორის გ. გაბუნიას საიდუმლო ინსტრუქცია 1924 წლის აჯანყების მონაწილეების თვითნებურად დახვრეტის დაუშვებლობის შესახებ
1924 წლის 4 ნოემბერი

ასლი
საიდუმლო
ინსტრუქცია
მაზრა ქალაქების და რაიონის მილიციის უფროსებს, რკინის გზის მცველთა რაზმის უფროსებს და რაიონის და თემის აღმასკომებს დასავლეთ საქართველოში

უკანასკნელ ბანდიტურ გამოსვლების ლიკვიდაციის შემდეგ, ბოლო ხანებში მე ხშირად მომდის მაზრის მილიციის უფროსებისაგან ერთობ მოკლე ცნობები შესახებ მცველ-მხლებელთა დარაჯების მიერ დახვრეტის დატუსაღებულ პირთა, გზა და გზა, მათი გადაყვან-გადმოყვანის დროს და ყველა შემთხვევებში მიზეზებად ასახელებენ დატუსაღებულის ცდას გაქცევისათვის.

რადგან ასეთმა მოვლენამ მიიღო რაღაც ეპიდემიური ხასიათი, რაც ჰბადებს სრულიად საფუძვლიან ეჭვებს იმისას, რომ შესაძლებელი ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ქონდეს პირად შურის ძიებას, როგორც ამა თუ იმ პირის დატუსაღებაში, აგრეთვე, თვით-გასამართლებაში, დატუსაღებულის დახვრეტის სახით. თავის თავათ ცხადია, რომ ასეთი აღვირ ახსნილი მოქმედება ზოგიერთი შეუგნებელ ძალა უფლების მატარებლისა სრულიად სამართლიანად იწვევს აღელვებას და აღშფოდებას მშვიდობიან მშრომელთა მასსაში. ყველა ცალკე შემთხვევა ეგეთი ბოროტებით და თავაწყვეტილი ქვენა მიზნებით აღსავსე მოქმედება ზოგიერთ შავბნელ ძალა უფლების მატარებლის, საბჭოთა ხელის უფლების დაუძინებელი მტრები ხომ, ეჭვს გარეშეა, ყველა ასეთ შემთხვევას სავსებით გამოიყენებენ სააგიტაციოდ ფართო მასსებში, კონტრევოლიუციონურ სულის კვეთების გასაღვივებლად.

ყოველმა მოქალაქემ და მით უმეტეს მმართველ კომპარტიის წევრმა და ძალა უფლების ყველა წარმომადგენელმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელის უფლების სახელმწიფოს სინამდვილეში არიან კარგათ მოწყობილი სასამართლოს დაწესებულება და აგრეთვე პოლიტიკურ რევოლიუციონური ორგანოები, რომლებიც დარაჯათ უდგანან რევოლიუციის წესრიგს და მათ შესწევთ ძალა და საშუალებები შესაფერი მსჯავრი დადონ რევოლიუციის მტერთ და ყოველ-გვარი ბოროტმოქმებისთვის გასამართლება ამა თუ იმ დამნაშავე ან პოლიტიკურად საეჭვო პირის, გარეშე სათანადო ორგანოებისა, უნდა ჩაეთვალოს აშკარად კონტრევოლიუციონურ მოქმედებათ დამნაშავე პირი, ვინც არ უნდა იყოს ის, უნდა დაისაჯოს ულმობელათ და მთელი სისასტიკით, არსებულ კანონებით.

ამისათვის განმეორებით და უკანასკნელად გაფრთხილებთ, დამატებით დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის 8 ივლისის 1922 წლის N - ცირ-

საქართველოს ეროვნული არქივი

კულიარისა, რომ ყველა ცალკე შემთხვევა ტუსაღის დახვრეტის, მისი გადაგ-ზავნ-გადმოგზავნის დროს, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, აუცილებლათ გამოიწვევს სამსახურიდან გადაყენებას და დაპატიმრებას მცველ-მხლებელ დარაჯებთ და იმ რაიმილიციის უფროსის, რომლის რაიონშიაც მოხდება ეგეთი შემთხვევა და აგრეთვე პასუხის გებაში მიცემას იმ დაწესებულების უფროსის, საიდგანაც გაგზავნილ იქნება ტუსაღი, გზა და გზა დახვრეტილი.

ამა ცირკულიარის მიღება, უყოყმანოთ და სისწორით შესასრულებლათ, საჩქაროთ მაცნობოთ.

დას. საქ. პროკურორი: გ. გაბუნია
მდივანი: სევ. მეძმარიაშვილი
დედანთან სწორია: პროკურატურის მდივანი სევ. მეძმარიაშვილი /
ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 1, საქმე 187, ფურცლები 17-18.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სოფელ ახალდაბის მცხოვრებთა კრების დადგენილება სოფლიდან ვანო ზარხობაშვილის, ვასო წოწოლიაშვილისა და ს იკო მურადაშვილის განდევნის შესახებ 1924 წლის 4 ნოემბერი

დანართი N15

ოქმი N5

1924 წ. ნოემბრის 4 დღესა ს. ახალდაბაში შესდგა ახალდაბის მცხოვრებთა მრავალ რიცხვანის კრება, რომელსაც უმრავლესობა დაესწრო კრებას, დაესწრო შინდისის თემის აღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე ბესა ბერკაციშვილი. კრების თავმჯდომარეთ იქნა ამორჩეული ვასო თაყაძე, მდივნათ გ. ბერიკაშვილი.

დღის წესრიგი:
1/ საკითხი თავად აზნაურებზედ და ყველა ხელისუფლების მტრების შესახებ.

მოისმინეს	**დაადგინეს**
თავად აზნაურებზე და ყველა ხელისუფლების მტრებზედ მოხსენება გააკეთა ბესა ბერკაციშვილმა, რომელმაც ვრცლათ აუხსნა ხალხს, რომ ყველა ხელისუფლების მტრები არც ერთი უნდა დარჩეს ჩვენთან, რომლებიც ყველა ამ შენებლობაში და მშვიდობიან ცხოვრებაში მოგვიშლის ხელს.	მოისმინეს რა მოხსენება ბესა ბერკაცაშვილისა, ხალხმა ერთ ხმათ აღვიარეს, რომ ს. ახალდაბიდან იქნენ გადასახლებულნი ყოფილი მოურავები, ნიკოლოზის ჯალათები: 1/ ვანო ზარხობაშვილი, 2/ ვასო წოწოლიაშვილი და 3/ სიკო მურადაშვილი, როგორც იგი მთელს გლეხობას სისხლს სწოვდენ ყოველის მხრითა როგორც ღალების მხრით ისე სხვა და სხვა მოსართმევით და ეს პირები არც ახლა არიან საიმედოები. მოისმინეს რა მოხსენება ამხ. ბესა ბერკაცაშვილისა, ხალხმა ერთ ხმათ დაადგინა, რომ ყველამ ისწავლოს.

თავმჯდომარე ვასო თაყაძე
მდივანი ბერიკაშვილი
ასლი დედანთან სწორეა: ხელრთვა

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 14.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის ხიბულის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პატაკი ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, სადაც აღნიშნულია, რომ 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობისას აჯანყებულებს ადგილობრივი გლეხობისთვის ზიანი არ მიუყენებიათ

1924 წლის 4 ნოემბერი

შემ. 18/1 N2036
ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს

მოთხოვნილებისა გამო თქვენისა, მოთავსებულის თქვენის ცირკულიარული მოწერილობა მიმდინარე წლის 17 ნოემბერი N1442 მოგახსენებთ, რომ რწმუნებული ჩემდამი რაიონში ავანტიურულ გამოსვლის დროზე მშრომელ გლეხობისადმი ავანტიურისტების მიერ ზარალის მიყენებას ადგილი არ ქონია, რასაც მოგახსენებ ცნობისათვის.

თავმჯდომარე: /ხელრთვა/

მდივანი: /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. ზუგდიდის მაზრის ხიბულის რაიონული აღმასკომის შტემპი თარიღით 1924 წლის 4 ნოემბერი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 43, ფურცელი 32.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების შემდეგ გორის მაზრის სოფელ ტყვიავიდან განდევნილი ყოფილი თავად-აზნაურების სია
1924 წლის 5 ნოემბერი

დანართი N1

ამონაწერი 1924 წლის 5 ნოემბრის ს. ტყვიავის თემის საბჭოს წევრების ოქმიდან. კრებას დაესწრო „24“ წევრი. კრების თავმჯდომარე ილ. ქილიტაური, მდივანი გ. სამადალაშვილი.

საკითხები 2. განდევნა თემიდან მავნე ყოფილ თავად-აზნაურებისა.

მოისმინეს	**დაადგინეს**
პაპიტაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე 75 წლ. ღვდლის ჩამომავალი, მაძიებელი აზნაური, დიდი მემამულე, რომელიც ჩამოერთვა საბჭოთა ხელისუფლების დროს. იჭერდა გლეხკაცობას, სცემდა, აჯარიმებდა დიდი ჯარიმით. საძოვარზედ არ უშვებდა გლეხკაცობის საქონელს და თუ მოასწრობდა ახდევინებდა სულზედ 5 მანეთს. გლეხს აძლევდა მიწებს საღალოთ და თუ მიწა შემთხვევით დარჩებოდა დაუმუშავებელი, ახდევინებდა მაინც ღალას. წყლის მერუებს გამოუდგებოდა რევოლვერით მოსაკლავად თუ მის ბაღში დასწყვიტამდნენ წყალს.	1/ ერთხმათ იქნა განდევნილი.
ფურცელაძე ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე 70 წლ. აზნაური, ძველი დროის ნაპოისტავალი თიანეთის მაზრაში, მემამულე, გზაში გამოსვლის დროს სცემდა ხალხს, როდესაც მას ქუდს არ მოუხდიდნენ. სოფელს დიდი ხანია სურდა მისი განდევნა. ნიკოლოზის დროს ოსებს აძლევდა საღალოთ თავის მიწას და მერე უშარებდა, რომ კარგი სიმინდი არ მოიყვანეო, სანამ კი გამორთმეული ჰქონდა ქრთამად ქათმები, ერბო და წლის მოსავალს ართმევდა გლეხკაცობას. რომ იგი იყო ქრთამების ამღები ეს სჩანს იქიდან, რომ მას უზიდამდნენ თიანეთის მაზრიდან ს. მერეთში ცხენებით ქრთამს.	2/ ერთხმად იქნეს განდევნილი.
ფურცელაძე ვანო ესტატეს-ძე აზნაური, იყო განდევნილი მიწის რეფორმის ჩატარების დროს და რაღაცა **ხრიკებით იგი დაბრუნდა**, როდესაც ანტისაბჭოთა პარტიები აპირებდნენ გამოსვლებს საქართველოში იმ დღეებში იგი გაიპარა და დღესაც არა სჩანს, რადგანაც წარსულში მიუძღვის ბევრი დანაშაული სოფელში. გამოსვლების დროს წინეთ საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი გლეხებს ემუქრებოდა და ამბობდა მოიცადეთ ჩვენი დროც დადგება და არ შეგრჩებათ ჩამორთმეული მამული. თავის ბატონობის დროს, როდესაც სოფლის გლეხკაცობას ლიახვის რიყიდან მოჰქონდათ საშენებელი ქვა და იგი გზაში არ შეხვდებოდა, მოდიოდა აშენებულ სახლთან უზომამდა კედლებს და ახდევინებდა ბაჟს ყოველ არშინზედ დახარჯულ ქვის ღირებულობას.	3/ ერთხმად იყვეს განდევნილი.
ფურცელაძე ნადია, ქვრივი, ყოფილი პრისტავის ცოლი და მემამულესი, სწყინს ძაან თუ მას არ დაუძახებენ ქალბატონს და არ მოუხდიან ქუდს. მამულის ჩამორთმევის შემდეგ არ არის კარგი გულის ხალხზედ.	4/ 21 ხმით: განიდევნოს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ფურცელაძე არჩილ, აზნაური, ყოფილი პოლკოვნიკი, 37 წლისა, მას როგორც მავნებელს საბჭოთა ხელისუფლებისას დაეძებდა პოლიტბიურო, მაგრამ იგი გაქცეულია და არ დაბრუნებულა, საბჭოთა ხელისუფლებამდის ის იყო ჯაშუში, სდევნიდა მშრომელ გლეხკაცობას და აჭერინებდა კომუნისტებს.	5/ ერთხმად იყვეს განდევნილი.
ფურცელაძე ვანო გრიგოლის-ძე 60 წ. აზნაური, ამ ჟამად დატუსაღებული. თავისი ბატონობის დროს, როდესაც ლიახვის რიყიდან გლეხკაცობა ზიდამდა საშენებელ ქვას იგი თუ ვერ მოასწრებდა ზედ, მიდიოდა აშენებულ სახლთან ზომამდა კედლებს და ახდევინებდა ბაჟს ყოველ არშინზე დახარჯულ ქვის ღირებულებას.	6/ ერთხმად იყვეს განდევნილი.
ჯავახიშვილი ლადო 60 წლის, აზნაური, ძველი ჩინოვნიკი, პარიტეტული კომიტეტის წევრის იასონ ჯავახიშვილის მამა, რომლის საშუალებით უნდოდა აედგინა ძველი წესწყობილება და ისევ განეახლებინა ძველი წესწყობილება და ისევ განეახლებინა ღალების აღება, ცემა და დაჩაგვრა მშრომელი გლეხკაცობისა როგორც ასეთის შვილის მამა ის ვერ შეურიგდება საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვარს და ის დღესაც მიისწრაფის თავისი წარსული აღდგენისაკენ. საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი როგორც ასეთის შვილის მამა ეუბნებოდა გლეხკაცობას: მოიცადეთ, მოვა ჩვენი დრო და მაშინ გაჩვენებთ როგორ უნდა მამულის ჩამორთმევაო.	7/ ერთხმად იყვეს განდევნილი.
ჯავახიშვილი ნიკო, აზნაური, ღალების აკრეფის დროს იგი სცემდა გლეხკაცობას, დადიოდა ცხენით მინდორში, რომ გლეხკაცობისათვის გამოერთმია მეტი ღალა და საუკეთესო ძნები. გლეხკაცს მან წაართვა ძალით მამული. გლეხი კაცის მიერ ჩარგული ნეგრები ამოყარა და მიითვისა მშრომელი გლეხის მიწა.	8/ ერთხმად იყვეს განდევნილი.
ნინო და **ლიზა ერისთავები**, მიწის რეფორმის ჩატარების დროს იყვნენ განდევნილნი და შემდეგში დააბრუნეს უკან. იყო დიდი მემამულე, მისი შვილი ლევანი დღესაც განდევნილია, როგორც დამჩაგვრელი გლეხკაცობისა და მისი შვილი ლევანიც არის განდევნილი, დედაც და დაც უკან იყვნენ განდევნილნი.	9/ 22 ხმით იყვეს განდევნილი.
ერისთავი გიორგი მიხეილის-ძე, თავადი, დიდი მემამულე ტირიფონაზედ და მთაში. ღალების აკრეფის დროს იგი სცემდა გლეხკაცობას და იღებდა მკაცრ ზომებს გლეხ-კაცობის წინააღმდეგ. მას ჰყავდა მოჯამაგირეები, რომლებსაც სცემდა. გიორგი ერისთავს შინ მეძებარი ძაღლები და თუ გლეხის ძაღლი წაეჩხუბებოდა მის მეძებარს იგი მიუვარდებოდა გლეხკაცს და სცემდა იმ მიზეზით, რომ მის ძაღლს რათ წაეჩხუბა გლეხის ძაღლი.	10/ ერთხმად იყვეს განდევნილი.
ჯავახიშვილი ოქრო, 70 წლ. აზნაური, ყოფილი ჩინოვნიკი, მემამულე, მოდიოდა გლეხკაცობასთან და აძრობდა ტყავს. შვილები მისი იყვნენ შავ-რაზმელები, ერთი შვილი განდევნილია, მეორე სულ მუდამ ატარებდა მაუზერს და მოჰკლა გლეხკაცი ჯოლბორდი. გლეხებს სცემდა მათრახით, რომ ჩქარა ჩაებარებინათ მისთვის ღალა.	11/ იყვეს განდევნილი

კრების თავმჯდომარე: ქილიტაური
მდივანი: გ. სამადალაშვილი

დედანთან სწორეა: სამ. აღმასკომის მდივნის თანაშემწე: ხელრთვა
P.S. ხელრთვას აზის გორის სამაზრო აღმასკომის ბეჭედი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 4-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის მცხოვრებლების დადგენილება სოფლიდან ყოფილი სოციალ-დემოკრატის გიორგი წეველიძის განდევნის შესახებ
1924 წლის 6 ნოემბერი

დანართი N12

ოქმი N2

1924 წ. ნოემბრის 6 დღესა ჩვენ სოფ. **ყელქცეულში** მცხოვრებელნი ერთ ხმად ვარდგენთ ოქმს იმისი შესახებ, რომ ყელქცეულში მცხოვრებელი გიორგი ზაქარიას-ძე წეველიძე იყო ყოფილი მენშევიკი, აგრეთვე ორგანიზაციის პასუხის მგებელი მდივანი ფსევდონიმი მისი „პაპა", დაუძღოდა ვასო კასრაძის პარტიას და უჩვენებდა გზას, ჯერ მოაკვლევინა სოფ. ყელქცეულში მცხოვრები ვასო წეველიძე, შემდეგ სოფ. ახალდაბაში მცხოვრები ტატე სეხნიაშვილი. როდესაც გაუგო მთავრობამ და დაიჭირეს მენშევიკების ორგანიზაცია, გიორგი წეველიძე მაშინვე გაიქცა და მივიდა ვასო კასრაძეს ბანდასთან, იარსება მათთან 7 თვე, კასრაძის პარტიის დამარცხების შემდეგ გიორგი წეველიძე გამოცხადდა ქ. თბილისის ცენტრში, ვითომ ის შეაშინეს კომუნისტებმა და გააქციეს ძალათი. მის გულისთვის რწმუნებული კომუნისტი დაიჭირეს, რომელიც 20 დღე იყო. დამნაშავე პირს გიორგა წეველიძეს აპატიეს, მაგრამ იმან მაინც საბჭოთა ხელისუფლების მოღალატეობა დაიწყო, დღე და ღამ ჩხეიძეებთან დადიოდა და აწყობდნენ ისინი მენშევიკურ ორგანიზაციებს. ამავე დროს ქონდა მოწყობილი ორგანიზაცია სოფ. ტახტისძირში, რომელიც ამზადებდა ხალხს გამოსვლისთვის და დაცემას სოფ. ყელქცეულის პარტიულებზე, აგრეთვე ახალგაზრდა კომკავშირის წევრებზე.

ვარდგენთ რა ამ ოქმს ერთხელ და სამუდამოთ იქნეს მოშორებული ხსენებული გიორგი წეველიძე, როგორც მოღალატე საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელი გლეხებისა, რაზედაც ხელს ვაწერთ.

ხელმოწერილია.
ასლი დედანთან სწორეა: ხელრთვა

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 11.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის დადგენილება 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე
ცალკეულ პირთა ამნისტიის შესახებ
1924 წლის 6 ნოემბერი

დადგენილება N115
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ამნისტიის შესახებ

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს**:

1. განთავისუფლებულ იქნან სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, სასჯელის ყველა შედეგითურთ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელნიც სასამართლო დაწესებულებისა ან საგანგებო კომისიისა და ადმინისტრატიული ორგანოების განაჩენით თუ დადგენილებით მსჯავრდადებულ არიან, აგრეთვე ისინიც, ვისი საქმე გამოძიებაშია, ა/წ აგვისტოს მომხდარ გამოსვლაში მომზადების და მონაწილეობისათვის, უკეთუ ამა დანაშაულის ჩადენის დროს ისინი არ იყვნენ ინიციატორები, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

შენიშვნა. ამ მუხლის წესი გავრცელდეს საქართველოს სოც-საბჭ. რესპუბლიკის იმ მოქალაქეებზედაც, რომელნიც ამ ჟამად ემალებიან ხელისუფლებას, უკეთუ აღნიშნულნი პირნი 15 დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან გულწრფელად აღიარებენ, რომ მზად არიან დაუბრუნდენ მშვიდობიან შრომას და ყოველგვარი კავშირი გასწყვიტონ იმ პირებთან, ვინც კვლავ ცდილობს განაგრძოს თავისი დანაშაულებრივი მოქმედება მუშის და გლეხის ხელისუფლების წინააღმდეგ.

2. იმ პირთ, ვისაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათის გადაწყვეტილი აქვთ უმაღლესი სასჯელი, ეს სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთით ათი წლის სასტიკი იზოლიაციით.

3. სრულიად განთავისუფლებულ იქნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან სასჯელის ყველა შედეგითურთ /გარდა ქონებრივ გადასახდელისა/ ის პირნი, რომელთაც ა/წ ნოემბრის 7-მდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების პირობითი აღკვეთა /ვადის მიუხედავათ/ ან თავისუფლების აღკვეთა - ვადით ერთ წლამდე - თანჩართვით, ან და მისჯილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 32 მუხ. „გ“, „დ“, „ე“, „თ“ და „ი“ პ. აღნიშნული სასჯელი და აგრეთვე ადმინისტრატიული სასჯელი.

შენიშვნა 1. ამა მუხლის წესები არ გავრცელდება ქონების კონფისკაციაზე და ფულად ჯარიმაზე, რაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე მოყვანილი იქნება სისრულეში.

4. მოსპობილ იქნეს შემდგომი იმ საქმეებისა, რომელიც წინასწარი წარმოების სტადიაშია და რომელიც აღძრულია ისეთი დანაშაულის გამო, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელად განსაზღვრულია თავისუფლების

საქართველოს ეროვნული არქივი

აღკვეთა ერთ წელიწადზე არა უმეტესი ვადით.

შენიშვნა. ეს მუხლი არ გავრცელდება ისეთ საქმეზე, რომელიც აღიძვრის კერძო ბრალდების წესისამებრ /სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხ. 1 ნაწ. და 161, 177, 180, 181 და 182 მუხ./.

5. იმ პირთ, რომელთაც ა/წ ნოემბრის 7-დე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე მეტი ვადით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადა გაუნახევრდეთ.

6. ამა დადგენილების 2-5 მუხ. აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის პირველი კარის პირველ თავში გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელზედაც გავრცელდება მხოლოდ ამა დადგენილების 1-2 მუხ. აღნიშნული წესები.

7. ამა დადგენილების 3-5 მუხ. აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება რეციდივისტებზე და იმ დანაშაულზე, რაც აღნიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის 86 მუხ. და 100 მუხ. მეორე ნაწ. 113 მუხ. 116 მუხ. მეორე ნაწ., 117, 118, 134, 136, 146 და 147 მუხ. აგრეთვე ოთხფეხი საქონლის ქურდობაზე, რაც გათვალისწინებულია 187 მუხ. „გ“ პუნქტ., 187 მუხ. და 191 მუხ. მეორე ნაწილი.

8. ამა დადგენილების შეფარდება დაეკისროს განსაკუთრებულ კომისიას, რომელთა შედგენილობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავისი დადგენილებით.

9. საერთო მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისრულეში მოყვანისათვის დაეკისროს რესპუბლიკის პროკურორს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია.

10. დადგენილება ესე გადაცემულ იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია /ხელრთვა/

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია /ხელრთვა/

1924 წლ. ნოემბრის „6“
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 123.

საქართველოს ეროვნული არქივი

სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ნოდიას ცირკულიარი ამავე მაზრის ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და თემთა საბჭოების თავმჯდომარეებს 1924 წლის აჯანყებასთან კავშირისთვის მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონების თვითნებური რეალიზაციის დაუშვებლობის შესახებ
1924 წლის 6 ნოემბერი

ცირკულიარულად

სენაკის მაზრის ყველა რაიაღმასკომის და თემთა საბჭოების თავმჯდომარეებს

სამაზროში შემოსულ ცნობების მიხედვით ზოგიერთ თემებში ადგილი აქვს ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის კონფისკაცია ქმნილ ქონების გახმარებას, /სახლების დარღვევას, სავაჭრო საქონლის გასყიდვას და სხვა და სხვა/.

სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული კონფისკაცია ქმნილ ქონებების რეალიზაცია /განაღდება/, სანამ ამის შესახებ არ იქნება მაზრიდან მიღებული სათანადო დირექტივები, ვინაიდან ამა თუ იმ მოქალაქეზე ქონების ჩამორთმევა საბოლოოდ უნდა დამტკიცდეს სამაზრო აღ-ს პლენუმის მიერ და მასთან კონფისკაცია ქმნილ ქონების დანიშნულებაც განსაზღვრული იქნება მაზრიდან.

შეუსრულებლობა ამა ცირკულიარულად განკარგულებისა გამოიწვევს დამნაშავეების /იგულისხმება რაიაღ-ს მთელი შემადგენლობა/ სასტიკ პასუხისგებაში მიცემას.

ხელს აწერენ: თავმჯდომარე ვ. ნოდია
აღ-ს მდივანი კ. მელიქაძე
სწორია: საქმისმწარმოებელი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 18, ფურცელი 107.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების დროს დაზარალებული ქ. ზუგდიდის მკვიდრის ცაბუა კეიდიას განცხადება ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს მისთვის კომპენსაციის გაცემის შესახებ
1924 წლის 7 ნოემბერი

ქ. ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს
ქ. ზუგდიდის მოქ. ქვრივი
ცაბუა კეიდიასაგან
განცხადება

ჯარის საჭიროებისათვის მოკლული იქნა ჩემი ერთად ერთი ჯაკელი, რომელიც ახლა უკვე მაკე იქნებოდა და ორი ღორი: ერთი მაკე და მეორე ტახი. ეს უკანასკნელები იქნა მოკლული მაზრაში სიარულის გამო. მოკლული საქონლების გარდა მე საქონელი არ მაბადია. ვარ უკიდურესი ღარიბი, მყავს 3 პატარა ბავშვი სარჩენი. არავითარი მონაწილეობა გამოსვლებში არ მიმიღია და არა ვარ ღირსი დავისაჯო უსამართლოდ. აღნიშნული საქონელი ჯარისთვის იქნა გახმარებული, შეუძლიათ დაამტკიცონ არსენა ჟვანიას და პილა გეთიას. სამივე საქონელს ვაფასებ 30 მანეთად. გთხოვთ, ქნათ განკარგულება ჩემს დაკმაყოფილებაზე.

მთხოვნელი ცაბუა კეიდია 7/XI 24 წ.

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: მიეცეს კონფისკაციაქმნილი ქონებიდან, რადგან უკიდურესი ღარიბია... უნდა იქნეს დაკმაყოფილებული შეფასებით.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 110.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის აჯანყებასთან კავშირისთვის დაპატიმრებულებზე გამოცემული ამნისტიის აღსრულების მიზნით კომისიების შექმნის შესახებ
1924 წლის 10 ნოემბერი

ПОСТАНОВЛЕНИЕ N116
ПРЕЗИДИУМА ВСЕГРУЗИНСКОГО ЦЕНТРАЛЬНОГО
ИСПОЛНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА СОВЕТОВ
ОБ ОБРАЗОВАНИИ КОМИССИЙ ПО ПРИМЕНЕНИЮ ПОСТАНОВЛЕНИЯ
ОБ АМНИСТИИ

Согласно п. 8 Постановления от 6 Ноября с. г. за N 115 Президиум Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

ПОСТАНОВЛЯЕТ:

Для применения Постановления об амнистии, в порядке спределяемом Инструкцией Прокурора Республики, сбразовать Комиссии:

1. В гор. Тифлисе в составе: тт. В. Стуруа /Председатель/, Н. Окуджава, Л. Берия, А. Урушадзе, Лордкипанидзе и Масхулиа.

2. В гор. Кутаисе в составе: тт. Д. Лордкипанидзе /Председатель/, Кучухидзе, Ртвеладзе, Габуния и Татейшвили.

3. В уездах в составе: Предисполкома /Председатель/, Начполитбюро и нарсудьи.

4. В Союзной Республике Абхазии, в Автономной республике Аджарии и в Автономной Области Юго-Осетии. Комиссии образуются постановлениями подлежащих ЦИКов в составе: одного Члена ЦИКа, Предчека и Наркомюста.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ВСЕГРУЗИНСКОГО ЦЕНТРАЛЬНОГО
ИСПОЛНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА СОВЕТОВ /ხელრთვა/

Секретарь Всегрузинского Центрального
Исполнительного Комитета Советов /ხელრთვა/

„10“ Ноября 1924 г.
гор. Тифлис-Дворец.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 125.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზის მცხოვრებთა კრების დადგენილება ყოფილ თავად-აზნაურთა სოფლიდან გაძევების შესახებ
1924 წლის 10 ნოემბერი

დანართი N17

ოქმი

1924 წ. ნოემბრის 10-სა შესდგა სოფ. **ქვემო ნიქოზის** მცხოვრებთა კრება. კრებას დაესწრო მთელი სოფლის უმრავლესობა. კრების მიზანი იყო გაძევება სოფ. ქვემო ნიქოზიდან იმ თავად-აზნაურებისა, რომლებიც იყვნენ, არიან და იქნებიან მავნე მაზარალებლები, როგორც ს. ქვემო ნიქოზის გლეხებისათვის ისე საბჭოთა ხელისუფლებისათვის. კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამავე ს. მცხ. უპარტიო გლეხი ვასილ იაკობის-ძე ელუაშვილი, მდივნად ალექსი გიორგის-ძე კაპანაძე.

1/ კრებაზედ წამოყენებულ იქმნა ერთად ერთი საკითხი, რომელიც არის აღნიშნული ზემოთ ე. ი. თავად აზნაურების გადასახლება ს. ქვემო ნიქოზიდან.

მოისმინეს	**დაადგინეს**
ყოფ. თავად სულიკო ფავლენიშვილზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალექ. კაპანაძემ, რომელმაც აღნიშნა: ბავშობიდანვე ის სდევნიდა გლეხის შვილებს და ბევრისთვის უდენია ცხვირიდან სისხლი. ალექსი კაპანაძე აღნიშნავს, რომ ის დაუხვდა მას და სცემა მაგრა და მისძახოდა ამ სიტყვებს: თქე მამაძაღლებო, თქვენა სწავლობთ იმისათვის, რომ გლეხებს მხარი დაუჭიროთო მანამ სულ მოგისპობთო მანვე თავის ბიძაშვილებით ცემით მოჰკლა ს. შინდისში მცხ. მეურმე, მიზეზი: რატომ ქუდი არ მომიხადეო ადგილებიდან, რომ მან უდანაშაულოთ დაუხვდა იაგორ მაისურაძეს, გიორგი შაყუტაშვილს ლევორვლით და ლევორვლის ტარით ცხვირ პირი დაუმტვრია რატო ქუდი არ მომიხადეო. მასვე მონაწილეობა მიუღია რევოლიუციონერ ამხ. ივანე ლომიძის მოკვლაში მონაწილეობა.	1/ მოვისმინეთ რა მოხსენებები მთელი კრება ვადგენთ, რომ ვინაიდან სულიკო ფავლენიშვილი ყოფილა და არის დაუძინებელი მტერი გლეხებისა და მასვე მიუღია ყოველ გვარი ზომები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამისათვის იქნეს გადასახლებული ს. ქვემო ნიქოზიდან, ვინაიდან ყველა გლეხებს ახსოვს მისგან ცუდი ამისათვის თუ მთავრობა არ მიიღებს მის წინააღმდეგ შესაფერ ზომებს მაშინ ის იქნება გასამართლებული ადგილობრივ მცხოვრების მიერ.

საქართველოს ეროვნული არქივი

ძმები სესე და დათა ფავლენიშვილების შესახებ აღნიშნა ამხ. შაქრო სტეფანოვმა აცხადებს, რომ დათა ფავლენიშვილი სტაცებდა გლეხებს ქათმებს, ღორებს და სხვა და სხვა საქონელს და ატარებდა დროს ქეიფში, ქეიფის დროს დაიბარებდა გლეხებს და სტანჯავდა როგორც დასტანჯა შაქრო სტეფანიძე, რომელსაც მოსტაცა ხარები ურმით და მას გაუმასპინძლდა ცემით, რომ რათა მთხოვ ურემს და ხარებსა, ვასო დავითიძე შაუსვამს ცხენზე უკუღმა და კუდი ხელში დაეჭერინებინა რომ იმას ეს ესიამოვნებოდა. მასვე ბევრი გლეხი გამოუსალმებია წუთი სოფლისათვის.	მოვისმინეთ მრავალი ბრალდებები, რომელიც კალმით არ აინიშნება, ვადგენთ, რომ ვინაიდან დავით და სესე ფავლენიშვილებს უწამებიათ მრავალი გლეხები, მას დიდი ბრალდებანი აქვს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ეხლაც იგი გაქცეულია მენშევიკებთან, ამისათვის მისი ძმა სესე ფავლენიშვილი, რომელიც გველივით შეცოცებულა ქ. თბილისში სამსახურში განდევნილი იყვეს ქვემო ნიქოზიდან დედით, დით და რძლით.
თავად მიხაკო ფავლენიშვილის ხსენებაზედ კრებაზე დიდი აღშფოთება გამოიწვია, თავმჯდომარე ვერ აწყნარებს კრებას, მომხსენებელს არ აცდიან ერთმანეთს, საერთო მღელვარებაა. კრება ღელამს, რიგი გულში ხელს იცემს, ზოგიც კბილებს აკრაჭუნებს, როგორც იძახის მოგვეცით ჩვენ, ჩვენ გავასამართლებთო. თავმჯდომარე ბოლოს აწყნარებს. ისმის დათა ლაზარაშვილის ხმა: მიხაკო ფავლენიშვილი ჩვენი ბატონი იყო, ბატონობის დროს მან სახლის და ადგილის ქირაში სამი კაპიკის დაკლებისათვის თავშალი მოხადა მის დედას. მეორე ხმა მიტო ლაზარიშვილისა, მისი ნაყმევისა: მან თოთხმეტი შაურის გულისათვის /სახლის ქირისა/ გამომირეკა ცოლშვილი სახლიდან. მესამე ხმა რამან ლაზარაშვილისა: მიხაკო ფავლენიშვილს უთქვამს ქეიფის დროს ჩემს ვირ გლეხებს ვასუქებ, რომ მერე უფრო კარგათ შევჯდები და მათ ზურგზე. მიხაკო ფავლენიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვასო კასრაძესთან, რომელიც ჰპირდებოდა, რომ მალე დაგატრიალებენ შენ მათრახსო. რომელიც ჰპირდებოდა, რომ მალე დაგატრიალებენ შენ მათრახსო.	მოვისმინეთ რა აღელვებული მოხსენებები გამწარებული გლეხებისა, კრება ერთ-ხმად ადგენს, რომ მიხაკო ფავლენიშვილი იქნეს გადასახლებული ცოლშვილით და ვინიცობაა მთავრობა დასტოვებს მის ან შვილებს ან ცოლს, მაშინ მთელი სოფელი მიიღებს დარჩენის წინააღმდეგ შესაფერ ზომებს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ძმების დათა, გიორგი, ივანე და ლუარსაბ ნამორაძეების შესახებ. გიგო მეტრეველი აცხადებს, რომ ნამორაძეებისაგან ბევრჯელ გამიგონია, რომ გლეხები ზოგი შამფურზედ უნდა ავაგოვო და ზოგიც ზედ უნდა წაგისვათო. ძმებს ნამორაძეებს მხურვალე მონაწილეობა მიუღია სამხრეთ ოსეთის აჯანყებაში, რომელმაც დაუნდობლად სწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების მეთვალყურე მოქალაქე და ჩამოზ. მათი ცხოვრება გვარდიელია, ქურქში გამოხვეულებმა მათვე მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ მენშევიკურ ავანტიურისტულ აჯანყებაში. ამ დროს ივანე ნამორაძე ჰყავდათ შიკრიკათ ს. ქვემო ნიქოზში შეკრეფილ მათ სიძეებს ტატიშვილს და კალატოზიშვილს, რომლებიც აწყობდენ აჯანყებას გორის მაზრაში.	მოვისმინეთ რა მოხსენებები მთელი კრება ერთ ხმად ადგენს, რომ ვინაიდან მე მიბედავთ გიორგი, ივანე და ლუარსაბ ნამორაძეები არ არიან კეთილ საიმედო პიროვნებები არც სოფ. ქვემო ნიქოზის მშრომელ გლეხებისათვის და არც საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ისინი წარმოადგენენ ისეთ პიროვნებებს, რომელიც ყოველ წუთს ავრცელებენ ხმებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამისათვის იყვნენ გაძევებულნი დიდით პატარამდის.
დავით წერეთელის შესახებ ამხ. გიორგი მაისურაძე აცხადებს, რომ ვინაიდან წერეთელი მონაწილე ყოფილა შავ რაზმში და ბევრ გლეხისთვის გაუმწარებია სიცოცხლე გიორგი ამილახვრის მოურაობის დროს წერეთლის შესახებ კრება სწყვეტს მოხსენებებს.	მოვისმინეთ რა მოხსენება წერეთლის შესახებ კრება ადგენს, რომ ვინაიდან დავით წერეთელი არის ისეთი საზიზღარი ყველა მშრომელ გლეხებისათვის, რომელიც დამტკიცდა მენშევიკურ ავანტისტურ გამოსვლის დროს, ამისათვის კრება ადგენს რომე იგი გადასახლდეს ს. ქვემო ნიქოზიდან ცოლშვილით და დით.
შალვა ნამორაძის შესახებ მოხსენებას აკეთებს გიორგი მეტრეველი შალვა ნამორაძე არის არა მშრომელი და მოლაყბე აზნაური, იგი ბევრს გლეხს უფუჭებს შრომის ენერგიას იმის მიხედვით, რომ ის ზარმაცი და მოლაყბეა.	მოვისმინეთ რა მოხსენება კრება ადგენს, რომ ვინაიდან შალვა ნამორაძე არის ხელის შემშლე მშრომელი გლეხებისა თავისი ლაყბობით, ამისათვის იგი გადასახლებულ იყვეს ს. ქვემო ნიქოზიდან.

კრების დამსწრე პირები ხელს აწერენ
გაუგებარია.
დედანთან სწორეა: /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 18-19.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ გორის მაზრის სოფელ შინდისიდან განდევნილი ყოფილი თავად-აზნაურების სია
1924 წლის 11 ნოემბერი

ოქმი N2

1924 წ. 11 ნოემბერი

შედგა **შინდისის** თემის საბჭოს წევრების სხდომა, რომელსაც დაესწრო უმრავლესობა

თავმჯდომარე მანჩხაშვილი
მდივანი ლევან კაპანაძე

დღის წესრიგი

1. ადგილობრივი სოფლების საბჭოების წევრებისაგან წარმოდგენილი ოქმების განხილვა ყოფილ თავად აზნაურთა გადასახლების შესახებ.

მოისმინეს:	**დაადგინეს:**
კრებამ იქონია მსჯელობა ს. ყელქცეულის ოქმზედ ჩხეიძის დანაშაულობის შესახებ.	კრებამ ერთ ხმათ დაადგინა: ვინაიდან ს. ყელქცეულის ოქმი შეიცავს სრული სინამდვილეს და ადასტურებს ჩხეიძეების ბოროტ მოქმედების შესახებ, არამედ თუ ს. ყელქცეულში მცხოვრებლებისადმი, არამედ სხვა მეზობელ გლეხებისადმი და ოსებისადმი, სადაც იგინი სჩადიოდნენ უარეს ბოროტ მოქმედებას და ანტი გამოსვლებსაც ხელს უწყობდნენ, ამიტომ იქნან გადასახლებულნი დიდიან პატარიანად.
იგივე სოფლის ოქმი შემდეგი გლეხ გიორგი ზაქარიას ძე წეველიძეზედ როგორც ბოროტ მომქმენდნი ბანდიტებთან ერთად მშრომელი საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ სახელი მან ბანდიტებში დაირქვა „პაპა“, რომელიც ამ ფსევდონიმით სარგებლობდა და ხალხი ვერ უგებდა მას ბოროტ მოქმედებას.	კრებამ ერთხმათ დაადგინა: თუმცა გიორგი ზაქარიას ძე წეველიძე არის გლეხი, მაგრამ იგი ბოროტ მომქმედი, ჰქონდა ამხანაგობა ბანდიტებთან, იღებდა მონაწილეობას ანტი გამოსვლებში, იყო ამ საქმეზედ დაპატიმრებული, ამიტომ იგი როგორც მავნე ელემენტი საბჭოთა ხელის უფლებისა, იქმნეს გადასახლებული ერთხელ და სამუდამოთ სოფელ ყელქცეულიდან.

საქართველოს ეროვნული არქივი

კრებამ იქონია მსჯელობა ქვემო ხვითის საბჭოს წევრების წარმომადგენელი ოქმი: 1. ივანე იასეს ძე თაქთაქიშვილზედ და მის შვილებ სესე და მიშაზედ. 2. დიმიტრი დათიკო თაქთაქიშვილზედ. 3. მიშა დიასამიძეზედ. 4. კარპოზა თაქთაქიშვილზედ. 6. გიორგი, კოწია კოლია და შურა მაჩაბლებზედ. 6. ისიკო, ვარა, არჩილ, ირაკლი, ვასო, გიორგი და ილუშა თაქთაქიშვილებზედ და ნიკა ციციშვილებზედ.	კრებამ ერთ ხმათ დაადგინა: ვინაიდან მოითხოვს სოფ. ქვემო ხვითს საზოგადო კრება, რომ ოქმში აღნიშნულ ყოფილ თავად-აზნაურების გადასახლებას შინდისის თემის საბჭოს კანონიერათ მიაჩნია და განმარტავს, რომ ოქმში აღნიშნულნი პირნი ნამდვილად იყვნენ ხალხის გამყვლეფნი როგორც ღალით ისე სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებით, რომლის აღწერა და აღნუსხვა შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია მათი გადასახლება სოფ. ქვემო ხვითიდან.
კრებამ იქონია მსჯელობა ს. საქაშეთის ოქმი ყოფილ თავადის კოტე ნიკიტის ძე დიასამიძის და მთავარის გიორგი ტიტვინიძის და მისი შვილის სიკო ტიტვინიძის.	იქონია რა მსჯელობა კრებამ, ერთხმათ დაადგინა ვინაიდან თავადი კოტე ნიკოლოზის ძე დიასამიძე როგორც მემამულე და სწუწვნიდა გლეხობას ღალის აკრებაში ბეგრით გუთნების გაყვანაში, და ეგრეთვე აწარმოებდა მამაცის გაყიდვას გლეხებზედ და შემდეგ ისევ ართმევდა მათ. მასთან გაცემულ მიწაში სადაც მოეწონებოდათ ყანა მუშას აღარაფერ აძლევდა და თვითონ მიქონდა მთელი მოსავალი. ერთი სიტყვით ეწეოდა მიწის ექსპლოატაციას. მისი ცემით მოკვდა საქაშეთის მცხ. გლეხი რომელმაც გაბედა და უმისოთ ყანა სახლში მოიტანა გასალეწათ. ყანაც უკან გაატანა და მიწაში მოაფანტვინა და თითონაც სცემა რის შემდეგაც მოკვდა იგი გლეხი გიორგი პავლეს ძე ბეჟანაშვილი. აგრეთვე გიორგი ტიტვინიძე და მისი შვილი აწარმოებდა: პირველი დრამის აკრებას ადმინისტრაციის საშუალებით როგორც საეკლესიო მსახური მთავარი. ეწეოდა ნიკოლოზის დროს ჯაშუშობას და სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებას, მისი შვილი კი სიკო ტიტვინიძე სამხრეთ ოსეთის გამოსვლების დროს როცა გვარდია წავიდა მათ დასასჯელათ, ისიც იარაღით გაყვა თან. ამ გამოსვლების დროს მას აღმოაჩნდა 28 თოფი, ფართალი იმ მოსაზრებით რომ იმითი მოესყიდა გლეხები და შეედგინა ბანდა საბჭოთა ხელის უფლების საწინააღმდეგოთ, ამიტომ საბჭოს კრება კანონიერად სცნობს საქაშეთის ოქმს და შუამდგომლობს გორის მაზრის აღმასკომის წინაშე, რომ ზემო აღნიშნული პირნი იქმნან გადასახლებულნი.

საქართველოს ეროვნული არქივი

განხილულ იქმნა ს. ახალდაბის საზოგადოების ყრილობისა სადაც მოითხოვენ გლეხების გადასახლებას / ყოფილი მოურავების/ ვანო ზაქარიას ძე ზარხოზაშვილის თავის შვილებით სამსონათი და ლევანითი. 2. ვასო წოწოლიაშვილის და 3. სიკა მურადაშვილის.	იქონია რა კრებამ მსჯელობა დაადგინა: ვინაიდან მათ წარსულში აქვთ ჩადენილი დიდი ბოროტმოქმედება, როგორც მოურავები, ყვლეფდნენ ხალხს ღალის აკრებით, ცემით, დარბევით და სხვა. კრებამ მაინც მიიღო მხედველობაში როგორც გლეხნი და სხვის კარნახით სჩადიოდნენ იგინი ამას ამიტომ ეპატია გადასახლება 1. ვასო წოწოლიაშვილს და 2. სიკა მურადაშვილს, ხოლო ვანო ზაქარიას ძე ზარხოზაშვილის ოჯახი ეხლაც ცნობილი ბოროტმოქმედებაში მის ოჯახში ინახავდა თავს შინდისის თემში მომქმენდი ბანდა მოკლეს 1923 წ. პარტიული ამხ. ტატე სეხნიაშვილი მისი ოჯახის წევრის მონაწილეობით. და ეხლაც მზათ არის ჩაიდინოს რაიმე ბოროტ მოქმედება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ამიტომ ეთხოვოს სამაზრო აღმასკომს, რომ მცხ. 1. ახალდაბაში ივანე ზაქარიას ძე ზარხოზაშვილი თავისი შვილებით, სამსონათი და ლევანითი გადასახლებულ იქნან სოფ. ახალდაბიდან.
განიხილეს სოფ. შინდისის საბჭოს წევრებისგან წარმოდგენილი ოქმი ყოფილ თავად-აზნაურების გადასახლების შესახებ: 1. ივანე ტატოს ძე ბერძენიშვილის. 2. სანდრო კოტეს ძე მირზაშვილის. 3. მოშო ასლანის ასული დავითიშვილის. 4. რევაზ ივანეს ძე მირზაშვილის დედით, სონათი. 5. სინკო დავითის ძე მირზაშვილის. 6. ვანკა ჩინოს ძე გარსევანიშვილის. 7. მიხეილ ტატოს ძე გარსევანიშვილის. 8. პლატონ კიკოს ძე ვასენიშვილის. 9. გიორგი სანდროს ძე მირზაშვილის. 10. მღვდელ დათიკო სიმონიშვილის. 11. ნამყოფი დიაკვანი გიგა ბასიშვილის. 12. გიორგი და ირაკლი ბასიშვილების. 13. ნამყოფი მღვდელი ივანე რჩეულოვის და მისი შვილი მაშსი. 14. ლევან და გიგო დარისპანის ძე თავყელიშვილების. 15. დათა და რამანა სანდროს ძე თავყელიშვილების. 16. გიგუცა ზაალის ძე მახვილაძეზედ. 17. გიგუცა ზაალის ძე მახვილაძეზედ. 18. შაშა მიტოს ძე დავითაშვილზედ. 19. ილიკო და მისი შვილი ნიკოლა დავითიშვილზედ. 20. იასონ ზურაბის ძე თავყელაშვილზედ. 21. სოსო ტატეს ძე დავითაშვილის.	იქონია რა მსჯელობა კრებამ 23 კვალზედ ოქმში აღნიშნულებზედ, და იყო სათითავოთ მათი დანიშნულების განხილვა და სცნო ყველა დამნაშავედ გარდა ქვემო ჩამოთვლილ ოთხი კომლისა: 1. ლუკა მირზაშვილის. 2. ლადო მახვილაძის. 3. გიგუცა მახვილაძის და 4. ივანე რჩეულოვის თავის შვილით. დანარჩენებს კი მიუძღვით დიდი ბოროტ მოქმედება და სხვა და სხვა ფერი დანაშაულება, რაიც სოფლის ოქმშია დაწვრილებით აღნიშნული, კრება ადგენს: იქნან გადასახლებული ყველა გარდა ზემოთ აღნიშნულ 4 კომლისა: 1. ლუკა მირზაშვილისა. 2. გიგუცა მახვილაძისა. 3. ლადო მახვილაძისა და 4. ივანე რჩეულოვისა თავის შვილით.

საქართველოს ეროვნული არქივი

კრებამ მოისმინა სოფ. ქვემო ნიქოზის საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილი ოქმი შესახებ ყოფილ თავად აზნაურთა გადასახლებისა: 1. სულიკო ფავლენიშვილის. 2. სესე და დათა ფავლენიშვილების. 3. მიხაკო ფავლენიშვილის. 4. ძმების: დათა, ვანიჩკა, გიგო და ლუარსაბ ნამორაძეების. 5. შალვა და 6. დათა წერეთლის.	კრებამ დაადგინა: ვინაიდან ქვემო ნიქოზის საბჭოს წევრების ოქმი შეიცავს სრულ სინამდვილეს, ამიტომ ადგენს: გადასახლებულ იყვნენ ოქმში აღნიშნულნი პირნი სამუდამოთ ქვემო ნიქოზიდან.
მოისმინა სოფ. ფხვენისის საბჭოს წევრების მიერ წარმომდგარი ოქმი შესახებ ნიკო ამილახვრის და სერაფიონ მაჭარაშვილის გადასახლებისა.	მოისმინა რა ოქმში აღნიშნული დაწვრილებითი ბრალდებანი დაადგინა: ვინაიდან ნიკო ამილახვარი და სერაფიონ მაჭარაშვილი ყოფილან და არიან ამ ჟამადაც ხელის შემშლელნი საბჭოთა აღმშენებლობისა, იქნან გადასახლებულნი სოფ. ფხვენისიდან.

თავმჯდომარე /მანჩხაშვილი/
მდივანი /ლევან კაპანაძე/
ასლი დედანთან სწორეა

მდივანი ლ. კაპანაძე.
ასლი ასლთან სწორეა. /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 6-8.

საქართველოს ეროვნული არქივი

ბაღდათის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენება ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, სადაც წარმოდგენილია ბაღდათის რაიონის იმ სახელმწიფო მოხელეთა სია, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 1924 წლის აჯანყებაში
1924 წლის 12 ნოემბერი

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს მოხსენება

13 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე ჩემ მიერ შემოვლილ იქმნა ბაღდათის რაიონის შემდეგი თემები.

ბაღდათის, ზეკრის და კიკნაველეთის ბანდიტურ გამოსვლების დროს ბაღდათის საბჭოს წევრებს მიუღიათ მონაწილეობა ნაწილობრივად /იხ. დართული სია/. მდგომარეობა თემში რამდენიმედ არა ნორმალურია, რაც გამოიხატება მცხოვრებლების სულიერ მშვიდობიანობის დარღვევაში, ასეთ სულიერ მშვიდობიანობას ნაწილობრივათ არღვევს შეიარაღებული კომუნარების უსაქმოთ სიარული თემში. სხვა მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, რაი აღმასკომის სამმართველოს კანცელარიული მუშაობა რიგზე დაყენებულია, მხოლოდ არის დაშვებული ზოგიერთი შეცდომა, საღერბო გადასახადის აკრეფის დროს მაგალითად 2 მან. მაგიერათ აღებულია 1 მან. და 5 კაპ.

ზეკრის თემი:

აქ გამოსვლებს ადგილი არ ქონია. თემის საბჭოს აღმშენებლობითი მუშაობა არ სწარმოებს მით უმეტესათ, რომ ეს თემი არის ეკონომიურათ უღარიბესი.

კიკნაველეთის თემი:

საბჭოს წევრები 50% მონაწილეა გამოსვლების. აღსანიშნავია ის, რომ გამოსვლების მეთაურები თითქმის გამონაკლისათ არიან საბჭოს წევრები.

თემში ეხლა მდგომარეობა ჩვეულებრივია, საბჭოს თავმჯდომარე შესაფერისათ ასრულებს მასზე დაკისრებულ ყოველგვარ მოვალეობას.

ოქტომბერი 1924 წ.

ინსტრუქტორი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1924 წლის 12 ნოემბერი.

საქართველოს ეროვნული არქივი

სია

ბაღდათის რაიონის საბჭოს წევრებისა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა მენშევიკურ ბანდიტურ გამოსვლებში

N	გვარი, სახელი, მამის სახელი	დასახელება სოფლის	რომელი თემის
1.	კბილაშვილი ისიდორე	წაბლარასხევი	ბაღდათი
2.	ჩიქვინიძე გაბო	დიმი	ბაღდათი
3.	ყიფიანი ჭიჭიკო	ფერსათი	ბაღდათი
4.	ნატრიაშვილი ერმინე	ხანი	ზეკარი
5.	ნატრიაშვილი კონსტანტინე	ხანი	ზეკარი

სია

კიკნაველეთის თემის საბჭოს წევრების, რომლებმაც მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში

1. დოგრაშვილი ვასილი კოპერ-ნოქარიც
2. გორგოძე ივანე
3. გორგოძე ვარლამ
4. დოგრაშვილი იასონ
5. გორგოძე ისიდორე
6. კიკნაველიძე აკსენტი

სია

ბაღდათის რაიონის იმ პირთა, რომლებიც ხელმძღვანელობდენ მენშევიკურ ბანდიტური გამოსვლებს

N	გვარი, სახელი, მამის სახელი	დასახელება იმ სოფლის, სადაც ის ცხოვრობს	რომელი თემის
1.	თავხელიძე აბესალო ალექსის ძე	ფერსათი	ბაღდათის თემის
2.	გორგოძე სავლე	ფერსათი	ბაღდათის თემის
3.	მჭედლიძე სიმონ	ფერსათი	ბაღდათის თემის
4.	კიკნაძე ანდრო სოლომონის ძე	დიმი	ბაღდათის თემის
5.	ჩხეიძე კალისტრატ კოსტას ძე	დიმი	ბაღდათის თემის
6.	ბაქრაძე კოწია	დიმი	ბაღდათის თემის
7.	ნატრიაშვილი ალექსანდრე სპირიდონის ძე	დიმი	ბაღდათის თემის
8.	ჩხეიძე ალექსანდრე პანტელის ძე	დიმი	ბაღდათის თემის
9.	ქოჩიაშვილი ბარნაბა სამსონის ძე	ფერსათი	ბაღდათის თემის
10.	შალამბერიძე იულო ივანეს ძე	ფერსათი	ბაღდათის თემის
11.	დემეტრაძე ალექსანდრე ბეგლარის ძე	ბაღდათი	ბაღდათის თემის
12.	დგებუაძე ვალიკო ივანეს ძე	სადემეტრაო	სადემეტრაო
13.	დგებუაძე ვანიკო ივანეს ძე	სადემეტრაო	სადემეტრაო
14.	სუპატაშვილი მიხეილ	სადემეტრაო	სადემეტრაო
15.	ბაქრაძე იონა მიხეილის ძე	როხი	გორა
16.	კიკნაველიძე ნიკოლა	კიკნაველეთი კიკნაველეთი	კიკნაველეთი კიკნაველეთი

ბაღდათის რაი აღმასკომის თავმჯდომარე /ხელრთვა/

მდივანი

საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 296, ანაწერი 7, საქმე 4, ფურცლები 1-2.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის ჭოღის თემის ადგილობრივი კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის წევრების გაერთიანებული კრების დადგენილება 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ყოფილი მღვდლის საბა ფაცაციასთვის სახლის ჩამორთმევის შესახებ

1924 წლის 16 ნოემბერი

N5

ოქმი

1924 წ. 16 ნოემბერს მოხდა ჭოღის თემის კომპარტიისა და კომკავშირების შეერთებული კრება, სადაც დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა და კანდიდატებისა

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ალექსი შენგელია და მდივნად ვ. შენგელია

დღის წესრიგი

მღვდელი საბა ფაცაციას ჩამორთმეული სახლის შესახებ.

მოისმინეს	**დაადგინეს**
მოისმინეს მოხსენება იმის შესახებ, რომ მღვდელი საბა ფაცაციაზე იყო ჩამორთმეული სახლი, როგორც თავისი ოჯახის წევრებითურთ მონაწილე ბანდიტური გამოსვლებისა. ოქმი ამის შესახებ იქნა დაწერილი და წარდგენილი სადაც ჯერ არს, მაგრამ როგორც კერძო ცნობიდან ვიცით, ოქმი ესე დაკარგულია. მღვდელი **საბა ფაცაციას** ოჯახის წევრების დახასიათება: 1. ყოფილი მღვდელი საბა ფაცაცია ნაციონალ-დემოკრატი, 2. სევერიანე (მისი შვილი) გამოსვლების დროს შეიარაღებული მონაწილე. და დანარჩენი წევრებიც ხელმძღვანელი მეთაური.	მოისმინეს მოხსენება ესე, ჭოღის კომპ. ადგენს თანახმად მოხსენებისა - საბა ფაცაციას ოჯახი არის კონტრრევოლიუციონური და ბანდიტურ გამოსვლებში აქტიური მონაწილეები; იქნეს ჩამორთმეული სახლი ადგილობრივი თემის კულტურული დაწესებულების სასარგებლოდ. დადგენილება ესე იქნეს გაგზავნილი სადაც ჯერ არს სისრულეში მოსაყვანად.

კრების თავმჯდომარე ალექსი შენგელია /ხელრთვა/

მდივანი ვ. შენგელია /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 156.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრეტილი იაკო შენგელიას დის ნატა შენგელიას თხოვნა ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა დახვრეტილის ოჯახს დაბრუნებოდა ჩამორთმეული ცხენი და მისი აღკმაზმულობა
1924 წლის 17 ნოემბერი

ზუგდიდის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს

ხაბუმის თემის მცხოვრები ნატა ჯურუ
შენგელიას ასულისაგან

თხოვნა

ჩემი ძმა **იაკო შენგელია** გამოსვლის შემდეგ დაჭერილი იქმნა რაღაც მიზეზის გამოდ, ის იყო ჩხოროწყუდან წეიყვანეს 14-თუ 15 ტყვებთან ერთად მაზრაში წასაყვანად. ყველა ისინი გზაში იქმნა მოკლული. იაკო ჩემი ძმას წაართვეს ცხენი, უნაგერი, ნაბადი, მათრახი, აუნაგრიდან დაბრუნებულია მარტო აბჯადი, კეხი, ბალიში და ორი მოსართავი და სხვა რაც უნაგრის შემადგენლობა იყო არაა დაბრუნებული. ეს უნაგერი იყო იაკოს მიერ ნათხოვარი მისი ბი-ძაშვილი **ანტო შენგელიასაგან.** იაკო შენგელიას დოურჩა 90 წლის დედა და ისიც მოკლებულია თვალების სინათლეს. ყავს ორი მცირე წლოვანი შვილები უფროსი 10 წლისა, და უმცროსი კი 7 წლის. დარჩენილია მისი ოჯახი უმწეოდ. არ გააჩნია ოჯახს არა ვითარი ქონება, არ ყავდა და არც ყავს ხარები. რომ ვინმემ ხარების საშვალებით დაუმუშაოს მას მიწა ან სხვა, თუმცა მე გათხოვილი ვარ, მაგრამ ვარ ღარიბ ოჯახში, არ მაქვს საშვალება ჩემი შრომის ზეით ქონებრივად დავეხმარო მცირე წლოვანები, ბრმა მოხუცებულს. ამაზე გთხოვთ წართმეული ცხენი, ნაბადი, უნაგრის მოსაწყო და სხვა დაბრუნებული იქნას ობლებზე. ხოლო სანამ ობლებს დაენიშნებოდეს კანონიერი მეურვე, სანამ მე ჩამბარდეს როგორც მე დაი იაკოსი. ამაზე იმედი მაქვს ინებებთ ჯეროვანი განკარგულებას და სადაც აღმოჩდეს ზემო ცხენი და საქონლები ჩამაბაროთ მე ხელი წერილის ქვეშ მეურვის დანიშვნამდე. დავძენ რომ იაკო შენგელიას გამოსვლაზე არ მიუღია მონაწილეობა გამოსვლაზე, არამედ ის იყო იმ რიცხვებში ქ. ქუთაისში. ეს ქვეყანამ იცის.

მთხოვნელი ნატა ჯურუ შენგელიას ასული გულუასა. წერა არ იცის.

13 ნოემბერი 1924 წ.

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: 17/XI. 24 წ. პრეზიდიუმს /ხელრთვა/. დოკუმენტს ბოლოში აქვს მინაწერი: ნარკვევი: პრეზიდიუმის დადგენილებით იაკო შენგელიაზე ჩამორთმეულია ცხენი უნაგრიანად. 17/XI /ხელრთვა/.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 155.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქ. ზუგდიდის მკვიდრის მიხა ხაბურძანიას განცხადება ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ
1924 წლის 18 ნოემბერი

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს ქ. ზუგდიდის მცხ. მიხა ხაბურძანიასაგან განცხადება

ა. წ. აგვისტოს თვეში მომხთარ ავანტიურული გამოსვლების გამო, მე ვიქენი შეცდომით დაპატიმრებული, რაზედაც ჩემი სახელოსნო, რომელსაც მე თვითონ ჩემის საკუთარ შრომით ვამუშავებდი, იქნა დაბეჭდილი და ჩემი დაკითხვამდე გატანილი, რაც იქ იყო საქონელი. ჩემის დაკითხვის და გამოძიების შემდეგ, მე როგორც არავითარი ამ გამოსვლებში მონაწილეობის მიმღები და როგორც სრულებით უდანაშაულოდ და შეცდომით დაპატიმრებული, მყისვე ვიქენი განთავისუფლებული, მაგრამ ჩემი სახელოსნოდან საქონელი რაც იყო, საქმის სინამდვილის გამორკვევამდე ყოფილა გატანილი. მოგახსენებთ რა ზემოთ ხსენებულს, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე წარმოვადგენ წვრილ ცოლ-შვილების პატრონს, რომლებსაც მე თვით მხოლოდ ჩემის შრომით ვასაზრდოებდი და მასთან მე წარმოვადგენ კეთილ საიმედო პიროვნებას, რაც ნათლად დამტკიცდა გამოძიების და დაკითხვის დროს. ამჟამად გავხდი შეცდომის მსხვერპლი, რაზედაც ჩემი ცოლ-შვილებს აუცილებლად მოელის შიმშილ-სიკვდილით განადგურება, რისი ღირსი მე არ ვიყავი და ვიმედოვნებ უკანასკნელად ჩემს იმედებს თქვენზე დამყარებით, შეხვალთ ჩემს ასეთი აუტანელი მდგომარეობაში და იმ შემთხვევაში, თუ ესე ჩემი განცხადება სიმართლეს შეიცავდეს, გასცეთ სათანადო განკარგულება ვიზედაც ჯერ არს და იხსნათ განადგურებისაგან მთელი ჩემი ოჯახი, სახელოსნოდან გატანილი ჩემი საქონლის დაბრუნებით.

დაახლოვებით გატანილი საქონლის რაოდენობა არა უმეტესის ჩვენებით

1. უნაგირები გამოწყობილი - 6 ცალი
2. ქალამნები - 25 წყ.
3. კაზანი და მეში - 15 ფურ.
4. ქალამნების საპირე - 12 წყ.
5. ბოქსი - 1 ფურ.
6. უნაგირის კეხი ძვლის - 3 ცალი
7. უნაგირის კეხი შავი - 9 ცალი
8. სარტყელი - 5 ცალი
9. ღვედი - 8 ცალი
10. პოლვარი - 8 ცალი
11. საფთური - 2 წყ.
12. უნაგირის ბალიში - 1 ც. და 1 დაწყობილი აღვირი და სხვა წვრილმანები, რომლების გადათვლა-გახსენებას ვერ შევძლებ.

18/XI-1924 წ.

ქ. ზუგდიდი. მიხა ხაბურძანია /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 41, ფურცლები 111-112.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის საიდუმლო წერილი სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შაქრო და კოტე ნაცვლიშვილების ქაქუცა ჩოლოყაშვილთან კავშირის შესახებ
1924 წლის 19 ნოემბერი

საიდუმლო

სრულიად საქართველოს საბჭოებთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

ვარდგენ რა უკანვე მოწერილობას ა/წ. 24 ოქტომბრიდან სოფ. ბოდბისხევიდან გაძევებულ შაქრო და კოტე ნაცვლიშვილების ორი განცხადების და ბოდბისხევის საბჭოს ა/წ. 11 ნოემბრის სხდომის ოქმის თანდართვით მოვახსენებ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ როგორც სჩანს ბოდბისხევის საბჭოს აღნიშნულ ოქმიდან და როგორც მე თვითონ პირადათ ადგილობრივ გამოვარკვიე, ხსენებული ნაცვლიშვილები ეკუთვნიან საზოგადოების იმ წრეს, რომელნიც გლეხობას ყოველმხრივ ავიწროვებდნენ, იგინი უწევდნენ ფარულ დახმარებას ჩოლოყაშვილის ბანდას, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ მათი თავდებობის ქვეშ პოლიტბიუროდან განთავისუფლებული ჩოლოყაშვილი გაიქცა მათივე სახლიდან, მიწის რეფორმის გატარების დროს ეწეოდნენ გლეხთა შორის პროვოკაციას, ვითომც საბჭოთა ხელისუფლება იქნება დამხობილი და გლეხებს მამულები უკანვე ჩამოერთმევათ და სხვა.

ამისგამომათინაცვლიშვილებისთხოვნა,რომმოეცათმათსოფ.ბოდბისხევში დაბრუნების და ცხოვრების უფლებას ვერ იქმნა დაკმაყოფილებული.

აღმასკომის თავმჯდომარე /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტამპი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცელი 12.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის 6 ნოემბერს გამოცემულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
1924 წლის 20 ნოემბერი

დადგენილება N123

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა - სისხლის სამართლის კოდექსის 76 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე 1924 წლ. ნოემბრის 6-ს თარიღით გამოცემული ამნისტიის გაუვრცელებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 1924 წლ. ნოემბრის 6 თარიღით და 115 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის დასამატებლად **ადგენს**:

ზემოხსენებული დადგენილების 3-5 მუხლში აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება სისხლის სამართ. კოდექსის 76 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, უკეთუ ამ დანაშაულს არა აქვს პოლიტიკური ხასიათი, ხოლო, თუ ეს დანაშაული პოლიტიკური ხასიათისაა, შეფარდებულ უნდა იქნეს 115 ნომრის დადგენილების 1 და 2 მუხ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია /ხელრთვა/

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია /ხელრთვა/

1924 წლ. ნოემბრის „20“
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 147.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ
1924 წლის 20 ნოემბერი

დადგენილება N122

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა - ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ

რათა მტკიცედ განხორციელებულ იქნეს ძირითადი კანონი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ /1921 წლ. აპრილის 15-სა და 21 N-რის დეკრეტი/, რომლითაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფლად აღსრულება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ყველა მომქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრატიული განკარგულება, რაც შეეხება რელიგიურ საზოგადოებათ და ჰზღუდავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულებას.

2. შემოღებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული წესი იმ ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა ხელში სარგებლობისათვის გადაცემისა, რომელთა გადაცემის შესახებ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმება ჯერ არ მომხდარა; ესევე წესი შემოღებულ იქნეს აგრეთვე წინად დახურული ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და გადაცემისათვის, ხოლო იგი არ გავრცელდება იმ სამხედრო ტაძრებზე, რაც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. იანვრის 8 თარიღით და 68 ნომრით გამოცემული დადგენილების ძალით:

ა/ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთ შეუძლიანთ მიიღონ სარგებლობისათვის თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთისმსახურებისა და რელიგიური წესებისათვის მიკუთვნებული ქონება, რისთვისაც უნდა დაარსონ რელიგიური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ბ/ რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი ტაძრებს, სამლოცველო სახლებს და ქონებას მიიღებენ სარგებლობისათვის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ და უვადოდ, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. აპრილის 15 თარიღით და 21 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-15 მუხლისა.

გ/ ხელშეკრულების დადებისას, რელიგიურ საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა ექნეს სათანადო მაზრისა ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

საქართველოს ეროვნული არქივი

3. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე ან რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებულ იქნება წერილობითი დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

4. ამა დადგენილების გამოცემამდე დაარსებული და რეგისტრაციაქმნილი რელიგიური საზოგადოება განაგრძობს თავის არსებობას ახალი რეგისტრაციის მოუხდენლად. დადგენილება ესე გავრცელდება ამ საზოგადოებაზედაც.

5. რელიგიური საზოგადოება შეიძლება დახურულ იქნეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების საწინააღმდეგო მეთოდით იმოქმედებს.

6. დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით წინააღმდეგობას გაუწევს ეკლესიის და სამლოცველო სახლის გახსნასა და სხვ., ან დევნას აღძრავს იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ეკლესიის გახსნას ითხოვს, აგრეთვე ღვთისმსახურს კულტის შესრულებისათვის დევნას დაუწყებს, პასუხს აგებს, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

7. მეთვალყურეობა ამა დადგენილების მტკიცედ აღსრულებისათვის დაეკისრებათ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და მათვე დაევალებათ ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ სათანადო ინსტრუქციები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია /ხელრთვა/

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია /ხელრთვა/

1924 წლ. ნოემბრის „20“
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე 131, ფურცელი 149.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ მეტეხის მკვიდრის თამარ მერკულოვას
განცხადება ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ
1924 წლის 20 ნოემბერი

საქ. ცაკს

ს. მეტეხში მცხ. (გორის მაზრა)
თამარა მერკულოვისა

თხოვნა

იმ წმინდა წყლის ავანტიურისტულ-მენშევიკურ გამოსვლის შემდეგ, რომლის მსხვერპლი შეიქმნა უგნური ხალხი - სხვისი ფეხის ამყოლი, დაპატიმრებულ და დახვრეტილ იქნა დედა ჩემი ოლღა მერკულოვისა და დაპატიმრებულ ვიქენ მეც. - ამ მიზეზების გამო სახლიდან (ს. მეტეხში) წაიღეს: სასადილო მაგიდა, წიგნთსაწყობი, „კრავოტი" თუჯის დიდი ქვაბი, დედას ლოგინი, ლამფა, ორი ბოჭკა ფიკუსის ყვავილებით, ლოგინის ყუთი და წაიყვანეს 5 სული საქონელი, რომელიც ეკუთვნოდა ჩემ უნცროს ძმას, რაზედაც ხელი მოუწერა ორმა კომუნისტმა, რომ ნამდვილათ ჩემ ძმას ეკუთვნოდა ეს საქონელი. ამეების წაღებამდე განცხადება შემოიტანა ჩემმა დამ ძაგანიამ, მაგრამ არავითარი ყურადღება არ ყოფილა. ახლა გვიპირობენ მამულის ჩამორთმევას, მე, რასაკვირველია, არ ჩავდივარ იმის გამორკვევაში, თუ რამდენად დამნაშავე იყო დედა ჩემი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ დედა ჩემის დანაშაულობის მსხვერპლი არ უნდა გახდეს მთელი ოჯახი, რომელიც შემდგარია ცხრა სულისგან: ჩვენ ოჯახში გარდა ჩემი არიან: ორი ძმა: მიხეილ და ესტატე, და ელენა. რძლები: ეკატირინე და თამარი, ძმის შვილები: სვიმონ, პეტრე და ირაკლი.- აი ამდენი სულისგან შედგება ჩვენი ოჯახი, და ერთათ ერთი წყარო ყველა ამითი არსებობისა არის მამული ს. მეტეხში. - სხვა რამე წყარო არსებობისა არ გაგვაჩნია. მამულის ჩამორთმევა უდრის ამ ოჯახის დაღუპვას. საბჭოთა ხელის უფლება, რომელიც დამცველია ყველა ტვირთ მძიმეთა და გაჭირვებულთა, მე ღრმათა მრწამს, ამას არ ინებებს და გასცემს სათანადო ბრძანებას: რომ დაგვიბრუნებენ ჩამორთმეულს და მამულს არ შეეხებიან. გთხოვთ ყველა ამას მიაქციოთ სათანადო ყურადღება, შეხვიდეთ ჩვენ უმწეო მდგომარეობაში და მიიღოთ ის საბჭოთა კანონების მაღალ საფარველ ქვეშ. - მე ღრმად მწამს, რომ მუშურ გლეხურ მთავრობა, როგორც ყოველთვის გამოიჩენს, ისეთ დიდ სულგრძელობას, რომ ჩვენ თხოვნას სრულიად და მთლიანათ დააკმაყოფილებს.

1924 წ.20/XI.

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ამხ. საპრაზაშვილს. 20/ XI.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 105.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარის ვ. სტურუას მიმართვა სიღნაღის, თელავისა და გორის მაზრებისა და ამ მაზრებში შემავალი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რათა კომისიის სხდომაზე წარმოედგინათ ყოფილი თავად-აზნაურთა მამულებიდან განდევნის საქმეზე შესაბამისი დოკუმენტები
1924 წლის 21 ნოემბერი

ოქმი N1

1924 წლ. ნოემბრის 21, ქალ. ტფილისი-სასახლე

სს ცაკის განკარგულებით შემდგარ კომისიის სხდომაზე, რომელსაც დაევალა თავად-აზნაურების მამულიდან განდევნის შესახებ საჩივართა განხილვა, დაეწრნენ ამხ. თოდრია, სტურუა, ჟღენტი და კვანტალიანი. კომისიამ ამხ. სტურუას თავმჯდომარეობით, მოისმინა რა აღნიშნულ საჩივართა შინაარსი და მიიღო რა მხედველობაში, რომ ყოველივე საქმის მთლიან გაცნობისა და სათანადო დადგენილების გამოტანისათვის მომჩივანთა უფლებების აღდგენის შესახებ საჭიროა გაცნობა იმ საბუთების და გარემოებათა, რომლითაც ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელნი ხელმძღვანელობდნენ ამა თუ იმ პირის მამულიდან განდევნის დროს, დაადგინა: მიეცეს წინადადება სიღნაღის, თელავის და გორის მაზრის და სათანადო რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეებს გამოცხადდენ კომისიის შემდეგ სხდომაზე ყველა საჭირო საბუთებით, რომელიც ეხება თავად-აზნაურთა მამულიდან განდევნას.

კომისიის თავმჯდომარე ვ. სტურუა
ს. ს. ცაკის მდივანი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 32.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ რუისის მკვიდრის ვანო ფანიაშვილის
განცხადება ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ
1924 წლის 22 ნოემბერი

ს. ს. ც. კომიტეტის თავმჯდომარეს

გორის მაზრის მცხოვრები
სოფელ რუისი
ვანო ფანიაშვილი

თხოვნა

გამოსვლებზე მე ციხეში ვიყავი, ვერაფერი დანაშაულობა ვერაფერი ვერ დამიმტკიცდა, ჩემ ციხეში ყოფნის დროს ხუთი შვილი მომიკლეს, რაიც მქონდა სუყველა წაიღეს, კიდე დამრჩა ცოლი და ერთი შვილი, ამიტომ გთხოვთ მშიერს ნუ მომკლავთ, რაიც საქმეს ღირს გამხდით ყველაფერი შემიძლია.

ვანო ფანიაშვილი

P.S. დოკუმენტს ადევს შემდეგი რეზოლუცია: კომისიას. ს. ი. 22/XI. 24. უარი ეთქვას.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 114.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის მკვიდრის გიორგი ჩხეიძის განცხადება ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს მისი ოჯახის წევრების უსამართლოდ დახვრეტისა და ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შესახებ
1924 წლის 24 ნოემბერი

ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს

გორის მაზრის, შინდისის რაიონის
სოფ. ყელქცეულის მცხოვრების გიორგი
როსტომის-ძის ჩხეიძის

განცხადება

ამა წლის სექტემბრის პირველს რიცხვებში სოფელ ყელქცეულში გადმოვიდნენ: სოფ. საქაშეთის მცხოვრებნი **პეტრე ბეჟანიშვილი, რაჟდენ მინდიაშვილი და სოფ. ახალდაბის მცხოვრები ილიკო მდინარაძე.** ამათ შეგვიპყრეს ჯერ მე, შემდეგ ჩემი ძმა ერმალოზ ჩხეიძე და ჩემი ძმისწული რევაზ ჩხეიძე. მე გორში გამისტუმრეს, სადაც 11 ნოემბრამდის დაპატიმრებული ვიყავი, ხოლო ჩემი ძმა და ძმისწული სოფ. რუისში წეიყვანეს და იქ ერთი კვირის პატიმრობის შემდეგ დახვრიტეს.

არ გასულა ამის შემდეგ სამი დღე და იგივე პირნი კვლავ ესტუმრნენ ჩვენს სოფელს, გუთნიდგან გადმოიყვანეს მეორე ჩემი ძმისწული დიმიტრი ბეჟანისძე ჩხეიძე, მოლაპარაკების საბაბით გაიტყუეს და იქვე სოფლის ორღობეში მოჰკლეს. მაგრამ ბედმა ეს საშინელი მწარე ხვედრი არ გვაკმარა. მაშინ, როდესაც მე დაპატიმრებული ვიყავი და ჩემს ერთად ერთ ცოცხლად დარჩენილს ძმას ამ უბედურების შემდეგ სახლში გული აღარ უდგებოდა, ჩვენივე სოფლის მცხოვრებმა **იასე წეველიძემ** განიზრახა ჩვენი ოჯახის სრული მოსპობა. მან თავისი განკარგულებით ჩამოგვართვა და მოაჭრევინა 8 დღის ნათესი სიმინდი, ჩამოგვართვა აგრეთვე 2 ბაღი მსხმოიარე ხილით, სამი უღელი ხარ-კამეჩი, 6 ღორი, ერთი ცხენი (მეორე ცხენი ჩემი ძმისწულის მკვლელობის დროსვე წეიყვანეს), ურმები, ორი ოთახი, სარდაფი, საბძელი, მთელი ავეჯეულობა, რომელიც მოთავსებულია და დალუქული ერთს ჩამორთმეულს ოთახში, დალუქულია აგრეთვე ბეღელი ჭირნახულით. იასე წეველიძემ ამით გული ვერ იჯერა და ამა წინეთ ძაღლიც კი წაგვართვა, ხელი მიჰყო შინაურს ფრინველს, მოსვენებას არ აძლევს სახლში დარჩენილ მწუხარე მანდილოსნებს და მუქარას გვითვლის მე და ჩემს ძმას. აგრეთვე დარბეულია და გაპარტახებული ჩემი ძმისწულის გლეხკომის მდივნის რევაზ ჩხეიძის ოჯახი. ასეთს განწირულს და საშინელს ყოფაში ვნახე მე ჩემი ოჯახი, განთავისუფლების შემდეგ, როდესაც რამოდენიმე საათით სოფელში ავედი.

რა უნდა ყოფილიყო ასეთი საშინელი მოპყრობის და დარბევის მიზეზი, რაზე დამინგრიეს ოჯახი და წუთისოფელს გამოასალმეს სამი ვაჟკაცი, რომელთა ერთად ერთი დანაშაული, შესაძლებელია, ის იყო რომ მთელი დრო მიწას ჩაბღაოდენ და მუშაობით წელზე ფეხს იდგავდნენ, რაზედ გვაცლიან უკანასკნელ ლუკმა პურს, ვინ უნდა უპატრონოს ობლად დარჩენილ ცოლშვილს? ჩვენი სახლკარი და ქონება მამა-პაპისაგან არ მიგვიღია, იგი ჩვენის საკუთარი ოფლით და წვა-დაგვით არის შეძენილი, მთელს ჩვენს ქონებაში სხვისი ნაოფლარი ერთი ქვაც არ ურევია და არც არამის გზით გვიცხოვრნია. მამა ჩემი თავადი აბაშიძის გლეხი იყო და თავისი ბატონისგან წყალობად მიიღო რამოდენიმე დღის დაუმუშავებელი მიწა სოფ. ყელქცეულში, სადაც ის სცხოვრობდა ალიზით

საქართველოს ეროვნული არქივი

აშენებულ ქოხში, როგორც ყოველი მისი მეზობელი. ჩვენ ოთხი ძმანი ვიყავით, მამული არ გვყოფნიდა და ჩემი უმფროსი ძმა ბეჟანი, რომლის ორი შვილი დღეს რუისში დახვრიტეს, იძულებული იყო სამუშაოდ გარედ გასულიყო; მან საბარგო მატარებლის კონდუქტორად დალია სული. ძმები წამოვიზარდენით, ერთსულოვანი დაუღალავი მუშაობით ოჯახი წინ წამოვწიეთ, დღემდე განუყრელად ვცხოვრობდით და ხალხის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. პირველი რევოლიუციის დროს ჩვენი სოფლიდგან მხოლოდ ჩემმა ამას წინედ რუისში დახვრეტილმა ძმამ გამოიდო თავი და ებრძოდა თავად-აზნაურობის შავრაზმელს მოძრაობას, რისთვისაც შავრაზმელთ შური იძიეს, საბძელი დაგვიწვეს და სიკვდილს გვემუქრებოდნენ თუ ცეცხლის ჩასაქრობლად ზომებს მივიღებდით. ჩემი ძმა, როგორც წითელ რაზმელი, მეფის მთავრობის მიერ 1905 წელში 1917 წლამდე ციმბირში იყო გადასახლებული და რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა. ჭირში და ლხინში ჩვენ მეზობლებთან ერთად ვიყავით, გლეხის ცხოვრებას ვეწეოდით და ამიტომ ჩვენ ერთად მთელი სოფელი მწარედ გლოვობს სამი ვაჟკაცის დაკარგვას, რადგანაც მათ კეთილი ამხანაგობისა და მეზობლობისა ავი არა დაუთესიათ რა. 1922 წელს ჩვენმა ოჯახმა სიმშილისგან იხსნა 30 კომლი და ამიტომ მთელი სოფელი სწუხს ჩვენი ოჯახის განადგურებას და სიტყვის თქმა ვერ გაუბედნია იასე წეველიძის შიშით. ამ იასე წეველიძეს, რომელიც ჩვენ გვღუპავს, არასდროს ჰქონია მოპოვებული ხალხის ნდობა და სიყვარული. უკვე 1922 წ. ჩვენი სოფელი თავის დადგენილებით, რომელსაც აგრეთვე რვა კომუნისტი აწერდა ხელს, მის სოფლიდან გაძევებას მოითხოვდა, რადგანაც მან შეჭამა სკოლის ასაშენებლად მოგროვილი სიმინდი და გაძარცვა სოფლის კოოპერატივი. ოფიციალური გამოძიებით, რომელსაც ოთხი გამომძიებელი აწარმოებდა, მას დაუმტკიცეს 35 ბრალდება, იგი სამჯერ იყო დაპატიმრებული. აი ეს ადამიანი განაგებს დღეს სოფლის ბედს და მტრობით, პირადი შურისძიებით გატაცებული არ ზოგავს არავითარს სახსარს ჩვენი ოჯახის დასაქცევად და როგორც სოფლის საბჭოს თავმჯდომარე უპასუხისმგებლოდ თარეშობს ჩვენს ნაოფლარზე და სარჩო-საბადებელზე, რომელიც მხოლოდ ჩვენი მთლიანობით საზრდოებდა და ჩვენ ძმისწულების შორის რომ გაყოფილიყო, თითოს ერთი უღელი ხარისა ერთი დესეტინა მიწისა მეტი არა ერგებოდა რა.

ოჯახში 14 სული დავრჩით, გარდა ჩემი და ჩემი ძმისა ქვრივის ობლებს სხვა პატრონი არა ჰყავთ და თუ ყველაფერი ჩამოგვართვეს სხვა არაფერი დაგვრჩენია თუ არა აბგის აკიდება და გლახაკობა. სასოწარკვეთილნი მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ ნუ დაგვიკარგავთ ტანჯვით და პატიოსანი შრომით მოპოვებულს ნაჭირნახულევს, დანიშნეთ გამოძიება, რომელიც მიუდგომლად გამოარკვევს ჩვენს საქმეს, მოგვეცით სამართალი და დაგვსაჯეთ, თუ რამე დანაშაულობა მიგვიძღვის, თუ არა და ნუ გაგვხდით ბოროტ ადამიანთა მსხვერპლად, რომელნიც სოფლად მთავრობას სახელს უტეხავენ.

გიორგი ჩხეიძე /ხელრთვა/

„19“ ნოემბერი 1924 წ.

ქ. ტფილისი.

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ამხ. ხარასაშვილაძე. კომისიისათვის. 24/XI. გორის მაზრა.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 44-45.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის ჯვარის თემის მკვიდრის ფარნა ჭანტურიას განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას ჯარისკაცების მიერ მისი სიმინდის ყანის გაჩანაგების შესახებ
1924 წლის 24 ნოემბერი

ზუგდიდის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს!

ჯვარის თემის მოქალაქე
ფარნა ჭანტურიასაგან
დამატებითი განცხადება

მე ვარ ღარიბი და წვრილ ცოლ-შვილის პატრონი კაცი, ოჯახი ჩემი შესდგება რვა სულისაგან, ოჯახში მუშა ხელი მარტოდ მარტო მე ვარ, მყავს მხოლოდ ერთი ვაჟი შვილი 11 წლისა, დანარჩენი ყველანი ქალიშვილები და მცირე წლოვანები. გარსულ გაზაფხულში საშინელმა გვალვამ ხელი შემიშალა თესვის დროს და ძლივს ძლივობით დავთესე ეზოში ერთი ქცევაზე ცოტა მეტი მიწა. როცა ავანტიური გამოსვლებში ჯარი ჩამოვიდა ჯვარში, იმ დღესვე მოჭრეს ჩემი სიმიდი ოციოდე ფუთი, მე მაშინათვე მივმართე სიტყვიერი განცხადებით ჯარის უფროსს და დამპირდა რომ აწი ასეთი განმეორებული არ იქნებაო, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ჩემი ეზო მდებარეობდა იმის გვერდით, სადაც ჯარი ბინადრობდა, ტეხდენ სიმიდს დღე და ღამ და ჩემი ცოტაოდენი დათესილი ყანა ერთიანად განადგურდა, რაზედაც მე წერილობითი განცხადებით მივმართე ერთად ადრიადის უფროსთა შემადგენლობას, მათ კეთილ ინებეს და გარდასცეს განცხადება კვლევა ძიების მოსახდენად ამხ. ა. რატიანს. მან მომთხოვა მოწმები და მოახდინა კვლევა ძიება, მოწმებმა დაადასტურეს განცხადების შინაარსი და რატიანმა თავისი დასკვნითურთ დაუბრუნა საქმე სამხედრო კომისარს ამხ. ბაბლიძეს, მან ბაბლიძემ საქმე წარადგინა სამაზრო აღმასკომში.- რაისათვის გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს ოჯახურ მდგომარეობაში და გადაათვალიეროთ კვლევა ძიება, რომელიც ინახება თქვენს კანცელარიაში, სამართლიანი თვალით და ზარალი ამინაზღაუროთ რათა ცოლშვილი ჩემი არ დამეხოცოს შიმშილით.

იმედი მაქვს ეხლანდელი სამართლიანი მთავრობა მიაქცევს ყურადღებას ამ ჩემს თხოვნას და უდანაშაულოდ დასჯილი პიროვნების დახმარებას ზურგს არ უქცევს.

ფარნა ჭანტურია /ხელრთვა/

1924 წ.
24 ნოემბერი

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: 25/XI. პრეზიდიუმს. /ხელრთვა/.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 43, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის სოფელ ლიის მკვიდრის კუჭუჭი ცხონდიას განცხადება ამავე მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული ცხენის დაბრუნების შესახებ
1924 წლის 28 ნოემბერი

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარეს

სოფელ ლიის ლიის თემის და იმავე რაიონის
მცხოვრები კუჭუჭი ბეჭანის ძე ცხონდიასაგან

განცხადება

მე ვარ მეტის მეტი ღარიბი კაცი. მყავდა მარტო ერთი ცხენი, ჩემი მარჩენელი. ამის მეტი უნძრავი ქონება ჩემთვის არაფერი არ მოიპოვება და ეს ცხენი ჩამორთმეულია ჩემზე კონფისკაციის წესით ამ გამოსვლის მიზეზით და ჩემი ცხენი ყავს ლიის რაიონის კომისარს, როცა მოვთხოვე ცხენი, მითხრა: ეს ცხენი ჩამორთმეული არისო მაზრის პრეზიდიუმის მიერო და უარი მითხრა ცხენის დაბრუნებისა. მე გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემი მდგომარეობაში და დამიბრუნოთ ეს ცხენი ერთად ერთი მარჩენელი ჩემი.

1924 წელსა 28 ნოემბერი განმცხადებელი: კუჭუჭი ცხონდია

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ჩამოერთვას ცხენი,
როგორც აზნაურს და აქტიური
მონაწილეს იარაღით ხელში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 167.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გორის მაზრის სოფლებიდან განდევნილ
თავადაზნაურთა სია, რომლებსაც
1924 წლის აჯანყებასთან კავშირისთვის ქონება ჩამოართვეს
1924 წლის ოქტომბერ-ნოემბერი

1. მაჭარაშვილი ნატალია - სოფ. ალი
2. ჯანჯალაშვილი მარიამ - სოფ. კავთისხევი
3. ქარუმიძე ანნა - სოფ. კასპი
4. ჩრდილელი ვლადიმერ - სოფ. სამწერისი
5. ჩრდილელი რეზო - სოფ. სამწერისი
6. ჩრდილელი კოსტა - სოფ. სამწერისი
7. ილურიძე ნიკოლოზ - სოფ. სამთავისი
8. ერისთავისა ალექსანდრა - სოფ. მეჯვრისხევი
9. მერკულოვი თამარა - **სოფ. მეტეხი**
10. ჩივაძე მარიამ - სოფ. ჩივაანთ უბანი
11. ფანიაშვილი ვანო - სოფ. რუისი
12. **ჩხეიძე გიორგი** - სოფ. ყელქცეული
13. გრიგოლ პაპიტაშვილი - სოფ. ფლავი
14. ევგენი ჩიქოვანი - სოფ. ქვემო ხანდაკი
15. სერგო წერეთელი - სოფ. შინდისი
16. სიმონ ყანჩაველი - სოფ. მეჯვრისხევი
17. მარიამ ამილახვარი - სოფ. კასპი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცელი 1ა.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთის საბჭოს სხდომის ოქმი
სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურების განდევნის შესახებ
1924 წლის ნოემბერი

ასლი

ოქმი N15

ქვიშხეთის საბჭოს 1924 წ. ნოემბრის სხდომისა

1. ყიფიანი ლევან: შვილი მისი იყო ოფიცერი მენშევიკური მთავრობისა უკანასკნელი გამოსვლების წინა ღამით ჰქონდა კამპანია, სადაც მოწვეული ჰქონდა კამპანია, სადაც მოწვეული ჰყავდა მხოლოდ თავისებური თავად აზნაურობა ვინაიდან მათი კომპანია ფაქტიურად იყო კრება საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ. როდესაც გლეხობა თევზს იჭერდნენ იგი არ აძლევდა ამის საშვალებას, ცუდათ ეპყრობოდა მათ და საერთოდ ავიწროებდა, რითაც კი შეიძლებოდა. აღნიშნული პიროვნების ოჯახში ხშირად ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ მზადებას, რასაც ქვიშხეთის კომუჯრედი გებულობდა ჩვენი აგენტების საშვალებით.

2. **ნემსაძისა ნატალია** დახვრეტილ დათიკო ნემსაძის დედა. იგი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უკანასკნელ მენშევიკურ ავანტიურისტულ გამოსვლებში და ეწეოდა გაშმაგებულ აგიტაციის სოფ. ქვიშხეთში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იგი წინასწარ მეტყველობდა უკანასკნელ გამოსვლის მუქარით მუქარის გლეხებთან, როდესაც იგი მას თხოვდა ღალას.

3. **ნემსაძე ვანო:** ძველი ნიკოლოზის პოლიციელი, ცნობილი შავ რაზმელი გლეხების და საერთოდ მშრომელის მასსის ამწიოკებელი, ყოველივე თავის მოქმედებით, უკანასკნელად იგი შეუერთდა ბანდიტებს და მათთან არის ეხლაც. ისეთივე მისი შვილიც ოფიცერი ჟორჟიკა, რომელიც ამ ჟამად რაღაც ხრიკების საშვალებით მსახურობს ბორჯომის საკურორტო სამმართველოში.

4. **ჯაფარიძე ივანე:** 1919 წელში როდესაც სოფ. ქვიშხეთში იყო არა ლეგალური კრება კომუნისტებისა მან ეს გაიგო და იმ წამსვე წავიდა ხაშურში და განუცხადა მენშევიკურ მთავრობას ძალიან ხშირი შემთხვევები იყო როდესაც იგი უბრალოდ და უდანაშაულოდ სცემდა გლეხობას და ეწეოდა ჯაშუშობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აწვალებდა გლეხობას, რითაც კი შეეძლო ჯაშუშებისათვის იგი დაპატიმრებული იყო 1921 წ.

5. **ციმაკურიძე კოლა:** იგი უფრო მეტი ნაწილი იმყოფებოდა თბილისში, მხოლოდ როდესაც მოდიოდა თბილისიდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიდამოებში გავლა არ შეეძლო არც ერთ გლეხს ვინაიდან თუ კი ასეთებს შეამჩნევდა სცემდა და ემუქრებოდა სიკვდილს. ჰქონდა მჭიდრო კავშირი მე 3-მე ნომერში აღნიშნულ ვასო ნემსაძესთან, საერთოდ იყო ეგეთივე ვასო ნემსაძე ამ ჟამად იგი მსახურობს აქციზნი ჩინოვნიკად თბილისში ავლაბარში.

6. **ციმაკურიძე ლევან:** მისი საცხოვრებელი ბინის მახლობლად ჩამოდის სასოფლო გზა, როდესაც მის სახლთან ესა თუ ის გლეხი ტყიდან ჩამოატარებდა შეშას, იგი მიახვევინებდა თავის ეზოში და შეშას დააცლევინებდა თავისათვის თუ ამაზე გლეხი რამეს ეტყოდა, იგი სცემდა მათრახით, ასეთვე არიან მისი

საქართველოს ეროვნული არქივი

ძმები: საშა და ვანო ძმის წული მისი. უკანასკნელი კი ზედმეტებით მენშევიკების აფიცერი იყო.

7. **ყიფიანი ნინა:** რამდენათაც კი შეიძლება ენით ითქვას, იგი ადუხჭირებდა და ავიწროვებდა გლეხობას. მისთვის საკმარისი არ იყო ცოცხალი გლეხების ტანჯვა, მკვდარსაც კი არ ამარხვინებდა მიწაში და ამბობდა: სასოფლო ჩემია და იქ დამარხვა შეიძლება მხოლოდ ჩვენი საგვარეულოსიო. მას ეზიზღებოდა გლეხობა და სულ მუდამ წინასწარმეტყველობდა გლეხების და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების განადგურებაზედ და თავად აზნაურების გამეფებაზედ. იყო უკიდურესი კონტრევოლიუციონერი. კრებამ მოითხოვა აღნიშნული პიროვნების მიმართ ქვიშხეთიდან იზოლაციასთან და მისი ქონების კონფისკაციასთან მისი უმაღლესი სასჯელით დასჯა.

8. **ყიფიანი სიმონ** - და ილიკო ამილახვრის მოურავები ნიკოლოზის პოლიციელები „პრისტავი აკალადოჩნო" და სხვა. გლეხების ამწიოკებლები, ბანდიტების ხელი შემწყობი და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ყოველ მხრით მოწინააღმდეგენი. აწარმოებდნენ ჩუმ აგიტაციას არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

9. **ყიფიანი ზაზა -** იგი როგორც წოდებით აზნაური ის გამგეობაში იყო მრავალი ბუნებას ჰყიდდა რა ჰფლანგამდა საზოგადო ტყეს და საზოგადო ქონებას. ძველად ნიკოლოზის დროს სატყეო გადაუხდელობისათვის ხელი მოსჭრა გლეხს, რის გამოც უკანასკნელი გარდაიცვალა. შვილი მისი ვანო გარდა იმისა, რომ მიმდევარი იყო მათ მისი მოქმედებისა, იყო მენშევიკების ოფიცერი - კონტრრევოლიუციონური ამ ჟამად მსახურობს თბილისი ჰიდრო ელექტრონზედ.

10. **ავალოვი არჩილი** და **გუდიაშვილი კოლა** - არა სანდო პირები და მოწინააღმდეგე საბჭოთა ხელისუფლებისა. უკანასკნელ ბანდიტურ გამოსვლების დროს არჩილა ავალოვის სახლში აღმოჩენილ იქმნა ჭიათურიდან გამოქცეული ბანდიტი. ამ გამოსვლების წინააღმდეგ მის მიერ გავრცელებულ იქმნა ხმები „ლაგირზედ სროლა უნდა ატყდესო".

11. **სულხანიშვილი ვეტა** იყო შემთხვევები, როდესაც იგი ეუბნებოდა გლეხობას და პარტიულებს დრო არ შერჩებათო და საერთოდ ემჩნეოდა არსებულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგობა. იგი მონაწილეობას ღებულობდა უკანასკნელ გამოსვლებში.

12. **კიკნაძე ნესტორ** და მისი შვილი **მიშა** აწვალებდნენ გლეხობას მამულების დროებით ღალების მომატების მიზნით გამოსვლების შემდეგ, როდესაც მათ ასახლებდნენ სთქვა ნესტორმა: ეს დროებითია, ჩვენ დაუძინებელი მტრები ვიქნებით არსებულ წესწყობილების და სხვა. ეწეოდა ჯაშუშობას პარტიულების წინააღმდეგ და აბაზერებდა მათ. მიშა იყო მენშევიკური მთავრობის ოფიცერი გაფლანგვა საზოგადო ქონება „კოოპერატივისა".

13. **კიკნაძე ქრისტო** - მხარს უჭერდა ყოველ გვარ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებას.

14. **ჯაფარიძე ვალოდია** და მისი დედა **ელენე** ცნობილი კონტრრევოლიუციონერები და საქართველოში წითელ ჯარის ყოფნის მოწინააღმდეგე როგორც ნაციონალისტი.

15. **ელიოზაშვილი იოსებ** აღელვებდა და აჯანყებდა შეუგნებელ გლეხობას

საქართველოს ეროვნული არქივი

საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ, გლეხობაში შეჰქონდა არევ დარევა და მით იგი ჰყვლეფდა მასას.

16. **გიორგი, კოლა** და **კატუშა ზუმბათოვები** - ცნობილი მემამულე თავადები, შავ-რაზმელები, მოსისხლე და დაუძინებელი მტრები ყოველ გვარი სოციალისტური მიმართულებისა და განსაკუთრებით კი საბჭოთა ხელისუფლებისა. გიორგი ყოფ. პოლკოვნიკი როგორც ნიკოლოზის, აგრეთვე მენშევიკური წყობილების დროს, მშრომელი ხალხის გლეხების უღელში შებით მტანჯველი გლეხობის, რითაც კი შეეძლებოდათ.

17. **მთიულიშვილი კოლა**, როგორც გამოჩენილი და უახლესი ცრუ მორწმუნე, ცნობილი მღვდელი, ეწეოდა აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უარესი დაუძინებელი და მოსისხლე მტერი არსებული წესწყობილებისა. ხალხისმყვლეფელი და სხვა. ისეთივე არიან მისი შვილები და ელენე.

18. **საგანელი გიგო**, ყოფილი მემამულე, თავადი, გლეხების ამწიოკებელი, შავრაზმელი და მოსისხლე მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა და მონაწილეობის მიმღები უკანასკნელი მენშევიკური ავანტიურისტურ გამოსვლებში, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კრებებში, რომელიც ხდებოდა ლევან ყიფიანის სახლში, კომპანიის სახით ამ ჟამად მსახურობს ახალდაბის კოოპერატივში.

19. **ორჯონიკიძე მიხეილ** - ყოფილი მემამულე, აზნაური, გლეხობის ამწიოკებელი, მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი არა ლეგალური უკანასკნელ ხანებში როგორც ჩვეული ძველიდგან. ისეთივე არიან მისი შვილები იოსებ და აკაი, რომელთაც აღმოაჩნდათ ამ უკანასკნელ დროს ნაგანის პატრონები და ბომბი.

20. **ორჯონიკიძე ვანო** კოტეს ძე - ისეთივე მოქმედების მხოლოდ, გარდა ამისა, სოფლის იმ ერთ გლეხს, რომლის შვილიც გამორიცხული იქმნა კომპარტიიდან, მიულოცა რომ შენი შვილი პარტიიდან გამოურიცხავთ, თორემ სულ მალე ძალა უფლებას ხელში ჩაიგდებენ მენშევიკები და კომუნისტებს მთლად მოსპობენო. ეს იყო უკანასკნელ გამოსვლების წინა დღეებში. შვილი მისი დავითი ისეთივე და უფრო უკიდურესი მენშევიკი, რომელსაც დაჰქონდა სია და ადგენდა მენშევიკურ ორგანიზაციას.

21. **ორჯონიკიძე ზალიკო** როგორც ვანო და მისი შვილი.

22. **ორჯონიკიძე კოტე** იოსების ძე, როგორც ვანო და მისი შვილი.

23. **ორჯონიკიძე ტიტო** და შვილები მისი **არჩილი** და **შალიკო**. ცუდი წარსულის, ამ ჟამად მენშევიკური ორგანიზაციის წევრები, მათი ხელის შემწყობნი, რომელთაც აღმოუჩნდა ბომბები.

24. **ორჯონიკიძე მიტუშ**ა, ყოფილი აზნაური, არა ლეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, გლეხების ამწიოკებელი, ამ უკანასკნელ ხანებში გაშმაგებულ აგიტაციას ეწეოდა საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უკანასკნელ გამოსვლებში და სცდილობდნენ მოეწყოთ გამოსვლები ტეზერ-სურამში.

25. **ორჯონიკიძე ბეგლარ** და მისი ძმა **ალექსანდრე**, ყოფილი თავად აზნაურები, შავ რაზმელები, პრავაკატორები, უკანასკნელ ხანებში ახდენდნენ შეთქმულებას, ეწეოდა აგიტაციას და ავრცელებდნენ ხმებს, რომ ვითომ და

საქართველოს ეროვნული არქივი

სულ ორი დღის განმავლობაში განმტკიცდებოდა მენშევიკური ხელის უფლება საქართველოში.

26. **ორჯონიკიძე ყარამან**, **შიო და ჟორჟიკა**, ყოფილი აზნაური, გლეხების ამწიოკებლები, მენშევიკები, რომელიც გაშმაგებულ აგიტაციას ეწეოდნენ გლეხობის ბნელ მასაში და ამბობდნენ მალე დადგება დრო, როდესაც საფრანგეთის, ინგლისის დახმარებით დავამარცხებთ საბჭოთა ხელისუფლებასო.

27. **ორჯონიკიძე ბეჟანის ძე** - მენშევიკი, გლეხობის ამწიოკებელი, შავ რაზმელი, აქტიური მონაწილე ბანდიტურ გამოსვლებში. უკანასკნელ გამოსვლებში ცოლი გაგზავნილი ჰყავდა ჭიათურაში, გამოსვლების ხანებში გაჩხრეკის დროს სახლში აღმოჩნდა ძველი რკინის როზგი.

28. **ორჯონიკიძე დავით** - ყოფილი აზნაური მემამულე გლეხების ამწიოკებელი, ცნობილი მენშევიკი, სასტიკი პრავაკატორი, რომელიც ბოლო ხანებში აწყობდა ფარულ კრებებს საბჭოების წინაღმდეგ.

29. **ორჯონიკიძე ტარიელ** - ყოფილი აზნაური, მენშევიკი, პრავაკატორი, რომელიც ხელმძღვანელობდა უკანასკნელ ფარულ კრებებს, რომელიც ხდებოდა დათიკო ორჯონიკიძის სახლში. იგი ფიცს ადებინებდა იქ დამსწრე მენშევიკებს, რომ მათ არ ეღალატნა მენშევიკებისათვის.

30. **ორჯონიკიძე დიმიტრი** - ყოფილი აზნაური, მენშევიკური შავ. რაზმელი, პრავაკატორი, მოსისხლე მტერი მშრომელი ახალგაზრდობისა, რომელი ემუქრებოდა ახალგაზრდობას, რომ არც ერთს არ გაუშვებდა ცოცხალს, როდესაც ძალა უფლებას ჩავიგდებთ ხელშიო, რომელი მოელის მოლოდინიც ძალიან ახლოს არის.

31. **ორჯონიკიძე ვასილი** - ყოფილი აზნაური, მენშევიკების ჯაშუში, მუდამ სდევნიდა კომუნისტებს, აწიოკებდა მათ ოჯახს, აბეზერებდა, აპატიმრებდა, მასთან უკანასკნელ მომხდარ ამბების დროს ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას და ეწეოდა საბჭოების წინააღმდეგ აგიტაციას.

32. **ორჯონიკიძე იაშა -** ყოფილი აზნაური, გლეხების ამწიოკებელი, მენშევიკების აგენტი, რომლის საშვალებიდაც აპატიმრებდა კომუნისტებს და მათზედ ღებულობდნენ რეპრესიულ ზომებს, უკანასკნელ გამოსვლებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, ეწეოდა აგიტაციას და ამბობდა „კომუნისტების დედა ატირდება ამ დღეებშიო". ამას იგი ამბობდა გამოსვლების წინა დღეებში.

33. **ორჯონიკიძე თედო** და შვილები მისი **სანდრო** და **გიგო** ყოფილი მენშევიკები, გლეხების ამწიოკებელი, შავ-რაზმელები, რომელიც დაუძინებელ მუშაობას აწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საბჭოების მოწინააღმდეგე პრავაკატორები.

საერთო დადგენილება ზემო ჩამოთვლილ ყოფილ თავად აზნაურებზედ.

კრებამ მოისმინა რა პერსონალად წაყენებული ბრალდებები თვითეულ ყოფილ თავად აზნაურებზედ და მიიღო რა მხედველობაში მათი მოქმედებანი გლეხობის და საერთო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოაქვს შემდეგი დადგენილება და მოითხოვს მათ დასჯას შემდეგ ნაირად.

1. **ნინა** და **ლევან ყიფიანები**, **ვასო ნემსაძე** და **გიორგი, კოლა** და **კატუშა**

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუმბათოები იქმნენ მოშორებული ქვიშხეთის მახლობელ ადგილებიდან სრულიად გადასახლებით და მათ მთელ როგორც უძრავ, აგრეთვე მოძრავ ქონებას გაუკეთდეს სრული კონფისკაცია.

2. **ნატალია ნემსაძისა, ვასო ჯაფარიძე,** ვალოდია, ელენა, **ლევან, საშა, ვასო,** მიშა, და **კოლა ციმაკურიძეები,** სვიმონ და არჩილ ავალოვები, კოლა უდიაშვილები, ვეტა სულხანიშვილი, ნესტორ კიკნაძე, მიშა და ქრისტო კიკნაძეები, იოსებ ელიოზიშვილი, კოლა, ნინა და ელენე მითულიშვილები, გიგო, საშა და არჩილ სავანელები, მიხეილ, რეზო და აკაი, ვანო, დავითი, იოსებ, ზალიკო, კოტე, ტიტო, არჩილ მიტუშა, ბეგლარ, ალექსანდრე, ყარამან, შიო, ჟორჟიკა, ვანო ბეჟანის ძე, დათიკო, ტარიელ, დიმიტრი, ვასილი, იაშა, თედო, სანდრო, გიგო, ილიკო, ზაზა და ვანო ორჯონიკიძეები აგრეთვე მოშორებული იქნან ქვიშხეთის მახლობელ, ფუფუნების საგნებს გაუკეთდეს კონფისკაცია.

დედანი სათანადო ხელმოწერილია:
ასლი დედანთან სწორეა:
სამ. აღმასკომის მდივნის თანაშემწე: დ. მურადოვი.
ასლი ასლთან სწორეა. /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 34-36.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ გორის მაზრიდან
განდევნილი ყოფილი თავად-აზნაურების სია
1924 წლის ნოემბერი

სია

გორის მაზრის განდევნილ თავად-აზნაურთა, 1924 წელ.

NN რიგზე	გვარი სახელი და მამის სახელი.	სოფელი.	რაიონი.	რა მიზეზით.	დანართი საბ. ოქ. N.	&&	შენი-შვნა
1.	პაპიტაშვილი გრიგოლ ნიკოლ-ძე	ფლავი.	ტყვიავის	მკაცრი მოქცევისათვის გლეხებისადმი.	1	1	
2.	ფურცელაძე კონსტანტინეს-ძე ნიკოლოზი	მერეთი	ტყვიავის	მკაცრი მოქცევისათვის გლეხებისადმი.	1	2	
3.	**ფურცელაძე ვანო ესტატ-ძე**	მერეთი	ტყვიავის	მკაცრი მოქცევისათვის გლეხებისადმი.	1	3	
4.	ფურცელაძე ნადია ქვრივი	მერეთი	ტყვიავის	როგბაქ. ცოლი და მებატონე.	1	4	
5.	ფურცელაძე არჩილ	მერეთი	ტყვიავის	ყოფ. მემამ. და პალკოვნიკი	1	5	
6.	ფურცელაძე ივანე გრიგო-ძე	მერეთი	ტყვიავის	მკაცრი მოპყრობისათვის გლეხ.	1	6	
7.	ჯავახიშვილი ლადო	ძევერა	ტყვიავის	როგორც ძველი ჩინოვნიკი და მამა პარიტეტ. კომიტ. წევრი.	1	7	
8.	ჯავახიშვილი ნიკოლოზი	ტყვიავი	ტყვიავის	გლეხებ. მკაცრი მოპყრობისათ.	1	8	
9.	**ერისთავი ნანა და ლიზა**	ტყვიავი	ტყვიავის	მიწის რეფორ. ჩატარების დროს იყვნენ განდევ.	1	9	
10.	**ერისთავი გიორგი მიხეილის**	ტყვიავი	ტყვიავის	მიწის რეფორ. ჩატარების დროს იყვნენ განდევ.	1	10	
11.	ჯავახიშვილი ოქრო	ძევერა	ტყვიავის	მიწის რეფორ. ჩატარების დროს იყვნენ განდევ.	1	11	
12.	ჩხეიძეები მიტუშა, გიგო, ერმანა და ბაგრატი	ყელქცეული	შინდისის რაიონი	მკაცრი მოპყრობისათვის გლეხებისადმი.	2	1	
13.	წეველიძე გიორგი	ყელქცეული	შინდისის რაიონი	როგორც დაუძინ. მტერი საბ. ხელისუფლებისა	2	2	
14.	თაქთაქიშვილი ივანე შვილებით	ხვითი	შინდისის რაიონი	როგორც დაუძინ. მტერი საბ. ხელისუფლებისა	2	3	
15.	თაქთაქიშვილი სესე	ხვითი	შინდისის რაიონი	როგორც დაუძინ. მტერი საბ. ხელისუფლებისა	2	3	
16.	თაქთაქიშვილი მიშა	ხვითი	შინდისის რაიონი	როგორც დაუძინ. მტერი საბ. ხელისუფლებისა	2	3	
17.	თაქთაქიშვილი დიმიტრი	ხვითი	შინდისის რაიონი	როგორც დაუძინ. მტერი საბ. ხელისუფლებისა	2	3	
18.	თაქთაქიშვილი დათიკო	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
19.	თაქთაქიშვილი კარპოზ	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	

საქართველოს ეროვნული არქივი

20.	თაქთაქიშვილი ისაკო	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
21.	თაქთაქიშვილი ვარა	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
22.	თაქთაქიშვილი არჩილ და საშა	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
23.	თაქთაქიშვილი ვასო	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
24.	თაქთაქიშვილი ირაკლი	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
25.	დიასამიძე მიხეილი	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
26.	მაჩაბელი გიორგი	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
27.	მაჩაბელი კოლა	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
28.	მაჩაბელი კონია	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
29.	მაჩაბელი შურა	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
30.	თაქთაქიშვილი გიორგი	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
31.	თაქთაქიშვილი გიორგი	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
32.	თაქთაქიშვილი ილუშა	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
33.	ციციშვილი ნიკო	ქვ-ხვითი	შინდისი	როგორც მემამულე და მტერი საბ. ხელისუფლებისა.	2	3	
34.	ტიტვინიძე სიკო	საქაშეთი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	4	
35.	დიასამიძე კოტე	საქაშეთი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	4	
36.	ტიტვინიძე გიორგი	საქაშეთი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	4	
37.	ზარხოზაშვილი ვანო შვილებით სამსონათი და ლევანით.	ახალდაბა	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	5	
38.	ბერძნიშვილი ვანო	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	5	
39.	მირზაშვილი სანდრო	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
40.	დავითიშვილისა მარიამ	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
41.	მირზაშვილი რევაზი დედით.	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
42.	მირზაშვილი სონიკო დავითის ძე	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
43.	გარსევანიშვილი ვანო	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
44.	გარსევანიშვილი მიხეილ ტატოს-ძე	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	

საქართველოს ეროვნული არქივი

45.	გარსევანიშვილი პლატონ კიკოს ძე	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
46.	მირზაშვილი გიორგი სანდროს ძე	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
47.	მირზაშვილი მიხაკო და ჟორჟიკა	შინდისი	შინდისი	როგორც საბჭ. ხელის. დაუძ. მტერი	2	6	
48.	სიმონიშვილი დავით	შინდისი	შინდისი	ყოფილი მღვ. ხელის შემწყობი ავანტურისტებისადმი	2	6	
49.	გასიაშვილი გიგა	შინდისი	შინდისი	როგორც დიაკვანი და ავანტიურის ხელს შემწყობი.	2	6	
50.	მასიშვილები გიორგი და ირაკლი	შინდისი	შინდისი	როგორც დიაკვანი და ავანტიურის ხელს შემწყობი.	2	6	
51.	თავყელიშვილი ლევან გიორგის-ძე	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
52.	თავყელიშვილი გიგო	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
53.	თავყელიშვილი დათა	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
54.	თავყელიშვილი იასონი	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
55.	დავითიშვილი საშა	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
56.	დავითიშვილი ილიკო თავისი შვილით ნიკლოათი	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
57.	დავითიშვილი სოსო	შინდისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	6	
58.	ფავლენიშვილი სულიკო	ქვ-ნიქოზი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	7	
59.	ფავლენიშვილი სესე და დათა	ქვ-ნიქოზი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	7	
60.	ფავლენიშვილი მიხაკო	ქვ-ნიქოზი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	7	
61.	ნამორაძეები დათა, გიორგი, ივანე, ლუარსაბი	ქვ-ნიქოზი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	7	
62.	ნამორაძე შალვა	ქვ-ნიქოზი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	7	
63.	წერეთელი დავით	ქვ-ნიქოზი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	7	
64.	ამილახვარი ნიკო	ფხვენისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	8	
65.	**მაჭარაშვილი** სერაფონ	ფხვენისი	შინდისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	2	8	
66.	მამაცაშვილი გაბო	რუისი	რუისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	3	1	
67.	მამაცაშვილი შაქრო	რუისი	რუისი	მემამულე საბჭ. ხელისუფლების მტერი.	3	1	

საქართველოს ეროვნული არქივი

68.	სალარიძე დათიკო	რუისი	რუისი	როგორც მღვ. და საბ. ხელ. მტერი.	3	1	
69.	მამაცაშვილი ილია დავითის-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	1	
70.	დეკანოზიშვილი ვასილ ნიკძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	1	
71.	კლიმიაშვილი გიგული ქახ-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	1	
72.	კლიმიაშვილი ნიკო დავი-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
73.	კლიმიაშვილი სამსონ ივა-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
74.	**კლიმიაშვილი შალვა მიხე-ძე**	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
75.	გვარამაძე რამან გიორგის-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
76.	დაფქვიაშვილი საშა	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
77.	არავიაშვილი სარდიონ	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
78.	ფანიაშვილი ბაადურ ესტ-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
79.	ფანიაშვილი გენო ლაზა-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
80.	ფანიაშვილი ვანო სარდი-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
81.	ფანიაშვილი არჩილ ელიზ-ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
82.	ფანიაშვილი იასონ ვასილის	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
83.	თოდაძე ვასო ესტატეს ძე	რუისი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
84.	ავალიშვილი ილიკო	ბრეთი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	1	3	
85.	ავალიშვილი ილიკო	ბრეთი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	
86.	ავალიშვილი პეტრე რაჟ-ძე	ბრეთი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	
87.	ავალიშვილი ბიჭიკო ვას-ძე	ბრეთი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	
88.	ავალიშვილი გრიშა კოტეს-ძე	ბრეთი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	
89.	ავალიშვილი პეტიკო ყაფლა-ძე	ბრეთი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	
90.	ყიფშიძე შაქრო თევდორეს-ძე	საღოლაშენი.	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	

საქართველოს ეროვნული არქივი

91.	კალატოზიშვილები გრიშა და ადა	წვერი	რუისი	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	3	2	
92.	იშხნელი მიხეილი	არადეთი	რუისი	როგორც პარიტეტული კომიტეტის წევრი, როგორც საბ. ხელისუფ. მტერი.	3	2	
93.	იშხნელი შაქრო და კოწია	არადეთი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
94.	იშხნელი ფირან და აპოლონ	არადეთი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
95.	დეკანოზიშვილი ვანო სან-ძე	დირბი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
96.	დეკანოზიშვილი გაბრიელ, მიშა და გეგენა	დირბი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
97.	დეკანოზიშვილი გიორგი და ალექსი	დირბი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
98.	მგალობლიშვილი სვიმონ ანდ.-ძე	დირბი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
99.	მგალობლიშვილი ივანე მიხ.-ძე	დირბი	რუისი	როგორც საბ. ხელ. მტერი.	3	2	
100.	ბათიაშვილი ვასილი გიორ.-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც საბ. ხელ. მტერი.	4	1	
101.	საკაევი ალექსანდრე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც ყოფილი მოურავი	4	2	
102.	**ჩუბინიშვილი ზურაბი**	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც თავადი	4	3	
103.	თულაშვილი სანდრო ნიკო.-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც თავადი	4	4	
104.	თულაშვილი ტიტო ნიკ.-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც თავადი	4	5	
105.	მარტო ცოლშვილი	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც გლეხობის მუდმივ მლანძღავი.	4	5	
106.	ყანჩაველი სიკო ველისარი ონის-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური, რომელიც იყო მეჯვრისხევში ბოლშევიკების დამხვრეტი.	4	6	
107.	ჩიკოიძე როსტომი	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური, გენერალი და საბ. ხელ. დაუძ. მტერი.	4	7	
108.	ხმალაძე მიხეილი ნიკ.-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	8	
109.	ხმალაძე სანდრო საამის-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	9	
110.	ხმალაძე ლადო სანდროს-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	10	
111.	ხმალაძე გოლა სანდროს-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	11	
112.	ხმალაძე კოლა მიხეილის-ძე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	12	
113.	სრესელი ბესარიონ	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	13	
114.	ჩანჩაველი თორნიკე	მეჯვრის.	მეჯვრისხ.	როგორც აზნაური საბ. ხელ. და გლეხ. შემავიწროვებელი	4	14	
115.	**ყიფიანი ლევანი**	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	1	

საქართველოს ეროვნული არქივი

116.	ნემსაძისა ნატალია	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	2	
117.	ნემსაძე ივანე	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	3	
118.	ჯაფარიძე ივანე	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	4	
119.	ციმაკურიძე კოლა, ლევანი, საშა და ვასო	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	5	
120.	ყიფიანი ნინა	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	6	
121.	ყიფიანი სვიმონი და ილიკო	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	7	
122.	ყიფიანი ზაზა	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	8	
123.	ავალოვი არჩილი და გუდიაშვილი კოლა	ქვიშხეთი.	სურამის	როგორც აზნაური და მტერი საბ. ხელისუფლებისა	5	9	
124.	სულხანიშვილი ვერა	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	10	
125.	კიკნაძე ნესტორ და მისი შვილი მიშა	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	11	
126.	კიკნაძე ქრისტო	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	12	
127.	ჯაფარია ვალოდია და მისი დედა ელენე	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	13	
128.	ელოზიშვილი იოსებ	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	14	
129.	ზუმბათოვები გიორგი, კოლა და კატუშა	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	15	
130.	მთიულიშვილი კოლა	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	16	
131.	საგანელი გიგო	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	17	
132.	ორჯონიკიძე მიხეილ, ვანო, ზალიკო, კოტე, ტიტო და შვილები: მიტუშა, ბეგლარ, ალექსანდრე, ყარამან, შიო, ჟორჟიკა, ბეჟან, დავით, ტარიელ, დიმიტრი, ვასილ, იაშა, თედო და მისი შვილები: სანდრო და გიგო	ქვიშხეთი.	სურამი	როგორც საბ. ხელისუფ. მტერი	5	18-32	
133.	აწაწიევი ეფემია	ბერბუკი	გორის	როგორც ჟანდარმის ცოლი და მტერი საბ. ხელისუფლებისა	6		

გორის სამაზრო აღმასკომის
თავმჯდომარე -

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 1-3.

საქართველოს ეროვნული არქივი

ნოე ჟორდანიას მიმართვა ქართველ ერს,
სადაც ის 1924 წლის აჯანყებას აფასებს
1924 წლის ნოემბერი

ქართველ ერს

საქართველო აჯანყდა
საქართველო დამარცხდა

აი ორი უდიდესი მოვლენა, რომლის მსგავსი ჩვენს ქვეყანას არ განუცდია კარგი ხანია.

საქართველო ხშირათ აჯანყებულა ისტორიულ წარსულში სპარსთა უღლის წინააღმდეგ.

მას არა ერთხელ ამოუღია ხმალი თავის თავის, თავის ვინაობის და კულტურის დასაცავათ.

ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მოდიოდა სიცოცხლის გზაზე. ის ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა. დამარცხება მას გულს არ უტეხდა, გამარჯვება არ აბნევდა.

და აი, ერთი საუკუნის მოსვენების შემდეგ მის ხელში ხმალმა კვლავ დაიელვა. ის ამეტყველდა ძველებურათ, ქართველურათ და ქვეყანას ამცნო თავის ფიქრი და მისწრაფება მამაცურათ.

რა თქვა მან!

ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცელზე, რომ მას სურს იყოს თავის თავის პატრონი, თავის ქვეყნის ბატონი. ბორკილ დადებული დემოკრატია ამტვრევს ჯაჭვებს და აცხადებს თავისუფლებას.

ეს არის უაღრესათ დემოკრატიული აჯანყება.

დემოკრატიის გამარჯვება, ხალხის გაბატონება თავისთავათ ნიშნავს მოსკოვის საქართველოდან განდევნას, დაკარგული სახელმწიფოს აღდგენას.

საკუთარი სახელმწიფო - აი რა მოითხოვა აჯანყებულმა ერმა.

ეს არის უაღრესათ ეროვნული აჯანყება.

თავისუფალი საქართველოს თავისუფალი ხალხით - მედგრათ გაისმა ქვეყნათ აგვისტოს გასულს და ამ ყიჟინამ შეაშფოთა ერთნი, გაახარა მეორენი.

შეაშფოთა ბნელის მოციქული მოსკოვი და მისი დაქირავებული კომუ-ნისტები.

გაახარა ყველა დანარჩენნი, მთელი კაცობრიობა, სიმართლის და თავი-სუფლების მოტრფიალენი.

მოსკოვმა ნიღაბი საქვეყნოთ აიხადა და დაფარული სისხლიანი პირი აშკარა გახადა. ის წინეთ კიდევ ბოდიშობდა, ძველი რეჟიმის დამცველნი გვაიძულებენ ტერორს მივმართოთო.

ახლა კი გამოჩნდა, რომ ეროვნობას და დემოკრატიას ის ეომება გაცილებით უფრო მკაცრათ, გაცილებით უფრო შეუბრალებლათ. ადამიანის და მოქალაქის უფლების მოთხოვნაზე მან საქართველოს უპასუხა მასიური ჟლეტით, უმანკო სისხლის მდინარეებით.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დაპყრობით ბოლშევიზმი გაკოტრდა პოლიტიკურათ, ის დაადგა მეფეთა საგარეო პოლიტიკას.

საქართველოს ადგომის ჩაქრობით ის გაკოტრდა მორალურათ, მან გადააჭარბა ყველა თვითმპყრობელთა მტარვალობას.

ისტორიის შავ დაფაზე აღბეჭდილა პოლონეთის აჯანყების (1863 წ.) ჩამქრობი მოურავიოვი. მარა ეს პირი უმანკო ბალღია შედარებით საქართველოს დღევანდელი ჯალათებთან, სტალინ-ორჯონიკიძეებთან. ამათ დააყენეს ქართველი ხალხის სისხლის გუბე და შიგ ცურაობენ სიცილ-ხარხარით.

სანამ ქვეყნათ იარსებებს ქართველი ერი, მისი გულიდან არ ამოიშლება ეს საშინელი ხვედრი.

დავიწყების ზეწარი გადაუფარებია ლანგთემურის შემოსევას, შახაბასის აოხრებას, სააკაძის გამოლაშქრებას, არ დაივიწყებს მხოლოდ სისხლის მსმელთა ბრბო. დღეს საქართველოში მოკალათებული სიმხეცე მათი გაუგონარი საუკუნოებს გადაეცემა.

ქართველი ერი გლოვის ძაძებშია გახვეული, ის დასტირის ვერაგულათ დაღუპულ საუკეთესო შვილებს. მოიგონეთ ძველი თქმულება: ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა! ნუ სტირით, მომავალი ჩვენია!

გადახედეთ ჩვენს ისტორიას. სადღა არიან საქართველოს ძველი მტარვალნი? ჟამთა ბრუნვამ მათ გაუთხარა საფლავი. გაივლის მოკლე დრო და აქვე ნუ იკითხავთ - სადღა არიან საქართველოს დღევანდელი მტარვალნი! მათ საფლავსაც კი ვერ მიაგნებს ვერავინ.

მახვილის ამღებნი მახვილით დაეცემიან, ამ განაჩენს ვერ ასცდება მტარვალი.

ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება, გამაგრება და მომავლისაკენ იმედიანათ გახედვა.

მისთვის მოსკოვი სამუდამოთ მოკვდა. ახლა ბრმასაც კი აეხილა თვალი და დაინახა სისხლით დამთვრალი ტირანი. ჩვენ და მას შორის უკვე გზა არის კლდიანი.

ქართველი ერი დღეს სავსებით გამთელდა. საერთო უმადურობის ემბაზში მონათლული. ის დგას ერთი დროშის ქვეშ, ერთი აზრით, ერთი გრძნობით გაჟღენთილი. მისი სიმტკიცე, მისი ერთობა და ა. შ. დროშისათვის ერთგულ ერმა მას მიანიჭებს საბოლაო გამარჯვებას. მისი მცნება უნდა გახდეს გალილეოს გმირული სიტყვები. ის ჯალათის წინაშეც კი უშიშრად იმეორებდა: „მაინც ბრუნავსო!

დიახ, საქართველო მაინც ბრუნავს!“ ეს ნათელყო აგვისტო-სექტემბრის ამბებზე მსოფლიოს გამოხმაურებამ. არც ერთ პატარა ერს ღირსებია ასეთი საყოველთაო, ამის რეალიზაცია უეჭველათ მოხდება, როდის - ეს სხვა საკითხია, აჩქარება არ გვმართებს. რაც დრო მიდის მოსკოვი სუსტდება, ლპება და ორმოსაკენ მიექანება. მისი მესაფლავე წარმოსდგება შიგნიდან თუ გარედშიდან - ეს ჩვენთვის სულ ერთია. ორი შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყოთ, მზათ უმთავრესათ მორალურათ, მტერთან მტრულათ მუდმივ ბოლომდე.

შიში არ იცის მებრძოლმა ერმა, ერთი დაღუპულის ადგილას ასი ჩადგება. სულიერი მონობას ჩვეული არ არის ქართველობა. ის თავაწეული და

საქართველოს ეროვნული არქივი

თვალხილული მოდის ეკლიან გზაზე. ის იძულებულია დროებით მოითმინოს ძალმომრეობა, მარა მას არასოდეს არ აღიარებს სასურველ მოვლენათ.

საქართველოს საკურთხეველზე დიდი სხვერპლია მიტანილი; იქ ანთებულია ლამპარი სისხლით მორწყული; იქ ირეკება გლოვის ზარი; იქ იღუპება წამებულის წინაშე და იდება ფიცი, ფიცი გაუტეხარი...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობა.
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია /ხელრთვა/

1924
ნოემბერი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2113, ანაწერი 1, საქმე 33, ფურცლები 23-26.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ზუგდიდის მაზრის სოფელ კახათის მკვიდრის ივაკა გუგუჩიას განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას მისთვის ცხენის წართმევის შესახებ
1924 წლის 6 დეკემბერი

ზუგდიდის მაზრის აღმასკომს

მცხ. სოფ. კახათის
ივაკა გუგუჩიასაგან
განცხადება

ა/წ. 28 აგვისტოს აჯანყების დროს წეიყვანეს ჩემი საკუთარი ლაფშა ცხენი - მე ვარ მოხუცებული ბებერი კაცი, არამყავს არავინ, გარდა ერთი ქალიშვილისა, ქონებრივად ვარ ღარიბი. მე იმ ჩემ ცხენით ვარჩენდი ჩემს გაჭირვებული ოჯახს. მე შემომითვალა კახათის თემის საბჭოს თავმჯდომარე ანდრი თოლორაიამ ამავე სოფლის მცხ. კომუნარი იონა კეზუას პირით ცხენი მათხოვეო ზუგდიდში მივდივართო. მე ვათხოვე ცხენი და წეიყვანა ხსენებული კეზუამ. ის თურმე მის აზრით მოსულა თუ არა თოლორაიას არ გამოუგზავნია. მან კეზუამ ეხლა განაცხადა, მე სვანეთში წევედი და იქ ცხენი რუსებმა წამართვესო. და ამნაირად გაჭირვებული კაცს დამეკარგა ჩემი საცხოვრებელი წყარო. გთხოვთ თქვენს განკარგულებას, რათა ვიქნე მე დაკმაყოფილებული ჩემი ცხენის საფასურით - ვის განაცხადი ჯერ არს.

მთხოვნელი ივაკა გუგუჩია
13/XI 24 წ.

ნარკვევი: მცხ. სოფ. კახათის ივაკა გუგუჩიას ნამდვილად ყავს დაკარგული მისი კუთვნილი ლაფშა ცხენი. ცხენი ჩამოურთმევიათ ადგილობრივ ორგა-ნიზაციას მობილიზაციის წესით დროებით. ცხენი შემდეგი ნიშნეულობისა: ტანად საშუალი, ფერად წითელი, ძუა-ფაფარი და ოთხივე ფეხები მუხლს ქვეით შავი - დაღი მარცხენა შვარძვალზე „£“ ამნაირი - მეტი განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს.

ზუგდიდის რაიმილ. უფროსი ა. თოლორაია /ხელრთვა/
საქმ. მწ. /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: შეტანილი იქნეს საერთო სიაში. 6/XII.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 43, ფურცელი 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

ახალციხის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ე. ღვამიჩავასა და ტექნიკური მდივან ყირქესალოვის მიმართვა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო პროკურორ ვარძიელს მაზრაში დაკეტილი ეკლესია-მონასტრების მრევლისთვის დაბრუნების მიზანშეუწონლობის შესახებ
1924 წლის 6 დეკემბერი

ასლი

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო პროკურორს ამხ. ვარძიელს

მაზრაღმასკომი გაცნობებთ, რომ ახალციხის მაზრაში რელიგიური საკითხი არ არის და არც ყოფილა გამწვავებული, რადგან ჩვენ მაზრაში საყდრები არ დაგვიკეტია, დაკეტილი იქმნა მხოლოდ ქალ. ახალციხეში ერთი მართლ-მადიდებლების, ერთი სომეხ-გრიგორიანების, ერთი კათოლიკეების და ერთი ებრაელების სალოცავი, დარჩა დაუკეტავი და იმყოფება ქალ. ახალციხეში სათანადო რელიგიურ საზოგადოებების განკარგულებაში, ერთი მართლ-მადიდებლების, სამი სომეხ-გრიგორიანების, სამი კათოლიკეების ეკლესიები და ერთი ებრაელების სალოცავი, არსებულ სალოცავეების დაწესებულებები არამც თუ აკმაყოფილებს მათ რელიგიურ მოთხოვნილებებს, არამედ ზედმეტიც არის, რის დამამტკიცებელია ის, რომ თუმცა საზოგადოებებს გადაეცა სალოცავები, ზოგიერთ მათგანში წირვა-ლოცვა არ სწარმოებს, მიუხედავად ამისა მცხოვრებლებს, საქართველოს ცაკ-ის N124 დადგენილებისა შემოაქვთ განცხადებები მათ დაბრუნების შესახებ, მაზრაღმასკომს არ შეუძლია დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება ზემოაღნიშნული მიზეზის და მეორე მით, რომ მაზრაღმასკომმა ათი ათასი მანეთზე მეტი დახარჯა დაკეტილ სალოცავ-შენობის შესაკეთებლად ამა თუ იმ კულტურ-დაწესებულების მოსა-თავსებლად, მაგალითად: ა/ სომეხ-გრიგორიანების ეკლესია შეკეთებულ იქმნა და შიგ მოთავსებულია ქალაქის სამკითხველო, ბიბლიოთეკა, სამაზრო მუზეუმი და არქივი, ბ/ კათოლიკეების საყდარი თითქმის დანგრეულ იქმნა გარდა კედლებისა და სახურავის და კეთდება შესაფერისად აგრონომიულ მუზეუმის შესაფერ აუდიტორიათ და სამეურნეო იარაღების გასაცემ საწყობის მოსათავსებლად, რომლის მუშაობაც ამ მოკლე ხანში დამთავრდება, ეზოში კი საჩვენებელი მინდორის გასაშენებლად წარმოებს მუშაობა.

გ/ მართლ-მადიდებლების ეკლესიაში პირველ დღეებშივე იქმნა მოწ-ყობილი ლენინელთა ახალგაზრდა კომკავშირთა დარბაზი, სამკითხველო და ბიბლიოთეკა განყოფილებებით, ამისათვის მაზრაღმასკომი თავის თავს ვალდებულათ რაცხს გაცნობოთ საქმის ვითარება, რადგან მოქალაქეებს შეუძლია საჩივარით მოგმართონ და შეცდომაში შეგიყვანონ, ვითომდა ქალ. ახალციხეში მათ სალოცავი შენობა არ ჰქონდეთ. დავსძენთ, რომ ქალ. ახალციხეში მცხოვრებლებს სალოცავი შენობები ბევრი აქვთ და ჩამორთმეულ სალოცავების დაბრუნება **აუცილებლობას არ წარმოადგენს** პოლიტიკური მოსაზრებით, როგორც რესპუბლიკის სხვა მაზრებში, რომლებშიც რელიგიური

საქართველოს ეროვნული არქივი

საკითხი მწვავედ დგას, რა საგანზედაც ვითხოვთ თქვენ თანხმობას.

პასუხი გთხოვთ გვაცნობოთ.

აღმასკომის თავმჯდომარე: ე. ღვამიჩავა
ტეხნ. მდივანი - ყირქესალოვისა.
დედანთან სწორეა: მდივანი - /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ახალციხის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შტამპი. 1924 წლის „6“ დეკემბერი. N31/ს.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 17, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მოიდანახეს მკვიდრის ნიკო გორდულაძის თხოვნა ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული დუქნის დაბრუნების თაობაზე
1924 წლის 9 დეკემბერი

ზუგდიდის მაზრის თავმჯდომარეს

ხაბუმის თემის სოფელ მოიდანახის
მცხოვრები მოქალაქე
ნიკო ივანეს ძე გორდულაძესაგან
თხოვნა

მე ვარ უკიდურესი ღარიბი მუშა კაცის შვილი, რომელსაც დღიური საზრდოს შოვნა გვიჭირს მიწის სიმცირისა და უნაყოფობისა გამო. ასეთი ღარიბი ოჯახის კაცმა ცოტა ქალაბანის ხელობა ვისწავლე, რადგანაც მცირე უნაყოფო მიწის მქონებელი ვიყავი. ოჯახისათვის დღიური საზრდოს შეძენას ვფიქრობდი, მაგრამ გამიტყუნდა ჩემი მიზანი იმისათვის, რომ მე და ჩემი ძმა დიონისმა ხაბუმეში ვიყიდეთ საერთოდ პატარა ქვის დუქანი, რომლის საშვალებით ცოტ-ცოტა დღიური საზრდოს ვშოულოდით გაჭივრებული ღარიბი ოჯახისთვის. ამისთანა მდგომარეობაში მყოფი კაცს ხსენებული დუქანი დამიკეტეს და დღესაც არ არის გახსნილი. მაინც და მაინც დანაშაულობა იმისთანა არა მქონდა რა, რო დუქანი ჩამოერთვათ. მართალია გამოსვლის დღეს ყველა დიდი და პატარა, კაცი და ქალი მიდიოდნენ ჩხოროწყუსკენ, მეც გავერიე და რო მივდიოდი გზაზედ შემხვდნენ თოფიანი კაცები და მომცეს თოფი დასაკავებლად, არ ვიცოდი საქმე რაში იყო, როგორც უსწავლელი კაცი, მაგრამ საათის შესრულებამდი გავიგე ყოვლის ფერი და მაშინათვე დავაგდე თოფი და გამოვიქეცი სახლისაკენ, ამის მეტი არაფერი დამიშავებია. ჩემი სიმართლე დამტკიცდა და მე განმათავისუფლეს ჩხოროწყუს რაიონში, როგორც უცნობი და უსწავლელი ღარიბი ოჯახის კაცი. შემდეგ ყველას სახლი და დუქანი დაუბრუნეს, ვისაც ჩამორთმეული ქონდა, მე კი არ დამიბრუნეს და ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს გაჭივრებული მდგომარეობაში და ჰქნათ თქვენი მართლ-მსაჯველი განკარგულება და ჩემი დუქანი დამიბრუნოთ და მით მოგვცეთ საშვალება ცხოვრებისა.

მთხოვნელი ნიკო გორდულაძე /ხელრთვა/

1924 წ.
„8“ დეკემბერსა

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: კომისიას გადაეცეს გასარჩევათ. 8/XII /ხელრთვა/. მის განცხადებაზე უარი ეყოს. შემ. 9/XII. N1172

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცლები 165-166.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის მკვიდრების თედო და სვიმო შენგელიების განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული დუქნის დაბრუნების თაობაზე 1924 წლის 13 დეკემბერი

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

სოფელ ხაბუმის მცხოვრებნი
თედო და სვიმო ტუტუიას ძენი
შენგელიებისაგან

განცხადება

უკანასკნელი ჩვენთაგანის შვილები ფილუ და გრიგოლი შენგელიები 20 სეკტენბერს ამა 1924 წლისა მოკლული იქნენ სხვებთან ერთად ჩხოროწყუ-ზუგდიდის გზაზე უკანასკნელ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის. ფილუ შენგელია დროებით იდგა პირველი ჩვენთაგანი თედოს და უკანასკნელის შვილი ალექსი შენგელიას (ალექსი შენგელია მოკლული იქნა გერმანელებთან ომში 1915 წელს) საკუთრად ქუჩუ ვახანიასაგან ნაყიდი დაბა ხაბუმეში ქვის დუქანში, რომელსაც ჩრდილოეთით საზღვრავს ყარა ვახანიას და სამხრეთით პავლე ჯალაღონიას ქვის დუქნები და, რომელსაც ჩვენ ორივე ძმები ვფლობდით შეუწყვეტლივ პირველი როგორც მესაკუთრე ნახევარი იმ დუქნისა და მეორე როგორც მემკვიდრე ომში მოკლული შვილისა. დღეს ჩვენ ეს დუქანი გაგვაღებია ხაბუმის თემის საბჭოს თავმჯდომარე მელიტონ ჩიქოვანმა და დააყენა მობინადრე მოწაფეები რომ ეს დუქანი ჩვენ გვეკუთვნოდა და არა ფილუ შენგელიას, ამის განცხადება წერილობითი მივეცით დღესვე ხაბუმის თემის საბჭოს სახელზე, მარა უკანვე მოგვიბრუნა საბჭოს თავმჯდომარე ჩიქოვანმა და გამოგვიცხადა მიმართეთ მაზრის აღმასკომს. ჩვენ ვართ ღრმად მოხუცებულნი ორივე და შრომის უნარს მოკლებულნი, ოჯახში მუშა არა ვინა გვყავთ, ხოლო ჩვენივე შრომა და ამ დუქნის საშუალებით უნდა ვატაროთ ჩვენ ჩვენი მოკლე დღენი. ეს დუქანი რომ ასთე ნაყიდია იმის დასამტკიცებლად საჭირო დროს ჩვენ წარვადგენთ ნასყიდობას და მოწმად ვნიშნავთ სოფ. მოიდანახის მცხოვრებნი: 1. ანდრი, 2. ყარა და 3. სევერი ქუჩუს ძენი ვახანიებს და მეტი საჭიროა მთელი ჩვენი სოფლის მცხოვრებთა უმეტესობას.

გთხოვთ ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვიდეთ განხილვაში ჩვენი განცხადებისა და ზემოაღნიშნული ქვის დუქანი მოგვიბრუნოთ ჩვენ ორივე მოხუცებული პიროვნებების სარჩენი მოსაშვალედ. ამასთან დართულია განცხადება.

მთხოვნელნი თედო შენგელია, წერა არ ვიცი, მის მაგიერ მისი თხოვნით და ჩემდა თავად ხელს ვაწერ მე სვიმ. შენგელია

1924 წელს 13 დეკენბერს

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცლები 172-173.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის მკვიდრის ბაჩუა დადიანის განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯომარეს, რათა მას დაბრუნებოდა სახლის ზედა სართული, რომელიც ჩამოერთვა მეუღლისა და შვილის 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო
1924 წლის 15 დეკემბერი

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

სოფ. ხაბუმის მცხოვრები
ბაჩუა დადიანისაგან

განცხადება

წარსულ აგვისტოში მომხდარმა ავანტიურისტულმა გამოსვლებმა იმსხვერ-პლეს ჩემი ქმარი და შვილი; დამრჩა ხელზე ქალიშვილი, შვილისშვილები და რძალი; ცხოვრების სახსარი კი ხელიდან სრულებით გამომეცალა. ერთი თავშესაფარი სახლი გვქონდა და ისიც ჩამომართვეს ზევითა სართული. ეს სახლი არ არის ისე აგებული, რომ ქვედა სართული ვარგოდეს ადამიანის საცხოვრებლად. ამის გამო მთელი ოჯახი ისედაც შეწუხებული, განიცდის დიდ გაჭივრებას.

ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ ჩემი სახლი იქნეს შემოწმებული და თუ მისი ქვედა სართული არ იქნება გამოსადეგარი ადამიანის საცხოვრებლად, დაგვიბრუნდეს სახლი.

მთხოვნელი: ბაჩუა დადიანისა

1924 წ. 15/XII

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: გამოსარკვევად.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 171.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას დახვრეტილი ნიკო შონიას მეუღლის, დესპინე შონიას განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ 1924 წლის 16 დეკემბერი

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

ქ. ახალ-სენაკის მცხოვრები ქვრივა
დესპინე შონიასაგან

თხოვნა

უკანასკნელი გამოსვლების დროს იქნა დახვრეტილი ჩემი ქმარი ნიკო შონია, რომელსაც არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიუღია ბანდიტურ გამოსვლებში, მხოლოდ დაისაჯა სიკვტილით როგორც ვაჭარი; ამის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილებით ჩამომერთვა ყოველგვარი სავაჭრო საქონელი რამოდენიმე ათას მანეთის ღირებულებისა და ეხლა კიდევ ჩამომართვეს სახლის ქვედასართულში შენახული ფიცრები, კრამიტები, სახლის სახურავი და სხვა ოჯახისთვის სახმარებელი უბრალო ნივთები. ოჯახი ჩემი შესდგება ოთხი სარჩენი სულისაგან 1) მე თითონ 65 წლისა, შვილი ჩემი ვლადიმერი 10 წლისა, ჩემი ქმრის ქვრივი და იუსტინე 70 წლისა, და ჩემი ძმის წული გაჭირვებული გოგო ეფროსიმე 12 წლისა. ჩემი ქმარი ნიკო შონია იყო უბრალო და გაუნათლებელი, ვაჭარი შთამომავლობით, სოფლის ღარიბ გლეხის შვილი და არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ არასდროს არ გამოსულა, რაც შემიძლია დავამტკიცო ადგილობრივი მოწმებით. აღნიშნული ქონების ჩამორთმევის შემდეგ ჩემს ოჯახში არ მოიპოვება არც მუშა ხელი და არც არავითარი ქონებრივი საშვალეობა, რომლითაც შემეძლოს ობლების სიცოცხლის შენარჩუნება.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ თქვენს სამართლიან განკარგულებას, რათა დამიბრუნდეს ჩემი ობლებზე ჩამორთმეული ქონება, რითაც შემეძლოს უპატრონო ობლების გაზრდის საშვალეობა.

მთხოვნელი: ქვრივი დესპინე შონია

1924 წ. 14 დეკემბერს.

P.S. დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 16/XII.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 10.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას დახვრეტილი ივანე ზესაშვილის მეუღლის ქსენია ზესაშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული საპნის ქარხნის დაბრუნების შესახებ
1924 წლის 17 დეკემბერი

ს. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარეს

მცხოვრები სენაკის მაზრისა, ქ. ახალსენაკის
ქვრივა ქსენია დიმიტრის
ასული ზესაშვილის

შვამდგომლობა

ქმარი ჩემი ივანე ზესაშვილი, ამა წლის ეკენისთვეში, მენშევიკების გამოსვლების დროს, იქმნა დასჯილი უმაღლესი სასჯელით - სიკვდილით, ის იყო ავათმყოფი კაცი, პოლიტიკის არა გაეგებოდა რა და არავითარი აკტიური მონაწილეობა მას გამოსვლებში არ მიუღია, მის დასჯას მე ვაწერ შეცდომას. მისი სიკვდილის შემდეგ დავრჩით ოთხი სული შრომის უნარს მოკლებულნი: მე ავათ მყოფი - ორსული, ორი შვილი ერთი „6“ წლისა და მეორე სამისა და სრულიად ობოლი - უდედმამო ნადია ზესაშვილი, რომელსაც ზრდიდა და არჩენდა ჩემი ქმარი და მე უნდა შავინახო „18“ წლისა. არა ვითარი წყარო ცხოვრებისა არ გაგვაჩნია, გვქონდა სულ უბრალო მოწყობილობა, შეფასებული კამისიის მიერ **253 მან. და 55 კაპ., საპონის საკეთებელი,** რომლითაც შეგვეძლო გვეშრომა და მოგვეპოვებია მჭადის საფასური, მაგრამ ეს ჩამოგვერთვა სენაკის მაზრის აღმასკომის პლენუმის დადგენილებით - კონფისკაციით ამა დეკენბრის თვის „3“ დადგენილებით. მიუხედავათ იმისა რომ - არა ვითარი წყარო და საშვალება არსებობისა - ვალიც დარჩა ჩემს ქმარს **„700“ მანეთი**, რომლის გარდახდა აუცილებელია.

მოხსენებულის მიხედვით, ვითხოვ თქვენს წინაშე მოგვაქციოთ ყურადღება ქვრივ ობოლთ, უდანაშაულო პიროვნებეებს, მოგვცეთ საშვალება არსებობისა და **ჰქნათ განკარგულება დაგვიბრუნდეს** ეს უბრალო მოწყობილება საპონის საკეთებელი, რომლის ღირსებას და ფასს დაინახამთ ამასთან წარმოდგენილ აღნუსხვის ასლში - მცირე რამ ღირებულება - 253 მან. და 55 კაპ.-

ამასთან ვარდგენ: სიღარიბის მოწმობას, პლენუმის ამონაწერს და აღნუსხვის ასლს.

ამ შუამდგომლობის შეტანას ვანდობ ჩემს დას მარგარიტა დიმიტრის ასულ წულეისკირს.

ქვრივა ქსენია ზესაშვილისა

10/XII-24 წ.

P.S. დოკუმენტსაზისსრულიადსაქართველოსცენტრალურიაღმასრულებელი კომიტეტის ბეჭედი თარიღით 16/XII. 1924 წ. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ამხ. ხარაზაშვილს. 17/XII.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მონაწილის ხარიტონ ქვარაიას ანკეტა
1924 წლის 20 დეკემბერი

ანკეტა

1. გვარი ქვარაია
2. სახელი და მამის სახელი ხარიტონი ივანეს ძე
3. წოდება ბობოლა გლეხი
4. ეროვნება ქართველი
5. რომელ პარტიას ეკუთვნის? ნაციონალ-დემოკრატების
6. მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ
7. ოჯახის შემადგენლობა ოთხი სული
8. ნივთიერი მდგომარეობა საშვალი
9. პროფესია მიწის მუშა
10. რა ქონება უნდა ჩამოერთვას ერთი უნაგირი თავისი მოწყობილობითურთ
11. რა ურჩება საცხოვრებლად ოჯახს ერთი „ოდა“, ერთი კაზარმა, ერთი საღორე, ერთი ფური კამეჩი, ორი ძროხა, 3 ღორი
12. ოჯახში არის თუ არა შრომის უნარიანი და ვინ? თვითონ ხარიტონი ქვარაია
13. ქონება ეკუთვნის ხარიტონი ივანეს ძე ქვარაიას
14. სამართლიანია თუ არა კონფისკაციის მოხდენა? (დართული უნდა ი ქნას რაიაღმასკომის დადგენილება). კონფისკაციის მოხდენა სამართლიანია
15. თუ ეპატიება რისთვის -

დარჩელის რაიაღმასკომის თავმჯდომარე კ. მიქაია
საბჭოს თავმჯდომარე /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დაუბრუნდეს. 1924 წლის 20 დეკემბერი.

საქართველოს ეროვნული არქივი, სამეგრელოს რეგიონალური არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 41, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მაზრებიდან განდევნილების საჩივრების განხილვა 1924 წლის 24 დეკემბერი

განდევნილ თავად-აზნაურთა საჩივრების განსახილველად და საზოგადოდ ამ საქმეების შესწავლის მიზნით ცენტრალურ კომიტეტის მიერ დანიშნული კომისია შეუდგა მუშაობას 1924 წლ. 21 ნოემბრიდან.

კომისიაში თავი მოიყარა განდევნილ თავად-აზნაურთა რამოდენიმე თხოვნამ - თელავის მაზრიდან - 25, სიღნაღის მაზ. - 15, გორის - 20; იყვნენ აგრეთვე თითო-ოროლა თხოვნები ბორჩალოს, ზუგდიდის და სენაკის მაზრებიდან.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე დაადგინა წინადადება მიეცა მაზრის ხელისუფლებისათვის წარმოედგინა დასაბუთება ამა თუ იმ თავად-აზნაურის განდევნის მიზეზის შესახებ.

ამ წინადადებაზე დამაკმაყოფილებელი მასალები შემოვიდა თელავის მაზრიდან თავის დროზე სოფლის საბჭოების სხდომის ოქმების სახით, რომ-ლებშიდაც აღნიშნული არის, თუ რა მიზეზით იდევნება ესა თუ ის პირი. ეს მიზეზი თითქმის ერთნაირია - თავადობა, აზნაურობა, სამღვდელოება სხვისი შრომის ექსპლოატაცია და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილება.

ასეთივე ოქმები შემოვიდნენ შემდეგ გორის მაზრიდანაც, მხოლოდ სიღ-ნაღის მაზრიდან, რომლისაგან ყველაზე უფრო ნაკლები ადგილი ქონდა განდევ-ნას, ვერ დააკმაყოფილა კომისიის მოთხოვნილება.

შემდეგ კომისიის მიერ განხილული იქნა შემოსული თხოვნები შესაფერ მაზრების აღმასკომის და ზოგი რაიონების თავმჯდომარეთა თანდასწრებით.

დიდ უმრავლეს შემთხვევაში კომისიამ დაადასტურა ოქმების შინაარსი და შემოსულ თხოვნებზე უარყოფითი დადგენილება გამოიტანა. მხოლოდ ზოგიერთი ეჭვის აღმძრელი თხოვნები გადაეგზავნა მაზრებს საკითხის ხელახლა გადასასინჯავად.

მაზრებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით გამოირკვა შემდეგი:

თელავის მაზრიდან - განდევნილი იქნენ 274 კომლი. ამათგან, შემდეგ, საკითხის გადასინჯვის დროს დაბრუნებულ იქნენ 80 კომლი. დარჩა ძალაში გაძევების დადგენილება 196 კომლის მიმართ.

გორის მაზრიდან განდევნილი იქნენ 131 კომლი.

სიღნაღის მაზრიდან განდევნილი იქნა 200 კომლი.

სულ - 527 კომლი.

განდევნილთა უძრავ-მოძრავი ქონება ზოგი დანაწილებული იქნა გლეხებს შორის, ზოგი გადავიდა გლეხკომების განკარგულებაში და ზოგი გადაეცა კოოპერატივებს. ზოგიერთ განდევნილებს მიეცათ აუცილებელი საჭირო ნივ-თები და სურსათი.

ამნაირად, კომისიის შეხედულებით, საკითხი განდევნილთა უკან დაბრუ-ნების შესახებ დამთავრებულად იქნა ცნობილი 24 დეკემბრის მის უკანასკნელ სხდომაზე.

უკეთუ მომავალში აღიძრება თითო-ოროლა საკითხები, ეს უნდა განხილულ იქნეს ვაკის პრეზიდიუმში და სამდივნოში.

საქართველოს ეროვნული არქივი

არ არის გადაჭრილი საკითხი მხოლოდ განდევნილთა მომავალში არსებობის შესახებ, რაც მეტად მწვავეთ სდგას; განდევნილების ოჯახობა მრავლად მიმართავდენ კომისიის მისი მუშაობის დროს და ეს მიმართვა გრძელდება შემდეგ ცაკისადმი, რათა მიეცეთ მათ ცხოვრების სახსარი, რადგან ისინი არ სთვლიან თავს დამნაშავეთ - განსაკუთრებით განდევნილთა შვილები, რომ დაიბადნენ თავად-აზნაურების შვილებად და არა გლეხებისა. ისინი თავიანთ თხოვნებს ასაბუთებენ მით, რომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვით მათ არავის წინაშე, მათი მცირეწლოვანების გამო. მათი მშობლების ქონება კი იქმნა მთლიანად ჩამორთმეული.

აღსანიშნავია, რომ თვით გამოდევნილები იშვიათად სძრავენ შუამდგომლობას უკან დაბრუნების ან ქონების დაბრუნების შესახებ, არამედ უმეტეს შემთხვევაში მათი ცოლები და შვილები.

მათი მდგომარეობა რომ მართლაც მეტად ცუდია - ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა.

კომისია მხოლოდ იმ შეხედულების არის, რომ განდევნილების ოჯახობის უკან დაბრუნება პოლიტიკურად მავნებელი იქნება. მაგრამ ახალგაზრდობას რაიმე საშვალება უნდა მიეცეს არსებობისათვის.

გამოდევნილთა შორის არიან რამდენიმე აგრონომები, ბეითლები და სხვა სამეურნეო დარგში გამოსადეგი პირები. ისინი სვამდნენ საკითხს - შეუძლიათ თუ არა მათ აირჩიონ საქართველოს ფარგლებში სადმე თავისუფალი მიწა, რომელზედაც ისინი მოკიდებენ ხელს სოფლის მეურნეობას და დასახლდებიან იქ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა რაიმე დახმარებას აღმოუჩენთ მათ.

კომისიას ამაზე არავითარი გარკვეული პასუხის მიცემა არ შეეძლო, რა თქმა უნდა, მაგრამ კომისია ფიქრობს, რომ შესაძლებელია მათი წინადადების დაკმაყოფილება, თუ კი ისინი წარმოადგენენ გეგმას და ადგილსაც უჩვენებენ, თუ სად შეიძლება მათი დასახლება ისე, რომ გლეხებს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდეთ. მათი ისეთ მდგომარეობაში დატოვება, როგორშიდაც დღეს იმყოფებიან, ხელისუფლებისათვის არ არის სასარგებლო.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცლები 37-38.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს დახვრეტილი მიტროფანე ჩინჩალაძის მეუღლის მარიამ ჩინჩალაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე
1924 წლის 25 დეკემბერი

სრულიათ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს

მოქ. მარიამ ჩინჩალაძეს და
მიტროფანე ჩინჩალაძეს ობლები.
სოფ. კეხისჯვარი, გორის მაზრა.
25 დეკემბერს 1924 წ.

განცხადება

1921 წლის ნოემბერში, სოფ. კეხისჯვარში ამოხოცეს მთელი ოჯახი ჩინ-ჩალაძეებისა. ესენი იყვნენ ჩემი ქმრის ორნი ძმანი, და, და ძმის წული - 7 წლის ბავშვი.

თავიდან საქმე ისე მიყრუებული იყო, რომ რიგიანი გამოძიება არც კი მოუხდენიათ, და შემდეგ საქმე გადასცეს სახალხო სასამართლოს ვითომ რაღაცა უბრალო საქმე. მაგრამ ჩემი ქმრის მიტროფანე ჩინჩალაძეს მეოხებით ეს საქმე მოითხოვა ტრიბუნალმა და მისცა სათანადო მსვლელობა.

პასუხის გებაში მიცემულნი იყვნენ ვასილ თიბილაშვილი თავისი ორი ძმით, ძმის წულით და ბიძაშვილით, ყველანი კომპარტიის წევრები 1921 წლიდან. მაგრამ სწორეთ აქედან იწყობა ჩემი ქმრის დევნა თიბილაშვილების მიერ. არა ერთხელ სიტყვიერად და წერილობით ჩემმა ქმარმა გამოუცხადა მთავრობის სხვა და სხვა წარმომადგენლებს, რომ თიბილაშვილები და მათი ნათესავები მას ემუქრებიან, და სთხოვა რამე დახმარება, მაგრამ რა დახმარება უნდა გაეწია მთავრობას, როცა ყველაფერი ხვდებოდა საიდუმლოთ, და აშკარა დამნაშავენი არა ჩნდებოდნენ.

როგორც ეტყობა თიბილაშვილები არა ჩქარობდნენ და ელოდებოდნენ სათანადო გარემოებას. ზემოხსენებული საქმე აქამდინაც არ გათავებულა, მაგრამ მტრებმა ჩემ ქმარს უკვე ბოლო მოუღეს.

ა/წ. სექტემბრის რვაში, ე. ი. იმ დროს, როცა გაცემული იყო საერთო განკარგულება არეულობის შემდეგ დახვრეტის შეჩერების შესახებ, სოფ. კეხისჯვარში მოვიდნენ ქარელის ინფორმპუნქტის წარმომადგენელნი, წაიყვანეს ჩემი ავადმყოფი ქმარი ქარელში, მაგრამ იქამდინ არ მიიყვანეს, რადგანაც მოკლეს შუა გზაში. ამ საქმის შესახებ მე უკვე აღვძარი თხოვნა იუსტიციის კომისარის წინაშე, რომლის აზრით საჭიროა სასტიკი გამოძიების მოხდენა, მაგრამ ამის გარდა შემდეგში მე და ჩემ ობლებს ჩამოგვერთვა მთელი ჩვენ ქონება და დავრჩით გაღატაკებულ-გაუბედურებულნი.

ამასთანავე ერთად ვადგენ ჩამორთმეულ ქონების სიას, რომლიდანაც

საქართველოს ეროვნული არქივი

სჩანს, რომ ჩვენ ჩამოგვართვეს იმისთანა საგნებიც (მაგალითად სახნავ სათესი იარაღი, ლოგინი, უღელი, სამუშაო საქონელი და სხვა) **რომლის ჩამორთმევა კანონის ძალით ყოველ შემთხვევაში** აკრძალულია, მაგრამ იმ შემთხვევა-შიაც რომ ჩემი ქმარი დახვრეტილი იყოს როგორც კონტრრევოლუციონერი, ამნისტიის პირველი მუხლის ძალით ეს ქონება უნდა დაუბრუნდეს მიტროფანე ჩინჩალაძეს მემკვიდრეებს.

ზემოხსენებულის გამო ვთხოვთ გაეცით განკარგულება, რათა აღნიშნული ქონება დამიბრუნონ მე და ჩემ მცირე წლოვან ორ ობოლს.

რადგანაც მარიამ ჩინჩალაძისამ წერა არ იცის, მისი თხოვნით ხელს ვაწერ. ე. მაჩაბელი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 10, ფურცლები 50-53.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული მავნე პირების ადმინისტრაციული წესით გადამასახლებელი კომისიის თავმჯდომარის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოუცლელობის გამო კომისიაში ბერიასა და ოკუჯავას ნაცვლად ურუშაძისა და ბეჟანოვის შეყვანის თხოვნის შესახებ
1924 წლის 31 დეკემბერი

ფრ. სასწრაფოთ

საქ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს

საქ. ც. ა. კომიტეტის პრეზიდიუმის N11 დადგენილებით შ. ს. ს. კომისარიატთან არსებული მავნე პირთა ადმინისტრატიულ წესით გადამასახლებელ კომისიაში შედიან: იუსტიციის სახ. კომისარიატიდან რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ამხ. **ოკუჯავა** და საქართველოს საგანგებო კომისიიდან ამხ. **ბერია**. ვინაიდან უკანასკნელნი გადატვირთული არიან სხვა და სხვა საქმეებით და ვერ ესწრებიან კომისიის სხდომებს, ხოლო ფაქტიურათ მათ ნაცვლად კომისიაში მუშაობენ იუსტიციის სახ. კომისარიატიდან აღმოსავლეთ საქ. პროკურორი ამხ. **ურუშაძე** და საქ. საგანგებო კომისიიდან ს. ს. ს. რ. განყ. უფროსი ამხ. **ბეჟანოვი.** ზემოხსენებულის გამო ვშუამდგომლობ პრეზიდიუმის წინაშე რომ ამხ. ოკუჯავა და ბერიას ნაცვლად დანიშნულ იქნან ამხ. ამხ. ურუშაძე და ბეჟანოვი.

კომისიის თავმჯდომარე /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ორი შტემპი: 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტემპი. 23 დეკემბერი 1924 წ.; 2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი. 31/XII. 1924 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 17, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლის მუშაობის შესახებ 1924 წელი

ამერიკაში მუშაობა

1924 წ. საქართველოს აჯანყების შემდეგ ამერიკაში იწყება უფრო ინტენსიური მუშაობა, ხოლო ნიადაგის მოსასინჯათ კიდევ 1922 წ. ზ. ავალიშვილი იყო ამერიკაში, მაგრამ მის იქ მუშაობას არავითარი შედეგი არ მოყოლია.

1924 წელს ამერიკაში მუშაობდა ვ. დუმბაძე, როგორც საქართველოს მთავრობის, ისე აზერბაიჯანის და მთიელთა დავალებით. მისი მუშაობა უმთავრესათ იყო ჩვენი საქმის პროპაგანდა და მიაღწია იმას, რომ საქართველოს საკითხი დასმულიყო სენატის საგარეო და წარმომადგენლობის კომისიაში ამერიკის შეერთებული შტატების.

ამ კომისიამ დაადგინა, რომ ამერიკის მთავრობამ საქართველოს მთავრობასთან იყოლიოს წარმომადგენელი და გააბას მასთან კავშირი. ამ კომისიის ოქმები ვრცელ წიგნათ და სავსე ფაქტიურ მასალებით დაიბეჭდა თვით სენატის ხარჯით მის სტამბაში. (იხილეთ წიგნი. ეს წიგნი ვერ ვიშოვნე).

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 117, ანაწერი 1, საქმე 130, ფურცელი 7.

საქართველოს ეროვნული არქივი

1925

საქართველოს
ეროვნული
არქივი

სიღნაღის მაზრის სოფელ ჩუმლაყიდან განდევნილი დათა ავალიშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ
1925 წლის 26 იანვარი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

დათა ალექსანდრეს-ძე
ავალიშვილისა

თხოვნა

მე ვცხოვრობდი სოფ. ჩუმლაყში სიღნაღის მაზრაში, მყავდა ჩემი საკუთარი ცხვარი, ერთი დესეტინა ჩემი გაჩენილი ვენახი და სახლი თავის ეზოთი, როგორც ცხვარს აგრეთვე ჩემ ქონებას მე თვითვე უვლიდი, მაგრამ ამ უკანასკნელ ამბების გამო სოფ. ჩუმლაყიდან ვიქენი გამოდევნილი და დავიარები უსაქმოდ და ვერავითარი ჩემთვის სახსარი ვერ გამიჩენია. ვინაიდან მე განვიცდი დიდ გაჭირვებას და სოფლისათვისაც არავითარი ზიანი არ მიმიყენებია, ამისათვის ვითხოვ ზემოაღნიშნული ჩემი ქონება დამიბრუნდეს და ამითი მომეცეს მე არსებობის საშუალება და ვასაზრდოვო ჩემი მოხუცი დედა და უნცროსი და.

დავით ავალიშვილი.
25/I- 25 წ.

P.S. დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულე-ბელი კომიტეტის შტემპი თარიღით 26/I. 1925 წ. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: მაზრის აღმასკომს. 26/I. 25 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცელი 61.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლის მიტროპოლიტ ქრისტეფორე ურბნელის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე
1925 წლის იანვარი

საქართველოს სსს რესპუბლიკის ცაკს

საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესიის საქმეთა დროებითის მმართველის
ურბნელ მიტროპოლიტის ქრისტეფორესაგან

მოხსენება

როგორც ტფილისის სამღვდელოებამ თავის საოლქო კრების დადგენილებით, ისე საქართველოს ყველა ეპისკოპოსებმა მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში 1924 წლის 20 ოქტომბერს, განუცხადეს მთავრობას, რომ სამღვდელოება სცნობს საბჭოთა მთავრობას, ჰგმობს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს, როგორიც მოწყობილ იყო 1924 წლის აგვისტოს გასულს.

მაგრამ ამავე დროს საქართველოს ეკლესია სცნობს კათოლიკოს-პატრიარქად ამბროსის, რომელიც მის მიერ გაგზავნილ მემორანდუმისათვის არის დასჯილი და ზის გამასწორებელ სახლში.

საეკლესიო კანონების თანახმად, უკეთუ პატრიარქი, გინა სხვა სასულიერო პირი, ჩაიდენს დანაშაულს არსებულ ხელისუფლებათა წინაშე, ასეთი დამნაშავე უნდა მიეცეს საეკლესიო სამართალში მთავრობის მოთხოვნილებით. გასამართლებას ასეთს შემთხვევებში ესწრებოდა მთავრობის წარმომადგენლებიც. ასეთი პრაქტიკა არსებობდა ბიზანტიაში, საქართველოში და რუსეთში (მაგ. მიტროპოლიტ ფილიპე მეორის გასამართლება იოანნე მრისხანეს დროს და პატრიარქ ნიკონისა მე 17 საუკუნეში).

პატრიარქმა ამბროსიმ გაგზავნა გენუაში მემორანდუმი. ამისათვის მას მიესაჯა საერო უზენაეს სასამართლოსაგან განსაზღვრული სასჯელი; მასთან ერთად მიესაჯათ გამასწორებელ სახლში ყოფნა სხვა სასულიერო და საერო პირთაც. ზოგიერთმა სასულიერო პირმა მოიხადა სასჯელი და დაუბრუნდა თავის საეკლესიო სამსახურის ადგილს, რადგანაც მათთვის არ ჩამოურთმევია სასულიერო ხარისხი სასულიერო მთავრობას. როგორც სხვა სასულიერო პირნი, პატრიარქ ამბროსისთან გასამართლებულნი (მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზნი ტყემალაძე, თოთიბაძე, მირიანაშვილი, არქიმანდრიტი პავლე), გამასწორებელ სახლიდან განთავისუფლებულნი, დაუბრუნდენ თავთავიანთ საეკლესიო სამსახურის ადგილებს, მე ვფიქრობ, პატრიარქ ამბროსისაც და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძესაც შეუძლიათ დაუბრუნდენ ამის მიხედვით

საქართველოს ეროვნული არქივი

თავიანთ ადგილებს სასჯელის მოხდის, ანუ მთავრობისაგან ვადამდე განთავისუფლების შემდეგ. ამისათვის პატრიარქ ამბროსის სახელს იხსენიებს სამღვდელოება წირვა-ლოცვაზე.

ასეთს ჩემს აზრს საკმარისად ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ პატრიარქმა ამბროსიმ და სხვა მასთან მყოფმა სასულიერო პირებმა გამასწორებელ სახლში ჯდომის დროს მისცეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს შემდეგი განცხადება: „ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი პატივისცემით მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქენი და ამისა გამო ვართ ლოიალურად განწყობილნი საქართველოში არსებულ სოციალისტურ საბჭოთა მუშურ-გლეხურ-კომუნისტურ ხელისუფლებისადმი: ა) ვემორჩილებით მას, ბ) არ ვაწარმოებთ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას, და გ) **მოვუწოდებთ ჩვენს სამწყსოს გულწრფელად დაემორჩილოს მთავრობას** და იყოს მისდამი სრულიად ლოიალურად განწყობილი“. ხელს აწერენ: დეკანოზნი ცინცაძე, თოთიბაძე, მირიანაშვილი, ლაზარიშვილი, არქიმანდრიტი პავლე. ხოლო კათოლიკოსმა ამბროსიმ ზემო ხსენებულს განცხადებაზე მიაწერა: „ამას ჩემის მხრივ დავსძენ, რომ მე ვნანობ, რომ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი (თქვენ) საქართველოს მთავრობას არ გამოგიგზავნეთ“. ხელს აწერს კათოლიკოსი ამბროსი.

მეცა ვსცნობ მთავრობას და მისს სიმტკიცესაც; ამიტომ ვბედავ და მოვახსენებ საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკის ცაკს გულახდილად: მთავრობის სიმტკიცე და ძლიერება განიზომება განუსაზღვრელ ლმობიერებითაც, როდესაც მისი მოწინააღმდეგე სინანულს აცხადებს. თუ დღეს პატრიარქ ამბროსის რაიმე ვნების მიტანა შეუძლია საბჭოთა მთავრობისათვის, ეს ხდება სრულიად მისდა უნებურად გამასწორებელ სახლში ჯდომით.

ყოველივე ზემო ნათქვამის შემდეგ პატივისცემით ვთხოვ ს.ს.ს. რესპუბლიკის ცაკს, კეთილ ინებოს და გაათავისუფლოს დანარჩენ სასჯელის მოხდისაგან კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, **ორთავენი მოხუცნი და საკმაოდ მოუძლურებულნი**, და მისცეს მათ ნება დაუბრუნდენ თავიანთ ადგილებს. რომ ეს პირნი სრულიად უვნებელნი იქნებიან განთავისუფლების შემდეგ მთავრობისათვის, ჩემთვის სრულიად ცხადია, ამის თავდებობის ტვირთვა შემიძლია მთელის ჩემგნით პასუხისმგებლობით.

სრ. საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსის მოვალეობის
დროებითი აღმასრულებელი მიტროპოლიტი
ქრისტეფორე ურბნელი.

1925 წლის
„ “ იანვარს.

***საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 37ა, ფურცლები 1-2.***

საქართველოს
ეროვნული
არქივი

1924 წელს დახვრეტილი დოროთე ცხაკაიას მეუღლის, ლიზა ცხაკაიას განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ
1925 წლის 4 თებერვალი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

ზუგდიდის მცხოვრები - ქვრივა
ლიზა ცხაკაიას, ბადა ანთელავას ასულისაგან
განცხადება

აგვისტოს თვეში, წარსული წლისა, გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით, სხვათა შორის იქნა დახვრეტილი ქმარი ჩემი დოროთე ცხაკაია, სულ უდანაშაულოდ, მტრების დაბეზღებით და იმავე დროს მთავრობამვე კონფისკაციის წესით წაიღო ჩვენი დუქნიდან ამასთან წარმოდგენილი ამონაწერში საქონელი, დაახლოვებით 200 მანეთის ღირებულებისა, რაც შეადგენდა ჩვენი ერთად ერთი სიცოცხლის სახსარსა. მისი სიკვდილის შემდეგ ოჯახში დავრჩით, მე და ორი ბავშვები, შვილები - მცირეწლოვანები, ვცხოვრობთ საერთო სახლში ჩემი მაზლთან - აქვსენტი ცხაკაიასთან, რომლის ოჯახში იმყოფებიან ცოლი და 5 შვილები - ბავშვები, ისიც ღარიბია და თავს ვერ უვლის, ასე რომ მე ბავშვებიანად დარჩენილი ვართ მთლად უმწეოდ და თუ მთავრობამ არ აღმომიჩინა რამე დახმარება, მე და ბავშვებს მოგველის სიმშილით დახოცვა.

მოგახსენებთ რა ამას და უმორჩილესად გთხოვთ შებრძანდეთ ჩემი და ობლების მდგომარეობაში და ინებოთ სასტრაფოთ განკარგულება, რათა ეს ჩემგან ჩამორთმეული ქონება მე დამიბრუნდეს უკან, რომ ამით ბავშვები ვასაზრდოვო რამოდენიმე თვეს მაინც და თუ ეს ამგვარად ვერ ხერხდება იმ შემთხვევაში ამ ქონების მაგიერ მომეცეს მე რამე ნივთიერი დახმარება.

საჭიროდ ვსთვლი მოგახსენოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვარ ჩემი ხელით ჩემი თავი მოვაშორო ამ (წუთისოფელს) მსოფლიოს.

მთხოვნელი ლიზა ცხაკაია
19/21.I/25

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ამხ. ხარაბაძე. დარჩეს უშედეგოთ. ს. თოდრია. 4. II. 1925.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს დახვრეტილი სილიბისტრო უჩანეიშვილის შვილის, სამსონ უჩანეიშვილის თხოვნა საქართველოს სამხედრო კომისარს, რათა უკანასკნელმა უშუამდგომლოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ფურნის დაბრუნების თაობაზე
1925 წლის 6 თებერვალი

ს. ს. ს. რ.
სამხედრო კომისარიატის
სამობილიზაციო ნაწილის
უფროსი
„6" თებერვალი 1925 წ.
N23
ქ. თბილისი

საქართველოს ს. ს. რ. სამხედრო კომისარს
პატაკი

წარსულ წლის აგვისტოს თვეში სამეგრელოში ბანდიტების გამოსვლის დროს იქნა დაჭერილი და მოკლული მამა ჩემი სილიბისტრო იოსეს ძე **უჩანეიშვილი,** 70 წლის, რომელსაც, როგორც მოხუცს, რასაკვირველია, არ შეეძლო გამოსვლაში მონაწილეობის მიღება, არ ეკავა თოფი, შთამომავლობით იყო გლეხი და არავითარი პოლიტიკურ პარტიაში მონაწილეობა მას არას დროზე არ მიუღია.

მისი დაჭერა მოხვდა 1-ლი სეკტემბერს და **იქნა მოკლული** 3 სეკტემბერს, ასე რომ მას არ გაუარია არამც თუ სასამართლო, არამედ არ ყოფილა დაკითხულიც.

მისი მოკვლის შემდეგ კონფისკაციის სახით იქნა ჩამორთმეული ფურნე, მდებარე დაბა აბაშაში, რომლის შემოსავალი არის თვეში 15 მანეთი.

ოჯახში დარჩენ უმწეოთ მისი ცოლი ეფროსიმე 62 წლის, ორი გაუთხოვარი ქალიშვილი და მოსწავლე ვაჟიშვილი სპირიდონი, რომელიც სწავლობს საქართველოს უნივერსიტეტში ქ. თბილისში და იმყოფება ჩემ ხარჯზე.

სენაკის აღმასკომში დედა ჩემის მიერ იქნა შეტანილი თხოვნა ფურნეს დაბრუნების შესახებ. აღმასკომში ეთქვათ - „შეკითხვა არის გაგზავნილი ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტში და იქიდან პასუხს ველითო".

სხვათა შორის ბევრს ქვრივებს ქ. სენაკში დაუბრუნეს ან დუქანი ან სხვა რამე შემოსავლიანი წყარო ოჯახის სარჩენათ. აბაშაში მცხოვრებისათვის ეს საკითხი დღემდე რჩება ღიათ.

ვინაიდან ჩემი მცირე ჯამაგირი არ მაძლევს საშუალებას ვარჩენო დარჩენილ ოჯახის წევრები: მოხუცი დედა და ორი ქალიშვილები, გთხოვთ თქვენ შუამდგომლობას საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ფურნის დაბრუნების შესახებ, რათა ამით გამომიყვანოთ კრიტიკულ მატერიალურ მდგომარეობიდან მე და ჩემი ოჯახი.

სამობნაწუფი - სამსონ ს. უჩანეიშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 13.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აჯანყების დროს ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მეგრელი მწყემსებისათვის პირუტყვის ჩამორთმევის შესახებ
1925 წლის 7 თებერვალი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ასლი სახალხო კომისართა საბჭოს

ზუგდიდის მაზრის მწყემს-გლეხობა ზაფხულობით მიერეკება თავიანთ ჯოგს სხვათა შორის გურიის მთებზე. გასულ 1924 წ. აგვისტოს გამოსვლების დროს გურიაში მომხდარან ზუგდიდის მაზრის მკვიდრი მეჯოგეები კვარაცხელიები და სხვები. ალბათ, გამოსვლებში მონაწილეობისათვის, ოზურგეთის სამაღმასკომს ჩამოურთმევია ხსენებულ მწყემსებისათვის ჯოგი ჯიშიანი საქონლისა კონფისკაციის სახით და როგორც გავიგეთ ლამობს საჯიშო ფერმის მოწყობას.

ამის გამო ზუგდიდის სამაღმასკომს არ შეუძლია არ აღამაღლოს ხმა, ვინაიდან ზუგდიდის მაზრაში ნაკლებად განვითარებულია ჯიშიანი საქონელი და ასეთის ფერმის მოწყობა დიდი ხანია განზრახული აქვს მას.

რადგანაც კვარაცხელიების და მეგრელ მეჯოგეები ეკუთვნიან ჩვენს მაზრას, ზუგდიდის სამაღმასკომი შუამდგომლობს გურიაში ჩამორთმეული მეგრელ მწყემსების საქონელი გადმოგვცეს ჩვენ ფერმის მოსაწყობად.

დანართი: პრეზიდიუმის ოქმიდან ამონაწერი.

თავმჯდომარე ხელრთვა /ბ. შოგირაძე/
საქმეთა მმართველი ხელრთვა /გ. ჯგუშია/

P.S. დოკუმენტს აზის ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით: 1925 წლის 7 თებერვალი. დოკუმენტს ასევე აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით: 1925 წლის 3 მარტი. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: უარი ეთქვას.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 20, ფურცელი 56.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია მაზრის საბჭოებიდან შემოსული ოქმები ყოფილი თავად-აზნაურების სოფლიდან განდევნის შესახებ
1925 წლის 12 თებერვალი

ოქმი N6

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომისა
12 თებერვალი 1925 წ.

დაესწრნენ: პ. რასხაშვილი, მ. ვარამაშვილი, ს. აივაზოვი, გრამიტონ მოწონელიძე, ხ. თავდიშვილი

თავჯდომარობს პ. რასხაშვილი, მდივნობს მ. სიყმაშვილი

განიხილეს:

განდევნილ თავად-აზნაურთა შესახებ საბჭოების მიერ გამოტანილ დადგენილებათა /ოქმების/ განხილვა.

დაადგინეს:

აღნიშნული ოქმები დადასტურდეს და წარედგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად.

შემოსულია:

1/ **ახაშენ ჩუმლაყის** საბჭოდან ორი ოქმი 2 ოქტომბრიდან 1924 წ.
2/ **ბაკურციხის** საბჭოდან ოქმი 3 ოქტომბრიდან 1924 წ.
3/ **კარდენახის** საბჭოდან ოქმი 5 ოქტომბრიდან 1924 წ.
4/ **კოლაგ-ვეჯინის** საბჭოდან ოქმი 3 ოქტომბრიდან 1924 წ.
5/ **ვაქირის** საბჭოდან ოქმი ოქტომბრიდან 1924 წ.
6/ **ბოდბისხევის** საბჭოდან ოქმი 3 ოქტომბ. 1924 წ.
7/ **გურჯაანი**ს საბჭოდან - ოქმი 7 ოქტომბრიდან 1924 წ.
8/ **ტიბაანის** საბჭოდან - ოქმი 7 ოქტომბრიდან 1924 წ.

აღნიშნულ ოქმებიდან სჩანს, რომ ადგილობრივ გლეხთა მოსახლეობის სურვილის თანახმად საბჭოების მიერ გამოტანილ დადგენილებათა მიხედვით განდევნილნი არიან:

ა/ ახაშენ ჩუმლაყიდან

1/ ყოფილი ღვდელი ისიდორე ვაჩეიშვილი, ოჯახობით
2/ კოლა ალექსანდრეს ძე მაჭავარიანი - ცოლით
3/ ქვრივი სონა გიჟიმყრელი შვილით
4/ კოლა მიხეილის ძე გიჟიმყრელი
5/ ილო კონსტანტინეს ძე გიჟიმყრელი
6/ ალექსანდრე /საშა/ კონსტანტინეს ძე გიჟიმყრელი
7/ ნიკო ზაალის ძე წინამძღვრიშვილი შვილებით
8/ დახვრეტილ გიორგი ჯინამძღვრიშვილის ოჯახობა
9/ მიხეილ ალექსანდრეს ძე გიჟიმყრელი
10/ ელენე დავითის ასული ჯორჯაძისა

საქართველოს ეროვნული არქივი

11/ კოტე ჯანდიერი
12/ დავით ევგენის ძე ზალდასტანიშვილი
13/ სანდრო იანგორის ძე ავალიშვილი
14/ რამანა რამანას ძე ავალიშვილი
15/ კოწია შაქროს ძე ავალიშვილი
16/ ივანე დათას ძე ავალიშვილი
17/ ნიკოლოზ დიმიტრის ძე ავალიშვილი
18/ ვანო იაგორის ძე ავალიშვილი
19/ ირაკლი შაქროს ძე ავალიშვილი
20/ ვანკა გიგოს ძე ავალიშვილი
21/ გიგო ზალდასტანიშვილი
22/ ჟორჟიკა შაქროს ძე ავალიშვილი

ბ/ ბაკურციხიდან
1/ გიორგი ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე
2/ ჩაქვავებული გიორგი სოლომონის ძე
ვაჩნაძეს ოჯახობა - ტასო ვაჩნაძისა შვილებით
3/ ჩაქვავებული მიხეილ ზაქარიას ძეს ვაჩნაძის ოჯახობა ე. ი. ორი ვაჟი
4/ დახვრეტილ მიხეილ ზაქარიას ძის ვაჩნაძის ოჯახობა -
იულია ორი შვილით
5/ დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე გაქცეულია
მისი დედა ელენე
6/ ადამ იოსების ძე ვაჩნაძეს ჩაქვავებულის ოჯახობა.
7/ ალექსანდრე ვლადიმერის ძე ვაჩნაძე
8/ გიორგი და მიხეილ ვაჩნაძეები
9/ გიორგი /გიგლო/ ვაჩნაძე
10. ირაკლი და ჩაქვავებული ილიკო აფხაზები
11/ ჩაქვავებული სიკო /სიმონ/ რევაზის ძის **ვაჩნაძის**
ოჯახის შემადგენლობა
12/ ჩაქვავებული ნიკო დიმიტრის ძის ვაჩნაძის ოჯახობა -
ძმა ექიმი გიორგი ვაჩნაძე - ოჯახობით
13/ მაიკო შიუკას ასული ჩოლოყაშვილისა თავის ქალიშვილით
14/ ქვრივი სოფიო ჩოლოყაშვილისა
15/ ჩაქვავებული სიმონ ალექსანდრის ძის ვაჩნაძის ოჯახობა
16/ არჩილ იოსების ძე ვაჩნაძე
17/ ასათა სოსოს ძე ვაჩნაძე
18/ სენკა სანდროს ძე ვაჩნაძე
19/ ძმები ვახტანგ და ვიკტორ იაგორას ძე ვაჩნაძეები
20/ თიკო ვაჩნაძისა
21/ დავით იოსების ძე ვაჩნაძე შვილით
/აღნიშნულნი პირნი განდევნილნი არიან ოჯახობით/

გ/ სოფელ კარდენახიდან
1/ ჩაქვავებული დათა ალექსანდრეს ძე იგივე ილარიონის ძე
ფორაქიშვილი ოჯახობით - ცოლით, შვილებით და რძლებით

საქართველოს ეროვნული არქივი

2/ ჩაქვავებული იასე ვაჩნაძის ცოლშვილი
3/ დახვრეტილ ვიქტორ /ვახტანგ/ გიორგის ძის ვაჩნაძის ოჯახი
დედა და და
4/ ალექსანდრე /საშა/ და დიმიტრი ზაალის ძე ვაჩნაძეები
5/ შაქრო სოსოს ძე ანდრონიკაშვილი
6/ სოსო ივანეს ძე ვაჩნაძე იგივე პაპარიგაშვილი
7/ ნენე იაგორის ასული ვაჩნაძე
8/ გარდაცვალებული დათა აფხაზის ცოლშვილი
9/ ელენე ვაჩნაძისა მესტიაშვილის ასული
10/ ვარო სოლიკოს ასული ვაჩნაძე
11/ აზიკო /სიკო/ ვაჩნაძე ოჯახით
12/ დახვრეტილ ლევან სამადაშვილის ცოლშვილი
13/ სიმონ სამადაშვილი
14/ სოლიკო სამადაშვილი
15/ ილო გორას ძე ნიკოლაშვილი
16/ შაქრო ნიკოლაშვილი
17/ სოსო გიოს ძე მათიაშვილი
18/ ვარო /ბაბალე/ ვაჩნაძისა
19/ ელენე გიგოლას ასული ტურიაშვილისა
20/ ივანე ორჯონიკიძე
21/ ესტატე სეხნიაშვილი

დ/ სოფელ კოლაგიდან
1/ სენკა სოლიკოს ძე ვაჩნაძე
2/ ლევან ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე
3/ დახვრეტილი ანდრო კონსტანტინეს ძის ვაჩნაძის ოჯახობა
4/ ნიკო ყაფლანის ძე ვაჩნაძე
5/ გიგა ნიკოლოზის ძე ვაჩნაძე
6/ ილიკო ნიკოლოზის ძე ვაჩნაძე
7/ სიკო /სიმონ/ ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე
8/ მიხეილ ივანეს ძე ვაჩნაძე
9/ ილო ივანეს ძე ვაჩნაძე
10/ დახვრეტილი ნიკო ალექსანდრეს ძის ოჯახობა
11/ აგრიკო სოსიკოს ძე ვაჩნაძე
12/ არჩილ სოსიკოს ძე ვაჩნაძე
13/ ქვრივი ეკატერინე ათანას ასული ვაჩნაძისა
14/ შაქრო ზურაბის ძის /გარდაცვალებულია/ ოჯახობა
15/ ილიკო აბაშიძე
16/ დახვრეტილი დომენტი დიმიტრის ძის ანდრონიკაშვილის ოჯახობა
17/ დათუშა რევაზის ძე ანდრონიკაშვილი
18/ დახვრეტილი კონსტანტინე დავითის ძე ვაჩნაძის - ოჯახობა
19/ გიგლო ანდრონიკაშვილი
20/ დახვრეტილი იასე კონსტანტინეს ძის ოჯახობა
21/ მიშა ანდრონიკაშვილი
აღნიშნულნი პირნი არიან განდევნილნი თავიანთ ოჯახობით

საქართველოს ეროვნული არქივი

ე/ სოფელ ვაქირიდან
1/ ალექსი ივანეს ძე უსეინაშვილი
2/ საშა /ალექსანდრე/ საბას ძე შინჯიკაშვილი ოჯახით
3/ კოლა ივანეს ძე ყოჩიაშვილი
4/ იოსება ისაკოს ძე მამაიაშვილი
5/ იოსებ ხუციშვილი მოსეს ძე
6/ სიმონ თედოს ძე სიმონიშვილი
7/ ყოფილი ღვდელ-დეკანოზი ირაკლი ცინცაძე

ვ/ სოფელ ბოდბის-ხევიდან
1/ კოტე ნაცვლიშვილი - ოჯახობით
2/ შაქრო ნაცვლიშვილი - ოჯახობით

ზ/ სოფელ ტიბაანიდან, პრასიანიდან, ომაანიდან
1/ ვახტანგ ნაცვლიშვილი - ოჯახით
2/ ვასო ნაცვლიშვილი - ოჯახით
3/ ლევან ნაცვლიშვილი - ოჯახობით
4/ ზურაბ ნაცვლიშვილი - ოჯახობით
5/ სოსო გომელაური
6/ სონა ნაცვლიშვილი
7/ კეკა ნაცვლიშვილი
8/ გიორგი ნაცვლიშვილი

თ/ სოფელ გურჯაანიდან
1/ გიგიშა ჯორჯაძე
2/ ზაალი ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი
3/ ქვრივი ეკატერინე ანდრონიკაშვილისა
4/ლადო აბელას ძე ანდრონიკაშვილი
5/ ნინო ჯორჯაძისა ქვრივი
6/ ზურაბ შაქროს ძე აბაშიძე

ი/ სოფელ ვეჯინიდან
1/ ზურაბ შაქროს ძე აბაშიძე
2/ ვანო სვიმონის ძე აბაშიძე მცხ. ს. კოტეხის
3/ მიტო დონიკოს ძე ანდრონიკაშვილი
4/ ქეთუნა ჩოლოყაშვილისა

დამსწრე პირთ შემოაქვთ წინადადება რომ **ს. ვეჯინში** მცხოვრები აზნაურიშვილები იყვნენ გადასახლებულნი:
1/ კოტე ვანოს ძე ფურცელაძე
2/ ბესო ტიტიას ძე ფურცელაძე
3/ კოლა გიგოს ძე ფურცელაძე
4/ რამანა ნასიძე
5/ მიშა კოტეს ძე ფურცელაძე
6/ ვასო კიაზოს ძე ფურცელაძე

საქართველოს ეროვნული არქივი

7/ გიორგი პაატას ძე რცხილაძე
8/ მიტა კიაზოს ძე ფურცელაძე
9/ საბა კიაზოს ძე ფურცელაძე
10/ მიშა გიგოს ძე ფურცელაძე
11/ ვასო სანდროს ძე ფურცელაძე

და დაბრუნებულნი არიან სოფ. ახაშენში გლეხების მიერ გაძევებულნი: 1/ მაკრინე წინამძღვრიშვილისა, 2/ ლევან ისიდორის ძე ვაჩეიშვილი თავის ოჯახით, 3/ მინადორა ჯანდიერი თავის შვილებით, 4/ სონა ავალიშვილისა, 5/ ლოლო ზალდასტანიშვილისა, 6/ ვანკო ავალიშვილის ცოლი ორი შვილით.

დედანი სათანადოთ ხელმოწერილია
ასლი დედანთან სწორია - მდივანი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცლები 1-3.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიღნაღის მაზრის სოფელ კარდენახის მკვიდრის ზაქარია ანდრონიკაშვილის განცხადება კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე
1925 წლის 17 თებერვალი

ბრმა ზაქარია იოსების ძე
ანდრონიკაშვილის (იგივე ჯამბარაშვილი)
სიღნაღის მაზრის სოფ. კარდენახში მცხოვრების

განცხადება

რადგან ეს რვა წელიწადია სრული ინვალიდი ორივე თვალებით ბრმა ვარ და არავითარი სახსარი ცხოვრებისა, პირველი საჭიროებისაც კი არ გამაჩნია, ამიტომ მოგმართავთ (თუმცა თხოვნა უკვე დიდი ხანია ამ ნომრით N2887 შემოტანილი მაქვს) შეხვიდეთ ჩემს და ჩემი ცოლშვილის უმწეო მდგომარეობაში, რომლებიც სხვასთან ვართ შეკედლებულები და უკიდურეს გაჭირვებას განვიცდით, მოგვაქციოთ თქვენი ყურადღება და დამიბრუნოთ ჩემი სახლ-კარი, **მარანი და ერთი დესეტინა ვენახი**, ერთი ფური. ეს იყო ჩემი მარჩენალი. ჩემი ცოლი თავის ხელით მუშაობდა და გვინახავდა მე და პატარა ხუთი წლის შვილს. ეხლა გთხოვთ, თუ დაბრუნება არ შეიძლება, ნება მაინც მიბოძეთ, თქვენის შეფასებით **გავყიდო ეს ქონება** ე. ი. სახლი, მარანი და შევიძინო რამე, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ. აგრეთვე გთხოვთ შარშანდელი ვენახის მოსავალი და წართმეული ბარგის დაბრუნებას, რადგან უპალტოდ დავდივარ ჩემი ცოლშვილით.

ვიდრე ამ განცხადებას სისრულეში მოიყვანდეთ, ამ ჟამად გთხოვთ ერთდროული დახმარება აღმომიჩინოთ, რომ შიმშილს და გაჭირვებას ამაცდინოთ.

მე ამ დახმარებას ვთხოულობ, როგორც ბრმა ინვალიდი, რომელსაც იმის შეძლებაც არა მაქვს, რომ გამატაროს ვინმემ.

ზაქარია ანდრონიკაშვილი
1925 წ.
17 თებერვალი

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: სიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს სათანადო განკარგულებისათვის. 17/II. 1925.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცლები 55-56.

საქართველოს ეროვნული არქივი

ოზურგეთის სამაზრო პოლიტბიუროს მოხსენება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ოზურგეთის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე სილევან ძნელაძის, პავლე ქავჯარაძისა და გიორგი ზამბახიძის შესახებ
1925 წლის 23 თებერვალი

სრულიად საქართველოს საბჭოებთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

თანახმათ მომართვისა ა. წ. 2 თებერვლის თარიღით N595 ოზურგეთის სამაზრო პოლიტ-ბიურო გაცნობებთ, რომ უკანასკნელ მენშევიკურ გამოსვლებში მონაწილეობა მიიღენ სილევან ძნელაძემ, პავლე ლევანის ძე ქავჯარაძემ და გიორგი ივანეს ძე ზამბახიძემ. ივანე ესეს ძე ღლონტი კი არის პოლიტიკურათ არა კეთილ საიმედო პიროვნება.

დანართი: ორ ფურცელზე.
პოლიტ-ბიუროს უფროსი /ხელრთვა/
საინფორმაციო განყოფილ. რწმუნებული /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აწერია: ფრ. საიდუმლო. დოკუმენტს აზის ოზურგეთის მაზრის პოლიტბიურის შტემპი თარიღით 1925 წლის 17 თებერვალი. დოკუმენტს აზის ასევე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1925 წლის 21 თებერვალი. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დიდი პრეზიდიუმში. 23 II. დამტკიცდეს.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 20, ფურცელი 73.

საქართველოს ეროვნული არქივი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში
კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების
შესახებ შესულ საჩივართა რაოდენობა
1925 წლის თებერვალი

თავად-აზნაურების და მემამულეთა სოფლიდან განდევნის შესახებ შემოსულ საჩივართა რიცხვი

თელავის მაზრა
კომისიის მიერ განხილული იყო - 16 თხოვნა
კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ შემოვიდა ცაკში - 14
- 30

გორის მაზრა
კომისიის მიერ განხილული იყო - 20
კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ შემოვიდა ცაკში - 4
- 24

სიღნაღის მაზრა
კომისიის მიერ განხილული იყო - 8
კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ შემოვიდა ცაკში - 11
- 19

კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ შემოვიდა ცაკში საჩივრები

თბილისის მაზრა - 2
ზუგდიდის მაზრა - 2
შორაპნის მაზრა - 1
ქუთაისის მაზრა - 1
ოზურგეთის მაზრა - 6
სენაკის მაზრა - 4
- 16
სულ 79

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 13, ფურცელი 30.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-III სესიის ამნისტიის ცხოვრებაში გატარების შესახებ
1925 წლის მარტი

დადგენილება
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-III სესიის ამნისტიის ცხოვრებაში გატარების შესახებ.

საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-III სესიის ა/წ. 7 მარტის დაპატიმრებულთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ დადგენილების შესასრულებლად სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს შემოღებულ იქნეს ხსენებულ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შემდეგი წესი:

3. ამნისტიის შეფარდება იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა კონტრ-რევოლიუციონურ და რელიგიურ მოტივებით ჩადენილ დანაშაულის გამო, აგრეთვე იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც აღნიშნული დანაშაული ჩაიდინეს ამა 8 მარტამდე, ხოლო მათი საქმე იმყოფება წინასწარ გამოძიების და მოკვლევის სტადიაში, მოეწყოს განსაკუთრებული კომისია შემდეგ შემადგენლობით: ქ. ტფილისში - 1. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ამხ. ბერია, 2. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. კაჭარავა და 3. კომუნ. პარტ. ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. მორჩილაძე. ქ. ქუთაისში - 1. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლორთქიფანიძე, 2. პოლიტბიუროს უფროსი ამხ. ჯალაგანია და 3. დასავლეთ საქართველოს პროკურორი ამხ. გაბუნია. ქ. ბათუმში - იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ჩალ-ოღლი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. სტეფანოვი და ამხ. გოგიტაშვილი. მაზრაში კომისია მოეწყობა ადგილობრივ პოლიტბიუროებთან შემდეგი შემადგენლობით: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, პოლიტბიუროს თავმჯდომარე და ოლქის სასამართლოს სამაზრო რწმუნებული პირველი მათგანის თავმჯდომარეობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

1925 წ. მარტის „ “
ტფილისი-სასახლე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 20, ფურცლები 10-11.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილი ადამ ვაჩნაძის მეუღლის, ქ. თელავის მკვიდრის, ეკატერინე ვაჩნაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე
1925 წლის 1 აპრილი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

ქ. თელავში მცხოვრებელის ეკატერინე
ივანეს ასულის ვაჩნაძის
ჩამომავლობით მარკოზაშვილის

თხოვნა

წარსული წლის ენკენისთვეში, მენშევიკების მოწყობილ ავანტიურის გამო, **სოფ. ბაკურციხეში, სიღნაღის მაზრა,** სულ მთლად უდანაშაულოთ მოკლული იქმნა ჩემი ქმარი ადამ **ვაჩნაძე**, როგორც ყოფილი თავადი და ჩვენ იმის ცოლ შვილი და 80 წ. დედა გამოგვაძევეს სოფლიდან. რაც რამ საცხოვრებელი ნივთიან ავეჯი გვქონდა ზოგი დაიყვეს სოფლელებმა და ზოგიც წაიღო სიღნაღის მაზრის აღმასკომმა. ოჯახის ავეჯეულობა მომეტებული იყო ჩემი საკუთრება, როგორც მზითევი გამოტანებული ჩემის მამის მიერ. გამოძევების შემდეგ მე ჩემის შვილებით და მოხუცებული დედამთილით შევეხიზნენით თელავს და განვიცდით აუტანელ გაჭირვებას. აღარა გვაქვს არც ტანსაცმელი და არც საჭმელ სასმელი. აქამდის როგორც იყო გავიტანეთ თავი, ამის იქით კი აღარ ვიცი რომელ კლდეზედ გადავსცვივდეთ. მე რაც უნდა მომივიდეს, მაგრამ მებრალებიან ჩემი სამი მცირე წლოვანი შვილები, რომელთაგან უფროსი 11 წლისაა.

სოფ. ბაკურციხეში ჩვენ გვქონდა მოცემული ერთი ნორმა ვენახი, სახლი თავისი ეზოთი და ერთი პატარა წისქვილი. ჩემი ქმარი და მე ვმუშაობდით და ჩვენის შრომით ვამუშავებდით მამულს, ამას დაამტკიცებს მთელი სოფელი. ჩემი ქმარი თუმცა ყოფილი თავადი იყო, მაგრამ არც ერთს გლეხს არ ჩამოუვარდებოდა და თვით მე როგორც გლეხის შვილი ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც თვით გლეხის ოჯახის მანდილოსნები, ვაკეთებდი ქალის სამუშაოს ბაღში და ვენახში.

მოგახსენებთ რა ყველა ამას გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობაში, მოიღოთ მოწყალება მოახდინოთ განკარგულება დაგვიბრუნდეს სოფელ ბაკურციხეში, სიღნაღის მაზრა, ჩვენეული სახლი თავისი ეზოთი - ბაღით, ვენახი და პატარა წისქვილი, ე. ი. ის რაც ჩვენ გვეჭირა ნორმაში, რომ მქონდეს საშუალება შევაფარო თავი და ჩემის შრომით ვიცხოვრო და ვაცხოვრო ჩემი სამი შვილი და 80 წ. დედამთილი. ამას გარდა მოახდინოთ განკარგულება დამიბრუნდეს ის ნივთები და ავეჯეულობა, რომლებიც კიდევ იპოვება თვით სოფელში და რომლებიც წაღებული აქვს სიღნაღის აღმასკომს. ამასთანავე ფიცსა ვდებ, რომ მთელის ჩემის ძალ ღონით ვემსახურო საბჭოთა ხელის უფლებას. ჩემი შვილები სწავლობენ საბჭოთა სასწავლებლებში და მიიღებენ

საქართველოს ეროვნული არქივი

განათლებას ისე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა ხელის უფლება. მეც შინ სასწავლებლის გარეთ ვეცდები ჩაუნერგო მათ სიყვარული მუშურ გლეხურ ხელის უფლებისა.

იმედი მაქვს, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს მხედველობაში ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობას, მოიღებს მოწყალებას და ნათხოვნით დამაკმაყოფილებს, რითაც გვიხსნის ხუთს სულს აუცილებელ დაღუპვისაგან.

კატო მარკოზაშვილი ვაჩნაძისა
ქ. თელავი
ორჯონიკიძის ქუჩა
სახლი N35

P.S. დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 30/III. 1925 წ. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ამხ. ხარაზაშვილს. 31/III. 1925 წ. დარჩეს უშედეგოთ. ს. თოდრია. 1/IV. 1925 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცლები 68-69.

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სურამის თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილი მიხეილ არუწოვის ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით
1925 წლის 7 აპრილი

სრულიათ საქ. საბჭოებთა ცენტრალური აღმასრულებელ
კომიტეტს ქ. ტფილისი

N1159-ზედ, 17 მარტიდან ა/წ. გეცნობებათ, რომ აღნიშნული მარიამ არუწოვის ქმარი მიხეილ არუწოვი დახვრეტილ იქმნა გორის მაზრის პოლიტ-ბიუროს მიერ მენშევიკურ ავანტიურაშიდ მონაწილეობის გამო, რომლის შემდეგაც იმავე პოლიტ-ბიუროს /საგანგებო სამეულის/ მიერ შედგენილი კომისიის ოქმისა მოხდენილია კომფისკაცია მის ქონებაზედ გარდა იმ აუცილებელ საჭირო საგნებისა და ავეჯეულობისა, რაც ესაჭიროებოდა ერთ ოჯახის წევრს - ცოლს. მასთან მასვე დაეტოვა ორი საცხოვრებელი ოთახი. აღმასკომის აზრით ჩამორთმეული ავეჯეულება, რომელიც გადაეცა გლეხკომს, სრულებით არ წარმოადგენს საჭიროებას ქვრივ მარიამ არუწოვისათვის.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე: მ. ლომსაძე /ხელრთვა/
მდივანი: ხელრთვა /გ. ინასარიძე/

P.S. დოკუმენტს აზის სურამის თემის აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპები. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: გამოეცხადოს.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 37ა, ფურცელი 8.

საქართველოს ეროვნული არქივი

დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, იორდანაშვილის მიმოწერა მაზრის მილიციის უფროსთან 1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილი ალექსი მისრიაშვილის ოჯახისთვის წართმეული ცხენის დაბრუნების შესახებ
1925 წლის 9 აპრილი

მაზრის მილიციის უფროსს

გიგზავნით ამასთანავე მაზრაღმასკომის პრეზიდიუმის N10 ოქმიდან ამონაწერს ფშავის რაიონის სოფ. მისრიათ-კარის მცხ. დახვრეტილი ალექსი მისრიაშვილის ცხენის მისი ოჯახისთვის დაბრუნების შესახებ, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ დადგენილების შესასრულებლათ მიწერილი იყო ფშავის აღმასკომის თავმჯდომარეზე ა/წ. 14 თებერვლის N2619 თარიღით მაგრამ ცხენი, რომელიც ყავდა ოქრომჭედლიშვილს და ამ ჟამად იმყოფება ფშავის რაიმილიციის განკარგულებაში დღემდის არ არის დაბრუნებული, რითიც არ არის შესრულებული მაზრაღმასკომის მიწერილობა.

ზემოაღნიშნულის გამო გავალებთ გასცეთ განკარგულება ფშავის რაიმილიციისადმი, რათა მაზრაღმასკომის პრეზიდიუმის N10 დადგენილება მისრიაშვილის ცხენის მისი ოჯახისათვის დაბრუნების შესახებ შესრულებული იქნეს დაუყონებლივ. შედეგი მაცნობეთ.

დანართი: ამონაწერი

მაზრაღმასკომის თავმჯდომარის მაგ. /იორდანაშვილი/

მდივნის მაგ. /ამირიძე/

P.S. დოკუმენტს აქვს მინაწერი: A 3948. 9/IV. 25 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური არქივი,
ფონდი 3, საქმე 37, ფურცელი 69.

საქართველოს ეროვნული არქივი

სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ საჩივრების განმხილველ კომისიას, სადაც საუბარია შაქრო ანდრონიკაშვილისთვის გადარჩენილი ქონების დაბრუნების თაობაზე
1925 წლის 11 აპრილი

სრულიად საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ასლი თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ საჩივრების განმხილველ კომისიას

დამატებით ა/წ. 11 თებერვლის N4658 მოხსენებისა სამაზრო აღმასკომი ამასთანავე ერთად არდგენს განკარგულებისათვის შაქრო იოსების ძე ანდრონიკაშვილის საჩივარის გამო აღძრულ მიმოწერას ხუთ დაწერილ ფურცლად კარდენახის თემის აღმასკომის ა/წ. 1 აპრილის N891 მოხსენების თანდართვით, რომლიდანაც სჩანს, რომ ხსენებულ ანდრონიკაშვილის ქონებიდან გადარჩენილია: ერთი კუშეტკა, ერთი გრძელი მაგიდა, ერთი გურგვალი მაგიდა და ორი სკამი, რომლებიც ამ ანდრონიკაშვილს შეუძლიან ჩაიბაროს.-

აღმასკომის თავმჯდომარე /ხელრთვა/
მდივანი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 11/IV 1925. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: გამოეცხადოს. ს. თ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 42, ფურცელი 52.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპული და დასახიჩრებული კომუნარების ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის თხოვნაზე
1925 წლის 17 აპრილი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს

გაძლიერებულ პენსიების დამნიშვნელმა კომისიამ, რომელიც არსებობს სოც. უზ. სახალხო კომისარიატთან, უკვე დაუნიშნა პენსია 220 დამსახურებულ რევოლიუციონერთა ოჯახს. მაგრამ როგორც გამოირკვა, რესპუბლიკის მასშტაბით ჩვენ მოგვეპოება 250-დე კომუნარი, რომლებიც დაიღუპენ და დასახიჩრდნენ აგვისტოს გამოსვლებში, და რომელთა ოჯახებს არავითარი დახმარება არსაიდან არ ეძლევათ. სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვით სოციალურ უზ. სახალხო კომისარიატს ეძლევა დამსახურებულ რევოლიუციონერთა ოჯახების უზრუნველსაყოფად 3300 მანეთი. ეს თანხა უკვე განაწილებულია 220 პენსიონერზე. დანარჩენი 250 კომუნარის ოჯახი, როგორც აღვნიშნეთ დაუკმაყოფილებელია.

სოც. უზ. კომისარიატმა სათანადო უწყებიდან გამოითხოვა საჭირო თანხა აღნიშნულ პირთა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ საქმე იმაშია რომ ჩვენ მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნება მხოლოდ ამა წლის 1 ოქტომბრიდან, მანამდე კი გაივლის 6-7 თვე და ამ ხნის განმავლობაში ზემოდ მოხსენებულ დამსახურებულ რევოლიუციონერთა ოჯახებს მოელით სიმშილი, გაჭირვება და სხვა უბედურება.

სოც. უზ. სახალხო კომისარიატი მიაქცევს რა თქვენს ყურადღებას ზეაღნიშნულ გარემოებას, დაბეჯითებით გთხოვთ გასცეთ განკარგულება მოგვეცეს აგვისტოს გამოსვლებში დაღუპულ და დასახიჩრებულ კომუნართა ოჯახების დასაკმაყოფილებლად თვიურად 7500 მან. /250. 30/. სულ 1 აპრილიდან 1 ოკტომბრამდე 45 000 მანეთი.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი /კ. ხომერიკი/ ხელრთვა
საერთო ადმინისტრ. განყ. გამგე /ივ. მუსელიანი/ ხელრთვა

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 410, ფურცელი 87.

საქართველოს ეროვნული არქივი

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 1924 წლის აჯანყების დროს ამავე მაზრაში დაზარალებული გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ
1925 წლის 27 აპრილი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს

დამატებით ა. წ. იანვრის 12 N3146 წარმოდგენილ შუამდგომლობისა, მოგახსენებთ, რომ ვ. წ. აგვისტოს გამოსვლების მეოხებით გლეხობაზე მიყენებული ზარალი დაბოლოებით გამოირკვა და, გარდა უკვე წარმოდგენილ ცნობებისა, აღმოჩნდა კიდევ 1652 მანეთი და 50 კ. ზარალი.

ამის გამო ზუგდიდის სამ აღმასკომი განმეორებით შუამდგომლობს, რათა ეს საკითხი დაუგვიანებლად იქნეს მოგვარებული სადაც ჯერ არს და საშვალება მოგვეცეს აუნაზღაუროთ უდანაშაულო გლეხობას მათზე მიყენებული ზარალი.

თავმჯდომარის მოადგილე კ. მიქაია /ხელრთვა/
საქმეთა მმართველი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1925 წლის 15 აპრილი; დოკუმენტს ასევე აზის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტემპი თარიღით 1925 წლის 27 აპრილი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 399, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ ემიგრაციაში გამგზავრებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სპირიდონ ქავქავაძისა და დავით მხეიძის მიმართვა აკაკი ჩხენკელს, რათა ამ უკანასკნელმა უშუამდგომლოს მათ ემიგრანტულ მთავრობასთან ფინანსური დახმარების აღმოჩენის თაობაზე 1925 წლის 10 მაისი

10-V-25 წელი

საქართველოს წარმომადგენელს პარიჟი
ბ-ნ ჩხენკელს

რადგანაც ვერ აღმოვაჩინეთ ჯერ-ჯერობით ცხოვრების წყარო გთხოვთ გვიშუამდგომლოთ ვისთანაც საჭიროა, რომ მოგვცეს დროებითი დახმარება.

ქ. ჩოლოყაშვილი /ხელრთვა/
სპ. ქავქავაძე /ხელრთვა/
დ. მხეიძე /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, ანაწერი 2, საქმე 346, ფურცელი 1.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას ხელისუფლების მხრიდან გურიაში დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის შესახებ
1925 წლის 14 მაისი

ს. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს
ასლი სახალხო კომისართა საბჭოს

თქვენ მოგეხსენებათ, რომ **გურიაში უკანასკნელ მენშევიკურ ავანტურის დროს ბრძოლაში დაეცენ ჩვენი საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები** და მასთან დასახიჩრდენ რიცხვით მოკლულ დასახიჩრებულთა უდრის ოცდა თექვსმეტს, **რომლის ოჯახები** დარჩენ აუტანელ ეკონომიურ პირობებში და არ აქვთ უმეტესობა მათგანს არსებობის სახსარი. გურიის კომიტეტი წინეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი თანხების საშვალებით ეხმარებოდა მათ ერთდროული დახმარების სახით, მაგრამ თანხების **ამოწურვის გამო ამ ბოლო ხანებში შევსწყვიტეთ** დახმარების გაცემა, რამაც რა თქმა უნდა მათი ეკონომიური სივიწროვის გამო უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდენ და მუდამ დღე მოდიან გურიის კომიტეტში და ითხოვენ დახმარების მიცემას. არის იმედი, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ იქნება დანიშნული პენსია თითეულ მათგანზე, მაგრამ ამას აგვიანდება და ამხანაგების ოჯახები და დაჭრილ დასახიჩრებულნი ამხანაგები კი სიმშილს განიცდიან, ამისათვის გურიის კომიტეტი გთხოვთ მიიღოთ ზემოხსენებული გარემოება მხედველობაში და სანამ ისინი პენსიას მიიღებდენ, მანამ **გთხოვთ გამოგზავნოთ სამი ათას ექვსასი მანეთი მათზე ერთდროული დახმარების მისაცემათ,** რაც ოდნავ გაუმჯობესებს მათ ეკონომიურ მდგომარეობას.

პასუხისმგებელი მდივანი გერ. კვაჭაძე /ხელრთვა/
სქმეთა მმართველი /ხელრთვა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტის შტემპი თარიღით 1925 წლის 2 მაისი; დოკუმენტს ასევე აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1925 წლის 9 მაისი; დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: პრეზიდიუმს. მოხსენდეს თავმჯდომარეს. 14/V.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 399, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სენაკისა და შორაპნის მაზრებში 1924 წლის აჯანყების დროს ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობისაგან ნისიად შეძენილი ფქვილის საფასურის დაფარვის შუამდგომლობის შესახებ
1925 წლის 27 მაისი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს

როგორც ამასთანავე დართულ მიმოწერიდან სჩანს 1924 წლ. აგვისტოს თვეში შორაპნის და სენაკის მაზრებში მენშევიკურ გამოსვლების ჩასახშობად გამოწვეულ წითელარმიელების გამოსაკვებად ადგილობრივი აღმასკომებს ნისიათ შეუძენიათ ა/კ. რკინის გზების სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობისაგან ფქვილი, რომლის საფასურიც ჯამით ორი ათას ოთხას შვიდი მან (2. 407 მან) უსახსრობის გამო დღემდე ვერ გადუხდიათ და შუამდგომლობენ დასახელებულ დავალიანების დაფარვას.

ვინაიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომლის წინაშე ზემოაღნიშნული კრედიტორი შუამდგომლობს ვალის დაფარვას, სათანადო კრედიტი არ აქვს ვშუამდგომლობთ თქვენ წინაშე, რათა ეს საკითხი დასმული იქმნეს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე სათანადო საშუალების გამოსანახად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ხელრთვა
(ა. ქავთარაძე)
საერთო განყოფილების გამგე ხელრთვა (ფანიაშვილი)
უფროსი ბუხგალტერი ხელრთვა (ჩხიკვაძე)

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: ამხ. ჯანელიძეს. მოახდინე ცნობა ვინ განყოფილებები რომელნი მიეცა შორაპნის აღმასკომს გამოსვლების დროს და სენაკის აღმასკომს რომ ეს ვალი უნდა დაფარულიყო მიღებულ თანხიდან.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 403, ფურცელი 96.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახალხო კომისრის მოადგილის, ვ. პარკაძის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის ფულადი დახმარების აღმოჩენის სირთულის შესახებ

1925 წლის 18 ივლისი

სახალხო კომისართა საბჭოს

გიბრუნებთ რა ამასთანავე თანდართულ მიმოწერას მენშევიკური ბანდიტური გამოსვლების დროს დაღუპულ და დასახიჩრებულ ამხანაგების ოჯახებისათვის დახმარების გასაწევათ, ოზურგეთის აღმასკომის განკარგულებაში 3.600 მან. გაღების შესახებ, სოც. უზ. სახალხო კომისარიატი გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ოჯახებს უკვე მიღებული აქვთ ერთდროული დახმარება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტიდან. მეორეს მხრით ჩვენ არა მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღმოეჩინოს დახმარება **ერთ რომელიმე მაზრას.** ჩვენ აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი /რესპუბლიკის მასშტაბით/ აგვისტოს გამოსვლებში დაღუპულ ამხანაგების 300 ოჯახი და თუ ოზრუგეთის მაზრას მივცემთ ერთდროულ დახმარებას, მაშინ სხვა მაზრებიც უნდა დავაკმაყოფილოთ. ამის შესაძლებლობა კი ჯერ-ჯერობით სოც. უზ. კომისარიატს არ აქვს. ჩვენ აღძრული გვაქვს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა ერთდროულად 15.000 მანეთის მოცემის შესახებ. თუ ეს თანხა მოგვეცა ერთდროულ დახმარებას ყველა მაზრებს აღმოუჩენთ. დავსძენთ რომ აგვისტოს გამოსვლებში დაღუპულ და დასახიჩრებულ ამხანაგების ოჯახების პენსიით უზრუნველყოფის საკითხი განხილულ იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო დაამტკიცებს ჩვენს წლიურ ხარჯთ-აღრიცხვას.

დანართი: მიმოწერა 6 ფურცელზე.

სახალხო კომისრის მოადგილე ვ. პარკაძე /ხელრთვა/
საერთო-ადმინისტრ. განყ. გამგე ივ. მუსელიანი /ხელრთა/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შტემპი თარიღით 1925 წლის 17 ივლისი; დოკუმენტს ასევე აზის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შტემპი თარიღით 1925 წლის 18 ივლისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 399, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დაკითხვა სასამართლო პროცესზე 1925 წლის 22 ივლისი

თავმჯდომარე: ბრალდებულო ანდრონიკაშვილო! /დგება ანდრონიკაშვილი/. რამდენი წლისა ხართ?

ანდრონიკაშვილი: 49 წლის.

თავმჯდომარე: სოციალური მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: ინტელეგენტი.

თავმჯდომარე: ყოფილი წოდება?

ანდრონიკაშვილი: მე გახლავართ უფლებააყრილი თავადი. თვითმპყრობელობის დროს სასამართლომ გამასამართლა ორჯერ და გადამიწყვიტა სამუდამო გადასახლება.

თავმჯდომარე: ოჯახური მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: ცოლიანი.

თავმჯდომარე: ქონება გაქვთ რამე?

ანდრონიკაშვილი: არავითარი.

თავმჯდომარე: ხელობა?

ანდრონიკაშვილი: ჟურნალისტი.

თავმჯდომარე: განათლება?

ანდრონიკაშვილი: უმაღლესი.

თავმჯდომარე: პარტიული მდგომარეობა?

ანდრონიკაშვილი: სოც[იალ]-დემ[ოკრატიული] მენშევიკურ პარტიისა.

თავმჯდომარე: რომელ რიცხვიდან ითვლებით პარტიის წევრად?

ანდრონიკაშვილი: 1901 წლიდან.

თავმჯდომარე: პასუხისგებაში ყოფილხართ?

ანდრონიკაშვილი: დიახ, მოგახსენებთ. თვითმპყრობელობის დროს სამჯერ ვიყავი პასუხისგებაში მიცემული.

თავმჯდომარე: საბჭოთა ხელისუფლების დროს?

ანდრონიკაშვილი: იზოლიაციის წესით ვიყავი დაპატიმრებული.

თავმჯდომარე: რომელი წლიდან იყავით სოც[იალ]-დემოკრ[ატიული] პარტიის ცენტრ[ალური] კომიტეტის წევრი?

ანდრონიკაშვილი: 21 წლიდან.

თავმჯდომარე: თავმჯდომარეთ როდის გახდით? რამდენ ხანს იყავით?

ანდრონიკაშვილი: 23 წლიდან აჯანყებამდე.

თავმჯდომარე: ვინ შედიოდა ცენტრ[ალურ] კომიტეტში თქვენ დროს?

ანდრონიკაშვილი: ერთი შუამდგომლობა მაქვს. ამ შეკითხვების შესახებ მე ვშუამდგომლობ, მომეცეს საშუალება შევეხო არა მარტო ტეხნიკურ მხარეს აჯანყებისას, არამედ შევეხო იმ ეტაპს, რომელმაც მიიყვანა საქართველოს ხალხი აჯანყებამდე. მე ვფიქრობ, რომ სასამართლოს უამისოდ არ ექნება ნათელი წარმოდგენა აჯანყებაზე და ეს დაფასება მოგცემს თქვენ სრულ წარმოდგენას იმ ხაზზე, რომელსაც ჩვენ ვატარებდით...

თავმჯდომარე: ბრალდებულო ანდრონიკაშვილო! თქვენ გემახსოვრებათ ბრალდებულ გიორგაძის შემდეგ რანაირი დადგენილება გააკეთა სასამართლომ. ვინაიდან ეხლა ხდება დაკითხვა, თვითეულ ბრალდებულს რომ მივცეთ უფლება

საქართველოს ეროვნული არქივი

ვრცლად შეეხოს ამ საკითხს ეხლავე, მაშინ მეტად გაძნელდებოდა მუშაობა. ამიტომ სასამართლომ მიიღო მიზანშეწონილი წესი: ბრალდებულების დაკითხვა ჩატარდეს შეკითხვების სახით, ყოველგვარი განცხადება, განმარტება და ახსნა სხვადასხვა ხასიათის შეუძლია ბრალდებულს წარმოუდგინოს სასამართლოს მაშინ, როდესაც ექნება ბრალდებულს დაცვის სიტყვის უფლება და საბოლოო სიტყვა.

ანდრონიკაშვილი: მე მოვისმინე თქვენი დადგენილება, მაგრამ ვთხოვ უზენაეს სასამართლოს გამონაკლისი დაუშვას ჩემს შესახებ, ვინაიდან მე გახლავარ მომწყობი და ხელმძღვანელი აჯანყების და თუ არ გავაშუქებ მთელ პირობებს იმ მიზეზებს, რომელიც წინ უძღოდა ამ აჯანყებას, ეს იქნება ერთმხრივი გაშუქება ამ ისტორიული აქტის და ამიტომ, თუ მაინცდამაინც მომისპობთ ამ უფლებას, მაშინ მე უარს განვაცხადებ დაკითხვაზე, რადგანაც ცალმხრივი დაკითხვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც აჯანყების ტეხნიკური მხარე მხოლოდ არ წარმოადგენს ინტერესს. ვინაიდან აჯანყება ერთი დღის საქმე არ იყო, ამას წინ მიუძღოდა მთელი ამბები და თუ არ მომცემთ საშუალებას დავაკავშირო ეს წინასწარი პირობები აჯანყებასთან, მაშინ თქვენ არ გექნებათ მთლიანი წარმოდგენა მასზე.

თავმჯდომარე: ვრცელი ახსნა-განმარტების უფლება ბრალდებულს აქვს თავის დაცვითსა და საბოლოო სიტყვებში და თუ სასამართლო ასეთ წესს მიიღებს, რომ ყოველ ბრალდებულს ერთსა და იმავე საკითხზე სამჯერ მისცემს ლაპარაკის უფლებას, ამით საქმის მსვლელობა შეფერხდება და ამიტომ სასამართლომ დაუშვებლათ მიიჩნია ეს.

ანდრონიკაშვილი: მე გთხოვთ, ეს უფლება მომცეთ ერთხელ და შემდეგში შეგიძლიათ აღარ მომცეთ.

ნასიძე (დამცველი): ვიდრე დადგენილებას გამოიტანდეთ გთხოვთ...

თავმჯდომარე: ამ საკითხის შესახებ აღძრულია შუამდგომლობა თვით ბრალდებულის მიერ.

ნასიძე: მე მინდა ჩემი განმარტება მოგახსენოთ: ეს შუამდგომლობა, რომ მართლაც კანონიერია და სამართლიანი იქიდან სჩანს, რომ ჩვენ დამცველი მოკლებული ვართ საშუალებას ავხსნათ ესა თუ ის ბრალდება, თუ არ ვიცით ამ ბრალეულობის მიზეზი, მოტივები და ფაქტორები. ბრალდებულს აქვს უფლება შემდეგ თავის სიტყვაში ახსნა-განმარტება მისცეს ფაქტებს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაშია დამცველი, როდესაც მან არ იცის ის მიზეზები და ფაქტორები, რომელთაც წარმოშვეს ესა თუ ის მოვლენა. ბრალდებული თავის უკანასკნელ სიტყვაში ახსნის ამას, მაგრამ დამცველი ამით თავის მიზანს ვერ მიაღწევს და თუ ანდრონიკაშვილს არ მიეცემა საშუალება ახსნას და გააშუქოს ის მიზეზები, ის მოტივები რომელთაც წარმოშვეს ეს მოვლენა, მაშინ დამცველის მიერ ამ საკითხის გაშუქებაც ვერ მიაღწევს შედეგებს.

თავმჯდომარე: ბრალდებული ანდრონიკაშვილის შუამდგომლობა, რომ მას მიეცეს საშუალება საკითხის ვრცლად ახსნა-განმარტება წარმოუდგინოს სასამართლოს, სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლოს სხდომას ხუთი წუთით ვწყვეტთ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცლები 19-28.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივნის
იასონ ჯავახიშვილის დაკითხვა სასამართლო პროცესზე
1925 წლის 22 ივლისი

იასონ ჯავახიშვილის ახსნა განმარტება, მიცემული უზენაეს სასამართლოს 22 ივლისის საღამოს სხდომაზე

თავმჯდომარე: რა მიზანი ქონდა პარიტეტულ კომიტეტს?

ჯავახიშვილი: პირველათ ჩვენს წრეებში...

თავმჯდომარე: მიპასუხეთ ჩემს შეკითხვებზე!!

ჯავახიშვილი: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

თავმჯდომარე: რა წესით იყო აწყობილი პარიტეტული კომიტეტი?

ჯავახიშვილი: ნება მიბოძეთ კონსპექტიურათ მოგითხროთ საკითხის შესახებ. თქვენს ნებართვას ბოროტად არ გამოვიყენებ.

თავმჯდომარე: ბრძანეთ.

ჯავახიშვილი: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წრეებში თებერვლისა და მარტის დღეების შემდეგ დაისვა საკითხი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ხელისუფლებასთან. თითქოს ყველა იმ აზრის გახდა, რომ ფაქტს დაპყრობისას უარვყოფთ, მაგრამ თუ ხელისუფლება გაატარებს ეროვნულ გეზს, ჩვენ მას მხარში ამოუდგებით და შევეცდებით საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და განმტკიცებას. ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა, ან უკეთ ვსთქვათ, ნაკლები მნიშვნელობა ქონდა სხვა საკითხს გარდა ეროვნულისა. რა შემდეგ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენის აზრით, ატარებდა ანაციონალურ გეზს, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეწყო მუშაობა მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ. ამ მიზნის მისაღწევად ბუნებრივია, ჩვენი შეთანხმება სხვა პარტიებთან, რომელთაც იგივე მიზანი ქონდათ. დავიწყეთ მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს ფსიქოლოგიური უფსკრული იყო პარტიათა შორის, მაგრამ ჩვენ შევსძელით ყოველი კერძო დაგვევიწყებია და მიუხედავათ იმ დაბრკოლებისა შევთანხმდით.

პარალელურად ჩვენი შეთანხმებისა, აქ მეორე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საზღვარგარეთ. პარიტეტული კომიტეტი როგორც კი შესდგა, გააუქმეს საზღვარგარეთის შეთანხმება, ძალაში დასტოვა მხოლოდ აქაური შეთანხმება და მთავრობას აცნობა, გაერთიანება მოხდა გარკვეული ლოზუნგის გარშემო. ჩვენ არ გვაინტერესებდა ლოზუნგი შესახებ იმისა დემოკრატიზმის თუ დიქტატურის საშუალებით წავიდოდით სოციალიზმისაკენ. ის ფაქტი, რომ ამ გაერთიანების ფრონტზე გულგრილათ უცქერდენ სოციალიზმის საკითხს, ნიშნავს იმას, რომ თავსატეხ საგანს აღარ წარმოადგენდა ის სოციალიზმი, რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებდით. ჩვენთვის ნაკლები ან უკეთ ვსთქვათ არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხს. მე ვიტყვი, რომ ჩვენ არ გვაინტერესებდა ან ნაკლებ გვაინტერესებდა ბრძოლა ხელისუფლებასთან. მე ვამტკიცებ და ვგონებ ყველა დამეთანხმება, რომ კომუნისტური საქართველო რომ გამოეცხადებიათ და დაეცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ყოველივე მიზანი, რომელიც კი ჰქონდა დასახული დამოუკიდებლობის კომიტეტს, მიღწეული იქნებოდა და ყოველივე ძალა ჩვენ

საქართველოს ეროვნული არქივი

შორის მოსპობილი იქნებოდა. ერთადერთი მიზანი, ლოზუნგი, რომლის გარშემო ტრიალებდა მთელი დამოუკიდებლობის კომიტეტის მოქმედება დღიდან მისი დაარსებიდან დღევანდლამდე იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მან შეგვაერთა და მიგვიყვანა ამ შედეგამდე. შეთანხმების მუხლები იქ აღნუსხული არის, მაგრამ მე ჩემს თავს ნებას არ მივცემ გავიმეორო ის, რაც თქვენ იცით. მხოლოდ, რადგან თავიდანვე ვიყავი აქ და ვხედავ ცოტა გაუგებრობას დამოუკიდებლობის კომიტეტის ირგვლივ, ნება მიბოძეთ ცოტაოდნავ შევეხო მას. შეთანხმების თანახმად, ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა ეროვნული საკითხი მთელი მისი მასშტაბით. დასმული ეროვნული პოლიტიკის წარმოება ეს იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის მიზანი და საქმე. რაც შეეხება ამ საკითხს, ვერც ერთი პარტია ან ჯგუფი შემავალი აქ, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ვერ გადადგამდა რაიმე ნაბიჯს უშუალო თავის სახელით. დანარჩენ საკითხებში პარტიები იყვნენ დამოუკიდებელი. კონკრეტიულად, მაგალითად წარმოიდგინეთ, რომ საჭირო იყო 26 მაისის დემონსტრაცია. ეს იყო კომპეტენცია უეჭველად დამოუკიდებლობის კომიტეტის. წარმოიდგინეთ მეორე შემთხვევა, რომ დისციპლინის ძალით რომელიმე პარტია რეპრესიას იჩენს თავის პარტიის წევრზე. ეს იყო პარტიის კომპეტენცია. აი, ამიტომ მე მოგახსენებთ, რომ კომპეტენცია სრულიად გარკვეული იყო. შემდეგ მე მაქვს ერთი მუხლი, რომელსაც ცოტა შესწორება სჭირია: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენ უნდა დაგვეარსებინა გამოძიების კომისია. დიახ, ეს ასე გახლდათ, მაგრამ ამ კომისიას ჩვენ ვაძლევდით უფრო ფართო ხასიათს. საერთოდ, როდესაც ერის ცხოვრებაში კატასტროფა ხდება აქ უნდა იქმნეს გამოძიეული... /არ ისმის/, აი, ამ მნიშვნელობით. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვიყავით რესტავრაციის წინააღმდეგ. ეს იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმების ერთ-ერთი მუხლი, რომ ეს მიღწეულიყო. ეს სჩანს იქიდან, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტი მუშაობდა. აქ ლაპარაკი იყო გეგემონიის შესახებ. მე რასაკვირველია, უფლება არა მაქვს ვსთქვა, რომ რომელიმე ორგანიზაციას ვითომ ამისთანა სურვილი არ ჰქონდა. ამის შესახებ ვერაფერს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ჩვენ შევდიოდით ისეთ ორგანიზაციაში, სადაც ყველა საკითხები ერთხმად წყდებოდა, ეს ფაქტი ეწინააღმდეგება ასეთ აზრს. არ არის სწორი, რომ ვინმეს დიქტატურა ჰქონოდა დამოუკიდებლობის კომიტეტში. მე არავის არ ვეკამათები, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ნოე ხომერიკი ექვემდებარებოდა დამოუკიდებელ კომიტეტს და მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა.

რა საშუალება იყო, რომელსაც თქვენ მიმართავდით ჩვენი მიზნების განხორციელებისათვის? ეს არ იყო უსათუოდ აჯანყება. მე ვაცხადებ, რომ არავითარი აზრი აჯანყების შესახებ პირველად ჩვენ არ გვქონდა. ჩვენ ვფიქრობდით რა საბუთით, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობდით იმას, რომ შეიძლება შექმნილიყო ისეთი პირობები, როდესაც რუსეთი იძულებული იქნებოდა წასულიყო აქედან. არა იმიტომ, რომ ჩვენ უცხო ჯარებს მოვიყვანთ, არამედ მიტომ, რომ თვით რუსეთში მოხდებოდა რაიმე გართულება. ეს მომენტი გვქონდა გათვალისწინებული. აგვისტოში შესდგა დამოუკიდებლობის კომიტეტი და მას შემდეგ, რაც ეს მოგახსენეთ, ჩვენთვის ალბად ნათელი იქნება, რომ ყოველ შემთხვევაში ეს შეიქნა ამ დროს. დამოუკიდებლობის კომიტეტამდე არ არსებობდა ასეთი რამ... /არ ისმის/. აქ არეული იყო ორი ორგანიზაცია. როცა მოლაპარაკებას ვაწარმოებდით

საქართველოს ეროვნული არქივი

მენშევიკებთან, ოპოზიცია იკრიბებოდა და აყენებდა თავის აზრს. შეიძლება ეს იყო მიღებული რაიმე კომიტეტად, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ ეს იყო მხოლოდ თათბირი. ჩვენი დამოუკიდებლობის კომიტეტი მონათლა ხელისუფლებამ პარიტეტულ კომიტეტად და ალბად ამ სახელის დარქმევამდე გონიათ, რომ სხვა რაღაც კომიტეტი იყო. მე აქ მოგახსენებთ, რომ პარიტეტის მუშაობაში იყო ორი ხანა - დასაწყისის ხანა და შემდეგი მუშაობის ხანა. პირველ ხანებში ეს დამოუკიდებლობის კომიტეტი იყო სრული დამოუკიდებელი პარტიებიდან და ვერც ერთს საკითხს ვერც ერთი წევრი პარიტეტული კომიტეტისა ვერ დასვამდა კომიტეტში, თუ არ ექნებოდა ამის სანქცია პარტიებიდან. ყველა წევრი გააცნობდა ამ საკითხს პირველად პარტიას, დაეკითხებოდა მას და შეთანხმების შემდეგ გადაიტანდა პარტიაში. მუშაობა იყო პროპაგანდისტული, კულტურული. პირველი პოლიტიკური საკითხი, რომელსაც ჩვენ შევეჯახეთ მუშაობის დროს, ეს იყო ხევსურეთის გამოსვლა. ამის გამო პრეზიდიუმმა მოიწვია ზოგიერთი სამხედრო პირები და მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ როგორ მოგვეწყო ამ აჯანყების ჩაქრობა. სამხედრო პირებმა გაიზიარეს ჩვენი აზრი და კიდეც ჩააქრეს გამოსვლა. მე ვადასტურებ აქ მოქ[ალაქე] რცხილაძის განცხადებას, რომელიც ამბობს, რომ აქ დაისვა საკითხი აჯანყების შესახებო. დიახ, დაისვა მართალია, მაგრამ ვამბობ, რომ ამ საკითხს აკადემიურად გაშუქებას ვცდილობდით. ყველა პარტიები ამბობდა ჩვენთვის თუ აუცილებელი შეიქნა აჯანყება, მაშინ ჩვენ უნდა ვყოფილიყავით მომზადებული შესაფერისად. ეს აზრი არ გაიზიარა ფედერალისტთა წარმომადგენელმა. ამის შემდეგ დააპატიმრეს თავმჯდომარე. გავიდა დამოუკიდებლობის კომიტეტიდან ფედერალისტების წარმომადგენელი და გაჰყვა სხიველების წარმომადგენელიც. ეს არის პირველი პერიოდი ჩვენი მუშაობის. მეორე პერიოდი, დამოუკიდებლობის კომიტეტში სოც[იალ]-დემოკრატების მხრივ შემოვიდა კოტე ანდრონიკაშვილი. აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმების ძალით უთუოდ თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო სოც[იალ]-დემოკრატი. მე ვამტკიცებ, რომ ეს არ არის მართალი. ჩვენ პირველათ სრულიათ შემთხვევით ავირჩიეთ თავმჯდომარეთ სოც[იალ]-დემოკრატი. შემდეგში ჩვენ ვირჩევდით მხოლოდ მას, ვისაც ღირსეულათ დავინახავდით და თუ ჩვენ ავირჩიეთ ქარცივაძე ან ანდრონიკაშვილი, ამას ვუწევდით ანგარიშს და არა მათ პარტიულობას. ეს სწორეთ ის ხანა იყო, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენი რწმენით არარად იქცა. პარალელურად დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები და ქონდა ადგილი სამწუხარო მოვლენებს. დაიწყო პოლიტიკურების ხვრეტა, გურიის, ხევსურეთის და ცენტრის ამბები. იყო დიდი საშიშარი სტიქიური გამოსვლები. ჩვენ ნელ-ნელა, არა მაშინვე როცა ანდრონიკაშვილი შემოვიდა, არამედ ნელ-ნელა დავიწყეთ მზადება. მე მინდა ვიყო უფრო სწორი. აჯანყებას კი არ ვამზადებდით, აჯანყებისთვის ვემზადებოდით. უეჭველია ჩვენთვის საჭირო იყო, რადგან ძალიან გართულდა მდგომარეობა უფრო მოქნილი აპარატი გვქონოდა ვიდრე ის, როგორიც იყო წინათ. აქედან დამოკიდებულება დამოუკიდებლობის კომიტეტსა და პარტიებს შორის შეიცვალა, როცა გადამჭრელი მნიშვნელობა წინეთ პარტიას ქონდა, ეხლა ინიციატივა გადავიდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელში და მე უნდა განვაცხადო, რომ რადგანაც ფედერალისტების წარმომადგენელი სრულიათ თითქმის არ დადიოდა ჩვენს კრებაზე, სხიველებიც არ გვინახავს სრულიათ. ბუნებრივია, ჩვენი პრეზიდიუმი,

საქართველოს ეროვნული არქივი

რომელიც მოვალე იყო ანგარიში გაეწია ყველა თავისი პარტიებისათვის და პარიტეტული კომიტეტისათვის, აწარმოებდა აქტიურ მუშაობას. რაც შეეხება ესერების წარმომადგენელს, ჩვენ შეძლებისადაგვარათ ვუზიარებდით ჩვენს აზრს. ამ დღიდან მე ვაცხადებ, რომ პრეზიდიუმი იყო საქმის კურსში და შეიძლება ბევრი სხვა პარტიებმა არც კი იცოდენ. 1923 წლის ზაფხულზე ჩვენ პრაქტიკულად შევუდექით აჯანყების საკითხს. ამოვირჩიეთ სამხედრო კომისია, სადაც შედიოდენ განსვენებული ხომერიკი და წინამძღვრიშვილი. დავუკავშირეთ ეს კომისია პარტიებს, ვინაიდან წინეთ ჩვენს პარტიას ქონდა ჩოლოყაშვილთან კავშირი. დაკავშირების მიზანი კი იყო შეგვეჩერებია სეპარატიული გამოსვლები ჩოლოყაშვილის და შეგვენახა ეს გამოსვლები საბოლოოდ გამოსვლებამდე და რადგან პრაქტიკულად დაისვა ეს საკითხი, გავგზავნეთ ჩრდილო კავკასიაში წინამძღვრიშვილი. აქ აქედან იწყება ჩვენი პრაქტიკული მუშაობა აჯანყების მოსაწყობად. როდესაც ჩვენ გავითვალისწინეთ ეს, ამის შემდეგ ყოველთვის ვემზადებოდით, ვინაიდან ჩვენ მზათ უნდა ვყოფილიყავით მომენტისათვის. ჩვენ გვქონდა ეს მიზანი, ამას განვახორციელებდით. რა თქმა უნდა ჩვენ უნდა დათმობილი ვიყავით არა უმცირესობას, არამედ უმრავლესობას. ჩვენ ვეყრდნობოდით არა ამა თუ იმ კლასს, არამედ ყველა იმას, ვინც შეადგენდა ერს და არა კლასს. რაც შეეხება საზღვარგარეთს, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ თუ გავიმარჯვებთ, დადგებოდა ჩვენ შორის ნორმალური ურთიერთობა. აჯანყების დროს ჩვენ იმედი გვქონდა მხოლოდ დიპლომატიურ ჩარევის. აქ ლაპარაკი იყო სოციალისტურ ინტერვენციაზე. ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებლობის კომიტეტი არავითარ იმედებს სოციალისტურ ინტერვენციაზე არ ამყარებდა. რაც შეეხება ჩვენ მეზობლებს, რასაკვირველია, ჩვენ დაინტერესებული ვიყავით, რომ გამოსვლა მომხდარიყო მთლიანად ამიერკავკასიაში და თუ გნებავთ მთელ კავკასიაში. ეს ბუნებრივია და რომ ჩვენ ზომები არ მიგვეღო, ეს ჩვენი შეცდომა იქნებოდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და თუ ისინი არ გამოგვყვენ, ეს ჩვენი ბრალი არ არის. სომხებმა უარი გვითხრეს, აზერბეიჯანთან კავშირი გაწყდა, ჩრდილო კავკასია ვერ გამოვიდა. მიუხედავათ ამისა, იმდენად შეგნებული გვქონდა აჯანყების აუცილებლობა, რომ ჩვენ მარტო მოვახდინეთ ის. აქ აცხადებდნენ, რომ მოელოდენ რაღაც ჩარევას, ასახელებდენ ევროპას, ინგლისს. მე გულახდილად გეუბნებით, რომ ჩვენ გვქონდა მხოლოდ ქართველი ხალხის იმედი და მეზობლებისა. ჩვენ შევიკრიბეთ აგვისტოში და დავადგინეთ გამოსვლა. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ განაცხადა თავის წარმომადგენლის სახით, რომ ის აჯანყების წინააღმდეგი არის და ვინაიდან სხვა პარტიები ამის მომხრე იყვნენ, ის გავიდა დამოუკიდებლობის კომიტეტიდან. სხიველების წარმომადგენელმა მხოლოდ გამიცხადა თავის აზრი, რომ სხიველების პარტია წინააღმდეგია გამოსვლის და ეს აზრი მე მოვახსენე დამოუკიდებლობის კომიტეტს. იმათ სთქვეს: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარ აჯანყების“. დადგა საკითხი, რა უნდა გვექნა? ჩვენ ვთქვით, რადგან სხიველები ფაქტიურად გასული არიან დამოუკიდებლობის კომიტეტიდან, იმათ გზას გაყვენ ფედერალისტები, დამოუკიდებლობის კომიტეტში დარჩა სამი პარტია და ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალენი ვართ ეს მუშაობა ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენ ერთხმად გადავწყვიტეთ აჯანყება და გამოვედით კიდეც. აჯანყება მოხდა მთლიან საქართველოს მასშტაბით. დასავლეთ საქართველო გამოვიდა. გამოვიდა სვანეთი, იმერეთი. საინტერესოა, რომ გამოვიდა სამეგრელო, სადაც

საქართველოს ეროვნული არქივი

უფრო მეტი ძალოვანი იყო ხელისუფლების წარმომადგენლები. გამოვიდა გურია. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქაც იყო გამოსვლები, მაგრამ უფრო სუსტად. ყველა ამის მიზეზი იყო უფულობა. რასაკვირველია, ჭიათურამაც შეუშალა ხელი. იყო გამცემლებიც. შემდეგ ამისა, ვინაიდან ნათლად არ გვქონდა გადაწყვეტილი ტფილისში გამოსვლები, ამიტომ წავედით შიო მღვიმის ტყეში. სექტემბრის ორს დაგვესხა რუსის ჯარი. ჩვენ შვიდი თუ რვა კაცი ვიყავით. აგვიტეხეს სროლა. ჩვენ გავიფანტეთ. მე პირადად დაჭრილი ვიყავი რამოდენიმე ადგილს. ბოლოს და ბოლოს დაგვაპატიმრეს სხვადასხვა ადგილს და ჩამოგვიყვანეს ტფილისში საგანგ[ებო] კომისიაში. უკვე ნათელი იყო, რომ აჯანყება წაგებულია და შემდეგი გამოსვლები იქნება მხოლოდ უქმი სისხლის დაღვრა. მეორე მხრივ ვხედავდით, რომ საუკეთესო ქართველებს სწყვეტავდენ. ყველა ამან გვაიძულა და დავიწყეთ მთავრობასთან მოლაპარაკება. ერთი მხრით იმიტომ, რომ ბოლო მოღებოდა ამ რეპრესიებს. ჩვენ გამოვუშვით ეს რეზოლიუცია. ჩვენ ვამბობდით, ჩვენ ვიცით, რომ ისე დაგვხრეტენ, როგორც დახვრიტეს ვალიკო ჯუღელი, მაგრამ ჩვენ ავასრულეთ ჩვენი მოვალეობა. ეს ვთქვით ჩვენ 5 სექტემბერს 1924 წელს და ეს განცხადება არის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გედის სიმღერა...

თავმჯდომარე: ბრალდებულო ჯავახიშვილო! თქვენ როცა შეგეკითხენ, გრძნობთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავეთ ამ მუხლებში, რომელიც აღნიშნულია საბრალდებულო დასკვნაში, თქვენ უპასუხეთ - თავს დამნაშავეთ არ ვცნობო და რანაირად გაიგოს სასამართლომ თქვენი განცხადება იმ მოქმედების შესახებ, რაც თქვენ ჩაიდინეთ შეიარაღებული გამოსვლების სახით, ბანდების სახით, ინტერვენციის სახით? ყველა ამ მოქმედებაში ვერ ცნობთ თავს დანაშაულად თუ აქ არის ერთგვარი გაუგებრობა? ხომ ადასტურებთ, რომ თქვენ ღებულობდით მონაწილეობას პარიტეტის მოქმედებაში? მან მოაწყო შეიარაღებული აჯანყება, კავშირი ქონდა ბანდიტებთან, კავშირი დაიკავა ჩრდილო კავკასიასთან და სხვ. ქვეყნებთან. თუ ეს ასეა და რომ ეს ასეა თქვენ თითონ ადასტურებთ, მაშინ რატომ არ აღიარებთ თქვენ თავს დამნაშავეთ იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც წამოყენებული გაქვთ როგორც წინასწარი გამოძიების დროს, ისე საბრალმდებლო დასკვნით?

ჯავახიშვილი: მე თითონ მინდოდა გამეცხადებია, მაგრამ რადგანაც შემეკითხე, ნება მიბოძეთ მუხლობრივ მოგახსენოთ.

თავმჯდომარე: თქვენ გაქვთ ოთხი მუხლი ბრალდების. პირველი მუხლი შეეხება შეიარაღებულ აჯანყებას მთავრობის დამხობის მიზნით. ამის შესახებ რას აჩვენებთ სასამართლოს? აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავეთ? უპასუხეთ მოკლეთ ან ჰო ან არა.

ჯავახიშვილი: არ ვაღიარებ.

თავმჯდომარე: მიუხედავათ იმისა, რომ ჩაიდინეთ?

ჯავახიშვილი: დიახ, ნება მიბოძეთ განმარტებისათვის.

თავმჯდომარე: მაგ განმარტების უფლება გექნებათ შემდეგ. ეხლა კი აცხადებთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ ჩაიდინეთ ის, რაც ოთხ მუხლში გბრალდებათ, თქვენ მაინც თქვენს თავს არ სცნობთ დამნაშავეთ?

ჯავახიშვილი: მე მოგახსენებთ, რომ თვით ბრალდება სწორად არ არის წამოყენებული. ის, რასაც თქვენ მაბრალებთ, თუ ეს მართლა ჩავიდინე, მე არ შემიძლია ვაღიარო, რომ თავს არ ვთვლი დამნაშავეთქო.

საქართველოს ეროვნული არქივი

თავმჯდომარე: პირველი მუხლის შესახებ გეკითხებით. აქ ლაპარაკია შეიარაღებულ აჯანყების შესახებ. თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ ამ აჯანყების მოწყობაში თქვენ მონაწილეობას ღებულობდით არა?

ჯავახიშვილი: აქ წარმოდგენილია ბრალდება შემდეგში, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების /კითხულობს/. მე ვაცხადებ კატეგორიულათ, რომ არასდროს არ წავიდოდი ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. ხელისუფლებასთან ბრძოლას არ დავიწყებდი და თუ ვმოქმედობდი, ვმოქმედობდი რუსეთის ძალების წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: თქვენ გეკითხებათ სასამართლო, რომ თქვენ აჯანყება მოაწყვეთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოში, როგორც ეს თქვენ განაცხადეთ?

ჯავახიშვილი: მე თუ განვაცხადე ბოდიშს ვიხდი.

თავმჯდომარე: თქვენ განაცხადეთ, რომ აჯანყება უნდა მოწყობილიყო ამიერკავკასიისა და კავკასიის მასშტაბით?

ჯავახიშვილი: ნება მიბოძეთ, მართალია ამ მასშტაბით უნდა გვემუშავნა, მაგრამ აჯანყება მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ და არა საქართველოს წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ ევროპიდან არავითარი რეალური დახმარება არ გქონდათ. გახსოვთ თქვენი ჩვენება, რომელიც მიეცით არა საგანგებო კომისიაში, რომელსაც უარყოფენ ზოგიერთი თქვენგანი, არამედ ის მიეცით სასამართლოს გამომძიებელს? ამ გამომძიებელს ძალდატანება ხომ არ უხმარია? მე წაგიკითხავთ და გთხოვთ, ის ან დაადასტუროთ ან უარჰყოთ: ჩვენ ვცდილობდით საზღვარგარეთის ბიუროს საშუალებით უცხო სახელმწიფოებიდან მიგვეღო ფული და იარაღი. ეს თქვენი ჩვენებაა არა?

ჯავახიშვილი: დიახ.

თავმჯდომარე: მაშასადამე, თქვენ იმედი გქონდათ და ცდაც იყო, რომ საზღვარგარეთიდან მიგეღოთ არა მარტო სიტყვიერი დახმარება, არამედ ფული და იარაღიც კი?

ჯავახიშვილი: ეს ცდა იყო. ეს იყო მე ვადასტურებ, მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენ უნდა მიგვეღო არა ეხლა, არამედ მაშინ, როდესაც საქართველო აღადგენდა თავის დამოუკიდებლობას. მაშასადამე, მე ვამტკიცებ, რომ არავითარი იმედი აჯანყების პროცესში ვინმესგან რაიმე დახმარების ჩვენ არ გვქონდა.

თავმჯდომარე: პარიტეტული კომიტეტი საიდან ღებულობდა ფულებს?

ჯავახიშვილი: პარიტეტული კომიტეტი ღებულობდა ფულებს ერთი მხრივ აქ და მეორე მხრივ თავის საზღვარგარეთელ ბიუროდან.

თავმჯდომარე: სისტემატიურად ღებულობდა თუ არა?

ჯავახიშვილი: არა.

თავმჯდომარე: დაახლოვებით თქვენი იქ ყოფნის დროს რამდენი მიიღეთ?

ჯავახიშვილი: მე არ ვაწარმოებდი ანგარიშებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ დაახლოვებით 20. 000 ლირამდე. ეს ფული იყო არა სხვისი, არა უცხოელების, არამედ აქედანვე გატანილი.

თავმჯდომარე: ჩოლოყაშვილის ბანდა ვის ექვემდებარებოდა, პარიტეტულ კომიტეტს თუ თქვენ პარტიას?

ჯავახიშვილი: ჩოლოყაშვილი გავიდა თავის ძალით და მერმედ მოხდა კონტაქტი მასა და ჩვენ პარტიას შორის. კონტაქტი იმაში მდგომარეობდა, რომ

საქართველოს ეროვნული არქივი

ის წინეთ აწარმოებდა დამოუკიდებ[ელ] ყოველგვარ მუშაობას, ჩვენ ვთხოვ-დით შეეჩერებია მას ყოველგვარი გამოსვლა. ამის შემდეგ მაინც გვესმოდა, რომ ის აწარმოებდა /არ ისმის/. მაშინ ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვემართა დამოუკიდებლობის კომიტეტისათვის და მისი საშუალებით სავსებით ხელში აგვეღო ჩოლოყაშვილი.

თავმჯდომარე: ასე რომ, დამოუკიდებლობის კომიტეტმა თავის მფარ-ველობის ქვეშ აიღო ჩოლოყაშვილის ბანდა?

ჯავახიშვილი: პარიტეტულმა კომიტეტმა თავის თავზე ვალდებულება იდვა მატერიალური დახმარება გაეწია ჩოლოყაშვილისათვის. ის კვლავ დარჩა დამოუკიდებელი, მხოლოდ აღგვითქვა, რომ არავითარ ექსცესებს არ ექნებოდა ადგილი, სანამ ჩვენ არ მოვიწვევდით, ე. ი. აჯანყებისათვის.

თავმჯდომარე: ემორჩილებოდა თუ არა ჩოლოყაშვილის ბანდა პარიტეტულ კომიტეტს?

ჯავახიშვილი: სრულებით არა, მხოლოდ ემორჩილებოდა მხოლოდ იმ მხრივ, რომ თუ ჩვენ მას დავავალებდით ეროვნული მიზნის მისაღწევად მოქმედებას, ის ვალდებული იყო გამოსულიყო.

თავმჯდომარე: ვისი არის ბრძანება #1?

ჯავახიშვილი: ეს გახსნილია ჩემამდის. ეს გახლავთ დავით ვაჩნაძის.

თავმჯდომარე: ბრძანება #1 შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო იასონ ჯავახიშვილმა, ასე უჩვენებს წულუკიძე.

ჯავახიშვილი: მე ვარდენ წულუკიძეს ძალიან პატივს ვცემ და მე ვფიქრობ, რომ როდესაც მან ასე უჩვენა, ის წინასწარ შეცდომაში იყო შეყვანილი. მე არ ვიკადრებდი აქ უარმეყო რაიმე ჩემი მოქმედება, პირიქით, მე ყოველ გვარი ზომა მივიღე დავით ვაჩნაძის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: მისაბიშვილი თქვენი პარტიის წევრი იყო?

ჯავახიშვილი: დიახ.

თავმჯდომარე: რატომ მოკალით?

ჯავახიშვილი: ნება მიბოძეთ. მე სამწუხაროთ არ მომეცა საშუალება ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით გამომერკვია ეს საკითხი და ეხლა მოგახსენებთ: მისაბიშვილი იყო პროვოკატორი. ეს ჩვენთვის დამტკიცებული იყო. დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ მისაბიშვილი როგორმე თავიდან მოგვეცილებია. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ რევოლიუციონურ თვალსაზრისით მოვალენი ვიყავით მოგვეკლა ჩვენი პროვოკატორი, ის ვერ გავიმეტეთ და ბოლოს პირადად მე სწორედ იმ დღეს, როცა ის უნდა მოეკლათ, გავიგე სრულიად შემთხვევით. ეს იყო საღამოს 7 საათი. მე შემეძლო გამეგზავნა კაცი და ამრიგად, ამეცილებინა ეს, მაგრამ ეს კაცი ჯერ ვერ მონახავდა მას და მერე მე თითონ არ ვქენი /არ ისმის/. როცა მე წარმომიდგინეს ეს ბრალდება და დავინახე, რომ ეს ბრალდება ყველას ბრალდება, მე ვსთქვი, თუ ვინმეა ამაში პასუხისმგებელი, მე ვფიქრობ, რომ მეც ვარ.

თავმჯდომარე: თქვენ იმ შეკითხვაზე, რომელიც თქვენ აჩვენეთ გამომ-ძიებელს, ლაპარაკობდით შემდეგს: „პროვოკატორი...“ მარტო ამაში გამოიხა-ტებოდა თქვენი მონაწილეობა?

ჯავახიშვილი: დიახ, მე შემეძლო გამეგზავნა კაცი, რომელიც მას შეიძლება ვერც იპოვნიდა, მაგრამ მე ეს არ ჩავიდინე. მე ამის შესახებ ვრცელი ჩვენება არ მიმიცია.

საქართველოს ეროვნული არქივი

თავმჯდომარე: რატომ არ მიეცით ვრცელი ჩვენება? როცა თქვენ შეგეკითხეთ, თქვენ უპასუხეთ, რომ პროვოკატორი იყოვო... რატომ მეტი არ თქვით თუ იცოდით?

ჯავახიშვილი: უნდა მოგახსენოთ, რომ ვექილიც ვარ და ვიცოდი, რომ სასამართლოში მექნებოდა საშუალება ყოველივე ამბის გამოთქმისა. ასეთი იყო მოტივი, რომლის გამო მე ეს იქ არ ვთქვი.

სტურუა (მსაჯული): იცის თუ არა ჯავახიშვილმა, რომ გასული წლის მაისში თუ ივნისში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ყრილობა ქონდა სალიკვიდაციო. ორი თუ სამი თვე თათბირობდენ და ბოლოს გამოიტანეს რეზოლიუცია. თქვენ რა აზრის იყავით მათზე და საზოგადოდ ამ რეზოლიუციაზე?

ჯავახიშვილი: ჩვენ დავგმეთ ისინი და გამოუშვით ორი პროკლამაცია. ამგვარად უკმაყოფილონი ვიყავით ჩვენი ყოფილი ამხანაგებისაგან.

სტურუა: მათ დეკლარაციაში ნათქვამი იყო ამის შემდეგ, ვინც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით იმოქმედებსო ის მტერია ერისო?

ჯავახიშვილი: მათ დეკლარაციაში ბევრი რამ იყო. მათ ნათქვამი ისიც კი ქონდათ, რომ მენშევიკები იბრძოდენ დამოუკიდებლობისათვის, ჩვენ კი წინააღმდეგი ვიყავითო. ჩვენთვის სრულიათ არ შეადგენდა რაიმე სავალდებულოს დაგვეჯერებია მათთვის. ის არ იყო კომპეტენტური ორგანიზაცია, როცა ცეკას ან პარტიის წევრი მოკვდება ციხეში ის კარგავს უფლებას იქონიოს გადამჭრელი ხმა. ჩვენ ამ აზრის ვიყავით და ვართ ეხლაც.

სტურუა: პირადათ თქვენ ვინაიდან პატიმარი ხართ ყოველგვარი უფლება დამოუკიდებლობის დაცვაზე დაკარგული გაქვთ?

ჯავახიშვილი: არა, მაგრამ უფლება პარტიის წევრობის, აქტიური წევრობის, რომ დირექტივებს ვაგზავნიდე აქედან, არა მაქვს.

სტურუა: თქვენ ბრძანეთ, რომ ჩვენ წინათ შეიარაღებულ აჯანყებაზე არ ვფიქრობდითო. ბოლოს, როდესაც იძულებული იქნებოდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება საქართველოში რომ წასულიყო აქედან, ამ შემთხვევისათვის ვემზადებოდითო. რა მიზეზებს უნდა გაერეკა მუშურ-გლეხური ხელისუფლება საქართველოდან როგორ ფიქრობთ? თქვენ სთქვით, რომ ამის პირობები შეიქმნებოდა რუსეთშიო. როგორ გაქვთ წარმოდგენილი, რა უნდა მომხდარიყო, რომ ხელისუფლება აქედან გაეძევებიათ?

ჯავახიშვილი: ჩვენ ბევრს არ ვთხოულობდით. ჩვენ ვთხოვილობდით, რომ კომუნისტურ ხელისუფლებას შეესრულებია კომუნიზმის პრინციპები, რომელსაც იზიარებს ის დღიდან დაარსებისა უკანასკნელ დღემდე. ის კი ამბობს, ჩვენ ვართ ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე, მომხრე ვართ ერის დამოუკიდებლობის, წინააღმდეგი ვართ ანექსიის. ამას წინათ თქვენ გაეცნობოდით, რომ ჩიჩერინმა სრულიათ სამართლიანი მოთხოვნილება გაუგზავნა რუმინიას გაიყვანეთ ჯარები ბესარაბიიდან, მიეცით საშუალება თვითგამორკვევის და მაშინ გავიგებთ ვისკენ წავა.

თავმჯდომარე: ბრალდებულო! ჩინეთის ამბებს არ გეკითხებიან.

ჯავახიშვილი: როცა ზოგად საკითხს მისვამენ, მეც ვამბობ რასაც რუსეთი მოითხოვს რუმინიიდან უეჭველათ მოვალეა ის შეასრულოს საქართველოს შესახებაც.

თავმჯდომარე: ბრალდებულო! თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ აჯანყება მოაწყვეთ და სხვათაშორის მის დამარცხების ერთ მიზეზად სთვლით

საქართველოს ეროვნული არქივი

ჭიათურას. რას ნიშნავს ეს?

ჯავახიშვილი: საქმე იმაშია, რომ ჭიათურის გამოსვლები მოხდა 22 საათით ადრე. ჩვენ გვინდოდა გამოსვლები 28 აგვისტოს 2 საათზე ღამით. ჭიათურა გამოვიდა ადრე და გააფრთხილა ხელისუფლება.

ოკუჯავა (მსაჯული): პარიტეტული კომიტეტი ჩოლოყაშვილს აძლევდა ყოველთვიურად თანხას თუ არა?

ჯავახიშვილი: თქმა იმისა, რომ ყოველთვიურათ აძლევდაო არ შემიძლია. დაპირება იყო. ეგ გააჩნდა იმას ფული გვექნებოდა თუ არა. თუ ვიშოვიდით, ვაძლევდით.

ოკუჯავა: თქვენ გაქვთ ჩვენებაში, რომ პარიტეტულ კომიტეტს აძლევდით 200 მანეთს.

ჯავახიშვილი: გთხოვთ, გაიგოთ ისე, როგორც მოგახსენებთ. როცა არ გვქონდა ვერ მივსცემდით. მაშინ მეორე თვეში მივსცემდით.

ოკუჯავა: ძველსაც გაასწორებდით არა?

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: ჩოლოყაშვილის შტაბში იყო ვინმე თუ იცით? ვინ ყავდა მას დაახლოებული ხალხი ხომ არ იცოდი? იცნობდით ლელო ჩიქოვანს? ცნობები ხომ არ გქონდათ, რომ ის აქ არის?

ჯავახიშვილი: მე მოგახსენებთ, რომ პირადათ მე მქონდა კავშირი ჩოლოყაშვილთან. პირადათ მე ვინახულე ის აჯანყების დროს. ლელო ჩიქოვანი არ ვიცი იყო თუ არა. მე ვიყავი მასთან აჯანყების დროს, მაგრამ მახსოვს მხოლოდ ვაჩნაძე, დანარჩენების გვარი არ ვიცი.

ოკუჯავა: თუ იცით თქვენ, რომ წინანდალში 1922 წ[ლის] 5 კომსომოლისტი მოკლა ჩოლოყაშვილის რაზმმა. გამოიყვანეს გლეხის შვილები: 4 ქართველი, 1 სომეხი და დახვრიტეს. როგორ ფიქრობთ თქვენ, ეს ნაციონალური საქმე იყო?

ჯავახიშვილი: ეს ფაქტი მე გავიგე მხოლოდ საბრალმდებლო დასკვნიდან. რაც შეეხება შეფასებას, მე არ ვიცი მართალი არის თუ არა ეს ფაქტი. იქნებ სხვებმა ისარგებლეს მისი სახელით. მაგრამ მე მოგახსენებთ, არავითარი დასტური მას ამის შესახებ არ ჰქონდა და ეს რა თქმა უნდა არ არის ნაციონალური საქმე.

ოკუჯავა: თუ გახსოვთ, რომელი ხნიდან კრავს კავშირს პარიტეტული კომიტეტი ჩოლოყაშვილის ბანდასთან?

ჯავახიშვილი: პარიტეტული კომიტეტი უკავშირდება ჩოლოყაშვილს დაახლოვებით 1923 წ[ლის] ზაფხულიდან, თვეს ვერ მოვიგონებ, ივნისი იქნებოდა ან ივლისი, შეიძლება აგვისტო.

ოკუჯავა: რომელი თვიდან იყო ქარცივაძე პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარე?

ჯავახიშვილი: გოგიტა ფაღავა და ქარცივაძე იყვნენ ერთ კრებაზე. ეს უნდა იყოს აგვისტოში.

ოკუჯავა: თქვენ გახსოვთ კარგათ?

ჯავახიშვილი: თვე არ მახსოვს, დასკვნას ვაკეთებ.

ოკუჯავა: ხომ არ გახსოვთ მაისში ხომ არ შეიქმნა 1922 წელში?

ჯავახიშვილი: არა.

ოკუჯავა: ქარცივაძე... ამბობს 1922 წლის მაისში.

ჯავახიშვილი: მე არ ვიცი რას ამბობს, მხოლოდ ეს არ არის მართალი.

საქართველოს ეროვნული არქივი

ოკუჯავა: მის ჩვენებაში ასე არის ნათქვამი.

ჯავახიშვილი: ეს თითონ იცის. რამდენადაც მე ვიცი ქარცივაძე არ იყო ცეკას წევრი და შეიძლება არ სცოდნოდა.

ოკუჯავა: თქვენ ჩვენებაში გაქვთ: იმედები გვქონდა საზღვარგარეთელ სახელმწიფოების დახმარების ამა თუ იმ ფორმაში.

ჯავახიშვილი: მე თქვენ მოგახსენეთ და კვლავ გავიმეორებ, აჯანყების პროცესში ჩვენ იმედი გვქონდა დიპლომატიურ დახმარების. აჯანყების შემდეგ ჩვენ რომ რაიმე იმედი არ გვქონოდა, მაშინ ჩვენ უგნურნი უნდა ვყოფილიყავით, ვინაიდან საქართველოს რუსეთიდან განთავისუფლება შეიძლებოდა, მაგრამ მარტო ვერ შევინარჩუნებდით.

ოკუჯავა: თუ გახსოვთ თქვენ, შარშან 1921 წელში ერთა ლიგას სესია იყო.

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: ეს კითხვა იქ წამოიჭრა. როგორ ფიქრობთ, ეს ერთგვარი დახმარება იყო თუ არა?

ჯავახიშვილი: როგორ წამოიჭრა?

ოკუჯავა: ერთა ლიგაში წამოიჭრა, თქვენ გაზეთებიდან გეცოდინებათ.

ჯავახიშვილი: მე მაშინ უფლება არ მქონდა გაზეთები წამეკითხა, საგანგებო კომისიაში ვიყავი იზოლაციაში და გაზეთებს არ ვკითხულობდი. თუ კონკრეტიულად მეტყვით რა იყო იქ თქმული, მე შემიძლიან მაშინ გიპასუხოთ.

ოკუჯავა: რომელი თვიდან იღებდით თქვენ საგანგ[ებო] კომისიაში გაზეთს?

ჯავახიშვილი: მე დაახლოვებით ოქტომბრიდან.

ოკუჯავა: ასე რომ, თქვენ იყავით ციხეში საგანგ[ებო] კომისიაში ერთი თვე და შემდეგ გქონდათ კავშირი გაზეთებთან და სხვ.

ჯავახიშვილი: გაზეთებთან უფრო გვიან.

თავმჯდომარე: ნახვა ხომ გქონდათ?

ჯავახიშვილი: ნახვის დროს ხალხთა ლიგაზე ლაპარაკის უფლება არ გვქონდა.

ოკუჯავა: როდის შევიდა წინამძღვრიშვილი სამხედრო კომისიაში?

ჯავახიშვილი: ზაფხულში 23 წელს. თვეს ვერ მოგახსენებთ.

ოკუჯავა: როდის შევიდა მიხეილ ჯავახიშვილი სამხედრო კომისიაში?

ჯავახიშვილი: აქ ცოტა გაუგებრობაა. ეს არ იყო ორგანო პარიტეტულ კომიტეტთან. როცა სოც[იალ]-დემოკრატებმა, კერძოდ, ნოე ხომერიკმა მოისურვა გაეგო ჩვენი ძალები, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი პარტია, ჩვენ მას დაუკავშირეთ მიხეილ ჯავახიშვილი. ეს იყო საკონტაქტო კომისია.

ოკუჯავა: როგორი კონტაკტი ქონდათ?

ჯავახიშვილი: რადგანაც გაერთიანებული ფრონტი გვქონდა, უნდა გვცოდნოდა ურთიერთ ძალები. უნდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებით ჩვენ ძალას არ წარმოვადგენდით საქართველოში გასაბჭოებამდე. ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ მოვიკრიბეთ ძალები.

ოკუჯავა: რომელ ძალებზე ლაპარაკობთ?

ჯავახიშვილი: პარტიულ ძალებზე.

ოკუჯავა: რატომ ერქვა ამ კომისიას სამხედრო კომისია?

ჯავახიშვილი: ეგ არ იყო სამხედრო კომისია.

ოკუჯავა: თქვენ გაქვთ ნათქვამი ჩვენებაში: „სამხედრო კომისია...

ჯავახიშვილი: სამხედრო კომისია მე არ მითქვამს არც ხომერიკზე და არც

საქართველოს ეროვნული არქივი

ჯავახიშვილზე. მე ვამბობდი: ეს დაარსდა ივნისში თუ ივლისში და აქედგან იწყებს მუშაობას თქო. მე ეს ფაქტი დაუკავშირე იმ მომენტს, რომელიც მე უკვე აღვნიშნე.

ოკუჯავა: გიორგი წინამძღვრიშვილი პარიტეტის მიერ იყო გაგზავნილი?

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: თქვენ შეჰპირდით მთას წინამძღვრიშვილის პირით, რომ თუ ისინი თქვენ დაგეხმარებიან, თქვენ შეგიძლიათ მისცეთ მათ 50 სამხედრო ხელმძღვანელი?

ჯავახიშვილი: უნდა მოგახსენოთ, რომ წინამძღვრიშვილი როცა ჩამოვიდა, მაშინ თავბრუდამსხმელი მოხსენება გააკეთა - ჩვენ მარტო იმ ძალებით ავიღებდით რუსეთს. ამიტომ გავგზავნეთ იშხნელი, რომ გამოერკვია მდგომარეობა, მაგრამ არაფერი იმის მსგავსი არ იყო. როცა გვითხრა, რომ 90 ათასი კაცია და 50 ოფიცერი უნდა გავგზავნოთო, ჩვენ თითონ წავიდოდით, რომ ამდენი ყოფილიყო, მაგრამ სიმართლე არ აღმოჩნდა.

ოკუჯავა: თქვენ გაქვსთ, რომ წინამძღვრიშვილი წავიდა პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, სანქცია ქონდა მიცემული, რომ 50 კაცი წაეყვანა?

ჯავახიშვილი: იმის მოხსენების გამო ჩვენ ეს დადგენილება მივიღეთ, მაგრამ გამოირკვა, რომ იქ არაფერი არ არის და ერთი ოფიცერიც არ გაგვიგზავნია. ეს იყო ჩვენი ცდა. ისინი ჩვენ არ გამოგვყვენ.

ოკუჯავა: ლეო დგებუაძე რომელ წელში წავიდა ჩრდილო კავკასიაში?

ჯავახიშვილი: ალბათ 23 წლის გასულს, წინამძღვრიშვილის შემდეგ.

ოკუჯავა: 23 წელში კაზაკებთან კავშირი ქონდა თუ არა მას?

ჯავახიშვილი: ვის?

ოკუჯავა: ლეო დგებუაძის საშუალებით პარიტეტულ კომიტეტს?

ჯავახიშვილი: რა მოგახსენოთ.

თავმჯდომარე: /დარბაზში მჯდომს აძლევს შენიშვნას/ სასამართლოს დარბაზში ძილი არ შეიძლება, ვისაც ეძინება სახლში შეუძლია წავიდეს.

ჯავახიშვილი: ჩრდილოეთში იყო მგონი ლეო დგებუაძე, ინახულა ვიღაც, მაგრამ ეს არ არის კავშირი. ნახვა კავშირს არ ნიშნავს.

ოკუჯავა: 23 წლის დამლევს პარიტეტულ კომიტეტისთვის პრაქტიკულად ცხადი იყო თუ არა, რომ აჯანყება უნდა მოხდეს?

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: რა დროს გინდოდათ გამოსვლა?

ჯავახიშვილი: ჩვენ ასეთი დღე არ დაგვინიშნავს, მაგრამ ვფიქრობდით 15 თებერვლამდე. შემდეგში გადავდევით.

ოკუჯავა: პარიტეტული კომიტეტიდან ხომ არ წასულა საზღვარგარეთ კაცი?

ჯავახიშვილი: დიახ.

ოკუჯავა: როგორი მისია მიეცით?

ჯავახიშვილი: ჩვენ, რადგანაც დაყრდნობილი ვიყავით ჩვენს თავზე, ამიტომ ერთ-ერთ შველას ველოდით ჩვენი გასული ამხანაგებიდან. ჩვენ მოვალეთ ჩავსთვალეთ ჩვენი თავი შეგვეტყობინებია მათთვის, რომ ჩვენ გამოვდივართ და შეგვეტყო იმათი აზრი. ჩვენ იმ აზრის ვიყავით, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვქონდა კომუნისტური პრესის საშუალებით, ცალმხრივი არის და ჩვენ გვინდოდა გავრკვეულიყავით ნამდვილ მდგომარეობაში და შემდეგ

საქართველოს ეროვნული არქივი

გამოვსულიყავით.

ოკუჯავა: პარიტეტული კომიტეტი საზღვარგარეთ დასტურს თხოვდა თუ არა?

ჯავახიშვილი: უნდა მოგახსენოთ, რომ პარიტეტული კომიტეტი არავის არ ექვემდებარებოდა, პირიქით, მას ექვემდებარებოდენ. ჩვენ ვერავის დასტურს ვერ ვთხოვდით, ჩვენ ვთხოვდით აზრს, თუ რამდენათ მართლაც სცნობდენ ისინი მართებულათ ჩვენს გამოსვლებს. გამოვიდოდით თუ არა დასტური საჭირო არ იყო.

ოკუჯავა: თქვენ იცნობთ საქმის პირველ ტომში არის გოგიტა ფაღავას წერილი საზღვარგარეთ. ამ წერილს ატანს პარიტეტული კომიტეტი გაგზავნილ კაცს. იმ წერილში იცით რა სწერია? პარიტეტული კომიტეტი სთხოვს სანქციას.

ჯავახიშვილი: როდის იყო?

ოკუჯავა: 23 წლის დეკემბერს. ჩვენ მზათ ვართ და სანქციას სთხოვდა.

ჯავახიშვილი: მე თქვენ უნდა მოგახსენოთ, რომ გოგიტა ფაღავა მართალია იყო მაშინ სამხედრო კომისიის წევრი, მხოლოდ პარტიის რამდენად მე ვიცი. ჩვენ მისთვის არ დაგვივალებია ეს და არავითარი სანქცია არ გვქონია. მე არც ვიცი რამდენად სწორია, რომ ეს მისი წერილი არის. თუ ეს მისი წერილია, მაშინ ამას აქვს პარტიული ხასიათი. შესაძლოა როგორც პარტიული წევრი ის მართლაც თხოულობდა სანქციას, ჩვენ კი არა.

ოკუჯავა: რა იყო მიზეზი, რომ 1924 წ[ლის] თებერვალში არ მოხდა საქართველოში აჯანყება?

ჯავახიშვილი: არ მოხდა ბევრი მიზეზების გამო. ჩვენ სრულებით არ გვქონდა ფული და ნაწილობრივ ამან შეგვიშალა ხელი.

ოკუჯავა: საგანგებო კომისიაში თქვენ გაქვთ ნათქვამი „არესტ გოგიტა ფაღავა ი წინამძღვრიშვილი...“

ჯავახიშვილი: მე თქვენ უფრო ვრცლად მოგახსენებთ, თუ არ გსურთ მე უარს არ ვყოფ.

ოკუჯავა: სტიქიური აჯანყება თუ არის ორი კაცის გულისთვის შეიძლება გადადება?

ჯავახიშვილი: მე თქვენ მოგახსენებთ, რომ იქ არ არის ვრცლად აღნიშნული. მე არც ვსთვლი თავს მოვალეთ საგანგებო კომისიაში... გარდა ამისა, მე შემიძლიან ბევრს ავცდე. მე მოგახსენებთ, რომ ეს არ არის ერთადერთი მიზეზი. ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

ოკუჯავა: მეორე მიზეზი ფულის უქონლობა?

ჯავახიშვილი: ფული და სხვა მდგომარეობა.

ოკუჯავა: როდესაც 14 აგვისტოს თქვენ 3 კაცი გაგზავნეთ ჩრდილო კავკასიაში, რომელი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ ისინი?

ჯავახიშვილი: მე უნდა მოგახსენოთ თქვენ, რომ პარტიულ წარმომადგენლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. თუ პარტიის წევრმა გაგზავნა ისინი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი იყვნენ პარტიულები. მე ბოდიშს ვიხდი სასამართლოს წინაშე. შეცდომაში შევიყვანე სასამართლო, როდესაც ვაჩვენე, რომ ავალიშვილი ჩვენი პარტიის წევრი არის. მე არ ვიცოდი, რომელი პარტიის იყო.

თავმჯდომარე: რათ უჩვენეთ უპარტიო კაცზე, რომ პარტიის წევრი არის. ძალა ხომ არ დაგატანეს?

ჯავახიშვილი: არა. ჩემთვის ძალა არავის არ დაუტანებია, მაგრამ უნდა

საქართველოს ეროვნული არქივი

მოგახსენოთ, რომ კიდეც რომ დაეტანა, მე მაგის გამო არ ვიტყოდი. მე უარს ვამბობდი მთლიანად, ავალიშვილს არ ვიცნობ. ეს ჩემი უფლება იყო. მერმედ მე წარმომიდგინეს მაგის ჩვენება, სადაც ის ბევრს ლაპარაკობდა. ამის შემდეგ მე იძულებული ვიყავი მეთქვა, მართალია ჩვენ გავგზავნეთ, იქვე უთხარი, რომ ჩვენი პარტიის წევრია. ამ ფაქტს არავითარი მნიშვნელობას არ ვაძლევდი. მე ბოდიშს ვიხდი, რომ სასამართლო შეცდომაში შევიყვანე. ფულს ვიღებდით და თუ საქართველო აჯანყებას მოაწყობდა ზოგიერთი საფრანგეთის წრეები მოგვაწვდიდენ დახმარებას.

ოკუჯავა: კონკრეტულათ რომელი წრე?

ჯავახიშვილი: კონკრეტულათ ვერ მოგახსენებთ, რადგანაც მე საქართველოში მოქმედებით უფრო ვიყავი დაინტერესებული, ვიდრე მაგ საკითხით. ჩვენ გვწერდენ, თუ შემოგვითვლით, რომ საქართველო თავის ძალებით განთავისუფლდა, მაშინ აქაური მმართველი წრეები დაგვეხმარებიანო.

ოკუჯავა: თუ აჯანყება მოხდებაო არა საერთოდ, არამედ „დენეჟნიმი სრდსტ“?

ჯავახიშვილი: მე განა მაგას უარს ვყოფ? თუ გამარჯვება გვექნებოდა ფულიც გვექნებოდა და გემებიც.

ოკუჯავა: აჯანყებისათვის სპეციალურათ ფული მიიღეთ?

ჯავახიშვილი: მად ჩვენებაში ნათქვამია ათი ათასი მანეთი მივიღეთო. ეს არ არის სწორი. მე იძულებული ვიყავი მეჩვენებია, ვისგან მივიღე ეს თანხა. მე აქ და ამიტომ არ ვსთქვი საიდგან მივიღე.

ოკუჯავა: თქვენ დაწვრილებით გაქვთ ნათქვამი, რომ ერთნახევარ თვის განმავლობაში ორ ნაწილათ მივიღეთ ეს ფული.

ჯავახიშვილი: მე არ უარვყოფ მაგას, რომ განვაცხადე მაგრე, მაგრამ ჩვენ ორ ნაწილათ აქ შევკრიბეთ ეს ფული.

ოკუჯავა: ერთ-ერთი ბრალდებულთაგანი ამბობს ჩვენებაში, რომ პოლონეთის მხრივ ეს დახმარება კი არა დაცინვა იყოო. პოლონეთიდგან ხომ არ იყო ეს ფული?

ჯავახიშვილი: პირველათ მესმის მაგის შესახებ.

ოკუჯავა: ვეშაპელს თქვენმა პარტიამ რაიმე გაკიცხვა გამოუტანა?

ჯავახიშვილი: მაგაზე გიპასუხებთ. დიახ, გავკიცხეთ ჩვენ.

ოკუჯავა: რატომ გაკიცხეთ?

ჯავახიშვილი: გავკიცხეთ იმიტომ, რომ მან ძალიან უტაქტო წერილი მოათავსა „რუსკოე სლოვო“-ში, რომელიც ალექსანდროვის რედაქტორობით გამოდის. მან განაცხადა, რომ საქართველო აჯანყებას რომ ახდენდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩთან აწარმოებდა მოლაპარაკებასო. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენც ვებრძოდით რუსებს, ეს არა იმიტომ, რომ ის იყო კომუნისტური, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი იყო რუსეთი და ჩვენთვის ის მიუღებელი იყო ყოველმხრივ და თქმა იმისა, რომ საქართველო უკავშირდებოდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, ეს ნამდვილი პროვოკაცია არის და სხვა არაფერი.

ოკუჯავა: გაკიცხვა გამოუტანეთ არა იმისთვის, რომ მეგობრობა დაუწყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესო, არამედ იმიტომ, რომ მან აჯანყება, რომელსაც ჩვენ ვფარავდით, გამოამჟღავნაო?

ჯავახიშვილი: გთხოვთ, ეგ ჩვენება წამიკითხოთ.

ოკუჯავა: /კითხულობს/. ეს არის საქმის ფურცელი 21, ტომი მესამე.

საქართველოს ეროვნული არქივი

ჯავახიშვილი: ბოდიშს ვიხდი. ვთხოვ თავმჯდომარეს დამიმოწმოს, რომ მანდ არ არის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახებ. ეს ეწინააღმდეგება იმას, რაც არის საბრალმდებლო დასკვნაში. მე ეგ არ მითქვამს, არც არის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახებ. ჩვენება მივეცი.

თავმჯდომარე: მაგ ჩვენებას ბრალდებული ადასტურებს, მხოლოდ დამატებას უარყოფს, რადგან არ მიმიციაო.

ოკუჯავა: შემდეგს ჩვენ არ ვამბობთ. მე გკითხავ, თქვენ განაცხადეთ, რომ ჩვენ გავკიცხეთ ის იმისთვის, რომ მას ინტერვიუში გამოეთქვა აზრი თითქოს საქართველოს რაიმე საერთო ქონდეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთანო?

ჯავახიშვილი: ეს არის ერთი მუხლი და მეორეა საიდუმლოების გაცემა, ეს მოღალატეობაა.

ოკუჯავა: ეს არის ორი მოტივი. თქვენ აცხადებთ, რომ პარიტეტულმა კომიტეტმა გამოუტანა გაკიცხვა მისთვის, რომ მან გამოამჟღავნა ფარული აჯანყების მიზანი. რაც შეეხება იმას, რომ საქართველო თეთრ გვარდიელებთან შეაერთა, ამის შესახებ პარიტეტულმა კომიტეტმა რატომ არ გაკიცხა ვეშაპელი?

ჯავახიშვილი: მოტივებში იყო ეს, მაგრამ ეს ფაქტი, რომ არ აღნიშნა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ პარიტეტულ კომიტეტს ეს მოსაზრება არ ქონია. მე მეტს მოგახსენებ.

თავმჯდომარე: საკმარისია.

ოკუჯავა: თქვენ პარიტეტულ კომიტეტს მოახსენეთ, რომ ჩოლოყაშვილს ყავს 600 კაცი, ფაქტიურად კი ამბობთ, რომ გამოვიდა 60 კაციო. რა იყო მიზეზი, რომ პარიტეტულ კომიტეტში კეთდება მოხსენება 600 კაცზე და ფაქტიურად გამოდის 60 კაცი?

ჯავახიშვილი: საერთოდ ჩემთვის ძნელია ახლა თქმა იმისა, ამა თუ იმ ადგილას რატომ ვერ მოხდა ამა თუ იმ ოპერაციის შესრულება. მე არ მქონდა საშუალება მაგის გარკვევის. პირადათ მე ძალიან დაინტერესებული ვარ მაგით.

ოკუჯავა: როგორ იცნობდით თქვენ კოღუაშვილს?

ჯავახიშვილი: კოღუაშვილი მე ვნახე მხოლოდ ერთხელ, უკაცრავად, ერთხელ კერძოთ მე ვნახე, თითონ მოისურვა ჩემი ნახვა. შემდეგ ის დარაჯათ გვყავდა კრების დროს.

ოკუჯავა: სად?

ჯავახიშვილი: კრების დროს დარაჯობდა.

ოკუჯავა: კოღუაშვილი ხომ არ იყო იმ ჯგუფის უფროსი, რომელიც ფარავდა პარიტეტულ კომიტეტს და საჭიროების დროს ახდენდა ტერორისტულ აქტებს?

ჯავახიშვილი: მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არავითარ ტერორს პარიტეტულ კომიტეტიდან ადგილი არ ჰქონდა, ამიტომ არავითარი საჭიროება არ იყო.

ოკუჯავა: ხომ არ იცით რაიმე კავშირი ჰქონდა თუ არა სიმონ ხოფერიას კოღუაშვილთან და რა იცით მათი ურთიერთობის შესახებ?

ჯავახიშვილი: ხოფერიას ჰქონდა კოღუაშვილთან მეგობრული კავშირი, ეს ვიცი. მისი საშუალებით მართალია მინახულა მე კოღუაშვილმა, მაგრამ გარდა ამისა ჰქონდათ მათ რაიმე საქმე საერთო თუ არა, მე არ ვიცი.

ოკუჯავა: თქვენ გქონდათ ცნობა ვისთან ქეიფობდა...

ჯავახიშვილი: მე მოგახსენეთ, რომ კარგ განწყობილებაში იყვნენ და ხვდებოდენ კერძოთ. სვამდენ თუ არა ეს არ ვიცი, იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური

საქართველოს ეროვნული არქივი

საქმე არ არის.

ოკუჯავა: თქვენ გაქვთ ნათქვამი: „უ ნას პოიავილას მისლ ო ნეჩისტომ ისტოჩნიკე დენეგ უ ნიხ“.

ჯავახიშვილი: ბოდიშს ვიხდი, წამიკითხეთ.

ოკუჯავა: აი, თქვენი ჩვენება ტ[ომი] 3, ფ[ურცელი] 28: „ეშჩო რანშე დო მენია დახადილი სლუხი, ჩტო ხუხუ ხოფერია...“

ჯავახიშვილი: ეს ჩვენება მე პირადათ მივეცი. მე ამას უარს არ ვყოფ, მაგრამ როგორც ვხედავ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა კოღუაშვილმა, მაგრამ ჩემ პოლიტიკურ ამხანაგზე ამას არ ვამბობ.

ოკუჯავა: ლეო დგებუაძე ცეკას წევრი იყო თუ არა?

ჯავახიშვილი: დიახ, იყო.

ოკუჯავა: აი, თქვენ საქმეში გაქვთ ნათქვამი, თქვენ ამბობთ: „დელო ვ ტომ, ჩტო ვ პერიოდ დო არესტა ცინც... ისპიტივალი ოსტროე ბეზდენეჟიე“.

ჯავახიშვილი: მე თქვენ გთხოვთ, დაადასტუროთ, რომ ცენტრ[ალური] კომიტეტის ნებართვა არ იყო აქ და ასეთ ნებას ის არც მისცემდა.

ოკუჯავა: წინამძღვრიშვილი ცენტრ[ალური] კომიტეტის წევრია, ლეო დგებუაძე ცენტრ[ალური] კომიტეტის წევრია. ახდენენ ექსცესს, ყოველ შემთხვევაში ამის განძრახვები აქვთ. რა ზომები მიიღო ცენტრ[ალურმა] კომიტეტმა?

ჯავახიშვილი: მოგახსენებთ. შეიძლება ვინმე კერძო პირს დაებადა ასეთი აზრი, ეს მისი საკუთარი აზრი შეიძლება იყოს, მაგრამ ამ აზრს არ მოუპოებია მოქმედების უფლება და ამიტომ ამას მნიშვნელობა არა აქვს და რომ ცეკა ამის უფლებას არავის მისცემდა, მე ამას კატეგორიულად ვაცხადებ.

ოკუჯავა: ჩოლოყაშვილი რომელი წლიდან იყო თქვენი პარტიის წევრი?

ჯავახიშვილი: მის პარტიულ წევრობის შესახებ წინად არაფერი ვიცოდი. მხოლოდ შემდეგში კი იმას კავშირი ქონდა ჩვენთან.

ოკუჯავა: რომელი წლიდან?

ჯავახიშვილი: დაახლოვებით 21 წლის გასულიდან, როდესაც ის ტყეში გავიდა, რასაკვირველია, ეს მოხდა ჩვენ ნებადაურთველად.

ოკუჯავა: თქვენ მის პარტიის წევრობაზე თქვით, რომ არ ვიცოდიო?

ჯავახიშვილი: ვადასტურებ. ის სხვა კაცი იყო და პარტიის...

ოკუჯავა: ჩოლოყაშვილი კახეთის რაიონში რაიმე პარტიულ მუშაობას აწარმოებდა?

ჯავახიშვილი: ვიდრე ტყეში გავიდოდა აწარმოებდა.

ოკუჯავა: ხომ არ ყოფილა ისეთი ხანა, რომ ჩოლოყაშვილი გთხოვდათ გაგეშვათ ის საზღვარგარეთ?

ჯავახიშვილი: იყო ასეთი ხანა, როცა ჩვენ სრულიად იმედი დავკარგეთ აჯანყებაზე და მას ტყუილაუბრალოდ ტყე-ტყე უნდა ევლო. მან არჩია საზღვარ-გარეთ წასვლა, ვიდრე ჩეკაში ჩავარდნა.

ოკუჯავა: სხვა რაზმები გყავდათ?

ჯავახიშვილი: არ გვყოლია.

ოკუჯავა: სულ არ გყოლიათ?

ჯავახიშვილი: აჯანყების პროცესში ჩვენ დაუკავშირდით პირადად ლაშ-ქარაშვილს და შექმნა მან ბანდა თუ არა არ ვიცი.

ოკუჯავა: თქვენ ამბობთ ერთის მხრივ, რომ ლაშქარაშვილის ბანდები

საქართველოს ეროვნული არქივი

იყო მენშევიკების. ამის გარდა ამბობთ რაც შეეხება სხვებს ისინი სამაზრო კომიტეტების იყოვო.

ჯავახიშვილი: დიახ, ეგ ჩვენება მივეცი, რადგანაც ლაშქარაშვილი წინად იყო მენშევიკების და მე მეგონა, რომ რაზმებიც ყავდა და რამეს გააკეთებდა, მაგრამ არავითარი რაზმი მას არ ყოლია.

ოკუჯავა: თქვენ ამბობთ, რომ შალვა ამირეჯიბმა მითხრა, რომ ახალგაზრდები აწყობენ ექსცესებსო, მაგრამ მგონი ვერ მოაწყვესო. შემდეგ თქვენ ამბობთ, თუმცა ცენტრალური კომიტეტში არ ისმებოდა ეს საკითხი, მაგრამ მუშაობა ამ მხრივ იყოვო.

ჯავახიშვილი: მე ვთქვი, რომ ცდა იყო, ჩვენ არავითარი ფული არ გვქონდა, რომ მუშები მუნით იყვენ დაავადებული და ვერ ვშველოდით. ახალგაზრდებმა სთქვეს, რომ ხსნა არ იყო და დაიბადა ეს აზრი. ეს ჩვენ უვარვყავით, ეს ჩემს ჩვენებაშიდაც არის, ცეკას ნებართვა არ იყო. რაც შეეხება შალვა ამირეჯიბის შესახებ ჩვენებას, ისიც გასწორებულია.

ოკუჯავა: ხომერიკთან საუბარი ქონდათ, რომ ევროპის სახელმწიფოები დაგვეხმარებიან ფულითო?

ჯავახიშვილი: მოგახსენებთ იმ გაგებით, როგორც აქამდე. თუ ჩვენ განვთავისუფლდებოდით, ბუნებრივია, მივიღებდით დახმარებას.

ოკუჯავა: როდის შეიქნა ტფილისში სამხედრო კომისია?

ჯავახიშვილი: იმის შემდეგ, როცა შეიქნა პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისია.

ოკუჯავა: ვინ იყო წევრათ ამ სამხედრო კომისიაში?

ჯავახიშვილი: ჩვენს მხრივ იყო ზალდასტანიშვილი.

ოკუჯავა: მენშევიკების მხრივ?

ჯავახიშვილი: უნდა მოგახსენოთ, რომ სამაზრო კომისიასთან უშუალო კავშირი ქონდა სამხედრო კომისიას, პარიტეტული კომიტეტის პრეზიდიუმს სხდომები ქონდა სამხედრო კომისიასთან, სამხედრო კომისიას ტფილისის კომისიასთან. მე პირადათ არ ვიცი, ვაჩვენე ვითომ იყო კახიანი, მაგრამ შემდეგში მივეცი განმარტება, რომ ნოე ხომერიკმა მითხრა, მართალია კახიანი გავგზავნეთ, მაგრამ იყო თუ არა არ ვიცი. ხომერიკი დააპატიმრეს მეორე დღეს.

ოკუჯავა: როდესაც გადაწყდა, რომ აჯანყება მოხდეს საქართველოში, ვინ შეთვალა ფული საზღვარგარეთ? თქვენ ჩვენებაში გაქვთ, რომ როდესაც გადაწყდა აჯანყების საკითხი, კოტემ სწრაფათ გააგზავნა წერილი ფულზეო.

ჯავახიშვილი: მე არ ვუარყოფ და ვამბობ, რომ ჩვენ ფული არ გვქონდა და ვთხოვდით ჩვენს ამხანაგებს ცოტაოდენი მოეწოდებიათ, მაგრამ სამწუხაროთ უშედეგოთ დარჩა ჩვენი თხოვნა.

ოკუჯავა: პარიტეტულ კომიტეტში საკითხი სწყდებოდა ერთხმად თუ რაიმე სხვა სისტემა იყო?

ჯავახიშვილი: პირველათ სანამ ქარცივაძე იყო თავმჯდომარეთ ერთხმად წყდებოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიებში ყოფილიყვეს უთანხმოება და მიგვეღო. მაგრამ, როცა სხიველები არ გამოჩნდნენ და ფედერალისტები გულგრილათ იყვნენ, მაშინ ლაპარაკი იმაზე, რომ ერთხმად მივიღოთ, ეს ნიშნავდა სრულებით არ მოქმედებას. ჩვენ იძულებული გავხვდით დავდგომოდით იმას, რომ საკითხები გადაწყვეტილი ყოფილიყო ხმის უმრავლესობით.

ოკუჯავა: თქვენ ჩვენებაში ამბობთ, რომ სწორედ 18 აგვისტოს 1924 წ[ლის],

საქართველოს ეროვნული არქივი

როდესაც იყო პლენუმი სამხედრო და პარიტეტულ კომიტეტის, აი, მაშინ იქ იყო სხიველების წარმომადგენელი.

ჯავახიშვილი: მე ვადასტურებ, რომ იმ დღეს ჩემთან მოვიდა სხიველების წარმომადგენელი და მითხრა: „ჩვენი პარტია აჯანყების წინააღმდეგი არის“. მხოლოდ ის არ დასწრებია კრებას. მოვიდა, როდესაც იკრიბებოდნენ და წავიდა სანამ კრება დაიწყებოდა. მითხრა თავისი აზრი და მოვახსენე კრებას.

ოკუჯავა: თქვენ ნათლად გაქვთ ნათქვამი: 18 აგვისტოს დაესწრო კრებას ვიღაც მუშა, ხანდახან კოსტიუმში დადის, ის იყო აჯანყების წინააღმდეგ.

ჯავახიშვილი: მე მოგახსენებთ, რომ იმ დღეს სხდომა იყო ჩემ ბინაზე. ჩემთან მოვიდა იმ დროს, როდესაც იკრიბებოდენ სხვები სხიველების წარმომადგენელი და გამიცხადა თავის აზრი. მაგრამ ტეხნიკურად კრებას არ დასწრებია. თუ აქ რაიმე ეწინააღმდეგება ერთი მეორეს გთხოვთ, ეს განმარტებათ მიიღოთ.

ოკუჯავა: აი, თქვენ ამბობთ, რომ დელეგაციას, რომელიც თქვენ გაგზავნეთ მთაში ბერიძეს, ნაკაშიძეს და სხვ. ჰქონდათ მიცემული დირექტივა დაეყოლიებიათ...

ჯავახიშვილი: თუ შეიძლება წამიკითხეთ ეს ჩვენება.

ოკუჯავა: 3 ტ[ომი], 38 ფურც[ელი]: „იზ პრაქტიჩესკიხ შაგოვ პრედპრინიატიხ...“

ჯავახიშვილი: ეს მართალია. ჩვენ გვინდოდა, რომ საჩეჩნეთი გამოსულიყო. ჩვენ გავგზავნეთ ავალიშვილი ინფორმაციისათვის და გვინდოდა გაგვეგო გამოვიდოდა თუ არა ის. აი, ამ მნიშვნელობით გთხოვთ, გაიგოთ. ყოველ შემთხვევაში აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

ოკუჯავა: ეს არის სრულებით შეცვლა?

ჯავახიშვილი: შეიძლება.

ოკუჯავა: შემდეგ თქვენ ამბობთ: ნიკიფორე იმნაიშვილი შედიოდა პარიტეტულ კომიტეტში. ამას თქვენ ადასტურებთ?

ჯავახიშვილი: მე იქვე მაქვს მეორე განცხადება, სადაც ვამბობ, რომ ნიკიფორე იმნაიშვილი დაესწრო კრებას მოლაპარაკების დროს და არა პარიტეტის დაარსების შემდეგ. ამერია ის პირნი, ვინც შედიოდა სხიველებიდან. მე მხოლოდ ორ კაცს შევხვდი: მუხრანსა და იმნაიშვილს. მაგრამ რატომღაც დავასახელე ისიც. მაგრამ საქმეშია მეორე ჩემი ჩვენება, სადაც მე ვამბობ, რომ მოვიდენ მუხრანი და იმნაიშვილი და მესამეს შესახებ აქ ვიძლევი განმარტებას.

ოკუჯავა: ფურც[ელი] 21, ასე შეუძლებელია საქართველოს... /კითხულობს/.

ჯავახიშვილი: მე მოგახსენებთ, რომ ამის შესახებ განმარტება მივეცი საგანგ[ებო] კომისიას.

ოკუჯავა: შემდეგ კიდევ არის /კითხულობს/.

ჯავახიშვილი: წაიკითხეთ კიდევ შემდეგ.

ოკუჯავა: შემდეგ არის ფედერალისტები და სხვ. თქვენ ამას ადასტურებთ?

ჯავახიშვილი: მე ვადასტურებ იმ მეორე ჩვენებას, რომელიც მივეცი ამის შესახებ საგანგ[ებო] კომისიას.

თავმჯდომარე: პირველ ჩვენებას არ ადასტურებთ?

ჯავახიშვილი: არა.

თავმჯდომარე: არის კიდევ კითხვები?

ოკუჯავა: გახლავთ კიდევ ხუთიოდე შეკითხვა.

თავმჯდომარე: თუ შეიძლება მოკლედ, ვინაიდან ბრალდებულს აღარ შეუძლიან ფეხზე გაჩერება.

საქართველოს ეროვნული არქივი

ოკუჯავა: თქვენ ამბობთ, რომ ფედერალისტების წარმომადგენელი არ დადიოდაო. კოტე ანდრონიკაშვილი შეეკითხებოდა მათ აზრს და შემდეგ განაცხადებდა პარტიაში სოციალ[ისტ]-ფედერალისტები ამა და ამ აზრისა არიანო?

ჯავახიშვილი: მართალია.

ოკუჯავა: ასევე ხომ არ ხდებოდა სხიველების შესახებაც?

ჯავახიშვილი: სხიველებისაც.

ოკუჯავა: არის საქმეში ჩვენება, რომ ჩოლოყაშვილი წავიდა ტყეში 22 წლის მარტში ჯავახიშვილის თანხმობით. მართალია ეს თუ არა?

ჯავახიშვილი: ვისი ჩვენებაა ასეთი?

ოკუჯავა: სვიმონ ყიფიანის.

ჯავახიშვილი: მაგ მე ხომ არ მიჩვენებია მერე?

ოკუჯავა: თქვენ არ გიჩვენებიათ, მაგრამ მე გეკითხებით, მართალია თუ არა?

ჯავახიშვილი: მე წავიკითხე სვიმონ ყიფიანის ჩვენება და იქ აუარებელი შეცდომებია, რომელიც სიმართლეს არ შეიცავენ.

თავმჯდომარე: დამცველებო! თქვენ შეკითხვები გაქვთ?

მესხიშვილი (დამცველი): დიახ, გვაქვს შეკითხვები, ბევრი არის და ამიტომ ვინაიდან მოღლილი ვართ, სჯობს სხდომა შევსწყვიტოთ.

თავმჯდომარე: სასამართლოს სხდომას ვსწყვეტ ხუთი წუთით. სასამართლო სხდომა გრძელდება.

მესხიშვილი: თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, კოლია ქარცივაძის თავმჯდომარეთ ყოფნის დროს თეორიულად იყო საკითხი დასმული აჯანყების შესახებ. სწორათ გავიგე თქვენი ჩვენება არა?

ჯავახიშვილი: დიახ.

მესხიშვილი: როგორი პოზიცია დაიჭირა გრიგოლ რცხილაძემ?

ჯავახიშვილი: ის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო.

მესხიშვილი: ამის შემდეგ დარჩა თუ არა გრიგოლ რცხილაძე პარიტეტულ კომიტეტის შემადგენლობაში, თუ დასტოვა იგი?

ჯავახიშვილი: ამის შემდეგ მან განუცხადა თავმჯდომარე ქარცივაძეს, მე მივდივარო.

მესხიშვილი: გინახავს თუ არა ამის შემდეგ პარიტეტულ კომიტეტში გრიგოლ რცხილაძე?

ჯავახიშვილი: არა.

მესხიშვილი: მოახსენეთ სასამართლოს, აგვისტოს გამოსვლების დროს ფედერალისტებიდან ვინ იყო წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტეტში?

ჯავახიშვილი: თავის თავი დაესახელებია სამსონ დადიანს.

მესხიშვილი: როდის შემოდის სამსონ დადიანი?

ჯავახიშვილი: 24 წლის დამდეგს.

მესხიშვილი: ხომ არ გახსოვთ, ხშირათ დადიოდა კრებებზე? რამდენ კრებას დაესწრო?

ჯავახიშვილი: მე განვაცხადე და ახლაც ვაცხადებ, რომ ძალიან გულგრილობას იჩენდა.

მესხიშვილი: პარიტეტულ კომიტეტს ქონდა თუ არა კრება სამხედრო სპეციალისტებთან ერთად და რამდენი ქონდა?

ჯავახიშვილი: ორი კრება ქონდათ და არც ერთზე სამსონ დადიანი არ დასწრებია. არ დასწრებია იმიტომ, რომ აჯანყების წინააღმდეგი იყო და მაგ საკითხს

საქართველოს ეროვნული არქივი

ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

მესხიშვილი: რომელი კრება გახსოვს უკანასკნელი, რომელსაც დაესწრო დადიანი?

ჯავახიშვილი: 18 აგვისტოს, როცა გადაწყდა საკითხი გამოსვლების შესახებ.

მესხიშვილი: როგორ ეჭირა თავი დადიანს?

ჯავახიშვილი: მან კატეგორიული პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ გვინდოდა გამოსვლები, მაგრამ როცა ჩვენ ვთქვით, რომ სხვა გამოსავალი არ არის და უნდა გამოვიდეთქო, მან განაცხადა, რომ მე პარტიის სახელით ვაცხადებ, რომ მივდივარ არა პერსონალურად, არამედ პარტიის სახელით. ეს უკვე ბოლო იყო.

მესხიშვილი: ამის შემდეგ სამსონ დადიანი გინახავთ თუ არა რომელიმე თათბირზე?

ჯავახიშვილი: არა.

ჩერქეზიშვილი (დამცველი): მოახსენეთ სასამართლოს, ონიაშვილს ხვდებოდით თქვენ თუ არა?

ჯავახიშვილი: როდის?

ჩერქეზიშვილი: იმ დროს, როდესაც იყავით პარიტეტულ კომიტეტის წევრი.

ჯავახიშვილი: ონიაშვილს მე შეხვდი მხოლოდ აქედან წასვლის დროს, ერთად წავედით.

ჩერქეზიშვილი: იყო ის ოდესმე პარიტეტულ კომიტეტის წევრი?

ჯავახიშვილი: არ ყოფილა.

ჩერქეზიშვილი: სამხედრო ორგანიზაციაში ღებულობდა რაიმე მონაწილეობას?

ჯავახიშვილი: არავითარს.

პოლუმორდვინოვი (დამცველი): მოახსენეთ სასამართლოს, ახალგაზრთა ორგანიზაციას რა როლი უნდა ეთამაშა აჯანყების პროცესში?

ჯავახიშვილი: არავითარი.

პოლუმორდვინოვი: როდის იყო დაჭერილი ხოფერია, ახალგაზრდების ხელმძღვანელი?

ჯავახიშვილი: ...

პოლუმორდვინოვი: როგორი კონსტრუქცია იყო თქვენ პარტიაში?

ჯავახიშვილი: გვყავდა რწმუნებულები.

პოლუმორდვინოვი: სამაზრო კომიტეტი იყო?

ჯავახიშვილი: წინეთ არ ყოფილა, აჯანყების დროს იყო.

პოლუმორდვინოვი: იყო რაიმე საჩივარი სენაკის მაზრაში შურღაიაზე?

ჯავახიშვილი: დიახ, სენაკიდან შემოიტანეს საჩივარი, რომ შურღაია თავის ნებით დგამს ამა თუ იმ ნაბიჯს.

პოლუმორდვინოვი: რა პასუხი მიეცით თქვენ?

ჯავახიშვილი: ჩვენ გავაძევეთ ის პარტიიდან.

პოლუმორდვინოვი: სამეგრელოს სამაზრო კომიტეტის წევრი იყო ვინმე მხეიძე?

ჯავახიშვილი: სამაზრო კომიტეტი ჩვენ არ გვყოლია.

პოლუმორდვინოვი: მაგალითად, გაგიგონიათ ან თითონ იცოდით ან სხვისი გადმოცემით, რომ მხეიძე არის სამაზრო კომიტეტის წევრი?

ჯავახიშვილი: როგორც მოგახსენეთ, სამაზრო კომიტეტი ჩვენ არ გვყოლია,

საქართველოს ეროვნული არქივი

რწმუნებული არ ყოფილა ის. მე პირველად მესმის მისი სახელი.

პოლუმორდვინოვი: რომ ყოფილიყო, თქვენ გეცოდინებათ?

ჯავახიშვილი: უეჭველად.

მაჭავარიანი (დამცველი): თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ ემზადებოდით შეიარაღებულ აჯანყებისათვის. მოიგონეთ, ემზადებოდით თქვენ თუ არა საზოგადო აფხაზეთში და კერძოთ სოხუმში?

ჯავახიშვილი: იქ არავითარ ზომებს არ ვიღებდი, ვინაიდან ვიყავი დარწმუნებული, რომ აფხაზეთი ვერ გამოვიდოდა. წინეთ იყო ერთგვარი ცდა, მაგრამ შემდეგ დავანებე თავი.

მაჭავარიანი: გთხოვთ, აღნიშნოთ ეს ოქმში?

პოლუმორდვინოვი: თუ გახსოვთ, ხოფერია დაესწრო პარიტეტულ კომიტეტის კრებას, განსაკუთრებით იმ სხდომას, როდესაც...

ჯავახიშვილი: ხოფერია არ ყოფილა პარიტეტულ კომიტეტის წევრი, როგორ **დაესწრებოდა?**

გელაზაროვი (დამცველი): თქვენ ბრძანეთ, სამეგრელოში კომიტეტი არ ყოფილა და აჯანყების დროს...

ქარცივაძე (ბრალდებული): დავკმაყოფილდი მე იმ საბუთებით, რომელიც იქ წარმოადგინეთ?

ჯავახიშვილი: დაკმაყოფილდით, წინააღმდეგ შემთხვევაში მე იქიდან გავიდოდი.

ქარცივაძე: თუ გახსოვთ, ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ერთ ახალგაზრდა ხევსურთან ამ ამბების შესახებ?

ჯავახიშვილი: დიახ.

ქარცივაძე: გავგზავნე მე ის თუ არა?

ჯავახიშვილი: დიახ.

ქარცივაძე: რა დავალებით?

ჯავახიშვილი: ენახა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ეთქვა მისთვის, რომ არავითარი გამოსვლები აღარ მომხდარიყო.

ქარცივაძე: დავავალე, რომ ხევსურეთში შეაფარე თავი და მოძრაობა განაგრძეო?

ჯავახიშვილი: არა, უნდა მოესპო გამოსვლები.

ქარცივაძე: თქვენ ბრძანეთ, რომ მე დავსვი ერთი თეორეტიული საკითხი.

ჯავახიშვილი: მახსოვს.

ქარცივაძე: საკითხი გადაწყდა?

ჯავახიშვილი: არა.

ქარცივაძე: რატომ?

ჯავახიშვილი: იმიტომ, რომ თუ ყველა პარტიების წარმომადგენლები არ იქნებოდენ თანახმა, ისე საკითხი არ გადაწყდებოდა.

ქარცივაძე: როდესაც ჩოლოყაშვილის გამოსვლები მოხდა დუშეთის მაზრაში, რა დადგენილება მიიღო პარიტეტულმა კომიტეტმა?

ჯავახიშვილი: მიიღო უარყოფითი დადგენილება, განაცხადა, რომ ეს გამოსვლები უნდა ჩაქრესო.

ქარცივაძე: გახსოვთ თუ არა ვინმემ გაგვაფრთხილა პარიტეტული კომიტეტი, რომ შესაძლებელია ასეთი გამოსვლები მოხდესო?

ჯავახიშვილი: არ მახსოვს.

საქართველოს ეროვნული არქივი

ქარცივაძე: როცა გამოქვეყნდა ადგილობრივი გაზეთების საშუალებით „სამფერის“ წერილი, ხომ არ გახსოვთ პარიტეტულ კომიტეტის სხდომაზე ვინმემ შეიტანა თუ არა შეკითხვა?

ჯავახიშვილი: დიახ.

ქარცივაძე: რა ვთქვი მე?

ჯავახიშვილი: თქვენ ხელი დაადევით ჩვენ პარტიას.

ქარცივაძე: რა მიპასუხეთ თქვენ?

ჯავახიშვილი: კატეგორიული უარი გაგიცხადეთ.

ქარცივაძე: დაგიჯერეთ მე თქვენ?

ჯავახიშვილი: პირველად არა.

ქარცივაძე: მოხდა კონფლიქტი ჩვენ შორის?

ჯავახიშვილი: მოხდა.

ქარცივაძე: თქვენ თუ წაბრძანდით სხდომიდან?

ჯავახიშვილი: წავედი.

ქარცივაძე: რა განმარტება მოგვეცით, როცა დაბრუნდით?

ჯავახიშვილი: მე ვრცელი განმარტება მოგეცით, რომ ცენტრ[ალურ] კომიტეტს არ მიუღია გამოსვლებში მონაწილეობა და კერძო პირმა მოახდინა ეს.

იმნაიშვილი (ბრალდებული): ნება მომეცით განცხადების შესახებ.

თავმჯდომარე: თუ საკითხი გაქვთ, თორემ განცხადება შემდეგ შემოიტანეთ.

ღვამიჩავა (დამცველი): მოახსენეთ სასამართლოს, თქვენ ბრალდებულ შალვა კალანდარაშვილს იცნობთ თუ არა?

ჯავახიშვილი: მე ვიცნობდი.

ღვამიჩავა: რომელ პარტიას ეკუთვნოდა?

ჯავახიშვილი: წინეთ ჩვენი პარტიის იყო ლეგალობის დროს.

ღვამიჩავა: ხომ არ იცით 21 წლის შემდეგ მუშაობდა თუ არა?

ჯავახიშვილი: არ მუშაობდა.

ღვამიჩავა: დანამდვილებით იცით?

ჯავახიშვილი: დანამდვილებით ვიცი, ვინაიდან მე მას მივმართე, რომ ემუშავნა, მაგრამ უარი მითხრა.

ღვამიჩავა: მოახსენეთ სასამართლოს, ხომ არ იცით როგორ მოხდა შალვა კალანდარაშვილის გაგზავნა სენაკის მაზრაში.

ჯავახიშვილი: სენაკის მაზრაში საჭირო იყო აქტიური მომუშავე და ახალგაზრდებმა გაუკეთეს მას რეკომენდაცია. მითხრეს, რომ მართალია არ გვილაპარაკნია მასთან, მაგრამ თუ ვეტყვით დათანხმდებაო. მეც მოვიხმე, დავაჯერეთ და ბოლოს როგორც იქნა დავითანხმეთ.

ღვამიჩავა: მეტი კითხვა არა მაქვს.

თავმჯდომარე: როდის შესდგა უკანასკნელათ პარიტეტულ კომიტეტის სხდომა?

ჯავახიშვილი: 18 თუ 19 აგვისტოს.

თავმჯდომარე: 18 აგვისტოს შემდეგ სხდომა აღარ ყოფილა?

ჯავახიშვილი: ოფიციალური სხდომა 18 თუ 19 იყო, მეტი არ ყოფილა.

თავმჯდომარე: თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ დადიანი დაესწრო 18-შიო, მერე არ დასწრებულაო. როგორღა დაესწრებოდა თუ სხდომა აღარ ყოფილა?

საქართველოს ეროვნული არქივი

ჯავახიშვილი: შემდეგაც გვქონდა, მხოლოდ ფედერალისტებთან აღარ გვქონია. მე მხედველობაში მქონდა დამოუკიდებლობის კომიტეტის შემადგენლობა ფედერალისტებთან ერთად, უმაგათოდ ჩვენ 24-მდე ყოველ დღე ვხვდებოდით.

თავმჯდომარე: თქვენ აჩვენეთ, რომ ამიერკავკასიის მასშტაბით აწყობდით აჯანყებას, მაგრამ როცა შეგეკითხენ აბხაზეთში აწყობდით აჯანყებას თუ არაო, უპასუხეთ, რომ არ ვაწყობდითო.

ჯავახიშვილი: მართალია ჩვენ გვინდოდა აჯანყება ამიერკავკასიის და მეტი მასშტაბით, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ აზერბეიჯანი არ გამოვიდოდა, ჩვენ ეს ვეღარ მოვახერხეთ.

იმნაიშვილი (ბრალდებული): საგანგებო კომისიაში ჩემ მიერ მიცემული იყო ჩვენება 24 ნოემბერს. შემდეგ გავიმეორე წინასწარი გამოძიების დროს და აქაც მოგახსენეთ, რომ როცა პარტიათა შორის მოლაპარაკება იყო ეროვნულ მთლიან ფრონტის შექმნის შესახებ, 22 წლის თებერვლის დამდეგს მუხრან ხოჭოლავას პირადი მიწვევით მივედით პარტიათა წარმომადგენლების თათბირზე, ამას არ ვუარყოფ, ეს ფაქტია, რომელზედაც მოგახსენა იასონ ჯავახიშვილმა. მას სხვანაირათ ახსოვს და ამის შესახებ მიუცია ის ჩვენება, რომელიც წაიკითხა სახელმწიფო ბრალმდებელმა. დამოუკიდებლობის კომიტეტში ჩემი მონაწილეობის შესახებ მას აქვს მეორე ჩვენება და ვშუამდგომლობ გამოქვეყნებულ იქნეს ეს მისი ჩვენება 24 წლის 18 ნოემბერს მიცემული ტომი მე-3-ე, საქმის ფურცელი 45, მეორე გვერდზე.

მესხიშვილი (დამცველი): გთხოვთ, ბრალდებულ ჯავახიშვილის ჩვენებიდან შეტანილი იქმნას ოქმში შემდეგი ადგილი: „პარიტეტულ კომიტეტის არსებობის პირველ ხანებში, როდესაც თავმჯდომარეთ იყო ქარცივაძე, ერთხელ ქარცივაძემ დააყენა საკითხი თეორეტიულად აჯანყების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს წინააღმდეგობა გამოსთქვა გრიგოლ რცხილაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ამის შემდეგ პარიტეტულ კომიტეტს ანებებს თავს და მართლაც ამის შემდეგ სრულიად დაანება თავი. ის მე ამის შემდეგ არ მინახავს“, ამბობს ბრალდებული ჯავახიშვილი. ეს ერთი. მეორე, სამსონ დადიანი შემოვიდა პარიტეტულ კომიტეტში 1924 წელს]. ის გულგრილად ეკიდებოდა საქმეს. აგვისტოს მომხდარ ორ კრებაზე სამხედრო სპეციალისტებთან ერთად ის არ დაესწრო, რადგან განაცხადა: „მე აჯანყება არ მაინტერესებს და მაგ არ წამოვალ“. უკანასკნელ პარიტეტულ კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მოხდა ფედერალისტების თანდასწრებით 18 თუ 19-ში სამსონ დადიანმა განაცხადა პროტესტი სოც[იალისტ]-ფედერალისტთა პარტიის სახელით და დასტოვა პარიტეტული კომიტეტი. შეიძლება რედაქცია სწორე არ იყოს, მაგრამ აზრი სწორედ გადმოგეცით.

თავმჯდომარე: ბრალდებულ ჯავახიშვილის ჩვენება შეტანილი იქნება ოქმში იმ სახით, რა სახითაც ეს აღმოჩნდა სტენოგრამაში.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცლები 6-17.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის
კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მიერ სასამართლოში
წარმოთქმული დასკვნითი სიტყვა
1925 წლის 1 აგვისტო

კოტე ანდრონიკაშვილის უკანასკნელი სიტყვა უზენაეს სასამართლოში 1 აგვისტოს 1925 წელს

ანდრონიკაშვილი: მოქალაქე მსაჯულნო! ჩემი უკანასკნელი სიტყვა არ იქნება აშენებული რა თქმა უნდა ჩემი თავის გამართლებაზე. ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია პირველი მუხლით, მე ვიკისრე სავსებით და მე სრული შეგნებით ვაგებ პასუხს და დამშვიდებული მოვისმენ განაჩენს. მე ამ უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც ჭეშმარიტად იქნება უკანასკნელი, მინდა გავაგებინო ქართველ ხალხს და განსაკუთრებით მშრომელ მასებს, რომელსაც მე თითქმის 30 წელიწადი ვემსახურები, ის თუ რამ მაიძულა ჩავბმულიყავი პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც გამოიხატებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დღიდან ოკუპაციისა და რომლის ლოღიკური დასკვნა იყო აჯანყება. მე მინდა გავაგებინო მათ, თუ რამ მიმიყვანა ამ აჯანყებამდე, რომელიც ვიმეორებ ლოღიკური დასკვნა იყო იმ მდგომარეობის, რომელიც შეიქნა საქართველოს ხალხის მხრივ და ახალი ხელისუფლების შეურიგებელი პოლიტიკისაგან. მე მინდა გამოვთქვა, თუ როგორ მოხდა, რომ მე, სოციალისტმა ავწიე შეიარაღებული ხელი მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ. მე მივაქცევ თქვენ ყურადღებას სახელმწიფო ბრალმდებელის სიტყვას, რომელიც დაიწყო სოც[იალ]-დემოკრატიული პარტიის მუშაობის, მისი გეზის კრიტიკით და დაათავა უკანასკნელი მისი მოქმედების ფაქტით, აჯანყების ფაქტით. მე ამასთანავე უნდა გამოვთქვა ის სიამოვნება, რომელიც ვიგრძენი მე საზოგადო ბრალმდებელის ამ საკითხისადმი მიდგომით. მან ამ პროცესს მოაშორა ყველა ის ჭუჭყიანი საქმეები, სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც ყოველთვის თან სდევენ ასეთ მოძრაობას და ეწოდებათ „სპუტნიკი სოპროვაჟდაიუშჩიე“. ამ მხრით ჩამოაცილა მას ჩირქი და სათანადო ისტორიული და პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხად დააყენა და მე არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ესევე იგრძნო ყველა სხვა ბრალდებულებმაც...

საზოგადო ბრალმდებელი, პატივცემული ქავთარაძე ბრძანებს, რომ საქართველოში არის ფორმალური ოკუპაცია და არა არსებითი, ოკუპაცია იყო მაშინ, როდესაც აქ იმყოფებოდა გერმანელის და ინგლისის ჯარი. უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი ოკუპაცია არ ყოფილა, მათი ჯარი სავსებით გვემორჩილებოდა, პატივს სცემდა ჩვენ სუვერენობას. იქ, სადაც შესაძლებელი იყო სუვერენობა დაცული იყო სავსებით და არავითარი ოკუპაცია არ ყოფილა. ეხლა კი არის ოკუპაცია ორნაირი: ერთი წმინდა იდეური და მეორე წმინდა იმპერიალისტური. სხვათაშორის ესევე განაცხადა ორჯონიკიძემ საბჭოების პირველ ყრილობაზე: „მენშევიკები გაიძახიან, რომ ჩვენ შემოვიყვანეთ რუსის ჯარი, მოვსპეთ საქართველოს დამოუკიდებლობა. მართალი არის ეს. დიახ,

საქართველოს ეროვნული არქივი

შემოვიყვანეთ წითელი ჯარი თეთრი ჯარის წინააღმდეგ, შემოვიყვანეთ, რომელიც ბედნიერებას მოუტანს და ნუთუ ვინმე თქვენთაგანი აქ მყოფი იტყვის, რომ ეს ჯარი არ არის საჭირო?" მაშასადამე, საჭირო იყო, რომ დაეცვათ საქართველო მტრებისაგან და მოუტანეს ქართველებს ბედნიერება...ისტორიამ დააფასოს ეს ფაქტი საქართველოს დაკავებისა რუსეთის ჯარის მიერ. მე არ შევუდგები კრიტიკას, მე დისკუსიას არ ვმართავ, მხოლოდ ფაქტი უნდა აღვნიშნო, თუ რატომ მე, სოციალისტმა ვიკისრე იარაღის აღება და გამოვედი მთავრობის წინააღმდეგ? ამის უფლებას მე მაძლევდა ლენინი, მაძლევდა ენგელსი, მაძლევდა ჩემი სოციალისტური სინიდისი. ეს არის შოვინისტურათ დაყენება ეროვნული საკითხის? არა. აქ დაინტერესებული იყო მუშა, გლეხი და ერის ყველა ნაწილი. ახლა ისმება საკითხი, ქონდათ თუ არა თქვენ უფლება საზოგადოთ საქართველოს და კერძოთ საქართველოს სოც[იალ]-დემოკრატიულ პარტიას დღიდან საქართველოს დატოვებისა გამოეცხადებია აჯანყება?.. როგორი იყო რეპრესიები მთელი ქართული პარტიების წინააღმდეგ და განსაკუთრებით სოც[იალ]-დემოკრატიულ პარტიების წინააღმდეგ? მოგახსენებთ, რომ სწორედ ამ რეპრესიებმა, მიუხედავად მისა, რომ სწორედ ეს რეპრესიები იყო ჩვენ მიმართ მეტად სასტიკი, ჩვენ მაინც შევეცადეთ გამოგვენახა საერთო ენა. 23 წელს, როცა ცენტრ[ალურ] კომიტეტის თავმჯდომარე იყო სეით დევდარიანი ნოე ხომერიკმა შემოიტანა ასეთი წინადადება, რომ იქმნება აუცილებლობა, რომ მოვიწვიოთ მობილიზაცია ჩვენი პარტიისა და მათ შევეკითხოთ, ეგებ მათ არ უნდათ გამონახონ საერთო ენა მთავრობასთან და ბრძოლა სურთო? სეით დევდარიანმა კი ასე სთქვა: ეგებ გამოვნახოთ რაიმე ლეგალური საშუალება და ბრძოლა თავიდან ავიცილოთო. მე უპასუხე: საქართველოს ხალხი ამას არ მოისურვებს და პირიქით, ამით მხოლოდ დაეცემა ჩვენი პარტიის ავტორიტეტი. მე ამის თქმის უფლება მქონდა, რადგან ვიცოდი რაში იყო საქმე, რადგან ვიყავი ჩართული საქმეში და ვმუშაობდი აჯანყების საკითხის მოსაგვარებლად და ჩვენ შეუდექით ტეხნიკურად მის სამზადისს. სწორედ ამ დროს მითხრა ეს. ვიცოდი, რომ ცენტრ[ალურ] კომიტეტში რომ დაესვა ეს საკითხი სეით დევდარიანს დავკარგავდით როგორც მუშას და ხელმძღვანელს პარტიულ მუშაობაში. ეგებ გახსოვთ ცენტრ[ალურ] კომიტეტმა რომ მიმართა მოკლე თეზისებით საბჭოთა ხელისუფლებას, სადაც იყო რომ ეს საკითხი გადასაწყვეტად დეე მიეცეს მუშათა და გლეხთა და თუ ისე მოხდეს, რომ ერთი მესამედი ხმის მაინც მიიღოთ თქვენ, ჩვენ მაშინ გამოვაცხადებთ თავს დამარცხებულათო. იმათმა გვიპასუხეს დაცინვით და მოგვისპეს ყოველგვარი გამოგვენახა საერთო ენა და ამით აგვეცილებინა თავიდან ეს აჯანყება, რომელმაც მოიტანა უამრავი მსხვერპლი ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების, საუკეთესო მებრძოლების. დიახ, ჩვენ მივედით აჯანყებამდე. მე ჩემ პირველ გამოსვლაშიაც ვთქვი, რომ ჩვენ დავმარცხდით აქ ფიზიკურად, მაგრამ მორალურად არ დავმარცხებულვართ და გთხოვთ, რომ ეს ჩემი სიტყვა არ იყოს სხვანაირად გამოქვეყნებული პრესაში და კომენტარიებს ნუ უკეთებთ სხვანაირად. ამას ვამბობ იმიტომ, რომ როცა მე ეს ვთქვი, ამას სულ სხვა აზრი მისცეს. ააშენეს თავისი აზრი ამაზე. შეიძლება მოკლეთ მოვსჭერი, მაგრამ განმარტება უნდოდა მაინც. ჩვენ მორალურათ გავიმარჯვეთ იმიტომ კი არ ვთქვი, რომ ეს გვიკარნახებს იმავე გზას, ეს

საქართველოს ეროვნული არქივი

იმიტომ არის ნათქვამი, რომ იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა დარჩა ისე და თქვენც გწამთ ეს იდეა. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი კომუნისტები როდესაც მოუძღოდენ რუსის ჯარს, ისინი ფიქრობდენ, რომ ნამდვილი დამოუკიდებლობა მოგვაქვს საქართველოსთვისო. მაგრამ ეს არ გამოდგა. ჩვენ მივდიოდით, ვფიქრობდი, მართალია სხვა გზით, მაგრამ მაინც ამ დამოუკიდებლობის დასაცავად. დიახ, იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც იქნება საყვარელი წმინდა. ჩვენ შეგვიძლია ძველი მეთოდი უვარვყოთ, უვარვყავით იგი, მაგრამ შეგვიძლია სხვა გზით, შეერთებული გზით თქვენთან ერთად გადავწყვიტოთ ეს დამოუკიდებლობის საკითხი. ნუთუ არ ქონია ცხოვრებაში ნიადაგი უკლონიზმს? როცა საქართველო შედიოდა კავშირში არა უშუალოდ, არამედ ფედერაციის სახით, თქვენს რიგებში დაიბადა ეს პროტესტი, საქართველო რატომ არ შედიოდა უშუალოდ კავშირში? მაგრამ ეს ჩაქრა. შეიძლება თქვენთან ერთად გამოინახოს საერთო ლეგალური ენა, ეს თქვენზეა დამოკიდებული. ახლაც კი ამ აჯანყების შემდეგ, ამ ბოლო დროს გამოვიდა ფელეტონი, ავტორი გეცოდინებათ ალბათ თქვენც, რომ არის პასუხისმგებელი კომუნისტი. მას ვერ წარმოუდგენია ლეგალურათ არსებობა მენშევიკური პარტიის. ეს მოტყუებაა და ყოვლად შეუძლებელიაო, რომ არსებობდეს პოლიტიკური პარტია და არ იბრძოდეს ხელისუფლებასთანო. რა თქმა უნდა ეს ასეა, მაგრამ ევროპაში პოლიტიკური პარტიები ლეგალურათ იბრძვიან ხელისუფლების ჩასაგდებათ. ამ ფელეტონის ავტორს ვერ წარმოუდგენია, რომ ლეგალურათ არსებობდეს მენშევიკური პარტია. მაშ, ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ? ბრძოლა კი შეიძლება, მაგრამ ბრძოლა კანონიერ ნიადაგზე, პრესის საშუალებით, კრების საშუალებით, საღი გონიერი კრიტიკის საშუალებით, საერთოთ ლეგალური საშუალებით... ერთხელ კიდევ მოგმართავთ! გამოვნახოთ ახალი გზა, გამოვნახოთ საერთო ენა. ერთხელ კიდევ გთხოვთ მოგვცეთ პასუხი. მე ამ აჯანყების დამარცხებამ მითხრა ახალი გზა. მე დავსწერე თეზისები და სხვათაშორის იქ მაქვს ნათქვამი, თუ მუშათა კლასი დადგება საერთო შეთანხმების გზაზე, ეს იქნება დიდი ნაბიჯი წინ, ეს გამოიწვევს გაერთიანებას, რომელიც აუცილებელია, რომელიც მოგვეხმარება მოვიგერიოთ რეაქციის და ბურჟუაზიის იერიში... მე ჩემ აზრს ვამბობ და თამამათ შემიძლიან ვთქვა, რომ ეს გახლავთ აზრი იმ ბრალდებულთა, რომლებიც აქ ზიან საბრალდებულო სკამზე. აი, მოხდა აქტი და მე ვთხოვ მოსამართლეს, რომ არ ჩამითვალონ ეს განცხადება შუამდგომლობათ ჩვენ მიმართ. არა, ეს ჩემი მოვალეობაა როგორც მოღვაწისა. როცა მე საგანგებო კომისიაში ბერიასთან წამიყვანეს და იქ ვიგრძენი ჩემი თავი პასუხისმგებელი ხალხის წინაშე, როცა მან მითხრა, რომ ხალხს ვხვრეტავთ, ეს თქვენი ბრალია და თქვენ ასეთი განცხადება უნდა გააკეთოთო. მე დავიმცირე თავი, ვინაიდან ეს განცხადება ააცილებდა სასჯელს იმ ქართველებს, რომელნიც პირველ რიგებში იდგენ დასახვრეტად. საჭირო იყო მათი გადარჩენა. ეს მე ჩემ მოვალეობათ ვცან და დღესაც ჩემი მოვალეობაა თქვენი საშუალებით გადაეცეს ხალხს აი რა. მე ეს სიტყვა-სიტყვით მინდა შეიტანოთ ოქმში, რადგანაც შეიძლება ამას კომენტარიები გაუკეთონ, მერე რედაქცია გაუკეთონ, ამიტომ მე მინდა ეს სიტყვა-სიტყვით იქნეს შეტანილი და ამიტომ მე ამას წაგიკითხავთ. აი, ასეთია ჩემი დასკვნა:

საქართველოს ეროვნული არქივი

„გზა, რომელმაც მიგვიყვანა აჯანყებამდე ლოღიკურად გამომდინარეობდა 1921 წელში საქართველოში შექმნილ ობიექტიური მდგომარეობიდან, სახელდობრ საქართველოს ოკუპაცია, საქართველოს საბჭოთა მთავრობის შეურიგებელი პოლიტიკა მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ქართველ პოლიტიკური პარტიების სახით, რაც გამოიხატებოდა იმ პარტიათა დევნაში, დაპატიმრებაში, მასიურ გადასახლებაში და დახვრეტაში. აჯანყების დამარცხება სრულიად არ ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დამარცხებას, გაკოტრებას, მხოლოდ სვლა აჯანყების გზით ამ იდეის ცხოვრებაში გასატარებლად უნდა ჩაითვალოს ერთხელ და უკანასკნელად მავნე მეთოდად ერის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ სადაო საკითხების გადაწყვეტაში. აჯანყების შედეგები და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა ავალებს საქართველოს, ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიებს დაადგენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და გზადაგზა ღონიერი და საღი კრიტიკით მიიღონ მონაწილეობა ქართველი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურულ აღმშენებლობაში“. ეს არის ჩემი აზრი და საჭიროა, რომ ყველა ქართველი პარტიები დაადგენ მშვიდობიან გზას. ამით ვათავებ მე ჩემს სიტყვას.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცელი 18.

საქართველოს ეროვნული არქივი

ამონარიდი თელავის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან მაზრაში გლეხების მიერ ყოფილი თავად-აზნაურებისთვის ჩამორთმეული ქონების განაწილების შესახებ
1925 წლის 12 სექტემბერი

ოქმი N56

თელავის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის ამა წლის 12 სექტემბრის სხდომისა.

სხდომას დაესწრნენ ამხ-ბი: ქურციკაშვილი, კალატოზოვი, პაატაშვილი, ბაბაევი, აბაშიძე და მამულაიშვილი.

თავმჯდომარეობს - ამხ. ქურციკაშვილი.
მდივნობს - ამხ. ბაქრაძე.

მოისმინეს:

1. გლეხების მიერ სოფლებიდან გამორეკილ თავად-აზნაურების ქონების შესახებ.

დაადგინეს:

ვინაიდან ყველა სოფლებიდან მოდის დადგენილებები თავად-აზნაურობის სოფლებიდან გამოდევნის შესახებ და თვითონ გლეხები აღელვებულნი მათი საქციელით, კეტებით ერეკებიან სოფლებიდან და დაბეჯითებით მოითხოვენ მათ დაუყონებლივ განდევნას, ამის გამო თავადაზნაურობის გამოდევნის შესახებ გამოტანილი დადგენილებები იქმნეს დადასტურებული და შემდეგისთვის თუ რომელიმე საბჭოს მიერ იქნება წარმოდგენილი დადგენილება სოფლად დარჩენილ თავად-აზნაურების გამოდევნაზედ, დადგენილება იქმნეს დადასტურებული და დადგენილებაში აღნიშნულნი იქმნენ გამოდევნილნი ადმინისტრატიული წესით. გამოდევნილ თავად-აზნაურობის ქონება იქმნეს განაწილებული შემდეგნაირად:

1/ უძრავი ქონება ე. ი. ვენახები, ბაღები, ეზოები, სახნავები და სახლები გადაეცეთ გლეხებს ადგილობრივ საბჭოების დასტურით.

2/ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მარნები თავიანთი ინვენტარით გადაირიცხოს ფონდში.

3/ მოძრავი ქონება ე. ი. სახლების მოწყობილება, სურსათ-სანოვაგე და საქონელი გადაეცეთ ყოფილ პატრონებს.

4/ რაც შეეხება იმ მამულების მოსავალს, რომელსაც ამუშავებდნენ მეზვრეები, მოსავლის ნაწილი, რომელიც ეკუთვნით მოსავლიდან თავად-აზნაურობას გადაეცეს გლეხკომს, მხოლოდ დანარჩენი მამულების მოსავალი, რომელსაც საკუთრივ ამუშავებდნენ თავად-აზნაურები, სრულიად გადაეცეთ გლეხკომებს.

5/ თუ ვინიცობაა რომელიმე თავადს აქვს გლეხების ვალი, ეს ვალი იყოს ანაზღაურებული გლეხკომის მიერ იმ მოსავლის ნაწილიდან, რომელიც მას ეძლევა.

დედანს ხელს აწერენ თავმჯდომარე: - ქურციკაშვილი
მდივანი:- ბაქრაძე
ასლი დედანთან სწორეა /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 12, ფურცელი 9.

საქართველოს ეროვნული არქივი

თელავის მაზრის სოფელ ძველ გავაზში მცხოვრები ძმების სვიმონ, ირაკლი, შალვა და შოთა მარგველაშვილების თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს საქმის საბოლოოდ გარკვევამდე მათი გამოსახლების პროცესის შეჩერების შესახებ
1925 წლის 25 სექტემბერი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს

თელავის მაზრის, სოფ. ძველ-გავაზში
მაცხოვრებლებ ძმა სვიმონ,
ირაკლი, შალვა და შოთა გაბრიელის
ძე **მარგველაშვილების**

განცხადება

სოფ. ძველ-გავაზის საბჭოს დადგენილებით უნდა გადაესახლებიათ ადგილობრივ თავად-აზნაურები, მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგანაც გლეხობა მათ მხარს არ უჭერდათ; გადასახლებულთა სიაში მოჰყვა მამაჩვენი გაბრიელ სვიმონის-ძე მარგველაშვილი და არა მისი სრულ წლოვანი შვილები, მოსწავლენი; რომ პირადათ გაბრიელი იყო სიაში შეტანილი და არა შვილები, აშკარად მოსჩანს სოფ. ახალ-სოფლის საბჭოს კრების მიერ გამოტანილ ოქმიდგან, სადაც ყოველივე გადასახლებულ მოქალაქეს გვარს მიწერილი აქვს: „გადასახლებულია ოჯახით". ვარდგენ ოქმს სოფ. ახალ-სოფლის საბჭოს კრების 1924 წლის. მამა-ჩვენი ამ მოვლენის შემდეგ გაჰშორდა სოფელს, დაგვანება შვილებს თავი იმ მიზნით, რომ სოფელს იგი არ სულს, რომ შვილებს თვით მოევლოთ სახლ ვენახისთვის; მთავრობის დადგენილება N3 ძალით (სრულიად საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტისა ყოფილი თავადებისა და აზნაურების ადმინისტრაც. წესით გადასახლების) მამა-პაპური ქონება სახლში დატოვებულ წევრების საკუთრებად რჩებოდა, მიუხედავათ ამის დეკემბერში **1924 წლის ჩამოგვართვეს ვენახი სივრცით ერთი დესიატინა**, ეს ვენახი იყო ჩვენი სარჩენი წყარო, ამ **ვენახის მეტი სხვა შემოსავალი წყარო** ჩვენ არ გვქონდა - ამ მიზეზის გამო ორი ძმა იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებია. ვენახი სარახლეებათ დაარიგეს, მისცეს რამდენიმე **სარახლე მოვაჭრეებსაც,** იყო ასეთი მაგალითი: ერთ მოვაჭრეს სოფელმა დუქანი ჩამოართვა სამაგიეროთ **მისცეს გლეხი ქვრივი ქალის სახლი ეზოთი, მერე კიდევ მისცეს სასახლე ჩვენ ვენახში,** სადაც სახლი აიშენა ამ ბოლო დროს **ის დუქანიც დაუბრუნეს** ისე რომ განაცვალებიც მის ხელშია და თავის დუქანიც.

ამ ვენახის დაბრუნების შესახებ ბევრი ვეცადე დაებრუნებინათ როგორც მომავალ აგრანომისთვის, მაგრამ ამაოთ, ვენახის წართმევას, თელავის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ, თან მოაყოლა, **სექტემბერში 1925 წლის, ჩვენ ერთად ერთი თავშესაფარი** სახლის ჩამორთმევა, რომელშიც შიგ ვსცხოვრობთ

საქართველოს ეროვნული არქივი

და ერთი ოთახი კი საკრედიტო ამხანაგობას ვაქირავეთ გაჭირვების გამო დეკემბერში 1924 წლის. (არის ხელწ.). **ასეთი უსამართლობა და უკანონობა ხდება თელავის** მაზრის სოფლებში. ოლა სვიმონის ძე მარგველაშვილი, რომელიც ცალკე მეკომურია ჩვენი განაყარი, მასაც მამა ჩემთან ერთად ართმევენ სახლს **ერთ ოთახიანს** და მარანს მიუხედავათ იმის რომ სოფელს იგი არ შეუტანია გასადევართა სიაში.

შეუგნებელ მოხელეებს სულ სხვანაირად ესმით ცხოვრება, ყოველივე კანონი და ბრძანება - საჭიროა თქვენი თვალი თელავის მაზრაში.

გთხოვთ მიაქციოთ ჩვენ უბედურებას ყურადღება და საქმე გამოარკვიოთ, საქმის გამორკვევამდე და გამოძიებამდე კი გთხოვთ აუცილებლად შეაჩერებინოთ ჩვენი სახლიდგან გამორეკა, რასაც ძალით გვიქადიან თელავის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულების ძალით, მოწერილობას რომელიც სოფლად მიიღეს მაზრიდგან წითელი მელნით წარწერილი აქვს: „დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანეთ“.

სტუდ. აგრანომი სვიმონ გაბრიელის ძე მარგველაშვილი
შალვა მარგველაშვილი
ირაკლი მარგველაშვილი
შოთა მარგველაშვილი

23 სექტ. 1925 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 12, ფურცელი 29.

საქართველოს ეროვნული არქივი

თელავის მაზრის სოფელ ახალსოფლის საბჭოს
სხდომის ოქმიდან ამონაწერი სოფლიდან ვანო ვახვახოვის
(ვახვახიშვილის) განდევნის შესახებ
1925 წლის 25 სექტემბერი

ამონაწერი

სოფ. ახალსოფლის ღია საბჭოს სხდომისა 15 ოქტომბერს
1924 წელს ოქმი N17.

მოისმინეს:

1/ ვახვახოვი ვანოს შესახებ.

დაადგინეს:

დადასტურებულ იქნეს სოფლის ყრილობის დადგენილება, რომლის ძალითაც იგი გაძევებული ყოფილა სოფლიდან, გლეხები აღნიშნავენ, რომ ვახვახოვი ვანო რეაქციის დროს უდიერად ეპყრობოდა მათ და ამ ჟამითაც იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი, რაზედაც იგი დატუსაღებულია.

ამონაწერი დედანთან სწორეა: მდივანი /ხელრთვა/

1925 წლის 25 სექტემბერი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 12, ფურცელი 13.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

თელავის მაზრის სოფლების ენისელის, გრემისა და ალმატის გაერთიანებული საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი ქეთო და ნინო ჯორჯაძეების სოფლიდან განდევნის შესახებ
1925 წლის 25 სექტემბერი

ამონაწერი

სოფელ ენისლის, გრემის და ალმატის გაერთიანებულ საბჭოს
ღია სხდომისა ოქტომბრის
14-1924 წელი. /ოქმი N15/

მოისმინეს:

& 1-2. ქეთო და ნინო ჯორჯაძეების შესახებ.

დაადგინეს:

დადასტურებულ იყოს სოფლის ყრილობის დადგენილება, რომლის ძალითაც იგინი განდევნილი ყოფილან სოფლიდან, გლეხები აღნიშნავენ, რომ ხსენებული ქეთო და ნინო ჯორჯაძეები, როგორც თავადები იყვნენ კუჭ-გაუსწორებლები პიროვნებები, ავიწროვებდნენ გლეხებს და ამ ჟამადაც ეუბნებოდნენ მათ: „დადგება დრო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩამოვარდება და ისევ წამოგადგამენ მონობის უღელსაო“.

ამონაწერი დედანთან სწორეა: მდივანი /ხელრთვა/

1925 წ. 25 სექტემბერი

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 12, ფურცელი 17.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს ზესტაფონში ვაგონებში დახვრეტილ
აჯანყებულთა არასრული სია
1925 წლის სექტემბერი

ძვირფასი ამხ. ხსოვნას!

ტანჯვით და მწუხარებით აღსავსე წელი გვაშორებს 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის დღეებს! ღირსეული მომზადებით და მოწოდებით შეხვდა ჭ-რის მუშათა კლასი ამ ისტორიულ დღეებს! ქართვ. ერთან ერთად ძვირი დაუჯდა ჭიათურის მუშებს მის ახალგაზრდებს და მხედრობას ეს თავგანწირული ბრძოლა! დიდებული გამარჯვება დროებით დამარცხდა, მწარე იყო ეს დღეები და ისტორიაში უმაგალითო ის ტრაღედია, რომელიც გამხეცებულმა ოკუპანტებმა, ჩეკისტებმა და უდღეურმა კომსომოლამ თავს დაატეხეს ჭ. მუშათა კლას ქართველ ერთან ერთად! 148 ვაჟკაცი ვაგონებში განუკითხავათ ტყვისმფრქველებით დაცხავეს! მტერმა შური იძია, განუკითხავათ, ან რა საჭირო იყო ეს „განკითხვა“ იმ წუთებში ახლოს მყოფნი ხალხი გადმოგვცემენ, რომ „დიდების“ სიმღერით და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით დაათავეს თავიანთ სიცოცხლე ამ ჭეშმარიტმა ქართველმა რევოლიუციონერებმა! დამარცხდა საქართველო უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ კიდევ უთანასწორო პირობებში იძია მტერმა შური, მაგრამ თვით ამ ფაქტმა სამუდამოთ გაკვეთა გამარჯვების ხაზი, მტერმა იგრძნო გამარჯვება წუთით, საქართველომ საუკუნით. ამ ჟამათ სასურველია ერთი თვალის გადავლებით გავიხსენოთ ამ გმირთა სახეები, სხვაზე ფიქრი ჯერ არ შეიძლება, მათი ხსოვნის მხოლოთ თავისუფალი საქართველო აღადგენს. მათი უკვდავების ხსოვნა მხოლოდ მომავალშია, საქართველო იყო და დარჩა მათ თავგანწირვის ობიექტათ! ხოლო თავისუფალი საქართ. თავის მოვალეობათ ჩასთვლის ყვირილის პიტონიკებში დახოცილ გმირებს სამარადისო უკვდავების ძეგლი დაუდგას!

1**. დოლიძე შალვა,** ზეინკალი, 30 წ. სოც. დემ. პარ. წევრი, სახალხო გვარდიის შტაბის წევრი და ერთ-ერთი დარგის მუშების ხელმძღვანელი, იშვიათი მხნე და შეუპოვარი ამხ-გი. საქართველოს დიდებისთვის და თავისუფლებისთვის მთელი არსებით დაავადმყოფებული. იშვიათი სანახავი იყო თავის რაზმით აჯანყების დღეს. დაუნდობელმა მტერმა მოგვტაცა ეს სამაგალითო მუშა.

2. **ჯაფარიძე ილიკო,** ზეინკალი, 35 წლ. სოც. დემოკ. პარტიის წევრი, თავდადებული და შეუპოვარი მუშა, ხელმძღვანელი ერთ-ერთი ქარხნის მუშებისა, დემოკრატიული მთავრობის დროს სახ. გვარდიის შტაბის წევრი, მისთვის დაღლა და მოსვენება არ არსებობდა. დახვრეტილი იქმნა პირველ რიგში.

3. **ბერძენიშვილი ილია,** 38-37 წლის, რკინისგზელი, სოც. დემ. პარტიის წევრი, დაუღალავი მუშა ერის და პარტიის ინტერესებისათვის, ოკუპაციის შემდეგ ბრძოლას გაათკეცებით განაგრძობს, 3 წელი უმუშევრათ გაატარა კომუნისტების დროს, დახვრიტეს როგორც „კონტრევოლიუციონერი“ და გაუსწორებელი მენშევიკი.

4. **სარალიძე გიორგი,** „კარუტოს“ მაღაროს მუშა, მუდმივი წევრი სოც. დემ.

საქართველოს ეროვნული არქივი

პარტიისა, მისი ნახვა გამარჯვების დღეს ისეთ საშიში იყო მტრისთვის, რომ ლეგენდები იქმნებოდა ხალხის მიერ, დამარცხების შემდეგ დატუსაღებული მაღაროს მუშას განუკითხავათ აგლეჯიებენ ტყვიის-მფრქვეველს.

5. **სამყურაშვილი პორფილე,** 60 წლის ჭაღარა მოხუცი, უძველესი წევრი სოც. დემ. პარტიისა, ჭეშმარიტი ქართველი და მამულიშვილი, წლოვანებამ ხელი არ შეუშალა საქართველოს ორგულთ შებრძოლებოდა, ამავე მიზეზით გამხეცებულმა მტერმა მისი ჭაღარა სისხლით შეღება თავის 26 წ. ვაჟ სტუდენტთან ერთად.

6. **სამყურაშვილი კოწია,** 26 წლ. სტუდენტი, ახალ სოც. დემოკრ. იშვიათი თავდადებული განაწამები ახალგაზრდა. თბილისიდან დატანჯული დევნისაგან ჭიათურას აფარებს თავს, სადაც მუშაობას განაგრძნობს, დამარცხების შემდეგ, როგორც გამარჯვებამდი ღირსეულ მამასთან ერთად ღირსეული შვილი, ერთად იცხავება ყვირილის პიტონიკებში. ამ სურათის წარმოდგენის დროს თვით ჭიათურის „მხეცებსაც“ კი ენა ჩაუვარდებოდათ ხოლმე.

7. **აბაშიძე არჩილ**, 40 წ. ძვ. სოც. დემოკრ. პარტიის წევრი, ასოთ ამწყობი, პირველმა მან დაბეჭდა ჭიათ. მუშების მოწოდება, საშინლათ სძულდა ბ-ბი, დამარცხების შემდეგ, არჩილი სხვებთან ერთად იქმნა დახვრეტილი თავის ოჯახის ახლოს.

8. **მელიქოვი ბიქტორ,** 40-42 წლის, ძველ სოც. დემ. პარტ. წევრი, ყველასგან ცნობილი და შეუპოვარი მებრძოლი, კოოპერატორი, არა-ერთხელ იყო დატუსაღებული, მაგრამ გატეხა, დაღლა მისთვის არ არსებობდა, სხვებთან ერთად ბოროტმა ხელმა ისიც მოგვტაცა ქურდულათ.

9. **ფხალაძე გედეონ,** 40-42 წლის, ძვ. სოც. დემ. პარტ. წევრი, მთელი თავისი არსებით სძულდა ჩვენი მტერნი, აჯანყებაში მიიღო მხურვალე მონაწილეობა, მისი სიცოცხლეც მზვარაკათ შეეწირა საქ. დამოუკიდებლობას.

10. **თედორაშვილი მიშა,** ზეინკალი, ძვ. სოც. დემოკ. პარტიის წევრი, ძველი ტერორისტი. დემოკრატიული მთავრობის დროს თბილისის გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგან, დაპყრობის შემდეგ ატუსაღებენ ხაშურში, საიდან ახერხებს გაპარვას და ჭიათ. „კარუტოს“ ქარხანაში ეწყობა სხვის გვარზე. მუშაობს განუწყვეტლივ სხვა და სხვა დავალებებზე (სტამბ. მოწყობა და სხვ.) აჯანყების დროს, ღირსეულ „კარუტოს“ მუშებს ხელმძღვანელობს, არ შეიბრალეს „ჩეკისტებმა“ საყვარელი მიშა, დახვრეტილ იქმნა.

11. **მაჭარაშვილი ალექსანდრე,** 45 წლის, სოც. დემ. პარ. ძველი წევრი, სახალხო მასწავლებელი, მხნე და დაუღალავი მუშა, მრავალი პატარა ბალღების პატრონი, მუდამ უმუშევარი შიმშილობდა სანახევროთ, მაგრამ პარტია და მისი ხაზი, მისთვის ყოველივეზე მაღლა იდგა, მრავალჯერ აწვალეს ამ 31/2 წლის განმავლობაში, ვერ „მოაქციეს“ ძვირფასი ალექსანდრე და დახვრეტილი იქმნა!

12. **მაჭარაშვილი სერაპიონ,** მაჭარაშვილი ნიკოლოზ, ძმები, სოფლის სახალხო მასწავლებლები, ღირსეული ბიძის მიმდევრები, ახალ-გაზრდა სოც. დემოკრატები, ორივე ერთათ იქმნენ დახვრეტილნი.

13. **კეკელიძე ილიკო,** 37-38 წლის, სოც. დემოკ. პარტიის წევრი, ხელოსანი, ფანატიკი და დაუღალავი მუშა, თბილისიდან ჭიათურას შეაფარა თავი, სადაც განაგრძნობდა მუშაობას, თვალსაჩინო როლი ჰქონდა აჯანყების დროს,

საქართველოს ეროვნული არქივი

დახვრეტილ იქმნა.

14. **ზაბახიძე,** 30 წლ. სოც. დემოკ. პარტიის წევრი, სახალხო მასწავლებელი, ერთგული და წყნარი მუშაკი, დახვრეტილ იქმნა!

15. **ვაშაძე ლადო,** 35-37 წლის, „კარუტოს" ქარხნის შავი მუშა, სოც. დემ. პარტ. წევრი, ჭიათურის მუშათა კლასის საამაყო შვილი, ყველასგან შეყვარებულმა ლადომ პირველმა აიღო ჭი-რის „ჩეკა" და როდესაც კითხეს, კიდევ რომ მოხდეს აჯანყება, გამოხვალ ჩვენს წინააღმდეგო? „დიახო", იყო პასუხი, გაბრაზებულმა მტერმა მოგვტაცა ძვირფასი ლადო!

16. **ვაშაძე იონა,** ლადოს ღირსეული ძმა, 27-28 წლის, უპარტიო, ჭეშმარიტებისთვის ბრძოლაში შეუპოვარი აღმოჩნდა, ლადოსთან ერთად დახვრეტილ იქმნა!

17. **დიმიტრიდი,** ბერძენი, რომელმაც ქართული ოდნავ იცოდა ინსტიქტიურათ, სძულდა ბ-ბი, აჯანყების დღეს იბრძოდა ჩვენ რიგებში, დამარცხების ჟამსაც დარჩა ჩვენებთან, უცხო სტუმარმა თავის სიცოცხლე დაათავა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.[160]

18. **ხარშილაძე ნიკოლოზ,** 22 წ. გლეხის შვილი, ობოლი, ახალ. გაზ. მარქსისტი, მთელი მისი სიცოცხლე ტრაღედიით აღსავსე იყო, მისთვის არ არსებობდა დაღლა, დასვენება, პირადი ცხოვრება, მუდმივი წევრი ჭ. ახალ. გაზ. მარქსისტთა ორგანიზაციის კომ. წევრი. 1923 წ. ნოემბერში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დაჭერის გამო გადადის არა-ლეგალურათ, 5 თვის შემდეგ, 1924 წელს „ჩეკა" მას ატყუებს ვითომ შერიგებისთვის, ატუსაღებს და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ზის აჯანყების დრომდი! 1924 წ. ივნისში უბრუნდება საყვარელ მუშაობას, საუკეთესო რაზმით შეხვდა ის აჯანყებას, დამარცხების შემდეგ, ის სხვებთან ერთად იქმნა დახვრეტილი.

19. **ფხალაძე ვანო,** 22 წლის, 7 კლასის მოწაფე, ღარიბი გლეხის შვილი, არც დედა ყავს, არც მამა. ახალ. გაზ. მარქსისტთა ორგანიზაციის კომ. წევრი. ვინც მას პირადათ იცნობდა მხოლოდ ის ადვილათ წარმოიდგენს მის ნიჭს და ენერგიას! განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, აჯანყების წინა დღეებში მას აგზავნიდნენ მეტად საკონსპირაციო საქმეებზე თბილისში და სხვაგან, ყოველთვის ვანო ჩვენთან იყო, მხოლოდ 28 აგვ. დილის 4 საათზე გმირულათ დაეცა „პარტკომის" წინ, მის პირდაპირ კი განგმირული იყო პ/მ ახალგაზრდა „ჩეკისტი" სოფრომაძე.

20. **შარაშიძე იუსტინე,** 24-25 წლის სტუდენტი, განაწამები ჯალათების მიერ, 1924 წლის თებერვალში ჩამოდის ქ. ჭი-ში, იქ შოულობს სამუშევარს და განაგრძნობს საყვარელ საქმეს. ვისაც ნიკას ნაზი სახე ახსოვდა, აჯანყების დღეს ცნობა აღარავის შეეძლო, მაგრამ კიდევ უფრო ამაყი და შეუპოვარი აღმოჩნდა ჩვენების დროს, „მარად თქვენ წინააღმდეგო" იყო ნიკას პასუხი, „მარად სიკვდილიო" უპასუხეს ჩეკისტებმა და ძვირფასი სტუმარი ჭიათურის მუშებთან ერთად, თავის მოწოდების სიმაღლეზე მოკვდა.

21. **კეკელიძე გრიშა,** 24-25 წ. სტუდენტი, ახალ. მარქსისტი, დევნილი კომუნისტების მიერ თავს აფარებს ჭიათურას, მსახურობს „კარუტოს" ქარხანაში,

160 გვერდზე მოთავსებული ორი მუშის ბიოგრაფია, სასურველია ამ რიგში მოხვდეს, როგორც სოც. დემ. პარტიის წევრები. (იხილე 8 გვერდი).

საქართველოს ეროვნული არქივი

მაგრამ მეორე მხრით ხელმძღვანელობს ადგილობრივ ორგანიზაციულ იაჩეიკებს. უკანასკნელ დღეებში მას არა ერთი და ორი თვალსაჩინო დავალება შეუსრულებია აჯანყების დღეს. იდგა მოწინავე რიგებში, სხვებთან ერთად დაიხვრიტა რწმენით და იმედებით აღსავსე.

22. **სამხარაძე პარმენ,** 23-24 წლის, სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაღაროს მუშის შვილი, ახალ. გაზ. მარქსისტი! ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ჭიათ. ახ.- მარქ. ორგანიზაციისა, იღებს მხურვალე მონაწილეობას აჯანყებაში, დაუნდობელმა მტერმა პარმენის სიცოცხლეც არ დაიშურა, დახვრეტილ იქმნა.

23. **სარალიძე ნიკოლოზ,** 18-19 წლის, მოწაფე 6-კლასის, ახ.-მარქსისტი, პროლეტარი, ერთი ავადმყოფი დედის პატრონი. ეს იყო სიმბოლო სოციალური უკუღმართობისა, მას მთელი არსებით სძულდა ბ-ბი, და მისი უღირსი შვილი „კომსომოლია", რამდენიმე თვეები გაატარა ციხეში, ერთგული დარჩა ჩვენი ბრძოლის ხაზის, ერთგულები ორგულებს ეჯავრებათ და დახვრიტეს! უიმედო და დავადმყოფებული 60 წლის დედა ეხლა უკვე გასულელებული ქუჩა-ქუჩა დადის და თავის საყვარელ კოლის კითხულობს, მტერი კი ხითხითებს და დაცინის, ხან სად ასწავლის და ხან სად. ამ სურათის დანახვა ისეთი საშინელია, რომ ზოგიერთი მხეცი კომუნისტიც კი შიშით კანკალებს.

24. **ნოზაძე დავით,** მხედარი, უპარტიო, 40 წლის, ყველასთვის წყნარი და უცნობი სტუმარი, ჭი-რის 28-აგვ. იყო იშვიათი სანახავი, თავისუფალმა საქართველომ მხედარი თავის მოწოდებაზე დააყენა, მტერმა მოწოდებისათვის ლაჩრულათ სიკვდილი არგუნა.

25. **გამყრელიძე აკაკი,** მხედარი სახალხო გვარდიის მუდმივი მებრძოლი, იშვიათი ვაშკაცი, რომელმაც აჯანყების დღეს 35 მხედარი ცხენოსანი მოაყენა და პირდაპირ გასჭრა მდინარის ერთი მხარე და მიადგა მტრის მთავარ სიმაგრეს, დამარცხების შემდეგ მთელი რაზმით უკან დაიხია, მტერმა მოიტყუა და თავის რაზმელებთან ერთად იქმნა დახვრეტილი, ბევრი მათგანის გვარის აღდგენაც არ მოხდა, ვიცით რომ დახვრიტეს მისი რაზმის 20 კაცი - აქედან.

33. **გამყრელიძე, ვ. აბაშიძე** და მეტის აღდგენა ვერ შევსძელით. (გვარებს არ აცხადებენ).

34. **აბაშიძე ანდრო,** უპარტიო, სტუდენტი, 25 წლის, მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში, დახვრეტილ იქმნა.

35. **იაშვილი ჭუნია,** სტუდენტი, სოც. ფედერალისტი, 25 წლის, დახვრეტილი იქმნა.

36. **ციცქიშვილი ანეპო,** კომ. პარტ. კანდიდატი, სტუდენტი, იგრძნო ადამიანის მოვალეობა, შეუერთდა აჯანყებულებს, დახვ. იქმნა.

37. **წერეთელი ეკო,** ოფიცერი, 35 წლის, უპარტიო, ჭიათურის ქალაქის მილიციის უფროსი, ღირსეული და თავდადებული ქართველი მხედარი, მხეცური წვალების შემდეგ ხელფეხ შეკრული აწამეს და ტანჯვით დალია სული.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცლები 87-93.

საქართველოს ეროვნული არქივი

1926

საქართველოს
ეროვნული
არქივი

1924 წელს დაპატიმრებული მათე თინიკაშვილის განცხადება საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარესა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს პატიმრობის დარჩენილი ვადის პატიების შესახებ
1926 წლის 10 მარტი

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, ასლი ს.ს.ს. რესპუბლიკის ც.ა.კ.ი-ს თავმჯდომარეს

ითხოვს გორის მაზრის გლეხი **მათე მიხეილის ძე თინიკაშვილი** ამ ჟამად მოთავსებული საგანგებო დანიშნულების იზოლატორში

საქართველოს **საგანგებო კომისიამ** მომისაჯა ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა 1924 წლის აგვისტოს გამოსვლებისათვის. ეს სასჯელი საკავშირო ც. ა. კ. ი-ს თბილისის სესიის დადგენილების თანახმად ამნისტიის შესახებ გასული წლის მარტში ნახევრად შემიმცირეს. სასჯელს ვიხდი 1924 წლის სექტემბრის 15-დან. ამნაირად კიდევ დამრჩა ერთი წელიწადი.

ამ თხოვნის საგანს არ შეადგენს არსებითად შევეხო საგანგებო კომისიის ამ მსჯავრს: მთავრობის დადგენილება, რაც უნდა მკაცრი არ იყოს იგი, ჩემთვის უდავო კანონია.

მსურს თქვენი ყურადღება შევაჩერო მხოლოდ ერთს გარემოებაზე. ამნისტია გავრცელდა მარტო ისეთ პირებზე, ვინც მთავრობის აზრით არ წარმოადგენდა პოლიტიკურად საშიშარ ელემენტს. კომისიამ, რომელსაც ცხოვრებაში გაჰყავდა ეს ამნისტია, მეც მიმაკუთნა ამ კატეგორიას. და მართლაც, რა პოლიტიკური ზიანის მოტანა უნდა შეეძლოს ჩემისთანა უბრალო გლეხს, წერა-კითხვის უცოდინარს, ისეთ ძლიერ ხელისუფლებისათვის, როგორიც არის მუშურ-გლეხური სახელმწიფოებრივობა?! მით უმეტეს, რომ იარაღით ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ უარჰყო ყველა მონაწილემ აგვისტოს გამოსვლებისა. რამდენათაც მე გამეგება, ეხლა ისეთი მდგომარეობა არის შექმნილი, რომ დიდი უმრავლესობა ყველა იმათი, ვინც ამდენ ხანს აქტიურად ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს, დღეს მთავრობას გვერდში ამოსდგომია და ქართველ ხალხს მოუწოდებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ.

მე არასდროს არ ვყოფილვარ პოლიტიკური მოღვაწე. ჩემი ნამდვილი ხელობაა მეცხვარეობა. ვეჭვობ, რომ რაიმე არსებითი დახმარების მოტანა შემეძლოს მთავრობისათვის მის დიდ საქმეში, რომელიც მიმართულია საქართველოს აყვავებისა და განახლებისაკენ. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ, თუ საჭირო იქნა, მე მზათ ვარ თვით ჩემი სიცოცხლე შევსწირო მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ამიტომ ჩემი აწინდელი პოლიტიკური ორიენტაცია არ უნდა იწვევდეს რაიმე ეჭვებს: მე, როგორც თვითონ მშრომელი, ყოველთვის მეგობარი და მოკეთე ვიქნები მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისა.

და მე ვფიქრობ, რომ წარსული ცოდვებისათვის არ არის საჭირო ჩემი იმაზე

საქართველოს ეროვნული არქივი

მეტად დასჯა, რაც უკვე გადავიტანე. სახლში მე დამრჩა წვრილი ცოლშვილი, (უფროსი მხოლოდ ხუთი წლისაა). სასჯელის სამი მეხუთედი მე უკვე მოვიხადე. ძნელია ამდენ ხანს ტუსაღათ ყოფნა მუშა კაცისათვის, ისიც მეცხვარისათვის, მთებში აღზრდილისა და შეჩვეულისათვის. მაგრამ მით უფრო დიდ სატანჯველს შეადგენს უჩემობა ჩემი ოჯახისათვის, რომელიც მოკლებულია მუშა ხელს და მარჩენალს.

ვფიქრობ, რომ მე უკვე გამოვისყიდე ის დანაშაული, რომლისთვისაც დამსაჯეს.

გთხოვთ ამიტომ დარჩენილი ერთი წელიწადი მაპატიოთ და ვადის შესრულებამდე პირობით მომანიჭოთ თავისუფლება, რომელიც ეგზომ ძვირფასია, როგორც ჩემთვის, ისე ჩემი უპატრონოთ დარჩენილ ოჯახისათვის.

თქვენი კეთილგანწყობილ პასუხის მოლოდინში მათე თინიკაშვილი

მარტის 10 - 1926 წ.
მეტეხი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 93, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული ვარლამ მოგელაძის მეუღლის, მარიამ მოგელაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს მისი მეუღლის გათავისუფლების შესახებ
1926 წლის 11 მარტი

პატივცემულო ფილიპე!

მე ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ გაწუხებთ ამ წერილით, მაგრამ მაპატიეთ ვინაიდან მე უკიდურესათ იძულებული ვარ. რამოდენიმე თვეა დავდივარ აქ და მსურდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ გავხდი ღირსი ამისი. მე არ მსურდა და არც ეხლა მსურს თქვენს წინაშე გავმართო დიდი ლაპარაკი, მე მხოლოდ მსურს თქვენ ნამდვილ ადამიანს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით გაგაცნოთ ჩემი მდგომარეობა და შემდეგ იმ გზას დავადგე, რომელსაც თქვენ მირჩევთ, როგორც უფროსი მამა. პატივცემულო ფილიპე! საქმე შემდეგშია: აგერ ექვსი თვეა, რაც ჩემი მეუღლე **დაპატიმრებულია საქმის გამოუძიებლივ,** როგორც პოლიტიკური დამნაშავე. ვერავითარი საბუთი დამამტკიცებელი მისი დანაშაულისა ვერ აღმოაჩინეს ან რა უნდა აღმოეჩინათ, რაც არ ჰქონდა? დღეს რა ვქნა აღარ ვიცი, ყოველ მხრივ უკიდურესს პირობებში ვარ. მზათ ვარ თავი მოვიკლა, ჩემი ოჯახის მარჩენალი ის იყო, დღეს უპატრონოთ ვყრივართ მშიერ-მწყურვალე. ნუთუ უნდა დავიხოცოთ მთელი ოჯახი? მე ვფიქრობ თქვენი ადამიანობა ამას არ ინებებს, მით უმეტესს, რომ ის არ არის **კაცის მკვლელი, ის არ არის ქურდი და ავაზაკი** და არც ისეთი **პოლიტიკური დამნაშავე,** რომელიც **სარდაფებში** მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ან შეიარაღებული გამოდის საბრძოლველად. **რა უყოთ თუ ოდესმე მენშევიკურ პარტიაში ირიცხებოდა?** განა ყოფილი მენშევიკები არ არიან დღეს რომ რამოდენიმე ათასეულ მუშა ხელს წარმოადგენენ? დღეს რომ საბჭოთა ხელისუფლების გვერდით მუშაობენ? ჩემი ქმარიც ხომ მუშაა? მან რა დააშავა, რომ ეგრე გამოუძიებლივ ზის ციხეში? რამდენ გამოჩენილ მენშევიკს ეპატია ყოველივე ამნისტიის ძალით და ან მთავრობის განკარგულებით და ნუ თუ ჩემს მეუღლეს არ შეიძლება ეპატიოს ეს ერთი დანაშაული, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ არის სრულიად დამნაშავე. უკანასკნელად, რომ არ შეგაწუხოთ გთხოვთ უმორჩილესად შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში, წარმოიდგინოთ უპატრონო ოჯახის ყოფა-ცხოვრება და შესაძლებლობის ფარგლებში გამიწიოთ მამა-შვილური დახმარება. კიდევ გთხოვთ გამხადოთ ღირსი თქვენი ნახვისა და ჩემი გარამოებას დაწვრილებით უფრო აგიწერთ. ყოველ მიღების დღეს ატუზული ვარ თქვენს კარებთან, მაგრამ თქვენამდე არავინ მომიშვა, ეხლაც ველოდები თქვენს განკარგულებას და თუ ნებას მიბოძებთ შემოვალ თქვენთან. იმედი მაქვს ჩემს თხოვნას მიაქცევთ ყურადღებას.

პატივისცემით: **მარიამ მოგელაძისა.**
5/III

საქართველოს ეროვნული არქივი

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: საქართველოს საგანგებო კომისიას. საჭიროა თქვენი ახსნა და დასკვნა. ფ. მახარაძე. 10/III. 26 წ.; დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 1926 წლის 11 მარტი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 102, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს დაპატიმრებული სავლე გორგოძის მეუღლის, ვერა გორგოძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს მისი მეუღლის გათავისუფლების შესახებ
1926 წლის 26 მარტი

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს

ვერა ივანეს ასული გორგოძისა,
მცხოვრების სოფ. ფერსათში,
ქუთაისის მაზრა

განცხადება

1924 წელში იყო დაპატიმრებული ჩემი ქმარი, მიწის მუშა, ჩამომავლობით გლეხი, სავლე ტრიფონის ძე გორგოძე.

1925 წელში იყო გამოცემული საკავშირო ცაკის ამნისტია, რომლის ძალით მას სასჯელი შეუმცირდა სამ წლამდე, გადასახლებით ქ. იაროსლავშიდ. სასჯელს, როგორც სავლე გორგოძე, ისე სხვები იხთიდენ ქუთაისის გამსახლში. მასთან დაპატიმრებული პირები ამ რამოდენიმე კვირის წინეთ გადაასახლეს იაროსლავში, ხოლო ჩემი ქმარი, ვერ იქმნა გადასახლებული, რადგან მისი ჯანმთელობა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მისი გადასახლება გამოიწვევდა მისი სიცოცხლის მოსპობას. ამ ჟამათ ის ძლიერ ავათ არის, როგორც ეს სჩანს ქუთაისის მაზრის განკომისიიდან ცენტრალურ განკომისიის სახელზე წარმოდგენილი შუამდგომლობიდან და მოწმობებიდან, /პაკეთი N1596/ შესახებ მისი განთავისუფლებისა, სავლე გორგოძე იმყოფება ჯანმთელობის მხრივ უკიდურეს მდგომარეობაში. გარდა მისი ავადმყოფობისა, ჩემი ოჯახური მდგომარეობა ისეთია, რომ მე არ მაქვს საშუალება, თუ ის სახლში არ იქნა, მას მოუარო და ყურადღება მივაქციო, რადგან მე ხელზე მყავს ოთხი პატარა ბავშვი, რომელთა მოვლა და გაზრდა არ მაძლევს საშუალებას მათ მოვაშორო თვალი, თანაც სიღარიბე გვაყენებს ჩვენ საშინელ და აუტანელ მდგომარეობაში.

გულრწფელად უნდა აღვიარო, რომ ჩემ ქმარს დიდი დანაშაული მიუძღვის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, მაგრამ ამ ჟამად დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ის, როგორც გლეხი, რომელმაც თავის დანაშაური მოინანია, გვერდს ამოუდგება მუშურ-გლეხურ მთავრობას და თუ დახმარებას ვერ აღმოუჩენს, ხელს მაინც არ შეუშლის მის მედგარ ბრძოლას სოციალიზმის განხორციელებისათვის. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მისი სახლში ყოფნა საჭირო არის მისი პატარა ბავშვების სულიერ და გონივრულ აღზრდისათვის.

მივიღებთ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს და იმას, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ძლიერ ლმობიერად ეკიდება მუშებს და გლეხებს, როგორც თავის კლასის წევრებს და მიზნათ ისახავს არა მათ დასჯას, არამედ მათ გასწორებას და თავის წრეში დაბრუნებას, რომ საბჭოთა მთავრობისათვის ბავშვების სულიერი

საქართველოს ეროვნული არქივი

და გონივრული აღრზდა არის მისი მუშაობის უმთავრესი მიზანი.

მე გთხოვთ, ამხ. თავმჯდომარე, შეხვიდეთ ჩემი ქმრის უბედურ მდგომარეობაში, ჩემ გაჭივრებაში და მისი უსუსური ბავშვების კეთილ-დღეობისათვის გაანთავისუფლოთ ის პატიმრობისაგან სრულიად. ძლიერ ბევრისათვის უპატიებია საბჭოთა ხელისუფლებას დანაშაული და ვიმედოვნებ, რომ ჩემ ქმარსაც აპატიებს ყოველივე დანაშაურს და დააბრუნებს მას მის ოჯახში.

ვერა გორგოძისა /ხელრთვა/

„ “ მარტი 1926 წ.
ქ. თბილისი

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: საქართველოს საგანგებო კომისიას. 26/III. 26 წ. /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 85, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული ვარლამ მოგელაძის შესახებ
1926 წლის 3 აპრილი

შემ. N 4821

საქართველოს ცაკს
N37049-ზე - ა/წ. 13/III-თარიღით

გებრუნებათ რა მოქ. მოგელაძის განცხადება მისი ქმარის საქმის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისია გაცნობებთ, რომ **ვარლამ როსტომის ძე მოგელაძეს** ბრალი ედებოდა კონტრ რევოლიუციაში, როგორც გამოიხატა საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ აქტიურ მუშაობაში, მენშევიკთა არალეგალურ ორგანიზაციის მოწყობაში და ყალბ ცნობების მოცემაში მენშევიკურ ორგანიზაციაში მომუშავების დაფარვის მიზნით, ბრალდება დამტკიცებულ იქმნა, საქ. საგ. კომისიის დადგენილებით 15/III-26 წ. მიესაჯა საქართველოს ფარგლებიდან გადასახლება 3 წლის ვადით, საქმე მის შესახებ გადაეცა გაერთ. სახელ. პოლიტ. სამმართველოს სანქციაზე.

დანართი: აღნიშნული.

საქ. საგ. კომისიის თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/

სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით 1926 წლის 3 აპრილი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 102, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის
დასკვნა 1924 წელს დაპატიმრებული მათე თინიკაშვილის
ვადაზე ადრე გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ
1926 წლის 15 აპრილი

შემ. N6313
8014 რსს

საქართველოს ცაკს
N86-ზე ა/წ 8/4- თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე პატიმარ მათე მიხეილის ძე **თინიკაშვილის** განცხადება საქ. საგ. ბანდიტობაში, რაც გამოიხატა საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლაში და აგრეთვე მიიღო რა მხედველობაში ბორჩალოს იმფოპუნქტის და მშრომელ მასის დადგენილება მის შესახებ, როგორც აბსოლიუტურად უარყოფილი ტიპი და მავნე ელემენტი, საქ. საგ. კომისიის კოლეგიამ 15/I-25 წ. მიუსაჯა ხუთი წლით დაპატიმრება სასჯელის განახევრებით ს. ს. რ. კ. ცაკის მესამე სესიის ამნისტიის თანახმად, საქ. საგ. კომისია იღებს რა მხედველობაში, რომ სასჯელი განახევრებულ იქმნა და აგრეთვე მის მიერ ჩადენილ მძიმე, ბოროტმოქმედებას მის პატივებაზე თავის მხრივ უარს ამბობს.

დანართი: აღნიშნული.

საქ. საგ. კომისიის თავმჯდომარის მაგ. ხელრთვა /ბერია/
სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით 15 აპრილი 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი
ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 93, ფურცელი 5.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილება 1924 წლის აჯანყების მონაწილის სავლე გორგოძის მეუღლის, ვერა გორგოძის განცხადებაზე, სადაც ის ავადმყოფი მეუღლის გათავისუფლებას ითხოვს
1926 წლის აპრილი

შემ. N5956
7970 რსს

საქართველოს ცაკს
N37015-ზე 31/III-თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. ვერა გორგოძის განცხადება მისი ქმრის საქმის შესახებ საქ. საგ. კომისია გაცნობებთ, რომ მის ქმარს **სავლე ტრიფონის ძე გორგოძეს** ბრალი ედებოდა 1924 წელს მენშევიკების ავანტიურაში აქტიურ მონაწილეობის მიღებაში. ბრალდება დამტკიცებულ იქმნა, გაერთ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს კოლეგიასთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირის დადგენილების 12/II-26 წ. მიესაჯა **გადასახლება** იაროსლავის პოლიტ. იზოლიატორში **სამი წლის** ვადით საქ. საგ. კომისია იღებს რა მხედველობაში მის მიერ ჩადენილ საქმეს, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თავის მხრივ მის პატივებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. საგ. კომისიის თავმჯდომარის მაგიერ ხელრთვა /ბერია/

სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით 1926 წლის აპრილი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 85, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის უარი ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული ვარლამ მოგელაძის ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე
1926 წლის 20 მაისი

შემ. N7759
8495 რსს

საქართველოს ცაკს
N103-ზე ა/წ. 8/5-თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. **მოგელაძეების** განცხადება ორი მოწმობით მათი შვილის საქმის შესახებ, საქ. საგ. კომისია გაცნობებთ, რომ ვარლამ როსტომის ძე მოგელაძეს ბრალი ედებოდა კონტრ-რევოლიუციაში, რომელიც გამოიხატა მენშევიკთა ორგანიზაციაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აქტიურ, არა-ლეგალურ მუშაობაში და ყალბ ცნობების მოცემაში მენშევიკურ ორგანიზაციაში მომუშავეთა დაფარვის მიზნით, საქ. საგ. კომისიის კოლეგიის დადგენილებით 15/III-26 წ. მიესაჯა საქართველოს ფარგლებიდან გადასახლება სამი წლის ვადით, საქმე მის შესახებ გადაგზავნილია დასამტკიცებლად გაერთიანებულ სახ. პოლიტ. სამმართველოში.

საქ. საგ. კომისია იღებს რა მხედველობაში მის მიერ ჩადენილ დანაშაულობას მის პატივებაზე უარს ამბობს.

დანართი: აღნიშნული.

საქ. საგ. კომისიის თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით 1926 წლის 20 მაისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 102, ფურცელი 8.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს დაპატიმრებული კონსტანტინე დადიანის მეუღლის, პაულინა დადიანის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მეუღლის გათავისუფლების თაობაზე
1926 წლის 2 ივნისი

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

ქ. ქუთაისის მცხოვრები
პაულინა დავითის ასული
დადიანისაგან

განცხადება

1924 წლის აგვისტოს თვის მომხდარ ავანტიურაში მონაწილეობის მიღების გამო ჩემი ქმარი კონსტანტინე (ჯუგუ) გრიგოლის ძე დადიანი დაკავებულ იქნა ქ. ზუგდიდში, სადაც თითონ გამოცხადდა მთავრობის წინაშე. იქიდან ის გადმოგზავნეს საქ. საგანგებო კომისიის განკარგულებაში, რომელმაც მას მიუსაჯა 10 წელი უიზოლიაციო დატყვევება. ამნისტიით გაეყო შუაზე სასჯელის ვადა.

დღიდან გამოცხადებისა ის ზის გამსახლში (ამ დროებით ქ. ქუთაისში). შემდეგში, როდესაც მთავრობის მიერ განთავისუფლებული იქნა თითქმის ყველა პოლიტ. ტყვეები, და სამეგრელოს მასშტაბით დარჩენ ჩემი ქმარი და ერთი კიდევ, მე მივმართე თემის და მაზრის აღმასკომებს, რომელთაც გადმოგზავნეს საქ. საბ. რესპ. ც. ა. კ-ში შუამდგომლობა მის განთავისუფლების შესახებ: ახალ-ხიბულის თემის საბჭოს დადგენილება N2016 და ზუგდიდის მაზრის შუამდგომლობა **N881**. ქუთაისიდან ზემოხსენებულ ქაღალდებს დაერთო პატიმრის ავადმყოფობის მოწმობით გამსახლის ადმინისტრაციის დადებითი აზრი მის ყოფა-ქცევაზე და მუშათა კომისიის შუამდგომლობა მის განთავისუფლებაზე.

მე ვარ მასწავლებელი და მეძლევა 39 მან. სარჩენი მყავს 3 შვილი და დავრდომილი დედამთილი, ამავე დროს ხელს უწყობ ავადმყოფ პატიმარს. გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში, აკმაროთ სასჯელი მის მიერ მოხდილი და გაანთავისუფლოთ და უპატრონო ოჯახს დაუბრუნოთ ის.

იმედი მაქვს საბჭოთა ხელისუფლების სამართლიანობა და ლმობიერება გავრცელდება ჩემზედაც და არ ვიქნები გამონაკლისი.

მთხოვნელი პაულინა დადიანისა
1926 წ. 2/VI.

საქართველოს ეროვნული არქივი

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: საქართველოს საგანგებო კომისიას. დასკვნის წარმოსადგენად. თავმჯდომარის განკარგულებით. 2/VI. 26 წ. დოკუმენტს აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 2 ივნისი 1926 წ. დოკუმენტს მეორე გვერდზე აქვს მინაწერი: ცნობა. მოქ. კოსტანტინე დადიანის განცხადება გაიგზავნა საქ. საგ. კ-მ. 3/VII 25 წ. N3265. პასუხი არ არის მოსული. 2/VII.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

ოქმი 1924 წელს დაპატიმრებული სილიბისტრო კობახიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
1926 წლის 5 ივნისი

ოქმი

1926 წელს ივნისის 5 დღესა, თანახმად დასავლეთ საქართველოს ცენტრალური გამასწორებელი სახლის უფროსის მომართვისა ა/წ. 26/V თარიღით 2459 და ქუთაისის ჯანმრთელობის ინსპექციის განკარგულებისა ა/წ 2/VI თარიღით, 965 ექიმთა კომისიის მიერ შემოწმებული იქნა პატიმარი სილიბისტრო (იგივე ჭიჭიკო) კობახიძე ჯანმრთელობის მხრივ გამსახლის ამბულატორიაში და აღმოჩნდა:

სილიბისტრო კობახიძე შეხედულებით დაახლოებით 32 წლისა, მაღალი ტანის, ძალ კუნთოვანი სისტემა და კანქვეშა ცხიმი სუსტათ განვითარებული აქვს, კანი და ხილული ლორწიანი გარსი მკრთალი და სისხლნაკლულ არიან. მკერდის მარცხენა მხარეზედ ლავიწის ზემო და ქვემო არეში პერკუსია იძლევა ტიმპანიურ ტონს, იქვე ისმის ბრონქიალური ელფერის გაგრძელებული ამოსუნთქვა და გამწეული წვრილბუსტოვანი სველი ხიხინი; მკერდის მარჯვენა მხარეზედ, ლავიწის ზედა და ქვედა არეში პერკუტორული ტონი ოდნავ მოყრუებული და სუნთქვა საგრძნობლად შესუსტებული. გული ნორმალური საზღვრებშია, მისი ტონები მოყრუებული არიან, მხოლოდ ძუძუს თავთან ისმის ნაზი სისტოლიური შუილი. მუცლის ღრუს ორგანოები პატალოგიურ რაიმე ნიშნებს არ იძლევიან.

ყველა ზემო აღნიშნული უფლებას აძლევს ექიმთა კომისიას სთქვას, რომ პატიმარი სილიბისტრო (იგივე ჭიჭიკო) კობახიძე შეპყრობილია ორივე ფილტვების ქრონიკული კატარით ტუბერკულიოზის ნიადაგზედ, სისხლნაკლოვანებით და კვების დაცემით და მას აუცილებლად ეჭირვება კლიმატიური მკურნალობა მთის წმინდა ჰაერით, გაძლიერებული კვებით და ფარმაცევტიული საშვალებებით ექიმობა, რაც გამსახლში შეუძლებელია.

კომისიის წევრები
ტუბ-ამბულატორის გამგე ექ. /ხელრთვა/
დ. კახაძე /ხელრთვა/
/ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 98, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს დაპატიმრებული სილიბისტრო კობახიძის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დარჩენილი სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ
1926 წლის 14 ივნისი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ
გამსახლის პატიმარი სილიბისტრო
/იგივე ჭიჭიკო/ ბათლომეს ძე კობახიძისაგან

შეწყნარებითი თხოვნა

1924 წლის 28 აგვისტოს გამოსვლებში მონაწილეობის მიღების გამო საქართველოს **საგანგებო კომისიის მიერ** დაპატიმრებული ვარ 1924 წ. 5 სეკტემბრიდან და მისგანვე მოსჯილი მაქვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელი სასჯელი 1925 წლის 6 მარტის ამნისტიის შეფარდებით გამინახევრდა.

მოგახსენებთ, ვარ შეპყრობილი სხვა და სხვა ავადმყოფობით მათ შორის ფილტვების ჭლექით, რის ნიადაგზე ა. წ. 7 აპრილიდან ერთი კვირის განმავ-ლობაში რამდენიმე ჭიქა სისხლი მაღებინა. როგორც სჩანს ამასთანავე ერთათ წარმოდგენილ ექიმთა კომისიის მიერ შედგენილ ოქმიდან, ჩემი ასეთ პირობებში განკურნება შეუძლებელია.

ვითვალისწინებ, რა თქვენს ლმობიერებას და მზრუნველობას გასწორების გზაზე დამდგარ მისჯილ პატიმრებისადმი - ვბედავ მოგმართოთ თხოვნით, რათა მოიღოთ ჩემ თავზედ მოწყალება და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი გამათავისუფლოთ ჩემზე დარჩენილ სასჯელისაგან.

დანართი: ოქმი ექიმთა კომისიის მიერ შედგენილი 1926 წ. 5 ივნისი

ჭ. კობახიძე.

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: წარედგინოს დას. საქ. პროკურორს ნარ-კვევით, ანკეტით შემდეგი განკარგულებისათვის. 14/VI. 26 წ. დას. საქ. ცენტრ. გამსახლის უფროსი /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 98, ფურცელი 5.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წელს დაპატიმრებული კონსტანტინე დადიანის გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ
1926 წლის 20 ივნისი

შემ. N9138
8926 რსს.

საქართველოს ცაკს
N147-ზე ა/წ. 2/6- თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. პაულინა დავითის ასულის დადიანის განცხადება მისი ქმრის საქმის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისია გაცნობებთ, რომ **კონსტანტინე /ჯუგუ/ გრიგორის ძე დადიანს** ბრალი ედებოდა მენშევიკურ გამოსვლებისთვის აგვისტოს 24 წ. დახმარების აღმოჩენაში და მასში აქტიურ მონაწილეობის მიღებაში, ფაქტი წამოყენებულ ბრალდებისა დამტკიცებულ იქმნა. საქ. საგ. კომ. კოლეგიის დადგენილებით 15/I-25 წლ. მიესაჯა უმაღლესი სასჯელი - დახვრეტა, მაგრამ მიღებულ იქმნა რა საქ. ცაკის ამნისტია 6/II-24 წ. **უმაღლესი სასჯელი შეცვლილ იქმნა ათი წლის დაპატიმრებით** და აგრეთვე 16/III-25 წ. ამნისტიის ძალით მიკუთვნილი სასჯელი **განახევრებულ იქმნა.**

საქ. საგ. კომისია იღებს რა მხედველობაში მის მიერ ჩადენილ დანაშაულობას მიმართულ საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ და აგრეთვე მას რომ სასჯელი ორხელ იქმნა შეცვლილი მის განთავისუფლებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. საგ. კომისიის თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით 20 ივნისი 1926 წ. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დარჩეს უშედეგოდ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 87, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ლავრენტი ბერიას პასუხი სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წელს დაპატიმრებული სილიბისტრო კობახიძის გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ
1926 წლის 24 ივლისი

სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს

გებრუნებათ რა ამასთანავე მიმოწერა 5 ფურცელზე პატიმარ **სილიბისტრო /იგივე ჭიჭიკო/ კობახიძის** შეწყნარების შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისია გაცნობებთ, რომ ასეთს ბრალი ედებოდა 1924 წ. აგვისტოს მენშევიკურ გამოსვლებში აქტიურ შეიარაღებულ მონაწილეობის მიღებაში. საქ. საგ. კომისიის კოლეგიის დადგენილებით 15/I-25 წ. მიესაჯა **უმაღლესი სასჯელი - დახვრეტა,** მიღებულ იქმნა მხედველობაში ამნისტია საქ. ცაკის 6/II-24 წ. უმაღლესი სასჯელი შეცვლილ იქმნა ათი წლის დაპატიმრებით, აგრეთვე შემდეგ საქ. ცაკის 16/III-25 წ. ამნისტიის ძალით სასჯელი **განახევრებულ იქმნა.**

საქ. საგ. კომისია იღებს რა მხედველობაში მის მიერ ჩადენილ დანაშაულობას და სასჯელი შემსუბუქებულ იქნა ორხელ, დანარჩენი სასჯელის განთავისუფლებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. საგ. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ხელრთვა /ბერია/
სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქ. საგანგებო კომისიის შტემპი თარით 24 ივლისი 1926 წ. და ადევს რეზოლუცია: დარჩეს უშედეგოდ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 98, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

დავით ლონდარიძის მეუღლის, ეკატერინე ლონდარიძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, მეუღლის რუსეთში გადასახლებისგან გათავისუფლების შესახებ 1926 წლის 3 აგვისტო

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს

სოფელ თონეთში მცხოვრებ ეკატერინე
ივანეს ასულის ლონდარიძის

განცხადება

მიმდინარე წლის მაისის დამდეგს სოფელ თონეთში სრულიად მოულოდნელად დაატუსაღეს ადგილობრივ საგანგებო კომისიის განკარგულებით **ჩემი ქმარი** დავით ზაქარიას ძე ლონდარიძე. იმისი ოჯახობა, რომელიც შესდგება მოხუცებულ დედისაგან, ორი მცირე წლოვან ბავშვისა და ჩემგან, ამ ამბავმა ერთობ დაგვაღონა, ვინაიდან ჩვენ ყველანი მის შრომით და ოფლით ვცხოვრობთ. დატუსაღების დროს ჩემი ქმარი დანიშნული იყო ადგილობრივ კოოპერატივის გამგეთ და მთელი თავის შესაძლებლობით თავის საქმეს უბეჯითებდა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ალალ-მართალ კაცს დიდხანს მაინც არ გააჩერებდნენ ტუსაღის მდგომარეობაში, მაგრამ სამი კვირის შემდეგ დატუსაღებული დავით ლონდარიძე გამოგზავნეს ტფილისში, სადაც ის დიდ ხანს საგანგებო კომისიაში იყო მოთავსებული და ეხლა იმყოფება მეტეხის ციხეში. ეხლახან მას გამოუცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვს საგანგებო კომისიის დადგენილებით გადასახლება რუსეთში.

როგორც დატუსაღებულ ჩემი ქმრის დავით ლონდარიძისაგან შევიტყვეთ, მას ბრალად სდებენ ერთის მხრივ 1924 წლის ავანტიურისტულ გამოსვლებში მონაწილეობას და მეორეს მხრივ ვინმე ყაჩაღად გავარდნილ კოხტაშვილთან კავშირს, რაც ვითომც გამოიხატა იმაში, რომ მან, ლონდარიძემ, გადასცა მას ერთი წყვილი ჩუსტი. ორივე ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა და შეიძლება დაირღვეს ურყევი საბუთებით, თუ კი საქმე საფუძვლიანად იქნა გამოძიებული. ეს საბუთები, რომელნიც არღვევენ ამ ბრალდებებს, არის შემდეგი:

ა) 1924 წლის აგვისტოს ამბების დროს ჩემი ქმარი, ლონდარიძე, შვიდი თვის განმავლობაში დატუსაღებული იყო და, როგორც სრულიად უდანაშაულო, ორი დღით ადრე, ვიდრე აგვისტოს ავანტიურა დაიწყებოდა, განთავისუფლებულ იქნა ტფილისში ციხიდან. ჩემი ქმარი დაბრუნდა სახლში, თონეთში, ავადმყოფი და კარში ვერც კი გამოდიოდა. მასიურ დატუსაღების დროს თონეთში ჩემი ქმარიც ისევ დაატუსაღეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც სრულიად უდანაშაულო, ისევ გაანთავისუფლეს. ამ ფაკტებიდან ნათლად სჩანს, რომ ფიზიკურად შეუძლებელი იყო ლონდარიძისთვის რაიმე მონაწილეობა ჰქონოდა მიღებული აგვისტოს ავანტიურაში. ლონდარიძე უბრალო სოფლის კაცია,

საქართველოს ეროვნული არქივი

რომელიც აწარმოებს ხვნა-თესვას, იცის სოფლური ხელობა ნალბანდობა და, რა თქმა უნდა, შვიდი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ მას მოსვენების და სიწყნარის მეტი არაფერი არ ენატრებოდა. ბრალდება, ვითომც მას გამოსვლაში რაიმე მონაწილეობა მიიღოს, გამოგონილია მისი პირადი მტრების მიერ და სრულიად უსაფუძვლოა და დაუჯერებელი.

ბ) მეორე ბრალდება, ვითომც ლონდარიძეს ჩუსტები მიეწოდებინოს ყაჩაღი კოხტაშვილისთვის, წარმოშობილია იქიდან, რომ ჩვენი სოფლის ხარაზს, ალექსი ასლამაზიშვილს, რომელიც სოფელში ცოტა ხნით დატუსაღებული იყო, უჩვენებია, ვითომც მისგან ჩუსტები ეყიდნოს ლონდარიძეს. მაგრამ **ეს ხარაზი ასლამაზაშვილი** ლაპარაკობს ხალხში, სანამ მართალს ვამბობდი, არაფერი მეშველა, და ვიდრე ტყუილი არა ვთქვი, ვითომც ლონდარიძეს ჩემგან **ჩუსტები ეყიდოს**, მანამდე არ გამათავისუფლესო. თუ გამოძიება მოხდა და გამოკითხეს ჩვენი სოფლის, თონეთის მცხოვრები ალექსი ასრათაშვილს (პარტიული), გიორგი ბეჟუაშვილს, ვარდო ასლამაზოვს, ევა თაქთაქოვს, ყველა დაამოწმებს, რომ ხარაზი სწორეთ ასე, ამ სიტყვებით ლაპარაკობს. ამ ნაირათ ეს ერთად ერთი საბუთი ბრალდებისა, რამდენადაც შეიძლება გავიგო ეს საბუთები, ემყარება ყალბ ჩვენებას. მაშასადამე ეს ბრალდებაც უსაფუძვლოა და უნიადაგო.

ამისდა მიუხედავად ჩემ ქმარს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, გადაუწყვიტეს რუსეთში გადასახლება, რაც ჩვენთვის, მისი ოჯახის წევრებისთვის, მოასწავებს შიმშილს და ყველა იმ უბედურებას, რაც შიმშილიდან წარმოსდგება. თავის თავად ცხადია მე უმწეო ვარ და არაფერი არ შემიძლიან მოვიმოქმედო ისეთი, რომ ჩემი ქმრის სიმართლე გამოირკვეს და მშრომელი ადამიანი, სოფლის გლეხი, სრულიად უმიზეზოთ არ იქნას დაღუპული თავის ოჯახთან ერთად. ჩემს უმწეობაში მინდა ვცადო ეს უკანასკნელი და ერთადერთი ღონე: მოგმართოთ თქვენ, როგორც სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს თხოვნით, გაგვიწიოთ მფარველობა, მოახდინოთ განკარგულება, გამოძიებულ იქნას ჩემი ქმრის საქმე საფუძვლიანად, თუნდა სასამართლოს საშუალებით, თუნდა ადმინისტრატიულის წესით, გამორკვეულ იქნეს სიმართლე და ჩემი ქმარი, როგორც ყოვლად უდანაშაულო, განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისაგან.

ამასთან წარმოვიდგენ ჩვენი სოფლის მცხოვრებთა მოწმობას, რომ ლონ-დარიძეს მართლა არავითარი მონაწილეობა აგვისტოს ავანტიურაში არ მიუღია.

ეკატერინე ივანეს ასული ლონდარიძე
ხოლო ვინაიდან მან წერა არ იცის მისი თხოვნით მის მაგიერ ხელს ვაწერ.
დავით პეტრეს ძე ლონდარიძე

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: საგანგებო კომისიას ცნობისა და დასკვნის მოსაწოდებლათ ცაკისთვის. ს. თოდრია. 3/VIII.26

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 99, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთში გადასახლებული ივანე დავითაშვილის დის, დარია დავითაშვილის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ძმის სოლოვეცკის კუნძულიდან რუსეთის სხვა ქალაქში გადაყვანის შესახებ
1926 წლის 11 აგვისტო

ს. ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს

მცხოვრ. ქ. ტფილისში გაბაევის ქ.
სახ. N-7 დარია გრიგორის ასული
დავითაშვილის

განცხადება

1924 წლის ნოემბრის აქეთ ჩემი ძმა ივანე დავითაშვილი დაპატიმრებული იყო უდანაშაულოდ. სარჩული დაჭერისა არის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლებში ვითომდა მონაწილეობის მიღება. მართალია ჩემი ძმა იმ დროს ყაზბეგში მოხვდა და რა კი ამ დროს იქ შეესწრო იმ გამოსვლებს უდანაშაულო ადამიანი გამოხატეს დამნაშავედ. ყველამ ვიცით, რომ სამხედრო გზის პირა მცხოვრებ მთიულ მოხევეებში არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია. ჩემი ძმას - რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ერთი წელი აქ იჯდა და 1925 წლის სექტემბერს აქეთ სამი თვის ორთაჭალის საავადმყოფოში ნამყოფი პირდაპირ გადაგზავნეს მოსკოვში და იქიდან სოლოვეცკის კუნძულზედ და ერთ წელზე მეტია რაც იმყოფება კონცენტრაციულ ბანაკში. როგორც გავიგეთ ცაკის შუამდგომლობით ზოგიერთ პატიმართაგანი, რომელნიც მიწერილნი იყვნენ ზემოთ აღნიშნულ ბანაკში გადაყვანილი არიან თავისუფალ საცხოვრებლად რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და ადგილებში ზედამხედველობის ქვეშ. ჩემი ძმა ფილტვებით დავადებული და ქარებით შეპყრობილი ვეღარ აიტანს ამ ზამთარსაც, რომ დარჩეს თეთრ ზღვის ცივს და ნესტიან ჰავას.

გთხოვთ განკარგულებას ჩემი ძმა გადმოასახლონ რუსეთის ერთ-ერთ უახლოეს ქალაქში თავისუფალ საცხოვრებლად ზედამხედველობის ქვეშ. თუ ჩემი ძმა ისეთი ავადმყოფი კიდევ იქ დარჩა ალბათ ვეღარ გააწევს და ჩემი ძმის სიცოცხლის შესანარჩუნებლად გთხოვთ არ დააყოვნოთ საჭირო განკარგულების გაცემა და გადმოყვანილ იქნეს ზაფხულის გასვლამდე ვიდრე ნავიგაცია შეიკვრებოდეს სოლოვკის კუნძულთან.

„28“ ივლისი 1926 წ. დავითაშვილი /ხელრთვა/
ქალ: ტფილისი

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: საიდუმლოდ. საქართ. საგანგებო კომისიას დასკვნისათვის. 11/8. /ხელრთვა/.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 89, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო-საოპერატორო სამმართველოს დასკვნა დავით ლონდარიძის ვადაზე ადრე გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ
1926 წლის 29 აგვისტო

სრულ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს
N ლ. 7-ზე ა/წ 10/8 თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე ეკატერინე ლონდარიძის განცხადება მისი ქმრის საქმის შესახებ, საქ. საგ. კომისია გაცნობებთ, რომ **დავით ლონდარიძეს** ბრალი ედებოდა აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობის მიღებაში და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობაში, რის გამოც 1925 წ. ორხელ იყო დატუსაღებული, ამ ჟამად ბრალი ედებოდა ჩოლოკაევის ბანდიდან დარჩენილ ბანდიტების ფავლენიშვილის და კოხტაშვილის დაფარვაში, და მათთის დახმარების აღმოჩენაში, საქ. საგ. კომისიის კოლეგიის დადგენილებით 21/6-26 წ. მიესაჯა კონც. ბანაკში სამი წლით გადასახლება, საქმე მის შესახებ გადაგზავნილია გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოში; საქ. საგ. კომისია მის პატივებაზე უარს ამბობს.

დანართი: აღნიშნული.

საიდუმლო-საოპერ. სამმ. უფროსის მაგ. ხელრთვა /სტანსკი/
სააღრ. სარეგ. სტატ. განყ. უფროსის მაგ. ხელრთვა /საფრონოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით 29 აგვისტო 1926 წ. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დარჩეს უშედეგოდ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 99, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

პატიმარ გიორგი თოდუას მეუღლის, ელენა თოდუას თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მეუღლის სოლოვკიდან რუსეთის სხვა ადგილში გადაყვანის შესახებ 1926 წლის 6 სექტემბრამდე

ს. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს

გლეხი ელენა თოდუასაგან,
მცხოვ. კოხნარის თემში, ოზურგეთის მაზრაში

თხოვნა

1925 წ. 20 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის საგანგებო კომისიის განკარგულებით დაატუსაღეს ჩემი ქმარი **გიორგი ანტონის ძე თოდუა.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის მიერ მიესაჯა ჩემ ქმარს სამი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციის ქვეშ და იმავე აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში გადააგზავნეს სოლოვკაში, სადაც ის დღესაც იქ იმყოფება. ჩემი ქმრის გადასახლების დღიდან გავყიდე ერთად-ერთი თავშესაფარი სახლი და მას ვუწევდი ეკონომიურ დახმარებას დღემდე. დღეს კი არ გამაჩნია არავითარი საშვალება აღმოუჩინო მას რაიმე დახმარება, პირიქით დღეს მე სიმშილით სიკვდილის წინაშე ვდგევარ.

ვინაიდან ჩემი ქმარი ავადმყოფი კაცია და სოლოვკის ჰაერს ის ვერ აიტანს და თუ ამ ზამთარში ის სოლოვკაში დარჩა, ვეღარ გადარჩება, უმორჩილესად გთხოვთ, რადგანაც ჩემმა ქმარმა მისჯილი სასჯელის ერთი მესამედი უკვე მოიხადა და ისიც სოლოვკაში, საკმაოთ მოხდილი სასჯელი და გადმოიყვანოთ სოლოვკიდან მიმოსვლის დაკეტვამდე და გადასახლების სახით ნება დართოთ ამიერ კავკასიის საზღვრების გარეშე, ე. ი. რუსეთის რომელიმე ქალაქში თავისუფალი ცხოვრებისა.

გთხოვთ ამ თხოვნის პასუხი გამოგვეცხადოს კოხნარის თემის აღმასკომის საშუალებით.

დანართი - კოხნარის თემის მოწმობა.

ელენა თოდუა /ხელრთვა/

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 94, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ (1925-1926 წლებში) საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილთა და რუსეთში გადასახლებულთა არასრული სია
1926 წლის 7 სექტემბერი

გადასახლებულთა და დახვრეტილთა სიები

1925 წ. 4 სექტემბერს თფილისიდან გადაასახლეს 57 პოლიტ. ტყვეები. ამათგან „სოლოვკაში" 27 კაცი: 1) წულაძე აფთონ საქ. ს. დ. მ. პ. ცეკას მდივანი; 2) თელია სოლომონ, საქ. ს. დ. მ. პ. ც. თავმჯდომარე; 3) ღამბაშიძე პარმენი, ს. დ. რკინის გზელი; 4) დავითაშვილი ვანო, ს. დ. მასწავლებელი; 5) ადეიშვილი ამბერკი, უპარტიო; 6) აბესაძე შოთა, ს. ფ. სტუდენტი; 7) ჟვანია იოსები, ყოფილი ოფიცერი; 8) ბარათაშვილი ვახტანგი, ს. ფ. სტუდენტი; 9) ქვირია კალისტრატე, ს. დ. 10) ყარანგოზიშვილი ვიქტორ, ეროვ. დემ. 11) კურცხალია პეტრე, ერ. დ. 12) ფავლენიშვილი იასე, ეროვ. დემ. 13) ჯალაღანია იონა, სოც. ფ. 14) ხომერიკი ვანო, ს. დ. 15) ჯაფარიძე ვასო, ს. დ. 16) ხუბულავა კანდო, ს. დ. 17) მაჭარაძე ვალიკო, ს. დ. 18) ჯორბენაძე, სტუდ. ს. დ. 19) არონიშიძე სევერიანე, ს. დ. რკინის გზელი. 20) ხავთასი ვასო, ს. დ. თამ. კომ. მდივანი; 21) მაკედონსკი ნიკოლოზ, ს. დ. რკინის გზელი, მოკვდა გზაში. 22) დავითაშვილი ვასო, ს. დ. მუშა; 23) ჭკუასელი გიორგი, ს. დ. მუშა; 24) თოდუა გიორგი, ს. დ. მუშა; 25) კეჭაყმაძე ვასილ, ს. ფ. 26) კვაჭაძე ბენია, ს. დ. გურიის კომიტეტის თავმჯდომარე; 27) რამიშვილი პიმენ, ს. დ. მუშა და სხვები რომელთა მისამართი ჯერაც არავინ იცის.

1925 წელს 26 დეკემბერს სოლოვკაში გაგზავნეს: 1) კანიძე გრიგოლ, მუშა, ს. დ. 2) ტყეშელაშვილი ვარლამ, ს. ფ. მუშა; 3) წულეისკირი ივანე, ერ. დემ. 4) საფარიძე მამედ, აჭარელი, უპარტიო. სხვა და სხვა დროს გადაიგზავნენ კიდევ სოლოვკაში პოლიტიკური პატიმრები: 1) კვირკვია ესტატე; 2) თოდრია იონა; 3) შენგელია ესტატე; 4) ცხონდია სტეფანე; 5) ჭიჭინაძე სევერიანე; 6) დადიანი შალვა; 7) ჭანტურია კალისტრატე; 8) ჩიქოვანი ალექსანდრე; 9) ხოჭოლავა სოკრატი; 10) სუთიაშვილი გოლა. 4 სექტემბერს 1926 წ. გიორგაძე პავლე და ეხლა იგზავნება: 1) ევტიხი ცერცვაძე, ს. დ. 2) სრაფიანცი - დაშნაკი; 3) ოგანიანცი - დაშნაკი.

1926 წ. თებერვლის პირველი რიცხვებიდან დღემდე საქართველოდან გადასახლებულია 700-ზე მეტი საქართველოს მოქალაქენი, უმთავრესად ქართველები. აი ზოგ პოლიტ. სია:

1) ჟღენტი ვიქტორ, ს. დ. 2) ჩავლეშვილი კირილე, ს. დ. სტუდ. 3) ქურციკიძე სერგო, ს. დ. მუშა; 4) სარჯვალაძე ილია, ეროვ. დემ. 5) ყიფიანი პარმენ, ძვ. მუშა, ს. დ. 6) ვაჩეიშვილი ივანე, ძვ. მუშა, ს. დ. 7) ვეფხვაძე დათა, უპარტიო; 8) ქიქავა ფილიპე, ძველი მუშა, ს. დ. 9) ალუღიშვილი ვასო, ს. ფ. 10) გვენეტაძე პარმენ, ს. დ. ძველი მუშა; 11) მოგელაძე ვარლამ, ს. დ. მუშა; 12) ჩიქოვანი გრ. უპარტიო; 13) ჩხაიძე სიმონ, სტუდ. ახ. მარქს. 14) ხუციშვილი რაჟდენ, უპარტიო, ობსერვატორიის დირექტორი; 15) 16) ორი მისი დები - ხუციშვილი ქეთო და ბოკა ახ. მარქ. 17) შალამბერიძე ნადია, ს. დ. 18) ჩაჩანიძე კოწია, ს. დ. 19) ყაზბეგი ვასო, უპარტიო, სამხედრო; 20) ადეიშვილი ამფილამენ, ს. დ. 21) თვალაბეიშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი

გერონტი, ს. დ. და სხვები.

1926 წლის შუა რიცხვებში გადაასახლეს 12 აჭარელი - 9 წულუკიძენი, მათ შორის 4 მამაშვილი, ორი ზაქარაძე და დიდმანიძე. 1926 წლის ზაფხულზე ჩეკიდან სადღაც გაგზავნეს: 1) მახვილაძე ელეონორა, დამფ. კრების წევრი, ს. დ. 2) ბოლქვაძე ლიზა, დამფ. კრ. წევრი, ს. დ. ახალი დაბრუნებული გადასახლებიდან; 3) ყიასაშვილი დათიკო, ახ. მარქსისტი; 4) შანშიაშვილი გიორგი, ს. დ. 5) ჯაფარიძე კოწია, ს. დ. იურისტი; 6) იმნაიშვილი ნესტორ, ახალ. მარ. სტუდენტი; 7) გამსახურდია კოწია, ცნობ. მწერალი, უპარტიო; 8) დარახველიძე ცაცა, ს. დ. და სხვა.

აჯანყების შემდეგ ხვრეტა არ შეწყვეტილა. 1926 წლ. 5 სექტემბერს წლის ბოლომდე დახვრიტეს კიდევ რამდენიმე ასეული ქართველი. 1926 წლ. იანვარში მარტო თფილისში გაუსამართლებლათ დაიხვრიტა 30-დე ტყვეები, მათ შორის პოლიტიკურები:

1) ღლონტი გერმანე, ს. დ. 2) გიორგობიანი ლადო, ახ. მარქ. 3) ფანცხავა, ს. ფ. მუშა; 4) მდინარაძე კაკო, ს. დ. მუშა; 5) ჭუბაბრია შალვა, ახ. მარქსისტი; 6) კოკაშვილი სტუდენტი; 7) შარვაძე, სტუდ. ნაც. დემ. 8) სარბიევსკი, უპარტიო; 9) გორდელაძე, უპარტიო, 10) ჩიკაშუა გიორგი, ს. დ. 11) სიამაშვილი ილიკო, მუშა, ს. დ. 12) შარვაძე, სტუდ. უპარტიო. დანარჩენების გვარები გამოურკვეველია. არ ყოფილა არც ერთი თვე, რომ ხვრეტა სხვა და სხვა საფანელით არ ყოფილიყოს, მარა ძლიერ საიდუმლოდ. მხოლოდ 25 წლის დეკემბრის რიცხვებში დახვრიტეს 25-მდე ტყვეები, რომელთაც ჩამოართვეს ქონება და ვალიუტა: 1) გუნთაიშვილი დურსუნ, ჭინჭარაძე ისლამ - ქართველი აჭარლები; 3) ხაჩატუროვი სტეფანელ; 4) სააკიანი ოპეტ; 5) ნალბანდიანი მიხაილ; 6) სააკიანც კარაპეტ. სხვების ვინაობა გამოურკვეველია.

1926 წლის 3 მარტს დახვრიტეს: 1) გიორგი ჩანტლაძე, ჭიათურის მუშა, ს. დ. 2) ანჯაფარიძე გრიგოლ, შავი ქვის მუშა; 3) ცხადაია ანტონი, გლეხი, ს. ფ. 4) ლანდია ვასილ ვასილის ძე, ჩეკელი; 5) ოგანეზოვი ივანე; 6) მარგალიტაძე თედორე, ს. დ. გლეხი; 7) გოგიბერიძე იასონ, უპარტიო; 8) ბერიძე ანდრია, ჭიათურის მუშა; 9) მდინარაძე, გლეხი; 10) დოლიძე, გლეხი; 11) ბზიკაძე, გლეხი; 12) ბოლქვაძე ლუკა და სხვები.

მარტიდან ივნისამდე გამოურკვეველია.

1926 წლის ივნისში დახვრიტეს 27 ტყვე დუშეთის მაზრიდან და მანგლისიდან:

1) ყირმისაშვილი აბრამა, გლეხი; 2) ქიმბარაშვილი იოსება, გლეხი; 3) გილეგაშვილი ლადო, გლეხი; 4) გოგიაშვილი იოსება, გლეხი; 5) ბიძინაშვილი გიორგი, გლეხი; 6) წოწკოლაური გიორგი, ს. დ. გლეხი; 7) ლალიაშვილი გიორგი, გლ. 8) სულიაშვილი ალექსანდრე, გლ. 9) ვარდიაშვილი ლუარსაბ; 10) მენთეშაშვილი საცერა, გლ. 11) ნაცვლიშვილი მიხეილ, ინტელ. 12) ჩიქოვანი ვარლამ, ინტელ. 13) ლევაშოვი გიორგი, ინტ. 14) იორამაშვილი ალექსანდრე და სხვა.

ივლისში 15-მდე დახვრიტეს ეს ჩეკის გაუქმების შემდეგ. ვიცით მხოლოდ ქართველი მუსლიმანი 1, მუხრანსკი - 2, რაჭველი გლეხი გოგლიძე და სხვა.

იყო აგრეთვე დახვრეტები აგვისტოში: შიო ბერბერაშვილი, გლეხი და სხვები. ერთი სიტყვით დახვრეტები აჯანყების შემდეგაც დღემდე გრძელდება

საქართველოს ეროვნული არქივი

და ყოველ კოლეგიის სხდომის შემდეგ, რაიცა ორ კვირაში ერთხელ ხდება, იხვრიტება ათეულები ახალ-ახალი პატიმრებისა.

სექტემბრის 1926 წ. პირველ რიცხვებში გადასახლებულ იქნენ: 1) წულაძე კიმოთე, ს. დ. 2) უჩანეიშვილი აკაკი, ს. დ. 3) შანიძე იუსტინე, ს. დ. 4) ჯანელიძე დიმიტრი, ს. ფ. 5) ვლადიმერ გაბეხაძე, ს. ფ. 6) ბართაია შალვა, ს. ფ. 7) აკოპიანი არშაკა, დაშნაკი; 8) ვანიან გრაჩი, დაშნაკი, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში.

1926 წ. 7/IX - 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცლები 104-107.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს
თავმჯდომარის დასკვნა სოლოვეცკის კუნძულზე
გადასახლებული ივანე დავითაშვილის
შეწყალებაზე უარის შესახებ
1926 წლის 8 სექტემბერი

საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

გებრუნებათ რა ამასთანავე დარია დავითაშვილის განცხადება მისი ძმის საქმის შესახებ. საქ. სახ. პოლიტ. სამ. გაცნობებთ, რომ ივანე გრიგორის ძე დავითაშვილს ბრალი ედებოდა მენშ. პარტიასთან კავშირში და არსებულ წესწყობილების ჩამოგდების მიზნით გლეხთა შეიარაღებულ აჯანყების მომზადებაში. საქ. სახ. პოლიტ. სამ. კოლეგიის დადგენილებით მიესაჯა კონცბანაკში სამი წლით გადასახლება. საქმე გადაგზავნილია გაერ. სახ. პოლიტ. სამმართველოში.

საქ. სახ. პოლიტ. სამ. მის პატივებაზე უარს ამბობს.

საქ. სახ. პოლიტ. სამ. თავმჯდომარე: ხელრთვა /კვანტალიანი/
აღრეგსტატის განყ. უფროსის მაგ. ხელრთვა /საფრონოვი/

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 8. IX. 1926.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი
ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 89, ფურცელი 3.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

რუსეთში გადასახლებული სოლომონ თელიას მეუღლის, მაკრინე თელიას თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მეუღლის სხვა ადგილზე გადაყვანის შესახებ
1926 წლის 10 სექტემბერი

ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძეს

მაკრინე სერგ. ასული
თელიასი ბარიატინ. ქუჩა N6

თხოვნა

ჩემი ქმარი სოლომონ თელია შარშან დაიჭირეს და გადაგზავნეს სალოვკის კუნძულზე, მას ბრალდება **მენშევიკური ცეკას თავმჯდომარეობა** იქ კი გადაგზავნილია როგორც **„უგოლოვნი“** და არა პოლიტიკური, იტანს საშინელ წამებას ქურდებთან, გამცემებთან და ყოველგვარ გათახსირებულ ხალხთან, როგორც მისი წერილებიდან ვხედავ ის ყოვლად პატიოსანი ადამიანი ამ შეურაცყოფას ვერ აიტანს და ან ჭკუაზე შესცდება ან თვითმკვლელობით დაამთავრებს თავის მუდმივ, ნიკოლოზის დროიდან წამებულ სიცოცხლეს. ის ძველი (1903 წ.) სოც. დემოკრატია და გთხოვთ მიუსაჯოთ შესაფერისი სასჯელი ე. ი. პოლიტიკურად. ამით თქვენ ჩემს ყოველთვიურ სიდუხჭირეში გამოვლილ ოჯახს იხსნით, რომ მარჩენალი არ მოესპობა და ჩემი უბედური ბავშვები ქუჩაში არ ამოყოფენ თავს.

მ. თელია
10/IX

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 92, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სოლომონ თელიას გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ 1926 წლის სექტემბერი

შემ. N13963
10292 რსს

საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს
N თ 9-ზე - 13/9-26 წ. თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. მაკრინა თელიას განცხადება მისი ქმრის საქმის შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმართველო გაცნობებთ, რომ **სოლომონ ესტატეს ძე თელიას,** რომელიც 1923 წელს დაპატიმრებულ იყო მენშევიკთა პარტიაში მუშაობის გამო, რისთვისაც მიესაჯა კონც. ბანაკში სამი წლით გადასახლება, მაგრამ განთავისუფლებულ იქმნა ვინაიდან შეუერთდა რეზოლიუციას, გამოტანის პოლიტ. პატიმრების მიერ გამსახლ. N2 - 12/I-24 წ. ამ ჟამად ბრალი ედება მენშევიკთა პარტიაში აქტიურ მუშაობის გაწევაში, საქ. სახ. პოლიტ. სამმ. კოლეგიის დადგენილებით 3/9-25 წ. მიესაჯა კონც. ბანაკში სამი წლით გადასახლება, საქმე პატიმართან ერთად გადაგზავნილ იქმნა გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოში დასამტკიცებლად და სოლოვეცკის კონც. ბანაკში გადასაგზავნად.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს მის პატივებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. საქართველოს საგანგებო კომისიის შტემპი თარიღით სექტემბერი 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 92, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გიორგი თოდუას გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ
1926 წლის 12 ოქტომბერი

საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. ელენე თოდუას განცხადება მისი ქმრის საქმის შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმართვველო გაცნობებთ, რომ გიორგი ანტონის ძე თოდუას ბრალი ედებოდა კონტრ-რევოლიუციაში, რაც გამოიხატა საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ არა ლეგალურ მუშაობის წარმოებაში საქართველოს გასაბჭოების დღიდან დაპატიმრებამდე და მენშევიკთა სალიკვიდაციო ბიუროს წინააღმდეგ აგიტაციაში, ხალხის თვალში მისი ავტორიტეტის დაცემის მიზნით.

საქ. სახ. პოლიტ. სამმართველოს დადგენილებით 3/9-25 წ. მიესაჯა კონც. ბანაკში სამი წლით დაპატიმრება. საქმე პატიმრით ერთად გადაგზავნილია გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოს განკარგულებაში.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს მოქ. ელენე თოდუას თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს.

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 12 ოქტომბერი 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 94, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მონაწილის ვახტანგ ბარათაშვილის მამის, გერვასი ბარათაშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სოლოვკაში გადასახლებული შვილის გათავისუფლების შესახებ
1926 წლის 20 ოქტომბერი

საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალაქ ჭიათურაში მცხოვრების
7 წლიანი შრომის სკოლის გამგის
გერვასი ბარათაშვილისაგან

განცხადება

1924 წლ. აგვისტოს გამოსვლებისა გამო დატუსაღებული იქნა ჩემი შვილი ვახტანგ ბარათაშვილი, რომელიც საგანგებო კომისიის მიერ შარშან გადაგზავნილ იქნა კუნძულ „სოლოვკაზე“.

მე შარშანვე გავყევი მას, რადგან წაყვანა ჩემ გაუგებრად მოხდა, ვიყავი სოლოვკაზე და შემდეგ აღვძარი შუამდგომლობა მოსკოვის მთავრობის წინაშე, რათა ჩემი შვილისათვის, როგორც მოწაფისა და ავადმყოფობით ჩაგრულისათვის, შეემსუბუქებიათ მდგომარეობა.

დიდი დახმარება გამიწია მოქ. აბელ სოფრ. ენუქიძემ, რომლის წყალობითაც მას ერთი წელიწადი დაუკლეს.

ამ ჟამად მდგომარეობა ასეთია: ჩემ შვილს ვახტანგ ბარათაშვილს 28 ამა ოქტომბერს უთავდება ვადა სასჯელისა, ვინაიდგან მას აქვს ჩათვლილი ერთი წელიწადი წინასწარ ციხეში ყოფნა, ხოლო წელიწადზე მეტი კი „სოლოვკაზე“ იმყოფება, წელიწადიც ნაპატიები აქვს.

ამიტომ, გიდგენთ რა მოწმობას, შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოცემულს, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა ჩემი შვილი დაბრუნებულ იქნას სამშობლოში, რითაც მას სიცოცხლეს შეჰმატებთ, ხოლო მშობლებს ერთად ერთ შვილს დაუბრუნებთ.

მოქ. გერვასი ბარათაშვილი
20/X-26 წ.

P.S. დოკუმენტს ადევს შემდეგი რეზოლუცია: საიდუმლოდ. ამხ. ბერიას. გთხოვთ წარმოუდგინოთ ცაკს ახსნა-განმარტება მოქ. ბარათაშვილის შუამდგომლობის შესახებ და რამდენად მიზანშეწონილია ჩაითვალოს აღმასკომის მოწმობა. 10/XI.26 ფ. მახარაძე.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 78, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთში გადასახლებული ალექსანდრე კახაბერის მეუღლის, ეკატერინე კახაბერის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მეუღლის ვადაზე ადრე გათავისუფლების ან სოლოვკიდან სხვაგან გადაყვანის შესახებ
1926 წლის 20 ოქტომბერი

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს

ეკატერინე ლუკას ასული კახაბერისა
მცხოვრები ქ. ტფილისში საბჭოთა ქ. N16

განცხადება

1925 წელს 19 აგვისტოს ა/კ. საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ჩემი ქმარი ალექსანდრე ილიას ძე კახაბერი, რომელსაც მიუსაჯეს სამი წლის ციხე სასტიკი იზალიაციით. ა/წ აგვისტოს თვის ბოლო რიცხვებში ჩემი ქმარი სხვებთან ერთად გადაასახლეს პოპოვის კუნძულზე, სალავეცკის მონასტერში და დღესაც იქ იმყოფება სატუსაღოში.

ჩვენ უკიდურესი ღარიბები ვართ სოფლად და ქალაქში არავითარი ქონება არა გვაქვს, აქ ვცხოვრებთ დაქირავებულ ოთახში, ვართ ორი სული მე და რვა წლის დაავადებული ფეხის სიდამბლით შვილი. არავითარი საშემოსავალო სახსარი არ მოგვეპოება. ვცხოვრობდით ჩემი ქმრის ყოფაზე ე. ი. მისი ჯამაგირზე. ვინაიდან სხვა შემოსავალი არა მაქვს, ამიტომ გავყიდე ოჯახის აუცილებელი ნივთები და ამ საშუალებით უწევდი ნივთიერ დახმარებას ჩემ ქმარს სალოვკაში. დღემდე ამოვწურე ყოველგვარი ნივთიერი საშუალება და დღეს არამც თუ ტუსაღს დავეხმარო, არამედ მთელი ოჯახი ვდგევართ სიმშილის სიკვდილის წინაშე. ყველა ზემოაღნიშნულის გამო გთხოვთ უმორჩილესად:

1. მიიღოდ მხედველობაში ჩემი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას არ მაძლევს საშუალება აღმოუჩინო ჩემ ქმარს;

2. აგრედვე მიიღეთ მხედველობაში ჩემი ქმრის სოციალური მდგომარეობა (გლეხის შვილი) - სოფლის მასწავლებელი;

3. ჩემი და ბავშვის ავადმყოფობის და ჩემი უსწავლელობის გამო მოკლებული მუშაობის უნარს, რაც უმწეო მდგომარეობაში მაყენებს;

4. და ვინაიდან ჩემი ქმარი არ წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლებისათვის არავითარ საშიშროებას, ამიტომ გთხოვთ აკმაროთ ჩემ ქმარს მისჯილი სასჯელიდან **უკვე მოხდილი სასჯელი და შეუფარდოთ მას მე-3 სესიის ცაკის ამნისტია** და თუ ეს შეუძლებელია, იმ შემთხვევაში მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რომ გაანთავისუფლონ და გამოუშვან სალოვკის მონასტრიდან სანამ მიმდინარე წელს მიმოსვლა შესწყდებოდეს ე. ი. ნოვიგაციის დახურამდე ნება დართოთ მას ა/კ. საზღვრების გარეშე ცხოვრების, რომ ამით მიეცეს მას თავის რჩენის საშუალება და ჩვენც გვიხსნას სიმშილით დაღუპისაგან.

საქართველოს ეროვნული არქივი

მთხოვნელი: კატია კანაშეძისა /ხელრთვა/

1926 წელი 20 ოქტომბერი
ქ. ტფილისი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 95, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რუსეთში გადასახლებული ალექსანდრე კახაბერის გათავისუფლებაზე უარის შესახებ
1926 წლის 2 ნოემბერი

სრულ. საქ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტს

გიბრუნებთ რა ამასთანავე მოქ. ეკატერინე **კახაბერის** განცხადებას მისი ქმრის საქმის შესახებ. საქ. სახ. პოლიტ. სამმ. გაცნობებთ, რომ მოქ. **ალექსანდრე ილიას ძე კახაბერს** ბრალი ედებოდა კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში, რომელიც გამოიხატებოდა ახალი ცენტრ. კომიტ. მოწყობაში ეროვნულ-დემოკრატების, და ახალგაზრდობის, და აგიტაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრალდება დამტკიცებული აქვს საქ. სახ. კომისიის კოლეგიის დადგენილებით 3/9-25 წ. მისჯილი აქვს გადასახლება სოლოვეცკის კუნძულზე სამი წლის ვადით, საქმე პატიმართან ერთად გადაგზავნილია გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოს სანკციისათვის და გადასახლების ადგილის დანიშვნისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო საქ. სახ. პოლიტ. სამმ. მისი ქმრის გადმოყვანაზე სოლოვ. კუნძულიდგან უარს ამბობს.

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსის მაგ. ხელრთვა /საფრონოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 2 ნოემბერი 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 95, ფურცელი 3.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რუსეთში გადასახლებული ვახტანგ ბარათაშვილის გათავისუფლებაზე უარის შესახებ
1926 წლის 17 ნოემბერი

სრულ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. გერვასი ბარათაშვილის განცხადება მისი გადასახლებულ შვილის შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმ. ამით გაცნობებთ, რომ ბარათაშვილის ვახტანგი გერვასის ძეს ბრალად ედებოდა კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობა, რომელიც გამოიხატებოდა აქტიურ მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მონაწილეობის მიღება აგვისტოს გამოსვლებში 1924 წ. იარაღის ხელში, სადაც მან წინააღმდეგობა გაუწია საგ. კომისიის თანამშრომლებს იარაღით, რომელიც მოსული იყვნენ მის დასაჭერად, ბრალდება დამტკიცებულია, საქ. საგ. კომისიის კოლეგიის დადგენილებით 3/9-25 წ. მიესაჯა გადასახლება კონც. ბანაკში სამი წლის ვადით, საქმე პატიმართან ერთად გადაგზავნილია გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოს მოსკოვში დასამტკიცებლად და გადასახლების ადგილის დანიშვნისათვის.

იღებს რა მხედველობაში ზემოთ აღნიშნულს საქ. სახ. პოლიტ. სამმ. მის განცხადებაზე უარს ამბობს.

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართვველოს შტემპი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 78, ფურცელი 5.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთში გადასახლებული ლეო რუხაძის თხოვნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საქართველოს რომელიმე ციხეში გადაყვანის შესახებ
1926 წლის 23 ნოემბერი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

რუსეთში ადმინისტრაციულათ
გადასახლებულ ქართველის
ლეო რუხაძის
განცხადება

1922 წლის დეკემბერში ქართველთა ერთ ჯგუფთან ერთად მეტეხის ციხიდან წამომიყვანეს რუსეთში. ვიყავი მოთავსებული ჯერ იაროსლავის ყოფილ საკატორღო საპყრობილეში, შემდეგ კი მოსკოვის და სუზდალის ციხეებში. ასე გავატარე სამი წელი (ჩეკაში და მეტეხში ყოფნის გარდა), რის შემდეგ, ამა წლის 18 იანვარს, „ О.Г.П.У"-ს მოსკოვის შინაგან ციხიდან ადმინისტრატიულადვე გადმომაგზავნეს ქ. არიოლში სამი წლის ვადით.

ჯერ კიდევ სუზდალში ყოფნისას, ციხეებისა და რუსეთის მკაცრი ჰავისაგან მოტეხილ ჯანმრთელობის გამო, სხვა ქართველებთან ერთად მეც ვითხოვე, რომ თუ შეუძლებელი იქნებოდა სამშობლოში თავისუფლათ დაბრუნება, რუსეთში გადასახლების მაგიერ გავეგზავნეთ საქართველოს რომელიმე ციხეში. მაშინ ჩვენი შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული, გარდა ერთი თხოვნისა - გადასახლების ადგილებში ეტაპის წესით არ გადაუგზავნივართ.

არიოლში მოსვლისთანავე, უსახსრობის გამო, იძულებული შევიქენი მეძებნა სამსახური. ადგილობრივი „გ. პ. უ"-ს დახმარებით მოვეწყვე ჯერ ერთ ადგილზე, ხოლო შემდეგ მიღებულ ვიქენი „ც. ბ. კ"-ში („Центральное Бюро Контроля переводов") როგორც ქართულის მცოდნე, საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ქართული ქაღალდების გასარჩევათ. ამ თანამდებობაზე გავხდი ავად და 1 სექტემბრიდან მიკრული ვარ ლოგინზე. ექიმების დიაგნოზით გამიჩნდა ჭლექი, რის გამო მირჩევენ დაუყონებლივ გამოვიცვალო ჰავა. მოწმობებს ჩემი ავადმყოფობის შესახებ ქ. არიოლის ჭლექიანთა დისპანსერიდან და ჯანსაღკომის არიოლის საგუბერნიო განყოფილების ექიმთა საკანტროლო კომისიიდან აქვე გაახლებთ.

ჩემი ასეთი ავადმყოფობის გამო, ეხლა კიდეც რომ დამრთოთ ნება ყირიმში, ან სამხრეთის რომელიმე სხვა ქალაქში გადავსახლდე, ეს არ იქნება ჩემთვის შემსუბუქება, ვინაიდგან მე არავითარი საღსარი არა მაქვს თავის სარჩენათ და ავადმყოფობის გამო არც სამსახური შემიძლია, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მაინც.

ამისთვის გთხოვთ ნება დამრთოთ თუნდ დროებით მაინც თავისუფლათ დავბრუნდე სამშობლოში, რომ საშუალება მექნეს ვიექიმო; ხოლო თუ ეს

საქართველოს ეროვნული არქივი

შესაძლებელია, მაშინ იქნებ ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ მომეცეს ცხოვრების საშვალება საქართველოში; ანდა უკანასკნელათ აქაური გადასახლების ვადა შემიცვალეთ მეტეხის, ან ახალციხის, ან კიდევ საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქის ციხით, ან შეიძლება აქედან პირდაპირ ტფილისის ყოფ. საგუბერნიო ციხის საავადმყოფოში გადასვლის უფლებას მომცემთ?

იმედი მაქვს ჩემს თხოვნას უყურადღებოთ არ დასტოვებთ, ვინაიდგან ავადმყოფობა თანდათან მიძლიერდება და თუ ნებას დამრთავთ სამშობლოში საექიმოთ დავბრუნდე, მაშინ ჩემი თხოვნაა - აქედან ეტაპით არ გამაგზავნონ, არამედ იმავე წესით მომეცეს გამგზავრების საშუალება, როგორც მოსკოვის ციხიდან არიოლამდე.

ლეო რუხაძე.

რუსეთი. ქ. არიოლი.
6 ოქტომბერი 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 108, ფურცლები 2-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთში გადასახლებული ვასო დავითაშვილის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს საქართველოში გადმოყვანის შესახებ
1926 წლის 7 დეკემბერი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს

განცხადება

უნდა მოგახსენოთ, რომ მე დაპატიმრებული ვიქმენი საგანგებო კომისიის მიერ არალეგალურ მუშაობისათვის 30/III-1925 წელს და მხოლოდ 5/IX-25 წელს საგანგებო კომისიის მიერ ვიქმენი გადაგზავნილი ო.გ.პ.უ-ს დადგენილებით მე ვიქმენი გაგზავნილი კუნძულ სოლოვკაში სამი წლის ვადით. მხოლოდ 20 თვის შემდეგ ო.გ.პ.უ-ს კოლეგიის დადგენილებით მე ვიქმენი განთავისუფლებული იძულებითი სამუშაოდან და დამასახლეს სამი წლით ქ. ვოლოგდაში. მე, როგორც მუშა ბოვშობიდან, საქვეყნოთ ვანცხადებ, რომ ვანებებ თავს საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიას და მზათ ვარ ხელი შეუწყო სოციალისტურ მშენებლობას. მე პარტიაში შევედი 1920 წელს და დღიდან გასაბჭოების, ვაწარმოებდი არალეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაგრამ დღეს როდესაც მე დავრწმუნდი, რომ ეს ბრძოლა არ არის კანონიერი, ამიტომ მე გაძლევთ მუშურ პატიოსან სიტყვას, რომ მის დღეში თითი თითს არ დავადებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან საბჭოთა მუშური ხელის უფლება აკეთებს მუშების და გლეხების საქმეს. მე შემეძლო ასეთივე წერილი მომეწერა სოლოვკიდან, მაგრამ ზოგიერთები იფიქრებდენ, რომ მე ვერ ავიტანე განცდა და რეჟიმი და ამიტომ დავიწყე ასეთი წერილის წერა. მაგრამ დღეს, როდესაც მე თავისუფლად ვცხოვრობ, აი დღეს მე ჩემს სიმართლეს გიზიარებთ თქვენ. იმის მერე რაც მე დავმტკიცდი რომ მუშური საბჭოთა ხელის უფლება იბრძვის მუშების და გლეხებისათვის, მე როგორც მუშა არ შემიძლიან შევყურო შორიდან სოციალისტურ საქართველოს მშენებლობას, ამიტომ მე გთხოვთ დამაბრუნოთ სოციალისტურ საქართველოში, რომ მე ჩემ ძმებთან ერთად შეუდგე სოციალისტურ საქართველოს მშენებლობას. ეს არის ჩემი გულწრფელი აზრი დღევანდელ ცხოვრებაში.

ყოფილი საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის წევრი
ვასო არტემის-ძე დავითაშვილი.
ქ. ვოლოგდა.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 88, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს
თავმჯდომარის, ლავრენტი ბერიას დასკვნა რუსეთში
გადასახლებული ლეო რუხაძის
საქართველოში დაბრუნების თაობაზე
1926 წლის 15 დეკემბერი

სრულ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს

მომართვაზე N რ 9/ს -ა/წ 24 ნოემბრის თარიღით

გიგზავნით რა უკანვე რუსეთში ადმინისტრატიულად გადასახლებულ **ლეო რუხაძის** განცხადებას, გაცნობებთ, რომ მოქ. რუხაძეს ბრალი ედებოდა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში, რისთვისაც საქ. საგანგებო კომისიის 1922 წ. 1 ნოემბრის დადგენილებით მიესაჯა დაპატიმრება იზოლიაციით განუსაზღვრელ ვადით. შემდეგ მოქ. რუხაძე გადაგზავნილ იქმნა გაერთ. სახ. პოლიტ. სამმ. განკარგულებაში რ. ს. ფ. ს. რ-ის ერთ ერთ პოლიტ. იზოლიატორში მოსათავსებლად. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრ. გადასახლებელ კომისიის 1923 წლის 12/1- დადგენილებით ის მოთავსებულ იქმნა კონცენტრაციულ ბანაკში სამი წლის ვადით. სასჯელის მოხდის შემდეგ საგანგებო სათათბიროს მიერ 15/1-26 წ. გადაგზავნილ იქმნა ქალ. **ორიოლში სამი წლით,** სადაც იმყოფება ეხლაც გაერთ. სახ. პოლიტ. სამმ. მხედველობის ქვეშ.

იღებს რა მხედველობაში ზემოხსენებულს საქ. საჟ. პოლიტ. სამმ. მოქ. ლეო რუხაძეს განცხადებაზე თავის მხრივ **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /ბერია/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფრ. ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 1926 წლის 15 დეკემბერი. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: დარჩეს უშედეგოდ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი
ისტორიის ცენტრალური არქივი,
ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 108, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთში გადასახლებული ერემია მეჩეხიას მეუღლის, მარო მეჩეხიას თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მეუღლის რუსეთის სხვა ქალაქში გადაყვანის შესახებ
1926 წლის 18 დეკემბერი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

მცხოვრები ჩოხატაურის თემისა
ოზურგეთის მაზრისა მარო ერასტოს
ასული მეჩეხიასაგან

თხოვნა

ჩემი ქმარი ერემია ივანეს ძე მეჩეხია წელიწად ნახევარია გადასახლებულია სამი წლის ვადით სოლოვეცკის კუნძულზედ - თეთრ ზღვაში, სადაც ასახლებენ მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავე პირებს და არა პოლიტიკურებს. მთელმა გურიამ იცის, რომ ჩემი ქმარი არასოდეს არ ყოფილა ყაჩაღი: იყო თავიდან მენშევიკების პარტიის წევრი, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შეცდომით და უცოდინარობის გამო დარჩა მენშევიკათ. 1924 წელში მარიამობისთვეში ღებულობდა მონაწილეობას გამოსვლებში, შემდეგ კი არ ღებულობდა მონაწილეობას მენშევიკების მუშავობაში, მიუხედავათ ამისა 1925 წელში ის გადასახლებული იქნა თეთრ ზღვაში.

ჩემი ქმარის გადასახლებით მთელი მისი ოჯახი, რომელიც შესდგება ექვსი სულისაგან, განვიცდით დიდი გაჭივრებას. ვართ უკიდურესი ღარიბი, გვაქვს ერთი ქცევა მიწა და არავითარი საშვალება არ გვაქვს საცხოვრისა, ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც უმაღლესი ორგანოს.

საბჭოთა ხელისუფლების სამართლიანობის გამტარებელ, შეიწყნაროდ ჩვენი თხოვნა და ჩემს ქმარს ერემია მეჩეხიას - გლეხს - მიწის მუშას აპატიოთ დანარჩენი წელიწად ნახევრის სასჯელი და გაანთავისუფლოდ და თუ არ შეიძლება გთხოვთ შეუცვალოდ სასჯელის მოსახადი ადგილი და გადმოასახ-ლოდ რომელიმე სხვა რუსეთის ქალაქში.

ამასთანავე ვარდგენთ ოჯახის შემადგენლობის და სიღარიბის მოწმობას.

მთხოვნელი: მარო მეჩეხია
18. დეკემბერი 1926. წელი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 101, ფურცელი 2.

საქართველოს ეროვნული არქივი

რუსეთში გადასახლებული სერაპიონ კეკელიძის მეუღლის, სარა კეკელიძის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მეუღლის ვადაზე ადრე გათავისუფლების ან რუსეთის თბილ მხარეში გადაყვანის შესახებ 1926 წლის 18 დეკემბერი

ს. ს. ს. რ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს

მცხოვრების ოზურგეთის მაზრის
ბუკისციხის თემში სოფელ იანოულში
დროებით გადასახლებულის
სერაპიონ სოფრომის ძე კეკელიძის
ცოლის სარრა კეკელიძისაგან

განცხადება

გასულ წელში აგვისტოს 8 დაიბარა ჩემი ქმარი **სერაპიონ კეკელიძე** ჩოხატაურის მილიციის უფროსმა, რომელმაც ის გადაგზავნა მაზრაში, მაზრამ კი თბილისში, თბილისიდან ის იქნა გადაგზავნილი მოსკოვში, მოსკოვიდან გადასახლებულ იქნა რუსეთის ცივ მხარეში სრულიად უდანაშაულოდ, როგორც სჩანს კერძო ვინმე საპატიო პირის მტრის სერაპიონ კეკელიძისა, რომელსაც ყავდა სარჩენი ცხრა სული შრომის უნარმოკლებულნი და ექვსი მცირე წლოვანი შვილების სასწავლებელში აღმზრდელი. იყო საბჭოს წევრი და ერთგული მოსამსახურე საბჭოთა აღმშენებლობაში, რომელსაც დაამტკიცებს ერკეთის და ბუკის ციხის თემების ყველა პარტიული ამხანაგები ამათ მარჩენალზე სერაპიონ კეკელიძეზედ, ვინმე საპატიო პირს მტერს სერაპიონ კეკელიძისას, მისი მცირე წლოვანი შვილების და მოხუცი მამის, რომელსაც ორივე ხელების თითები: ნეკი, უსახელო და შუა თითი ავადმყოფობის გამო ხელის გულზედ აქვს დაკრული და მისი პირის დაბანასაც ვერ ახერხებს. ამათ მარჩენალზე სერაპიონ კეკელიძეზედ ინტერესით წინ და წინ შეუდგენია სხვა და სხვა მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებები, ვითომც ამ მოქმედებების მწარმოებელი ყოფილიყვეს სერაპიონ კეკელიძე და ამით მთავრობა მას ასახლებს რუსეთის ცივ მხარეში სამი წლის ვადით, რომელსაც არავითარი მთავრობის საწინააღმდეგო საქმე არ ჩაუდენია. პირიქით ის იყო ერთგული მოსამსახურე საბჭოთა აღმშენებლობაში. ის არ იყო ისეთი სუსტი ჭკუის კაცი, რომ მას ემუშავნა მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში და მით მისი მცირე წლოვანი შვილები და მოხუცი 85 წლის მამა დაეყარა მშიერ-მწყურვალნი მტრის ამარა. თუ მას სუსხიანმა სიცივემ სიცოცხლე არ მოუსპო და სამი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში ცოცხალი ის დაუმტკიცებს უმაღლეს მთავრობას საბჭოთა საქართველოისას მის სრულიად უდანაშაულობაში, მაგრამ ამ სამ წელიწადს მან რომ გადაიტანოს მისი მცირე წლოვანი შვილები და მოხუცი მამა ვერ გადაიტანს შემყურე მისი მკლავებისა. ვნადგურდებით მთელი ოჯახი უპატრონობით, რადგანაც ის უკიდურესი ღარიბი კაცი იყო, მისი შინ ყოფნით და სამსახურითაც ძლივს აკმაყოფილებდა ოჯახის შემადგენლობას,

საქართველოს ეროვნული არქივი

ამისათვის ვსთხოვ თავმჯდომარეს შევიდეს ჩვენს უდანაშაულოდ დასჯილთ მდგომარეობაში და აკმაროთ მას გასული სასჯელი და დანარჩენი აპატიონ, მის მცირე წლოვან შვილებს და მოხუც მამას და თუ ეს შეუძლებელია იმ შემთხვევაში ის იქნეს ჩრდილოეთის მხრიდგან მაინც გადმოყვანილი, რუსეთის რომელიმე სამხრეთის მხარეზედ, როგორც სამხრეთის მცხოვრებზე გავლენა იქონიოს სამხრეთის ჰავამ.

გამცხადებელი სარა კეკელიძისა /ხელრთვა/

1926 წელი 1 დეკემბერი.

P.S. დოკუმენტს ადევს რეზოლუცია: პოლიტ. სახელმწ. მმართველობას ცნობის წარმოსადგენად. ფ. მახარაძე. 18/XII. 26 წ.; დოკუმენტს ასევე ადევს რეზოლუცია: ვინაიდან ცნობები უკვე მიღებულია, ამხ. ა. მენაბდეს განკარგულებით - საქმეში. /ხელრთვა/. 18/XII.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 96, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სერაპიონ კეკელიძის ვადაზე ადრე გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ
1926 წლის 20 დეკემბერი

სრულ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. სარა **კეკელიძის** განცხადება მისი ქმრის საქმის შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმ. გაცნობებთ, რომ მოქ. სერაპიონ სოფრომის ძე კეკელიძეს ბრალად ედებოდა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედება, რომელიც გამოიხატებოდა აგითაციაში გლეხებს შორის მიმართულთ საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ, აქტიური მონაწილეობაში მენშევიკური ავანტიურის დროს, იყო ხელმძღვანელი ბუქის-ციხის თემის და ამასთანავე ჰფარავდა ბანდიტებს. საქ. სახ. კომისიასთან არსებულ განსაკუთრებული თათბირის დადგენილებით 3/9-25 წ. მისჯილი აქვს როგორც შეურიგებული მავნე ელემენტს საბჭ. ხელისუფლებისა, **გადასახლება კონც. ბანაკში სამი წლის ვადით**, საქმე პატიმართან ერთად გადაგზავნილია გაერთ. სახ. პოლიტ. სამმ. სანკციისათვის და გადასახლების ადგილის ასარჩევად.

ზემოაღნიშნულის გამო საქ. სახ. პოლიტ. სამმ. მის განთავისუფლებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /კვანტალიანი/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსის მაგ. ხელრთვა /საფრონოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 20 დეკემბერი 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 96, ფურცელი 7.

საქართველოს ეროვნული არქივი

გიორგი ნიჟარაძის მამის, ივანე ნიჟარაძის თხოვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს შვილის გათავისუფლების შესახებ
1926 წლის 20 დეკემბერი

საქართველოს კომ. პ. ცენტ. კომ. თავმჯდომარეს

მოქალაქე ივანე ნიჟარაძისაგან

თხოვნა

მაქვს პატივი, მოგმართოთ ქვემორე შინაარსის თხოვნით, თქვენ მოქალაქე ფილიპე იესეს ძე **მახარაძეს**, მუშათა და გლეხთა თავგანწირულ უაღრეს მუშაკს.

თხოვნა შეეხება ჩემი შვილი **გიორგი ნიჟარაძის** საქმეს, რომელიც საგანგებოთ პოლიტიკურ კომისიის დადგენილებით იხდის დამსახურებულ სასჯელს, ვინაიდგან თავხედურათ მიიღო მონაწილეობა ოცდა ოთხი წლის ბნელი გამოსვლებში, და ამით ჩაიდინა ჯოჯოხეთური დანაშაულება რევოლიუციის და ხელისუფლების წინაშე.

მაგრამ მე ვბედავ და ვთხოულობ მის შებრალებას, რადგან ვარ უბედური მამა, მის მეტი არა გამაჩნია რა; და მისი ხანგრძლივი ციხეში ყოფნა უქადის მას ფსიხიური დაავადებას, რომლის ნიშნები შესამჩნევად ეტყობა კიდეც.

დანაშაულია ჩემი შვილი ხელისუფლების და რევოლიუციის წინაშე, ეს ყოვლად ეჭვს გარეშე არის; მხოლოდ მე მისი მამა წინეთაც და ახლაც ვსდებ პატიოსან სიტყვას ერთგული მომხრე ვიყავი მოძრაობის და ჩემი წვლილიც შეტანილი მაქვს, - მით ვბედავ შუამდგომლობა გავსწიო.

ერთ დროს თქვენ, დიდებულო მოქალაქე მსახურობდით ქუთაისში ჭიათურის შავი ქვის საბჭოში სტატისტიკის თანამდებობაზედ, მე კი იმავე დროს იმ დაწესებულების მმართველობის წევრი ვიყავი. თქვენს გამჭრიახ გონებას არ დარჩებოდა შეუმჩნევლად, თუ როგორ მოწიწებით და თაყვანისცემით გეპყრობოდით, რადგან თქვენში ვხედავდი ხალხის მოამაგე სპეტაკ სოციალისტს. ყოველივე ამას თქვენ ალბათ გაიხსენებთ და დამიდასტურებთ.

იმავე ხანში იყო ეგრედ წოდებული „ქუთაისის ფრენა“ /გვირაბი დიდ ციხეში/. ციხიდან გამოშვებულთა შორის ექვსი კაცი პირდაპირ ჩემს ბინაზედ მოიყვანეს, იქ ტანთ-საცმელი გამოუცვალენ, ევროპიულად გამოაწყვენ და ღამის ორ საათზე წაიყვანეს სადგურზე, იავორსკის ქალის სათეატრო დასს შეუერთდენ და გაისტუმრეს ქუთაისიდან. ამ საქმის მოსაწყობ ხარჯად მე შევიტანე ორასი მანეთი სესხის სახით და მართლაც რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიღე კიდეც ასე მანეთი, მეორე ასი მანეთი ჩემი ნებით დავსტოვე. იმ დროის ჩემი მდგომარეობა მაძლევდა საშუალებას მოძრაობისათვის ხელი მომეწყო და უწყობდი კიდეც ძრიელ მაგრად, თუმცა პარტიაში არ ვირიცხებოდი. ეს კარგად უნდა ახსოვდეს მოქალაქე ბარონ ბიბინეიშვილს, რომელიც ხელმძღვანელობდა საქმეებს.

საქართველოს გასაბჭოების დროს ვმსახურობდი ბათუმში მესამე მენშევიკურ ბათალიონში მოლარედ. იმ დღიდანვე, ხელისუფლებას თანაგრძნობა

საქართველოს ეროვნული არქივი

გამოუცხადე. დატოვებულიც ვიქენი ჩემს თანამდებობაზედ და გადაყვანილი თბილისში პირველ გლეხთა და მუშათა წითელ ლეგიონში, სადაც გავატარე სრული სამი წელიწადი. იმავე ლეგიონში ჩემთან ერთად მსახურობდენ შემდეგი კომუნისტები: მარკაროვი, სამხედრო-კომისარი, ვალერიან ვაშაკიძე და ალექსანდრე ტიგიშვილი. მოხსენებული მოქალაქეები დაამოწმებენ როგორი ერთგული მომხრე და თანამოაზრე ვიყავი მე საბჭოთა ხელისუფლების. ლეგიონის უფროსად იყო ცნობილი იოსებ **ბრეგაძე** - ამ უკანასკნელმა სამაგალითო ატესტაცია წარადგინა ჩემზე დივიზიაში და ალბათ საგანგებო პოლიტიკურ კომისიაშიდაც, საცა ნაჩვენები იყო ჩემზე, როგორც შეგნებული მომხრე მდგომარეობის და კომუნისტური პარტიისა. და მართლაც საგანგებო კომისია როგორც ქუთაისის ისე, თბილისის ნდობის თვალით მიყურებს, რადგან ყოველთვის აკმაყოფილებენ ჩემს თხოვნას, რათა მექნეს მე ნება იარაღი /რევოლვერი/ შევინახო და ვატარო კიდეც.

ვარ დარწმუნებული, თუ ჩემი შვილი გიორგი **ნიჟარაძე**, იქნება განთავისუფლებული სასჯელისაგან ის შეიქნება საბჭოთა საქართველოს ერთგული მოქალაქე, თავის თავს იგრძნობს ახალ ნიადაგზე გარდაქმნილად და შეიქნება ნამდვილი ადამიანი. ამის თავდები თქვენს წინაშე ვიქნები მე მთელი ჩემის არსებით.

ამჟამად ჩემი შვილი იმყოფება თბილისის N1 გამსახლში /მეტეხი/.

ივანე ნიჟარაძე /ხელრთვა/
ჩემი მისამართი:
ქ. ტფილისი.
გოგოლევის ქუჩა N23.
20 დეკემბერი, 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 104, ფურცლები 6-7.

საქართველოს ეროვნული არქივი

გიორგი ნიჟარაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს დარჩენილი სასჯელის პატიების შესახებ 1926 წლის 23 დეკემბერი

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს

საქართველოში 1924 წლ. აგვისტოში
მომხთარ აჯანყების აკტიური მონაწილის
გიორგი ივანეს-ძის ნიჟარაძის

განცხადება

9 სეკტემბრიდან 1924 წლისა მე ვიმყოფები დაპატიმრებული როგორც ერთი აკტიური მონაწილე 1924 წ. აგვისტოში მომხთარ აჯანყებისა. მონაწილეობა აჯანყებაში მივიღე გურიაში. იქმნა-რა ჩაქრობილი ხსენებული აჯანყება მე იძულებული შევიქენი გავხიზნულიყავი ტყეში, სადაც, ზეპირი გადმოცემით, შევიტყვე შესახებ აჯანყების ხელმძღვანელების მიერ გამოშვებული მიმართ-ვისა ტყეში გახიზნულ აჯანყებაში მონაწილეთა მიმართ, და ამიტომ ხელის უფლებასთან შერიგების სახით თითქოს მომხთარ შეთანხმებაზედ 9 სექტემ-ბერს გურიაშივე დაპატიმრებული ვიქენი, საიდანაც გადმოვიგზავნე თფილისში საგანგებო კომისიის განკარგულებაში. 1925 წლის იანვარში საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მოსჯილი მექნა უმაღლესი სასჯელი - დახვრეტა რომელი ზომაც 1924 წ. 7/X ამნისტიის შეფარდების თანახმად შეცვლილი მექნა (10) ათი წლით გამსახლში დაპატიმრებით სასტიკი იზოლაციით.

ორი წლისა და ოთხი თვის გამსახლში ყოფნის დროს, პირველად ყოვლისა გავეცანი-რა დაწვრილებით ცნობილ დამოუკიდებელ კომიტეტის 5/IX-1924 წ. დეკლარაციას და თანაც მიხთებოდა-რა დაწვრილებით გავცნობოდი როგორც წარსულს ჩვენს საერთო მოქმედებას საქართველოში არსებულ 1921 წლიდან ხელისუფლების წინააღმდეგ ე. ი. როგორც აჯანყებამდი, ისე აჯანყების დღეებში და მის შემდეგ მე, ჩემდა სამწუხაროთ, თანდათანობით ვრწმუნდებოდი, რომ ის ხალხი,რომლისმეთაურობითდარომელთანაცერთადმემომიწიასაქართველოში საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ გალაშქრება, და რომელთაც შემდეგშიც ვუკავშირებდი ჩემს ყოფნა არ ყოფნის საკითხს, სტყუოდენ პირველად ყოვლისა ქართველი ერის წინაშე და ამნაირად უკვე წინაშე საბჭოთა ხელისუფლებისა. ამისდა მიხედვით მე არა ერთხელ მიმიმართავს ჩემთან ერთად მისჯილნი პო-ლიტიკური პატიმრების და „პარიტეტული კომიტეტის“ შემადგენლობისათვის, რომ თანახმად დამოუკიდებელი კომიტეტის 5/IX-1924 წ. განცხადებისა თავი დაგვენებებინა ახალ ავანტიურებისათვის მაინც, შეგვებრალებინა ქართველი ერი, რომელიც ჩვენს უპერესპეკტივო მოქმედებისათვის უსწორო და ყოვლად უმიზნო ბრძოლაში წყდება და რომლის შესაფერი წინამძღოლობა არ შეგვიძ-ლია, რაც სავსებით დავამტკიცეთ 1924 წლის აჯანყებით. ყველა ამის უტყუარი

საქართველოს ეროვნული არქივი

მაგალითები ხელთა მაქვს და ამას ღაღადებს პირადათ ჩემი დამოკიდებულება პოლიტიკურ პატიმართა „მენშევიკურ ჯგუფთან“ ამ ერთი წლის განმავლობაში.

დავრწმუნდი-კი რა იმაში, რომ ისინი რომელნიც თითქოს ჩემულობენ ქართველი ერის სურვილების გამოხატვას და მის წინამძღოლობას, დღეს უკვე დამდგარია სრულ ავანტიურის გზაზედ, რომელიც თავის პარტიულ ჟინიანობას მზად არის შეალიოს ქართველი ერის ფიზიკური არსებობა. მოგმართავთ-რა ამ განცხადებით მთხოვნელი ვარ მომეხსნეს ის პოლიტიკური ბრალდება რომელიც გამოიხატება ჩემი ზემო აღნიშნულ აჯანყების მონაწილეობაში, და ამასთა-ნავე ვაცხადებ რომ მე პასუხის მგებელი არა ვარ ყველა იმ ავანტიურისათვის, რომელიც ჩადენილი იყო, თუ იქნება პოლიტიკურ-პატიმართა ზოგი ერთი „ჯგუფის“ მიერ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გაეცნობა-რა ამ ჩემს გულრწფელ განცხადებას, იმედი მაქვს რომ ჩემს შემდგომ გამსახლში დატოვებას ზედმეტად დაინახავს, ამიტომ ვითხოვ შესაფერ განკარგულებას რათა განთავისუფლებული ვიქმნე დარჩენილი სასჯელის მოხთისაგან. რასაკვირველია არავითარ მუშაობას საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ შემდგომში ჩემის მხრივ მე არ დაუშვებ, რადგანაც ჩემი ღრმა რწმენით ყოველივე მუშაობა საქართველოში დღეს არსებული მთავრობის წინააღმდეგ მიმაჩნია დამღუპველად.

პატიმარი გ. ნიჟარაძე. /ხელრთვა/
მეტეხი. 23/XII-26 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 104, ფურცლები 9-10.

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ლავრენტი ბერიას დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რუსეთში გადასახლებული ვასო დავითაშვილის საქართველოში ვადაზე ადრე დაბრუნებაზე უარის შესახებ 1926 წლის 28 დეკემბერი

სრულ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს მომართვაზე N დ.13/საიდ. ა/წ. 7/12-თარიღით

გებრუნებათ რა უკანვე ქალ. ვოლოგდაში გადასახლებულ მოქ. **ვასო დავითაშვილის** განცხადება საქართველოში დაბრუნების შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმართველო გაცნობებთ, რომ მოქ. დავითაშვილს ბრალი ედებოდა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაში, რაც გამოიხატა აგვისტოს ამბების მოწყობაში, მასში აქტიურ მონაწილეობაში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მენშევიკურ კომისიის სამაზრო ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებაში და მოქ. სიყმაშვილის მკვლელობაში დახმარების აღმოჩენაში. დანა-შაულობის ფაქტი დაუმტკიცდა და საქ. საგ. კომისიის კოლეგიასთან არსებულ საგანგებო სათათბიროს 1925 წ. 3/9 დადგენილებით მიესაჯა გადასახლება **კონც. ბანაკში სამი წლის ვადით.** საქმე პატიმართან ერთად გადაეგზავნა გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოს მასთან არსებულ განსაკუთრებულ სათათბიროში სანქციისათვის და გასაგზავნ ადგილის განსასაზღვრავად.

იღებს რა მხედველობაში დანაშაულის მძიმე ხასიათს საქ. სახ. პოლიტ. სამმ. მის დაბრუნებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /ბერია/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 23 დეკემბერი 1926 წ. დოკუმენტს ასევე აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შტემპი თარიღით 28 XII 1926 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 88, ფურცელი 6.

საქართველოს ეროვნული არქივი

1927

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ლავრენტი ბერიას დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რუსეთში გადასახლებული ერემია მეჩეხიას რუსეთის სხვა ქალაქში გადაყვანაზე უარის შესახებ
1927 წლის 16 იანვარი

სრულ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს
მომართვაზე N მ 49/საიდ. - გ/წ 23/12-თარიღით

გებრუნებათ რა ამასთანავე მოქ. მარო მეჩეხიას განცხადება მისი ქმრის შესახებ, საქ. სახ. პოლიტ. სამმ. ამით გაცნობებთ, რომ მოქ. ერემია **მეჩეხიას** ბრალდებოდა კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობა, რომელიც გამოიხატებოდა: გასაბჭოების დღიდან დაჭერამდის არა ლეგალური მუშაობა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ და ხელმძღვანელობა მენშევიკების ბანდისა აგვისტოს გამოსვლების დროს. ბრალდება დაუმტკიცდა და განსაკუთრებული თათბირით საქ. საგ. კოლეგიასთან 3/9-25 წ. მიესაჯა **გადასახლება კონც-ბანაკში სამი წლის ვადით.** საქმე პატიმართან ერთად გადაგზავნილია გაერთ. სახ. პოლიტ. სამმ. დასამტკიცებლად და გადასახლების ადგილის არჩევისათვის.

იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს, საქ. სახ. პოლიტ. სამმ. მის განცხადებაზე **უარს ამბობს.**

დანართი: აღნიშნული.

საქ. სახ. პოლიტ. სამმ. თავმჯდომარე ხელრთვა /ბერია/
აღ. რეგ. სტატ. განყ. უფროსი ხელრთვა /ბეჟანოვი/

P.S. დოკუმენტს აზის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შტემპი თარიღით 1927 წლის 15 იანვარი. დოკუმენტს ასევე აზის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომტეტის შტემპი თარიღით 1927 წლის 16 იანვარი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 101, ფურცელი 4.

საქართველოს ეროვნული არქივი

1932

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ამონარიდი თელავის მაზრაში მომუშავე ბოლშევიკის
რეზო დავითის ძე ნახუცრიშვილის მოგონებიდან
1932 წელი

ავანტიური გამოსვლები

1921 წლიდან 1924 წლამდე იყო მემამულეთა და მენშევიკების ნაშთების ავანტიური ბანდის გამოსვლები. ამათ მხარს უჭერდნენ გლეხობის ერთი ნაწილიც. რაზმავდნენ ჩვენს წინააღმდეგ, ეცემოდნენ ფოსტებს, ორგანიზაციებს. 1923 წელს 2-ჯერ სცადეს პარტ-კომკავშირზე თავდასხმა, მაგრამ ვერ შევხვდით. ამ პერიოდში შემჩნეული იყო, რომ სოფლის განაპირას იყრიდნენ თავს მენშევიკები. ამავე დროს ჩვენ რევ-კომში აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც დღისით ჩვენთან იყო - ღამე კი მენშევიკების ბანდასთან - ეს ამბავი ვამხილე და ვაცნობე პარტ-რაიკომს (ჩონს) ზომების მისაღებად.

1921 წელს შეიქმნა თელავის მაზრაში სახელწოდების (ჩონი), რომელიც აერთიანებდა პარტ-კომკავშირის რაზმებს. ხელმძღვანელობდნენ: მამია ერისთავი თემკომის (კომკავშ. რაიკომის მდივანი), გიო მრელაშვილი, სოსო პაპუნაშვილი, თ. სეხნიაშვილი, შ. შაოშვილი, მათთან ერთად მე ჩემი კომკავშირის ორგანიზაციის 1921 წლიდან 1922 წლამდე ადგილზე, სადაც საჭირო იქნებოდა შეიარაღებული მზათ ვიყავი თელავის მაზრის ახლომახლო. 1922 წლის შემდეგ თიანეთის მაზრის ახმეტის მატნის მთებში ბუდობდნენ ბანდა - ამ ბანდის განდევნისათვის საჭირო გახდა ახმეტის - კოტორაშვილის რაზმთან ერთად შეგვეკრა გზები. გაძევებული იქნა ეს ბანდა 1923 წლის ბოლოს.

1923 წელში ავანტიური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკლეს მამია ერისთავი (ქისტაურიდან), ფირუზა კირაკოსოვი (თელავიდან) კომკავშირის ინსტრუქტორი, სურგულაძე (თიანეთიდან).

1923 წლიდან 1924 წლამდე გაგრძელდა ოქტომბრამდე ნარჩენი ბანდის ლიკვიდაცია...

1921 წ. 1924 წ. ოქტომბრამდე და შემდეგ აქტიური მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ახალგაზრდა კომკავშირის ორგანიზაცია:

I ავანტიური ბანდასი გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში

II ანტი რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში

III სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში

IV სოფლის კეთილ მოწყობის თავის უფალი ფონდების შეგროებაზე

V წითელ არმიისა და წითელი არმიელების ოჯახების ფიზიკურად დახმარება საყოველთო კვირაში 2 დღე შაბათობაზე.

1924 წლის ავანტიური ბანდის ლიკვიდაციის რაზმი აღარა იყო საჭირო...

...რომელი ღვდლები საზოგადოებაში ჩვენს წინააღმდეგ ქადაგებდნენ იმავე დროს ერთმა ალექსი გავარდაშვილმა დაქორწილდა ორი ღვდელი, გაიმძღვარა ჯვარი დაიწერა ორი ღვდლით ჯვარის წერა დამკვიდრებულიაო ხალხში გაისმოდა, 12 დღის შემდეგ ჯვარ ნაწერი ცოლი გეექცა, აღარა შეურიგდა, ამან ჩვენ სასარგებლოდ ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაში, მათან ერთი ღვდელი გამტყუნებული გამოვიდა, ანაფორა გაიხადა იმან, სახალხოდ გაიკრიჭა და იმ დღიდან თვითონ აკრიტიკებდა ღვდელობას, შემდეგ რევკომის მდივნად დაიწყო მუშაობა.

საქართველოს ეროვნული არქივი, კახეთის რეგიონული არქივი,
ფონდი 467, ანაწერი 9, საქმე 1, ფურცლები 11-12.

საქართველოს ეროვნული არქივი

1936

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ამონარიდი ბოლშევიკის ილია საბას ძე ჩოდრიშვილის მოგონებიდან
1936 წელი

... 1922 წელს უკვე ჩამოვიდნენ თელავში ახალი ძალები, მომზადებული აქტიური ახალგაზრდობა დათიკო კაჭარავა, თოდრია სერგო, ლომიძე, კარსანიძე და პარტიაშიაც მომზადებული ამხანაგები გოგია ჭურღვლია, ჭანტურია, ვაშაკიძე, სტურუა, გაგოშიძე და ბევრი სხვები, ამ დროს იყო ბრძოლა გაქცეულ ბანდიტთა ქაქუცია ჩოლოყაშვილთან, რომელიც სასტიკი მტერი იყო ჩვენი. იყო შემთხვევა მე დამიჭირა ყვარელიდან რომ მივდიოდი, იარაღი ჩამომართვა და კომკავშირის ზნაჩოკი გადამაყლაპა, ამასთან ერთად ბევრი კომკავშირელი გაიტაცა ტყეში, ჩახოცა, მაგალითად კომკავშირის მდივანი წინანდალში, არუთინოვი ალექსა გოდორა...

... 1922 წ. 15/II-ს თელავის რაიონში სოფ. წინანდალში კომკავშირის მიერ იყო დადგმული რევოლუციონური პიესა, ამ დროს ალყა შემოარტყა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდამ და წაიყვანა ოთხი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ჩოლოყაშვილის ბანდამ ჩახოცა:

1. წინანდლიდან წაიყვანეს მეგუთვნიშვილი ვანო - აღმასკომის თავმჯდომარე
2. დაღუნდარიძე მიხაკო - პარტიის რაიკომის მდივანი
3. კირაკოზოვი ფირუზა - მილიციის უფროსი
4. ამირანიძე - მილიციის საქმის მწარმოებელი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდამ მოსპო ზემოთ აღნიშნული ამხანაგები.

საქართველოს ეროვნული არქივი, კახეთის რეგიონული არქივი,
ფონდი 467, ანაწერი 2, საქმე 1, ფურცლები 30; 43.

საქართველოს
ეროვნული
არქივი

1937

საქართველოს
ეროვნული
არქივი

ამონარიდები საქართველოდან ემიგრაციაში და პირიქით გაგზავნილი წერილებიდან, სადაც საქართველოში შეიარაღებული აჯანყების საკითხზეა საუბარი (ეს მიმოწერა მოგვიანებით ირაკლი (კაკი) წერეთელთან წაიკითხეს)
1937 წელი

კაკისთან[161] წაკითხული მიწერ-მოწერის უმთავრესი ცნობები 1937 წ.

უცხოეთიდან	**საქართველოდან**
7. XI. 22. ნ. ჟ. წერილი გამოსვლის შესახებ. დაცდა, მაგრამ, თუ ხალხს სურს, ისევ ლოზანის დროს, პასუხისმგებლობას ვიღებთ. (გვარჯალაძე ორხელ ურჩევს საქ-ს ლოზანის ფაქტის წინაშე დაყენებას) ნ. ჟ. ეკამათება ციხეში მყოფთ.	8. X. 22. რეზოს წერილი, ხალხში აქტივობის სურვილი, ციხეს წინააღმდეგობა.
20. I. 23. ნ. ჟ. აქტივობის სასარგებლოთ, მინუსია, რომ ხალხმა ანექსიას არ უპასუხა. რჩევა ბიუროს და მისი პრეზიდიუმის დანიშვნის შესახებ.	21. XII. 22. ხომერიკი. აჯანყებათა ციკლის მოწყობა არ შეგვიძლია. საქართველოს ერთ დღეში ავიღებდით, თფილისის გარდა, მაგრამ ეს არ კმარა.
	27. I. 23. დამკომის წერილი. აჯანყებას გაზაფხულისათვის ვამზადებთ, თუ პირობები იქნა.
16. IV. 23. ნ. რამიშვილი. მთავრობის და ცეკას წევრების რეზოლუცია. გამოსვლის კითხვას კავკასიის მასშტაბით სწყვეტს საქ-ლო. საზღვარგარეთლები პასუხისმგებლობას ინაწილებენ.	25. II. 23. ხომერიკი. წინააღმდეგია ნ. ჟ. „მუდმივი აქტივობის“ ხალხს აიკლებენ.
16. IV. 23. მოწოდება მთავრობის და დამფუძ. კრების წევრების. ოპტიმიზმი (ნ. ჟ. წერილი, მოწოდების განმარტება. ოპტიმიზმი. 9. IV. 23.)	
17. IV. 23. ნ. რამ. წერილი-განმარტება. ,,კურსი აღებულია“ - აჯანყებაზე.	7. VI. 23. ხომერიკი. გამოსვლა შეუძლებელია ახლა უცხოეთის დაუხმარებლათ, კავკასიის მთლიანი გამოსვლა უთურქებოდ შეუძლებელია (4. VI. 23. ხომერ. იმედი პოლონეთიდან იარაღის მიღების).
	4. VIII. 23. დამკომი. გეთანხმებით (ნ. ჟ-ს) ჩვენ მზათ ვიქნებით გადამწყვეტ მომენტისთვის, მაგრამ უცხოეთიდან დახმარება უნდა იქნეს.
22.VIII. 23. ნ. რამ. ტაქტიკაზე, აჯანყების პერსპექტივაზე.	6. VIII. 23. ხომერიკი. სამხედ. ორგანიზ. აღდგენილია. აზერბეიჯ. და მთა გამოგვყვება, მაგრამ უმთავრესი ქაპან-წყვეტა ჩვენ დაგვატყდება.
	11. IX. 23. ხომერიკი. ნაც-დემები ითხოვენ ეხლავე გამოსვლას. ეს ძნელი საქმეა, ადვილათ ვერ გადავწყვეტთ.

161 იგულისხმება ირაკლი (კაკი) წერეთელი - **გამომცემლები**.

საქართველოს ეროვნული არქივი

	26. X. 23. ხომერიკი. გამოსვლის ხაზის აღება. თუ გადავწყვიტეთ, კაცს ვაფრენთ.
	30. XI. 23. გოგიტა. გამოსვლის მზადება. ნაც. დემ-ის., კერძოთ ქაქუცას მოთხოვნა.
	22. XII. 23. გოგიტა. აჯანყებისთვის მზათ ვართ მოგვწეროს მთავრობამ ტელეგრამით, თანახმაა თუ არა. ნოდია მოდის, თუ დააგვიანდა, ნუ დაუცდით.
	6. I. 24. გოგიტა. იგივე რაც წინა წერილში.
	10. I. 24. გადამწყვეტი შეკითხვა აჯანყებაზე. მოითხოვს მოზრდილ თანხას; თუ საერთაშორის. მდგომარ. ხელსაყრელი არაა, ნაკლებს.
2. II. 24. ნ. რამ. დამკომს: „თავმჯდომარესთან შეთანხმებით და მის დავალებით: ჩვენთვის მისაღებია ოსმანის წინადადება (ნოდია) იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება მთელი ამიერ. კავკ. საქმე. გვაქვს გამოცდილება, მოტყუებული არ დავრჩეთ მეზობლებისგან. ჯერ მთა და აზერბეიჯანი, მერე თქვენ. ოსმალეთიც იძულებული გახდება თავისიანები დაიცვას რუსეთის წინააღმდეგ რომ გაიმარჯვოს. 24. I. 24 წ. მთავრობის თავმჯდომარეს გავაცანი ოსმანის მიერ გადმოცემული და შევუთანხმდი შემდეგში: „საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ უშლის ამიერკავკასიის მასშტაბში გამოსვლას, მაგრამ უმჯობესია უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადავდოთ.“	22. I. 24. იგივე შეკითხვა.
10. III. 24. ნ. რამიშვილის ხელმოწერილი დადგენილება მთავრობისა აჯანყების პირობების შესახებ დამკომს: „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ უშლის...“ უცხოეთიდან დახმარებას ნუ ელით, სანამ ამიერკავკასიას არ აიღებთ და კავკასიის ქედზედ არ გამაგრდებით. 10. III. 24. ნ. ჟ. აჯანყებაზე: „ჯერ მე თანახმა ვარ მეორე გზით ბრძოლის წარმოების თუ მასში ჩაებმიან მთა და აზერბეიჯანი და ბრძოლის ხაზი თავიდანვე კავკასიის ქედი გახდება, თუ არა, მაშინ პირველი გზა შინ გართულება.“	1. III. 24. მ. საბაშვილი. დავსუსტდით პროვალების გამო. უფულობა. ნაკლები კავშირი აზერბეიჯანთან, ცოტა უკეთესი მთასთან.
24. III. 24. ნ. რამ. აზერბეიჯანი უოსმალეთოთ არ გამოვა, თქვენ კი მასთან უნდა გამოხვიდეთ.	12. III. 24. კ. ანდრონიკ. იგივე, რაც წინა წერილში. აზერბეიჯანთან შეწყდა კავშირი, მთასთან კი გვაქვს, მაგრამ უფულობის გამო ოფიცრებს ვერ ვუგზავნით, ორი თვის წინ უკეთ ვიყავით მზათ, მას შემდეგ სამხედრო კომისია ჩავარდა და სხვა ორგანიზაციებიც.
29. III. 24. ნ. რამ. აზერბეიჯ. გამოსვლაზე, ოსმალეთის ბოლშევიკანობა. აზერბეიჯ. პარტიზანულ რაზმებთან კავშირის ცდა.	

საქართველოს ეროვნული არქივი

	1. IV. 24. კოტე. ანდრ. ოპტიმისტი.
4. IV. 24. რასულზადეს და გვარჯალაძის პირობა. ოსმალეთი ითხოვს ფაქტის წინაშე ნუ დაგვაყენებთო, აზერბეიჯანი ოსმალეთის დაუხმარებლათ არ გამოვა, დაცდა, თუ ორგანიზაციები მზათ არ არიან.	
6. IV. 24. ნ. რამ. კომენტარები რასულ-გვარჯალ. პირობის. კომპრომისული, „მოცდა დამღუპველი იქნება.“	
17. IV. 24. ნ. რამ. კმარა შეკითხვები. გეგმა წინანდელი. პუჩი აიცდინეთ.	28. IV. 24. ბენია. ჩვენი ყველას აზრია მივიღოთ ყოველივე ცდა აჯანყებისთვის. ძალების სიმცირე.
8. V. 24. ნ. რამ. ნუ გვეკითხებით, ისე მოაწყვეთ. უფულობა. პოლონელ. სამხედ. პირის რჩევა - დაიწყეთ ცენტრში, განსაკუთრებით თფილისში.	5. V. 24. კოტე. უფულობა. როგორც მოგვივა თანხა, ერთ კვირაში გამოვალთ. ძალების სიმცირე.
	26. V. 24. ბაგრატი. 5 ჩერვონეცის საშოვათ ათი დღე დაგვჭირდა.
	2. VI. 24. დამკომი. თქვენ იწერებით ნუ გვეკითხებით, დროს ნუ გაუშვებთო. ჩვენც ვიცით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ხელს გვიწყობს. უფულობა. საჭიროა 25 ათასი ლირა. რატომ კრიტ. მომენტისთვის თანხა არ მოიმარაგეთ.
უთარიღო - ნ. რამ. ცეკას გამოსვლის გადადებაზე. ჩვენთან შეუთანხმებლათ ნურაფერს დაადგენთ იქაურ საქმეებზე.	აგვისტო - ცენტერაძე და საბაშვილი. გამოსვლა გადაწყვეტილია 15 აგვისტომდე. ნ. რ.-ს გადაეცით, მოსვლა თვითონ გადაწყვიტოს.
	3. VIII. 24. ბაგრატ (ავთ. წულ.) ადასტურებს გამოსვლის გადაწყვეტილებას. ოპტიმიზმი. ფული ვიშოვეთ - ოცი.
20. VIII. 24. ნ. რამ. უფულობა. პროვოკაცია (პროვალები).	10. VIII. 24. საბაშვილი, ცენტერაძე. იარაღი მოგვაშველეთ. რამიშვილი ფაქტის შემდეგ მოვიდეს. ვალიკოს დაჭერა (6.VIII). 2. IX. 24. ხელმოუწერელი წერილი. დახვრეტები. „ერთი დანტროვილი კრეისერი რომ იყოს, ხალხს თავს შეინახავდა.“
14. IX. 24. ნ. ჟ. აჯანყების გაგრძელება, პარტიზან ბრძოლაზე გადასვლა დიპლომ. შედეგების იმედით.	
7. XI. 24. გვარჯალაძე. ჟორდანიას ინსტრუქცია ნავთსადენის და რკინის გზის გაფუჭებაზე. (ნ. ჟ. წერილი არ არის).	
14. XII. 24. ნ. ჟ. კოტე ანდრ. და ცეკას დეზავუაცია.	

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, ანაწერი 3, საქმე 161, ფურცლები 39-42.

საქართველოს ეროვნული არქივი

1992

საქართველოს
ეროვნული
არქივი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის დეკრეტი 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ
1992 წლის 25 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი

1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებულ პირთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ

1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მოჰყვა სისხლიანი ტერორი და რეპრესიები, რამაც იმსხვერპლა ათიათასობით ადამიანი და მათი ოჯახის წევრები.

ამ პერიოდის უკანონობათა შედეგების ლიკვიდაციისა და სოციალური სამართლიანობის აღდგენის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. რეაბილიტირებულად ჩაითვალოს 1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული ყველა მოქალაქე.

2. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, უზენაესმა სასამართლომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ინფორმაციისა და დაზვერვის ბიურომ, მათთან არსებული მასალების მიხედვით უზრუნველყონ ამ დეკრეტის პირველი მუხლით გათვალისწინებული რეაბილიტაციის განხორციელება.

3. რეაბილიტირებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების მიმართ გავრცელდეს ის შეღავათები, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია მეორე მსოლიო ომის მონაწილეებისათვის.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნას რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის კომისია, რომელიც ხელს შეუწყობს რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფას, მათი დაკრძალვის ადგილების სათანადო მოვლა-პატრონობას და რეაბილიტირებულთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე
თბილისი
1992 წლის 25 მაისი.

P.S. დოკუმენტს აზის საქართველოს რესპუბლიკის გერბი და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შტემპი.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 767, ანაწერი 1, საქმე 2, ფურცლები 4-5.

საქართველოს ეროვნული არქივი

1994

საქართველოს
ეროვნული
არქივი

1921-1924 წლებში საქართველოში რეპრესირებულთა შთამომავლების მიწვევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს მეტეხის ღვთისმშობლის დიდების ტაძარში დანიშნულ პანაშვიდზე 1994 წლის 3 სექტემბრამდე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესს და უნეტარესს ილია II

თქვენო უწმიდესობავ

ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველ ხალხს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა თავისუფლებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა 1921-24 წლებში და, რასაკვირველია საოკუპაციო რეჟიმიც თავის მოწოდების „სიმაღლეზე" იდგა.

1923 წელს ობოლაძისა და ტალახაძის მიერ დატრიალებული საშინელებანი გურიაში, იმავე წლის 20 მაისს საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი სამხედრო ცენტრის წევრების ყოველგვარი გასამართლების გარეშე დახვრეტა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წამება ჩეკას ჯურღმულებში...

ციხეები ამოვსებული იყო იმ ადამიანებითაც, რომელთაც არათუ ბრძოლა, არამედ რაიმეს გაფიქრებაც კი გაბედეს სალდაფონური რეჟიმის წინააღმდეგ.

საოკუპაციო სადამსჯელო მანქანა მთელი სისასტიკით ამოქმედდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ. გაბოროტებულმა და თავგასულმა მტერმა თავისუფლებისათვის მებრძოლი პატარა ქვეყანა სამაგალითოდ დასაჯა. ბოლშევიკმა ჯალათებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქართველთა სასაკლაოები მოაწყეს /ზესტაფონსა და სვირს შორის ხალხით სავსე ვაგონებს ტყვიამფრქვევები დაუშინეს და ყველა ერთად ამოჟლიტეს, ვანში - საყანჩია და სხვა მრავალი/. თბილისის შემოგარენშიც არაერთი საძმო სასაფლაო მისაგნებია და მოსაძიებელი.

თქვენო უწმიდესობავ, წმიდა ადგილები, სადაც 70 წლის წინ დამოუკიდებლობის სამსხვერპლოზე ათასობით ქართველი მამულიშვილი ზვარაკად იქნა შეწირული, დღეს თქვენს ლოცვა-კურთხევას ელოდებიან...

ამჯერად ერთზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. 1921-24 წლებში თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს წინამძღოლი, უღალატო მეგზური მეტეხი იყო. აი რას ვკითხულობთ ერთ-ერთი პატიმრის ჩანაწერებიდან: „მეტეხი - იქ ხომ დამოუკიდებელი საქართველო გვეგულება, იქ არის დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური პარტიები, დამფუძნებელი კრება, პოლიტიკური საზოგადო მოღვაწენი; დირექტივები იქიდან გამოდის... ზნეობრიობის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობის წმინდა ადგილია. მექა და მედინა" /ლიტ. საქართველო, N38-39, 1989 წ./.

დღეს აქ ციხე აღარ არის. ეკლესიის ზარები კვლავაც რეკავენ... მეხსიერებამ კი ყველაფერი სათუთად შემოინახა...

1922 წლის 26 მაისი პატიმრებმა შიმშილობის გამოცხადებით აღნიშნეს და

საქართველოს ეროვნული არქივი

საკნიდან საკანში გადადიოდა ლექსი „პატარა საქართველო“.

1923 წლის 23 სექტემბერს მეტეხის ეკლესიას სახურავი რომ ახადეს და პატიმრებს ტყვიები დაუშინეს, პატიმრებმა კი შიმშილობის გამოცხადებით აიძულეს ციხის ადმინისტრაცია ეკლესიისთვის სახურავი აღედგინათ...

მტკვრის დინებაც აქ ხომ განსაკუთრებულად მოკრძალებულია, მდორეა, მისი ტალღები დღესაც იმეორებენ „დიდების“ ჰანგებს, რომლითაც ციხე აცილებდა მეტეხის ტყვეთა ეშელონებს რუსეთის საპყრობილეებისაკენ.

... და კიდევ რამდენი რამ ახსოვს მეტეხის მიდამოებს, რომელიც ესოდენ ძვირფასია, სალოცავივით წმიდაა ჩვენთვის, იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ტკივილიანი ბავშვობის უმძიმესი ხვედრი ვიწვნიეთ და დღეს ჩვენი წამებული მშობლების საფლავებიც არ გაგვაჩნია, მშობლებისა, რომელთაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ღირსეულად ატარეს უფლის მიერ მათთვის განწესებული მძიმე და საპატიო ჯვარი.

ჩვენ სწორედ მეტეხთან უნდა შევხვედროდით და გვეპოვა ერთმანეთი ერთად დაგვენთო სანთლები ჩვენთვის ძვირფასი ადამიანებისათვის.

ეს შეხვედრაც შედგა... 1991 წლის 7 სექტემბერს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით /მადლიერების სიტყვები გვინდა ვთქვათ სსდპ მაშინდელი პოლიტიკური საბჭოს პირადად პარტიის თავმჯდომარის ბატონ გურამ მუჩაიძის მისამართით/, პირველად საქართველოში /პარიზში ჩვენი ემიგრაცია, 1924 წლიდან მოყოლებული, 25 თებერვლისა და 26 მაისის თარიღებთან ერთად, აგვისტოს აჯანყების წლისთავსაც ყოველწლიურად აღნიშნავს/ მეტეხის ეკლესიაში გაიმართა 1921-24 წლებში ბოლშევიკ-აგრესორთაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილე მამულიშვილთა ხსოვნის პანაშვიდი და მაშინვე შეკრებილთა ერთსულოვანი სურვილით გადაწყდა ამ შეკრებების ყოველწლიურად ჩატარება. ითქვა აგრეთვე, რომ მეტეხის ეკლესიის ეზოში გაკეთდეს რაიმე ნიშანი იმ არნახული გმირული შემართებისა, რომელიც ქართველმა ერმა 1921-24 წლებში გამოავლინა.

თავგანწირულთა ხსოვნის წირვა-პანაშვიდების აღსრულება მეტეხის ეკლესიაში ყოველი წლის სექტემბრის პირველ შაბათს უკვე ტრადიციულადაა დამკვიდრებული; რაც შეეხება მოსაზრებას იმ სახელოვანი წლების სამახსოვრო რაიმე ნიშნის დადგმა-აგების შესახებ ეკლესიის ეზოში - თქვენს ლოცვა-კურთხევას ელოდება.

წელს აგვისტოს აჯანყების 70 წლისთავია, აჯანყებისა, რომლითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა - პატარა ქვეყანა - ერთადერთი მთელს პლანეტაზე - აღუდგა წინ ბოლშევიზმის ურჩხულს და საკუთარი თავგანწირვის ფასად მსოფლიო საზოგადოებრიობა გააფრთხილა, საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილი ბარბაროსული ქმედება არ იყო მხოლოდ საქართველოს ბედისწერა.

დღევანდელ ოფიციალურ და ელიტარულ საქართველოს, როგორც ჩანს არ სურს ამ საქართველოს ისტორიის ამ მეტისმეტად მნიშვნელოვანი მოვლენის გახსენება და გახმაურება.

არადა, პოლიტიკურ და მორალურ-ზნეობრივ კრიზისში მომწყვდეული დღევანდელი საქართველოს გადარჩენის ძირითად საფუძვლად, სწორედ ოცდაოთ-

საქართველოს ეროვნული არქივი

ხი წლის აგვისტოს აჯანყების შინაარსის გააზრება და გაანალიზება გვესახება.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენს სამწყსოში დღეს მრავალი გამწარებული ადამიანი დადის, დაეძებს მშობლების, მახლობლების საფლავებს; მათ, განსაცდელში ჩავარდნილი დღევანდელი საქართველოც ხომ განსაკუთრებულად სტკივათ, საქართველო, რომლის საკურთხეველზე მათი მამების, ბაბუების, უახლოესი ნათესავების წმინდა სისხლია დანთხეული. ისინი თანაგრძნობას საჭიროებენ...

იმედს გამოვთქვამთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავისი ჩვეული ღვთიური სიყვარულით შეეხმიანება ჩვენს გულისტკივილს და თავისი მობრძანებით მეტეხის ღვთისმშობლის დიდების ეკლესიაში ა. წ. 3 სექტემბერს, სადაც დღის 2 საათზე დანიშნულია აგვისტოს აჯანყების მონაწილე მამულიშვილთა ხსოვნის პანაშვიდი, იმედითა და რწმენით აღავსებს დღევანდელობით დამძიმებულ ქართველთა გულებს.

ქრისტესმიერი კრძალვით
აგვისტოს აჯანყების მონაწილე მამულიშვილთა შთამომავალნი

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2117, ანაწერი 1, საქმე 207, ფურცლები 121-124.

საქართველოს ეროვნული არქივი

სარჩევი

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპი საქართველოში (1921-1924) 3

დოკუმენტები **43**

1921 **44**

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის დაშლის შესახებ. 1921 წლის 26 თებერვალი 45

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. 1921 წლის 24 მარტი 46

სოციალ-დემოკრატ ნოე ხომერიკის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საქართველოში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. 1921 წლის 14 აპრილი 47

ამონარიდი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თხოვნაზე გაზეთის გამოცემაზე და ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით უარის შესახებ. 1921 წლის 14 აპრილი 49

ამონარიდი სოციალ-დემოკრატ ნოე ხომერიკის წერილიდან, რომელიც გაეგზავნა პარიზში მყოფ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. 1921 წლის 16 მაისი 50

ქართველი პატრიოტების მიერ ქ. ბათუმში გავრცელებული პროკლამაცია, რომელშიც აღწერილია ოკუპირებულ საქართველოში 26 მაისს არსებული ვითარება. 1921 წლის 26 მაისი 53

საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრის, სოციალ-დემოკრატ დავით (დათიკო) შარაშიძის საიდუმლო წერილი ევროპაში მყოფ თანაპარტიელებს, რომელშიც აღწერილია საქართველოში არსებული ვითარება 1921 წლის მარტიდან ივლისამდე. 1921 წლის ივნისის შემდეგ 57

ამონარიდი გიორგი მაჩაბლის მიერ რომიდან აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც საუბარია ევგენი გეგეჭკორის იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. 1921 წლის 2 ივლისი 74

ნოე ჟორდანიას მიერ პარიზიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია ბოლშევიკებთან ბრძოლის ტაქტიკაზე. 1921 წლის 22 ივლისი 76

ამონარიდი გიორგი მაჩაბლის მიერ რომიდან აკაკი ჩხენკელისთვის გაგზავნილი წერილიდან, სადაც საუბარია იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან წარმოებულ მოლაპარაკებაზე. 1921 წლის 28 ივლისი 86

ქართველი მუშების მიმართვა ევროპის მუშებს, სადაც აღწერილია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარება. 1921 წლის ივლისი 89

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 1 აგვისტო 91

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესახებ. 1921 წლის 6 აგვისტო 96

სოციალ-დემოკრატ ალ. კანდელაკის მიერ თბილისის რკინიგზის მუშების ყრილობაზე წაკითხული დეკლარაცია, რომელსაც ხელს 36 დელეგატი აწერს. 1921 წლის 18 აგვისტოს შემდეგ 97

ამონარიდი ბათუმიდან მიღებული ცნობებიდან. 1921 წლის ზაფხული 100

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ანგარიში საქართველოში არსებული ვითარების შესახებ, რომელიც გაეგზავნა პარტიის საზღვარგარეთ მყოფ წევრებს. 1921 წლის აგვისტოს შემდეგ 101

მეტეხის საპყრობილეში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 5 სექტემბერი 114

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე სტამბოლის პოლიტიკური კომისიის პროექტის განხილვა, რომელიც საერთო მიზნისთვის პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებას ითვალისწინებდა. 1921 წლის 22 სექტემბერი 120

საქართველოს საპყრობილეებში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 2 ოქტომბერი 121

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტურ პარტიებსა და მუშათა ორგანიზაციებს ქართველი რეპრესირებული მუშების ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის თხოვნის შესახებ. 1921 წლის 10 ოქტომბერი 137

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქ. სოხუმში არსებული ვითარების მოკლე ანალიზი. 1921 წლის 10 ოქტომბერი 139

ამონარიდი ეროვნულ-დემოკრატ ლ. ჯაფარიძის მიერ თანაპარტიელ გიორგი გვაზავასადმი გაგზავნილი წერილიდან. 1921 წლის 19 ოქტომბერი 141

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თათბირზე მიღებული სამოქმედო გეგმა. 1921 წლის 20 ოქტომბერი 142

თბილისის მუშების მოწოდება საქართველოს მშრომელებს, სადაც საუბარია საქართველოს რევკომის მიერ მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების შესახებ. 1921 წლის 26 ოქტომბერი 146

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტების მიმართვა მსოფლიოს სტუდენტობას საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების გამო. 1921 წლის 29 ოქტომბრის შემდეგ 148

თბილისის მუშების მოწოდება ქართველ მუშებს, სადაც საუბარია საქართველოს რევკომის მიერ მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების შედეგად მუშებში არსებულ განწყობაზე. 1921 წლის 4 ნოემბერი 150

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 6 ნოემბერი 152

ქართველი მუშების წერილი ევროპის და ამერიკის მუშებს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ მუშათა დელეგაციის წევრების დაპატიმრების შესახებ. 1921 წლის 7 ნოემბერი 154

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ მუშებსა და გლეხებს. 1921 წლის 8 ნოემბერი 156

თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოსა და სხვადასხვა ქარხნის მუშების მიმართვა მეორე ინტერნაციონალს, იტალიის სოციალისტურ პარტიას, გერმანიის მუშათა კომუნისტურ პარტიასა და ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალს, რომელშიც ისინი ითხოვენ დახმარებას საქართველოს რევკომის მიერ დაპატიმრებული მუშათა დელეგაციის წევრების განთავისუფლებაში. 1921 წლის 1 ნოემბრის შემდეგ 158

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვისას თბილისში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 25 ნოემბერი 160

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 30 ნოემბერი 161

ქართველი ერის პეტიცია მსოფლიო თანამეგობრობას. 1921 წლის 10 დეკემბერი 162

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1921 წლის 11 დეკემბერი 165

სახალხო გვარდიის დღის აღნიშვნა თბილისში. 1921 წლის 12 დეკემბერი 168

ამონარიდი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის სხდომის ოქმიდან, სადაც დასახულია ღონისძიებები ზემო სვანეთში არსებული დაძაბული ვითარების განსამუხტავად. 1921 წლის 20 დეკემბერი 173

სასტუმრო „ევროპის“ ყოფილი მეპატრონის ალექსანდრე ზაქაიძის განცხადება, სადაც ის მისთვის წართმეულ სასტუმროში დუქნის მოსაწყობად დატოვებულ ერთ ოთახზე შეწერილი გადასახადის შემცირებას ითხოვს. 1921 წლის 20 დეკემბერი 174

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქ. თბილისში ჩატარებული „მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების“ არჩევნების მოკლე მიმოხილვა. 1921 წლის 28 დეკემბერი 175

1922 **197**

ევგენი გეგეჭკორის წერილი აკაკი ჩხენკელს იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან საქართველოს საკითხზე წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. 1922 წლის 2 იანვარი 198

ევგენი გეგეჭკორის წერილი აკაკი ჩხენკელს საქართველოს საკითხთან დაკავშირებით ევროპის სახელმწიფოებთან მუშაობის შესახებ. 1922 წლის 9 იანვარი 199

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1922 წლის 12 იანვარი 200

საქართველოს ეროვნული არქივი

აკაკი ჩხენკელის საიდუმლო მოხსენება, სადაც საუბარია გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მოწვევაზე უარის მიზეზებზე. 1922 წლის 17 იანვარი 204

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის ერთ წლისთავთან დაკავშირებით. 1922 წლის 27 იანვარი 206

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა გენუის საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე შეკრებილი სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რათა დაეხმარონ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს გათავისუფლებაში. 1922 წლის 7 თებერვალი 208

საქართველოდან პარიზში გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია საბჭოთა ხელისუფლების მიერ თელავის მაზრაში ჩატარებული არჩევნების შესახებ. 1922 წლის 10 თებერვალი 211

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის ერთი წლისთავთან დაკავშირებით. 1922 წლის 11 თებერვალი 213

საქართველოში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1922 წლის 22 თებერვალი 214

მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა საჩივარი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარესა და საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარს ციხეში არსებული ვითარების შესახებ. 1922 წლის 24 თებერვალი 220

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ საქართველოს ოკუპაციის ერთი წლის შეჯამება. 1922 წლის თებერვალი 221

საქართველოში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1922 წლის თებერვალი 222

საბჭოთა ხელისუფლების მიერ სენაკის მაზრაში ჩატარებული არჩევნების მოკლე აღწერა. 1922 წლის თებერვალი 224

სამ ქართულ პოლიტიკურ სუბიექტს შორის პარიზში დადებული შეთანხმება. 1922 წლის 3 მარტი 226

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი კომიტეტის მიმართვა ევროპის ერებს და კულტურის სფეროს მუშაკებს. 1922 წლის 11 მარტი 229

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წერილი საზღვარგარეთ მყოფი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს საქართველოში არსებული ვითარებისა და პარტიის მომავალი ტაქტიკის შესახებ. 1922 წლის 15 მარტი 233

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების მოკლე აღწერა. 1922 წლის 15 მარტი 237

ამონაწერი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) პლენუმის სხდომის ოქმიდან სვანეთში მიმდინარე აჯანყების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. 1922 წლის 16 მარტი 240

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პლენუმზე მიღებული დადგენილება კოალიციური მთავრობის შექმნის თაობაზე. 1922 წლის 20 მარტი 241

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობაზე მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვით ლეო შენგელაია და ივანე გობეჩია პარტიიდან გარიცხეს საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოების გამო. 1922 წლის 20 მარტის შემდეგ 243

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობაზე მიღებული დადგენილება პარტიიდან ლეო შენგელაიასა და ივანე გობეჩიას გარიცხვის თაობაზე, რომელიც გაეგზავნა ქართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს. 1922 წლის 22 მარტი 257

ნოე ხომერიკისა და ვალიკო ჯუღელის საიდუმლო წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას, სადაც საუბარია საქართველოში მუშაობისთვის საჭირო თანხების გამოყოფაზე. 1922 წლის 24 მარტი 258

ინფორმაცია სვანეთში მიმდინარე ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების შესახებ. 1922 წლის 25 მარტი 262

საქართველოში არსებული ვითარების მოკლე აღწერა. 1922 წლის 25 მარტი 264

მადონერის (ნოე ხომერიკის) ინფორმაცია საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას სვანეთში მიმდინარე ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების შესახებ. 1922 წლის 27 მარტი 268

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამ ქართულ პოლიტიკურ სუბიექტს შორის დადებული შეთანხმების მეორე მუხლი. 1922 წლის 28 მარტი 269

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის საბჭოს მიმართვა ევროპისა და ამერიკის სტუდენტობას. 1922 წლის 30 მარტი 270

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას სვანეთში მიმდინარე აჯანყების შესახებ. 1922 წლის 4 აპრილი 273

სვანეთის მკვიდრის ილია ფალიანის მიმართვა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისიის წევრებს ლადო დუმბაძესა და პეტრე აღნიაშვილს, რათა სვანეთის აჯანყების განმუხტვა უსისხლოდ მომხდარიყო. 1922 წლის 7 აპრილი 274

აკაკი ჩხენკელის შეხვედრა პუანკარესთან, სადაც ის ცდილობდა გენუის კონფერენციაზე საფრანგეთის მხარდაჭერა მოეპოვებინა. 1922 წლის 11 აპრილი 280

მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ციხეში არსებული მძიმე ვითარების შესახებ. 1922 წლის 13 აპრილი 283

ინფორმაცია თელავის მაზრის განიარაღების შესახებ. 1922 წლის 14 აპრილი 284

სვანეთის მკვიდრის ბიძინა პირველის წერილი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილ მთავარ კომისიას, რომელშიც ის ირწმუნება, რომ სვანეთში მომხდარი აჯანყება არ იყო მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1922 წლის 17 აპრილი 286

საქართველოს ეროვნული არქივი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიმართვა ქართველ ერს. 1922 წლის აპრილი 292

საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული შეიარაღებული აჯანყების გეგმა. 1922 წლის აპრილის შემდეგ 294

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის თბილისის კომიტეტის მიმართვა ქართველ მუშებს. 1922 წლის 1 მაისი 309

გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი ქართული დელეგაციის მეთაურის აკაკი ჩხენკელის ანგარიში საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას. 1922 წლის 5 მაისი 311

გიორგი ფაღავას მიერ ნოე ჟორდანიასთვის გაგზავნილი წერილი და ხელშეკრულება, რომელიც ხუთი ქართული პოლიტიკური პარტიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნას ითვალისწინებდა. 1922 წლის 5 მაისი 320

კავკასიის ცალკეული არმიის ოპერატიული ცნობები საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული ძალების მოქმედების შესახებ. 1922 წლის 7 მაისი 323

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე. 1922 წლის 23 მაისი 324

ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანება 24 მაისს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების დროზე ადრე დაკეტვისა ან გაუღებლობისთვის ჯარიმის დაწესების შესახებ. 1922 წლის 24 მაისი 326

ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნა, რომელსაც უნდა შეედგინა ქ. ქუთაისში 24 მაისს პოლიტიკური ნიშნით დაკეტილი დუქნების სია. 1922 წლის 29 მაისი 328

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ი. ტალახაძის ცირკულიარი სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს ქართულ ენაზე სავალდებულო მიწერ-მოწერის წესის დაცვის შესახებ. 1922 წლის 29 მაისი 329

საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისრის ჯიქიას ბრძანება სვანეთის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ჩახშობაში გამოჩენილი მამაცობისთვის მესამე ბატარეის უფროსის ალექსანდრე მოსიძის ოქროს საათით დაჯილდოების შესახებ 1922 წლის 31 მაისი 331

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია იაპონიის საქართველოთი დაინტერესებაზე. 1922 წლის 1 ივნისი 332

გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაკითხვის ოქმის სტენოგრამა 1922 წლის 12 ივნისი 334

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის საუბარი თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი შეეხო თურქეთ-რუსეთის ურთიერთობას. 1922 წლის 13 ივნისი 340

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია გურიაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შესახებ. 1922 წლის 20 ივნისი 343

მადონერის (ნოე ხომერიკის) საინფორმაციო წერილი, სადაც საუბარია ნაძალადევის მუშათა კლუბში ბუდუ მდივანის მუშებთან შეხვედრაზე გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით. 1922 წლის 27 ივნისი 345

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ 24-26 მაისის დემონტრაციების სასტიკი მეთოდებით დარბევასთან დაკავშირებით. 1922 წლის ივნისი 349

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა დუშეთის გლეხებს. 1922 წლის ივნისი 352

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, საქართველოს დემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის, საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს, სადაც აღწერილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში დანერგილი ძალმომრეობის ფაქტები. 1922 წლის ივნისი 354

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმიდან ამონარიდი, სადაც საუბარია საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების შესახებ. 1922 წლის 3 ივლისი 356

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის თაობაზე. 1922 წლის 26 ივლისი 357

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ალექსანდრე გეგეჭკორის მიმართვა მაზრებისა და ქალაქების აღმასკომებს მოქალაქეთა თვითნებური გადასახლების აღკვეთის შესახებ. 1922 წლის 29 ივლისი 359

ამონარიდი საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმიდან, სადაც საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის ყოველთვიურად თანხის გაგზავნის შესახებ. 1922 წლის 31 ივლისი 360

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებული სასურსათო ბეგარის შესახებ. 1922 წლის ივლისი 361

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველ ერს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული მიწის რეფორმასთან დაკავშირებით. 1922 წლის ივლისი 363

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია საბერძნეთ-თურქეთის ომზე და სხვა საკითხებზე. 1922 წლის 1 აგვისტო 365

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია კავკასიის ნავთობით სხვადასხვა სახელმწიფოების დაინტერესებაზე. 1922 წლის 1 სექტემბერი 367

საქართველოს ეროვნული არქივი

ინფორმაცია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების შესახებ. 1922 წლის 18 სექტემბერი 369

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია თურქეთ-საბერძნეთის ომზე. 1922 წლის 21 სექტემბერი 371

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი აკაკი ჩხენკელს, სადაც საუბარია თურქეთის საქართველოს საკითხისადმი დამოკიდებულებაზე. 1922 წლის 16 ოქტომბერი 373

უცნობი პოეტის ლექსი ბუდუ მდივანსა და ფილიპე მახარაძეზე. 1922 წელი 375

1923 **376**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფის მიერ სამლოცველოების თვითნებურად დაკავებისა და მორწმუნეთა შეურაცხყოფის აღკვეთის აუცილებლობის შესახებ. 1923 წლის 10 იანვარი 377

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინტერპარტიული კომიტეტის მიმართვა ქართველ ახალგაზრდებს. 1923 წლის 26 იანვარი 378

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიმართვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, რათა დაჩქარდეს მის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების პროცესი. 1923 წლის 5 თებერვალი 380

სენაკის მაზრის მილიციის უფროსის დ. ანდრონიკაშვილის მოხსენებითი ბარათი სოფელ ისულაში კონსპირაციული კრების მოწყობისას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მ) სენაკის სამაზრო ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი (კაკო) კალანდარიშვილისა და მისი მცველი. ალექსანდრე ჯიქიძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. 1923 წლის 5 თებერვალი 381

გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის სკოლის გამგის წერილი ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილებას, რათა აღნიშნულ გიმნაზიას გადასცემოდა სკოლასთან არსებული ეკლესიის შენობა სარგებლობაში. 1923 წლის 9 მარტი 382

საქართველოს კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, განათლების სახალხო კომისრისა და იუსტიციის სახალხო კომისრის საიდუმლო ცირკულიარი სამაზრო აღმასკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი განძის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. 1923 წლის 17 აპრილი 383

იმ ეკლესია-მონასტრების სია, რომლებსაც მიენიჭათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. 1923 წლის 17 აპრილი 385

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შალვა ნუცუბიძის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის თერაპიული კლინიკის ასისტენტის დიმიტრი ჯავახიშვილის პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ. 1923 წლის 24 აპრილი 386

საქართველოს ეროვნული არქივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის დოცენტის სერგი დანელიას პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ. 1923 წლის 24 აპრილი 387

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის ასისტენტის გიორგი რცხილაძის პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ. 1923 წლის 24 აპრილი 388

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის ტყიბულის რაიონული უჯრედის პასუხისმგებელი მდივნის მიმართვა ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტს რაიონში ჩატარებული ანტირელიგიური კამპანიის შესახებ. 1923 წლის 27 აპრილი 389

ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილების გამგის მიმართვა ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რათა ქვიტირის თემში ეკლესიებისთვის ჩამორთმეული ავეჯი ქვიტირის თემის შრომის სკოლისათვის გადაეცათ. 1923 წლის 27 აპრილი 390

ქუთაისის მაზრის სოფ. მოწამეთას მცხოვრებთა თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს მოწამეთას მონასტრისა და მასთან არსებული შენობა-ნაგებობების მათთვის გადაცემის შესახებ. 1923 წლის 4 მაისი 391

ქუთაისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც შეიქმნა კომისია მაზრიდან ყოფილი მემამულეებისა და ყოფილი თავად-აზნაურების გასახლების მიზნით. 1923 წლის 18 მაისი 393

ინფორმაცია სამხედრო ცენტრის თხუთმეტი ოფიცრის დახვრეტის შესახებ. 1923 წლის 21 მაისის შემდეგ 394

დადგენილება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას საცხოვრებელი სახლის ბავშვთა კოლექტორისათვის გადაცემის შესახებ. 1923 წლის 29 ივნისი 397

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეთავაზება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე. 1923 წლის 5 ივლისი 398

ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოწამეთას მონასტრის დანგრევის შესახებ. 1923 წლის 9 ივლისი 401

ვალიკო ჯუღელის მიერ აკაკი ჩხენკელისთვის ბელფორიდან (საფრანგეთი) გაგზავნილი წერილი. 1923 წლის 22 ივლისი 402

ვალიკო ჯუღელის მიერ ბელფორიდან (საფრანგეთი) სიმონ მდივანისათვის გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია მისი სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხვაზე. 1923 წლის 24 ივლისი 404

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა გამგის ვუკოლი ბერიძის მიერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქართველოს ეროვნული არქივი

საქმეთა მმართველობისთვის გაგზავნილი ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილისა და სარგის კაკაბაძის დასკვნა მოწამეთას ეკლესიისა და კოშკების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის შესახებ. 1923 წლის 26 ივლისი 407

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის მიმართვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თელავის მაზრაში ანტისაბჭოთა ძალებთან საბრძოლველად დროებით საგანგებო მილიციელთა რაზმის შედგენის შესახებ. 1923 წლის 22 აგვისტო 408

ოზურგეთის მაზრის პოლიტ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგის კ. ბარაბაძის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამავე მაზრაში დახურული ეკლესიების გადასაკეთებლად თანხის გამოყოფის შესახებ. 1923 წლის 23 აგვისტო 409

ამონარიდი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის მიერ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთვის საიდუმლოდ გაგზავნილი წერილიდან, სადაც საუბარია თელავში სამი თვით შექმნილი მილიციელთა განსაკუთრებული რაზმის წევრებისთვის გაზრდილი ჯამაგირის დანიშვნის შესახებ . 1923 წლის 3 სექტემბერი 410

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ. სოკოლოვსკის ცირკულიარი სამაზრო რევკომებს სარაიონო და სათემო რევკომების მხრიდან ეკლესიის საქმეებში თვითნებურად ჩარევისა და სამღვდელოების შეურაცხყოფის დაუშვებლობის შესახებ. 1923 წლის 30 სექტემბერი 411

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის, თბილისის ყოფილი სამხედრო ტაძრის და ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარის, დეკანოზ ანტონ თოთიბაძის, თბილისის ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძისა და თბილისის დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის მიმართვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბრალმდებელს, რომელშიც ისინი ითხოვენ ბრალის დროულად წარდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობის დაწყებით იმუქრებოდნენ. 1923 წლის 1 ოქტომბერი 412

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე გეგეჭკორის დადგენილება საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ. 1923 წლის 23 ნოემბერი 413

ქუთაისის მაზრის დვალიშვილების თემის საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა ვანის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს თემში დახურული ეკლესიის შესახებ. 1923 წლის 22 დეკემბერი 414

დუშეთის მაზრაში მოსახლეობისათვის ჩამორთმეული შენობების სია. 1923 წლის 30 დეკემბერი 415

დუშეთის მაზრის მუხრანის, ფასანაურის, ანანურის, ბაზალეთის, მჭადიჯვრის და ყაზბეგის თემებში მოსახლეობისთვის ჩამორთმეული ქონების სია. 1923 წლის 30 დეკემბერი 416

ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა კოლექტიური წერილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ე. წ. კომსომოლისტების მიერ ეკლესიებში ჩადენილი უმსგავსო საქციელის აღკვეთის თაობაზე. 1923 წელი 419

საქართველოს ეროვნული არქივი

ნოე რამიშვილის წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, სადაც საუბარია კავკასიის მასშტაბით ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების გეგმაზე. 1924 წლის 2 თებერვალი 422

ქუთაისის პოლიტბიუროს უფროსის საიდუმლო ცირკულიარი ქუთაისის მაზრის რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს მათ რაიონებში ყველა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელთა აღრიცხვის შესახებ. 1924 წლის 21 თებერვალი 423

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომა, სადაც განიხილეს საქართველოში შეიარაღებული აჯანყების საკითხი. 1924 წლის 23 თებერვალი 424

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების მიმართ გამოტანილი განაჩენი. 1924 წლის 19 მარტი 427

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქეოლოგიო სექციის თავმჯდომარის სარგის კაკაბაძის ცირკულიარი ქუთაისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს ისტორიული ღირებულების ნივთების მუზეუმში გადატანის შესახებ. 1924 წლის 17 აპრილი 431

საქართველოდან ემიგრაციაში გაგზავნილი წერილი, სადაც საუბარია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას გასამართლებაზე. 1924 წლის 2 მაისი 433

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ. 1924 წლის 2 მაისი 438

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაჟარი ლეჟავას განცხადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საცხოვრებელი ბინის, საეპარქიო კანცელარიის შენობის, ჩამორთმეული ნივთებისა და სამღვდელმსახურო შესამოსელის დაბრუნების თაობაზე.1924 წლის 17 მაისი 440

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარი ლეჟავას განცხადება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ქუთაისის საკათედრო ტაძრის (სობოროს) დანგრევის მიზანშეუწონლობის შესახებ. 1924 წლის 22 მაისი 442

პატიმრობაში მყოფი ნოე ხომერიკის წერილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, რათა მას დაუბრუნდეს მთავრობის დადგენილებით ჩამორთმეული საოჯახო ნივთები. 1924 წლის 20 ივნისი 445

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის წერილი საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. 1924 წლის 2 ივლისი 447

ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარი ლეჟავას განცხადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მისი ადრინდელი განცხადების რეაგირების გარეშე დატოვების შესახებ. 1924 წლის 21 ივლისი 448

რაჭის მაზრის აგიტპროპის გამგის ა. ჭელიძისა და საერთო განყოფილების გამგის ა. ყრუაშვილის საიდუმლო წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)

საქართველოს ეროვნული არქივი

ცენტრალურ კომიტეტს მაზრაში ეკლესია-მონასტრების გადაკეთების პროცესისთვის 10 000 მანეთის გამოყოფის შესახებ. 1924 წლის 12 აგვისტო 449

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა აჭარის მოსახლეობას საქართველოში მომხდარ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. 1924 წლის 31 აგვისტო 450

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ქონებაჩამორთმეული ვაჭრების სია ზუგდიდის რაიონში. 1924 წლის აგვისტოს შემდეგ 452

ქ. ზუგდიდის მკვიდრის, 1924 წლის აჯანყების მონაწილის ლუკა გვასალიას მეუღლის სონია ნორაკიძის განცხადება ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1924 წლის აგვისტოს შემდეგ 454

აჭარის ასსრ საგანგებო კომისიის კოლეგიის განცხადება აჭარაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე პირების სიკვდილით დასჯის შესახებ. 1924 წლის 2 სექტემბერი 455

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ქ. ზუგდიდში დახვრეტილთა სია. 1924 წლის 6 სექტემბერი 457

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომა, სადაც გადაწყდა მიემართათ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებისთვის, ერთა ლიგისთვის, საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისთვის, რათა 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ საქართველოში არსებული კონფლიქტი არბიტრაჟის წესით გადაწყვეტილიყო. 1924 წლის 6 სექტემბერი 459

ზუგდიდის მაზრის ახალ ხიბულის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა ქონების კონფისკაციის შესახებ. 1924 წლის 7 სექტემბერი 460

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომის ოქმი, სადაც საუბარია საქართველოში მომხდარი აჯანყების შემდეგ მთავრობის მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე. 1924 წლის 7 სექტემბერი 462

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის მაზრის პარტიულ კომიტეტთან არსებული საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მ. ბედიას სახელმძღვანელო ინსტრუქცია ამავე მაზრის ყველა რაიონული პარტიული კომიტეტების მდივნებს, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რაიონული მილიციის უფროსებს და თემთა საბჭოების თავმჯდომარეებს 1924 წლის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ მაზრაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. 1924 წლის 10 სექტემბერი 465

რუისის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის წერილი გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სოფელ რუისში გლეხების მიერ ფანიაშვილების ოჯახის დახოცვის გამო წარმომადგენლის გამოგზავნის თხოვნის შესახებ. 1924 წლის 14 სექტემბერი 467

მასწავლებელთა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია 1924 წლის აჯანყება.1924 წლის 14 სექტემბერი 468

საქართველოს ემიგრანტული მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომის ოქმი, სადაც საუბარია საქართველოში მომხდარი აჯანყების შემდეგ საინფორმაციო ომის წარმოების აუცილებლობაზე. 1924 წლის 14 სექტემბერი 470

საქართველოს ეროვნული არქივი

გურკომის, სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმისა და საგანგებო ხუთეულის სხდომის ოქმი, სადაც დააჯილდოვეს 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში მონაწილე პირები. 1924 წლის 18 სექტემბერი 472

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის ხმალაძის, სამილიციო ქვეგანყოფილების უფროსის კიღურაძის, მაზრის მილიციის საგარეო ნაწილის უფროსის ჯიბლაძისა და კანცელარიის მმართველის გუგუშვილის მოხსენება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში მონაწილე მილიციელების წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შუამდგომლობის შესახებ. 1924 წლის 20 სექტემბერი 474

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის „ფაზისელის“ საიდუმლო წერილი პარტიულ ამხანაგებს 1924 წლის აჯანყებაზე. 1924 წლის 20 სექტემბერი 478

სენაკის მაზრის მილიციის უფროსის წერილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილებას 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დაპატიმრებულთა გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებით. 1924 წლის 24 სექტემბრის შემდეგ 481

თბილისის მაზრაში არსებული ეკლესია-მონასტრების სამღვდელოების კრების ოქმი, სადაც დაგმობილია 1924 წლის აჯანყებისას მოძმეებს შორის მომხდარი სისხლისღვრა. 1924 წლის 28 სექტემბერი 482

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრების ქონების კონფისკაციის შესახებ. 1924 წლის 29 სექტემბერი 484

იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 1924 წლის აჯანყებაში მარტვილის რაიონში და ამის გამო მათზე შეწერილი ფულადი ჯარიმა. 1924 წლის სექტემბერი 485

მარტვილის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური კომისიის დადგენილება აღნიშნულ რაიონში 1924 წლის აჯანყების მონაწილეებზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის მითითებით. 1924 წლის სექტემბერი 486

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების მოკლე აღწერა. 1924 წლის სექტემბერი 496

ზუგდიდის მაზრის ფახულანის თემის საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა ლიის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას სამურზაყანოდან გადმოსული ვარლამ ქეცბაიას რაზმის წევრის მიერ ფახულანის თემის მკვიდრისთვის ვერცხლით მოჭედილი ხანჯლის წართმევის შესახებ. 1924 წლის 3 ოქტომბერი 501

ზუგდიდის მაზრის ფახულანის თემის საბჭოს თავმჯდომარის ათანასა შონიას მიმართვა ლიის რაიონულ აღმასკომს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას სამურზაყანოდან გადმოსული ვარლამ ქეცბაიას რაზმის წევრის მიერ ფახულანის თემის მცხოვრებლებისთვის ნივთების წართმევის შესახებ. 1924 წლის 3 ოქტომბერი 502

სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანის სასოფლო საბჭოს დადგენილება სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურობის განდევნისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ. 1924 წლის 3 ოქტომბერი 503

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ შაშიანის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურების განდევნის შესახებ. 1924 წლის 4 ოქტომბერი 506

სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართვა ამავე მაზრაში დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრეტილი კონდრატე გეგეჭკორის ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით. 1924 წლის 5 ოქტომბერი 507

გორის მაზრის სოფელ შინდისის საზოგადოების კრების ოქმი სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურობის გასახლების შესახებ. 1924 წლის 5 ოქტომბერი 508

საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის უცხოეთის ბიუროს გაერთიანებული სხდომის ოქმი, სადაც საუბარია რეპრესიების ქვეშ მოყოლილი აჯანყებულების ნივთიერ დახმარებაზე. 1924 წლის 7 ოქტომბერი 512

გორის მაზრის სოფელ ფხვენისის საზოგადოების კრების ოქმი ნიკო ამილახვრისა და სერაფიონ მაჭარაშვილის ოჯახების სოფლიდან განდევნის შესახებ. 1924 წლის 10 ოქტომბერი 513

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წევრებისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრების ქონების კონფისკაციის შესახებ. 1924 წლის 16 ოქტომბერი 515

სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართვა ამავე მაზრის მილიციის უფროსს 1924 წლის აჯანყების მონაწილეთათვის ჩამორთმეული ცხენებიდან სამი საუკეთესო ცხენის ქ. ახალი სენაკის სამეურნეო ტექნიკუმისთვის გადაცემის შესახებ. 1924 წლის 24 ოქტომბერი 516

სოფელ საქაშეთის საერთო კრების დადგენილება სოფლიდან სიკო ტიტვინიძის, კოტე დიასამანიძისა და გიორგი ტიტვინიძის განდევნის შესახებ. 1924 წლის 27 ოქტომბერი 517

გორის მაზრის სოფელ ბერბუკის საბჭოს წევრების მიმართვა ქ. გორის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, სოფ. ბერბუკიდან ეფემია აწაწევის შვილებთან ერთად გასახლების თხოვნაზე. 1924 წლის 27 ოქტომბერი 519

ამონარიდი გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევის რაიონის საბჭოს სხდომის ოქმიდან, ყოფილი თავად-აზნაურების სოფლიდან განდევნის შესახებ. 1924 წლის 28 ოქტომბერი 521

გორის მაზრის სოფელ დირბის სასოფლო საბჭოს კრების ოქმი სოფლიდან ყოფილ თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ. 1924 წლის 29 ოქტომბერი 524

გორის მაზრის სოფელ რუისის სასოფლო საბჭოს სხდომის ოქმი სოფლიდან ყოფილ თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ. 1924 წლის 30 ოქტომბერი 525

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრების ქონების კონფისკაციის შესახებ. 1924 წლის 31 ოქტომბერი 526

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეთა ქონების კონფისკაციის ინსტრუქცია. 1924 წლის ოქტომბერი 528

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების იმ წევრთა სია, რომლებსაც ქონება ჩამოერთვათ. 1924 წლის ოქტომბერი 529

ქ. ახალი სენაკის მკვიდრის ნატალია ჩარგეიშვილის განცხადება სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა მისთვის მიეცათ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო დახვრეტილი ტუტუ ხარბედიას კონფისკირებული ქონებიდან 250 მანეთი, რომელიც მას სესხად ჰქონდა დახვრეტილისთვის მიცემული. 1924 წლის ოქტომბერი 531

სტამბულში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კონსტანტინე გვარჯალაძის მიერ საქართველოს ემიგრანტული მთავრობისთვის მიწოდებული ინფორმაცია 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების შესახებ. 1924 წლის ოქტომბერი 532

გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის ყრილობის დადგენილების ოქმი სოფლიდან მიტუშა, გიგო, ერმანა და ბაგრატ ჩხეიძეების განდევნის შესახებ. 1924 წლის 1 ნოემბერი 536

გორის მაზრის სოფელ ქვემო ხვითის საზოგადო კრების შუამდგომლობა შინდისის აღმასრულებელ კომიტეტთან სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურების გასახლების თაობაზე. 1924 წლის 2 ნოემბერი 539

დასავლეთ საქართველოს პროკურორის გ. გაბუნიას საიდუმლო ინსტრუქცია 1924 წლის აჯანყების მონაწილეების თვითნებურად დახვრეტის დაუშვებლობის შესახებ. 1924 წლის 4 ნოემბერი 540

სოფელ ახალდაბის მცხოვრებთა კრების დადგენილება სოფლიდან ვანო ზარხობაშვილის, ვასო წოწოლიაშვილისა და სიკო მურადაშვილის განდევნის შესახებ. 1924 წლის 4 ნოემბერი 542

ზუგდიდის მაზრის ხიბულის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პატაკი ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, სადაც აღნიშნულია, რომ 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობისას აჯანყებულებს ადგილობრივი გლეხობისთვის ზიანი არ მიუყენებიათ. 1924 წლის 4 ნოემბერი 543

1924 წლის აჯანყების შემდეგ გორის მაზრის სოფელ ტყვიავიდან განდევნილი ყოფილი თავად-აზნაურების სია. 1924 წლის 5 ნოემბერი 544

გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის მცხოვრებლების დადგენილება სოფლიდან ყოფილი სოციალ-დემოკრატის გიორგი წეველიძის განდევნის შესახებ. 1924 წლის 6 ნოემბერი 546

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე ცალკეულ პირთა ამნისტიის შესახებ. 1924 წლის 6 ნოემბერი 547

სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ნოდიას ცირკულიარი ამავე მაზრის ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის და თემთა საბჭოების თავმჯდომარეებს 1924 წლის აჯანყებასთან კავშირისთვის მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონების თვითნებური რეალიზაციის დაუშვებლობის შესახებ. 1924 წლის 6 ნოემბერი 549

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების დროს დაზარალებული ქ. ზუგდიდის მკვიდრის ცაბუა კეიდიას განცხადება ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს მისთვის კომპენსაციის გაცემის შესახებ. 1924 წლის 7 ნოემბერი 550

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის აჯანყებასთან კავშირისთვის დაპატიმრებულებზე გამოცემული ამნისტიის აღსრულების მიზნით კომისიების შექმნის შესახებ. 1924 წლის 10 ნოემბერი 551

გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზის მცხოვრებთა კრების დადგენილება ყოფილ თავად-აზნაურთა სოფლიდან გაძევების შესახებ. 1924 წლის 10 ნოემბერი 552

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ გორის მაზრის სოფელ შინდისიდან განდევნილი ყოფილი თავად-აზნაურების სია. 1924 წლის 11 ნოემბერი 555

ბაღდათის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენება ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, სადაც წარმოდგენილია ბაღდათის რაიონის იმ სახელმწიფო მოხელეთა სია, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 1924 წლის აჯანყებაში. 1924 წლის 12 ნოემბერი 559

ზუგდიდის მაზრის ჭოღის თემის ადგილობრივი კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის წევრების გაერთიანებული კრების დადგენილება 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ყოფილი მღვდლის საბა ფაცაციასთვის სახლის ჩამორთმევის შესახებ. 1924 წლის 16 ნოემბერი 561

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრეტილი იაკო შენგელიას დის ნატა შენგელიას თხოვნა ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რათა დახვრეტილის ოჯახს დაბრუნებოდა ჩამორთმეული ცხენი და მისი აღკმაზმულობა. 1924 წლის 17 ნოემბერი 562

ქ. ზუგდიდის მკვიდრის მიხა ხაბურძანიას განცხადება ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1924 წლის 18 ნოემბერი 563

სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის საიდუმლო წერილი სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შაქრო და კოტე ნაცვლიშვილების ქაქუცა ჩოლოყაშვილთან კავშირის შესახებ. 1924 წლის 19 ნოემბერი 564

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება 1924 წლის 6 ნოემბერს გამოცემულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. 1924 წლის 20 ნოემბერი 565

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ. 1924 წლის 20 ნოემბერი 566

გორის მაზრის სოფელ მეტეხის მკვიდრის თამარ მერკულოვას განცხადება ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1924 წლის 20 ნოემბერი 568

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარის ვ. სტურუას მიმართვა სიღნაღის, თელავისა და გორის მაზრებისა და ამ მაზრებში შემავალი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რათა კომისიის სხდომაზე წარმოედგინათ ყოფილი თავად-აზნაურთა მამულებიდან განდევნის საქმეზე შესაბამისი დოკუმენტები. 1924 წლის 21 ნოემბერი 569

საქართველოს ეროვნული არქივი

გორის მაზრის სოფელ რუისის მკვიდრის ვანო ფანიაშვილის განცხადება ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1924 წლის 22 ნოემბერი 570

გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის მკვიდრის გიორგი ჩხეიძის განცხადება ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს მისი ოჯახის წევრების უსამართლოდ დახვრეტისა და ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შესახებ. 1924 წლის 24 ნოემბერი 571

ზუგდიდის მაზრის ჯვარის თემის მკვიდრის ფარნა ჭანტურიას განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას ჯარისკაცების მიერ მისი სიმინდის ყანის გაჩანაგების შესახებ. 1924 წლის 24 ნოემბერი 573

ზუგდიდის მაზრის სოფელ ლიის მკვიდრის კუჭუჭი ცხონდიას განცხადება ამავე მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული ცხენის დაბრუნების შესახებ. 1924 წლის 28 ნოემბერი 574

გორის მაზრის სოფლებიდან განდევნილ თავადაზნაურთა სია, რომლებსაც 1924 წლის აჯანყებასთან კავშირისთვის ქონება ჩამოართვეს. 1924 წლის ოქტომბერ-ნოემბერი 575

გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთის საბჭოს სხდომის ოქმი სოფლიდან ყოფილი თავად-აზნაურების განდევნის შესახებ. 1924 წლის ნოემბერი 576

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ გორის მაზრიდან განდევნილი ყოფილი თავად-აზნაურების სია. 1924 წლის ნოემბერი 581

ნოე ჟორდანიას მიმართვა ქართველ ერს, სადაც ის 1924 წლის აჯანყებას აფასებს. 1924 წლის ნოემბერი 587

ზუგდიდის მაზრის სოფელ კახათის მკვიდრის ივაკა გუგუჩიას განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას მისთვის ცხენის წართმევის შესახებ. 1924 წლის 6 დეკემბერი 590

ახალციხის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ე. ღვამიჩავასა და ტექნიკური მდივან ყირქესალოვის მიმართვა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო პროკურორ ვარძიელს მაზრაში დაკეტილი ეკლესია-მონასტრების მრევლისთვის დაბრუნების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1924 წლის 6 დეკემბერი 591

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მოიდანახეს მკვიდრის ნიკო გორდულაძის თხოვნა ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული დუქნის დაბრუნების თაობაზე. 1924 წლის 9 დეკემბერი 593

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის მკვიდრების თედო და სვიმო შენგელიების განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული დუქნის დაბრუნების თაობაზე. 1924 წლის 13 დეკემბერი 594

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის მკვიდრის ბაჩუა დადიანის განცხადება ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯომარეს, რათა მას დაბრუნებოდა სახლის ზედა სართული, რომელიც ჩამოერთვა მეუღლისა და შვილის 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო. 1924 წლის 15 დეკემბერი 595

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას დახვრეტილი ნიკო შონიას მეუღლის, დესპინე შონიას განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1924 წლის 16 დეკემბერი 596

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას დახვრეტილი ივანე ზესაშვილის მეუღლის ქსენია ზესაშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული საპნის ქარხნის დაბრუნების შესახებ. 1924 წლის 17 დეკემბერი 597

1924 წლის აჯანყების მონაწილის ხარიტონ ქვარაიას ანკეტა. 1924 წლის 20 დეკემბერი 598

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მაზრებიდან განდევნილების საჩივრების განხილვა. 1924 წლის 24 დეკემბერი 599

1924 წელს დახვრეტილი მიტროფანე ჩინჩალაძის მეუღლის მარიამ ჩინჩალაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე. 1924 წლის 25 დეკემბერი 601

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული მავნე პირების ადმინისტრაციული წესით გადამასახლებელი კომისიის თავმჯდომარის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოუცლელობის გამო კომისიაში ბერიასა და ოკუჯავას ნაცვლად ურუშაძისა და ბეჟანოვის შეყვანის თხოვნის შესახებ. 1924 წლის 31 დეკემბერი 603

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლის მუშაობის შესახებ. 1924 წელი 604

1925 **605**

სიღნაღის მაზრის სოფელ ჩუმლაყიდან განდევნილი დათა ავალიშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1925 წლის 26 იანვარი 606

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლის მიტროპოლიტ ქრისტეფორე ურბნელის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე. 1925 წლის იანვარი 607

1924 წელს დახვრეტილი დოროთე ცხაკაიას მეუღლის, ლიზა ცხაკაიას განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ. 1925 წლის 4 თებერვალი 609

1924 წელს დახვრეტილი სილიბისტრო უჩანეიშვილის შვილის, სამსონ უჩანეიშვილის თხოვნა საქართველოს სამხედრო კომისარს, რათა უკანასკნელმა უშუამდგომლოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ფურნის დაბრუნების თაობაზე. 1925 წლის 6 თებერვალი 610

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აჯანყების დროს ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მეგრელი მწყემსებისათვის პირუტყვის ჩამორთმევის შესახებ. 1925 წლის 7 თებერვალი 611

საქართველოს ეროვნული არქივი

სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია მაზრის საბჭოებიდან შემოსული ოქმები ყოფილი თავად-აზნაურების სოფლიდან განდევნის შესახებ. 1925 წლის 12 თებერვალი 612

სიღნაღის მაზრის სოფელ კარდენახის მკვიდრის ზაქარია ანდრონიკაშვილის განცხადება კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე. 1925 წლის 17 თებერვალი 617

ოზურგეთის სამაზრო პოლიტბიუროს მოხსენება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ოზურგეთის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე სილევან ძნელაძის, პავლე ქავჯარაძისა და გიორგი ზამბახიძის შესახებ. 1925 წლის 23 თებერვალი 618

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ შესულ საჩივართა რაოდენობა. 1925 წლის თებერვალი 619

ამონარიდი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-III სესიის ამნისტიის ცხოვრებაში გატარების შესახებ. 1925 წლის მარტი 620

1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილი ადამ ვაჩნაძის მეუღლის, ქ. თელავის მკვიდრის, ეკატერინე ვაჩნაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე. 1925 წლის 1 აპრილი 621

გორის მაზრის სურამის თემის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილი მიხეილ არუწოვის ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით. 1925 წლის 7 აპრილი 623

დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, იორდანაშვილის მიმოწერა მაზრის მილიციის უფროსთან 1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილი ალექსი მისრიაშვილის ოჯახისთვის წართმეული ცხენის დაბრუნების შესახებ. 1925 წლის 9 აპრილი 624

სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ საჩივრების განმხილველ კომისიას, სადაც საუბარია შაქრო ანდრონიკაშვილისთვის გადარჩენილი ქონების დაბრუნების თაობაზე. 1925 წლის 11 აპრილი 625

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპული და დასახიჩრებული კომუნარების ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის თხოვნაზე. 1925 წლის 17 აპრილი 626

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 1924 წლის აჯანყების დროს ამავე მაზრაში დაზარალებული გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1925 წლის 27 აპრილი 627

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ ემიგრაციაში გამგზავრებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სპირიდონ ჭავჭავაძისა და დავით მხეიძის მიმართვა აკაკი ჩხენკელს, რათა ამ უკანასკნელმა უშუამდგომლოს მათ ემიგრანტულ მთავრობასთან ფინანსური დახმარების აღმოჩენის თაობაზე. 1925 წლის 10 მაისი 628

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას ხელისუფლების მხრიდან გურიაში დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1925 წლის 14 მაისი 629

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სენაკისა და შორაპნის მაზრებში 1924 წლის აჯანყების დროს ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობისაგან ნისიად შეძენილი ფქვილის საფასურის დაფარვის შუამდგომლობის შესახებ. 1925 წლის 27 მაისი 630

საქართველოს სახალხო კომისრის მოადგილის, ვ. პარკაძის მიმართვა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან 1924 წლის აჯანყების დროს დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის ფულადი დახმარების აღმოჩენის სირთულის შესახებ. 1925 წლის 18 ივლისი 631

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დაკითხვა სასამართლო პროცესზე. 1925 წლის 22 ივლისი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივნის იასონ ჯავახიშვილის დაკითხვა სასამართლო პროცესზე. 1925 წლის 22 ივლისი 632

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მიერ სასამართლოში წარმოთქმული დასკვნითი სიტყვა. 1925 წლის 1 აგვისტო 634

ამონარიდი თელავის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან მაზრაში გლეხების მიერ ყოფილი თავად-აზნაურებისთვის ჩამორთმეული ქონების განაწილების შესახებ. 1925 წლის 12 სექტემბერი 660

თელავის მაზრის სოფელ ძველ გავაზში მცხოვრები ძმების სვიმონ, ირაკლი, შალვა და შოთა მარგველაშვილების თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს საქმის საბოლოოდ გარკვევამდე მათი გამოსახლების პროცესის შეჩერების შესახებ. 1925 წლის 25 სექტემბერი 661

თელავის მაზრის სოფელ ახალსოფლის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი სოფლიდან ვანო ვახვახოვის (ვახვახიშვილის) განდევნის შესახებ. 1925 წლის 25 სექტემბერი 663

თელავის მაზრის სოფლების ენისელის, გრემისა და ალმატის გაერთიანებული საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი ქეთო და ნინო ჯორჯაძეების სოფლიდან განდევნის შესახებ. 1925 წლის 25 სექტემბერი 664

1924 წელს ზესტაფონში ვაგონებში დახვრეტილ აჯანყებულთა არასრული სია. 1925 წლის სექტემბერი 665

საქართველოს ეროვნული არქივი

1924 წელს დაპატიმრებული მათე თინიკაშვილის განცხადება საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარესა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს პატიმრობის დარჩენილი ვადის პატიების შესახებ. 1926 წლის 10 მარტი 670

ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული ვარლამ მოგელაძის მეუღლის, მარიამ მოგელაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს მისი მეუღლის გათავისუფლების შესახებ. 1926 წლის 11 მარტი 672

1924 წელს დაპატიმრებული სავლე გორგოძის მეუღლის, ვერა გორგოძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს მისი მეუღლის გათავისუფლების შესახებ. 1926 წლის 26 მარტი 674

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული ვარლამ მოგელაძის შესახებ. 1926 წლის 3 აპრილი 676

საქართველოს საგანგებო კომისიის დასკვნა 1924 წელს დაპატიმრებული მათე თინიკაშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის 15 აპრილი 677

საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილება 1924 წლის აჯანყების მონაწილის სავლე გორგოძის მეუღლის, ვერა გორგოძის განცხადებაზე, სადაც ის ავადმყოფი მეუღლის გათავისუფლებას ითხოვს. 1926 წლის აპრილი 678

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის უარი ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დაპატიმრებული ვარლამ მოგელაძის ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე. 1926 წლის 20 მაისი 679

1924 წელს დაპატიმრებული კონსტანტინე დადიანის მეუღლის, პაულინა დადიანის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მეუღლის გათავისუფლების თაობაზე. 1926 წლის 2 ივნისი 680

ოქმი 1924 წელს დაპატიმრებული სილიბისტრო კობახიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. 1926 წლის 5 ივნისი 682

1924 წელს დაპატიმრებული სილიბისტრო კობახიძის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დარჩენილი სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ. 1926 წლის 14 ივნისი 683

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის მიმართვა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წელს დაპატიმრებული კონსტანტინე დადიანის გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის 20 ივნისი 684

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ლავრენტი ბერიას პასუხი სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წელს დაპატიმრებული სილიბისტრო კობახიძის გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის 24 ივლისი 685

საქართველოს ეროვნული არქივი

დავით ლონდარიძის მეუღლის, ეკატერინე ლონდარიძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, მეუღლის რუსეთში გადასახლებისგან გათავისუფლების შესახებ. 1926 წლის 3 აგვისტო 686

რუსეთში გადასახლებული ივანე დავითაშვილის დის, დარია დავითაშვილის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ძმის სოლოვეცკის კუნძულიდან რუსეთის სხვა ქალაქში გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 11 აგვისტო 688

საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო-საოპერატორო სამმართველოს დასკვნა დავით ლონდარიძის ვადაზე ადრე გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის 29 აგვისტო 689

პატიმარ გიორგი თოდუას მეუღლის, ელენა თოდუას თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მეუღლის სოლოვკიდან რუსეთის სხვა ადგილში გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 6 სექტემბრამდე 690

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ (1925-1926 წლებში) საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილთა და რუსეთში გადასახლებულთა არასრული სია. 1926 წლის 7 სექტემბერი 691

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის დასკვნა სოლოვეცკის კუნძულზე გადასახლებული ივანე დავითაშვილის შეწყალებაზე უარის შესახებ. 1926 წლის 8 სექტემბერი 694

რუსეთში გადასახლებული სოლომონ თელიას მეუღლის, მაკრინე თელიას თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მეუღლის სხვა ადგილზე გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 10 სექტემბერი 695

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სოლომონ თელიას გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის სექტემბერი 696

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გიორგი თოდუას გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის 12 ოქტომბერი 697

1924 წლის აჯანყების მონაწილის ვახტანგ ბარათაშვილის მამის, გერვასი ბარათაშვილის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სოლოვკაში გადასახლებული შვილის გათავისუფლების შესახებ. 1926 წლის 20 ოქტომბერი 698

რუსეთში გადასახლებული ალექსანდრე კახაბერის მეუღლის, ეკატერინე კახაბერის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს მეუღლის ვადაზე ადრე გათავისუფლების ან სოლოვკიდან სხვაგან გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 20 ოქტომბერი 699

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რუსეთში გადასახლებული ალექსანდრე კახაბერის გათავისუფლებაზე უარის შესახებ. 1926 წლის 2 ნოემბერი 701

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რუსეთში გადასახლებული ვახტანგ ბარათაშვილის გათავისუფლებაზე უარის შესახებ. 1926 წლის 17 ნოემბერი 702

რუსეთში გადასახლებული ლეო რუხაძის თხოვნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საქართველოს რომელიმე ციხეში გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 23 ნოემბერი 703

რუსეთში გადასახლებული ვასო დავითაშვილის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს საქართველოში გადმოყვანის შესახებ. 1926 წლის 7 დეკემბერი 705

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ლავრენტი ბერიას დასკვნა რუსეთში გადასახლებული ლეო რუხაძის საქართველოში დაბრუნების თაობაზე. 1926 წლის 15 დეკემბერი 706

რუსეთში გადასახლებული ერემია მეჩეხიას მეუღლის, მარო მეჩეხიას თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მეუღლის რუსეთის სხვა ქალაქში გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 18 დეკემბერი 707

რუსეთში გადასახლებული სერაპიონ კეკელიძის მეუღლის, სარა კეკელიძის თხოვნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მეუღლის ვადაზე ადრე გათავისუფლების ან რუსეთის თბილ მხარეში გადაყვანის შესახებ. 1926 წლის 18 დეკემბერი 708

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ეპიფანე კვანტალიანის დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სერაპიონ კეკელიძის ვადაზე ადრე გათავისუფლების მიზანშეუწონლობის შესახებ. 1926 წლის 20 დეკემბერი 710

გიორგი ნიჟარაძის მამის, ივანე ნიჟარაძის თხოვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს შვილის გათავისუფლების შესახებ. 1926 წლის 20 დეკემბერი 711

გიორგი ნიჟარაძის განცხადება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს დარჩენილი სასჯელის პატიების შესახებ. 1926 წლის 23 დეკემბერი 713

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ლავრენტი ბერიას დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რუსეთში გადასახლებული ვასო დავითაშვილის საქართველოში ვადაზე ადრე დაბრუნებაზე უარის შესახებ. 1926 წლის 28 დეკემბერი 716

1927 **716**

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ლავრენტი ბერიას დასკვნა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რუსეთში გადასახლებული ერემია მეჩეხიას რუსეთის სხვა ქალაქში გადაყვანაზე უარის შესახებ. 1927 წლის 16 იანვარი 717

საქართველოს ეროვნული არქივი

1932 **718**

ამონარიდი თელავის მაზრაში მომუშავე ბოლშევიკის რეზო დავითის ძე ნახუცრიშვილის მოგონებიდან. 1932 წელი 719

1936 **720**

ამონარიდი ბოლშევიკის ილია საბას ძე ჩოდრიშვილის მოგონებიდან. 1936 წელი 721

1937 **722**

ამონარიდები საქართველოდან ემიგრაციაში და პირიქით გაგზავნილი წერილებიდან, სადაც საქართველოში შეიარაღებული აჯანყების საკითხზეა საუბარი (ეს მიმოწერა მოგვიანებით ირაკლი (კაკი) წერეთელთან წაიკითხეს). 1937 წელი 723

1992 **726**

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის დეკრეტი 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ. 1992 წლის 25 მაისი 727

1994 **728**

1921-1924 წლებში საქართველოში რეპრესირებულთა შთამომავლების მიწვევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს მეტეხის ღვთისმშობლის დიდების ტაძარში დანიშნულ პანაშვიდზე. 1994 წლის 3 სექტემბრამდე 729

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს
ეროვნული
არქივი